

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების
პროგრამები

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები

Priorities of the Sustainable Development of Agriculture

I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

I International Scientific-Practical Conference

შრომების კრებული

Proceedings



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2011 წლის 28-29 ოქტომბერს I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“ წარმოდგენილ 123 მოხსენებას.

კონფერენცია ციურიხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კომპანიის – „ინგლისური ნიგნი საქართველოში“ მხარდაჭერით განხორციელდა.

კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ შვეიცარიიდან, ინგლისიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან მონვეული სტუმრები და მკვლევარი სტუდენტები; ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლები და ფერმერები.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- ეთერ ხარაიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ელენე ხარაბაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- მარინა ლომოური** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის მრჩეველი, დოქტორი
- ნოდარ კერესელიძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- მარინა ჩავლეიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- მარინა ნაცვალაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- მანანა ლოზუანიძე** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
- ეკატერინე ზვიადაძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკის დოქტორი
- ბადრი გეჩბაია** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
- ფატიმა მამარდაშვილი** – ციურინის (შვეიცარია) ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი
- შოთა შაბურშიძე** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- ნანა მაისურაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალისტი
- მარი უკლება** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალისტი

სარედაქციო კოლეგია:

- ეთერ ხარაიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ვოლფგანგ ვენგი** – ბერლინის (გერმანია) ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
- დომინიკ ბარჯოლე** – ციურინის (შვეიცარია) უნივერსიტეტი, პროფესორი
- რაუშან ბოკუშევა** – ციურინის (შვეიცარია) უნივერსიტეტი, პროფესორი
- ელგუჯა მექვაბიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- რევაზ გველესიანი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- იაშა მესხია** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ნოდარ ხადური** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- მირიან ტუხაშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- იური ანანიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ნუგზარ თოდუა** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- გულნაზ ერქომაიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- ჯოზეფ შასიდი** – პირეას (საბერძნეთი) უნივერსიტეტი, პროფესორი
- მირდამეტ სადიგოვი** – აზერბაიჯანის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, რექტორი, პროფესორი

Organizing Committee:

Eteri Kharashvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Elene Kharabadze – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Marina Lomouri – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Adviser to the Rector, Doctor*
Nodar Kereselidze – *Ministry of Agriculture of Georgia*
Marina Chavleishvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Associate Professor*
Marina Natsvaladze – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Associate Professor*
Manana Lobzhanidze – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Doctor of Economics*
Ekaterine Zviadadze – *Ministry of Agriculture of Georgia, Doctor of Economic Sciences*
Badri Gechbaia – *Shota Rustaveli State University, Assistant Professor*
Fatima Mamardashvili – *Swiss Federal Institute of Technology, Zurich*
Shota Shaburishvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Associate Professor*
Nana Maisuradze – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Specialist*
Mari Ukleba – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Specialist*

Editorial Collegium:

Eteri Kharashvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Wolfgang Weng – *Technical University of Berlin, Professor*
Dominique Barjolle – *Swiss Federal Institute of Technology, Zurich, Professor*
Raushan Bokusheva – *Swiss Federal Institute of Technology, Zurich, Professor*
Elgudja Mekvabishvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Revaz Gvelesiani – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Iasha Meskhia – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Nodar Khaduri – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Mirian Tukhashvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Iuri Ananiashvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Nugzar Todua – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Full Professor*
Gulnazi Erqomaishvili – *Ivane Javakishvili Tbilisi State University, Associate Professor*
Joseph Hassid – *University of Piraeus, Greece, Professor*
Mirdamet Sadigov – *Azerbaijan State Agrarian University, Rector, Professo*

**აგროტურიზმი – სიხლე ქართულ ტურისტულ ბაზარზე:
ბანვითარება და პერსპექტივები**

საქართველოში უსაფრთხო ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებისა და შემოდინებული უცხოური ინვესტიციების შედეგად ტურიზმი გადაიქცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის პრიორიტეტულ დარგად. ქვეყნის ბიზნესექტორში მის ამ ამბიციას კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს ეკონომიკის ტრადიციული დარგის – სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, რაც ტურიზმის კიდევ ერთი სახეობის – აგროტურიზმის განვითარების წინაპირობა ხდება.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულება, XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. მართალია, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ჯერ მას პრიორიტეტული როლი არ განეკუთვნება, მაგრამ მისი გეოგრაფიული და ეკონომიკური წინაპირობანი ამის საფუძველს ნამდვილად იძლევა. რადგან საქართველოს უნიკალური პირობები გააჩნია რეკრეაციულ ზონად გადაქცევისათვის, ამიტომ აგროტურიზმის, როგორც რეკრეაციული ტურიზმის სახეობის განვითარება ლოგიკურიცაა, აუცილებელიც და საჭიროც. მით უფრო, რომ აგრარულ ტურიზმს ნაკლებად ახასიათებს სეზონურობა. ეს კი ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების სისტემატიურად გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.

მსოფლიოში საკმაოდ გამოკვეთილი ქვეყნები ტურიზმის ამ მიმართულებით. ყურადღებას შევაჩერებ გერმანიაზე, სადაც სოფლის მეურნეობა უმაღლეს დონეზე განვითარებული და ტურიზმის ინფრასტრუქტურაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ ქვეყანამ ტურისტები მიიღოს იმ მოტივით, რომ მან იცხოვროს ადგილობრივი მოსახლესავით, იმუშაოს მასთან ერთად მინდორში, მონველოს ძროხა, დაამუშაოს მინა, იკვებოს მასთან ერთად, ანუ გარკვეული დროით გახდეს მასპინძლის ოჯახის წევრი. გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი "Bauernhoftourismus", რაც ფერმერულ ტურიზმს ნიშნავს. არანაკლებ პოპულარულია "Naturtourismus" (რაც ქართულად ბუნების ტურიზმს ნიშნავს), გერმანიაში უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება, რადგან გერმანელი სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ გერმანიაში ბუნების ტურიზმი და მასში შემავალი ფერმერული ტურიზმი საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილით არიან წარმოდგენილი. გერმანელი ტურისტები ყოველწლიურად ქვეყნის გარეთ 45 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს ხარჯავენ, ქვეყნის შიგნით კი გაცილებით მეტს. 2011 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გერმანიაში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 11 706 000 შეადგინა. აღნიშნული უმნიშვნელოდ (მხოლოდ 0,3%-ით) აჭარბებს 2010 წლის ანალოგიურ მონაცემს. ტურისტების გარკვეული ნაწილი (18, 3%) ფერმერულ ტურიზმს აძლევს უპირატესობას, ეს მაჩვენებელი 4,5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე.¹ საბოლოო მაჩვენებელიდან გამომდინარე, გაიზარდა შიდა ტურიზმის სტატისტიკური მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ტურიზმის ყველა სახეობა თანაბარი დატვირთვით მუშაობს, მათ შორის აგრარული ტურიზმიც. უცხოელი ტურისტების დიდი ნაწილი (41%) უპირატესობას ანიჭებს ღამისთევს სერვისს და განთავსების საშუალებებიდან – სასტუმრო სახლებს, სასტუმროებსა და პანსიონატებს (59%). შვებულების დროს დროებით საცხოვრებლებში დასვენებას ამჯობინებს ტურისტთა 19%, კემპინგებში – 14%, ხოლო სხვა დანარჩენში – 4%.

აგრარული ტურიზმის მოყვარულნი განთავსების საშუალებებიდან უპირატესობას დროებითი სარგებლობის სასტუმრო სახლებს ანიჭებენ, რადგან სოფლად ძირითადად სწორედ ასეთი ტიპის განთავსების საშუალებები ჭარბობს.

როგორია ანალოგიური სტატისტიკა საქართველოში?

2011 წლის პირველი შვიდი თვის მონაცემების მიხედვით, საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 1444299 ადამიანი შეადგინა. აღნიშნული 45%-ით აჭარბებს 2010 წლის ანალოგიურ მონაცემს. ტურისტთა შორის 79,1% აღმოჩნდა კაცი და 20,9% ქალი. ასაკობრივი ჯგუფების ანალიზმა ცხადყო, რომ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით 25-34 და 35-44 წლის ასაკის ტურისტები გამოირჩეოდნენ (30%), ტურისტთა საშუალო ასაკი აღმოჩნდა 38 წელი.²


¹ Statistisches Bundesamt, Wiesbaden 2011.

² www.gnta.ge.

საერთაშორისო ტურიზმის ზრდის პარალელურად, საბოლოო მაჩვენებლიდან გამომდინარე, გაიზარდა შიდა ტურიზმის მაჩვენებლებიც. თუმცა, შიდა ტურიზმის სახეობების მხოლოდ ნაწილი მუშაობს საქართველოში თანაბარი დატვირთვით, ზოგიერთი სახეობა კი ნაკლებადაა ათვისებული, მათ შორის აგრარული ტურიზმიც.¹

დიაგრამა 1²

ტურისტების განლაგება განთავსების საშუალებების სახეების მიხედვით გერმანიაში



უცხოელი ტურისტების დიდი ნაწილი (41%) უპირატესობას ანიჭებს ლამისთევის სერვისს და განთავსების საშუალებებიდან – სასტუმრო სახლებს, სასტუმროებსა და პანსიონატებს (46%); შვებულების დროს დროებით საცხოვრებლებში მეგობრის ან ნათესავის ბინაში დასვენებას ამჯობინებს ტურისტთა 33%, საოჯახო სასტუმროში – 9%, ხოლო სხვა დანარჩენში – 12%.

დიაგრამა 2

ტურისტების განლაგება განთავსების საშუალებების სახეების მიხედვით საქართველოში³



ტურისტთა უმრავლესობა ქვეყანაში ჩამოდის დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით (ტურისტთა 32%), საქმიანი და პროფესიული აქტივობის მიზნით – 28%, მეგობრებისა და ნათესავების მოსახლეობად – 25%. ტურიზმის სახეებიდან ქარბობს კულტურული ტურიზმი, რომლის ხვედრითი წილი 44%-ია, საქმიან ტურიზმს მთელ ტურიზმში 28%, ხოლო სათავგადასავლო ტურიზმისა და ღვინის ტურიზმის წილები შესაბამისად 6% და 4%-ია.

ტურისტების საერთო დანახარჯების საშუალო რაოდენობამ საქართველოში 2010 წელს 1,589.55 აშშ დოლარი, ხოლო დღიურმა ხარჯმა 323.65 აშშ დოლარი შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, როგორც ჩვეულებრივ ითვლება, უცხოელი ტურისტი, სატრანსპორტო ხარჯებთან ერთად, თავისი ხარჯების დაახლოებით 40%-ს ხარჯავს კვებაზე, სასტუმროზე – 30%-ს, ქვეყნის შიგნით მოგზაურობაზე – 8%-ს, სხვა დანარჩენზე – 22%-ს, მაშინ ასეთ დანახარჯებს საქართველოში ტურიზმის ახალი სახეობის, აგრარული ტურიზმის განვითარების პირობებში ქვეყნისათვის დამატებით დადებით ეფექტის მოტანა შეუძლია. ჯერ ერთი, გაიზრდება ტურისტული ფირმების შემოსავლები (პირდაპირი ეფექტი); მეორე – ამაღლება მოთხოვნა ეკონომიკის სხვა სექტორის საქონელსა და მომსახურებაზე. მამასადაამე, გაიზრდება შემოსავლები ყველა სექტორში (ირიბი ეფექტი); მესამე – გაიზრდება მოსახლეობის

¹ აქ და შემდგომ მოტანილი მონაცემები აღებულია 2010 წელს საქართველოში, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარებული უცხოელი მოგზაურების კვლევის მასალებიდან.

² Statistisches Bundesamt, Wiesbaden 2011.

³ www.gnta.ge.

პირადი შემოსავლები, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებულია ტურისტულ ბიზნესთან, რაც გამოიწვევს სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდას.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარებისათვის საკმარისია ტურისტებს მიეცეთ შესაძლებლობა იცხოვრონ გლეხურ სახლებში. ადვილი წარმოსადგენია: მასპინძლები ემსახურებიან სტუმრებს ოფიციალურად, მზარეულებად. სტუმრები მიირთმევენ შინაურ ყველს, ლორს, ხინკალს, ახლად მოხარშულ ქათამს, ხაჭაპურს, აგრეთვე ადგილობრივ წითელ ან თეთრ ღვინოს. აქ პრობლემას არ წარმოადგენს უცხო ენის არცოდნა. აჩვენებენ საიდან მიიღება რძე, როგორ გამოიყურება ცოცხალი ცხვარი, ძროხა, კურდღელი, ქათმები, ცხენი; ასეირნებენ ცხენებით. მშობლები კი სიამოვნებით აკვირდებიან ყველის დამზადებას, ვაზის მოვლას. მათ ასწავლიან ეროვნული, ტრადიციული კერძების მომზადებას, შეუძლიათ მონაწილეობის მიღება თევზაობაში, ველოსიპედით სეირნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და სხვა. ასეთი მომსახურების მიღება შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში, ცხადია, ზოგიერთი გამონაკლისებით, დამახასიათებელი თავისებურებებით. ამიტომ ამ ტურისტული პროდუქტისა და მომსახურებისთვისაც ნაკლებია ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ფასების ვარიაციის მაჩვენებლების მნიშვნელობები და სეზონურობის ინდექსიც შესაბამისად მცირეა. ეს უთუოდ დადებითი ფაქტია, რაც ზრდის აგროტურიზმის როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის საქმეში. საქართველოში ტურისტების რიცხოვნობის ზრდა წლის ორ პერიოდს – ზაფხულსა და ზამთარს უკავშირდება, რაც შავი ზღვისა და გუდაური-ბაკურიანის ფაქტორით აიხსნება. ამას დაემატა სვანეთის ტურებიც.

სწორედ სეზონურობის გავლენა სუსტდება აგროტურიზმის დროს, რასაც ხელს უწყობს რეგიონალური ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების რეზერვების არსებობა, ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ-გეოგრაფიული განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ექსპერტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სხვა უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან – ევროპასთან.

როგორია აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში?

საქართველოში შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით კომპანია „ელკანა“ ახორციელებს სოფლის ტურიზმის პროექტს. ამისათვის პირველ ეტაპზე განხორციელდა სოფლის სახლების იდენტიფიცირება და შემოღებულ იქნა შეფასების ახალი სისტემა. მომსახურების სერვისი და ხარისხის დონე ვარსკვლავების ნაცვლად მზეების სიმბოლოებით იზომება. მთავარი სიახლე ამ კომპანიის მუშაობაში არის ის, რომ მისი საშუალებით ხდება იდენტიფიცირებული სოფლის სახლების ტურ-ოპერატორებსა და სააგენტოებთან დაკავშირება, რაც, ცხადია, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა აგროტურიზმის განვითარებას საქართველოში.

აგროტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას როგორც ადგილობრივ ტურიზმის სექტორში, ისე მომიჯნავე სექტორებშიც. ამასთან, გამოიწვევს რეგიონის დონეზე სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებების, სატრანსპორტო სისტემების, ხალხური რენვის და სხვ. საქმის სტიმულირებას. იგი განავითარებს კულტურულ ტურიზმს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების გაღრმავების საფუძველზე.

რაც შეეხება საქართველოში ტურიზმის სხვა სახეების განვითარების პერსპექტივას, იგი უკავშირდება ტურიზმის მომიჯნავე დარგების: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა და საბანკო საქმიანობა, აგრარული სექტორი, კვების მრეწველობა, მშენებლობა, განვითარების სტიმულირებას ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორულ-აქსელერატორული ეფექტით.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს ჩვენი აზრით წარმოადგენს: საერთაშორისო (შემოსვლის) ტურიზმის ხელშეწყობა და სტიმულირება; შიდა ტურიზმის განვითარება; საკონფერენციო ტურიზმის განვითარება; ეკოტურიზმის განვითარება; აგროტურიზმის განვითარება; საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. აბესაძე, ტურიზმის სტატისტიკის სრულყოფისათვის საქართველოში. თსუ, ჟურნალი: „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011 წ. 4.
2. „უცხოელი მოგზაურების კვლევა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში“. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო. თბ. 2010. ჟურნალი: ეკონომიკა და ბიზნესი.
3. Statistisches Bundesamt, Wiesbaden 2011.
4. www.gnta.ge.
5. www.geostat.ge.

NINO ABESADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

**AGRITOURISM - INNOVATION ON GEORGIAN TOURISTIC MARKET: DEVELOPMENT
AND PERSPECTIVES**

S u m m a r y

The article deals with the development perspectives of one of the types of tourism – agritourism – in Georgia. Following the creation of safe business environment, as well as the flow of foreign investment, tourism has become a prior field of the country’s economic development. This ambition has been encouraged by the development tendencies of traditional field of Georgian economy – agriculture, which is becoming the precondition for the growth of agritourism.

The fact that a service can be provided all the year round, considering some exceptions and characteristics, is the advantage of agritourism. Therefore, this product as well as the service is not directly related to the price variation of touristic products and services and seasonal index is correspondingly small. This is by all means a positive fact and it increases the role as well as the meaning of agritourism in terms of increasing the country’s economic potential. The growth of the number of tourists in Georgia is related to two seasons: summer and winter considering the factors of the Black Sea and Gudauri/ Bakuriani. Tours in Svaneti have also been added to it.

Agricultural tourism decreases the influence of seasons. Natural geographic location of the country increases touristic potential. A great success is predicted to this field by the experts. Together with other advantages, Georgia’s close location to the main touristic market of the world, Europe, has been emphasized as one of the favored positions.

Biological Farming Association Elkana carries out the project of rural tourism with the financial support of SDC – Swiss Agency for Development and Cooperation. As part of the project, the identification of rural houses has been implemented, which was followed by a new system of estimation. Estimation of service level by stars was replaced by the symbol of the sun. The main innovation provided by the above-mentioned company is that it connects the identified houses and touristic operators/ agencies to each other. This, of course, indicates to the development of tourism in Georgia.

The work provides the latest statistic data on Georgia and Germany in terms of tourism development and the analysis of advancement perspectives of agrotourism.

სახელმწიფო გიუჯეტის როლი აგრარული ეკონომიკის განვითარებაში

XX საუკუნის დასასრულს, კერძოდ, 80-იანი წლების ბოლოდან საქართველოში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური დოქტრინები წარმოიშვა, ყოფილი სოციალისტური სისტემის ქვეყნებმა საბაზრო ეკონომიკასა და პლურარულ დემოკრატიაზე გადასვლა დაიწყეს.

საქართველოს ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს როგორც გარდამავალი პერიოდის, ისე მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემის ზოგიერთი თეორიული პრობლემის შესწავლას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის წინაშე მდგომი ურთულესი ამოცანების გადაჭრას.

საქართველოს ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მზრდნებლური მართვის პრინციპებიდან საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე გადასვლამ განაპირობა ძირეული ცვლილებები აგროეკონომიკურ პოლიტიკასა და სისტემაში.

საქართველოში ახალი აგროეკონომიკური სისტემის შექმნა და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფა მოითხოვს კოლოსალური ფინანსური რესურსების მობილიზაციას, რაც შეუძლებელია სათანადო საბიუჯეტო სისტემის ამოქმედების გარეშე, რომელთა შორის ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი უკავია რეგიონულ ბიუჯეტებს. სახელმწიფომ სწორედ საბიუჯეტო პოლიტიკით უნდა განახორციელოს ეკონომიკაზე ზემოქმედების თავისი ფუნქციები და ეროვნული ეკონომიკის მომავალ განვითარებას ამ გზით სოციალურად ორიენტირებული ხასიათი მისცეს.

აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდისა და, აქედან გამომდინარე, რიგი ეკონომიკური, ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებას ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ისეთმა კანონებმა, როგორიცაა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. ასევე იმ შეღავათებმა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში, რითაც ფაქტობრივად დაბეგვრისაგან თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და მასზე მოყვანილი პროდუქცია.

ეკონომიკური რეფორმები, რომელიც გაატარა და უნდა გაატაროს მომავალში ხელისუფლებამ მთლიანი შიდა პროდუქტის ტემპების ასამაღლებლად, უმუშევრობის სალიკვიდაციოდ, ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და ა.შ., საჭიროებს მის სწორ ეტაპიზაციას. ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია „ეკონომიკური კლიმატი“. „ეკონომიკური კლიმატი“, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი პოლიტიკით (საკუთრებითი ურთიერთობები, ფინანსური და სამართლებრივი ბერკეტები და ა.შ.).

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გამოცდილებამ, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ, შეცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და წარმოების სპეციალიზაცია. გამოიკვეთა პრიორიტეტული დარგები, როგორიც არის: მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა და მათთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს განსაზღვრავს და ეროვნული შემოსავლის ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

2010 წელს სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია შემცირდა, რაც ძირითადად არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა გამოიწვია. მათი უარყოფითი ზემოქმედების შესუსტება ვერ მოხერხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუვითარებლობის, ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მიუღებლობისა და დარგში სტრუქტურული რეფორმების გაჭიანურების გამო. ყოველივე ამის შედეგად 34.8%, 34.4% და 52.2% შემცირდა, შესაბამისად, ხორბლის, ქერისა და მზესუმზირის მოსავალი. შედარებით უკეთესი სურათი გამოიკვეთა მეცხოველეობაში, სადაც ხორბლის წარმოების ზრდამ – 3.5%, რძისა – 4.5%, ხოლო კვერცხისა – 5% შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორებად, წინა წლების მსგავსად, რჩებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, სამელიორაციო ანტიეროზიული და სანიტარული სამუშაოების არასაკმარისი მოცულობა, რაც, თავის მხრივ, ფინანსური რესურსების დეფიციტითა და სოფლის მეურნეობისათვის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგისათვის, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო ყურადღებით იყო გამოწვეული. არადა ყველა-სათვის ნათელია, რომ დიდია აგრარული სექტორის როლი ეროვნული ეკონომიკის სამომავლო განვითარებაში.

აგრარული ეკონომიკის წარმატებული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ტექნიკური მომსახურების თანამედროვე საშუალებებით დარგის უზრუნველყოფა. არსებული მონაცემებით, სოფლად სულ 50 ათასი ტრაქტორი, 15 ათასი კომბაინი და 10 ათასი სატვირთო ავტომანქანაა, მათ შორის 50% 10 წელზე მეტი ასაკისაა. მართალია იაპონური გრანტი და ჩინური სახელმწიფო სესხით 30 მლნ დოლარზე მეტი ჩაიდო და სოფლის მეურნეობისათვის შეძენილ იქნა ტექნიკური საშუალებები, მაგრამ დარგის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ეს არასაკმარისია, არადამაკმაყოფილებელია ტექნიკის გამოყენების ორგანიზაციულ ეკონომიკური მხარე.

აქედან ცხადია, რომ სწორ საინვესტიციო პოლიტიკას, საბიუჯეტოსთან ერთად, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს აგრარული ეკონომიკის განვითარება რთული, მრავალნახნაგოვანი პროცესია, რომელთა შორის ერთ-ერთი აქტუალურია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის რეგიონულ მართვასთან შეთანხმების პრობლემები. ქვეყნის, ტერიტორიული ერთეულების, აგრარული ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია საფინანსო ურთიერთობათა სრულყოფის გარეშე.

მიგვაჩნია, რომ ცენტრისა და რეგიონების ფინანსური უფლებამოსილების გამიჯვნას ძირითადად შეიძლება დაედოს შემდეგი პრინციპი: უნდა გაიმიჯნოს ცენტრის და რეგიონების ფინანსური დამოკიდებულება, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს თითოეული მათგანისათვის დამოუკიდებელი ბიუჯეტის და მისი შევსების სტაბილური წყაროების არსებობას და მათ მიერ საკუთარი ფინანსების დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობას.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ცენტრისა და რეგიონების ფინანსურ უფლებამოსილებათა მკაცრი გამიჯვნისას, განვითარების ცალკეულ ეტაპზე აუცილებლად ექნება ადგილი ცალკეული რეგიონების უფრო სრაფად განვითარებას და დანარჩენი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის ჩამორჩენილობას. ამას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ბუნებრივი პირობები, მიწის ნაყოფიერება, მმართველი ორგანოების კომპეტენტურობა და ა.შ. ამიტომაც, მოსალოდნელი ეკონომიკური დისბალანსის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს გადაწყვეტი ზომები რეგიონების ფინანსური გამოთანაბრებისათვის. ეს კი გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მობილიზებული ფინანსური სახსრების გადანაწილებას როგორც რეგიონულ სტრუქტურებზე, ასევე სამეურნეო სუბიექტებზე. პირველ შემთხვევაში საქმე გვექნება ვერტიკალურ, ხოლო მეორე შემთხვევაში – ჰორიზონტალურ ფინანსურ დაბალანსებასთან.

ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შეიქმნას რეგიონების ფინანსური მხარდაჭერის ფონდი და ობიექტური მიზეზებით ჩამორჩენილი ზოგიერთი სუბიექტის განვითარება გათანაბრდეს იმ საშუალებათა ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში. ასევე ტრანსფერტების გაანგარიშება განხორციელდეს საგადასახადო შემოსავლების საერთო თანხიდან ჩათვლებისა და სახაზინო საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით.

GIORGI ABUSELIDZE

*Shota Rustaveli State University
Associate Professor*

THE ROLE OF STATE BUDGET IN THE DEVELOPMENT OF AGRARIAN ECONOMY

S u m m a r y

The presented work analyses the role of the state budget in the agrarian economy. It discusses the mechanisms for the establishment and functioning of a new agro-economic system in Georgia, namely, the directions for effective operation of funds for financial support to the regions.

გორის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული პოტენციალი

1990-იანი წლებიდან საქართველოში გამეფდა საყოველთაო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც მოჰყვა შესაბამისი ადეკვატური დემოგრაფიული კრიზისი, რამაც აიძულა ქართველი დემოგრაფები ჩანვდომოდნენ მის არსს და ეძებნათ მისი გადაწყვეტის გზები. ცხადია, ძველის კვდომის და ახლის დაბადების პროცესი, გარდამავალ პერიოდად წოდებული, მით უმეტეს შექმნილ ფონზე, უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლიდა და არც ჩაიარა. რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს დემოგრაფიული კატაკლიზმები. შობადობის დონე საქართველოში 1990 წლებიდან ოფიციალური სტატისტიკით 17,1-დან 11,2-მდე შემცირდა, მოკვდაობის მაჩვენებელი დარჩა 9,3- 9,4 დონემდე. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კი 7,7 -დან შემცირდა 1,8 -მდე. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2002 წელს უდრის 1,417, აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი – 0,684, ნეტო-კოეფიციენტი – 0,667. შეფასებითი მაჩვენებლები ტოლია შესაბამისად: 1,661, 0,797, 0,675. ე.ი. დღეისათვის ყველა პარამეტრით სახეზე გვაქვს მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი. უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია ემიგრაციამ. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობა 2010 წელს 4436,4 ათასს შეადგენს. არცთუ ისე დამამშვიდებლად გამოიყურება საქართველოს დემოგრაფიული მომავალი. ქართველი დემოგრაფების პროგნოზის დაბალი ვარიანტით საქართველოს მოსახლეობა 2050 წელს შემცირდება 3007, საშუალო ვარიანტით – 3270, ხოლო მაღალი ვარიანტით 3848 ათასამდე. უფრო „დამამშვიდებელია“ გაეროს ექსპერტების საშუალო ვარიანტი, რომელთა თანახმად 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 3,300 ათასამდე შემცირდება. ფაქტობრივად ამდენი იყო საქართველოს მოსახლეობა 1939 წელს. პროგნოზის დრო გვიჩვენებს მომავალს, ხოლო მოსალოდნელი დემოგრაფიული შედეგები გვაბრუნებს შორეულ წარსულში.

დემოგრაფიული კრიზისი მეტ-ნაკლებად შეეხო საქართველოს ყველა რეგიონს, მათ შორის გორის რეგიონსაც. მართალია, 2002 წლისათვის მთლიანად საქართველოსთან შედარებით მოცემულ რეგიონს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლები, როგორცაა: მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი – 2,1, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – 1,49, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი – 0,715, აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი – 0,701, შედარებით უკეთესი აქვს, მაგრამ პრობლემის არსს არ ცვლის. რეგიონის მოსახლეობა ხასიათდება აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმით, რომლის შესწავლა აუცილებლობას წარმოადგენს. პრობლემის შესწავლის აქტუალობას ისიც ამძაფრებს, რომ მოცემულ რეგიონს ცხინვალის რეგიონთან უშუალო მოსაზღვრეობის გამო აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში, რის გამოც გორის რეგიონის დემოგრაფიული პოტენციალის შესუსტება დაუშვებელია როგორც დემოგრაფიული, ასევე, რა თქმა უნდა, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ქვეყნის მასშტაბით დემოგრაფიული პროცესების, კონკრეტულად კი მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლები ყალიბდება ცალკეული, ხშირად ერთმანეთისგან განსხვავებული ტერიტორიული ერთეულებისგან. შესაბამისად, მთლიანად ქვეყნის საშუალო მაჩვენებლების ანალიზი ჩქმალავს კონკრეტული, რეგიონალური დემოგრაფიული მდგომარეობის სურათს, რომლის ცოდნაც აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების ღრმა და დეტალური ანალიზისათვის. ამრიგად, რეგიონალური დემოგრაფიული კვლევა უბრალოდ აუცილებელია, არა მხოლოდ საჭირო.

გორის მოსახლეობაში 1970-1989 წლებში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ზრდას, ხოლო 1990-იანი წლების შემდეგ – კლებას. მოსახლეობის 1970 წლის აღწერით, გორის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 124,7 ათასს, აქედან ქ. გორი – 48,2 ათასს, ე.ი. მოსახლეობის 38,7%, ხოლო სოფლის მოსახლეობა – 76,5 ათასს, ე.ი. 61,3%. ამ პერიოდისათვის გორის რეგიონი საქართველოსთან შედარებით ქალაქის მოსახლეობის დაბალი ხვედრი წილით ხასიათდებოდა. კერძოდ, 1970 წელს ქალაქის მოსახლეობა საქართველოში 47,8% აღწევდა, ხოლო გორის რეგიონში – 38,7%.

1970-1989 წლებში გორის მოსახლეობა 124,7 ათასიდან გაიზარდა 149,5 ათასამდე, ე.ი. 119,9%-ით. მათ შორის ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 67,8 ათასი, ე.ი. მთელი მოსახლეობის 45,4%, ხოლო სოფლის მოსახლეობამ შეადგინა 81,7 ათასი, ე.ი. 54,6%. 1989 წლისათვის ქალაქის მოსახლეობის ხვედრი წილით გორის რეგიონი საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს 10%-ით ჩამორჩა. საქართველოში ამ წელს ქალაქის მოსახლეობა 55,4% ტოლი იყო, ხოლო გორის რაიონში – 45,4%.

1990-იანი წლების შემდეგ ქვეყნის საყოველთაო კრიზისის პირობებში საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 1989-2002 წწ. ოფიციალური სტატისტიკით მოსახლეობა 5400

ათასიდან 4602 ათასამდე, ე.ი. 798 ათასით შემცირდა. ამავე, 1989-2002 წლებში გორის რეგიონის მოსახლეობა 149,5 ათასიდან 148,7 ათასამდე, ე.ი. 800 კაცით შემცირდა. 2002 წელს რეგიონის ქალაქის მოსახლეობა ტოლია 49,5 ათასის, ე.ი. 33,2%-ის, ხოლო სოფლის მოსახლეობა – 99,2 ათასის, ე.ი. რეგიონის მოსახლეობის 66,8%-ის. 2003-2010 წლებში გორის რეგიონის მოსახლეობა 146,6 ათასიდან 145,3 ათასამდე ე. ი. 13000 კაცით შემცირდა. 2003 წელს რეგიონის ქალაქის მოსახლეობა ტოლია 48,9 ათასის, ე.ი. 33%-ის, ხოლო სოფლის მოსახლეობა 97,7 ათასის, ე.ი. რეგიონის მოსახლეობის 67%-ის, ხოლო 2010 წელს რეგიონის ქალაქის მოსახლეობა ტოლია 54,6 ათასის, ე.ი. 37%-ის, ხოლო სოფლის მოსახლეობა 90,7 ათასის-62%-ის. აღნიშნულ პერიოდში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 57000 კაცით, ხოლო სოფლის მოსახლეობა შემცირდა 7000 კაცით.

1989-2002 წლებში გორის რეგიონის ქალაქის მოსახლეობის როგორც რიცხოვნობა (18,3 ათასით) ისე ხვედრი წილი (45,4%-დან 33,2%-მდე) მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა პირიქით – გაიზარდა როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით, ხოლო 2003-2010 წლებში გორის რეგიონში ადგილი აქვს ქალაქის მოსახლეობის როგორც რიცხოვნობის, ისე ხვედრითი წილის (33%-დან 37%-მდე) გაზრდას როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით სიდიდეებში, ხოლო სოფლის მოსახლეობის შემცირებას (67%-დან 62%-მდე). დღეისათვის სოფელი უზრუნველყოფს გორის რეგიონის დემოგრაფიულ პოტენციალს. ხოლო 2010 წელს გორის რეგიონის ქალაქში დაბადებულითა რიცხვი შეადგენდა 898-ს ე.ი. 37%-ს, ხოლო სოფელში – 1503 კაცს ე.ი. 63%-ს.

რა თქმა უნდა, 1990-იანი წლების შემდეგ გორის რეგიონმა ცივილიზაციური კლება გამოკვეთა. რომ არა აღნიშნული კლება, რეგიონის მოსახლეობა ჩვენი გაანგარიშებით 1989-2002 წლებში 10,5 ათასი კაცით გაიზარდებოდა და 2002 წელს მიაღწევდა 159,2 ათას კაცს 148,7 ათასის ნაცვლად, შესაბამისად, რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული კლება 1989-2002 წლებში ტოლი იყო 11,3 ათასი კაცის (10,5 ათასი + 0,8 ათასი). ჩვენ მიერ ჩატარებული დემოგრაფიული ქცევის სოციოლოგიური გამოკვლევით მივიღეთ გარკვეული, ასე ვთქვათ, შეზღუდული რაოდენობის, თანამდევნი შედეგები რეგიონის მოსახლეობის ფაქტობრივი და პოტენციალური მიგრაციული მობილურობის შესახებ. კერძოდ, გამოკითხულთა 16%-მა განაცხადა, რომ მათი ოჯახის რომელიმე წევრი წასულია საზღვარგარეთ სამუშაოდ. წასვლის საშუალო ხანგრძლივობაა 3,2 წელი, ისე კი, წასულთა 65% საზღვარგარეთ სამუშაოდ იმყოფება 4 წელზე მეტი. საზღვარგარეთ მყოფთაგან კაცების 44,4 და ქალების 50,0% ექცევიან კარგად, ხოლო კაცების 55,6 და ქალების 50% ეპყრობიან ჩვეულებრივად. შრომითი ემიგრანტებიდან გამოგზავნილი დახმარების თანხა ოჯახში საშუალოდ თვეში შეადგენს 221 ლარს. აღნიშნული დახმარებით გამოკითხულებმა გადაჭრეს რიგი პრობლემები. კერძოდ, მათმა 42,9%-მა აღნიშნა, რომ იკვებება და იცმევს უკეთესად, 25,7%-მა გაიუმჯობესა საბინაო პირობები, 8,6%-მა დაიწყო საკუთარი ბიზნესი ხოლო 22,8% არავითარი პრობლემა არ გადაუჭრია, რადგან გამოკითხულთა 10,5% არავითარ დახმარებას არ იღებს, ხოლო – 22,6% იღებს მცირეოდენ თანხას. სამუშაოდ წასულების 43,2% წასულია რუსეთში, 13,6% – აშშ-ში, 11,4% – საბერძნეთში, 20,5% – გერმანიაში. წასულების 71,8% კაცია, 22,8% – ქალი; 30,8% არის 30-39 წლის, 64,1% – 40 წლის და უფროსი; 7,9% აქვს საშუალო და უფრო დაბალი განათლება, 36,8% – საშუალო სპეციალური, ხოლო ნახევარზე მეტს, 55,3% უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი. წასვლამდე მათი 72,7% დაკავებული იყო გონებრივი შრომით, ხოლო 27,3% ფიზიკური შრომით. აღნიშნულის საპირისპიროდ, საზღვარგარეთ გონებრივი შრომით დაკავებულია მათი მხოლოდ 48,5%, ხოლო ფიზიკურით – 51,5%. საოცრად შემამოთხბელი შედეგები მოგვცა გორის რეგიონის მოსახლეობის პოტენციალურმა მიგრაციულმა განწყობამ. გამოკითხულთა 58,8% აღნიშნა, რომ სურთ საქართველოდან წასვლა მუდმივად ან დროებით (სამუშაოდ). ქალებში ეს მაჩვენებელი 57,1, ხოლო კაცებში ოდნავ მეტს, 60,5%-ს შეადგენდა. ქალაქისა და სოფლის მიხედვით მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება და შესაბამისად 57,3-60,3% შეადგენს. ასეთი მიგრაციული განწყობის რეალიზაცია არათუ ეჭვის ქვეშ აყენებს, არამედ შეუძლებელს გახდის არა მხოლოდ ქართლის, არამედ ქვეყნის მდგრადი (სტაბილური) დემოგრაფიული, ისე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პერსპექტივებს. წასვლის მსურველთა 13,3% წასვლა სურს მუდმივად, აქედან 70% კაცია, 30% – ქალი. მუდმივად წასვლის მსურველთა 40% წასვლა სურს რუსეთში, 25% გერმანიაში, 25% კი თანაბარი წილით აშშ-ში, საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში. მუდმივად წასვლის ძირითად მიზეზად რესპოდენტთა 40%-მა, მათ შორის კაცების 16,7 და ქალების 50%-მა დაასახელა მატერიალური მდგომარეობა, ხოლო ამის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა – 20%.

დროებით, შრომით ან კიდევ ეკონომიკურ ემიგრაციაში წასვლის სურვილი გამოთქვა პოტენციური მიგრანტების 86,7%, რომელთაგან 50% კაცია, 50% – ქალი. შრომითი მიგრაციის შემთხვევაში მუდმივისგან განსხვავებით იცვლება რეციპიენტი ქვეყნების პრიორიტეტები. ამ მხრივ პირველ ადგილზე დგას აშშ, სადაც სამუშაოდ წასვლა სურს რესპოდენტთა 26%; 22,4% – გერმანიაში და საბერძნეთში, 7,5% – 29,2% დანარჩენში (თურქეთი, ევროპის სხვა ქვეყნები). რაც შეეხება დროებითი (შრომითი) მიგრაციის მიზეზებს, 44% მოდის მატერიალურ მდგომარეობაზე, 19,4% – უმუშევრობა-

ზე, 17,2% – სწავლაზე; 11,9% – ოჯახის წევრთან წასვლაზე, 2,2% ქვეყანაში პოლიტიკურ მდგომარეობაზე, 8,2% – სხვა მიზეზებზე. კაცებისთვის მთავარი პრობლემაა, რა თქმა უნდა, მატერიალური მდგომარეობა, რაზეც მიუთითა მათმა 26,5%-მა, მაგრამ ეს საკითხი უფრო მტკივნეულია ქალებისთვის, რაზეც ყურადღება გაამახვილა ქალების 48,5%-მა. თუმცა, კაცებისთვის გაცილებით მტკივნეულია უმუშევრობის განცდა, ვიდრე ქალებისთვის. კერძოდ, საზღვარგარეთ დროებით წასვლის მიზეზად უმუშევრობა დასახელა გამოკითხული კაცების 26,5% და ქალების 12,1%-მა, ე.ი. კაცებზე ორჯერ და მეტად ნაკლებმა.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური პირობები ჯერ კიდევ შობადობის გადიდების გადამწყვეტი ფაქტორია. დემოგრაფთა გარკვეულ წრეებს მიაჩნიათ, რომ განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების მაღალი დონე თითქოს უკვე არავითარ გავლენას არ ახდენს შობადობაზე, რაც არ არის სწორი.

ეკონომიკური ფაქტორის გადამწყვეტი როლი მოსახლეობის გამრავლებაზე ჩანს გორის რაიონის მოსახლეობის შობადობის დონისა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლების ანალიზში.

გორის რეგიონის მოსახლეობა დღეისათვის 145,3 ათასს შეადგენს. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი რეგიონში 1970-1989 წლებში მცირდებოდა, მაგრამ უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. მისი დონე კატასტროფულად შემცირდა 1989 წლიდან დღემდე და ვეღარ აკმაყოფილებს თვით მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო კრიტიკულ დონესაც კი.

შობადობის პრობლემაა მესამე ბავშვის ყოლა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ მესამე და მეტი ბავშვის დამბადებელი ოჯახები ოჯახების საერთო რიცხვის ნახევარს შეადგენდნენ, ისინი კი რეგიონში შეადგენენ მხოლოდ 5,4%. ფაქტობრივად, თანამედროვე ეტაპზე შობადობის პრობლემაა არა მესამე, არამედ მეორე ბავშვის ყოლა.

დღეისათვის შობადობის კრიტიკული ზღვარი რეგიონში არსებული სიცოცხლის ხანგრძლივობის პირობებში გადის 14-ზე. შობადობის ფაქტობრივი დონე – 11,3 ნიშნავს, რომ შობადობის ამ დონის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობებში ყოველი მომდევნო თაობა წინა თაობაზე 20%-ით ნაკლები იქნება. საქმე ეხება საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ინტერესებს, ჩვენი ერის მომავალს და მის ადგილს კავკასიასა თუ მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა ხ ა ლ ა ი ა ნ. „გორის მოსახლეობა“ (მონოგრაფია) 2009.
2. ხ მ ა ლ ა ძ ე მ. დემოგრაფიის საფუძვლები. თბ., 1994.
3. ჩ ი ქ ა ვ ა ლ. კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში: არსი, მიზეზები, დაძლევის გზები. თბ., „მეცნიერება“, 1995.
4. ჩ ი ქ ა ვ ა ლ. მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. 2. თბ., „სიახლე“, 2001.
5. www.geostat.ge.
6. www.demografia.ge.
7. www.economy.ge.

NANA AKHALAIA

*Gori Teaching University
Associate Professor*

THE DEMOGRAPHIC POTENTIAL OF GORI REGION

S u m m a r y

Regional demography as one of the constituent parts of the science of demography has been forming in Georgia since gaining independence, as restoring state system gave stimulus to the development of regional research. Transparency and publicity of information which we had lacked earlier played an important role in this process.

Nowadays, the critical boundary of birth-rate in the existing conditions of longevity is 14%. The birth-rate of 11,3% means that if this rate remains the same for a long time, then every next generation will be 20% less than the previous one. This is directly connected to the state-national interests of Georgia, the future of our nation and its place in the Caucasus and in the whole world as well.

სონა ახვლედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები და სოციალური განვითარების ძირითადი პრიორიტეტები

ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური გარდაქმნების პერიოდში განსაკუთრებით იზრდება მოსახლეობის, როგორც ძირითადი საწარმოო ძალისა და წარმოებული მატერიალური დოვლათის მომხმარებლის, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყოველმხრივი სტატისტიკური შესწავლა და ანალიზი წარმოადგენს იმ რეალურ ფუნდამენტს, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი საპროგნოზო გეგმები და პარამეტრები. სამწუხაროა, მაგრამ როგორც ყველასთვისაა ცნობილი, საქართველოში სწრაფად მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერების პროცესი, რომელიც ერის აღწარმოების პოტენციალს საფრთხის წინაშე აყენებს. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სოფლის დემოგრაფიული განვითარების ძირითადი პრობლემები შემდეგი სახით წარმოგვიდგება: შობადობის დაბალი დონე და მისი შემდგომი შემცირების ტენდენცია, მოკვდაობის მაღალი დონე განსაკუთრებით რეპროდუქციული და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ზრდის პერსპექტივით, მოსახლეობის ბუნებრივი შემცირებით დემოპულაციის ზრდა, სოფლის მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი დონე მსოფლიოს და ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მოსახლეობის გარემოგარემოს მაღალი დონე, ქორწინების დაბალი დონე და სხვა.¹ სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია დროული ეფექტური პოლიტიკის გატარება, რომელიც უნდა დაემყაროს დემოგრაფიული პროცესების ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს. საქართველოს სოფლის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორთა შორის (მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრა, ხელისუფლების მიერ პენსიების გაზრდა დღევანდელი ინფლაციის შესაბამისად, ახალგაზრდა ოჯახების ნახალისებასა და მთლიანად საქართველოს მასშტაბის ახალშობილებზე დახმარებების გაცემა, ფეხმძიმე ქალების ნახალისება, საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის შეუსაბამობა, ქალთა უნაყოფობის დონის ზრდა, ქორწინებათა და სასურველ შვილთა ყოლის გადავადება, სოციალურ-დემოგრაფიული პროგრამების მწირი დაფინანსება და სხვა) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ხელის შეწყობა. როგორც ცხრილიდან (ცხრილი 1) ჩანს, 2005-2011 წლებში ფაქტობრივად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრიობამ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა, კერძოდ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 3%-ით, მათ შორის სოფლის მოსახლეობა 1 %-ით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არ ხდება მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება.

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2005-2011 წ.
(ათასი კაცი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
საქართ. მოსახ. რიცხოვნ. 1 იანვრიდან	4 321,5	4 401,3	4 394,7	4 382,1	4 385,4	4 436,4	4 469,2
სოფლად	2 064,0	2 090,9	2 058,8	2 078,3	2 076,3	2 085,9	2 097,9

აღნიშნული დემოგრაფიული პრობლემების ახსნა რამდენიმე ფაქტორს მოიცავს: ბოლო წლებში მიმდინარე რეფორმებიდან და საბიუჯეტო სექტორის სტრუქტურული ტრანსფორმაციიდან გამომდინარე ათასობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი; უმუშევართა რიცხოვნობის ზრდა ნაწილობრივ განპირობებულია იმითაც, რომ ამ ბოლო პერიოდში ქვეყანაში შემოსულ უცხოურ ინვესტიციებს ნაწილობრივ თან შემოჰყვა ასევე უცხოური სამუშაო ძალა და, შესაბამისად,

¹ სულაბერიძე ვ., დემოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება. ავტორეფერატი, თბ., 2004, გვ. 17-18.

ადგილობრივი სამუშაო ძალისათვის შემცირდა სამუშაო ადგილები, რაც თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენს შობადობაზე. აშკარად იკვეთება მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რამაც შექმნა პირობები დასაქმებულთა მცირე რაოდენობით მაღალი მწარმოებლურობის მისაღწევად; საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ, დაახლოებით, ერთი მესამედი იქმნება ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი იმპორტირებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მიერ მოხმარებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი შექმნილია უცხო ქვეყნების სამუშაო ძალის მიერ. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, არამედ მის სოციალურ უსაფრთხოებასაც, რადგან ექსპორტ-იმპორტის დღევანდელი თანაფარდობის დიდი ხნით შენარჩუნების შემთხვევაში უმუშევრობის პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი იქნება. საქართველოში განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით სოფლის მოსახლეობაში მაღალია შობადობის დონე. საქალაქო დასახლებებში ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე სოფელში. კერძოდ, 0-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი, შესაბამისად, 11,8 და 13,2 %-ს შეადგენს, ხოლო 10-19 წლის - 16,7 და 16,5 %-ს. სოფელთან შედარებით, ქალაქად მეთია ახალგაზრდული ასაკის მოსახლეობის რიცხვი, რაც 20-29 წლის ასაკის ახალგაზრდების სასწავლებლად ქალაქში წასვლით (17,1%), აგრეთვე, მიგრაციით (16,0%) აისახება. სოფელთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მაღალია აქტიურ შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (30-39, 40-49 წლები) ხვედრითი წილი (შესაბამისად, 14,8 და 13,4 % და 15,3 და 13,1%). როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ძალიან მცირეა მოსახლეობის რიცხოვნობა 50-60 წლების ასაკში, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ასაკის მოსახლეობა ომისა და ომის შემდგომ წლებში დაბადებულთა თაობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება სიკვდილიანობის დონის მიხედვითაც. ქალაქად 60 წელზე მაღალი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს 16,4%-ს, ხოლო სოფლად 22,0%-ს, რაც მიგრაციასთან ერთად, საქალაქო დასახლებაში მოკვდაობის მაღალი დონის შედეგია. ამდენად, სოფლად უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ქალაქად. მოსახლეობის საშუალო ასაკი სოფლად შეადგენს 36,6 წელს, ხოლო ქალაქად - 35,7 წელს, რამაც მნიშვნელოვან როლს ეკოლოგიური ფაქტორი თამაშობს. მკვეთრად განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ეკონომიკური აქტივობისა და ასაკის მიხედვით.

ცხრილი 2

15 წლის და უფროსი ასაკის სოფლის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით (2000-2010წ.) (ათასი კაცი)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ აქტ.მოსახ.	1139,1	1203,3	1201,7	1204,6	1185,9	1184,3	1189,8	1126,1	1089,6	1134,8	1097,1
დასაქმებული	1094,7	1170,2	1155,4	1155,5	1135,6	1125,6	1132,2	1065,8	1012,7	1046,1	1010,9
დაქირავებული	205,1	212,6	193,7	176,2	178,3	176,7	177,8	166,4	163,7	182,5	194,2
თვითდასაქმებული	817,6	907,9	960,8	978,4	956,6	948,8	954,0	899,4	848,3	863,3	815,7
გაურკვეველი	72,1	49,7	1,0	0,8	0,8	0,1	0,4	0,1	0,7	0,3	1,0
უმუშევარი	44,4	33,1	46,3	49,1	50,2	58,7	57,7	60,3	76,9	88,6	86,3
უმუშ-ის დონე %-ში	3,9	2,7	3,9	4,1	4,2	5,0	4,8	5,4	7,1	7,8	7,9
აქტიურობ. დონე %-ში	75,1	77,5	75,2	75,3	74,1	73,4	71,7	73,9	70,7	70,7	71,1
დასაქმების დონე %-ში	72,2	75,4	72,3	72,3	70,9	69,7	68,2	70,0	65,7	65,1	65,5

წყარო: Geostat.ge

როგორც ცხრილიდან (ცხრილი 2) ჩანს, 15 წლის და უფროსი ასაკის სოფლის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 2000-2010 წლებში ხასიათდება შემდეგნაირად: სოფლად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა მატების ნაცვლად შემცირებულია 1,04-ჯერ, დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 1,08-ჯერ, აქედან გამომდინარე, უმუშევრობის დონე პროცენტებში 3,9%- დან გაიზარდა 7,9% -მდე. აქტიურობის დონე პროცენტებში 75,1%-დან შემცირდა 71,1%-მდე, ხოლო დასაქმების დონე 72,2 %-დან შემცირდა 65,5%-მდე. სოფლად ეკონომიკურად აქტიურია მთლიანი სოფლის მოსახლეობის 52,2%, რომელთა 92,1% დასაქმებულია, შესაბამისად, მაღა-

ლია სოფლის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი. ამასთან, სოფლის მცხოვრებთა შორის დაბალია დაქირავებით მომუშავეთა რიცხვი. ეს განპირობებულია სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობისა და გლეხური ფერმერული (ოჯახური) მეურნეობის უპირატესად არასასაქონლო ხასიათით და შესაბამისი დასაქმების პროფილით. დაქირავებით მომუშავეთა რიცხვი სოფლად დასაქმებულთა 19,2 %. თვითდასაქმებულია 80 %.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შეფასების მთავარი კრიტერიუმი მოსახლეობის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის არსისა და მიმართულების განსაზღვრაა. ქვეყანაში ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ გვექონდეს სრული ინფორმაცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია დადგენილ იქნეს პრობლემის განვითარების თავისებურებანი, ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები. მოსახლეობის დაბალმა შემოსავლებმა, შეზღუდულმა ფისკალურმა რესურსებმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარგობრივმა კრიზისებმა და დაუბალანსებელმა საგარეო ურთიერთობებმა ხელი შეუწყვეს დასაქმების შემცირებას. ექსპერტთა შეფასებით, დასაქმების მიხედვით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა 40-60 წლის ადამიანებში. სამუშაო ადგილების შექმნა მთლიანად არის დამოკიდებული ახალ ინვესტიციებზე და სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე. რეფორმებს საჭიროებს სოციალური დაცვის სისტემაც. 2006 წლის მდგომარეობით სახელმწიფო პენსია საშუალოდ მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 35%-ს შეადგენდა. მართალია, 2007 წლიდან მოხდა პენსიების მკვეთრი ზრდა, მაგრამ, ინფლაციური პროცესების პარალელურად, მათი რეალური ღირებულება სულ უფრო და უფრო კლებულობს.

ცხრილი 3-ში ნაჩვენებია 2006-2010 წლებში საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება სოფლის ქრისტილში, რომლის მიხედვით ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები აღნიშნულ პერიოდში გაზრდილია 1,78-ჯერ. მათგან უცხოეთიდან მიღებული გზავნილები ფაქტობრივად გაორმაგებულია, პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები გაზრდილია 2,72-ჯერ. მთლიანად ფულადი და არაფულადი სახსრები გაზრდილია 1,5 -ჯერ.

ცხრილი 3

საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება სოფლის ქრისტილში (მლნ.ლარი)

	2006	2007	2008	2009	2010
ფულადი შემოსავლ . და ტრან.	99,6	104,1	136,0	151,0	177,4
დაქირავებ. შრომიდან	25,0	28,3	34,8	41,9	48,8
თვითდასაქმებიდან	12,8	11,3	13,8	13,7	14,3
სოფლ.პროდუქც. გაყიდვიდან	31,3	26,5	28,4	27,4	35,4
ქონებიდან (გაქირავებიდან...)	0,5	0,5	1,0	0,6	1,1
პენსიები,სტიპენდიები,დახმა.	16,8	21,3	34,2	42,9	45,7
უცხ. მიღებ. გზავნილები	3,7	4,5	6,5	5,7	7,1
საჩუქრად მიღებული ფული	9,4	11,6	17,4	18,7	25,0
არაფულადი შემოსავლები	70,5	63,7	75,3	69,8	69,2
შემოსავლები,სულ	170,1	167,7	211,3	220,8	246,6
სხვა ფულადი სახსრები	22,4	23,4	28,8	25,4	36,0
ქონების გაყიდვა	2,1	2,1	2,1	1,1	2,0
ფულადი სახსრები სულ	121,9	127,4	164,8	176,4	213,3
ფულადი და არაფულ. სახსრ.	192,4	191,1	240,1	246,2	282,6

წყარო: Geostat.ge

საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე სოფლის ქრისტილში ხასიათდება ანალოგიური ზრდის ტემპით:

ცხრილი 4

**საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე
სოფლის ქრილში (ლარი)**

	2006	2007	2008	2009	2010
ფულადი შემოსავლ. და ტრან.	51,7	57,3	72,9	80,0	96,3
დაქირავებ. შრომიდან	13,0	15,6	18,7	22,2	26,5
თვითდასაქმებიდან	6,7	6,2	7,4	7,2	7,8
სოფლ.პროდუქტ. გაყიდვიდან	16,3	14,6	15,2	14,5	19,2
ქონებიდან (გაქირავებიდან...)	0,3	0,3	0,5	0,3	0,6
პენსიები, სტიპენდიები, დახმა.	8,7	11,7	18,3	22,7	24,8
უცხ. მიღებ. გზავნილები	1,9	2,5	3,5	3,0	3,8
საჩუქრად მიღებული ფული	4,9	6,4	9,3	9,9	13,6
არაფულადი შემოსავლები	36,6	35,0	40,4	37,0	37,6
შემოსავლები, სულ	88,3	92,3	113,3	117	133,9
სხვა ფულადი სახსრები	11,6	12,9	15,4	13,5	19,5
ქონების გაყიდვა	1,1	1,2	1,1	0,6	1,1
ფულადი სახსრები სულ	63,3	70,2	88,4	93,5	115,8
ფულადი და არაფულ. სახსრ.	99,9	105,	128,7	130,4	153,4

წყარო: Geostat.ge

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არ შეიძლება არ შევეხოთ საარსებო მინიმუმს, სიღარიბის დონეს, სიღრმესა და სიმწვავეს. ცნობილია, რომ საარსებო მინიმუმი სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს წარმოადგენს. საარსებო მინიმუმში აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია არა მოხმარების დონისა და სტრუქტურის გაუმჯობესებით, არამედ ცხოვრების „გაძვირებით“. 2004-2009 წლებში (ცხრილი 5) სოფლის ქრილში სიღარიბის მაჩვენებლები (სიღარიბის დონე, სიღარიბის სიღრმე, სიღარიბის სიმწვავე) მიახლოებით 1,1-1,5 ჯერ შემცირდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული მუშაობაა საჭირო აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ძალზედ მნიშვნელოვანია სიღარიბის დაძლევის მიზნით მსოფლიო ბანკის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება, თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აუცილებელია დახმარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის ამაღლება და მონიტორინგის ეფექტიანობის ზრდა. გარდა ამისა, აუცილებელია სახელმწიფო ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად და მიზნობრივად ხარჯვა, საბიუჯეტო ხარჯების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან ერთად აუცილებელია რეალური სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობა, საბიუჯეტო ხარჯების ინვესტიციური ორიენტაციის გაძლიერება, სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ყოველმხრივი განვითარება და საბიუჯეტო ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლება.

ცხრილი 5

საქართველოს სიღარიბის მაჩვენებლები სოფლის ქრილში (%)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
სიღარიბის დონე						
მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ	26,2	26,0	23,7	24,9	26,2	24,3
მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ	12,8	11,3	10,7	12,1	11,9	10,2
სიღარიბის სიღრმე						
მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ	9,4	8,6	7,9	8,8	8,7	7,8
მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ	4,4	3,8	3,5	4,0	3,6	3,2
სიღარიბის სიმწვავე						
მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ	4,9	4,3	3,9	4,4	4,2	3,7
მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ	2,3	1,9	1,7	1,9	1,7	1,5

წყარო: Geostat.ge

თანამედროვე პირობებში აქტუალური ხდება მმართველობითი აღრიცხვისა და მენეჯმენტის ინტეგრაციის პროცესები, რომლებიც ორი კონცეფციის ურთიერთქმედებას ახდენენ. მენეჯმენტის (როგორც მმართველობის კონცეფციის) და მმართველობითი აღრიცხვის (როგორც მმართველობის საინფორმაციო მხარდაჭერის კონცეფციის) ურთიერთქმედება საშუალებას იძლევა შევამოციროთ მცდარი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების რისკი. ორგანიზაციებში მმართველობითი აღრიცხვის ეფექტური ფუნქციონირების სისტემა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ორგანიზაციის მმართველობითი მოთხოვნილებები. ეს უკანასკნელი მენეჯმენტის პრეროგატივას წარმოადგენს.

მმართველობითი აღრიცხვა მოწოდებულია „თან ახლდეს მენეჯმენტს”, ხელს უწყობს ყველა მისი ფუნქციის რეალიზებას. ამგვარს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს დაგეგმვა, აღრიცხვა, კონტროლი და მოტივაცია. მათ რეალიზაციას ხელი უნდა შეუწყოს ინფორმაციამ, რომელიც დაგროვილია მმართველობითი აღრიცხვის სისტემაში. ამ მიზნით მმართველობითი აღრიცხვის სისტემა სტრუქტურირდება მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებზე – კერძოდ, აღრიცხვაზე (კალკულაციის ჩათვლით), ბიუჯეტირებაზე, მმართველობით ანალიზზე, მმართველობით კონტროლზე, შიდა ანგარიშგებაზე.

თავად მმართველობა, როგორც ოპერატიული, ტაქტიკური, ან სტრატეგიული, ან ფინანსური რეზულტატისთვის ბრძოლა და მრავალი სხვა საკითხი, რომელთა გადაწყვეტისათვის სავალდებულოა სააღრიცხვო ინფორმაცია, დიდ ფასეულობას არ წარმოადგენს. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი არის უმთავრესის – ორგანიზაციის მიზნის მიღწევის საშუალება. ორგანიზაციის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე წინა პლანზე შეიძლება წამოიწიოს რეალიზაციის ბაზრის გაფართოებამ, დანახარჯების შემცირებამ და, უბრალოდ, ძლიერ კონკურენტულ გარემოში გადარჩენამ. ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილება მიმართული უნდა იყოს არსებული მომენტისათვის ორგანიზაციის წინაშე წამოჭრილი მიზნის მისაღწევად, ხოლო ორგანიზაციაში ინფორმაციის გაცვლის სისტემა უნდა იყოს იმგვარად მოწყობილი, რომ უზრუნველყოს ეს პროცესი საუკეთესო გზით [5].

ამგვარად, მმართველობითი აღრიცხვა არის ორგანიზაციებში ინფორმაციის გაცვლის სისტემა, რომელიც განკუთვნილია მთელი ორგანიზაციის მიზნის მიღწევისკენ მიმართული მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად.

მმართველობითი აღრიცხვის ძირითადი მიზანია, წარუდგინოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, სპეციალისტებს და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს გეგმიური, ფაქტიური და საპროგნოზო

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობისა და გარემოს შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და სპეციალისტები.

უმაღლესი ხელმძღვანელობა ახდენს ორგანიზაციის მართვის სტრატეგიული მიზნის ფორმირებას. ამ მიზნის მისაღწევად ის იღებს: ინტეგრირებულ მმართველობით დასკვნებს ორგანიზაციისა და მისი ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების სანარმოო, საფინანსო და ინვესტიციური საქმიანობის შედეგების შესახებ განვლილი პერიოდის მანძილზე და კონკრეტული პერიოდისათვის; ორგანიზაციისა და მისი ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფებზე გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედების ანალიზის მასალებს, გეგმიურ და საპროგნოზო მაჩვენებლებს მომავალი პერიოდისათვის.

სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები აყალიბებენ ორგანიზაციის განვითარების ხანგრძლივი მიზნების რეალიზაციის ოპერატიულ სტრატეგიას. ისინი ღებულობენ ქვედანაყოფის საქმიანობის შესახებ მმართველობით ანგარიშებს კონკრეტული მომენტისათვის, მათი ანალიტიკური დამუშავების შედეგებს, ქვედანაყოფის შესახებ გეგმიურ და საპროგნოზო ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას სხვა ქვედანაყოფებისა და კონტრაგენტების შესახებ. სპეციალისტები იღებენ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. აგრეთვე პროგნოზებს შიდა და გარე ფაქტორების შესახებ, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე.

მმართველობითი აღრიცხვა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საბუღალტრო აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულება, რომელიც მმართველობით აპარატს უზრუნველყოფს ინფორმაციით. ეს ინფორმაცია თავის მხრივ გამოიყენება ზოგადად ორგანიზაციისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დაგეგმარებაში, მმართველობაში, კონტროლსა და შეფასებებში. ეს პროცესი ითვალისწინებს ინფორმაციის გამოვლენას, განსაზღვრას, ფიქსაციას, შეკრებას, დაცვას, შენახვას, ანალიზს, მომზადებას, ინტერპრეტაციას, მიღებასა და გადაცემას, რომელიც სავალდებულოა მმართველობითი აპარატისათვის მათი ფუნქციის შესასრულებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Сорокина Е.М. Бухгалтерская (финансовая) отчетность организаций: Учебное пособие. – М.: Финансы и статистика, 2004.
2. Скоун Т. Управленческий учет. – М.: Аудит, ЮНИТИ, 1997. –
3. Хоргрэн У.Т., Фостор Дж. Бухгалтерский учет: управленческий аспект. – М.: Финансы и статистика, 2000.
4. Николаева О.Е., Шашкова Т.В. Управленческий учет. – М.: УРСС. 2000.
5. Пасько А.И. Бухгалтерский финансовый учет: Учебное пособие. – М.: КОНУРС, 2005.

BESIK BAUCHADZE

*Shota Rustaveli State University
Associate Professor*

MANAGERIAL ACCOUNTING AND MODERN BUSINESS

S u m m a r y

Managerial accounting can be determined as an independent direction from the Accounting which provides its governing office with information. The information, in its turn, is generally used for planning the organization and its structural sub-division, management, control and evaluation. This process implies identification, definition, fixation, collection, protection, maintenance, analysis, preparation, interpretation, reception and transmission of information which is obligatory for the governing body in order to fulfill their function. In the conditions of market economy the process of organization management has become more complicated, organizations have complete financial independence. The accounting system is also facing more difficult tasks. All this makes the establishment of managerial accounting as a separate branch of accounting activity inevitable.

ციალა ბენაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასოციირებული პროფესორი

სორბლის წარმოებისა და რეალიზაციის პრობლემები (დედოფლისწყაროს რაიონის მაგალითზე)

საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ხორციელდება საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესი, რომელიც დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, ევროსაბჭოს წევრი და ა.შ., მას მინიჭებული აქვს სხვადასხვაგვარი უფლება და ეკისრება გარკვეული ვალდებულებები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობამ ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანებისკენ აიღო გეზი, მაშინ ცხადი ხდება, რომ საჭიროა ეკონომიკაში დაინერგოს დასავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობები.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ ეკონომიკურ ურთიერთობას ეხება სოფლის მეურნეობაში და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.

დღეს არ არსებობს საბაზრო ეკონომიკის მქონე არც ერთი ქვეყანა, რომელსაც არ ჰქონდეს შემუშავებული სოფლის მეურნეობის დარგის სახელმწიფო რეგულირების მწყობრი სისტემა. რეგულირება ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში (1933 წლიდან) რეგულირების ამგვარ მეთოდს „ფასებისა და შემოსავლების პოლიტიკას“ უწოდებენ. მისი მიზანია მიღწეულ იქნეს ურთიერთშესაბამისობა ფერმერებისა და მუშების მიერ განეულ დანახარჯებსა და მიღებულ შემოსავლებს შორის. ეს კი ხორციელდება ფერმერულ პროდუქციაზე ფასების ისეთ დონეზე შენარჩუნებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გარკვეული შემოსავლები და დაგროვებაც სოფლის მეურნეობაში იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი იყოს გაფართოებული კვლავწარმოება. ამ მიზნით მუდმივად შეისწავლება ფერმერთა დანახარჯები, ფუნქციონირებს შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებიც ვალდებულნი არიან შეისყიდონ ფერმერული პროდუქცია მინიმალური გარანტირებული ფასებით.

საკრედიტო ორგანიზაციები ფერმერებს აძლევენ კრედიტს მომავალი მოსავლის გარანტიით. კრედიტის სიდიდე განისაზღვრება მინიმალური სარეალიზაციო ფასითა და პროდუქციის მოცულობით. შემოდგომით, მოსავლის აღების დროს თუ საბაზრო ფასი უფრო მაღალია, ვიდრე კრედიტის აღების დროს შეთანხმებული მინიმალური სარეალიზაციო ფასი, ფერმერებს უფლება აქვთ გაყიდონ აღებული მოსავალი მაღალ ფასში ბაზარზე, გაისტუმრონ საკრედიტო ორგანიზაციის ვალიც და უფრო მაღალი შემოსავალიც დარჩეთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზემოთ განხილული წესით ინარმოება ხორბალი, საფურაჟე მარცვლეული, ბამბა, არაქისი, თამბაქო, ბრინჯი, რძე და სხვ.

ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური ურთიერთობის ეს წესი გამოიყენება შემდეგი პროდუქტების წარმოებისთვის: ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი რაპსი (თესლი), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რძე, რაფინირებული შაქარი, ზეთუნის ზეთი, კარაქი, ყველი, მშრალი, გაუცხიმოვნებული რძე.

სოფლის მეურნეობის რეგულირებისა და პროტექციონიზმის პოლიტიკა უაღრესად მრავალფეროვანია ქვეყნების მიხედვით, მაგრამ მისი განხილვა არ არის ჩვენი მიზანი. ჩვენ მხოლოდ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ასეთი პოლიტიკა არსებობს, რომ იგი დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრების წესია და შემოგთავაზოთ პირველი მცდელობა ამგვარი პოლიტიკის გამოყენებისა ჩვენი ქვეყნის ხორბლის წარმოებაში დედოფლისწყაროს რაიონის მაგალითზე. ამ მიზნით წარმოგიდგინებ ხორბლის მწარმოებელთა მიერ გასაწევ აუცილებელ დანახარჯებს 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით როგორც ნატურალურ, ისე ფულად ერთეულებში, მიღებული ხორბლის 1 კგ-ის თვითღირებულებას და შესაძლო სახელშეკრულებო ღირებულებას.

„ფასებისა და შემოსავლების პოლიტიკის“ პრაქტიკაში დანერგვის შემთხვევაში მიღებული შედეგები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ამ პოლიტიკის პრაქტიკაში დანერგვა შეიძლება განხორციელდეს ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი დამატებითი დანახარჯების გარეშე. საჭირო იქნება მხოლოდ ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება ფინანსურ სფეროში;

2. თავიდან იქნება აცილებული გლეხობის, სოფლის გაჩანაგება, რაც დღეს უკვე აშკარად მიმდინარეობს;

3. შეჩერდება მოსახლეობის მიგრაცია ქალაქში (ძირითადად დედაქალაქში);
4. განხორციელდება სახელმწიფო შეკვეთების (შესყიდვების) პრაქტიკის დანერგვა ეკონომიკაში;
5. შესაძლებლობა იქნება იმისა, რომ ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები (თავდაცვის სამინისტრო, შინაგანი ჯარი), აგრეთვე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დანესებულებები, დასასვენებელი სახლები, ბავშვთა სახლები, მოხუცთა თავშესაფრები და სხვ. მომარაგებულ იქნეს ეკოლოგიურად სუფთა პურ-ფუნთუშეულით, ბურღულეულით.

6. სოფლად ჩამოყალიბდება დასავლური, ევროპული მეურნეობრიობის წესი.
ხორბლის, როგორც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტის, დახასიათებას თავს ვარიდებთ, რადგან ეს ისედაც ნათელია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საქართველო ყოველწლიურად დაახლოებით 1 200 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს. 2004-2005 წლებამდე მოხმარებული ხორბლის დაახლოებით მეოთხედი (250-300 ათასი ტონა) ადგილობრივ წარმოებაზე მოდიოდა, ხოლო დანარჩენი ქვეყნის გარედან შემოიტანებოდა. მას შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაც, უამინდობის გარდა, გლეხური, ფერმერული მეურნეობის უკიდურესი გაღატაკებით უნდა აიხსნას.

საქართველოში მონეული ხორბლის ყველაზე უფრო მეტი რაოდენობა ისტორიულ ქიზიყზე მოდის. დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში აწარმოებენ ხორბლის მთლიანი მოსავლის დაახლოებით 30 პროცენტს. აქედან, დედოფლისწყაროს წილად საშუალოდ 20-22% მოდის. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს და სტატისტიკური მონაცემებიც გვიდასტურებს, რომ დედოფლისწყაროში საჭექტარო მოსავლიანობა შედარებით მაღალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში და იგი 0.7 ტონიდან (ცუდი სეზონის დროს) 4-5 ტონამდე (კარგი სეზონის დროს) მერყეობს. საუკეთესო მოსავალი საშუალოდ ოთხ წელიწადში ერთხელ მოდის.

მიწის რეფორმის განხორციელების შემდეგ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მიიღო მიწის ფართობები, მაგრამ დარჩა დასამუშავებელი ტექნიკის გარეშე. შირაქის თვალუწვდენელი ფართობების დამუშავება ტექნიკის გარეშე წარმოუდგენელია. გლეხი იძულებულია გადაიხადოს ფული ყველაფერში: დახვნაში, დაფარცხვაში, მოსავლის აღებაში, სანვავში, ამასთან, გადაიხადოს მიწის გადასახადიც, რომელიც დღეს უკვე თითქმის ორჯერაა გაზრდილი. გასული წლების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ხორბლის მწარმოებელი საშუალო მოსავლიანობის პირობებშიც ძლივს ინაზღაურებს განუღებულ დანახარჯებს. რენტაბელურ მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ცუდი სეზონის პირობებში განუღებულ დანახარჯების დაფარვა კი უმთავრესად მოსავლიანი წლის შემოსავლებით ხორციელდება, როგორც აღვნიშნეთ, ოთხ წელიწადში ერთხელ.

სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარ ყურადღებას მოკლებული გლეხობა, რომელსაც შემნახველ საღაროში შეტანილი თავისი უკანასკნელი დანაზოგებიც დაეკარგა, უძღურია ასეთ პირობებში იზრუნოს აგროტექნიკური პირობების დაცვაზე, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რის გამოც ყოველწლიურად უარესდება ხორბლის ხარისხი, მცირდება მიწის ნაყოფიერება და საბოლოო ჯამში აზრს კარგავს ამგვარი მიწის დამუშავებაც. მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია მოსავლის დაზღვევა არასათანადო სადაზღვევო მომსახურების გამო. ამიტომაც იყო, რომ, თუ 1998-1999 წლებში დედოფლისწყაროს რაიონში ხორბლის დათესილი ფართობების რაოდენობა ემთხვეოდა აღებული მოსავლის ფართობების რაოდენობას, 2000 წელს 18200 ჰა დათესილი ფართობიდან მოსავალი აღებულ იქნა 15548 ჰა-ზე, 2002 წელს 19150 ჰა-დან – 11100 ჰა-ზე და ა. შ. (სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი). შემდგომ წლებში შემცირებულია როგორც დათესილი ფართობები, ისე აღებული მოსავლის ფართობები. შემცირების მიზეზები მრავალია, რომელთაგან უმთავრესი ის არის, რომ ადგილობრივი ხორბლის მწარმოებლები ვერ ინაზღაურებენ განუღებულ დანახარჯებს. ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული ხორბლითა და ფქვილით. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მიწის გადასახადის გაორმაგების შემდეგ. ამას ნათლად გვიჩვენებს განუღებულ დანახარჯების შედარებითი ანალიზი.

განვიხილოთ დედოფლისწყაროს რაიონში ხორბლის წარმოებისთვის საჭირო ნორმალური დანახარჯები. დანახარჯები დავითვალეთ ადგილობრივი ფერმერების გამოკითხვის საფუძველზე. დანახარჯის ობიექტად ავიღეთ ერთი ჰა მიწის ფართობი, რადგან იგი შედარებით მუდმივი სიდიდეა და არ არის დამოკიდებული ამინდის ცვლილებებზე. ერთი ტონა ხორბლის თვითღირებულება კი იცვლება მოსავლიანობისა და ამინდის მიხედვით.

დანახარჯების გაანგარიშების წინაპირობები ასეთია:

- 1) მიწის გადასახადი ერთ ჰა-ზე 48 ლ. და 87 ლ.
- 2) ხორბლის სარეალიზაციო ფასი 1 კგ. 0.30ლ. და 0.60 ლ.
- 3) მოსავლიანობა 1 ჰა-ზე 3 ტ. (30 ცენტნერი)
- 4) დიზელის სანვავის ფასი 0.75 ლ. და 2.30 ლ.
- 5) ხორბალი ითესება ნაკვეთზე, რომელზეც წინა წელს ეთესა მზესუმზირა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1 ჰა სახორბლე მიწის ნაკვეთის დამუშავებას 2004 წელს თუ 642 ლარი სჭირდებოდა, 2011 წელს უკვე 1310.1 ლარი (204%) სჭირდება. ეს არის მხოლოდ პირდაპირი დანახარჯები და მოიცავს მუშახელის, დიზელის სანავის, სასუქისა და შხამქიმიკატების ღირებულებას. მასში არ არის შეტანილი მიწათმოსარგებლის (მიწის მესაკუთრის) მიერ გაწეული შრომითი და მატერიალური დანახარჯები მთელი ამ პროცესის ორგანიზებისათვის.

თუ დედოფლისწყაროში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობად ავიღებთ 2 ტონას, მაშინ 1ტ. ხორბლის თვითღირებულება 321 ლარიდან 655 ლარამდეა გაზრდილი 2011 წლისათვის, ანუ პროცესი უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება.

როგორც საკითხის შესწავლამ დაგვანახა, მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად პურის გაძვირებასთან დაკავშირებით ხდება ხმაურის ატეხვა მასმედიისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან, ქვეყანაში არ არსებობს ხორბლის, როგორც სტრატეგიული პროდუქტის, ადგილობრივი წარმოების მარეგულირებელი სახელმწიფო პროგრამა. არადა იგი ქვეყნისათვის უალრესად საჭირო და საკმაოდ ადვილად მოგვარებად საქმედ გვეჩვენება. ვფიქრობთ, პრობლემა იმსახურებს იმას, რომ სახელმწიფო ზრუნვის საგანი გახდეს. თუ მთავრობა შეძლებს და მოისურვებს, რომ თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი ჯარის, სამკურნალო დაწესებულებების, ბავშვთა, მოხუცთა თავშესაფრების და სხვა ამგვარი დაწესებულებების პურ-ფუნთუშეულითა და ბურღულეულით მომარაგებისათვის გამოყოფილი სახსრები მიმართოს ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციის შესაძენად, მაშინ პრობლემა აუცილებლად წარმატებით გადაწყდება.

ამ იდეის განხორციელების კონკრეტული ფორმა შეიძლება იყოს სახელმწიფო შეკვეთების ორგანიზება. თუ არსებულ ეკონომიკურ გარემოს გავითვალისწინებთ, ალბათ, თავდაპირველად ამერიკული მოდელი (მიზნობრივი სესხების გაცემა მოსავლის გარანტიით) უფრო გამართლებული იქნება. მწარმოებელთა მხრიდან ხორბლის ხარისხისა და დადებული ხელშეკრულებების საიმედოობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია შეიქმნას მიწათმოსარგებელთა და მესაკუთრეთა ასოციაცია, ან კავშირი, რომელიც გარკვეული გარანტიის როლს შეასრულებს მხარეთა მიმართ. ამგვარმა ორგანიზაციამ შეიძლება თავის თავზე აიღოს ხორბლის ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის ორგანიზება, მსხვილი სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად ხორბლის მწარმოებელთა შეკრება-ორგანიზება და სხვ.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ადგილობრივი წარმოების ხორბლით მთელი საქართველოს მომარაგება შეიძლება. ჩვენ მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ელემენტარულ მხარდაჭერას ვითხოვთ მთავრობისაგან: რომ საქართველოს ბიუჯეტიდან ხორბლისა და ფქვილის შესაძენად გამოყოფილი სახსრები ქვეყნის გარეთ კი არ მიიმართებოდეს იმპორტისათვის, არამედ გამოიყენებოდეს ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციის შესაძენად, რითაც ფაქტობრივად ადგილობრივი წარმოების არაპირდაპირი დაფინანსება განხორციელდება და გლეხობას მიეცემა საშუალება გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. ამგვარად, გლეხობა მონეული პროდუქციის გარანტირებული გაყიდვის პირობას მიიღებს, ხოლო სახელმწიფო კი ქვეყანაში დასავლური მოდელით აწყობილ მეურნეობას.

TSIALA BENASHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

PROBLEMS IN WHEAT PRODUCTION AND SALES (On the example of Dedoplistskaro region)

S u m m a r y

Countries with market economy regulate agriculture using direct and indirect methods of regulation. One of these methods is the policy of "Prices and Incomes". The main task of this policy is to find equality of farmers costs and incomes, and create profitable environment for farmers.

The presented work describes the economic situation of Dedoplistskaro district, and ways of using "Prices and Incomes" policy for solving the problems existing in wheat production.

ეკონომიკური ანალიზის როლი მელვინეობაში

მელვინეობა არის კვების მრეწველობის დარგი, რომელიც ამზადებს ღვინოს, შამპანურს, კონიაკს, აგრეთვე ხილ-კენკრეულის ღვინოს.

ქართველი ხალხი ათასეული წლის მანძილზე ქმნიდა მელვინეობის კულტურას, ამუშავებდა როგორც სუფრის ღვინოებს, ისე სადესერტო ღვინის მიღების ტექნოლოგიას. ამას ადასტურებს თუნდაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მცხეთის მახლობლად, ბაგინეთში ნაპოვნი ჭურჭელი, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულით თარიღდება; ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, ვანში აღმოჩენილი ქვევრებიანი სარდაფი (ძვ.წ. III-II სს.); ვარძიაში აღმოჩენილი ასამდე ქვევრი და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ითვლება, რომ საქართველო არის ღვინის სამშობლო. კერძოდ, კახეთი უძველესი და უნიკალური მევენახეობა-მელვინეობის რეგიონია საქართველოში, სადაც გამოყოფილია 25-ზე მეტი მიკროზონა და ტრადიციულად ინარმოვბა ადგილის დასახელების ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორცაა: ნაფარეული, წინანდალი, თელიანი, გურჯაანი, ახაშენი, მუკუზანი, კარდენახული, ტიბაანი, მანავის მწვანე და სხვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ვენახების 65-70% კონცენტრირებულია კახეთში.

ცხადია, საბაზრო ურთიერთობა გულისხმობს შესაბამის ეკონომიკურ სივრცეს, რომელშიც ფუნქციონირებენ ერთმანეთისაგან განსხვავებული, დიდი რაოდენობით სამეურნეო სუბიექტები, რომელთა ქმედება ორიენტირებულია, სამეურნეო საქმიანობა დაასრულონ რაც შეიძლება მაღალი ფინანსური შედეგით, ანუ მიიღონ მეტი მოგება. თითოეულ სამეურნეო სუბიექტს ყოველგვარი ჩარევის გარეშე სურს იცოდეს, ვისთან შეიძლება ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება. აღნიშნულის გარკვევა შესაძლებელია სათანადო ინფორმაციის მოპოვებით, რომელიც არსებული და სავარაუდო პარტნიორების საქმიანობის დახასიათებას მოიცავს. განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის ქვეყნებში ასეთი სახის ინფორმაციულ უზრუნველყოფას ეკონომიკური ანალიზი ახორციელებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაიზარდოს ეკონომიკური ანალიზის როლი მელვინეობაში, წარმატებული შედეგების მისაღწევად. ის შესაძლებლობას იძლევა შესწავლილ იქნეს ფირმის სამენარმეო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია როგორც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის, ასევე – დინამიკაში, წლების განმავლობაში და გამოვლინდეს მელვინეობის სფეროში არსებული ხარვეზები, ხოლო მათი აღმოფხვრის გზების გამონახვა ცალსახად გავლენას მოახდენს ფინანსური შედეგების ამაღლებაზე.

ამრიგად, ეკონომიკური ანალიზის საშუალებით შესაძლებელია ობიექტურად შევაფასოთ საანალიზო ობიექტის ეკონომიკური მახასიათებლები.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარების პროცესში გამოიყენება მეცნიერული კვლევის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები, როგორცაა: ინდექსის მეთოდი, რაც ნიშნავს მოვლენების კვლევას ზოგადიდან კერძოსაკენ; დედუქციის მეთოდი – მოვლენების კვლევა განზოგადებულად; ანალიზის მეთოდი – საფუძვლიანი შესწავლის მიზნით მოვლენების დაშლა-დანანევრება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური ანალიზი გამოიყენებს სპეციფიკურ, ანუ ტრადიციულ ხერხებს, როგორცაა: დანანევრების, დაჯგუფების, შედარების, ელიმინირების ანუ ჯაჭვური ჩასმის საბალანსო კავშირების ხერხი და ა.შ.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარების საწყის ეტაპზე მიმდინარეობს ფირმის საქმიანობის გაცნობა, ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება. ინფორმაციის დამუშავების პროცესში კი გამოიყენება დანანევრების ხერხი, რომლის დროსაც ხდება სინთეზური მაჩვენებლების დაშლა მარტივ შემადგენელ ნაწილებად, ანუ კერძო მაჩვენებლად. პარალელურად უნდა მოხდეს დაჯგუფების ხერხის გამოყენების დანანევრებული მაჩვენებლების სწორი დაჯგუფება, რომ არ დაირღვეს მათ შორის არსებული ფუნქციონალური კავშირი.

ეკონომიკური ანალიზის მეორე ეტაპზე ხდება საანალიზო მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულების შეფასება შედარების ხერხის გამოყენებით და დგინდება საკვლევი მაჩვენებლების ცვალებადობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით. უნდა ითქვას, რომ შედარების ხერხის გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მაჩვენებელთა შესადარისობა, რაც ნიშნავს მაჩვენებელთა ერთ განზომილებაში მოყვანას. კერძოდ, საანალიზო მაჩვენებლების მიხედვით გეგმის შესრულებ

ბის შეფასება ხდება გადახრების გამოვლენით, ანუ ფაქტობრივი ინფორმაციის ბიზნესგეგმის გათვალისწინებულთან შედარებით. გადახრა შეიძლება იყოს ნულის ტოლი, მეტი ან ნაკლები.

ეკონომიკური ანალიზის მესამე ეტაპზე ხდება საანალიზო მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორების გავლენის სიდიდეების გაანგარიშება, რომლის დროსაც გამოიყენება „ელიმინირების“ ხერხი. ელიმინირება ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გამოთიშვას, ანუ ანალიზის პროცესში თანდათანობით გამოირიცხება ფაქტორის გავლენა. ელიმინირების ხერხში შემავალი ხერხია ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, პროცენტების სხვაობის ხერხი და წინა ფაქტორების გავლენის ხერხი.

ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოიყენება საერთო, განზოგადებულ მაჩვენებელზე ურთიერთფუნქციონალურ დამოკიდებულებაში მყოფი კერძო მაჩვენებლების, ანუ ცალკეული ფაქტორების გავლენის სიდიდეების განსაზღვრისათვის. აღნიშნული ხერხის არსი მდგომარეობს შემდეგში: გვაქვს საანალიზო მაჩვენებელი და მასზე მოქმედი ფაქტორები გეგმით და ფაქტობრვად. ფაქტორის გავლენის სიდიდის განსაზღვრისათვის საჭიროა გაანგარიშებები: პირველი გაანგარიშებისას გვაქვს ყველა ფაქტორთა გეგმური სიდიდეების ნამრავლი. მეორე გაანგარიშებისას პირველი ფაქტორის გეგმური სიდიდე შეიცვლება ფაქტობრივით, ხოლო დანარჩენი უცვლელი რჩება და ა.შ. თანმიმდევრულად იცვლება გეგმური სიდიდე ფაქტობრივით. ყოველი გაანგარიშებით მიღებულს აკლდება წინა გაანგარიშებით მიღებული და ვიღებთ ფაქტორის გავლენის სიდიდეს. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი სიდიდე, რომელსაც სათანადო შეფასება მიეცემა.

ჯაჭვური ჩასმის ხერხის არსი ფორმულის სახით ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად, ცხრილში მოტანილი ინფორმაციის გამოყენებით:

	მაჩვენებლები	ბიზნესგეგმით	ფაქტობრივად	გადახრა (+,—)
1.	საერთო პროდუქცია (ათ. ლარი)	x	γ	z
2.	მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი (კაცი)	x_1	γ_1	z_1
3.	წელიწადში ერთი მომუშავის მიერ ნამუშევარ დღეთა რიცხვი (დღე)	x_2	γ_2	z_2
4.	სამუშაო დღის ხანგრძლივობა (საათი)	x_3	γ_3	z_3
5.	ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერება ლარი	x_4	γ_4	z_4

ცხრილში მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე, საერთო პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების დასადგენად საჭიროა შემდეგი გაანგარიშებები:

$$\text{პირველი გაანგარიშება} = x_1 \cdot x_2 \cdot x_3 \cdot x_4 = x$$

$$\text{მეორე გაანგარიშება} = y_1 \cdot y_2 \cdot y_3 \cdot y_4 = x^1$$

პირველი ფაქტორის, მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვის ცვლილების გავლენა (c_1) არის $x_1 - x = \pm c_1$

$$\text{მესამე გაანგარიშება} = y_1 \cdot y_2 \cdot y_3 \cdot y_4 = x^2$$

მეორე ფაქტორის, ერთი მომუშავის მიერ წელიწადში ნამუშევარ დღეთა რიცხოვნობის ცვლილების გავლენა არის $x^2 - x^1 = \pm c_2$

$$\text{მეოთხე გაანგარიშება} = y_1 \cdot y_2 \cdot y_3 \cdot y_4 = x^3$$

$$\text{მესამე ფაქტორის, სამუშაო დღის ხანგრძლივობის ცვლილების გავლენა არის } x^3 - x^2 = \pm c_3$$

$$\text{მეხუთე გაანგარიშება} = y_1 \cdot y_2 \cdot y_3 \cdot y_4 = y$$

მეოთხე ფაქტორის, ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერების ცვლილების გავლენა არის $y - x^3 = \pm c_4$, ფაქტორების გავლენის სიდიდეების გამოთვლის შემდეგ დგინდება, რომ $c_1 \pm c_2 \pm c_3 \pm c_4 = c$ ანუ ფაქტორების გავლენის ალგებრული ჯამი უდრის საერთო გადახრას.

ეკონომიკური ანალიზის ბოლო ეტაპზე კეთდება დასკვნა, ხდება ფირმის საქმიანობის შეფასება, დადებითი ფაქტორების განზოგადება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, ხოლო გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად – სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

დასკვნა – თანამედროვე პირობებში თითოეული სამეურნეო სუბიექტის საქმიანობა არის მათი ფუნქციონირების შედეგებით დაინტერესებულ მენარმეთა ერთიანობა, რომელთა უპირველესი მიზანია საკუთრებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსების გონივრული გამოყენება მაღალი ეკონომიკური მიზნის მისაღწევად.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში კიდევ უფრო იზრდება ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის როლი, ვინაიდან ფირმის მფლობელების ინტერესში შედის, კონკურენციის პირობებში გამოავლინოს ის ფარული რეზერვები, რომელთა ამოქმედება გააუმჯობესებს ფინანსურ მდგომარეობას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოველივე ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნეს მეღვინეობაში.

IAMZE BERISHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor*

THE ROLE OF ECONOMIC ANALYSIS IN WINE-MAKING

S u m m a r y

The article deals with the role of economic analysis in viticulture and evaluates economic indicators and the stages of performing the economic analysis.

In present-day situation, the activity of each economic subject is the integrity of enterprises interested in the results of their functioning. Their key purpose is a reasonable use of tangible and intangible resources owned by them in order to achieve the aim of high economic character. Thus, in the period of transition to market economy, the role of the analysis of economic activities is increasing, as the owners of firms are interested in revealing more concealed reserves, whose activation will improve their financial condition.

სათუნა გარიშხილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აგროტურიზმის განვითარების გზები და პერსპექტივები საქართველოში

აგროტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში არსებობს ხელშემწყობი პირობები, რადგანაც ეს ქვეყანა ძალზე მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით ხასიათდება, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელობა, ხელშემწყობი გარემოებები, აუცილებლობა და წინაპირობები დასტურდება იმით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის კულტურის ნიშნები აისახა მითოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ძეგლებში, რაც გამოვლენილია ამ დარგთან დაკავშირებულ ადათ-წესებსა და ჩვეულებებში, სარწმუნოებრივი ხასიათის რიტუალებში.

აგროტურიზმის განვითარებისათვის დამახასიათებელია საქართველოს მრავალფეროვანი კონტრასტული ბუნება: უმდიდრესი ფლორით და ფაუნით, დიდი სამონადირეო და სათევზაო სივრცით, ტყის ფონდის სიდიდითა და უნიკალობით, სამთო-სათხილამურო ტრასებით, მდიდარი ისტორიული და საეკლესიო-ხუროთმოძღვრული ძეგლებით.

აგროტურიზმის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქის მცხოვრებლები (ზედმეტად ურბანიზებული გარემოს წარმომადგენლები) გაეცნონ სოფლის ყოფას, შეითვისონ ხალხური ტრადიციები, იცხოვრონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, მიიღონ სუფთა პროდუქტი და სხვა. პროდუქციის წარმოების ტრადიციული წესი და ტექნოლოგიები, სივრცე, ლანდშაფტი, პეიზაჟი, განვითარებული ინფრასტრუქტურა ერთად მიმზიდველ გარემოს ქმნის. ადგილობრივი წარმოების პროდუქტის უნიკალურობა (ნატურალური გემო და ხარისხი), შინარენვისა და ხელოვნების ნიმუშები აგროტურიზმის პოპულარობას ყოველწლიურად ზრდის. ამ სახეობით დაინტერესებული ტურისტების მოტივაციაა: ბუნებასთან განმარტობა, კლიმატი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, ცხოვრების წესისა და სტილის შეცვლა. ტურისტებისათვის ყურადღებამისაქცევი იქნება ნიადაგის დამუშავების და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ადგილობრივი ტექნოლოგია, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავების წესები.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარებისათვის არსებობს კარგი პერსპექტივები, რაც გამოიხატება შემდეგში: 1. საქართველოს ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელსაყრელია აგროტურიზმის განვითარებისათვის. 2. მეურნეობის ნატურალური ხასიათი, მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტრუქტურა, ჩამორჩენილი ტექნოლოგიების გამოყენება, წარმოებული პროდუქციის მეურნეობაშივე გადამამუშავების ტრადიცია, ადგილობრივი პროდუქტებით გემრიელი კერძების მომზადების შესაძლებლობა სერიოზულ მოტივაციას უქმნის ქალაქის მცხოვრებთ აგრარული ტურიზმის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად. 3. სოფლად მცხოვრებთა სახლების საერთო ფართობი, ოთახების რაოდენობა და განლაგება, აუცილებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა შესაძლებელს ხდის შედარებით მცირე დანახარჯებით მოეწიოს ტურისტებისათვის დასვენების პირობები. 4. სოფლად შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი უზიძგებს სოფლის მცხოვრებთ გაიჩინონ დამატებითი შემოსავლის წყარო, რაც შეუძლებელია აგრარული ტურიზმის განვითარებით.

აგროტურიზმის, აგრომრეწველობის და აგრობიზნესის კომპლექსური განვითარების პრიორიტეტულობა დადგენილია ლანდშაფტური გარემოსა და აგრარული მეცნიერებების განხორციელების ფარგლებში. ეს სექტორები წარმოადგენენ ქართული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღერძს. საქართველოს რეგიონების პირობებისათვის არ არსებობს ლანდშაფტსარგებლობის კულტურისა და აგროტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა და კონცეფცია.

საბაზრო ურთიერთობების დატვირთვა საჭიროებს კულტურულ-ინტელექტუალურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ შეფასებას. შედეგად ხდება ქაოტური და ეკოლოგიურად დამანგრეველი შეჭრა რიგ რეგიონებში, ადეკვატურად იკარგება ის ღირებულებითი ორიენტირები, რომელთა გამოც ქვეყნის უაღრესად საინტერესო აგრარულ-ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტი გარკვეულწილად გახდება პრიორიტეტული. საქართველოს რეგიონების ისტორიაში ძველისა და ახლის დიფუზიის ყველაზე მკაფიო და თვალსაჩინო გამოხატულებაა ე.წ. აგრარულ-რეკრეაციული მოდერნიზმი, სადაც შერწყმულია წარსული და თანამედროვეობა, ტრადიცია და ნოვაცია, დღესასწაულები, რელიგიური და სპორტული ზეიმები, ბუნებრივი სილამაზე, კლიმატი და ა.შ. უპირველესად საჭიროა ლანდშაფტური კომპონენტების ფუნქციონალური მნიშ-

ვნელობის დადგენა და ამ საფუძველზე ლანდშაფტსარგებლობის სინთეზურ გადანყვეტილებათა მიღება. აქ მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები უნდა გადანყვედეს კომპლექსურად ურთიერთქმედით ურთიერთსასარგებლო აგროტურისტული განვითარების გზით. აგრარულ სფეროში მიღებული ნატურალური პროდუქციის რეალიზაცია ადგილზევე მოხდება, რითაც ტურისტული მეურნეობის განვითარებას გზას გაუკაფავს. რაც შეეხება მეორად პროდუქციას, იგი მეცხოველეობის საკვებად გამოიყენება და განვითარებს უნარჩენო ტექნოლოგიურ პროცესს.

რეკრეაციული მეურნეობა ადგილზე დაასაქმებს ახალგაზრდა მუშახელს და აამალლებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

საბაზრო კულტურისა და აგროტურიზმის კონცეფცია აჩვენებს, თუ რისი გადარჩენა და აღდგენა შეიძლება დღეს, როგორ შეიძლება მათი ადეკვატური ბიზნესლირებულების მქონე აგროტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბება, რათა აქედან მიღებულმა შემოსავლებმა თვითონ მოახდინონ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-აღდგენისა და ადაპტაციის პროგრამის რეალიზება.

ოცდამეერთე საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში შემოდის სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ტურისტულ-რეკრეაციული დიფერენციით, როგორც ინტეგრაციისა და ურბანიზაციის ეპოქა, რომლის საფუძველშიც იგულისხმება პროგრესისა და განვითარების პროცესი. აგროტურისტული გარემო სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების რთული კომპლექსია. აგროსანარმოო ძალების ზრდა და ბუნებრივ გარემოზე მოქმედი ტურისტულ-რეკრეაციული ზეგავლენა წარმოშობს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ცვლილებებს. 2002 წელს საქართველოში იმყოფებოდა ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ანგარიშზე ქართული ურბანული კულტურისა და ტურიზმის პოლიტიკის შესახებ. მათ მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებში მწვავედ წარმოჩინდა მთიანი და მაღალმთიანი ტერიტორიების, ლანდშაფტური მინათსარგებლობის მიზნობრივი დანიშნულების, ეკოკულტურისა და აგროტურისტული მეურნეობების პოლიტიკის არასწორი მართვის პრობლემა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით, აუცილებელია დავამკვიდროთ საქართველოს, როგორც აგროტურისტული ქვეყნის, იმიჯი, დავეხმაროთ ადგილობრივ აგროტურისტულ ინდუსტრიას საკუთარი პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციის ეფექტურად წარმოჩენაში; შევქმნათ ხელსაყრელი გარემო აგროტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის; დავეხმაროთ ადგილობრივ ახალგაზრდა შრომისუნარიან მოსახლეობას სამუშაო ადგილებით დაკავდეს.

აგროტურიზმი ტურისტული ინდუსტრიის შედარებით ახალი სექტორია, რომელიც რეკრეაციის მიზნით ითვალისწინებს ტურისტული ჯგუფების მოგზაურობას დასვენების, ხშირ შემთხვევაში კი, ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციებისა და სოფლის ცხოვრების გაცნობას. ტურიზმის ეს სახე საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა. ამ მხრივ საქართველოს თითოეული რეგიონი დიდი პოტენციალის მატარებელია. იგი ორიენტირებულია საშუალო და საშუალოზე დაბალი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან გამოირჩევა იმით, რომ დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით. იზრდება როგორც სოფლად მცხოვრებთა შემოსავლები (საცხოვრებლის დაქირვება, მომსახურება, კვების პროდუქტების, ეროვნული სამზარეულოს წარმოჩინება, ხალხური რენვის ნაწარმის გაყიდვა), ასევე მათი დასაქმებაც.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტურისტები იცხოვრებენ გლეხთა (ფერმერთა) სახლებში, როგორც ორიგინალურ მინი ტურისტულ სასტუმროებში, ჩაერთვებიან გლეხური ცხოვრების ატმოსფეროში, რომელიც მოიცავს საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებას, ბოსტან-ბაღში საქმიანობას, ტყისპირებში სოკოების შეგროვებას, ყოლოს, მოცვის, შინდის, მაცვლის, პანტის, ზღმარტლის, ასკილის, უნაბის, ფშატის და ტყის ფლორის სხვა პროდუქტების მოპოვებას. საინტერესო და დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა ექნება სამკურნალო-სანამლო ბალახეულობის შეგროვებას და ხალხური მედიცინის გაცნობას.

აგროტურიზმის განვითარების იდეა მოდის ევროპიდან, კერძოდ კი იტალია-საფრანგეთი-ესპანეთიდან, სადაც დღესაც არსებობს ფერმერული მეურნეობის ისტორიული ტიპები, ძირითადად განაპირა პროვინციების კულტურულ-ისტორიულ ადგილებში.

როგორც ევროპის ტურისტული ბაზრის შესწავლა გვიჩვენებს, ინტერესი აგროტურიზმის მიმართ ყოველწლიურად იზრდება. სულ უფრო ფართოვდება მისი საერთაშორისო ხასიათი, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მთიანეთის სოფელი თავისი უნიკალური თვისებებით, სტუმარმასპინძლობით და წეს-ჩვეულებებით შესაბამის ადგილს დაიკავებს მსოფლიო-აგროტურისტულ ბაზარზე. ამასთან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ტურიზმის ამ სახეობის სისტემაში მოქცევა შედარებით იოლია და ნაკლებ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

საქართველოში აგროტურიზმის დანერგვისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით აქტიურად საქმიანობს არასამთავრობო სექტორი. ამ მხრივ საინტერესოა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ საქმიანობა. აგროტურიზმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 80-იან წლებში გაჩნდა და დღეს ყველგანაა განვითარებული. იქ, სადაც გლეხი არსებობს, არსებობს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციაც. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერთა ჯგუფი“ დაუკავშირდა საფრანგეთის აგროტურისტულ ასოციაციას. საფრანგეთი იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა 70-იან წლებში, რომელშიც ჩვენ ვართ დღეს. სოფლებმა დაიწყო დაცარიელება, დაბერება, სოფლებიდან ხდებოდა ახალგაზრდების მასობრივი გადინება.

გლეხები ბაზარზე პროდუქციის მოჭარბებას კონკურენციას ველარ უწევდნენ და ამ დროს გაჩნდა იდეა, რომელიც თავდაპირველად გლეხებს შორის ერთგვარი ცოდნის გაცვლას გულისხმობდა. გლეხები სტუმრობდნენ ერთმანეთს, რათა გამოცდილება გაეზიარებინათ, შემდეგ კი ნელ-ნელა ეს იქცა ამ ფორმის ერთგვარი ტურისტული სერვისის ობიექტად. შემდეგ დაიწყო ქსელად ჩამოყალიბება და აგროტურიზმი გახდა გლეხის დამატებითი საქმიანობის წყარო. იტალიაში სახელმწიფომ სპეციალური კანონიც კი შეიმუშავა, რომელიც ამგვარი საქმიანობით დაკავებულ გლეხებს გარკვეულ შეღავათებს ანიჭებდა. მთავარი პირობა, რომელსაც აგროტურისტულ ქსელში გაერთიანებული გლეხი უნდა აკმაყოფილებდეს, არის ის, რომ იგი არ უნდა იყოს მონყვეტილი საკუთარ ფერმას და საკუთარ საქმიანობას; ჩვეულებრივი ტურიზმისგან განსხვავებით, ტურისტული მოგზაურობის დროს ტურისტი გლეხის ოჯახში უნდა ცხოვრობდეს, მეორე პირობა – სტუმარი უნდა იკვებებოდეს ეკოლოგიურად სუფთა, იქვე ფერმაში მოყვანილი პროდუქტით. თუ პროდუქტი არ ექნებათ, მეზობლისგან უნდა შეიძინონ. მთავარი მაინც მასპინძელია. თუ ჩვეულებრივი ტურიზმის მომხმარებელი ორიენტირებულია ლუქსზე ან ფუფუნებაზე და ა.შ., აქ პირველ ადგილზე ადამიანი დგას. ტურისტები თანახმანი არიან იცხოვრონ გაცილებით ცუდ პირობებში, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობენ, შიგნიდან დაინახონ ქვეყანა. ეს არ იქნება ფოტოზე გადაღებული ძეგლი, მანქანის ფანჯრიდან დაინახული პეიზაჟი, არამედ ადამიანების გვერდით ცხოვრების საშუალება და მათი მეშვეობით გაცნობილი ქვეყანა. პაკეტი, რომელსაც სთავაზობენ ოჯახებს, სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ერთია ქვეყნის თავისებურება, კოლორიტი, ტრადიციები, მეორე – რეგიონები, რომლებსაც საკმაოდ განსხვავებული ტრადიციები და კულტურა აქვთ და მესამე ის, თუ ინდივიდუალურად რას სთავაზობს თვითონ მასპინძელი სტუმარს.

აგროტურიზმის განვითარება მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციური სისტემის დამუშავებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი სრულყოფილი მართვა და რეგულირება. ეს მოიცავს მორგებული ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნას და შესაბამისი ნორმების დამუშავებას.

უალრესად მნიშვნელოვანია შედგეს აგროტურიზმის რეგიონული ატლასი, რაც მარკეტინგული მოტივაციების რეალიზებისა და უზრუნველყოფის საფუძვლად იქნება მიჩნეული. ასეთი ატლასის შექმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში უდავო სიახლეა.

აგროტურიზმის განვითარება საქართველოში ბევრი სხვა სპეციფიკური და მკაცრად მიზნობრივი ამოცანის გადწყვეტასაც მოითხოვს, რამაც საერთო ჯამში უნდა შექმნას აგროტურიზმის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა და სამსახური, რომლის რეალიზაციაც განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს და აამაღლებს მის როლსა და ფუნქციას მსოფლიო თანამეგობრობაში.

ცნობილია, რომ მომხმარებლის არჩევანის თეორია ადამიანის მიერ გადწყვეტილების მიღების აღწერასა და შესრულებას იკვლევს. ამ თეორიის პოზიციებიდან გამომდინარე, აგროტურიზმის განვითარება ტურიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა და საშუალებაა.

აგროტურიზმი ახალ იმპულსს აძლევს რეგიონების განვითარებას. მცირე და საშუალო ტურსანარმოებში შეიძლება გაერთიანდნენ სოფლის თვითმმართველობა, კულტურული ობიექტების წარმომადგენლები, მცხოვრებნი, რომლებიც ადგილზე მზად არიან ტურბიზნესისათვის. შემუშავებულია სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვით ყოველწლიურად ხდება სოფლის სახლების რესტავრაცია ეროვნულ სტილთან მისადაგებით, ასევე კომფორტისა და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ასეთი ტურისტული პროდუქტი პასუხობს გადახდისუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნებს.

აგროტურიზმის პროგრამები რეგიონების მაკროეკონომიკური გეგმის ნაწილი უნდა გახდეს, რაც ტერიტორიის ეკონომიკური განახლებისა და აგროტურიზმის სწრაფი აღმავლობის ინსტრუმენტი იქნება.

საქართველოს აგროტურისტული საქმიანობა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური მოთხოვნით, ანუ მოხდეს ერთიანი ტურისტული პაკეტის რეალიზაცია სპეციალური ტურების მიხედვით და ეს ყველაფერი აისახოს სოფელში რეგისტრირებულ ოჯახებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

აგროტურიზმი, როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება, არა მარტო ტურიზმის სფეროს განვითარების ხელშემწყობია, არამედ ერთგვარი მულტიპლიკატორი როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის ეკონომიკისათვის. იგი შეიძლება მივიჩნიოთ სოფლის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად.

აგროტურიზმის სწრაფი განვითარებისათვის აუცილებელია:

- აგროტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება;
- ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ფართო ქსელის შექმნა;
- ტურისტების უსაფრთხოების დაცვა, მონესრიგებული საბანკო და სადაზღვევო სისტემის შექმნა;
- მუნიციპალურ და სასოფლო ადგილებში სემინარებისა და ტრენინგების მონყობა;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, მონაცემთა ელექტრონული ბაზისა და ინტერაქტიული ტურისტული პორტალების შექმნა ცალკეული რეგიონის დონეზე, სადაც თავს მოიყრის სრული ინფორმაცია მარშრუტების, ისტორიული ადგილების, კერძო სახლების შესახებ და სხვა;

- ინვესტიციები ბიოპროდუქტების წარმოებისათვის;
 - რეგიონების ტურისტული ბრენდის შექმნა და სტუმარმასპინძლობის სტანდარტების დაცვა;
 - სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის უზრუნველყოფა მცირე ტექნიკითა და ტექსერვისით.
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენება და ეროვნული სამზარეულოს პროდუქტებზე მოთხოვნა ტურისტულ ბაზარზე თანდათან იზრდება.

აგროტურიზმის, როგორც დიდი, პერსპექტიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგის, კვლევის მიზანია საქართველოში აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობებისა და არეალის განსაზღვრა, მისი სისტემური მოდელის შექმნა, მართვისა და რეგულირების ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება და უკუგების ოპტიმიზებული დონეების დადგენა. ამ მიზნით:

- აუცილებელია შეიქმნას საქართველოში აგროტურიზმის სიტემური მოდელი და მისი მენეჯმენტის ავტომატიზებული, ტექნოლოგიური ციკლი სხვადასხვა დონეზე;
- შემუშავდეს აგროტურიზმის განვითარების ეკონომიკური მექანიზმი;
- შეიქმნას ელექტრონული ვიზიტის პროექტი და შემუშავდეს მისი მართვისა და რეგულირების მექანიზმი;
- განისაზღვროს ხალხური შემოქმედებითი ხელოსნობის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები აგროტურიზმის საერთო სისტემაში;
- დამუშავდეს აგროტურიზმის რეგიონალური ატლასი;
- შედგეს აგროტურიზმისათვის კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა;
- შეიქმნას აგროტურიზმის სისტემური მონაცემთა ბანკი (ბაზა) და მისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემა სახელმწიფოებრივ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ. ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები. თბ., 2009.
2. სამადაშვილი ც., დობორჯგინიძე ხ. აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობა კახეთში. საერთ. სამეცნ. კონფ. ბათუმი, 2010.
3. ჩავლეიშვილი მ. აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2010.
4. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბ. 2009 წ.
5. არაბული კ. ტურიზმის სახეები და ქართული ტურიზმის განვითარების შესაძლო პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკა, 2008.
6. მარგველაშვილი მ. „ტურიზმი და სიღარიბის დაძლევა“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 6, თბ., 2007.
7. შუბლაძე ვ. „საქართველო და ტურიზმი“. თბ., 1999.
8. www.acc-pays.com.
9. info@apg.org.ge.

KHATUNA BERISHVILI

*Sokhumi State University
Associate Professor*

WAYS AND PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT OF AGRO TOURISM IN GEORGIA

S u m m a r y

There are favourable conditions for the development agrotourism in Georgia as this country is characterized by diverse natural-economic circumstances. The latter affects the development of agriculture. Contrasting natural landscapes of Georgia play an important role for advances in in this field. Agrotourism is a relatively new branch of tourism which implies, for recreational purposes, travelling of tour groups to remote populated areas to get acquainted with the local traditions and lifestyle. This kind of tourism is on its initial stage of development in Georgia. In this regard, every region of Georgia has its own yet unused potential. It is oriented on meeting the demands of low and middle income citizens. Agrotourism triggers regional development and creates a basis for new initiatives. Small and medium-sized agro tour firms may comprise village self-governments, representatives of cultural entities and local inhabitants who are ready to get involved in tourism business. A special program has been elaborated according to which every year the restoration and reconstruction of local houses is carried out in accordance with national style so that comfort and peace are preserved. Such kind of tourist product meets the demands of a financially solvent consumer.

Agrotourism, as one of the prospective directions, not only triggers the development of tourism industry but it also has a multiplier affect on the development of the region and of the whole country as well. It can be considered as one of the factors for the sustainable development of village areas.

**ფერმერთა სასოფლო-სამეურნეო ფინანსური მხარდაჭერის სისტემის
ჩამოყალიბებისათვის**

საქართველოს სოფლის მეურნეობა განიცდის ინვესტიციურ შიმშილს, რაც განპირობებულია მოცემული სექტორის შედარებით დაბალი საინვესტიციო მიმზიდველობით (დაბალი რენტაბელობა, მაღალი რისკი, მოსახლეობის სასტარტო კაპიტალის სიმწირე, სათანადო ბაზრის უქონლობა და სხვ). შედეგად, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის საინვესტიციო რესურსების მთლიან მოცულობაში წლების განმავლობაში 1 პროცენტს არ აღემატება.

სოფლის მეურნეობის განვითარების მძლავრი ფინანსური ბაზის ჩამოყალიბება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე. აუცილებელია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ფარგლებში სპეციალური ინსტიტუციის – ფერმერთა მხარდამჭერი ორგანოს შექმნა. მის მიზანს უნდა შეადგენდეს სოფლად მენარმეთა ხელშეწყობა და დაკრედიტება.

ფერმერთა მხარდამჭერი ორგანო (პირობითად – ადმინისტრაცია) განიხილავს საკითხებს სესხების ან მათზე გარანტიების გაცემის შესახებ მხოლოდ იმ ბიზნესის მიმართ, რომელიც განხორციელებს სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში (სოფლისა და დაბის სტატუსი დადგენილია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“).

ადმინისტრაცია გასცემს სესხებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით. აგრეთვე, იგი მონაწილეობას მიიღებს სოფლად საბინაო მშენებლობისა და საზოგადოებრივი და-ნიშნულების ობიექტების მშენებლობის დაკრედიტებაში. ჩვეულებრივ, ეს პროგრამები არ არიან საინტერესონი მცირე ბიზნესისათვის. თუმცა, ისინი შესაძლებელია გამოყენებულ იქნენ, როგორც საბინაო მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალება და ამით ხელი შეეწყოს მცირე ბიზნესს.

ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაცია გასწევს ორი ძირითადი სახეობის საკრედიტო მომსახურებას:

➤ სასოფლო-სამეურნეო სესხები და სესხები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის;

➤ სესხები ბიზნესსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ მრეწველობაზე.

სასოფლო-სამეურნეო სესხების პროგრამები. მათი დანიშნულებაა ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს საოჯახო მეურნეობებს ან კოოპერატივებს. ეს სესხებია:

- კრედიტები ფერმების შესაძენად;
- კრედიტები ფერმერული მეურნეობის წარმართვისათვის;
- კრედიტები შეზღუდული რესურსების მქონე ფერმერებს;
- სპეციალიზებული სესხები, მაგალითად, აკვაკულტურის განვითარებისათვის;
- სესხები საგანგებო ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- სესხები სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით;
- კრედიტები მიწებისა და წყლების რეკულტივაციაზე.

აღნიშნული სესხების ვადები და პირობები განსხვავებულია, თუმცა, ჩვეულებრივ, მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაცია გასცემს გარანტიებს (თავდებობებს) ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილ სესხებზე. ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაცია გამოდის გარანტად ამ სესხების 90 პროცენტის ფარგლებში. ეს სესხები გამოყენებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული ბიზნესის წარმოებისათვის.

სესხები ბიზნესსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ მრეწველობაზე. ფერმერების მხარდამჭერმა ადმინისტრაციამ აქტიურად უნდა შეასრულოს გარანტის როლი კრედიტებზე, რომლებიც გაიცემა კომერციული ბანკების მიერ სამრეწველო საქმიანობის განვითარებისა და გაფართოების მიზნით ნაკლებად დასახლებულ, მაღალმთიან და დეპრესიულ მუნიციპალიტეტებში.

სესხის მაძიებელმა უნდა გაითვალისწინოს სესხის გამოყენების თანმხლები რიგი შეზღუდვები. ეს სესხები არ შეიძლება წარიმართოს ქვემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მიზნით:

- შენატანებისათვის თანამფლობელთა კაპიტალში;
 - სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული პროექტების რეალიზაციაზე;
 - საკუთრების უფლებების გადასაცემად სხვა ბიზნესისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გადაცემა განპირობებულია სანარმოს სიცოცხლისუნარიანობისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნების ინტერესებით;
 - საიჯარო გადასახდელების გარანტირებისათვის;
 - სატელევიზიო ანძების დადგმის ან მომსახურების დაფინანსებისათვის;
 - იმ სესხების გარანტირებისათვის, რომლებიც გაცემულია სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ (მაგალითად, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ფედერალური ორგანო);
 - ისეთი პროექტების განხორციელებაზე, რომელთა ღირებულება აღემატება 1 მლნ ლარს ან დასაქმებულთა რაოდენობა 50 კაცს, იქ სადაც ამგვარი პროექტები გამოიწვევენ დასაქმების სტრუქტურის ცვლილებას და მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენენ შრომით რესურსებზე ან არსებულ ბაზრებზე ჩამოყალიბებულ მოთხოვნაზე;
- გარანტიები სესხებზე გაიცემა ბიზნესის შემდეგ სახეობებზე:
- შენობებისა და მიწის შეძენა;
 - შენობის აღდგენა ან ახლის მშენებლობა;
 - მანქანებისა და მოწყობილობების შეძენა;
 - საბრუნავი კაპიტალის შეძენა მარაგების შესაქმნელად და ფულად ნაკადებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სესხის ვადები განსხვავებული უნდა იყოს მისი სახეების მიხედვით. საქართველოს სინამდვილეში, სოფლის მეურნეობის განვითარების გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია შემდეგი ვადები: უძრავ ქონებაზე – 20-25 წელი; მანქანებსა და მოწყობილობებზე – 12-15 წელი; საბრუნავ კაპიტალზე – 5-7 წელი.

ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაციის სესხები მიზანშეწონილია გაცემულ იქნეს იმ პირობით, რომ ბიზნესის საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს პროექტის საერთო ღირებულების არანაკლებ 10 პროცენტს. საკუთარი კაპიტალის წილმა ახალ სანარმოში ანუ დამწყებ კორპორაციაში შესაძლებელია შეადგინოს 25 პროცენტი.

სესხის მაძიებლის განცხადების განხილვის დროს მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი საიმედოობა და უზრუნველყოფის დონე.

სესხის საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებებისა და ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაციის მიერ. ჩვეულებრივ, იგი უნდა აღემატებოდეს სასაზიზო ობლიგაციების განაკვეთს დაფარვის ანალოგიური ვადებით. განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვლადი, კომერციული სესხის გამცემის მონაწილეობის ხასიათის შესაბამისად.

ფერმერების მხარდამჭერ ადმინისტრაციას შეუძლია მოითხოვოს განმცხადებელი მფლობელების ან პარტნიორების უპირობო პირადი გარანტიები. აგრეთვე, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს სესხის მაძიებელთა სიცოცხლის დაზღვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტის მოთხოვნილი თანხა აღემატება 1 მლნ ლარს, აუცილებელია ჩატარებულ იქნეს კვლევა პროექტის განხორციელებადადობის შესახებ.

სესხის გაცემა ბიზნესსა და გადამამუშავებელ მრეწველობაზე, ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაციის პროგრამების ფარგლებში, არ გულისხმობს იმ პირობას, რომ ადმინისტრაციის მიერ გარანტიად დადგომამდე, მაძიებელმა კომერციული ბანკიდან მიიღოს უარი დაკრედიტებაზე.

საყურადღებოა, რომ ბევრ სასოფლო რეგიონში სესხის მიღების შესაძლებლობა ბიზნესისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე გახდება მნიშვნელოვანი ფინანსური სტიმული ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და კაპიტალის ინვესტირების მხრივ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სესხის გაცემის მრავალი წინასწარი პირობის არსებობა ამ ფინანსურ წყაროს გახდის მიუწვდომელს მრავალი დამწყები მენარმისათვის.

LAMARA BERIDZE

*Ilia Chavchavadze Georgian National
University, Full Professor*

TOWARDS THE ESTABLISHMENT OF THE SYSTEM OF STATE FINANCIAL SUPPORT TO FARMERS

S u m m a r y

The agriculture sector in Georgia lacks investments because it is less attractive for investors. The creation of a strong financial basis for the development of agriculture is impossible without government support. It is vital to create a special unit under the Ministry of Agriculture – a unit for supporting farmers.

Farmers' support unit shall provide loans to ensure the development of manufacturing agricultural products, business and food processing industry.

The applicant for support shall consider a number of limitations accompanying the utilization of loans.

Guarantees will be provided for the following:

- Purchase of land and facilities;
- Reconstruction of facilities or building the new ones;
- Purchase of equipment and machinery;
- Purchase of working capital for crating stock and meeting the cash flow needs.

The private capital of the business should make up at least 10% of the total value of the project.

In many rural regions the accessibility of such loans will become an important financial stimulus for agro business and food processing industries for creating new capital investments and work places.

**იამზა ჯაფარიძე, სპარტაკ უროტაძე,
ნანა ჟორჯიანი, მაია გოგალაძე**

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

ახალი თაობის ეკოლოგიურად უსაფრთხო ფიტორეპულატორები

მსოფლიო ცივილიზაციის სწრაფ განვითარებას თან სდევს გარემოს მასიური დაბინძურება. ამიტომ, ეკოლოგიური პირობების გაუარესების გამო, დღეისათვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ჩატარებულ ღონისძიებათა შორის უმნიშვნელოვანესია მიკროელემენტების და ორგანული ნივთიერებების შემცველი ფიტორეგულატორების წარმოება და გამოყენება, რადგანაც მეცნიერთა მიერ “სიცოცხლის ელემენტებად” წოდებული მიკროელემენტების (Ca, Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu, B, Mo) ბიოლოგიური როლი მცენარეთა კვებაში უდიდესი და მრავალფეროვანია. ასევე საყოველთაოდ ცნობილია ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნივთიერებების (ორგანული მჟავები, ოქსიმჟავები, ამინომჟავები და ა.შ.) როლი მცენარეთა ნორმალურ ზრდა-განვითარებაში. მათი დეფიციტი როგორც ნიადაგში, ასევე მცენარეში არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ პროდუქტიულობას და ხარისხს, რასაც საბოლოოდ მიყვავართ ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებისკენ. ამიტომ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახეობიდან გამომდინარე, საჭირო მიკროელემენტების და ორგანული ნივთიერებების ოპტიმალური თანაფარდობით უზრუნველყოფა [1-5].

აგრარული ქიმიის პრობლემათა ლაბორატორიაში მიმდინარეობს კვლევები აღნიშნული საკითხის გადაჭრელად [6-8]. კერძოდ, წყალში კარგად ხსნადი, მდგრადი, დაბალი თვითღირებულების და ეკოლოგიურად უსაფრთხო ორგანო-მინერალური ფიტორეგულატორების შექმნის მიზნით სინთეზირებულია ლიმონის და ქარვის მჟავას შემცველი ნაერთები ზოგადი ფორმულით: $Me \cdot L \cdot nH_2O$, სადაც $Me = Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu$, $L =$ ლიმონის ან ქარვის მჟავას ანიონი, $n = 1-6$. ნაერთების სინთეზისათვის ცალ-ცალკე მომზადდა $Me(CH_3COO)_2 \cdot nH_2O$ და ლიმონის მჟავას (ქარვის მჟავას) წყალხსნარები, გაიფილტრა და შეერია ერთმანეთს. მიღებული ხსნარები კონცენტრირების მიზნით მცირე ხნით მოთავსდა წყლის აბაზანაზე, მიღებული ხსნარის რამდენიმე დღით ოთახის ტემპერატურაზე დაყოვნებისას გამოილექა $Me \cdot L \cdot nH_2O$ ტიპის ნაერთები, სადაც $Me = Mg$ (თეთრი), $Me = Mn$ (ბაცი ვარდისფერი), $Me = Zn$ (თეთრი), $Me = Fe$ (ყავისფერი), $Me = Co$ (ვარდისფერი), $Me = Cu$ (მოცისფერი). მიღებული ნივთიერებები ჩაირეცხა სპირტით, ეთერით და გაშრა ოთახის ტემპ-რაზე. ნაერთების ინდივიდუალობა და შედგენილობა დადგინდა მიკროელემენტური ანალიზის, ლღობის ტემპერატურის (კაპილარული მეთოდი) გაზომვის და რენტგენოგრაფიული კვლევის მეთოდებით. შესწავლილია აგრეთვე ნაერთების თვისობრივი ხსნადობა სხვადასხვა გამხსნელში (წყალი, სპირტი, აცეტონი, დიმეთილფორმამიდი).

სინთეზირებული ნაერთების თერმული მდგრადობის და თერმოლიზის პროცესის თანმიმდევრობის შესწავლის მიზნით ჩატარდა თერმოგრაფიული კვლევა ფ.ჰაულიკ, ი.ჰაულიკ, ლ.ერდის ტიპის დერივატოგრაფზე, ჰაერის თანაობისას. ნაერთები შესწავლილია შემდეგ პირობებში: $TG=200$ მგ, $T=500^{\circ}C$, $DTA=DTG=1/5$; ნიმუშის გახურების სიჩქარე 10 გრად/წთ-ში. თერმოგრაფიკ-რამების ანალიზით დადგენილია, რომ ნაერთების დაშლა მიმდინარეობს საფეხურებად: I – H_2O მოლეკულის მოწყვეტა $110-165^{\circ}C$ ზღვრებში, II – ორგანული ლიგანდების (ლიმონის მჟავა ან ქარვის მჟავა) დაჟანგვა $200-420^{\circ}C$ ზღვრებში, III – ყველა შემთხვევაში თერმოლიზის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ლითონის ოქსიდი MeO .

ნაერთების ინდივიდუალობის დაზუსტების და იზოსტრუქტურულობის დადგენის მიზნით ჩატარებულია რენტგენოგრაფიული კვლევა. ნიმუშების გადაღება წარმოებდა DPON-3M ტიპის დიფრაქტომეტრზე, სპილენძის ანოდის გამოსხივებით. მიღებული ნაერთების იდენტიფიკაცია ხდებოდა ამერიკული კარტოთეკის მიხედვით. რენტგენოგრაფიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიღებულ ნიმუშებში საწყისი ნივთიერებების არსებობა ცალკე ფაზის სახით არ შეინიშნება, რის საფუძველზეც ვასკვნივთ, რომ მიღებულია სრულიად ახალი ინდივიდუალური ნაერთები, რომლებიც

ხასიათებიან მკვეთრად გამოხატული კრისტალური სტრუქტურით. მხოლოდ რამდენიმე მათგანი წარმოადგენს რენტგენოამორფულ ნივთიერებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ რიგი ნაერთები ნყვილ-ნყვილად იდენტიურია, რაც მიუთითებს მათ იზოსტრუქტურულობაზე და გამომდინარეობს მათი ქიმიური შედგენილობის და კრისტალური სტრუქტურების გეომეტრიული მახასიათებლების ანალოგიურობიდან.

სინთეზირებული ნაერთების ფიზიოლოგიური აქტივობის შესწავლის მიზნით მომზადდა ორი ტიპის ფიტორეგულატორი პირობითი სახელწოდებით X (ქარვის მჟავას შემცველი) და Y (ლიმონის მჟავას შემცველი). მათი ოპტიმალური კონცენტრაციის დასადგენად ჩატარდა ლაბორატორიული ტესტირება ხორბლის კულტურაზე (ექსპერიმენტის ხანგრძლივობა იყო 2 თვე); ამისათვის მომზადდა ფიტორეგულატორის 3, 5 და 7%-იანი მუშა ხსნარები, რომლებიც ნინასწარ დამუშავდა 100-100 ცალი ხორბლის მარცვალი და ჩაითესა ექვს სავეგეტაციო ჭურჭელში (საცდელი), ასევე ჩაითესა 100 ცალი ხორბლის მარცვალი მეშვიდე ჭურჭელში მუშა ხსნარით დამუშავების გარეშე (საკონტროლო). ყველა ვარიანტი თავდაპირველად ირწყვებოდა ნყლით, ოთახის ტემპერატურა მერყეობდა 5-11°C ზღვრებში. დაახლოებით 3 კვირის შემდეგ ხორბალმა დაიწყო აღმოცენება; დაკვირვება მიმდინარეობდა აღმოცენებული ღეროების სიხშირეზე და საშუალო სიმაღლეზე. ბარტყობის ფაზის ბოლოს საცდელ ჯგუფებზე შესხურდა X და Y ფიტორეგულატორის 3, 5 და 7%-იანი მუშა ხსნარები. ექვსივე საცდელ-სავეგეტაციო ჭურჭელში საშუალოდ 2-2.5-ჯერ მეტი იყო ღეროების რაოდენობა საკონტროლოსთან შედარებით, ასევე გამოიკვეთა უპირატესობა ღეროების სიმაღლეშიც. ორივე მაჩვენებლით განსხვავება საცდელ და საკონტროლოს შორის შესამჩნევი გახდა საცდელ ჯგუფებზე მუშა ხსნარის შესხურების შემდეგ. დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში საცდელ ვარიანტებში აღმოცენებული ხორბლის ღეროები გაცილებით უფრო ჯანსაღი და ხასხასა მწვანე იყო საკონტროლოსთან შედარებით. ორივე ტიპის ფიტორეგულატორისათვის ყველა მაჩვენებლით გამოკვეთილი იყო უპირატესობა იმ საცდელ ვარიანტებში, სადაც ნიმუშები დამუშავდა 5-5%-იანი მუშა ხსნარებით, რის საფუძველზეც ვასკენით, რომ ორივე ფიტორეგულატორისათვის ოპტიმალური კონცენტრაცია 5%-ია. ამასთან, ჩატარებული ლაბორატორიული ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ კვლევების გაგრძელება საველე პირობებში. ამ მიზნით მომზადდა 5 %-იანი X და Y ფიტორეგულატორების მუშა ხსნარები; სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან შეირჩა ლობიოს ჯიში "ქსანი" (X ფიტორეგულატორისათვის) და საშემოდგომო ხორბლის ჯიში „ბეზოსტაია-1“ და „კოპერი“ (Y ფიტორეგულატორისათვის). ორივე მინდვრული ექსპერიმენტი ჩატარდა 2007-2009წწ. სსიპ. ი.ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის საერთო მომსახურების ლაბორატორიის მიერ სარწყავ პირობებში. სამუშაო შესრულდა ზონისათვის მიღებული აგრონესების შესაბამისად.

ლობიოს მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით, აგროტექნოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მავნებელ-დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებების სწორ გატარებას. საანგარიშო პერიოდში საქართველოში ლობიოზე გავრცელებული იყო შემდეგი სოკოვანი დაავადებები: ანთრაქნოზი, ლობიოს ყანგა, ლობიოს მიკროსფერულა; ვირუსული დაავადებებიდან – ლობიოს რგოლური ლაქიანობა და ჩვეულებრივი მოზაიკა; მავნებლებიდან კი ლობიოს მემარცვლია, ბარდას ბუგრი, ლობიოს ფუზარიოზული ჭკნობა. X ფიტორეგულატორის გამოყენებისას დაკვირვება წარმოებდა მავნებელი დაავადებების განვითარებაზე დინამიკაში. საბოლოო შედეგები მოტანილია ცხრილში 1, საიდანაც ირკვევა, რომ მავნებელ-დაავადებების განვითარების შეზღუდვის თვალსაზრისით ყველაზე უკეთესია მე-4 ვარიანტი.

მაკონტროლ-დაავადებების განვითარება ლობიოს კულტურაზე
X ფიტორეგულატორის გამოყენებისას

ვარიანტები	მაკონტროლ-დაავადებების დასახელება					
	ანთრაქნოზი	ფუზარიოზი		ჩვეულებრ. მოზაიკა	ბუგრები	
	გავრც. (%)	განვით. ინტ. (%)	გავრც. (%)	გავრც. (%)	გავრც. (%)	განვით. ინტ. (%)
საკონტროლო-აგროფონი N30P45R30	30.0	15.2	0.3	0	10	0.5
აგროფონი+ X. თესლის თესვისწინა დამუშავება	20.0	5.8	0.1	0	8	0.1
აგროფონი+ X. ყვავილობამდე შესხურება	15.0	2.3	0	0	0	0
აგროფონი+ X. თესვისწინა დამუშავება+ყვავილობამდე მცენარეებზე შესხურება	10.0	1.2	0	0.1	0	0

დაავადების განვითარების ინტენსივობა 15.2-დან 1.2%-მდე მცირდება. ასევე მცირეა ბუგრების მიერ გამოწვეული დაზიანების პროცენტი საცდელ ვარიანტში საკონტროლოსთან შედარებით (0.5-დან 0.1-მდე). ასევე ჩატარდა ბიომეტრული დაკვირვებები. ლაბორატორიულად აღირიცხა პარკების რაოდენობა მცენარეზე (საშუალო), პარკის სიგრძე (საშუალო), პარკში მარცვლების რაოდენობა (საშუალო), 1000 მარცვლის მასა, მარცვლის მინდვრული და ბიოლოგიური მოსავლიანობები. ბიომეტრული მაჩვენებლებისა და მოსავლიანობის (მინდვრული და ბიოლოგიური) მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 2.

ბიომეტრული მაჩვენებლებისა და მარცვლის მოსავლიანობის მონაცემები

ვარიანტი	პარკის საშ. რაოდ. (ცალი)	პარკის საშ. სიგრძე (სმ)	პარკში მარცვლის საშ. რაოდ. (ცალი)	1000 მარცვლის მასა (გრ-ში)	მარცვლის მოსავლიანობა (ტ/ჰა-ზე)	მარცვლის ბიო. მოსავლიანობა (ტ/ჰა-ზე)
საკონტროლო აგროფონი N30P45R30	9	3.8	4	484	1.29	1.5
აგროფონი+ X. თესლის თესვისწინა დამუშავება	12	4.2	4	563	1.54	2.3
აგროფონი+X, შესხურება ყვავილობამდე	12	4.2	5	570	1.65	2.9
აგროფონი+ X. თესლის თესვისწინა დამუშავება+ შესხურება ყვავილობამდე	11	4.2	5	705	1.47	3.3

ექსპერიმენტის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ X ფიტორეგულატორმა სერიოზული გავლენა მოახდინა მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე, რაც მეტნაკლებად აისახა როგორც ბიომეტრიულ მაჩვენებლებზე, ასევე მოსავლიანობაზე, განსაკუთრებით კი ბიოლოგიურ მოსავლიანობაზე.

რაც შეეხება Y ფიტორეგულატორს, მისი 5%-იანი მუშა ხსნარი ხორბალს შესხურდა ბარტყობის ფაზის ბოლოს. საანგარიშო წლებში ხორბლის კულტურაზე დაავადებებიდან დომინირებდა ჰელმინტოსპოროზი, მურა და ღეროს ჟანგა, ხოლო მავნებლებიდან – ჭია წურბელა. ამიტომ მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში დაკვირვებები წარმოებდა ხორბლის ამ მავნებელ-დაავადებების გავრცელება-განვითარებაზე დინამიკაში. კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილში 3.

ცხრილი 3

მავნებელ-დაავადებათა განვითარება საშემოდგომო ხორბალში
Y ფიტორეგულატორის გამოყენებისას

ვარიანტები	ჰელმინტოსპოროზი		მურა ჟანგა		ღეროს ჟანგა		ჭია წურბელა	
	გავრცელება %	განვით. ინტენსივობა %	გავრცელება %	განვით. ინტენსივობა %	გავრცელება %	განვით. ინტენსივობა %	გავრცელება %	განვით. ინტენსივობა %
ბეზოსტაია-1 (საკონტროლო)	100	9.3	20	8.4	–	–	8.0	1.2
ბეზოსტაია-1 (საცდელი)	60	4.1	15	6.3	–	–	4.0	0.4
კოპერი (საკონტროლო)	100	22.7	30	10.5	20.0	7.8	10.0	3.0
კოპერი (საცდელი)	70	17.7	20	8.3	10	5.1	10.0	2.8

მოსავალი აღებული იყო მარცვლის სრული სიმწიფის ფაზაში. ვარიანტების მიხედვით აღირიცხა მარცვლის მოსავლიანობა; ბიომეტრიული გამოკვლევებიდან ლაბორატორიულად შესწავლილი იყო: 1მ²-ზე ნაყოფიერი თავთავების რაოდენობა, თავთავების სიგრძე, თავთავებში მარცვლების რაოდენობა, 1000 მარცვლის მასა. განისაზღვრა მარცვლის ქიმიურ-ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან სველი წებოგვარას შემცველობა, მარცვლისა და სველი წებოგვარას მინდვრული და ბიოლოგიური მოსავლიანობები. მონაცემები მოტანილია ცხრილში 4.

ცხრილი 4-ის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ნაყოფიერი თავთავების რაოდენობა I და II ვარიანტში (ბეზოსტაია-1 საკონტროლო და საცდელი) თანაბარია, აღნიშნული მაჩვენებელი კოპერ-საკონტროლოში ყველაზე დაბალია, ხოლო კოპერ-საცდელში – მნიშვნელოვნად აღემატება ყველა დანარჩენ ვარიანტს.

ექსპერიმენტის მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ Y ფიტორეგულატორის მოქმედებამ გარკვეული შედეგები გვიჩვენა, არის განსხვავებები როგორც ბიომეტრიულ მაჩვენებლებში, ასევე მარცვლის მოსავლიანობებში და ქიმიურ-ხარისხობრივ მონაცემებშიც. იგივე შეიძლება ითქვას მავნებელ დაავადებათა გავრცელება-განვითარების შეზღუდვის მხრივაც.

ცხრილი 4

ბიომეტრული მაჩვენებლების, მარცვლის მოსავლიანობის, სველი ნებოგვარას შემცველობის და მოსავლიანობის შედეგები

	ვარიანტები	ნაყოფიერი თაფთაგების რაოდ. (1მ ²)	თაფთაგების საშ. სიგრძე (სმ.)	თაფთაგში მარცვლის საშ. რაოდენობა (ცალი.)	1000 მარცვლის მასა (გრ)	მარცვლის მოსავლიანობა (ტ/ჰა)	მარცვლის ბიო. მოსავლიანობა (ტ/ჰა)	სველი ნებოგვარას შემცველობა. %	სველი ნებოგვარას მოსავლიანობა (ტ/ჰა)	სველი ნებოგვარას ბიო. მოსავლიანობა (ტ/ჰა)
1	ბეზოსტაია-1 (საკონტროლო)	508	7.9	24	44	4.16	5.4	42	1.75	2.27
2	ბეზოსტაია-1 (საცდელი)	508	8.2	28	44	4.40	6.3	43	1.89	2.71
3	კოპერი (საკონტროლო)	408	8.2	31	40	4.18	5.1	35	1.46	1.79
4	კოპერი (საცდელი)	560	8.0	35	40	5.16	7.8	36	1.86	2.81

Y ფიტორეგულატორის მოქმედებამ დადებითი გავლენა მოახდინა საშემოდგომო ხორბლის ზრდა-განვითარებაზე, რაც საბოლოოდ აისახა მოსავლიანობასა და ხარისხზე.

სამი წლის განმავლობაში ლობიოს და ხორბლის კულტურებზე სავსე პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე ვასკენით, რომ ლაბორატორიაში სინთეზირებული და მათ საფუძველზე შექმნილი ორგანო-მინერალური ფიტორეგულატორები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სხვა კულტურებზეც; ამდენად, მსგავსი ტიპის ნაერთების სინთეზი და მათ საფუძველზე ორგანო-მინერალური ფიტორეგულატორების მომზადება საინტერესოა როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით და შესაძლებელია შეიქმნას საწარმოო მნიშვნელობის ეკოლოგიურად უსაფრთხო, იაფი, უნარჩენო ახალი თაობის ფიტორეგულატორები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Микроэлементы в сельском хозяйстве /Под ред. С.Ю., Булыгина. – Днепропетровск. Днепркнига. – 2003. с. 80.
2. Булыгин С.Ю. Демишев Л.Ф., Доронин В.А., Заришняк Я.В., Пашенко, Ю.Е. Туровский, Фатеев А.И., Яковенко М.М., Кордин А.И., Микроэлементы в сельском хозяйстве. Дніпропетровськ, Січ. 2007.
3. Анспок П.И., Микроудобрения. Москва. Агропромиздат, 1990.
4. Карапетян Г.О., Карапетян К.Г. Минеральные удобрения XXI века в свете проблем экологии. Научно-технические ведомости. СПбГТУ. 2000, №1, ст.19.
5. www.bhz. Kosnet.ru Органо-минеральное удобрение „Универсальное”.
6. ი. ბეშკენაძე, ს. უროტაძე, ნ. ჟორჯოლიანი, მ. გოგალაძე, ნ. ოსიპოვა, თ. კვერნაძე. „მიკროელემენტების შემცველი ხელატური სასუქი”, „საქპატენტი” 2011. პატენტი, P11719.
7. Urotadze S., Beshkenadze I., Zhorzholiani N., Gogaladze M., Sakvarelidze T., Gogua D. “Synthesis and Investigation of Micro Fertilizers Microelements” Annals of Agrarian Science 2010, vol.8, #2, pp.20-23.
8. ს. უროტაძე, ი. ბეშკენაძე, ნ. ჟორჯოლიანი, თ. საყვარელიძე, მ. გოგალაძე, მ. ბარისაშვილი, ბ. ნერეთელი, ე. მოთიაშვილი, ნ. სულამანიძე. „ქარვისმუჯავას და მიკროელემენტების შემცველი ფიტორეგულატორი”, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომამბე”, 2009, 25, გვ.17-20.

**IAMZE BESHKENADZE, SPARTAK UROTADZE,
NANA ZHORZHOLIANI, MAIA GOGALADZE**

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

A NEW GENERATION OF ENVIRONMENTALLY SAFE PHYTO REGULATORS

S u m m a r y

In order to create environmentally friendly, low cost, stable, well soluble in water organic-mineral phyto regulators, citric and succinic acid containing compounds with the general formula $Me \cdot L \cdot nH_2O$, where $Me = Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu, B, Mo$. $L =$ anion of citric or succinic acid $n = 1 \div 6$ were synthesized. Their composition and individuality were established by using the methods of micro-elemental analysis, melting point determination and X-ray survey. The qualitative solubility in various solvents was studied. By using thermo graphical method it was established that the process of thermolysis proceeds step by step and the final product of decomposition of all compounds is MeO . Iso structure rows were detected on the basis of X-ray research. In general, the compounds are characterized by crystal structure; only some of them represent X-ray amorphous matter.

Physiological activity of two synthesized phyto regulators with conventional names X (with succinic acid) and Y (with citric acid) was studied. Laboratory testing was carried out on wheat plants for determining optimal conditions. The obtained results show that the optimal concentration is 5% for both phyto regulators. According to the same test results, we considered it reasonable to continue our research in field conditions. Field experiments were carried out in 2007-2009 by the laboratory of common service of Lomouri Institute of Agriculture in irrigation conditions. X phyto regulator 5% solution was tested on the bean culture, and that of Y phyto regulator – on wheat culture. The observation was carried out on spread and development of pest diseases, biometric indicators and grain harvest.

Experimental data show that phyto regulators with conventional names X and Y had a positive impact on reducing pest disease spread-development and on biometric indicators as well, which, in its turn, manifested itself in harvest increase and quality.

ზვიად ბეშქენაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

შოთა ზვიადაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი*

აგროსამრეწველო კომპლექსის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები

აგრარული სექტორი ყოველთვის წარმოადგენდა ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. მისი მდგომარეობა დღესდღეობითაც არსებით ზეგავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

ამ დარგის პრიორიტეტულობა განპირობებულია იმით, რომ ქვეყანა ფლობს პოტენციურ კონკურენტუნარიანობას აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებაში. როდესაც ვსაუბრობთ აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობაზე, განსაკუთრებული როლი ენიჭება თვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო ბაზრებზე. სწორედ კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს პროდუქციის გასაღების შესაძლებლობას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის (ასკ) კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მისი შემდეგი ძირითადი მიმართულებების კონკურენტუნარიანობა: I – სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების (სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოება) კონკურენტუნარიანობა; II – სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის (კვების, მსუბუქი მრეწველობა და სხვ.) კონკურენტუნარიანობა; III – სოფლის მეურნეობასთან და მის გადამამუშავებელ მრეწველობასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, მინერალური გამამდიდრებლების წარმოება და ქიმიური მრეწველობა და სხვ.) კონკურენტუნარიანობა; IV – ინფრასტრუქტურული მიმართულებების (ტრანსპორტირება, დისტრიბუცია, დასაწყობება, მშენებლობა, კადრების გადამზადება ასკ-ის სფეროებში და სხვ.) კონკურენტუნარიანობა; დაბოლოს, V – ქვეყნის, მთლიანად ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ანუ კონკურენტუნარიანობა მაკროდონეზე.

თუ მივმართავთ მ. პორტერის შეხედულებების ინტერპრეტაციას კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობა უპირველეს ყოვლისა კავშირშია ისეთ საბაზისო ფაქტორებთან, როგორიცაა: ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; გეოგრაფიული მდებარეობა; რესურსული თავისებურებები – მაღალნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები, მტკნარი წყლის მარაგები, საძოვრები, მრავალწლიანი ნარგავები, სხვადასხვა კულტურები, ტყეები და სხვ; მაღალკვალიფიციური და იაფი შრომითი რესურსები. ასევე, ისეთი შიდადარგობრივი და მთლიანად ინფრასტრუქტურისა და სპეციალიზებული ფაქტორების არსებობასთან, როგორიცაა: გამართული სამელიორაციო სისტემები და სასაწყობო მეურნეობები; სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები; ელ. ენერჯით, გაზითა და წყლით სტაბილური მომარაგება; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გზები, ხიდები, კავშირგაბმულობის სისტემები; მონესრიგებული სოციალური ინფრასტრუქტურა (საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები) და სხვ. თუმცა მიგვაჩნია, რომ სხვა დარგებისგან განსხვავებით (მაგ.: გადამამუშავებელი მრეწველობა), სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოების კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც საბაზისო ფაქტორებს უკავიათ. განხილული ფაქტორები შეიძლება ზოგადად მივაკუთვნოთ მიწოდების ფაქტორებს. ასევე უნდა გამოიყოს მოთხოვნის ფაქტორები. ის ყალიბდება როგორც უშუალოდ მოსახლეობიდან, აგრეთვე მისი გადამამუშავებელი მრეწველობიდან. მიწოდების ფაქტორები, მოთხოვნის ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავენ დარგის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალიზებულ ფაქტორთა მნიშვნელობა კონკურენტუნარიანობის მიღწევაში დღესდღეობით არსებითია უკლებლივ ყველა დარგში, მათ შორის საბაზისო ფაქტორებზე დამოკიდებულ ისეთ „კონსერვატიულ“ დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა.

ასკ-ის ხერხემლის – სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესია წარმოების მდგომარეობა და მისი სანარმოო-ეკონომიკური პოტენციალი: შრომითი, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, საინფორმაციო, ფინანსური და სხვ. არსებითია ასევე სპეციალიზებულ ფაქტორთა მნიშვნელობა – სანარმოო მართვის თანამედროვე სისტემების, ინოვაციების გამოყენების შესაძლებლობა, სანარმოო გამოცდილება, სამეცნიერო-კვლევითი, მარკეტინგული პოტენციალი და სხვ.

რამდენადაც აგრარულ სფეროსთან დაკავშირებული სამრეწველო დარგები წარმოადგენენ კაპიტალტევად, მაღალტექნოლოგიურ დარგებს, მათი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მთავარია კაპიტალის მოცულობა და მისი ხარისხი, მაღალკვალიფიციური შრომის არსებობა, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების დანერგვის შესაძლებლობები და სხვ.

რაც შეეხება ასკ-თან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს. დარგების მომსახურე ინფრასტრუქტურული სფეროების განვითარება დამოკიდებულია თვით ამ დარგების მდგომარეობაზე და ის რაიმე განსაკუთრებულ ფაქტორთა არსებობასთან არ არის დაკავშირებული. თუმცა ისეთი ფაქტორის მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო, მოცემულ სფეროში არსებითია.

რაც შეეხება ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. როგორც მ. პორტერის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომიდან – „კონკურენცია“ – გამომდინარეობს, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არ წარმოადგენს: მაკროეკონომიკის გამოვლინებას – ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრების მართვის შესაძლებლობას, როგორცაა: ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და თვით ეკონომიკური ზრდაც კი და სხვ.; არც იაფფასიანი შრომისა თუ სხვა რესურსების სიჭარბის შედეგს; არც კონკურენტუნარიანობის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ისეთი მეთოდებით გამოყენების შედეგს, როგორცაა: ლობიზმი, დარგების სუბსიდირება, იმპორტის შეზღუდვა და სხვ., არამედ ის მიიღწევა მწარმოებლურობის ამალღების გზით, რომელიც, თავის მხრივ, კაპიტალის, შრომითი და სხვა არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებითაა შესაძლებელი. მისი აზრით, ქვეყნის დონეზე კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება რესურსების გამოყენების პროდუქტიულობითა და გამოგონებებისა და ინოვაციების დანერგვის უწყვეტი პროცესის საფუძველზე მისი ამალღების უნარით.

დღესდღეობით ქვეყნის ხელთ არსებული ფაქტორები შესაძლებლობას იძლევა განვითარდეს (მაშასადამე, მიღწეულ იქნეს კონკურენტუნარიანობაც) მნიშვნელოვანწილად სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება, გარკვეულწილად – მისი გადამამუშავებელი მრეწველობა, ნაწილობრივ – მათთან დაკავშირებული სამრეწველო დარგები.

თუმცა, ფაქტორთა ანაკრები, რომელსაც ფლობს ქვეყანა, განსაზღვრავს მხოლოდ მის პოტენციურ კონკურენტუნარიანობას იმ დარგებში, სადაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოცემული ფაქტორები. ქვეყნის განსაზღვრული ფაქტორებით უზრუნველყოფა ავტომატურად არ განაპირობებს არც ცალკეულ სანარმოთა თუ დარგთა და არც მთლიანად ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. აქ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტორთა: გამოყენების ხარისხს, კვლავწარმოებით პროცესებში ჩაბმის ეფექტურობას, განახლებადობას, მათ ერთმანეთთან რაციონალურად შეხამებას როგორც მიკრო დონეზე – ცალკეული სანარმოების თუ დარგების მხრიდან, ასევე მაკრო დონეზე – მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. რესურსების რაციონალური განთავსება-გამოყენება და მათი ერთმანეთთან ეკონომიურად, გონივრულად შეთავსება მიკრო დონეზე განსაზღვრავს ცალკეული სანარმოების კონკურენტუნარიანობას, ცალკეული სანარმოების კონკურენტუნარიანობა კი – მთლიანად დარგების კონკურენტუნარიანობას, საერთოდ დარგების კონკურენტუნარიანობა კი – საბოლოოდ კონკურენტუნარიანობას მაკრო დონეზე, ანუ მთლიანად ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

უფრო მეტიც, თანამედროვე პირობებში ქვეყნის გარკვეული ფაქტორებით უზრუნველყოფა გადამწყვეტ როლს აღარ ასრულებს ცალკეული დარგის კონკურენტუნარიანობის მიღწევაში. რამდენადაც საერთაშორისო ვაჭრობის ეტაპობრივი ლიბერალიზაციის პარალელურად მოხდა სანარმოო ფაქტორებზე ფასების გამოთავისუფლება მსოფლიო მასშტაბით; ამაღლდა სანარმოო ფაქტორთა ეროვნული თუ ინტერნაციონალური ბაზრების ეფექტურობა. ამგვარად, დღესდღეობით მათი უმრავლესობა ყველა ქვეყნისათვის ფაქტობრივად ერთნაირად ხელმისაწვდომია როგორც რაოდენობრივი, ასევე ღირებულებითი ფორმით.

ამგვარად, ასკ-ის კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის აუცილებელი არ არის ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნეს ყველა მისი მიმართულების განვითარება. მაგალითად, საქართველოში დღესდღეობით შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ისეთი ქვედარგების აღორძინება-განვითარება, როგორცაა: ტრაქტორებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითადი მანქანა-მონყობილობების წარმოება. რამდენადაც, ჯერ ერთი, ქვეყნის ტექნოლოგიური

მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა და მეორე, ყველაზე არსებითი, ამ ტიპის საქონელზე შიდა ბაზრის მოთხოვნის მასშტაბები იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მოხდეს მოცემული მიმართულებების განვითარება. (როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, სწორედ საკმარისი მოცულობის საშინაო მოთხოვნის არსებობა წარმოადგენს ცალკეული დარგის განვითარების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას). ე. ი. აგრარული სექტორისთვის და მისი გადამამუშავებელი მრეწველობისთვის აუცილებელი ტექნიკა შეიძლება შემოტანილ იქნეს უცხოეთიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ასკ-ის ნორმალური ფუნქციონირებისთვის და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობები არსებობს, ის ღრმა კრიზისში იმყოფება. ამის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს: აგრარული ეკონომიკის ტექნოლოგიური დეგრადაცია, ძირითადი კაპიტალის ფიზიკური და მორალური ცვეთა; ფასების (და, აქედან გამომდინარე, ასევე შემოსავლების) დისპარიტეტის არსებობა, რომელიც არსებობს: ჯერ ერთი, თვით აგროსამრეწველო კომპლექსში, მის რგოლებს შორის – ერთი მხრივ, ძალზე დაბალი ფასები სოფლის მეურნეობის ძირითად ნედლეულზე და შედარებით მაღალი – მისი გადამამუშავებით მიღებულ საქონელზე – სასურსათო საქონელზე, მეორე მხრივ – აგრარული წარმოების პროცესში გამოყენებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და მომსახურებაზე და აგრარულ პროდუქციაზე; შემდეგ მეორე, სამრეწველო საქონელზე მაღალი და აგროსასურსათო საქონელზე დაბალი ფასები. ფასების დისპარიტეტი განაპირობებს საქონელმწარმოებლების დაბალ მსყიდველუნარიანობას და რენტაბელობას. მათ არ შეუძლიათ განახორციელონ გაფართოებული კვლავწარმოებისათვის ძირითადი საშუალებების შექმნა. ურთიერთდამოკიდებული ჯაჭვი – დარგთაშორისი საფასო ურთიერთობა ასკ-ის სისტემაში: წარმოება – გადამამუშავება – ვაჭრობა, ნაკლებად ასახავს სოფლის მეურნეობის ინტერესებს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აგროსასურსათო საქონლის მოთხოვნის სტრუქტურასთან, მოცულობასთან და, მაშასადამე, ფასებთანაც დაკავშირებით 2010 წლიდან მსოფლიოში (მათ შორის საქართველოშიც) დადებითი ტენდენციები შეინიშნება – დინამიკურად იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა აგროსასურსათო საქონელზე, სტაბილურად მატულობს აგრეთვე მასზე ფასებიც. შედეგად, მცირდება საფასო დისპარიტეტი და იზრდება დარგების რენტაბელობა. გამომდინარე აქედან, დარგი უფრო მიმზიდველი ხდება.

აღნიშნული ტენდენციები აზიის ქვეყნებში (უპირველესად ჩინეთში) მაღალი ეკონომიკური ზრდისა და შემოსავლების მატების ობიექტური შედეგია. აგროსასურსათო საქონელზე მოთხოვნა არც ისე არაელასტიკური აღმოჩნდა შემოსავლების (და არც ფასების) მიხედვით, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული.

კრიზისის მიზეზებიდან ასევე შეიძლება გამოვყოთ: ასკ-თან დაკავშირებული და მისი მონათესავე დარგების განვითარების არარსაკმარისი დონე, მის ქვედარგებს შორის ინტეგრაციისა და კოოპერაციის დაბალი მასშტაბები ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ქრილში. მსხვილი კლასტერული გაერთიანებების არარსებობა მოცემულ სექტორში; ასკ-ის რესურსული პოტენციალის გამოუყენებლობა; საბაზრო და სანარმოო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა; შედარებით მძიმე სოციალური ფონი სოფლად; აგროსასურსათო წარმოებაზე სახელმწიფო მხარდაჭერის არასაკმარისი დონე და სხვ.

თუმცა მოცემული მიმართულების განვითარებისთვის ქვეყანაში გარკვეული წინაპირობები იქმნება, ესენია: დინამიკურ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა; მოსახლეობის შემოსავლების ზრდის კვალობაზე სასურსათო ბაზრის ტევადობის გაზრდა; სურსათის წარმოების კონკურენტუნარიანი კლასტერების ფორმირება და შედეგად ქვესექტორებს შორის კოოპერაციული კავშირების გაღრმავება; საერთაშორისო დონეზე კოოპერაციული ურთიერთობების დამყარება; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ახალ, ტევად (ძირითადად ევროპულ) ბაზრებზე გასვლა; ინფრასტრუქტურის წამყვანი სფეროების აღორძინება; სოციალური ინფრასტრუქტურული ფონის გაუმჯობესება; ტურიზმის მაღალი ტემპებით განვითარება, შედეგად იქმნება დამატებით გადახდისუნარიანი მოთხოვნა ადგილობრივ აგროსასურსათო პროდუქციაზე; სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის გაძლიერება და სხვ.

იმისათვის, რომ ქვეყანაში დაიწყოს აგროსამრეწველო წარმოების მდგრადი აღდგენის პროცესი და საბოლოოდ შეიქმნას კონკურენტუნარიანი ასკ, აუცილებელია თანმიმდევრული სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის გატარება, რომელიც ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს ინსტიტუციურ გარდაქმნებს, მძლავრი სახელმწიფო მხარდაჭერის გამოყენებას. მთლიანობაში აგრარული პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკის სტრუქტურულ რეკონსტრუქციას, სადაც მიღწეული იქნება ასკ-ის ყველა რგოლის სინქრონული განვითარება, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების, ნოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენების საფუძველზე სანარმოო სიმძლავრეების მოდერნიზაცია-ამაღლება.

როგორც მსოფლიო განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, სადაც არის აგრარული პროტექციონიზმის აქტიური პოლიტიკა და სახელმწიფოს ძლიერი მხარდაჭერა, იქ არის ძლიერი აგრარული სექტორი.

რა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ? როგორი უნდა იყოს მხარდაჭერის მექანიზმები?

სახელმწიფომ პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს: ეფექტური, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა; სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება; ინოვაციური მოღვაწეობის სტიმულირება; მინის ფონდების გამოყენების გაუმჯობესება; თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადასვლისთვის ხელშეწყობა, ბიოტექნოლოგიების მიღწევების დანერგვა; მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების მოპოვებასა და გამოყენებაში დახმარება, რამდენადაც ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების ინოვაციური ბუნება ამაღლებს აგროტექნოლოგიების რესურსდამზოგავ პოტენციალს; დარგთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების ოპტიმიზაცია; სუბრეგიონული კლასტერების (შესაძლებელია, ტურიზმისა და ასკ-ის საფუძველზე) შექმნის სტიმულირება; სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულების მსხვილ ჰოლდინგებად გაერთიანება (ვერტიკალური ინტეგრაცია); ვერტიკალურ-ინტეგრირებული აგროსამრეწველო ჯგუფების შექმნა ბანკებისა და სახელმწიფოს გარკვეული მონაწილეობით, რამეთუ ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურა შესაძლებლობას მოგვცემს, მოვახდინოთ აგრარული სექტორისთვის ყველაზე დეფიციტური რესურსის – საკრედიტო, ფინანსური რესურსის აკუმულირება; შიდა მოთხოვნის ზრდის უზრუნველყოფა, რამეთუ ზრდადი მოთხოვნა ყველაზე ფართო პერსპექტივას ქმნის არსებული სიმძლავრეების გაზრდისა და ახალი აგრონარმოებებისა და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნისათვის; პორტფელური და სტრატეგიული ინვესტიციების დაინტერესება, რამეთუ ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის განვითარება; საბაზრო, დარგობრივი და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლად უმუშევრობის შემცირება და სხვ.

მხარდაჭერის მექანიზმი შეიძლება იყოს როგორც საბიუჯეტო (როგორც ფედერალური, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან), ასევე არასაბიუჯეტო. სახელმწიფო მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს ფასებისა და ტარიფების რეგულირებას, ექსპორტისა და იმპორტის რეგულირებას, შეღავათების დაწესებას, შეზღუდვებსა და აკრძალვებს და ა. შ.

შეიძლება განხორციელდეს (განსაკუთრებით ეფექტურია) სახელმწიფო მხარდაჭერის შემდეგი მექანიზმები:

საგადასახადო პოლიტიკა – აგრარული სფეროსთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთების შემოღება, ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების გადასახადებიდან განთავისუფლება, პროგრესული საგადასახადო სისტემის დამკვიდრება (უპირველეს ყოვლისა, რთულად დიფერენცირებული სამემოსავლო გადასახადის შემოღება იმისათვის, რომ მოხდეს მოსახლეობის ფენებს შორის პოლარიზაციის შემცირება, სა-მომხმარებლო მოთხოვნის ზრდა და მისი სტრუქტურის გაუმჯობესება);

საბიუჯეტო პოლიტიკა – სოფლის მეურნეობაზე თანხების გამოყოფა; სოციალურად დაუცველ ადამიანებზე (ინვალიდებზე, პენსიონერებზე და ა. შ.) სასურსათო დახმარების განევა; სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს ასევე აგროსამრეწველო საწარმოებისთვის კრედიტების პროცენტის სუბსიდირება; ფედერალური და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება; რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო მხარდაჭერა ლიზინგისა და დაზღვევის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაში; სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებების გამოყოფა საწარმოებზე, გაყიდულ პროდუქციაზე ზარალის დასაფარავად; სამეცნიერო გამოკვლევებზე მხარდაჭერა და სხვ.

საფასო პოლიტიკა – აგროსასურსათო პროდუქციის ყიდვა ან გაყიდვა, ბაზარზე სასაქონლო ინტერვენცია, სასურველი ფასების შენარჩუნების მიზნით. ფასების მერყეობების ზედა და ქვედა ზღვარის დაწესება. სახელმწიფო აწესებს გარანტირებულ ფასებს ფერმერების პროდუქციაზე და საჭიროების შემთხვევაში ახდენს პროდუქციის შეძენას ამ ფასში, იცავს რა ამით სოფლის მეურნეობის წარმოებას ფასების მერყეობებიდან და სხვადასხვა რისკებიდან. თუ საფასო კუნიუნქტურა უარესდება, ფერმერს შესაძლებლობა აქვს ჩააბაროს სახელმწიფოს პროდუქცია გარანტირებულ ფასებში. ეს წარმოადგენს ფასების მხარდაჭერის საბაზრო მექანიზმს – ჭარბი პროდუქციის შესყიდვა ჭარბწარმოებისას და, პირიქით, სახელმწიფო მარაგების ბაზარზე გამოტანა, თუ ფასი იწყებს მატებას და აჭარბებს დაშვებულ ზღვარს. აგრარული სექტორის დაბალრენტაბელური ქვედარგების პროდუქციაზე გარანტირებული ფასების დაწესებით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ამ დარგებში მინიმალური რენტაბელობა და შემოსავლების ისეთი დონე, რომელიც საკმარისი იქნება გაფართოებული კვლავწარმოებისათვის; მონოპოლისტებისთვის, რომლებიც აწვდიან აგრარულ სექ-

ტორს საჭირო მასალებსა და საქონელს, მის ფარგლებში ფასების ზღვრული დონეების დაწესება რენტაბელობის გათვალისწინებით; ფასების პარიტეტის მონიტორინგი და დისპარიტეტის შემთხვევაში მისი თანაფარდობის გაუმჯობესება; შესყიდვებისა და სასაქონლო ინტერვენციების განხორციელება; ზღვრული (დამცავი) ფასების დაწესება, როდესაც ფასები საშინაო ბაზარზე გაცილებით მაღალია იმპორტულთან შედარებით და ადგილობრივი პროდუქციის გასაღება გართულებულია; სატრანსპორტო ტარიფების დიფერენციაცია სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაზიდვისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს ასკ-ის სხვადასხვა დარგის შემოსავლიანობის, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების პარიტეტის სისტემატური მონიტორინგი. აგრარულ სექტორზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების უმეტესი ნაწილი კი სწორედ ფასების მხარდაჭერაზე მიემართება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – მისი საშუალებით მთავრობა იმოქმედებს ფულის მიმოქცევაზე. ეკონომიკაში ის შეიძლება გატარდეს იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს პრიორიტეტების განვითარებას ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ფასების არსებით ზრდას. ემისია შეიძლება განხორციელდეს ასკ-ის შეღავათიანი დაკრედიტების ფორმით უშუალოდ სამთავრობო არსების ან კომერციული საბანკო ქსელის საშუალებით, საინვესტიციო პროექტების განხორციელების გზით, მოსახლეობის რეალური ფულადი შემოსავლების ამალღების საშუალებით (პენსიების, სოციალურად დაუცველ ფენებზე დახმარებების საარსებო მინიმუმთან გათანაბრება, საბიუჯეტო სექტორებში ხელფასების ზრდა და სხვ.). ასეთი ემისია არ იქნება ინფლაციური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად გატარდება ბაზრის დაცვის პროტექციონისტური პოლიტიკა.

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა – საბაჟო-სატარიფო, სავალუტო კურსის რეგულირება; უცხოური სესხებისა და ინვესტიციების გამოყენება; სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების აღდგენა ყოფილ პარტნიორ, მეზობელ ქვეყნებთან; სხვადასხვა ეკონომიკურ ბლოკთან ინტეგრაციული კავშირურთიერთობების გამყარება და სხვ.

საბაჟო ტარიფების, ანტიდემპინგური ბაჟების, იმპორტული კვოტების და ბაზრის დაცვის სხვა მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია შიდა სასურსათო ბაზარზე მოთხოვნის გაზრდა და შიდა წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მსოფლიოში შეინიშნება ასკ-ზე სახელმწიფო მხარდაჭერის შემცირების ტენდენციები, რაც მსოფლიოში სასურსათო საქონელზე ფასების ზრდითაა განპირობებული. სახელმწიფო მხარდაჭერის მასშტაბები მოცემულ სფეროში ისევ დიდია და სოფლის მეურნეობა მსოფლიო ეკონომიკაში დღესდღეობითაც წარმოადგენს პროტექციონიზმით ერთ-ერთ ყველაზე დახურულ დარგს. მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრ-ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დარგების სატარიფო მხარდაჭერის დონე საშუალოდ 62%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ეკ-ში 20,5%-ის ტოლია.

პროტექციონიზმი ძირითადად გამოიხატება არა მარტო საბაჟო-სატარიფო მხარდაჭერაში, არამედ კოლოსალურ სუბსიდიებშიც. მსო-ს წევრი ქვეყნები სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით ხარჯავენ მილიარდობით დოლარს მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების უმეტესობა ნეგატიურად ზემოქმედებს მსოფლიო სოფლის მეურნეობის ბაზარზე, განაპირობებს რა ჭარბწარმოებასა და ფასების ვარდნას მის პროდუქციაზე.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი იქნება მიღწეულ იქნეს მთლიანად ასკ-ის კონკურენტუნარიანობა, რაც მისი მდგრადი განვითარებისათვის და, საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან წინაპირობებს შექმნის.

ZVIAD BESHKENADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

SHOTA ZVIADADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
MA student*

**MAJOR FACTORS DETERMINING THE COMPETITIVE CAPACITIES
OF AN AGRO-INDUSRIAL COMPLEX**

S u m m a r y

The given work examines issues linked with the competitive capacities of agro industrial sector. It is substantiated that the competitive capacities of agro industrial complex are defined by competitive capacities of such directions as primary manufacture of agriculture and its manufacturing industry, industrial and infrastructural branches linked with agriculture and its manufacturing industry; also, competitive capacities of the whole country's economy. The complex of factors which the country possesses defines its potential competitive capacities in the basic branches, and the degree of usefulness of these factors defines its real competitive capacities. The competitive capacities of specific branches can be achieved even in the conditions of deficiency of the necessary factors by means of their import from abroad and their rational combination,. The state arrangement complex in the policies of taxation, budgetary, price control, monetary and credit as well as foreign economy has been offered for ensuring the increase in competitive capabilities of the agro industrial complex.

TAMAZ BICHASHVILI

Georgian Agrarian University

Doctor of Technical sciences

TENGIZ IVANIDZE

THE DEVELOPMENT OF A DATABASE FOR THE MARKETING SYSTEM “AGROMONITOR”

In spite of the ongoing reforms, in Georgia the level of informational-methodological and consultative support in the agrarian sector is still low. Though the Department of Statistics till June 2008 had published 34 issues of newsletter, reflecting the trends of food provision; also during two years was publishing the newsletter of “Agroinform”, the majority of the employed in diversified (because of diverse soil-climatic conditions) agrarian sector still are not aware of modern technologies of farming, production and selling. For a great part of farmers in the newly started medium, as well as for small farms working in the conditions of informational vacuum and non existence of the appropriate consulting service, it is difficult to make the right decisions timely. In addition, they often have to wait for several days for agricultural machinery necessary for tillage, harvesting and other operations. Most of this machinery is obsolete, useless for exploitation and systematically falls out. It causes delays and malfunction of urgent works. Therefore: it sharply raises the probability of risk-factors, also irrecoverable errors and crashes of new initiatives, especially in cases of perennials and vineyards; a great part of the population working in the conditions of farm economy is obliged to turn to manual labor, use the low-quality or sometimes adulterated fertilizers and pesticides; often in case of deficiency of some products there is an overproduction of other products, cultivation of low-competitive agricultural plants not corresponding with agro ecological conditions of particular land plots owned by farmers, and so on.

All these factors, together with some others, stipulate for poor common economic background, cause skeptical attitude of the population toward new initiatives, have a negative impact on the product cost price and on the food security of the country.

Based on the above mentioned, the marketing, consultative, promotional, informational and other technological provisions in the fields of production, processing and selling will significantly improve the existing situation.

As an example of informational-technological provision of winegrowing, we have developed information database “Agromonitor” which includes: informational-marketing database on production and spreading of some unique endemic sorts of vine; informational-consultative data about the conditions for winegrowing in Mukhrani Valley; informational-consultative data and corresponding recommendations on modern technologies of winegrowing; database of informational web-resources on winegrowing and winemaking; data about modern methods of plant diagnostics and the possibilities of their usage in different fields of plant growing and cattle-breeding; the algorithm for interconnection, system analysis, reliable and effective work of different types of databases.

For the development of databases of “Agromonitor” – our informational-analytical, consultative and marketing system, the works are conducted in two directions:

a) Updating and filling out the database with data, such as:

- Market demand on priority crops traditionally produced in Georgia; estimated quantity of production and its influence on the processes of pricing and turnover in the home and export markets;
- Optimal vegetation conditions of cultivation of priority crops by sectors;
- Zonal soil-climatic, ecological, ameliorative and other practically significant data;
- Information about seed and planting materials, grafting components, fertilizers, pesticides, possibilities of introduction of new breeds of cattle, poultry and plants considering conditions of our country;
- Information about agricultural machinery, modern technologies, fertilizers, pesticides, veterinary medicines, their prices and possibilities of importing into Georgia;
- Possibilities to filling up (even if partially) of the deficiency in critical products in the EU and world market with products from Georgia.

b) Technological improvement of analytical, forecasting system and marketing tool “Agromonitor”, which will:

- Provide calculation of quantities of production in different sectors needed according to the market demand on corresponding products;
- Define possibilities of creation of comfortable conditions for production of competitive products in a particular region or area;
- Define correspondence of natural conditions of the local zone or area with the conditions necessary for cultivation of alien critical crops;
- Reveal acting and reserve resources in the particular zone or farm, in case of deficiency find the ways of its elimination;
- Define productivity, forecast expansion of diseases and pests and find the ways of their prevention;
- Provide dissemination of modern methods, technologies and recommendations approved in the world practice through the own network and mass media.

Expected Results

Applying the system approach constructed on the social-economic basis, in the conditions of global economic crisis and increased risks, the analysis of measures required for raising of food security for Georgia will be alleviated; the methodological basis for the creation of agro monitoring system of food security and safety as well as the conditions of sustainability of agriculture will be elaborated; planning of the activities necessary for satisfaction of requirements for conservation of agro biodiversity will be alleviated; an effective system for management of modern e-commerce in the agrarian sector will be created; the existing resources for production of priority crops and opportunities for dissemination of some unique varieties in other areas will be revealed; the initial basis for creation of regional offices of consulting and services for farmers will be prepared; productivity of farming lands and effectiveness of production, processing and realization will be raised; new jobs and additional opportunities for the advancement of farming activities for village population will be created, All this will enhance the working and living conditions and investment environment.

თამაზ ბიჭიაშვილი

*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

თენგიზ ივანიძე

მარკეტინგული სისტემა „აგრომონიტორის“ მონაცემთა ბაზის განვითარება

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მიმდინარე რეფორმათა მიუხედავად, დღეისათვის საქართველოს აგრარულ სექტორში მაინც დაბალია საინფორმაციო-მეთოდური და საკონსულტაციო უზრუნველყოფის დონე. ჩვენ მიერ დამუშავებული საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა „აგრომონიტორი“-ს მონაცემთა ბაზების განვითარების მიზნით ტარდება მუშაობა ორი მიმართულებით:

ა) „აგრომონიტორის“ მონაცემთა ბაზის განახლება და შევსება ისეთი მონაცემებით, როგორცაა: საბაზრო მოთხოვნები საქართველოში წარმოებულ ტრადიციულ კულტურებზე, წარმოებული პროდუქციის საორიენტაციო მოცულობა; პრიორიტეტულ კულტურათა მოვლა-მოყვანის ოპტიმალური პირობები დარგების მიხედვით; საქართველოს ზონალური, ნიადაგურ-კლიმატური, ეკოლოგიური, მელიორაციული და სხვა პრაქტიკული მნიშვნელობის მონაცემები; ინფორმაცია სათესლე და სარგავი მასალის, სამყნობი კომპონენტების, ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების ჩვენი ქვეყნის პირობებში ინტროდუქციის შესაძლებლობათა შესახებ; ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, თანამედროვე ტექნოლოგიების, სასუქების, ქიმიკატების, მედიკამენტების, პესტიციდების, სარეალიზაციო ფასების და საქართველოში შემოტანის შესაძლებლობათა შესახებ; მსოფლიო ბაზარზე დეფიციტური საქონლის საქართველოში წარმოებული პროდუქციით თუნდაც ნაწილობრივი შევსების შესაძლებლობანი.

ბ) სიტუაციათა ანალიზის, შესაძლო ცვლილებათა პროგნოზის სისტემა და მარკეტინგული საშუალება „აგრომონიტორი“-ს ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც: ამა თუ იმ პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამის დარგში დაადგენს მათი წარმოების საორიენტაციო მოცულობას; განსაზღვრავს ლოკალურ რეგიონში ან კონკრეტულ ფართობზე კონკურენტუნა-

რიანი პროდუქციის წარმოებისათვის „კომფორტული“ პირობების შექმნის შესაძლებლობებს; დაადგენს ლოკალური ზონის ან ფართობის ბუნებრივი პირობების დეფიციტურ საინტროდუქციო კულტურათა მოვლა-მოყვანის პირობებთან ოპტიმალურ შესაბამისობას; გამოავლენს ამა თუ იმ ზონაში ან მეურნეობაში მოქმედ და სარეზერვო რესურსებს, დეფიციტის შემთხვევაში გამონახავს მათი შევსების გზებს; განსაზღვრავს მოსავლიანობას, მოახდენს დაავადებათა და მავნებელთა გავრცელების პროგნოზირებას, გამონახავს მათი პრევენციის შესაძლებლობას; უზრუნველყოფს მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული მონინავე მეთოდების, ტექნოლოგიების და რეკომენდაციების გავრცელებას.

აგროსამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლად სიღარიბის დაქლევის აუცილებელი წინაპირობაა

მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე შექმნილი დეფიციტის გამო, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა და აგრარული სექტორის მაქსიმალურად განვითარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც დიდი აგრარული პოტენციალი გააჩნია. სტრატეგიის მიზანი დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაა. ამით მიღწეული იქნება აგროსამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის დაძლევა.

როგორც ჩანს, ხელისუფლება სოფლის მეურნეობის სფეროში პოლიტიკის გადახედვას იწყებს. უახლოესი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა სახელმწიფოსაგან სუბსიდირებას მიიღებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ხელისუფლებაში აქამდეც ხშირად ლაპარაკობდნენ, მიიჩნევდნენ, რომ ეს სფერო საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელია, მაგრამ ხელისუფლება აქამდე ნაკლებად ახორციელებდა უშუალოდ სოფლის მეურნეობის სტიმულირების პროგრამას. ახლა, როდესაც სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა, ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება სურს. ვფიქრობ, ეს ანტინფლაციური ზომა არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ინფლაციის სოციალური შედეგების განეიტრალების ერთ-ერთი საშუალებაა. ჩვენი აზრით, თავისთავად ის, რომ სოფლის მეურნეობაში ფული შევა და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს შეხვდება, ხელს შეუწყობს სოფლად სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას მთავრობა ხან ახალთახალი ტრაქტორების შემოტანით, ხან გლეხებისათვის ამონიუმის გვარჯილისა და, ხანაც, დიზელის საწვავის დარიგებით ცდილობდა, მაგრამ დაუმუშავებელი სავარგულების ფართობი წლიდან წლამდე იზრდებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში პრივატიზაციის შედეგად დანაწევრებული, სეგმენტირებული მიწა სოფლის მეურნეობაში თუნდაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ნაკლებად ეფექტიანს ხდის. დარგში გათვითცნობიერებული ადამიანები გამოსავალს ორ რამეში ხედავენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებით ან უცხოელი ინვესტორები უნდა დაინტერესდნენ (ამის ალბათობა ნაკლებია. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის სუბსიდირება ხდება), ან გლეხმა და ფერმერებმა შექმნან კოოპერაციული საზოგადოებები, რასაც ზოგი მცდარად ურევს საბჭოთა კოლმეურნეობებში.

ძველმა ბერძნებმა საქართველოს „გეორგია“, ანუ მინათმოქმედების ქვეყანა უწოდეს. მართლაც, მთელ მსოფლიოში 52 ტიპის ნიადაგია აღიარებული და აქედან 49 ტიპი საქართველოში მოიძებნება. თუმცა, ბანკებისათვის ეს ფაქტი არაფერს ნიშნავს – სოფლის მეურნეობა მაღალი რისკების სეგმენტად არის მიჩნეული და ამიტომაც, დაკრედიტების მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობას 1,9% უჭირავს. საკრედიტო რესურსისა და ინფრასტრუქტურის შემაფერხებელი ფაქტორების გარდა, პრობლემაა ფერმერების ხელმისაწვდომობა ინოვაციებთან და ცოდნასთან. სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები მთელ მსოფლიოში ვითარდება, ადგილობრივი ფერმერებიც ხომ მსოფლიო კონკურენციაში არიან ჩაბმულნი და, ცხადია, სხვა ქვეყნების ფერმერებს მეტოქეობას უნდა უწევდნენ. შესაბამისად, უნდა დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები, ფერმერებმა უფრო იაფად და უფრო მეტი რაოდენობის პროდუქტი უნდა აწარმოონ. ფერმერებს ამ ცოდნასთან ხელი არ მიუწვდებათ, რადგან არ არსებობს შესაბამისი სამსახურები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს დაეხმარება.

სპეციალისტების შეფასებით, ქართული სოფლის მეურნეობის გადარჩენის ერთადერთი გზა ფერმერული (კოოპერაციული) მეურნეობების შექმნაა, სხვა შემთხვევაში ამ დარგის გადასარჩენად გაღებული ნებისმიერი თანხა შესაძლოა ფუჭი ხარჯი აღმოჩნდეს.

კოოპერაციული მოძრაობა ერთ-ერთი უდიდესი არასამთავრობო ორგანიზაციაა მსოფლიოში, 160-წლიანი ისტორიით. დღეს არსებობს კოოპერაციის 120 ნაირსახეობა, კოოპერატივთა რიცხვი 70 ათასს აჭარბებს, ხოლო წევრთა რაოდენობა 800 მილიონ ადამიანზე მეტია. ყოველი მეხუთე გერმანელი, ყოველი მეოთხე ამერიკელი, ყოველი მესამე დანიელი და ჰოლანდიელი, ყოველი მეორე კა-

ნადელი სხვადასხვა კოოპერატივის წევრია. სხვათა შორის, საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში საქართველო ჯერ კიდევ მენშევიკებმა გაანერვიანეს. დავით სარაჯიშვილმა დააფინანსა და კოოპერაციის შესასწავლად გააგზავნა იტალიაში ნოე ჟორდანი. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციიდან 2007 წელს გამოგვრიცხეს.

ისეთი აგრარული პოტენციალის ქვეყანას, როგორც საქართველო, სოფლის მეურნეობის კოოპერაცია ამ უმძიმესი კრიზისიდან გამოიყვანს. მოსახლეობა თავისი ინიციატივით კოოპერატივებს ვერ ქმნის, ამიტომ კოოპერაციის ნაციონალური პოლიტიკაა შესამუშავებელი. გლეხებმა და ფერმერებმა უნდა გააერთიანონ საქმიანი იტერესები, მთავრობა კი ამ გაერთიანებებს ტექნიკით ან იაფი კრედიტით დაეხმაროს. დღეს 1 ჰექტარი მიწის დამუშავებისათვის 100 ლარი უნდა გადაიხადო და დამატებით ტრაქტორისთვის 50 ლიტრი საწვავიც შეიძინო.

კოოპერაციული არა მარტო წარმოება, არამედ შუალედური სადისტრიბუციო რგოლიც უნდა შეიქმნას. აქ პროდუქციას შეისყიდვიან და შემდეგ საცალო ქსელში განაწილებენ. სასურველია ქალაქად კოოპერაციული მაღაზიების შექმნაც, სადაც პროდუქცია ოპტიმალურ ფასში გაიყიდება.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში მოქმედ ბანკებს, დღეისათვის აგროსესხებს მომხმარებლებს მხოლოდ რამდენიმე ბანკი სთავაზობს. პირობები სტანდარტულია და რიგ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ ცვლილებებს ექვემდებარება, რაც დამოკიდებულია პოტენციური მსესხებლის საკრედიტო ისტორიასა და სექტორში მუშაობის გამოცდილებაზე.

შესაძლებელია თუ არა ფერმერებისათვის გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება? საერთოდ, მთელ მსოფლიოში აგრარულ სექტორს სახელმწიფოსაგან მხარდაჭერა აქვს სხვადასხვა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით, შესაძლებელია ხელის შეწყობა სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნითაც. უცხოეთში საკმაოდ აპრობირებული ფორმაა იმ ბანკის მხრიდან ხელის შეწყობა, რომელმაც აგრობიზნესის მიმართულებით სესხები უნდა გასცეს. ხშირად ასეთი ტიპის ბანკი მუნიციპალურ საკუთრებაშია, რადგანაც მუნიციპალიტეტს ამის ძლიერი ბერკეტი აქვს – ეს არის გადასახადებით მოზიდული თანხები ან დეპოზიტები, რომლებსაც შემდგომ კრედიტების სახით ფერმერებზე გასცემს და ამ ოპერაციითაც შემოსავლებს მიიღებს. თუმცა ამ ტიპის ბანკის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის დაბალი საპროცენტო განაკვეთით მუშაობს. რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, მათ სესხის გაცემის ბევრი ალტერნატიული ვარიანტი აქვთ და სესხებს იმ სექტორებზე გასცემენ, რომლებიც მაღალი უკუგებით გამოირჩევიან. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობა იჩაგრება. თუ გვინდა, დაბალი საპროცენტო განაკვეთები არსებობდეს, მაშინ მუნიციპალური საკუთრებიდან ან სახელმწიფო პროგრამებიდან ალბათ გარკვეული რესურსები უნდა ჩაიდოს და ამან ფერმერებისათვის საპროცენტო განაკვეთების შემცირება უზრუნველყოს.

სოფლის მეურნეობის ყველაზე დიდი თავსატეხი აგროდაზღვევაა. დღემდე პრეცედენტებიც კი არ შეიქმნა წარმატებული აგროდაზღვევისა, რომ ამ მიმართულებით რაიმე სახის დასკვნა მაინც გაკეთდეს. სოფლის მეურნეობა მაღალრისკიან დარგად მიიჩნევა. მსხვილი ბანკები აგრობიზნესის სეგმენტში საერთოდ არ შედიან. აქ ძირითადად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მუშაობენ. თუმცა, მათ მიერ გაცემული სესხები პრობლემურია, რადგან მცირე მოცულობისაა, მოკლევადიანი და მაღალპროცენტოანი. ზოგადად, მონდომების შემთხვევაში, შესაძლებელია ფერმერმა სესხი აიღოს, მაგრამ რეალურად ისეთი მოცულობის სესხის აღება, რომელიც განვითარებას შეუწყობს ხელს, ძალიან რთულია.

სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქტები საქართველოს ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 20%-ს აკმაყოფილებს. საკრედიტო რესურსის ხელმიუწვდომლობის გარდა, აგრობიზნესის განვითარების კიდევ ერთ ხელშემშლელ ფაქტორად ბიზნესასოციაციების ანუ ფერმერული გაერთიანებების არარსებობა მიიჩნევა. ფერმერთა გაერთიანება ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული და სპეციფიკური საკითხია. აუცილებელია მოხდეს ფერმერული მეურნეობების ნახალისება, რადგანაც ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ დარგის განვითარებაზე დამოკიდებულია საქართველოს მოსახლეობის 47%-ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და, ასევე, ქვეყნის მთელი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა იაფ და საღ სურსათთან.

ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია და ეს ობიექტური მიზეზებითაც არის განპირობებული, მაგალითად, გლობალური ინფლაციით; მეორეც, – ქვეყანაში არსებობს გამოუყენებელი ინტელექტუალური პოტენციალი. სპეციალისტის მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ყველა საკითხი შეისწავლოს და შემდეგ აუხსნას გლეხს საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გლეხებს, პირველ რიგში, პროფესიონალის კონსულტაცია სჭირდებათ. რამდენიმე პრობლემაა თავმოყრილი სოფლის მეურნეობაში: ერთი, რომ ტრადიციული მიდგომები დაკარგულია. ამას დაემატა ის, რომ გარემოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები ძალიან ცუდად აისახა მოსავლიანო-

ბაზე. არაპროგნოზირებადი ხდება ამინდი და, შესაბამისად, მოსავალი. საჭიროა ამ ყველაფრისადმი მოსახლეობის ადაპტირებაზე ზრუნვა. სავეგეტაციო პერიოდიც კი შეცვლილია და ამასაც მეცნიერული პროგნოზირება სჭირდება – რა და როდის დაითესოს.

თანამედროვე გლეხი ორიენტირებულია პროდუქციის რაოდენობრივ მაჩვენებელზე და არა ხარისხობრივზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ხარისხობრივი მაჩვენებელი და, რა თქმა უნდა, რაოდენობრივიც, რათა ჩვენი თავის გამოკვება შევძლოთ. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი სიმდიდრე – ნიადაგი, მაგრამ მას თუ სათანადოდ არ მივხედეთ, მალე გამოიფიტება.

ქართველ გლეხს ძირითადად არასტანდარტული პროდუქტი მოყავს, მაგრამ თუ გვინდა, რომ ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს და გასაყიდად გავიტანოთ, ის განსაზღვრულ ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს. ტყუილად გვგონია, რომ გლეხის მოყვანილი პროდუქტი შესაძლოა უსაფრთხო იყოს. ჩვენ არ ვიცით, მოსავლიანობის გასაზრდელად იმ გლეხს ნიადაგში რა შეაქვს. გონივრული მენეჯმენტის პირობებში გლეხი სტანდარტული პროდუქციის მოყვანას შეძლებს და მოსავლის რაოდენობასაც გაზრდის.

მთლიანად სისტემაა შესაცვლელი, რადგან ახლანდელი გლეხური მეურნეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს დარგი თვითდინებაზეა მიშვებული. გლეხური მეურნეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს ფერმერული (კოოპერაციული) მეურნეობით.

გლეხი აწარმოებს მხოლოდ იმდენს, რამდენიც საარსებოდ სჭირდება. ის თანხები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში უსისტემოდ იხარჯება და საერთო ჯამში არაფერი კეთდება, მიზანმიმართულად – ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებას უნდა მოხმარდეს.

ჩვენში არსებული სათესლე მასალის ხარისხიც, რომელსაც ძირითადად თავად გლეხები აწარმოებენ, წლიდან წლამდე ქვეითდება. მას განახლება სჭირდება, რისთვისაც სათესლე მეურნეობებია საჭირო, რაც ჩვენთან არ არის. არასწორი ურბანული დაგეგმარების გამო, სავარგულები დავკარგეთ. ამ ადგილებში კი ქალაქის ნაწილი გაშენდა.

სახელმწიფოს საბაჟო დაბეგვრის პოლიტიკაც უნდა შეიცვალოს და იმ პროდუქტებზე, რომელთა წარმოება ჩვენთანაც ხდება და ვაკმაყოფილებთ ადგილობრივ მოთხოვნებს, საბაჟო ტარიფები უნდა გაიზარდოს, რათა ადგილობრივმა პროდუქციამ კონკურენციას გაუძლოს.

ფერმერი და ფერმერული მეურნეობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, გლეხების მიერ სწორად არ არის გაგებული: ამ შემთხვევაში მიწაც მისია, შრომაც, მოსავალიც და შემოსავალიც.

აუცილებელია, ჩამოყალიბდეს ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც კოოპერატივებსაც უწოდებენ. გაერთიანება უნდა მოხდეს ძირითადად ფინანსების, ტექნიკისა და შემოსავლების. ასეთ გაერთიანებებს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს შეღავათიანი, მრავალწლიანი კრედიტებით, ანუ უნდა მოხდეს ტრანსფორმაცია გლეხიდან ფერმერამდე. მაგრამ, ჯერ უნდა მოხდეს სავარგულების პასპორტიზაცია, რათა გავიგოთ, რა რესურსები გვაქვს ქვეყანაში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს საკანონმდებლო ინიციატივა. უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ ფერმერული მეურნეობის მოდელის აღიარება კანონის საფუძველზე, უნდა განისაზღვროს ფერმერის სტატუსი და ა.შ. საქართველოში სავარგულების 80% დაუმუშავებელია. ანუ, იმხელა რესურსი გვაქვს, რომ საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც შევძლებთ და ექსპორტზეც გავიტანოთ პროდუქციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.maf.ge
2. <http://geostat.ge>
3. www.nbg.gov.ge
4. www.found.ge

DAVIT BIDZINASHVILI

*Gori Teaching University
Full Professor*

STABLE GROWTH OF AGRO-INDUSRIAL PRODUCTION AS A NECESSARY PRECONDITION FOR FOOD SECURITY OF THE COUNTRY AND RURAL POVERTY REDUCTION

S u m m a r y

Due to the food shortage in the world, many countries identified agriculture as the main priority and admitted the necessity of agricultural sector development; Georgia is among those having a great agricultural potential. The aim of the strategy is to create appropriate environment for sustainable development in this sector. This can be achieved by the stable growth of agricultural production, by country's food security and by rural poverty reduction.

It seems that the government has started to review its agrarian policy and in the nearest future agricultural sector will receive subsidies from the state.

The government often talked about the development of agriculture before and considered that this is one of the most attractive sectors for investment. However, the government did not pay enough attention to agriculture and did not implement programs stimulating it. Now that the funding has increased, government authorities wish to accelerate the development of this sphere.

As specialists say, the only way for saving Georgian agriculture is the creation of cooperative farms. In other cases any amount contributed might be meaningless.

პასტანა გურდული, ლინა დათუნაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
მეცნიერ-თანამშრომლები

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, როგორც რეპულირების ოპიქტი

1996 წ. რომში მსოფლიო კონფერენციაზე სურსათის შესახებ მიღებული იყო დეკლარაცია სრულიად მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც იმავე წელს მოწონებულ იქნა სურსათის პრობლემების შესახებ უმაღლეს დონეზე მსოფლიო შეხვედრაზე. ამ დოკუმენტში სასურსათო უსაფრთხოება განიმარტებოდა, როგორც უსაფრთხო და კალორიული საკვებით მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სიცოცხლის აქტიური და ჯანმრთელი წესის დაცვისათვის საჭირო განსაზღვრული ოდენობის და ხარისხის კვების პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.¹

ამ პერიოდში გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო კომისიის ექსპერტები ძირითადად ხმარობდნენ ტერმინს „საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოება“, მაგრამ გაჩნდა აზრი, რომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოფილ იქნეს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობებით. ამოტომ, ბევრ ქვეყანაში დაიწყო იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურსათო უსაფრთხოებას ეროვნულ დონეზე. ამ ფაქტორების რიცხვში, კერძოდ, შეტანილი იყო ისეთები, როგორიცაა: ძირითადი სასურსათო საქონლით თვითუზრუნველყოფის დონისა და იმპორტის კრიტიკული ზღვრის განსაზღვრა; სამეურნეო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი ზომების კომპლექსის ფუნქციონირება; სურსათის, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულის, გარდამავალი და სადაზღვევო მარაგების შექმნა და შენარჩუნება. უფრო ახალ კვლევებში სთავაზობდნენ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებას: სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და მდგრადობის დონე; სამამულო წარმოების პროდუქციით უზრუნველყოფის დონე; იმპორტის მასშტაბები; სასურსათო ბაზრების ღიაობის დონე; სასურსათო მარაგების მოცულობა.²

მეცნიერული მიდგომები სასურსათო უსაფრთხოების არსის განმარტების სფეროში ჯერ კიდევ შემუშავების სტადიაზეა: არ არსებობს მისი საბოლოო ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად განსაზღვრულია მისი მიკრო- და მაკროეკონომიკური შემადგენლები. მიუხედავად ამისა, ეს მიმართულებაც მოითხოვს დახვეწას, განსაკუთრებით, ცალკეული ქვეყნების სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინების თვალსაზრისით. „ძირითად შემადგენლებში იგულისხმება სურსათის სტრატეგიული მარაგები, მწარმოებლური სოფლის მეურნეობა, სურსათის ექსპორტსა და იმპორტს შორის ოპტიმალური თანაფარდობა, განვითარებული სატრანსპორტო და სავაჭრო ქსელები“³ და სხვა.

რომის დეკლარაციაში ფაქტობრივად ფორმულირებულია სასურსათო უსაფრთხოების მიზანი, რომელიც მდგომარეობს მოსახლეობის საკმარისი და მდგრადი კვებით უზრუნველყოფაში. ცალკეული ქვეყნების დონეზე ეს უნდა ხორცშესხმული იყოს მოსახლეობის მდგრად უზრუნველყოფაში ეკოლოგიურად საკმარისად სუფთა და ჯამრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტებით, ერის ჯამრთელობის მაღალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების (კერძოდ, სრულფასოვანი ხანგრძლივი სიცოცხლის) მისაღწევად. მაგრამ, სასურსათო უსაფრთხოების ცნების შინაარსში უნდა შედიოდეს არა მხოლოდ მიზნის განსაზღვრა, არამედ მისი რეალიზაციის უზრუნველყოფის სისტემის განმარტებაც (მისი შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი ასპექტების მოცვით). ამიტომ მნიშვნელოვანია ტერმინის „სასურსათო უსაფრთხოება“ განმარტება აღნიშნული მიზნის რეალიზაციის საშუალების თვალსაზრისითაც. ამ ასპექტში შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი საკმაოდ ტყვადი ფორმულირება, რომელშიც სასურსათო უსაფრთხოება განისაზღვრება როგორც „ქვეყნის მოსახლეობის სურსათში მოთხოვნილების იმ დონეზე დაკმაყოფილების უნარი, რომელიც

¹ Итоговые документы мирового саммита. – Рим: всемирная конференция по продовольствию, 1996.

² Ушачев И. Продовольственная безопасность страны: проблемы и решения. – АПК: Экономика и управление, 2006, №3.

³ Кузин В. Н. Продовольственная безопасность как научная категория и практическая проблема. – Вестник Поволжской академии государственной службы. 2010, №1 (22), с. 166.

უზრუნველყოფს მის ნორმალურ ცხოველმოქმედებას”.¹ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სურსათის სტრატეგიული მარაგების და რეზერვების შექმნა, საკუთარი წარმოების სურსათსა და მის იმპორტს შორის ოპტიმალური თანაფარდობის ფორმირება, მოსახლეობის ძირითადი მასისათვის სურსათზე ხელმისაწვდომი ფასების ფორმირება, სანიტარიული კონტროლი სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობაში და სურსათით ვაჭრობაში, სასოფლო-სამეურნეო სანარმოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი სანარმოების და შესაბამისი სავაჭრო ქსელის სანარმოების განვითარება და ა. შ.

მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოება, ერთი მხრივ, წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მისი პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების, ლოგისტიკის უზრუნველყოფის დარგების (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა როგორც იმ ნედლეულის და მასალების სფეროში, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, ასევე იმ სტრატეგიული მარაგების სისტემაში, რომელთა ფორმირება ხდება როგორც საკუთარი წარმოების, ასევე იმპორტირებული სურსათის ხარჯზე), გასაღების დარგების (საქონელწარმოება ბაზრებზე) პრობლემას, მეორე მხრივ კი, მიეკუთვნება იმ მაკროეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობასთან, მოსახლეობის შემოსავლების დონესთან და დიფერენციაციასთან, დასაქმებასთან, უმუშევრობასთან და ა. შ.

როგორც ითქვა, სასურსათო უსაფრთხოების ტერმინის შინაარსის დაზუსტების დროს საჭიროა ასევე ცალკეული ქვეყნების კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინება. ასე, მაგალითად, საქართველოში, როგორც მცირე ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ამის გამო მისი მეურნეობა სპეციალიზებულია სასურსათო პროდუქციის განსაზღვრულ სახეობებზე, გრძელვადიან პერიოდში სასურსათო უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სასურსათო პროდუქციის იმპორტის საკმარისი მოცულობისა და მისი ექსპორტის გაფართოების პირობებში. ამასთან, განსაზღვრული სახეობების სასურსათო პროდუქტების იმპორტის (განსაკუთრებით, მარცვლეულის) კომპენსაცია უნდა ხდებოდეს სხვა პროდუქტების ექსპორტის ხარჯზე, რომლებზეც სპეციალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობა. ამის გარდა, საჭიროა სასურსათო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინება. საჭიროა, მაგალითად, მეცხოველეობის განვითარება იალალებისა (მთის საძოვრების) და ვაკეებში თესლბრუნვის აღდგენის შედეგად გაფართოებული საკვებო ბაზის ხარჯზე. მარცვლეულის იმპორტის შენაცვლება მოხდება მეცხოველეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, მეხილეობის და ა. შ. პროდუქციის ზრდის და ექსპორტის ხარჯზე. ესე იგი, გრძელვადიან ასპექტში სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის და მომიჯნავე დარგების დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის აუცილებლობა.

ზემოთ მოტანილიდან ნათელია, რომ სასურსათო უსაფრთხოება უნდა განიხილებოდეს როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და, ეროვნულ დონეზე, საბაზრო კოორდინაციის ცალკე სეგმენტი (ისევე, მაგალითად, როგორც სამრეწველო პოლიტიკა ან ენერგოეკოლოგიური სექტორის რეგულირება, თუმცა ეკოლოგიური ფაქტორი სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტსაც წარმოადგენს).

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად კომპონენტს, მაგრამ მის მდგომარეობაზე და დინამიკაზე გავლენას ახდენს მრავალი სხვა კომპონენტი (ფაქტორი, შემადგენელი), შიდა- და გარეეკონომიკური, როგორც დაკავშირებული მომიჯნავე და საუზრუნველყოფო დარგების მდგომარეობასთან, ასევე მაკროეკონომიკურ, სახელმწიფოთაშორის, რეგიონალურ სახელმწიფოთაშორის და გლობალურ ფაქტორებთან. თანამედროვე პირობებში, ქვეყნის დონეზე სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას, შეუძლებელია, რომ არ გავითვალისწინოთ გლობალიზაციის ფაქტორი. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის რაციონალური ფორმირება და რეალიზაცია მსოფლიო სამეურნეო მოქმედება-საქმიანობის სხვა მონაწილეების, მათ შორის გლობალური და რეგიონული სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების, პრიორიტეტების და ქცევის ნორმების გათვალისწინების გარეშე.

ამ ასპექტში, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, სასარგებლოა, ურთიერთკავშირში მომიჯნავე დამამუშავებელ და საუზრუნველყოფო (ლოგისტიკა, საქონელწარმოება, კონსალტინგი და სხვა) სანარმოებთან, ორგანიზაციებთან და დარგებთან, სოფლის მეურნეობის საბაზრო კოორდინაციის და სახელმწიფო რეგულირების სისტემის განხილვა განვითარებული ქვეყ-

¹ О б о л е н ц е в И. А., Корнилов М. Я., Синюков М. И. Продовольственная безопасность России: еще один взгляд на проблему. – М.: Изд-во РАГС, 2006, с. 5.

ნების გამოცდილებისა და გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის, განაწესების გათვალისწინებით. საბაზრო კოორდინაციის სისტემაში საჭიროა ყურადღების გამახვილება ორგანიზაციის და მართვის თანამედროვე ქსელური მეთოდების განვითარებაზე (მენარმეთა ასოციაციები, წარმოების ინსტიტუციალური და ორგანიზაციული მოწყობის ქსელური ფორმები, სასურსათო პროდუქციის ბაზრის აგენტებს შორის ურთიერთმოქმედების და ურთიერთკავშირების თანამედროვე ფორმები). სახელმწიფო რეგულირების ფორმების განვითარება უნდა ხდებოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების განაწესების გათვალისწინებით, ამასთან, სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი ელემენტი ასევე იძენს ქსელურ ფორმას, მაგალითად, ბაზრის აგენტებთან სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობა (ურთიერთკავშირი) მენარმეთა ასოციაციების მეშვეობით.

გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში საქართველოში შეიმჩნევა ნატურალურ გამოსახულებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონის დაქვეითება. ცხადია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის შემცირების ტენდენცია გავლენას ახდენს იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ხარისხზე, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს. უარესდება ექსპორტ-იმპორტის სალდო, რაც მომავალში აუცილებელს გახდის ახალი საგარეო სესხების აღებას, გააძნელებს უკვე არსებული სახელმწიფო და კერძო ვალდებულებების მომსახურებას. შემცირდება შემოსავლები მიღებული სოფლის მეურნეობაში და სექტორში, რომელშიც წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, რაც გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის და შიდა საქონელბრუნვის შემცირებაზე, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებაზე, იმ მაჩვენებლების გაუარესებაზე, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს.

არსებობს შიდა და საგარეო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დონის შემცირებაზე.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: ა) სოფლის მეურნეობის და მისი პროდუქციის გასაღების ინფრასტრუქტურის ინსტიტუციური და სანარმოო ორგანიზაციის არასრულყოფილება და, ასევე, განსაზღვრულ ზომაში, იმ სანარმოების ჩამორჩენილობა და დაბალი კონკურენტუნარიანობა, რომლებიც ახდენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას. კერძოდ, ინსტიტუციური და ორგანიზაციული სტრუქტურების არასრულყოფილება ასახვას პოულობს კოოპერატივების და შედარებით დიდი ფერმების მცირე რიცხვში, მცირე ფერმების და სოფლად შინამეურნეობების ტექნიკური და საკონსულტაციო მხარდაჭერის ორგანიზაციების და სანარმოების (ასევე მათი მხარდაჭერის სხვა ელემენტების) ფაქტიურ უქონლობაში ან მცირე ოდენობაში. გასაღების ინფრასტრუქტურის განვითარებისას საკმაოდ დონით არ ითვალისწინებენ იმ სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოებულა ქვეყნის ფარგლებში. სანარმოების ნაწილი, რომელიც ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას, არაა საკმარისად კონკურენტუნარიანი (ფასების, ტექნოლოგიების დონის მიხედვით) იმ საგარეო ფირმებთან შედარებით, რომლებიც აწარმოებენ ანოლოგიურ საქონელს, ნაწილი კი ორიენტირებულია უფრო იაფი იმპორტული ნედლეულის გადამუშავებაზე; გარკვეულ ფარგლებში ზოგიერთ დარგში იგრძნობა გადამამუშავებლების მონოპოლიზმი; ბ) ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის სუსტ ტექნიკურ აღჭურვილობას. იგრძნობა არა მარტო იმ ტექნიკის მწვავე უკმარისობა, რომელიც საჭიროა მინის დამუშავებისათვის, არამედ იმ ტექნიკისაც, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აკრეფისა და პირველადი დამუშავებისათვის; გ) სუსტია სოფლის მეურნეობის სუბსიდირების სისტემა იმ შეზღუდვების ფარგლებშიც, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გარკვეული ხასიათის სუბსიდიების გაცემაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუსტია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა იმ მიმართულებებით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამინდელ ეტაპზე, სანავის და სასუქების გაძვირებისა და სანარმოების სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში; დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინოვაციური მხარდაჭერის სისუსტე (მაგალითად, შემცირდა მოთხოვნა სანაშენო და სასელექციო მეურნეობების პროდუქციაზე, რამაც გამოიწვია მათი მუშაობის ხარისხის ვარდნა, საფინანსო სახსრების დეფიციტის პირობებში), კერძოდ, სოფლად ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისუსტე (ამასთან, ასეთი ხასიათის მხარდაჭერას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები აძლევენ მწვანე შუქს); ე) სოფლის მეურნეობის ინვესტიციური პოტენციალის სისუსტე.

საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებმაც გამოიწვიეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ჩავარდნა და აფერხებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შიდა წარმოების განვი-

თარებას, მიეკუთვნება: სასურსათო პროდუქციის იმპორტის ზენოლა შიდა ბაზარზე; საგარეო ბაზრებზე სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილის სისტემის განუვითარებლობა. არასაკმარისად გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების ის ზომებიც კი, რომლებიც ხელმისაწვდომია შიდა ბაზრის დაცვისა და ექსპორტის მხარდაჭერისათვის იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ.

განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების და სასურსათო კომპლექსის რეგულირებისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა ხერხი და მექანიზმი, თუმცა სოფლის მეურნეობის პირდაპირი სუბსიდირების დონემ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სუბსიდირების დონემ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზანდასახულობების შესაბამისად, საგრძნობლად იკლო. ამასთან, არსებობს არა მარტო სახელმწიფო რეგულირება, არამედ კოორდინაცია მენარმეების მხრიდან.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებულ ფარგლებში პირდაპირი სუბსიდირებისა და ზოგიერთ სხვა ფორმასთან ერთად ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებულში, არსებობს სოფლის მეურნეობაში და მისი პროდუქციის ბაზრებზე ნაწილის ქსელში მენარმეობის რეგულირების (მხარდაჭერის) სხვადასხვანაირი ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმა. ასე, მაგალითად, სასურსათო ბაზრის რეგულირებას კანადაში ახორციელებს მნარმოებელთა 330 ასოციაცია (ხორბლის, შვრიის, კარტოფილის, რძის, ხორცის და მრავალი სხვა) და აკონტროლებს 120 პროვინციული სავაჭრო დეპარტამენტი. ამასთან, ერთი და იგივე ფერმერი შეიძლება იყოს რამდენიმე მნარმოებელთა ასოციაციის და რამდენიმე სავაჭრო გაერთიანების წევრი. ასოციაციების მემკვიდრით ნაწილდება (მიმართება) სუბსიდები და დოტაციები, ასევე, ასოციაციებს აძლევენ სასოფლო-სამეურნეო მნარმოებლებისათვის სამინისტროს გარანტიებს კრედიტებზე.¹

სხვა ქვეყნებში სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ხელშეწყობისათვის ასევე გამოიყენება სხვადასხვა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმა. ესპანეთში, საფრანგეთში და სხვა ევროპულ ქვეყანაში ამ ამოცანის გადაწყვეტა ხდება საბითუმო სასურსათო ბაზრების მემკვიდრით. ნიდერლანდებში სასურსათო ბაზრის რეგულირება ხორციელდება ორ დონეზე: ევროკავშირის საერთო სასურსათო ბაზრის ჩარჩოებში და ეროვნულ დონეზე. რეგულირებას ძირითადად ახორციელებენ დარგობრივი აგროსამრეწველო ორგანიზაციები (კავშირები), რომლებშიც წარმოდგენილია სასურსათო კომპლექსის კველა რგოლის ინტერესი – მნარმოებლებიდან მომხმარებლებამდე.²

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, სასურსათო სექტორის სამამულო მენარმეების სახელმწიფო მხარდაჭერის შიდა ზომები რეგლამენტირდება ეგრეთ წოდებული “ყვითელი”, “ცისფერი” და “მწვანე კალათების” დებულებების მეშვეობით.

“ყვითელი კალათა” მოიცავს სამამულო მენარმეების საფინანსო სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ზომებს, რომლებიც დაქვეითებას ექვემდებარება. ძირითადად ესაა სუბსიდები და დოტაციები, რომელიც მიმართულია კონკრეტული პროდუქტების წარმოების ზრდაზე. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის სხვა წესებით განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო მნარმოებლებისათვის სუბსიდების უკიდურესი დონეც, რომელიც შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 10% (სხვა წყაროების მიხედვით – 5%).

“ცისფერი კალათა”, რომელიც აქტუალურია მხოლოდ ყველაზე განვითარებული ქვეყნებისათვის, აძლევს სახელმწიფოს ნებას, რომ მან არ შეუზღუდოს სასოფლო-სამეურნეო მნარმოებლებს იმ თანხების გადახდა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების მოცულობის შეზღუდვის პროგრამებთან ფიქსირებული საბაზო დონეების მიხედვით.

“მწვანე კალათა”, რომლის მოცულობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით არ იზღუდება და დამოკიდებულია მხოლოდ ქვეყნის შესაძლებლობებზე, მოიცავს სახსრებს, რომლებიც მიმართება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამეცნიერო გამოკვლევებზე, განათლებაზე და სწავლებაზე, საკონსულტაციო მომსახურებაზე, რეგიონული განვითარების პროგრამებზე და სხვა. ამავე “კალათაში” შედის მნარმოებლებისათვის იმ თანხების გადახდა, რომლებიც არაა დაკავშირებული წარმოების მიმდინარე მოცულობასთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად არ შეიძლება უარის თქმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუბსიდირების იმ ხერხების მაქსიმალური ზომით გამოყენებაზე, რომლებიც დაშვებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „ყვითელი კალათით“. ასეთი ზომების გამოყენება ხელს

¹ Добросоцкий В. Государственное регулирование продовольственного рынка (зарубежный опыт) – МЭиМО, 2000, №9, с. 25.

² იქვე, გვ. 26, 27.

შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მოკლევადიან ასპექტში დღევანდელ პირობებში. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამამუშავების პროდუქტების შიდა ბაზრის დასაცავად უნდა გამოყენებულ იქნეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებული ყველა სატარიფო და არასატარიფო მეთოდები და, ასევე, ის მეთოდები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ არ რეგლამენტირდება.

როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიდა გასაღების და ექსპორტის ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულირების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმების განვითარებას. ბუნებრივია, ეს უნდა ხდებოდეს კერძო საკუთრების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამამუშავების პროდუქციის სისტემის მინიმალური სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოკლევადიან ასპექტში გამოცოცხლებისა და, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გრძელვადიან ასპექტში მდგრადი განვითარების, მოდერნიზაციისა და შიდა და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საფინანსო ღონისძიებების გამოყენებას, რომლებსაც მოიცავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „მწვანე კალათა“. ასეთი მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, ჩვენი აზრით, უნდა იყოს: სოფლის მეურნეობის ყველა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმის მოდერნიზაციის სტიმულირება; ინოვაციების, მეცნიერების, განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსება; კონსალტინგური საქმიანობის მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა (ან მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობა); სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობა ისეთი საწარმოების ორგანიზაციაში, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ მომსახურებას; სახსრების გამოყოფა მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით; სახსრების გამოყოფა ცხოველების ავადმყოფობებთან და მცენარეების მავნებლებთან ბრძოლისათვის; სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება.

როგორ ავუაროთ გვერდი საჭიროების შემთხვევაში ლეგალურად „ყვითელი კალათის“ მოთხოვნებს? ზოგიერთ სფეროში შეიძლება სახელმწიფო ან შერეული საწარმოების შექმნა (ტექნიკური მომსახურება, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება). უშუალო მწარმოებელი ამ შემთხვევაში გადაიხდის მომსახურების საფასურს საბაზრო ფასების შესაბამისად და, მაშასადამე, სახელმწიფო მხარდაჭერის ფაქტს ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება. ამიტომ, ადგილობრივი კერძო მენარმეების წრეებში საფინანსო რესურსისა ან სამენარმეო ინვესტიციური აქტიურობის (გაუბედაობა დიდი რისკების გამო) უკმარისობის პირობებში საჭიროა საფონდო ბაზარში და საკუთრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის გაზრდა, სახელმწიფოს წილის შეძლებისამებრ შემდგომი მიყიდვით კერძო სექტორისათვის. „ყვითელი კალათის“ გვერდის ავლის სხვა გზას წარმოადგენს საქონელწარმოების კერძო სისტემების განვითარება, სასურსათო კომპლექსის საწარმოების საქმიანობისა და ურთიერთმოქმედების პროგრესული ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმების შექმნა. პირველიც და მეორეც კარგად ჩაჯდება წარმოების ორგანიზაციის და მართვის ამჟამად სწრაფად განვითარებად ქსელურ ფორმებში.

მაშასადამე, შეიძლება დავსახოთ გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი გზები ქვეყნის სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო რეგულირების და საბაზრო კოორდინაციის სრულყოფისა და მომიჯნავე დარგებთან და საქმიანობის სახეებთან ერთად სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ბაზაზე. ამისათვის საჭიროა:

– აგრარული სექტორის და ბაზრის მონაწილეების ორგანიზაციის, მართვის და ურთიერთკავშირების ქსელური ფორმების განვითარება, მათ შორის საუზრუნველყოფო ფორმებთან (ტექნიკური, მიწის რეკულტივაციის და სხვა მომსახურების), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებთან, შიდა და საგარეო ბაზრებზე საქონელწარმოების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან (საბითუმო ქსელები, გასაღება, ტრანსპორტირება, პროდუქციის შენახვა, მარკეტინგი და სხვა) ურთიერთმოქმედების სფეროში;

– ქსელური ფორმების გამოყენება რეგულირებაში სახელმწიფო ორგანოების მხრიდანაც, მწარმოებლებთან და ბაზრის სხვა აგენტებთან მენარმეების ასოციაციების მეშვეობით ურთიერთკავშირის გზით;

– სამამულო სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის (საფინანსო დახმარება, სატარიფო პოლიტიკა, საგადასახადო შეღავათები და სხვა) შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენება იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომელიც დაწესებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ;

- სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ფორმების უფრო ფართო გამოყენება, რომლებიც თავმოყრილია „მწვანე კალათაში“, არაა შეზღუდული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განაწესებით და დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს საფინანსო შესაძლებლობებზე;
- სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის გაზრდა (განსაკუთრებით, ტექნიკური მომსახურების სფეროში) სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმაში (ბიზნესის გაძღოლა ნებისმიერი სუბიექტის, მათ შორის სახელმწიფოს, მიერ არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვებს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან), შემდგომი თანდათანობითი გამოსყიდვით კერძო მენარმეების მიერ;
- სასურსათო პროდუქციის ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობის თანდათანობითი ოპტიმიზაციის განხორციელება ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების, მისი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციისა და, ასევე, სასურსათო პროდუქციის საჭირო სახეების იმპორტის სპეციალიზაციის დარგების პროდუქციის ექსპორტით კომპენსაციის აუცილებლობის გათვალისწინებით;
- სამამულო მწარმოებლების მიმართ პროპაგანდისტული, მარკეტინგული და საკონსულტაციო გავლენის განხორციელება იმ მიზნით, რამ მათ გააფართოონ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და ამისათვის გამოიყენონ სასელექციო, სანაშენო და სხვა შესაბამისი მეურნეობების მომსახურება.

VAKHTANG BURDULI, LINA DATUNASHVILI

*Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakishvili Tbilisi State University
Senior Researchers*

FOOD SECURITY OF THE COUNTRY AS AN OBJECT OF REGULATION

S u m m a r y

The article defines the essence of the term "food security" on the national level and analyses its micro- and macroeconomic components. Food security is a separate segment of state regulation and market coordination of economics. For safeguarding the food security of the country in the conditions of globalization, it is necessary to accelerate the development of agriculture and its adjacent branches ensuring logistics, technical, marketing and consulting service, processing of agricultural products and goods movement to internal and external markets.

The article also deals with the internal and external economic factors influencing the decline of agricultural output in Georgia. For the revival and steady development of production in agriculture and adjoining branches of economy it is necessary to neutralize the influence of these factors by means activation of State regulation and renovation of the mentioned aspects of market coordination, in particular, on the basis of development of contemporary network methods of organization and management of production. The ways of organization of State regulation of food complex are given taking into account the instructions of World Trade Organization. In the article a great deal of attention is given to the issues of optimization of ratio between export and import of food products subject to the conditions of globalization.

ციალა გაგალია, ლეილა ჯაფარიძე, ეთერ სალუქვაძე, ნანა ოსიპოვა, თამარ კვიციანი, სპარტაკ შროტაძე

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პეტრე მელიქიძის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

რკინა-ფრუქტოზა-ასკანგელის სინთეზი და კვლევა

განხილულია ასკანგელის ორგანომინერალური მოდიფიკაციის – Fe-ფრუქტოზა-ასკანგელის ორეტაპიანი მიღების მეთოდი. ნაჩვენებია, რომ მოდიფიკატორის – Fe-ფრუქტოზა კომპლექსის ად-სორბცია ასკანგელის ზედაპირზე ფიზიკური ხასიათისაა. ფიზიკურ-ქიმიური, სტრუქტურულ-მექანიკური და რეოლოგიური თვისებების შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულია Fe-ფრუქტოზა-ასკანგელის მეტალთერაპიული გამოყენების მიზანშეწონილობა მოსახლეობის ჯანდაცვასა და აგრარულ სექტორში (ვეტერინარიაში).

ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილის უჯრედში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებში მონაწილეობს 70-მდე ქიმიური ელემენტი. მათი ნაკლებობა, ან სიჭარბე იწვევს შრომისუნარიანობის დაქვეითებას, ფერმენტთა ფუნქციის მოშლას, საჭმლის მომნელებელი სისტემის დისბალანსს, ფსიქონევროზული და სხვა მძიმე დაავადებების განვითარებას [1].

მიკროელემენტების დეფიციტის შესავსებად ტრადიციულად გამოყენებული მეტალის არაორგანული მარილები (სულფატები, ქლორიდები), ან მეტალის მარილებისა და ბიონაერთების (ქარვის, ასკორბინის მჟავები, ვიტამინები და სხვ.) ნარევიები სამკურნალო ეფექტის პარალელურად იწვევენ სერიოზულ გვერდით მოვლენებს, რომლებსაც აქვს გასტრალური (დიარეა, კოლიკი, გულისრევა), დერმატოლოგიური, ბრონქიალური ხასიათი. აუთვისებელი, ჭარბი მეტალის იონების არსებობასთან სდევს ორგანიზმის ტოქსიკოზი, აგრესიული თავისუფალი რადიკალების გენერაცია და ა.შ. აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერები მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად მივიდნენ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე – ცოცხალ ორგანიზმში მიკროელემენტები შეტანილი უნდა იქნეს მხოლოდ კოორდინაციულად შეკავშირებული სახით, რაც გამორიცხავს სამკურნალო საშუალებაში მეტალის თავისუფალი იონების არსებობას [2-4].

კვლევის მიზანს შეადგენდა მინიმალური გვერდითი მოვლენების მქონე მეტალთერაპიული დანიშნულების ნაერთების მიღება და შესწავლა. ობიექტებად შერჩეული იყო ორგანიზმის მეტაბოლიზმში აქტიურად მონაწილე ნახშირწყლების წარმომადგენელი – ფრუქტოზა, რომელიც მეტალის ორ-და სამვალენტო იონებთან წარმოქმნის წყალში კარგად ხსნად კოორდინაციულ ნაერთებს (ხელატური ტიპის კომპლექსები, რომელთა მოლეკულებში მეტალის ატომები ჩართულია შიდაკომპლექსურ ანიონებში) და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების სამკურნალო თვისებებით გამოჩეული მონტმორილონიტური შედგენილობის ბენტონიტი-ასკანთისა, რომლის მაღალდისპერსული ფრაქცია –ასკანგელი ხასიათდება პროლონგირების უნარით და სამკურნალო თვისების ფარმაკოლოგიური მოთხოვნებისადმი შესაბამისობით (გაჯირჯვების უნარი, არატოქსიკურობა და სხვ.) [5,6]. ხელატური ტიპის კომპლექსებით ასკანგელის მოდიფიცირების შედეგად შესაძლებელია სრულიად ახალი მეტალთერაპიული მოდიფიკაციების მიღება, რომელთაც სავარაუდოდ ექნებათ ორმაგი, ერთდროული ქმედების უნარი – მეტალშემცველი კომპლექსი ადვილათვისებადი და არატოქსიკური სახით შეავსებს მიკროელემენტის დეფიციტს ორგანიზმში, ხოლო ასკანგელი სრულიად გამორიცხავს, ან მინიმუმამდე დაიყვანს გასტრალური სახის გვერდით მოვლენებს.

მიკროელემენტების ნაკლებობით გამოწვეულ დაავადებებს შორის აქტუალობის მხრივ პირველ ადგილზეა ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტის – რკინის ნაკლებობით გამოწვეული გართულებები. რკინადეფიციტური მდგომარეობა (ლატენტური ფორმა), ექვემდებარება პროფილაქტიკას, ხოლო რკინადეფიციტური ანემია – სერიოზული დაავადებაა, რომელიც საჭიროებს მკურნალობას (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა მონაცემებით, რკინის დეფიციტს განიცდის მსოფლიოს მოსახლეობის 1/6, 1 მილიარდი ადამიანი [1]). საქართველოში ამასთან დაკავშირებით ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა არასრული მონაცემების მიხედვით ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (ფეხმძიმე ქალები, ბავშვები, მოზარდები) რკინადეფიციტურია, ან დაავადებულია ანემიით.

რაც შეეხება მეცხოველეობას, უნდა აღინიშნოს, რომ რკინის ნაკლებობით გამოწვეული ახალდაბადებული პირუტყვის დაცემის მაღალი მაჩვენებელი ძლიერ აზარალებს აგრარულ მეურნეო-

ბებს. ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრაში საკუთარი წვლილი შეუძლია შეიტანოს ზემოთ აღწერილი პრინციპით სინთეზირებულმა ასკანგელის რკინისშემცველმა მოდიფიკაციამ Fe-ფრუქტოზა-ასკანგელმა, რომლის მიღება ორ ეტაპად მიმდინარეობს:

1. ასკანგელის მოდიფიკატორის, Fe-ფრუქტოზა კომპლექსის სინთეზი და კვლევა.
2. Fe-ფრუქტოზა კომპლექსით ასკანგელის ზედაპირის მოდიფიკაციების გზით Fe-ფრუქტოზა-ასკანგელის მიღება.

Fe-ფრუქტოზა კომპლექსი მიიღებოდა Fe(II)-ქლორიდისა და D-ფრუქტოზას ურთიერთქმედებით ტუტე არეში (pH=10,0-11,0), 35°C, 3სთ-ის განმავლობაში. ქაღალდზე ელექტროფორეზული გადაადგილების მიხედვით კომპლექსი ანიონური ბუნებისაა, წყალში კარგი ხსნადობით და ცხრ.1 მოტანილი ელემენტური შედგენილობით ხასიათდება.

ცხრილი 1

რკინა-ფრუქტოზას კომპლექსის ელემენტური შედგენილობა, %

კომპლექსი Fe-ფრუქტოზა	C	H	O	Fe	Na	H ₂ O
	24,50	3,40	32,76	18,92	7,24	13,20

ზემოთ აღწერილ პირობებში მიღებულ კომპლექსში შესაბამისი თვისებითი რეაქციებით ორვალენტური რკინის იონების გარდა აღმოჩენილი იყო სამვალენტური იონებიც (pH=1,60 პირობებში კომპლექსი იშლება ლიგანდის და რკინის იონების გამოყოფით). Fe(II)/Fe(III)-იონების თანაფარდობა კომპლექსში განისაზღვრა მეტალინდიკატორული ელემენტური ანალიზის მეთოდით, რომელიც ფართოდ გამოიყენება მეტალ-ლიგანდური რეგულაციის თანამედროვე პრაქტიკაში [7]. დადგინდა, რომ Fe-ფრუქტოზა კომპლექსის 4% - ხსნარში Fe(II)/ Fe(III) - იონების თანაფარდობა შეადგენს შესაბამისად 74,32 / 25,68% [8].

კომპლექსნარმოქმნის მექანიზმში გარკვევის მიზნით ჩატარდა Fe-ფრუქტოზა კომპლექსის და ლიგანდის (ფრუქტოზა) ინფრანითელსპექტროსკოპული კვლევა. მიღებული შედეგების მიხედვით, რკინის იონებსა და ფრუქტოზას შორის კომპლექსნარმოქმნაში მონაწილეობს როგორც სპირტული - C-O, ასევე კარბონილის - C=O ჯგუფები.

კვლევის მე-2 საფეხურით გათვალისწინებული, Fe-ფრუქტოზა კომპლექსით ასკანგელის მოდიფიკაცია განხორციელდა სხვადასხვა მჟავურობის პირობებში ასკანგელის 5% სუსპენზიისა და კომპლექსის ხსნარების ინტენსიური ნჯღრევის გზით (40, 100, 200, 400 მგ. კომპლექსი 1 გ. მშრალ ასკანგელზე გადაანგარიშებით). ფილტრატებში არაადსორბირებული კომპლექსის რაოდენობის განსაზღვრის შედეგად დადგინდა, რომ ასკანგელის ზედაპირზე მაქსიმალური ადსორბაცია (~94%) მიიღწევა 4-5 სთ. განმავლობაში (pH=3,5-5,0).

Fe-ფრუქტოზა ასკანგელის ზედაპირიდან კომპლექსის ერთჯერადი დესორბაცია ჩატარებული იყო სხვადასხვა მჟავურობის წყალხსნარებში, ნჯღრევის პირობებში. ფილტრატების რაოდენობრივი ანალიზის შედეგები მოტანილია ცხრ. 2-ში.


ცხრილი 2

რკინის დესორბაცია Fe-ფრუქტოზა ასკანგელიდან სხვადასხვა მჟავურობის პირობებში

მოდიფიკატორი მგ/გ	100 C _{Fe} =12,11 მგ/გ		200 C _{Fe} =22,26 მგ/გ		400 C _{Fe} =29,184 მგ/გ	
დესორბირებული Fe	მგ/გ	%	მგ/გ	%	მგ/გ	%
pH სუსპენზია						
4,00	7,26	60,00	11,60	52,00	13,90	46,53
3,50	7,90	65,35	12,11	54,40	14,82	49,66
3,00	8,00	66,06	13,60	61,09	15,00	50,26
2,50	8,45	69,80	14,52	65,25	15,65	52,45
2,20	9,09	75,10	15,12	68,21	17,50	58,04
2,00	9,78	80,83	16,33	73,40	19,30	64,70
1,80	10,29	85,00	16,73	75,20	19,84	66,50

როგორც ცხრილიდან ჩანს, pH=1,8-2,0 ინტერვალში (ადამიანის კუჭის წვენის pH~2,0 ტოლია) დესორბირებული კომპლექსის რაოდენობა მაქსიმალურია (64,7-66,5%), ფელტრატებში რკინის იონები არ აღმოჩნდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ Fe-ფრუქტოზა ასკანგელის ზედაპირიდან კომპლექსი დაუშლელად, მოლეკულური სახით დესორბირდება. აღსანიშნავია, რომ დესორბირებული ნიმუშის განმეორებითი დესორბაციით შესაძლებელია დარჩენილი კომპლექსის ნაწილიც ბოლომდე მოიხსნას თიხის ზედაპირიდან (სრული დესორბაცია), რაც ადსორბციის ფიზიკური ხასიათის მაჩვენებელია. ასკანგელის ზედაპირის Fe-ფრუქტოზა კომპლექსით მოდიფიცირების გარე ზედაპირული ხასიათი დამტკიცებული იყო საკვლევი ნიმუშების იონმიმოცვლითი, ინ-სპექტროსკოპული, თერმოგრაფიული კვლევის შედეგებითაც.

ჩვენ მიერ დასახული ამოცანა გულისხმობდა სუსტი სტრუქტურის, ორგანიზმში ხანმოკლე დაშლის პერიოდის მქონე მოდიფიკაციის მიღებას. ამ მოთხოვნებისადმი Fe-ფრუქტოზა ასკანგელის შესაბამისობის შესამოწმებლად შესწავლილი იყო Fe-ფრუქტოზა ასკანგელის 5% წყალსუსპენზიების სტრუქტურის წარმოქმნის კინეტიკა და რეოლოგიური თვისებები. მიღებული შედეგების მიხედვით, Fe-ფრუქტოზა-ასკანგელის სტრუქტურის წარმოქმნის უნარი (24სთ; 1,5პა) ასკანგელთან შედარებით (120სთ; 3,4პა) საგრძნობლად შესუსტებულია. სუსპენზიის ეფექტური სიბლანტის დამოკიდებულება ძვრის დაძაბულობაზე გაზომილი იყო 20°C, pH=2,0, ძვრის სიჩქარის გრადიენტის 1,5-1310 ნმ⁻¹ დიაპაზონში (ნახ.1). როგორც ნახაზიდან ჩანს, სტრუქტურის რღვევას თავიდან აქვს საფეხურებრივი ხასიათი, შემდეგ კი სიბლანტე მკვეთრად ეცემა, სტრუქტურის სრულ რღვევამდე.



ნახ.1 Fe-ფრუქტოზა-ასკანგელის 5% სუსპენზიის ეფექტური სიბლანტის დამოკიდებულება ძვრის დაძაბულობაზე Fe-ფრუქტოზა ასკანგელის სხვადასხვა შემცველობის პირობებში: 1-100 მგ/გ თიხაზე; 2-200 მგ/გ თიხაზე; 3-400 მგ/გ თიხაზე

ამგვარად, Fe-ფრუქტოზა-ასკანგელის წყალსუსპენზიები მართლაც სუსტი, ადვილად რღვევადი სტრუქტურებით ხასიათდებიან და პასუხობენ სამკურნალო საშუალებებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Health Organization. Iron deficiency anaemia: assessment, prevention and control: a guide for programme managers. Geneva. WHO. 2001.
2. Haas I., Brownlie T., Iron deficiency and reduced work capacity: a critical review of the research to determine a causal relationship. J. Nutr., 2001, v. 131, p. 676 s, 688 s-90 s.
3. Калетина Н., Калетин Г., Микроэлементы – биологические регуляторы. Наука в России, 2007, №1, с. 21-26.
4. Williams D.R., The Metals of Life, Van Nostrand Reinhold. London, 1971, p. 235.
5. Шишняшвили М.Е., Аладашвили В.А., Бацанадзе А.Л., Габелиა Ц.С., Сб. научных трудов. Тбилиси: Мецნიереба, 1975, с. 91-96.
6. Цаგარეიშვილი, Сб. научных трудов. Тбилиси: Мецნიереба, 1974, 129с.
7. Калетина Н.И., Калетин Г.И., Предикативная токсикология – микроэлементы и регуляция металло-лигандного взаимодействия (часть третья) М: Наука в России. Изд. Дан. 2007, № 3. с. 220-227.
8. გაბელია ც., ჯაფარიძე ლ., სალუქვაძე ე., კაშია ლ., უროტაძე სპ. საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმ. სერ. 2008, ტ. 34, 4, გვ. 401-403.

**TSIALA GABELIA, LEILA JAPARIDZE, ETER SALUKVADZE,
NANA OSIPOVA, TAMAR KVERNADZE, SPARTAK UROTADZE**

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

SYNTHESIS AND STUDY OF IRON – FRUCTOSE – ASKANGEL

S u m m a r y

By modifying the Askangel surface with iron-containing complex, Fe-fructose-askangel modification is received with the purpose of using it in metallo-therapy. A qualitative and quantitative research of complex adsorption-desorption has been done to determine the modification character. It is shown that Fe-fructose-askangel suspensions satisfy the demands of medical remedies according to rheological properties and structure-formation.

**კლასტერი - საქართველოს სოფლის მეურნეობის
მდგრადი განვითარების ერთ-ერთი გარანტი**

თანამედროვე მსოფლიოში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მართვა ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით. ეს განპირობებულია მათი განსხვავებული სასტატო პირობებითა და მემკვიდრეობით, ტრადიციებითა და ეროვნული კულტურის ფასეულობებით, ინოვაციურობით, პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების მომზადების დონითა და სხვა ფაქტორებით. აღნიშნულის მიუხედავად, მაინც არსებობს ეკონომიკის მართვის ისეთი უნივერსალური მეთოდები, რომლებსაც მრავალ ქვეყანაში წარმატებული და ეფექტიანი შედეგები მოაქვთ. ჩვენი აზრით, ასეთ მეთოდებს განეკუთვნება კლასტერის კონცეფცია და მისი გამოყენება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის პროგრესული დარგების მართვაში.

პროფ. მ. პორტერის მიერ ორი ათწლეულის წინ შემუშავებულმა კლასტერების თეორიამ ახალი სიცოცხლე შეიძინა XXI საუკუნის დასაწყისში. 2008 წელს ევროპაში შეიმუშავეს „ევროპული კლასტერების მემორანდუმი“¹ და ევროკომისიის კომუნიკაცია კლასტერების შესახებ,² რამაც ბიძგი მისცა ევროპის მასშტაბით კლასტერების შესაქმნელად მიზანმიმართული საქმიანობის პირველ დიდ ტალღას. გამოკვლევები ადასტურებენ, რომ „ევროპაში დასაქმებულთა 38% მუშაობს კლასტერებში. კომპანიები, რომლებიც გაერთიანებული არიან კლასტერებში, მწარმოებლურობისა და ინოვაციურობის მაღალ დონეს აღწევენ, ხოლო ახალი ფირმები აჩვენებენ მდგრადობისა და ზრდის მაღალ მაჩვენებლებს“.³

ევროპული კლასტერების პოლიტიკის ფაქტორის მიერ მოცემული განმარტებით, კლასტერი ესაა გეოგრაფიულად მეზობელი, ურთიერთდაკავშირებული კომპანიები, მიმწოდებლები, მომსახურების პროვაიდერები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები და ინსტიტუტები, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სფეროში და ხასიათდებიან საქმიანობის ერთიანობით და ერთმანეთთან ურთიერთშეფასებით. კლასტერი არსებობს, იმის მიუხედავად, იცინ თუ არა ეს ფირმებმა და აღიარებულია თუ არა იგი ოფიციალურად.

კლასტერების ცნობილი მკვლევარი, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ცენტრის ხელმძღვანელი პროფ. ო. სოლველი წერს, რომ: „კლასტერის ზრდას ადგილი აქვს განსაკუთრებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში. ამ დროს ეკონომიკის რეგულირება და პოლიტიკა ვარირებს ფართო სპექტრში, კერძოდ, ანტიტრესტული, რეგიონული, სამრეწველო და სამეცნიერო, საინოვაციო პოლიტიკა, პატენტებისა და ინტელექტუალური საკუთრების თანავტორობის განსაზღვრის საკითხების ჩათვლით და სხვა. ეკონომიკური პოლიტიკის უფრო ზოგადი სტრუქტურა გავლენას ახდენს რეგიონების შიდა მიმზიდველობაზე მოქალაქეებისა (საცხოვრებელი პირობებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რეკრეაციული პროცესები და კულტურა) და კომპანიებისთვის (მინა, ინვესტირების მიმზიდველობა, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე სამუშაო ძალა). ზრდადი კლასტერი უკავშირდება საერთაშორისო ბაზრებს (როგორც ფაქტორთა, ასევე საბოლოო პროდუქტების). არსებული გამოცდილების მიხედვით დინამიკური კლასტერი წარმოადგენს იდეების, უნარ-ჩვევებისა და რესურსების ცირკულაციას, „ტვინების“ ცირკულაციის ჩათვლით“.⁴

ნებისმიერი მთავრობის წინაშე დგას ორი ამოცანა: პირველი, კონკურენტუნარიანობის მისაღწევად მას ესაჭიროება კერძო სექტორსა და სხვა მხარეებს შორის ეფექტიანი დიალოგისა და საქმიანობის წარმართვა; მეორე, საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისთვის, ესაჭიროება ეფექტი-

¹ <http://www.clusterobservatory.eu/index.php?id=78&nid>.
² COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS **Towards world-class clusters in the European Union: Implementing the broad-based innovation strategy**. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0652:FIN:en:PDF>.
³ www.clusterobservatory.eu European Cluster Policy Group, Final Recommendations – A Call for Policy Action.
⁴ <http://www.cluster-research.org/redbook.htm>; Orjan Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5. pp.59-60.

ანი რეგიონული პოლიტიკა, ინვესტიციების მიმზიდველობა, სათანადო უნარების განვითარება და ინოვაციურობა. ორივე აღნიშნული ამოცანა წარმატებით წყდება კლასტერების საშუალებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალეთ, მოგვეძებნა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მწარმოებელი, მსოფლიოში ცნობილი და წარმატებული კლასტერების მაგალითები.

ევროპული კლასტერების ობსერვატორია¹, დაარსდა 2007 წელს და არის ყველაზე მრავალ-მხრივი, ამომწურავი ბაზა კლასტერებზე, კლასტერების ორგანიზაციებსა და კლასტერების ანგარიშებზე ევროპაში. ობსერვატორიას აფინანსებს ევროკომისია (European Commission's Directorate General for Enterprise and Industry) „ევროპა ინოვა“-ს ინიციატივის ფარგლებში.² 2010 წლის II კვარტალში კლასტერების ობსერვატორიაში მომზადებულ ცნობარში მოცემულია ინფორმაცია 1307 კლასტერის შესახებ.³ მათ შორის არის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამამზადებელი 55 კლასტერი, საკვები პროდუქტების მწარმოებელი 45 კლასტერი. მათ გარდა, ვინრო სპეციალიზაცია აქვს ხორცის და ხორცის პროდუქტების მწარმოებელ 4 კლასტერს, ღვინის მწარმოებელ 6 კლასტერს, ხილისა და ბოსტნეულის მომყვან 4 კლასტერს და ა.შ.

კლასტერების ობსერვატორიის ცნობარში მოცემული სოფლის მეურნეობის კლასტერები ფუნქციონირებენ საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, დანიაში, ფინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში. ზემოჩამოთვლილ კლასტერებს შორის საფრანგეთში არის 19, რომელთაგან სამი არის ამ ქვეყნის ეკონომიკაში მოქმედ ყველაზე ძლიერ 15 კლასტერს შორის.

იმის გამო, რომ ამ ქვეყანას დიდი გამოცდილება აქვს სასოფლო-სამეურნეო მიმართულების კლასტერებში და მისი და საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები მსგავსია, ვთვლით, რომ საინტერესო იქნება მათი გამოცდილების გაცნობა ქართველი სპეციალისტებისთვის.

საფრანგეთში ლორის ველზე (ქალაქები: ანჟერი, ნანტი, საუმური) მსოფლიოში ცნობილ კლასტერში გაერთიანებულია 4000 კომპანია, 30000 სამუშაო ადგილი, 450 მკვლევარი, 2500 სტუდენტი, 25 უმაღლესი ტრენინგ-კურსი.⁴ საქმიანობა ხორციელდება 8 დიდი მიმართულებით, ინარმოება მარცვლეული, ხილი, ღვინო, ბოსტნეული, სამკურნალო და სურნელოვანი მცენარეები, სოკო, სიდრი და სხვა.

საფრანგეთში ქ. რეიმსის რეგიონში (პარიზთან ახლოს) განვითარებულია ასევე ბიოტექნოლოგიისა და ფრანგული მწვანე ქიმიის კლასტერი.⁵ კლასტერის საქმიანობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: სასოფლო-სამეურნეო მასალები, ბიომოლეკულები, ბიოენერჯია, მცენარეული ექსტრაქტები და სხვა.

ანტისიპას ტექნოპოლი მდებარეობს ტრეგორ-გოელოს ტერიტორიაზე. ოლქში განვითარებულია საკვების წარმოება, აქ მოქმედი 37 კომპანიიდან რამდენიმე საფრანგეთის „ნაციონალური მოთამაშეა“.⁶

მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული ფრანგული საკვები პროდუქტების კლასტერი ჩამოყალიბდა აგრიმიპის, ვალორიალისა და ვიტაგორას სამი კონკურენტუნარიანი კლასტერის გაერთიანებით. შუა პირენეის სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის ამ ფლამანდიურ კლასტერში გაერთიანებულია 106 კომპანია, 19 კვლევითი, ტექნოლოგიის გადამცემი და ტრენინგ-ორგანიზაცია, ასევე 128 სხვა ინსტიტუციონალური წევრი. ეს კლასტერი რეგიონში ქმნის 100 000 სამუშაო ადგილს, აწარმოებს 5 მლრდ ევროს პროდუქტს, ხოლო ამ პროდუქტების მომხმარებელთა რიცხვი შეადგენს 19,6 მლნ მომხმარებელს. 99 კომპანია ჩართულია ინოვაციურ პროექტებში.⁷

აქვიტანიაში, ბორდექსში მიმდინარეობს მუშაობა ინოვაციური პროცესების გასაავითარებლად საკვები და ჯანდაცვის პროდუქტების წარმოებაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აქვიტანიის რეგიონში გაერთიანებულია სამრეწველო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო რესურსები აგრო-წარმოების, ბიოტექნოლოგიების, ფარმაცოლოგიისა და მედიცინის მიმართულებით. აქ კლასტერი ინტენსიურად ეძებს და სწრაფად პოულობს კონკრეტულ ინოვაციურ წინადადებებსა და მათი დაფინანსების გზებს.⁸

¹ www.clusterobservatory.eu.

² <http://www.clusterobservatory.eu/index.php?id=78&nid>.

³ აღნიშნული გამოშვება ჯერჯერობით ბოლოა (ი.გ.).

⁴ www.vegepolys.eu.

⁵ www.iar-pole.com.

⁶ www.technopole-anticipa.com.

⁷ <http://www.agrimipinnovation.com>.

⁸ www.prodinov.fr.

ქალაქ მონპელიეს გარშემო ფუნქციონირებს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი, 25-წლიანი თანამშრომლობის ისტორიის მქონე, კლასტერი. მისი საქმიანობა ფარავს სოფლის მეურნეობის, საკვების, ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის საკითხებს.¹ მონპელიეში კლასტერის წევრი კომპანიების, კვლევისა და ტრენინგების ორგანიზაციების საერთო რაოდენობა 130 აჭარბებს.² აღნიშნული კლასტერის სამუშაო პრობლემატიკაა: მცენარეთა ჯიშობრივი გაუმჯობესება, ბიოტექნოლოგია და გენური ინჟინერია, კვება და დაცვა, მწვანე ქიმია, სასოფლო-სამეურნეო პროცესების მოდელირება, მონიტორინგი, წყლის რესურსების მინოდების სიზუსტე და მართვა, პროდუქტების მოყვანა, ალბა, გადამუშავება და კონსერვირება, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მცენარეებისა და მარცვლეული კულტურების წარმოება. სამიზნე ბაზრებია: აგრო-ინტელექტუალური მონყო-ბილობები, საკვები პროდუქტების წარმოება სამ სექტორში: ყურძენი, ხილი და ბოსტნეული, მარცვლეული კულტურები.³ კლასტერის წევრთა მიზანია ხმელთაშუაზღვისპირეთში სოფლის მეურნეობის განვითარება; ამ რეგიონში ახალი პროდუქტებისა და მათთან დაკავშირებული პროცესების შემუშავება.

ქალაქ აპტში კლასტერი სპეციალიზებულია ალუბლის წარმოებაზე. ესაა ხმელთაშუაზღვისპირეთში ყველაზე დიდი ალუბლის (ცნობილია ნაპოლეონის სახელით) გამომყვან-მწარმოებელი კლასტერი. აქ მიმდინარეობს დაშაქრული ალუბლის, ალუბლიანი მზა ნამცხვრების და სხვა სახის ტკბილეულობისა და საკონდიტრო ნაწარმის დამზადება. რეგიონში 3000 ჰა მიწაზე 26 მწარმოებელი ორგანიზაცია და 6000 ფერმერი ყოველწლიურად ამუშავებს 18 000 ტ ალუბალს.⁴

ქალაქ რენეს გარშემო არსებულ ვალორიის კლასტერში გაერთიანებულია 200-ზე მეტი კომპანია, კვლევითი და სატრენინგო ორგანიზაცია, აქ ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს სამომავლო საკვების დასამზადებლად. კვლევის მიმართულებებია: რძე და მისი პროდუქტები, კვერცხი, საკვების მიკრობიოლოგია, ბოსტნეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები, ჯანსაღი კვება, დიეტა და სხვა.⁵

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის ბელორუსისა და საქართველოს გარდა ყველგან მიმდინარეობს კლასტერების დანერგვა. 2009 წლის მაისში მომზადებულ „USID-ის მხარდაჭერით მოქმედი ევროპისა და ევრაზიის რეგიონების კონკურენტუნარიანობის პროექტების მიმოხილვა“-ზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, კლასტერებზე დაფუძნებული პროექტების განხორციელების პირველი ფაზა მოლდოვასა და სასომხეთში დაიწყო 2004 წელს, აზერბაიჯანში - 2008 წელს, უკრაინაში - 2009 წელს.⁶ ალბათ დასაფიქრებელია, თუ რატომ იგვიანებს მართვის ასეთი ეფექტიანი მოდელის დანერგვა საქართველოს ეკონომიკაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონულ გვერდზე განთავსებულ სამინისტროს დებულებაში⁷ მითითებულია, რომ “სამინისტრო ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მისი შესრულების კონტროლს“ (მუხლი 1. პარაგრაფი 3) თუმცა, დღემდე შემუშავებული არ არის დარგის განვითარების სტრატეგია.⁸ ძალზე მწირია სამინისტროს მიერ მომზადებული პუბლიკაციების ჩამონათვალი და ის საერთოდ არ შეიცავს ანალიტიკურ მასალას იმ მიმდინარე პროექტებისა თუ სამომავლო გეგმების შესახებ, რაც სამინისტროში ხორციელდება და იგეგმება. ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, სამინისტრომ სწრაფად უნდა დაიწყო დარგის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა, რისთვისაც კლასტერების კონცეფციის გამოყენება ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია იქნება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის კლასტერის შემადგენელ ნაწილებად შეიძლება განვიხილოთ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სახელმწიფო სხვადასხვა სააგენტოები, კავშირები და ასოციაციები; საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინსტიტუტები, სპეციალური სასწავლებლები, კოლეჯები, გადამზადების ცენტრები), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები; სანერგე და სანამენე მეურნეობები; სასაბურთე კომპლექსები; ვეტერინარიული მომსახურება; საირიგაციო სისტემები; სასუქებისა და პესტიციდების წარმოებისა და მომარაგების ფირმები, სალიზინგო კომპანიები (მანქანები, ტრაქტორები), საკრედიტო და სადაზღვევო ორგანიზაციები; პროდუქტების შემნახველი, გადამზიდავი და გასაღების ორგანიზაციები; საკვები პროდუქტების მწარმოებელი ფერმერები და ფირმები, მარკეტინგული და სარეკლამო სამსახურები და სხვა. ეს

¹ www.agropolis.fr.

² <http://www.qualimediterranee.fr/nos-adherents/annuaire.htm>.

³ <http://www.qualimediterranee.fr/le-pole/notre-strategie.html>.

⁴ www.anibi.com.

⁵ http://www.pole-valorial.fr/valorial/nos_partenaires.php.

⁶ www.clusterobservatory.eu; Overview of USAID-Supported Competitiveness Projects Europe and Eurasia Region, p.3-4.

⁷ <http://www.moa.gov.ge/index.php?pg=db>.

⁸ <http://www.moa.gov.ge/index.php?pg=stg>.

სამსახურები ცალკეული რეგიონებისა და დარგის მიმართულებით უნდა ამუშავდეს და დაუკავშირდეს ერთმანეთს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის კლასტერული განვითარების კონცეფციის შემუშავება საშური და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისთვის მნიშვნელოვანი საქმეა.

INEZA GAGNIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

CLUSTER - ONE OF THE GUARANTEE OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA'S AGRICULTURE

S u m m a r y

Policymakers in Europe have become increasingly interested in the potential of cluster-based economic policy over the last decade. On the one hand, governments need to find a new way to engage the private sector and others in dialogue and action to strengthen competitiveness. Clusters are a natural platform for such joint efforts. On the other hand, governments need to increase the effectiveness of their own policies in areas from regional development and investment attraction to skill development and innovation, which might be achieved by aligning policy effort with cluster's needs. The European Commission and many EU Member States have gained Significant experience from programmes of both types. 38% of all European employees work in industries that concentrate regionally – in clusters. Studies have found that companies within clusters achieve higher levels of productivity and innovation, and that clusters are environments where new firms exhibit higher survival rates and growth. Given this evidence of clusters' relation to prosperity, there is a need to consider clusters as a central part of any economic strategy.

Taking into account all the above mentioned, for those who are interested in the development of agricultural sector in Georgia the article provides a short description of the world famous French agricultural clusters, such as: Loire Valley Cluster, Anticipa technopole, the French Food Cluster, The Pole Prod'innov In Aquitaine, Agropolis cluster, Mediterranean cluster, Valorial cluster, cluster in Apt (Anibi), etc.

გლობალური დათბობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები

კლიმატის ცვლილება, რაც გამოწვეულია წყალდიდობებით, სტიქიებით, ქარიშხლებით, ზღვის დონის აწევით და ა.შ., მკვეთრად ცვლის ჩვენი პლანეტის იერსახეს. ბოლო ასწლეულში დედამიწა, საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ერთი გრადუსით გაცხელდა. ტემპერატურის მომატებამ გამოიწვია ყინულის დნობა და, შესაბამისად, ზღვის დონის აწევა. მსოფლიო ოკეანის დონე ორჯერ სწრაფად იზრდება, ვიდრე 150 წლის წინ.

თუ ჰაერის ტემპერატურა 2°C-ით გაიზრდება, ეს გამოიწვევს ხმელთაშუა ზღვის და სამხრეთ აფრიკის წყლის რესურსების 20-30%-ით შემცირებას. გარდა ამისა, დაიწყება გრენლანდიის ყინულოვანი ფარის დნობა, რაც გამოიწვევს ზღვის დონის 7 მეტრით მომატებას, აგრეთვე ხმელეთის ცხოველთა 15% სახეობის გაქრობას. ტემპერატურის 3°C-ით მომატება გამოიწვევს მუდმივ გვალვას სამხრეთ ევროპაში, 4°C-ით – არქტიკის ტუნდრის ნახევრის განადგურებას, სამხრეთაფრიკული და ხმელთაშუა ზღვის რესურსების 30-50%-ით შემცირებას. 5°C-ით სითბოს მომატებით გაქრება ჰიმალაის მთების დიდი მყინვარები. შესაბამისად, დაირღვევა წყალმომარაგება ჩინეთსა და ინდოეთში, წყლით დაიტბორება ლონდონი, ნიუ-იორკი, ტოკიო [1].

გლობალურ დათბობასთან ერთად ცოცხალ ორგანიზმთა განადგურების რისკი სწრაფად იზრდება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კაცობრიობამ უნდა იპოვოს საცხოვრებელი სხვა პლანეტებზე, უკვე 20 წლის შემდეგ მას უნდა ჰქონდეს მუდმივი ბაზა მთვარეზე და შემგომ ოთხ ათწლეულში კოლონია მარსზე [2].

დედამიწაზე კლიმატის ცვლილებას იწვევს როგორც ბუნებრივი, ისე ანტროპოგენური პროცესები. მათ შორის ძირითადია: დედამიწის ორბიტის ცვლილება; მზის აქტიურობის ცვლილება; ვულკანური ამოფრქვევები; ადამიანის მოღვაწეობა (ანტროპოგენური ფაქტორი).

კლიმატის ცვლილებების ძირითად მიზეზად თვლიან ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) რაოდენობის გაზრდას, რაც იწვევს ე.წ. სათბურის ეფექტს. მოკლეტალღოვანი მზის რადიაცია იოლად გადის CO₂-ის ფენაში, შემდეგ კი დედამიწის ზედაპირიდან არეკვლის შემდეგ გარდაიქმნება გრძელტალღოვან რადიაციად და მასში რჩება, რადგან CO₂-ის ფენიდან ვეღარ გამოდის; ე.ი. ეს ფენა სათბურის პოლიეთილენის საფარივით მოქმედებს – ქმნის დამატებით სითბურ ეფექტს. სათბურის ტემპერატურა შიგნით ყოველთვის მეტია, ვიდრე გარეთ. დედამიწის მიერ მიღებული მზის სითბო კოსმოსს უკან არ გადაეცემა. სითბური ეფექტი რომ არ არსებობდეს, დედამიწის საშუალო ტემპერატურა დაახლოებით -18°C იქნებოდა, სინამდვილეში კი +14 °C-ია. თუ რა რაოდენობის სითბო რჩება დედამიწაზე, პირდაპირ დამოკიდებულია ჰაერის შედგენილობაზე, რომელიც იცვლება ზემოჩამოთვლილი ფაქტორების ზემოქმედებით, კერძოდ ნახშირბადის და სხვა სათბურის გაზების (წყლის ორთქლი, მეთანი და ა.შ.) შედგენილობის მიხედვით.

ნახშირის ელექტროსადგურები, ქარხნები, თვითმფრინავები, მანქანები და ადამიანის მიერ შექმნილი გაბინძურების სხვა წყაროები ატმოსფეროში ყოველწლიურად აფრქვევენ დაახლოებით 22 მილიარდ ტონა ნახშირბადის დიოქსიდს და სხვა გაზებს. CO₂-ის ყოველწლიური გაფრქვევა ატმოსფეროში 1990 წლიდან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა [3]. გაფრქვეული სათბურის გაზების დაახლოებით სამი მეოთხედი ბოლო 20 წლის განმავლობაში ნავთობის, ბუნებრივი გაზის და ნახშირის გამოყენებაზე მოდის.

დედამიწა შთანთქავს მზისგან მიღებული რადიაციის 70%-ს. რა ღონისძიებები ტარდება გლობალური დათბობის შესაჩერებლად? მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები (მათ შორის ყველა ნობელის პრემიის ლაურეატი) აქტიურად ამუშავებენ ღონისძიებათა კომპლექსს გლობალური დათბობის შედეგების შესასუსტებლად. ამ პრობლემის გადაჭრაში, ბუნების შემსწავლელ მეცნიერთა გარდა, ჩართულნი არიან ფილოსოფოსები და მათემატიკოსები, სოციოლოგები და პოლიტოლოგები, ექიმები, სამხედროები და პოლიტიკოსები. ისინი არა მარტო განიხილავენ რეკომენდაციებს, არამედ საკანონმდებლო ინიციატივებითაც გამოდიან. ყველა პრობლემის განხილვა ხდება გაეროს ყველა წევრის მიერ [4].

ძირითად საერთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენს კიოტოს პროტოკოლი (შეთანხმებულია 1997 წელს, ძალაში შევიდა 2005 წელს), გაეროს ჩარჩო-კონვენციის დამატება კლიმატის ცვლილების შესახებ. პროტოკოლი მოიცავს 160 ქვეყანას. ევროკავშირმა CO₂-ის და სხვა გაზების გაფრქვევა უნდა შეამციროს 8%-ით, აშშ-მა – 7%-ით, იაპონიამ – 6%-ით. ევროკავშირის გადაწყვეტილებით 2020 წლისათვის საბურთის გაზების გაფრქვევა ატმოსფეროში უნდა შემცირდეს 20%-ით.

მზის რადიაციის 5%-ით შემცირება შესაძლებელს გახდის, დედამიწის საშუალო ტემპერატურამ დაიკლოს რამდენიმე გრადუსით, რაც შეანელებს ყინულის დნობას. გლობალური დათბობისაგან დედამიწის გადასარჩენად აქტიურად მუშავდება პროექტები.

ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, დედამიწის გარშემო 60-სმ-იანი დიამეტრის მილიონობით ლინზის განლაგება გამოიწვევს მზის სხივების არეკვლას და, შესაბამისად, მზის რადიაციის შემცირებას.

სხვა პროექტის მიხედვით, დედამიწის გარშემო უნდა შეიქმნას კოსმოსურ ხომალდთა ან უწვრილეს ნაწილაკთა საფარი, რომელიც დაჩრდილავს ტროპიკებს, რაც შეარბილებს კლიმატს. მაგრამ ამ პროექტების განხორციელებას კოლოსალური ხარჯები სჭირდება: 500 მილიარდი დოლარი კოსმოსური ხომალდების განლაგებას და 6-დან 200 ტრილიონ დოლარამდე ნაწილაკების შემთხვევაში.

50 მილიარდ დოლარად არის შეფასებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სტრატოსფეროში 15 კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე ბუშტებისა და თვითმფრინავების საშუალებით გოგირდის ნაწილაკების გაფრქვევას ორი წლის განმავლობაში.

შემოთავაზებულია ასევე სპეციალური დანადგარების საშუალებით ზღვის წყლისგან გამო-მუშავდეს მარილიანი ორთქლი და გარდაიქმნას ნატრიუმქლორიდით გაჯერებულ ღრუბლად.

არის იდეა, შეიქმნას ზღვის ზონებში თეთრი ფერის ხელოვნური ტივტივაკუნძულები მზის რადიაციისამრეკლავი ან თეთრი ფერის პლასტიკური მასალებით დაფენილი ზედაპირით.

წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ოკეანის ზედაპირზე წყალმცენარეთა ზრდის ხელ-შემწყობ ნივთიერებათა გაფრქვევას, რომლებიც დიდი რაოდენობით შთანთქავენ ნახშირბადის დიოქსიდს, უკვე რეალიზდება ანტარქტიდის ზოგიერთ რაიონში.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, გლობალური დათბობისგან დაცვა ბირთვული ომიტაა შესაძლებელი. ნასას მეცნიერები მოდელურ ტესტებზე დაყრდნობით თვლიან, რომ ატომური აფეთქება (100 ჰიროსიმის ბომბების ეკვივალენტური დონის) ტროპოსფეროს ზედა ნაწილში აიტანს დაახლოებით 5 მილიონ ტონა მურს, რაც გამოიწვევს ტემპერატურის დაცემას. რეგიონული ბირთვული ომის შემდეგ საშუალო გლობალური ტემპერატურა 2-3 წლის განმავლობაში დაინევის 1,25 °C-ით. თუმცა ისინი არ ამბობენ, თუ რა სერიოზულ ზარალს მოუტანს ეს სოფლის მეურნეობას და ადამიანის ჯანმრთელობას [5].

გლობალური დათბობის და სხვა მრავალ ეკოლოგიურ პრობლემათა გადაჭრა შეუძლებელია მეტეოროლოგიური კვლევების, ატმოსფეროს ცირკულაციის რთული მოდელების და სინოპტიკური ინფორმაციების გონივრული გამოყენების გარეშე.

ატმოსფეროში CO₂-ის რაოდენობის შესამცირებლად უპირატესობა ენიჭება ბიოსანვავის და განახლებადი ენერჯიების გამოყენებას [6]. მათი ტექნოლოგიების განვითარებაზე ყოველწლიურად დაახლოებით 43-46 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავენ. ეს თანხა ძალიან მცირეა იმ 557 მილიარდ აშშ დოლართან შედარებით, რაც წიაღისეული საწვავის მოპოვებას ხმარდება.

ეთანოლი ყველაზე გავრცელებული ბიოსანვავია. მას აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან: ხორბლეულისგან, სიმინდისგან, შაქრის ჭარხლისგან, შაქრის ლერწმისგან, კარტოფილისგან, სორგოსგან.

ეთანოლის მიღება შაქრისგან უფრო მარტივია, ვიდრე მარცვლისგან, ბევრად ნაკლებ კაპიტალს და ენერჯიებს მოითხოვს და, შესაბამისად, პროდუქცია ბევრად იაფი ჯდება [7]. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბიოსანვავს ტრადიციულ ნავთობპროდუქტებზე გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, რადგან შაქრის შემცველი ნედლეულის მოსაყვანად ფართობის განთავისუფლების მიზნით ტყეების გაჩეხვაა საჭირო. გარდა ამისა, ბიოსანვავის წარმოება შიმშილის პრობლემას უფრო ამ-წვავებს, რადგან ყოველწლიურად მისი დამზადებისთვის სულ უფრო მეტი სიმინდის, შაქრის ჭარხლის და სხვა მცენარეების გამოყენებაა საჭირო.

2010 წელს ბიოსანვავზე ხორბლის მსოფლიო მოსავლის 6,5% დაიხარჯა. ეს მაჩვენებელი, 2007 წელთან შედარებით, თითქმის 3-ჯერ მეტია. 2011 წელს საკვების ღირებულება მსოფლიოში, 2010 წელთან შედარებით, 29%-ით გაიზარდა. ამასთან, კლიმატური ცვლილებები, თავის მხრივ, გამო-იწვევს მოსავლიანობის შემცირებას. მაგალითად, სიმინდის მოსავლიანობა დაიკლებს 9%-ით, ხორბლის – 14%-ით, ბრინჯის – 11%-ით. დღეს, როგორც ცნობილია, საკვების სიმცირის გამო შიმ-

შილს განიცდის დედამიწის ყოველი მეშვიდე ადამიანი. ტემპერატურის შემდგომი მომატებით მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურა გაქრება, რაც გამოიწვევს მასობრივ შიმშილს.

ნაკლებად მავნე ალტერნატივის სახით მეცნიერები ცელულოზის ეთანოლს ასახელებენ. მაგრამ, სამრეწველო მასშტაბით ცელულოზის მიღება მხოლოდ მრავალწლიანი ხე-მცენარეებისგან არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაშიც ბიოეთანოლის სანარმოებლად ათასობით ჰექტარი ტყის გაჩეხვაა საჭირო.

ჰაერში CO₂-ის რაოდენობის შემცირება შესაძლებელია ფოტოსინთეზის გააქტიურებით. ატმოსფეროში CO₂-ის კონცენტრაცია სწორედ რეგულირდება მცენარეთა ფოტოსინთეზით. ამ ბუნებრივი პროცესით ყოველწლიურად შესაძლებელია ატმოსფეროდან 6,1 მილიარდი კუბური მეტრი ანტროპოგენური ნახშირბადის დიოქსიდის შთანთქმა (რა თქმა უნდა, თუ ტყეების გაჩეხვა წყდება). მაგრამ, როგორც გამოთვლებმა აჩვენა, ატმოსფეროს ყოველ წელს ემატება 3,2 მილიარდი ტონა CO₂. ეს დისბალანსი გაფრქვევასა და შთანთქმას შორის იწვევს ატმოსფეროში CO₂-ის შემცველობის ზრდას.

მრავალწლიანი გამოკვლევების საფუძველზე ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულია მცენარეული ორგანიზმის მართვის პრინციპები და შექმნილია ახალი ტიპის ბიორეგულატორები – ბიოენერგო-აქტივატორები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია [8-10]:

- ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება გარემოს გაბინძურების გარეშე.
- მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა.
- მცენარეთა განვითარების დაჩქარება (დამნიფების ვადების შემოკლება, ადრეული მოსავლის მიღება).
- მოსავლის ხარისხის გაუმჯობესება (ცილის, ნახშირწყლების, შეუცვლელი ამინომჟავების, ვიტამინების, მიკროელემენტების და სხვა ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობის გაზრდა).
- მწვანე მასის გაზრდა.
- მდგრადობის გაძლიერება დაავადებებისა და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ.
- სასუქების ეფექტიანობის გადიდება, რაც მინერალური სასუქების ეკონომიის საშუალებას იძლევა.
- ნიტრატების, მძიმე ლითონებისა და რადიონუკლიდების შემცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში.
- თესლის დახარისხება.
- კალმების სწრაფად დაფესვიანება.
- ფესვნარმოქმნის დაჩქარება და ძნელად დასაფესვიანებელ მცენარეთა ვეგეტაციური გამრავლება.
- ნაყოფმსხმოიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება.
- მენლეობის თავიდან აცილება.
- ფრინველთა და ცხოველთა იმუნიტეტისა და პროდუქტიულობის გაზრდა (საკვებში ბიოენერგოაქტივატორის დამატება ზრდის ფრინველებისა და ცხოველების წონასა და პროდუქტიულობას თანაბარი კვებისა და შენახვის პირობებში. მკვეთრად მალდება მათი გამძლეობა, უმჯობესდება ხორცის გემო და კვებითი თვისებები, იზრდება ფრინველთა კვერცხმდებლობა, საქონლის წველადობა. ამ დროს საკვების ხარჯი, ნამატის ერთეულზე გადაანგარიშებით, მნიშვნელოვნად მცირდება).

ბიოენერგოაქტივატორების კონკრეტული წარმომადგენელია პრეპარატი „ბიორაგი“ (რეგისტრაციის №455). მისი საშუალებით მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გამოირჩევა ეკოლოგიური სისუფთავით, სასარგებლო ნივთიერებათა მაღალი შემცველობითა და უნიკალური საგემოვნო თვისებებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა კვებაში. უკანასკნელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით მიღებული პროდუქტები დიდად უწყობს ჩიყვის, გულსისხლძარღვთა და სხვა დაავადებათა პროფილაქტიკას.

ბიორაგის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მცენარეთა ზრდა-განვითარების დაჩქარება (მაგალითად, ტყის კულტურების 4-5 წლით) და მცენარეზე ფოთოლთა ზედაპირის საერთო ფართობის გაზრდა საშუალოდ 525%-ით (იხ. ცხრილი) მაშინ, როცა, ლიტერატურული მონაცემებით, საუკეთესო მაჩვენებელია 15–17% [11]; ასევე აღსანიშნავია, რომ ქლოროფილის შემცველობა იზრდება 82-91%-ით (ლიტერატურული მონაცემებით კი 2–7% [11]), რაც მკვეთრად აძლიერებს ფოტოსინთეზურ აქტიურობას (ნახშირბადის დიოქსიდის და მზის რადიაციის შთანთქმას). 1 მილიონ ჰექტარ ფართობზე ბიორაგის გამოყენებით შესაძლებელია ატმოსფეროდან 30

მილიონ ტონამდე CO₂-ის მოცილება მცენარეების მიერ აბსორბციით ყოველწლიურად. ლიტერატურული მონაცემებით, იმავე ფართობზე მონოდებული ტექნოლოგიით შესაძლებელია მხოლოდ 1 მილიონი ტონა CO₂-ის შთანთქმა [11].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიორაგის საშუალებით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობისა და მათში შაქრის შემცველობის მკვეთრად გაზრდა, რაც დააკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს როგორც კვების პროდუქტებზე, ისე ბიოსანვავის წარმოებაზე. მაგალითად, შაქრის ჭარხლის ბოლქვების მოსავალი ყოველ ჰექტარზე (50 ტ საშუალო მოსავლიანობის და 14% შაქრიანობის შემთხვევაში)¹ შეიცავს დაახლოებით 7 ტ კრისტალურ შაქარს. ბიორაგის გამოყენებით ეს მაჩვენებელი შეადგენს 32 ტონას (საშუალო მოსავლიანობა 143 ტ/ჰა, შაქრიანობა 22,5%).

ცხრილი

ბიორაგის გავლენა ფოთლების საერთო ფართობის გაზრდაზე

კულტურა (ადგილმდებარეობა, წელი)	დაუმუშავებელი (საკონტროლო)			ბიორაგით დამუშავებული				
	ფოთლოვანი საშუალო	ერთი ფოთლის საშუალო ფართობი, სმ ²	ერთ მცენარეზე ფოთლოვანობის საერთო ფართობი, სმ ²	ფოთლოვანი საშუალო რაოდენობა ერთ მცენარეზე	ერთი ფოთლის საშუალო ფართობი, სმ ²	ერთ მცენარეზე ფოთლოვანობის საერთო ფართობი, სმ ²	ერთ მცენარეზე ფოთლოვანი საერთო ფართობის ნამატები	
							სმ ²	%
კომბოსტო (ბოლნისის რ-ნი, სოფ. კუმისი, მარტილიანი ნიადაგი, 2011)	14	435	6090	36	762	27432	21342	350
ყვითელი (თბილისი, მწირო ნიადაგი, 2011)	115	230	26450	280	475	133000	106550	403
შაქრის ჭარხალი (ბოლნისის რ-ნი, სოფ. კუმისი, მარტილიანი ნიადაგი, 2011)	16	205	3280	58	350	20300	17020	519
სიმინდი (ბოლნისის რ-ნი, სოფ. ნულრულა-შენი, მწირო ნიადაგი, 2011)	12	256	3072	18	946	17028	13956	454
მარწყვი (თბილისი, მწირო ნიადაგი, 2011)	15	74	1110	18	270	4860	3750	338
პირუშუხა (თბილისი, მწირო ნიადაგი, 2011)	4	138	552	7	937	6559	6007	1088

¹ აშშ-ში შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობაა 49ტ/ჰა, ხოლო რუსეთში, ბელორუსიაში და უკრაინაში 28-40 ტ/ჰა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.ecologylife.ru/>
2. <http://www.blog.artnn.ru/2006/0706/globalnoe-poteplenie-i-idei-po-spaseniu-zemli/>
3. <http://www.cnews.ru/news/line/index.shtml?2007/05/23/251382/>
4. http://www.sir35.ru/pages/Td_70415.html/
5. <http://www.mixednews.ru/archives/4331/>
6. Halman M.M., Steinberg M. Greenhouse Gas Carbon Dioxide Mitigation. Science and Technology, Lewis Publishers, Boca Raton, FL, 1999.
7. Maung T.M., Gustafson C.R.. The Economic Feasibility of Energy Sugar Beet Biofuel Production in Central North Dakota, 2010.
8. რ. გახოკიძე. ბიოენერგოაქტივატორი. თბ., გამომც. „JCI“, 2002.
9. რ. გახოკიძე. უხვი მოსავლის სანინდარი. თბ., გამომც. „JCI“, 2008.
10. Gakhokidze R. Effects of Bioenergoactivators on Productivity of Plants. In: Chemistry of Advance Compounds and Materials. New York, Nova Science Publishing, Inc., 2008.
11. <http://www.kiev.trade.gov.pl/uk/download/life/f,9149/>

R. GAKHOKIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Full Professor

THE PROBLEM OF GLOBAL WARMING AND WAYS FOR ITS SOLUTION

S u m m a r y

Global warming is a serious issue that needs to be stopped. Its consequences, including loss of life, economic disruption and population dislocation, are growing each year. Carbon dioxide has been identified as a major reason for the change of temperature in the atmosphere.

Many methods and concepts dealing with preventing carbon dioxide from entering the atmosphere have been proposed. Concentration of carbon dioxide in the atmosphere is naturally regulated by different processes, e.g. plant photosynthesis. One of the significant results of the application of Biorag is the acceleration of development and increase in the sizes of total leaf surfaces of plants by 500-600%, increase in chlorophyll level and strengthening of photosynthetic activity. With the use of Biorag on 1 million hectares, each year more than 30 million tons of carbon dioxide can be absorbed by green plants from the atmosphere.

**PERSPECTIVES OF APPLICATION OF A NEW BIOORGANIC METHOD
IN SUSTAINABLE AGRICULTURE**

Sustainable agriculture is a management system for renewable natural resource for food production, income and livelihood for present and future generations, maintaining and improving economic productivity and the ecosystem [1].

Starvation is the most serious world problem. More than one billion people, a sixth of the world's population, now face chronic hunger and the situation is likely to worsen more and more. Despite continued gains in food production, many people remain malnourished. Malnutrition means a lack of nutritional elements necessary for human health.

With global population growing by 90 million a year, the demand for food will only intensify (every 3,6 seconds someone dies and every year 15 million children die of hunger) [2]. The principal problem is that many people in the world do not have sufficient land to grow crops or get enough food. The problem of world hunger is always going to remain as long as the world population continues to be substantially higher than the amount of food that farmers are able to produce. In many regions, land productivity has begun to stagnate or even decline. Climate change (increasing drought, flooding, etc) is increasingly viewed as a current and future cause of hunger and poverty.

One way to solve the problem of hunger would be to develop new ways to grow food on a worldwide scale. By developing new methods for maximizing crop growth on substandard land, the inhabitants can grow enough food to meet their needs. Opposite to Malthusian theory, the world will produce enough food to feed everyone.

The goal of the sustainable agriculture is to utilize fertilizers, chemicals, manure efficiency through the use of soil testing, innovative crop management techniques, integrated pest management, use of natural growing regulators and biostimulators and control of water and air pollution.

Most of the preparations used in modern agriculture for the protection from diseases, pests and various environmental stresses are artificial and are not destroyed either by plant enzymatic systems or physical impacts and chemical effects. It leads to their accumulation in harvested crops and, hence, in organisms of animals and humans. On the other hand, the long-term use of chemicals in food production caused a decrease in plant resistance and soil bioenergy structure, plant yield and soil yielding capacity.

Environment pollution causes a damage of genetic apparatus, to which are connected not only hereditary diseases, inborn deformities, malignant tumors, but such illnesses as cardiovascular, neural, that of digestive system, immune and others. With the increase of pesticides application has risen the number of mentally retarded children. The data of the US Ministry of Health explain the population death-rate increase, hypertension, cancer and cirrhosis by environment pollution with pesticides and other harmful substances. This is the greatest danger which threatens the mankind.

Unfortunately, today it is impossible to reject chemicalization in agriculture. The use of chemicals in agriculture nowadays does not guarantee the high quality and safety of the product. The World Health Organization has long recognized that biological safeties are important international issues. Food-stuff safety is a duty of the state. Improvement of the existing situation from the position of environment protection is possible by reducing to the minimum the negative influence of chemicalization in agriculture. At present, there is an urgent necessity of making preparations that allow obtaining ecologically clean food-stuffs in the world.

The living organisms like the society, market relations, political associations, etc. are self-organized systems. For maintaining the homeostasis (of life provision) the self-organized systems have to contain two homeostatic mechanisms – a self-organization mechanism and management mechanism.

The integrity of every living organism is maintained by management and regulation systems. Regulation refers to preservation of system parameters within approachable limits. Management means the process of conversion of the system from one condition to the other, affecting its variable parameters. The term "regulation" in the vast understanding of the subject includes the meaning of management processes.

Regulation of plant growth and development is limited and it depends on potential abilities of plants. A plant has a genetic capacity of improving its productivity. Growth is a very complicated physiological process. It consists of numerous separate reactions going on in a cell. Certain stimulators cannot simultaneously influence

all of them. That is why their influence is dissimilar. Some of them speed up the growth of root system, others - of seeds, some - of green mass. Usually different stimulators influence different plants. The common regularity known so far is: the increase of crop capacity is inversely proportional to qualitative indices.

By applying the systematic approach to the management of a living cell, we worked out a new methodology and on its basis developed the methods enabling to control endogenous (self) regulatory systems of a living cell [3]. Due to this, plants are more resistant against diseases, pests and unfavourable influence of weather. They improve environmental preservation and life quality by receiving healthy food with curative and prophylactic effects.

On the basis of a new scientific discipline – agrobiorganic chemistry, by using natural products we created non-toxic bioregulators of a new type – bioenergyactivators, which have no analogs [4-7]. They enable to receive ecologically pure, rich harvest of high quality and increase immunity through the augment of vital potential in plants by minimal chemicalization and to use land to the maximum and efficiently, which is of special importance for countries having insufficient arable land. Nowadays, there is no remedy in the world which could increase productivity of agricultural crops and, at the same time, simultaneously grow green mass and qualitative indices.

Bioenergyactivators are regulators of a new generation, which principally differ from well-known chemical remedies and enable to manage endogenous regulatory systems of plants. They have been used for cultivation of cereals, melons and vegetables. The crop capacity has increased significantly (2-3 times) yielding ecologically pure products (Fig.1, 2). At the same time, composition of protein, limited amino acids, vitamins, microelements and other bioactive compounds grows in fruit. For instance, vitamin C in maize increases by 50 %, lysine by 98 %, iodine by 867 %, selenium by 106 % (Table 1).

Agrobiorganically grown food products are nutritious and tasty compared to conventionally grown products. They can be stored for longer time and do not get decayed (rotten) easily. Our research provides feasible strategies to maintain or improve quality of life [8].

Bioenergyactivators have been found to facilitate the rooting of grafts of toughly rooted plants, which demonstrated good results on silver spruce (*picea pungens Engelman*), kiwi, vine, nut, kazanlyk rose, geranium, gladiolus and other valuable plants. The obtained results significantly exceed all the known data obtained by other methods in this area.

Silver spruce is a valuable plant both from decorative and ecological point of view. It releases a large amount of phytoncides (which clear the air from microbes) and, in its turn, absorbs heavy metals, pesticides and other poisons available in the environment, i.e. it is a natural filter. It is difficult for silver spruce to strike root, therefore it is germinated by seeds which can yield fully-developed plant only within 10-15 years and with a small outcome. The use of bioenergyactivators allows for this unique wood genus to strike root by 90-85% and significantly accelerates its growth and development.

Using the new method it would also be possible for the tillers of actinidia-kiwi to strike root. Kiwi or *yangtao actinidia* is a subtropical berry culture. It is one of the richest plants in biologically active substances. It has from ancient time been used both for food and for treatment. In China it has long been used to prevent quite a number of diseases, including cancer. As demonstrated by our research, the use of bioenergyactivators results in a substantial increase in the plant's content of bioactive substances enhancing strongly its pharmacological and therapeutic activity.

Vine grafting has a long-term history. In spite of this, the yield of the first quality grafted saplings is rather low. Bioenergyactivators have a high effect on the yield of saplings. They promote rooting and provide active performance of current vital processes resulting in their full-fruitage development within a short period of time.

At present, considerable attention has been focused upon artificial immunization of plants which can be considered a powerful means in increasing nonspecific resistance against diseases and various unfavourable influences.

This innovation is a strong remedy to increase stability of plants towards diseases and other unfavorable conditions. Some compounds acquired in our laboratory show strong immunologic effect on the lemon sorts growing in Georgia, against Mul secco diseases, caused by fungus *Phoma tracheifila*, which causes drying of lemons, oranges, and the rest of citruses and damages crop of citruses. It should be noted that the use of new biopreparations sharply increases frost resistance and promotes fruiting by several years.

Plant mycoplasmic diseases are wide spread and cause considerable damage to agriculture. Mycoplasmic as well as virus diseases, because of specificity of pathogenic microorganisms and the spread of infection, belong to plant diseases with a practically impossible cure.

As it is known, recently, leaf rugosity – a mycoplasmic disease of the mulberry-tree – had a serious negative influence on the nutrient source of sericulture. For the restoration of the sericulture it is very important to restore the nutrient source, namely to conduct some activities against the leaf rugosity disease.

We have demonstrated before that the processed plant could recover its immune system on account of utilization of reserve substances [9]. Growth-evolution of the plants is stimulated, active elements of their anatomic structure and of productivity indices are improved, and spreading of the mycoplasmic disease is decreased; all of these can be considered as the increase of general resistance of the plants to the disease, as well as to unfavorable environmental factors.

It is especially important to process the seeds before planting by the energyactivators, which enables the plants to be more resistant to diseases and unfavorable environmental conditions. They penetrate into the plant cells, play a role of inductors of general unspecific durability, and stimulate protective functions of the plants by the activation of reserved mechanisms [5]. At the treatment of mulberry with new preparations the resistance of the plant to the mycoplasmic disease – leaf rugosity increases [10,11]. At a single treatment of diseased mulberry roots with new preparations the immunity of the plant increases and therefore the prevalence of leaf rugosity decreases. After the treatment of the seeds with new preparations, the stimulation of germinating capacity has been demonstrated. At the same time the biometric indices of seedlings increase.

Bioenergyactivators are ecologically pure and safe. They provide natural normalization of plants. They enable preservation of homeostasis through activation of physiological regulatory mechanisms, providing adaptation to the extremal conditions. They influence various systems of metabolism: breath, photosynthesis, biosynthesis of proteins, carbohydrates and secondary substances. They cause a sharp increase in the activity of some enzymes, for example katalases, peroxidases, change physical and chemical properties of protoplasm and penetrability of cellular membranes for water, mineral and organic substances. Bioenergyactivator stimulates the nitrate assimilation and protein levels in the bean primary leaves by using nitrate as single nitrogen source at the early stages of vegetation. New preparations strengthen the plants resistance against outside factors and diseases, which provides the means of getting ecologically pure agricultural crop without polluting ground by poison.

There are two ways of adaptation of humans to the environment: the first – by improving the environmental preservation, the second – by increasing the stability of organisms towards the action of harmful factors.

Adaptation of living organisms to different conditions is possible through the use of bioenergyactivators. They reveal strong antioxidant properties which give the means of reduction of negative influence on humans being caused by chemicalization of agriculture.

In the laboratory mice antimutagenic and anticytotoxic effects of bioenergyactivators (biorag, ragozan, ematon and ragil) have been studied during mutation and cytotoxicity induced with the fertilizers and the pesticides. Experiments showed that tested bioenergyactivators exerted highly effective antimutagenic and anticytotoxic action [12,13].

The obtained results show that it is possible to increase the quantity as well as quality of agricultural products and, at the same time, to reduce the negative influence of agricultural chemicalization on the environment, which will give great economic, ecological and social effects.

The agricultural products obtained by the use of bioenergyactivators due to their ecological purity and high nutrient content (protein, limited amino acids, vitamins, microelements) are valuable for baby nourishment. Based on current research of physicians and hygienists, the crop obtained with bioenergyactivators is a good means for preventing goitre, cardiovascular and other diseases.

Examples of using new biotechnologies



Fig.1. One plant of the maize sort “*Kartuli krugi*” usually gives 1 corn-cob; only 1-6 % characterized by 2 corn-cobs. The use of new biopreparation 70% of plants give 3 corn-cobs, and 30% from 4 to 7 corn-cobs.



Fig.2. On the right - sunflower obtained by use of new technologies (seed oiliness increased 1,5–times).
On the left- control version.

Improvement of chemical composition of agricultural crops by use of new technologies

Agriculture crops	Indices	Type of treatment		% from control
		Untreated sample	Treated sample	
Maize	Protein, %	9,20	10,76	17
	Fat, %	3,56	4,75	33
	Lyzine, g/kg	3,24	6,42	98
	Tyrosine, g/kg	1,32	3,21	143
	Iodine, mg/kg	0,06	0,58	867
	Selenium, mg/kg	0,36	0,74	106
Sugar-beet	Sucrose, %	10,3	22,5	118
Wheat (sort "Dolis Puri")	Wet Gluten, %	25,6	43,2	69
Grape (sort "Izabella")	Sugar content, %	12	24	100
Herbal <i>Malva silvestris</i>	Carbohydrates, %	11,3	16,6	47
	Organic acids, %	3,3	6,5	97
	Alkaloids, %	0,05	0,21	320

LITERATURE:

1. Vasilevski G., Bulg J. Plant Physiol., Special Issue, 2003, p.179.
2. Nature, 2010, v.466, p. 531.
3. Gakhokidze R. On the Systematic Approach of Regulation of Plant Living Processes. In: Informal and Communication Technologies – Theory and Practice. New York, Nova Science Publishing, Inc., 2011.
4. Gakhokidze R. Bioenergyactivator. Tbilisi, JCI, 2002.
5. Gakhokidze R. Means of Rich Harvest. Tbilisi, JCI, 2008.
6. Gakhokidze R. Effects of Bioenergoactivators on Productivity of Plants. In: Chemistry of Advanced Compounds and Materials. New York, Nova Science Publishing, Inc., 2008.
7. Gakhokidze R. Application of New Ecologically Pure Bioorganic Methods in the Agriculture. In: Bio-Processing and Application of Microbial Biotechnology in Agriculture. Cairo, National Research Centre, 2010.
8. Gakhokidze R. Minimization of Negative Influence of Agriculture Chemicalization on the Environment. Proceedings of the International Scientific Conference on "Food Safety Problems", Tbilisi, 2009, p.13.
9. Gakhokidze R., Khidasheli Z., Tabatadze L. Bull. Georg. Acad. Sci., 1996, v.154, p.456.
10. Gakhokidze R., Kimutsadze E. Georgian Engineering News, 2003, v.4, p.142.
11. Gakhokidze R., Putkaradze E. International Workshop on Revival and Promotion of Sericultural Industries and Small Enterprise Development in the Black, Caspian seas and Central Asia Region. Tashkent, Uzbekistan, 2005, p. 334.

12. Prtshkelani A., Pirtshkelani N., Gakhokidze R. *et al.* Biomedicina, 2008, v.1, p.44.
13. Gakhokidze R., Pirtshkelani A. Antimutagenic and Anticytotoxic Activity of Bioenergoactivators. In: Advanced Biologically Active Polyfunctional Compounds and Composites. New York, Nova Science Publishing, Inc., 2010, p.309.

რამაზ ბახოკიძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი*

ახალი ბიომორფანული მეთოდის გამოყენების პერსპექტივები მდგრადი განვითარების სოფლის მეურნეობაში

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ცოცხალი უჯრედის მართვაში სისტემური მიდგომის გამოყენებით ჩვენ მიერ შემუშავებულია ახალი მეთოდოლოგია და მის საფუძველზე განვითარებულია ახალი მეთოდები, რომლებიც ცოცხალი უჯრედის ენდოგენური (საკუთარი) რეგულატორული მექანიზმების კონტროლის საშუალებას იძლევა. ისინი ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის მოსავლის მიღების საშუალებას იძლევიან. მათი წყალობით მცენარეები დაავადებების, პესტიციდების და ამინდის არახელსაყრელი ზემოქმედების მიმართ უფრო რეზისტენტული ხდება. ახალი მეთოდოლოგია გარემოს დაცვისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე ჯანსაღი საკვების საშუალებით აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს.

გარემოსთან ადამიანის ადაპტაცია შესაძლებელია ორი გზით: პირველი – გარემოს დაცვის გაუმჯობესებით, მეორე – თვით ადამიანის ორგანიზმის მდგრადობის გაზრდით საყოფაცხოვრებო მავნე ფაქტორების მოქმედების მიმართ. სხვადასხვა პირობასთან ცოცხალ ორგანიზმთა ადაპტაცია შესაძლებელია ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით. ისინი ამჟღავნებენ ძლიერ ანტიოქსიდანტურ თვისებებს, რაც ადამიანზე სოფლის მეურნეობის ქიმიზაციით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შემცირების საშუალებას წარმოადგენს.

სიმონ გალაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

სტატისტიკური პროგნოზირების როლი სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში

ზოგადად პროგნოსტიკის და კერძოდ კი სტატისტიკური პროგნოზირების თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარება მულტიმეცნიერული პრობლემაა და მისი გადაჭრა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგის, განსაკუთრებით სტატისტიკის, მათემატიკის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეკონომიკური თეორიის განვითარების შედეგად. იგი მრავალი რთული ამოცანის გადანყვეტას მოიცავს [2, 3, 6]. ყოველი მათგანი ცალკე კვლევის საგანია და მათი მეცნიერული და პრაქტიკული დამუშავების დონე განსხვავებულია საპროგნოზო ობიექტის თავისებურების შესაბამისად.

სასოფლო-სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება გულისხმობს არა რომელიმე მოვლენის ან პროცესის ყოველგვარი ცვლილების წინასწარ განსაზღვრას (რაც უმეტესად შეუძლებელია), არამედ მათი მომავალი ცვლილების ძირითადი ტენდენციის (ანუ ტრენდის) დადგენას. ეს განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როდესაც ხორციელდება მოვლენათა პროგნოზირება დროითი მწკრივების საფუძველზე. აგრარული სფეროს მოვლენებისა და პროცესების პროგნოზირების საერთაშორისო პრაქტიკაში დღეისათვის უკვე მრავალი სტატისტიკური მოდელია ცნობილი და გამოყენებული (როგორც ერთფაქტორიანი, ისე მრავალფაქტორიანი) [3, 4, 8, 9]. მაგრამ არც ერთი მკვლევარი არ მიუთითებს იმ მკაცრი კრიტერიუმების შესახებ, თუ რა შემთხვევაში იძლევა უფრო რეალურ შედეგებს ერთფაქტორიანი და როდის – მრავალფაქტორიანი მოდელი. ეს კი ერთ-ერთი რთული პრობლემაა, რაც ჯერ კიდევ გადასაწყვეტია და რომლის გადანყვეტისას აუცილებელია სეზონურობისა და შემთხვევითი ფაქტორების გათვალისწინება.

სტატისტიკური პროგნოზირების (მათ შორის სოფლის მეურნეობის სექტორში) ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ინფორმაციული ბაზის ფორმირება, რაზედაც აგებულია მისი ყველა ძირითადი სტადია – ფაქტორთა ანალიზით დანყებულ და შემუშავებული პროგნოზების ვერიფიკაციით დამთავრებული. აქედან გამომდინარე, პროგნოზირების ინფორმაციულ ბაზას უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი და შედგებოდეს მრავალი ინფორმაციული ბლოკისაგან. საქართველოში ეს პრობლემა ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გადაჭრილი, რაც ხელს უშლის აგრარული სფეროს პროცესების სტატისტიკური პროგნოზირების თეორიის და, განსაკუთრებით კი, პრაქტიკის სრულყოფას.

სოფლის მეურნეობაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები რთული და მრავალმხრივი ცვლილებებით ხასიათდებიან, განსაკუთრებით სეზონურობის ფაქტორის გავლენით. ამიტომ მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციის წინასწარ ცოდნა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მათი მიზანდასახული რეგულირება. სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს სტატისტიკური პროგნოზირება. ამ შემთხვევაში სტატისტიკური პროგნოზირების ობიექტია არა ზოგადად აგრარული სფეროს მოვლენები და პროცესები, არამედ მათი ცვლილების ძირითადი ტენდენციები როგორც წარსულში და აწმყოში, ასევე მომავალში. ასეთი კვლევის ძირითადი სასურველი შედეგია მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზების მიღება.

სტატისტიკური პროგნოზირება გულისხმობს შემდეგი ძირითადი სტადიების განხორციელებას [1]:

1. საპროგნოზო ორიენტაცია;
2. ინფორმაციული ბაზის ფორმირება;
3. საპროგნოზო ობიექტზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;
4. პროგნოზირების მეთოდის შერჩევა;
5. პროგნოზული მოდელის აგება და მისი ადეკვატურობის შეფასება;
6. პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება;
7. მიღებული პროგნოზების ვერიფიკაცია.

თავის მხრივ, ყოველი სტადია მოიცავს კვლევის პროცესის რამდენიმე ერთგვაროვან და ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს, ყოველი ეტაპი კი აერთიანებს სხვადასხვა ოპერაციას. სტატისტიკური პროგნოზირების პირველ სტადიაზე განისაზღვრება კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები, მათი განხორციელების შესაძლო გზები და საშუალებები. ამავე სტადიაზე

ხდება საპროგნოზო ობიექტის ზუსტი განსაზღვრა და გამოყოფა, მისი რეტროსპექტული განვითარების ზოგადი დახასიათება, სხვა ობიექტებთან ურთიერთკავშირებისა და მისი მაფორმირებელი ფაქტორების დადგენა.

სტატისტიკური პროგნოზირების მეორე სტადია ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომლის დროსაც ხორციელდება პროგნოზირების ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემის მოხსნა. ამ სტადიაზე ხდება საპროგნოზო ობიექტისა და მასზე მოქმედი ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, თავმოყრა და დაჯგუფება, მისი სისტემატიზაცია. ამასთანავე, საჭირო ინფორმაციული მასივი ყალიბდება როგორც სტატისტიკური დაკვირვების, ისე ექსპერიმენტის გამოყენების საფუძველზე. პროგნოზირების ინფორმაციული ბაზის ფორმირებისას უნდა შესრულდეს ორი ძირითადი პირობა: იგი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სრული და მას უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი. ამ პირობების შესრულება გულისხმობს მონესრიგებული, დაკვირვებადი და სისტემატიზებული ინფორმაციული ბაზის შექმნას. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელი უნდა იყოს მისი სტრუქტურისა, აგრეთვე მისი მოცულობისა და ხარისხის დადგენა [9].

ამის შესაბამისად, ამოსავალი პროგნოზული ინფორმაცია ზოგადი სახით უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს [2]:

- პროგნოზირების მიზნებისა და ამოცანების შესახებ;
- საპროგნოზო ობიექტის განვითარებისა და ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ;
- ობიექტის რეტროსპექტული განვითარებისა და მისი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ;
- საპროგნოზო ობიექტის ენდოგენური და ეგზოგენური კავშირების შესახებ;
- ობიექტის ფორმალური ასახვის შესაძლებლობის შესახებ;
- საპროგნოზო ობიექტის ცვლილების ტენდენციების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ;
- ობიექტის ფუნქციონირების პირობების შესახებ.
- საპროგნოზო ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის წყაროებზე.

ამასთან ერთად, პროგნოზირების ობიექტის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამოსავალი ინფორმაცია შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს თავისი შინაარსით და შემადგენლობით, რაც განაპირობებს ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხს.

აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესები იმდენად რთული და ცვალებადია, რომ მათი პროგნოზირებისას არსებული რეტროსპექტული ინფორმაცია მუდმივ განახლებას საჭიროებს. ამ ამოცანის გადაწყვეტისას კი სტატისტიკას ალტერნატივა არა აქვს, რამდენადაც იგი ფლობს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ფორმებისა და ხერხების ფართო არსენალს. ასე, მაგალითად: თუ ანგარიშგების ფორმით მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია არასაკმარისია რომელიმე მოვლენის პროგნოზების ასაგებად, მაშინ ინფორმაციის სისრულის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვებები. ასევე, საპროგნოზო ობიექტზე მოქმედი ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია სტატისტიკური დაკვირვების სხვადასხვა ხერხის გამოყენება. ყოველივე ეს ქმნის იმის საფუძველს, რომ პროგნოზირებისას შეიქმნას შესასწავლი ობიექტის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სისტემა, რომელშიც მოცემული იქნება რეტროსპექტული, მიმდინარე და პერსპექტიული მასივები. პროგნოზირების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სტატისტიკას ყოველთვის შეუძლია განაახლოს ინფორმაციის სისტემა.

პროგნოზირების მესამე სტადიაზე ხორციელდება საპროგნოზო ობიექტის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული სტატისტიკური მეცნიერება თავისი მრავალფეროვანი მეთოდებისა და ხერხების მთელი სისტემით. ამასთან ერთად, ამ სტადიაზე ფართოდ გამოიყენება ასევე მათემატიკური მეთოდები და ხერხები. პროგნოზირების ამ სტადიის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მეორე სტადიის შედეგებზე, ე.ი. იმაზე, თუ რამდენად სრულია ფაქტორთა შესახებ არსებული ინფორმაცია. ამ სტადიაზე ხდება ფაქტორთა მოცემული ერთობლიობიდან არსებითი ფაქტორების გამოვლენა, ე.ი. ფაქტორებისა, რომლებიც განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ საპროგნოზო ობიექტის ფორმირებისა და განვითარების პროცესზე. ასეთი ანალიზის საფუძველზე გამოიყოფა ის მცირერიცხოვანი ფაქტორები (ან ფაქტორი), რომლებიც უშუალოდ შეიტანება საპროგნოზო მოდელში. ამით კი შესრულებული იქნება მესამე სტადიის ძირითადი მიზანი – მოდელში შესატანი ფაქტორების განსაზღვრა.

სტატისტიკური პროგნოზირების მეოთხე სტადიაზე ხორციელდება პროგნოზირების მეთოდების შერჩევა, რასაც ძირითადად საფუძვლად უდევს მეორე სტადიის შედეგები – სრული და უტყუარი ინფორმაციული ბაზის ფორმირება. სწორად შერჩეული მეთოდი განსაზღვრავს რეალური პროგნოზების შემუშავებას. აქ განვიხილავთ სტატისტიკური მოდელირებისა და პროგნოზირების მეთოდების სამ დიდ ჯგუფს – დეტერმინირებულ, სტოქასტურ და შერეულ მეთოდებს. ასეთი კლა-

სიფიკაცია გარკვეული აზრით პირობითია, რადგან ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში რომელიმე დეტერმინირებული მეთოდი შეიძლება მიეკუთვნოს სტატისტიკურს და ასევე შეიძლება მოხდეს პირიქით. რა თქმა უნდა, სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდების კლასიფიკაცია განსხვავდება პროგნოსტიკის ზოგადმეთოდოლოგიური კლასიფიკაციისაგან [5, 7].

დეტერმინირებული მეთოდებიდან ზოგადად უნდა გამოვყოთ სტატისტიკური დაჯგუფების მეთოდი, საშუალო სიდიდეთა მეთოდი, საინდექსო მეთოდი და აპროქსიმაციის მეთოდი.

პროგნოზირების პროცესში შესაძლებელია რამდენიმე დეტერმინირებული მეთოდის ერთდროული გამოყენება. მაგალითად, ხშირად ერთდროულად გამოიყენება სტატისტიკური დაჯგუფების მეთოდი და საშუალო სიდიდეთა მეთოდი, ან კიდევ საშუალო სიდიდეთა მეთოდი და აპროქსიმაციის მეთოდი. შესაძლებელია აგრეთვე სხვა კომბინაციებიც, რაც დამოკიდებულია საპროგნოზო ობიექტის თავისებურებებზე. სტატისტიკური მეთოდებიდან აქ უნდა გამოვყოთ კორელაციური და რეგრესიული მეთოდები, შერჩევითი მეთოდი, მთავარი კომპონენტების მეთოდი, დინამიკის მწკრივების სტატისტიკური მოდელირება, სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების მეთოდი, ოპტიმიზაციის მეთოდები, მონტე-კარლოს მეთოდი, რობასტული მეთოდები და ექსპერტული შეფასების მეთოდები.

მეხუთე სტადიის მთავარი მიზანია კვლევის ობიექტის ადეკვატური საპროგნოზო მოდელის აგება, რაც ძირითადად მესამე სტადიის შედეგებზეა დამოკიდებული, მაგრამ მის ფორმასა და შინაარსს მნიშვნელოვნად განაპირობებს აგრეთვე წინა, მეოთხე სტადია – პროგნოზირების შერჩეული მეთოდის სახე. საპროგნოზო მოდელის შერჩევა ხორციელდება ორი მიდგომის – ლოგიკურისა და სტატისტიკურის საფუძველზე. მაგრამ გადამწყვეტი მაინც პირველია, რადგან ზოგჯერ რაოდენობრივი კრიტერიუმების მნიშვნელობები ან თუნდაც ნიშანი (მინუსი ან პლუსი) შეიძლება ფორმალურად ეწინააღმდეგებოდეს კვლევის ობიექტის რეალური განვითარების არსს. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საპროგნოზო მოდელის შერჩევაში პრიმატი ლოგიკურ ეკონომიკურ ანალიზს მიეკუთვნება. პროგნოზირების ამ სტადიაზე შერჩეული მოდელები ძირითადად სამი სახისაა: დინამიკური, სტრუქტურული და ურთიერთკავშირების. ამასთან ერთად, შესაძლებელია აგრეთვე შერეული (კომბინაციური) სტატისტიკური საპროგნოზო მოდელების აგებაც, როგორცაა ეკონომიკურ-სტატისტიკური ან მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელები. ამა თუ იმ სახის მოდელის შერჩევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მის საფუძველზე განისაზღვროს პროგნოზული მაჩვენებლები. აუცილებელი მოთხოვნაა შერჩეული მოდელის ადეკვატურობის შეფასება, რის შემდეგაც უკვე შეიძლება შერჩეული მოდელის გამოყენება პროგნოზების ასაგებად [9, 10].

სტატისტიკური პროგნოზირების მეექვსე სტადიის განხორციელება თანაბრადაა დამოკიდებული მეოთხე და მეხუთე სტადიების შედეგებზე, ე.ი. პროგნოზირების მეთოდის სწორად შერჩევასა და ადეკვატური საპროგნოზო მოდელის აგებაზე. უშუალო პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება ნაკლებადაა დამოკიდებული სუბიექტურობის ხარისხზე. მაშასადამე, პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება უნდა განხორციელდეს პროგნოზირების რომელიმე მეთოდისა და მისი შესაბამისი მოდელის საფუძველზე, ან კიდევ მხოლოდ რომელიმე მეთოდის საფუძველზე მოდელის გარეშე (ეს იშვიათად, მაგრამ შეიძლება მაინც მოხდეს). ჩვენი აზრით, რეალური პროგნოზული მაჩვენებლები მიიღება უმეტესად მაშინ, როდესაც გამოიყენება პროგნოზირების ორი რომელიმე მეთოდი ერთდროულად. ამასთან ერთად, საბოლოო პროგნოზული გადამწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს პროგნოზირების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – ალტერნატიულობის გათვალისწინებით, ე.ი. მრავალვარიანტული პროგნოზების აგების საფუძველზე.

პროგნოზირების ბოლო, მეშვიდე სტადია წინა – მეექვსე სტადიის ორგანული გაგრძელებაა და თუ დაისვა პროგნოზირების ძირითადი სტადიების რაოდენობის შემცირების ამოცანა, მაშინ მიზანშეწონილი იქნება პირველ რიგში სწორედ ამ ორი სტადიის გაერთიანება. მაღალი სიზუსტისა და რეალური (მაშასადამე, მაღალი ხარისხის) პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება, ჩვენი აზრით, პირდაპირ, ან უფრო ზუსტად, ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია პროგნოზირების მეოთხე და მეხუთე სტადიების შედეგებთან, ე.ი. პროგნოზირების შერჩეულ მეთოდზე და ადეკვატურ საპროგნოზო მოდელზე. ერთ-ერთი მათგანის არასწორი და არასაკმარისად დასაბუთებული განხორციელება აუცილებლად გამოიწვევს მიღებული პროგნოზების ხარისხის შემცირებას და პირიქით, რაც უფრო სწორადაა შერჩეული პროგნოზირების მეთოდი და ასევე, თუ საპროგნოზო მოდელი ხასიათდება ადეკვატურობის საკმარისად მაღალი ხარისხით, მით უფრო ზუსტი, რეალური და საიმედოა (სანდოა) საბოლოო პროგნოზული გადამწყვეტილება. მაგრამ ყველა შემთხვევაში აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ნებისმიერ პროგნოზს და მათ შორის სტატისტიკურსაც ალბათური ხასიათი აქვს.

სტატისტიკური პროგნოზირების ყველა ზემოთ განხილული სტადია ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველი მომდევნო სტადიის განხორციელება უშუალოდაა დაკავშირებული და დამოკიდებულია არა მხოლოდ წინა, არამედ რამდენიმე სტადიაზე მიღებულ შედეგებზე. რომელიმე სტადიის თუნდაც ნაწილი სამუშაოების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაბალხარისხოვანი და არარეალური პროგნოზების შემუშავებას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში პროგნოზირების დასახული მიზანი და ამოცანები განუხორციელებელი დარჩება. ამიტომ პროგნოზირების ყველა სტადიაზე მთელი სამუშაოების ეტაპობრივი შესრულება მას მიანიჭებს კვლევის ერთიანი პროცესის სახეს.

პროგნოსტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა შემუშავებული პროგნოზების სიზუსტისა და სანდოობის და, საერთოდ, მათი ხარისხის შეფასება. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ძირითადი როლი მიეკუთვნება სტატისტიკას, რომელსაც გააჩნია საკმარისი მეთოდოლოგიური აპარატი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს პროგნოზების ხარისხის შეფასების ისეთი მეთოდი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ზუსტად უპასუხებს კითხვაზე: ჭეშმარიტია თუ არარეალური მიღებული პროგნოზი. მაგრამ ამჟამად არსებული მეთოდები და ხერხები (განსაკუთრებით კი სტატისტიკური) საშუალებას იძლევა განსაზღვრული ზომით შეფასდეს მიღებული პროგნოზების ხარისხი, რაც ალტერნატიული ვარიანტების შედარების და მათგან ოპტიმალურის შერჩევის საფუძველი იქნება.

პროგნოზის აბსოლუტური სიზუსტის განსაზღვრის მეთოდი ჯერ კიდევ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან პროგნოზი საერთოდ ალბათური ხასიათის მატარებელია და მას ყოველთვის ახასიათებს გარკვეული ზომის შეცდომა. ეს განსაკუთრებით შეეხება სასოფლო-სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების პროგნოზებს. ამიტომ, როდესაც განიხილება პროგნოზის სიზუსტე, აქ იგულისხმება მისი მიახლოებითი სიდიდის განსაზღვრა.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი მოვლენის და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება შეუძლებელია კომპლექსური ინფორმაციული ბაზის ფორმირების გარეშე, რომელსაც უნდა ჰქონდეს დაკვირვებადი და სისტემატიზებული ხასიათი. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელი უნდა იყოს მისი სტრუქტურულიზაცია და მოცულობისა და ხარისხის დადგენა.

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე გავრცელებული შეხედულებით, მრავალფაქტორიან საპროგნოზო მოდელში შესატანი ფაქტორების განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს რაოდენობრივ ანალიზს, რომლის დროსაც დგინდება ყოველი აღრიცხული ფაქტორის გავლენის ზომა, შემდეგ ხდება მათი რანჟირება და ამის საფუძველზე შეირჩევა მოდელში შესატანი ფაქტორები. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა ხშირად არ არის მიზანშეწონილი, რადგან მრავალ შემთხვევაში კვლევის ობიექტზე ამჟამად დიდი ზომით მოქმედი ფაქტორის გავლენის სიდიდე შეიძლება ძლიერ შემცირდეს საპროგნოზო პერიოდში და პირიქით, გამოჩნდეს მრავალი ახალი ფაქტორი, რომელთა ზემოქმედების ზომა ამჟამად უმნიშვნელოა, მაგრამ საპროგნოზო პერიოდში ძლიერ გავლენას მოახდენს კვლევის ობიექტის ცვლილებაზე. ეს განსაკუთრებით შეეხება აგრარული სექტორის მოვლენებსა და პროცესებს. ამიტომ მრავალფაქტორიანი პროგნოზირებისას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტორთა შერჩევა უნდა მოხდეს კომპლექსური მიდგომის გამოყენებით, ე.ი. როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ანალიზის საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო პროცესების მრავალფაქტორიანი პროგნოზირებისას რეალური ადეკვატური მოდელის აგება უნდა ემყარებოდეს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესრულებას: არსებული ინფორმაციის სისრულე და საიმედოობა, დაკვირვებათა საკმარისი რიცხვი, მოდელში შესატანი ფაქტორების ეკონომიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური დასაბუთება მათი რაოდენობისა და ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის მიხედვით. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება დასაბუთებული პროგნოზების შემუშავება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს. მოვლენათა დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიური საკითხები. თსუ, თბ., 2005.
2. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს. სტატისტიკური მოდელირებისა და პროგნოზირების საფუძვლები. თსუ, თბ., 2006.
3. Проблемы анализа и прогнозирования социально-экономических процессов. Сборник научных трудов. Отв. ред. Константинов В. К. – М.: 1983.

4. Abraham, B., Ledolter, I. Statistical methods for forecasting. Chichester, Sussex, 1983.
5. Diebold, F. X. Elements of Forecasting, Cincinnati: Southwestern College Publishing, 2001.
6. Fulda, E., Härter, M. Neue Ansätze der Prognostik. München, 1997.
7. Gelaschwili, S. Einführung in die Statistische Modellierung und Prognose. Universität Potsdam, 2007.
8. Helmer, O. Looking forward: A guide to futures research. - Beverly Hills (Cal.), 1983.
9. Homegger, J. Statistische Modellierung, Klassifikation und Lokalisation von Objekten. Stuttgart, 1996.
10. Hüttner, M. Prognoseverfahren und ihre Anwendung. Berlin, 1986.

SIMON GELASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Full Professor

**THE ROLE OF STATISTICAL FORECASTING IN THE SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF AGRICULTURE**

S u m m a r y

The article discusses theoretical aspects of statistical forecasting in the sustainable development of agriculture, particularly, the main stages of statistical forecasting: predicted orientation, formation of information base, analysis of the factors influencing forecasting object, selecting the forecasting method, building a forecasting model and evaluation of its adequacy, calculation of forecast indicators and verification of the received forecasts.

Special attention is paid to the problem of formation of information base, which requires the fulfillment of two basic conditions: it should be as complete as possible and have a complex character. Fulfillment of these conditions includes creation of accurate, observable and systematized information base. This means that it should be possible to make its structure and determine its volume and quality. Taken into consideration all the above mentioned, it will become possible to provide reasonable forecasts, which is one of the most important instruments for developing the strategy for sustainable agricultural development.

**საქართველოს დაცული ტერიტორიები და ტურიზმის
განვითარების მიმართულება**

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ მეტორმეტე საუკუნეში თამარ მეფემ გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. ხუთასი წლის შემდეგ კი ვახტანგ VI „კანონთა კრებული“ მოიხსენიებს ყორულის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს – იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ეგრეთ წოდებული „ხატის ტყეები“ რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპიურ ნაკრძალებს წარმოადგენდა. პირველი ოფიციალური ნაკრძალი კი მოგვიანებით, 1912 წელს, კახეთში შეიქმნა და მას ლაგოდეხის ნაკრძალი ეწოდა.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა, მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, რომელიც ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა, დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა. შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის რეკომენდაციებს ემყარება.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების ქსელის სისტემურ დაგეგმვას, დაცული ტერიტორიების დაარსებასა და მართვას. დეპარტამენტი ახორციელებს ზედამხედველობას დაცული ტერიტორიების მთელს სისტემაზე, რათა დაიცვას ცოცხალი ორგანიზმების თანაარსებობისთვის საჭირო ეკოსისტემები, ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები და ხელი შეუწყოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კვლევებსა და ტურიზმის განვითარებას.

საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო – ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად.

საქართველოში ამჟამად დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 495 892 ჰექტარს შეადგენს, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7 %-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75 % ტყით არის დაფარული. საქართველოში 16 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 10 აღკვეთილი, 14 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია.

დღეისათვის ტურიზმი საქართველოში განვითარების ახალ, ასე ვთქვათ, სანყის ეტაპზე იმყოფება და მიმდინარე რეფორმების ფონზე ეს პროცესი საკმაოდ მძიმედ და ნელა მიმდინარეობს.

საქართველოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი რომ გააჩნია, ეს უცხო და ახალი არავისთვის არაა. თუმცა ეს უძველესი ქვეყანა, ტურისტებისთვის ჯერ კიდევ ძალიან ახალი და აღმოუჩენელია. ტურიზმი ხომ სწორედ ის სფეროა, სადაც წარმატება სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამდენად, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ექსტრემალური, არასასურველი პირობები პირდაპირ აისახება იმ სფეროზე, რომელიც ადამიანის გაჯანსაღებას, დასვენებას, რეკრეაციას ემსახურება. უცხოელი ტურისტების ნაკლებობაზე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევაც მეტყველებს. კერძოდ, საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც დასვენება ყველაზე ძვირია. ამ ნაკლოვანებების დაძლევა შესაძლებელია, თუ ყურადღება მიექცევა შემდეგ ფაქტორებს: დაბალი ფასები, განვითარებული სატრანსპორტო საშუა-

ლებები, უკეთ მომზადებული მომსახურე პერსონალი. ტურისტის მრავალ პრობლემას აწყდება უშუალოდ დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგაც. მაგალითად, რაჭაში ან სვანეთში ჩასული სტუმარი ვერსად ნახულობს სასტუმროს ან რესტორანს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს „PAN“ სტატუსი მიენიჭა, რაც ევროპის მასშტაბით მის ღირსშესანიშნაობას ადასტურებს, მაგრამ აქაც არაა ისეთი აუცილებელი ობიექტები, როგორცაა გზის მაჩვენებელი ნიშნები, საპირფარეოები, გადაუდებელი დახმარების პუნქტები და ა.შ.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ტენდენციები განსაზღვრულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ, რომლის პროგნოზითაც ეკოლოგიური ტურიზმი შედის 2020 წლამდე ტურიზმის განვითარების ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებაში.

ექსპერტული შეფასებების თანახმად მოსახლეობის რაოდენობა, რომლებსაც ანუხებით ბუნების მდგომარეობა, განუწყვეტლივ იზრდება. მსოფლიოში ეკოტურისტების ძირითად ნაკადს წარმოადგენს მრეწველობაგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობა, რომელსაც აინტერესებს პლანეტის ხელუხლებელ (ქალწულებრივ) რაიონებში შემონახული ბუნება და აბორიგენული მოსახლეობის ყოფითი პირობები.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ძირითად სამოტივაციო ფაქტორს მიეკუთვნება ხალხის მისწრაფება – დასვენების დროს ეზიარონ ბუნებას, ქონდეთ საშუალება ისუნთქონ სუფთა ჰაერით, მიირთვან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, ასევე მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებისაგან. ამასთან ერთად, მოტივებს, რომლებიც განსაზღვრავენ ეკოტურიზმის არჩევანს, მიეკუთვნება ტურისტების სურვილი მოგზაურობის დროს გაეცნონ ახალი ტერიტორიების ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს.

ეკოტურიზმი საშუალებას იძლევა მოიზიდოს თანხები როგორც რეგიონის გარე სამყაროს დაცვისათვის, ასევე მისი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარებისათვის. გარდა აღნიშნულისა, ეკოტურიზმი ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ეკოლოგიის დარგში, ეკოლოგიურ განათლებაში.

ეკოტურიზმის შედეგი უნდა იყოს ტურისტის მიერ არა მარტო ახალი ინფორმაციის მიღება და მის გარშემო არსებული სილამაზის შესწავლა, არამედ მისი ურთიერთდამოკიდებულების შეცვლა ბუნების მიმართ სამომხმარებლოდან მზრუნველობითზე.

არსებობს ფართოდ გავრცელებული ცდომილი აზრი იმის შესახებ, რომ დაცული ტერიტორიების ტურისტულ პროდუქტებს წარმოადგენენ ტურისტული მარშრუტები ან ტურები. სინამდვილეში ყველაფერი, რასაც დაცული ტერიტორიები აკეთებენ ტურიზმის სფეროში, განხილული უნდა იქნეს როგორც საწარმოო პროცესი, რომლის ბაზასაც წარმოადგენს პარკის ღირსშესანიშნაობები, შეზღუდვას წარმოადგენს მისი რეკრეაციული ტევადობა, ხოლო პროდუქტებს – ტურისტული შეთავაზებების პროფორმა, იდეები ან ცალკეული პროგრამები. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ეროვნული პარკის ტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესი უნდა გავიგოთ როგორც მმართველობითი და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია მოცემული ტერიტორიის ტურისტული მიზიდველობის ამაღლებისაკენ და ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრის იმიჯის ფორმირებისაკენ.

ტურისტული პროდუქტის ფორმირებას წინ უძღვის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მისი მარკეტინგული ანალიზი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება დაცული ტერიტორიებისათვის საინტერესო ტურისტების მიზნობრივი ჯგუფები და დგინდება ტურიზმის გარკვეული სახეების განვითარების პროგრამები, რომლებიც მიზანშეწონილია მოცემული დაცული ტერიტორიებისათვის. ტურისტული ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება, ინფორმაციული უზრუნველყოფა და ა.შ. უშუალოდ ზემოქმედებენ მონახულების ხარისხზე და წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების ტურისტული პროდუქტის უმთავრეს ელემენტებს. ამიტომ დაცული ტერიტორიების დადებითი იმიჯის ფორმირება, მისი ტურისტული პროდუქტის წინ ნაწევა უნდა წარმოადგენდეს ტუროპერატორების, დაცული ტერიტორიების, ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაციების ერთობლივ ამოცანას.

დაცულ ტერიტორიებს სხვადასხვა გზებით შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ტურიზმის განვითარების პროცესებზე:

- პირობების შექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;
- პროფესიული მიდგომა დაცული ტერიტორიების ტურისტული შეთავაზებების ფორმირებისადმი;
- სტუმართმოყვარეობა და ვიზიტორების მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა;

– ადგილობრივი მოსახლეობის სამენარმეო აქტიურობისათვის ხელის შეწყობა, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება სპეციალიზირებულ კომერციულ სტრუქტურებთან, ასევე მართვის ადგილობრივ თუ რეგიონალურ ხელისუფლებასთან.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არასაკმარისად იყენებენ საკუთარ რესურსებს და შესაძლებლობებს ტურიზმის განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად: ტერიტორიის პერსპექტიული დაგეგმარება; ინვესტიციების მოზიდვა; მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება; პარტნიორობა კერძო ბიზნესთან; საზოგადოების მოზიდვა. სოფლის მოსახლეობის სუსტი სამენარმეო აქტივობა, მოსახლეობაში სასტარტო სამენარმეო კაპიტალის არარსებობა აფერხებს ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებას ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით.

არსებობს იმის ალბათობა, რომ დაცული ტერიტორიები, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შეეცდებიან არ დაუშვან კერძო სექტორი ბიზნესის საწარმოებლად თავიანთ ტერიტორიაზე. ამ დროს ისინი იძულებულნი იქნებიან დაკავდნენ მათთვის არადაამახასიათებელი საქმიანობით: ტურისტული ობიექტების მშენებლობით, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით და მისი ექსპლუატაციით, ტუროპერეტივით და ა.შ. ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვნად ზრდის მოცემული სამეურნეო საქმიანობის რისკს.

რაც უფრო მაღალია დაცული ტერიტორიების პოტენციალი, მით უფრო ღირებულია მისი რესურსები და საინვესტიციო მიმზიდველობა და, შესაბამისად, მეტია თანხები, რომელთა მიღება შეიძლება ობიექტებისა და მიწის ნაკვეთების იჯარაზე გაცემით. აღნიშნული ხელს უწყობს ტურიზმის საწარმოებს შორის კონკურენციის გამწვავებას და დაცული ტერიტორიებისათვის წარმოადგენს შესანიშნავ შესაძლებლობას უფრო ეფექტურად არეგულიროს ტურიზმის განვითარების პროცესი საიმედო და პასუხისმგებელი პარტნიორების შერჩევის გზით.

დაცული ტერიტორიები ახდენენ რეგიონის ტურისტული იმიჯის ჩამოყალიბებას, ხელს უწყობენ მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას; შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნეს ბიოსფერული რეზერვაციის სტატუსი, რაც თავის მხრივ ზრდის იმის ალბათობას, საზღვარგარეთული ორგანიზაციებიდან მიღებულ იქნეს ფინანსური, ტექნიკური და კონსულტაციური დახმარებები.

ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი შიგა და გარე ხასიათის ფაქტორების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქმიანობა მისი განვითარებისათვის მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, საფრთხეების თავიდან აცილებისა და სუსტი მხარეების გაძლიერებისაკენ და, მეორე მხრივ, ძლიერი მხარეებისა და სასიკეთო შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისაკენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში და კერძოდ დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებად მიგვაჩნია:

– ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს რეგიონი, რომელიც მოკლებულია ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, საჭიროა, ყველა არსებული რესურსის და პოტენციალის სისტემური აღრიცხვის და ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მსოფლიოს იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის (შემოსავლების გენერირების) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს;

– ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა უზრუნველყოს საქართველოში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზისა და ელექტრონული რუკის შექმნა. ყველა ობიექტი დატანილ იქნა სპეციალურად შექმნილ საქართველოს რუკაზე. საჭიროა დეტალურად აღინუსხოს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის არსებული ობიექტები (შენობა-ნაგებობები), არამედ ტურიზმის ცალკეული დარგების (ეკოტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რეკრეაციული ტურიზმი და ა.შ.) განვითარებისთვის რეგიონებში არსებული ბუნებრივი და სხვა სახის რესურსები და ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნას მონაცემთა შესაბამისი ბაზა;

– რეგიონებში არსებული რესურსების შესახებ საინფორმაციო ბაზის გამოყენებით, ტურიზმის დარგის კომპლექსური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; ტურიზმის სექტორის დივერსიფიკაცია;

– საჭიროა შემუშავდეს ქვეყანაში ტურიზმის კომპლექსური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება რეგიონებში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პოტენციალისა და რესურსების შესახებ ერთიან საინფორმაციო ბაზას;

– საჭიროა ტურიზმის სექტორის დივერსიფიკაცია. ყურადღება უნდა გამახვილდეს ტურიზმის იმ სახეობებზე, რომელთა განვითარების პირობებიც არსებობს ქვეყანაში და რომლებიც მიმზიდველი იქნება როგორც უცხოელი, ისე შიდა ტურისტებისათვის. ტურიზმის განვითარების ეროვნუ-

ლი სტრატეგიის ფარგლებში საჭიროა, შემუშავდეს ამ ცალკეული სახეობების განვითარების კონკრეტული მიმართულებები;

– საჭიროა ჩატარდეს აქტიური საინფორმაციო კამპანია ქვეყნის რეკლამირების მიზნით, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს სხვადასხვა საშუალება (მასმედია, ტურისტული დანიშნულების ადგილებში გაცნობითი ტურების მოწყობა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის, საზღვარგარეთ გამოფენების ორგანიზება და ა.შ.);

– შესაბამისი მექანიზმების დანერგვა დაცულ ტერიტორიებზე ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი საქმიანობის სანარმოებლად ტურიზმის მართვის სფეროში;

– დაცული ტერიტორიების პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ტურიზმის სფეროში და მზადყოფნა თანამშრომლობისათვის;

– ტურისტული ნაკადების მართვის ეფექტური სისტემის შემუშავება (ვიზიტორების მიღება, საინფორმაციო მომსახურება, საექსკურსიო-შემეცნებითი პროგრამა, ვიზიტორების რაოდენობისა და ბუნებაში მათი ქცევის კონტროლი, უსაფრთხოების და მართლწესრიგის უზრუნველყოფა და ა. შ.);

– რეკრეაციული და შემეცნებითი ტურიზმის სფეროებში ობიექტების ტერიტორიული და საპროექტო დაგეგმარების, ტერიტორიის პერსპექტიული განვითარების სტრატეგიის შემუშავების, ტურისტული შემოთავაზებებისა და ვიზიტორების მომსახურების ორგანიზაციის დროს მარკეტინგის ელემენტების გამოყენება;

– დაცული ტერიტორიების რეკრეაციული და საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;

– რეგულირებადი ტურიზმისა და დასვენების სტრატეგიული განვითარების უზრუნველყოფა შესაბამისი კადრებით;

– სამენარმეო ინიციატივის გააქტიურება ტურიზმის სფეროში;

– განხილულ იქნეს რეგიონის დონეზე დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის დაარსების იდეა, რათა ამ უკანასკნელის მიერ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (მათი ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვას);

– ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დაცული ტერიტორიების სისტემის პარალელურად, რეგიონის დონეზე უნდა მომზადდეს დამხმარე ზონის პროექტები, რაც ხელს შეუწყობს შემოსავლის ალტერნატიული წყაროს შექმნას (მაგ. ეკოტურიზმის განვითარება, ოჯახური სასტუმროების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობა, გიდეების დაქირავება და ა.შ.);

– რეგიონული ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს შესწავლა დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის შესაძლო ჩართვისა ამ ტერიტორიების ფარგლებში განვითარებულ ტურისტულ საქმიანობაში; რეგიონის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში ტურისტულ საქმიანობებში ადგილობრივი მოსახლეობის როლის მკაფიოდ განსაზღვრა;

– დაცული ტერიტორიები გამოყენებულ უნდა იქნეს ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე, კლიმატზე და ბუნებრივ რესურსზე მონიტორინგის მიზნით, რადგან აქ ანთროპოგენური ჩარევა ნაკლებია და ყველა ცვლილება გამონვეულია ბუნებრივი პროცესების ფონზე (გლობალური დათბობა და სხვ.).

სახელმწიფო დონეზე ტურიზმის განვითარების საქმეში სახელმწიფოს როლი შეიძლება გამოხატულ იქნეს შემდეგი მოქმედებებით:

1. ტურიზმის საკანონმდებლო და სახელმწიფო მხარდაჭერა. აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონში მინის შესახებ დაკონკრეტებულ იქნეს საიჯარო ურთიერთობები დაცული ტერიტორიების მიწებთან მიმართებაში;

2. ნორმატივების შემუშავება (მაგ. ანთროპოგენური დატვირთვის ზღვრული დასაშვები ნორმები, მომსახურების გადახდის სისტემა და ა.შ.), რომლებიც გააიოლებენ რეგულირებადი ტურიზმისა და დასვენების ორგანიზაციას;

3. ცალკეული დაცული ტერიტორიების და მათი ჯგუფების მარკეტინგი და მათი „წინ ნაწევა“ საშინაო და საგარეო ბაზრებზე;

4. რეგულირებად ტურიზმზე და დასვენების ორგანიზაციაზე პასუხისმგებელი დაცული ტერიტორიების პერსონალის მომზადების და გადამზადების სისტემის შემუშავება;

5. შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ დაცული ტერიტორიების, მათ ბუნების დაცვით და რეკრეაციულ ცნობადობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დევაძე ა. ტურიზმი (თეორია და პრაქტიკა). თბ., 2009.
2. Храбовченко В.В. Экологический туризм. – М.: Финансы и статистика, 2004.
3. Штюрмер Ю. А. Охрана природы и туризм. – М.: Физкультура и спорт, 1974.
4. Колотова Е.В. Рекреационное ресурсоведение: Учеб. пособие. – М.: Советский спорт, 1998.
5. Тарасенок А. Виды экологического туризма. //Туризм и отдых. – 2000.
6. Программа развития экологического просвещения и экотуризма на базе Тебердинского заповедника. М.: 2000.
7. Рекреационная география: Учебно-методический комплекс /Под ред. А.С. Кускова, В.Л. Голубева, Т.Н. Одинцова. – М.: МПСИ, 2005.

NANI GVARISHVILI

*Shota Rustaveli State University
Assistant Professor*

ANZOR DEVADZE

*Shota Rustaveli State University
Associate Professor*

PROTECTED TERRITORIES OF GEORGIA AND TOURISM DEVELOPMENT DIRECTIONS

S u m m a r y

Georgia as the best tourism destination country has so much to offer its visitors.

The protected territories can influence tourism development processes in many ways. The presented work discusses the strong and weak sides of regulated tourism in the protected territories, as well as the existing threats, and determines major strategic directions of its development. These issues can be solved only by joint effort of both local and central government bodies.

რეპაზ გველანიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

აგრარულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სიღარიბის დონის დაძლევასა და საყოველთაო კეთილდღეობის მიზნის განხორციელებას, კერძოდ ჯანსაღ საკვებზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სტრატეგია ტექნიკურად გამართლებულ პოლიტიკურ რეკომენდაციებს ითვალისწინებდეს. სხვა შემთხვევაში სტრატეგიის განხორციელებას რისკი ახლავს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სექტორის სტრუქტურის განვითარების სტრატეგია კარგად წარმოვიდგინოთ. ამ მიმართებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგზე: აგრარული პოლიტიკის როგორი ჩარჩო ურთიერთობები და ინსტრუმენტები იქნება გამოყენებული სპეციფიკური მიზნების განსახორციელებლად და გათვალისწინებულია თუ არა ფერმერების (ან გლეხების) როლი გადანაცვლებათა მიღებისა და განხორციელების პროცესში. აღსანიშნავია, რომ სხვა შემთხვევებში სტრატეგიის უზრუნველყოფა და განხორციელება შესაძლოა ძალზე გართულდეს.

აგრარული პოლიტიკის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს სოფლის მეურნეობის პოტენციურ ადგილსა და როლს ეკონომიკური წონასწორობის პერსპექტიულ განხორციელებასა და მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში (ქვეყნის საერთო განვითარების პროცესში). იგი ასევე უნდა გულისხმობდეს: პოტენციური ტექნიკური ცვლილებებისა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის აუცილებლობას და მათ შესაბამისობას საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესთა რეალიზაციისათვის. აღნიშნული სტრატეგიის საბოლოო შედეგს ეკონომიკური ზრდის პროცესში სიღარიბის დაძლევა და ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემების გაუმჯობესება წარმოადგენს. განვითარების პროცესების ამგვარი გააზრება, ასევე, აგრარული პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის ცალკეულ სტრატეგიულ მიდგომებს უნდა განსაზღვრავდეს.

მთლიანად სტრატეგია არ იქნება წარმატებული, თუ ის მხოლოდ აგრარულ სექტორს მოიცავს. სტრატეგიის შედეგები მთლიანად დამოკიდებულია ეროვნული დონის გადანაცვლებებზე, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, სავალუტო კურსზე, მოგების ნორმაზე, ინვესტიციების განაწილებაზე სექტორებსა და რეგიონებს შორის და არა მხოლოდ აგრარულ სექტორში.

როგორ შეიძლება განისაზღვროს აგრარული პოლიტიკის მრავალფეროვნება, აგრარული სექტორის წინსვლით თუ სოფლის ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების გადიდებით? რაში მდგომარეობს კონსტრუქციული ნაბიჯები სექტორის დონეზე, რომელიც საშუალებას იძლევა განვასხვავოთ მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და სოფლის მეურნეობის დონეზე მოქმედი პროგრამები? არის თუ არა აგრარული პოლიტიკა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკისათვის აუცილებელი? სწორი და წარმატებული აგრარული პოლიტიკის გატარებისათვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ პასუხობენ ამაზე პოლიტიკოსები.

აგრარული პოლიტიკა, დღეისათვის, მეტად უნდა იყოს კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვა არეალებთან, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ მის განხორციელებას. მაგალითად, ცენტრალური ბანკი მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს სოფლად საფინანსო პოლიტიკას, ხოლო ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტრო – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის პოლიტიკას, ფინანსთა სამინისტრო – სასოფლო-სამეურნეო კვლევებისა და ირიგაციის დანახარჯების პროგრამებს, გარემოს დაცვის ან ბუნებრივი რესურსების სამინისტრო კი სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად დაცვას თუ ირიგაციის საკითხებს.

აგრარული პოლიტიკის გამტარებლები სტრუქტურული პოლიტიკის მეშვეობით სექტორული პოლიტიკის პროცესებს აწესრიგებენ. ამასთან, წინა პლანზე ისეთი აგრარული პოლიტიკა უნდა იდგეს, რომელიც სოფლის მეურნეობას საშუალებას მისცემს, სწორედ განსაზღვრული წესრიგის ჩარჩოს ფარგლებში, საბაზრო ძალების გავლენით საზოგადოების მოთხოვნილება სრულად დააკმაყოფილოს.

აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოების უზრუნველყოფა. იგი, თავის მხრივ, აგრარული სექტორის განვითარების არჩეული მოდელის განხორციელებას განაპირობებს. კანონმდებლობამ უნდა უზრუნ-

ველყოს სექტორის წინსვლა და მის ეკონომიკურ აქტიურობას მხარი დაუჭიროს. ამასთან, დესტრუქციული თუ განვითარების პროცესების შემაფერებელი მოსაზრებები მასში ჩადებული არ უნდა იყოს. ამავე დროს უნდა განხორციელდეს სწორი კომპლექსური ღონისძიებები როგორც მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის, ისე გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. შრომითი, სავაჭრო და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კანონები, ასევე მიწის საკუთრების, საიჯარო კანონმდებლობა აგრარული სექტორისა თუ სოფლის მეურნეობის სფეროთა თავისებურებებს სრულად უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს.

ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული აგრარული პოლიტიკის გამტარებლები ფუნქციონირებენ ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკისა და კანონების, სუბსიდიებისა და ქვოტების ურთიერთშეთანხმების პირობებში, რომლებიც ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების დაბალანსებისაკენ არის მიმართული.

აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა არის ადეკვატური ინსტიტუტებისა თუ სტრუქტურების ფორმირებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა. ეს პროცესი სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების მზარდი მოთხოვნების საპასუხოდ ხორციელდება. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მარკეტინგიდან დაწყებული და შინამეურნეობების მომსახურებით დამთავრებული, მეურნეობათა თუ გადაამაშუვებელ სანარმოთა სათანადო დაფინანსებით (კრედიტებით) უზრუნველყოფა უნდა მოხდეს.

აგრარული სტრატეგიის წარმატებულად განხორციელება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული სათანადო ინსტრუმენტების (სტრუქტურების) ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სტრუქტურები, ასევე, პოლიტიკის გამტარებლებად გვევლინება.

აგრარული პოლიტიკა მრავალგვარ, განსხვავებულ პრობლემებზე უნდა იყოს ფოკუსირებული. ასეთ პრობლემებს წარმოადგენს: მეურნეობის (ფერმის) ოპტიმალური, ეფექტიანი ზომების დამკვიდრება; მეურნეობების კრედიტებით, ტექნიკით, ტექნოლოგიებით და წარმოების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა; გასაღების ბაზრების გაფართოება; სოფლის მოსახლეობის სიღარიბის შემცირება და ა.შ.

აგრარული სექტორის განვითარების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ასევე მრავალმხრივია. ჯერ ერთი, ის ეკონომიკის სხვა სექტორებს აწვდის სურსათსა და ნედლეულს, მეორე, იგი შრომითი და საფინანსო რესურსების გადანაწილებით სხვა განვითარებად სექტორებს ეხმარება; მესამე, სხვა სექტორების პროდუქციის შექენითა და ამ პროდუქციაზე სოფლის მეურნეობის მხრიდან მოთხოვნის ზრდით იგი ხელს უწყობს სხვა არააგრარული სექტორების გაფართოებას და მთლიანად საშინაო ბაზრის მაშტაბების გადიდებას. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და მისგან წარმოებული პროდუქციის ექსპორტით იგი ღებულობს სავალუტო შემოსავალს და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებზე დადებით გავლენას ახდენს. აგრარულ სექტორში სურსათის იმპორტის ჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოებით მცირდება იმპორტის საჭიროება, რაც დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირებას ან დეფიციტური სალდოს შეზღუდვას უწყობს ხელს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, მცირდება სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში და ამავე დროს იზრდება მრეწველობისა და სხვა სექტორების წილი. ამ პროცესს თან ახლავს სოფლის მოსახლეობის შემცირებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის კლების ტენდენცია. ამავე დროს სოფლის მეურნეობაში მანქანა-დანადგარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდების საფუძველს ქმნის.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ექსპორტით, განსაკუთრებით დაბალგანვითარებული ქვეყნები, ამგვარი ექსპორტით მნიშვნელოვან მოგებას ვერ იღებენ. ნაციონალური ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი საკითხია სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ნებისმიერმა ქვეყანამ (განვითარებული იქნება იგი თუ განვითარებადი) აგრარულ სექტორში თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული დარგობრივი სტრუქტურა და პროდუქციის წარმოების მდგრადი განვითარების შესაძლებლობათა დამკვიდრება შეძლოს. სოფლის მეურნეობის პროდუქციით საგარეო ვაჭრობის გაფართოება, ამ პროდუქციაზე მსოფლიო მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობის გათვალისწინებით, ნაციონალური აგრარული სექტორებისათვის ექსტრემალურ პირობებში (ომები, მოუსავლიანობა, ბუნებრივი და ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა) შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. აღნიშნულ მოსაზრებათა გათვალისწინებით და აგრარული სექტორის პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილების რისკების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა შეამცირონ სასოფლო-სამე-

ურნეო ნედლეულის ექსპორტი და თანამედროვე სამრეწველო დარგების განვითარებისთვის რესურსების მეტი კონცენტრირება მოახდინონ. განვითარებადმა ქვეყნებმა ასევე უნდა შეზღუდონ სამრეწველო პროდუქციის იმპორტი და იგი უნდა შეცვალონ საკუთარი წარმოებით, რაც ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების კონკრეტული პირობებისა თუ შესაძლებლობათა სრულად გათვალისწინებას საჭიროებს.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი ადგილის დაიმკვიდრებას, სტანდარტული, ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება და ექსპორტი უნდა შეძლონ. აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყნები განვითარებული ქვეყნების აგრარულ-სანედლეულო პროდუქციის დანამატად გადაიქცევიან. აგრარული სექტორის განვითარების მიზნობრივად დიფერენცირებული მხარდაჭერა ამ ქვეყნების სავალუტო შემოსავლების მიღებისა და ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ნედლეულის საექსპორტო ვაჭრობასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასთან აშკარაა, რომ ქვეყანა უნდა მიისწრაფოდეს მზა პროდუქციის ექსპორტის გადიდებისაკენ და ნედლეულის ექსპორტის წილის შემცირებისაკენ.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ცოდნის შემოტანასა და გავრცელებას უწყობს ხელს. განვითარებული ქვეყნების მთავრობის პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ინვესტიციების გადიდებას არა მხოლოდ ნედლეულის წარმოებაში, არამედ უპირატესად გადამამუშავებელ მრეწველობაში.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის ზრდის გავლენა საგარეო ვაჭრობაზე უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც იმპორტის ჩანაცვლებადი წარმოების განვითარება და, მეორე მხრივ, როგორც ექსპორტის გამაფართოებელი, მდგრადი ზრდა. იმპორტის შემცველი წარმოების ზრდის დროს აქცენტი ისეთ სასოფლო-სამეურნეო ქვესექტორებზე კეთდება, რომლებიც შიდა ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას კონკურენციას გაუწევს. ასე მაგალითად, ადგილობრივი ხორბლისა თუ თამბაქოს ნედლეულის წარმოების განვითარება გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს წარმოების საშუალებათა გაუმჯობესების, მოსავლიანობის ზრდის და ხარისხის ამაღლების მიმართულებით, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საიმპორტო საჭიროებათა შემცირებას განაპირობებს. შედეგად ადგილობრივ გადამამუშავებელ მრეწველობას ადგილობრივი კონკურენტუნარიანი ნედლეულის მიწოდება უზრუნველყოფილი აქვს. ბუნებრივია, ეს პროცესი ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაციასაც უნდა მოიცავდეს. ამგვარი განვითარების შემთხვევაში ხორბლის ფქვილისა და სიგარეტების იმპორტის აუცილებლობა შემცირდება.

სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტგამაფართოებელი ზრდა გულისხმობს როგორც ამა თუ იმ კულტურების ფართობების მოსავლიანობის გადიდებას, ასევე სტანდარტული, აუცილებელი სასაქონლო პარტიების მიღებას (შეკრებას), პირველად გადამამუშავებასა და სათანადო შეფუთვას. მომგებიანობის თვალსაზრისით გადამამუშავებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეული ან საბოლოო პროდუქტი უფრო ეფექტიანია.

განსხვავებული მიდგომა ან უპირატესობის მინიჭება იმპორტჩანაცვლებადი თუ ექსპორტ-გამაფართოებელი განვითარების გზებისათვის მთავრობის პოლიტიკის საგანს წარმოადგენს. აგრარული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის ქვესექტორების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ამავე დროს მთავრობას სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებით, სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით თუ საგადასახადო შეღავათების მეშვეობით, მათი განვითარების დაჩქარება შეუძლია.

განვითარებად ქვეყნებს გასავლელი აქვს მაკროეკონომიკური განვითარების ურთულესი გზა, რისთვისაც სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს. ამ პროცესმა აგრარული სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში გარკვეულად უნდა გაზარდოს. შემდგომ ეს გაზრდის მშპ-ს, ხოლო კვების მრეწველობასა და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებას ხელს შეუწყობს. აღნიშნულ ცვლილებათა შედეგად ადგილი აქვს სოფლის მოსახლეობის შეფარდებით ჭარბი შრომითი რესურსების გადასვლას მრეწველობასა და სხვა სექტორებში, რასაც ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად ვერ შევაფასებთ.

ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა დაისახოს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი და საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი კვების მრეწველობისა და მრეწველობის სხვა სექტორების დაჩქარებული განვითარება. მხოლოდ კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტების წარმოების გაფართოებით, უმაღლესი ხარისხის სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებით იქნება შესაძ-

ლებელი ექსპორტის ზრდის ტემპის დაჩქარება და მისი იმპორტზე აბსოლუტური გადამეტების მიღწევა.

აგრარული პოლიტიკის აქტუალურ, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მეურნეობის (ფერმის) ოპტიმალური ზომის განსაზღვრა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. რიგი ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მცირე ზომის მეურნეობებში უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. COSTANZA, Robert, CUMBERLAND, John, DALY, Herman, GOODLAND, Robert, NORGAARD, Richard, Einführung in die Oekologische Oekonomik, Stuttgart 2001.
2. HARTWIG, Karl-Hans, Umweltoekonomie, in: Vahlens Kompendium der Wirtschaftstheorie und Wirtschaftspolitik, Bd. 2, 8., ueberarb. Aufl., Muenchen 2003, S. 127-169.
3. ROGALL, Holger, Bausteine einer zukunftsfaehigen Umwelt- und Wirtschaftspolitik, Berlin 2000.
4. International Agricultural Development. Third edition, edited by C.K. Eicher and J. M. Staatz, Baltimore and London: The Jons Hopkins Un-ty Press, 1988.
5. Открытое письмо президенту СССР М.С. Горбачеву. журн. "Энергия, Экономика, Техника, Экология," №8, 2003.
6. რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, თბ., 2009.

REVAZ GVELESIANI

Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

Full Professor, Chair of Economic Policy

ECONOMIC POLICY FOR AGRICULTURAL SECTOR DEVELOPMENT

S u m m a r y

The strategy of agricultural policy should envisage the potential place and role of agriculture in the prospective implementation of economic equilibrium, as well as in macroeconomic policy (in the overall development process of the country). It should also include - the necessity of potential technical changes and rapid economic growth and their compliance with the realization of public welfare interests. The final outcome of this strategy is overcoming the poverty in the process of economic growth and improvement of market oriented economic systems. Such understanding of developmental processes should also determine some strategic approaches of agricultural policy and economic growth.

Agricultural policy should focus on various, distinguished problems. Such problems include achieving optimal and effective size of a farm; equipping the farm with techniques, technologies and other production supplies; market expansion and reduction of poverty of the people living in rural areas.

Besides, the main priority of economic policy should become a rapid development of processing of agricultural raw materials, food manufacturing industry and other production sectors. Only the increase of competitive food production and highest quality food oriented production can make it possible to increase the export growth rate and achieve absolute excess of export over import.

ბიული გიგუაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

მაია აზმაიფარაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საოჯახო-ფარმაცეპული ტურიზმის განვითარების პოტენციური შიდა ქართლში

მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შორის საქართველო გამოირჩევა თავისი უნიკალური ტურისტული შესაძლებლობებით და რესურსების მრავალფეროვნებით. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული თუ კლიმატური მახასიათებლები, პრაქტიკულად ყველა სახის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. მით უფრო, რომ ქვეყანაში შესაბამისი ტრადიციაც არსებობს და მოთხოვნაც, უკანასკნელ ხანებში კი უაღრესად სერიოზული ბიზნესპროექტებიც გაჩნდა. 2010 წელს საქართველოში ტურისტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 38 პროცენტით გაიზარდა და 2 მილიონს მიაღწია. 2011 წელს ტურიზმი კვლავ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღიარებული პრიორიტეტია და თანმიმდევრულად ვითარდება. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს 2011 წლის იანვარ-ივლისში, შარშანდელთან შედარებით 45%-ით მეტი, 1 444 299 ვიზიტორი ესტუმრა. აქედან მხოლოდ აჭარაზე დაახლოებით 42% მოდის. პოპულარობით სარგებლობს კახეთი, სვანეთი და ფშავ-ხევსურეთი. ამ პერიოდში ევროპაზე შემოსული ტურისტების – 34%, დსთ-ს ქვეყნებზე კი 62% მოდის, აშშ-ის წილი 1,1%-ია, აზიის წილად 3% მოდის. ყველაზე მეტი ნაკადი აზერბაიჯანიდან – 26% და სომხეთიდან – 24% შემოდის. ასევე დიდია უკრაინის, თურქეთის და ირანელი ტურისტების დაინტერესებაც. საქართველოში ტურისტული რესურსების პოტენციალის მთლიანად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნულ მაჩვენებლებზე ბევრად მეტი ტურისტის მიღებაც. [1]

საქართველოში ტურიზმის დარგი დგას განვითარების ახალი გზების ძიების, ახლებური შესაძლებლობების გამოთხვევის აუცილებლობის წინაშე. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა მის განვითარებაში დაშვებული არ იქნეს შეცდომები – ტურიზმით ბუნების გადატვირთვამ გამოუსწორებელი და სერიოზული ზიანი არ მიაყენოს საქართველოს გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობასა და განვითარებას. ტურისტულმა ბიზნესმა უნდა დაიკავოს სათანადო ადგილი ჩვენს ეკონომიკაში. ამასთან, საქართველოს რეგიონების, მხარეების, რაიონების, კუთხეების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივი რესურსები, ქართული ტრადიციები, მატერიალური და სულიერი კულტურა უნდა გახდეს მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი ქართული ტურისტული საქონლის შექმნის საფუძველი. ტურიზმის ამ ფორმით განვითარება იქნება საქართველოს ტურიზმის ქვეყნად მსოფლიო აღიარების ერთადერთი გარანტირებული გზა.

ცხადია, მხოლოდ ტურიზმის განვითარება სხვა დარგებისა და სხვა ბიზნესების განვითარების გარეშე შეუძლებელია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება, რამეთუ ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს სწორედ ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარება მყარი საფუძველი იქნება იმისა, რომ მთლიანად გადაიჭრას მოსახლეობის, ტურისტებისა და დამსვენებლების ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქციით და ბუნების მიერ ნაბოძები საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა და, ამასთან, ნამეტი პროდუქტებითა და ხილით მომარაგდება საქართველოს ბაზრები.

ქართველი ხალხი თავისი ქვეყნის მთასა და ბარს, ოდითგანვე იყენებდა თანაბარზომიერად, მათი ბუნებრივი ეკონომიკური პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ადგილობრივი ტრადიციების მაქსიმალური გათვალისწინებით. საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ისტორიული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციების მცხოვრებლებს – ქართლებს, კახელებს, ფშავ-ხევსურებს, მთიულებს, მოხევეებს, იმერლებს, მეგრელებს, სვანებს, რაჭველებს, გურულებს, აჭარლებს, მესხებსა და ჯავახებს, აფხაზებს ძირითადად შენარჩუნებული აქვთ თვითმყოფადობა და ეთნოკულტურული თავისებურებანი, ამიტომ, თითოეულის პოტენციალისა და ტრადიციების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ტურიზმისა და მ.შ. საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის. ამ ეტაპზე მიზნად დავისახეთ შიდა ქართლის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი

ულამაზესი რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და საოჯახო ტურიზმის განვითარების პერსპექტივის გაანალიზება.

შიდა ქართლი მხარეა აღმოსავლეთ საქართველოში. ადმინისტრაციული ცენტრია გორი. ჰავა ზომიერად თბილი და ტენიანია (ზოგან მშრალი). რეგიონში ლანდშაფტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. განსაკუთრებით ლამაზია თრიალეთისა და ლიხის ქედები, მის ხეობებში განლაგებული ციხესიმაგრეებით, კოშკებით, ტაძრებითა და ძველი ნასოფლარებით.

შიდა ქართლი ქართველ ტომთა კონსოლიდაციისა და ქართული ეროვნული სახელმწიფოს აკვანი და უმთავრესი ბირთვია. ძვ.წ. IV საუკუნიდან ახ.წ. VIII. საუკუნემდე შიდა ქართლის ტერიტორია იბერიის (ქართლის) სამეფოს ცენტრალური რეგიონი იყო, რაზედაც უამრავი ისტორიული ძეგლი მეტყველებს.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს 13 ასურიელი მამის მიერ დაარსებული რამდენიმე მონასტერი. ასურიელი მამებიდან სამი შიდა ქართლში მოღვაწეობდა: პიროს ბრეთელი, ისიდორე სამთავნელი და მიქაელ ულუმბოელი.

რეგიონში არსებული ღირსშესანიშნაობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება და სამოქალაქო ცენტრი. არსებობდა ძვ.წ. IV საუკუნეში;

- სამთავისი – XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი – გუმბათოვანი ტაძარი. სამთავისის არქიტექტურისა და დეკორატიული დამუშავების გავლენას დიდხანს განიცდიდა ქართული ხუროთმოძღვრება;

- ურბნისი – აშენებულია ანტიკური და ადრინდელი შუა საუკუნეების ურბნისის ნაქალაქარის ადგილზე. ძვ. წ. IV ს. შუა წლებში ქალაქად მოიხსენიება. ურბნისი ქართული კულტურის კერა იყო;

- ატენის სიონი – VII ს. საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი ატენის ხეობაში;

- გორის ციხე – ისტორიული ციხესიმაგრე გორის ცენტრში. ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში ძლიერი სტრატეგიული სიმაგრე. გორის ციხედ წყაროებში XIII ს. მოიხსენიება;

- სურამის ციხე – შუა საუკუნეების ციხესიმაგრე ქართლში;

- ქვათახევი - XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი;

- ყინწვისი – სამონასტრო ანსამბლი, რომელიც მდებარეობს ისტორიულ საციციანოში, აგებულია XII ს. თამარ მეფის პირველი ვაზირის ბრძანებით. თამარ მეფის სულ ოთხი ფრესკა არსებობს, აქედან ერთ-ერთი ულამაზესი სწორედ ყინწვისშია;

- და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლი წარმოადგენდა „დიდი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვან მონაკვეთს, დიდი სავაჭრო გზა, აბრეშუმის გზად ცნობილი, კვეთდა მსოფლიოს უდიდეს ნაწილს, დაწყებული ჩინეთიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გავლით, აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. ეს იყო საქონლის, ადამიანების და იდეების ტრანსპორტირება ევრაზიის ქვეყნებს შორის. სწორედ „დიდი აბრეშუმის გზა“-ზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დანატოვრის გაცნობა მოგვითმის ტურისტული ბიზნესის მძლავრ განვითარებას, რაც აისახება რეგიონის იმიჯზე.

მზის სხივების სიუხვე, ჰაერის შეფარდებით მაღალი ტემპერატურა, ზაფხულში წლის თბილი პერიოდის ხანგრძლივობა ზომიერი ნალექები და შეფარდებითი ტენიანობა ხელს უწყობს შიდა ქართლში სოფლის მეურნეობის განვითარებას.

შიდა ქართლში ვხვდებით მდელის ალუვიურ, ყავისფერ, მდელის ყავისფერ, რუხ ყავისფერ, შავმიწისებრ, ნემომპალა-კარბონატულ და ყომრალ ნიადაგებს, სადაც კარგად ვითარდება როგორც მრავალწლიანი თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი, ვენახი, ისე ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მარცვლეული კულტურები, ბოსტნეულ-ბალჩეული და სხვა.

ქართლის რეგიონში განვითარებულია მევენახეობა-მეღვინეობა. აქ უძველესი დროიდან ტრადიციული ტექნოლოგიით ამზადებენ საუკუთესო ხარისხის სუფრის ღვინოებს, როგორცაა: ატენური, თავკვერი, ჩინური, მუხამწვანე და სხვა. უძველესი ღვინის კულტურის ნიშნები და ყურძნის ნიპნები (მსოფლიოში უძველესი ძვ. წ. 8000 წ.) სწორედ ქართლის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

შიდა ქართლის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. შესაძლებელია გამოვყოთ სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი ნამყვანი დარგები: მეხილეობა (ვაშლი, ატამი, გარგარი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი), მევენახეობა, მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, სიმინდი), მეფუტყრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მეცხვარეობა, მეღორეობა).

შიდა ქართლში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი შეადგენს 214,8 ათ. ჰექტარს. მათ შორის: სახნავია – 79,3 ათ. ჰა., მრავალწლიანი ნარგავები – 38,3 ათ. ჰა., სათიბი – 7,5 ათ., ჰა. საძოვარი – 88,4 ათ. ჰა. [2]

შიდა ქართლში ძირითადი მაპრობილებელი პროდუქციის სახეებია: ხორბლის ფქვილი, საკონსერვო ნაწარმი, ვაშლის კონცენტრატი, შაქარი, ალკოჰოლური სასმელი, ცემენტი.

შიდა ქართლში მრავლადაა კურორტები და პოტენციური საკურორტო ადგილები, რითაც შესაძლებელია დაინტერესდნენ პოტენციური დამსვენებლები, იცხოვრონ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, დატკბნენ პეიზაჟების სილამაზით, გაეცნონ კულტურულ-ისტორიულ და ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს, დააგემოვნონ შესანიშნავი ღვინოები და ეკოლოგიურად სუფთა და მრავალფეროვანი ადგილობრივი სამზარეულო, ითევაონ მდინარეებსა და ტბებში, გაერთონ ნადირობით ჩვენს ტყეებში:

ბიისი – კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მდებარეობს გორის რაიონში, მდ. თანის მარჯვენა სანაპიროზე ატენის ხეობაში. მიეკუთვნება მთის კურორტის ტიპს. ზღვის დონიდან 1080მ სიმაღლეზე. არის მთიანი ზონა, გამოირჩევა ლამაზი ლანდშაფტით, უნიკალური სამკურნალო-მინერალური წყლით. ჰავა და ულამაზესი ბუნება საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა. აქ ადგილი აქვს შერეულ სამკურნალო ფაქტორს. ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს ჰავა და მინერალური გოგირდოვანი წყალი, რომელიც თვითდინებით მოედინება, გამოიყენება სამკურნალო აბაზანების მისაღებად. აბაზანები სასარგებლოა ისეთი დაავადებების მოსარჩენად, როგორცაა ართროლოგიური, გინეკოლოგიური და ნერვოლოგიური დაავადებები. მთის ჰავის სასარგებლო კლიმატი მკვეთრ გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა, საყრდენ-მამოძრავებელ სისტემისა და რევმატიულ დაავადებებზე. ამჟამად არ არსებობს სამკურნალო დანესებულება პანსიონატის, დასასვენებელი ბალნეო-სამკურნალო სახლის სახით. ბიისის მახლობლად მდებარეობს სოფლები ბოშური და ბობნევი, რომლებიც აგრეთვე გამოირჩევიან სამკურნალო ჰავით.

გორიჯვარი – მდებარეობს ზღვის დონიდან 650მ სიმაღლეზე, ქალაქ გორთან ახლოს. შერეული სამკურნალო ფაქტორი – კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი. მიეკუთვნება დაბალი მთის ზონის კურორტს. ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს გოგირდწყალბადიანი, სულფიდური მინერალური წყალი, რომელიც დადებით გავლენას ახდენს და განკურნავს გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ძვალსახსართა, გინეკოლოგიურ და კანის დაავადებებს.

ატენი – ეს არის საკურორტო ზონა პროფილაქტიკურ-კარდიოლოგიური სამედიცინო პროფილით. სოფელი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე. ატენის ხეობა მოიცავს მდ. თანის აუზს, ზღვის დონიდან 720 მეტრზე, საშუალო მთის ზონის კურორტი. აქ არის შერეული ტყე. ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა განსაკუთრებული თვისებების მქონე ჰავა. ატენის ხეობა ცნობილია აგრეთვე უძველესი ისტორიული ძეგლებით.

ფელი – მაღალი მთის კურორტი, მდებარეობს ზღვის დონიდან 1250 მ-ზე, აქ არის შერეული ტყე (ფოთლოვან-წიწვოვანი), ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი – მაღალი მთის ჰავა. ეფექტურია ასთმით დაავადებულებისათვის. კურორტი გამოიყენება კლიმატური თერაპიისათვის, სხვადასხვა ალერგიული, გულის ფუნქციური დაავადებების, დაბალი არტერიული წნევის სამკურნალოდ.

საყავრე – მთის კურორტი, ზღვის დანიდან 1250 მეტრზე. სამკურნალო ფაქტორი განისაზღვრება განსაკუთრებული თვისებების მქონე ჰავით. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჰავის მოქმედებას ბავშვების მკურნალობისა და გაკაჟების მხრივ. კურორტზე მკურნალობა ითვალისწინებს სამკურნალო ეფექტს პროფილაქტიკის მიზნით.

აბანო – კურორტი მდებარეობს ქარელის რაიონში. ცნობილია ბუნებრივი სამკურნალო წყლებითა და წყაროებით, რომელიც სულფიდური მინერალური წყლის ტიპს მიეკუთვნება. კურორტი სასარგებლოა გინეკოლოგიური, ართროლოგიური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით დაავადებულ ავადმყოფთა განსაკურნებლად.

სოფელი მდებარეობს მდ. ლოპანისწყლის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 720 მეტრის სიმაღლეზე.

ტბეთი – ბატეთის ტბა მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე ბატეთის წყლის ხეობაში. განეკუთვნება ალპურ ზონას, ზღვის დონიდან 1250 მეტრზე. პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით. ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მაღალი მთის კლიმატი. ტბა გარშემორტყმულია შერეული ტყით. ჰავა გამოირჩევა მკვეთრი მოქმედებით მოზარდთა გაკაჟებისა და პროფილაქტიკის მიზნით.

ტყემლოვანი – კურორტი გამოირჩევა ნახშირმჟავას მინერალური წყლის ტიპით. კურორტი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე მდ. ტყემლოვანის წყლის ხეობაში (ძამის მარცხენა შენაკადი), ზღვის დონიდან 1030 მეტრის სიმაღლეზე. ამ ზონაში მდებარეობს გუგომის, ტყემლოვანის, ქოზიფას სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის ეკლესიაც. კურორტი გამოირჩევა როგორც განსაკუთრებული თვისებების ჰავით, ისე ბუნებრივი სამკურნალო მინერალური წყლებითა და წყაროებით. ამჟამად არ არსებობს დასასვენებელი შენობა-ნაგებობა.

ხოვლე – კასპის რაიონის ბალნეოლოგიური კურორტი ართროლოგიური სამედიცინო პროფილით, სულფიდური მინერალური წყლის ტიპი. მდებარეობს ზღვის დონიდან 780 მეტრზე. ბუნებრივი მნიშვნელობის სამკურნალო საშუალებაა გოგირდოვანი წყალი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ფუნქციონირებდა გოგირდოვანი წყლების ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი.

ახალქალაქი – მდებარეობს ზღვის დონიდან 1040 მეტრზე. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია მაღალი მთის კლიმატი.

გოსტიბე – პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით. მდებარეობს ზღვის დონიდან 1400 მეტრზე. მთის კურორტზე მკურნალობის ძირითადი საშუალებაა სამკურნალო თვისებების მქონე ჰავა.

რკონი – ზღვის დონიდან მდებარეობს 950 მეტრის სიმაღლეზე, მაღალი ჰაერის გამო სასარგებლოა ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ამიტომ აქ ფუნქციონირებდა ს/ს „კასპიელექტროაპარატის“ დასასვენებელი სახლი ხის კოტეჯებით, რომელიც იყო კეთილმოწყობილი. დროთა განმავლობაში კოტეჯები დაზიანდა და საჭიროებს შეკეთებას. აქაური კლიმატი განსაკუთრებით სასარგებლოა მოზარდებისათვის. მდიდარია წყაროსა და მინერალური წყლებით. [3]

ამრიგად, თუნდაც ზემოთ აღნიშნულიდანაც კარგად ჩანს, რომ შიდა ქართლის კურორტებს ნამდვილად აქვთ მაღალი პოტენციალი და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების სრულყოფილად დასადგენად, აუცილებელია ტურისტული რესურსების პოტენციალის ღრმად შესწავლა და ტურისტული ბიზნესის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიება.

შიდა ქართლის კურორტების უმრავლესობაში ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს ძირითადად ფერმერული მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. საოჯახო ტურიზმის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწების გონივრულად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმ რაოდენობით წარმოება, რომელიც როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ტურისტების მოთხოვნილებებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებს. სასტუმრო ინდუსტრია ტურისტული მეურნეობის მძლავრ სისტემას და ტურიზმის ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას დიდი როლი ეკისრება ქართულ სოფელში აგროტურიზმის განვითარების საქმეში.

შელავათიანი სესხები და სახელმწიფოს მასტიმულირებელი პოლიტიკა გააძლიერებს ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციას, მნიშვნელოვანი როლი იკისრონ ტურისტული ბიზნესის განვითარებაში. შიდა ქართლში საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის უნდა შემუშავდეს შელავათიანი ფინანსური და საკრედიტო საინვესტიციო პროგრამა, რომლის პარამეტრები აისახება ქვეყნის სახელმწიფო და შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

ტურისტების შემოსვლის ზრდას ხელს შეუწყობს შიდა ქართლის რეგიონის ტურიზმის განვითარების დონის განმსაზღვრელი ტურისტული რესურსების – ბუნების სილამაზის, მთისა და ტყის, მდინარეებისა და ჩანჩქერების, დაცული ტერიტორიებისა და ლანდშაფტების, ფლორისა და ფაუნის, ისტორიული ძეგლების, ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის, ტრადიციების, წესჩვეულებებისა და სხვათა შესახებ ფართო საინფორმაციო მასალის (რეკლამა) გავრცელება: სატელევიზიო და რადიოგადაცემები, რეკლამები, ხალხური ხელოვნების მიღწევათა გამოფენები, ტურისტული მეგზურები, რუკები; ტრადიციული სამზარეულოს ფესტივალები, ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარული „ღვინის ტურები“ და სხვ.

საოჯახო-ფერმერული ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია: გზაბილიკების სრულად მონესრიგება და ტურისტების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ძველი სოფლების, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების აღდგენა, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განვითარება.

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების პროდუქციის წარმოების პრობლემა საბოლოოდ რომ მოგვარდეს და გადაწყდეს, საჭიროა: მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარება: მეხილეობის, მეცხოველეობის, მინათმოქმედების და კვების მრეწველობის დარგების განვითარება. სტიმულირებას საჭიროებს მევენახეობის განვითარება. არსებობს ჩინურის და საფერავის საუკეთესო ჯიშები, საჭიროა გაგრძელდეს მათი გაშენება. მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ინვესტირება და მარკეტინგული სამუშაოების ჩატარება; ინტელექტუალური პოტენციალის სრულყოფილად ამოქმედება და აგრობიზნესის სერვისცენტრების ჩამოყალიბება;

საკურორტო ზონებში უნდა აღდგეს და აშენდეს დასასვენებელი კოტეჯები, განახლდნენ ძველი სანატორიუმები. სოფლებში გაიხსნას პურ-ფუნთუშეულის და საკონდიტრო ნაწარმის საცხოვრებელი, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქტების შესყიდვის სპეციალური პუნქტები, აშენდეს მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მცირე მწარმოებლურობის კომბინირებული საწარმოები. ხილისაგან ლიმონათის, ნვენების მწარმოებელი მინი ქარხნები.

რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულია 78 ისტორიული ძეგლი. ძამის ხეობის ისტორიული ძეგლები, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი, ფანასკერტელ-ციციშვილის რეზიდენცია სოფ. ორთუბანში, ძამის ხეობის ულამაზესი ბატეთის ტბა და „შუანოს მთა“ ალპური ზონით, რუის-ურბნისის საეკლესიო კომპლექსი და სხვა მრავალი ისტორიული ძეგლი ნაკრძალების ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. არსებული ტყეები შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამონადირო ტურიზმის გასავითარებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კურორტების: ქვიშხეთისა და სურამის განვითარებას, რომლებიც გამოირჩევიან დამსვენებლთა შედარებითი სიმრავლით.

საოჯახო-ფერმერული ტურიზმის განვითარება შიდა ქართლში ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას. თუმცა, როგორც აღინიშნა, სასურველი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად აუცილებელია: ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ისტორიული და კულტურული ძეგლების რესტავრაცია; ტურისტული საინფორმაციო და მომსახურების ცენტრების შექმნა; ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების მშენებლობა-რესტავრაცია; მცირე და საშუალო აგრობიზნესის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

ყოველი რეგიონი თავისებურად უნიკალურია. ადეკვატური ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ბაზის განსაზღვრისათვის აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: სხვა ტერიტორიასთან შედარებით რა რესურსებით არის უნიკალური კონკრეტული ტერიტორია? კონკრეტული ტერიტორიის რესურსები (მემკვიდრეობა) როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურიზმის მიზნებისათვის?

ტურიზმს ტერიტორიული ერთეულისათვის არა მარტო შემოსავალი მოაქვს, არამედ აყალიბებს გარკვეული სიამაყის გრძნობასაც იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს რაღაც უნიკალური, რომელიც შენია და რომელიც შეგიძლია გააცნო სხვას. თუ საზოგადოება ამ პოზიციას ღრმად ჩანვდება, მაშინ შეძლებს ჩამოაყალიბოს ტურისტული უნიკალური რესურსების რაციონალური გამოყენების სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.ambebi.ge/ekonomika/40154-qarthuli-turizmis-ganvitharebis-mthavari-problema-maghali-fasebi-da-momsakhurebis-dabali-done.html#ixzz1XAdcDlxT>.
2. <http://www.economy.ge/upload-file/pdf/Shida%20QarTlii.pdf>.
3. <http://www.cegstar.ge/files/37.pdf>.

GIULI GIGUASHVILI

*Gori Teaching University
Associate Professor*

MAIA AZMAIPARASHVILI

*Gori Teaching University
Associate Professor*

HOME - FARM TOURISM DEVELOPMENT POTENTIAL IN SHIDA KARTLI

S u m m a r y

The article “The Potential of Family-Farm Tourism Development in Shida Kartli Region,” discusses: major resorts and health-resort zones of Shida Kartli region, notable for their exceptional recreational and medicinal purposes, also for the sights which may attract tourists’ interest. The region possesses significant potential and traditions for agricultural development which, in its turn, will contribute to the development of family - farm tourism.

The work states the main directions of the strategy for increasing the economic efficiency of family-farm tourism in Shida Kartli region.

აგრარული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციისათვის

კვების პროდუქტების წარმოება წარმოადგენს ადამიანების სიცოცხლის უპირველეს პირობას. ამიტოა განპირობებული სოფლის მეურნეობის უნიშვნელოვანესი როლი ნებისმიერ საზოგადოებაში. სასურსათო პრობლემის გამწვავება განსაზღვრავს სოფლის მეურნეობისა და მისი მომიჯნავე დარგების განვითარების, აგრარული პოლიტიკისა და აგრარული ურთიერთობების განსაკუთრებულ აქტუალობას. აგრარული პოლიტიკა – ესაა პოლიტიკა, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და აგრობიზნესის სხვა დარგების დინამიკურ და ეფექტიან განვითარებაზე, არამედ მის საფუძველზე მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და ქვეყანაში საზოგადოებრივი პროცესების უზრუნველყოფისაკენ.

სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური პოლიტიკიდან აგრარული პოლიტიკის, როგორც შედარებით დამოუკიდებელი ნაწილის, გამოყოფა განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებით, აგრარულ ურთიერთობათა რეგულირების სპეციფიკით. აგრარულ პოლიტიკაში ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობაში და მთლიანად აგრობიზნესში საწარმოო საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას, წარმოების ზრდის სტაბილური ტემპების უზრუნველყოფას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას და სოფლის სოციალურ განვითარებას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადისკუსიო საგანს წარმოადგენს საკითხი აგრარული სექტორის საწარმოო სფეროში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობისა და მისი ხარისხის შესახებ. მის გადაჭრაში დიდი დახმარება შეიძლება გაგვიწიოს მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ.

სოფლის მეურნეობაში, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა სექტორებში, მოქმედებს ეკონომიკური განვითარების ძირითადი კანონზონიერებები. უფრო მეტიც, აგრარულ ეკონომიკაში ბევრი „საბაზრო“ კანონი უფრო სუფთა სახით ვლინდება, ვიდრე სხვა დარგებში, რადგან სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი და შედარებით მცირე ზომის ფერმერული მეურნეობებით, რომლებიც მოქმედებენ ერთმანეთისგან შედარებით ავტონომიურად. აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელია რიგი სპეციფიკური თავისებურება, რაც განსაზღვრავს ამ სფეროსადმი სახელმწიფოს განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობას. მოკლედ შევჩერდეთ, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მახასიათებლებზე.

უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სრულყოფილი კონკურენციული დარგის კლასიკურ ნიმუშს, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეწევა გამყიდველთა დიდი რაოდენობა, რომელთაგან თითოეულს არ შეუძლია ბაზრისათვის საქონლის ისეთი რაოდენობით მიწოდება, რომ ზეგავლენა მოახდინოს ფასზე, შეუძლებელია პროდუქციის დივერსიფიცირება (სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნა) და ამასთან არ არსებობს შესაბამის ბაზარზე შესვლისა და ამ ბაზრიდან გამოსვლის ბარიერები.

მეორე თავისებურება – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძლიერი დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე, გარემოზე. გვალვა, წყალდიდობა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მავნებლები, მცენარეებისა და ცხოველების ავადმყოფობები აგრარულ სექტორს ხდის კაპიტალის გამოყენებისათვის შედარებით სარისკო სფეროდ.

კიდევ ერთი თავისებურება – პროდუქციის სუსტი დიფერენცირებულობის გამო გამყიდველებს ფასების გაზრდის მცირე შესაძლებლობა აქვთ. ფასების პარიტეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და წარმოების საშუალებებზე სოფლის მეურნეობისათვის წლიდან წლამდე მთელ მსოფლიოში იცვლება არა აგრარული სექტორის სასარგებლოდ.

სასოფლო სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო სექტორის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს სურსათი. მაგრამ კვების პროდუქტებზე მოთხოვნის საფასო ელასტიკურობა, როგორც წესი, დაბალია. მომხმარებელი ძირითადი სახეობის სურსათს ფასების ზრდის ან შემცირების მიუხედავად შეიძენს პრაქტიკულად უცვლელი ოდენობით. მეორე მხრივ, მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო საქონელზე შემოსავლების კუთხითაც არაელასტიკურია. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის საფასო არაელასტიკურობა აგრარული წარმოების ბუნებრივ ფაქტორზე დამოკიდებულებასთან და საქონელმწარმოებელთა შორის არსებულ მძაფრ კონკურენციასთან ერთობლიობაში წარმოშობს პრობლემას ფერმერთათვის, რაც გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო

პროდუქციის ბაზარზე ფასების უკიდურეს არასტაბილურობაში. მიწოდების მოცულობაში მცირე-ოდენ რყევაც კი ფერმერის მხრიდან არაკონტროლირებადი მრავალი მიზეზის (მაღალი ან დაბალი მოსავალი და სხვ.) გამო იწვევს ფასის არაადეკვატური სიჩქარით ვარდნას ან ამალღებას.

აგრარული სექტორის კიდევ ერთი განსხვავება ეკონომიკის სხვა სექტორებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ სასოფლო-სამეურნეო სანარმოს ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს გლეხური მეურნეობა, საოჯახო ფერმა. ამ სანარმოთა ფუნქციონირების მიზანს შეადგენს ოჯახის კეთილდღეობა, რომელიც თავის მხრივ არ ამოინურება შემოსავლებით აგრარული წარმოებიდან. ამიტომ ფერმის ამოსავალი დებულება იმის შესახებ, რომ მენარმე ყოველთვის მიისწრაფვის თავისი მოგების მაქსიმიზაციისაკენ, აგრარული სექტორისათვის წმინდა სახით მიუღებელია.

აგრარული ეკონომიკის ზემოთ დასახელებულ თავისებურებებთან ერთად დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სექტორი ხასიათდება საზოგადოების განსაკუთრებული დამოკიდებულებით. პროტექციონიზმი, როგორც სამამულო წარმოების დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, გამოიყენება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგში. მაგრამ სწორედ სასურსათო სფეროშია ის განსაკუთრებულად გავრცელებული და ძლიერი. პროტექციონიზმის სასარგებლოდ ზოგადად არსებული არგუმენტების (დემპინგის სანინაღმდეგო მოქმედება, განვითარებადი დარგების დაცვა, უმუშევრობა და სხვ.) გვერდით აგრარულ სფეროში გამოიყენებენ სპეციფიკურ მტკიცებულებებსაც. უპირველეს ყოვლისა, ესაა სწრაფვა ეროვნული სასურსათო უსაფრთხოებისაკენ, რომელიც ხშირად გაიგება როგორც ავტარქია, და სწრაფვა, შენარჩუნებულ იქნეს სასოფლო ადგილების ტრადიციული, ჩამოყალიბებული სახე.

ტრადიციული სასოფლო ლანდშაფტი თავისი ეროვნული თავისებურებებით უეჭველად წარმოადგენს თითოეული ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ ღირსშესანიშნაობას. მისი დაკარგვის საშიშროება იზრდება სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული მოსახლეობის შემცირებისას. არადა, დასახლებათა ტრადიციული იერსახისა და სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურის შენარჩუნება აქტუალურია ყველა ქვეყნისთვის (მათ შორის დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის) და ამიტომაც საკუთარი ფერმერების ეკონომიკური მხარდაჭერის გზით დიდი ხანია უკვე ცდილობენ ამ პრობლემის გადაჭრას. სწორედ აგრარული პროტექციონიზმის აქტუალობაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელის (პროტექციონიზმის) თავიდან აცილების პრობლემას უკავია უმნიშვნელოვანესი ადგილი საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემათა რიგში. ეს საკითხი იყო ძირითადი ე.წ. „რომის შეთანხმების“ შემუშავებისასაც, რომელიც დაედო საფუძვლად ევროპულ ეკონომიკურ კავშირს. ამ საკითხს კვლავ ცენტრალური ადგილი ეკავა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (GATT) ურუგვაის რაუნდის დასკვნით დოკუმენტებში.

განვითარებული აგრარული ბაზრის პირობებში სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა საქმიანობა ეყრდნობა მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის გამოყენებას. ის წარმოადგენს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და ბაზრის კანონების გამოყენების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა, განაწილებაზე, გაცვლასა და მოხმარებაზე ზემოქმედების ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას.

აგრარულ ბაზარს თავისი ფუნქციების შესრულება შეუძლია იმ პირობებში, როდესაც სოფლის მეურნეობის სფეროში საბაზრო მექანიზმი მოქმედებს ეკონომიკური მეთოდების, სტიმულებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით არაპირდაპირ სახელმწიფო რეგულირებასთან შეთანხმობილად. ამასთან დაკავშირებით პ. სამუელსონი წერდა: „სახელმწიფოს ეკონომიკური როლი განუხრელად იზრდება. ჩვენს რთულ, ურთიერთდამოკიდებულ საზოგადოებაში პირდაპირი კონტროლისა და რეგულირების ქვეშ ექცევა საქმიანობის სულ უფრო მეტი ახალი და ახალი სახეები“/2. გვ. 126/.

აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში, იაპონიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას. ასე, აშშ-ში ეს მხარდაჭერა ხორციელდება მწარმოებელთა სუბსიდირების ეკვივალენტის შესაბამისად შემდეგ ფორმებში: ა) ფასების რეგულირება მარკეტინგული ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე; ბ) ფერმერების შემოსავლების მხარდაჭერა სახელმწიფოსა და ფერმერებს შორის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფულადი ტრანსფერტების სახით; გ) ფერმერთა მხარდაჭერა ნედლეულისა და მასალების (მინერალური სასუქები, პესტიციდები, ცხოველთა საკვები და სხვ.) შეძენისას სუბსიდიების, კრედიტების, შეღავათიანი დაზღვევის სახით; დ) პროდუქციის მარკეტინგის მხარდაჭერა სუბსიდიების ჩათვლით პროდუქციის შენახვასა და ტრანსპორტირებაზე, მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე; ე) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტეგრაციის სტიმულირება და მისი ეფექტიანობის ამალღება სანარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და დანერგვითი საქმიანობის, მინის ეკონომიკური ნაყოფიერების სრულყოფის სუბსიდირების გზით; ვ) აგრარული სექტორის მხარდაჭერის ზოგადეკონომიკური ზომები საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენებით როგორც შიდა, ისე გარე აგრარულ ბაზარზე.

ხორციელდება სახელმწიფო დახმარება სანარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის, სასოფლო ადგილების მოწყობისათვის, გარემო პირობების დაცვისათვის და სხვ.

ცნობილი ეკონომისტი ჯ. სტიგლიცი/4.გვ.76-86/ თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების ძირითად მიზეზებს მიეკუთვნება:

- სრულყოფილი კონკურენციის არარსებობა;
- საზოგადოებრივი საქონლის წარმოების აუცილებლობა (ასეთი საქონლის ერთ-ერთ აშკარა მაგალითს წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის საშუალებები);
- გარე ეფექტები, ანუ ექსტერნალიები (ერთი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედების ეფექტი სხვა ეკონომიკური აგენტების საქმიანობაზე. უარყოფითი ექსტერნალის მაგალითს წარმოადგენს ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ გარემოს დაბინძურება, რომელიც ხელს უშლის სხვა ეკონომიკურ აგენტებს ნორმალურად წარმართონ თავიანთი წარმოება.);
- ბაზრის არასრულყოფილობა (ბაზრები უბრალოდ არ მიაწოდებენ საქონლისა და მომსახურების ნაწილს; ითვლება, რომ ეს უპირველეს ყოვლისა ეხება კაპიტალისა და სადაზღვევო მომსახურების ბაზრებს);
- ბაზარზე ინფორმაციის არასრულყოფილება;
- უმუშევრობა, ინფლაცია და ეკონომიკის უნონასწორობა;
- შემოსავლების გადანაწილების აუცილებლობა;
- ადამიანების მოქმედება არა საკუთარი ოპტიმალური ინტერესების შესაბამისად;

ქვეყანაში აგრარული სექტორის სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირება ხასიათდება მიზანმიმართულ ღონისძიებათა სისტემით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის გამოხატულებას და დაკონკრეტებას. ამასთან, აუცილებელია ამოვიდეთ მაკროეკონომიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამიდან, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან, აგრარული სექტორის მყარი და დინამიკური განვითარების აუცილებლობიდან, სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგებისა და აგრარული ბაზრის კომპლექსური პროგრამებიდან.

სოფლის მეურნეობასა და აგრარული სექტორის სხვა სფეროებზე სახელმწიფო ზემოქმედება უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს: ა) საქონელმწარმოებლები აღწარმოებას ახორციელებენ საკუთარი დაგროვების ხარჯზე თვითდაფინანსების საფუძველზე, ხოლო კონკრეტული სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების ზომები წარმოადგენს მხოლოდ დამატებით ხელშეწყობ ღონისძიებებს; ბ) საბაზრო მეთოდებმა და ინსტრუმენტებმა, რომლებიც გამოიყენება დიფერენციალურად, უნდა მოახდინონ საქონელმწარმოებელთა სტიმულირება წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამ კუთხით საინტერესოა აშშ-ს გამოცდილება. ახდენს რა დიდი სახსრების ინვესტირებას სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად, ქვეყანა იმავდროულად ატარებს სელექციური აგრარული პროტექციონიზმის პრინციპს. ნიშანდობლივია, რომ 80-იან და მომდევნო წლებში სასურსათო სუბსიდიების თითქმის 2/3 მოდიოდა 15% მსხვილ ფერმაზე, რომლებიც იძლეოდნენ შედარებით იაფი სასაქონლო პროდუქციის ძირითად მასას. ამასთან, შეინიშნება ფერმერულ მეურნეობათა საბიუჯეტო მხარდაჭერის შემცირების ტენდენცია, ორიენტაცია კეთდება მათი შიდა რესურსების მობილიზაციასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე, გარემო პირობების სრულყოფაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოთხოვნა სურსათზე ფასებთან მიმართებაში ნაკლებად ელასტიკურია. მოსახლეობა შედარებით სტაბილურად მოიხმარს სასურსათო საქონელს და ამცირებს მოთხოვნას ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, სოციალურ მომსახურებაზე. აგრარული სფეროს საქონლის მიწოდების ელასტიკურობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, კერძოდ, წარმოების დანახარჯებისა და ფასების დონეზე, კაპიტალის დარგთაშორის გადაადინების სისწრაფეზე, ფასების მოქნილობაზე, რომელთა მეშვეობითაც იზომება მოთხოვნისა და მიწოდების ზეგავლენა საქონლის ფასზე, საქონლის სარგებლიანობაზე და სხვ.

უნდა შევნიშნოთ, რომ მანქანური ტექნოლოგიების საფუძველზე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და სასურსათო ბაზარზე საქონლის სიჭარბის წარმოქმნასთან ერთად ძლიერდება კონკურენცია. შედეგად მყიდველი გარდაიქმნება საბაზრო ურთიერთობათა აქტიურ სუბიექტად, რომელიც სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს საქონლის სამომხმარებლო ღირებულებას, მის სარგებლიანობას. ამ პირობებში ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ჩარჩოებში წარმოიქმნა და განვითარება პოვა ზღვრული სარგებლიანობის სუბიექტურ-ფსიქოლოგიურმა თეორიამ, რომელიც დაკავშირებულია მარჟინალიზმის თეორიასთან. ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ფორმირება, რომელმაც მიიღო „მარჟინალური რევოლუციის“ სახელი, წარმოადგენდა აქტიურ რეაქციას „სანარმოო ვერსიაზე“, რომელიც დომინირებდა მე-19 საუკუნის ბოლო მესამედამდე. ეს ნიშნავდა

„სამომხმარებლო ვერსიის“ პოზიციაზე გადასვლას და შრომითი ღირებულების თეორიის ცალმხრივობის გადალახვას, რომელიც არ მოიცავდა საქონლის საბაზრო ფასის წარმოქმნისას მომხმარებლის სუბიექტური როლის სპეციალურ საფუძვლიან ანალიზს.

ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ძირითადი დებულებები ფორმულირებული იყო ს. ჯე-ვონსის, მ. ვალრასის, ბ. პარეტოს, კ. მენგერის, ფ. ვიზერის, ე. ბემ-ბავერკის და სხვა ეკონომისტთა შრომებში, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ აგროსასურსათო და სხვა საქონელს არ გააჩნიათ შრომითი ღირებულება და მათ რეალურ ღირებულებას შეადგენს ის „ფასი“, რომელიც განისაზღვრება მყიდველებისა და გამყიდველების მიერ ამ სიკეთის სარგებლიანობის სუბიექტური შეფასების შედეგად. მომხმარებელი, საქონლის ყიდვისას, ეყრდნობა მის სამომხმარებლო ღირებულებას, თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობას. ამასთან, მოხმარებული საქონლის რაოდენობის გადღებისას და მოთხოვნილების დაკმაყოფილების ზრდასთან ერთად მისი (მოცემული საქონლის) სარგებლიანობა მცირდება. პ. სამუელსონის სიტყვებით „მოხმარებული საქონლის გადღებისას მის ზღვრულ სარგებლიანობას გააჩნია შემცირების ტენდენცია“ /1.გვ.426/. საქონლის სარგებლიანობის კლების პროცესმა მისი მოხმარების გადღებისას მიგვიყვანა კლებადი ზღვრული სარგებლიანობის ცნებამდე.

ზღვრული სარგებლიანობის თეორია საშუალებას იძლევა პირადი მოხმარების საქონლის (რომელიც მოიცავს უპირველეს ყოვლისა აგრარული სფეროს პროდუქციას) სარგებლიანობის, მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრისას კონკრეტულად გამოვლინდეს მყიდველთა ზრდადი როლი, გაანალიზდეს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედება ეკონომიკის წონასწორობის ხელშეწყობისა და ფასწარმოქმნის პროცესზე, კონკურენციის გამწვავების პირობებში მოხდეს საქონელმწარმოებელთა, გამყიდველებისა და მყიდველების ქცევის მოტივაციის არგუმენტირება აგრარულ და სხვა ბაზრებზე.

ზღვრული, ანუ საბოლოო მოთხოვნა განსაზღვრავს საქონლის საფასო პროპორციებს. მყიდველები, იკმაყოფილებენ რა ყველაზე გადაუდებელ მოთხოვნებს, ხოლო შემდეგ ნაკლებად აუცილებელ მოთხოვნებს, მიდიან იქამდე, რომ სხვადასხვა სიკეთის ზღვრული სარგებლიანობის მაჩვენებლები ხდება ერთნაირი. რადგან თითოეულ საქონელს აქვს თავისი ფასი, მათი მყიდველები ხარჯავენ განსხვავებულ ფულად სახსრებს. თუ გავეყოფთ საქონლის ზღვრულ სარგებლიანობას მის ფასზე, მივიღებთ შენონილ ზღვრულ სარგებლიანობას. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მყიდველი იქამდე აფართოებს ცალკეული სახის მოხმარებას, ვიდრე ცალკეული სარგებლიანობები გახდებიან ფასების პროპორციული, ან სანამ შენონილი ზღვრული მოთხოვნილებები გახდებიან ერთნაირი. სხვაგვარად, ბოლო ლარს, რომელიც დაიხარჯა ვთქვათ ყველის შეძენაზე, უნდა გააჩნდეს ისეთივე სარგებლიანობა, როგორც ვაშლის შეძენაზე დახარჯულ ბოლო ლარს.

ზღვრული სარგებლიანობის თეორია, რომელიც შეიქმნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მეტად პოპულარული იყო მე-20 საუკუნეშიც; მან განვითარება პოვა ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, გ. ჰაბერლერი და სხვ.) შრომებში.

თითოეული სახელმწიფო ახორციელებს თავის აგრარულ პოლიტიკას თავისი მიზნებისა და მეტოდეების შესაბამისად. მაგალითად, ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა ეყრდნობა გარანტირებული ფასების სისტემას და ბაზრის რეგულირების სხვა ინსტრუმენტებს, ასევე საბაჟო პროტექციონიზმს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობისას. ამ პოლიტიკის ჩარჩოებში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ფასების მექანიზმს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებში დიდი სახსრები იხარჯება მარცვლეულისა და რძის პროდუქტების ბაზრების მხარდასაჭერად, ე.ი. იმ პროდუქტებისა, რომლებიც პრაქტიკულად განსაზღვრავენ სასურსათო ბაზრის საერთო მდგომარეობასა და ფასების დონეს. ეკონომიკის ამ სექტორის სახელმწიფო რეგულირების სირთულის მიუხედავად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღიარებული სასურსათო სიუხვე მონობს მის (რეგულირების) საკმაოდ მაღალ ეფექტიანობაზე.

ზემოთ აღნიშნული აჩვენებს, რომ ევროპის ქვეყნების მთავრობები მაინცდამაინც არ არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თვითრეგულირებადი საბაზრო სრუქტურების იმედად და ამჯობინებენ მკაცრ საფინანსო კონტროლს, ეკონომიკურ მხარდაჭერას და ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს სახელმწიფო რეგულირებას. დასავლეთის ქვეყნები მიდიან სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვან სუბსიდიებზე იმიტომ, რომ ეს დარგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნაში, წარმოადგენს ფუნქციონალური საარსებო გარემოს გარანტს, ასევე მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დიდი მოცულობების მომხმარებელს.

თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით კი ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, არაპროდუქტიული იმაზე ფიქრიც კი, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კერძო მწარმოებ-

ლები მოახერხებენ თვითორგანიზაციას და დამოუკიდებლად მოახდენენ იმ რესურსების მობილიზაციას, რომელიც საჭიროა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აგრარული სფეროს საქონელმწარმოებელთა რეალური ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი ჩაითვალონ კრედიტუნარიანად. სოფლის მეურნეობაში გრძელვადიან და ასევე მოკლევადიან დაბანდებათა რისკის ხარისხი ჯერჯერობით ძალიან მაღალია. ამასთან, სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობა, რომ წავიდნენ რისკზე და პოტენციურ ინვესტორებს მისცენ აუცილებელი გარანტიები, ძალიან დაბალია. ყოველივე ეს აგრარულ სფეროს აქცევს მეურნეობის ისეთ სპეციფიკურ სეგმენტად, რომელიც პრაქტიკულად დაკეტილია როგორც უცხოური ინვესტიციებისათვის, ისე სამამულო ბანკებისა და სხვა ფინანსური სტრუქტურების მხრიდან ინვესტიციებისათვის.

აგრარული პოლიტიკის განსაზღვრისას აუცილებელია ასევე ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა, როგორცაა საკუთრების საკითხი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე. ცნობილია, რომ რომის სამართლის დროიდან მიწაზე აბსოლუტური კერძო საკუთრება არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს, რადგან მიწას გააჩნია ორმაგი ბუნება, არის რა ერთი მხრივ კაპიტალის დაბანდების ობიექტი, ხოლო მეორე მხრივ ადამიანის საარსებო გარემო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც იქ ცხოვრობს, ვინც მას ეფექტიანად იყენებს მეურნეობის წარმართვისათვის, მიუხედავად იმისა, საკუთრების როგორ ფორმაში იმყოფება იგი. ეფექტიანად მუშაობა შეიძლება სახელმწიფო საკუთრების პირობებშიც და კერძო საკუთრების პირობებშიც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია საკუთრების ამ ფორმების საბოლოო შედეგების რეალიზაციის მექანიზმი, ვის ეკუთვნის საბოლოო პროდუქტი, როგორ ნაწილდება იგი საზოგადოებაში. ჩვენი აზრით, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე უმჯობესია, თუ მიწაზე პასუხისმგებელია ერთი პირი – სახელმწიფო, რომელიც, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ყიდის მიწის ნაწილს კერძო საკუთრებაში, ხოლო მის უდიდეს ნაწილს გასცემს იჯარით. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეიძლება გაიცეს გრძელვადიანი იჯარით მხოლოდ მათზე, ვისაც შეუძლია მისი ეფექტიანი დამუშავება. ერთი სიტყვით, მიწის ბაზარს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ იგი უნდა შედგეს საზოგადოების ძირითადი ფენების განსაზღვრული კონსენსუსის პირობებში.

მიუხედავად ჩვენი ცალსახა და სრული მხარდაჭერისა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისადმი ზოგადად და, კერძოდ, კონკურენციული წესრიგისადმი ეკონომიკაში მთლიანად და მის ცალკეულ დარგებსა და სექტორებში, სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული სპეციფიკისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ რესურსების მთავარი წყარო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრარულ სფეროში ჩასატარებელ სამუშაოთა ძირითადი მარგანიზებელი უნდა იყოს სახელმწიფო გარკვეულ ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემის, მათ შორის, პროტექციონისტული ზომების გამოყენებითაც.

აგრარული სფეროს წარმატებული ფუნქციონირების საკითხში ორივე მხარე – ბაზარი და სახელმწიფო – მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული. ამიტომ თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ცივილური საბაზრო მექანიზმისა და სახელმწიფო რეგულირების ერთიანი სისტემის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Самуэльсон П., Экономика: вводный курс. М., 1964.
2. Самуэльсон П., Экономика. Т. 1. - М."Алгон", 1992.
3. Стиглиц Дж. Ю., Экономика государственного сектора. М., МГУ, ИНФРА, 1997.
4. Макконнелл К. Р., Брю С.Л., Экономикс: Принципы, проблемы, политика. В 2-х т. т.1. 2-е изд., М., Республика, 1992.
5. გოგიაშვილი შ., ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა ანალიზისა და სრულყოფის კონცეპტუალური საკითხები. მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემები საქართველოში“ მასალები. შპს. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ., 2010წ. გვ. 30-33.
6. კონკურენციის პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საფუძველი. ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“, 2, გამ-ბა „თბალისი“, თბ. 2010წ. გვ. 10-16.

SHALVA GOGIASHVILI

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

TOWARDS THE CONCEPT OF AGRICULTURAL ECONOMIC POLICY

S u m m a r y

Within any society, the key role of agriculture is defined by the fact that production of the foodstuff constitutes the major condition for the human life. Escalation of the foodstuff problem results in the urgency of development of agriculture and the related sectors, as well as agricultural relationships and policy.

Each country transacts the agricultural policy following its own objectives and through its own methodology. For instance, the common agricultural policy of European Union is based on the price support system and other tools of market regulation, as well as customs protectionism in trading with the other countries. The western countries use to substantially subsidize agriculture so far as it plays the major role in the identification of social and economic conditions of the human life and serves as a warrantor to the living environment. Topicality of agricultural protectionism is evidenced by the fact that the said problem also lay in the centre of elaboration of the Treaty of Rome and in the conclusive documents resulting from the Uruguay round of General Agreement on Tariffs and Trade (GATT). And it still keeps the highest priority in terms of foreign trade.

Under modern circumstances, especially as regards to the countries with the economy in transition, it is almost impossible to assume that private companies (farms) acting in the agricultural sector could manage to self-organize and mobilize the resources necessary for ensuring the foodstuff security of any state. Nevertheless, the fact that we do unambiguously and fully support the relationships stipulated by the market economy and competition order within the economy, we believe that due to the specificity and importance of agricultural sector, the portfolio of a state's administrative and economic measures, including protectionism, shall be deemed as a key source of resources and major engine of works to be completed in the agricultural sector. In other words, any modern agricultural sector may be developed only under the integrated system of civilized market tools and state regulation.

**აგროსასურსათო საქმორის კრიორიტატული განვითარება – საქართველოში
სისტემური ეკონომიკური კრიზისის დაქვეყნის სანინდარი**

მბრძანებლურ-ადმინისტრაციულად მართვადი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდა-
მავალი პერიოდი საქართველოში ორ ათეულ წელზე მეტია გრძელდება, თუმცა, მას არც ახლა პე-
რიოდში უჩანს სასიკეთო დასასრული. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში თითქოსდა ბევრი რამ კეთდება,
ვითარდება ინფრასტრუქტურის ესა თუ ის დარგი, მაგრამ ეს ყველაფერი ჰგავს „ფასადურ რეფორ-
მას“, რამეთუ ეკონომიკის აღორძინებას, თუნდაც პრიორიტეტული დარგების მეტ-ნაკლები ზომით
წინსვლა-განვითარებას, თითქმის არა აქვს ადგილი.

ამის მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარი ისაა, რომ ადრე არსებული სანარმოო დანიშნულების
ობიექტები გაიყიდა ან დაანგრეულ იქნა, ხოლო ახალს ვერ (თუ არ) ვაშენებთ. რატომ? – დღეისათ-
ვის საქართველოში მიმდინარე თითქმის ყოველგვარ მშენებლობას აფინანსებს მსოფლიო ბანკი,
ევროკავშირის თუ სხვა ბანკები. სესხის თუ ინვესტიციების მისაღებად ხელისუფლებამ გარკვეული
პირობები უნდა შეუსრულოს მათ, რომელთა შორის მთავარია ინვესტიციები არ ჩაიდოს სანარმოო
დანიშნულების ობიექტების მშენებლობასა თუ რეკონსტრუქცია-მოდერნიზებაში, სესხები გამოყე-
ნებული უნდა იქნეს, როგორც წესი, გზების, სასტუმროების, ტურისტული ობიექტების და ა.შ. მშე-
ნებლობისათვის (ასეთია, სამწუხაროდ, უცხოური კრედიტების პოლიტიკური „შეფერილობა“).
დიახ, ეს ასეა, მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა: სად წავიდა სახელმწიფო სანარმოთა ტოტალური
პრივატიზების შედეგად ამოღებული დიდძალი ფულადი სახსრები, რომელთა უმეტესობა ახალ სა-
ნარმოთა მშენებლობას ან კიდევ არსებულთა მოდერნიზაციას უნდა მოხმარებოდა? – ამ კითხვაზე
ხელისუფლებას არა თუ ნათელი, ბუნდოვანი პასუხიც კი არა აქვს. თუმცა, სახეზეა სავალალო სუ-
რათი: ქვეყანაში ეკონომიკის რეალურ ზრდას ადგილი არა აქვს, წლების განმავლობაში გრძელდება
სისტემური სოციალ-ეკონომიკური კრიზისი, იზრდება სიღარიბე, კატასტროფულ ხასიათს იღებს
მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, მოსახლეობის 10-15% ფუფუნებასა და განცხრომაშია,
დანარჩენი ნაწილი კი – საარსებო საშუალებებს ძლივს შოულობს. რაც შეეხება ყველა ნორმალუ-
რად განვითარებული ქვეყნის საზოგადოების ხერხემალს – საშუალო კლასს, ის საქართველოში,
ფაქტობრივად, ვერ ჩამოყალიბდა. ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში უკანას-
კნელ წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან
გამოყვანა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ქვეყნის მოსახლეობის 1/3-ზე მეტი,
ფაქტობრივად, შიმშილის ზღვარს მიღმა იმყოფება. სამამულო ნარმოების სურსათის მკვეთრმა
შემცირებამ, იმპორტით მისი ჩანაცვლება გამოიწვია, რის გამოც სასურსათო ბაზრის თითქმის 70%
იმპორტულ, თანაც უხარისხო პროდუქციას უკავია. ამასთან, დღეისათვის ქვეყნის მოსახლეობის
დიდი ნაწილი გადახდისუუნაროა და ვერ ახერხებს, თუნდაც მინიმალური ოდენობით, მიიღოს ყვე-
ლა აუცილებელი კვების პროდუქტი და ორგანიზმისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებები,
მისი სიძვირისა და მოსახლეობისათვის ნაკლები ხელმისაწვდომობის გამო. ყოველივე ეს ფრიად
სამწუხარო და სავალალოა, რამდენადაც საქართველოს სასურსათო პოტენციალი, ექსპერტული
შეფასებით, სრულიად საკმარისია 8-10 მლნ. ადამიანის გამოსაკვებად.

ასეთ ვითარებაში, საქართველოში სულ უფრო იზრდება გენეტიკურად შეცვლილი სურსათის გა-
მოყენება, უფრო მეტიც – დაბალფასიანი ნებისმიერი სურსათისა, რომელიც აზიანებს ადამიანის ორ-
განიზმში შეღწეულ მიკროორგანიზმთა საჭირო ბალანსს და უამრავი ავადმყოფობის ფაქტორია. ამი-
ტომაც, სურსათის გენეტიკური მოდიფიცირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს საქართვე-
ლოს ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარების ალტერნატიული და, მით უმეტეს, პრიორიტე-
ტული მიმართულება. დღეისათვის და სამომავლოდ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მემცენარეობისა
და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას არსებითად ბიოლოგიური მეთოდებით. მით უმეტეს,
რომ საქართველოს მიწის და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკუ-
რი პოტენციალი სანახევროდაც არ არის გამოყენებული, რაც დიდი რესურსული, მაგრამ მიძინებუ-
ლი რეზერვია.

ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი მაინც აგრარული სექტორის არასწორი მენეჯმენტი,
დარგის არაკვალიფიციური მართვა, უფრო მეტიც – თვითდინებაზე მიშვებაა (თუ ხელის შეშლა

არა). სწორედ ამის შედეგია ის, რომ საქართველოს აგრარულ სექტორში ინვესტიციების ყველა შიგა წყარო პარალიზებულია, რის გამოც სოფლისმეურნეობრივი წარმოება მაღალი რისკიანობით ხასიათდება. ასეთ პირობებში კომერციული ბანკები თავს იკავებენ შესაბამისი კრედიტების გაცემაზე, განსაკუთრებით – გრძელვადიანი პროგრამებისათვის, რასაც ესოდენ საჭიროებს აგრარული სექტორი მისი სპეციფიკურობის გამო. ამ ფონზე აუცილებელია სახელმწიფოს როლის გაძლიერება, თნდაც იმ პრაქტიკის მაგალითზე, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში სოფლისმეურნეობრივი წარმოების რისკის გარკვეულ ნაწილს სახელმწიფო თავისთავზე იღებს.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე უპრიანია წარმოვადგინოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სურათი დღეისათვის. ამ სფეროში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტი, თუმცა, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 9%-მდეა. ფერმერთა რაოდენობა 2500 ათასია, საშუალოდ ერთი ფერმერი ფლობს 1 ჰა მიწის ფართობს, ფერმერთა 80% და მეტი პროდუქტებს თვითმომარებისათვის აწარმოებს. დარგი ხასიათდება შრომის უკიდურესად დაბალი ფონდშეიარაღებით და მწარმოებლურობით. სოფლის მეურნეობა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ერთადერთი დარგია, რომლის წარმოების მოცულობაც წლიდან წლამდე მცირდება. მაგალითად, 2003 წელთან შედარებით, 2009 წლისათვის ის შემცირდა 1/7-ით და მეტად. თუ 1998 წელს შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში 4-ჯერ ჩამორჩებოდა ქვეყნის ეკონომიკის საშუალო მაჩვენებელს, 2003 წელს – 7,4-ჯერ, 2009 წელს კი – თითქმის 19-ჯერ. საქართველოს სოფლის მეურნეობის ასეთი სავალალო მდგომარეობა ასე თუ ისე გასაგები გახდება, თუ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ დარგისათვის 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილია 55348 ათასი ლარი (0,8%), რასაც 10-ჯერ აღემატება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება,¹ რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია და წლების მანძილზე სწორედ ასეთი მწირი დაფინანსებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ კატასტროფის წინაშეა ქვეყნის მეცხოველეობა. საქართველოში დღეისათვის მხოლოდ 900 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, თუმცა, შეგვიძლია გვყავდეს 2 მლნ; მინიმუმამდეა დაყვანილი წვრილფეხა პირუტყვის სულადობა – 790 ათასი, ღორის რაოდენობა 75 ათასია (იყო 500 ათასზე მეტი) და ა.შ.

საქართველოში სასურსათო პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს მასზე ფასების უკონტროლო (ან იქნებ ეგოისტურად მართვადი) ზრდა. მაშინ, როდესაც ევროკავშირის მთელი კანონმდებლობა მიმართულია ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ, ჩვენთან პირიქით ხდება – სურსათის უხარისხობას კიდევ უფრო ამძიმებს მასზე ფასების მკვეთრი ზრდა, უწინარესად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, რაც ბოლო პერიოდში, ერთი ხელის მოსმით, თითქმის 1,5-ჯერ გადიდა. რატომ? – ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მას ხსნის ევროკავშირის, თითქოსდა, ადეკვატური რეკომენდაციით. ფაქტობრივად კი ევროკავშირმა მოითხოვა ხორცის და საერთოდ სურსათის უსაფრთხოების კონტროლის გაძლიერება და მისი ადეკვატური ინფრასტრუქტურის შექმნა. ჩვენმა ხელისუფლებამ კი ბაზრიდან გააძევა ხორციით ინდივიდუალურად მოვაჭრენი და მთელი ეს „ოპერაცია“ ორ მონოპოლისტს – ნატახტარისა და თელეთის სასაკლაოებს დაუმკვიდრა, რომლებიც ფასებს თვითნებურად აწესებენ. ეს პროცესი მანკიერი გამოძახილია აგრარული სფეროს გლობალიზაციისა, რომელიც ამ სფეროს ყოველმომცველი კომერციალიზაციით ვლინდება მსოფლიო მასშტაბით. სწორედ ამის მეშვეობით გამოიძვენება წვრილი სამომხმარებლო მეურნეობები და იზღუდება წვრილფეხური სექტორი საერთოდ. წარმოების კონცენტრაციის როლის ზრდა და მეურნეობათა რაოდენობის შემცირება, ვერტიკალური ინტეგრაციის გაძლიერება აგროსფეროში, ტნკ-ების როლის ზრდა, რომლებიც იოლად გადალახავენ სახელმწიფო საზღვრებს, ყველაფერი ეს გადამწყვეტად განსაზღვრავს კომერციალიზაციის მექანიზმს, რაც ახალი მძიმე რისკის წინაშე აყენებს აგროსასურსათო სფეროს.² ამიტომ, აუცილებელია ამ მეტად რისკიანი ტენდენციის ჩანასახშივე აღმოფხვრა საქართველოში.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე, თითქოსდა, გამართლებულია საქართველოს, განსაკუთრებით ქ. თბილისის ბაზრების გავსება იმპორტული საქონლით, რომლის ვარგისიანობაც ფრიად საეჭვოა, მაგრამ, სამაგიეროდ, სამამულო პროდუქციასთან შედარებით სიიაფის გამო, მომხმარებელი მასზე უარს ვერ ამბობს...

ასეთ პირობებში სავსებით გაუგებარია ხელისუფლების ქმედება, რითაც ყველა ორგანო, რომელიც საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლს აწარმოებდა, გააუქმა, მოსპო სანიტარიული

¹ იოსებ არჩვაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011, №6, გვ. 108.

² Е. Ковалёв. Мировой продовольственный кризис: эскалация проблем, журн. «Международная экономика и международные отношения», 2010, №4.

და ვეტერინარიული სამსახურები. მართალია, ახლახან ამოქმედდა „სურსათის უვნებლობის შესახებ“ კანონის ზოგიერთი მუხლი, მაგრამ მისი მოთხოვნაა გაკონტროლდეს მხოლოდ ის სანარმოები, რომლებიც ექსპორტზე მუშაობენ. ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს – არავითარი კონტროლი არ არსებობს იმპორტულ საქონელზე, ანუ არ ვზრუნავთ საკუთარ ხალხზე, ხოლო საქე-სპორტო პროდუქცია მონმდება (!). რა თქმა უნდა, ეს საჭიროა, მაგრამ იგივე უნდა ვრცელდებოდეს იმპორტული სურსათის მიმართ.

ბევრი მომხმარებელი სვამს კანონზომიერ კითხვას, თუ რითი უნდა განვასხვაოთ პესტიციდებით გაჯერებული პროდუქტი ქართული პროდუქტისაგან – სწორედ ეს არის ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი, მაგრამ საუბედუროდ, ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, მიმართულია იქითკენ, რომ ქართველი გლეხი გაუცხოვდეს მარჩენალი მიწისაგან, სოფლად მოიშალოს მეურნეობრიობის ტრადიციული ფორმები, რაც შეიძლება მალე ბითუმად გაიყიდოს ქართული მიწა და წყალი, ფლორა და ფაუნა და, საბოლოო ანგარიშით, საქართველო გახდეს უცხოტომელთა საპარპაშო არეალი. აბა, სხვა რა მიზანი აქვს ბურებისა თუ მსგავსთა მავანთა „მოპატიჟებას“ საქართველოში აქ მათი მასობრივად ჩამოსასახლებლად, რომლებიც თურმე დიდი კაპიტალდაბანდებებით შემოვლენ და ქართველ გლეხობას „ასწავლიან“ ფერმერულ მეურნეობათა გაძღოლის მონიშნულ მეთოდებს. ეს მაშინ, როცა ვაზის მსოფლიოში გავრცელებული 1500 ჯიშიდან 600 ქართულია, ხორბლის 24 სახეობიდან 14 ქართულია, რომელთა მოვლა-მოყვანის დიდოსტატები სწორედ ქართველებია. ამიტომ, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს უცხოტომელთა ჩამოსახლების იდეა, ამის შესახებ აზრი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ეს არის სამშობლო-ქვეყნის ღალატის, ქართველი მეურნის მიწისაგან საბოლოოდ მონყვეტის (თუ განყვეტის არა), ქართული მიწის გასხვისების და ქართველი ერის დაშლისა და ქვეყნის საბოლოოდ დანგრევის მცდელობა. არავითარი ბურები და მსგავსი მათნი საქართველოს არ სჭირდება და არა მხოლოდ ბურებს ეხება ეს, არამედ უნდა აღსრულდეს კონსტიტუციური მოთხოვნა – მიწა საკუთრებად ან მფლობელობაში გადაეცეთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. რაც შეეხება უცხოელ მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, მიწა შეიძლება გადაეცეთ მხოლოდ ვადიანი სარგებლობით. უფრო მეტიც, თვით ქვეყნის შიგნით მიწის მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებული ოპერაციებიც კი უნდა ხორციელდებოდეს ხელისუფლების ადეკვატური ორგანოების უშუალო ჩარევითა და გადაწყვეტილებით და არა მხოლოდ მისი გამყიდველისა და მყიდველის სურვილით – მიწა ხომ სახელმწიფოს უზენაესი საკუთრებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლება ვალდებულია გარანტირებულად დაუკანონოს ქართველ გლეხს მიწა, მისცეს კრედიტი, ხელმისაწვდომი ფასებით მოამარაგოს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით, სასუქებით, შხამქიმიკატებით, სარწყავი წყლით, გაუფორმოს პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულება ორივე მხარისათვის მისაღები სტაბილური ფასებით... ქართველი კაცი კვლავაც ააყვავებს სოფელს და ქვეყანას უხვად მიაწოდებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, რომლის გარკვეული ნაწილი ექსპორტის სახით, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ფულადი შემოსავლების წყარო გახდება.

ამის საფუძველი კი ისაა, რომ საქართველო კლასიკური მიწათმოქმედების ქვეყანა იყო ოდითგანვე, ამაზე ფოლიანტებიც მეტყველებენ, რომ არაფერი ვთქვათ დღევანდელ საქართველოში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის თუ კულტურის ასე თუ ისე ფუნქციონირების შესახებ. ამასვე ადასტურებს სრულიად საქართველოს მოძღვართმოდღვარი ილია II, როცა ბრძანებს: „საქართველო უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა“.

ამიტომ, გულისყურით უნდა მოვუსმინოთ და პრაქტიკულად განვახორციელოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის გონივრული რჩევა: „ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოვლად აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, მიწისადმი ხალხისათვის ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამაგრებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება“.¹

ქართული მიწათმოქმედება ოდითგან ჭეშმარიტად თავისებური აკადემია იყო, რომელიც უხვად ასაზრდოებდა მსოფლიოს მიწათმოქმედებას და თვითონაც საზრდოობდა ამ უკანასკნელით. ამ ტრადიციებს აღდგენა და განმტკიცება სჭირდება და არა ამოძირკვა და უკუგდება. ყველაფერი ეს ხელისუფლების პოლიტიკური ნებასა და გონიერებაზეა დამოკიდებული.

¹ სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 2011, გვ. 9-10.

საქართველოს ეკონომიკაში, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში დღეისათვის ჩამოყალიბებული სისტემური კრიზისი არსებითად განპირობებულია იმ ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც არათუ არ ეყრდნობა ქვეყნის ეკონომიკის არსებულ შესაძლებლობებს და ხელს არ უწყობს მის აღმავლობას, არამედ, პირიქით, ხორციელდება ეკონომიკური „დინების“ სანინალმდეგოდ და ახშობს იმ მცირე შესაძლებლობებსაც კი, რაც თითქმის მთლიანად მოშლილ ეკონომიკას აქვს. ეს მომდინარეობს ეკონომიკურ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობის, ანუ უწინდელი ეკონომიკური პოლიტიკის მთლიანად უარყოფიდან და კურსის ალებაში საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების შესაძლებლობებზე ან კიდევ – ვოლუნტარიზმსა და სუბიექტივიზმზე. ეს არის მწარე სინამდვილის ერთბაშად უარყოფისა და მიმზიდველ იდეალებზე მთლიანად მინდობის უპერსპექტივო ცდა.

ამიტომ, გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ვალიაოთ, რომ ეკონომიკური რეფორმების წარმატება, საბაზრო ეკონომიკაზე უახლოეს პერიოდში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მკაცრად ორგანიზებული სახელმწიფოებრივი მართვითა და კონტროლით. ამასთან დაკავშირებით უპრიანია წინა პლანზე წამოვნიოთ განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ აპრობირებული საკითხი სახელმწიფოს (მთავრობის) ეკონომიკური ფუნქციების შესახებ: შერეული ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, მაკროეკონომიკური სტაბილიზების პროგრამის განსაზღვრა, ეკონომიკის მაღალეფექტიანად ფუნქციონირებისათვის რესურსების ოპტიმალურად გაადგილება და განაწილება, შემოსავლების განაწილებაზე ზემოქმედების პროგრამების შემუშავება და ა.შ., სხვანაირად რომ ვთქვათ, აგრარული სექტორი, საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებათა შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს დარგობრივ სტრუქტურებზე ზემოქმედების, ფასების, გადასახადების, კრედიტის, სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციაზე შეკვეთების მეშვეობით, სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედებით.

ამრიგად, ეკონომიკურ რეფორმას უნდა მიეცეს სტრატეგიული მიმართულება, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და რომელშიც პრიორიტეტი, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის უპირატეს განვითარებას მიეცემა, ხოლო შემდგომ – სამომხმარებლო ბაზარს მთლიანად, მცირე ბიზნესის ჩათვლით.

ამასთან, საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის ძირეული გარდაქმნის კონცეფციის საკვანძო რგოლების განსაზღვრისას, აუცილებელია ეკონომიკური ინტერესების მთელი სისტემის ამოქმედება, მინაზე მეურნეობრიობის ფორმების გადაქცევა უფრო მოქნილ და მრავალფეროვან მექანიზმად. უფრო მეტიც, ახლებურად უნდა იქნეს გააზრებული სოფლის მეურნეობის წინააღმდეგობრივი განვითარების მრავალფეროვანი გამოცდილება უმდიდრესი ეროვნული და მსოფლიო პრაქტიკის კონვერგენციისა და აქტიური გამოყენების გზით.

ამ ამოცანების განხორციელების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ადამიანების, კოლექტივების, ხელისუფლების მაღალი პასუხისმგებლობა საქმიანობის ყველა ეტაპზე. სამწუხაროა, რომ ეკონომიკური პასუხისმგებლობის მექანიზმი, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების დონეზე, საქართველოში საერთოდ და განსაკუთრებით აგროსასურსათო კომპლექსის სფეროში, ჯერჯერობით მხოლოდ ფორმირების პროცესშია.

ეკონომიკური პასუხისმგებლობის ფორმირება და განვითარება არ არის გარდამავალი ეკონომიკის სპეციფიკური პრობლემა. ეს საერთო და ობიექტური პირობაა, რაც დამახასიათებელია ყველა სისტემის ეკონომიკური მექანიზმისათვის. სადღეისო პასუხისმგებლობა – ეს არა მხოლოდ ეთიკური, სამართლებრივი ან მორალური კატეგორიაა – ის საყოველთაოა, რომელშიც ორგანულად შედის ადამიანთა საქმიანობის ყველა სფერო და საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შეგნების ყველა ფორმა. შესაბამისად, იგი მთლიანად ეკონომიკის მოძრაობის ხერხემალია. ეს ასეა თეორიულად, მაგრამ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ბოლო თითქმის ორი ათეული წლის პრაქტიკაში აშკარაა არა მხოლოდ საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის დაცემის ტენდენცია, არამედ შექმნილიც არ არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრად ამაღლების ეკონომიკური პასუხისმგებლობის მექანიზმი. ეს მაშინ, როცა აგროსასურსათო კომპლექსის ყველა სფეროსა და დარგში ეკონომიკური პასუხისმგებლობის ურთიერთობა მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი ობიექტია. ამიტომ, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ქმედითი ეკონომიკური პასუხისმგებლობის მექანიზმის შექმნა აგროსასურსათო სფეროს ყველა დარგსა და სფეროში ყველა სახეობის საწარმოო რესურსის გამოყენების შედეგიანობისათვის. ამასთან, სოფლის მეურნეობის პარიტეტული ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება მის მომსახურე დარგებთან, მოითხოვს მათი საერთო მიზნების მიღწევის ეკონომიკური პასუხისმგებლობის მექანიზმის ამუშავებას. სამწუხაროდ, აღნიშნულ სფეროებში მოქმედი ბევრი ნორმატივი ეკონომიკურად დაუსაბუთებელია, ხელს არ უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ზრდასა და ხარისხობრივ გაუმჯობესებას, მის გაიაფებას, ხშირად ემსახურება შუალედურ, ცალკეული საწარმოს

ვინროუნყებრივ ინტერესებს, ე.ი. არ არის გათვლილი საბოლოო შედეგების მიღებაზე. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როცა ყოველი ქვეყნის აგრარული სფერო სწრაფად ვითარდება და სოფლისმეურნეობრივი შრომა სულ უფრო ინტეგრირებულ, საზოგადოებრივ ხასიათს იღებს, აგრარულ ურთიერთობათა სისტემაში ეკონომიკური პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი მექანიზმის დიალექტიკაც სპეციფიკურად ვლინდება, კერძოდ: ჯერ ერთი, აგროსასურსათო სფერო წარმოდგენილია სხვადასხვა დარგით, როგორც საზოგადოებრივ ელემენტთა ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული სისტემაში ასრულებს თავის სპეციფიკურ ფუნქციას და აქვს განვითარების განსაზღვრული მიმართულება; მეორე, ეკონომიკაში ერთიანობისა და ურთიერთკავშირის გამო, კომპლექსის ყველა ელემენტის საერთო მიზანი ორიენტირებულია მაღალი საბოლოო შედეგების მიღებაზე. შესაბამისად, კომპლექსის ყველა პარტნიორის ეკონომიკური პასუხისმგებლობა და ინტერესი თანაფარდობაში უნდა იყოს; მესამე, კომპლექსის განვითარების შიგასტიმულების გამოვლენა ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამალღებით, მკვეთრად ზრდის ადამიან-კაპიტალის როლს – ამალღებს რა სოციალურ და შრომით აქტიურობას – ხელს უწყობს ამ საფუძველზე თითოეული მუშაკის – რიგითიდან უმაღლესი დონის მენეჯერამდე – საზოგადოებრივი წარმოების შედეგიანობის ამალღებისათვის ზრუნვას; მეოთხე, ეკონომიკური პასუხისმგებლობის კომპლექსური და მიზანმიმართული გამოყენება უზრუნველყოფს აგროსასურსათო სფეროს ეფექტიანობის ამალღებას, ხელს უწყობს ადამიანისეული ფაქტორის ყოველმხრივ აქტივიზაციას, რაც ეკონომიკის ყველა სფეროს განვითარების მთავარი მამოძრავებელია. შესაბამისად, თანამედროვე ეკონომიკური მექანიზმის უმნიშვნელოვანესი რგოლია მატერიალური სტიმულირებისა და ეკონომიკური პასუხისმგებლობის ოპტიმალური შეხამება და ურთიერთგანპირობებულობა. ამ პრობლემის მნიშვნელობა იზრდება მთელი აგროსასურსათო კომპლექსის სრული კომერციული ანგარიშთანობის პრინციპზე მუშაობის პროცესში, რაც საბაზრო სისტემის ერთ-ერთი ძირეული მოთხოვნაა. რაც შეეხება საქართველოში დღეისათვის შექმნილ მძიმე სასურსათო მდგომარეობას, მისი დაძლევა მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების სისტემურ მეცნიერულ შესწავლას და გადანყვეტას, რამდენადაც იგი უშუალო კავშირშია მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებთან და, შესაბამისად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობასთან.

დასასრულს, საქართველოს ეკონომიკის აგროსასურსათო სექტორის კრიზისიდან გამოყვანისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. მკაცრად უნდა იქნეს დაცული კონსტიტუციური მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მინა საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, ხოლო უცხოელებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს მინა შეიძლება გადაეცეთ მხოლოდ ვადიანი სარგებლობით. უფრო მეტიც: თვით ქვეყნის შიგნით მინის მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებული ოპერაციები უნდა განხორციელდეს ხელისუფლების ორგანოების ზედამხედველობით და არა მხოლოდ მინის გამყიდველისა და მყიდველის სურვილით;

2. უმართებულად ჩაითვალოს სახელმწიფო საკუთრების ტოტალური პრივატიზების პოლიტიკა, რასაც მოჰყვა აგრარულ სფეროში მეურნეობრიობის სახელმწიფოებრივი ფორმის ფაქტობრივად გაუქმება. შესაბამისად, უნდა ჩამოყალიბდეს აგრარული ტიპის რამდენიმე სახელმწიფო საწარმო, რომელთა ამოცანა იქნება: ა) მეურნეობრიობის ყველა სხვა ფორმისათვის სანიმუშო მენარმეობა; ბ) მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნების შევსება; გ) მეურნეობრიობის სხვა ტიპებთან ჯანსაღი კონკურენცია; დ) სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქციის წარმოების სახელმწიფოს განკარგულებაში შენარჩუნება;

3. სოფლად მაქსიმალურად უნდა განვითარდეს კოოპერაციული კავშირები როგორც საწარმო, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, ასევე კრედიტის და სხვა სფეროში; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მინიინტეგრაციულ გაერთიანებათა ფორმირებას, ვთქვათ, ღვინის ქარხანა – მევენახეობის ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა ჯგუფი – პროდუქციის მიწოდების მოცულობის, ვადების, ფასების და ა.შ. მტკიცე გარანტიებით, რაც ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპით იქნება გამყარებული;

4. კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს „რჩეულ მენარმეთა“ და კომერციული სტრუქტურების „პარტნიორული მონოპოლიზმის“ ტენდენციები, რაც ფერმერთა თუ სხვა მენარმეთა ფართო ფენების ინტერესებს ეწინააღმდეგება;

5. აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ფასების პარიტეტის დამკვიდრება, რაც ტრადიციულად დარღვეულია პირველის საზიანოდ;

6. საბოლოოდ უნდა დამკვიდრდეს სოფლის მეურნეობის სავარგულზე გადასახადი, რომლითაც სრულად იქნება გათვალისწინებული განსხვავება მიწის ნაყოფიერებასა და ადგილმდებარეობაში;

7. დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს მიწის ნაყოფიერების აღდგენისა და ამაღლების სამუშაოები, რასაც დიდი ტრადიციები აქვს საქართველოში;

8. სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს უცხოური კრედიტების გამოყენება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის, არამედ სანარმოო სფეროს აღორძინებისათვის.

აგრარული სფეროს აღორძინებისათვის აუცილებელ აღნიშნულ და სხვა აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასა და გონიერებაზე.

REVAZ GOGOKHIA

Academic Doctor of Economics

Professor

THE PRIORITY OF DEVELOPMENT OF AGRICULTURAL PRODUCT SECTOR - THE PRECONDITION FOR OVERCOMING SYSTEMATIC ECONOMIC CRISIS

S u m m a r y

The article involves the analysis of the main reasons for system crisis in Georgian agriculture and focuses on the activities for overcoming them. Among these reasons we may note: constitutional provision of the land sale; usage of worldwide recognized policy for state support to agrarian sector; establishment of the state enterprise of agrarian type; creation of cooperative contacts (including mini-integration formations) either in service or enterprising sphere; eradication of tendencies of the so-called “selected entrepreneurs” and “partners monopolism” of commercial structures; inculcation of rates parity of necessary logistics facilities for agricultural products and the field; solution on the government level of the issue of usage of foreign credits not only on infrastructure but in the industrial sphere, etc.

**მაქროეკონომიკის განვითარების გზები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაგალითად,
აგრარული სექტორის ეფექტიანობის თანმიმდევრული ამაღლებისათვის**

საქართველოში მეძროხეობა მეცხოველეობის წამყვანი დარგია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მის მთავარ პროდუქტებზე – რძეზე და ხორცზე სწრაფად მზარდი მოთხოვნილების გამო.

საქართველოს სხვადასხვა მხარის ბუნებრივი პირობების დიდი სხვადასხვაობის მიუხედავად, ფეოდალიზმის პერიოდში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მეძროხეობას ერთგვარი სარძეო-სახორცე სამუშაო მიმართულება ჰქონდა. სპეციალიზაციის პირველი ნიშნები ამ დარგში XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მონაცემებით, მეცხოველეობის პროდუქციის 51%-ს (ფულად ერთეულებში გამოხატულებით) საქართველოში ქმნიდა მეძროხეობა, ხოლო სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციიდან – 12%-ს. იგი ამ მხრივ მხოლოდ მეჩაიეობას და მევენახეობას ჩამოუვარდებოდა და მესამე ადგილი ეკავა რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში.

1970-1989 წლებში რძის და ძროხის ხორცის წარმოება საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1989 წელს კი უკვე გამოჩნდა მეცხოველეობის კრიზისის ნიშნები. მომდევნო წლებში კი კრიზისი იმდენად გაღრმავდა, რომ რძის და ხორცის წარმოების მაჩვენებლები 2-3-ჯერ და მეტადაც შემცირდა.

დღეისათვის, საქართველოში მენველი პირუტყვის სულადობა 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით მომატებულია, თუმცა დაბალია მისი პროდუქტიულობა.

სამცხე-ჯავახეთში მეძროხეობა, ისევე როგორც მთელს საქართველოში, მეცხოველეობის წამყვანი დარგია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2010 წელს ამ რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (კამეჩის ჩათვლით) 111,3 ათასს აღწევს, მათ შორის ფურების რაოდენობა 61,0 ათასი სულია. მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში, ახალციხეში და რაიონში შემავალ სოფლებში სულ 17 ათასამდე მსხვილფეხა პირუტყვია, მათ შორის 10 ათასზე მეტი მენველი ფურია. იმავე წლის სტატისტიკის მიხედვით ფურის რძის წარმოება სამცხე-ჯავახეთში 78,7 ათას ტონას შეადგენს, ხოლო ხორცის წარმოება – 2,8 ათას ტონას. მთელ საქართველოში წარმოებული რძის დიდი ნაწილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაა, ხოლო ცხვრისა და თხის რძის წილი უმნიშვნელოა.

რეგიონში რძის და რძის პროდუქტების წარმოებაში მნიშვნელოვანი წილი ოჯახურ მეურნეობებს უკავია. გადამამუშავებელი სექტორის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ოჯახურ მეურნეობებში წარმოებული რძის უმეტესი ნაწილი ყველის და მანვნის სახით გადამამუშავდება.

დარგში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, რეგიონში არსებული წვრილი, ოჯახური ფერმერული მეურნეობების კლასიფიკაცია, მათ მფლობელობაში მყოფი მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის მიხედვით, შესაძლებელია სამ ჯგუფად: მცირე, საშუალო და დიდი მეურნეობები.

1. მცირე – ესენია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ოჯახების ის ნაწილი, რომლებსაც ჰყავთ 1 ან 2 სული მენველი ფური (მ.ფ.). ასეთ ოჯახებში ამ მიმართულებით 1 ან 2 ოჯახის წევრია დასაქმებული და წარმოებული პროდუქცია გამოიყენება ძირითადად ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

2. საშუალო – 3-დან 10 სულამდე მ.ფ. ასეთ მეურნეობაში მენველი ფურების რაოდენობა მთლიანი სულადობის ნახევარზე მეტია. წარმოებული პროდუქციის (ნამატი და რძის პროდუქტები) გარკვეული ნაწილი მიმართულია სარეალიზაციოდ და ეს პროდუქტები ძირითადად რაიონულ ცენტრებში არსებულ ბაზრებზე მოვაჭრეებისგან მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

3. მსხვილი – 10 სულ მ.ფ.-ზე მეტი სულადობის ფერმერული მეურნეობები. ისინი ფლობენ ცხოველთა შედარებით კაპიტალურ სადგომებს, წარმოების პროცესში კი ოჯახის რამოდენიმე წევრთან ერთად დასაქმებულია დაქირავებული მუშახელი (ძირითადად: მწყემსი, მწველავი; სეზონურად: მუშახელი მინდვრად საკვების დამზადებაზე, ვეტერინარი). ოჯახის ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების წილი, ოჯახის მთლიანი შემოსავლების 60-90%-ია. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება რაიონის და დედაქალაქის მარკეტების ქსელში. შედარებით მსხვილი ფერმები ძირითადად მაღალმთიან სოფლებშია, რომლებიც ათეული კმ-ითაა დაშორებული რაიონული ცენტრებიდან.

რეგიონში ფერმერული მეურნეობების კლასიფიკაციის საფუძველზე შევეცადეთ შეგვესწავლა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საწარმოო რესურსების მდგომარეობა და წარმოგვეჩინა მეძროხეობის, როგორც აგრონომების ერთ-ერთი ძირითადი დარგის, განვითარების გზები.

მინის რესურსები: სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის ფართობი 6,4 ათას კმ²-ს შეადგენს, რაც ქვეყნის მთლიანი ფართობის 9,21%-ია. სასოფლო-სამეურნეო სავარგული მხარეში – 396399 ჰა-ია, საიდანაც სახნავს უკავია – 77721 ჰა (19,6%), მრავალწლიან ნარგავებს – 3009 ჰა (0,76%), სათიბს – 31607 ჰა, (7,97%), საძოვარს – 280142 ჰა (70,67%), ხოლო ნასვენს – 3920 ჰა (მხოლოდ 1%).

როგორც ცნობილია, სხვადასხვა თემში მინა სხვადასხვა მეთოდით დანაწილდა. სამცხეში მინა ოჯახური პრინციპით განაწილდა, განსხვავებით ჯავახეთისაგან, სადაც ეს მოხდა ერთ სულ მოსახლეზე.

სარგებლობაში არსებული მინის ფართობი დანაწილებულია 4-5 ნაკვეთად და ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებით, რაც ართულებს მთელი ფართობის ათვისებას, ზრდის დამუშავების და გადაადგილებისთვის განეულ ხარჯებს.

აქამდე არსებული შედეგების გათვალისწინებით, მინის რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ფერმერებს ათვისონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და, შესაბამისად, შექმნან დოვლათი. მიზანშეწონილია ფერმერებისათვის პრივატიზების გარეშე დარჩენილი სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების საკუთრებაში გადაცემა. მინის გადაცემის დროს არ უნდა მოხდეს სავარგულების დაქუცმაცება, პირიქით, ფერმერები უნდა შეეცადონ მათ საკუთრებაში არსებული დაქუცმაცებული მინის ფართობების გაერთიანება-კოოპერირებას.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად, შეინიშნებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობის კატასტროფული შემცირების და, ამასთან, მისი მოძველების ტენდენცია.

2008 წლიდან სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში ამ მიმართულებით განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, შეიქმნა ფერმერთა ამხანაგობები, რომლებიც აღჭურვილი არიან ახალი ტრაქტორებითა და სხვადასხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო აგრეგატებით. ჩამოყალიბდა ფერმერთა სასოფლო სამეურნეო ტექნიკით მომსახურების ცენტრი და მათი წარმომადგენლობები გადანაწილდა რაიონულ ცენტრებში კონკრეტული რეგიონისათვის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე საჭირო ტექნიკით.

ყოველივე ამის გარდა, სახელმწიფო და კერძო პროგრამების მეშვეობით უნდა გაიზარდოს ახალი, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა რეგიონებში და პარალელურად გაგრძელდეს მუშაობა ტექნიკის მომსახურების სისტემის გაუმჯობესებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობები: დღესდღეობით მცირე და საშუალო ოჯახური მეურნეობების ცხოველთა სადგომები, ასევე დამხმარე ნაგებობები აგებულია ოჯახების მწირი შესაძლებლობით. ამ კატეგორიის მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომების უმეტესობა არ არის უზრუნველყოფილი წყლით და ელექტროენერგიით. შედარებით მსხვილი მეურნეობების მცირე ნაწილი ფლობს ძველად არსებული მეურნეობების (კოლმეურნეობების) პრიმიტიულად აღდგენილ შენობა-ნაგებობებს. აქ პირუტყვის სადგომების უმრავლესობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, ხოლო სადგომში პირუტყვის სასმელი და სახარჯი წყლის პრობლემა მეურნეობების მცირე ნაწილს აქვს მოგვარებული. მრავალ მათგანში პირუტყვის საკვები, სადგომი მოედნები, ნამატის მოსაგები, ნამატისათვის და დაავადებული პირუტყვისთვის იზოლირებული სადგომები მიღებულ სტანდარტულ კონდიციებს არ აკმაყოფილებს, უმეტეს შემთხვევაში კი საერთოდ არ არის გამოყოფილი.

მეურნეობებს მცირე დანახარჯებით და, რაც მთავარია, საკუთარი ძალებით შეუძლიათ ელემენტარული ღონისძიებების გატარება, როგორცაა: ცხოველთა სადგომებსა და სხვა დამხმარე ნაგებობებში ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, სარკმლების და სავენტილაციო სისტემის მოწყობა, ელექტროენერგიით და წყლით მომარაგება.

საზრუნავი საშუალებები: სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონურობა მოითხოვს ფულადი რესურსების საჭიროებისამებრ განაწილებას. სამეურნეო წლის განმავლობაში აუცილებელია სათესლე მასალის, საწვავის, მარაგი ნაწილებისა თუ სხვა წარმოების საშუალებების შექმნა აგროვადებით გათვალისწინებულ დროში.

მეძროხეობის პირველი ჯგუფი, ანუ მცირე ფერმერული მეურნეობები წარმოებული ყველის რეალიზაციას ძირითადად ზაფხულში ახდენენ. ეს მაშინ, როდესაც პირუტყვის მასობრივი ლაქტაციის პერიოდია და შესაბამისად სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად დაბალია. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სიმცირის გამო, ისინი ვერ ახერხებენ პროდუქციის შენახვას და რეალიზაციის

დან მიღებული შემოსავალი ხშირად ოჯახის ყოველდღიურ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. მიღებულ ნამატს ყიდთან დაბადებისთანავე მიზერულ ფასად, ან შემოდგომის პირას დაზამთრებამდე, როდესაც საქონლის ფასი შედარებით დაბალია. ისინი ამით თავს არიდებენ პირუტყვის გამოსაზამთრებლად საჭირო საკვების დამზადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამ ჯგუფის მეურნეობებს ფულადი რესურსების სიმცირის გამო წარმოების საშუალებების შექენაზე ზრუნვა უშუალოდ წარმოების პროცესში უნევთ, რაც დაკავშირებულია დამატებით ფულად ხარჯებთან.

შედარებით უკეთესი ვითარებაა საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში. მათი რძის პროდუქციის ძირითადი ნაწილი ზამთრის განმავლობაში იყიდება შედარებით მაღალ ფასად, ხოლო ნამატის რეალიზაციას ახდენენ ახალი წლის და აღდგომის დღესასწაულის დადგომისას, ასევე შედარებით მაღალ ფასად.

მეურნეობებში საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნის ზუსტი პროგნოზი აუცილებელია მინიმუმ ერთი სამეურნეო წლისთვის. ფულადი სახსრების გარედან მოზიდვის საჭიროების შემთხვევაში საკრედიტო ინსტიტუტებმა ფერმერებს უნდა შესთავაზონ კონკრეტულ საქმიანობაზე მორგებული კრედიტის დაფარვის გრაფიკი, შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით.

შრომითი რესურსები: მეცხოველეობის ისეთ ფერმებში, სადაც საწარმოო პროცესების ელექტრომექანიზაციის დაბალი დონეა, მაღალია შრომითი დანახარჯების წილი. სწორედ ამის გამო ჩვენში 1 ფურზე შრომის დანახარჯები წელიწადში 200 კაც.სთ და მეტსაც აღწევს, რაც ბევრად აღემატება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. სოფლის მეურნეობის სეზონურობიდან გამომდინარე, საჭირო შრომითი რესურსი წლის განმავლობაში ყოველთვის არათანაბრადაა გადანაწილებული. მეძროხეობის ფერმებში ძირითადი მუშახელი (მწყემსი და მწველავი) დასაქმებულია მთელი წლის განმავლობაში, ხოლო დამატებითი მუშახელი ზაფხულში, სეზონურად, ცხოველთა საკვების დასამზადებლად.

მცირე ოჯახურ მეურნეობებში მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ოჯახის წევრებია დასაქმებული, ხოლო საკვების დამზადებისას ასეთი ოჯახები ერთმანეთს რიგრიგობით ეხმარებიან.

შედარებით მსხვილ ფერმებში გამოიყენება დაქირავებული მუშახელი, რომელთა საშუალო დღიური ანაზღაურება 10-15 ლარია. ფერმების დაბალი გადახდისუნარიანობის გამო, ხშირ შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება ნატურის სახით. ყოველივე აქედან გამომდინარე, დაბალია დასაქმებულთა დაინტერესება და აქტივობა, განსაკუთრებით ახალგაზრდების.

მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორი მაღალკვალიფიციური მუშახელია. ამისათვის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სახელმწიფოს, ასევე თავად მეურნეობების მხრიდან დასაქმებულთათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას. აუცილებელია ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა, განსაკუთრებით ოჯახურ მეურნეობებში, მათთვის სასოფლო-სამეურნეო კუთხით განათლების მიღების ხელის შეწყობა.

ვეტერინარული მომსახურება: მეცხოველეობის ფერმერულ მეურნეობებს გარკვეული დანახარჯების განწევა უხდებათ ვეტერინარულ მომსახურებაზე და ვეტერინარულ პრეპარატებზე. წელიწადში ერთი სული საქონლის ვაქცინაციასა, პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღონისძიებებზე განეული დანახარჯები 20-25 ლარის ფარგლებშია. შედეგად კი, ჯანმრთელი საქონლის პროდუქტიულობა გაუმჯობესებულია, მაღალია წარმოებული რძის პროდუქტების კეთილსაიმედობა, მიღებული შემოსავალი დაახლოებით 30%-ით იზრდება. მათი დაზოგვა კი დიდ რისკებს წარმოშობს და დაუშვებელია.

სამივე ჯგუფის (მცირე, საშუალო და მსხვილ) მეურნეობებში წლის განმავლობაში პირუტყვის მკურნალობის ხარჯები სჭარბობს პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე განეულ დანახარჯებს, როცა ეს პირიქით უნდა იყოს. ხშირ შემთხვევაში ფერმერი ვეტერინარს მიმართავს მაშინ, როცა პირუტყვი დასნეულებულია და მკურნალობას საჭიროებს. აუცილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების არჩატარება არა მარტო ზრდის მკურნალობის ხარჯებს, ხშირად ცხოველის დაცემით მთავრდება, რაც საბოლოოდ მეურნეობას მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს აყენებს.

მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობისათვის აუცილებელია ამ კუთხით ფერმერთა ცნობიერების ამაღლება და ვეტერინარის ჩართულობა წარმოების პროცესში. ეს დანახარჯები მეურნეობებს საკუთარი ძალებით შეუძლიათ გაიღონ, აუცილებელი ვეტერინარული ღონისძიებების ჩატარების დრო წელიწადში ძირითადად ორჯერ: გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონისთვისაა.

ვეტერინარის არაეფექტიან შედეგს იძლევა ასევე შემდეგი გარემოება: რეგიონებში არსებული წვრილი ვეტერინარული მაღაზიები პრეპარატებს მცირე რაოდენობით იძენენ თბილისში მსხვილი მომწოდებლებისგან და შემდგომ რეალიზაციას რეგიონებში ახდენენ. მათი ნავაჭრის მცირე ოდენობის გამო, მაღალია ფასის დანამატი მათ მიერ შეთავაზებულ ვეტერინარულ პრეპარატებზე. ამას ემატება ვეტერინარის განეული მომსახურება. ხშირ შემთხვევაში ფერმერი თავს არიდებს პირუტყ-

ვის ჯანმრთელობის პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას ან დანახარჯების დაზოგვის მიზნით ცდილობს თვითონ შეასრულოს ვეტერინარის სამუშაო. ვეტ.მალაზიიდან წაღებული პრეპარატი ვადების და მოხმარების წესის არასწორი დაცვით, რა თქმა უნდა არ იძლევა შესაბამის ეფექტს. ფერმერს ეკარგება ნდობა ვეტერინარიის მნიშვნელობაზე და კვლავ მიმართავს ხალხურ მეთოდებს.

ამ კუთხით აუცილებელია მეურნეობებში ვეტერინარის პოზიციის გაძლიერება. სახელმწიფო-სა და კერძო ორგანიზაციების მხრიდან უნდა გაძლიერდეს ვეტერინარების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროცესი, მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამაღლება ახალი მედიკამენტების და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. ვეტერინარების გადამზადების პროცესით უნდა დაინტერესდნენ ქვეყანაში მოქმედი ვეტ. პრეპარატების და აღჭურვილობის მსხვილი მომწოდებლები, რომელთა პროდუქცია საბოლოოდ ფერმერებს კვალიფიციური ვეტერინარის კონსულტაციის და მომსახურების შედეგად მიეწოდება.

ცხოველთა საკვები ბაზა: ქვეყნის მცირემნიშვნის გამო, მესაქონლეობის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების არსებობა ასრულებს. ამ მხრივ საქართველოს სამხრეთ მთიან ზონას დიდი უპირატესობა (თითქმის ორმაგი) გააჩნია, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიონის ზონებთან შედარებით.

ძირითადი საკვების დამზადებას მეურნეობები თვითონვე ახორციელებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხიანი საკვების რაც შეიძლება დაბალი თვითღირებულებით წარმოებას.

მცირე მეურნეობებისაგან განსხვავებით, მსხვილ მეურნეობებს შედარებით ნაკლები დანახარჯები გააჩნიათ. მეურნეობაში დამზადებული თივის თვითღირებულება საკმაოდ განსხვავდება შექმნილი თივის ღირებულებისგან. მცირე მეურნეობების დიდი ნაწილი თივას ზამთრისთვის სხვა მეურნეობებისგან ყიდულობს. მსხვილი მეურნეობების უპირატესობაა ის, რომ ისინი. სისტემატურად თიბავენ სათიბებს, წმენდენ მათ ქვებისგან, ბუჩქნარებისგან და ა.შ. ამ ჯგუფის მეურნეობების უმეტესობა ეწევა მომთაბარეობას და მათი სათიბების ძირითადი ნაწილი მალაპროდუქტულ სათიბებს განეკუთვნება.

თივის თვითღირებულების შემცირება მეტად მნიშვნელოვანია ყველა სიდიდის მეურნეობისათვის, ამისთვის მნიშვნელოვანია სათიბების საშუალო მოსავლიანობის გაზრდა, მცირე დანახარჯებით.

საძოვრების მოსაწესრიგებლად, პირველ რიგში, აღსანიშნავია საძოვართბრუნვის სისტემის დანერგვის აუცილებლობა. იმ მეურნეობებმა, რომელთაც საკუთარი საძოვრები აქვთ, წინასწარ უნდა განსაზღვრონ საძოვართბრუნვის სქემა მთელი წლისათვის. არ დაუშვან საძოვრების გადატვირთვა, მათი დროზე ადრე (ბალახის სათანადოდ გაზრდამდე, გაზაფხულზე) და დაუშვებლად გვიანობამდე გამოყენება (გვიან შემოდგომამდე).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და ზოგადად ქვეყანაში მესაქონლეობის, კერძოდ მეძროხეობის, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკვები ბაზის უზრუნველყოფა მინდვრად საკვებწარმოების კომპონენტებით. ქვეყანაში საკვები მარცვლეულის წარმოების განვითარების შემდეგ მიზანშეწონილია საფურაჟე მარცვლეულის წარმოების განვითარება. ბუნებრივ სათიბებზე თივის დამზადებას ეკონომიკური გათვლებით მინდვრად ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენების წარმოება სჯობს.

საყურადღებოა ასევე პირუტყვისათვის საჭირო საკვები რაციონის სწორად შედგენა და მიწოდება. ზამთრის ბაგური კვების პერიოდში აუცილებელია პირუტყვის წვნიანი საკვებით უზრუნველყოფა. დღესდღეობით დამატებითი საკვების სახით ძირითადად გამოიყენება ქატო, რომლის ყუათიანობა დაბალია. კონცენტრირებული საკვების, მინერალებისა და ვიტამინების მართებული გამოყენებით მეურნეობები შეძლებენ პირუტყვის არსებული გენეტიკის ფონზე მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღებას. მსხვილ მეურნეობებს ამ კუთხით მეტი უპირატესობა გააჩნიათ, მცირე მეურნეობებთან შედარებით. დამატებით საკვებ რაციონზე განეული დანახარჯები ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, რაც მცირე მეურნეობებისთვის შედარებით მაღალია. ცხოველთა კონცენტრირებული საკვების დამზადებაში გარკვეული როლი შეუძლიათ შეასრულონ მსხვილმა წისქვილკომბინატებმა. მათ უნდა უზრუნველყონ კონკრეტული ფერმებისათვის საჭირო საკვები რაციონის სტაბილური და კეთილსინდისიერი დამზადება-მიწოდება.

ცხოველთა გენეტიკა და პროდუქტიულობა: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თითქმის მთლიანი რაოდენობა ადგილობრივი ჰიბრიდია. მათში კავკასიური ნაბლა ჯიშის მცირე ნაწილია შემორჩენილი, ძირითადად ნინონმინდისა და ახალქალაქის რაიონებში.

საქართველოში 2010 წელს, 2006 წელთან შედარებით, ფურის საშუალო წველადობა გაიზარდა 310კგ-ით, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შესაბამისად 491კგ-ით. საქართველოს სხვა რეგიონ-

ნებთან შედარებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფიქსირდება ფურების საშუალო წველადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 1650 კგ/წელიწადში. ფურების საშუალო წველადობის ზრდის მიზეზთაგან, ჩვენი დაკვირვებით, პირველ რიგში აღსანიშნავია ტენდენცია, რომ ოჯახურ მეურნეობებში ბოლო წლებში უფრო მეტი ყურადღება ექცევა არა საქონლის რაოდენობრივ ზრდას, არამედ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდას, სულადობის სელექციას.

მეწველი ფურების გამოყენების ხანგრძლივობა აქ 15-20 წლის ფარგლებშია. მოზარდ პირუტყვს ძირითადად ყიდიან 3-4 თვის ასაკში, სახორცედ კი ძირითადად გამოიყენებულ ფურებს ყიდიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჯგუფის მეურნეობა ნახირის აღწარმოებისათვის ძირითადად საკუთარ მეურნეობებში გამოზრდილ დეკეულებს იყენებს. ასეთ დროს უპირატესობა შედარებით მსხვილ მეურნეობებს აქვთ, რადგან მათ, სულადობის რაოდენობიდან გამომდინარე, უფრო ფართო არჩევანის საშუალება ეძლევათ.

სარემონტო დეკეულების სწორად შერჩევას ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ საკითხში არასწორი გადაწყვეტილების მიღება მძიმე ტვირთად აწვება მეურნეობებს. ისედაც დაბალპროდუქტიული პირუტყვიდან სარემონტო დეკეულის არასწორი შერჩევა, მასზე 2-3 წლის განმავლობაში ხარჯების განწვევა, შემდეგ კი გამონუნება და შემცველის გამოზრდა, ფინანსურად დიდ ზარალს აყენებს მეურნეობებს. ნახირის ბრუნვა, ფურების გამონუნება და მისი შეცვლა დროულად და გეგმაზომიერად უნდა წარმოებდეს მეურნეობებში.

რეგიონში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, საჭიროა სანაშენე მეურნეობების ჩამოყალიბება-განვითარება. ფაქტობრივად, სანაშენე საქმიანობა თავიდან უნდა დაიწყოს. სანაშენე საქმიანობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მაღალპროდუქტიული ცხოველების მიღება-გამოზრდა, არსებული ადგილობრივი ჯიშების მუდმივი სრულყოფის გზით. რეგიონის ფერმერებს მიეცემათ საშუალება საკუთარ მეურნეობებში არსებული პირუტყვის სულადობა ჩაანაცვლონ სანაშენე მეურნეობაში მიღებული მაღალპროდუქტიული მოზარდით.

ჩვენი აზრით, აუცილებელია შენარჩუნდეს ადგილობრივი ძროხის ჯიშების ძვირფასი ნიშან-თვისებები, შემუშავდეს არსებული ჯიშობრივი რესურსების გამოყენების საერთო სისტემა მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასკვნა. ჩატარებული კვლევის შედეგად რეგიონში მეწველ ფურზე საშუალო წლიური ამონაგების დინამიკა წლების მიხედვით მზარდია, 769 ლარიდან 1006 ლარამდე გაიზარდა. მეწველ ფურზე წელიწადში ამონაგების 237 ლარით ზრდა, ზოგადად რძესა და ხორცზე საბაზრო ფასების მატებასთან ერთად, მნიშვნელოვნად განპირობებულია მეწველი ფურის საშუალო პროდუქტიულობის მატებით.

საშუალო ამონაგები მეურნეობების ჯგუფების მიხედვით, მცირე და საშუალო მეურნეობებში ერთმანეთთან ახლოსაა. მათთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია მსხვილ მეურნეობებში. ამ ჯგუფის მეურნეობებში, სხვა ჯგუფის მეურნეობებთან შედარებით, წლების მიხედვით ფიქსირდება ამონაგების ზრდის მაღალი მაჩვენებელი.

მთლიანი დანახარჯების ზრდამ 2009 წელს, 2005 წელთან შედარებით ერთ ფურზე გაანგარიშებით 189 ლარი შეადგინა, ანუ 22% და 671 ლარიდან 860 ლარამდე გაიზარდა.

ფურზე წელიწადში განეული ყველაზე დაბალი დანახარჯები წლების მიხედვით მსხვილ მეურნეობებშია დაფიქსირებული.

ერთ მეწველ ფურზე წელიწადში მოგების ეკონომიკური მაჩვენებლით მსხვილი მეურნეობების მონაცემები მცირე მეურნეობების ჯგუფის მონაცემებს აღემატება 12%-ით, ანუ 60 ლარით.

ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ნათლად ჩანს დიდი მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობა მცირე მეურნეობებთან შედარებით.

ჩატარებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეძროხეობა ეკონომიკურად მომგებიანია ფერმერებისათვის. თუმცა აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მეძროხეობაში მოგება ერთ ძროხაზე წელიწადში არ არის მაღალი. შესაბამისად, მეძროხეობის მეურნეობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უმნიშვნელო ცვლილებებიც, რომლებიც ზრდის პროდუქციის წარმოებაზე განეულ ხარჯებს (მაგ.: სანავის გაძვირება, პირუტყვის დაავადებები და სხვა), ან ამცირებს მის მოგებას (მაგ.: უხარისხო პროდუქცია).

ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფერმერები, რომლებიც მეძროხეობით არიან დაკავებული, მაქსიმალური შედეგის მისაღებად ზედმინევიან უნდა ფლობდნენ მეურნეობის სანარმოო პროცესებს და სწორად მართავდნენ მას. ვთვლით, რომ აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია როგორც ფერმერების მეტი შრომა, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა.

რაც შეეხება მეურნეობის ოპტიმალურ სიდიდეს, წარმოებული კვლევის შედეგად, უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლები 10-15-ფურიან მეურნეობებშია, რაც გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის თაობაზე, რომ სამცხეში რეკომენდებულია 10-15-ფურიანი ფერმის სიდიდე, ხოლო ჯავახეთში მეტი სათიბ-საძოვრების არსებობის გამო, 15-20-ფურიანი ფერმის სიდიდე.

როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთის მხარეში გადამწყვეტი ადგილი უკავია აგრარულ სექტორს. ამ დარგის წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 49%. საკვები კულტურების წარმოების მოცულობის გადიდება და პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება ადგილობრივი რესურსების ბაზაზე მეძროხეობის დარგის პროდუქციის ყოველწლიურ წარმოებას გაზრდის. გაიზრდება ხორცის წარმოება (რეალიზაციით) 20-25%-ით და მიაღწევს 3,3-3,5 ათას ტონას, რძის წარმოება – 25-30 %-ით და მიაღწევს 98-102 ათას ტონას.

SHOTA GONGLADZE

*Ministry of Agriculture of Georgia
Sector Development Unit*

THE DEVELOPMENT OF LIVESTOCK FARMING ON THE EXAMPLE OF SAMTSKHE-JAVAKHETI REGION, FOR CONSTRUCTIVE AND EFFECTIVE DEVELOPMENT OF THE AGRARIAN SECTOR

S u m m a r y

The main objective of the presented thesis is to study the major problems hampering the development of livestock farming and find ways for their solution on the example of Samtskhe-Javakheti region.

In order to analyze the main factors affecting the development of the field, were selected family farms of the region. They were divided into 3 groups (small – 1-2 milking cows, medium – 3-10 milking cows and large – 10 or more milking cows).

The following means used in the production process were investigated: land, agricultural techniques, buildings, cash flow, the number of persons and salary levels employed in house farming industry.

Based on the research it could be concluded that livestock industry is economically beneficial for the farmers. It should also be emphasized that small changes have a significant effect on livestock production, which increases the costs of production (e.g. the increase in fuel prices, cattle diseases and so on), or decreases the profit (e.g. low quality production).

It was stated that close collaboration and coordination between the farming industries, government and financial institutions plays a crucial role in the development of livestock industry in Georgia. It can be concluded that the fulfillment of the above-mentioned works will develop not only the livestock industry in Georgia but also many other related fields in the agricultural sector. All this will improve social-economic conditions and develop economic indices in Georgia.

**საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განვითარების კონცეპტუალური
მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე**

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნები განაპირობებენ ისეთი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფორმირებას, რომელიც ადეკვატური იქნება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი. თანამედროვე პირობებში მმართველობითი საინფორმაციო სისტემის საფუძველს საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს, რომლის სრულყოფა მრავალ პრობლემას გადაჭრის და ხელს შეუწყობს ეკონომიკური სტრუქტურების, ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიან ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და მეთოდური პრობლემების შესწავლა და განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ცნობილია, რომ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არ არეგულირებენ ცალკეული სააღრიცხვო ობიექტების აღრიცხვის წესებს. ისინი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებია და არა ანგარიშწარმოებისა. ზემოაღნიშნულის გამო, ფინანსური (ბუღალტრული) ანგარიშგება მონყვეტილია მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვისაგან. მიუხედავად ამისა, ფინანსური ანგარიშგების შედგენის სტანდარტისეული მოთხოვნები ნებისით თუ უნებლიეთ გავლენას ახდენენ მიმდინარე ბუღალტრულ აღრიცხვაზე. ქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მარტო ანგარიშგების შედგენის სტანდარტები საკმარისი არ არის.

ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობაზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სამეწარმეო სუბიექტებს ესაჭიროებათ უფრო დანვრილებითი ახსნა იმისა, თუ როგორ მოაწყონ აღრიცხვის საკუთარი სისტემა. მაგალითად, არც თუ ისე დიდი ხნის წინ სოფლის მეურნეობის საწარმოებში არსებობდა აღრიცხვა-ანგარიშგების სპეციფიკური სისტემა. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოები ბუღალტრული ანგარიშგების 28 დასახელების ფორმას ადგენდნენ, რომლებიც იძლეოდა სრულყოფილ ინფორმაციას მათი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოცემული იყო რამდენიმე ნორმატიული აქტი გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებისათვის. ამჟამად ეს კონკრეტული პრობლემა დგას არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ სხვა დარგებშიც. ისინი საჭიროებენ შესაბამის ნორმატიულ-მეთოდურ მასალებს როგორც ფინანსური ანგარიშგების შედგენის, ასევე მიმდინარე და სამმართველო აღრიცხვის საკითხებშიც.

ცნობილი ფაქტია, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ყალიბდება ფერმერული, გლეხური მეურნეობები, სადაც ჩვეულებრივ იყენებენ დაქირავებულ შრომას, ენევიან ხარჯებს, ყიდიან მიღებულ პროდუქციას, ღებულობენ შემოსავლებს. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მათ არ გააჩნიათ აღრიცხვა-ანგარიშგების მონესრიგებული სისტემა, შესაბამისად არ ექცევიან სახელმწიფო საგადასახადო დაბეგვრის არეალში. მათი მაჩვენებლები სრულყოფილი სახით ასახვას ვერ პოვებენ ქვეყნის სტატისტიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და ა.შ. ვფიქრობთ, დადგა დრო ამ საკითხსაც სახელმწიფოს მხრივ გარკვეული ყურადღება მიექცეს.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ ქვეყანაში მოქმედი აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის რეფორმირება. აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის სრულყოფის შესაძლო მიმართულებათა ანალიზისას მივდივართ დასკვნამდე, რომ მისი სწორი განვითარებისათვის საჭიროა გარკვეული საფუძველი, რომლის ფუნქციაც შეიძლება შეასრულოს საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციამ, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის აგების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველად.

აღრიცხვის კონცეფცია მოიცავს არა მარტო ფინანსურ, არამედ სამმართველო აღრიცხვასაც, რამდენადაც იგი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ისევე როგორც ფინანსური, ახალ ფუნქციას ასრულებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტები (სტანდარტები, ინსტრუქციები, დებულებები და ა.შ.) უნდა მოიცავდეს არა მარტო ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესებს, არამედ სამეურნეო საქმიანობის მთელ სააღრიცხვო ციკლს აღრიცხვის კონცეფციაზე დაყრდნობით.

ჩვენ შევეცადეთ შეგვემუშავებინა კონცეფციის გარკვეული მოდელი, რომელშიც, არსებული რეალობის გათვალისწინებით განმარტებულია საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების შედგენის ძირითადი მიზნები, გამოკვეთილია ინფორმაციის სხვადასხვა მომხმარებელთა ინტერესები.

კონცეფცია ითვალისწინებს აღრიცხვის დარგობრივ თავისებურებებს, მცირე ბიზნესისათვის აღრიცხვა-ანგარიშგების გამარტივებული წესების არსებობას, საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის გამიჯვნას, სააღრიცხვო სისტემის ტრანსფორმაციას.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების პრაქტიკის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა, პირველ რიგში პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილების შესწავლით მივდივართ დასკვნამდე, რომ აღრიცხვა-ანგარიშგება (განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში) უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო რეგულირებას. ამასთან ერთად დასაშვებად მიგვაჩნია რეგულირების ცალკეული უბნების დელეგირება საზოგადოებრივ-პროფესიონალურ ორგანიზაციებზე.

კონცეფციაში გამოკვეთილია რეგულირების სფეროები, რომელიც მოიცავს: კერძო სექტორს, სახელმწიფო სექტორს და მცირე ბიზნესს. მოცემული სექტორები თავის მხრივ იყოფა კერძო სამართლის იურიდიული პირების, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების, საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლისა და არაკომერციული იურიდიული პირების ქვესექტორებად.

კონცეფციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განაყოფია ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის საფუძვლები, მისი განმარტება. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საქართველოს არცერთ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტში ბუღალტრული აღრიცხვის განმარტება მოცემული არ არის. მიგვაჩნია, რომ განმარტებაში აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ როგორ აიგება ბუღალტრული აღრიცხვა, რა ინსტრუმენტებისაგან შედგება იგი. უნდა გამოჩნდეს მისი მიზანი, დროში უწყვეტი ხასიათი, აღრიცხვის ობიექტები, გამოყენებული საზომი ერთეული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს მიერ სწორი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას. ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი არსი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი. მაგალითად, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე შედგენილ ლექსიკონში „სააღრიცხვო პოლიტიკა“ განხილულია როგორც „სპეციფიკური პრინციპები, მიდგომა, პირობები, წესები და პრაქტიკული მეთოდები, რომელიც მიღებულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და გაფორმებისათვის.“ საერთაშორისო სტანდარტები კი ასეთ განმარტებას იძლევა: „სააღრიცხვო პოლიტიკა არის განსაკუთრებული პრინციპების, შეთანხმებების, წესების და პრაქტიკული გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში“.

როგორც ვხედავთ, სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტებისეულ განმარტებაში ლაპარაკია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პრინციპებსა და წესებზე (მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ეხება სახელდობრ „სააღრიცხვო პოლიტიკას“), მიგვაჩნია, რომ „სააღრიცხვო პოლიტიკა“ მოიცავს როგორც აღრიცხვის წარმოების სპეციფიკურ წესებს, ასევე ანგარიშგების შედგენის პრინციპებს, რომლის საბოლოო მიზანია სრულყოფილი და ჭეშმარიტი ინფორმაციის მიღება. საწარმო აფიქსირებს რა თავის სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულ მეთოდებს, პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე, რომ დაიცავს მათ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევას თან უნდა ახლდეს ღრმა ანალიზი იმისა, თუ რა გავლენას მოახდენს იგი ფინანსურ შედეგებზე და სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლებზე. ეს სამუშაო საწარმოში უნდა შეასრულოს საბუღალტრო სამსახურმა სხვა ქვედანაყოფებთან მჭიდრო კავშირში.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სააღრიცხვო პოლიტიკა, აღრიცხვის წარმოების წესები წლიდან წლამდე არ უნდა იცვლებოდეს. ამასთანავე, არ არის კონკრეტული მითითებები, რა შემთხვევებში შეიძლება შეიცვალოს იგი. მიგვაჩნია, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლას შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდეგი გარემოებანი:

- საწარმოს რეორგანიზაცია (შერწყმა, მიერთება, დაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა), რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მათი დამფუძნებლების, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად; ამ შემთხვევაში სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა (არჩევა) უნდა განხორციელდეს ახლად დაფუძნებული იურიდიული პირის რეგისტრაციის თარიღისათვის;
- მესაკუთრეთა შეცვლა; ამასთანავე ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მესაკუთრეების შეცვლის თარიღისათვის;
- საქართველოს კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესების შემოღება და სხვ.;

- თუ საწარმოს მიერ მიღებული იქნება გადანყვეტილება წლის განმავლობაში სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შესახებ, ეს საჭიროა დაფიქსირდეს ბრძანებით ან შესაბამისი განკარგულებითი დოკუმენტის გაფორმებით.

კონცეფციაში დახასიათებულია სააღრიცხვო ციკლი, მონაცემთა დამუშავების კრიტერიუმები, პირველადი დოკუმენტების შედგენის დრო, სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული ანგარიშგების შემადგენლობა, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტებით და საქართველოს კანონებით. სააღრიცხვო ციკლი უნდა წარმოადგინოს ისეთი პრინციპების დაცვით, როგორცაა: სისრულე, თავისთავადობა, იდენტიფიკაცია, უტყუარობა, არსებითობა, ნეიტრალურობა, დარიცხვის მეთოდი და სხვ. ეს პრინციპები პირობითად შეიძლება დაიყოს საბაზისო და ძირითად პრინციპებად. საბაზისო პრინციპებს მიეკუთვნება თავისთავადობა, ფუნქციონირებადი საწარმო და დარიცხვის მეთოდი. ყველა სხვა დანარჩენი წარმოადგენს ძირითად პრინციპებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბალანსის ელემენტების შეფასების საკითხი. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად „შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება“. მიგვაჩნია, რომ მოცემული განმარტება მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ, შეფასება არის არა „ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი“, არამედ „ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ფულად გამოსახულებაში გაზომვის პროცესი“.

საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ვალდებულებათა შეფასება, რამეთუ აქტივების უმცირესი ღირებულებით შეფასებას შეესატყვისება ვალდებულებების უმაღლესი ღირებულებით შეფასება. ეს პრინციპები მიზნად ისახავს გარკვეულ წინდახედულებას მენარმის მხრივ.

საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების კონცეფციის ძირითადი ელემენტები შემოკლებულად შეიძლება წარმოვადგინოთ ქვემოთ მოცემული სტრუქტურის სახით:

I. ზოგადი დებულებანი

1.1. საბუღალტრო აღრიცხვის ეროვნული კონცეფცია, საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობისა და დამკვიდრებული სააღრიცხვო ტრადიციების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განსაზღვრავს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის აგების საფუძვლებს.

1.2. კონცეფციის საფუძველზე ხორციელდება: ახალი ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და ძველის გადასინჯვა; იგი წარმოადგენს მარეგულირებელი ორგანოებისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტს აღრიცხვა-ანგარიშგების თეორიულ მეთოდოლოგიური ხასიათის პროექტების შესამუშავებლად.

1.3. კონცეფცია განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმოების საფუძვლებს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის, საქმიანობის სახისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის. ცალკეულ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში გაითვალისწინება დარგობრივი თავისებურებანი.

1.4. საბუღალტრო აღრიცხვა გამიჯნულია საგადასახადო აღრიცხვისაგან. ამასთან, გადასახადების ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით.

II. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირება

საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას. დასაშვებია რეგულირების ცალკეული უბნების დელეგირება პროფესიონალურ ორგანიზაციებზე სატენდერო შერჩევის საფუძველზე. რეგულირება მოიცავს შემდეგ სფეროებს: კერძო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგება; სახელმწიფო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგება; მცირე ბიზნესის აღრიცხვა-ანგარიშგება.

III. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის საფუძვლები

3.1. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია ემყარება „სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის მიერ შერჩეული ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესების, სპეციფიკური პრინციპებისა და მიდგომების ერთობლიობას მაქსიმალურად სრულყოფილი და ჭეშმარიტი ინფორმაციის მისაღებად“.

სააღრიცხვო ციკლი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

- სამეურნეო ოპერაციის შინაარსის აღქმა და ანალიზი. სამეურნეო ოპერაცია შეიძლება აღრიცხოს იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია როდის მოხდა იგი, შესაძლებელია მისი ღირებულებითი გაზომვა, რომელ ანგარიშზე შეიძლება მისი ასახვა.

- სამეურნეო ოპერაციის ფიქსაცია პირველად დოკუმენტებში, რომლებიც შედგენილი უნდა იქნეს სამეურნეო ოპერაციის მოხდენის მომენტში ან ოპერაციის დამთავრებისთანავე.

- მონაცემთა რეგისტრაცია და დამუშავება სააღრიცხვო რეგისტრებსა და მანქანურ მატარებლებში.

- ბუღალტრული ანგარიშგების შედგენა და წარდგენა.
- ბუღალტრული მონაცემებისა და ანგარიშგების ანალიზი.

3.2. ბუღალტრულ დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც დაფიქსირებულია პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებში.

3.3. ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია მტკიცდება მარეგულირებელი ორგანოს მიერ. თითოეულ ანგარიშს მიეკუთვნება საკუთარი დასახელება და შიფრი.

3.4 ყველა სამეურნეო ოპერაციის სრულყოფილად დახასიათების მიზნით სამეურნეო სუბიექტი უზრუნველყოფს სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას. სინთეზურად თითოეული სამეურნეო ოპერაცია აისახება მინიმუმ ორ ანგარიშზე მაინც, რითაც ხორციელდება ანგარიშთა კორესპონდენცია და ორმაგი ასახვის პრინციპი.

3.5. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელს და მთავარ ბუღალტერს.

IV. ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის შინაარსი

4.1. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციაში ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგებისა და ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

4.2. ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ აისახება „საწარმოს ბალანსში“, „მოგებისა და ზარალის ანგარიშში“, „ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშში“. „ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ანგარიშში“, „საქმიანობის შესახებ ანგარიშში“.

მარეგულირებელი ორგანო შეიმუშავებს ანგარიშგების ტიპური ფორმების ნიმუშებს და მათი შედგენის მეთოდურ მითითებებს. სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით დასაშვებია ტიპური ნიმუშებიდან გადახვევა, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა.

4.3. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგების შედგენა ემყარება შემდეგ პრინციპებს: სისრულე, თავისთავადობა, იდენტიფიკაცია, უტყუარობა, უწყვეტობა, არსებითობა, სისრულე, თავისთავადობა, ნეიტრალურობა, სიფრთხილე (წინდახედულობა), შესადარისობა (მემკვიდრეობითობა), ფორმაზე შინაარსის უპირატესობა, დარიცხვის მეთოდი, თავისდროულობა. პრაქტიკაში შესაძლებელია გარკვეული არჩევანის გაკეთება სხვადასხვა მოთხოვნების მიმართ. განუსაზღვრელ სიტუაციაში ცალკეულ მოთხოვნათა შედარებითი მნიშვნელობა პროფესიული განსჯის საგანია.

V. ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის შემადგენლობა

5.1. საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია, რომელიც აისახება „ბუღალტრულ ბალანსში“, შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი. სამეურნეო სუბიექტის გადაწყვეტილების შესაბამისად აქტივები და ვალდებულებები ბალანსში შეიძლება აისახოს მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების ან მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. თუ ასეთი კლასიფიკაცია არ იქნება გამოყენებული, მაშინ აქტივები და ვალდებულებები ასახული უნდა იქნეს ლიკვიდობის მიხედვით.

5.2. ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის შემადგენელი ელემენტები მოცემულია „მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშში“ და მოიცავს შემოსავლებსა და ხარჯებს. ხარჯების სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფაქტიური ან ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. შესაბამისად გამოიყენება მარაგების მიმდინარე და პერიოდული აღრიცხვის მეთოდები.

5.3. ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები აისახება „ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ“ ანგარიშში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში აისახება საანგარიშო პერიოდის ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან. ბუღალტრულ ანგარიშგებას ახლავს „საქმიანობის შესახებ ანგარიში“ (ახსნა-განმარტებითი შენიშვნები).

VI. ბუღალტრული ანგარიშგების გამოქვეყნება

6.1. ბუღალტრული ანგარიშგება ექვემდებარება გამოქვეყნებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საანგარიშო პერიოდის დასასრულიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში.

6.2. ბუღალტრული ანგარიშგება შეიძლება გამოქვეყნდეს პრესაში, ინტერნეტში ან გავრცელებულ ბროშურის სახით.

VII. ბუღალტრული ანგარიშგების ელემენტების შეფასება

შეფასება არის ბუღალტრული ანგარიშგების ელემენტების ფულად გამოსახულებაში გაზომვის პროცესი. ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა:

შეფასება პირვანდელი ღირებულებით, შეფასება უმცირესი ღირებულებით, შეფასება მიმდინარე (აღდგენითი) ღირებულებით, შეფასება სარეალიზაციო ღირებულებით.

VIII. ბუღალტრული აღრიცხვის კადრების მომზადება

8.1 საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის კადრების მომზადება ემყარება წინასწარ შემუშავებულ სტრატეგიას, რომლის მიზანია საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

8.2 განათლების სტრატეგიის განხორციელებისათვის პირველი რიგის ღონისძიებებად მიიჩნევა: სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობით“, საბაზისო სასწავლო გეგმის შემუშავება, სასწავლო დისციპლინების საბაზისო პროგრამების შემუშავება, პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამის მომზადება და განხორციელება.

IX. პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევისათვის საწარმოს ხელმძღვანელი და სხვა პირები, რომელთაც ევალებათ ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია და წარმოება, პასუხს აგებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონცეფციაში წამოწეულია ისეთი საკითხები, რომლებიც სულ უფრო აქტუალური ხდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კერძოდ, ბუღალტრული ანგარიშგების გამოქვეყნება, სალიკვიდაციო და გამყოფი ბალანსების შედგენის პრობლემები, პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დარღვევისათვის და სხვ.

აღრიცხვა-ანგარიშგებისადმი მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის მრავალწლიანი გამოცდილებისა და არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სისტემის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგების განვითარების შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

პირველი, საქართველოში მოქმედი აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის მონიტორინგი და ანალიზი, მისი შედარება სხვა სისტემებთან და ამის საფუძველზე გასატარებელ ღონისძიებათა ჩამოყალიბება;

მეორე, საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული ბაზის სრულყოფა. იგი გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, დახვეწილი ინსტრუქციულ-მეთოდური მასალების შემუშავებასა და დანერგვას, რომლებიც მისადაგებული იქნება სამოქალაქო, საგადასახადო, საბანკო, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ნორმატიულ აქტებთან;

მესამე, აღრიცხვა-ანგარიშგების სამართლებრივი რეგულირების სისტემის სრულყოფა, რომელიც გულისხმობს მარეგულირებელი ორგანოს განსაზღვრას, მისი როლისა და ფუნქციების ჩამოყალიბებას;

მეოთხე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე საქართველოს ეროვნული სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;

მეხუთე, საბუღალტრო კადრების მომზადებისა და პროფესიული სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა;

მეექვსე, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობაზე მონიტორინგის სისტემის აღდგენა და აუდიტორული საქმიანობის განვითარება;

მეშვიდე, საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვის გამიჯვნის საბაზრო მოდელის ჩამოყალიბება;

მერვე, საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციისა და რეფორმირების პროგრამის მიღება საქართველოს მთავრობის მიერ;

მეცხრე, აღრიცხვისა და დაბეგვრის გამარტივებული სისტემის შემოღება მცირე ბიზნესის სფეროში.

მეათე, საბუღალტრო აღრიცხვის რეგულირების სისტემის სრულყოფა.

LEVAN GRIGALASHVILI

Doctor of Economic Sciences

CONCEPTUAL TRENDS IN THE DEVELOPMENT OF ACCOUNTING & SETTLEMENTS AT THE PRESENT STAGE

S u m m a r y

The article reviews problems in the development of accounting and settlements at modern stage. The main postulates of national conceptions for accounting have been elaborated. Based on the analysis of the existing accounting system in Georgia and abroad have been defined the main trends of accountability.

წინეო ბრიგოლია

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თხილის ბიზნესის განვითარების პერსპექტივაში სამეგრელოს რეგიონში

საქართველოში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი გზა თხილის ბიზნესის განვითარებაა. რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- რეგიონში თხილის წარმოება ტრადიციულია და დარგში დაგროვილია მნიშვნელოვანი გამოცდილება;

- რეგიონის ბუნებრივი პირობები იძლევა თხილის კულტურის მოყვანის შესაძლებლობებს, რასაც წარმოების გაფართოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს;

- აქ წარმოებული თხილი გამოირჩევა ორიგინალური კვებითი, სამკურნალო და სხვა ღირებულებებით და ეკოლოგიურად სუფთაა;

- ევროპისა და აზიის ბაზრებზე ამ პროდუქტზე მუდმივად მზარდი მოთხოვნა ქმნის თხილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს;

- დღეს თურქეთი თხილის ბაზრის უდიდესი მოთამაშეა (ის აკონტროლებს ბაზრის 75 პროცენტს) და მასთან საქართველოს ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებს ნაკლები სატრანსპორტო დანახარჯებით პროდუქტის მიწოდებას თურქეთის, ასევე ევროპისა და აზიის დანარჩენ ბაზრებზე.

ამჟამად საქართველოში თხილის კულტურა ექსპერტული შეფასებით 13-16 ათას ჰექტარზეა გაშენებული. ამ მაჩვენებლის დადგენა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით შეუძლებელია. საკმაოდ განსხვავებულია ექსპერტული შეფასებებიც სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ასევე დასახელებულია 40,0 ათასი ჰა, 29,5 ათასი ჰა, 13-16 ათასი ჰა და სხვა.

„თხილის საექსპორტო კომპანიის“ მონაცემებით სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში თხილის ფართობი 10 114 ჰა-ს შეადგენს, გურიაში 3 339 ჰა-ს, იმერეთში -1 305 ჰა-ს, აჭარაში 275 ჰა-ს, კახეთში 388 ჰა-ს. ამ მონაცემებით თხილის ფართობის რაოდენობა საქართველოში 15 421 ჰა უნდა იყოს. 2009 წელს საქართველოში 21,8 ათასი ტონა თხილი იქნა წარმოებული. ოფიციალურად აღიარებული წარმოებული პროდუქტის რაოდენობისა და „თხილის საექსპორტო კომპანიის“ მიერ აღრიცხული ფართობის პირობებში თხილის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 1,41 ტონა იქნება. სურსათისა და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ თხილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა არის თურქეთში 1,45 ტონა, იტალიაში 1,63 ტონა, ესპანეთში 1,51 ტონა, აშშ-ში 2,4 ტონა, აზერბაიჯანში 0,95 ტონა, ირანში 1,09 ტონა, საქართველოში 1,5 ტონა. საექსპერტო გამოკვლევებით გაირკვა, რომ თხილის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 1,45 ტონას არ აღემატება. ასეთ პირობებში უნდა ვივარაუდოთ, რომ თხილის ფართობების რაოდენობა ქვეყანაში 15 034 ჰექტარზე მეტს არ შეადგენს. თხილის არსებული სამრეწველო წარგაობა ძირითადად წარმოდგენილია მცირე საბაღე ფართობების სახით. თუმცა უკანასკნელ ათწლეულში წარმოქმნილი დაინტერესების გამო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გაშენდა თხილის 50-100 ჰექტარიანი ახალი მასივებიც.

საქართველოში თხილის წარმოების დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2006 წელს, 1998 წელთან შედარებით, მისი წარმოება 7,7 ათასი ტონით გაიზარდა, ხოლო 2010 წელს ეს მაჩვენებელი 2009 წელთან შედარებით 2.9 ათასი ტონით არის გაზრდილი. ამავე წლის მონაცემებით თხილის წარმოების 83,9% სამი რეგიონის: სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის და იმერეთის წილად მოდიოდა. იგივე მაჩვენებელი 2006 წელს 95,6% იყო. ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ დასავლეთ საქართველოს გარდა თხილის ბაღების გაშენება აქტიურად დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში, შესაბამისად გამოიკვეთა წარმოების გაფართოების სტრატეგია.

მოყვანილი თხილის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის, დაახლოებით 10 პროცენტის (საკონდიტრო საწარმოები, შოკოლადის ქარხნები, რესტორნები, მაღაზიები და სხვა) რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე. მისი ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 90 პროცენტი) გადაამუშავდება თხილის ქარხნების მიერ (ხდება გულის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ბლანშირება ან მოხალვა), რომლებიც შემდეგ თხილის ექსპორტირებას ახდენენ ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

თხილის წარმოების მაჩვენებლები საქართველოში (ათასი ტონა)¹

	წლები				
	2006	2007	2008	2009	2010
სამეგრელო-ზემო სვანეთი	13,5	12,0	9,3	11,4	12,9
გურია	5,7	4,5	4,2	3,7	4,3
იმერეთი	3,2	3,2	3,9	3,2	3,6
სხვა რეგიონები	1,1	1,5	4,2	3,5	3,9
საქართველო	23,5	21,3	18,7	21,8	24,7

საქართველოში თხილის ბიზნესი საკმაოდ მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ თხილი გავიდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელს 69,3 მილიონი დოლარის თხილი იქნა ექსპორტირებული, რაც მთლიანი სასურსათო ექსპორტის 24,3 პროცენტია. ქართული თხილის ექსპორტის 95% დარჩეულ თხილზე მოდის. ექსპორტის სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წონა, დაახლოებით 70-80%, ევროპის ქვეყნებს უჭირავს, მათ შორის გამოირჩევა გერმანია-35 %. დარჩეული თხილი ასევე გადის უკრაინის, ყაზახეთის, ბალტიის ქვეყნებში. აზიის ქვეყნებში დაურჩეველ თხილზეა მოთხოვნა. თხილი მიეწოდება ერაყსა და ირანს, ასევე აშშ-ის და ავსტრალიის ბაზრებსაც.

თხილი ბოლო წლებში ერთ-ერთ უხვშემოსავლიან და მომგებიან კულტურად ითვლება და საქართველოს ყველა რეგიონში მის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში, სადაც თხილმა ჩაანაცვლა ჩაი და ციტრუსი.

რეგიონში თხილის მიმართ ცხოველ ინტერესს მისი მოსავლიანობა განსაზღვრავს. ამას ცხადყოფს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (იუესაიდის) პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევა, რომ საქართველოს ყველაზე მეტი შემოსავალი შეუძლია მიიღოს რამდენიმე მიმართულების განვითარებით (ხილი, ბოსტნეული, თხილი, ღვინო).

სამეგრელოს რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში ჩამოყალიბდა თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა. 1990-2010 წლებში მკვეთრად შეიცვალა რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. მოცემულ პერიოდში საკრეფად ვარგისი ჩაის ფართობი შემცირდა 91 პროცენტით. სამეგრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს 174,2 ათას ჰექტარს. მათ შორის ყველაზე დიდი ფართობი გააჩნია ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – 36,8 ათასი ჰექტარი და მარტვილის მუნიციპალიტეტს – 32,7 ათასი ჰექტარი. მრავალწლიანი კულტურებით დაკავებულმა ფართობმა შეადგინა 43,9 ათასი ჰექტარი (ცხრილი 2).

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა რეგიონის სოფლის მეურნეობაში საკუთრებითი ურთიერთობების მხრივ. შესაბამის პერიოდში საკარმიდამო ნაკვეთების შევსებამ და ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მასშტაბურმა პრივატიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა თანაფარდობა კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის.

როგორც ცხრილ 3-ში ჩანს, ცვლილებები მოხდა მრავალწლიანი კულტურების განაწილებაში, რის შედეგადაც კერძო სექტორშია მოცემული რეგიონის მრავალწლიანი ნარგავების 62,4 პროცენტი ანუ 27 455 ჰექტარი. სახელმწიფო სექტორში რჩება 16518,3 ჰექტარი ანუ მთელი მრავალწლიანი ნარგავების 37,5 პროცენტი. მათ შორის 10 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზეა გაველურებული ჩაის ნარგავები.

როგორც ჩანს, რეგიონის სოფლის მეურნეობას გააჩნია ექსტენსიური და ინტენსიური განვითარების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული და გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, პრივატიზაციის გზით ჩართვას სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში.

2009 წლის მდგომარეობით სამეგრელოს რეგიონში საპრივატიზაციოდ დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა 24 607,1 ჰექტარს შეადგენს, სადაც შესაძლებელია თხილის ბაღების გაშენება, რაც გამოიწვევს თხილის წარმოების გაზრდას თითქმის 2-ჯერ.

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2010, თხილის, 2011, გვ. 55.

ცხრილი 2

**სამეგრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება
(2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)¹**

№	ტერიტორიული ერთეულები	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	მათ შორის				
			სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი	სადოვრები	ნასვენნი
1	ზუგდიდი	36833,7	9954,4	17853,8	275	8750	-
2	მარტვილი	32703,3	11254,6	4995,7	163,0	16290	-
3	სენაკი	22531,2	11808,3	3457,6	26,0	7071,3	168,0
4	სობი	29160,1	14755,8	5322,6	11,2	9070,5	-
5	წალენჯიხა	12168,0	3718,0	4877,0	109,0	3464,0	-
6	ჩხოროწყუ	19704,0	4825,1	5442,6	11,3	8754,0	671,0
7	აბაშა	20105,0	12451,0	1695,0	-	5959	-
8	ფოთი	1014,3	182,6	329,0	66,4	225,3	-
ომების შედეგად უვარგისი ხდება, ნადგურდება პერსპექტივაში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ერთ-ერთი ძირითადი საშუალება – ნიადაგები. საომარი კონფლიქტების ისტორიის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბოლოო ჯამში იმარჯვებენ შენიღბულად მოქმედი, კონფლიქტების ინსპირატორი და მათი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები, რადგან ომში უშუალოდ მონაწილე მხარეები კონფლიქტების შემდგომ იძულებული ხდებიან, საკუთარ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად დაემორჩილონ შენიღბულ ძალებს. ამ პროცესში შენიღბულად მონაწილე ქვეყნები, მორჩილებას დაქვემდებარებულ ქვეყნებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას აიძულებენ და ლეზლობენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს. ფიქსირებული მოსაზრებების გასამყარებლად მიმოვიხილოთ სასურსათო უსაფრთხოების რღვევისა და უზრუნველყოფის მაგალითები.

► ძველი ნელთალრიცხვის VIII საუკუნეში ეკონომიკური დასუსტების კუთხით სადაზვერვო საქმიანობას აქტიურად ახორციელებდა ურარტუს სამეფო, რომელსაც დიაოხის სამეფო უხდიდა ხარკს შემდეგი მოცულობით: „41 მინა სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი...ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 ცხენი,..100 ძროხა, 500 ცხვარი“... „გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ... 8100 ყმა წამოვიყვანე, 9110 დედაკაცი,... 17.300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გამოვრეკე“... „დიაოხის ქვეყნის სამეფო ქალაქი გადავწვი...105 ციხესიმაგრე დავანგრე, 453 ქალაქი დავწვი...“ **სახეზეა:** წინასწარ გათვლილი გადასახადის დაწესება სასარგებლო წიაღისეულით. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ძირითადი მარაგების დატაცება. ცოცხალი ძალის (იაფი მუშახელი) მკვიდრი ქვეყნიდან განდევნა. ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობების განადგურება;

► ჩვენს ნელთალრიცხვამდე VII-III საუკუნეებში სისტემატიურად იკრიბებოდა მონაცემები დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ და გათვლილი იყო ქვეყნის ნორმალური განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები. ძველ საბერძნეთში დადგენილი იყო სახელმწიფოსათვის იდეალური ვითარების უზრუნველსაყოფად დასაშვები მონების რაოდენობა. **სახეზეა:** არსებული წესწყობილების შესანარჩუნებლად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ზომა, სათანადო გათვლებით, კონკრეტულ ტერიტორიაზე, რაოდენობრივი თვალსაზრისით ადამიანთა ნორმირებულ განთავსებაზე;

► ჩინეთში VIII საუკუნეში მაღალი გადასახადების, შიმშილის და ეპიდემიების ფონზე, გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. ამასთან ერთად, სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, სახელმწიფო გლეხების სტატუსით აღჭურვილი ადამიანების რიცხვის და საიმპერატორო ხაზინის შევსების მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია. მცირე მოვაჭრის ხუან ჩაოს ორგანიზებით 874-883 წლებში, მმართველობის წინააღმდეგ მასობრივი აჯანყებები მიმდინარეობდა, რომლის შეჩერება ძლიერ საიმპერატორო გვარდიას უჭირდა, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე დამანგრეველად აისახებოდა. **სახეზეა:** დომინანტის ე.ი. დაზვერვის ორგანიზატორის როლიდან, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს როლში გადასვლა და სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დისბალანსით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის რღვევა. არსებული მმართველობის საწინააღმდეგოდ სისტემატიური აჯანყებების მცირე ვაჭრის (ჩვენს ნელთალრიცხვამდე

პერიოდებიდან სადაზვერვო ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი) მიერ ორგანიზება აქცი-
ას სადაზვერვო ხასიათს ანიჭებს;

▶ **XVI-XVII** საუკუნეებში ინგლისში, სამეფო კარის საკანონმდებლო კონფლიქტმა, ლორდების გარკვეული ნაწილის ორგანიზებით გლეხების მფლობელობაში არსებული მიწების (ე.ი. მეურნეობის) მიზანმიმართული განადგურება გამოიწვია. შედეგად, ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვნ ზრდას გლეხური მეურნეობების შემცირება და ქვეყნის შიგნით სასურსათო უზრუნველყოფის პროცესზე დამანგრეველად მოქმედი სოციალური პროტესტი (გამოსვლები და აჯანყებები) მოყვა. **სახეზეა:** უფ-
ლებრივი შეზღუდვის საკანონმდებლო უზრუნველყოფით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზ-
რუნველმყოფ ძირითად ჯგუფში (ორგანიზატორი და შემსრულებელი) კონფლიქტის ინსპირირება
დამაზიანებელი ურთიერთქმედებებით, რაც სოციალური პროტესტის მაპროვოცირებელი გარემოე-
ბა გახდა;

▶ **XVIII** საუკუნეში ევროპა „ქრონიკული შიმშილის“ მდგომარეობაში იყო. ინდოეთში შიმშილმა
10 მილიონი სიცოცხლე შეინირა, ხოლო **XIX** საუკუნეში კარტოფილის მოუსავლიანობის გამო ევრო-
პაში კვლავ უდიდესი შიმშილობა დაიწყო. **სახეზეა:** სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის
პროცესის რღვევით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი (შემქმნელი) ცოცხალი ძალის
მასობრივი განადგურება და ერთი სახეობის საკვები პროდუქტის მოუსავლიანობით კონტინენტზე
შიმშილის პროვოცირება, რაც სახელმწიფოთა კოორდინაციის დაბალ დონეზე ან ამ დონის მიზან-
მიმართული მიღწევადობისათვის შეიქმნა;

▶ „დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ (1918 წლის 26 მაისი) საქართველოს საზღ-
ვრებზე, ქვეყნის ეკონომიკის საზიანოდ, საბაჟო კონტროლის განხორციელება რუსეთის იმპერიის
მიერ დაწესებული საბაჟოებისა და ძირითადად რუს მოხელეთა მიერ ხდებოდა. ამ პერიოდში გახ-
შირდა განუბაჟებელი ტვირთების მოძრაობა...ოსმალეთში შავი ზღვის გამოყენებით და აზერბაი-
ჯანში კონტრაბანდული გზით გაედინებოდა შაქარი, თუთუნის, შალი, ტყავეულობა...ხოლო აზერბა-
იჯანიდან ასევე კონტრაბანდულად შემოჰქონდათ ღვინო, ნავთი, ბენზინი“. ამავე პერიოდში, აზერ-
ბაიჯანის მიერ ინსპირირებული რელიგიური ხასიათის კონფლიქტების დანიშნულებას „მკვიდრი
ადგილებიდან ქართული მოსახლეობის აყრა და ამ ტერიტორიების მითვისება წარმოადგენდა“. სა-
ხეზეა: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის რღვევის ერთ-ერთი მიმართულე-
ბის, კონტრაბანდის ხელშეწყობა მზვერავი სახელმწიფოს სახელმწიფო მოხელეებით საბაჟო კონ-
ტროლის განხორციელების გზით. მკვიდრი მოსახლეობის აყრით და მათ ადგილზე მზვერავი სა-
ხელმწიფოს მოსახლეობის დასახლებით, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ძირითად
სამუშალებზე (ნიადაგი) კონტროლის უზრუნველყოფა;

▶ კომუნიზმის აღსაკვეთად, „1948 წლის 18 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნუ-
ლი უშიშროების საბჭოს 10/2 საიდუმლო დირექტივით განისაზღვრა ცენტრალური სადაზვერვო
სამმართველოს საქმიანობისას გამოსაყენებელი მეთოდები: „პროპაგანდა, ეკონომიკური ომი, სა-
ბოტაჟი, საბოტაჟზე სანინალმდეგო ზემოქმედება, ნგრევა და ევაკუაცია.“ სათანადო დაფინანსე-
ბისა და კონტროლის პირობებში დასაშვები იყო არალეგალური წინააღმდეგობის მოძრაობების,
პარტიზანებისა და ემიგრანტების, აგრეთვე ანტიკომუნისტური ჯგუფების მომზადება. **სახეზეა:**
სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რღვევის საკანონმდებლო-სადაზვერვო აღჭურვა;

▶ საქართველოში 2003 წლის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღრიცხვის გა-
რეშე და კონტრაბანდული ტვირთების შეუფერხებელი მოძრაობა-რეალიზაციისათვის, საზღვრის
დაცვის, საბაჟო სამსახურის და საგზაო პოლიციის თანამშრომელთა მიერ დაწესებული იყო სახარ-
კო გადასახადები. სახეზეა: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის შეფერხების
და სადაზვერვო შეღწევადობის გამარტივების ორგანიზება კორუფციის ინსპირირებით, სასურსა-
თო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ძირითად სეგმენტებზე;

თანამედროვე მსოფლიოში გლობალური მასშტაბებით სასურსათო უსაფრთხოების რღვევის
ტენდენციები შეინიშნება, რაც მასშტაბური პოლიტიკური (მათ შორის საომარი) კონფლიქტების
წინაპირობა შეიძლება გახდეს. საომარი მოქმედებების სასურსათო უსაფრთხოების ხარისხთან
პირდაპირ კავშირზე მიუთითებს ხანგრძლივი საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო ომე-
ბი) ავღანეთში, მოზამბიკში, სუდანში, სომალიში, რუანდაში, ბირმაში და ა.შ. აღნიშნული დასკვნის
გაკეთების საშუალებას იძლევა სასურსათო უსაფრთხოების დონის განსაზღვრის ძირითად მაჩვენ-
ებელთაგან რამდენიმე მიმართულებით სტატისტიკური მონაცემების შედარება.

▶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, სახეზეა მსოფლიოში მოსახლეობის მა-
ტების სტატისტიკა (1750 წელს-790 მილიონი ადამიანი, შესაბამისად 1800 წელს 980 მილიონი, 1900
წელს 1650 მილიონი, 2000 წელს 6080 მილიონი ადამიანი). დღეის მდგომარეობით „1990 წელთან შე-

დარებით მარცვლის მოსავლიანობა შემცირდა 2,5-ჯერ, შაქრის ქარხლის 3-ჯერ, ხორცის წარმოება 2-ჯერ, რძის 1,6-ჯერ, კვერცხის 1,5-ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პროდუქტის რაოდენობა 2-ჯერ, ფრინველების 1,5-ჯერ, ღორის რაოდენობა 2-ჯერ, ხოლო ცხვრისა და თხის რაოდენობა 4-ჯერ.“ თანამედროვე ეტაპზე აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკაში და ახლო აღმოსავლეთში 925 მილიონ ადამიანს ნორმალური აქტიური ცხოვრებისათვის არ გააჩნია საკმარისი საკვები. განვითარებად ქვეყნებში, არასაკმარისი კვების გამო, წელიწადში 5 წლამდე ასაკის 10900 ბავშვი, იღუპება. ამასთან ერთად, 2010 წელთან შედარებით საკვებ პროდუქტებზე ფასები 33%-ით გაიზარდა. **ფაქტობრივად**, მოსახლეობის ჭარბი ზრდის ფონზე, სახეზეა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პროდუქციის მნიშვნელოვანი კლება, რაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაბალ დონეზე მეტყველებს.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში 30 სრულად თვითუზრუნველყოფილი ქვეყნიდან მხოლოდ 8 ქვეყანა ინარჩუნებს ექსპორტიორის სტატუსს. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით 2009 წლისათვის გამოჩენილი იყვნენ: ჩინეთი (გამოსავალი 520,352 მლნ. აშშ დოლარი), ინდოეთი (გამოსავალი 210,116 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (გამოსავალი 171,075 მლნ. აშშ დოლარი), ბრაზილია (გამოსავალი 96,016 მლნ აშშ დოლარი), იაპონია (გამოსავალი 81,089 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (გამოსავალი 57,774 მლნ. აშშ დოლარი), საფრანგეთი (გამოსავალი 48,167 მლნ. აშშ დოლარი) და სხვა სახელმწიფოები. ამავე პერიოდში სასურსათო უსაფრთხოების კუთხით ქვეყნების თვითუზრუნველყოფის ხარისხით გამოჩენილი იყო: საფრანგეთი(100%), გერმანია(93%), იტალია (78%), იაპონია (50%) და ა.შ. ამ და სხვა ქვეყნების მიზანს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზრებზე სადაზვერო კონტროლირებადი შეღწევადობა წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან დღემდე საქართველომ მაღალ დონეზე ორგანიზება ვერ გაუკეთა სასურსათო უზრუნველყოფის პროცესს. „საქართველოში 1993 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა 1990 წელთან შედარებით 35%-მდე დაეცა, ხოლო 1998 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 1990 წლის დონის 63% შეადგენდა. 2003-2008 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსი 26%-ით, ხოლო მემცენარეობა 28%-ით შემცირდა“. მსოფლიოს მასშტაბით 2007 წლის იანვრიდან 2008 წლის ივნისამდე სურსათზე ფასები 60%-ით გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა იმ ქვეყნების მდგომარეობა, რომელთა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხი ისედაც დაბალი იყო. აღნიშნულმა ვითარებამ მსოფლიოს მასშტაბით უარყოფითი შედეგი გამოიღო.

განხილული საკითხების ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ: **რომის დეკლარაციით გათვალისწინებული კოორდინაცია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების საფუძველზე, ეტაპობრივად ეროვნული ნაციონალური სისტემების ეკონომიკური დამოუკიდებლობის და ავტონომიურობის, სეზონური, კლიმატური და სხვა სახის დამანგრეველი რხევებისაგან გამონვეული ზეგავლენის შემცირებაზე, ჯანმრთელი კვებისათვის აუცილებელი პროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდაზე, პრაქტიკულად ვერ მოხერხდა.**

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაბალი დონე კავშირშია ტერორისტული საფრთხეების წარმოქმნასთან. ტერორიზმის ისტორიის ანალიზიდან ირკვევა, რომ ტერორისტული აქტები ხორციელდება როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, რაც გლობალური მასშტაბით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარღვევის ხელშემწყობი კიდევ ერთი ელემენტი შეიძლება გახდეს. მოსაზრებას ამყარებს ტერორისტული საშიშროების ზემოქმედების ზრდის ტენდენცია როგორც ტერორისტული ორგანიზაციების რაოდენობის (2001 წლის მონაცემებით მსოფლიოს 70 ქვეყანაში 1000-მდე ტერორისტული ჯგუფი და ორგანიზაცია), ასევე ტერაქტების მასშტაბებისა და ორგანიზების ზრდის სტატისტიკა (1968–1970 წლებში 639 ტერაქტი განხორციელდა, დაიღუპა 307 და დაზიანდა 640 ადამიანი. 1979–1981 წლებში 1429 ტერაქტი განხორციელდა, დაიღუპა 1336 და დაზიანდა 2410 ადამიანი. 2002-2005 წლებში 1064 ტერაქტი განხორციელდა, დაიღუპა 3257 და დაზიანდა 12363 ადამიანი).

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს ჩილე სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაბალი დონით გამოირჩეოდა და იქ, საბჭოთა სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული ტერორისტული ორგანიზაცია „ლაუტარეს ახალგაზრდული მოძრაობა“, აშშ-ის სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული, პინოჩეტის ხელისუფლების წინააღმდეგ საქმიანობდა. ტერორისტული ორგანიზაციის წევრები მოსახლეობაში ავტორიტეტის მოპოვების მიზნით მაღაზიებიდან დატაცებულ საკვებ პროდუქტებს ღარიბებს ურიგებდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ 2002 წელს გაკეთებული მოხსენებიდან ირკვევა, რომ „სიღარიბე ღარიბებს არ ქმნის ტერორისტებად და მკვლელებად. მაგრამ სიღარიბემ,

სუსტმა ინსტიტუტებმა და კორუფციამ შესაძლოა სუსტი სახელმწიფოები თავიანთ საზღვრებში გახადონ მოწყვლადები ტერორისტული ქსელისათვის და ნარკოკარტელებისათვის.“

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი:

▶ სასურსათო უსაფრთხოება განხილული უნდა იყოს ოპერატიული მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ქვეყნის შიდა და საგარეო ინტერესებიდან გამომდინარე;

▶ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოუგვარებლობის ნიშნებია: დემოგრაფიული ვითარების მკვეთრი გაუარესება, ეკონომიკურ სფეროში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის გააქტიურება, სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის განვითარების შეფერხება-შენწყვეტა, ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის მოშლა და სხვა;

▶ ხანგრძლივი პერიოდით დესტაბილიზაციის ორგანიზებისათვის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის თავდაცვითუნარიანობასთან. ომში უშუალოდ მონაწილე მხარეები კონფლიქტების შემდგომ იძულებული ხდებიან, საკუთარ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად დაემორჩილონ შენიღბულ ძალებს. ამ პროცესში კონფლიქტების ინსპირატორი და მათი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები, მორჩილებას დაქვემდებარებულ ქვეყნებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას უქვემდებარებენ და ლეზულობენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს, რაც ამ ოპერატიულ ციკლს სადაზვერვო ხასიათს სძენს;

▶ სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ქვეყანაში არასტაბილური სოციალ-პოლიტიკური ვითარების კიდევ უფრო დესტაბილიზაციის, აგრეთვე ეკონომიკური დამოკიდებულების ინსპირირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის სადაზვერვო აქციები, რომლის ხელშემწყობი სპეციალურად ინსპირირებული მაღალი გადასახადები და ფასთა სისტემატიური ზრდა შეიძლება გახდეს;

▶ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაბალი დონე კავშირშია ტერორისტული საფრთხეების წარმოქმნასთან. ვითარების სირთულეზე ტერორისტული ორგანიზაციების რაოდენობრივი, ტერაქტების მასშტაბებისა და ორგანიზების ზრდის სტატისტიკა მეტყველებს.

▶ შესაძლებელია: მზვერავი სახელმწიფოს მიერ დაწესებულმა, წინასწარ გათვლილმა გადასახადებმა ქვეყნის განვითარების შეფერხება და სხვა ქვეყნისათვის დამოკიდებულების ინსპირირება (მათ შორის გამყარება) სადაზვერვო კონტროლით უზრუნველყოს;

▶ შესაძლებელია: მზვერავმა ქვეყანამ, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი ცოცხალი ძალის (იაფი მუშახელი) მკვიდრი ქვეყნიდან განდევნა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი ძირითადი საშუალებების დიდი მარაგის დატაცება უზრუნველყოს;

▶ შესაძლებელია: მზვერავმა ქვეყანამ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი მარაგების და შესაბამისად მისი შესანახი შენობა-ნაგებობების განადგურება უზრუნველყოს;

▶ შესაძლებელია: სახელმწიფოში არსებული ნესწყობილების შესანარჩუნებლად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი ზომად, კონკრეტულ ტერიტორიაზე გათვლებით დადგენილ ადამიანთა განთავსების ორგანიზება და მზვერავი სახელმწიფოების მიერ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რღვევის სადაზვერვო-საკანონმდებლო ალჭურვა განხორციელდეს;

▶ შესაძლებელია: სადაზვერვო მნიშვნელობით, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დისბალანსმა დომინანტის, ე.ი. დაზვერვის ორგანიზატორის როლიდან, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს როლში გადასვლა უზრუნველყოს;

▶ შესაძლებელია: უფლებრივი შეზღუდვის საკანონმდებლო მანიპულირებით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი ძირითად ჯგუფში (ორგანიზატორი და შემსრულებელი), კონფლიქტის და სოციალური პროტესტის ინსპირირება;

▶ შესაძლებელია: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის რღვევით, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი (შემქმნელი) ცოცხალი ძალის მასობრივი განადგურება, ხოლო ერთი სახეობის საკვები პროდუქტის მოუსავლიანობით კონტინენტზე შიმშილის პროვოცირება (რაც სახელმწიფოთა კოორდინაციის დაბალ დონეზე ან ამ დონის მიზანმიმართულ მიღწევადობაზე მიაწინებს);

▶ შესაძლებელია: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი სეგმენტებზე (სასაზღვრო, საბაჟო და საპოლიციო სტრუქტურები) კორუფციის მაღალი დონის და კონტრაბანდის მასშტაბების ზრდის პროცესზე სადაზვერვო ხელშეწყობა;

▶ შესაძლებელია: მკვიდრი ადგილებიდან მოსახლეობის აყრისა და მზვერავი სახელმწიფოს მოსახლეობის დასახლებით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი ძირითადი საშუალების ნიადაგის (მნიშვნელოვანი ტერიტორიის) დაკარგვის ორგანიზება;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pedro Bejarano, LL.M. „Das Menschenrecht auf Nahrung.“www.scribd.com;
2. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი და სხვები. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. თბილისი. 1970;
3. დ. კუხალაშვილი. „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები“. თბილისი. 2011;
4. პ. კ ო ლ უ ა შ ვ ი ლ ი. „საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები“. თბილისი. 2004;
5. მ. გ უ რ უ ლ ი - კ უ ხ ა ლ ა შ ვ ი ლ ი. „სიმინდის აგროეკოლოგიური თავისებურებანი მდელის ყავისფერ ნიადაგებზე შიდა ქართლში.“ თბილისი. 2011;
6. “Food prices and food security: Gathering storm, or tempest in a teapot?” Office of the Senior Economist. <http://europeandcis.undp.org>;
7. “Statistics on Terrorism (last updated 2 August 2008)”. [www.johnstonsarchive](http://www.johnstonsarchive.com).

MZEVINAR GURULI- KUKHALASHVILI

Agriculture, PhD

DAVID KUKHALASHVILI

Academic History, PhD

Research and Analysis Centre for Information Security

FUNDAMENTALS OF PROVIDING INTELLIGENCE AND COUNTER INTELLIGENCE IN FOOD SECURITY

S u m m a r y

Providing food security is one of the most significant parts of national security. It is closely connected to intelligence and counter-intelligence activities. This research concluded that failing to solve the existing problems might have a negative impact on the activities of government institutions, non-governmental and international organizations.

რისკი და დავლვევა აბრარულ სფეროში

ეკონომიკური გარემოს ცვალეზადობის პირობებში შეიძლება წარმოიქმნას რისკის, წარუმატებლობისა და გაუთვალისწინებელი დანაკარგების გარკვეული საშიშროება.

ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირი ეწევა რისკს საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობისას, რადგან ისინი მოქმედებენ არასრული ინფორმაციის პირობებში. რისკების შეფასება და შესაძლო მომავალი შედეგების შესწავლა აადვილებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალი ალტერნატივიდან საუკეთესოს შერჩევას და რისკის დონის შემცირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ნებისმიერი მენარმისთვის აუცილებელია სარისკო ალტერნატივებისა და სიტუაციების საფუძვლიანი ანალიზი და რისკების მართვის ძლიერი სისტემის შექმნა. რისკებისგან სამენარმეო საქმიანობის დაცვის საუკეთესო საშუალებაა სწორი ანალიზი, სიტუაციის მართებული შეფასება და ჩამოყალიბებული სამენარმეო საქმიანობის დაზღვევის მექანიზმის გამოყენება.

ფირმები და ინდივიდები ფლობენ საჭირო იარაღს რისკების ანალიზისათვის, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტი სხვადასხვანაირად აღიქვამს ანალიზიდან მიღებულ შედეგებს და განსხვავებულად რეაგირებს მათზე. ამის მიხედვით გამოიყოფა რისკისადმი უარყოფითად განწყობილი, რისკისადმი ნეიტრალურად განწყობილი და რისკის მოყვარული ადამიანები. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ძირითადი ნაწილი რისკისადმი უარყოფითადაა განწყობილი.

რისკების ანალიზისა და მათი მოსალოდნელი შედეგების გათვითცნობიერების შემდეგ მივდივართ რისკისაგან დაცვის ისეთ მძლავრ მექანიზმამდე, როგორცაა დაზღვევა. ფირმებს შეუძლიათ შექმნან რისკების მართვის ქვედანაყოფები, რომლებიც იცავენ მათ ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების უარყოფითი გავლენისაგან. სხვა ფიზიკური და მატერიალური ზიანის თავიდან ასაცილებლად სანარმოები სადაზღვევო სააგენტოებს მიმართავენ. დაზღვევის შესყიდვის შემთხვევაში ფირმა უფრო მშვიდად აგრძელებს საქმიანობას, რადგან იცის, რომ უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული დიდი ზარალის ანაზღაურება მას სულ მცირე თანხა უჯდება და მის დანაკარგებზე პასუხისმგებელი უკვე სადაზღვევო კომპანიაა.

სოფლის მეურნეობაში რისკის წარმოშობა დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პირობებთან. მისი გამოვლენის ფორმებია: მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის ცვლილება და, შესაბამისად, საბაზრო ფასის ცვლილება; კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება; სატრანსპორტო და პროდუქციის შენახვის ტარიფების გაზრდა და ა.შ.

უხემა მოსავალმა შეიძლება პრობლემები შეუქმნას ფერმერს, რაც უკავშირდება მაღალ კონკურენტციასა და ფასების შემცირებას, პროდუქციის შენახვა დაკავშირებულია შესანახი საწყობების მოწყობლობასთან და ა.შ. აქედან გამომდინარე, მოსავალზე ფასების შემცირების რისკი კიდევ უფრო ღრმავდება მის შენახვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების რისკით.

აგრარულ სფეროში სარისკო სიტუაციის სპეციფიკა ვლინდება იმით, რომ ამ დარგში წარმოების პროცესი უწყვეტად არის დაკავშირებული ცოცხალი ორგანიზმების – მცენარეებისა და ცხოველების განვითარების ბუნებრივ პროცესთან, რადგან მათი სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბუნებრივ მოვლენებთან. სწორედ ამით არის განპირობებული, რიგ შემთხვევებში, სოფლის მეურნეობის წარმოების კატასტროფული შედეგები, რადგან, ზოგჯერ, წარმოების პროცესზე მოქმედი უარყოფითი შედეგების (ძლიერი ყინვა, მეხი, წყალდიდობა, გვალვა და ა.შ.) გამოვლენის დროისა და ადგილის განჭვრეტა შეუძლებელია.

სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი თავისებურებაა წარმოების ტერიტორიული დანაწილება, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორცაა მეხილეობა, მეხოსტენობა და პირუტყვის საძოვრული შენახვა. იგი ართულებს ტექნოლოგიურ კონტროლს, ხოლო უხარისხო და არადროულად სამუშაოს შესრულება ასევე წარმოადგენს დამატებითი რისკის წყაროს.

სპეციფიკური ხასიათის რისკს მიეკუთვნება ეკოლოგიური რისკი, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ფულადი სახის დანაკარგებთან. ეკოლოგიური რისკი სხვადასხვაგვარად ვლინდება, ეს შეიძლება იყოს: რადიაციის მომატება, კლიმატის არასასიკეთო ცვლილება, მავნე ნივთიერებებით ჰაერისა და წყლის დაბინძურება. შედეგად ხდება ცოცხალი ორ-

განიზომების სხვადასხვაგვარი მუტაცია და მცირდება მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა, ყოველივე ეს კი საზიანოა ადამიანისათვის.

ეკოლოგიური რისკის შემცირება ფულადი სახსრების დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული და იგი დღესდღეობით გლობალური პრობლემაა.

აგრარულ სფეროში ფინანსური რისკების თავისებურება დაკავშირებულია წარმოების სეზონურობასა და დაბანდების შედარებით გვიან ამოგებასთან. იგი უპირველესად ეხება მოკლევადიან და გრძელვადიან კრედიტებს. მოკლევადიანი კრედიტები გამიზნულია საბრუნავი საშუალებების, საწვავ-საცხები მასალების, სასუქების, შხამ-ქიმიკატების, სათესლე მასალის და ა.შ. შექენასთან, ხოლო, რაც შეეხება გრძელვადიან კრედიტებს, მისი მიზანია ახალი მშენებლობის, ტექნიკისა და მონყობილობების, ჯიშიანი პირუტყვის და ა.შ. შექენა.

როგორც აღინიშნა, ცუდი ფინანსური სიტუაციის, სეზონურობისა და დაბანდებათა გვიანი ამონაგების გამო, კერძო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უმეტესობა დაკრედიტებისათვის არასასურველი ობიექტია. აღნიშნული ფაქტორები წარმოადგენს საკრედიტო განაკვეთის ზრდის წყაროს, კრედიტის ან საპროცენტო განაკვეთის დაუბრუნებლობის რისკის ჩათვლით.


საკრედიტო და ფინანსური რისკების შემცირების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სასოფლო საკრედიტო კოოპერატივების განვითარება. კომერციული ბანკისაგან განსხვავებით, ამ ორგანიზაციას გააჩნია კრედიტის გაფორმების შედარებით დაბალი დანახარჯები, არ არის დაინტერესებული მოგებით, უფრო უკეთესად იცნობს პოტენციურ მსესხებელს და ურთიერთობა იგება ურთიერთნდობის პრინციპზე. სამწუხაროდ საკრედიტო კოოპერატივების შექმნას ნებისმიერ ქვეყანაში აფერხებს ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი.

სოფლის მეურნეობის მენარმისათვის რისკის შემცირება გარკვეულ საზღვრებში შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგის საშუალებით, როცა გადასახდელი ტანხის გამომუშავება ხდება მისი ეფექტური ექსპლოატაციის საშუალებით.

თანამედროვე ეკონომიკაში, აგრარული რისკების ანალიზსა და მართვას, ასევე მათგან დაზღვევას, დიდი ყურადღება ექცევა, რაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საშუალებას აძლევს იმოქმედონ თავისუფლად და დაიცვან ბიზნესი მოულოდნელი უარყოფითი მოვლენებისაგან.

საქართველოში სადაზღვევო კომპანიები XIX საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა, მაგრამ მაშინ ქვეყანა არ აღმოჩნდა მზად ამ სისტემისათვის. აღნიშნული სისტემა ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და ვერ დამკვიდრდა იმდროინდელ საქართველოში. პოსტსაბჭოთა საქართველოში პირველი კერძო სადაზღვევო კომპანია იყო ალდაგი, რომელიც დაარსდა 1990 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 1997 წლამდე არ არსებობდა საკანონმდებლო ბა-

საბაზრო წილი



ზა დაზღვევის რეგულაციისათვის, რის გამოც საკმაოდ მარტივი იყო სადაზღვევო კომპანიის დარეგისტრირება და აღნიშნულ სფეროში საქმიანობა. 1997 წელს მოხდა სამოქალაქო კოდექსის მიერ დაზღვევის სხვადასხვა მუხლებისა და დებულებების გამართვა, რამაც სადაზღვევო კომპანიები გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა დაადგინა ლიცენზირების წესები და საწესდებო კაპიტალი. მინიმალური თანხის

ოდენობა 30 000 ლარიდან 1 000 000 ლარამდე გაიზარდა, რის შემდეგაც შემცირდა ლიცენზიის მქონე სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა. 1998 წლამდე სადაზღვევო ბაზარზე მოღვაწეობდა 32 კომპანია, ამჟამად – 17 კომპანიაა.

სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული პროდუქტების ასორტიმენტიც ყოველწლიურად უფრო მრავალფეროვანი ხდება. ისინი მომხმარებელს ძირითადად სთავაზობენ: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, ავტომანქანების, პასუხისმგებლობის, ტვირთების, ფინანსური რისკებისა და სამოგზაურო დაზღვევას. მათგან, საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის 30.06.2010 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში აქტიური პოლისების რაოდენობის მიხედვით ყველაზე პო-

პულარობით მოსახლეობაში სამედიცინო დაზღვევა სარგებლობს (მთლიანი სადაზღვევო ბაზრის 67%), თანაც მზარდი ტენდენციით.

საქართველო მინათმომქმედების ქვეყანაა, მთელ მსოფლიოში 52 ტიპის ნიადაგია აღიარებული და აქედან 49 ტიპი საქართველოში მოიძებნება. თუმცა ბანკებისთვის ეს ფაქტი არაფერს ნიშნავს - სოფლის მეურნეობა მაღალი რისკების სეგმენტად არის მიჩნეული და, ამიტომაც, დაკრედიტების მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობას 1,9% უჭირავს. სოფლის მეურნეობის ყველაზე დიდი თავსატეხი აგროდაზღვევაა. დღემდე პრეცედენტებიც კი არ შეიქმნა ნარმატიული აგროდაზღვევისა, რომ ამ მიმართულებით რაიმე სახის დასკვნა მაინც გაკეთდეს. რაც შეეხება დაკრედიტებას, ბანკების უმრავლესობა სესხების გაცემას თავს არიდებს, სოფლის მეურნეობა მაღალრისკიან დარგად მიიჩნევა. აქ ძირითადად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მუშაობენ, ვინაიდან მათი ფილიალები რეგიონებშია განთავსებული და ფერმერებთან ხელი უფრო ადვილად მიუწვდებათ. ამის მიუხედავად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხები პრობლემურია, რადგან მცირე მოცულობისაა, მოკლევადიანი და მაღალპროცენტისანი. ზოგადად, მონდომების შემთხვევაში, შესაძლებელია ფერმერმა სესხი აიღოს, მაგრამ რეალურად ისეთი მოცულობის სესხის აღება, რომელიც განვითარებას შეუწყობს ხელს, ძალიან რთულია.¹

სადაზღვევო კომპანია იმედი-ელი² აგრორისკების დაზღვევას უკვე 10 წელია ახორციელებს. საქართველოსთვის ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი კახეთი და მევენახეობაა. როგორც გამოიკვეთა, დაზღვევა არ არის ინვესტირების გზა, ეს არის არსებულის შენარჩუნება და ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი.

იმედი-ელ-ის და სხვა კომპანიების დაზღვევის შედეგად რამდენიმე ფერმერული მეურნეობა დიდი ზარალს და გაკოტრებას გადაარჩა და რომ არა სადაზღვევო კომპანიის გადახდები, კონკრეტული კლიენტები უბრალოდ განადგურდებოდნენ.

აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ბევრი ფერმერი საკრედიტო ურთიერთობებით მუშაობს და არსებობს. მათი ქონებაც ბანკში უზრუნველყოფად არის წარდგენილი. ასე რომ, ის რისკავს არა მარტო მოსავლით, არამედ მთელი თავისი ქონებითაც.

საქართველოში ფერმერული მეურნეობა, როგორც ბიზნესი, დიდად განვითარებული არ არის. შესაბამისად, მის თანმხლებ აგროდაზღვევასაც ვერ განვიხილავთ როგორც დიდ სეგმენტს, რადგან სადაზღვევო კომპანიების მონაცემებით ზარალი და მოზიდული პრემია პრაქტიკულად იდენტურია.

აგროდაზღვევა საქმიანობის საკმაოდ რთული სეგმენტია. თითოეული სიახლე ძალიან რთულად მიდის ფერმერთან. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი კი აგროსექტორის განვითარებაა.

საქართველოს აგროსექტორის 95% წვრილი და ე.წ. გლეხური მეურნეობებია. ძალიან ცოტაა ის, რასაც შეიძლება ფერმერი და ფერმერული გაერთიანებები ეწოდოს. ფინანსურ ინსტიტუტებს უჭირთ მუშაობა წვრილ ფერმერებთან.

სადაზღვევო კომპანია იმედი-ელ-ის მონაცემებით, დაზღვევის სურვილი ბოლო 11 წლის განმავლობაში ძალიან დიდი იყო, მაგრამ ფერმერებს არ ჰქონდათ თანხები იმისთვის, რომ ეს დაზღვევა ეყიდათ. გლეხს, პრაქტიკულად, წინა მოსავლიდან მხოლოდ კვლავწარმოების თანხა რჩებოდა და ისიც ნაწილობრივ უნდა დაეფინანსებინა ბანკიდან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტიდან. ამჟამად კომპანია გარკვეული ტიპის ფინანსურ ინსტიტუტებთან და ძირითადად ეს არის მიკროსაფინანსო ინსტიტუტები და რამდენიმე ბანკი (რომელიც აგროსეგმენტში ადრეც მუშაობდა) აკრედიტებს არა მარტო გლეხის ფინანსურ მოთხოვნილებას წარმოებისთვის, არამედ მათ სადაზღვევო მოთხოვნილებასაც. მაგალითად, თუ ფერმერს აქვს ერთი ჰექტარი სიმინდი და მას სჭირდება 1300-1400 ლარი კულტივაციისთვის, მას ასევე სჭირდება გარკვეული თანხა ამ მიწაზე მოსავლის დასაზღვევად. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მთლიანად უფარავენ გლეხს ამ მოთხოვნილებას. ფერმერისგან უკუგებას ფინანსური ინსტიტუტი იღებს მხოლოდ მოსავლის აღების შემდგომ.

არის მეორე ვარიანტიც, როცა ფერმერს კვლავწარმოებისთვის თანხა არ სჭირდება და სჭირდება სახსრები მხოლოდ დაზღვევისთვის, მაშინ ასეთი ორგანიზაციები აძლევენ თანხას, რომ სადაზღვევო პრემია გადაიხადოს ზუსტად იმავე პრინციპით. რეალურად ფერმერი მხოლოდ მოსავლის აღების შემდეგ იხდის თანხას. სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფის“¹ განცხადებით, ფერმერებისა და გლეხური მეურნეობების დაზღვევა გაზაფხულიდანვე უნდა მოხდეს, რათა აგროსექტორის სტიმულირებისა და მხარდაჭერის პროგრამა სრულყოფილად განხორციელდეს. კომპანიას

¹ <http://24saati.ge/index.php/category/business/2011-03-20/15061.html>.

² <http://insurance.org.ge/>

გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში დაზღვეული აქვს დაახლოებით 16 ჰექტრამდე საფერმერო მიწის ნაკვეთები, ახორციელებს დავით გარეჯის დედათა მონასტრის ფონდის მიწების დაზღვევას და მისი პროდუქტებით უკვე 7 ფერმერი სარგებლობს.

თუ ლიდერი სადაზღვევო კომპანიები დაინტერესებას გამოთქვამენ ამ მიმართულებით, სოფლის მეურნეობის რეალური განვითარებისთვის მეტი საშუალებები გაჩნდება. იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცეს ქვეყანაში, მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ იქნება. „აგროდაზღვევა“ საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი და აუთვისებელი სფეროა, რომელიც ძალზედ წელი ტემპებით ვითარდება.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“ სოფლის მეურნეობის სექტორში არასტანდარტულ რისკებსაც ფარავს: გვალვა, ყინვა, ქარბორბალა, კოკისპირული წვიმა, ზვავი და სხვა. გარდა ამისა, აგროდაზღვევის პოლისის მფლობელს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს კვალიფიციური კადრის კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, მოსავლის მოყვანის სრული ციკლის განმავლობაში. სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“-მ ადგილობრივ ბაზარზე აგროდაზღვევის სრულფასოვანი პოლისი გასცა. 2010 წლიდან დაიწყო ხორბლის დაზღვევა, რასაც ფერმერების მხრიდან დიდი ინტერესი და გამომხაურება მოჰყვა. 2011 წლის დასაწყისში არაერთი პოლისი გაიცა სიმინდის მოსავლის დაზღვევისთვის. „ალდაგი ბისიაი“ სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროექტს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ დაზღვეული რისკები კიდევ ერთხელ არის დაზღვეული.¹

საერთაშორისო სტატისტიკა და მაგალითები მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს აგრარული სფეროს დაზღვევის განვითარებაში. ასევე შესაძლებელია სუბსიდიებით ძალიან ეფექტურად გაიზარდოს ხალხში დაზღვევის ინტერესი და უბიძგოს მათ ისარგებლონ ამ ტიპის დაზღვევით.

როგორც წესი, ევროპის თუ სხვა ქვეყნებში, თავდაპირველად, როცა ეს პროდუქტები ვითარდებოდა, სახელმწიფო დიდწილად ერეოდა. თუმცა ამ სეგმენტის განვითარებასთან ერთად, მისი წილი მცირდებოდა, ანუ, როცა ფერმერი მიეჩვეოდა დაზღვევას, როცა დაზღვევით მიღწეული სტაბილურობის გამო, დამატებითი ფინანსები უჩნდებოდა. 2004 წლის მონაცემებით ევროკავშირმა აწარმოა 162 მილიარდი ევროს ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია, აქედან დაზღვეული იყო 37 მილიარდი ევროს მოსავალი, ანუ მთლიანის 23%, სადაზღვევო პრემიის საშუალო განაკვეთმა შეადგინა 4%, საიდანაც 32% დაფარულ იქნა სახელმწიფოს მიერ სუბსიდიის სახით. პოლონეთში ძირითადად განვითარებულია აგროდაზღვევის 2 მიმართულება: მოსავლის და საქონლის დაზღვევა. სტატისტიკით ფერმერების მხოლოდ 3% აზღვევს მოსავალს, თუმცა 2009 წლიდან უკვე სახელმწიფო იღებს სერიოზულ თანამონაწილეობას და აფინანსებს 40 %-ს მოსავლის დაზღვევაში და 50%-ს საქონლის დაზღვევაში. ავსტრიაში სადაზღვევო პრემიის 50%-ს იხდის ფერმერი, 50%-ს სახელმწიფო, დაზღვეულია მთლიანი მინდვრების 75%, ვენახების 60%, ბოსტნეულის 90%, ბალჩეული – 80%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 30%. ყაზახეთი, როგორც გამოკვეთილად აგრარული ქვეყანა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობს აგროდაზღვევის ნორმატიული ბაზის განვითარებასა და სახელმწიფო რეგულირებას. ყაზახეთის კანონმდებლობით აგროდაზღვევა სავალდებულოა და ტარიფები შემდეგნაირად არის განსაზღვრული: მარცვლოვნები – 5.8 % – საშუალოდ; ზეთოვანი კულტურები – 3.4 %; შაქრის ჭარხალი – 8.3%; ბამბა - 1.3%.

გარდა აღნიშნული ქვეყნებისა, სახელმწიფოს ჩართულობა სოფლის მეურნეობის საქმიანობის დაზღვევაში საკმაოდ მაღალ დონეზეა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, კანადა და ა.შ. ზოგადი ტენდენცია არის ასეთი, რომ ყველა ქვეყანა უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს დაზღვევის განვითარებას და მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობს მცირე თუ მასშტაბური ნაბიჯების გადადგმას.

საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს აგრარულ ბაზარზე დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა რეგულირდებოდეს სტრატეგიული და ადმინისტრაციული საკითხები: სტატისტიკური მონაცემების შექმნა არა რეგიონებზე, არამედ ცალ-ცალკე აგროზონებზე, რაშიც ადგილობრივი ორგანოების ჩართულობაა საჭირო; ფერმერებისათვის ტრენინგების ჩატარება და მათთვის კონსულტაციების განევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობა; სათესლე, საწარმოო თუ სასუქი მასალის ხარისხის კონტროლზე აყვანა; აგროდაკრედიტების გაიოლებისა და გაიაფების ხელშეწყობა და ა.შ.

¹ www.kvirispalitra.ge.

NINO DAMENIA

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Visiting Associate Professor
Academic Doctor of Business Administration*

RISK AND INSURANCE IN THE AGRARIAN SPHERE

S u m m a r y

The emergence of risk in agriculture is connected with the terms of selling manufactured products. The forms of its exposure are as follows: changes in balance between supplies and demands and, as a result, volatility of market prices; intensification of competitive fighting; raising of rates for transport and storage of products. Abundant harvest may cause problems to farmers, which is connected with high competition and drop of prices, lack of necessary storage facilities, etc. Therefore, the risk of tumbling prices on harvested products is deepened with the risk of additional costs connected with their storage.

Peculiarities of financial risks in the agrarian sphere are connected with their seasonal character and delayed profits out of invested amounts. They concern, first of all, short-term and long-term credits. Due to unstable financial situation and late gains, the majority of private enterprises are undesirable targets for creditors.

Farming in Georgia is not greatly developed as business. Correspondingly, we cannot deliberate its accompanying agrarian insurance as the big segment. Since, according to data of insurance companies, losses and insurance premium are practically identical.

Owing to the current situation in the agrarian market of Georgia and to international experience, the following issues of strategic and administrative level can be regulated: creation of statistical data not only for regions but also within separate agrarian zones, holding trainings for farmers, providing access to agricultural tools, checking the technological updates, promotion of easing of agrarian credits by making them cheaper, etc.

In modern economy great attention is paid to the analysis and management, as well as avoidance, of agrarian risks, which gives agricultural enterprises an opportunity to act freely and protect their businesses from unexpected, negative events.

ანგორ დეპაქი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ბადრი ბაჩხაია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი

აგროტურიზმის განვითარების სტრატეგია ეროვნული ეკონომიკის სისტემაში

ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ეროვნული ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სფეროს განვითარებას, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ტურიზმს. ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგია. მსოფლიოს მასშტაბით მოგზაურ ტურისტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ამ სფეროდან მიღებული შემოსავალი თითოეული ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ტურიზმი სოფლის მეურნეობასთან ერთად წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე დარგს. ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. ყოველწლიურად შეინიშნება ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა (საშუალოდ 3–4% როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით). ჩატარებული კვლევების მიხედვით, ტურისტების 52%-ს შეადგენს საქმიანი ვიზიტით ჩამოსული ადამიანები, ხოლო 39%-ს – დამსვენებლები.

დასვენება/რეკრეაციის მიზნით ჩამოსულ ტურისტებს ყველაზე მეტად კულტურული ტურიზმი, განსაკუთრებით, სათავგადასავლო ტურიზმი იზიდავს. უცხოელ ტურისტებს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ხიბლავს ქართული სტუმართმოყვარეობა, ადგილობრივი ბუნება, ისტორია, არქიტექტურა, ფოლკლორი და ხელოვნების სხვა დარგები. აგროტურიზმის განვითარებისათვის საქართველოს გააჩნია შესაბამისი ბუნებრივი რესურსებიც: საქართველოში არის 25 000 მდინარე, 860 ტბა, 688 მყინვარი, 1400 მინერალური წყარო (მათ შორის ნახევარზე მეტი ცხელი წყარო), ტყეებს უკავია მთელი ტერიტორიის 38,8%, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე შეადგენს 320 კმ-ს, ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% – მთისწინებს.

დღეისათვის საქართველო დგას რეგიონული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მკაფიო განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე, რომლებიც ითამაშებენ ლოკომოტივის როლს რეგიონების ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების გზაზე. ამასთან ერთად, შესაძლებელია ახალი დარგების განვითარება, ასევე უზრუნველყოფილ იქნება მულტიპლიკაციური დადებითი ეფექტი მთლიანად რეგიონის ეკონომიკურ ჭრილში. საქართველოს სოფლის რეგიონების ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ ასეთ პერსპექტიულ მიმართულებად მიგვაჩნია აგროტურიზმის განვითარება.

ტურისტული დარგის აღნიშნული სექტორი ორიენტირებული იქნება საქართველოს ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სოფლის დასახლებების სხვა რესურსების გამოყენებასა და მის სპეციფიკაზე კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შექმნის მიზნით. აღნიშნული მიმართულება ტურიზმის განვითარების საქმეში მიგვაჩნია ერთობ პერსპექტიულად, ვინაიდან საქართველოს გააჩნია მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი, რაც წარმოადგენს აგროტურიზმის მატერიალური ბაზის ფორმირების საფუძველს.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ახალი სახე, წარმოიშვა ევროპაში გასული საუკუნის 70-იან წლებში. იმ დროისათვის მსოფლიოს დიდ ქალაქებში მწვავედ იდგა ეკოლოგიური პრობლემა და მოსახლეობას გაუჩნდა მოთხოვნილება ბუნებასთან ურთიერთობის, სუფთა ჰაერის, ბუნებრივი სიმშვიდისა (სიჩუმისა) და კვების ნატურალური პროდუქტების მიმართ. დღეისათვის ტურიზმის აღნიშნული სახე ვითარდება საკმაოდ სწრაფი ტემპებით და ზოგიერთ ქვეყანაში თავის მხარეს გადმოიბირა საზღვარგარეთელი ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, კვიპროსი და ა.შ.

დღეისათვის ტურისტების მიერ არჩევანის გაკეთების დროს აგროტურიზმის სასარგებლოდ მოქმედებენ შემდეგი ფაქტორები:

– ტურისტების ძირითადი მასების შეუძლებლობა თანხების უკმარისობის გამო დაისვენონ ძვირფას ფემენებელურ კურორტებზე. ყოველ შემთხვევაში, აპრიორი ცხადია, რომ სოფლად ცხოვრება გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე საკურორტო ზონაში ან მოდურ ტურისტულ ცენტრში. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული მოტივი გადამწყვეტია დასვენების ამ სახის არჩევის დროს;

– მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაში ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, მაგ., გამომდინარე ოჯახური ან სხვა ტრადიციებიდან;

– სიახლოვე ბუნებასთან და შესაძლებლობა ბევრი დრო გაატაროს სუფთა ჰაერზე ტყეში, ტბაზე ან მდინარეზე;

– შესაძლებლობა, გამოიკვებოს ეკოლოგიურად სუფთა და შედარებით იაფი პროდუქტებით;

შესაძლებლობა, თავისი სიამოვნებისათვის მიიღოს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში;

– შესაძლებლობა, ეზიაროს სხვა კულტურასა და წეს-ჩვეულებებს, მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ დღესასწაულებსა და გართობებში, იქონიოს ურთიერთობა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის ხალხთან.

ამრიგად, სოფლად დასვენების მოტივაციას წარმოადგენს ერთიანობა ბუნებასთან, სუფთა ჰაერი, კვების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, გარემოს შეცვლა, ხალხის მცირე რაოდენობა, ცხოვრების სხვა ხასიათი (წესი), განრიგი და კულტურა, შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დასვენების სიიარაღი.

ამასთან ერთად, აგროტურიზმს გააჩნია თავისი ნეგატიური მხარეებიც. კერძოდ, ტურისტების მიერ შესაძლებელია გარე სამყაროსათვის დამრღვევი ქმედებების ჩადენა, ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციების დარღვევა. აღნიშნული განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება განვითარებად ქვეყნებში, სადაც მდიდარი, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ტურისტები თავიანთი იქ ყოფნით თავს ახვევენ მოსახლეობას მათთვის დამახასიათებელ ცხოვრების წესს და მოხმარების დონეს.

საქართველოში აგროტურიზმი შედარებით ახალი მოვლენაა. საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, თავისი ეკორესურსების წყალობით ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. აგროტურიზმი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების საქმეში, ვინაიდან მას შეუძლია უზრუნველყოს საკმაოდ მაღალი მოგება ტერიტორიის ეკოლოგიური უსაფრთხოების შენარჩუნების პირობებში, ანუ პასუხობს მდგრადი განვითარების მოთხოვნებს.

ამავე დროს, საქართველოში პრაქტიკულად არ არის განზოგადებული ტურიზმის სხვადასხვა სახის ორგანიზაციისა და განვითარების საერთაშორისო გამოცდილება, არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა პუბლიკაციები ტურიზმის როლზე ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საქმეში და მის გავლენაზე ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ასევე არასაკმარისადაა გამოკვლეული ტურიზმი როგორც მომსახურების დარგი, რომელიც უზრუნველყოფს საქესპორტო შემოსავლების ზრდას. როგორც საზღვარგარეთელი, ისე ქართველი მეცნიერები, ძირითად ყურადღებას უთმობენ ტურიზმის ეკონომიკასა და მენეჯმენტს და არასაკმარისად იკვლევენ მისი სხვადასხვა სახის ორგანიზაციის თავისებურებებს, ასევე ტურიზმის ეროვნული ბაზრის მსოფლიოში ინტეგრაციის მექანიზმის საკითხებს.

ბოლო წლების უცხოური პუბლიკაციები ეკოტურიზმის შესახებ ასახავენ ურთიერთკავშირს ტურიზმსა და ეკოლოგიურ პრობლემებს შორის, ეროვნული პარკების ფუნქციონირების ანალიზის შედეგებს, იხილავენ ეკოტურისტული მომსახურების მდგრადი განვითარების პრობლემებს. მკვლევრები სულ უფრო ხშირად ყურადღებას ამახვილებენ აგროტურიზმის (სოფლის ტურიზმის) ორგანიზაციის საკითხებს, როგორც თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთ ინტენსიურად განვითარებად მიმართულებას.

მიუხედავად კვლევების გააქტიურებისა აგროტურიზმის სფეროში, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ ყურადღების გარეშეა დარჩენილი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

– აგროტურისტული მომსახურების სისტემის რეგულირება;

– აგროტურისტული ბაზრის სუბიექტებს შორის ურთიერთობების ოპტიმიზაცია;

– აგროტურიზმის, როგორც საერთაშორისო ტურისტული მომსახურების, კონკურენტუნარიანი სექტორის განვითარება;

– საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აგროტურისტული მომსახურების სერტიფიცირება;

– აგროტურიზმის განვითარება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების გზით.

ასევე არასრულყოფილადაა შესწავლილი ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორცაა აგროტურიზმი და საქართველოს კულტურის, ხელოსნობისა და ტრადიციების შენარჩუნება. ამასთან ერთად აუცილებელია აგროტურიზმი განვიხილოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან და სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებთან ურთიერთკავშირში. ბოლო ათწლეულში უცხოელი მკვლევრები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მისი განვითარებისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის საკითხებს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგროტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის კომპლექსურ სფეროს, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც:

- მრავალფეროვანი მომსახურების სფერო;
- შიდა და საერთაშორისო ტურიზმის სექტორი;
- სამენარმეო საქმიანობის სახე სოფლად.

აგროტურიზმის განვითარება მიმართულია როგორც მსოფლიო ეკონომიკის გლობალური პრობლემების, ასევე ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და მათთან ერთად ცალკეული ქვეყნების ეროვნული კულტურისა და ადგილობრივი თანასაზოგადოებების პრობლემების გადანყვეტისაკენ მიმართული სფერო, რაც ხელს უწყობს:

- ურბანიზაციის პროცესის შეჩერებას და სოფლის განვითარებას;
- ბუნებისდაცვითი პრობლემატური საკითხების გადანყვეტას;
- სოციალური საკითხების გადანყვეტას (სიღარიბის დაძლევა, დასაქმება);
- სოფლის ინფრასტრუქტურის ფორმირებას;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაციას და სოფლებში საქონლისა და მომსახურების მომგებიანი წარმოების შექმნას;

- ეროვნული კულტურის, ხელოსნობისა და ტრადიციების აღორძინებას. გარდა ამისა, აგროტურიზმი, როგორც სფერო, რომელიც დაკავშირებულია სოფლად მომსახურების განვითარებასთან, მნიშვნელოვნად ცვლის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას როგორც სოფლის მცხოვრებლებს, ასევე სოფლის მცხოვრებლებსა და ტურისტებს შორის.

ეკონომიკური თეორიის თანახმად, ნებისმიერი პროდუქტის განვითარების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მასზე მოთხოვნილების არსებობა ბაზარზე. მოთხოვნა კი განისაზღვრება, პირველ რიგში, სუბიექტის მოთხოვნილებით და, მეორე რიგში, რეალიზაციის შესაძლებლობების არსებობით, ანუ ტურისტულ ბიზნესთან მიმართებაში – თავისუფალი დროისა და მომსახურების მოხმარებისათვის საჭირო თანხების არსებობით. აღნიშნული შესაძლებლობები ჩნდება შრომის ნაყოფიერებისა და ანაზღაურების ზრდის კვალობაზე. ტურისტული სფეროს განვითარებისათვის ასევე აუცილებელია საზოგადოებრივ-კულტურული გარემოს პირობების გარკვეული ცვლილებები. ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად უნდა იცვლებოდეს აზროვნების სტერეოტიპები და ქცევის კულტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სოციალურ-ეკონომიკური გარემოს რღვევას და მოხმარების სტრუქტურის კრიზისს.

ქვეყანაში ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება აგროტურიზმზე. საქართველოს სოფლებისათვის აგროტურიზმის განვითარებას შეუძლია მრავალი სარგებლის მოტანა:

- შეუძლია გახდეს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი წყარო, განსაკუთრებით ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რაიონებში. ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია დაკავდეს სტუმართმძღობის სისტემის თანამშრომლების რანგში;

- სოფლის მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობებს დაკავდეს ბიზნესით;
- ზრდის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებს;

- ინარჩუნებს ადგილობრივ კულტურას და ადათ-წესებს, ხელს უწყობს ადგილობრივი ისტორიული ღირსშესანიშნაობების რესტავრაციას;

- დადებით ზემოქმედებას ახდენს ისეთი ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც დაკავშირებულია გარე სამყაროს დაცვასთან, ვინაიდან ტურიზმის ინდუსტრია საქმიანობის სხვა სახეებთან შედარებით ეკოლოგიურად უფრო სუფთაა.

მიუხედავად იმისა, რომ აგროტურიზმი საქართველოში ფაქტიურად ეხლა იკიდებს ფეხს, ტურისტული ბიზნესის ამ სეგმენტში საკმაოდაა პრობლემები. სახელმწიფო აგროტურიზმს არ უყურებს როგორც ტურისტული ბიზნესის დიდი პოტენციალის მქონე სეგმენტს. რთულია გავთვალთ, თუ როგორ სიბრტყეში განვითარდება დარგი მომავალში, ვინაიდან საქართველო მაინც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, შეიძლება დავუშვათ, რომ აგროტურიზმის განვითარებას აქვს გარკვეული პერსპექტივები.

რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებს, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელები მაინცდამაინც დიდ დაინტერესებას არ გამოხატავენ. საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების დონის გათვალისწინებით, ისინი ვერ ხედავენ ქართველებში მსხვილ კლიენტებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, სასურველია უზრუნველყოთ საქართველოში საზღვარგარეთელი ტურისტების ნაკადების შემოდინება. მაგრამ აქაც არსებობს პრობლემები. ინფრასტრუქტურის გარდა, რომელიც ჯერ არ გაგვაჩნია, ორგანიზებული უნდა იყოს მათი ჩამოსვლის მოტივაცია.

საზღვარგარეთელი ტურისტების მოზიდვაზე საუბრის დროს ხაზგასმით აღსანიშნავია, ასეთ ადამიანებს პირველ რიგში აინტერესებთ არა იმდენად კომფორტი, რამდენადაც ავთენტიკა (ცხოვრების პირობები, ნატურალური საკვები, ადგილობრივი ტრადიციები, ფოლკლორი და ა.შ.).

აქედან გამომდინარე, რეგიონში ტურიზმის სფეროს ამ ახალი მიმართულების განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტის ყველა მონაწილეების (პროექტის ორგანიზატორების, განთავსების საშუალებების მფლობელების, საინფორმაციო-სარეკლამო სამსახურების, ფინანსური ორგანიზაციების, ტურისტული კომპლექსის სანარმოების) ერთიანი ძალისხმევა. მხოლოდ აღნიშნული სტრუქტურების ურთერთმოქმედებითაა შესაძლებელი უზრუნველყოფილ იქნეს აგროტურიზმის ეფექტური, კომპლექსური და პროგრესული განვითარება. განთავსების საშუალებების ტერიტორიული განლაგების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ტენდენციები: სასურველი ეკოლოგიური სიტუაცია, სასტუმრო ფონდის თავმოყრა ავტომაგისტრალების სიახლოვეს ტრანზიტული ტურისტების მოზიდვის მიზნით, განთავსების საშუალებების კონცენტრაცია მსხვილ ქალაქებთან ტრანსპორტით მისაწვდომელ ადგილებში, დასასვენებელი ბაზების შექმნისათვის უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემების შერჩევა და ა.შ.

სოფლის სტუმართმოყვარეობისაგან აგროტურიზმის მონაწილეები პირველ რიგში ელიან: ნყნარ და თანაბარზომიერ სოფლის ცხოვრებას, სუფთა ჰაერს, სოფლის სიმყუდროვეს და ნატურალურ პროდუქტებს, საცხოვრებელი პირობების კომფორტს, შინაურ ატმოსფეროს, მისაღებ ფასებს, ბუნებასთან სიახლოვის შეგრძნებას, ახალი შთაბეჭდილებების მიღებას, ბავშვების გართობისა და უფროსების დასვენების შესაძლებლობას.

აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივებისა და სასტატო პირობების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და განვსაზღვროთ ძირითადი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ტურიზმთან და რეკრეაციასთან:

- საქართველოს მდიდარი და უნიკალური ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში აგროტურიზმის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად;
- აგროტურიზმი იძლევა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და სოფლის მოსახლეობის დასაქმების რეალურ შესაძლებლობას;
- აგროტურიზმი ასტიმულირებს ტურისტული მარშრუტების რაოდენობის ზრდის შესაძლებლობას ტრადიციული დასასვენებელი ადგილების გარეუბნებში, რაც ხელს შეუწყობს ამ რაიონებში ბუნებისა და კულტურის ძეგლების აღდგენას;
- დასვენების ყველაზე პოპულარულ ადგილებში ხელისუფლება ასტიმულირებს დღესასწაულების, კონკურსების, თემატური დღეების ორგანიზებას, ბავშვებისათვის სხვადასხვა ღონისძიების მოწყობას და ა.შ.;
- აგროტურიზმის განვითარება დადებითად მოქმედებს ტურიზმის სფეროში მენარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარებაზე;
- აგროტურიზმი საშუალებას აძლევს ოჯახს, შედარებით მცირე ფინანსური დანახარჯებით შეცვალოს მისთვის ჩვეული ცხოვრების რითმი, ვინაიდან აქ ფასები სასტუმროს ფასებთან შედარებით გაცილებით ნაკლები იქნება.

საერთაშორისო (განსაკუთრებით ევროპული) პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აგროტურიზმის განვითარება მცირე ოჯახური სასტუმრო ბიზნესის ფორმით წარმოადგენს სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას სოფლის მოსახლეობის ნაწილის წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროში გადაყვანის საქმეში. მისი ამოცანაა შესაბამისი იმპულსი მისცეს აგრარული რაიონებისა და მისი მოსახლეობის განვითარებას ადგილობრივი ეკონომიკის ახალი სპეციფიკური სექტორის ორგანიზაციის საქმეში. ასეთ სახელმწიფო პოლიტიკას, გარდა ეკონომიკურისა, გააჩნია სოციალური და სოციოკულტურული მიზნები: შეაჩეროს სოფლის რაიონების დეგრადაცია, შეინარჩუნოს და ნაწილობრივ აღადგინოს კულტურული მემკვიდრეობა, რეგიონების ეროვნული თვითმყოფადობა.

ევროპაში გავრცელებული აგროტურიზმის კონცეფცია ორიენტირებულია სოფლად მცირე საოჯახო სასტუმროების განვითარებაზე, რომელიც აღნიშნულის რეალიზაციის აუცილებელ პირობად ითვალისწინებს:

- სოფლებში ან დაბებში (მცირე ქალაქებში) თავისუფალი ან პირობითად თავისუფალი საცხოვრებელი ფონდის არსებობას;
- აღნიშნული საცხოვრებელი ფონდის კარგ მდგომარეობას და კომფორტის საკმაოდ მაღალ დონეს (როგორც წესი, ესენი არიან კერძო სახლები უზრუნველყოფის ავტონომიური სისტემით);
- აგროტურისტული მეურნეობებისადმი სისტემური სახელმწიფო მხარდაჭერა: პოლიტიკური გადანყვეტილების მიღება აგროტურიზმისათვის, როგორც მომსახურების სფეროს სექტორისათვის, მხარდაჭერის შესახებ;
- ორგანიზაციული მხარდაჭერა: სპეციალური სტრუქტურების შექმნა, რომლებიც სისტემურ დახმარებას აღმოუჩენენ და დაკავებულნი იქნებიან ტურისტული ინდუსტრიის აღნიშნული სექტორის საქმიანობის ორგანიზაციით, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვით, რომელიც საშუალებას იძლევა ვირტუალური ფორმით შექმნას აგროტურიზმის მასშტაბური ბაზარი;
- ერთიანი ეროვნული ან რეგიონალური აგროტურისტული პროდუქტის „წინ წაწევა“ ნორმატიულ-სამართლებრივი (შესაბამისი კანონების და სახელმწიფო პროგრამების მიღება), სარეკლამო და საინფორმაციო უზრუნველყოფის გზით;
- ფინანსური მხარდაჭერა (შელავათიანი კრედიტების სისტემა აგროტურისტული მეურნეობებისათვის).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობა იმდენად შეეჩვია მშობლიური მხარის სილამაზეს, რომ უკვე ვეღარ ამჩნევენ მას და სკეპტიკურად აფასებენ იმ ფაქტს, რომ დაისვენონ საკუთარი სახლის სიახლოვეს და სულ უფრო ისწრაფვიან დასასვენებლად ერთი-ორი კვირით თურქეთში, ეგვიპტეში ან სხვაგან. ამასთან ერთად, ხაზგასასმელია, რომ ფართო მასშტაბით დღეისათვის ჩვენ გაგვაჩნია მხოლოდ აგროტურისტული რესურსები, მაგრამ პრაქტიკულად არ გაგვაჩნია რეალური ტურპროდუქტი, როგორც საბაზრო საქონელი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ, ერთი მხრივ, აგროტურიზმი აწვითარებს თვით ტურისტულ სფეროს ტურისტული ბაზრის ახალი სეგმენტების გახსნის გზით და, მეორე მხრივ, აგროტურიზმს შეუძლია აამაღლოს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დონე. აგროტურიზმის ორივე მხარის განხილვის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი წარმოადგენენ სისტემურ ერთობლიობას და დაყოფა ატარებს პირობით ხასიათს. აგროტურიზმის ორივე სისტემურ შემადგენელს ერთნაირი დატვირთვა გააჩნია მისი განვითარებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგროტურიზმის საბაზრო მახასიათებლები და, უპირველეს ყოვლისა, მისი კონკურენტუნარიანობა. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს როგორც აგროტურიზმის, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას მთლიანობაში.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარებას აფერხებს გარკვეული ფაქტორების ზეგავლენა: არასრულყოფილი კანონმდებლობა; გადაუწყვეტელია აგროტურიზმის სამართლებრივი სტატუსი (არასრულყოფილია შესაბამისი კანონები და დებულებები); დასაზუსტებელია აგროტურიზმის განვითარების კონცეფცია; განცალკევებულია ძალისხმევა შიგა ტურიზმის განვითარების საქმეში; არასაკმარისია ინტერესები ეკონომიკური კოოპერაციისა და მართვის მექანიზმების დანერგვისადმი; მუნიციპალური ორგანოები არასაკმარისად იყენებენ თავიანთ მმართველობით ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრავენ მუნიციპალური წარმონაქმნების პოლიტიკას ტურიზმის სფეროში, მათ როლს ტურიზმის განვითარების ორგანიზაციასა და რეგულირებაში. აქვე უნდა აღინიშნოს აგროტურიზმის განვითარების შემაფერხებელი მხარეებიც, რომლებიც არსებობენ საქართველოს სინამდვილეში:

- სეზონური ხასიათი, რომლის გამოც პერსონალის გარკვეული ნაწილი წლის მანძილზე სრულად ვერ იქნება დასაქმებული;
- ნაკლები შესაძლებლობები მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენების მხრივ;
- არსებული ადგილობრივი კულტურული გარემოს რღვევის შესაძლებლობა;
- სოფლის მოსახლეობის სუსტი ინფორმირებულობა აგროტურიზმის შესაძლებლობებზე;
- სასოფლო სასტუმროს ორგანიზებისათვის ფინანსური შესაძლებლობების სიმცირე;
- სოფლის სახლებისა და ეზოების არასაკმარისი კეთილმოწყობა;
- სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა;
- ტურიზმსა და კულტურას შორის კავშირის არაორგანიზებულობა;
- სახელმწიფო მხარდაჭერის არასაკმარისობა როგორც რეგიონალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

აგროტურიზმის, როგორც თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის სექტორის, ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგროტურიზმს უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება მხარდაჭერა რეგიონალურ დონეზე. აგროტურისტული სექტორის ორგანიზაციის საქმეში ძირითადი როლი უნდა

ითამაშოს ამ ბიზნესის სუბიექტების რეგიონალურმა ასოციაციებმა, რომლებმაც, ჩვენი აზრით, საქართველოში აგროტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით უნდა შეძლონ შემდეგი ამოცანების გადანწყვეტა:

- აგროტურიზმის განვითარების რეგიონალური პროგრამების საინფორმაციო სისტემის ფორმირება და მეთოდური უზრუნველყოფა;
- აგროტურიზმის სფეროში ახალი ობიექტების ფორმირების ეფექტური მექანიზმის შექმნა;
- აგროტურიზმის განვითარების მენარმეობის საკადრო ბაზის მომზადება;
- აგროტურიზმის განვითარებისათვის პერსპექტიული საინვესტიციო პროექტების შერჩევისა და დანერგვის მექანიზმის შემუშავება.

აგროტურიზმის სუბიექტების რეგიონალურმა ასოციაციებმა, ადგილობრივ ადმინისტრაციებთან, რეგიონალურ ფონდებთან, დასაქმების ცენტრებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად კურირება უნდა გაუწიონ აგროტურიზმის ინფრასტრუქტურის ფორმირების პროცესს ადგილებზე, ხოლო ასეთი ფორმირების მექანიზმი ადგილზე უნდა ეფუძნებოდეს აგროტურიზმის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: ნორმატიულ-სამართლებრივი კლიმატის გაუმჯობესებას; საინფორმაციო ქსელების განვითარებას და მეთოდურ უზრუნველყოფას; ფინანსური ინფრასტრუქტურის ფორმირებას ფონდების, სპეციალური ბანკების, სადაზღვევო და საინვესტიციო ინსტიტუტების სახით; სანარმოო-ტექნოლოგიური და სოციალურ-საქმიანი ცენტრების ქსელის, ბიზნესინკუბატორებისა და ტექნოპარკების განვითარებას.

აგროტურიზმის აქტიური განვითარება საშუალებას მოგვცემს შემცირდეს სიღარიბე სოფლად, თავიდან აგვაცილებს სოფლად დემოგრაფიული კრიზისის უარყოფით მოვლენებს, დააბალანსებს მოთხოვნასა და მიწოდებას აგრარული შრომის ბაზარზე, მოახდენს სოფლის მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის ოპტიმიზაციას და შრომითი რესურსებისა და საკადრო უსაფრთხოების ბაზარზე შექმნის ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის შესაბამის პირობებს პერსპექტივაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეჩბაია ბ., ქევხიშვილი გ. ტურისტული კლასტერი როგორც ტურისტული მომსახურების ბაზარზე რეგიონის კონკურენტული უპირატესობის შექმნის ფაქტორი (აჭარის ა.რ-ის მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული, ბათუმი 4-5 ივნისი, 2011 წ.
2. გეჩბაია ბ., კლასტერების ფორმირება აგრობიზნესში – რეგიონული განვითარების ეფექტური ინსტრუმენტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციები ბიზნესში“ მასალები, ბათუმი., 2010.
3. დევაძე ა., მამულაძე გ. ტურიზმის მარკეტინგის თავისებურებების შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული, ბათუმი 4-5 ივნისი, 2011 წ.
4. დევაძე ა., ტურიზმი (თეორია და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. თბ., 2009 წ.

ANZOR DEVADZE

Shota Rustaveli State University, Associate Professor

BADRI GECHBAIA

Shota Rustaveli State University, Assistant Professor

THE STRATEGY OF AGRARIAN TOURISM DEVELOPMENT IN THE NATIONAL ECONOMY SYSTEM

S u m m a r y

It is stated in the article that agrarian tourism represents the field which possesses one of the biggest potentials for boosting the economy of our country. Active development of agrotourism will enable us to decrease the poverty level in rural areas and avoid the demographic crisis. It will balance demand and supply on the agricultural labour market, optimize the employment structure of rural population and on the basis of staff security will create appropriate conditions for providing the country with provisions.

The scientific work discusses the major factors hampering the development of agrotourism in Georgia and offers ways for their eradication.

სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები საქართველოში

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ასპექტი არ შეიძლება არ შეიცავდეს უსაფრთხოების სისტემას, რომელიც დაიცავდა მას მსოფლიოს ჰეგემონებისაგან, რომლებიც აკონტროლებენ სასურსათო რესურსებს და რომელთაც ყოველთვის ექნებათ იმის ცდუნება, რომ გამოიყენონ სასურსათო ბაზარზე თავისი დომინირებული მდგომარეობა საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. მსოფლიო სასურსათო ბაზარი და მსოფლიო სასურსათო მეურნეობა – არ წარმოადგენენ საქველმოქმედო ორგანიზაციას, არამედ არიან იმ ძალების ცენტრები, რომლებიც ბუნებრივია ხელმძღვანელობენ თავისი ინტერესებით.

კაცობრიობა ახალ ათწლეულში შევიდა შიმშილისა და არასაკმარისი კვების სერიოზული ხარვეზებით. ამიტომ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან აგროეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად იქცა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა.

ეკონომისტების აზრით, განვითარებულ ქვეყნებში 2015 წლისათვის მოსალოდნელია სასურსათო პროდუქციის მოხმარების შედარებით დაბალი ზრდა (2–2,5%), ხოლო განვითარებად ქვეყნებში – მოხმარების მკვეთრი ზრდა. პირველ რიგში ეს ეხება აზიის რეგიონისა და ზოგიერთი ლათინური ამერიკის ქვეყნებს. ასევე მოსალოდნელია პროდუქციის მოხმარების ზრდა ყოფილი საბჭოთა კავშირის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

სამეცნიერო პუბლიკაციებში მოცემულია XXI საუკუნეში სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალი პროგნოზი. პრაქტიკოს-ეკონომისტებისა და თეორეტიკოსების აზრით, მოსალოდნელია რევოლუციური გარდაქმნები, კერძოდ, აგროტექნიკის სფეროში პროგრესთან ერთად გაიზრდება სურსათზე მოთხოვნილება, მისი ღირებულება კი შემცირდება. თუ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს აშშ-ის მოსახლეობის შემოსავლის მესამედი იხარჯებოდა კვებაზე, ამჟამად ისინი ამ მიზნით ხარჯავენ თავიანთი შემოსავლების მხოლოდ 10%-ს. მაგალითად, ამერიკელები საკვებზე მოთხოვნილების ნახევარზე მეტს იკმაყოფილებენ კაფეებში, რესტორნებსა და სწრაფი კვების ობიექტებში. გაიზრდება თუ არა შემოსავლები, მომხმარებლები მოინდომებენ არა მარტო გემრიელ, არამედ ჯანმრთელ საკვებსაც. ახალი ტიპის პროდუქტი თვითონ უნდა შეიცავდეს ვაქცინებს დაავადებებისაგან დასაცავად და მთელ რიგ სხვა დადებით თვისებებს. დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს სოფლის მეურნეობაც, ვინაიდან საჭირო იქნება როგორც მიმდინარე მოთხოვნილებების, ისე სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის ადამიანების გემოვნების დაკმაყოფილება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებმა განუწყვეტილად უნდა დახვეწონ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია და მომხმარებელს შესთავაზონ ჯანმრთელი პროდუქციის ახალი სახეები.

სოფლის მეურნეობა იძულებული იქნება ფეხი აუწყოს სულ უფრო გლობალიზებული მსოფლიო მეურნეობის საბაზრო პირობებს, ვინაიდან მკაცრი ფინანსური პოლიტიკა არ იძლევა აუცილებელი საბაზრო ღონისძიებების მხარდაჭერის საშუალებას. ფერმერულ მეურნეობებში შენარჩუნდება ეკონომიკური ზრდის ტენდენცია. პირველ რიგში საჭირო იქნება წარმოების დანახარჯების შემცირება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანობის გაზრდით. რეგიონალური სპეციფიკური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია გახდება შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

ექსპერტების აზრით, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მდგრადი ზრდა მოითხოვს დიდ ძალისხმევას კლიმატის გლობალური ცვლილებების გამო წარმოშობილი პრობლემების დასაძლევად. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, განვითარებად ქვეყნებს უახლოესი 40 წლის განმავლობაში დასჭირდებათ 75-დან 100 მილიარდ დოლარამდე წელიწადში, რათა გაუმკლავდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაზე კლიმატური ცვლილებების ზეგავლენას.

FAO-ს ექსპერტების შეფასებით, მსოფლიო სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა, რათა იგი არ ჩამორჩეს საკვებ პროდუქტებზე მზარდ მოთხოვნილებას, 2050 წლისათვის უნდა გაიზარდოს ორჯერ. თუ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული საჭირო ღონისძიებები, ჩვენი მომავალი თაობა განწირული იქნება უწყვეტ სასურსათო კრიზისებზე, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით წარმოიშობ-

ბიან და გამოიწვევენ სერიოზულ უარყოფით შედეგებს მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობისა და ჩვენი ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოებისათვის.

FAO-ს გენერალურმა დირექტორმა ჟაკ დიუფმა, მაღალი დონის ექსპერტთა ფორუმზე „როგორ გამოვკვებოთ მსოფლიოს მოსახლეობა 2050 წლისათვის“ 2009 წლის 12 ოქტომბერს რომში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 300 დელეგატი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, განაცხადა, რომ: „40 წლის შემდეგ მოსახლეობის ზრდის, შემოსავლების მკვეთრი გადიდებისა და ურბანიზაციის ერთობლივი ეფექტი პროგნოზების მიხედვით მიგვიყვანს სურსათზე, საქონლის საკვებსა და ნედლეულზე მოთხოვნის გაორმაგებასთან. სოფლის მეურნეობას არ რჩება მეტი არჩევანი, გარდა იმისა, რომ გახდეს უფრო ეფექტიანი“. მან ასევე აღნიშნა, რომ – „სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა უნდა მოხდეს ძირითადად ნათესების მოსავლიანობისა და ინტენსივობის ზრდის ხარჯზე და არა ფერმერული მეურნეობების ფართობების გადიდების ხარჯზე, იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს დიდძალი დაუმუშავებელი მიწის რესურსები, რომლებიც ვარგისია დასამუშავებლად, განსაკუთრებით აფრიკაში სახარის ჩრდილოეთით და ლათინურ ამერიკაში“. დაბოლოს, დიუფის აზრით – „იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობას შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი შიმშილთან და სიღარიბესთან ბრძოლაში, მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, იგი მარტო ვერ შეძლებს გამოკვების მსოფლიოს სწრაფად მზარდი მოსახლეობა“. ამავე ორგანიზაციის საპროგნოზო მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობა 2050 წლისათვის 6,7 მილიარდიდან გაიზრდება 9.1 მილიარდამდე, რაც დააყენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების 70%-ით გაზრდის მოთხოვნას.

ნაციონალურმა სასურსათო პოლიტიკამ, FAO-ს განმარტებით, უნდა მიაღწიოს თვითუზრუნველყოფის მაღალ ხარისხს, ვინაიდან მოხმარებული სასურსათო პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზეა დამოკიდებული ერის ჯანმრთელობა, ადამიანის შრომისუნარიანობა და ცხოვრების ხანგრძლივობა, მისი ინტელექტი.

სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმები შემდეგია:

1. მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მთელი მოცულობის 75-80% უნდა ინარმოებოდეს სამამულო საქონელმწარმოებლების მიერ;

2. მოსახლეობა უნდა მოიხმარდეს ბიოლოგიურად სრულფასოვან პროდუქტს, კალორიულობის რეკომენდირებული დონით – საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღელამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა, მოხმარების რაციონალური ნორმის მიხედვით, არანაკლებ 2500 კკალ. უნდა შეადგენდეს;

3. სასურსათო მარაგების შექმნა უნდა განხორციელდეს მთელი მოხმარებული პროდუქციის მოცულობის 20%-ის დონეზე.

პრაქტიკაში დამკვიდრებული ტენდენციის მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყველა ქვეყანამ უნდა გადაჭრას საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერისა და გარანტიების შექმნის პირობებში.

ყველა ქვეყანა ცდილობს წინასწარ დაიჭიროს თადარიგი და საგანგებო სიტუაციებს მომზადებული შეხვედეს, ანუ კრიზისულ სიტუაციებში მინიმალურ დონეზე მაინც შეინარჩუნოს სასურსათო უსაფრთხოება. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ პროდუქტებს, როგორცაა ხორბალი, ბოსტნეული და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოში მიმდინარე პროცესები. საქსტატის მონაცემებით, 2003 წელთან შედარებით ნათესი ფართობები, შემცირდა დაახლოებით ორჯერ, ხორბლის წარმოება შემცირდა ოთხჯერ, 2003 წელს ინარმოებოდა 225 ათასი ტონა ხორბალი, ხოლო 2010 წელს 54 ათას ტონამდე შემცირდა, კარტოფილის წარმოება შემცირდა ორჯერ, ხილისა 50%-ით, ყურძნის 30%-ით, ჩაის 5-ჯერ, ბოსტნეულის 2,5-ჯერ, სამაგიეროდ, კარტოფილის იმპორტი გაიზარდა იმავე სიდიდით, ბოსტნეულის იმპორტი კი 10-ჯერ, ხორცის იმპორტი 2-ჯერ და დღესდღეობით სასურსათო ბაზარზე ხორცის 60% იმპორტირებულია. მცენარეული ცხიმების მთლიან მოცულობაში 85% არის იმპორტირებული, რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანს ხორბალს, მის იმპორტზე 92%-ით ვართ დამოკიდებულნი. ზოგადად, მთელს სასურსათო პროდუქციაში იმპორტის წილი 76%-ია.

ასევე, ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უხარისხო და გენმოდირებული პროდუქცია, რის შემომწებასაც სახელმწიფო სრულყოფილად ვერ ახერხებს სურსათის უვნებლობის სამსახურის არაეფექტური მუშაობის შედეგად, რის გამოც როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქცია ხშირად ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშიც ხდება.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ“, რომელიც 2007 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ 2006 წლის დეკემბერში ამ

კანონის ზოგიერთი მთავარი მუხლების მოქმედება შეჩერდა, რის გამოც გაიზარდა ქართულ ბაზარზე უკონტროლო პროდუქციის არსებობის პერსპექტივა.

2004 წელს ევროპაში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც გენმოდიფიცირებულმა პროდუქტებმა ნიშანდება მიიღო და მოსახლეობას მიეცა არჩევანის საშუალება გენმოდიფიცირებულ და ნატურალურ პროდუქტს შორის, რაც ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით პრობლემად რჩება. საქართველოს მიმართ ევროკავშირის მოთხოვნა ბიოუსაფრთხოების შესახებ მარეგულირებელი კანონის არსებობას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც ის პროდუქტები, რომლებშიც 0,9%-ზე მეტი ხელოვნურად შეყვანილი გენია, აუცილებლად უნდა იქნენ მარკირებულნი.

გენმოდიფიცირებულ პროდუქტიაზე ნიშანდებას მოითხოვს ასევე „კარტახენას ოქმი“, იგი წარმოადგენს კონვენციას ბიოუსაფრთხოების შესახებ. ამ კონვენციასთან მიერთების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მოახდინა. ეს ოქმი მიღებულ იქნა ქალაქ მონრეალში 2000 წელს. მისი მიზანია ქვეყანაში და საბაჟოზე გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქციის გატანა-შემოტანის და მარკირების საკითხის რეგულირება. ამ ოქმის მიხედვით, ყველა იმ პროდუქტს, რომელიც შემოდის ქვეყანაში, თუ იგი გენური ინჟინერიით არის მიღებული, ეტიკეტზე აუცილებლად უნდა დატანილ იქნეს შესაბამისი აღნიშვნა. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს შეიმუშაონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენების ეროვნული სტრატეგია, გეგმები და პროგრამები, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. აღნიშნული ოქმი ჯერჯერობით ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს განსხვავებულ მიდგომას და უაღრესი სიფრთხილით უდგება ნებისმიერი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას. საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქციის გარდა, გენური ინჟინერიით შექმნილი სათესლე მასალაც შემოდის, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას. ცნობილია, რომ, თუ გენმოდიფიცირებული ორგანიზმი ერთხელ შევიდა ქვეყნის ტერიტორიაზე, ის დამტკვერვის შედეგად გადადის სხვა კულტურებზე.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში არ არის კანონმდებლობა, რომელიც მენარმეს პროდუქციის შემოწმებას აიძულებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცხადებულია, რომ პროდუქტიაზე გენმოდიფიცირების აღნიშვნა იყოს მოთავსებული, მაგრამ არ არსებობს პროდუქციის შემოწმების სავალდებულობა. ქვეყანაში არ არსებობს მექანიზმი უზარისხო და გენური ინჟინერიით მოყვანილი პროდუქტებისაგან თავდასაცავად, ეს ფაქტი კი მსგავსი პროდუქციის არალეგალური იმპორტის რისკს გაცილებით ზრდის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იძულებულია, რაც შეიძლება იაფი პროდუქტი შეიძინოს, ხოლო იაფი პროდუქტების შეძენის გარდაუვალობა ქმნის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტების იმპორტირების წინაპირობას, რასაც ჩვენს სასურსათო ბაზარზე დაფიქსირებული ფაქტებიც ადასტურებენ. საქართველოში უზარისხო და გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტის დიდი წილი თურქეთსა და რუსეთზე მოდის.

ცნობილია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში გასული საუკუნის 90-იან წლებში გატარებულმა რეფორმამ დიდი ზიანი მიაყენა აგრარულ სფეროს, გარდაქმნები განხორციელდა მუდმივად ცვლადი და ურთიერთსაწინააღმდეგო კანონმდებლობისა და ფასების სტიქიური ლიბერალიზაციის პირობებში. ძირითად ამოცანად დაყენებული იყო არა რაიმეს ახლის შექმნა, არამედ ძველის დანგრევა. ყოველივე ამან 21-ე საუკუნის დასაწყისში წარმოშვა მრავალი პრობლემა: დიდი ფართობები გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან; მიწებმა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ და გადამამუშავებელმა სექტორმა განიცადა დეგრადაცია და სხვ.

ჯერ კიდევ მიმდინარეობს დარგის სანარმოო ძალების ნგრევა. ამ სფეროში ინვესტიციების მოცულობა მიზერულია და არ შეესაბამება დარგში შექმნილ სიტუაციას. ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტი შეადგენს მხოლოდ 3%-ს. მკვეთრად გაიზარდა მათი ცვეთის ხარისხი, მატერიალურ-ტექნიკურმა რესურსებმა გამოიმუშავეს თავიანთი საამორტიზაციო ნორმატიული ვადის 75-80%. ფერმერებს გააჩნიათ მცირე მინის ფართობები, აუცილებელია მათი გაერთიანება კოოპერატივებსა და ამხანაგობებში, რაშიც მათ დახმარება სახელმწიფომ უნდა გაუწიოს, პირველ რიგში სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნითა და სოფლად საკონსულტაციო ბიუროების ჩამოყალიბებით. საჩქაროდაა მისაღები კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომელიც სტიმულს მისცემს წვრილ სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლებს გაერთიანდნენ და აწარმოონ უფრო მეტი და კარგი ხარისხის პროდუქტია.

სოფლად წარმოების მკვეთრ ვარდნასთან ერთად მიმდინარეობს მოსახლეობის მკვეთრი შემცირება, უკვე წარმოშვა სოფლები, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც 1-დან 5 მოსახლემდეა დარჩენილი, ხოლო ზამთრის პერიოდში კი საერთოდ არავინ ცხოვრობს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საზღვრისპირა რეგიონებში, მათი დაცლით საქართველო აღმოჩნდება

დიდი საფრთხის, მცოცავი ანექსიის წინაშე. აგრარულ სფეროში კრიზისული მასშტაბებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დახმარების გარეშე.

კრიზისიდან გამოსვლისათვის საქართველოს აგრარულ სფეროში უცხოელი დონორების დახმარებით ხორციელდება მრავალი პროგრამა, მაგალითად ისეთები, როგორებიცაა: ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტი, ბრიტანეთის გლობალური პროგრამის განვითარების პროექტი, შვედურ-ქართული ერთობლივი პროექტი "Swedfund International AB" და მრავალი სხვა. ამ პროექტების განხორციელების მიუხედავად ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა საკმაოდ საავალალოა, ვინაიდან არ არსებობს აგრარულ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, არ არის შემუშავებული სფეროს განვითარების ძირითადი მიმართულებები, კანონმდებლობა არასრულია და მოითხოვს დახვეწას. საქართველოს ეკონომიკაში კაპიტალისტური ტენდენციების დანერგვამ გამოიწვია თითქმის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების კერძო სექტორში გადასვლა. ამ მიმართულებითაც აუცილებელია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოებში სახელმწიფო დახმარების პროგრამების შემუშავება და მისი თანმიმდევრული განხორციელება.

საქართველოსთან მიმართებაში ნათელია, რომ წარმატების მიღწევა აგრარულ სფეროში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დახმარებისა და რეგულირების, ასევე აგრარული პოლიტიკის ღონისძიებებში მხედველობაში მიიღებენ სოფლის მოსახლეობაში ათწლეულობით ჩამოყალიბებულ ფასეულობებს, მათი ცალკეული ჯგუფების ქცევის მოდელებს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და ეროვნულ თავისებურებებს.

განვითარებულ ქვეყნებს ესმით, რომ წარმოების სპეციფიკური პირობების გამო სოფლის მეურნეობა არაკონკურენტუნარიანია ეკონომიკის სხვა სფეროებთან შედარებით და ამიტომაც გამოყოფენ სოლიდურ სახელმწიფო დახმარებას ამ დარგის გამართული ფუნქციონირებისათვის. მაგალითად, ევროპაში, ხარჯები განუვლი ფერმერების მხარდასაჭერად შეადგენს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების 40%-ს, ხოლო 1 ჰა სახნავზე გაანგარიშებით ნორვეგიაში ფერმერი სუბსიდიის სახით იღებს 3,5 ათას დოლარს.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები ხელისუფლებამაც უნდა გაითავისოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვინაიდან ქვეყნის იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულების ნებისმიერი ფორმა, განსაკუთრებით სასურსათო დამოკიდებულება, უქმნის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასა და მის სუვერენიტეტს საფრთხეს. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფა არის გლობალური ეროვნული პრობლემა, იგი ზემოქმედებს ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების მრავალ ასპექტზე და ასევე მომავალი თაობების აღწარმოებაზე.

ამრიგად, ქვეყნის აგრარული სექტორი განიცდის თავისი ისტორიის ერთ-ერთ ძნელ პერიოდს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სასურსათო დამოკიდებულების გაღრმავება ასუსტებს ნაციონალურ უსაფრთხოებას, ზრდის შიდა ბაზრის დაპყრობის საშიშროებას უცხოელი საქონელმწარმოებლების მიერ. ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს შექმნილი მდგომარეობის სიმძიმე და გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები, რათა შეაჩეროს სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგის საბოლოოდ დანგრევა, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება როგორც დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტა, ასევე ქვეყნის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა. ჩვენი აზრით, აუცილებელია მიღებულ იქნეს ცალკე კანონი „სასურსათო უსაფრთხოების“ შესახებ, რომლის მდგომარეობა დამოკიდებულია, პირველ რიგში, აგროსანარმოო კომპლექსისა და მთლიანად სასურსათო მეურნეობის განვითარების დონეზე. ქვეყანაში უნდა შეიქმნას პირობები მისი გარე ზემოქმედებებისაგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტების წარმოების გარანტირებულ დონეს.

პირველ ნაბიჯს ამ გზაზე წარმოადგენდა 2005 წელს მიღებული კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის“ შესახებ, რომლის ზოგიერთი ძირითადი დებულებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერაც არ ამოქმედებულა. ასევე 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელშიც არ არის გაშუქებული სასურსათო უშიშროების საკითხები და ასევე არ არის ჩამოყალიბებული ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, ის, რომ საქართველოს აგროსასურსათო სექტორმა უნდა უზრუნველყოს ქართველი ხალხის სასურსათო დამოუკიდებლობა. სპეციალისტების აზრით, საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისა, რომ მან 80-90% სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა შეძლოს, რომლის ბიოპოტენციალი აბსოლუტურად საკმარისია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად.

21-ე საუკუნემ პასუხი უნდა გასცეს უმნიშვნელოვანეს გლობალურ პრობლემებს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იქნება, შეძლებენ თუ არა სახელმწიფოები მოსახლეობის სასურსათო

პროდუქტებით დაკმაყოფილებას. საზოგადოდ დღესდღეობით მსოფლიოში შეიქმნა ვითარება, რომ ვინც ფლობს სურსათს, ის ბატონობს პოლიტიკაში. მაგალითად, რომის 1996 წლის დეკლარაციაში სიტყვასიტყვით ჩაინერა, რომ სურსათის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება აკრძალულია.

კაცობრიობა სერიოზულად დგას სასურსათო პრობლემების წინაშე, პროგნოზები კი ძალიან მძიმეა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით 2050 წლისათვის კაცობრიობა 9-10 მილიარდი იქნება, მაგრამ დედამიწის ბიოპოტენციალი გაცილებით მეტია, მას დაახლოებით 35 მილიარდი ადამიანის გამოკვება შეუძლია. ამ საკითხს გადაწყვეტას კი უსერიოზულესი მუშაობა ესაჭიროება, რაშიც სწორედ განვითარებულმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომ ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში მოხდეს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა. არ მოხდეს ისე, რომ რამდენიმე ქვეყანაზე, რამდენიმე ტრანსნაციონალურ კომპანიაზე იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნები. მაგალითად, როგორც ეს ხდება მარცვლეულის თესლთან მიმართებაში. როდესაც ჰიბრიდული თესლი ინერგება მსოფლიოში და ორი-სამი წელია საქართველოშიც შემოვიდა, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ჩვენი ადგილობრივი ჯიშები არათუ შენარჩუნებულ იქნენ, არამედ გაუმჯობესებულნიც, რასაც გაცილებით უკეთესი შედეგის მოტანა შეუძლია, ვიდრე ჰიბრიდულ თესლს.

FAO-ს ექსპერტების აზრით, რეალობა ასეთია: სურსათის წარმოება უახლოეს წლებში შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს წყლის განაწილებაზე კონტროლის სისტემაში სისტემატური ინვესტირების გზით. მიზეზი ისაა, რომ მტკნარი წყლის 70% სოფლის მეურნეობის საჭიროებებზე იხარჯება, რის გამოც საჭირო ხდება უკვე წყლის რესურსების შეზღუდვა. წყლის რესურსებისათვის იბრძვის ეკონომიკის სხვა დარგებიც. ამიტომ სოფლის მეურნეობა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა – მან უნდა აწარმოოს უკეთესი ხარისხისა და რაოდენობრივად უფრო მეტი სურსათი ნაკლები წყლის გამოყენებით, ამასთან, ეკოლოგიისათვის ზიანის მიუყენებლად. უმრავლეს განვითარებად ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია მხოლოდ სოფლის მეურნეობის გაძლიერებით. აგრარული წარმოების გაზრდისათვის საჭიროა განხორციელდეს კერძო და სახელმწიფო კაპიტალდაბანდება ინფრასტრუქტურაში, ტექნოლოგიებში, წყლით სარგებლობის სისტემაში და სხვ. FAO-ს სპეციალისტების აზრით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდის ერთ-ერთი საუკეთესო პირობაა წყლით მომარაგების სისტემის გაუმჯობესება.

ამრიგად, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისათვის საშიშროება გამომდინარეობს სისტემური კრიზისიდან, რომელშიც აღმოჩნდა ეროვნული სოფლის მეურნეობა. გლობალიზაციის პროცესების განვითარება მოითხოვს საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქციით დაკმაყოფილების დონის ამაღლებისათვის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის მოსახლეობა სრულფასოვანი და ჯანსაღი საკვებით.

TAMAR DUDAURI

Caucasus International University
Academic Doctor of Economics

BASIC ASPECTS OF FOOD SECURITY IN GEORGIA

S u m m a r y

The article considers basic aspects of food security in Georgia, analyzes the world experience existing in the field of raising food security as well as views of international experts who work on the global problems of food security and on ways of overcoming them. In the near future, it will be problematic to guarantee the balance between food demand and supply on a world scale.

The presented work deals with: the problems connected with providing food security in Georgia; the gaps existing in the corresponding legislative base and food potential possibilities in Georgia. It is clearly shown that, is impossible to provide food security of the country without the development of sustainable agriculture. On the basis of analysis of world experience and statistic data appropriate conclusions are drawn, and useful suggestions are made for solving the above-mentioned problems. The role of the government in supporting the country's agro sector and regulating food security is particularly emphasized.

საქართველოს აგროპოტენციალი და ბუნებრივი რისკები

საქართველო უძველესი და ტრადიციული აგრარული სახელმწიფოა. მიუხედავად სოფლის მეურნეობის განვითარების უზარმაზარი პოტენციალისა, ჩვენი ქვეყნის იმპორტში არსებითი ნაწილი კვების პროდუქტებს უკავია. სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანწილად დაკარგა კვების და მსუბუქი მრეწველობის სანედლეულო ბაზის ფუნქცია, რაც მიწის ფონდის და შრომითი რესურსების განაწილებაზე, საბოლოო ჯამში კი მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზეც აისახება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები. ამ უკანასკნელთა შორისაა ქვეყნის აგროპოტენციალისა და ბუნებრივი პროცესების გაუთვალისწინებლობა, რაც ზრდის სამეურნეო განვითარების რისკებს და საქართველოს სასურსათო ბაზრის დამოკიდებულებას იმპორტირებულ პროდუქციაზე.

საქართველოს აგროპოტენციალი

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში განიხილავდა საქართველოს ბუნებრივ და აგროპოტენციალს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ზონალურ სპეციალიზაციას გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი და ეთნოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. იგი საქართველოს ტერიტორიას ხუთ ზონად ჰყოფდა. ესენია: თურინჯ-ნარინჯ-ზეთისხილიანი, ბრინჯ-ბამბიანი, ვენახოვან-ხეხილიანი, ხეხილიანი და უვენახ-ხილო. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის აგროპოტენციალის მიხედვით ზონებად დაყოფა მთლიანად ემთხვევა საქართველოს თანამედროვე აგროკლიმატური რესურსების გეოგრაფიას.

ამჟამად საქართველოში გამოიყოფა **5 ძირითადი აგროკლიმატური ზონა**, რომლებიც ერთმანეთისგან აქტიურ ტემპერატურათა ჯამით (10⁰-ზე მაღალი ტემპერატურების წლიური კრებადობა), ნალექების რაოდენობით, სიმშრალის ინდექსით, ყინვიან დღეთა რიცხვით, ექსტრემალურ ამინდთა ტიპებით და სხვა აგროკლიმატური მაჩვენებლებით განსხვავდებიან.

I აგროკლიმატური ზონა მოიცავს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, კოლხეთის დაბლობს, ალაზნის ველის და ქვემო ქართლის ვაკის ნაწილს. იგი ხასიათდება ჰაერის საკმაოდ დიდი ტენიანობით (80-85% და მეტი), აქტიურ ტემპერატურათა ჯამის (4200-4600⁰), სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების (500-1500 მმ), ჰიდროთერმული კოეფიციენტის (1.5-4.0), უყინვო პერიოდის (წლის 60-80%) მაღალი მაჩვენებლებით. აგროკლიმატური ზონის ფარგლებში კარგად ვითარდება სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები, კივი, ასევე ვაზი, მარცვლეული, ხეხილოვანი, ბოსტნეული და სხვა კულტურები.

II აგროკლიმატური ზონა მოიცავს დასავლეთ საქართველოს მთისწინებს და აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორისი ბარის ძირითად ნაწილს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 3000-4000⁰. სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 800-1200 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 400-600 მმ. ჰიდროთერმული კოეფიციენტი მერყეობს 3.5-დან (დასავლეთ საქართველო) 1.0-მდე (აღმოსავლეთ საქართველო). უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა წლის მანძილზე საშუალოდ 70%-ია. ზონის ფარგლებში განვითარებულია მემარცვლეობა (საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, სიმინდი), მეხილეობა, მევენახეობა, მეკარტოფილეობა, მებალჩეობა და სხვა.

III აგროკლიმატური ზონა მოიცავს საქართველოს დაბალი და საშუალო მთების ნაწილს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000-3000⁰, სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 400-1200 მმ-ია, ჰიდროთერმული კოეფიციენტი კი 2.0-3.0. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ წლიურის 50-60% შეადგენს. ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან შესაძლებელია მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, სიმინდი), კარტოფილის, ბოსტნეულის და ზოგიერთი ხეხილოვანი კულტურის წარმოება.

IV აგროკლიმატური ზონა ვრცელდება საქართველოს საშუალო მთებში და სამხრეთ საქართველოს ვულკანურ პლატოებზე. ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000⁰-ზე ნაკლებს, სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების ჯამი 160-170 მმ-ია, ჰიდროთერმული კოეფიციენტი კი 2.5-3.0. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ წელიწადში 40% შეადგენს. ზონაში შესაძლებელია: ქერის, შვრიის, კარტოფილის, ბოსტნეული და კენკროვანი კულტურების წარმოება.

V აგროკლიმატური ზონა მოიცავს მაღალ მთებს და წარმოდგენილია მთელ საქართველოში. ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 1000-1100⁰. სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების 200-370 მმ-ია. ჰიდროთერმული კოეფიციენტი მერყეობს 2.5-3.5 ფარგლებში. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ წელიწადში 20-30%-ია. ზონაში თითქმის შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. არსებული კლიმატური რესურსები საშუალებას იძლევა განვითარდეს: შვრიის, ქერის, ზოგიერთი ბოსტნეული, კენკროვანი კულტურების და საადრეო კარტოფილის ჯიშების წარმოება.

ამგვარად, საქართველოს აგროკლიმატური პოტენციალი თითქმის ყველა კულტურული მცენარის ზრდა-განვითარების საშუალებას იძლევა, რაც კი დამახასიათებელია **მსოფლიოს** სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლისთვის. მიუხედავად ამისა, თითქმის არ ხორციელდება ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალის სრულფასოვანი შეფასება და კულტურულ მცენარეთა გავრცელების რევიზია, რაც სუბიექტურ და მიუღებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს ბუნებრივი პოტენციალის შეფასება, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, სასურველია ლანდშაფტური მიდგომის საფუძველზე განხორციელდეს. **ლანდშაფტი** ის ბუნებრივი წარმონაქმნია, რომელსაც ახასიათებს ერთგვაროვანი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, ჰავა, ნიადაგურ-მცენარეული საფარი და განვითარების თავისებურებანი. ლანდშაფტი ზემოაღნიშნული კომპონენტების მჭიდრო ურთიერთკავშირის მეშვეობით ფუნქციონირებს. ერთი კომპონენტის ცვლა იწვევს ლანდშაფტური ურთიერთკავშირების და საბოლოო ჯამში – ლანდშაფტის სტრუქტურის დეგრადაციას ან ცვლას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სხვა ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, ბუნებრივი ლანდშაფტები გარდაიქმნება აგრო (ბუნებრივ-ანთროპოგენულ) ლანდშაფტებად, თუმცა მათი სტრუქტურა და ფუნქციონირება ძირითადად მაინც განპირობებულია ბუნებრივი მოვლენებით და პროცესებით.

ლანდშაფტის პოტენციალი შესაძლებელია იყოს: 1. ბუნებრივ-რესურსული, 2. ეკოლოგიური, 3. სელიტებური, 4. რეკრეაციული და სხვა. თავის მხრივ, ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალში შესაძლებელია გაერთიანდეს: სასოფლო-სამეურნეო, ბიოლოგიური, წყლის, მინერალური, ენერგეტიკული და ამგვარი რესურსების ლანდშაფტის მიერ კვლავწარმოების საშუალება; 3. ეკოლოგიურში – ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების, ლანდშაფტის მიერ თვითმწმენდის, გენოფონდისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვისება; სელიტებურში – განსახლება, კომუნიკაცია, სამრეწველო ობიექტთა მშენებლობის ეკოლოგიური საიმედოობა; რეკრეაციულში – ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტთა სიმრავლე, მაღალესთეტიკური, ბალნეოლოგიური თუ გამაჯანსაღებელი პოტენციალის მქონე გეოსისტემების არსებობა.

ლანდშაფტს შესაძლებელია ჰქონდეს როგორც **ერთგვაროვანი, ასევე მრავალგვაროვანი** პოტენციალი, რომელიც მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური და გამოყენებითი (დანიშნულებითი) თვისებებიდან გამომდინარეობს. პოტენციალის ცვალებადობას ლანდშაფტის სეზონური და ეთოლოგიური თავისებურებანიც განაპირობებს, რაც მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური მდგომარეობების დინამიკას უკავშირდება. მაგალითად, მაღალი მთის სუბალპური და ალპური ლანდშაფტები ზამთარში რეკრეაციული, ხოლო ზაფხულში რესურსული პოტენციალის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. უმეტეს შემთხვევაში ლანდშაფტი ერთდროულად სხვადასხვაგვარ პოტენციალს ფლობს. მაგალითად, ქ. თბილისის მიდამოებში წარმოდგენილი საშუალო მთის ტყის ლანდშაფტები რესურსული, ეკოლოგიური და რეკრეაციული პოტენციალის მქონეა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ლანდშაფტთა პოტენციალის როგორც თვისებრივი (ხარისხობრივი), ასევე სივრცედროითი ცვალებადობის შესწავლა და კლასიფიკაცია.

ხშირად ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსულ, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს ლანდშაფტის პროდუქტიულობასთან აიგივებენ, რაშიც მის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში ნივთიერებისა და ენერჯის კვლავწარმოების უნარი იგულისხმება. უფრო მეტიც, ლანდშაფტთა პოტენციალის შენარჩუნება ან ამალღება მისი პროდუქტიულობის შენარჩუნებასა და ზრდასთანაა გაიგივებული. ამგვარი თვალსაზრისი გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ლანდშაფტი და მისი პოტენციალი მხოლოდ საზოგადოების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის იქნება განკუთვნილი. თუმცა, ლანდშაფტის სხვაგვარი თვისებებისა და პოტენციალის გაუთვალისწინებლობა სამეურნეო და სოციალური განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება წარმოჩნდეს.

ლანდშაფტთა სასოფლო-სამეურნეო პოტენციალში იგულისხმება მისი უნარი, აწარმოოს სხვადასხვა სახის მემცენარეობის პროდუქცია. ამგვარი უნარის გამოსავლენად საჭიროა: რელიეფის მორფოსტრუქტურული და ჰიდრომეტრიული ანალიზი, გეოდინამიური პროცესების ინტენსიობის, აგროკლიმა-

ტური რესურსების, წყლის ზედაპირული ჩამონადენის, ნიადაგის ნაყოფიერებისა და სტრუქტურული თავისებურებების, ლანდშაფტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურის, მისი შემადგენელი ბუნებრივი კომპონენტების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების კომპლექსური ანალიზი.

საქართველოს ლანდშაფტების თანამედროვე მდგომარეობა

ძირეული სახეცვლილება საქართველოს ლანდშაფტებმა XX საუკუნის მანძილზე განიცადა. დაშრობილი და სარწყავი მიწების ფართობმა, რომლებიც ჩართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ნახევარ მილიონ ჰექტარს გადააჭარბა (საქართველოს ტერიტორიის თითქმის 8%), სახნავ-სათესი და მრავალწლიანი ნარგაობა წარმოდგენილია ტერიტორიის 11,5%-ზე, სელიტური ტერიტორიებით, სამრეწველო ობიექტებითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით დაკავებულია 3%. თუ ზემოაღნიშნულ ტრანსფორმაციას განვიხილავთ მათათმორისი ბარის ფარგლებში, აღმოჩნდება, რომ მისი 2/3 პრაქტიკულად **მთლიანად ან ძლიერ გარდაქმნილ** ლანდშაფტებს უკავია.

ამაჟამად საქართველოში აქტიურ სამეურნეო ზემოქმედებას განიცდის ტერიტორიის 3/4-ზე მეტი. დანარჩენ ფართობებზე აღინიშნება პასიური ან უმნიშვნელო ანთროპოგენური ზემოქმედება, რომელთაგან აღსანიშნავია: მაღალმთიანი დაუსახლებელი ტერიტორიები – 10%, დაცული ტერიტორიები – 4%, ჭაობები, – 3%, მიუდგომელი ადგილები (ხელთუქმნელი გეოსისტემები) – 6%, ბედლენდებით და წყალსატევებით წარმოდგენილი ტერიტორიები – 0,5%.

ლანდშაფტებზე ზემოქმედება ინტენსიურია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას, თუმცა იგი **პერიოდულ** ხასიათს ატარებს. მიუხედავად პერიოდულობისა, აგროტექნიკური ზემოქმედება იმდენად არსებითია, რომ აგროლანდშაფტთა სტრუქტურა და ფუნქციონირება მთლიანადაა დამოკიდებული ამგვარ ზემოქმედებათა მიზანმიმართულებაზე. აქ აგროტექნოგენური ზემოქმედება მიმართულია სასურველი კულტურული მცენარის მდგრადი განვითარების და ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის. დადგენილია რომ, რაც უფრო ნაკლებად შეესაბამება აგროკულტურა ლანდშაფტის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მახასიათებლებს, მით უფრო არარენტაბელურია წარმოება.

აგროლანდშაფტთა უმეტესობა **შერეული ტიპის** – ბუნებრივ და ანთროპოგენულ ზემოქმედებას განიცდის. ბუნებრივი ზემოქმედება ძირითადად ექსტრემალურ და კატასტროფულ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ისინი შეიძლება იყოს ეგზოგენური და ენდოგენური. ეგზოგენურია: კლიმატოგენური (გრიგალი, სეტყვა, გვალვა, ყინვა, ქარი და სხვ.), ჰიდროგენური (წყალდიდობა, მენყერი, დაჭაობება, წყლისმიერი ეროზია, ზვავი და სხვ.), ბიოგენური (მავნებლების გამრავლება, მცენარეთა ავადმყოფობა, ტყის ხანძრები და სხვ.), ლითოგენური (გამოფიტვა, გრავიგენული ნაკადები და სხვ.). ენდოგენური ზემოქმედებიდან საქართველოში მინისძვრები და რელიეფწარმოქმნელი პროცესებია აღსანიშნავი.

ბუნებრივი ზემოქმედების ესა თუ ის ფორმა ხშირად მეორე სახის მოვლენის განვითარებას უწყობს ხელს. მინისძვრები, რომლებიც ძირითადად საშუალო და მაღალი მთებისთვისაა დამახასიათებელი, ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ჰიდროგენული ან გრავიგენული მოვლენის გააქტიურებას უწყობს ხელს. ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები ხელს უწყობს ან პროვოცირებას უკეთეს ეროზიას, გაუდაბნობას, დამლაშებას, დაჭაობებას, ფიტოგენურ გაღარიბებას და ისეთ უარყოფით პროცესებს, რომლებიც მყისიერად აისახება ლანდშაფტის პოტენციალზე.

ბუნებრივი რისკები

დადგენილია, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე აღინიშნება ჰაერის ტემპერატურის საშუალოწლიური მაჩვენებლების ზრდა. შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევა ნალექების რაოდენობის დინამიკა. ამ შემთხვევაში აღინიშნება მისი წლიური კლების ტენდენცია: დასავლეთ საქართველოში 27 მმ-ით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 41 მმ-ით. კლიმატური პროგნოზებით, ჰაერის მახასიათებლების გლობალური ცვლილების ფონზე, **2100 წლისთვის** მოსალოდნელია, რომ: ა) დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალოწლიური ტემპერატურა გაიზრდება 3.5°C-ით (ანუ 38%-ით). ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელია ზამთარში და გაზაფხულზე. ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა დაიკლებს 70 მმ-ით (9.4%). მისი კლება მაქსიმალური იქნება ზაფხულსა და გაზაფხულზე (25-15%-ით), ხოლო ზამთარში მოიმატებს 25%-ით. ბ) აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალოწლიური ტემპერატურა გაიზრდება 4.1°C-ით (ანუ 26%-ით). ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება მოსალოდნელია ზამთარში და გაზაფხულზე. ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა დაიკლებს 83 მმ-ით (8.5%). ნალექების კლება მაქსიმალური იქნება ზაფხულსა და გაზაფხულზე. გასაგებია, რომ 2100 წლისთვის კლიმატის ცვლილების ტენდენციები ყველაზე თვალსაჩინო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ლანდშაფტებისთვის გახდება. აქ ამაჟამად საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ანუ 2 მილიონი მცხოვრებია. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა შიდა ქარ-

თლის ვაკე, ქვემო ქართლის ვაკე და კახეთის გორაკ-ბორცვიანი ნაწილი. **საქართველოს ის ლანდშაფტები**, რომლებზეც მაქსიმალურად უარყოფითად აისახება გლობალური დათბობის შედეგები, შემდეგია:

1. ქვემო ქართლის ვაკის ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტები. ფართობი 370 კმ², ნალექების თანამედროვე რაოდენობა შეადგენს 400 მმ, მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 500 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე ემუქრება გაუდაბნოება;

2. შიდა ქართლის ვაკის სტეპური ლანდშაფტები. ფართობი 560 კმ², ნალექების თანამედროვე რაოდენობა შეადგენს 500 მმ, მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 150 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე გადაიქცევა ნახევრად უდაბნოდ;

3. ივრის ზეგანის სტეპური ლანდშაფტები. ფართობი 1140 კმ², ნალექების თანამედროვე რაოდენობა შეადგენს 550 მმ, მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 50 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე გადაიქცევა ნახევრად უდაბნოდ;

4. ივრის ზეგანის უკიდურესი სამხრეთი ნაწილის სტეპური ლანდშაფტები. ფართობი 170 კმ², ნალექების თანამედროვე რაოდენობა შეადგენს 400 მმ, მუდმივი და სეზონური მოსახლეობის რაოდენობა აღწევს 5 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე გადაიქცევა ნახევრად უდაბნოდ;

5. საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტები. ფართობი 90 კმ², ნალექების თანამედროვე რაოდენობა შეადგენს 350, მუდმივი მოსახლეობა არაა. გადაიქცევა უდაბნოდ.

ამგვარად, კლიმატის გლობალური დათბობის და მისი მოსალოდნელი შედეგების მიხედვით, ლანდშაფტების შეცვლის, დეგრადაციის და **გაუდაბნოების** პრობლემა ემუქრება საქართველოს ტერიტორიის თითქმის 3.5% ანუ 2330 კმ²-ს. ამგვარი პროცესებისთვის აუცილებელი გახდება პრევენციული ქმედებების განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებითად შეიცვლება სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაცია, ეკოლოგიურ მიგრანტად იქცევა 700 ათასზე მეტი ადამიანი, რაც თანამედროვე საქართველოს მოსახლეობის 16% შეადგენს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვან ბუნებრივ-ანთროპოგენული ხასიათის რისკს წარმოადგენს **ნიადაგების დეგრადაცია**, რაც ძირითადად წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას უკავშირდება. დადგენილია, რომ ამჟამად სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, დეგრადირებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების 1/3-ზე მეტი. წყლისმიერი ეროზიის მასშტაბები 10-ჯერ აღემატება ქარისმიერ ეროზიას და 1 მლნ ჰა-ს აღწევს.

ეროზია არაერთ **გეოგრაფიულ ფაქტორს** უკავშირდება, რომელთაგან არსებითია: რელიეფის დახრილობა, გეოლოგიური აგებულება, ფერდობების ექსპოზიცია, ნალექების ხასიათი და განაწილება, ლანდშაფტის ბუნებრივი რეჟიმი, ტერიტორიის გეოდინამიური და სეისმური აქტივობა, მცენარეული საფარის თავისებურებანი, ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა და სხვ. ამგვარ მრავალფეროვნებას ემატება ადამიანის გაუაზრებელი სამეურნეო საქმიანობის შედეგები, რაც ძირითადად ბუნებრივი მცენარეულობის განადგურებას უკავშირდება.

ეროზიული პროცესების ინტენსიობის მიხედვით **საქართველოს ტერიტორია** შეიძლება დაიყოს შემდეგ ერთეულებად:

- კოლხეთის დაბლობის ლანდშაფტები – ხასიათდება სუსტად განვითარებული ეროზიული პროცესებით, რომლებშიც ჭარბობს მდინარეთა კალაპოტების გვერდითი ეროზია;
- დასავლეთ საქართველოს ვაკის, გორაკ-ბორცვების და მთის ქვაბულების ლანდშაფტები – ხასიათდება ინტენსიური წყლისმიერი ეროზიით;
- აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის, გორაკ-ბორცვებისა და მთის ქვაბულების ლანდშაფტები – ხასიათდება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიით;
- აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის, გორაკ-ბორცვებისა და ზეგნების ლანდშაფტები – ხასიათდება ძირითადად ქარისმიერი ეროზიით, წყლისმიერი ეროზიის მონაწილეობით;
- საშუალო მთის ლანდშაფტები – ხასიათდება ძირითადად წყლისმიერი და ხაზობრივი ეროზიის ინტენსიური პროცესებით.
- მაღალი მთის ლანდშაფტები – ხასიათდება ნიადაგის ინტენსიური ზედაპირული გადარეცხვით, სუსტი ხაზობრივი ეროზიით.

ნიადაგების დეგრადაცია და ნაყოფიერების დაკარგვა ასევე უკავშირდება დაჭაობების ბუნებრივ და დამლაშების ანთროპოგენულ პროცესს. დადგენილია, საქართველოში დამლაშებულია 110 ათასამდე ჰა ნიადაგი, რაც ინტენსიური რწყვის შედეგია. დაჭაობებას განიცდის დასავლეთ და

სამხრეთ საქართველოს 200 ათასამდე ჰა ნიადაგი, რაც ტერიტორიის დაძირვის და ტბების ბუნებრივი ევტროფიკაციის შედეგია.

საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის **თანამედროვე ბუნებრივ რისკებს** სასურველია მივაკუთვნოთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვა პროცესებიც, რომელთაგან ამჟამად თვალსაჩინოა: მყინვარების ინტენსიური დნობა, წყლის რესურსების რაოდენობის შემცირების ტენდენცია, თოვლის საფარის ხანგრძლივობისა და სიმძლავრის გეოგრაფიის თავისებურებანი, წყალდიდობების და წყალმოვარდნების ინტენსივობის ზრდა, ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია. ამგვარი პროცესების პროგნოზირებაზე ინტენსიურად მუშაობს ქართული გეოგრაფიული სკოლის არაერთი წარმომადგენელი, რომელთა შედეგებიც ინტერესმოკლებული არ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

თანამედროვეობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას **ახალ გამოწვევებს** უყენებს. დღის წესრიგში დგება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციის რევიზიის, ტრადიციული აგროკულტურების (ბრინჯის, ბამბის) წარმოების აღდგენის ან მიტოვებული ტერიტორიების (რაჭა, ხევსურეთი, ხევი) სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა, არამედ ევროპული გამოცდილების – **ლანდშაფტური მინათმოქმედების და დაგეგმარების** გამოცდილების და მეთოდოლოგიის დანერგვის აუცილებლობა. ამგვარი მეთოდოლოგია გულისხმობს ყველა სავარგულისთვის შენარჩუნების, განვითარების ან გაუმჯობესების დიფერენცირებული პროგრამის შემუშავებას, რაც დაფუძნებული იქნება მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებზე. ამჟამად ლანდშაფტური მეთოდოლოგია უკვე გამყარებულია „ევროპის ლანდშაფტური კონვენციით“ (ფლორენცია, 2000), რომელსაც საქართველო 2011 წლის იანვარში მიუერთდა.

NODAR ELIZBARASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Full Professor

AGRO POTENTIAL OF GEORGIA AND NATURAL RISKS

S u m m a r y

The development of agriculture in Georgia is much hampered by subjective as well as objective factors, one of which is the failure to consider the agropotential and natural processes of the country, which increases the economic risks and dependence of Georgian food market on the imported goods.

The article considers the natural risks necessary to consider in the development of agriculture. They include the trends of the global climatic change, geographic peculiarities of desertation and depopulation, scales of the soil degradation, tendency towards the reduction of water resources, geodynamic activity, increased intensity of catastrophic natural phenomena, etc.

**ლ. აპრიკაშვილი, თ. კორაძია, მ. ზაუტაშვილი,
ნ. ზირცხალავა, მ. კახანია, თ. ანდრონიკაშვილი**

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

**ცეოლითების გავლენა სასოფლო-სამეურნეო
კულტურების ბიოპროდუქტიულობაზე**

მსოფლიოში მოსახლეობის ზრდისა და სოფლის მეურნეობისათვის გამოსაყენებელი ფართობის შემცირების ფონზე, კაცობრიობის საკვები პროდუქტებით მომარაგების პრობლემა სულ უფრო რთული და აქტუალური ხდება.

ამიტომ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება შედარებით ნაკლები დანახარჯებით და ეკოლოგიურად უსაფრთხო საკვების მიღება [1].

ეკოსფეროში, ანუ ადამიანის საცხოვრებელ ბუნებრივ გარემოში ნიადაგს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება იმდენად, რამდენადაც სწორედ ნიადაგი განაპირობებს მის მიერ მიღებული საკვების ძირითად მასას.

ამერიკელი მეცნიერები ნიადაგის ჯანმრთელობას განსაზღვრავენ, როგორც „მის უნარს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირებდეს მინისზედა ეკოსისტემის კომპონენტის რანგში და ამავე დროს შეინარჩუნოს ნიადაგის ბიოპროდუქტიულობა, ნყლისა და ჰაერის ხარისხი, აგრეთვე მცენარის, ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობა“ [2].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მთელ შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას: კლიმატურ ზონებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, ამინდის ექსტრემალური მოვლენებისაგან დაუცველობა, დაბალი პროდუქტიულობა.

ამ თვალსაზრისით ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება თანამედროვეობის ორი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა: პირველი, აგრარული პოლიტიკის ცივილური განვითარებისა და მეორე, გარემოს დაბინძურებისაგან დაცვა [3]. ცეოლითი ხელს უშლის მცენარეებში ტოქსიკური ნივთიერებებისა და მძიმე მეტალების შეღწევას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტების მისაღებად. ამ მინერალის მოქმედების შედეგად მცირდება მცენარის მიერ ნიადაგიდან შესათვისებელი აზოტის გამორეცხვა, ამას გარდა, ისინი მცენარეებში სხვადასხვა დაავადების განვითარებას აფერხებენ [4].

მცენარის თესლის სათესი თვისებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი აღმოცენება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობას განსაზღვრავს და საუკეთესო შემთხვევაში უნდა უახლოვდებოდეს 100%-ს [5].

ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ჩატარებული სამუშაოებიდან ჩანს, რომ ბუნებრივი ცეოლითების ნიადაგში შეტანა ხელსაყრელ გავლენას ახდენს სხვადასხვა ბოსტნეული კულტურის აღმოცენებაზე [6]. დადგენილია, რომ ადგილობრივი ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება, რომელიც ფილიპსიტისა და შაბაზიტის ნარევის წარმოადგენს, საშუალებას იძლევა ისპანახისა და ბოლოკის აღმოცენება დაახლოებით 40% და 8% გაიზარდოს იმ მცენარეებთან შედარებით, რომლებიც სუფთა მინაზე (აბსოლუტური ფონი) აღმოცენებული.

მსგავსი სამუშაო ჩატარებულია საქართველოში, ლაბორატორიულ პირობებში ლოკალური საბადოს ცეოლითშემცველი ქანის გამოყენებით, რომელმაც ასევე აჩვენა მებოსტნეობაში მათი გამოყენების ეფექტურობა. კლინოპტილოლითისა და ნიადაგის 1:10 თანაფარდობის ნარევი კამის აღმოცენება გაიზარდა 10%-ით, ფურცლოვანი სალათის – 9% და ქარხლის 11%-ით [7] სუფთა მინაზე აღმოცენებულ მცენარეებთან შედარებით. უკეთესი შედეგები მიღებულია ფილიპსიტშემცველი ქანის გამოყენების დროს, სადაც თესლთა აღმოცენება შესაბამისად 36%, 30% და 11%-ით გაიზარდა.

ანალოგიური შედეგებია მიღებული ისეთი სამკურნალო კულტურისათვისაც, როგორიცაა ეხინაცეა [8]. ლაბორატორიულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ამ მცენარის აღმოცენება ბუნებრივი ცეოლითის ზემოქმედებით ტეტრამეთილთურანდისულფიდით შენამვლის ფონზე შეადგენს 82%, მაშინ როდესაც მხოლოდ შენამვლის დროს იგი – 68%, ხოლო სუფთა ნიადაგზე (კონტროლზე) – 62%-ია. ეს ეფექტი ვლინდება მარცვლოვანი კულტურების, მაგალითად ხორბლის შემთხვევაშიც. საქართველოში ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კლინოპტილოლით და ლომონტიტშემცველი ქანებით ნიადაგის გამდიდრება ხელს უწყობს ხორბლის აღმოცენების ზრდას [9-11]. ასე მაგალითად, სხვადასხვა ნიადაგზე ხორბლის აღმოცენება იცვლება 88-91% ფარ-

გლებში, ამ ნიადაგებში კლინოპტილოლითშემცველი ქანების შეტანის შემდეგ თესლის აღმოცენება იზრდება 97%-მდე [9,10]. იმ ექსპერიმენტში, სადაც ხორბლის აღმოცენება განსაკუთრებით დაბალია – 35%, ლომონტიტშემცველი ქანითა და სინთეზური CaA ცეოლითით 50%-მდე გამდიდრება, ამ კულტურის აღმოცენებას შესაბამისად 65% და 90%-მდე ზრდის [11].

მოცემული კვლევა სამეცნიერო ხასიათისაა, მისი მიზანია ზოგიერთი მწვანილოვანი და მარცვლოვანი კულტურის აღმოცენებაზე ბუნებრივი ცეოლითებისა და სინთეზური CaA ცეოლითის ზემოქმედების გამოვლენა.

ოზიექტები და მეთოდები

ტესტურ ოზიექტებს წარმოადგენდა ზოგიერთი ბოსტნეული (მწვანილოვანი) კულტურის თესლები: წინმატი, ისპანახი და ერთნლიანი ფურცლოვანი სალათი „ლატუკა“, აგრეთვე მარცვლოვანი კულტურა ხორბალი ადგილობრივი ჯიში „უმანკა“. თესლის აღმოცენების სტიმულატორების რანგში გამოყენებული იყო საქართველოს ცეოლითშემცველი მთის ქანები, კერძოდ, ანალციმ-კლინოპტილოლით-ლომონტიტ-მორდენიტი და ფილიპსიტშემცველი ქანები ძირითადი მინერალის არანაკლებ 60%-ის შემცველობით [12], აგრეთვე A ტიპის სინთეზური ცეოლითი კალციუმის ფორმაში (CaA). ამ ცეოლითების იდეალიზირებული ქიმიური ფორმულები და მათი ზოგიერთი ფიზიკური მაჩვენებელი მოცემულია ცხრილში 1 [13].

ცხრილი 1. ცეოლითების იდეალიზირებული ქიმიური ფორმულები და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფიზიკური მაჩვენებელი [13].

ცეოლითები	ელემენტარული უჯრედის იდეალიზირებული შემადგენლობა	თავისუფალი მოცულობა, %	არხების ზომა, Å	თერმოსტაბილურობა (შეფარდებითი)	KOE*, მეკვ./გ
ანალციმი	$\text{Na}_{16}[\text{Al}_{16}\text{Si}_{32}\text{O}_{96}] \cdot 16\text{H}_2\text{O}$	18	2.6	მაღალი	4.54
კლინოპტილოლითი	$(\text{Na},\text{K})_6[\text{Al}_6\text{Si}_{30}\text{O}_{72}] \cdot 20\text{H}_2\text{O}$	34	3.9x5.4	მაღალი	2.16
ლომონტიტი	$\text{Ca}_4[\text{Al}_8\text{Si}_{16}\text{O}_{48}] \cdot 18\text{H}_2\text{O}$	34	4.6x6.3	დაბალი	4.25
მორდენიტი	$(\text{Na}_2\text{K}_2\text{Ca})_4[\text{Al}_8\text{Si}_{40}\text{O}_{96}] \cdot 28\text{H}_2\text{O}$	28	2.9x5.7 6.7x7.0	მაღალი	2.29
ფილიპსიტი	$\text{K}_2(\text{Ca}_{0.5}\text{Na})_4[\text{Al}_6\text{Si}_{10}\text{O}_{32}] \cdot 12\text{H}_2\text{O}$	31	4.2x4.4 2.8x4.8 3.3	საშუალო	3.31
NaA	$(\text{Na}_{12})(\text{Al}_{12}\text{Si}_{12}\text{O}_{48}) \cdot 27\text{H}_2\text{O}$	47	4.2	მაღალი	5.48

*KOE – კათიონმიმოცვლითი ტევადობა.

ექსპერიმენტი ჩატარდა [14] სამუშაოში მოცემული მეთოდის მიხედვით პეტრის ჯამებში 25 ერთეული თითოეული ჯამისათვის. თითოეული კულტურისათვის ცდა ოთხჯერადი განმეორებადობით ჩატარდა. განსაზღვრული იყო: აღმოცენების ენერგია (აე) – პირველ სამ-ხუთ დღეში აღმოცენებული ყლორტების რიცხვი პროცენტებში; თესლთა აღმოცენება (ა) – ცდის ბოლოს აღმოცენებული თესლის რიცხვის ფარდობა დათესილი თესლის რაოდენობასთან პროცენტებში; ერთიანი ზრდის სიდიდე (ეზს) – აღმოცენებული თესლის საშუალო რიცხვის ფარდობა ექსპერიმენტისთვის საჭირო დღე-ღამის რაოდენობასთან [15]. საკონტროლო ვარიანტში თესლი თავსდებოდა პეტრის ჯამში, სადაც მოთავსებული იყო მიწის თხელი ფენა ცეოლითის გარეშე (აბსოლუტური ფონი).

განსაზღვრული იყო აგრეთვე აღმოცენების ენერგიის ფარდობითი სიდიდე (აეფს), თესლთა აღმოცენების ფარდობითი სიდიდე (თაფს) და ექსპერიმენტის ბოლოს აღმონაცენის სიმაღლის ფარდობითი სიდიდე (ასფს). ეს სიდიდეები გათვლილი იყო [6] სამუშაოში მოცემული ფორმულების მიხედვით.

ბოსტნეული კულტურებისათვის აღმოცენების ენერგია განსაზღვრული იყო ექსპერიმენტის მეხუთე დღეს, აღმოცენება – მე-11 დღეს. ექსპერიმენტის დროს გარემოს ტემპერატურა 20-25°C ფარგლებში მერყეობდა. ხორბლისათვის აღმოცენების ენერგია განისაზღვრებოდა ექსპერიმენტის მე-6 დღეს, ხოლო აღმოცენება – მე-14 დღეს, ტემპერატურა 20-25°C.

შედეგები და განხილვა

ცხრილში 2 მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ისპანახის, განსაკუთრებით ფურცლოვანი სალათის აღმოცენება სუფთა ნიადაგზე ამ კულტურებისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლის ნორმაზე დაბალია [14]. იგი მიეკუთვნება ე.წ. „არაკონდიციურს“ [5], ამიტომ უვარგისია დასათესად. ამასთან ნიადაგის გამდიდრება ცეოლითებით, განსაკუთრებით სინთეზური CaA ცეოლითით, მნიშვნელოვნად ზრდის მცენარის აღმოცენებას და აკმაყოფილებს ისპანახის და წინმატის თესლის დათესვის ხარისხის მოთხოვნებს [14]. რაც შეეხება ფურცლოვან სალათს, ცეოლითების ზემოქმედებით აღმოცენება მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდება და არ შეესაბამება მათთვის წაყენებულ ნორმებს (ცხრ. 2).

ცხრილი 2

ცეოლითების ზემოქმედება ზოგიერთი მწვანილოვანი კულტურის თესლის ხარისხზე

მინა-ცეოლითი	ისპანახი						წინმატი						ფურცლოვანი სალათი					
	დამახასიათებელი აღმოცენება არანაკლებ 50-70%-ისა [14]						დამახასიათებელი აღმოცენება არანაკლებ 75-90%-ისა [14]						დამახასიათებელი აღმოცენება არანაკლებ 65-80%-ისა [14]					
	აე	აფს	ა	თაფს	ეზს	ასფს	აე	აფს	ა	თაფს	ეზს	ასფს	აე	აფს	ა	თაფს	ეზს	ასფს
სუფთა მინა-აბსოლუტური ფონი-კონტროლი	3		41		2.5		8		80		5.5		5		12		1.1	
მინა-80%+კლი-ნოპტილოლი-თი-20%	10	23.3	57	13.2	3.7	35.2	13	62.5	85	6.25	8.6	7.8	10	100	20	40	1.8	21.4
მინა-80%+CaA-20%	22	633	81	97.6	7.4	84.2	26	225	95	18.75	8.8	14	14	180	38	90	3.4	74.6

ისპანახის თესლების ერთიანი აღმოცენება სინთეზური ცეოლითის ზეგავლენით სამჯერ იზრდება სუფთა ნიადაგთან შედარებით; წინმატი – 1.6-ჯერ, ხოლო ფურცლოვანი სალათის – 3.1-ჯერ. კლინოპტილოლითშემცველი ტუფებით გამდიდრებულ ნიადაგზე ეს მაჩვენებლები იზრდება შესაბამისად: 1.3; 1.6; 1.6. გამონაკლისს წარმოადგენს წინმატი, რომლისთვისაც სინთეზური ცეოლითი CaA და კლინოპტილოლითშემცველი ტუფის ზეგავლენა პრაქტიკულად ერთნაირია. ეს ალბათ აიხსნება იმით, რომ წინმატის აღმოცენება აბსოლუტურ ფონზე (სუფთა ნიადაგზე) საკმაოდ მაღალია, მაშინ როცა, ისპანახის და ფურცლოვანი სალათის – დაბალია (ცხრ.2).

მთლიანობაში სინთეზური ცეოლითის CaA-ს ეფექტური ზეგავლენა თესლის თვისებებზე ალბათ აიხსნება იმით, რომ იგი ბუნებრივ ცეოლითთან შედარებით ხასიათდება დიდი თავისუფალი მოცულობით, მაღალი კათიონმიმოცვლის ტევადობით, არხების სამგანზომილებიანი სისტემით (გამონაკლისია ფილიპსიტი) (ცხრ.1) და ყველაზე მთავარი, ცეოლითური ფაზის მაღალი, 100%-თან მიახლოებული შემცველობით, მაშინ როდესაც, ბუნებრივ ცეოლითებში ძირითადი მინერალების შემადგენლობა 60%-ს არ აღემატება [12].

ცეოლითებით ნიადაგის გამდიდრება აისახება აღმოცენებული ყლორტის სიმაღლის სიდიდეზე, რომელიც კლინოპტილოლითის ზეგავლენით იზრდება 21%-ით, ხოლო სინთეზური ცეოლითის ზემოქმედებით 75%-ით.

ცხრილში 3 წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა ადგილმდებარეობის სედიმენტაციური წარმოშობის ბუნებრივი და სინთეზური ცეოლითების ზეგავლენა ხორბლის სათეს მახასიათებლებ-

ზე. ამასთან, აღსანიშნავია ხორბლის საკმაოდ დაბალი სათესი თვისება აბსოლუტურ ფონზე (სუფთა ნიადაგი). ამ შემთხვევაში ბოსტნეული კულტურებისათვის დამახასიათებელია შემდეგი კანონზომიერება: სინთეზური ცეოლითი მეტად ეფექტურად მოქმედებს ხორბლის აღმოცენებაზე და აღწევს 85%-ს, რაც აღემატება დასათესად გამოსაყენებელი თესლების მოთხოვნებს [5].

ცხრილი 3

ცეოლითების ზემოქმედება ხორბლის სათეს მახასიათებლებზე (%)

მინა-ცეოლითი	ხორბალი					
	აე	აეფს	ა	თაფს	ეზს	ასფს
სუფთა მინა-აბსოლუტური ფონი (კონტროლი)	26		35		2.9	
მინა-80%+ანალციმი-20%	53	104	56	60	4.6	36
მინა-80%+კლინოპტილოლითი-20%	55	112	57	63	4.7	48
მინა-80%+ლომონტიტი-20%	60	131	63	80	5.3	63
მინა-80%+მორდენიტი-20%	55	112	57	63	4.7	48
მინა-80%+ფილიპსიტი-20%	40	54	43	50	4.2	25
მინა-80%+CaA-20%	66	154	85	143	7.1	185

სინთეზური ცეოლითის CaA-ს ზემოქმედებით აღმოცენებული ხორბლის თესლთა ერთობლიობა 2.5-ჯერ იზრდება საკონტროლო ვარიანტთან შედარებით, ხოლო ბუნებრივი ცეოლითების ზემოქმედებით 1.8-1.5-ჯერ. უფრო ეფექტურია ლომონტიტის ზეგავლენა, ვიდრე ფილიპსიტისა. ხორბლის ყლორტის სიმაღლე სინთეზური ცეოლითის შემთხვევაში 2-ჯერ მეტია საკონტროლოსთან შედარებით.

ჩატარებული კვლევები მოსინჯვითი ხასიათისაა და სასურველია მათი შემომწმება საველე პირობებში. სინთეზური ცეოლითის გამოყენება მისი სიძვირის და დეფიციტის გამო საველე მემცენარეობაში, რასაკვირველია, არ არის მიზანშეწონილი. მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ, როგორც ეტალონი – შესადარებლად, ბუნებრივი ცეოლითების ზეგავლენის დადებითი ეფექტის გამოსავლენად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართ.

მემცენარეობაში მიზანშეწონილია ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება მათი ძირითადი მინერალის მაღალი პროცენტული შემცველობით, ამით იგი მიახლოებული იქნება სინთეზური ცეოლითების ეფექტურ ზემოქმედებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aguesse P. The key to ecology // L.: Gidrometeoizdat, 1982, 96p.
2. Белитсина Г.Д., Василевская В.А. и др. Почвоведение часть первая // М.: «Высшая школа», 1988, 399с.
3. Rassel P.S., Cuc G.U. Chemistry and world food supplies // М.: Mir, 1986, 616p.
4. Цицишвили Г.В., Андроникашвили Т.Г., Кардава М.А. Природные целиты в земледелии. Т.: Мецნიერება, 1993, 128с.
5. Андроникашвили Т.Г., Урушадзе Т.Ф. Применение цеолитсодержащих горных пород в растениеводстве // Агрехимия, 12, 2008, с. 63-79.
6. Ming D.W., Allen E.R. Recent advances in the United States in the use of natural zeolites in plant growth // Natural Zeolites for the Third Millennium – Do Frede Editore, Italy, Napoly, 2000, p.417-426.
7. Beriashvili K., Shatirishvili I., Zardalishvili O., Andronikashvili T. Study of Influence of Natural Zeolites Introduced to Soil on the Energy of Germination and Sprouting of Some Vegetable Cultures // Bulletin of the Georgian Academy of Science, 160, #3, 1999.
8. Пушкина Г.П., Лян П.М., Бушковская Л.М., Крымова Л.И. Применение цеолитов при выращивании лекарственных культур // Химико-фармацевтический журнал, М., №9, 1996.
9. Andronikashvili T., Shatirishvili I., Dokhturishvili M., Oglishvili T. Specificity of the Influence of Natural Zeolites on Germination of Cereal Seeds and of the Attendant Weeds // Bulletin of the Georgian Academy of Science, 153, #1, 1996.
10. Oglishvili T., Shatirishvili I., Andronikashvili T. Effect of Clinoptilolite Containing Tuffs on the Germination of Wheat and Weed // Bulletin of the Georgian Academy of Science, 158, #2, 1998.

11. Эприкашвили Л.Г., Зауташвили М.Г., Дзаганя М.А., Пирцхалава Н.В., Буркиашвили Н.О. Воздействие синтетического цеолита СаА на всхожесть семян пшеницы // Известия НАН Грузии, сер.хим., т.34, №1, 2008.
12. Схиртладзе Н.И. Осадочные цеолиты Грузии. Изд.: Тбилисского Университета, 1991, 144с.
13. Mumpton F.A. La roca magica. Uses of natural zeolites in agriculture and industry. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1999, v.99, p.3463-3470.
14. Алексагин В.И., Алпатьев А.В., Андреева Р.А. и др. // Справочник по овощеводству, Л.: Колос, 1982.
15. Вавилов П.П., Гриценко В.В., Кузнецов В.С. и др. // Растениеводство, М.: Колос, 1979.

**L. EPRIKASHVILI, T. KORDZAKHIA, M. ZAUTASHVILI,
N. PIRTSKHALAVA, M. DZAGANIA, T. ANDRONIKASHVILI**

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

THE INFLUENCE OF ZEOLITES ON THE BIOPRODUCTIVITY OF AGRICULTURAL CROPS

S u m m a r y

In laboratory conditions has been studied the influence of natural zeolite containing rocks of sedimentary origin (analcime, clinoptilolite, luumontite, mordenite and philipsite) from different deposits of Georgia, as well as of synthetic zeolite of CaA type on the sowing qualities (germination energy, sprouting, height of sprouts of plants) of seeds of spinach, cress, leaf lettuce and wheat. The paper shows a positive impact of these minerals on the bioproductivity of the test cultures.

აგრარული სექტორი და მისი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია. 2010 წელს მსოფლიოში აგრარული სექტორი შემცირებული წარმოებით გამოირჩეოდა, რამაც მკვეთრად გაზარდა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

აგრარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა წარმოადგენს. იგი გულისხმობს: საკვები პროდუქტების წარმოების უსაფრთხოების ხელშეწყობას; ფიტო და ზოოვეტერინარული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას; განსაკუთრებული შემთხვევებისთვის საკვები პროდუქტების მომარაგების დაგეგმვასა და სამთავრობო რეზერვების შექმნას; წყალდიდობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სანაპირო ეროზიის სანაღმდეგო ქმედებათა ხელშეწყობას; სოფლისა და სასოფლო ადგილების გარემოს დაცვას; წყლისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას; ზღვის დაცვას, მისი ფლორისა და ფაუნის ჩათვლით. უმნიშვნელოვანესი მიზანია სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეკონომიკის განვითარება.

აგრარულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სიღარიბის დონის დაძლევისა და საყოველთაო კეთილდღეობის მიზნის განხორციელებას, კერძოდ, ჯანსაღ საკვებზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას.

აგრარული პოლიტიკის ძირითად ობიექტად და საფუძვლად სასოფლო-სამეურნეო მიწები გვევლინება. სხვადასხვა ქვეყანაში მიწის რეფორმა განსხვავებულად წარიმართა. მიწის წარმატებული რეფორმა განხორციელდა ირანში, იაპონიაში, ჩინეთში, ფილიპინებში. ფილიპინებში მიწის საიჯარო რეფორმა განხორციელდა (1972 წ.), ჩინეთში დაიშალა კოლექტიური მეურნეობები და შეიქმნა საოჯახო მეურნეობები (1978 წ.). ამ რეფორმების შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობამ სწრაფი ზრდა დაიწყო. მიწის რეფორმებს იმ ქვეყნებში ჰქონდა წარმატება (ირანი, იაპონია, ტაივანი და ინდოეთი), სადაც საიჯარო ურთიერთობანი უკვე არსებობდა და მიწა საკუთრებაში ყოფილ მოიჯარეებს გადაეცა. დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნები მიწის ბაზრის მკაცრ კონტროლს ახორციელებენ. მიწის ბაზრის ლიბერალური რეჟიმის ქვეყნებს მიეკუთვნება აშშ, ავსტრალია და კანადა. დიდი ბრიტანეთი, ბელგია და საბერძნეთი ასევე შედარებით ნაკლებ კონტროლს ახორციელებს, თუმცა ამ ქვეყნებში სახელმწიფო ეკოლოგიური პრობლემის წარმოქმნისას ჩარევის უფლებას იტოვებს.

სოფლის მეურნეობის განვითარება რიგ ქვეყნებში (იაპონია, ტაივანი, მნიშვნელოვანწილად აშშ-ში და სხვ.) „ფართომასშტაბიან“ სტრატეგიას ემყარება, რომლის მიზანია მიწის მწარმოებლურობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება. იგი მოიცავს ფერმერების უმეტესობას და განსაკუთრებულ აქცენტს მცირე და საშუალო ფერმერებზე აკეთებს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში არსებული უკიდურესი სიღარიბე შეამციროს და აღმოფხვრას.

„ფართომასშტაბიანი“ აგრარული სტრატეგიის საპირისპიროდ რიგ ქვეყნებში „ორსაფეხურიან“ სტრატეგიას მისდევენ. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება: მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია და ლათინური ამერიკის ქვეყნები. ორსაფეხურიანი სტრატეგია გულისხმობს სოფლის მეურნეობაში ორი დონის მქონე სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას. იგი მცირე რაოდენობის მსხვილი მინათმფლობელებისა და დიდი რაოდენობის მცირე გლეხური მეურნეობების არსებობას გულისხმობს. ორსაფეხურიანი სტრატეგია აქცენტირებულია მსხვილი მინათმფლობელობის ხელშეწყობაზე და მცირე გლეხური მეურნეობების პრობლემებსა და საჭიროებებს არ ითვალისწინებს. ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც ასეთ სტრატეგიას მისდევენ, სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასა და სიღარიბის დაძლევის ვერ ახერხებენ.

მიწის რეფორმის განხორციელების მიზნით საქართველოში 2005 წელს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შესახებ“. 2005 წლის პირველ ნახევარში საქართველოში მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად სახნავი მიწების დაახლოებით 25 პროცენტი პრივატიზებული იქნა და დაახლოებით 30 პროცენტი იჯარით იქნა გაცემული. 2007 წელს კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის თანახმადაც მინათმოსარგებლებს მიეცათ შესაძლებლობა შეღავათიანი პირობებით მიეღოს საკუთრებაში მიწა,

გამოეყენებინათ ის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად. ამ პერიოდში ქვეყანაში 3 მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწა იყო.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში უძრავი ქონების ბაზარზე ყველაზე დიდი მოთხოვნა მიწის ნაკვეთებზეა. თბილისის მერიის ქონების სააგენტოს მონაცემებით, გაიყიდა 21 მლნ ლარის უძრავი ქონება, რაც უპრეცედენტო მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი ნაწილობრივ აღნიშნული სააგენტოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგია. 2011 წლის დასაწყისში შეიცვალა მიწის ნორმატიული ფასები, ახალი ტენდენციები ასევე ნორმატიულ რუკაზეც აისახა. გაუქმდა კომისია, რომელიც მიწის ნაკვეთებზე სააუქციონო ფასის დასადგენად აუცილებელი ბიუროკრატიული ელემენტი იყო. დღეს არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთი დაანგარიშებული ფასით გადის აუქციონზე. თუ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნა და კონკურენცია მატულობს, მაშინ მზარდი მოთხოვნის ფონზე ნორმატიული ფასებიც თავიდან განიხილება და შესაძლებელია დადგენილი ფასი გაიზარდოს. ნორმატიულ რუკაზე აუცილებლად აისახება ტენდენციები, რაც უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარეობს. აღსანიშნავია ის, რომ მას შემდეგ, რაც გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოთხოვნა გაიზარდა უცხოელების მხრიდან. მაგალითად, კახეთში მიწების მასიური შესყიდვა დაიწყო ინდუსტრია და ბულგარელმა ინვესტორებმა. დიდია დაინტერესება ჩინელი ინვესტორების მხრიდანაც. მათ აქტიურობას დაბალი ფასი, კლიმატი და ბიზნესგარემო განსაზღვრავს. უცხოელი ინვესტორებისათვის ჩვენი კანონმდებლობა გაცილებით ლიბერალურია, ვიდრე ადგილობრივი ფერმერებისათვის.

აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტების ჯგუფს მიეკუთვნება: სამთავრობო ხარჯები; სექტორის ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა (ირიგაცია, მარცვლეულის საცავები, ტრანსპორტირება და მარკეტინგში ხელშეწყობა); სექტორისთვის სასურველი საკრედიტო გარემოს ფორმირება; შეღავათიანი კრედიტების, სასოფლო-სამეურნეო კვლევების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელების ორგანიზება; მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის, მიწების დაცვისა და გაუმჯობესების პროგრამების დაფინანსება და სხვ.

აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მეორე ჯგუფს კონტროლის ინსტრუმენტებს მიაკუთვნებენ. ეს ინსტრუმენტებია: კონტროლი ფასებზე და სავაჭრო სექტორში (პროდუქციის ხარისხი, შესაბამისობა); სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და საირიგაციო სისტემებზე ზედამხედველობა და სხვ.

აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მესამე ჯგუფს რიგ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო თუ კვების მრეწველობის სანარმოებისა და მათი მარკეტინგის პირდაპირი მართვა შეადგენს.

სხვა ინსტრუმენტები:

- სურსათზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე ექსპორტის და იმპორტის დაბეგვრის სატარიფო განაკვეთები;
- ექსპორტზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და გადამამუშავებელი სამრეწველო სანარმოებისათვის წარმოების საშუალებათა იმპორტის დაბეგვრის ტარიფები;
- ფერმერთა დახმარებები (გრანტები);
- სერტიფიცირების სისტემები; სურსათის ხარისხის რეგულირება, სასოფლო გარემოს დაცვა და სხვ.

რაც უფრო მდიდარი და განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო ატარებს პროტექციონისტული დაცვის ტენდენციას თავისი ფერმერების მიმართ.

განვითარებადი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა.

საქართველოში 2010 წლის მონაცემებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის 50% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, ამ სფეროს წილი მშპ-ში მხოლოდ 7-8%-ს შეადგენს

2011 წელს საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტულ დარგად სოფლის მეურნეობა დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, მას უამრავი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზი არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი დაფინანსება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე და დაზღვევის სისტემა.

2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 40 მლნ ლარს შეადგენდა, 2011 წელს კი 69 მლნ-მდე გაიზარდა, რაც მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 0,9%-ს შეადგენს. აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2 პროცენტზე

ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ. ეს უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ქართველ გლეხობასა და ფერმერებს ასეთი დახმარებები ჯერ არ ჰქონია.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს აგრარულ სექტორს სახელმწიფოს ხელშეწყობით შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. ასეთი პროდუქცია საქართველოში: ბოსტნეული, ყურძენი, ხილი, ღვინო.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების და განსაკუთრებით ხორბლეულის მეტი წილი გადაშენების გზაზეა. სპეციალისტების აზრით, საქართველოს აქვს რესურსი ხორბლეულის ის რაოდენობა აწარმოოს, რომელიც უმთავრესად ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ეს ეხება არა მარტო ხორბლეულს, არამედ თითქმის ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი, შესაბამისად, იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობენ ფარმაცოლოგიურ კვლევებსა და ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში, დღესაც ფართოდ არიან გავრცელებულნი. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. სამკურნალო მცენარეებით ოდიტგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას.

სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული პოტენციალის გამოყენება, უნდა ჩაიდოს ინვესტიციები. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ აგრარული წარმოების შედეგები ძველებურად განუჭვრეტელი რჩება. გვალვა, წყალდიდობა, მავნებლები, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები უკვე შეიმჩნევა. ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას.

წარმოებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პროდუქციის რეალიზაცია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ თვითონ ფერმერი დაიწყებს პროდუქციის რეალიზაციას ზრუნვას, იგი ვერც თავის მეურნეობას განავითარებს და ვერც რეალიზაცია გამოუვა კარგად.

ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა. წვრილი გლეხები ან წვრილი გადაამყიდველები ყოველგვარი აღრიცხვის, სურსათის უვნებლობის და სხვა ნორმების დარღვევით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს შუალედური კომპანიები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეგროვებას, მომხმარებლებისათვის სასურველი სასაქონლო სახის მიცემას, უვნებლობის კონტროლს და ნორმალურ დისტრიბუციას.

ამის უმთავრესი მიზეზი იმპორტიორებთან შედარებით არაკონკურენტული მდგომარეობაა, რადგან შუალედური კომპანია იგივენაირად იხდის 18%-ს, როგორც ნებისმიერი იმპორტი ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქციას არანაირი საგადასახადო შეღავათი არ გააჩნია. საგადასახადო კოდექსით „სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მინოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან“. ე.ი. გლეხი, რომე-

ლიც აწარმოებს საქონლის რძეს, არ იხდის დღგ-ს, მაგრამ თუ ამ რძისგან დაამზადა მანონი ან ყველი და გაყიდა, მაშინ დღგ უნდა გადაიხადოს. ასევე, თუ ყიდის ყურძენს, გათავისუფლებულია გადასახადისგან, მაგრამ თუ დაწურა ყურძენი და გაყიდა ღვინო, იხდის დღგ-ს.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია:

- დღგ-საგან გათავისუფლდეს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება, არამედ ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, მიუხედავად იმისა, ვინ არის მიმწოდებელი – გლეხი თუ შუალედური კომპანია; სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი დაიბეგროს ჩვეულებრივ. სახელმწიფო ბიუჯეტი პროდუქციის იმპორტიდან მიიღებს იმავე თანხებს დღგ-ს სახით, ადგილობრივ ბაზარზე კი ხელს შეუწყობს შუალედური რგოლების განვითარებას; შესაბამისად, წვრილი და საშუალო ფერმერების განვითარებას;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დაწესდეს გაცილებით ნაკლები დღგ-ს განაკვეთი, როგორც ეს არის მსოფლიოს უმეტეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში;

- საქართველო თავისი ბუნებრივი კლიმატური პირობებით იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ვაწარმოოთ. მსოფლიო ბაზარზე ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ჩვენმა პროდუქტმა პოპულარობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი უცხოეთში უნდა მოიპოვოს. აუცილებელია სწორი პოლიტიკის გატარება, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II. თბილისი, 2009.
2. ნ ა ც ვ ა ლ ა ძ ე მ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი. თბილისი, 2009.
3. ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმი და მისი სრულყოფის მიმართულებანი. თბილისი, თსუ, 2004.
4. www.moa.gov.ge.
5. www.geostat.ge.

GULNAZ ERKOMAISHVILI

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

AGRARIAN SECTOR AND ITS ECONOMIC POLICY IN GEORGIA

S u m m a r y

The utmost aim of the agrarian policy is supplying its population with agricultural products and ensuring healthy nutrition. The article presents the experience of various states and the existing conditions in Georgia.

The agrarian sector of Georgia may succeed with support from the state and may enter the world market with competitive agricultural products. In Georgia such products are vegetables, fruits, wine, etc.

In 2011, the government of Georgia referred agriculture as a priority field. Despite a large potential of this branch, it faces numerous problems, one of them may be considered not-sufficient support. The state should necessarily provide the agricultural sector with ample finances, developed infrastructure, high profile mechanization and insurance system.

მარიამ ვარდიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტი- პროფესორი

ვანო ივანიანი

ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დოქტორანტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის დაჯავშნის საკითხები

სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურებები უკავშირდება ობიექტურ პირობებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ დარგის სანარმოთა საქმიანობაში. ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულება, სეზონურობა, არარეგულარული და დაბალი დონის შემოსავლები მნიშვნელოვანად ზემოქმედებენ დარგის ეფექტიანობაზე, რაც განაპირობებს დაბეგვრის განსაკუთრებულ წესს სოფლის მეურნეობაში.

განვითარებული ქვეყნები საგადასახადო სისტემის ფორმირებისას ითვალისწინებენ იმ ობიექტურ ფაქტორებს, რაც სოფლის მეურნეობაში ქმნის მაღალ რისკს და ზარალის ვარაუდს. ამითაა განპირობებული სოფლის მეურნეობისათვის დამატებით დაწესებული საგადასახადო შეღავათები.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, საქართველოს მთავრობისთვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. რეფორმები ფისკალურ სფეროში ეკონომიკური რეფორმისა და, მთლიანად, ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, რომლის მიზანია:

- ბიზნესგარემოს გაუმჯობესება;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- ფისკალური პოლიტიკის განმტკიცება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შესანარჩუნებლად, ინვესტიციებისა და ექსპორტის წახალისების მიზნით, განხორციელდა გადასახადების ლიბერალიზაცია. კერძოდ, 2005-2010 წლებში საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი იქნა რადიკალური ცვლილებები, რის შედეგადაც შემცირდა გადასახადების ოდენობა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა, ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის გადაამხდელების მიმართ გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები, შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. მნიშვნელოვანია ის, რომ საგადასახადო კოდექსით არსებული 21 გადასახადისგან დღესდღეობით მოქმედებს მხოლოდ 6 გადასახადი.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სხვადასხვა ეკონომიკური კვლევის მიხედვით ქვეყნა განიცდის ღრმა ეკონომიკურ კრიზისს, ხოლო სიტუაციას სოფლის მეურნეობაში ექსპერტები უწოდებენ – დამანგრეველს.

სოფლის მეურნეობის სექტორის გამოშვება ყოველწლიურად მცირდება. ასე მაგალითად, ბოლო ათი წლის მანძილზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2001–2010 წლებში 22.43%-დან 7.3 %-მდე შემცირდა.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში 2006 წელს შეადგენდა 10,6%, 2007 წელს –7,8%, 2008 წელს – 6.7% და 2009 წელს – 6,0%. ეს მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის სექტორში, საქსტატის ინფორმაციით, დასაქმებულია საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 53%.

სოფლის მეურნეობის საბაზრო პირობებში ადაპტაციისა და გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტი, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის კრიზისის აღმოფხვრას და მის განვითარებას, გვკარნახობს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ცვლილებების აუცილებლობას.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის პრაქტიკის ისტორია და ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების (ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, შემოსავლების გადანაწილება) ეფექტიანი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური და დინამიკური განვითარების საფუძველია.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010–2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრულ სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებებში არ განიხილება სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირება საგადასახადო პოლიტიკის დამატებითი ბერკეტების გამოყენებით. არადა, არსებული საგადასახადო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო მექანიზმის შექმნას. ეს განაპირობებს სოფლის მეურნეობაში და მთლიანად ეკონომიკაში დაბეგვრის მოქმედი ნორმების ცვლილებების და საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაციის აუცილებლობას.

საქართველოში სოფლის მეურნეობა იმავე პრინციპით იბეგრება, როგორც სხვა დარგები, მაგრამ სოფლის მეურნეობისთვის დაწესებულია შეღავათები. შეღავათების დაწესება განპირობებულია სოფლის მეურნეობაში წარმოების სპეციფიკურობით, რაც დაკავშირებულია მის სეზონურობასთან, ამინდის ფაქტორთან და სხვა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი და არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. გადასახადის წესი და განაკვეთი დგინდება მთელი ქვეყნისთვის საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე. საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ შემოსავალი განისაზღვრება კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვას დაქვემდებარებულ თანხებს შორის სხვაობით. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით 15%, რომელიც ამოქმედდება 2015 წლიდან, მანამდე მოქმედებს 20%-იანი განაკვეთი 2013 წლამდე, ხოლო 2014 წელს – 18%-იანი. ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავლის აღნიშნული წესით დაბეგვრა ვრცელდება ნებისმიერი დარგში მომუშავე ფიზიკურ პირზე და ინდივიდუალურ საწარმოზე, თუ მათ მინიჭებული არა აქვთ მიკრო ან/და მცირე ბიზნესის სტატუსი და არ იმყოფებიან დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ ფიზიკურ პირთათვის 2014 წლის იანვრამდე დაწესებულია შეღავათები, რაც შემდეგში მდგომარეობს: ფიზიკური პირი განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, თუ კალენდარული წლის განმავლობაში მის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს. როგორც ჩანს, აქ საუბარია მხოლოდ პირველად მიწოდებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გლეხმა თუ გაყიდა მის მიერ მოყვანილი სიმინდის მარცვალი, ის განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, თუ საგადასახადო წელს ამ და სხვა პროდუქტების პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, მაგრამ, თუ თავისი მოყვანილი მარცვალი გადაამუშავა და ფქვილის სახით გაყიდა, მასზე საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეღავათების ზღვარი ითვალისწინებს არა დასაბეგრ შემოსავალს, არამედ მიღებულ შემოსავალს. რაც შეეხება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები აქ ერთი შეხედვით მაღალია, მაგრამ თითქმის ყველა ქვეყანას აქვს ერთი საერთო პრინციპი – გადასახადები მნიშვნელოვნად დიფერენცირებულია და საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი თანხა შეადგენს საარსებო მინიმუმს.

ამასთან ერთად, საშემოსავლო გადასახადი სოფლის მეურნეობაში ითვალისწინებს შეღავათებს, მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სამი რეჟიმი.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ფერმერები, რომელთა საშუალო შემოსავალი ბოლო ორი წლის მანძილზე 500 ათასი ფრანკს არ აღემატება, ისინი იხდიან ერთიან გადასახადს ერთობლივი შემოსავლების მიხედვით.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ერთ მილიონ ფრანკამდე შემოსავლის მქონე ფერმერები. ამ კატეგორიისათვის დაწესებულია გადასახადების გამარტივებული სქემა. დასაბეგრ შემოსავალს განსაზღვრავს თვითონ ფერმერი. მას უფლება აქვს აღრიცხვა აწარმოოს გამარტივებული ბუღალტერიით – შემოსავლების და ხარჯების ჟურნალში. გარდა ამისა, ამ კატეგორიას ვინც მიეკუთვნება, უფლება აქვთ თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ საწარმოო ციკლის ერთწლიანი პერიოდი ისე, რომ კალენდარულ წელს არ ემთხვეოდეს.

მესამე კატეგორიას მიეკუთვნება ფერმერები, რომელთა შემოსავალი მილიონ ფრანკზე მეტია. მათზე დაბეგვრის ნორმალური რეჟიმი ვრცელდება.

გერმანიაში გადამხდელები დაყოფილია სამ კატეგორიად.

პირველს მიეკუთვნება მწარმოებლები, რომლის წლიური შემოსავალი 40 ათასი მარკა და სათესი ფართობი 32 ჰექტარი. ისინი იბეგრებიან ნორმალურ რეჟიმში.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება მეწარმე, რომელთა წლიური შემოსავალი 30-დან 40 ათას მარკამდეა და სათესი მიწების ფართობი 25-დან 32 ჰექტრამდეა. ამ კატეგორიის ფერმერებს უფლე-

ბა აქვთ ბუღალტრული აღრიცხვა ანარმოონ გამარტივებული წესით, შემოსავლების და ხარჯების ჟურნალში და ამის საფუძველზე განსაზღვრონ დასაბეგრი მოგება.

მესამე კატეგორია (რომელიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა თითქმის 50% შეადგენს) 32 ათას მარკამდე შემოსავლის მქონე პირია, რომლის სათესი ფართობი 25 ჰექტარს არ აღემატება. ისინი არ ანარმოებენ არანაირ ანგარიშს და იხდიან **ერთიან გადასახადს**.

გარდა ამისა, გერმანიაში დაწესებულია დამატებითი შეღავათები ბავშვიანი ოჯახებისთვის, აგრეთვე 64 წელს გადაცილებულ ოჯახის წევრებზე და სხვა.

ამრიგად, განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფიზიკური პირები სარგებლობენ რიგი შეღავათებით. განსხვავება განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ საგადასახადო სისტემასა და ქართულ საგადასახადო კანონმდებლობას შორის გამოიხატება:

- ძირითადი განაკვეთების შემცირებით;
- დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებით;
- შეღავათებით.

- **კაპიტალური დანახარჯების გამოქვითვის სპეციალური რეჟიმით.** სოფლის მეურნეობისათვის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში მოქმედებს დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმები.

განვითარებულ ქვეყნებში კორპორაციული გადასახადი ანუ მოგების გადასახადი იურიდიული პირის შემოსავლებიდან ნაკლებად ვრცელდება სოფლის მეურნეობაზე, რადგანც სოფლის მეურნეობაში წარმოება ძირითადად ხორციელდება ინდემნარმეებისა და ფიზიკური პირების მიერ. კორპორაციული გადასახადებით იბეგრება კოოპერატივები, მაგრამ მათ აქვთ მნიშვნელოვანი შეღავათები. ამ გადასახადის დაბეგრის ობიექტი არის იურიდიული პირის წმინდა შემოსავალი. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა, იურიდიული პირის ნებისმიერი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული მატერიალურ-ტექნიკური დანახარჯები, ხელფასი, პროცენტი კრედიტზე, ამორტიზაცია და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთები ერთნაირია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, მათ შორის სოფლის მეურნეობისთვისაც.

აშშ-ში 1986 წელს გატარებული რეფორმის შემდეგ კორპორაციული გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 46%-დან 34%-მდე შემცირდა, ხოლო მინიმალური 20%-დან 15%-მდე. მცირე ბიზნესი და ფერმერები, რომელთა ოჯახური შემოსავალი წლის მანძილზე შეადგენს 75 ათას ლარს, გადასახადს იხდიან მინიმალური (შეღავათიანი) განაკვეთით. ამით აიხსნება ის, რომ ოჯახური მეურნეობები აშშ-ის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი ნაწილის 86% ანარმოებენ.

ანალოგიური მდგომარეობაა საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში.

განვითარებულ ქვეყნებში კორპორაციული გადასახადის შეღავათებით სარგებლობენ ე.წ. ფერმერული კოოპერატივები, რომელთა საქმიანობაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება, მათთვის წარმოების საშუალებების მიწოდება და სხვა სახის მომსახურების განევა.

იტალიაში აგრარული სექტორის კოოპერატივები ასევე სარგებლობენ შეღავათებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაარსებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში განთავისუფლებული არიან კორპორაციულ და ადგილობრივ გადასახადისგან, ხოლო 10 წლის შემდეგ მათთვის კორპორაციული გადასახადი შეადგენს 25%, ამასთან დასაბეგრი ბაზიდან გამოიქვითება ადგილობრივი გადასახადი შემოსავლებზე 15%.

საფრანგეთში კოოპერატივები სარგებლობენ შეღავათებით. ისინი განთავისუფლებული არიან კორპორაციების გადასახადისაგან, მაგრამ, თუ მათი საქმიანობა გასცდა წესდებით განსაზღვრულს და აქედან მათი შემოსავალი მთლიანი შემოსავლის 20%-ია, მაშინ ისინი ჩვეულებრივ რეჟიმში იბეგრებიან.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში პირდაპირი სახის გადასახადებს შორის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია საწარმოთა მოგების გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების გადასახადით იბეგრება იურიდიული პირი. მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს დასაბეგრი მოგების განსაზღვრის მიზნით ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯები. საერთო საანგარიშო მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარციხებს.

საწარმოო დანახარჯებში ამორტიზაციის ხარჯების შეტანა ხელს უწყობს ძირითადი კაპიტალის მიმოქცევის ტემპის რეგულირებას, წარმოების ტექნოლოგიურ პროგრესს.

ამ მხრივ განსხვავებული სიტუაცია ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის საწარმოებში, სადაც მინა განსაკუთრებული საწარმოო ფაქტორია. ეკონომიკური კონცეფციები მინას განიხილავენ, როგორც ეფექტურ მატერიალურ აქტივს ინვესტიციებისთვის და საიმედო შემოსავლებისათვის.

საერთაშორისო სტანდარტებით მიწა აღიარებულია, როგორც არაამორტიზირებადი აქტივი. საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს სოფლის მეურნეობის სანარმოებში ინვესტიციების განხორციელებაზე.

დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გარკვეული შეღავათები არის დაწესებული სოფლის მეურნეობის სანარმოებისათვის, რაც შემდეგში მდგომარეობს. მოგების გადასახადისგან თავისუფლდება:

- 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

- 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოო ფაქტორია – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ბოსტნეულის, მარცვლოვანი კულტურების და ხილის მოსავლის მოყვანა და აღება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გარეშე მძიმე შრომას მოითხოვს.

მოძველებული ტექნიკით და **ტექნოლოგიებით** აგრარული სექტორი მომგებიანი და კონკურენტუნარიანი ვერ გახდება. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა განახლებას და შევსებას რომ მოითხოვს, ადასტურებს საქსტატის მონაცემები, რომლის მიხედვით სოფლის მეურნეობების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა 2006 წელს მთლიანად შეადგენდა 30 ათას ერთეულს, მათ შორის 10 წელზე უხვესი 17,4 ათასს. 2007 წელს – 40.0 ათასს, მათ შორის 10 წელზე უხვესი – 20.5 ათასს. მაშინ როდესაც, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სანარმოების და ოჯახური მეურნეობების რიცხვი დაახლოებით 800 ათასია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის და მისი ნაწილების და მოწყობილობის იმპორტი განთავისუფლებულია დღგ-გან. მაგრამ, საქართველოს ბაზარზე ეს ტექნიკა გამოაქვთ იმპორტიორებს. ოჯახურ მეურნეობებს ამ ტექნიკის შეძენა ძირითადად ქვეყნის შიდა ბაზარზე უხდებათ. ქვეყნის შიგნით მათი რეალიზაცია დღგ-გან არ არის განთავისუფლებული. არაპირდაპირი გადასახადის სტრუქტურით მათი საბოლოო გადამხდელი მომხმარებელია. ამის შესაბამისად, გლეხი ან ფერმერი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საქართველოში შეძენისას იხდის დღგ-ს, რომელსაც ჩათვლიდა ან დაიბრუნებდა იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის თუნდაც პირველად მიწოდება ჩათვლის უფლებით იქნებოდა განთავისუფლებული. ხოლო თავიდანვე არ გადაიხდიდა იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკა დღგ-გან განთავისუფლებული იქნებოდა არა მხოლოდ იმპორტის დროს, არამედ ადგილობრივ ბაზარზეც. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნებოდა მათთვის, ვისაც არ გააჩნია შესაძლებლობა, თვითონ უზრუნველყონ ტექნიკური აღჭურვილობის იმპორტი.

სოფლის მეურნეობის განვითარება მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი სანარმოების მუშაობასთან. რამდენადაც ისინი, სოფლის მეურნეობის პროდუქტის ბაზრის არსებობის გარანტიაა. გარდა ამისა, მიღებული მოსავლის ხარისხის (საქონლის სახის, სტრუქტურის, არომატის და ყუათიანობის დონე) შენარჩუნება, მომხმარებელამდე საკვები პროდუქტების უსაფრთხო მიტანა და დანაკარგების შემცირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ალების შემდგომ დამამუშავებასა და შენახვაზე, რასაც გლეხების ტრადიციულ დონეზე მოწყობილი შენახვის და დასაწყობების პირობები ვერ უზრუნველყოფს. ცხადია, მათ მიერ ერთი ან ორი თვის შემდეგ ბაზარზე გამოტანილი პროდუქციის ხარისხი ისეთი არ იქნება, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სანარმოსი.

გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება გაზრდის მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე, რაც გამოიწვევს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამიტომაც, ეს ორი სექტორი დაბეგვრის თვალსაზრისით ერთ სიბრტყეში უნდა იქნეს განხილული. აქ ვგულისხმობთ საგადასახადო შეღავათების გავრცელებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაზე.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს ირიგაციას. არსებული საირიგაციო სისტემები საჭიროებენ რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას, ისევე როგორც მართვის სისტემის გაუმჯობესებას. ირიგაციაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (მაღალი წნევებისა და წვეთოვანი საწნყავი სისტემის გამოყენება) გარკვეულ ინვესტიციებს მოითხოვს ამ სფეროში, რაც ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოზეა დამოკიდებული.

განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, იტალიის მთიანი რეგიონის კოოპერატივებს ქონების გადასახადი 50% უმცირდებათ, ასევე შეღავათით სარგებლობენ კოოპერატივები, რომელიც მელი-ორაციულ სამუშაოებს აწარმოებს მთიან ადგილებში. ისინი იხდიან მხოლოდ გასადახადს უძრავ ქონებაზე, გარდა მიწისა და სარეგისტრაციო მოსაკრებელს.

ფრაგმენტულად დაწესებული საგადასახადო შეღავათები ცალკეულ დარგებისათვის ეკონომიკის გაჯანსაღების პირობა არ არის. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საგადასახადო კოდექსით დაწესებული არცთუ მცირე შეღავათების პირობებში ოფიციალური სატაქსტიკური მონაცემებით საგადასახადო ტვირთი საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია.

დასახელება	2005	2006	2007	2008	2009	2010
მშპ (მლნ ლარი)	11620,9	13789,9	16993,8	19074,9	17986,0	20791,3
გადასახადები (მლნ ლარი)	1836,1	2633,1%	3732,6	4541,6	4161,7	4592,4
საგადასახადო ტვირთი	15,79%	19,09%	21,96%	23,8%	23,13	22,08%

საგადასახადო სისტემის ევოლუცია გულისხმობს დაბეგვრის სიტემის გამარტივებას, მოქმედი გადასახადების შემცირებას, საგადასახადო განაკვეთების დაწევას და დასაბეგრი ბაზის გაფართოებას. ამის შედეგად ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში დროდადრო წარმოიშობა აზრი მინაზე ერთიანი გადასახადის შემოღების შესახებ.

შეღავათები მიწათსარგებლობისთვის სხვადასხვაგვარად შეიძლება დაწესდეს. რიგ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწები მთლიანად განთავისუფლებულია გადასახადებისგან. მიწები, რომლებზეც განხორციელდება საირიგაციო-სადრენაჟორო სამუშაოები, შეიძლება დროებით გათავისუფლდეს გადასახადებისგან.

საგადასახადო შეღავათების მხარდამჭერი არგუმენტებია:

- სოფლის მეურნეობა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების საფუძველია;
- უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას;
- მას აქვს თავისი სპეციფიკა, რაც გამოიხატება იმაში, რომ წარმოება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამინდის პირობებზე;
- კაპიტალბრუნვის დაბალი დონე;
- საკვებ პროდუქტზე მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობა.

• სოფლის მეურნეობის ობიექტებს აქვთ არათანაბარი სასტარტო დონე ეკონომიკის სხვა დარგის საწარმოებთან შედარებით, რაც მას უქმნის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას.

ამრიგად, საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა შესაძლო შიდა და გარე ფაქტორი, რათა უზრუნველყოს საწარმოს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი, კერძოდ:

1. სოფლის მეურნეობაში საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები განხილულ უნდა იქნეს დაბეგვრის მთლიანი სისტემის კონტექსტში, სადაც ერთ-ერთი საკვანძო საკითხი არის საწარმოების და ფიზიკური პირების საგადასახადო ტვირთის თანდათანობით შემცირება.
2. საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურის შეცვლა, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებით, რომელიც გავრცელდება როგორც გადასახადის გადამხდელზე, ასევე მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე. ამასთან, დაუბეგრავი მინიმუმი საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს.
3. დღგ-ის განაკვეთის შემცირებით აღმოიფხვრას დისპროპორცია პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არა მხოლოდ იმპორტი, არამედ ქვეყნის შიდა ოპერაციებიც განთავისუფლდეს დღგ-გან.
4. სოფლის მეურნეობის საწარმოების გადასახადებისგან განთავისუფლება პირველი 10 წლის განმავლობაში, ხოლო 10 წლის შემდეგ მათთვის ყველა საგადასახადო განაკვეთის 50%-ით შემცირება.
5. უნდა შეიცვალოს მოთხოვნა მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისგან საქონელზე და მომსახურებაზე განეული ხარჯების გამოქვითვის შეზღუდვაზე.

MARIAM VARDIASHVILI

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Assistant Professor*

VANO IVANISHVILI

*Georgian University of St Andrews
Doctoral Candidate*

THE ISSUES OF TAXATION OF AGRICULTURE IN GEORGIA

S u m m a r y

In the countries having either market economy or transitory economies, agriculture, even today, is a part of economy which requires special measures from supreme powers of the government.

In the tax policy of the EU and other developed countries, agriculture is supported not by fundamental advantages but by the balanced tax system.

According to the Tax Code of Georgia, advantages established for agriculture cannot ensure production growth in the sector. The portion of agriculture in entire domestic produce has been decreasing on an annual basis and in 2010 it comprised 74.3 %, while about 53% of Georgia's able-bodied population is employed in agricultural sector.

We think that, while reinforcing tax policy, arguments supporting tax advantages and the experience of developed countries should be taken into account, because tax pressure optimization for the agricultural enterprises and differentiation of entire tax pressure in other sectors and territories will ensure the attraction of investments into Georgia's agricultural sector, which would be helpful for the utilization of existing production resources.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის არსი და მნიშვნელობა

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფერმერებისათვის და მენარმეებისათვის დროული და სრულყოფილად მიწოდებული ინფორმაცია დარგში ახალი ტექნოლოგიების შესახებ, დადებით ზეგავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობაზე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე და, შესაბამისად, შემოსავლების ზრდაზე.

თითოეული ფერმერის მიზანია, აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რაზეც არის მოთხოვნა ბაზარზე და მიიღოს რაც შეიძლება მეტი შემოსავალი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქართველი ფერმერის წარმატებისათვის, აუცილებელია თანამედროვე მიდგომების, ტექნოლოგიების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხების ცოდნა, რაც შესაძლებელია უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო ცენტრებმა.

ექსპორტზე ორიენტირებულ ფერმერებს უნდა მიენოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო ბაზარზე არსებული მოთხოვნების, ბარიერების და შეღავათების შესახებ, რათა ფერმერმა შეძლოს სწორად დაგეგმოს და განავითაროს თავისი საქმიანობა.

აუცილებელია საკონსულტაციო და საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება და სრულყოფილი ფუნქციონირება, რათა ფერმერებამდე მიტანილ იქნეს ინფორმაცია არსებული შესაძლებლობებისა და ალტერნატივების შესახებ.

ფერმერი ყოველთვის დგას გადანყვეტილების მიღების წინაშე, კერძოდ რა მოიყვანოს, როდის და სად გაყიდოს. ახლო წარსულში ამგვარი გადანყვეტილების მიღება შედარებით ადვილი იყო, ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. ფერმერები უკვე გააზრებულად ფიქრობენ იმაზე, რომ იყვნენ ბაზარზე ორიენტირებულნი და არსებული მოთხოვნის შესაბამისი პროდუქცია მიანოდონ ბაზარს.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ფუნქციაა დაეხმაროს ფერმერს მინისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო რესურსების ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებაში, რაც მიიღწევა დროული კონსულტაციებით, ინფორმაციული უზრუნველყოფით და სწავლებით.

საქართველოში უმრავლესობას წარმოადგენს მცირე ფერმერები (მეურნეობების საშუალო ფართობი ძირითადად შეადგენს 1,22 ჰა-ს). მსხვილი ფერმერებისგან განსხვავებით, მცირე ფერმერებს არ შეუძლიათ კონსულტაციაში შესაბამისი საფასურის გადახდა. საქართველოში არსებული 729 542 მეურნეობიდან მხოლოდ 17% შეიძლება ჩაითვალოს შედარებით მსხვილ ფერმერულ მეურნეობად.

რა მომსახურება შეიძლება განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრებმა:

- ფერმერების და მენარმეების ინფორმაციული უზრუნველყოფა საერთაშორისო ბაზარებზე არსებული მდგომარეობის, სასოფლო-სამეურნეო მართვის საუკეთესო პრაქტიკის, საერთაშორისო სტანდარტების და ახალი ტექნოლოგიების შესახებ;
- მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება ექსტენციის სამსახურებს, ფერმერებს და წარმოების საშუალებების მომწოდებლებს, გადამამუშავებლებსა და დისტრიბუციის სფეროს წარმომადგენლებს შორის;
- არსებული საკრედიტო ინსტიტუტებისა და მათი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის გაცემა;
- ფერმერების დახმარება ბიზნესგეგმის შედგენაში;
- ფერმერებისათვის კონსულტაციების განწევა;
- ტრენინგების ჩატარება იმ საკითხებზე, რომლებიც შეირჩევა ფერმერთა გამოკითხვის შედეგად, მათი ინტერესებიდან გამომდინარე;
- ბუკლეტების თემების შერჩევა ფერმერთა გამოკითხვის საფუძველზე მათი ინტერესებიდან გამომდინარე;

პრობლემის უკეთესად აღქმისათვის განვიხილოთ ვაშლის წარმოების მაგალითი საქართველოში:

უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, საქართველოში ხეხილის ბალების ფართობი შეადგენს 37,0 ათას ჰა-ზე მეტს. აქედან ვაშლის ფართობებს უკავია 11,0 ათას ჰა-ზე მეტი (ხეხილის ბალების

30%), საიდანაც მსხმოიარე ასაკშია 8,4 ათასი ჰა. აღსანიშნავია, რომ ვაშლის ბაღების 80%-ზე მეტი (9,0 ათასი ჰა) შიდა ქართლის მხარეშია. ვაშლის ბაღების ძირითადი ნაწილი ამორტიზებულია და მოძველებული. საშუალო მოსავლიანობა ქვეყანაში 8-10 ტ/ჰა-ს შეადგენს.

მსოფლიოში ამჟამად დაახლოებით 62 მლნ ტონა ვაშლი ინარმოება, საერთო ფართობი კი 5 178 000 ჰა-ს შეადგენს. ვაშლის ძირითადი მწარმოებლები არიან ჩინეთი (22,2 მლნ ტონა), აშშ (4,6 მლნ ტონა), პოლონეთი (2,5 მლნ ტონა), ირანი (2,4 მლნ ტონა), თურქეთი (2,3 მლნ ტონა), საფრანგეთი (2,2 მლნ ტონა), იტალია (2,1 მლნ ტონა) და რუსეთი (2,1 მლნ ტონა). თანამედროვე ტექნოლოგიებით გაშენებული ნაგალა ბაღებიდან მიღებული ვაშლის მოსავლიანობა საშუალოდ 50 ტონა/ჰა-ს აღწევს, რაც დაახლოებით 5-ჯერ მეტია საქართველოში არსებულ საშუალო მოსავლიანობაზე.

2010 წელს საქართველოდან 608 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 2486 ტონა ვაშლის ექსპორტი განხორციელდა. აღნიშნული მონაცემების მიხედვით ერთი ტონა საქსპორტო ვაშლის ღირებულება 245 დოლარს შეადგენს. ქართული ვაშლის ექსპორტი განხორციელდა შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ერაყი, ეგვიპტე, ყაზახეთი, უკრაინა, ბელორუსია.

არსებული უკანასკნელი მონაცემებით, ევროპის ბაზარზე ერთი ტონა მაღალი ხარისხის ვაშლის (გოლდენ დელიშესი) საბითუმო ფასი შეადგენს დაახლოებით 1200 ევროს.

საქართველოში არსებული ამორტიზებული ბაღების ეტაპობრივი განახლებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, შესაძლებელია საშუალო მოსავლიანობა გაიზარდოს 40-50 ტონა/ჰა-მდე და ვაწარმოოთ დაახლოებით 550 ათასი ტონა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ვაშლი. ვაშლის ადგილობრივი მოხმარება ნედლი სახით დაახლოებით 60-65 ათას ტონას შეადგენს, ყოველწლიურად გადამუშავდება საშუალოდ 40-50 ათასი ტონა. თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 50% (25 000 ტონა) შესაძლებელია გავიტანოთ ექსპორტზე და ამასთანავე გავაფართოოთ ექსპორტის გეოგრაფია.

იმის გამო, რომ მეხილეობაში ჯერჯერობით მასიურად არ არის დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიები და საერთაშორისო სტანდარტები, შემოსავალს კარგავს როგორც ფერმერი, ასევე ქვეყნის ბიუჯეტი. ადგილობრივი პროდუქციის (ამ შემთხვევაში ვაშლის) საქსპორტო ღირებულება დაახლოებით 4-ჯერ ნაკლებია, ხოლო მოსავლიანობის მაჩვენებელი კი 5-ჯერ ნაკლებია ევროპულ ბაზართან შედარებით. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში წარმოებული ვაშლი ძირითადად გადის დსთ-ს ქვეყნებში, სადაც პროდუქცია ევროპულ ბაზართან შედარებით იაფია. ამ მიმართულებითაც არის ჩასატარებელი მუშაობა, რათა მოვიძიოთ ახალი ბაზრები და, შესაბამისად, გავაფართოოთ ექსპორტის გეოგრაფია.

უნდა აღინიშნოს, რომ აგრობიზნესის განვითარების პროექტის (ფონდი – ათასწლეულის გამონვევა საქართველოს) ფარგლებში ჩამოყალიბდა 33 ფერმერთა მომსახურების ცენტრი და 10 მექანიზაციის სერვისცენტრი, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ფერმერები იღებენ მაღალკვალიფიციურ კონსულტაციებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. პროგრამამ საერთო ჯამში დაასაქმა სოფლის მეურნეობის 260 დარგის სპეციალისტი.

ექსტენციის ერთიანი ეროვნული სისტემის გარეშე სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი სწრაფი ვერ იქნება. მეტი დრო დასჭირდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ალტერნატიული ბაზრების მოძიებას და ფერმერთა შემოსავლების ზრდის ტემპიც შესაბამისად შენელებული იქნება. შედეგად, დაზარალებული მთლიანად დარგი, შეფერხდება რეგიონული განვითარება, რაც საბოლოოდ ქვეყანას უფრო მეტ დანახარჯს მოუტანს, ვიდრე მსგავსი სისტემის შექმნასა და ამუშავებას ესაჭიროება.

საქართველოში ამ ეტაპზე ფასიანი ექსტენციის სისტემის ჩამოყალიბება ეფექტიანი ვერ იქნება, რადგანაც ფერმერთა უმრავლესობა მცირემიწიანია და დაბალშემოსავლიანი. აქედან გამომდინარე, უნდა შეიქმნას ერთიანი ექსტენციის მოდელი, რომელსაც ჩამოაყალიბებს და პირველ ეტაპზე დააფინანსებს სახელმწიფო, ხოლო საბოლოოდ ადგილობრივი მმართველობა, ფერმერთა გაერთიანებები და ბიზნესმენები. საჭიროა მოიძებნოს ისეთი მექანიზმი, რომლის დროსაც ფერმერი ადვილად ითანამშრომლებს ექსტენციის ცენტრებთან და ამით გაიუმჯობესებს თავის ეკონომიკურ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Tetyana P. Kalna-Dubinyuk Stanley, Stanley R. Jonson - The development of Extension Service in Ukraine and Worldwide Experience; 2005, Kiev, Agrarna Nauka;
2. Grahame Dixie - Marketing extension guide, Horticultural Marketing, 2005, FAO, Rome;
3. www.geostat.ge;
4. <http://faostat.fao.org/>;
5. www.freshplaza.com.

EKATERINE ZVIADADZE

Doctor of Economic Science

Ministry of Agriculture of Georgia

THE ESSENCE AND IMPORTANCE OF AGRICULTURAL EXTENSION

S u m m a r y

On the basis of the world's experience, complete and timely delivered information for farmers and stakeholders about the new technologies positively affects productivity and helps them to generate more income from the business.

Farmers target the products (at least they should target) which are in great demand on the market and try to get as much benefit as possible from selling them. Under the conditions of market economy, in order to reach success Georgian stakeholders should be familiar with modern technologies, marketing and management approaches. An agricultural extension service can enable the flow of information, learning resources and benefits.

Export-oriented farmers should be familiar with the demand on international markets, export barriers and preferences. They should plan and develop their production according to the market demand.

State extension services and market information systems are very important for the development of agribusiness in rural areas. All this will help the farmers to upgrade their knowledge, improve their skills and get information about the existing opportunities and alternatives.

წიგნის ტიტული

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

აგროსასურსათო ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირება ახალ მოთხოვნებს უყენებს ბიზნესის მართვას და ამ სფეროში დასაქმებულთა პროფესიული მომზადების დონეს. სწორედ ბიზნესის გონივრული წარმართვა უზრუნველყოფს ფირმებისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის საწინდარია. სამწუხაროდ, ამ კუთხით არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში. ამჟამად შეიმჩნევა ხარვეზები აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში. არადა, აგროინდუსტრია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის უმნიშვნელოვანესი სფეროა.

ტრადიციულად, საქართველოში სოფლის მეურნეობა კარგად იყო განვითარებული, თუმცა, დღეისათვის ამ დარგის ინფრასტრუქტურა მოშლილია, ძველი სტრუქტურები მთლიანად განადგურებულია და დარგის ინტენსიური განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ ფაქტორებმა უშუალო გავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საქართველოში სურსათის პრობლემების მნიშვნელობაზე მიუთითებს TACIS, KNOW-HOW FUND, USAID, მსოფლიო ბანკის, ევრაზიის ფონდის, ევროკავშირის და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროექტები. აღსანიშნავია, რომ NATO-ს რეკომენდაციებით, სურსათის უვნებლობის საკითხები ჩართულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში (ENP AP), რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის.

საქართველოში აგრარული მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისათვის მიღებულია მრავალი კანონი და დოკუმენტი, როგორცაა საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია (2003 წ.), სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეფორმების ძირითადი მიმართულებები (2005 წ.) და სხვა. საქართველო განეწინააღმდეგება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, სურსათისა და აგრარულ ორგანიზაციაში (FAO), ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციაში. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ასეთი ორგანიზაციების წევრობამ ქვეყანას მოუტანა მხოლოდ პოლიტიკური დივიდენდები და არა ეკონომიკური სარგებლობა. არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ძვრები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე. ქვეყანაში არ შეინიშნება სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესება, საკმაოდ დაბალია ღარიბი მოსახლეობის მიერ საკვები ენერჯის დღიური მოხმარების ნორმა. ადგილობრივ პროდუქტზე პროტექციონისტული პოლიტიკის არარსებობა განაპირობებს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი სექტორის წარმოების დაბალ დონეს. უცხოელი და ქართველი ინვესტორებისათვის არაა შექმნილი მიმზიდველი სამეწარმეო გარემო, ადგილობრივი ბაზარი ნაკლებად ეფექტურია, არასაკმარისია სასურსათო პროდუქტებზე უსაფრთხოების პოლიტიკის დონე, საქართველოში ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული ფერმერთა საშუალო ფენა. ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე არსებული ვითარება ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მინიმალურ მოთხოვნებს, ამიტომ ქართული პროდუქციის უმეტესობა ვერ გადის საგარეო ბაზარზე.

დღეს, როცა საქართველოში, ძირითადად, კვების მრეწველობის დარგები მუშაობს, ეკონომიკის განვითარების საფუძველი უნდა გახდეს სურსათისა და აგროპროდუქციის წარმოება, რომელიც განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში შემოსავლებისა და ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობებს, მოსახლეობის სოციალურ დაცვას და, შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფას. დღეისათვის საქართველოს შიდა პროდუქტის 25 % სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოდის, ხოლო მოსახლეობის 54 % ამ სფეროშია დასაქმებული, ძირითადად, საოჯახო მეურნეობაში, ვიდრე ფერმერულში. ქვეყანაში 3 მილიონზე მეტი ჰექტარი უკავია საძოვრებს, ხოლო 1 მილიონი სავარგულებს, რომელთაგან მხოლოდ ნახევარია ათვისებული. სოფლის მეურნეობის დარგებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხეხილის, ციტრუსების, ჩაის, ყურძნის და თხილის წარმოება. ექსპორტი უმეტესად ორიენტირებულია ღვინოზე და მინერალურ წყლებზე. თუმცა, უკანას-

კნელი პერიოდის რუსულმა ემბარგომ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ამ სექტორის განვითარებას საქართველოში. რაც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე იმპორტის მოცულობა საკმაოდ მაღალია. ამასთან, საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სამამულო ბაზარი გაჯერებულია გაურკვეველი წარმომავლობის ფალსიფიცირებული პროდუქციით, რაც ხშირ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის მომხმარებელს და არღვევს მათ კანონიერ უფლებებს. სამწუხაროდ, სურსათისა და აგრობიზნესში დასაქმებულთა უმეტესობას არ გააჩნია საკმარისი ცოდნა პროდუქციის წარმოებისა და მარკეტინგის შესახებ. ეს გარემოება განსაკუთრებით მწვავედ მოქმედებს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაზე და აბრკოლებს ექსპორტის განვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენს ბაზარზე ხშირად იყიდება ისეთი საქონელი, რომელიც მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ასეთი პროდუქტის რეალიზაციას არც კომერციული და არც სოციალური გამართლება არა აქვს. ხშირად, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის პირობების არცოდნის შედეგად, მომხმარებელს მიეწოდება უხარისხო ან გაუარესებული ხარისხის პროდუქცია. უარესი მდგომარეობაა წარმოების დარგში. მცირე სანარმოებში პროდუქცია ხშირად მზადდება შეუფერებელი ნედლეულის გამოყენებით და ტექნოლოგიური პროცესების უხეში დარღვევით, ხოლო სავაჭრო სანარმოებში საქონლის მიღება ხორციელდება ხარისხის შესაბამისობის დადასტურების გარეშე. არ არსებობს სასურსათო პროდუქტებზე მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მექანიზმი, არ ტარდება პროდუქციის ხარისხის ექსპერტიზა და კონტროლი. აგრობიზნესში დასაქმებული ადამიანები ხშირად კოტრდებიან, რადგან არასწორად ირჩევენ გასაყიდ საქონელს, ვერ ითვალისწინებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. ამიტომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან ერთად, მკაცრი კონკურენციის არსებობა მოითხოვს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას სურსათისა და აგროპროდუქციის წარმოებისა და მარკეტინგის სფეროში.

აგროსასურსათო ბაზრის შესწავლის მიზნით ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა, რისთვისაც გამოვიყენეთ ანკეტური გამოკითხვის მეთოდი. ბაზრის სეგმენტად შევარჩიეთ ქალაქ თბილისის აგროსასურსათო პროდუქციის გამყიდველები, ვინაიდან მათი მეშვეობით შესაძლებელია ინფორმაციის მიღება აგრარული ბაზრის მომწოდებლებზე, მომხმარებელთა მოთხოვნებზე, ფასების დაწესების პრინციპზე, პროდუქციის შენახვისა და ხარისხის შენარჩუნების პირობებზე, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ პროდუქციის უვნებლობის რეგულირების საკითხებზე და ა.შ.

გამოკითხვა ჩატარდა თბილისის ვაგზლისა და ნავთლულის ბაზრებზე, რომელშიც 250 რესპოდენტი მონაწილეობდა. ვინაიდან აგროსასურსათო პროდუქციის ბაზარი საკმაოდ ფართოა, ამიტომ შევარჩიეთ ისეთი გამყიდველები, რომლებიც ხილს და ერთნაირი კულტურული მცენარეების პროდუქციას ყიდნიან. ამასთან, გამოკითხული რესპოდენტები ზემოაღნიშნული პროდუქციის ერთი ან რამდენიმე სახეობით ვაჭრობენ.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აგრარულ პროდუქციაზე ფასების დაწესება, უმეტეს შემთხვევაში, ბაზრის მოთხოვნებიდან და მომწოდებლებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, რესპოდენტთა 30% ფასების დადგენისას ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს, 38% – მომწოდებლების მოთხოვნებს, 30%-მა ორივე პასუხი დააფიქსირა, ხოლო 2% თვლის, რომ ფასები რეგიონებში არსებულ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. გამყიდველები მიიჩნევენ, რომ ფასები წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა მომატებული.

საკმაოდ საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა რაოდენობის პროდუქცია გამოაქვთ გამყიდველებს სარეალიზაციოდ და რამდენის გაყიდვას ახერხებდნენ ისინი დღის განმავლობაში. როგორც კვლევამ აჩვენა, ერთ ბითუმად მოვაჭრეს გასაყიდად გამოაქვს საშუალოდ 2-4 ტონა აგროსასურსათო პროდუქცია და დღის განმავლობაში ყიდის 1-2 ტონას, ხოლო საცალოდ მოვაჭრეს, შესაბამისად, გასაყიდად გამოაქვს 500-800 კგ აგრარული პროდუქტი და დღის განმავლობაში ყიდის 300-500 კგ-ს. გამოკითხულთა შორის არიან ადგილობრივი ფერმერები (გლეხები), რომლებიც საკუთარ მონეულ პროდუქციას თავიანთი მანქანებით ყიდნიან საბითუმო ბაზარზე. მათ, დაახლოებით, 600-800 კგ პროდუქცია გამოაქვთ გასაყიდად.

ასევე საინტერესოა იმის გაგებაც, თუ რამდენ ხანში ახერხებენ მოვაჭრეები თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას. გაირკვა, რომ გამოკითხულთა 95% თავიანთ პროდუქციას 1-5 დღის განმავლობაში ასალებს. ეს განპირობებულია აგროსასურსათო პროდუქციის მალფუჭადი თვისებითაც. რაც შეეხება პროდუქციის მიახლოებით სარეალიზაციო დანაკარგებს, იგი საკმაოდ მაღალია და გამყიდველთა მეოთხედისთვის 5-10%-ს შეადგენს.

როგორც სტატისტიკური მასალების ანალიზი ცხადყოფს, ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა აგრარული პროდუქციის წარმოება. საქსტატის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში წლის განმავლობაში წარმოებული აგროსასურსათო პროდუქცია ქართველი მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფი-

ლებას ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს. ამიტომ აგრარული ბაზრის შევსება ხდება იმპორტული პროდუქციით. როგორც გაირკვა, ბითუმად მოვაჭრეები საკმაოდ კარგად ერკვევიან თავიანთი საქონლის წარმოშობაში, იგივე შეიძლება ითქვას საცალოდ გამყიდველებზეც. მათი პასუხებიდან გამომდინარე, ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში ქვეყანა თითქმის მთლიანად იმპორტზე, ძირითადად, თურქულ საქონელზეა დამოკიდებული. ასევე მნიშვნელოვანი იმპორტიორია სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩინეთი, ხოლო საბერძნეთიდან და ეგვიპტიდან დიდი რაოდენობით შემოდის ტროპიკული ხილი. ადგილობრივი პროდუქცია საშინაო ბაზარზე იყიდება ზაფხულზე და შემოდგომაზე, რომელიც ცდილობს კონკურენცია გაუწიოს იმპორტულს. რესპოდენტთა პასუხებიდან გამომდინარე, ძირითადი რეგიონები, რომლებიც აგრარულ ბაზარს სამამულო პროდუქციას აწვდიან, არის გორი, მარნეული, კასპი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, ლაგოდეხი, ბოლნისი. ბუნებრივია, ქართველი მომხმარებელი მწვავედ რეაგირებს იმპორტული პროდუქციის სიჭარბეზე. მოვაჭრეების 95%-მა აღნიშნა, რომ ადგილობრივ პროდუქციას მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ და მას მეტი ნდობით უყურებენ.

საცალოდ მოვაჭრეები, რომლებიც პროდუქციას საბოლოო მომხმარებელს აწვდიან, სხვადასხვა შუამავალი რგოლისა და ბითუმად მოვაჭრეების მიერ მარაგდება. შუამავლები ბაზარზე რამდენიმე რგოლის სახითაც გვხვდება. კვლევის შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ საცალოდ მოვაჭრეთა 58,5%-ს ადგილობრივი ბითუმად მოვაჭრეები ამარაგებს, 15%-ს – იმპორტიორი ბითუმად მოვაჭრეები, 19%-ს – ადგილობრივი ფერმერები (გლეხები), ხოლო 7,5%-მა – სამივე პასუხი დააფიქსირა.

მომხმარებლები, ისევე როგორც მომწოდებლები, აგრარულ ბაზარზე სხვადასხვა სახით გვხვდება. მას მიეკუთვნება მოსახლეობა, რომელიც აგროსასურსათო პროდუქციას მიზნობრივი და საბოლოო მოხმარებისათვის ყიდულობს და სხვადასხვა კვების ობიექტები ან მაღაზიები. როგორც კვლევამ აჩვენა, გამყიდველების 55% თავის პროდუქციას ყიდის მოსახლეობაზე, 15% – სასურსათო მაღაზიებზე, 7,5% – კვების ობიექტებზე, ხოლო 22,5%-მა სამივე სახის მომხმარებლები დაასახელა თავის კლიენტებად. რაც შეეხება მოთხოვნაზე მოქმედ ფაქტორებს, კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პროცენტული მაჩვენებლები: სეზონურობა – 17%, დღესასწაულები – 54%, ფასი – 16%, პროდუქციის ხარისხი – 5%, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა – 8%. ამასთან, უნდა შევნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი სახის აგროსასურსათო პროდუქცია, მოხმარების თავისებურებებიდან გამომდინარე, იმდენად საჭირო და შეუცვლელი საკვები პროდუქტია, რომ მის მოთხოვნაზე ზემოჩამოთვლილი ფაქტორები ხშირ შემთხვევაში გავლენას ვერ ახდენენ და ყოველთვის მაღალი მოთხოვნით გამოირჩევიან.

აგროსასურსათო პროდუქციის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ძალზე მალე ფუჭდება. ამიტომ აგრარული პროდუქციის შენახვისა და ვაჭრობის დროს მას სჭირდება სპეციფიკური პირობები და სანყოფი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი სამომხმარებლო თვისებების შენარჩუნება. როგორც აღმოჩნდა, გამყიდველ რესპოდენტთა 96% მხოლოდ პროდუქციის მშრალ ადგილზე შენახვით კმაყოფილდება, ხოლო 4% კი მიიჩნევს, რომ აგროსასურსათო პროდუქცია არ საჭიროებს არანაირ სპეციფიკურ მოპყრობას. კვლევიდან გამომდინარე, გამყიდველთა 72,5% აფიქსირებს, რომ ბაზარს გააჩნია ასეთი სანყოფი, თუმცა, რეალობა სულ სხვაა. სანყოფიები ბაზარში მხოლოდ ბითუმად მოვაჭრე გამყიდველებს აქვთ თავიანთ საკუთრებაში. საცალოდ მოვაჭრეების უმრავლესობას, განსაკუთრებით კი გარე მოვაჭრეებს, აგრარული პროდუქცია ფარდულებში ან ყუთებში აქვთ შენახული, სადაც ხარისხის შენარჩუნება საკმაოდ რთულია ან ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი. ხარისხის შესანარჩუნებლად, როგორც გაირკვა, გამყიდველები, ძირითადად, მხოლოდ გასუფთავებასა და გადარჩევა-დახარისხებას მიმართავენ. მცირე ნაწილი, ისიც მხოლოდ ტროპიკული ხილის გამყიდველები, იყენებს ტემპერატურის რეგულირების რეჟიმს და ცდილობს საქონელი დაბალ ტემპერატურაზე შეინახოს ზარალის თავიდან აცილების მიზნით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამყიდველების უმეტესობა (57,5%) ახდენს გადარჩევა-დახარისხებას, 20% – ტენიანობის და ტემპერატურის რეგულირებას, 17,5% – გასუფთავებასა და დახარისხება-გადარჩევას, ხოლო 5% – საერთოდ არაფერს არ აკეთებს.

აგროსასურსათო პროდუქტი განსაკუთრებულ შეფუთვას არ საჭიროებს, მაგრამ სავაჭრო ქსელში რეალიზაციისა და ადვილად გადატანის მიზნით, ხდება მისი დაფასოება მუყაოს ან ხის ყუთებში და სხვადასხვაგვარ ტარაში. ეს განსაკუთრებით ეხება იმპორტულ პროდუქციას, რომელიც შეფუთული სახით შემოდის ჩვენს ქვეყანაში და შესაფუთ მასალაზე მითითებული აქვს ქვეყნის დასახელება, წონა და სხვა მონაცემები. ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესოა იმის გარკვევა, არსებობს თუ არა ჩვენს ბაზარზე მოთხოვნა პროდუქციის შეფუთვასთან დაკავშირებით. კვლევამ აჩვენა, რომ გამყიდველების 47,5%-სათვის შეფუთვა სასურველია, 27,5%-სათვის აუცილებელი, ხოლო 25% თვლის, რომ შეფუთვა საჭირო არაა. აღსანიშნავია, რომ შეფუთვის აუცილებლობას, ძირითადად, აფიქსირებენ ბი-

თუმად მოვაჭრე გამყიდველები, რადგან ისინი საქონლის დიდ პარტიას ყიდიან და ტარის გარეშე მისი რეალიზება რთულია. შესაბამისად, შეფუთვის მნიშვნელობას უარყოფენ ის გამყიდველები, რომლებიც თავიანთი საქონლის მცირე მოცულობას მოსახლეობაზე ყიდიან. ამასთან, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მომხმარებელთა უმეტესობა (55%) შეფუთულ აგროსასურსათო პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას.

მომხმარებელთა უფლებების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სახელმწიფო ახდენს აგრარული პროდუქციის უვნებლობის კონტროლს ლაბორატორიების მეშვეობით. ცხადია, ყველა ბაზარს უნდა ჰქონდეს ლაბორატორია, სადაც ყოველდღიურად დაადგენს სტანდარტებთან პროდუქციის შესაბამისობას. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღეისათვის უფრო ფორმალურ სახეს ატარებს და, რეალურად, საფუძვლიანი შემოწმება და კონტროლი აგროსასურსათო პროდუქტებზე არ ხდება. ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, მოვაჭრეების მხოლოდ 40% პასუხობს, რომ მისი პროდუქცია მონმდება ლაბორატორიაში, 25%-ს შემოწმებული პროდუქტი შემოაქვს, 32,5% აცხადებს, რომ პროდუქცია საერთოდ არ მონმდება. როგორც გაირკვა, ლაბორატორიებს მხოლოდ იმ მოვაჭრეების პროდუქციის შემოწმება ევალებათ, რომლებიც ბაზრის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ დახლებზე ვაჭრობენ და არა გარემოვაჭრეებისა. აგროსასურსათო პროდუქტის გამყიდველთა უმრავლესობას თავიანთი საქონელი ყუთებით უყრია ქუჩაში, ბაზრის შიგნით ტერიტორიაზე დახლების ნახევარზე მეტი დაცარიელებულია. ბუნებრივია, მათი პროდუქტი ფორმალურ ლაბორატორიულ შემოწმებასაც კი არ ექვემდებარება. სამწუხაროდ, მოსახლეობის გაცნობიერება ამ საკითხში დაბალია და პროდუქტებს უპრობლემოდ ყიდულობს.

საქართველოში აგროსასურსათო ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია ხელშემწყობი გარემო, კერძოდ, აგროპოლიტიკის სრულყოფა საკანონმდებლო დონეზე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდა, ათვისება და პოპულარიზაცია, წარმოების ინტენსიფიკაცია, ფერმერული მეურნეობის განვითარება და ფერმერთა კოოპერაცია, რომელიც სტრატეგიული განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა გახდეს, საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია რეგიონების მიხედვით, განსაკუთრებით, აგროტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნით. ასევე აუცილებელია საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ახალი სპეციალისტების მომზადება აგროსასურსათო პროდუქციის მარკეტინგის, ექსპერტიზისა და ხარისხის კონტროლის სფეროში. იმისათვის, რომ რეალურად განვითარდეს ბიზნესი და მარკეტინგული მომსახურება საქართველოს აგრარულ სექტორში, აქცენტი უნდა გაკეთდეს რენტაბელურ და მაღალი მოთხოვნის პროდუქციის წარმოებაზე. ჭარბი და იაფი მუშახელი, საკმაოდ ნაყოფიერი მიწები, ხელსაყრელი კლიმატი და ადამიანური რესურსები აგრარულ სექტორში წარმატების მიღწევის რეალურ შესაძლებლობებს ქმნიან. ქვეყნის აგროსასურსათო ბაზრის განვითარებისათვის საჭიროა პროფესიონალიზმი, აუცილებელია აგროსასურსათო პროდუქციის ბაზრის კომპლექსური შესწავლა, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების სრულყოფა, ხარისხის შეფასებისა და კონტროლის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, აგრეთვე ღონისძიებათა შემუშავება საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ვფიქრობთ, ზემოწამოთვლილი ღონისძიებების რეალიზაცია და ჩატარებული მარკეტინგული კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს დაინტერესებულ პირებს გავაცნოთ საქართველოს აგრობაზრის თავისებურებები, დავუხმაროთ მათ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლისა და სტაბილურობის საკითხების სწორ ორიენტირებაში; ხელი შევუწყოთ ისეთი სამამულო აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებას, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე. თავის მხრივ, აგრარული სექტორის ეფექტიანობისა და კომერციალიზაციის ზრდა განაპირობებს ეკონომიკაში ფერმერული მეურნეობის წილის ამაღლებას, აგრობიზნესში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას და, შესაბამისად, ქვეყნის უმთავრესი ამოცანის - სიღარიბის გადაჭრაში ხელშემწყობას.

NUGZAR TODUA

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Full Professor*

**MARKETING RESEARCH OF THE AGRO-FOOD MARKET AND ITS DEVELOPMENT
TRENDS IN GEORGIA**

S u m m a r y

It's shown in the article that agricultural industry is the most important field in the economic activity of Georgia. By now, unfortunately, the infrastructure of this branch is destroyed and it is developing at a lower speed. Although plenty of laws and documents have been drawn for defining the agricultural economy development strategy, there are no signs testifying the improvement of agro-food production. The current situation in the agro-product market cannot meet even the minimum requirements of the international standards. Therefore, the majority of Georgian products could not reach foreign markets. At the same time, it is important to note that the domestic market is full of false products of vague origin, which is dangerous for consumers and violates their rights. Individuals involved in agro-business often become bankrupts because they fail to choose the right products to sell and cannot consider the requirements of local and international markets. Therefore, it is necessary to conduct a complex study of the agro-food market.

For the purpose of studying the agro-food market, the marketing research has been conducted. On the basis of the research, it has been revealed that mostly market demands and suppliers determine the agro-product pricing policy. The study has also determined the amount of the products supplied by the marketers and the amount they are able to sell per day. The results of the marketing research regarding such issues as the level of intermediaries, customers, demand influencing factors, product storage, packaging and quality control are also given in the article. On the basis of the conducted research the main development tendencies of agro-food market in Georgia have been highlighted, the realization of which will contribute a great deal to the rise of the efficiency and commercialization of agro-food branch.

აბრარული კრიზისი საქართველოში

საქართველოში, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით, მოსახლეობის 48 პროცენტი სოფლად ცხოვრობს. მიუხედავად სასოფლო არეალში არსებული სამუშაო ძალის სიჭარბისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა ქმნის მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 4 პროცენტს, ხოლო ქვეყანაში სურსათის მოხმარება 68 პროცენტით დამოკიდებულია იმპორტზე. სოფლის მეურნეობის კრიზისის დამადასტურებელი უფრო მრავლისმეტყველი ინდიკატორები არ არსებობს.

საქართველოში, სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ღრმა სტრუქტურული ხასიათის კრიზისს, ჩვენი აზრით, საკუთარი მიზეზები გააჩნია, ესაა: 1. ეკონომიკურ აზროვნებაში გაბატონებული ბაზრის ყოვლიშემძლეობის ფილოსოფია და, აქედან გამომდინარე, საბაზრო კონკურენციის მარეგულირებელი უნარისადმი გადაჭარბებული ნდობა. 2. ქრობადი ინერციით მიმდინარე, სოფლის მეურნეობაში საბჭოეთის დროიდან გაბატონებული აზროვნების სტერეოტიპებისა და აგრიკულტურაში შენარჩუნებული ტექნოლოგიური რუტინა. 3. საქართველოში სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკური რეფორმირების დროს დაშვებული შეცდომები, რაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა დაქუცმაცებასა და მსხვილ საწარმოთა ლიკვიდაციაში გამოიხატა. არის სხვა მიზეზებიც, მაგალითად, ამ მიმართულებით ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერის არაეფექტური გამოყენება და სხვ. მაგრამ, ჩვენი აზრით, უმთავრესია პირველი სამი მიზეზი, რომლებიც ჩვენს დამოკიდებულებას გამოხატავს დარგის მიმართ.

მსოფლიოში, ამ ბოლო 4–5 წლის მანძილზე, მიმდინარე აგფლაციურმა პროცესებმა ჩვენთვისაც, ერთი მხრივ, თვალსაჩინო გახდა კრიზისული მოვლენები, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, „აი-ძულეს“ ეკონომიკურ პროცესებზე პასუხისმგებელი პირები ახლებურად შეეხედათ და გაეაზრებინათ საბაზრო ეკონომიკის დინამიზმი, მეორე მხრივ, რამდენადმე გავიზრეთ საკუთარი, ეროვნული პასუხისმგებლობა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და ქვეყნის აგრარულ სექტორში აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კრიზისის პრობლემისადმი დამოკიდებულება არ ატარებს შინაარსობრივ ხასიათს. არ განხორციელებულა საკითხის კორექტული დასმაც კი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკითხი მარტივი გადასაწყვეტია და შესაძლებელია მოგვარდეს მყისიერად, ერთი ხელის დაკვრით.¹ შესაბამისად, მოქმედება ხდება სწრაფად და წინასწარ შემუშავებული გეგმების და გრძელვადიანი, პერსპექტიული პროგნოზების გარეშე. ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისულ მოვლენებს.

როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლების აზროვნებაში, თეზისი, „ბაზარი ყოვლისშემძლეა და ყველა სამეურნეო პროპორციას დაარეგულირებს“ კვლავ გაბატონებულია. მსოფლიოში აღიარებული ფაქტი, რომ „ბაზარი“ არ აღმოჩნდა „ყველა უბედურებისაგან თავდაცვის საშუალება“, ჩვენთან ძნელად იკიდებს ფეხს. მეტიც, 2009 წლის გაზაფხულზე „საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ ხმაურიანი განხილვა და ილია ჭავჭავაძის ლიბერალური ეკონომიკური თეორიის მამთავრად გამოცხადება, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ მაკროეკონომიკურ პროცესებზე პოლიტიკური ზემოქმედების პრაქტიკას არა მარტო ამართლებს, არამედ ქართული რეალობაში ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების პოზიციონირება წარმოადგენდა არა მხოლოდ მსოფლმხედველობით არგუმენტს, არამედ, უპირატესად მოქმედების მეთოდს, ეკონომიკური აქტიობისადმი სახელმწიფო ჩაურევლობის პოლიტიკურ ნების დეკლარირების ფაქტს. ეს კი ამჟამად უდიდეს მეთოდოლოგიური ბარიერია ეკონომიკური პროცესების მართვის თვალსაზრისით. ამიტომ, ჩვენ ვალდებული ვხდებით ერთდროულად ვიმოქმედოთ აღნიშნული მე-

¹ ასეთი მსჯელობის უფლებას მაძლევს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საქმიანობაზე დაკვირვება. ხან სიმინდის კომპანიას აჩალებენ და მთესველებს სთავაზობენ ერთ ჰექტარზე 80 000 მარცვალს, ნაცვლად 57 ათასისა (რაც თესლის უხარისხობაზე ან ფერმერებისადმი ჭარბი პროდუქტის მისაღებაზე მეტყველებს), ხან მოცვის წარმოებასა და რეალიზაციაში ხედავენ გამოსავალს, ხანაც ნვეთოვანი სარწყავი სისტემები მონტაჟდება დიდ ფართობებზე წინასწარი პროექტების გარეშე და ა.შ. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა იმპულსურად, იმპროვიზებული ფორმებით იმართება.

თოდოლოგიური ბარიერის დასაძლევად და დამდგარი კრიზისის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავების მიმართულებითაც. ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მივაქციოთ, უპირატესად, შემდეგ გარემოებებს:

1. მსოფლიო შეშინებულია აგფლაციის გაღრმავებით და სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდით. როგორც კომპეტენტური ორგანოები იტყობინებიან, ფასების ზრდა გამონეუელია პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების გადიდებით, რაც განპირობებულია ენერგომატარებლების, ტრანსპორტირების ხარჯების და მსოფლიოს ეკონომიკურ ცენტრებში სასაქონლო ბირჟებზე სპეკულაციის მასშტაბების ზრდით (პროდუქციის ერთეულზე დადებულია საშუალოდ 46 კონტრაქტი). მოკლევადიანი და მალაღეფექტიანი გზა არსებული მსოფლიო აგრარული კრიზისის დაძლევისათვის არ არსებობს. შესაბამისად, საქართველო, როგორც მსოფლიო სამეურნეო სივრცეში ინტეგრირებული მაკროეკონომიკური ერთეული, განიცდის ამ არეალში მოქმედ ნეგატიურ საბაზრო ძალთა ზეგავლენას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა ძირითადად ინტეგრირებულია მსოფლიო ბაზრის პერიფერიულ ნაწილში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ შეინიშნება კრიზისული მოვლენები, ამიტომ ჩვენთან განსაკუთრებით რთული მისაღწევია აგრარული სექტორის გაჯანსაღება იმ მიდგომებით, რომლებსაც იყენებენ განვითარებული ქვეყნები. შესაბამისად, ჩნდება ახალი სამეურნეო მექანიზმების შემუშავების აუცილებლობის საკითხი. ერთი მხრივ, ეს საკითხი მარტივია. აბა დაფიქრდეთ, მსოფლიოში არსებული რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ვანარმოთ საკვები პროდუქცია არა 6.6 მილიარდი მოსახლისათვის, არამედ მთელი 12 მილიარდი გამოვკვებოთ. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში მოსახლეობის 30 პროცენტი შიმშილობს. რატომ? ისმება კითხვა. ამის მიზეზია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, თავისი შინაარსით, საქონელია და თუ ვერ იყიდი ე.ი. არა გაქვს. აქედან გამოსავალს ხედავენ მხოლოდ ადგილებზე წარმოების პროდუქციის მოცულობების ზრდით. მსოფლიოში მიმდინარეობს ცდები აფრიკაში (საქარის სამხრეთით) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასაძიდებლად. ახალი ტექნოლოგიების შესამუშავებლად, დაბალნაყოფიერ მიწებზე პროდუქტიულობის გასაზრდელად და ა.შ. შესაბამისად, აგრარული კრიზისიდან გამოსვლის მთავარი შესაძლებლობაა ადგილობრივი ცალკეული მაკროეკონომიკური ერთეულების ფარგლებში სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობის და ხარისხის გაუმჯობესება. საქართველოში, როგორც ვხედავთ, გლობალური განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, ეს ამოცანა აქტუალური ხდება.

2. მსოფლიოში მიმდინარე აგფლაციური პროცესი საქართველოშიც არსებით მნიშვნელობას ატარებს. ხელისუფლება აღიარებს, რომ მას ძალა არ შესწევს ამ ეტაპზე გაუმკლავდეს შიდა ბაზარზე ინფლაციურ პროცესს. შესაბამისად, 2011 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში, ინფლაცია ორნიშნა ციფრით განისაზღვრა. დადგა არსებული აგრარული რესურსების (სამუშაო ძალის, ტრადიციული კვალიფიკაციისა და მიწის ფონდის) უკეთესი გამოყენების აუცილებლობის პრობლემა. ამ თვალსაზრისით, განვითარებულ ქვეყნებთან საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი იურიდიული ბაზის და ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო ერთეულების შედეგობრივ მაჩვენებელთა შედარებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში აგრარული პრობლემების გადაწყვეტისათვის გასატარებელია ფუნდამენტალური მნიშვნელობის ღონისძიებები. მათ შორის საკანონმდებლო რეფორმებიც. 2010 წლის მონაცემებით, დამუშავდა 247 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული და საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა დაახლოებით 10-ჯერ ნაკლებია (ხორბალი 1.1 ტონა ჰექტარზე, სიმინდი 2.4¹ ტონა ჰექტარზე) სტანდარტულ (საბჭოთა კავშირიდან გადმოყოლილ) აგრიკულტურულ შესაძლებლობებისადმი. რომ არაფერი ვთქვათ მონინავე ტექნოლოგიებზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო აშკარად ჩამორჩა საკუთარ შესაძლებლობებს. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი დამოკიდებულება აგრარული კრიზისისადმი უნდა ემყარებოდეს: (1) გრძელვადიან ფუნდამენტალურ პროგრამულ გათვლებს, სამომავლო აგრიკულტურული შესაძლებლობების გათვალისწინებით მსოფლიო ტენდენციებს, (2) საქართველოში სოფლის მეურნეობის შესაძლებლობების შემზღავნებას საბაზრო ძალების ლოკალიზაციის ბაზაზე მყისიერი, მიმდინარე შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს.² ამგვარად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კრიზისთან ბრძოლის პრობლემა შინაარსობრივად ორ ერთიან ფორმულას წარმოადგენს და მისი სწორი გააზრებით შესაძლებელია პოზიტიური შედეგების შედარებით მოკლე პერიოდში მიღწევა.

¹ სტატისტიკური მასალა აღებულია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო შეხვედრიდან ქვემო ქართლისა და კახეთის მხარის პრეზიდენტის რწმუნებულებთან. ჩემი პირადი მონაცემებით საგარეჯოსა და გარდაბნის ფერმერებმა ჰექტარზე 650 კილოგრამი ხორბალი მიიღეს. ეს მაშინ, როდესაც საქარმის სამხრეთით აფრიკაში მოსავლიანობის საშუალო დონე 0.8-1.2 ტონა ხორბალს შეადგენს ჰექტარზე.

² მართლაც, ჩვენ გვაქვს 840 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა და ვხნავთ მხოლოდ მის 30 პროცენტს, ხოლო, თუ დავხნავთ მთელ ფართობს, პროდუქცია გასამმაგდება.

მოტანილი არგუმენტები მოწმობენ რომ, საქართველოს ეკონომიკა დგას გზაგასაყართან, როდესაც ვალდებული ვხდებით გავიაზროთ ჩვენი განვითარების ეკონომიკური ტენდენციები და ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკური ზრდის საკუთარი, სხვადასხვა თეორიების დოგმატური გააზრების ზეგავლენისაგან თავისუფალი, კონცეფცია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ რამდენიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემას:

1. გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კლასიფიკაციით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ქვეყანათა განვითარების დონე, საქართველო განეკუთვნება განვითარებად სახელმწიფოთა რიგს. შემდგომი ეკონომიკური ევოლუციის თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკის დახასიათება შეიძლება, როგორც – „**სიღარიბის დაძლევის ეკონომიკა**“. ასეთი ფორმულა საქართველოს ეკონომიკის დღევანდელობას ახასიათებს,¹ რადგან ნებისმიერი პოლიტიკურ-ეკონომიკური ღონისძიება, რომელსაც ანხორციელებს საქართველოს ხელისუფლება, მიმართული უნდა იყოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდისაკენ, ერთდროულად.

2. სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდა საქართველოს მაკროეკონომიკისათვის ორერთიანი ფორმულაა. მისი მიღწევის მთავარი მისამართი. არის მცირე ბიზნესი, რომლის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა უზრუნველყოფს დასახულ ამოცანას. მცირე ბიზნესის მიმართ არსებული შეხედულებებიდან ჩვენ მივიჩნევთ, რომ განმსაზღვრელია ევროკავშირის მიერ შემუშავებული სტანდარტები, რომელთა საქართველოში ადაპტირება გამოიწვევს ქვეყანაში სამეურნეო პროცესების გაჯანსაღებას. კერძოდ: დასაქმების დონის ზრდას და არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ადამიანი კაპიტალის გააქტიურებას და ახალი მალალი ტექნოლოგიების დანერგვას.²

3. საქართველოში: (1) მისი კულტურულ-ისტორიული ტრადიციებიდან, (2) კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებიდან, (3) ადამიანი კაპიტალის (სამუშაო ძალის) შესაძლებლობიდან, (4) ქვეყნის რესურსული პოტენციალიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანი პირობები არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენ, უბრალოდ ვალდებული ვართ ქვეყნის განვითარების ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში შევიშუშაოთ სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკა. რადგანაც სწორედ აქ გვაქვს განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ტექნოლოგიური „გარღვევისათვის“. ამიტომ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ვარდების რევილუციის მერე აუცილებელი ხდება დავასაბუთოთ, რომ საქართველოში აგრარული პოლიტიკის, როგორც საერთო ეკონომიკური პოლიტიკის, ფარგლებში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება ჩვენი საზოგადოების მოთხოვნაა და ეკონომიკური აუცილებლობაა. ამ მიმართულებით კი, მნიშვნელოვანია:

1. საქართველოში აგრარული ურთიერთობების განვითარების მთავარი კანონზომიერებებიდან, რომლებიც განპირობებულია მსოფლიო გლობალური დინამიზმის თავისებურებებით და საკუთრივ ქართული აგროკულტურული ტრადიციების ურთიერთშეთანხმებით (სინთეზით), გამომდინარე, ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების სპეციალიზაციის მიმართულებები, მათი დარაიონებისა და შესაფერისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პირობები, იმ ვარაუდით, რომ მთლიანად და საბოლოოდ გადავჭრათ საკუთარი სასურსათო პრობლემები მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ამ თვალსაზრისით, ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ სურსათზე, მის უსაფრთხოებასა და საკმარისობაზე ძველი სტერეოტიპებისაგან. მთავარია ის, რომ ჩვენ ძალა შეგვწევს საკუთარი სურსათით არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად დავიკმაყოფილოთ თავი. შევექმნათ ნამეტი პროდუქცია როგორც მემცენარეობაში, ასევე მეცხოველეობაში. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლის პროცესში და ამ სექტორს აქვს შესაძლებლობები გახდეს ქვეყნის ეკონომიკის მალალტექნოლოგიური დარგი; დასაქმდეს დიდი რაოდენობით მოსახლეობა და შეიქმნას ცხოვრების უკეთესი პირობები. ამას ჩვენ

¹ სიღარიბის დაძლევის შესახებ პოლიტიკური დოკუმენტის მიღება მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ დადგინდება მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პარამეტრები. შესაბამისად, სატრაბახო აღარ იქნება ბიზნესის კეთების სიიოლით პირველ ადგილზე ყოფნა, თუ დაწყებითი განათლების ხარისხით 120 ადგილზე იმყოფები. გარდა ამისა, მშპ შეცვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია, მაგრამ სხვა მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებლებიც უნდა გახდეს „ქვეყნის ბედზე მაფიქრალი“ ხალხის ყურადღების საგანი.

² მცირე ბიზნესის მნიშვნელობის გააზრება ჩვენთვის აქტუალურია, რადგან ეკონომიკურ ლიტერატურაში და სახელმძღვანელო-ნორმატიულ გამოცემებში მისი აღრევა ხდება მეურნეობის მიკრონარმონაქმნებთან, რომლებიც, როგორც წესი, საჭიროებენ სპეციალურ განხილვას, მაგრამ მათდამი დამოკიდებულებას განსაზღვრავს ფისკალური პოლიტიკის რეალობები და არა ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი, ფუნდამენტალური მნიშვნელობის პრობლემები.

გვავალდებულებს ჩვენი აგრარული კულტურის ისტორია. ჩვენი ვალია, გამოვაგლინოთ აგრარული სექტორის განვითარებისათვის ის პრიორიტეტები, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ პოლიტიკურ მხარდაჭერას შემდგომი განვითარებისათვის და პერსპექტივაში შესაძლებლობებს მოგვცემს შევქმნათ მაღალტექნოლოგიური მიმართულებები, რომელთაც კომპიუტერული ტექნოლოგიების გავლენით ზოგიერთი ავტორი კლასტერებს უწოდებს.¹

2. სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საჭირო ნორმატიული-ინსტიტუციური ღონისძიებების სრულყოფა. გადასახედია მინის შესახებ კანონმდებლობა, განსახილველია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და მისი გადამუშავების შედეგად მიღებულ საქონელზე საგადასახადო განაკვეთების დადგენის წესი. საქართველოს ხელისუფლებამ, მისი აღმასრულებელი შტოს კომპეტენტური ინსტიტუტების მეშვეობით, უნდა გამოავლინოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული შესაძლებლობები და ჩამოაყალიბოს პრიორიტეტთა სისტემა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს აგრარულ სექტორში მაღალი ტექნოლოგიებისა და მაღალმწარმოებლური აგრიკულტურული სახეობების დასამკვიდრებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გამოიკვეთოს ნამყვანი აგრობიზნეს ერთეულები, რომლებიც შემდგომ შეძლებენ მოცემულ რეგიონში მაღალი აგრიკულტურის დამკვიდრებას. მნიშვნელოვანია სასოფლო წარმოების ინფრასტრუქტურის ორგანიზაციისათვის ფინანსური რესურსების გამონახვაც. ამ სფეროში ბიუროკრატიზმისა და სხვა არახელსაყრელი ადმინისტრაციული მეტოდების ნეიტრალიზაციისათვის აუცილებელია შემუშავდეს მკაცრად რეგლამენტირებული საკონკურსო პირობები. დასმული საკითხის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებათა გამო, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა საკუთრებრივი ურთიერთობებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების თვალსაზრისით ემყარება არარაციონალურ ბაზისს.² ამიტომ გადასასინჯია მინაზე საკუთრების უფლების ზღვრული პარამეტრები. ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანაში მინის ფართობების გამოყენებისადმი ისეთი უყიარათო დამოკიდებულება, როგორც საქართველოშია, არ არსებობს. მინა, როგორც მთავარი სასოფლო-სამეურნეო რესურსი, მოითხოვს პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას. წარმოუდგენელია 519 354 მე-საკუთრისაგან, რომელთა განკარგულებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი ერთ ჰექტარს არ აღემატება, მოითხოვოთ თანამედროვე ტექნოლოგიით სასურსათო პროდუქციის წარმოება, ან მან შეძლოს, რაიმე საბაზრო ღირებულების შექმნა.

3. აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემები თანამედროვე მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში უკავშირდება სოფლის მეურნეობაში საბანკო კაპიტალის გამოყენების სირთულეებს. საქართველოშიც თანდათან ჩამოყალიბდა ისეთი ფინანსური გარემო, რომელიც ცნობილია ლიკვიდურობის ხაფანგის სახელით. ლიკვიდურობის ხაფანგს ეძახიან ისეთ სამეურნეო სიტუაციას, როდესაც, მაღალი ინფლაციური გარემოს გამო, მოსახლეობის დანაზოგების ბანკებში თავმოყრა გართულებულია და საბანკო დეპოზიტები ვერ იქცევიან საინვესტიციო რესურსად. დღევანდელ რეალობაში, საქართველოს აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი ხელისუფლება ორიენტირებულია უცხოურ ინვესტიციებზე, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალი კაპიტალიზაციის დონე და მცირე სამეურნეო სიმძლავრეთა სიჭარბე საშუალებას არ იძლევა შემოიღინდეს პირდპირი ან პორტფელური ინვესტიციები, აშკარად შეიმჩნევა სექტორში ფინანსური რესურსების ნაკლებობა. აუცილებელი ხდება, შეიქმნას, სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემის ფარგლებში, ფინანსური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შესაძლებლობის ფარგლებში განვითარებას. ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი აგრარული პოლიტიკის ფარგლებში უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკურ-ფინანსურ ღონისძიებათა სისტემა. მათ შორის, დაფინანსების ყველა წყაროს გათვალისწინებით, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს საკ-

¹ მხედველობაში მყავს მაიკლ პორტერი და მისი ქართველი მიმდევრები, რომლებიც ამ ტერმინს მუდამ საჭიროების შემთხვევაში ვერ იყენებენ.

² აქ ფუნქციონირებს 2004 წლის მონაცემებით 729 067 შინამეურნეობა, რომელთაგან 691 577 მინის მფლობელად ითვლება. მინათმფლობელ მესაკუთრეთა შორის სოფლის მეურნეობას მიიჩნევს თავის ძირითად საქმიანობად 538 498 ერთეული. საქართველოს ადგილობრივ ბაზრებზე პროდუქციის რეალიზაციას ეწევა 129 498 შინამეურნეობა. საინტერესოა ისიც, რომ 519 354 შინამეურნეობას აქვს ერთ ჰექტარზე ნაკლები ფართობი. 1-10 ჰექტრამდე სავარგულს ფლობს 167 354 მესაკუთრე, 10-100 ჰექტრამდე ფართობს კი მხოლოდ 1 963 მინათმფლობელი განაგებს. 613 მოქალაქე ფლობს 100 ჰექტარზე მეტ მინის ფართობს. იხ. თ. მარგიანი, „აგრობიზნესის დაკრედიტების ეკონომიკური ფაქტორები და მისი სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულებები“, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, აგრარული უნივერსიტეტი, 2011 წელი. გვ. 194.

რედიტო რესურსის გაიაფებას. რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა ახალი არ არის საქართველოში, მაგრამ პირველად დგას საკითხი, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების სპეციფიკიდან გამომდინარე, ლიკვიდურობის ხაფანგის დაძლევის მექანიზმის შემუშავებით საკრედიტო რესურსის გამოყენების ეფექტურობის შესახებ. ეს მარტო საქართველოს პრობლემა არ არის. მსოფლიო აგრარული და ფინანსური კრიზისების ფონზე უაღრესად რთულდება აგრობიზნესის დაფინანსების, ტრადიციული ინსტიტუციონალური ფორმების გამოყენება. ამიტომ, სოფლის მეურნეობაში ფინანსური რესურსების მოზიდვისა და უპირატესად საბანკო კრედიტის ეფექტურობის ამაღლების მიზნით: მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამეურნეო გარემოში, ამჟამად, მოსახლეობის დანაზოგების აკუმულაცია ბანკებში და მათი სასოფლო-სამეურნეო სამენარმეო კრედიტებად გარდაქმნა, ჩვეულებრივი საბაზრო მექანიზმებით შეუძლებელია და ამიტომ აუცილებელია შემუშავებულ იქნეს სპეციალური ეკონომიკურ-პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც შექმნის ბანკებისათვის ხელსაყრელ პირობებს და შესაძლებლობას მისცემს მათ განახორციელონ ინვესტიციები აგრარულ სექტორში.

ამ პრობლემის გადაწყვეტა უნდა განხორციელდეს ცენტრალიზებულად, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეობით. ბანკების საბაზრო შესაძლებლობების და საბიუჯეტო რესურსების სინთეზის საფუძველზე. შესაბამისად, იქმნება დაკრედიტების ახალი, თანამედროვე მექანიზმი. კერძოდ, ბანკებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ახალი ფორმის მეშვეობით – ერთი მხრივ, ხელმისაწვდომი ხდება მენარმისათვის კრედიტი, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტის გაცემისა და დაბრუნების საბანკო მექანიზმის საშუალებით თითქმის გარანტირებული ხდება მისი უკან ბიუჯეტში მობილიზება. შესაბამისად, ერთდროულად ჩნდება ბანკებსა და აგრარულ ბიზნესს შორის სახელმწიფო დამზღვევი სისტემა. ხორციელდება ბანკებზე რბილი ძალდატანების მეთოდი, რომლის შედეგად მათთვის მომგებიანი ხდება აგრობიზნესის დაფინანსება. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია, საქართველოს რომელიმე ქსელურ (ფართო ფილიალებით წარმოდგენილ) ბანკს, გამოეყოს საბიუჯეტო რესურსი კრედიტის სახით და მიეცეს ამ რესურსის ფარგლებში ექსკლუზიური უფლებები სოფლად საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისათვის.¹

ბოლოს გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის კრიზისი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის კერძო, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგია. მისი დაძლევა ისტორიული აუცილებლობა და ჩვენი თაობის ღირსების საკითხია.

DAVIT IAKOBIDZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Academic Doctor of Economics, Professor*

AGRARIAN CRISIS IN GEORGIA

S u m m a r y

It is verified in the article that agricultural crisis in Georgia has its own grounds. In addition, the necessity of elaboration of special policy based on the circumstances created in Georgian reality and the latest world achievements for the crisis recovery are discussed. Important strategic and current agricultural tasks of this policy and economic mechanisms of their settlement are determined as well.

¹ სახელმწიფო ბიუჯეტისა და საბანკო სისტემის სინთეზის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო აქტივობები უნდა განხორციელდეს, სულ ცოტა, შემდეგი მიმართულებებით: ა) ქვეყნის მაკროეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, ბ) ქმნიდეს ახალ სამეურნეო ერთეულებს შრომის მაღალი მწარმოებლურობითა და მდგრადი სამეურნეო სტრუქტურით, გ) მიმართულ იქნეს ქვეყნის მრავალმხრივი რესურსული პოტენციალის ათვისებისა და სამუშაო ძალის დასაქმებისაკენ, გ) ანვითარდეს ადგილობრივი (ლოკალურ) ბაზარს და ქმნიდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების საფუძველს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული საბიუჯეტო და საბანკო აქტივობის სინთეზური მექანიზმის შესაძლებლობები არ შემოიფარგლება მხოლოდ სოფლის მეურნეობით, მას შეუძლია კარგი შედეგები მოგვცეს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში. ჩვენ მიერ შემოთავაზებული სისტემის მსგავსი სამეურნეო ინსტიტუცია წარმატებით მოქმედებს ჩილეში და მას რეკომენდაციას უწევს გაერო „ადამიანის განვითარების შესახებ მოხსენებაში“.

დავით იაკობიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ჟორა ბაბრიჭიძე

გლობალური სასურსათო კრიზისის დაქვეყნის ქართული ფაქტორი

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას ისტორიულად სამი ფაქტორი განსაზღვრავდა: 1. სასოფლო-სამეურნეო მრავალფეროვნებისათვის ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო და კლიმატური პირობები; 2. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და, აქედან გამომდინარე, საქონელგაცვლის ხელსაყრელი პირობები; 3. ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების სპეციფიკური, შეიძლება ითქვას ეთნიკური, შემოქმედებითი აქტივობა. ამ ფაქტორების ზემოქმედებით საქართველო გახდა განვითარებული, ღრმად სპეციალიზებული, შრომის მაღალი ნაყოფიერების აგრიკულტურული ქვეყანა. მეზობელ და სხვა ხალხთა ენებშიც საქართველოს, როგორც ქვეყნის, დასახელებაც (რეფერენცია) აგრიკულტურას უკავშირდება.

თანამედროვე ისტორიოგრაფიისათვის საკამათო არ არის, რომ საქართველო ყურძნის და ღვინის, ხორბლისა და ბოჭკოვანი კულტურების სამშობლოა. ყოველივე ეს აქ მცხოვრები ავტოქტონური ეთნოსების შემოქმედებითი აქტივობის შედეგია. ისტორიულად საქართველოში იქმნებოდა სპეციალური სასოფლო-სამეურნეო იარაღები, გამოყავდათ ახალი კულტურები (ჯიშები), იქმნებოდა პროდუქციის გადამამუშავებისა და კონსერვაციის ორიგინალური ტექნოლოგიები. საქართველოს გეოგრაფიული გარემო და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები განაპირობებდა ქართველი აგრიკულტურის აქტივობას, რომლის შედეგებმაც მოგვცა უამრავი ახალი ჯიშის და პრაქტიკულად შექმნა სოფლის მეურნეობის სრულიად უნიკალური კულტურა. ეს ისტორიული ტრადიციები დღესაც ცხოველმყოფელი მნიშვნელობისაა და გრძელდება. ამის დასტურია ქართველ მეცნიერთა და ფერმერთა უამრავი ორიგინალური ნამოწყება, რომელთა სახალხო სამეურნეო მნიშვნელობის აღიარება და საყოველთაო გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია. მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის კრიზისის დაძლევის უმთავრესი საშუალება არის მსოფლიო მონინავე ტექნოლოგიური მიღწევებისა და, საკუთრივ, ქართული წარმოშობის სიახლეთა სინთეზი. ამ თვალსაზრისით, ჩვენ შეგვეძლო რამდენიმე ქართულ ინიციატივაზე გაგვემახვილებინა ყურადღება. მაგრამ საჭიროდ ვთვლით, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შევჩერდეთ, რადგანაც, მხოლოდ ის „ნოუ ჰაუ“, რომელზედაც ვაპირებთ საუბარს და რომელიც, საკუთრივ, ქართული მეცნიერული პროდუქტია, გვესახება მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთ მოვლენად, რომელსაც შეუძლია არსებითი როლი ითამამოს სურსათით უზრუნველყოფის საერთაშორისო პრობლემის მოგვარებაში.

საკითხი ეხება პროფესორ რამაზ გახაკიძის მეცნიერულ აღმოჩენას – ახალი ტიპის ბიორეგულატორებს, რომელთაც ავტორმა ბიოინერგოაქტივატორები უწოდა. მათი წარმომადგენელია პრეპარატი „ბიორაგი“, რომელიც ცნობილია ქართველი და, ნაწილობრივ, უცხოელი სპეციალისტებისათვის. ეს პრეპარატი უნიკალურია თავისი მნიშვნელობით და ქმნის სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობასა და მეცხოველეობაში) ტექნოლოგიური ნახტომის (რევოლუციის) საფუძველს. მეცნიერულ მიმართულებას, რომლის შედეგიცაა „ბიორაგი“, უდიდესი პერსპექტივა აქვს და აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას ქიმიკაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში და მათთან დაკავშირებულ სხვა სამეცნიერო დისციპლინებში. ჩვენ ამჯერად არ გვაქვს პრეტენზია ყოველმხრივ განვიხილოთ აღნიშნული მეცნიერული მიმართულება, რადგანაც იგი ჩვენი კომპეტენციის სფეროს სცილდება და წარმოადგენს მისი ავტორის ექსკლუზივს, მაგრამ ჩვენთვის ხელმისაწვდომ სამეურნეო შედეგებზე დაკვირვებით შეგვიძლია მის შესახებ რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ.

რა არის „ბიორაგი“? ეს ჯერ კიდევ მეცნიერთათვის ბოლომდე „ამოუცნობი“ (იგულისხმება არა პრეპარატის ქიმიური შედგენილობა, არამედ მისი გამოყენების არეალი და ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედების თავისებურებები) პრეპარატია. მცენარეებზე „ბიორაგის“ ზემოქმედებაზე მრავალწლიანმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მისი საშუალებით ხდება ბიოლოგიური უჯრედის გააქტიურება, რაც ზრდის ამ უჯრედის ცხოველმყოფელობას და, შესაბამისად, იზრდება მცენარეთა თუ სხვა ბიონდივიდის სიცოცხლისუნარიანობა, რაც გამოიხატება ბიოერთეულის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებით, ზრდის დაჩქარებით და მისი მასის გადიდებით. ყოველივე ამას თან ახლავს მცენარის მოსავლიანობის არსებითი ზრდა. ეს მახასიათებლები გამოიხატება რაოდენობრივი პარამეტრებით. ამასთან, მიმდინარეობს მცენარის თვისობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება,

ჩვეულებრივ პირობებთან შედარებით, ბევრად სწრაფად. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიორაგი ბიოერთეულის თვისობრივი სრულყოფის, მისი პოტენციური შესაძლებლობების უკეთესი გამოვლენის საშუალებაა. იგი „აღვიძებს“ მცენარის (ცხოველის) უჯრედში დროთა განმავლობაში „მიძინებულ“ გენეტიკურ შესაძლებლობებს და განაპირობებს მის დაჩქარებულ თვითმსგავს ზრდას. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ბიოუჯრედის აქტივაცია ხშირად დაკავშირებულია მის მუტაციასთან, რაც ბიორაგის შემთხვევაში გამორიცხულია. **მცენარის (ცხოველის) თვითმსგავსი ზრდის ფაქტი უჯრედზე ბიორაგის ზემოქმედების პირველი და უმთავრესი შედეგია.**

სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ბიორაგის გამოყენებით გამოწვეული თვითმსგავსი ზრდა აქტიურად აისახება თვით საბოლოო პროდუქტის ხარისხობრივ (თვისობრივ) და რაოდენობრივ მახასიათებლებზე: შაქრის ქარხალში იზრდება შაქრიანობა, სოიაში – პროტეინების რაოდენობა, სიმინდში – იოდის, სელენის, ლიზინის რაოდენობა, ხორბალში – ნებოგვარის პროცენტული შედგენილობა, სამკურნალო მცენარეებში – ვიტამინების და სხვა ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობა და ა.შ. მთლიანად ბიოერთეულის თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება (ზრდა) ინვესტის მის მდგრადობას გარემოს პირობებისადმი, კერძოდ, მცენარე ხდება ყინვა- და გვალვამძლე, იზრდება მისი შემგუებლობა რელიეფის თავისებურებებთან, ამიტომ ბიორაგი განსაკუთრებით ეფექტიანია გართულებულ აგრობიოლოგიურ გარემოში. **აქედან გამომდინარეობს მეორე, ბიორაგის გამოყენების მნიშვნელოვანი შედეგობრივი მახასიათებელი – რამდენადმე ახალ გააზრებას მოითხოვს ნიადაგის ნაყოფიერების ცნება, როგორც კულტურული სოფლის მეურნეობის უმთავრესი მახასიათებელი და მისი მეურნეობაში რეალიზაციის პრობლემაც.**

ავტორიტეტული სასოფლო-სამეურნეო მიმართულების კვლევითი დაწესებულებების დასკვნების საფუძველზე ვრწმუნდებით, რომ მოსავლიანობის ხარისხობრივი ზრდა თანმდევი და აუცილებელი შედეგია ბიორაგის გამოყენების დროს. აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ინიციატივით, ვორონეჟის აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერებმა მიიღეს სოიის 30%-ით უფრო მაღალი მოსავალი, ვიდრე ადრე ლეზულობდნენ. 30%-იან რაოდენობრივ ზრდას ემატებოდა თითქმის 100-პროცენტით თვისობრივი ზრდა. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული კრასნოდარში (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნაკვეთზე) სიმინდის კულტურაში. ბიორაგის გამოყენებით შაქრის ქარხლის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 143 ტ/ჰა-ს, შაქრიანობა 22,5%, მაშინ, როცა საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი, შესაბამისად, შეადგენს 49 ტ/ჰა-ს და 14%-ს. იმის გამო, რომ ბიორაგი სიმინდში, სოიაში, ხორბალში და სხვა სასოფლო კულტურებში ზრდის იოდის და სელენის შემცველობას პროდუქტის ერთეულზე, ასეთ საკვებს უაღრესად მაღალი მნიშვნელობა გააჩნია ამ უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტების დეფიციტის ლიკვიდაციისათვის. გამოდის, რომ სასარგებლო მიკროელემენტების (ისევე, როგორც ვიტამინების და ამინომჟავების) რაოდენობრივი ზრდა მცენარის ბიოლოგიური მდგრადობის თანმდევი თვისებაა. **ამგვარად, ბიორაგის გამოყენება სოფლის მეურნეობაში ახალ მიმართულებებს ქმნის ჯანდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისითაც, რაც ამ პრეპარატის გამოყენების შესაძლებლობას შედეგად მივჩნევა.**

ამგვარად, შეგვიძლია გავაკეთოთ წინასწარი დასკვნა: ბიორაგი სისტემურად ზემოქმედებს ბიონიდივიდის უჯრედზე და წარმოადგენს ერთგვარ ბიოაქტივატორს, ბიოერთეულის სასიცოცხლო ციკლის კატალიზატორს და მისი მდგრადობის (სიცოცხლის ხანგრძლივობა) განმტკიცების საშუალებას, რომელიც ზრდის გარემო პირობებისადმი მისი ადაპტაციის შესაძლებლობებს და ახალ შინაარსს ანიჭებს ნიადაგის ნაყოფიერების პრობლემას.

ბიორაგის გამოყენებაზე ჩვენმა დაკვირვებებმა და ჩვენ მიერ მოპოვებულმა ემპირიულმა მასალამ დაგვარწმუნა ამ პრეპარატის უნიკალურობასა და უდაოდ დიდ მნიშვნელობაში. ჩვენი დაკვირვების შედეგები მრავლისმთქმელია: ხორბლის ენდემური ქართული ჯიშის “კახური დატოტვილის” მოსავლიანობამ საცდელ ნაკვეთზე (სოფელი კუმისი, მლაშე ნიადაგი) 14,5 ტონა შეადგინა ერთ ჰექტარზე. ასეთივე მაღალი იყო “თეთრი დოლის” მოსავლიანობაც, რომლის პროდუქტიულობამ ჰექტარზე 16 ტონას გადააჭარბა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ბიოერთეულის თვითმსგავსი ზრდის მიზეზით, ბიორაგის გამოყენებით შესაძლებელია სათესლე მასალის რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება. თუ საქართველოში, ამჟამად მოქმედი აგრონორმებით, ერთ ჰექტარ სავარგულზე გამოიყენება 300 კილოგრამი სათესლე მასალა (ერთ კვადრატულ მეტრზე 600 მარცვალი), ბიორაგის გამოყენებით, როგორც წესი, გამოიყენება დაახლოებით 80-90 კგ და, ხშირ შემთხვევაში, ბევრად ნაკლები (მინიმუმ 25 კგ) სათესი მასალა.

ბიორაგის გამოყენებით რეკორდულად გაიზარდა სიმინდის, წინაკის, პომიდვრის, ქარხლის მოსავლიანობაც. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსავლიანობა არსებითად იზრდება არა

მარტო წონით ერთეულებში გამოხატულებით, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებითაც. ასე, მაგალითად, შაქრის ქარხლის შაქრიანობის მაჩვენებელი მაქსიმუმს აღწევს ქარელისა და ხაშურის რაიონების სავარგულებში, სადაც შაქრის შემცველობა 12-14 პროცენტს არ აღემატება. ეს მაჩვენებელი მაღალია მსოფლიოს მასშტაბითაც. ჩვენს საცდელ ნაკვეთზე კი, მოსავლიანობის წონითი მაჩვენებლის ხუთჯერ გადიდების შემთხვევაში, გაორმაგდა პროდუქციის შაქრიანობა და 24% შეადგინა. შესაბამისად, შაქრის გამოსავლიანობის მაჩვენებელი გაათმაგდა სხვა თანაბარ პირობებთან შედარებით. ასეთივე შედეგები მივიღეთ მზესუმზირის მოსავლიანობის შესწავლითაც.

მოყვანილი მახასიათებლები გვიჩვენებენ, რომ ბიორაგის სახით საქმე გვაქვს უნიკალურ პრეპარატთან, რომელსაც ერთდროულად შეუძლია გადანყვიტოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების პრობლემა. ამ თვალსაზრისით, ბიორაგს ძალუძს გახდეს გლობალური სასოფლო-სამეურნეო კრიზისის გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალება, კერძოდ:

1. მნიშვნელოვნად გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სხვა მცენარეთა ბიომასა, გაძლიერდეს ფოტოსინთეზის (მცენარის მიერ ნახშირორჟანგისა და მზის რადიაციის შთანთქმა) აქტივობა, რაც ჩვენს პლანეტაზე გლობალური დათბობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას წარმოადგენს. ჩვენი გაანგარიშებით, ბიორაგის გამოყენებით სატყეო კულტურათა ზრდა ჩქარდება 4-5 წლით. ფოთლის საერთო ფართობი იზრდება, საშუალოდ, 500-600%-ით. ქლოროფილის მარცვლის აქტივობა იზრდება 82-91%-ით. ეს მაჩვენებლები განსაკუთრებულ შთამბეჭდაობას იძენს, თუ მას შევადარებთ თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. კერძოდ, მსოფლიოში ყველაზე საუკეთესოდ მიჩნეულ ბიოსტიმულატორთა გამოყენება იწვევს მცენარეთა ფოთლის ფართობის ზრდას 10-15%-ით, ხოლო ქლოროფილის მარცვლის აქტივობის ზრდას 2-7%-ით. გარდა აგრიკულტურათა ბიომასის ზრდისა, გლობალური დათბობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შორის არსებითია მოშიშველებული და გაუდაბნოებული მასივების გატყევებაც, რაშიც ბიორაგს შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს, მცენარეთა ზრდის დაჩქარებისა და გენეტიკური მდგრადობის ამაღლების გზით. თუ დღეს მსოფლიოში მიღწეულ უახლოეს სამეცნიერო მიღწევებს დავყვრდებით, 1 მილიონი ჰექტარი მცენარეული საფარის მიერ შესაძლებელია 1 მილიონი ტონა ნახშირორჟანგის შთანთქმა, ბიორაგის გამოყენებით კი ეს მაჩვენებელი 30-40 მილიონ ტონას შეადგენს. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს მდგრადი განვითარების თვალსაზრისით ბიორაგის მნიშვნელობა არსებითი ხდება.

2. შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა დაბალნაყოფიერ მიწებზე. ბიორაგის მიერ გვალვამდგრადობისა და ყინვაგამძლეობის პრობლემების გადანყვიტის მეშვეობით და აგრეთვე უნაყოფო მიწებზე მოსავლიანობის გადიდებით ვრწმუნდებით, რომ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში შესაძლებელია ჩაება ისეთი მიწის ნაკვეთებიც, რომლებიც ადრე უნაყოფოდ ითვლებოდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ბიორაგი არსებითად აფართოებს ნიადაგის ნაყოფიერების ცნებას და პრაქტიკულად ახალ შინაარსს ანიჭებს მას, უდიდესი პლანეტარული პრობლემის გადანყვიტის შესაძლებლობებს ქმნის. კერძოდ, შესაძლებელია გატყევდეს ხრიოკი ველ-მინდვრები, კულტურულ სასოფლო სამეურნეო ბრუნვაში შევიდეს ათასობით გაუდაბნოებული სავარგული და ა.შ. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება დედამიწაზე ამჟამად არსებული მოსახლეობის მიგრაციისა და განსახლების, ცალკეული ტერიტორიების, ბუნებრივი გაუდაბნოების და, აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური პრობლემების გადანყვიტა.

3. გაეროსა და სხვა პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვირვებით, გლობალური მასშტაბით სასურსათო პრობლემის გადანყვიტა ხანგრძლივი და რთულად განხორციელებადი პრობლემაა. ამ თვალსაზრისით, როდესაც მსჯელობენ სომალისა და სამხრეთ საქარის რეგიონებზე, აქ სასურსათო პრობლემის მოგვარებაში უმთავრეს ღონისძიებად მიიჩნევა სასურსათო კულტურების საჰექტრო მოსავლიანობის გაზრდა. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ხორბლის მოსავლიანობა განვითარებად ქვეყნებში ერთ ჰექტარზე ტონას არ აღემატება, მსოფლიო პრობლემაა და საჭიროებს დაძლევას. სხვა გზა მსოფლიოში შიმშილის მოსასპობად არ არსებობს. ბიორაგი კი ის პრეპარატია, რომლის გამოყენებაც სწორედ ადგილებზე ზრდის პროდუქციის მოცულობასა და ხარისხს სამეურნეო კულტურის თვისობრივი გაუმჯობესების გზით. ამგვარად, მისი გამოყენება, სხვა თანაბარ პირობებში, ადგილებზე ჯერადობით გაზრდის მოსავლის რაოდენობას და ხარისხს, რაც ერთდროულად გადანყვიტს შიმშილის დაძლევის და ავადმყოფობათა პრევენციის პრობლემას. იგი ადამიანის განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების კომპლექსურად გადანყვიტის შესაძლებლობებს იძლევა.

გამომდინარე მსოფლიო გლობალური პროცესებიდან, ბიორაგის ეკონომიკური ეფექტიანობა შეუდარებელია. მისი შექმნა ან ადგილებზე წარმოების ორგანიზაცია დიდ დანახარჯებს არ უკავ-

შირდება; ტრანსპორტირება და თესლის დამუშავებაც მხვენელ-მთესველისათვის არ არის დაკავშირებული დიდ დანახარჯებთან, ხოლო მოსავლიანობის ზრდა კი არსებითი შედეგების მომტანია. ბიორაგის წარმოების დანახარჯებს თუ შევადარებთ მცენარეთა ზრდის ერთ-ერთ თანამედროვე მაღალმწარმოებლურ რეგულატორის, ზეატინის წარმოებაზე განეულ დანახარჯებს, ვნახავთ, რომ 1 მილიგრამი ზეატინის წარმოება ჯდება 6,4 აშშ დოლარი, ხოლო ერთი კილოგრამისა 6 მილიონს აღემატება.¹ ბიორაგი მასთან შედარებით ასჯერ იაფია. ერთი კილოგრამი ბიორაგის დღევანდელი სანარმოო ღირებულება შეადგენს 60 ათას აშშ დოლარს.

ბიორაგი მნიშვნელოვნად იაფი პროდუქტია და ეს ხდის მას განსაკუთრებით ეფექტიანს სამეურნეო პროცესებისათვის. მაგალითად, ინგლისურ ფირმა „შელლ“-ს ერთი ჰერბიციდის შესაქმნელად ესაჭიროება 7 ნელი და იგი 30 მილიონი აშშ დოლარი ჯდება, მაშინ როდესაც, მცენარეთა ზრდის რეგულატორის შექმნა 10-100-ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ე.ი. 300 მილიონიდან 3 მილიარდ დოლარამდე.² ბიორაგი კი უკვე შექმნილია და მისი წარმოება, როგორც აღვნიშნეთ, 100-ჯერ იაფია სხვა ცნობილ ბიოპრეპარატებთან შედარებით.

გარდა იმისა, რომ ბიორაგის წარმოება მნიშვნელოვნად იაფია სხვა მცენარეთა ზრდის მარეგულირებელ თანამედროვე პრეპარატებთან შედარებით, იგი მნიშვნელოვნად მაღალეფექტურია გამოყენებისას, ვიდრე სხვა პრეპარატები. ფაოს მონაცემებით, თეორიულად გამოთვლილი პოტენციურად შესაძლებელი მაქსიმალური მოსავლიანობა 1 ჰექტარზე ხორბლის შემთხვევაში შეადგენს 14 ტონას, ხოლო სიმინდის შემთხვევაში – 24 ტონას (რაც ჯერ პრაქტიკულად არ არის რეალიზებული). ბიორაგის გამოყენებით კი, ჩვენ მიერ ჩატარებული ცდებით, რეალურად მიღებული გვაქვს 16 ტონა ხორბალი და 24 ტონა სიმინდი.

საკითხის ამგვარი დასმის შემთხვევაში ჩვენ ვაწყდებით ერთ უხერხულობას. კერძოდ, სურსათით უზრუნველყოფისა და მის უსაფრთხოებაზე მაფიქრალი ადამიანები დაგვისვამენ კითხვებს, ჩვენ საქართველოში რატომ ვერ ვიყენებთ ამ პრეპარატს სათანადოდ? რატომ მოხდა, რომ საგარეჯოს რაიონის, გარეჯის უდაბნოს სახნავ სავარგულეებზე 2010 წელს ხორბლის მოსავლიანობამ 650კგ შეადგინა? რატომ იყო შარშან საქართველოში ხორბლის საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა 1,1 ტონა, ხოლო სიმინდის მოსავლიანობა არ აღემატებოდა 2,5 ტონას ჰექტარზე? რატომ შემოაქვს ჩვენს მთავრობას უცხოეთიდან მაღალნაყოფიერი ჯიშების თესლები? ამ ფაქტებს ხომ არ მივყავართ ანდაზამდე: „ძალი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“. სამწუხაროდ, ყველა ეს უხერხული კითხვა ჩნდება იმის გამო, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორი და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები ზერელედ ეკიდებიან ამ უნიკალურ მეცნიერულ აღმოჩენას, სათანადოდ ვერ აფასებენ მის სამეურნეო მნიშვნელობას. შესაბამისად, მეცნიერული მიმართულება, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ბიორაგი და პროფესორ რ. გახოკიძის მიერ შემუშავებული სხვა პრეპარატები, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშეა დარჩენილი.

დავუშვათ ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს მხარდაჭერა, მაშინ, ლიბერალურ საბაზრო პირობებში, რატომ არ სარგებლობენ ბიორაგით ჩვენი ფერმერები? შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვას. ბიორაგი საქართველოში იცდება 1979 წლიდან. მისი პირველი საკონტროლო ცდები განხორციელდა სიმინდზე და ვერცხლისფერ ნაძვზე. ამ ექსპერიმენტთა ციკლს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ირაკლი გვერდნითელი. შემდეგ პერიოდში (გვერდნითელის გარდაცვალების შემდეგ) პროფესორ რამაზ გახოკიძის აღმოჩენისადმი მეურვეობა იკისრა აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა. მიმდინარე 30 წლის მანძილზე ეს პრეპარატი გამოიცადა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და თითქმის ყველა კულტურაზე, მაგრამ ამ გამოცდებს არ ჰქონია იმ დონის, რასაც იმსახურებდა, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. დღეისათვის პრაქტიკაში ბიორაგს ფართოდ იყენებენ მცირე ფერმების მეპატრონეები. იმის გამო, რომ არ არსებობს ამ პრეპარატის ერთიანი განსაზღვრული ტექნოლოგიური ციკლით წარმოების და შენახვის ყველასათვის ხელმისაწვდომი სისტემა, მისი გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან დაბალია. ამის მიზეზია ისიც, რომ არ არის შემუშავებული ამ საქონლის ბაზარზე წინსვლის მარკეტინგული სისტემა და არ ხდება მისი რეკლამირება. ცალკეული ტელე-, რადიოგადაცემები, მეცნიერული ლიტერატურა და ა.შ. პროდუქციის რეკლამირებას კი არ ეწევა, არამედ ქმნის საზოგადოებრივ აზრს, რომლითაც შეუცნობელ ბურჟუსში ახვევს ამ, ისედაც “მისტიკურ” სამოსელში შეფუთულ, პროდუქტს.

შექმნილი მდგომარეობიდან არსებობს ერთადერთი გამოსავალი, კერძოდ ის, რომ ბიორაგისა და სხვა პრეპარატების მიმართ უნდა შეიქმნას საერთაშორისო მხარდაჭერის სპეციალური მექა-

¹ ზეატინის ღირებულებითი მაჩვენებელი აღებულია კატალოგ “Sigma”-ს მიხედვით.


² იხ. „Химия и обеспечение человечества пищей”. М., 1980, გვ. 337 (თარგმანი ინგლისურიდან).

ნიზმი. მისი დანერგვა უნდა განხორციელდეს დიდ ტერიტორიებზე მასობრივად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, თითქმის ყველა კულტურაზე და მიღებული შედეგების რეკლამირება განხორციელდეს საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით.

ამ მიზნით საჭიროა ჩვენმა კონფერენციამ წერილობით მიმართოს გაეროს, ფაოს, იფადის, ჯანდაცვის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციებს, გლობალიზაციის შედეგებზე პასუხისმგებელ სახელმწიფოთა მთავრობებს, რათა შემუშავდეს ერთიანი საერთაშორისო პროგრამა გლობალურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის პროცესში ბიორაგის შესაძლებლობების ჩართვის თვალსაზრისით.

ბიორაგის გამოყენებით შესაძლებელია მრავალი გლობალური პრობლემის ერთდროული გადაჭრა (იხ. სქემა).

სქემა. ბიორაგის გამოყენების შესაძლებლობანი



ამგვარად, ბიორაგი შესაძლებელია იქცეს გლობალური მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური პროგრამული მართვის საშუალებად და იგი გახდეს თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზაციათა დიალოგის საგანიც და ამ დიალოგის წარმართვის საშუალებაც.

DAVIT IAKOBIDZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Academic Doctor of Economics, Professor*

ZHORA GABRICHIDZE

THE GEORGIAN FACTOR OF OVERCOMING THE GLOBAL FOOD CRISIS

S u m m a r y

The presented article considers the Georgian scientific novelty – the preparation “Biorag”, created by professor Ramaz Gakhokidze which can make a significant contribution to: 1. the effectiveness of measures against global warming, particularly to the diminution of greenhouse effect by means of increasing the ability of plants to absorb carbon dioxide and solar radiation; 2. the utilization of barren or unproductive agricultural soil by means of increasing their crop-producing power. 3. the solution of the problems of famine and prevention of health by raising crop capacity and improving the quality of food products. Following from the importance of this novelty, it is necessary to inform authoritative international organizations about the results of utilization of “Biorag”, in order to elaborate a unified system directed against hunger and global warming on the basis of this preparation.

**ლიკვიდობის ხაფანგიდან თავის დაღწევა კრიზისის
დასრულების აუცილებელი პირობაა**

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მსოფლიოში მოსახლეობის 30 პროცენტი შიმშილის ზღვარზეა. აგრარული კრიზისის მოკლევადიანი და ეფექტური დაძლევის რაიმე მეთოდი არ არსებობს. საქარის სამხრეთით, აფრიკაში, კენიაში, სომალიში და სუდანში მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე დგას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თანამედროვე გლობალური აგრარული კრიზისი მსოფლიო დათბობის ფონზე მიმდინარეობს. კლიმატური ცვლილებები, ტრადიციულ ბუნებრივ აგრიკულტურებს რთულ პირობებს უქმნის და ართულებს აგრობიზნესის საერთო პირობებს. დამდგარი აგრარული კრიზისიდან გამოსვლის ქმედითი მექანიზმების შემუშავებას ისიც ართულებს, რომ მსოფლიო დღეს ფინანსურ კრიზისსაც განიცდის. შესაბამისად, ვერ წყდება აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემები და, პრაქტიკულად, მსოფლიო აგრარულ მეურნეობათა ორი მესამედი ბედის ანაბარა არის მიტოვებული. შექმნილი მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ეკონომიკური პროცესების გლობალური რეცესიის დაწყების წინაპირობებს ქმნის, რომლის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება აშკარად კატასტროფული იქნება.¹

შექმნილი მდგომარეობა, ახალი რეალობები ახლებურ მიდგომებსა და გამოსავლის ძიების ორგინალური მეთოდების შემუშავებას მოითხოვს. ნებისმიერ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემებს. რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში საბანკო კაპიტალის გამოყენების სირთულეებთან. ამ თვალსაზრისით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოში, იგულისხმება გლობალური მსოფლიოს თითქმის ყველა მაკროეკონომიკური ერთეული, თანდათან ჩამოყალიბდა ისეთი ფინანსური გარემო, რომელიც ცნობილია ლიკვიდურობის ხაფანგის სახელით.

მართალია, ლიკვიდურობის ხაფანგს მონეტარისტები (მილტონ ფრიდმენი და სხ.) მნიშვნელობას არ ანიჭებენ და მიიჩნევენ, რომ მას გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის ზრდაზე გადაამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია, მაგრამ, როგორც კეინსი იტყოდა: „გრძელვადიან პერიოდში ყველანი მოვკვდებით“, ანუ გამოსავალი საძებნელია ახლა და აქ. ლიკვიდურობის ხაფანგს ეძახიან ისეთ სამეურნეო სიტუაციას, როდესაც, მაღალი ინფლაციური გარემოს გამო, მოსახლეობის დანაზოგების ბანკებში თავმოყრა გართულებულია და საბანკო დეპოზიტები ვერ იქცევიან საინვესტიციო რესურსად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღევანდელი მოთხოვნების გადავადების შედეგად წარმოქმნილი დანაზოგები არ მიემართება ეკონომიკის ზრდისაკენ, დღევანდელი ვერ უზრუნველყოფს სამომავლო წინსვლას. ფულმა დაკარგა შესაძლებლობა, იყოს, მიმდინარე პერიოდის მომავალთან კავშირის საშუალება.

ლიკვიდურობის ხაფანგი, მსოფლიო ფინანსური, განსაკუთრებით საბანკო სისტემის დამახასიათებელი მოვლენაა. შესაბამისად აგრარული კრიზისიდან და არა მარტო აგრარული კრიზისიდან, მეურნეობის სხვა სფეროებშიც მკვეთრად დაეცა საბანკო კრედიტის მნიშვნელობა და როლი. ამ თვალსაზრისით, დღევანდელ რეალობაში, საქართველოს აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ხელისუფლება ორიენტირებულია უცხოურ ინვესტიციებზე, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაციის დაბალი დონე და მცირე სამეურნეო სიმძლავრეთა სიჭარბე საშუალებას არ იძლევა შემოდინდეს პირდაპირი ან პორტფელური ინვესტიციები, აშკარად შეიმჩნევა სოფლის მეურნეობაში ფინანსური რესურსების ნაკლებობა. საქართველოში რეგისტრირებული ბანკები მოკლებულნი არიან შესაძლებლობებს, მიაშველონ აგრარულ სექტორს სერიოზული საკრედიტო რესურსი. აქ, როგორც წესი, სამენარმეო დანიშნულების დაკრედიტება პრაქტიკულად არ ხორცი-

¹ ამის ერთ-ერთი ნიშანი უკვე გამოჩნდა აშშ-ის სახაზინო ვალდებულებების ლიკვიდობის შემცირებასთან (ტექნიკურ დეფოლტთან) დაკავშირებული პრობლემის სახით, 2011 წლის ივლის-აგვისტოში.

ელდება. ის მცირე რაოდენობის კრედიტები, რომლებსაც საქართველოს ბანკები გასცემენ მენარმეებზე, ძირითადად მარტივ პროცენტზეა დაფუძნებული და შინაარსობრივად ატარებს ჰიპოტეკური და მატერიალური ფასეულობებით გარანტირებულ სამომხმარებლო დაკრედიტების ხასიათს. გამოდის, რომ საქართველოში საბანკო კაპიტალი წარმოების ინდუსტრიული მეთოდების სტიმულირების ნაცვლად, სასესხო (სავაზხო) კაპიტალის ადრეული ფორმების მსგავსად, სასოფლო წარმოების მუხრუჭად იქცა. საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში, სადაც ვერ ხდება მოსახლეობის უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების სურსათით, საბანკო კაპიტალის იმედად ყოფნა შეუძლებელია. ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ საბანკო კაპიტალს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება აგრარული კრიზისის დაძლევის პროცესში, არამედ, ვცდილობთ დავასაბუთოთ, რომ არსებული მექანიზმები, რომლითაც საქართველოს საბანკო სისტემა ზემოქმედებს სოფლის მეურნეობაზე, არასაკმარისია. ეს მეთოდები არ შეესაბამება დღევანდელ პირობებს და საჭირო ხდება მათი ტრანსფორმაცია.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ: (1) შესამჩნევია მიწაზე საკუთრების უფლებების საკანონმდებლო ბაზის სისუსტე, რომელიც განპირობებულია გასული საუკუნის 90-იანი წლების ნაჩქარევი აგრარული რეფორმით და რომელიც თვით ხდება მცირემიწიანი, დაბალი ინტენსიობის სამეურნეო ერთეულთა არსებობის საფუძველი. (2) ქვეყანაში არ არსებობს არც საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენლობაში, არც დამოუკიდებელი რაიმე ეკონომიკური პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოებრივ მოთხოვნებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის მიმართ. (3) სოფლის მეურნეობა იმართება იმპროვიზებულად, რეალური სექტორიდან მომავალი იმპულსების მეშვეობით, რომლებიც, დროდადრო ხდება ქვეყნის ხელისუფლების მსჯელობის საგანი. ყოველივე ზემოთქმულს თავისი მიზეზები გააჩნია, მაგრამ დღეისათვის ეს ფაქტური მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციებს. შესაბამისად, მსოფლიო გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატური ცვლილებების, საერთაშორისო მასშტაბის სასურსათო და ფინანსური კრიზისის პირობებში მარტო დარჩენილი ქართველი ფერმერი, საკუთარ ერთ ჰექტარზე ნაკლებ მიწის ფართობზე ვეღარ არის ქვეყანაში პროგრესისა და კეთილდღეობის შემოქმედი.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელის შემმლელი ფაქტორები ღრმა ხასიათისაა და მათი ნეიტრალიზაცია ხანგრძლივ და გააზრებულ აქტივობებს მოითხოვს. აუცილებელი ხდება, სოფლის მეურნეობის სტრატეგიული მნიშვნელობისა და განვითარების ცენტრალური მიმართულებების განსაზღვრაც და საქართველოს ბუნებრივი გარემოსა და ეროვნული ტრადიციების ადეკვატური მექანიზმების შემუშავებაც. მანამ კი, ჩვენი აზრით, საჭიროა შეიქმნას სპეციალური, სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემის ფარგლებში, ფინანსური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის არსებული რუტინის დაძლევას.

ამ თვალსაზრისით, მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი აგრარული პოლიტიკის ფორმირებამდე უნდა შემუშავდეს სპეციალური, დაფინანსების ყველა წყაროს გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის, გადაუდებელი სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემა. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს საკრედიტო რესურსის გააფხვებას. ამის ერთადერთი გზა კი არის სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო ფინანსური დახმარება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს სპეციალური დანიშნულების სახსრები, რომელიც ბანკების საშუალებით ფერმერთა საჭიროებისათვის იქნება მიმართული. ეს არის გზა ლიკვიდურობის ხაფანგის დასაძლევად, ე. ი. სახელმწიფო რესურსის, ბანკების შუამავლობით, ფერმერებისადმი გადაცემა მოსახლეობის ფულად დანაზოგებს გახდის ხელმისაწვდომს სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის. ეს იძლევა შესაძლებლობას, ბანკის კრედიტი გახდეს სამენარმეო დანიშნულების, წარმოების მასტიმულირებელი საშუალება და არა სავაზხო პრინციპებზე ორგანიზებული, ბანკის მოგებაზე ორიენტირებული ფასეულობა. შექმნილ სიტუაციაში: როდესაც, ინფლაცია ორნიშნა ციფრით გამოიხატება და ბანკებს არ აქვთ რესურსი სოფლის მეურნეობაში სამენარმეო კრედიტების გასაცემად, მნიშვნელობას იძენს, გაცემული კრედიტების მომსახურეობის საქმეში, ბანკების დადებითი გამოცდილება. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დაკრედიტება ბანკების მეშვეობით, საბიუჯეტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობისა და მისი სამეურნეო ციკლში სრული მონაწილეობის გარანტია ხდება.

ამგვარი ნამონყება, როდესაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა რესურსი და განისაზღვრა იმ დროისათვის დაბალი საპროცენტო განაკვეთი, სოფლის მეურნეობაში მოქმედი მენარმეებისათვის უკვე ერთხელ (2008 წელს) განხორციელდა საქართველოში. როგორც ვიცით, მას რაიმე არსებითი შედეგი არ მოყოლია. ვერც მოყვებოდა, რადგან კრედიტები გასცეს სახელმწიფო ინსტიტუტებმა, მათ მიერ ჩატარებული ტენდერების მეშვეობით. კრედიტების მომსახურეობა ვერ განხორციელდა სათა-

ნადო დონეზე, რადგანაც კრედიტის გამცემ ორგანიზაციას არ ქონდა ამის გამოცდილება. კრედიტები გაიცა მარტივი პროცენტით და შინაარსობრივად ატარებდა სამომხმარებლო და არა სანარმოო ხასიათს. ამ უარყოფითი გამოცდილების გამოვლის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. ჩვენთვის, ამჟამად, მთავარია გამოვიდეთ სოფლის მეურნეობის დაკრედიტების სპეციფიკიდან, ფერმერებს მიეცეთ არა სამომხმარებლო შინაარსის, მრტივი პროცენტით განსაზღვრული, არამედ სამენარმეო დანიშნულების, რთული და დაბალპროცენტუანი კრედიტი, რომლის მომსახურებაც, მთელი სანარმოო ციკლის განმავლობაში, განახორციელებს ბანკი. სასოფლო-სამეურნეო სანარმო ითხოვს, ვადანობის მიხედვით, ყველა სახის კრედიტს, მაგრამ ფუნქციონალური დანიშნულებით აქ უპირატესობა უნდა მიენიჭოს თვითლიკვიდურ (მალფუჭადი პროდუქციის მოკრეფისა და რეალიზაციისათვის) და „რეგულვერულ“ (ხვნა-თესვისა, კულტივირებისა და მოსავლის აღებისათვის) კრედიტებს. მეცხოველეობაში კი უფრო ხელსაყრელი იქნება მოკლევადიანი აქტივებით უზრუნველყოფილი კრედიტები. ასეთი დაკრედიტება კი მხოლოდ ბანკებს შეუძლიად კვალიფიცირებულად და მოსალოდნელ ეფექტიანობაზე ორიენტაციით განახორციელონ. გამოდის, რომ, სოფლის მეურნეობის საკრედიტო რესურსის უზრუნველსაყოფად, საჭიროა სახელმწიფოებრივი ფულადი რესურსების გამოყენება ბანკების საშუაველო სისტემის მეშვეობით.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საკრედიტო რესურსის გამოყენების ეფექტურობის შემოთავაზებული ვარიანტი არ არის ლიკვიდურობის ხაფანგის დაძლევის პირდაპირი საშუალება. იგი პრინციპულად რ აუქმებს ამ „ხაფანგს“, არამედ, იძლევა საშუალებას, მისი არსებობის პირობებში, ბანკებმა გასცენ სამენარმეო კრედიტები. ჩვენი აზრით, ეს მარტო საქართველოს პრობლემა არ არის. მსოფლიო აგრარული და ფინანსური კრიზისების ფონზე უაღრესად რთულდება აგრობიზნესის დაფინანსების, ტრადიციული ინსტიტუციონალური ფორმების გამოყენება. ამიტომ, სოფლის მეურნეობაში ფინანსური რესურსების, მათ შორის სახელმწიფოს საბიუჯეტო სახსრების მოზიდვისა და უპირატესად საბანკო კრედიტის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, აუცილებელია, შემუშავდეს სპეციალური ეკონომიკურ-პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც მობილიზაციას გაუწევს ამ მიმართულებით გამოყოფილ რესურსს და შექმნის ბანკებისათვის ხელსაყრელ პირობებს, რათა განახორციელონ ინვესტიციები აგრარულ სექტორში. შესაბამისად, იქნება დაკრედიტების ახალი, ბანკებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ახალი ფორმის მეშვეობით, თანამედროვე მექანიზმი. ერთი მხრივ, ხელმისაწვდომი ხდება მენარმისათვის კრედიტი, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტის გაცემისა და დაბრუნების საბანკო პრაქტიკა თითქმის გარანტირებულს ხდის ამ რესურსის, უკან, ბიუჯეტში მობილიზებას. შესაბამისად, ერთდროულად ჩნდება ბანკებსა და აგრარულ ბიზნესს შორის ურთიერთობის სახელმწიფო დამზღვევი სისტემა.

შემოთავაზებული წინადადების რეალიზაცია შესაძლებელია ორი მიდგომით: 1. საქართველოს რომელიმე ქსელურ (ფართო ფილიალებით წარმოდგენილ) ბანკს გამოეყოს საბიუჯეტო რესურსი კრედიტის სახით და მიეცეს ამ რესურსის ფარგლებში ექსკლუზიური უფლებები, სოფლად, საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისათვის. „პროკრედიტ“ ბანკის მიერ ტურიზმის სექტორში საბიუჯეტო რესურსების სამენარმეო კრედიტებად გარდაქმნის ანალოგიურად, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროცესის დაკრედიტების სპეციფიკის გათვალისწინებით, კრედიტის ამღები შესაძლებელია გახდეს სპეციალურად, ამ მიზნით, შექმნილი სამეურნეო ერთეულიც, რომელიც ვალდებულებათა ანაზღაურების შემდეგ გახდება სრულყოფილი საბაზრო დანესებულეა. 2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს რესურსი იმ ბანკებისათვის, რომლებიც ეწევა აგრარული სექტორის სამენარმეო დაკრედიტებას და განანილდეს იგი ბანკების მიერ განეული მომსახურეობის პროპორციულად. მსოფლიოში არსებობს ამ, ორივე, მეთოდის გამოყენების ანალოგები. მაგალითად, ჩილეში საბიუჯეტო რესურსებით იქმნება სამენარმეო ერთეულები და შემდეგ ხდება მათი პრივატიზება. ასეთი კომპანიის როლი საქართველოში შესაძლებელია რომელიმე ქსელურმა ბანკმა შეასრულოს. კანადაში კი, იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის ფულად რესურსს გამოყოფს ლოკალური ბიუჯეტი მოსახლეობის ჯანდაცვის პრევენციისათვის, გლობალური ბიუჯეტი უნაზღაურებს სახსრებს გაორმაგებულ ოდენობით. ასე რომ, საბაზრო ეკონომიკის აღიარებულ ქვეყნებში უცხო არ არის საბიუჯეტო რესურსის საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოყენება.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ საზოგადოებას შევთავაზებთ სოფლის მეურნეობის დაკრედიტების რაიმე სრულყოფილ სცენარს. ჩვენი პრეტენზია მხოლოდ საკითხის დასმით და, თუ შესაძლებელია, ამ საკითხისადმი პოლიტიკური მნიშვნელობის მინიჭებით შემოიფარგლება. მიუხედავად ამისა, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სოფლის მეურნეობის სანარმოთა დაკრედიტების ახალმა სისტემამ შეიძლება გადამწყვეტი სიტყვა თქვას სოფლად ფინანსური რესურსების მოზიდვისა და მისი ეფექტიანი გამოყენების საქმეში.

DAVIT IAKOBIDZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Academic Doctor of Economics, Professor*

TAMAR MARGIANI

*Agrarian University of Georgia
Doctoral Candidate*

**DELIVERANCE FROM LIQUIDITY TRAP IS A NECESSARY CONDITION FOR
THE CRISIS RECOVERY**

S u m m a r y

With the aim of agricultural crisis recovery ongoing in Georgia it is necessary to elaborate a flexible and effective system of the field financing within macroeconomic policy of agrarian policy reformation. The formation of such a system is to be implemented by using all sources of financing, especially by the application of budget funds through the banking system. The proposed mechanism of agricultural financing aims at a certain “neutralization” of the “liquidity trap” and effective development of the joint use of public and private financial resources.

ნაზირა კაკულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

მალხაზ ჩიქოვანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები განვითარებად ქვეყნებში და მისი როლი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების სამი მეოთხედი სოფლად ცხოვრობს და მათთვის სოფლის მეურნეობა არსებობის ერთადერთი საშუალებაა. ამგვარად, აგრარული სექტორის დინამიკურ განვითარებას შეუძლია ხელი შეუწყოს სოფლად (და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით) სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას.

სოფლის მეურნეობა სინამდვილეში სიღარიბის შემცირების მართლაც ძირითადი ინსტრუმენტია – ამას ადასტურებს თუნდაც ჩინეთის მაგალითი, სადაც აგრარული სექტორის განუხრელმა განვითარებამ განაპირობა სოფლად სიღარიბის შემცირება 1981 წელს არსებული 53%-დან 8%-მდე 2001 წლისათვის. საერთაშორისო შეფასებები გვიჩვენებს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, რომელიც ემყარება სოფლის მეურნეობას, თითქმის ორჯერ უფრო ეფექტიანად მოქმედებს სიღარიბის შემცირებაზე, ვიდრე ისეთი ზრდა, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკის სხვა სექტორებს.

თუმცა არსებობს სოფლის მეურნეობაში განვითარების ჩავარდნის მრავალრიცხოვანი მაგალითი. ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია – ამ სექტორის არაეფექტიანობა აფრიკის უმრავლეს ქვეყნებში; მეორე პრობლემა მდგომარეობს შრომითი რესურსების გადანაწილებაში ამ ქვეყნებში. არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში სწრაფმა ზრდამ გამოიწვია სიღარიბის კონცენტრაცია სოფლად და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს შორის სხვაობის ზრდა. ყოველივე ეს იწვევს პოლიტიკურ დაძაბულობასა და არასტაბილურობას. დაბოლოს, სოფლის მეურნეობა ხშირად ბუნებრივი რესურსების ძირითადი გამოყენებელია და სწორედ ის აყენებს მას ყველაზე მეტ ზიანს.

სოფლის რეგიონები ძალზედ არაერთგვაროვანია თავისი ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლებით. მსხვილი კომერციული მეურნეობები მცირე საოჯახო ფერმებთან თანაარსებობენ. ზოგიერთი ფერმერი სასურსათო ბაზარს აწვდის თავიანთი წარმოების ნამეტს და ღებულობს მოგებას მაღალი დამატებული ღირებულების მქონე გასაღების ახალი ბაზრების გამოჩენასთან ერთად, ხოლო სხვები დასაქმებულნი არიან ნატურალური მეურნეობით და ბაზარზე მხოლოდ სურსათის მყიდველებად და თავიანთი შრომის გამყიდველებად გვევლინებიან.

არაერთგვაროვნებით გამოირჩევა სოფლის შრომის ბაზარიც, სადაც ძირითადად მიენოდება არაკვალიფიციური, დაბალანაზღაურებადი შრომა და რომელიც მაღალკვალიფიციური მუშაკებისათვის მწირი ვაკანსიით ხასიათდება, რომლებსაც შეეძლოთ დაბალკვალიფიციური მუშაკების დახსნა სიღარიბიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სიტუაცია შეიმჩნევა არასასოფლო-სამეურნეო სექტორებშიც, სადაც დაბალმწარმოებლური თვითდასაქმება და დაქირავებული შრომა თანაარსებობს პერსპექტიულ დინამიკურ სანარმოებში დასაქმებასთან ერთად. არაერთგვაროვანია მიგრაციის შედეგებიც: მაშინ, როდესაც ზოგიერთები ახერხებენ სიღარიბიდან თავის დაღწევას, სხვების მატერიალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმდება.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მეურნეობის როლის მიხედვით გამოყოფენ ქვეყნების სამ ჯგუფს – უპირატესად აგრარულებს, რეფორმირებადი ეკონომიკისა და ურბანულ ქვეყნებს (იხ. ცხრილი 1).

მრავალ ღარიბ აგრარულ ქვეყანაში (ძირითადად, აფრიკის) სოფლის მეურნეობას უკავია მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი წილი და სამუშაოს ადგილების მნიშვნელოვან რაოდენობას ქმნის.

რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი 400–1800 დოლარებში მერყეობს (ძირითადად, აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, აგრეთვე ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, კერძოდ, ალბანეთი), სოფლის მეურნეობაზე მოდის საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის 20% და სამუშაო ძალის 43%. მიუ-

ხედავად სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირებისა, ამ ქვეყნებში სიღარიბე მაინც ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით სოფლად.

იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე 1800-8110 დოლარის ოდენობის მთლიანი შიდა პროდუქტი მოდის (ძირითადად, აღმოსავლეთი ევროპა და ლათინური ამერიკა), მთლიან შიდა პროდუქტსა და საერთო დასაქმებაში სოფლის მეურნეობის წილი შესაბამისად 8%-მდე და 22%-მდე შემცირდა. ამ ურბანიზებულ ქვეყნებში სიღარიბე უკვე აღარ წარმოადგენს სოფლისათვის დამახასიათებელ ფენომენს, თუმცა ლატაკთა წილი (რომელთა დღიური შემოსავალი 2 დოლარს არ აღემატება) სოფლად 63%-ით უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად.

გარდა ამისა, ქვეყნები განიცდიან მკვეთრ ევოლუციას და განვითარების ერთი ტიპიდან გადადიან მეორეზე. მაგალითად, ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩინეთი და ინდოეთი აგრარული ტიპის ქვეყნების ჯგუფიდან გადავიდნენ რეფორმირებადი ქვეყნების ჯგუფში, ხოლო ინდონეზია – ურბანულში.

თითოეული ამ ჯგუფის ქვეყნებში აგრარული სექტორის წინაშე მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის საკუთარი ამოცანა დგას. აგრარულ ქვეყნებში საკვანძო მიზანია სოფლის მეურნეობა გადაიქცეს ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების მამოძრავებელ ძალად და რადიკალურად ამალდეს მცირე ფერმერულ სანარმოთა მწარმოებლურობა. ქვემოთ განვიხილოთ რეფორმირებადი და ურბანული ქვეყნების ძირითადი ამოცანები.

ცხრილი 1

ქვეყნების სამი ჯგუფის მახასიათებლები, 2010

	აგრარული ქვეყნები	რეფორმირებადი ქვეყნები	ურბანული ქვეყნები
სოფლის მოსახლეობა (მლნ კაცი)	417	2220	255
სოფლის მოსახლეობის წილი (%)	68	63	26
სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%)	29	13	6
სოფლის მეურნეობის წარმოების ყოველწლიური მატება (%)	4	2.9	2.2
არასასოფლო-სამეურნეო დარგების ყოველწლიური მატება (%)	3.5	7	2.7
სოფლად ღარიბების რაოდენობა (მლნ კაცი)	170	583	32
სოფლად სიღარიბის დონე (%)	51	28	13

წყარო: www.worldbank.org

რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე აგრარულ სექტორში მცირე ფერმები დომინირებენ. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა იწვევს ფერმების სიდიდის შემცირებას და წყლის რესურსების ხელმისაწვდომობაზე კონკურენციის გამწვავებას.

რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების განმასხვავებელი ნიშანია სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის შემოსავლებს შორის მზარდი სხვაობა (იხ. ნახ. 1). 1980 წლიდან 2001 წლამდე ჩინეთში ქალაქში სიღარიბე ორჯერ უფრო სწრაფად შემცირდა, ვიდრე სოფლად, ხოლო ინდონეზიაში 2,5-ჯერ. მაგრამ სოფლის მეურნეობიდან ადამიანთა გადინება ეკონომიკის სხვა სექტორების გარდაქმნის ტემპებს არ ემთხვევა. ჩინეთში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შრომითი რესურსების მობილურობის შეზღუდვა სოფლის მეურნეობის მოსახლეობას აკავებდა ადგილზე მაშინ, როცა ქალაქის ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა. ინდოეთში სოფლის მუშაკთა უმეტესი ნაწილის განათლების დაბალი დონე და ხარისხი მათ საშუალებას არ აძლევს იპოვონ სამუშაო სწრაფად განვითარებად მომსახურების სფეროში.

გარდამავალი ტიპის ქვეყნებში მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს შორის მზარდი განსხვავებისა და სოფლად სიღარიბის შემცირება. აუცილებელია ყველა საშუალების ამოქმედება სიღარიბის დაძლევის მიზნით, ესენია: ფერმერული მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობაში დასაქმების ზრდა, მიგრაცია.


მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტების – ხილისა და მოსტენულის, ფრინველების, თევზისა და რძის პროდუქტების – სწრაფად მზარდი ბაზრები საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია და კონკურენტუნარიანი, პრომატევადი მცი-

რე ფერმერული მეურნეობების შექმნა. ასეთი პროდუქციის ექსპორტი შესაძლებელია, რადგანაც გარდამავალი პერიოდის ქვეყნებს გააჩნიათ შედარებით უპირატესობა შრომატევად და საჭირო დეტალური კონტროლის საჭიროების მქონე საქმიანობებში. ამგვარად, მიგვიყვანს თუ არა აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევისათან, დამოკიდებული იქნება ღარიბი მოსახლეობის ჩართულობაზე ამ ახალ პროცესებში ახალი ფერმერებისა და დაქირავებული მუშაკების სახით. მომარაგების ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემები მათთვის შესაძლოა პრობლემური გახდეს, თუმცა ჩინეთის შესახებ ბოლო მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ მცირე და ღარიბი ფერმერები აქტიურად მონაწილეობენ სწარფად მზარდ ბოსტნეულისა და ბალახის კულტურების წარმოებაში.

სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად აუცილებელია დასაქმების ხელშეწყობა არასასოფლო-სამეურნეო სფეროშიც. მაგალითად, ინდოეთსა და ინდონეზიაში, ზოგიერთი შეფასებით, სოფლად მომსახურების სფეროს ზრდამ ისეთივე ზემოქმედება იქონია სიღარიბის შემცირებაზე, როგორც აგრარული წარმოების განვითარებამ. სოფლის რეგიონებში არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების ზრდა ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული აგრარული წარმოების ზრდასთან, რამდენადაც სხვა სექტორებისათვის, მაგალითად, კვების მრეწველობისათვის შუალედური ნედლეულის მსხვილი მიმწოდებელი ხდება. მაგრამ, ურბანიზაციისა და გლობალიზაციის ზრდასთან ერთად არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების ზრდა სოფლის მეურნეობისაგან სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება. ინდოეთის მთელ რიგ რეგიონებში, სადაც სახეზე იყო სოფლის მეურნეობის მწარმოებლობის მდორე ზრდა, ადგილი ჰქონდა სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას. კაპიტალისა და საქონლის მობილობა ინვესტორებს ნებას აძლევს აამოქმედონ დაბალანაზღაურებადი შრომითი რესურსები იმ რეგიონებში, რომლებშიც სოფლის მეურნეობის მწარმოებლობა და, შესაბამისად, შემოსავლები, შედარებით დაბალ დონეზეა.

აგრარული მუშაკების ინტეგრაციის დაჩქარება ქალაქის ეკონომიკაში ხელს უწყობს ადამიან-კაპიტალში ინვესტიციებს და პროფესიული სწავლებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარებას. სოფლად შემოსავლების ზრდისა და ტრადიციული სოფლის მეურნეობის სექტორიდან სამუშაო ძალის გადინების შემცირებისკენ მიმართული დამატებითი ღონისძიებები მთლიანობაში სასურველ შედეგებს იძლევა.

ნახ. 1



ურბანულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობაზე მოდის მთლიანად ეკონომიკაში შექმნილი დამატებული ღირებულების 6%, შესაბამისია ეკონომიკურ ზრდაში მისი წილიც, მაგრამ აგრობიზნესის, კვების მრეწველობისა და შესაბამისი მომსახურების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ურბანული ქვეყნების მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი ცხოვრობს ქალაქებში, ღარიბების 45% სოფლად ცხოვრობს, ხოლო შრომითი რესურსების 18% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში.

ამ ქვეყნების საერთო მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მიიღონ სარგებელი სწრაფად მზარდი შიდა სასურსათო ბაზრიდან, განვითარებადი სოფლის მეურნეობის სექტორიდან და მკვეთრად შეამცირონ მყარად მაღალი სიღატაკე სოფლად. ურბანული ქვეყნები განიცდიან „სუპერმარკეტების ნამდვილ რევოლუციას“ საცალო ვაჭრობაში. მცირე ფერმერებისათვის მთავარი ამოცანა ამ სუპერმარკეტებში საკუთარი პროდუქციის მიწოდებაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა, რაც მოითხოვს

ხარისხის მკაცრი სტანდარტების უზრუნველყოფას და მიწოდების გარკვეული მოცულობის მიღწევას. ამაში დიდი წვლილი შეიძლება შეიტანოს მწარმოებელთა ეფექტიანმა ასოციაციებმა.

მცირე ფერმერთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებამ აქტივების მიმართ, განსაკუთრებით მიწის, ასევე მათი გავლენის ხარისხის ამაღლებამ სოციალურად არათანაბარ საზოგადოებაში შესაძლებელია ხელი შეუწყოს მცირე ფერმერული მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას. სოფლის მეურნეობის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რეგიონებში კეთილდღეობის ზრდისათვის, სადაც თავმოყრილია სიღარიბე და იმავდროულად ხასიათდება კარგი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით. ამ პოტენციალის არმქონე რეგიონებისათვის უმჯობესია სოფლის მეურნეობაზე უარის თქმა და ეკოლოგიური სერვისების განვითარება, რაც მათ უკეთეს პერსპექტივას უქადის. მაგრამ ქვეყნის შიდა საჭიროებისათვის სოფლის მეურნეობისადმი მხარდაჭერა სავალდებულო ხასიათის უნდა იყოს, რაც მრავალი წლის განმავლობაში უთუოდ უნდა შენარჩუნდეს.

NAZIRA KAKULIA

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

MALKHAZ CHIKOBAVA

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

PROSPECTS OF DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN DEVELOPING COUNTRIES AND ITS ROLE IN MACROECONOMIC STABILIZATION

S u m m a r y

Three quarters of the poor population of developing countries live in rural regions, and for them agriculture is a unique source of existence. Thus, a dynamic development of the agrarian sector can promote a considerable reduction of rural poverty.

The acceleration of integration of agrarian workers in the city economy can be promoted by investments into the human capital and by changing the policy on the labor market, for example development of vocational training, transport communications and placement services. Additional measures to increase incomes in the village and reduce the outflow of labor from the traditional agricultural sector can yield good cumulative results.

PROSPECTS OF ACTIVIZATION OF AGRARIAN BUSINESS DEVELOPMENT ON THE BASIS OF TRANSBOUNDARY COOPERATION OF REGIONS

The economy of Ukraine has traditionally agrarian-industrial orientation. The natural and climatic conditions promote conducting of diversification and highly effective agriculture. During the market transformations was realized what this sector of national economy became most vulnerable for perception of transformations. The volumes of manufacture of agricultural production in comparison with 1990 were reduced to 80%. There are some reasons of such situation. The first reason is the difficult processes of the privatization of ground and uncertainty in questions of the property on ground in the future. Till now the moratorium on sale of ground is functioning in Ukraine, though in the latent form the ground actually already has found the new proprietors. Some difficulties are caused by the fact that there are a lot of representatives of oligarchies of industrial-financial groups (including transboundary) among proprietors of ground. Secondly, the agriculture feels the lack of state financial support. The introduction of Ukraine in World Trade Organization in 2008 has reduced to a minimum an opportunity of such support that makes the Ukrainian agricultural goods noncompetitive on comparison with similar production of the countries of EU, Turkey, Egypt and other importers of such production. Third reason is the small commodity character of agrarian business in Ukraine. The collective farm existing at USSR could not be transformed to large farms. Economic remoteness of the representatives of agrarian business results in substantial growth of the cost price of production. First of all it concerns to sphere of supply of fuel, mineral fertilizers, sowing material and organization of transportation and selling of agricultural production. Besides development of agrarian business were extremely negatively reflected of a consequence of break of industrial-cooperation connections between former USSR republics in the beginning of XX century. Thus is especially the boundary regions of former republics have suffered.

The powerful impulse of development of agrarian business can become transboundary cooperation of regions on the basis of local microintegration of the agricultural enterprises of different forms of property.

It is necessary to note that the basis of formation of organizational structures of transboundary mutual relation of regions of Ukraine is the EU experience. The international interaction of regions of Western Europe on a background of forced euroconstruction hadn't made a great influence on macroeconomic' and external politics. Even during the stagnation ("eurosclerosis") the idea of refusal of union was not appeared. Moreover, on the level of development of the tendencies of regionalization of Europe and development of the international cooperation of its separate territories, had been building stronger base of the future phenomenon of economic and currency union of EU countries, than declaration about building of "Joint European House". In conditions of the advanced democracy the population of first euroregions, having felt positive socio-economic effects of integration, had an opportunity to inform up to "centre", which institutes have already organizational contours.

Problems of organization of transboundary cooperation, including in sphere of agrarian business, are especially sharp in regions, which border with new independent states. In particular long-term attempts to find the effective form of organization with nearby regions of the border countries for the Chernigov region have not been successful. There are a lot of the factors of this situation, but first of all - modern unbalanced political and external-economic relations between Ukraine, Russia and Byelorussia. However specific interregional problems (socio-economic, ecological, demographic) exist, so the necessity of their coordinated decision is urgent.

The numerous works of the domestic and foreign scientists, in particular P. Belenkiy, V. Budkin, O. Vishniakov, M. Dolishniy, D. Klimont, P. Lutsishin, Yu. Makagon, N. Mikula, A. Moki, S. Pisarenko, V. Pila, O. Chmir, I. Shkola etc. are devoted to questions of mutual relation of transboundary communities. However analysis of specificity of mutual relation of territories with former "transparent boundaries" hasn't achieved the sufficient level for fundamental conclusions of economic science. The purpose of the authors is to highlight the objective basis of cooperation of boundary regions in the sphere of agrarian business, which have the indirect relation to EU (Ukraine), and sometimes (Russia, Byelorussia) – the contradicting political relations, but also are in the zone of EU interests.

It is necessary to note that there is an active process of creation of euroregions with participation of frontier areas on all perimeter of borders in Ukraine. The possibilities of euroregions aren't boundless, especial in economic sphere. As a rule cooperation is realization in humanitarian social-cultural contacts. However it is meaningful to make an emphasis on development of economic cooperation and thus to have a chance to get the financial support of EU (for example, within the framework of the programs INERREG). In such case it is necessary to develop the precise organization-economic projects in priority for all participants sectors of economy. The agrarian business can be the pulse for fruitful cooperation of regions. The priorities for financial support of EU are the ecological, migration and social projects. But the modern problems of agriculture are directly connected with ecology (part of grounds of euroregion "Dnieper" has suffered from consequences of Chernobyl accident) and necessity of the decision of social problems (mass outflow of youth from villages, closing of schools and medical centres, decrease of life quality of population). The possibility of the decision of specified problems of noneconomic character is the development of agrarian business. Thus for the reception of financial support of EU important is the transboundary character of projects of regional level.

Nevertheless the basis of specified transboundary projects in the sphere of agrarian business should be the scientifically proved organizational basis. It means the realization of next actions:

1) definition of general priority directions of agriculture for all boundary regions. So, in the framework of euroregion "Dnieper" these priorities could be: manufacture and deep processing of flex, selection and cultivation of elite sorts of potato, cultivation of rape and its further processing on biological fuel;

2) choice of the organizational forms of transboundary cooperation in the sphere of agrarian business. Taking into account the necessity of overcoming of manufacturing of small goods in agriculture the especial importance has the system of measures mezaregional level (under aegis of local authority of boundary regions) and stimulation of microintegration of the enterprises of agrarian business.

The phenomenon of economic integration of any level consists in an opportunity of synergetic effects or joint action effects. Such synergetic effects in the sphere of agrarian business can be received on the basis of measures of mezaregional level:

- association of research potentials of agrarian scientific centres of boundary regions;
- creation of the joint lizing companies on rent of special engineering;
- formation of transboundary information centre, in which are accumulated the data about innovation development and investment offers in agrarian sphere;
- creation of elite sowing fund.

Certainly the most active participation in realization of such measures should accept the local authority of frontier regions and also conducting representatives of the agrarian science.

At the level of self-organizing of the managing subjects the very large importance has the aspiration to creation of the microintegrated structures both vertical, and horizontal type. However, the opportunities of vertical microintegration between the enterprises of agrarian business in transboundary space of euroregion "Dnieper" are limited. Obviously the exception makes manufacture and processing of flex. It is possible the creation of the closed technological chain in this sphere between three boundary regions.

The analysis of situation in agrarian sector of frontier regions testifies that there are prospects of creation of transboundary **horizontal integrated structures**, the purpose of which is first of all the consolidated exit of the agricultural enterprises on the markets of other regions and external markets, consolidated access to the information, support of regional establishments of financial and market infrastructure (banks, credit unions, insurance companies, regional commercial and industrial chambers). The horizontal integrated economic structure can get the benefits by the realization of next measures:

- economy on scales (first of all – transportation and selling);
- maintenance of financing of breeding and selection job;
- decrease of expenses on competitiveness in one branch (cartel agreement);
- expansion of manufacture on the way of the consolidated exit on new markets;
- diffusion of innovations.

But the possibilities of horizontal integration first of all concern to the enterprises of agrarian business, which manufacture the same production, have similar specialization.

The small enterprises of different under-branches of the agriculture, which connects in same profile of manufacture or small sets of very wide assortment of production, have other prospects of microintegration. The problem of such enterprises is the absence of financing sources on realization of innovation activity and on

positioning of production outside the region. However, such enterprises have no an opportunity of direct horizontal integration.

In this case is offered the *untied diversification* that includes such kinds of activity, which have no direct connection with basic. There can be the absence of joint markets, resources, technology; and the effect is achieved at the expense of an exchange of actives (“system of participation”). For maintenance of financial support of participation in actives of the united enterprises it is expedient to involve regional banks. Essence of such association is in diversification of the capitals, instead of manufacture. The effect is achieved as a result of management of money flows or investment resources. The motives of untied diversification can be different: aspiration to be fixed in growing branch or in branches with high rate of return, distribution of risks, and use of experience of operation of enterprises of sphere of agrarian business. In conditions of the stage of formation of the stock exchange the essential role in development of such integrated structures in sphere of agrarian business should be played by *institutes of common investment*.

Literature:

1. Maciejewski W. On the emergence of the Baltic Sea region and the reading of the book / W. Maciejewski // The Baltic Sea Region. Cultures, politics, societies. – Uppsala, 2002. – 533 p.
2. Keating M. The Invention of Regions. Territorial Restructuring and Political Change in Western Europe, Environment and Planning / M. Keating. – Government and Policy. – 1997. – № 15. – P. 383–398.
3. Пeпa Т.В. Рeгiональнaя динaмикa и тpaнcфopмaция экoнoмичeскoгo прoстopу Укpaинy / Т.В. Пeпa. – Чepкaси: Бpaмa-Укpaинa, 2006. – 440 c.
4. Гoнтa E.И. Мeтoдoлoгичeскиe пoдxoды к иcпoльзoвaнию cитyaциoнныx пpeимyщecтв в paзвитии тpaнcгpaничнoгo coтpyдничecтвa / E.И. Гoнтa // Пpoблeмы и пepcпeктивы paзвития coтpyдничecтвa мeждy cтpaнaми Югo-Вocтoчнoй Eвpoпы в paмкax Чepнoмopcкoгo экoнoмичeскoгo coтpyдничecтвa и ГYAM: cб. нaуч. тpyдoв. – Cвищтoв-Дoнeцк: CA "Д.А. Цeнтoв"; ДoнНУ, 2004. – C. 41–45. Гoнтa O.И. Пoлитикa тpaнcнaциoнaлизaции экoнoмикy рeгиoнoв: тeopия мeтoдoлoгия, пpaктикa: Мoнoгpaфия / O.И. Гoнтa. – Чepнигoв: Видaвничecтвo Чepнигoвcкoгo ЦНTEI, 2008. – 496 c.
5. Мiкyлa Н.А. Мiжтepитopiaльнe тa тpaнcкopдoннe cпiвpoбiтничтвo: [мoнoгpaфия] / Н.А. Мiкyлa. – Львiв: IPД НАН Укpaинy, 2004. – 395 c.

ირინა კალენუკი, ელენა გონტა

ჩერნიგოვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აგრარული ბიზნესის განვითარების გააქტიურების პარსპექტივები რეგიონების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობით

ა ნ ო ტ ა ც ი ა

თანამედროვე პირობებში, აგრარულ ბიზნესში, დიდი ინტეგრირებული კომპლექსების შექმნა იძლევა თანამედროვე აგრარული მეცნიერების მიღწევების სრულად გამოყენების, მონიწივე აგრარული ტექნოლოგიების და აგრობიზნესის მენეჯმენტში ინოვაციური მიდგომების დანერგვის საშუალებას. გლობალიზაციის პირობებში, მიკროინტეგრაცია მიზანშეწონილია არა მხოლოდ სამრეწველო წარმოების სფეროში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც. ამგვარად, თუ შეიქმნება დიდი ინტეგრირებული კომპლექსები რეგიონული ტრანსსასაზღვრო ასოციაციის ფარგლებში, შესაძლოა გამოჩნდეს ბაზრების დივერსიფიკაციის, სასაზღვრო ქვეყნების კვლევით ბაზაზე წვდომის და ინჟინერინგის წარმოების ციკლების სეზონებისა და ეტაპების მიხედვით გამოყენების დამატებითი შესაძლებლობები. ასეთ შემთხვევაში, არსებობს საერთაშორისო თანამშრომლობის უპირატესობების გამოყენების რეალური შესაძლებლობა ადგილობრივ დონეზე, რაც სავსებით შეესაბამება ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს.

თამარ კაჭარავა, ლავროს შივარდნაძე, ნინო ნიკლაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი

სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიან მცენარეთა მდგრადი გამოყენების პრისსექტივები

საქართველოს მდიდარი და უნიკალური ფიტოგენოფონდი ბუნებრივ-ისტორიული სიმდიდრეა, რომელიც მუდმივ კონსერვაცია-აღდგენას საჭიროებს, რადგან ნადგურდება ან იცვლება სხვადასხვა სტიქიური თუ ანთროპოლოგიური ზემოქმედებით. პრობლემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მრავალ კულტურულ მცენარეთა და მათი ველური წინაპრების წარმოშობის პირველად და მეორად კერას წარმოადგენს. აქ გავრცელებულია სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიან მცენარეთა ის უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ბევრი მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირას არის მისული, მიმდინარეობს გენეტიკური რესურსის ეროზიული პროცესები, უკონტროლო ექსპორტი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ex-situ და in-situ/on farmer's უზრუნველყოფა. მომავალი მოხმარებისათვის გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად უდიდეს აუცილებლობას იძენს საქართველოს უნიკალური ფლორის სახეობების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება, მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპების ინტეგრირებით ბიომრავალფეროვნების იმ კონვენციით მინიჭებული უფლებებით, რომლის წევრიც არის საქართველო. მით უმეტეს, ქართულ ფიტოფარმაციას მრავალსაუკუნოვანი, სახელოვანი ტრადიციები აქვს, დღეისთვის კი პრიორიტეტული დარგი ხდება და ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მომგებიან საფეხურად იქცევა. ასევე სტატიში განხილულია *Valeriana officinalis* L, *Carum carvi* L და *Ccalendula officinalis* L მდგრადი გამოყენების პერსპექტივა და როლი ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში.

საქართველოს მდიდარი და უნიკალური ფიტოგენოფონდი ბუნებრივ-ისტორიული სიმდიდრეა, რომელიც მუდმივ დაცვა-აღდგენა-კონსერვაციას საჭიროებს, რადგან იგი ნადგურდება ან იცვლება სხვადასხვა სტიქიური თუ ანთროპოლოგიური ზემოქმედებით. პრობლემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მრავალი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურის (ვაზი, მარცვლოვნები, პარკოსნები, ხეხილი), მათი ველური წინაპრების წარმოშობის პირველად და მეორად კერას წარმოადგენს. საქართველოში გავრცელებულია სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიან მცენარეთა ის უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ბევრი მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირას არის მისული, მიმდინარეობს გენეტიკური რესურსის ეროზიული პროცესები, უკონტროლო ექსპორტი. საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ითვალისწინებს გარკვეული კონსერვაციული ღონისძიებების ჩატარებას უახლოესი ათი წლის მანძილზე.

ზოგადად საზოგადოებისათვის ეკოსისტემების დაცვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. მიუხედავად ამისა, ბევრ საკითხზე, როგორცაა ეკოსისტემების კონსერვაციის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ეკონომიკური მნიშვნელობა (საკვებით, ენერგიით, ფარმაცევტული და სხვა სახის სამრეწველო პირველადი პროდუქტებით უზრუნველყოფა; ეკოტურიზმი), როლი კლიმატის რეგულირებაში, ნარჩენების ბუნებრივ უტილიზაციასა და დეტოქსიკაციაში, წყლის და ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის, მარცვლეულის დამტვერვასა და თესლის გავრცელებაში, მავნებლების და დაავადებების კონტროლისათვის და ა.შ. ჩვენში მოსახლეობას მაინც ბუნდოვანი და პრიმიტიული წარმოდგენა აქვს. აქედან გამომდინარე, საქართველოს უნიკალური გენეტიკური და სახეობრივი ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად გარემოსდაცვით ღონისძიებებთან ერთად უდიდეს აუცილებლობას იძენს მისი დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება, მიღებული სარგებლის სამართლიანად განაწილების პრინციპების ინტეგრირებით ბიომრავალფეროვნების იმ კონვენციით მინიჭებული უფლებებით, რომლის წევრიც არის საქართველო.

ვეყრდნობით რა სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიან მცენარეთა გენეტიკური რესურსის მოძიება-კონსერვაციის სფეროში ჩვენ მიერ ჩატარებულ მრავალწლიანი სამუშაოების

შედეგებს, რომელებიც მოიცავენ საქართველოს ყველა რეგიონს, შესაძლებელია ისინი ასახულ იქნან როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ და გამოყენებით სფეროებში.

დღეისათვის საქართველოში არ მიმდინარეობს სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა წარმოება და, მით უმეტეს, კულტივირება სამრეწველო მასშტაბებით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კლიმატურ-ნიადაგური პირობები იძლევა საშუალებას მივიღოთ ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხის პროდუქცია. პროცესს კუსტარული სახე აქვს ველურად მოზარდი მცენარეების ხარჯზე, რასაც თან სდევს ფიტოგენოფონდის შეუქცევადი განადგურება. ბაზარი გაჯერებულია იმპორტული ძვირად ღირებული სინთეზური პრეპარატებით. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ინტერესი სამკურნალო, არომატული და სანელებელი მცენარეებისადმი, მათი გამოყენების პოტენციალი სულ უფრო და უფრო იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინაში, კოსმეტოლოგიასა თუ კულინარიაში უხვად მოიპოვება სინთეტიკურ-ქიმიური საშუალებანი. ეს პროცესი არც არის გასაკვირი, რადგან ამ უკანასკნელთა გამოყენებას თან ახლავს მრავალი თანმდევი გართულება, იგივე ალერგიულ დაავადებათა სახით. მცენარეული საშუალებების გამოყენების ეფექტურობას კი პირველ რიგში განსაზღვრავს მათი მაღალი ბიოლოგიური აქტიობა და ნაკლებ ტოქსიკურობა, ეს საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნან ისინი სხვადასხვა ქრონიკული და მწვავე დაავადებების დროს. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვანია, რადგან მცენარის ონთოგენეზის პერიოდში მეტაბოლიტური პროცესების მიმდინარეობისას წარმოიქმნება ისეთი მნიშვნელოვანი და ძვირფასი ნაერთები, როგორცაა ცილები, ნახშირწყლები, ეთერზეთები, ალკალოიდები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ვიტამინები ანუ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომელთა მოქმედება რბილი და ხანგრძლივია ადამიანის ორგანიზმზე, მაგრამ შედეგიც სტაბილურია. მათი მოხვედრა ორგანიზმში ინვესს დადებით ფიზიოლოგიურ ეფექტს. უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეები ბიოლოგიურად და ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეიცავენ გარკვეული თანაფარდობით და რაოდენობით, რომლებიც ჩამოყალიბდებიან ეკოსისტემასთან კავშირში, ამიტომაც უსათუოდ ეს გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ უპირატესობა ენიჭება ფიტოპრეპარატებს, ფიტოსაკვებ თუ ფიტოკოსმეტიკურ საშუალებებს და არა სინთეტიკურ-ქიმიურს. მცენარეები წარმოადგენენ სამკურნალო ნივთიერებათა წყაროს. სამკურნალო პრეპარატთა 30%-ზე მეტი მიიღებიან მცენარეებიდან, ყოველი მესამე პრეპარატი მსოფლიო ბაზარზე გახლავთ მცენარეული წარმოშობისა, ამასთანავე, მცენარეული პრეპარატების ფასი, სინთეტიკურთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია.

აღნიშნული პრობლემა დაედო საფუძვლად ჩვენს პროექტს, რომლის მიზანია:

ა) ინტენსიური ტექნოლოგიებით სამკურნალო, არომატული, სანელებელ და შხამიან მცენარეთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის დიფერენცირება და ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში განთავსება-განვითარებისთვის;

ბ) კონდიციური თესლის ბანკის შექმნა;

გ) მცენარეული ნედლეულის წარმოება და ფიტომრეწველობის მომარაგება, რაც ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი გახდება ქვეყნისათვის, მით უმეტეს ტურიზმის განვითარების პირობებში;

დ) ფიტოგენეტიკური რესურსის კონსერვაცია-დაცვა-აღდგენა.

სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა წარმოების ტექნოლოგიების განვითარებას სამრეწველო პლანტაციების შექმნით საქართველოსათვის მრავალმხრივი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს:

ა) **ეკოლოგიური ფაქტორები** – სამკურნალო-არომატულ-სანელებელ მცენარეთა კულტივირება და ბუნებრივი მცენარეული რესურსების მიზნობრივ-რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და უნიკალური ფიტოგენოფონდის დაცვას [1].

ბ) **ფარმაკოლოგიური ფაქტორები** – სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა სასაქონლო ფასს ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის სიდიდე და ეკოლოგიური სისუფთავის ტესტები განსაზღვრავენ. ინტენსიური აგროტექნიკური ღონისძიებების დადებითი გავლენით კულტივირებული მცენარეების ხარისხობრივი მაჩვენებლები ბევრად აღემატება შესაბამისი ველურად მოზარდი ფორმების ტესტებს. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის ეკოსისტემა ნაკლებ დაბინძურებულია მძიმე ლითონებით და სხვა არასასურველი ტესტებით.

გ) **ეკონომიკური ფაქტორები** – სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის, პროდუქციისა და სტანდარტული თესლის წარმოება უზრუნველყოფს სტაბილურ-გარანტირებულ შემოსავალს, რადგან დიდი მოთხოვნით სარგებლობს, პროცესი სულ უფრო შეუქცევადი ხდება. მოქნილი მარკეტინგული მოდელის შემუშავებით შეიქმნება ადგილობრივი წარმოების იაფი სამკურნალწამლო საშუალებები, განვითარდება პრიორიტეტული

ფერმერული მეურნეობები და ფულად-საკრედიტო ურთიერთობები. ამასთან, ამ პრიორიტეტს ექსპორტის უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

დ) მოხდება სანარმოო-ტექნოლოგიური, მენეჯმენტის და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ფიტომრეწველობის, ფიტოკულინარული და ფიტოკოსმეტიკური სანედლეულო ბაზის და ორგანული წარმოშობის სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან საშუალებათა შექმნა, ორგანული მინათმოქმედებით ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის ნედლეულის წარმოება, საქართველოს ფლორის ველურად მზარდი და კულტივირებული მცენარეების აღწერა-კატალოგიზაცია; სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა მოყვანა-დამზადების, გაშრობის, გადამუშავების, შენახვის პირობების შემუშავება მათი რაციონალური მოხმარების მიზნით.

ე) ჩამოყალიბდება მაღალპროდუქტიული მოდელი ბლოკში: ნიადაგი-გარემო-მცენარე-სასუქი-მოსავალი, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისა და კონდიციური თესლის მისაღებად.

ჩვენს პროექტში ერთ მოდელში გაერთიანებულია ერთი მხრივ კვლევა პრიორიტეტული სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა გენეტიკური რესურსის მარაგისა ქვეყანაში (აჭარა, სტეფანწმინდა, სამეგრელო, შიდა ქართლი, რაჭა, კახეთი), მათი შემდგომი დაცვა-კონსერვაციისა და გაუმჯობესების პარამეტრების დაკონკრეტებით, მეორე მხრივ კი, მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში განთავსება-განვითარებისათვის, ანუ სამრეწველო პლანტაციებისა და თესლის ბანკის შექმნა ბიომრავალფეროვნების ბალანსირებისათვის {1;2}.

ცხრილი

ზოგიერთ სამკურნალო, არომატულ და სანელებელ მცენარეთა პროდუქტიულობა და ღირებულება

კულტურა	პროდუქტის სახე	პროდუქტიულობა კგ/ჰა (ჰაერმშრალი მასა)	ღირებულება ლარი/კგ	ღირებულება ჰა/ლარი
კატაბალახა (Valeriana officinalis L)	ფესვები და ფესურები	900	30	27000
	თესლი	70	60	4200
კვლიავი (Carum carvi L)	თესლი	1500	20	30000
გულყვითელა (Calendula officinalis L)	ყვავილები	1600	15	24000
	თესლი	80	12	960

ჩვენი მრავალწლიანი ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ

ა) 1 ჰა-ზე მიიღება კატაბალახას (*Valeriana officinalis L*) 900 კგ ფესვები და ფესურები (ჰაერმშრალი მასალა), 1 კგ-ს ფასი 30 ლარი, სულ 27 000 ლარის პროდუქცია. ამასთანავე, 1 ჰა-ზე მიიღება 70 კგ თესლი, 1 კგ ფასი – 60 ლარი. სულ 4200 ლარის თესლი კვლავწარმოებისათვის. შემოსავალი წლის განმავლობაში შეადგენს 27000 + 4200 = 31 200 ლარი/ჰა.

ბ) 1 ჰა-ზე მიიღება 1500 კგ კვლიავის (*Carum carvi L*) თესლი, ს. 1 კგ-ს ფასი 20 ლარი, სულ 30 000 ლარი/ჰა პროდუქცია.

გ) 1 ჰა-ზე მიიღება 1600 კგ გულყვითელას (*Calendula officinalis L*) ჰაერმშრალი ყვავილები, ს. 1 კგ-ს ფასი 15 ლარი, სულ 24 000 ლარი/ჰა პროდუქცია, 960 ლარის 80 კგ თესლი კვლავწარმოებისათვის.

კულტივირებული პლანტაციების გაშენებისას ფერმერულ მეურნეობებში უნდა გავითვალისწინოთ სისტემის: გარემო-ნიადაგი-მცენარე-სასუქი-მოსავალი კრიტერიუმები, მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებანი; შევარჩიოთ ოპტიმალური ტექნოლოგიები და ვადა სასურველი რეგიონისათვის. პროცესების სწორად წარმართვისას წარმოება მიიღებს მაღალი პროდუქტიულობისა და ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სტანდარტული შემცველობის მქონე ეკოლოგიურად სუფთა ფიტონედლეულსა და, შესაბამისად, ფიტოპროდუქციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაჭარავა თ. (2008) – სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეები, - გამომც. „უნივერსალი“, 188 გვ.
2. Korakhashvili A. Kacharava T (2008). – Catalog of Medicine, Aromatic, Spicy & Poisonous Plants of Georgia, ISBN 978-9941-0-1001-9, Georgia Academy of Sciences, Tbilisi, 35p

PROSPECTS FOR SUSTAINABLE USE OF MEDICINAL, AROMATIC, SPICE AND POISONOUS PLANTS

S u m m a r y

A rich and unique phylogenetic fund of Georgia represents a natural-historic treasure, calling for permanent conservation-rehabilitation, as it progressively exterminates or changes under the influence of various natural disasters or anthropological impact. The problem is important to our country whereas the number of cultural plants and their wild ancestors originate from Georgia, as it is their primary and secondary hearth of origin. The unique medicinal, aromatic, spice and poisonous plants spread in Georgia cannot be found anywhere else in the world. Due to their current state, most of these plants are on the verge of extinction. The erosive processes of genetic resources and uncontrolled export are taking place. Based on the aforementioned, it is critical to preserve biodiversity through ensuring *in-situ and ex-situ/on farmer's*. For the purposes of further consumption, raising awareness in the conservation of genetic and varietal diversity and rational use of the unique Georgian flora is gaining importance. This can be observed along with the intensification and sustainable use of ethnobotanical traditions and promotion of phytoproduction based on the rights acquired from the convention on biodiversity Georgia is accessed to, through integration of the benefits distribution principles. Though Georgian phytopharmacy has the sound centuries-old traditions, today it is becoming the priority issue and turning into a profitable stage in the development of tourism. The article also discusses the perspective and role of sustainable use of *Valeriana officinalis L*, *Carum carvi L* and *Calendula officinalis L* in retaining the biodiversity of the country.

დავით კვიციანი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

შინამეურნეობები საქართველოს ეკონომიკაში და მათი საქმიანობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები

შინამეურნეობები ქვეყნის შიდაეკონომიკის ხუთი ინსტიტუციური სექტორიდან ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუციური სექტორია.¹ საქართველოს სოფლის მეურნეობაში შინამეურნეობების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ოჯახური (საკომლო მეურნეობა). საქართველოში 600 ათასამდე ოჯახური მეურნეობაა. მონაცემები მათი საქმიანობის შესახებ იანგარიშება შერჩევითი დაკვირვების გამოყენების მიხედვით. ოჯახური მეურნეობების წილად მოდის მემცენარეობის პროდუქტების წარმოების უმეტესი წილი, ასევე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და პირუტყვისა და ფრინველების სულადობის აბსოლუტური უმეტესობა. ერთადერთი გამოსაკლისია კვერცხის წარმოება, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოები 1,5-ჯერ მეტ კვერცხს აწარმოებენ, ვიდრე ოჯახური მეურნეობები.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ ოჯახურ მეურნეობებს განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში (მემცენარეობა, მეცხოველეობა), ახლა დავახასიათოთ თავად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ძირითადი მახასიათებლები და შემდეგ ვნახოთ, თუ როგორ გამოიყურება სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. მანამ, სანამ მოცემულ ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობის წილად მოდის ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის 47 პროცენტი. 2011 წლის დასაწყისისათვის სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობამ საქსტატის მონაცემებით 2098 ათასი კაცი შეადგინა.² იგივე საქსტატის მონაცემებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ღირებულებამ 2010 წლის მიხედვით 2,3 მლრდ.ლარი შეადგინა, შუალედურმა მოხმარებამ 0,8 მლრდ.ლარი, ხოლო დამატებული ღირებულებამ 1,5 მლრდ.ლარი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასეთივე სტრუქტურით ხასიათდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე.

პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლებში მემცენარეობის პროდუქციას უჭირავს 40 პროცენტი, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციას – 60 პროცენტი.

2010 წელს 2006 წელთან შედარებით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებამ შეადგინა:

- ხორბალი 11 კილოგრამი (2006 წელთან შედარებით შემცირდა 5 კგ-ით);
- სიმინდი 32 კილოგრამი (-17 კგ);
- კარტოფილი 51 კილოგრამი (+13 კგ);
- ბოსტნეული 39 კილოგრამი (-2კგ);
- ხილი 28 კილოგრამი (-7 კგ);
- ყურძენი 27 კილოგრამი (-10 კგ);
- ხორცი 13 კილოგრამი (-6 კგ);
- რძე 132 კილოგრამი (-6 კგ);
- კვერცხი 100 ცალი (+43 ც).

ახლა განვიხილოთ საქსტატის მიერ დამუშავებული ძირითადი პროდუქტების სასურსათო ბალანსები და მის მიხედვით დავახასიათოთ თითოეული პროდუქტით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. მოცემული მაჩვენებლის გაანგარიშების ალგორითმი ასეთია: წლის მანძილზე

¹ შინამეურნეობების სექტორი მოიცავს რეზიდენტ შინამეურნეობებს. ყველა მათგანი ეას-ში მომხმარებლის სტატუსით განიხილება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არაკორპორირებული საწარმოების სახით (ზეთსახდელეები, სახერხები, წისქვილები და სხვა სახის მცირე საწარმოები) ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი საქართველოში დაკავებულია ღვინის და სხვა სახის ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმით, მესაქონლეობისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებით და ა.შ. შემოადინებული საქმიანობის სახეებით უპირველეს ყოვლისა ხდება შინამეურნეობების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ჭარბი პროდუქტების ბაზარზე გაყიდვა.

დავით კვიციანი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2011.

² www.geostat.ge.

ადგილობრივი წარმოების პროდუქტი (ათასი ტონა) იყოფა იგივე მაჩვენებელს დამატებული მოცემული პროდუქტის იმპორტი და გამოკლებული მოცემული სახის პროდუქტის ექსპორტი.

ცალკეული სახის პროდუქტებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 2010 წლის მიხედვით ასეთნაირად გამოიყურება:¹

პროდუქტის დასახელება	ადგილობრივი წარმოება (ათ.ტ)	იმპორტი (ათ.ტ)	ექსპორტი (ათ.ტ)	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (%)
ხორბალი	48	797	36	6
სიმინდი	141	16	10	96
კარტოფილი	229	2	8	103
ბოსტნეული	176	67	14	77
ყურძენი	121	2	32	133
ხორცი	56	62	1	48
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი	27	8	0	77
რძე და რძის პროდუქტები	558	48	1	93
კვერცხი (მლნ. ცალი)	445	10	16	98

როგორც მოტანილი მონაცემები მეტყველებს, უმეტესი პროდუქტების მიხედვით საქართველოში ჯერჯერობით დაბალია ადგილობრივი წარმოების მასშტაბები. მათი მოცულობების ზრდას დამატებითი როლის შესრულება შეუძლია როგორც მოსახლეობისა და ინსტიტუციური ერთეულების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ასევე შესაბამის პროდუქტებზე სამომხმარებლო ბაზრის ფასების რეგულირებაში.

2010 წლის შედეგებით სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილ დამატებულ ღირებულებას მშპ-ში მეოთხე ადგილი უჭირავს ვაჭრობის, სახელმწიფო მმართველობის და მრეწველობის შემდეგ. 2003 წელს სოფლის მეურნეობა ქვეყნის მშპ-ში პირველ ადგილზე იყო.

ამჟამად მსოფლიოს ეკონომისტებს შორის დიდი დისკუსია მიმდინარეობს ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და სოციალური პროგრესის მახასიათებელ მაჩვენებელთა გათანამედროვეების მხრივ. საჭიროა ახალი ინდიკატორების ძიება, რომელიც უკეთ დაახასიათებს მოსახლეობის კეთილდღეობას. ამასთან, ძირითადი აქცენტი კეთდება არა მთლიან შიდა პროდუქტზე, არამედ რეალურ შემოსავალზე, მოხმარებისა და სიმდიდრის მაჩვენებლებზე. ასე მაგალითად, შემოსავლის მაჩვენებელში შეიძლება შევიტანოთ ისეთი სახის მომსახურების აღრიცხვა, რომელსაც შინამეურნეობები „თვითონვე სთავაზობენ თავიანთ თავს“. კერძოდ ისეთი, როგორიცაა: საჭმლის მომზადება, საგანმანათლებლო მომსახურება, ბავშვის მოვლა და ა.შ. ასეთი მაჩვენებლების რაოდენობრივად შეფასება ძნელია. სტატისტიკური ორგანოები ასეთ მაჩვენებლებს პირობითად აფასებენ. შინამეურნეობების არასაბაზრო საქმიანობის შეფასების უკეთეს მეთოდს მიჩნეულია ჩაითვალოს მოსახლეობის საკუთარი დროის გამოყენების მაჩვენებელი. ასეთ მაჩვენებლებს შეუძლია დაახასიათოს, თუ როგორ იცვლება შინამეურნეობების საქმიანობა დროში. ამრიგად, შინამეურნეობების წარმოების მაჩვენებლები მოიცავს დროს, რომელიც იხარჯება შინამეურნეობაში შრომაზე, საქონლისა და მომსახურების შექმნაზე. ზრუნვა და დახმარება შინამეურნეობის წევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სატრანსპორტო გადაადგილება, საკომუნიკაციო კავშირები და ა.შ. „პირად მომსახურებაში“ შეიტანება: ჭამა, სმა, ძილი. რაც შეეხება „ანაზღაურებად სამუშაოს“, მასში შეიტანება დრო, რომელიც გამოიყენება ანაზღაურებად სამუშაოზე ან სწავლაზე როგორც სახლში, ისე სამუშაო ადგილზე. „თავისუფალ დროში“ შეიტანება სპორტი, რელიგიური და სასულიერო საქმიანობით დაკავება და ა.შ.

¹ www.geostat.ge.

ქვემოთ მოტანილია მონაცემები 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მიხედვით (წუთები დღეში)¹

	პირადი მომსახურება	ანაზღაურებადი სამუშაო	არაანაზღაურებადი სამუშაო	თავისუფალი დრო	განუსაზღვრელი საქმით დაკავება	სულ
გერმანია	616	196	219	394	15	1440
იტალია	616	219	232	360	13	1440
გაერთიანებული სამეფო	616	229	228	356	11	1440
საფრანგეთი	616	215	215	358	36	1440
ფინეთი	616	222	209	376	17	1440
აშშ	616	245	213	344	22	1440

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აშშ-ში და ევროპულ სახელმწიფოებში ურთიერთსაპირისპირო სურათი იკვეთება სამუშაო დროის გამოყენების მხრივ. თუ აშშ-ში მეტი დრო იხარჯება ანაზღაურებად სამუშაოზე, ვიდრე არაანაზღაურებადზე, ევროპულ სახელმწიფოებში საპირისპირო თანაფარდობას აქვს ადგილი.

საქართველოში ეკონომიკის ზრდის, შემოსავლების, მოხმარებისა და სიმდიდრის განაწილებისა და შინამეურნეობების სამუშაო დროის გამოყენების მიმართულებით ჩატარებული კვლევები საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად დავახასიათოთ რეალური სიტუაცია, რაც სამომავლო განვითარების პროგრამების შემუშავების საფუძველია.

DAVIT KBILADZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

HOUSEHOLD FARMS IN THE ECONOMY OF GEORGIA AND STATISTICAL ASPECTS OF THEIR EVALUATION

S u m m a r y

Households have a leading role in agricultural manufacturing. (Plant growing, livestock farming). By 2010 results, according to the rate of added value created in agriculture, the given field occupies the fourth place in Georgia's GDP and makes up 14,4 percent of GDP. In 2003, the agriculture held the first place in the economy of Georgia and added value constituted 19,3 percent of GDP. As the National Statistics Office data shows, the production of certain agricultural products per person is quite low and the share of domestic consumption in products consumption is low as well. In order to characterize the real situation existing in our country's agrarian sector, attention should be paid to the figures regarding population income, consumption and wealth distribution, The use of work time should also be taken into account.

¹ OECD (2009).

**აგრარულ-ინდუსტრიული ეკონომიკური სტრატეგია
ილია ჭავჭავაძის შიმშილგადასარსებში**

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებებში აგრარულ პრობლემატიკას დიდი ადგილი უკავია. მას მიაჩნდა, რომ, რაც არ უნდა განვითარდეს ინდუსტრიული წარმოება საქართველოში, იგი ბოლოს მაინც „მინისა და გუთნის ქვეყნად“ უნდა დარჩეს. ეს „გუთანი“ კი თავისთავად ნიშნავდა ისეთ სამრეწველო განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფდა აგრარულ სექტორს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და გადაამამუშავებელ მრეწველობას კი მოწინავე ტექნოლოგიებით. პუბლიცისტური წერილებისა და სტატიების ციკლში – „წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე“, სწორედ ეს მთავარი იდეაა გატარებული.¹ აღსანიშნავია, რომ ამ ციკლის გაგრძელებას წარმოადგენს ახალი ციკლი ფინანსურ-საკრედიტო პოლიტიკაზე,² რაც სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ილია ჭავჭავაძისათვის ქართველი ერისა და მისი ქვეყნის მეურნეობის განვითარების პრობლემები ერთიან კომპლექსს წარმოადგენდა. ზოგადსოციალოგიური თვალსაზრისით დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ კომპლექსიდან ძირითადი სტრატეგიული კურსისა და მისგან გამომდინარე სამეურნეო განვითარების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრას, მაგრამ, დღემდე სამწუხაროდ, ვერა და ვერ განისაზღვრა და, ბუნებრივია, ვერც ცხოვრებაში დაინერგა ეკონომიკური განვითარების ეს ძირითადი სტრატეგიული კურსი. მისგან იღებს სათავეს კრიზისის სხვა მიზეზებიც, მაგრამ ნებისმიერი პრობლემის კვლევისას ეს ამოსავალი წერტილია.

ამერიკის მაგალითი საკმარისია იმის გასაზრებლად, რომ დღევანდელ საქართველოსაც ახალი სტრატეგია და „ახალი კურსი“ სჭირდება აგრარული სფეროს კრიზისიდან გამოსვლისა და მომავალი ათწლეულების სტაბილური განვითარებისთვის. ლოკალური, ცალკეული რეფორმებით და, მით უმეტეს, საკადრო პოლიტიკის ცალკეული მანაჟულაციებით ფონს ვერ გავალთ. პირიქით, ასეთი სანახევრო, გლობალურისაგან მოწყვეტილი ლოკალური მიდგომით პრობლემას კიდევ უფრო პრობლემურს გავხდით. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთელი შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვენი აზრით, დღევანდელი ვითარების ასეთ გლობალურ გაგებას და კონცეპტუალურ-კომპლექსურ გადანყვეტას უნდა დაეფუძნოს. ყოველივე ეს თავის გადანყვეტის გზას ელოდება.

საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების გლობალურ გააზრებასა და მის სტრატეგიულ მიმართულებებზე, მათგან გამომდინარე საერთო-ეროვნული კონცეფციის შემუშავებასა და განხორციელებაზე სერიოზული რეფორმებია გასატარებელი. ამას დიდი რეფორმატორული ძალისხმევა და სტრატეგიული კურსის შემუშავება სჭირდება.

ამ თვალსაზრისით და, საერთოდაც, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგი ფაქტორების, კერძოდ, ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობისა და თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას. სხვაგვარად შეუძლებელია გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პროცესებში ეროვნული აგრარული სექტორის ფორმირება.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ყველაზე გლობალური გააზრებით, ეროვნული ეკონომიკა უფრო სულიერი, ფსიქიკური ხასიათის ფენომენია, ვიდრე ეკონომიკური და წმინდა მატერიალური. ყველა ერს თანდაყოლილი ფსიქოგენეტიკური კომპლექსის, მისგან განპირობებული და ათასწლეულების ტრადიციებით განმტკიცებული ცხოვრების წესისა და ეროვნული ხასიათის შესატყვისი ეკონომიკა აქვს. ისე რომ, ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის არსის გააზრება, ამ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისა და ტრადიციების სრულყოფილი გაგება და ახსნა მხოლოდ ამავე ქვეყნის და მასში მცხოვრები ხალხის ფსიქიკის და ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გათვალისწინებით და ანალიზით არის შესაძლებელი. სხვა მიდგომა და მეთოდი მხოლოდ მცდარ დასკვნამდე და მცდარ სამეურნეო პოლიტიკამდე მიგვიყვანს. ეროვნული ეკონომიკის ბუნებრივ-ისტორიული პროცესით ფორმირების ასეთი ხასიათი აიხსნება ერთსა და იმავე გეოგრაფიულ გარემო-პირობებში მცხოვრები ხალხების ეკონომიკური განვითარების ხშირად არათანაბარი დონით, რასაც ყველა ქვეყანაში აქვს ადგილი.

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 7–310.

² იგივე, გვ. 326–507.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის, და განსაკუთრებით მისი აგრარული პოლიტიკის, განსაზღვრისას, პირველ რიგში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეროვნული ცხოვრების ეს თავისებურებანი და მერე მოცემული ეპოქის ხასიათი და გამოცდილება. ასე აყენებდა საკითხს დიდი ილიაც სტატიათა თავის განთქმულ ციკლში – „ცხოვრება და კანონი“. იგი წერდა, რომ როგორც გინდა არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც მიწისა და გუთნის ქვეყნად უნდა დარჩეს. ამის ახსნა ქართველი ერის ხასიათში, ცხოვრების წესსა და ტრადიციებში ოდითგანვე ორგანულად შეეთვისა მიწას, მიწათმოქმედებას და სამინათმოქმედო იარაღების განვითარებას.

თავისი ასეთი მოსაზრებებით დიდი ილია „ინდუსტრიულ ეპოქას“ თვალს უსწორებდა. თუ დღევანდელი გადასახედიდან შევაფასებთ ამ ფენომენს, ვნახავთ, რომ ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ვიმყოფებით. ყველაზე მიტოვებული დღეს მიწა და სოფელია. დღესაც ჩვენს ცნობიერებაში ცალსახად მხოლოდ მრეწველობა გვესახება რალაც მხსნელ პანაცეად: მარტო მრეწველობა ვერ გადაარჩენს საქართველოს, მით უმეტეს, სხვათა და სხვათა მიერ შექმნილი ტექნოლოგიით და სანედლეულო ბაზით, თითქოსდა ჩვენი ქვეყანა, მისი მიწა-წყალი, თუ ბუნებრივ-კლიმატური, მწარმოებელი, თუ ინტელექტუალური ძალები საამისოდ უძლურნი და უნაყოფონი იყვნენ.

ჩვენი სამომავლო კონცეფციის თავი და თავიც სწორედ ეს უნდა გახდეს, რომ ფართო გზა მივცეთ ჩვენი ერისა და ქვეყნის დიდ შინაგან პოტენციალს, მისი მთისა და ბარის სხვადასხვა რეგიონის უაღრესად მდიდარ და მრავალფეროვან შესაძლებლობებს. ამ მხრივაც თუ გავიაზრებთ ეროვნულ ეკონომიკას, იგი რეგიონალურ ეკონომიკათა თავისებური ურთიერთგანპირობებული არითმეტიკული ჯამია. მისი წარმოშობა და განვითარება ყველა ქვეყანაში ამ გზით წარიმართება. რაც შეეხება საქართველოს განვითარების ცნობილ დილემას – ინდუსტრიული თუ აგრარული განვითარება, იგი არც ისე ძნელი გადასაწყვეტია: ჩვენს ქვეყანას, მის მომავალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას ერთიც სჭირდება და მეორეც. „მიწისა და გუთნის საქართველოს“ ილიასეული იდეალიც ამ დილემის სწორედ ასეთი გზით გადაწყვეტის ნიმუშია.

ქართველ ერს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ასეთი ალტერნატივა სოფლისა და აგრარული წარმოების სახით გააჩნია. დღეს კი ამ ორ ფენომენს შორის მთელი უფსკრული დევს. ილიას სიდიადეც და გენიალობაც ისაა, რომ იგი მაშინვე მიხვდა „ქართული წეს-წყობის“ დამანგრეველ ამ „ინდუსტრიულ აკვიატებას“. საქართველოსა და ქართველ ერს მომავალი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა იგი ამ მომავალს „თავისსავე წარსულიდან აღმოშობავს“. ასეთია დიდი ილიას ვერდიქტი.

ამ დიდი მიზნის განხორციელებას უნდა დაექვემდებაროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაც. ზოგად-სოციოლოგიური და გლობალური გააზრებით ეს თითქოს ყველასათვის ცხადი და ნათელია, მაგრამ მთავარი მიზანი ხომ არაა – მთავარი დასახული სტრატეგიული მიზნის განხორციელებაა. ილია ჭავჭავაძის სიდიადეც იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო მოგვცა აგრარული პოლიტიკის საერთოდ, და კერძოდ კი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და მიმართულებანი, არამედ განსაზღვრა მათი განხორციელების კონკრეტული გზები და საშუალებანიც. აგრარული პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა – ასე შეიძლება ვუწოდოთ მთელ მის მემკვიდრეობას ამ სფეროში. ეს ნათლად გამოსჭვივის იმ პუბლიკაციებში, სადაც იგი გვაძლევს საქართველოში „საგლეხო ბანკებისა“ და ერთიანი ეროვნული კორპორაციული-საამხანაგო სისტემის შექმნის იდეასა და ამოცანას. პირობითად, ამას შეიძლება ეწოდოს ილია ჭავჭავაძის „სახალხო კაპიტალიზმის“ დამკვიდრების იდეა საქართველოში. ამის ფორმად ილია მოიაზრებდა სხვადასხვა ტიპის „ამხანაგობებს“ და იგი მოუწოდებდა თავის თანამოაზრეებს სხვადასხვა დაბა-სოფლებში შეექმნათ ისეთი ტიპის სამეურნეო კორპორაციები, რომლებიც „ჩარჩული კაპიტალისაგან“ გაათავისუფლებდა ქართველ ხალხს. ამ მიზნით და ამ გააზრებით ჩაისახა „საგლეხო ბანკის“ იდეაც. ილია ჭავჭავაძე წერდა: „საგლეხკაცო ბანკის განსაკუთრებული და ერთადერთი აზრი ის არის, რომ გლეხკაცობას რა უწყებისაც გინდა იყოს, გაუადვილოს მამულების სყიდვით შეძენა... მთელი მოქმედება ამ ბანკისა იმაზეა მოქცეული, რომ გლეხკაცობას სესხად აძლიოს ფული მამულის სასყიდლად – მამულის სასყიდლად ფული მიეცემათ სესხად ცალკე გლეხკაცს, ამხანაგობასაც და... ცალკე სოფელსა სოფელულად – მთელს სასოფლო საზოგადოებას“.¹ „საგლეხო ბანკი“ ფუნქციონირებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „გლეხოების ეკონომიურ მოლონიერებასთან“ ერთად, მათში საამხანაგო-კორპორაციული გაერთიანებების შექმნას. აქ ილია ვრცელი და მრავალმხრივი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე ამტკიცებს მის დიდ სამომავლო მნიშვნელობას ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. აქვე იგი დიდ ნუხილს გამოთქვამდა, რომ ამ მომენტს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა არც ხელისუფლებისაგან და არც საზოგადოებისაგან.

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 422.

ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა ღრმა ანალიზი გაეკეთებინა ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის და მას თავის „ივერიაში“ სპეციალური ანალიტიკური წერილები მიუძღვნა როგორც კონკრეტულად საგლეხო კრედიტების პრობლემას, ისე საერთოდ, საქართველოში აგრარული პოლიტიკის სხვადასხვა საჭირობო საკითხების. სწორედ ამ ანალიზის შედეგად შეიმუშავა მან საქართველოს საზოგადოებრივი ეკონომიკური განვითარების აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგია, რომელიც ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად მიგვაჩნია გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად XXI საუკუნის საქართველოსთვისაც.

ამისი დასტურია მისი წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ – „ცხოვრება თვითრწულია, იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკრიკაზედ“. მისთვის მთავარია, რომ ერისა და ქვეყნის წინსვლა-განვითარება მათი ობიექტური ვითარების შესატყვისი ბუნებრივ-ისტორიული პროცესით წარმართოს და არა „კაცისაგან მოგონილზე“.

„ქვეყნიერებაზედ მართველობის ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს... ერთგვარი მართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმეებს მთავრობა განაგებს – ყველას და ყველაფერს ის განაგებს. მეორეგვარის მართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო სახელმწიფო საჭიროების საქმე და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას აქვს მინდობილი ადგილობრივ საქმეთა საწარმოებლად... ამგვარს გამგეობას თვითმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში საზოგადოება თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართვას. ერთი სიტყვით, ამგვარის მართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივი საქმენი თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან განიგებოდეს“.¹

მაშასადამე, ილიასთვის ქვეყნისთვის მოუგვარებელი პრობლემა იწყება მაშინ, როცა „ადგილობრივ საქმეებს ადგილობრივი მცხოვრებნი“ ვერ განაგებენ, თავის სატკივარს თვითონვე ვერ „ჰპატრონობენ“. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩასახული სასოფლო-სამეურნეო „ამხანაგობებიც“ იმიტომ არ განვითარდნენ და ვერ შეიძინეს სათანადო სოციალურ-ეკონომიკური და მასთან ერთად კი, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საერთო-ეროვნული ფუნქცია, რომ რუსეთის იმპერიის პირობებში შეუძლებელი იყო ჩამოყალიბებულიყო ნამდვილი თვითმმართველობა. ამდენად „ადგილობრივი საქმენი ადგილზე კი არ წყდებოდნენ“, არამედ იმპერიული მმართველობის სხვადასხვა ბიუროკრატიულ უწყებებში. ეს კი ხდებოდა არა ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ სამოხელეო აპარატის ბიუროკრატ-ჩინოვნიკთა ინტერესების საფუძველზე. ამხანაგობებიც იმიტომ „ჩაკვდა“.²

მაშასადამე, იმისათვის, რომ კორპორაციული, ანუ „სახალხო კაპიტალიზმის“ ილიას იდეა განხორციელდეს, ამისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას უნდა გაეხსნას ფართო ასპარეზი. ამ მიზნის მისაღწევად ილია ჭავჭავაძე გვთავაზობს გარკვეულ პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც სოფლად თვითმმართველური მართვა-გამგეობის შესაქმნელად და განსამტკიცებლად.³ მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ „გამოვსტაცოთ ხელიდან გაუმაძღარს ჩინოვნიკებს ხალხი“. სწორედ ეს გაუხსნის გზას ხალხის თვითმოქმედებას და თვითმმართველობას. ფულად-საკრედიტო პოლიტიკასაც მაშინ ექნება მნიშვნელობა და დიდი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, როცა ადგილობრივი საქმეების და მათ შორის კი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ბიუჯეტის განმკარგავი „ხალხისაგან დანიშნული ადგილობრივი კაცები იქნებიან“.⁴ ამის გარეშე, ბუნებრივია, ადგილობრივ თვითმმართველობას არავითარი ფასი არ ექნება. თვითონ ხალხმა უნდა ამოირჩიოს და მერე „პასუხიც მოსთხოვოს“⁵ თავისი წრიდანვე სინდის-ნამუსიანი კაცნი, რომელნიც თავიანდაკ გაუძღვებიან სოფლის საქმეს.

ესაა ლოგიკური შედეგი მართვა-გამგეობის იმ წესისა, რომლის ანალიზი მოცემულია „ცხოვრება და კანონში“. ილიას დასკვნაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „კარგ განზრახულობას და კეთილ მიზნებს“ მხოლოდ მაშინ აქვს „კეთილი ბოლო ხალხის ცხოვრების განკარგვისთვის“, როცა ამ საქმეს მკვიდრ „ნიადაგზე დავაფუძნებთ და არა ქვიშაზე“.

ილიას მიერ ჩაფიქრებული „ამხანაგობების“ და „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეის მთავარი ზოგად-სოციოლოგიური დასკვნაც სწორედ ის არის, რომ ყველაფერს ამას სახელმწიფოებრივი პოლიტიკა დაუდოთ საფუძველად. როგორც თვითონვე წერს წინასწარმეტყველურად იქვე, ამით „დიდ მადლს მოვისხამთ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ“. ილიას იდეის რეალიზება „მომავლის გზის გახსნა“ ქართველი ერისთვის.

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზ., ხუთტომეული, თბ., 1987, გვ. 323–324.

² ილია ჭავჭავაძე, თხზ., ათტომეული, ტ. VII, გვ. 437.

³ ილია ჭავჭავაძე, თხზ., ხუთტომეული, თბ., ტ. IV, გვ. 328–330.

⁴ იგივე, გვ. 331.

⁵ იგივე, გვ. 329.

დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში სულ სხვანაირად შეიცვალა კაპიტალიზმი და მისი მთავარი მახასიათებელი ნიშან-თვისება, საბაზრო ეკონომიკაც. ამიტომ ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობასთან ერთად, ბუნებრივია, აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის ახალი პრინციპებისა და ინსტიტუტების გათვალისწინება. სხვანაირად ვერც ამ ჩვენს დიდ ეროვნულ მემკვიდრეობას გამოვიყენებთ სრულყოფილად. ჩვენ თვალწინ მიმდინარე გლობალიზაცია და მისი თანხვედრი სოციალურ-ეკონომიკური პროცესები თავისთავად გვთხოვენ ყველა იმ რეალობის გათვალისწინებას, რაც თანამედროვე მსოფლიოში ხდება საბაზრო ურთიერთობების ყველა მიმართულებით. ამის გათვალისწინებაც აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად და განსახორციელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII. თბ., 1989.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ხუთტომეული, თბ., 1987, ტ. IV.
3. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ათტომეული, თბ., 1989, ტ. VII.

MURMAN KVARATSKHELIA

Sokhuni State University

Academic Doctor of Economics

Professor

AGRO-INDUSTRIAL ECONOMIC STRATEGY IN ILIA CHAVCHAVADZE'S CREATIVE WORK

S u m m a r y

The article discusses and evaluates Ilia Chavchavadze's views on State Agricultural Development. The importance of reforms for the modernization of the country's agricultural sector is particularly emphasized and the country's new economic strategy is analysed. It is also stated that in order to accomplish Ilia Chavchavadze's idea of corporative, i.e. "People's capitalism", it is necessary to encourage the development of local self-government bodies.

**ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ასახვა
ფინანსურ ანგარიშგებაში**

სოფლის მეურნეობის საქმიანობის ბულალტრულ აღრიცხვას არეგულირებს ბასს 41 „სოფლის მეურნეობა“. ბასს-ით **სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა** არის საწარმოს მიერ **ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა** გაყიდვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით.

ბიოლოგიური აქტივი არის ცხოველი ან მცენარე, ხოლო **სოფლის მეურნეობის პროდუქცია** არის საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქტები. უკანასკნელს ბასს-ი უწოდებს ნაყოფს და ასე განმარტავს მას: „**ნაყოფის მიღება** არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცულობა ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა“. სტანდარტი განასხვავებს ერთმანეთისაგან ბიოლოგიურ აქტივს და ნაყოფს.

აღრიცხვის ადეკვატური წარმობისათვის უნდა გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს ბიოტრანსფორმაცია. ბიოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესი ნიშნავს ბიოლოგიური აქტივების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლის შედეგად მიიღება პროდუქცია/ნაყოფი. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები არის ბიოაქტივის ზრდა (ცხოველის ან მცენარის რაოდენობის ან ხარისხის ზრდა); დეგენერაცია (ცხოველის ან მცენარის რაოდენობის შემცირება ან ხარისხის გაუარესება); გამრავლება/რეპროდუქცია (ახალი ბიოლოგიური აქტივების მიღება).

ამდენად, სოფლის მეურნეობის საქმიანობის თავისებურებებისა და მიზნებიდან გამომდინარე, მისი ბულალტრული აღრიცხვის ობიექტებია:

- ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაცია;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღება.

სააღრიცხვო ობიექტების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისათვის უნდა იქნეს შესწავლილი მათი აღიარებისა და შეფასების საკითხები.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მიეკუთვნება სხვადასხვა საქმიანობა, მაგალითად, პირუტყვის მოშენება, ტყის გაშენება, ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურის მოყვანა, ხეხილის ბაღებისა და პლანტაციების გაშენება, ყვავილების მოშენება, აკვაკულტურა (მათ შორის თევზის მოშენება). ამ სხვადასხვა საქმიანობას გარკვეული საერთო მახასიათებლები აქვთ:

ა) **ცვლილების უნარი**. ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს აქვთ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარი;

ბ) **ცვლილების მართვა**. მართვა არის მთავარი და განმასხვავებელი სოფლის მეურნეობის საქმიანობისათვის. მაგალითად, პროდუქციის მიღება უმართვადი წყაროებიდან (როგორცაა, ოკეანეში თევზჭერა და ტყის გაჩეხვა) არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა.

მართვა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას იმ პირობების გაუმჯობესების, ან მინიმუმ სტაბილიზაციის მეშვეობით, რომელიც აუცილებელია პროცესის მოხდენისათვის (მაგალითად, კვების, ტენიანობის, ტემპერატურის, ნაყოფიერების ან სინათლის). ამგვარი მართვა სოფლის მეურნეობის საქმიანობას განასხვავებს სხვა საქმიანობისაგან და

გ) **ცვლილების შეფასება**. ბიოლოგიური ტრანსფორმაციით ან ნაყოფის მიღებით გამოწვეული ხარისხობრივი (მაგალითად, გენეტიკური თვისების, სიხშირის, სიმწიფის, ცხიმინობის, პროტეინის შემცველობის და ქსოვილის სიმყარის) ან რაოდენობრივი (მაგალითად, შთამომავლობა, წონა, ზომა, ქსოვილის სიგრძე ან დიამეტრი, ასევე ყვავილთა რაოდენობა) ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადია.

ეკონომიკური თვალსაზრისით ბიოლოგიური აქტივები წარმოადგენს განსაკუთრებულ რესურსს. მათი სპეციფიკა ვლინდება:

- ბიოტრანსფორმაციაში – ფიზიკურ და ხარისხობრივ ცვლილებებში (ზრდა და შემცირება);
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღების გზებში – პროდუქცია მიიღება ბიოაქტივებიდან მათი გამოყოფით ისე, რომ ბიოაქტივი არ წყვეტს არსებობას (ძროხა და რძე) და ბიოაქტივის არსებობის შეწყვეტით (ძროხა და ხორცი);

• შემოსავლიანობის პოტენციალში – ერთნლიანი აქტივები (ერთნლიანი კულტურა) და მრავალნლიანი აქტივები (პირუტყვის ჯოგი).

საწარმომ ბიოლოგიური აქტივი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა აღიაროს აქტივად მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;

ბ) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა და

გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავისებურებების მიუხედავად, ბასს-ით მათი შეფასება ხდება გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება. უფრო კონკრეტულად განვიხილოთ შეფასების საკითხი.

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი **საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** უნდა შეფასდეს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული **რეალური ღირებულებით**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს აქტივი ურთიერთდამოუკიდებელ, დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის.

გაყიდვის დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის გადაცემასთან. იგი მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია გაყიდვის განსახორციელებლად, მაგრამ იგი სხვა შემთხვევაში არ წარმოიქმნებოდა, ეხება მხოლოდ იმ ოპერაციის დანახარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება გაყიდვის მომენტში:

- ბროკერებისა და დილერებისთვის გადასახდელი საკომისიო;
- მარეგულირებელი უწყებების გადასახადები;
- აქტივის გადაცემის გადასახადი და მოსაკრებლები.

გაყიდვის დანახარჯები გამორიცხავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც აისახება ბიოლოგიური აქტივის რეალურ ღირებულებაში, როგორცაა სატრანსპორტო და ფინანსური დანახარჯები, მოგების გადასახადის ხარჯი.

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული **სოფლის მეურნეობის პროდუქცია** უნდა შეფასდეს **ნაყოფის მიღების მომენტისათვის** არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული **რეალური ღირებულებით**. სოფლის მეურნეობის პროდუქცია მოსავლის აღების/ნაყოფის მიღების შემდეგ არის მარაგი და ამიტომ შემდგომში ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ბასს 2 „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“-ს შესაბამისად უმცირესი თანხით ნეტო გასაყიდ ღირებულებასა და თავდაპირველი აღიარების ღირებულებას შორის.

როდესაც გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივი დააკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმს (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული), ფასს 5-ს – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – შესაბამისად, იგულისხმება, რომ რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

სტანდარტი ასახავს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ყოველთვის შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მისი მოსავლად აღების მომენტისათვის.

ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლოა გაადვილდეს ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაჯგუფებით მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, ასაკის ან ხარისხის მიხედვით. საწარმო არჩევს იმ მახასიათებლებს, რომელიც შეესაბამება ბაზარზე ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულ მახასიათებლებს.

საწარმოები ზოგჯერ ხელშეკრულებებს დებენ თავიანთი ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შესახებ მომავალი თარიღისათვის. მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასები ყოველთვის არ არის გამოსადეგი რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის, რადგან **რეალური ღირებულება ასახავს მიმდინარე/აქტიურ ბაზარს**, სადაც დაინტერესებული მყიდველი და გამყიდველი დებს გარიგებას.

აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც არსებობს ყველა შემდეგი პირობა:

- ა) საქონელი, რომლითაც ბაზარზე ვაჭრობენ, ერთგვაროვანია;

- ბ) როგორც წესი, ყოველთვის არსებობენ დაინტერესებული მყიდველები და გამყიდველები და
- გ) ფასები ცნობილია საზოგადოებისათვის.

თუ მოცემულ მდგომარეობაში და მოცემულ ადგილსამყოფელში არსებობს ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის აქტიური ბაზარი, ამ **ბაზრის კოტირებული საბაზრო ფასი არის აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრის სათანადო საფუძველი**. თუ საწარმოს ხელი მიუწვდება სხვადასხვა აქტიურ ბაზარზე, საწარმო მიმართავს ყველაზე შესაფერის ბაზარს. მაგალითად, თუ საწარმოს ხელი მიუწვდება ორ აქტიურ ბაზარზე, იგი გამოიყენებს **იმ ბაზარზე არსებულ ფასს, რომლის გამოყენებასაც აპირებს**.

აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში ბასს-ი იძლევა რეკომენდაციას, რომ, რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის საწარმომ გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ-თაგან:

- **უახლესი საბაზრო გარიგების ფასი**, თუ ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეიცვალა გარიგების დადების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე;
- **ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასები** სხვაობების ამსახველი კორექტირებით;
- **სექტორის (დარგის) სტატისტიკური ბაზა**, როგორცაა ხეხილის ბაღის ღირებულება თითოეული საექსპორტო შესაძლებლობის, ბუშელის ან ჰექტარის მიხედვით, ასევე პირუტყვის ღირებულება გამოსახული კილოგრამი ხორცის მიხედვით.

როდესაც არ არსებობს მოცემული ადგილსამყოფელისა და მდგომარეობის ბიოლოგიური აქტივის საბაზრო ფასები, ასეთი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტივიდან **მოსალოდნელი ნეტო ფულადი სახსრების დისკონტირებულ ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე პერიოდის საბაზრო განაკვეთით.

ისეთი ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რომლისთვისაც არ არსებობს ბაზრით განსაზღვრული ფასები და რომელთათვისაც რეალური ღირებულების ალტერნატიული შეფასებები არასაიმედოა, უნდა **შეფასდეს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით**. მაგრამ, როგორც კი ამგვარი ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება საიმედო გახდება, საწარმომ იგი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით.

თვითღირებულება შესაძლოა ზოგჯერ უახლოვდებოდეს რეალურ ღირებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც:

ა) თავდაპირველი ხარჯის განვიდან (მაგალითად, უშუალოდ **საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების** წინ დარგული ხეხილის ნერგები) მცირეოდენ ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი ან

ბ) მოსალოდნელია, რომ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა ფასზე არ იქნება მნიშვნელოვანი (მაგალითად, საწყისი ზრდა ფიჭვის პლანტაციის 30-წლიან საწარმოო ციკლში).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული **რეალური ღირებულებით თავდაპირველად აღიარების** შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულ უნდა იქნეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიქმნა. ასევე, ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღიარებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- 1) ბიოტრანსფორმაციის პროცესის დანახარჯები კაპიტალიზდება;
- 2) ერთ წელზე მეტი ხნით ფლობილი ბიოაქტივები (მაგალითად, ხეხილი, მერძეული ნახირი) აღიარდება გრძელვადიან აქტივად;
- 3) გრძელვადიანი ბიოაქტივები არ ამორტიზირდება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით;
- 4) სოფლის მეურნეობის მიღებული პროდუქცია მოკლევადიანი აქტივია და აღიარდება მარაგად.

ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას საწარმოს წარმოექმნება მოგება ან ზარალი. განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარების დროს წარმოიქმნა ზარალი.

ფერმის ცხვრის ფარის შეძენის დანახარჯებია 50,000 ლარი. ამ ფარის რეალური ღირებულებაა 49,000 ლარი, ხოლო გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები შეძენის მომენტისათვის შეადგენს 3,000 ლარს. ამდენად, ფინანსურ ანგარიშგებაში ცხვრის ფარა შეფასდება 46,000 ლარად (49,000 – 3,000) და საწარმო ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარების დროს აღიარებს 4,000 ლარის ოდენობის ზარალს (50,000 – 46,000). ეს ოპერაცია შემდეგნაირად აისახება ანგარიშებზე:

დებეტი – ბიოლოგიური აქტივები 46,000

დებეტი – ზარალი 4,000

კრედიტი – ვალდებულებები მოწოდებიდან 50,000

განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარების დროს წარმოიქმნა მოგება.

ფერმის ხბოს ნამატის რეალური ღირებულება 44,000 ლარია, გაყიდვის დანახარჯები შეფასდა 2,000 ლარად. ძროხების შენახვის ხარჯმა შეადგინა 25,000 ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ხბო შეფასდება 42,000 ლარად (44,000 – 2,000) და ბიოლოგიური აქტივების აღიარებისთანავე აღიარდება 17,000 ლარის (42,000 – 25,000) ოდენობის მოგება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბიოლოგიური აქტივები ფასდება გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით ყოველივე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. **რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად** მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულ უნდა იქნეს იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში (მოგებისა და ზარალის), როდესაც ისინი წარმოიქმნება.

მაგალითად, ფერმას ჰყავს 2 წლის ასაკის 100 სული ღორი, რომელთა რეალური ღირებულებაა¹: 1 იანვარს – 60 ლარი; 31 დეკემბერს – 80 ლარი. 31 დეკემბერს 3 წლის ღორის რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 100 ლარი. დეკემბერში 30 ღორი დაიკლა. ღორის ხორცის რეალური ღირებულებაა 115 ლარი.

მიმდინარე წლის ივლისში ადგილო ჰქონდა ნამატს 20 გოჭის სახით, რომელთა რეალური ღირებულებაა: 30 ივლისს – 35 ლარი; 31 დეკემბერს – 55 ლარი. 31 დეკემბერს 6 თვის გოჭის რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 65 ლარი.

შევაფასოთ ბიოლოგიური აქტივი (ღორები) და სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ღორის ხორცი).

აქტივების რეალური ღირებულებების ცვლილებების აღრიცხვა:

1) ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარება რეალური ღირებულებით:

გოჭები 700 ლარი (20 * 35)

დებეტი – ბიოლოგიური აქტივები (გოჭები) 700

კრედიტი – მოგება 700

2) აქტივების ბიოლოგიური ცვლილებებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება:

ღორები $100 * (100 - 80) = +2,000$

გოჭები $20 * (65 - 55) = +200$

2,200 ლარი

დებეტი – ბიოლოგიური აქტივები (ღორები) 2,000

დებეტი – ბიოლოგიური აქტივები (გოჭები) 200

კრედიტი – მოგება 2,200

3) აქტივების ფასების ცვლილებებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება:

ღორები $100 * (80 - 60) = +2,000$

გოჭები $20 * (55 - 35) = +400$

+2,400 ლარი

დებეტი – ბიოლოგიური აქტივები (ღორები) 2,000

დებეტი – ბიოლოგიური აქტივები (გოჭები) 400

კრედიტი – მოგება 2,400

4) სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღიარება:

ხორცის რეალური ღირებულება $30 * 115 = 3,450$ ლარი

ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულება $30 * 100 = 3,000$ ლარი.

დებეტი – მარაგი (ხორცი) 3,450

კრედიტი – ბიოლოგიური აქტივი (გოჭები) 3,000

კრედიტი – მოგება 450

¹ ტექსტში ნახსენები ყველა რეალური ღირებულება შემცირებულია გაყიდვის საჭირო დანახარჯებით.

წლის ბოლოს ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემდეგნაირად შეფასდება:

ბალანსი – 31 დეკემბერი	გაანგარიშება	ლარი
ბიოლოგიური აქტივები: ღორები	70 * 100 =	7,000
გოჭები	20 * 65 =	1,300
		8,300
მარაგი: სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ხორცი)	30 * 115 =	3,450

ბიოლოგიური აქტივები, საბალანსო ღირებულების შეჯერება (ლარი):

საბალანსო ღირებულება 1 იანვრისათვის (100 * 60)	6,000
ბიოლოგიური აქტივების კვლავნარმოება	700
გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც გამონვეულია აქტივის ფიზიკური/ბიოლოგიური ცვლილებებით ¹	2,200
გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც გამონვეულია ფასების ცვლილებებით	2,400
გაყიდვით გამონვეული შემცირება	(3,000)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრისათვის	8,300

სტანდარტი არ განსაზღვრავს ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებულ შემდგომი დანახარჯების აღრიცხვის წესებს. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია შემდეგნაირად:

- ბიოლოგიური აქტივების წარმოებაზე და მოსავლის აღებაზე განეული ყველა დანახარჯი (მასალები, ხელფასი, ამორტიზაცია და სხვა სანარმოო ზედნადები ხარჯები) აღიარდება ხარჯად;
- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება გადაფასდება რეალური ღირებულებით;
- ბიოლოგიური აქტივების რაოდენობის ზრდაზე განეული დანახარჯები კაპიტალიზდება.

NADEZHDA KVATASHIDZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

**THE ACCOUNTING OF BIOLOGICAL ASSETS AND AGRICULTURAL PRODUCTS
IN FINANCIAL STATEMENTS**

S u m m a r y

The accounting of biological assets and agricultural products is regulated by IAS 41–Agriculture. According to the standard, at its initial recognition, as well as in subsequent periods, Biological Assets and Agricultural Products must be recognized at their fair value by the deduction of selling costs. The results of revaluation must be reflected in the income statement, in a period when it occurred.

IAS states its recommendations regarding the determination of fair value. When it is impossible to estimate the fair value, biological assets and agricultural products must be recognized at their cost deducted by accumulated depreciation and impairment losses.

¹ წინამდებარე სტანდარტით ნახალისებულია, თუმცა არ მოითხოვება, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების მატების დაყოფა აქტივის ფიზიკური ცვლილებებით გამონვეულ და ფასების ზრდით გამონვეულ ნაწილებად.

პაატა კოლუაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის

საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი უმწვავესი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც მთავრობამ, პირველ რიგში, უნდა შეიმუშავოს და განხორციელოს ქვეყნის სოფლის მეურნეობის გადარჩენის სტრატეგია, რომლის რეალიზაცია ავტომატურ რეჟიმში გადაწყვეტს მოჭარბებული მიგრაციის, ეკონომიკის სტიმულირების, არსებული დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს შემცირებისა და ეროვნული მეურნეობის გამოცოცხლებისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან პრობლემას.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს სტრატეგია ამა თუ იმ დარგში არის მოქმედების ძირითადი მიმართულება, წინასწარმოფიქრებული (დაგეგმილი) და ოფიციალურად გაცხადებული, რომელმაც უკვე მოახდინა სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოების ძალისხმევით ორიენტირება სათანადო მიმართულებით. სტრატეგია წარმოადგენს იმ საყრდენს, რომლის საშუალებითაც შესაძლო უნდა გახდეს არსებული სიძნელების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რეალიზება ეროვნული მეურნეობის ნებისმიერ დარგსა თუ სფეროში.

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. ეს ნიშნავს, რომ სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება სამამული აგრონარმოების პროდუქციით. სამწუხაროდ, დღეს ეს პოტენციალი არ არის ხალხის სამსახურში ჩაყენებული.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს აგრარული პოტენციალის ამოქმედება უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი. ოპტიმალურად განსაზღვრული პრიორიტეტები, სწორად შემუშავებული და განხორციელებული აგრარული პოლიტიკა იქნება ერთგვარი გარანტი ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევისა და სანარმო-ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნისა, რომელიც უზრუნველყოფს აგრომწარმოებლებს საჭირო შემოსავლებით, ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით. ამ მიზნით აგრომწარმოებლებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მელიორაციისა და აგროტექნოლოგი-მომსახურების, ბაზრის ტენდენციების განსაზღვრის, კრედიტების ხელმისაწვდომობისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხებთან.

ევროპელი ექსპერტების 2010 წლის ანგარიშში, რომელიც ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელებას ეხება, ნათქვამია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა საგანგაშოა. მთავრობას აგრარული პოლიტიკის კონცეფცია და სექტორის განვითარების სტრატეგია (სამოქმედო გეგმა) არ გააჩნია. შარშან, საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა ისევ შემცირდა. ამის გამომწვევ ფაქტორებად **ევროკავშირი აგროსექტორის პოლიტიკაში თანმიმდევრობის არარსებობას, ცუდად განვითარებულ საჯარო მომსახურებას, კრედიტის შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, მოძველებულ ტექნიკას, აგრომწარმოებლებისადმი ხელშეწყობის არარსებობას და სხვა ხელისშემშლელ მიზეზებს ასახელებს.**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით მართალია დროდადრო ამუშავებს აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგიის პროექტებს, მაგრამ შესაბამისი პოლიტიკური ნების უქონლობისა თუ ქვეყნის ეკონომიკური კურსისადმი მათი შეუსაბამობის გამო, ვერც ერთი ვერ განხორციელდა.

საქართველო სურსათზე მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს იმპორტირებული საკვები პროდუქტების (80%) ხარჯზე იკმაყოფილებს, რაც ნიშნავს, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი კრიტიკულ ზღვრად მიჩნეულ ნიშნულზე (0,5) ბევრად ქვემოთაა. აქ საგანგაშო არის ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში იმპორტზე დამოკიდებულების დონე შემცირების ნაცვლად პერმანენტულად იზრდება, თანაც იმ პირობებში, როცა მსოფლიო ბაზარზე განუწყვეტლივ იზრდება სურსათის ფასები და კეთდება შემამოფოთებელი პროგნოზები სასურსათო პრობლემის გამწვავების თაობაზე.

ფაქტია, რომ დღეს ჩვენს მცირემინიან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწაზე არ არსებობს მოთხოვნა (სხვაგვარად, უკანასკნელ წლებში დასამუშავებელი მიწის ნახევარზე მეტი დაუმუშავებელი და საერთოდ მიტოვებული არ იქნებოდა). **აღნიშნულის ძირითადი მიზეზია ის, რომ არსებულ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოში გლეხი ვერ იღებს იმ დონის შემოსავალს, რომელიც საკმარისი იქნებოდა ოჯახის შენახვისა და სამეურნეო საქმიანობის აღწარმოებისთვის.** სწორედ ამიტომ იცლება მთისა თუ ბარის სოფლები ახალგაზრდებისგან, პრაქტიკულად ყველა დიდ თუ პატარა სოფელში ვითარდება საშიში დემოგრაფიული პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, სოფლად მცხოვრებთა შორის ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წილის გაზრდაში და მოზარდთა წილის შემცირებაში პოულობს გამოხატულებას (2004 წლის მონაცემებით, 16 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი სასოფლო მოსახლეობაში 21.5%-ს შეადგენდა, 2009 წლისათვის ის 18.2%-მდე ანუ 3,3 პროცენტული მუხლით შემცირდა. ამ ფონზე საპირისპირო სურათი იკვეთება შრომისუნარიანზე უფროსი (65 წელს ზევით) ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაში. კერძოდ, თუ ამ კატეგორიის ხვედრითი წილი 2004 წელს სოფლად მოსახლეობის 16.3%-ს შეადგენდა, 2009 წელს 0,9 პროცენტული მუხლით გაიზარდა და 17,2% შეადგინა). გაძლიერდა ყველა სახის მიგრაცია, რიგი სოფლები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გარეშეა დარჩენილი. პირველად, ქვეყნის ისტორიაში, ქალაქად შობადობამ გადააჭარბა სოფლისას. მოიშალა სოციალური და სანარმოო ინფრასტრუქტურა. სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას, რაც ყველაზე მეტად დამაფიქრებელია. დღემდე სხვის იმედად მყოფი სოფლის მოსახლეობა ვერ ავლენს ბაზრის ელემენტარულ მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. ქართულ სოფელს შეეჩვია სიღარიბე, რომელიც ძნელად მოსაშორებელია. გლეხკაცს, ქართული მიწის მთავარ მეურვეს არ უღბინს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართულ **სოფელში არსებული უმძიმესი კრიზისული სიტუაცია და არასახარბიელო სოციალური ფონი ძირითადად აგრარულ საკითხებში მთავრობის მონაწილეობის პასიური როლითაა განპირობებული.** სხვათა შორის ამ კონტექსტში მთავრობის როლზე ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ამახვილებდა ყურადღებას: **„მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ განვდება.“**

გლეხკაცი, ძალიან ხშირად, უბრალოდ, აგროპროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ. მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტად, **გლეხკაცი სოფლის გამაცოცხლებელი და გარდამქმნელია.** სიტყვა **გლეხი** სინონიმი არაა არც „არანასწავლის“, არც „ტლუსი“, არც „დაბალი ღობისა“. იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“, „ერის ფესვისა და რეზერვისა“. მას მოფრთხილება, თანადგომა და შესაფერისი დაფასება სჭირდება (სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა არის, **სხვა ყველა ამოცანასთან ერთად, სოფლის მოსახლეობის მოფრთხილებისა და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირების პოლიტიკა**). ასეა პრაქტიკულად ყველა ჯანსაღ ქვეყანაში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული, რადგან კარგად იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი აგრარული პოლიტიკა აქვს.

საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს აგრარული პოლიტიკის ახალი სტრატეგია სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, – სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების – პოლიტიკა იგულისხმება, ანუ შეახამოს ერთმანეთთან აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა. **ამასთან ერთად:**

– შეიმუშაოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც პრაქტიკულად მოიაზრება ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის გააქტიურება. მისაღებია საკანონმდებლო აქტები:

- „საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ“;
- „მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ“;
- „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“;
- „აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო პროდუქციაზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დადგენის შესახებ“ და სხვა, რომლებმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა ქვეყანაში აგროწარმოების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს წინაშე დღეს არსებული გლობალური გამოწვევები და მათი დაძლევის ობიექტური აუცილებლობის ამოცანა რეალურად მოითხოვს როგორც **სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას** (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების

განსაზღვრა), ასევე თითოეული დარგის სანარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენასა და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება, ჩვენი აზრით, მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.

– არსებითია, რომ ხელი შეეწყოს **სახელმწიფოს გადაქცევას სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად, არამედ მთავარ მყიდველად და გამანაწილებლად** (იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო იქნება ბაზარზე ფასების სტაბილიზაცია).

– უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში კონკურენცია მიმდინარეობს არა მარტო სახელმწიფოებრივი მონაცემების მოდელს შორის, არამედ ეროვნულ მეურნეობათა მოდელსა და ეკონომიკის დარგთა ორგანიზაციისა და გაძლიერების ფორმებს შორისაც, რათა **მიღწეულ იქნეს ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობა. ის, რაც ოპტიმალურია ჩინეთისათვის, ან ამერიკელისათვის, შეიძლება ჩვენთვის არ იყოს ოპტიმალური. ჩვენ გვაქვს განსხვავებული ეროვნული სპეციფიკა, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებით წარმართავს ერის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ღირებულებათა შკალით განსაზღვრული, კულტურული, მიწასთან დამოკიდებულებისა და სხვა.** გაგვაჩნია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული წარმოების წესი, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, კვების ხასიათი და ა.შ. **რაც, ბუნებრივია, მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას აგროსასურსათო სექტორის რეფორმირებისას და მის შემდგომ განვითარებას ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით და არა უცხოეთის რომელიმე, თუნდაც, ძალიან წარმატებული ქვეყნის გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას.** აღნიშნულის შესახებ სრულიად სამართლიანად წერდნენ უცხოელი ექსპერტები 2006 წელს შემუშავებულ სტრატეგიის პროექტში: **„ნუ ჩათვლით, რომ საქართველოსთვის ავტომატურად სასურველია რაიმეს მიღება მხოლოდ იმის გამო, რომ ეს რაღაც მიღებულია ევროპის, ამერიკის, იაპონიის თუ განვითარებული მსოფლიოს სხვა ქვეყნებში“.**¹

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარება შექმნილ ვითარებაში ობიექტურად საჭიროებს ისეთი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება-რეალიზებას, რომელშიც ასახული იქნება უახლოესი პერიოდის (3-5 წ.) ამოცანები (კონკურენტუნარიანი, სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების მაღალი ტემპებით განვითარება) და მათი განხორციელების საშუალებები საქართველოს საშუალო და გრძელვადიანი (10-15წ.) მიზნების გათვალისწინებით (ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, აგრარული კრიზისის დაძლევა და სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება).

წორი სტრატეგიის შემუშავება მხოლოდ ყოველმხრივ გააზრებული აგრარული პოლიტიკის საფუძველზეა შესაძლებელი, რომლის ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აგრარული პრობლემების გადანყვეტაში სახელმწიფოს დროულ და ქმედით ჩარევას ენიჭება.

აგრარული სექტორის განვითარების კარგად დაბალანსებულ სტრატეგიის რეალიზაციას ადეკვატური ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვის ბერკეტები ესაჭიროება (მხედველობაშია ფასწარმოქმნის პარიტეტული დარეგულირება აგროპროდუქციისა და მისი აღწარმოებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, სეზონური ფასების ფორმირება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და აგრარულ შრომაზე მოთხოვნის გადიდების სათანადო სტიმულების მოძებნა, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის შესაბამისი ფორმების წახალისება და ა.შ.). **დღეს საქართველოს არ გააჩნია აგროსექტორის განვითარების არც სტრატეგია და, შესაბამისად, არც მისი განხორციელების მექანიზმებია მოფიქრებული. ამ პრობლემების მოხსნის მიზნით, ჩვენი აზრით, საუკეთესო იქნება, თუ საქართველოს მთავრობა შექმნიდა აგრარული პოლიტიკის ეროვნულ საბჭოს, სადაც მოხდება აგროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა, სოფლის კომპლექსური განვითარების, აგრარული მეურნეობის ინოვაციური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაციისათვის საჭირო რეკომენდაციებისა და გადანყვეტილებების მომზადება.**

¹ „საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2015 წლამდე“, USAID, I ნაწილი, გვ. 12, თბ., 2006 წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გაუარესება 2005–2006 წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მკვეთრად შემცირდა ნათესი და ნარგავი ფართობების, პირუტყვის სულადობის, ყველა სახის პროდუქციის წარმოების და მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. დაუშუშავებლად დატოვებულმა მიწებმა სახნავი ფართობების 50–60%-ს გადააჭარბა, შემცირდა მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების გამოყენება. სოფლად ერთი შინამეურნეობის ყველა სახის საშუალო თვიურმა შემოსავალმა 330 ლარი შეადგინა, რაც ნაკლებია ამავე პერიოდში განეულ ხარჯებზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ფულადი ამონაგები მთლიანი შემოსავლების 7–8%-მდე დაეცა. შემცირდა სასოფლო მეურნეობების საქონლიანობის დონე, რაც წვრილი მეურნეობების ნატურალიზაციის მაჩვენებელია. სასოფლო წარმოებაში დაკარგა მდგრადობა და იგი ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებული გახდა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცენებით, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიხედვით, შვიდ ჯგუფად დაყოფილ განვითარებად ქვეყნებს შორის, საქართველომ მეხუთედან მეექვსე ჯგუფში გადაინაცვლა და აფრიკის ღარიბი ქვეყნების გვერდით აღმოჩნდა. ასეთი მდგომარეობა საგანგაშო უნდა იყოს ქვეყნისათვის, რომელსაც 10–12 მილიონი ადამიანის გამოკვების ბიორესურსი გააჩნია.

სიტუაციას ართულებს ისიც, რომ დედამიწაზე დასრულდა იაფი საკვების ხანა, რაც ძირითადად გამონვეულია გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირებით, სანვავის (განსაკუთრებით ნავთობის) გაძვირებით, ბიოსანვავის სანარმოებლად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მზარდი გამოყენებით, დედამიწაზე მოსახლეობის დაჩქარებული ზრდით, რიგ ქვეყნებში წყლის დეფიციტით, ბიომეურნეობებში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის მატებით.

საქართველო, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის აღნიშნულ გლობალურ გამონვევებს, მათ შორის სურსათზე ფასების ზრდით განპირობებულ ინფლაციას (აგფლაცია), თუ არ გაატარებს ადეკვატურ ღონისძიებებს გამონვევათა სანინალმდეგოდ.

სოფლის მეურნეობაში კატასტროფული უკუსვლა იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში გატარებულმა ულტრალიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ქართულ სოფელზე დადებითი გავლენა ვერ იქონია, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგან ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია რიგი სპეციფიკური კანონზომიერებანი, რაც განაპირობებს დარგში სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა მექანიზმის გამოყენების აუცილებლობას. მათ რიცხვშია: აგრარულ ბაზრებზე არსებული სრულყოფილი კონკურენცია, რომელიც სურსათზე ფასების კლების ტენდენციას განაპირობებს; მინის ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის საჭირო ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, რის გამოც სოფლად კაპიტალის დაბანდება დიდ რისკთანაა დამოკიდებული; წარმოების დივერსიფიკაციის შეზღუდული შესაძლებლობები. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ აგრარულ პროდუქციაზე მოთხოვნა პირდაპირ კავშირში არ არის მოსახლეობის შემოსავლებთან, რაც წარმოშობს ე.წ. ხანგრძლივადიან პრობლემას; ბუნებრივი პირობების გავლენით ადგილი აქვს წარმოების დიდ რყევას, რაც მოკლევადიანი ფერმერული პრობლემის წარმოშობას განაპირობებს (მაღალი ფასები ასტიმულირებს წარმოების გაფართოებას, ეს უკანასკნელი კი – ფასების დაცემას).

ზოგად ეკონომიკურ კანონზომიერებებს ემატება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. კერძოდ, სასოფლო მეურნეობების მნიშვნელოვანი რაოდენობა გაადგილებულია მთისწინებსა და მთებში, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 87% უჭირავს. ასეთი მეურნეობების საკუთრებაში არსებული მცირე, დამრეცი, რთულკონტურიანი ნაკვეთების არსებობა შეუძლებელს ხდის ოპტიმალური სიდიდის მეურნეობების ჩამოყალიბებას. ნაკვეთების დამუშავება შესაძლებელია სპეციალიზებული და ძვირად ღირებული სამთო ტექნიკის გამოყენებით, რომლის შეძენა მხოლოდ საზღვარგარეთაა შესაძლებელი.

მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის გამო, საქართველოში გვხვდება თითქმის ყველა ტიპის კლიმატი და ნიადაგი (49 ტიპი), მთლიანად ქვეყანა სარისკო მინათმოქმედების ზონას განეკუთვნება, რომლის დაძლევა დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული (მორწყვა, დაშრობა). ბუნებრივია, დღეს გლახს ამ პრობლემებთან გასამკლავებლად არ გააჩნია არც გამოცდილება და არც ფინანსები, მით უმეტეს, რომ ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში მან კონკურენცია უნდა გაუწიოს მომსახურების სრული პაკეტით უზრუნველყოფილი განვითარებული ქვეყნებიდან შემოსულ პროდუქციას.

საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ აგრარული მეურნეობის აღორძინება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება აგროკრედიტის სისტემის ფორმირების, საჯარო მომსახურების სტრუქტურების შექმნის, ეროვნული ბაზრის დაუცველობის, აგროწარმოების მომსახურე დარგების მონოპოლიური მდგომარეობისა და მთავრობის მხრიდან არასათანადო მხარდაჭერისა და რეგულაციების პირო-

ბებში. ასევე, აგრარული წარმოების განვითარებაზე ორიენტირებული საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე.

აგრარული კრიზისი მნიშვნელოვნად აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დახმარებისა და რეგულირების მოტივაციას, რათა ამოქმედდეს ყველა ის ბერკეტი, რომლითაც მიიღწევა აგროსასურსათო სექტორის ეფექტური მართვა. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს სახელმწიფოს განსაკუთრებულ მარეგულირებელ როლს აგრარული კრიზისის დაძლევაში.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ძირითადად ორი ფორმით ხდება, მაგრამ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ფუნქციონალური ჩარევის ფორმაზე, რომელიც ფაქტიურად გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად ხელსაყრელი პირობების შექმნას.

ეკონომიკურად დანინაურებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ რთული სიტუაციის დასაძლევად დიდი მიშვნელობა აქვს მოსახლეობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, რაშიც სახელმწიფოსთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აკადემიურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სასულიერო პირებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ინფორმაციის მასობრივმა საშუალებებმა (სატელევიზიო პროექტები „იმედის გმირები“ და „ჩვენი ფერმა“ საკმარისი არ არის). საქართველოს მოსახლეობას ყოველდღიურად უნდა შთავაგონოთ, რომ მათ საკუთარი შრომით შეუძლია მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის აშენება და ღირსეულად ცხოვრება.

უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ეტაპზე ყველაზე დიდი დეფიციტი, რაც საქართველოში შეინიშნება, ცოდნის დეფიციტია. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ წვრილი გლეხური მეურნეობების პირობებში სოფლად სწავლება – კონსულტირება – დანერგვის სისტემის ორგანიზება მხოლოდ სახელმწიფოს ხელნიჭება და მისი თუნდაც ნაწილობრივი კომერციალიზაცია დიდი შეცდომა იქნება.

კრედიტის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობითაა განპირობებული. მისი მიღწევა შესაძლებელია აგროსაკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერაციული ტიპის) სპეციალიზებული სისტემის შექმნით, რომლის სანესდებო კაპიტალის ფორმირებაში სახელმწიფოსთან ერთად კერძო სექტორიც მიიღებს მონაწილეობას. მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის განვითარების ან სააგრაგნო ფონდების შექმნა. ეფექტიანია სახელმწიფო ბიუჯეტში კრედიტის პროცენტის სუბსიდირებისთვის თანხის გათვალისწინება, რომელიც რომელიმე აგროპროდუქციის წარმოებაზე იქნება მიმართული. ასევე ხელსაყრელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რესურსების გამოყენება, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფომაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. მიკროკრედიტების გაცემისას მიზანშეწონილია გირაოს ნაცვლად კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენება.

სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში არა მარტო ფინანსური თანამონაწილეობით, არამედ სანყის ეტაპზე, დასაზღვევი პროდუქციის სახისა და რაოდენობის განსაზღვრაში. ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს ფერმერული და საოჯახო მეურნეობებისათვის.

რომელიმე სახის პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალიზების, შემოსავლების გაზრდისა და კორპორატიული საკუთრების განვითარების ყველაზე კარგ ფორმად მიჩნეულ უნდა იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელ აგროწარმოებასთან ინტეგრირებული სანარმოების ჩამოყალიბება. გლეხებზე და მათ გაერთიანებებზე დანადგარ-მონწყობილობების მიწოდება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ლიზინგური კომპანიების მიერ.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ სანყისებზე მოახდინოს სასოფლო მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ **მინის წვრილმესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი ინტეგრაცია გადამამუშავებელ სანარმოებთან არის დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაჩენის ძირითადი გზა.** სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლად მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „**ჯანსაღი საშუალო ფენა**“ რეალური შინაარსი.¹

სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ნამყვანი როლი თესლის, ნერგის და სანაშენე პირუტყვის წარმოების საქმეში. კერძო სექტორი ამ სეგმენტში თანდათან, მკაცრი პირობების დაკმაყოფილების კვალობაზე უნდა ჩაერთოს.

¹ პაატა კოლუაშვილი, „აგროწარმოება და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი“. **ჟ. „ახალი ეკონომისტი“**, №3, 2009. 21-27 გვ.

საქართველოში გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო (საჯარო) სერვისცენტრების ჩამოყალიბება, სადაც, ტექნიკით მომსახურებასთან ერთად, გლეხებს საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია მათთვის საჭირო საკითხზე. მომსახურების დაბალი ტარიფების შესანარჩუნებლად სერვისცენტრებს უნდა გადაეცეთ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობები პროდუქციის საწარმოებლად. გადასახედია სახელმწიფო სტრატეგია სარწყავი და დამშრობი სისტემების განსახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, იმ მიზნით, რომ საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. **საქართველომ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური (ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში).**

სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების დარეგულირების, სურსათზე ფასების ზრდის ტენდენციის შეჩერების საუკეთესო საშუალებას საწვავისა და ძირითადი სახის სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნა წარმოადგენს, რომლის სასარგებლოდ მრავალი ქვეყნის გამოცდილება მეტყველებს. დასახელებულ პროდუქტებზე მოსალოდნელი მწვავე დეფიციტის გამო, მარაგების მიწოდების დივერსიფიკაციით შეცვლა შეუძლებელი იქნება.

მიუხედავად საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისა, სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ხარჯებისა და რისკების გამო, გადასახადები მაინც შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება. აქედან გამომდინარე, ახლად შექმნილი მცირე და საშუალო საწარმოები უნდა გათავისუფლდნენ ყველა სახის გადასახადისაგან, გარდა საშემოსავლო გადასახდელისა.

რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე პროდუქციის გატანას, მათ მიერ დადგენილი პირობების გათვალისწინებით. რამდენადაც ამ პირობების შესრულება ყველა მენარმეს არ შეუძლია, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს გლეხური მეურნეობების იდენტიფიკაცია და ყველაზე სიცოცხლისუნარიან ჯგუფს აღმოუჩინოს დახმარება პროდუქციის წარმოების კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში. პრაქტიკაში თანდათანობით უნდა დაინერგოს საწარმოებისთვის ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატის მინიჭების წესი.

ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით, მთელი ყურადღება გადატანილ უნდა იქნეს ადგილზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე, ადამიანისთვის პროდუქციის უვნებლობის სისტემურ შემონახვასა და მიღებული შედეგების სისტემატურ გამოქვეყნებაზე.

დასასრულ, **მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის შექმნა აღიარებულ უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად.** მხოლოდ ასე შეიძლება გადარჩეს ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.

PAATA KOGUASHVILI

Member of the Georgian Academy of Agriculture

Professor

TOWARDS THE STRATEGY OF GEORGIA'S AGRARIAN POLICY

S u m m a r y

Based on agricultural characteristics and anticipated global challenges, the article presents innovative views on agricultural development, which imply the elaboration of rural economic policy, identification of priorities, supply of ideology to population, eradication of shortage of knowledge and credit resources as well as development of systems to ensure agricultural crops and procurement of products. The survey outlines the

importance of creation of integrated cooperatives and societies, development of production service organizations, regulation of prices using market mechanisms, improvement of tax system and export stimulation.

The first step in overcoming the crisis is considered to be the creation of cooperatives specialized in the production of one type of product, which can be arranged by mutual endeavors of farmers, local self-governing bodies, eparchies and scientists.

The creation of highly productive rural economy must be recognized as the major task of the government's economic policy and the subject of care of national welfare. This is the only way of saving the Georgian village, as the perspective of development of Georgia is impossible without its village.

**ერის სიჯანსაღე მინასთან მარადიულ ურთიერთობასა
და უღალატო კავშირშია**

ღმერთმა ყველა ერს მიუჩინა მზის ქვეშეთში ადგილი, სასიცოცხლო სივრცე, რომლის დაცვაც ყველა ნორმალური ადამიანისთვის უმთავრეს ამოცანად რჩება. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოკულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება. მიწა ერისათვის მისი სახელმწიფო ტერიტორიაა, სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ჩვენი სამშობლო პირველ მინათმოქმედთა („გეორგოს“ ბერძნულად „მინათმოქმედს“ ნიშნავს) ქვეყანაა და ჩვენი წარსული და მომავალი გაპირობებული და გაშინაარსებულია მინასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მინასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მიწა ქართველი გლეხკაცისთვის არა მარტო წარმოების საშუალებაა, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელიც. მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო მისი, როგორც მენარმე ინდივიდის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე რესურსული პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და მის გონივრულ გამოყენებაზეა დამოკიდებული. რესურსულ პოტენციალში მინას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი წილი ქვეყნის მთლიან ნივთობრივ სიმდიდრეში დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მინის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მახასიათებლებზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ქვეყანაში არსებული კაპიტალის რაოდენობასა და სტრუქტურაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნივთობრივი სიმდიდრის შემადგენლობაში მინის წილი, როგორც წესი, დაბალია და პირიქით. **აშშ-ის კაპიტალის და მინის ღირებულება 1985 წელს 12.5 ტრილიონ დოლარად იყო შეფასებული, რომელშიც მინის წილი მხოლოდ 18%-ს შეადგენდა, ხოლო საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ. აშშ-ის დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მინას 54.3% ეკავა.**¹ უდავოა ისიც, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტი ნივთობრივი სიმდიდრე გააჩნია ქვეყანას, მით უფრო მეტი ერთობლივი შიგა პროდუქტის წარმოება შეუძლია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. **მართალია, დღეს მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, აღარ განიხილება ერთადერთ „სიმდიდრის დედად“, მაგრამ ფაქტია, რომ ის არის და დიდხანს დარჩება „არსობის პურის“ მოპოვების უალტერნატივო საშუალებად.**

ამჟამად პლანეტაზე მინის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ზოგჯერ ომი მიმდინარეობს სულ რამდენიმე კვადრატული კილომეტრის (მაგალითად ახლახან ამცყდარი კონფლიქტი ტაილანდსა და კამბოჯას შორის) გამო. ვითარებას ართულებს ნიადაგის ეროზიის პროცესი, რაც უკანასკნელ პერიოდში ანთროპოგენური ექსპანსიის და კლიმატური ცვლილებების ფონზე კრიტიკულ ფაზაში შევიდა. ცნობილია, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჰუმუსის ფორმირებას 2-7 ათასი წელი სჭირდება, ხოლო დაჩქარებული ეროზიის პირობებში კი, რასაც ძირი-

¹ პ. კოლუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, ა. მესხიშვილი, „მიწა – ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი სივრცე“, ჟურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 6, გვ. 39-45, 2010.

თადად ადამიანური ფაქტორი იწვევს, ეს ფენა შეიძლება 10-30 წელიწადში სრულიად განადგურდეს, ამასთან, ისტორიას ახსოვს ფაქტები, როდესაც ძლიერ წვიმას ან ქარიშხალს ერთ დღეშიც კი მოუსპია ნაყოფიერი ნიადაგები. საქართველოში ეროზიის ზემოქმედებას განიცდის ერთ მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. გასული საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით, წყლისმიერი ეროზიის საზიანო მოქმედებას განიცდიდა 230 ათასი, ხოლო, ქარისმიერს – 110 ათასი ჰა სახნავ-სათესი ფართობი, რაც განაპირობებდა აგროპროდუქციის მოსავლის ერთ მესამედზე მეტის დანაკარგს.¹

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სულ უფრო ნაკლები რჩება. სადღეისოდ დედამიწის ხმელეთის სასოფლო-სამეურნეო ათვისება 30 პროცენტს მიუახლოვდა და თუ არ ჩავთვლით უდაბნოების ათვისების ჯერჯერობით არაპერსპექტიულ შესაძლებლობას, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ რეზერვები ამონურულია. უახლოეს წლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კაცობრიობის უმთავრეს რესურსად იქცევა, რასაც შემდეგი მონაცემებიც ადასტურებს: 2000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 6 მილიარდი ადამიანი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგული კი 4,94 მილიარდი ჰექტარი იყო, ანუ პლანეტის ერთ მოსახლეზე დაახლოებით 0,82 ჰა მოდიოდა. 2008 წლის შესაბამისი მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: მოსახლეობა დაახლოებით 6,7 მილიარდამდე გაიზარდა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი კი აბსოლუტურ მაჩვენებელში 4,88 მილიარდ ჰა-მდე, ხოლო ერთ მოსახლეზე გადაანგარიშებით კი 0,73 ჰა-მდე შემცირდა. დემოგრაფების პროგნოზების თანახმად, უკვე 2050 წლისათვის დედამიწაზე იცხოვრებს დაახლოებით 9,5 მილიარდი ადამიანი. თუ აქვე გავითვალისწინებთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირების ტემპს, მივიღებთ, რომ ამ თარიღისათვის დედამიწის ერთ მოსახლეზე ნახევარ ჰექტარზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოვა. ზემოთ მოტანილ მაჩვენებლებში ერთიანად იყო გაანალიზებული ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგული. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში ზოგან წყლის დეფიციტია, ზოგან კი პირიქით, აგრეთვე მზის ენერჯით სავარგულების უზრუნველყოფის მაჩვენებლებს, კიდევ უფრო მძიმე სურათს მივიღებთ, რადგან მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გაცილებით მცირე რაოდენობით რჩება ამჟამად ჩვენს პლანეტაზე.

ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, მაქსიმალური უკუგებით გამოყენების აგრარული პოლიტიკა, როგორც წესი, გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი ქვეყნის სასურსათო უშიშროების პრობლემა. მათ რიცხვშია აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, ავსტრალია და სხვა, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სურსათის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაში და კონიუნქტურის განსაზღვრაში.

მსოფლიოში სურსათის მოხმარება უკანასკნელ წლებში მკვეთრად მატულობს და ამის მიზეზი გარდა დედამიწის მოსახლეობის ზრდისა, არის ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური და შესაბამისად სოციალური დონის მკვეთრი მატება. ერთის მხრივ, იზრდება სურსათის მოხმარების რაოდენობრივი მაჩვენებლები, მეორე მხრივ კი უმჯობესდება მოხმარებული სურსათის სტრუქტურა, რაც თავის მხრივ იწვევს რაოდენობრივ ზრდას. ამ კუთხით თანამედროვე მსოფლიოში აშკარად გამოირჩევა ორი სახელმწიფო, ესენია: ჩინეთი და ინდოეთი. მათზე მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 36 პროცენტი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 14 პროცენტი მოდის. ორივე ამ ქვეყანაში მაქსიმალურად არის გამოყენებული მიწა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის, ხოლო ნიადაგის ეროზიის და ურბანიზაციის პროცესის გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი კლებით ხასიათდება. მაგალითად, ჩინეთში 2000 წლისათვის იყო დაახლოებით 532,2 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ინდოეთში კი 182,6 მილიონი ჰექტარი. 2008 წლისათვის ორივე ქვეყანაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 522,5 მილიონ ჰექტრამდე და 179,7 მილიონ ჰექტრამდე შემცირდა. მოსახლეობის ერთ სულზე 2008 წლისათვის ჩინეთში დაახლოებით 0,39 ჰექტარი, ხოლო ინდოეთში კი 0,15 ჰექტარი მოდიოდა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით უზრუნველყოფის მხრივ ანალოგიური ვითარებაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველა ქვეყანაში, რაც გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ აღნიშნული რეგიონის ნიადაგური პოტენციალი ვეღარ უზრუნველყოფს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას სურსათზე, ეს კი, კიდევ უფრო გაამძაფრებს იმ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რასაც ზოგიერთი ქვეყანა ეწევა მიგრაციის თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის კუთხით.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით და, შესაბამისად, სურსათით დედამიწის მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემას განსაკუთრებით ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად შეიმჩნევა და

¹ გ. მარგველაშვილი, პ. კოლუაშვილი, „გადავარჩინოთ ნიადაგი – ჩვენი მარჩენალი და ეროვნული სიმდიდრე“, ურ. „ახალი ეკონომისტი“, 4, გვ. 10-15, 2010

სულ უფრო ვითარდება ენერგეტიკული პრობლემის სოფლის მეურნეობის მეშვეობით (მხედველობაში გვაქვს კალორიატევადი კულტურების – შაქრის ლერწმის და მარცვლეულის – გადასროლა ბიოსანვავის წარმოებისათვის) მოგვარების ტენდენცია. ამ ფონზე შეიძლება ცალსახად ითქვას, სურსათიც და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიც კიდევ უფრო გაძვირდება. ეს ორი მოვლენა ურთიერთფორსირების ეფექტით ხასიათდება, რაც ამ მხრივ გეომეტრიული პროგრესის შესაბამისად ძაბავს ვითარებას. არადა ევროპასა და აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ფასები ისედაც მაღალია, მაგალითად: აშშ-ში სხვადასხვა შტატის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ფასი მკვეთრად განსხვავდება. რამდენიმე მათგანში, რომლებიც ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე საშუალოდ 20 ათას დოლარამდეც კი აღწევს, მაგრამ ეს შტატები გამოირჩევა მაღალი ურბანიზაციით და იქ ასეთი ფასი განპირობებულია მოლოდინით, რომ უახლოეს მომავალში ეს მიწა სხვა დანიშნულებით იქნება გამოყენებული, მაგრამ იმ შტატებშიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებლებია და მოსახლეობით შედარებით მჭიდროდ არის დასახლებული, მიწის საკმაოდ მაღალი ფასია და ის 5-10 ათას დოლარს შორის მერყეობს ჰექტარზე, საერთოდ კი, ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო ფასი აშშ-ში 3-4 ათასი აშშ დოლარია და ეს მაშინ, როდესაც ამ მონაცემში გათვალისწინებულია ცენტრალური შტატების დაბალპროდუქტიული საძოვრებიც. ევროკავშირში ყველაზე დაბალი ფასები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არის ბულგარეთსა და რუმინეთში და საშუალოდ 1500-2000 ევროს ფარგლებშია, ხოლო მაღალი ღირსების მიწაზე ფასი გაცილებით დიდია, მაგალითად რუმინეთში 1 ჰა საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფასი 2008 წელს 6000 ევრომდე გაძვირდა. თვით ამ მონაცემების ფონზეც კი, სიძვირით გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფასი „ძველი“ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში 2008 წლის კრიზისის შემდეგ 1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო ფასი დაახლოებით 10000 ფუნტამდე დაეცა, პიკის დროს კი, თითქმის 2-ჯერ მეტი იყო.

ცხადია, რომ განსაკუთრებით ძვირად ფასობს მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც ჰარმონიულადაა უზრუნველყოფილი სარწყავი წყლით და მზის ენერჯით. სწორედ ამგვარ რესურსს ფლობს საქართველო და ამ დროს უმონყალოდ მიმდინარეობს ქართული მიწის განიავება, რადგან იმას, რაც ხდება, ვერანაირად უწოდებ „პრივატიზაციას“.

დღეს ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია მრავალ სხვა სუბიექტთან მიმართებაში. ამ უკანასკნელებს შესაძლებელია მიწის ეს ნაკვეთი სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უნდოდეთ, აგარაკების აგებით დანყებული და სხვა, ხრიკ ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედაფენის მოჭრით დამთავრებული.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის იმისას, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება, თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, რიგი არაბეთის სახელმწიფოები, ისრაელი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად არის მცდელობა, ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ, ამავე დროს, ხშირად ისმის პრიმიტიული ფრაზები, მაგალითად, – „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“ და მსგავსი. არ მოიკიდებენ, ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს, რადგან ზემოხსენებული ქვეყნების დემოგრაფიული და უკვე ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალიც იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს. საქართველოს საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისათვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ასეულ ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება. ამიტომ **დაუშვებელია, რომ ქართული გლეხობა მონყდეს მიწას, არ იყოს მისი მესაკუთრე და პროდუქციის მთავარი შემქმნელი.**

გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩვენი შორიასლო გარემოცვის პრობლემები სასიცოცხლო სივრცესთან დაკავშირებით: 2008 წლისათვის მოსახლეობის სიმჭიდროვე ჩინეთში შეადგენს 139 ადამიანს კმ²-ზე, ხოლო ინდოეთში 400 ადამიანს კმ²-ზე. ამასთან, ჩინეთის ტერიტორიის 2/3 უდაბნო ან მთიანეთია ანუ ნაკლებად გამოსადეგი ადამიანის ცხოვრებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას

არაბეთის სახელმწიფოებზე და ისრაელზეც, სადაც მცირე გამოწვევის გარდა მოსახლეობის მაღალი ტემპებით ზრდა ძირითადად უდაბნოს ფონზე მიმდინარეობს. ყველა ეს ქვეყანა ფლობს მზარდ საფინანსო რესურსებს და უკვე ეწევა მსოფლიოს მასშტაბით მიწის, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესყიდვას, ცხადია არა იმისათვის, რომ იქ მეურნეობა განავითარონ და მერე ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნონ!

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაყიდვის გამართლება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის საბაბით, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობისა და ახლომხედველობის შედეგია, რადგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, განსხვავებით ურბანული მიწისაგან, არ არის ინვესტიციატევადი. მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის გამო (ზღვის დონიდან 500 მეტრამდე მდებარეობს ქვეყნის ტერიტორიის 26,7%, 500-დან 1000 მ-მდე 21,7%, 1000-დან 1500-მდე 19,3%, 1500-დან 3000-მდე 31,5%, 3000-ზე ზევით 1.5%), საქართველო სარისკო მიწათმოქმედების ზონას განეკუთვნება. მთებს (54%) და მთისწინებს (33%) მთელი ტერიტორიის 87% უჭირავს, დაბლობს კი მხოლოდ 13%. სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის 44%. სახნავს მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25% უჭირავს, სათიბ-საძოვრებს კი 65% მეტი. მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა 38%-ს შეადგენს, საშუალო ხარისხის 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის 41%-ს. ამიტომაცაა, რომ საქართველო მცირემიწიან ქვეყნებს მიეკუთვნება. მოსახლეობის ერთ სულზე 0,64 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის, აქედან კი 0,17 ჰა სახნავ-სათესია. 2004 წლის მონაცემებით საქართველოში სულ 3,025 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული იყო (სამწუხაროდ, დღეს უფრო ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია, რადგან 2004 წლის შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, მიწის რაოდენობრივი აღრიცხვა ქვეყანაში აღარ ჩატარებულა). აქედან დაახლოებით 1,9 მილიონი ჰექტარი ბუნებრივ საძოვრებზე და სათიბებზე მოდიოდა, ანუ იმ სავარგულებზე, რომლებსაც ინვესტიციები კი არა, უფრო მართებული, რაციონალური გამოყენება სჭირდება. 1,1 მლნ. ჰა ინტენსიური სავარგულია, საიდანაც 800 ათასი ჰექტარი სახნავია (სახნავ-სათესი ფართობის თითქმის 40%-ზე მეტი დაქანების ნაკვეთებზეა განლაგებული), ხოლო დანარჩენი – 300 ათასი ჰა – მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული ფონდტევადი სავარგულია.¹ ეს არის ჩვენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდი, რომელიც იმდენად მცირეა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რომ თვალისჩინივით გაფრთხილება ესაჭიროება.

სწორედ ზემოაღნიშნული პროცესების გამო მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის (თავისი მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის) მიყიდვის საკითხს. ამავე დროს, მთელი პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, უმცირესი გამოწვევის გარდა, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (*jus utendi et abutendi*²) და ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. მაგალითად, ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში, სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში. აშშ-ში, კანადაში და ავსტრალიაში მსგავსი შეზღუდვები ძირითადად რეგიონულ დონეზე ხდება. მაგალითად, აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციაში და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში მართალია მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წვერი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰექტარზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო იმისათვის, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და განსაკუთრებით დიდი ფართობის მიწის

¹ ო. ქეშელაშვილი, „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები“, თბ., 2007, გვ. 29-33.

² საკუთრების ნებისმიერი, სრული ფლობის და სარგებლობის უფლება მის განადგურებამდე ან საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენებამდე.

შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი, სოფლის მეურნეობაში საზღვარ-გარეთული კაპიტალდაბანდების შესახებ. მართალია, მის მიხედვით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში, სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატების დონეზე არის დანესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალავს სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული, ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1 %-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

ილია ჭავჭავაძე უცხოელებზე (ხიზნებზე) გრძელვადიანი მემკვიდრეობითი იჯარის გამოყენებას სთავაზობდა ქართულ საზოგადოებას. ასევე დასაშვებად მიგვაჩნია გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის (სარგებლობის უფლების გაყიდვა) ფორმის გამოყენებაც, რომელიც მსოფლიოს უმეტეს დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაშია დანერგილი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აუცილებელია: გამოცხადდეს მიწის რეესტრის მონაცემები და საჯაროდ დაზუსტდეს, თუ რა ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია გასხვისებული უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე; სასწრაფოდ შევიდეს საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები და აიკრძალოს უცხო ქვეყნის რეზიდენტ, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაცემა, ასევე იმ იურიდიულ პირებზეც, რომლებიც საქართველოშია დაფუძნებული, მაგრამ მათში ნებისმიერი მასშტაბით მონაწილეობს არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ამ მოთხოვნების შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, სამაგიეროდ უდიდეს საფრთხეებს ააცილებს ჩვენს ქვეყანას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო მიისწრაფის ევროკავშირისაკენ და იმედაა, რომ არცთუ შორეულ მომავალში ჩვენი ქვეყანა გახდება ამ ორგანიზაციის წევრი, მანამდე კი მიღწეულ იქნება თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლის რეჟიმი საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ცხადია, ეს გულისხმობს მრავალფეროვან ორმხრივ ვალდებულებებს და მათ შორის საკუთრების საკითხებშიც. ჩვენ მოგვინვეს საქართველოს მიწის ბაზრის რეგულირების დროს ევროპელი პარტნიორების პირობების გათვალისწინება, რაც გულისხმობს ევროპელი ინვესტორის მიერ საქართველოს მიწის ბაზარზე მონაწილეობასაც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ არის საფრთხის შემცველი, პირიქით, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით მისასაღმებელიც კია.

PAATA KOGUASHVILI

Member of the Georgian Academy of Agriculture, Professor

BADRI RAMISHVILI

TSU Visiting Professor

THE HEALTH OF THE NATION IS IN THE ETERNAL RELATIONSHIP AND DEVOTED CONNECTION WITH SOIL

S u m m a r y

The problem of resource depletion in the contemporary world is becoming more and more acute. This, first of all, applies to the soil and especially to agricultural lands, as the man's impact decreases and this takes place against the background of the rapid growth of the earth's population. Therefore, most states have a more careful approach to the problem of property on agricultural lands. In some cases, this issue is strictly regulated by law. The present work refers to the mentioned problem. It aims at analysing the situation existing in this field in Georgia and indicating the dangers that may cause full liberalization of land market in different directions. At the same time, it is mentioned that one of the arguments of the supporters of full freedom in selling land to foreigners – attraction of investments – lacks logics. On the basis of proper calculations and digital data it has been justified that agricultural lands are not subject to investments and that foreigners' interest towards them will not increase either investments or the amount of agricultural products.

AGRITOURISM IN THE MOUNTAINOUS REGIONS OF GEORGIA

Supervisors:

Prof. Eter Kharashvili (GE)

Prof. Bernard Lehmann (CH)


Relevance of the problem. According to the assessments by experts of the European Bank for Reconstruction and Development (EBRD), it is about 20 times more expensive to settle the rural population in urban areas than to create dwelling and working conditions on the spot in villages. Additionally, the willingness of urban population to spend their holidays in rural areas is increasingly high. More and more people prefer to rest in the clean environment with fresh air. The importance of rural development furthermore becomes undeniable as agro-economists world-wide have been discussing food deficits in the year 2050 based on the accelerated pace of population growth.

Georgia has always been an agricultural country. In Greek, the word “georgia” means “rural country”. Today this sector is in a very bad condition. In a research paper written by EU in 2010, we can read: “Approximately 50% of Georgia’s citizens today live in rural areas, 40% are engaged in agricultural-industrial activities, however, the share of agro products produced on the spot in the country’s GDP is only 8%. Therefore, it is notable that the amount of labor force in villages – those who do not or are not able to use their own potential – is high. The main factor, due to which the poverty in the country could not be overcome, is the underdeveloped agriculture. Productivity level is still very low. In order to develop the agro sector, it is necessary to enhance its volume at least 3 times”.

It is mentioned that the share of the agricultural sector in GDP is not only decreasing with respect to real GDP, but also has a diminishing volume from year to year. For instance, in 1997, the value of the agro-sector was 1,5 billion GEL, but today its volume is only half of this.

Tourism became a world industry from the year 1950. Up to 2010, the incomes from tourism increased from 2,1 billion to 622,7 billion US dollars. In 2006, the tourist sector comprised 10,3% of global GDP, employed 8,2% of the global labor force and 12% of investments.

Tourism is one of the important components in modern economy. Economists equalize tourism with export, and the latter is a key to a strong economy. Statistics show that the demand for Georgia as a tourist product is increasing. In 2010, the growth was 35% and currently the growth rate is 45% in the first 7 months of 2011.



Source: Georgian National Tourism Agency

In the last years, agritourism in Georgia has gained a new level of importance as a potential income and job generating activity for the rural population. At the same time, there is a growing demand of urban dwellers to enjoy and participate in the country life, thus recuperating from their life in the city.

Agritourism incorporates economic, social and cultural aspects of rural development. The term comprises many interactions and is a connecting link between agriculture and tourism.

Talking about agritourism, we actually have to define three different terms, namely rural tourism, agritourism and farm tourism, whereby each term is a component of the previous one. Often, it is not possible to class a specific tourist activity in a particular category; the borders between the mentioned expressions are fluent, not strict. In most cases, it does not make sense to develop only one of these categories, they are inseparably linked. In this article agritourism comprises all of the types of tourism in rural areas.

This article examines the potential of agritourism as a future additional income source for the rural people of Georgia. The rural areas are desperately looking for alternative businesses and jobs in order to guarantee the economic survival of the regions. At the moment, agritourism in some regions of Georgia is still at the very beginning of its development.

The message is clear: ways must be found to replace or complement agrarian activities, preferably by economically more profitable activities. Looking for diversification of activities and new uses of farm land and farm buildings explains the increased interest in tourism. Tourism is a strongly growing economic sector which can revitalize the rural areas in various respects. In spite of the significance and growth of tourism industry, it is one of the most “sensitive” fields of economy and after the crisis in 2008, it suffered shortening revenues much more than other fields of economy.

Despite all the above-mentioned facts, agritourism cannot and will not be the panacea for all the existing economic problems of the rural regions. But, in my opinion, agritourism has a possibility to play a decisive role in the survival of rural life and in the country’s regional economic development, and also to solve many social-economic problems and protect the gorgeous natural environment of Georgia that has always been attracting and amazing tourists from various countries.

We can ask the question – why agritourism? What advantages does it have for Georgia? In order to deal with this question efficiently, I would like to bring in a criteria of agritouristic space which comes from international experience and thoughts. Lane (1992) distinguishes six factors that determine the value of agritouristic space. They are:


1. The value of the beauty of landscape, which includes: mountains, sea coasts, lakes, islands, picturesque river valleys and areas of specific value and specific beauty, such as swamp or forest;
2. Areas of wild nature and wilderness;
3. Cultural values, which include historical buildings, small towns, villages and places as well as ethnic heritage;
4. Particularly favorable conditions for hunting, fishing, skiing, hiking;
5. Good accessibility to a broad market of consumers;
6. Effective and professional promotional and commercial activity and proper management.

The first five factors can be characterized as objective values, inherent to an area and its properties. The sixth is the human factor. Marketing and management of tourist services may develop housing and a base for services in a relatively short time. They may improve and extend it, though this requires more time and financial outlay. The natural and cultural values cannot be created again, though they can also be extended and improved. These values can be considered permanent factors of the quality of agritouristic space, whereas the others are variable ones.

Georgia has a big regional potential. It reaches the Greater Caucasus as well as the Smaller Caucasus. In Georgia, there are 25,000 rivers, 860 lakes, 688 glaciers, and 1,400 mineral water springs. Forests occupy 39% of the whole territory, the length of the Black Sea beach is 320 km; 54.4% of Georgia’s territory is at or higher than 1,000 meters above sea level. Often, in the mentioned territory possibilities to produce agricultural goods are limited. In the economic upheaval of mountainous zone, production of local non-intensive, ecologically clean products as well as traditions, flora and fauna, and the beautiful natural dwelling environment can play the decisive role in developing agritourism. Georgia’s mountainous regions – the North-East (Tusheti, Pshavi, Khevsureti, Kazbegi, Mtskheta-Mtianeti, mountainous Kakheti), the North-West (Svaneti, Racha-Lechkhumi, mountainous Samegrelo, mountainous Imereti) and the South (Samtskhe-Javakheti, Borjomi, Bakuriani, mountainous Adjara, mountainous Guria (Bakhmaro)) can offer consumers a variety of products with different traditions and social economic conditions. Herewith, it is now possible to provide agritouristic products by means of modern technology with common features characteristic of mountainous regions.

Economic and Social Importance of Agritourism. The economic and social importance of agritourism can be considered in many aspects, e.g. the macroeconomic aspect – the importance of agritourism for the economy of the whole country. The regional economic aspect comprises the importance for the local community, and the microeconomic aspect is related to the importance for agritourism entities providing products and services and for the buyers of those products and services, i.e. their consumers (tourists).

Results of conducted research. For further exploration of agritourism, I have conducted literature research, interviews with experts, which revealed the following tendencies in competitiveness of Georgia's regions.



Source: own research. (5 is maximum)

I have assessed the regions' competitiveness according to some criteria, which allowed to compare regions with one another. As we can see on the graph, the criteria historic-cultural heritage revealed the leader regions SvaneTI, Samckhe-Javakheti, and Tusheti. In those regions tourism should be developed which focuses on cultural tourism.

N ^o	Services	Grades (max. 16)
1	"Guest houses" /"B&B"/ "Hostels"	13
2	Rent a house	9
3	Inn	7
4	Stay with a farmer's family, familiarize oneself with farm activities	7
5	Hire a horse	6
6	Rent a car	3
7	Taxi	6
8	Café/Restaurant	5
9	Camping places	14
10	"Pick your own" activities	5
1	Learn local handicrafts	5
2	Museums	6
3	Community shop (products and souvenirs)	0
4	Bird-watching	2
5	Information services	3
6	Touristic routes	8
7	Guides	7
8	Rent a bicycle	1
9	Hire sport equipments	3
0	Get into touch with local production and food tasting	7

Source: own research

The second criterion is wild, virgin nature – in which the leader regions are Tusheti, Mountainous Adjara, Pshavi, and Khevsureti. In those regions, ecotourism, which relies on intact nature and preserves the environment, should be fostered.

As far as the criterion of the existing touristic infrastructure is concerned, Gudauri, Bakuriani, and Svaneti have a more developed infrastructure than other regions.

Regarding the criterion of ethno-psychology we have more or less the same situation in all regions. This data agrees with the research conducted by the National Agency of Tourism – one of the most amazing experiences for tourists in Georgia is exceptional hospitality and warm human relationships.

Agricultural landscape ranks high in Svaneti, Samtskhe-Javakheti, and Mountainous Adjara. Farm tourism might be developed in these regions.

The last criterion is food production – which is generally very important in tourism industries. Here we have the leader regions Racha-Lechkhumi, Mountainous Adjara, and Bakhmaro (Guria).

Furthermore, I revealed the existing or potential agritouristic products as well as regions in which such products are developed.

The most developed agritouristic products are camping places, “Guest houses” /“B&B”/ “Hostels”, houses for rent , and touristic routes. On the other hand, the least developed agritouristic products are community shops (products and souvenirs), bicycles for rent, birdwatching, cars for rent, information services, and sports equipment hire .

What also must be taken into account is that the quality of developed products and services is still very low – which is one of the problems for increasing touristic attractiveness.

After all, Georgia has a significant potential for the development of agritourism in mountainous regions, which will solve some problems. Most importantly, poverty might be reduced and the migration process from rural areas to towns/cities might stop.

Agritourism can play a decisive role for Georgia’s regional economic development. It can decide a lot of problems with its functions. I divided the main functions of agritourism in three parts:

Socio-psychological	Economic	Spatial and environment
<ul style="list-style-type: none"> • Reviving rural traditions; • Promoting Georgian culture, folklore, food; • Meeting new people and gaining new skills; • Education, e.g. reduction of language barriers. 	<ul style="list-style-type: none"> • Additional workplaces; • Additional income; • Overcoming poverty and economic recession; • SMEs development; • Extension of accommodation facilities. 	<ul style="list-style-type: none"> • Enhancement of the environment and nature protection; • Development of local infrastructure; • Stopping mass migration from rural areas; • Increase the value of houses.

As interviews with experts in Georgia and Switzerland show, Georgia has unique possibilities to develop agritourism with “niche markets” in each region.

Based on this research, I have built a SWOT Matrix, which revealed the Strengths, Weaknesses, Opportunities and Threats of agritourism in Georgia. Furthermore, I have elaborated strategies for the development of each case.

SWOT Matrix

<p>Strength</p> <ul style="list-style-type: none"> ● Wild, unexploited nature; Rich flora and fauna; ● Ancient civilization and architecture; ● Rich history and Traditions; ● Fresh air; ecologically clean and healthy food; ● Geographical locations, Strategic trade roads; ● Exceptional hospitality; ● Relatively low prices; ● Highly increasing demand; ● Many protected areas; ● Existence of summer as well as winter resorts; 	<p>Opportunities</p> <ul style="list-style-type: none"> ● Development of alternative forms of tourism and differentiation of products; ● Improvement of infrastructure; ● Improvement of marketing & promotion; ● Extending protected areas; ● Abate of seasonality in some regions; ● Increase the bargaining power on the internal market and interest about alternative tourism; ● Increasing interest of government; ● Service development; ● Reduction of language barrier; 	<p>Threats</p> <ul style="list-style-type: none"> ● Political situation; ● Insufficient or unhealthy (not reasonable) development of infrastructure; ● Increase prices in tourism; ● Insufficient development of alternative forms of tourism.
<p>Weaknesses</p> <ul style="list-style-type: none"> ● Lack of experience and knowledge; ● Weak transportation and general/tourism infrastructure; ● Low investments, marketing, and promotion; ● Lack of variety in touristic products; ● High dependence on foreign tourists; ● A lot of citizens of Georgia have their own house in the countryside; agritourism is less popular; ● Too low incomes of national visitors; ● Insufficient safety for tourists; ● Weak database (maps, brochures, route guides,...); 	<p>Strategies to make use of Opportunities through the sectors' Strength:</p> <ul style="list-style-type: none"> ● Elaboration of relative strategy for each region's development; ● Higher investments and improved infrastructure in order to meet increasing demand; ● Offer new touristic products; ● Trainings, seminars, and workshops for stakeholders to enhance their quality of service and offer various new products; ● Prices have to fit with quality of infrastructure and service. 	<p>Strategies to prevent Threats through the sector's Strengths:</p> <ul style="list-style-type: none"> ● Finance educational programs abroad for tourism and infrastructure development; ● Elaboration of good and reasonable strategies for infrastructure development in each region in agreement with the local population. ● Install and match new technologies in wild nature, without losing the values of each region ● Collaboration with other countries for support the development or for joint projects
<p>Weaknesses</p> <ul style="list-style-type: none"> ● Lack of experience and knowledge; ● Weak transportation and general/tourism infrastructure; ● Low investments, marketing, and promotion; ● Lack of variety in touristic products; ● High dependence on foreign tourists; ● A lot of citizens of Georgia have their own house in the countryside; agritourism is less popular; ● Too low incomes of national visitors; ● Insufficient safety for tourists; ● Weak database (maps, brochures, route guides,...); 	<p>Strategies to make use of Opportunities in order to minimize Weaknesses:</p> <ul style="list-style-type: none"> ● Motivation and willingness of householders to improve the quality of their houses for hosting tourists and study new skills, including language and offering the services; ● Development of infrastructure and agritouristic products; ● Sound marketing strategy and positioning of each region with its "core niche" in the market; ● Promotion of agritourism on internal market (to organize festivals, competitions or entertainment events, concerts ect.); ● Special package of discounts for customers. 	<p>Strategies to minimize the potential dangers lying in fields where Weaknesses meet Threats:</p> <ul style="list-style-type: none"> ● Trainings for householders, how to set a reasonable and optimal price in accordance with service quality; ● Create a sound environment for competition.

What does Georgia have to do for this sector development? – This question is best answered distinguishing between governmental actions and private sector actions. It is mentioned that the main role for the development of this sector should be played by the government, but motivation and initiatives from the private sector are also essential.

Role of government	Role of private sector
<ul style="list-style-type: none"> • Elaborate the relative politics for each region development; • Finance educational programs for exchange students to acquire modern knowledge and approaches; • Preferential credits to householders who are involved in this field or want to start related business; • Active advertisement in foreign countries as well as on the internal market; • Encourage new ideas (know how); • Provide regions with new technologies and technical infrastructure; • Finance infrastructural programs; • Create clusters in this sector; • Subsidies in this sector; • Enhance communication facilities in all regions; • Conduct seminars and workshops for agritourism stakeholders; • Establish tourism information centers in all regions; • Improve existing legislation; • Enhance safety of tourists; • Extend protected areas. 	<ul style="list-style-type: none"> • Creativity in finding adequate ways to integrate tourism into their own agricultural activities or starting up a new business; • Renovate own houses for hosting tourists; • Establish or find and cooperate with tourism associations for advertisement and tourist attraction. • Be ready and motivated to study and improve touristic services and agritouristic products; • Develop and serve alternative forms of tourism.

Finally, mainly because of landscape similarities, it seems very profitable for Georgia to rely on the huge experience of Switzerland in agritourism. However, while developing agritourism in Georgia according to the Swiss model, the relative differences should not be overseen.

References:

1. Barthelemy P.A., Changes in Agricultural Employment (2008).
2. Butler R., C. Michael Hall and John Jenkins, Tourism and Recreation in Rural Areas (1998).
3. Bryden J.M., Structural Changes in Rural Europe (2000).
4. Cooper C., Fletcher J., Gilbert D., Shepherd R. and Wanhill S., Tourism: Principles and Practice (2005).
5. Gharajedaghi J., Systems Thinking (2006).
6. Halseth G., The Next Rural Economies (2010).
7. Hall D., Mitchell M. and Roberts L., New Direction in Rural Tourism (2004).
8. Kotler P., Marketing (1999).
9. Lakovidou O., Partalidou M. and Manos B., Rural Tourism (2000).
10. Lane B., Rural Tourism (1992).
11. Porter M.E., On Competition (2008).
12. Roberts L., and Hall D., Rural Tourism and Recreation Principles to Practice (2001).
13. Sznajder M., Prezezborska L., Scrimgeour F., Agritourism (2009).
14. Tourism: Economics and Business, International Conference, Batumi, (2011).
15. Zhelezov G., Sustainable Development in Mountain Regions, Southeastern Europe (2011).

Internet Sources:

1. <http://www.unwto.org/>
2. <http://www.ruraltourisminternational.org/>
3. <http://www.tourisme-rural.ch/>
4. <http://www.agrotourismus.ch/>
5. <http://www.bauernhof-ferien.ch/>
6. <http://www.eurogites.org/members.php?lang=EN>
7. <http://www.bnb.ch/index.php>

8. <http://www.agriculture.ch/>
9. <http://www.sbv-usp.ch/>
10. <http://www.swiss-cooperation.admin.ch/southerncaucasus/en/Home>
11. <http://www.tourism-association.ge/>
12. <http://www.gnta.ge/>
13. <http://www.geostat.ge/>
14. <http://dpa.gov.ge/>
15. <http://www.elkana.org.ge/>

ირაკლი კოჭლამაზაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ციურისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი
ხელმძღვანელები: პროფ. ე. ხარაიშვილი
პროფ. ბ. ლემანი*

აგროტურიზმი საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

ა ნ ო ტ ა ც ი ა

აგროტურიზმი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის დამაკავშირებელი რგოლია. მაშინ, როდესაც საქართველოში აგროსექტორის წილი რეალურ მშპ-ში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირდება (1,5 მლრდ-დან 0,77 მლრდ-მდე), ტურისტების ზრდა მკვეთრად მაღალია (672%). ჩემი ერთ-ერთი მიზანია სწორედ ეს გახლდათ, რომ დამეკავშირებინა ეკონომიკის ეს ორი რგოლი ერთმანეთს, რათა შემცირდეს სოფლის მეურნეობის წარმოების ვარდნა, რომელიც ოდითგანვე საქართველოს უპირველესი დარგი გახლდათ, ასევე ხელი შეეწყოს ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებას. ორიენტაცია ავიღე მაღალმთიან რეგიონებზე, რომლის მოსახლეობა გამწარებული ექვს სოფლის მეურნეობის შემცველ ან შემავსებელ დარგს, რათა თვითმყოფადობა შეინარჩუნოს და შემცირდეს მიგრაციული პროცესები მთიდან ბარისაკენ. აგროტურიზმის ქვეშ აქ მე მთლიანად სოფლად არსებულ ტურიზმს განვიხილავ. იგი ტურიზმის ერთ-ერთი მზარდი სახეობაა, თუმცა ეს ზრდის ტემპი რომ შენარჩუნდეს და, უკეთეს შემთხვევაში, გაიზარდოს, ამისათვის საჭიროა ამ დარგის კიდევ უფრო მეტი განვითარება დამატებითი პროდუქტების შექმნით და ინფრასტრუქტურის განვითარებით ისე, რომ არ მოხდეს რეგიონების იერსახის დამახინჯება და მათი ღირებულებების შელახვა.

კახეთის რეგიონის კონკურენტული უპირატესობანი

კახეთი ეკონომიკური პოტენციალით საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია. მრავალფეროვანმა ბუნებრივმა პირობებმა განსაზღვრა კახეთის სამეურნეო პროფილი, რაც გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა, ამ კუთხის სპეციალიზაციაში სასოფლო-სამეურნეო, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით. კახეთის რეგიონში განვითარებულია კვების მრეწველობა, რომელშიც ძირითადი წილი სწორედ ღვინის მრეწველობაზე მოდის. მნიშვნელოვანია ასევე მარცვლეული კულტურების წარმოება და მეცხოველეობა. სიდიდით მსგავს რეგიონებთან შედარებით კახეთში შედარებით ნაკლებია დიდი ქალაქების რიცხვი და ზომა, რაც არსებით როლს ასრულებს რეგიონის ეკონომიკურ მდგრადობაში. სოფლის დაცლის პრობლემა კახეთში ყველაზე ნაკლებად იგრძნობა, ხოლო სოფლის შედარებით დიდი ზომა მნიშვნელოვნად ამარტივებს ეკონომიკური განვითარების პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით.

კახეთი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, რომელიც ფლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 38%-ს და უმსხვილესია ამ კუთხით. მრავალწლიანი ნარგავების ფართობებზე მცირე მოცულობის ფართობები მოდის- მთლიანი სავარგულების დაახლოებით 11%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია რეგიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის 82%, რაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

კახეთი პირველ ადგილზეა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიხედვით (ხორბალი, მზესუმზირა, ატამი, მარწყვი, არაქისი, საზამთრო, ყურძენი, ცხვრის ხორცი, მატყლი, თაფლი). სხვა პროდუქციის მიხედვით კი კახეთი მონინავე რეგიონებს შორისაა (ქერი, სიმინდი, ბოსტნეული, ხილი, საქონლისა და ღორის ხორცი, რძე, ფრინველის ხორცი, კვერცხი). სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს კახეთში სავარგულების სიუხვესთან ერთად განაპირობებს ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებიც, მუშახელის ხელმისაწვდომობა, სარწყავი და საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობა.

უახლოეს წარსულში კახეთში ფუნქციონირებდა განვითარებული საირიგაციო სისტემა. მიუხედავად მისი არადაამკამყოფილებელი მდგომარეობისა, ამ სისტემის ნაწილის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება სავსებით შესაძლებელია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას. რეგიონის აგრარულ სექტორს სახელმწიფოს ხელშეწყობით შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. რეგიონის უპირატესობას შეიძლება მიეკუთვნოს კახეთის სოფლის დიდი ზომაც, რაც აიოლებს კახეთში მცირე ზომის კვების მრეწველობის საწარმოების გახსნას და სოფლის მეურნეობაში არსებული ჭარბი მუშახელის ადგილზე დასაქმებას. კახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროებშია დასაქმებული. დასაქმების შესაძლებლობები რეგიონში ერთობ შეზღუდულია ეკონომიკის მონოპროფილიანობის გამო. მოსახლეობა საშუალო ანაზღაურებით საკმაოდ კონკურენტუნარიანია, საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში 82 (140 ლარი), ხოლო კერძო სექტორში 98 (167 ლარი) დოლარის ეკვივალენტია თვეში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოშვებული პროდუქციის ერთეულის ფასით კახეთი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა საქართველოში, რაც განპირობებულია სოფლის მეურნეობის დომინანციით, სადაც ტრადიციულად სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებია შრომის ნაყოფიერება.

განათლების დონე კახეთში საქართველოს დანარჩენი რეგიონების მსგავსია. კახეთის სოფლის მეურნეობაში რეგიონის კონკურენტუნარიანობა გამოკვეთილია მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში. ამას განაპირობებს ვენახების არსებული საწარმოო ფართობები, ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები, ღვინის ქარხნების ქსელი და ღვინის კარგად ცნობილი ბრენდები დამყარებული კახურ ადგილწარმოობის ღვინოებზე. როგორც ყურძნის, ასევე ღვინის რაოდენობითა და ხარისხით კახეთი ტრადიციულად წამყვანი რეგიონია საქართველოში. ამიტომ, სამომავლოდაც, მევენახეობა-მეღვინეობა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სფერო იქნება ამ რეგიონის განვითარებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ სექტორის შემდგომ განვითარებაზე, ასევე ფერმერული საკონსულტაციო ცენტრების დაარსებაზე და დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. განვითარების მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუა-

ლურია პოტენციურად კონკურენტუნარიანი დარგების განვითარება, ხელსაყრელი მიკრო- და მაკროგარემოს შექმნა მათი ხანგრძლივადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ასეთი დარგები ეროვნული რესურსებისა და საექსპორტო შესაძლებლობათა ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფენ. აღნიშნულისათვის აუცილებელია აგრარული სექტორის რესტრუქტურისაციის პროგრამის შემუშავება. პროგრამა მსოფლიოში არსებული ეკონომიკური მიღწევების შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი შეუძლია შეასრულოს რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის სექტორს, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და განვითარების დიდი შესაძლებლობები გააჩნია. სწორედ მას შესწევს უნარი მაქსიმალურად შეუწყოს ხელი პროდუქციის წარმოებასა და შემოსავლების გადიდებას მრავალრიცხოვან მომიჯნავე დარგთა ჯგუფში. კახეთის რეგიონი საქართველოს რეგიონებს შორის გამოირჩევა მნიშვნელოვანი უპირატესობებით. ამას განაპირობებს ძირითადად ორი გარემოება: ჯერ ერთი, მევენახეობა-მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დაგროვილი უნიკალური გამოცდილება, ვაზის კულტურის გაშენებისა და ღვინის წარმოების მდიდარი ჩვევები, ორიგინალური ჯიშობრივი შემადგენლობა; მეორე, ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, რეგიონს დიდი შესაძლებლობები გააჩნია კონკურენტუნარიანი ღვინისა და ღვინო-მასალების მრავალი ასორტიმენტის წარმოებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის. არსებობს ღვინო-პროდუქტების საექსპორტო გატანის შესაძლებლობებიც. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ რეგიონული პოლიტიკის სწორად გატარება, რათა მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და ის შესაძლებლობები, რომლებიც გააჩნია მევენახეობა-მეღვინეობის სექტორს. ღვინის ბაზარზე მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად აუცილებელია:

1. ქართველმა ღვინის მწარმოებლებმა უზრუნველყონ ღვინის მსოფლიო დონის ხარისხი, მისი სტანდარტებთან შესაბამისობა და თანმიმდევრობა;

2. აუცილებელია დიფერენციაციის სტრატეგიის იმპლემენტაცია, რომლის მიზანია ბრენდის შესახებ ფართო ინფორმირება, დადებითი დამოკიდებულება და პრეფერენციები ქართული ღვინისთვის. ამ სტრატეგიის რეალიზების პირველ ეტაპზე საჭიროა ქართული ღვინის ბრენდის იდენტიფიკაციის შექმნა და მათი ცნობადობის უზრუნველყოფა გლობალურ ბაზრებზე;

3. ღვინის წარმოების პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს უკეთესი ტექნოლოგიების, აღჭურვილობის, მართვის პროცესებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით;

4. აუცილებელია მუდმივი ინოვაციები, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზრებზე ინტენსიურ კონკურენციას, გლობალურ ბაზრებზე ქართული ღვინის მწარმოებელთა კონკურენტული უნარის გაძლიერებას;

5. მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს განვითარების სტრატეგია უზრუნველყოფს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის ყოველმხრივი სტიმულირება, მეწარმეობის აღორძინება, ფერმერული და მეურნეობრიობის სხვა ორგანიზაციული ფორმების განვითარება და სხვა.

კახეთის უნიკალური ბუნებრივი პირობები განაპირობებენ მის კონკურენტუნარიანობას ტურიზმის განსავითარებლადაც. კახეთის რეგიონში მდებარეობს მრავალი მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლი, აგრეთვე რამდენიმე დაცული ტერიტორია (ვაშლივანის, თუშეთის, ბანარა-ბაბანურისა და ლაგოდეხის), რომლებიც ეკო- და სათავგადასავლო ტურიზმის ცენტრებად შეიძლება იქცნენ. კახეთს გააჩნია კარგი სასტარტო პირობები კულტურული და ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის. ამკარად იკვეთება მისი, როგორც საქართველოს აგრარული ტრადიციების ცენტრისა და ღვინის სამშობლოს პოტენციალი. ეს უმთავრესი მიმართულება უნდა გახდეს ტურისტების მოსაზიდად. საშუალოვადიან პერიოდში კახეთში მნიშვნელოვნად გაიზარდება ტურისტული პოტენციალი, თუმცა მასობრივი უცხოური ტურიზმის მოსაზიდად ეს მხოლოდ დასაწყისი იქნება. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის სოლიდური ინვესტიციები სიღნაღისა და შესაძლოა თელავის ინფრასტრუქტურაში დიდ როლს ითამაშებს თბილისიდან მოკლევადიანი ტურების განვითარებაში. ტურიზმი სოფლის მეურნეობასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო გახდება. ღვინის ტურიზმის ცენტრად რეგიონში სიღნაღია მიჩნეული. ამ ისტორიული ქალაქის იერსახის ასაღორძინებლად და აქ ტურისტული ინდუსტრიის განსავითარებლად ბოლო დროს ხელისუფლებისა და ბიზნესის თანამშრომლობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ღვინის წარმოებაში იქმნება ღვინის ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და უმ-

ჯობესდება მომსახურების ხარისხი. შეიქმნა კახეთის ქალაქების ახალი და მოდერნიზებულ იქნა ძველი ინფრასტრუქტურა, რაც უფრო მიმზიდველს ხდის მხარეს ტურისტებისათვის.

კახეთში მიმდინარე პროცესები ბუნებრივია ასახვას პოულობს რეგიონის აქტუალიზაციაში, ინვესტიციების შემოდინების ნაწილობრივ ზრდაში, მოსახლეობის შემოსავლებში და შიდა ტერიტორიულ-პოლიტიკურ აქცენტების გადანაცვლებებში.

მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის სფეროებში კახეთის კონკურენტული უპირატესობა შედარებით სუსტადაა გამოკვეთილი. კახეთის სასარგებლო წიაღისეული არ არის კომერციულად ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ქვემო ქართლსა და იმერეთში, თუმცა აქ არსებული მინერალური ბაზა მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისათვის. გურჯაანის რაიონში აღსანიშნავია ახტალის სამკურნალო ტალახი, თელავის რაიონში ლოპოტის მარმარილოს საბადო და თორღვას აბანოს თერმული წყლები, ხოლო ყვარლის რაიონში არის შაქრიანისა და ოქტომბრის მინერალური წყლების საბადოები. ნავთობის საბადოებია სიღნაღის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონებში. გავრცელებულია საშენი და მოსაპირკეთებელი მასალები, მათ შორის თაბაშირი, გაჯი, ფიქლები, თიხები. კახეთის სასარგებლო წიაღისეული არ არის კომერციულად ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ქვემო ქართლსა და იმერეთში, თუმცა აქ არსებული მინერალური ბაზა მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისათვის. ხე-ტყის გადამუშავებისათვის ხელსაყრელი წინამძღვრები არსებობს კახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც უკვე ჩანასახოვან მდგომარეობაშია ხე-ტყის დამუშავების ინდუსტრია. რეგიონის პერიფერიული მდებარეობა და საერთო საზღვარი აზერბაიჯანთან და რუსეთთან შესაძლოა შორეულ მომავალში სერიოზულ კონკურენტულ უპირატესობად იქცეს. თუმცა, დღეისათვის ამ ფაქტორის როლი კახეთის ეკონომიკაში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მინიმალურია. რეგიონში ჩამოყალიბებულია სამოქალაქო ფასეულობების ძლიერი საფუძველი, ფორმირებულია თვითმმართველობის მდგრადი „ჰორიზონტალური“ სტრუქტურები, მიღწეულია მოსახლეობის ოპტიმალური დონის ჩართულობა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში, შექმნილია და მუშაობს ცვლილებების შენარჩუნების (მდგრადობის) მექანიზმები. ექსპერტთა შეფასებით, 2014 წლისათვის საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებაში წარმატებით მომუშავე „სტუმარ-მასპინძლობის“ ინფრასტრუქტურით კახეთი გახდება ლიდერი რეგიონი სასტუმროების, რესტორნების, კაფე-ბარების ქსელებით, ტუროპერატორებით და რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებებით. საერთაშორისო სტანდარტებით რეგიონში მაღალია მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები: (მიმდინარეობს სამუშაო ძალის შემოდინება, ხორციელდება ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის კვალიფიკაციის ამაღლება და მისთვის შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება. რეგიონში გაიზრდება მოსახლეობის დასაქმების ალტერნატიული შესაძლებლობები, რაც გამოიწვევს მუშახელის ნაწილის გადინებას სოფლის მეურნეობიდან. სხვა სფეროში დასაქმებული მუშახელი თანდათან ჩამოშორდება სოფლის მეურნეობას, რაც სტიმულს მისცემს ნაკვეთების გამსხვილებას და მიწის ბაზრის განვითარებას. გამსხვილებული მეურნეობები უფრო მოქნილად შეძლებენ საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის მიწოდებას როგორც სახეობების, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაზარიაშვილი თ., მევენახეობა-მელვინეობის განვითარების პრობლემები კახეთის მხარეში, მონოგრაფია, თბილისი, 2007.
2. ოზბეთლაშვილი გ., საქართველოს აგრარული სექტორის განვითარება განსახელმწიფოებრიობის პირობებში. თბილისი, 2009.
3. ხარაიშვილი ე., კონკურენტუნარიანობა და მდგრადი განვითარების პრობლემები აგრარულ სექტორში, საერთაშორისო-სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2010.
4. www.undp.org.ge/files/24744_851339_kaheti-strategy-geo.pdf
5. www.statistics.ge

TAMAR LAZARIASHVILI

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Assistant Professor*

COMPETITIVE PRIORITIES OF KAKHETI REGION

S u m m a r y

Kakheti is one of the most important agricultural regions of Georgia. Its potential as the center of Georgian agrarian traditions and the wine motherland is being vividly distinguished. Under the support of the state this region may achieve success and enter the world market with competitive agricultural production. This main trend should be the subject for the attraction of tourists. Tourism, together with agriculture, will become one of the most important sources for revenues of the local population. The current processes in the region naturally find its elucidation in their actualization, partial growth of investment flows, the revenues of the population and in shifts of internal territorial-political emphases.

Especially actual aspects are the state support for rehabilitation-reinstatement of potentially competitive branches and creation of beneficial environment in order to achieve long-term economic growth.

ქეთევან ლაფიაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის სამმართველოს უფროსი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ეროვნული კონსულტანტი

აგრობიოტექნოლოგიისა და ბიოუსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირების საკითხები

მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რომის დეკლარაციის თანახმად (Rome Declaration on World Food Security – 1996), სასურსათო უსაფრთხოება საზოგადოების, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდების აუცილებელი მატერიალური პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ინტელექტუალური და ა.შ. განვითარების ფუნქციებსა და შესაძლებლობებს. ამდენად, თანამედროვე ეპოქაში, ნებისმიერი ქვეყნისათვის მოსახლეობის სურსათით სტაბილური და უსაფრთხო უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს.

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ, ენერგომატარებლების გაძვირებამ და ბუნებრივ-კლიმატურმა პირობების ცვლილებამ მსოფლიო ბაზარზე სასურსათო პროდუქტების ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია და საფრთხე შეუქმნა რიგი ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებას.

პრობლემის გადაჭრის მიზნით, დღეისათვის ფართო გამოყენებას პოულობს ბიოტექნოლოგიის უახლესი მიღწევებით მიღებული გენმოდირიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე და საწარმო მასალა და ასევე გენმოდირიცირებული სასურსათო პროდუქტები.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული სასურსათო ნედლეული და სასურსათო პროდუქტები შეიცავენ უცნობ კომპონენტებს. მათი გამოყენების შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე არასასურველი ზემოქმედების მიზეზი შესაძლოა იყოს რეკომბინანტული დნმ ან მისი შესაძლო ექსპრესია. ამიტომაც, აუცილებელია შეფასებული იქნეს პოტენციური რისკები და განხორციელდეს შესაბამისი მონიტორინგი. ამისათვის კი აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში საკანონმდებლო, ნორმატიული და მეთოდური ბაზის არსებობა.

გაეროს გარემოს დაცვის ორგანიზაცია (UNEP – United Nations Environment Programme, 2007) „ბიოუსაფრთხოებას“ განმარტავს როგორც „ქმედებათა ერთობლიობას, რომელიც მოიცავს ბიოტექნოლოგიით მიღებული ტრანსგენური მცენარეებისა და ორგანიზმების, მათ შორის მიკროორგანიზმების გამოყენებით მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაცვას“.

პრაქტიკაში ტერმინი „ბიოუსაფრთხოება“, აღნიშნავს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ტრანსგენური ორგანიზმების გამოყენებით წარმოქმნილი პოტენციური რისკების კონტროლის, მართვისა და რეგულირების პოლიტიკას. ეს მოიცავს რისკების შემცირებისა და პრევენციულ ღონისძიებებს, მოსალოდნელ დადებით და უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს, განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმირებულობის, სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებისათვის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შემუშავების აუცილებლობას.

აგრარული ბიოტექნოლოგიისა და ბიოუსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირების ინსტრუმენტები, როგორც წესი, მოიცავს: 1. ბიოუსაფრთხოების; 2. სურსათის უვნებლობის, 3. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღებას.

ბიოუსაფრთხოების საკანონმდებლო ნორმები არეგულირებენ რისკებს, რომლებიც წარმოიქმნებიან თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული ორგანიზმების მცირემასშტაბიანი სავლელე

ცდების, ანდა კომერციული მიზნებით გამოყენებისას, გარემოში ინტროდუქციის დროს, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობას და ეკოლოგიურ გარემოს.

სურსათის უვნებლობის ინსტრუმენტები სამართლებრივ ჩარჩოს ქმნიან იმ რისკების რეგულირებისათვის, რომლებიც წარმოიქმნებიან გენმოდირებული სასურსათო პროდუქტების ან/და გენმოდირებული სასურსათო ინგრედიენტების გამოყენებისას. ამ ინსტრუმენტების საერთო მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და წარმოქმნილი რისკების მისაღებ დონემდე შემცირება “მინდვრიდან მაგიდამდე” სრულ სასურსათო ჯაჭვში. აღსანიშნავია, რომ ეს მოიცავს ასევე ცხოველის საკვებსაც.

აგრარულ ბიოტექნოლოგიასთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულირების სფეროა იმ სასურსათო პროდუქტებისა და ცხოველის საკვების ეტიკეტირება და ნიშანდება, რომლებიც მიღებულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით ან/და შეიცავენ გმ სასურსათო ინგრედიენტებს. ეს ინსტრუმენტები მიმართულია მომხმარებელთა უფლებებზე: – ა. ჰქონდეთ არჩევანის საშუალება და ბ. ვაჭრობის სამართლიანი პრაქტიკის ხელშეწყობა.

აგრარული ბიოტექნოლოგიისა და ბიოუსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება, როგორც წესი, მოიცავს სამართლებრივი ნორმების შემუშავებას ტრანსნაცონალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე.

ტრანსნაცონალური სამართლებრივი ნორმების შემუშავებას ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. რეგიონალურია მაგ. ევროკავშირის და აფრიკის კავშირის მიერ შემუშავებული დოკუმენტები. ეროვნულ დონეზე რეგულირება ნიშნავს ეროვნული კანონმდებლობის და სხვ. ნორმატიული აქტების შემუშავებას.

ბიოუსაფრთხოების საკანონმდებლო საფუძვლებს აქვთ სავალდებულო (Hard) და არასავალდებულო, ნებაყოფლობითი (Soft) ხასიათი. სავალდებულოა ხელშეკრულებითი ვალდებულებები, რომლებიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით; ხოლო ნებაყოფლობითია არა-ხელშეკრულებითი ვალდებულებები, დეკლარაციები, სახელმძღვანელო პრინციპები, რეზოლუციები და სხვ. ბიოუსაფრთხოების საკანონმდებლო საფუძვლები სწორედ მათ ურთიერთკავშირს განსაზღვრავს.

ბიოტექნოლოგიისა და ბიოუსაფრთხოების საერთაშორისო დოკუმენტების შემუშავებას საფუძველი ჩაუყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, თუმცა არანაკლებ როლს ასრულებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც დღეისათვის 153 ქვეყანას აერთიანებს და რომელიც მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმების შემუშავების აუცილებლობას.

საერთაშორისო და რეგიონალურ დოკუმენტებში მოცემულია ზოგადი პრინციპები და რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ ასახულ უნდა იქნეს ეროვნულ კანონმდებლობაში, სხვადასხვა ქვეყანას შეუძლია განსაზღვროს ამ დოკუმენტის ძირითადი პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვისა და განხორციელების სხვადასხვა გზები, რომლებიც არ შეიძლება წინააღმდეგობაში იყოს საერთაშორისო დოკუმენტებთან.

ბიოტექნოლოგიისა და ბიოუსაფრთხოების რეგულირების სავალდებულო ხასიათის დოკუმენტებია: „ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო კონვენცია“ (“Convention on Biological Diversity” – 1992 წ.), რომლის მიზანია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, მისი კომპონენტების თანაბარზომიერი გამოყენება, გენეტიკური რესურსების გამოყენებით ერთობლივი სარგებლის მიღება სამართლიან და თანასწორ საფუძველზე, გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, ამ რესურსებსა და ტექნოლოგიებზე ყველა უფლებების დაცვით და საჭირო დაფინანსებით“.

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის კარტაჟენას ოქმი“ (Cartagena “Protocol” – 2000 წლის 29 იანვარი), რომელიც მიზნად ისახავს “ხელი შეუწყოს უსაფრთხოების სათანადო დონის დაცვას იმ სფეროში, რომელიც ეხება თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდების გამოყენებით მიღებული ისეთი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების უსაფრთხო გადაცემას, მოპყრობას და გამოყენებას, რომელთაც შეუძლიათ მავნე გავლენა მოახდინონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე”. ოქმის მიზანია ასევე „გაითვალისწინოს საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობისათვის და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ამ ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას”. კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ოქმი ავალდებულებს ყველა ქვეყანას შექმნას საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამდივნოს წინაშე.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“ (TBT – “Technical Barriers to Trade” – 1979, 1995) მოიცავს რეგლამენტების, სტანდარტების, გამოცდებისა და სერტიფიცირების ისეთი პროცედურების შემუშავების ვალდებულებას, რომელიც ხელს არ შეუშლის საერთაშორისო ვაჭრობას. ეს არაპირდაპირ, მაგრამ აუცილებლად ეხება თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული როგორც იმპორტირებული, ისე ეროვნული პროდუქტების შეფუთვისა და ეტიკეტირებას.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის „შეთანხმება სანიტარიულ და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ“ (SPS Sanitary and Phytosanitary Measures – 1986 წ.), რომელიც არაპირდაპირ არეგულირებს ბიოუსაფრთხოების საკითხებს. მუხლი 2. პუნქტი 3-ის თანახმად, „წევრები უზრუნველყოფენ, რომ მათი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები არ მოემსახურება თვითნებურ ან გაუმართლებელ დისკრიმინაციას წევრ-ქვეყნებს შორის, რომლებშიც ჭარბობს იდენტური ან მსგავსი პირობები, საკუთარი ტერიტორიებისა და სხვა წევრ ქვეყანათა ტერიტორიების ჩათვლით. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები არ იქნება გამოყენებული იმ სახით, რომ წარმოადგენდეს ფარულ დაბრკოლებას საერთაშორისო ვაჭრობისათვის“.

2010 წლის იანვრის მდგომარეობით, ვმო-ს წევრი ყველა ქვეყანა ავტომატურად მიერთებულია მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და სადავო საკითხების გადაწყვეტისას სარგებლობენ ვმო-ს რეგულირების ნორმებით.

„კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, იგივე „ორჰუსის კონვენცია“ (“Convention on Access to Information, Public Participation in Decision-Making and Access to Justice in Environmental Matters” – 1998 წ.). მისი მიზანია, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება, იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის საჭირო შესაფერის გარემოში, ყველა მათგანს ეძლევა უფლება საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების პროცესში მათი მონაწილეობის შესახებ“. კონვენციის მე-6 მუხლი, პუნქტი 11-ის თანახმად, „ყოველი მხარე, საკუთარი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის მიხედვით, გამოიყენებს წინამდებარე მუხლის (“საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“) პირობებს, იმ გადაწყვეტილებათა მიღებისას, როდესაც საკითხი ეხება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში წინასწარ მოფიქრებულად გაშვებისათვის ნების დართვას“.

კორჰუსის კონვენციის ხელშეკრულ მხარეთა მიერ 2003 წელს მომზადდა დოკუმენტი – „საზოგადოებისათვის გმ-ორგანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მართლმსაჯულების სფეროში ხელმისაწვდომობის სახელმძღვანელი პრინციპები“ (Aarhus Convention: The International Treaty on Plant Genetic Resources for Food and Agriculture), რომლის მე-6 მუხლი 2005 წელს შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „საზოგადოების დაუყოვნებლივი და ეფექტური ინფორმირება ვმო-ს გარემოში ინტროდუქციისა და ბაზარზე განთავსების შესახებ“.

“საერთაშორისო შეთანხმება მცენარეთა გენეტიკური რესურსების სურსათსა და სოფლის მეურნეობაში გამოყენებაზე” (ITPGRFA – International Treaty on Plant Genetic Resources for Food and Agriculture – 2004), რომლის თანახმადაც, გენეტიკური რესურსების გაცვლას და საერთაშორისო თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ასეთი რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბარზომიერი განაწილება პრაქტიკულად პირველად იქნა გაცხადებული საერთაშორისო დონეზე.

„მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია“ (IPPC – International Plant Protection Convention – 1951, ცვლილებები 1997, 2005 წწ). არეგულირებს მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებებს და მათი ფიტოსანიტარიული კონტროლის მექანიზმებს. „მავნებლები“, კონვენციის თანახმად, ფართო ცნებაა და მოიცავს ნებისმიერ ბიოტიპს, მათ შორის ვმო-საც, რომლებიც მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციისათვის რისკებს წარმოქმნიან.

კონვენციის ფიტოსანიტარიული ღონისძიებების კომისიის (CPM – Commission on Phytosanitary Measures) მიერ შემუშავებულ იქნა ფიტოსანიტარიული ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტები (ISPM – International Standards for Phytosanitary Measures), რომლის 11 სტანდარტი ეხება ფი-

ტოსანიტარიულ რისკებს, ხოლო მის მე-3 დანართში მოცემულია რეკომენდაციები გმო რისკებთან დაკავშირებული ფაქტორების დადგენის შესახებ.

საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიურო (Office International des Epizooties – World Organization for Animal Health – OIE), საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია მსოფლიოში ცხოველთა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ორგანიზაციაში 2005 წელს შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი და შემუშავებულ იქნა „დანართები გენური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიით მიღებული პროდუქტების მეცხოველეობაში გამოყენების შესახებ“.

„მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია“ (UPOV – International Union for the Protection of New Varieties of Plants – 1961, ცვლილებები 1972, 1978, 1991 წწ), რომლის მე-14 მუხლის („სელექციონერის უფლებები“) პუნქტი 5-ის თანახმად, ჯიში ჩაითვლება არსებითად წარმოებული საწყისი ჯიშისაგან ან სხვა ჯიშისაგან, რომელიც თვით არის წარმოებული საწყისი ჯიშისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ინარჩუნებს ძირითადი ნიშნების გამოვლენის ხარისხს, რომელიც საწყისი ჯიშის გენოტიპის ან გენოტიპების კომბინაციის შედეგია“.

არასავალდებულოა სტანდარტების პროგრამა, რომლის მიზანია სურსათით ვაჭრობის სამართლიანი პრაქტიკის დამკვიდრება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ამ სტანდარტებს შეიმუშავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ 1962 წელს შექმნილი **Codex Alimentarius**-ის კომისია. იგი წარმოადგენს სამთავრობათშორისო ორგანოს.

აღსანიშნავია, რომ **Codex Alimentarius** კომისიის წევრობა ნებაყოფლობითი იყო, მაგრამ 1995 წლიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ორი ძირითადი შეთანხმების საფუძველზე – „შეთანხმება სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებსა“ (SPS) და „შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების გადალახვის (TBT) შესახებ“ – Codex Alimentarius-ის კომისიის მიერ შემუშავებული სტანდარტები და რეკომენდაციები ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებად განისაზღვრა საერთაშორისო ვაჭრობაში.

Codex Alimentarius – კომისიის მიერ გმო-ს რეგულირებისათვის შემუშავებულია რიგი სტანდარტები:

CAC/GL 44-2003. „თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული სასურსათო პროდუქტების რისკის ანალიზის პრინციპები“. მასში მოცემულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გმო შემცველი ან/და მისგან წარმოებულ სურსათთან დაკავშირებული რისკის ანალიზის ჩატარებისას;

CAC/GL 45-2003. „მცენარეული რეკომბინანტული დნმ-ის შემცველი სურსათის უვნებლობის შეფასების სახელმძღვანელო“. მასში მოცემულია მეთოდები ასეთი სასურსათო პროდუქტების რისკების შეფასებისათვის იქ, სადაც განთავსებულია ტრადიციული ტექნოლოგიით მიღებული „ორეულები“. იგი იძლევა ასევე მონაცემთა და ინფორმაციის იდენტიფიკაციას, რომელიც ასეთი შეფასებისათვის გამოიყენება;

CAC/GL 46-2003. „მიკრობული რეკომბინანტული დნმ-ის შემცველი სურსათის უვნებლობის შეფასების სახელმძღვანელო“. მასში მოცემულია ასეთი სასურსათო პროდუქტების რისკების შეფასება მათი ტრადიციული ტექნოლოგიით მიღებულ „ორეულებთან“ შედარების გზით. იგი იძლევა ასევე მონაცემთა და ინფორმაციის იდენტიფიკაციას, რომელიც ასეთი შეფასებისათვის გამოიყენება;

როგორ აისახება საქართველოს კანონმდებლობაში ბიოუსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები?

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ქართული სამართლებრივი სისტემის ნაწილია, ამასთანავე, თუკი საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობები ეწინააღმდეგება შიდა კანონმდებლობას, უპირატესობა საერთაშორისო ხელშეკრულებებს ენიჭებათ (თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას)“. საქართველო ზემოაღნიშნულ სავალდებულო ხელშეკრულებების ხელშეკრველ მხარეს წარმოადგენს, რამდენადაც:

1993 წლიდან არის ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIV) წევრი;

1994 წლის 21 აპრილიდან რატიფიცირებულია „ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო კონვენცია“, რომლის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საქართველოს მთავრობას დაევალა ოთხ თვეში შეემუშავებინა და საქართველოს პარლამენტისათვის წარედგინა „წინადადებანი ბიოლო-

გიური მრავალფეროვნების კონვენციის დებულებასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

1997 წლიდან – **Codex alimentarius**-ის კომისიის წევრი. არ არის რეგისტრირებული ზემოაღნიშნული სტანდარტები.

2000 წლიდან – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი;

2000 წლიდან, პარლამენტის 135 დადგენილებით რატიფიცირებულია ორჰუსის კონვენცია.

2002 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) საბჭოს სესიაზე დამტკიცებული „ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემების განვითარების“ პროგრამის განხორციელება.

2003 წლიდან საქართველოში მიმდინარეობდა UNE/GEF-ის პროექტი „ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება“, რომლის მიზანს საქართველოში კარტახენას ოქმის პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის პროექტის შექმნა წარმოადგენდა.

2005 წელი – დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება 27 – „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“, რომლის 2.6 თავში შეფასებულია საქართველოში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული პროდუქციის მიმოქცევასთან დაკავშირებული პრობლემები.

2005 წელი – შემუშავდა საკანონმდებლო პაკეტი „გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ და მასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები. ამ პროექტში დაწარმის სახით წარმოდგენილია „ბიოუსაფრთხოების“ განხორციელების სქემა.

2005 წელი – რატიფიცირებულია „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია“ და 2010 წელს მიღებულია საქართველოს კანონი „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“.

2006 წლიდან – „მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის“ წევრი.

2006 წლიდან – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) წევრი.

2007 წელი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა სახელმწიფო სტანდარტი 68:2007 – „ბიოლოგიური აგრონარმოების განხორციელების შესახებ“, რომელშიც მოცემულია აკრძალვები გმო-სთან დაკავშირებით.

2008 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის 26 სექტემბრის 305 დადგენილებით რატიფიცირებულია კარტახენას ოქმი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წელს მომზადდა „გარემოს დაცვის კოდექსი“-ს პროექტი, რომლის 397-ე მუხლით განსაზღვრულია „გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობა“; 398-ე მუხლი არეგულირებს „გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას“, მუხლი 222. განსაზღვრავს სახელმწიფოს ამოცანებს გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის სფეროში, ხოლო მუხლი 204-212 – არეგულირებს სახელმწიფოს ამოცანებს ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში. აღნიშნული კოდექსი დღეისათვის არ არის მიღებული.

2009 წელი – საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადდა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და პროდუქტების გამოყენების შესახებ“. ნორმატიული აქტი არ არის მიღებული.

2010 წელი – მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ“ – აღნიშნული ნორმატიული აქტი არ არის დამტკიცებული.

2010 წელი – მხარეთა მე-10 კონფერენციაზე ქ. ნაგოიაში მიღებულ იქნა ბიომრავალფეროვნების ახალი სტრატეგიული გეგმა 2011-2020 წლისათვის. საქართველომ აიღო ვალდებულება განაახლოს მუშაობა NBSAP ახალი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, რომლის მე-5 თემატური კომპონენტია „ბიოუსაფრთხოება“ და 2015 წლისათვის მიიღოს ის, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი.

2010 წლის მაისში გარემოს დაცვის სამინისტრომ დაიწყო NBSAP-ის განახლების პროცესი, მომზადდა ნაგოიას ოქმის ქართულენოვანი ტექსტი „გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი თანაბარი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან და თანაბარ განაწილებაზე“, რომელსაც ხელი მოეწერა 2011 წლის 20 სექტემბერს ქ. ნიუ-იორკში.

„სურსათის უვნებლობის“ ინსტრუმენტი ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია EC 178/2002, რომელიც ეხება „სურსათის შესახებ კანონის ზოგად საფუძვლებსა და მოთხოვნებს, სურსათის უვნებლობის საკითხებში ევროპის უზენაესი ორგანოს შექმნას და პროცედურებს.“). 2005 წელს მიღებულია საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“. კანონის მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათთან მიმართებაში, შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. კანონი არეგულირებს სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის, ხარისხის, ეტიკეტირების ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელთა და დისტრიბუტორთა ვალდებულებებს, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის და ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს, განსაზღვრავს სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციებს.

კანონის შესაბამისად, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებად განისაზღვრა რისკის ანალიზი, გაფრთხილების პრინციპი, გამჭვირვალობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

პირველად ქართულ საკანონმდებლო სივრცეში შემოდის რისკის ანალიზის ცნება და ზოგადად რისკის ანალიზზე დამყარებული მიდგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ სურსათის უვნებლობის სფეროში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და გატარებული ქმედება რისკის შეფასების შედეგებს უნდა ეფუძნებოდეს. აღიარებულ იქნა ინტეგრირებული მიდგომა „ფერმიდან მაგიდამდე“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 2-143 ბრძანებით დამტკიცდა „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და კომუნიკაციების პროცედურები“, რომელშიც მოცემულია რისკის ანალიზის პროცედურები. იგი ზოგადი ხასიათის დოკუმენტია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გმო-შემცველი სასურსათო პროდუქტებისთვისაც.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში 2010 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად, „ბიონარმოება ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას“.

რაც შეეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინსტრუმენტს, ის სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს გმო სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის 2-231 ბრძანებით დამტკიცებულია „დამატებითი მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირებისადმი“, რომლის მე-9 მუხლი განსაზღვრავს „გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტირებას“. ამ მუხლის თანახმად, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენებით დამზადებული სურსათი, რომლის შემადგენლობაში გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები სურსათის საერთო მასის 0,9%-ზე მეტია, ექვემდებარება სავალდებულო აღნიშვნას“. მასში მიცემულია ასევე გმინგრედიენტებისა და დაუფასოებელი სურსათის ეტიკეტირების საკითხები.

2010 წელს საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების (მუხლი 1543) თანახმად, „ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით“.

ამდენად, ქვეყანაში აგრობიოტექნოლოგიის განვითარებისა და ბიოუსაფრთხოების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანი აქტივობებია განხორციელებული, თუმცა, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ძირითადი ვალდებულების სრულად შესრულებისა და სამართლებრივი რეგულირებისათვის აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება.

KETEVAN LAPERASHVILI

Ministry of Agriculture of Georgia

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Associate Professor

RATI KERESLIDZE

Ministry of Agriculture of Georgia

REGULATORY FRAMEWORK OF AGROBIOTECHNOLOGY AND BIOSAFETY

S u m m a r y

Usage of genetically modified seeds and food produced by modern means of biotechnology is getting a more frequent practice for ensuring food safety in the modern world. The presented article deals with the regulatory framework on biotechnology in Georgia, including problematic issues and legislative basis of biosafety, food safety and consumer rights.

საქართველოს აგროსექტორის მდგრადი განვითარების ეკონომიკური ტენდენციები

საქართველოს უდიდესი აგრარული პოტენციალი გააჩნია, რომლის გამოყენებაც ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ხერხდება. ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თუმცა ამ პოტენციალის რეალიზებასა და დასახული მიზნების მიღწევას მრავალი სირთულე აფერხებს.

აგრარული სექტორის საქმიანობის საშედეგო მაჩვენებლები მიგვითითებენ იმ კრიზისულ მდგომარეობაზე, რომელშიც იგი იმყოფება დღეს. ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17% პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სექტორზე, საშუალო მოსავლიანობა პოტენციურის მხოლოდ 1/3-ს შეადგენს, სახნავ-სათესი ფართობების დაახლოებით 1/3 არ გამოიყენება წარმოებაში, სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 52%-ით სჭარბობს ექსპორტს, იმ ფერმერთა რაოდენობა, რომელთა მეურნეობის ფართობიც 4 ჰა-ს აღემატება, შეადგენს 16 ათასს, რაც კერძო საკუთრებაში არსებული მიწების საერთო ფართობის 40%-ია.

სამწუხაროდ, თუ რაიმე ფართომასშტაბიანი კონკრეტული ღონისძიებები არ განხორციელდა, მოსალოდნელი არ არის, რომ სექტორის მდგომარეობა უახლოეს მომავალში არსებითად გაუმჯობესდება. ამჟამად სოფლის მეურნეობის უმთავრესი ამოცანაა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდის მისაღწევად აუცილებელი საფუძვლების მომზადება. შესაბამისად, მომავალ ათწლეულში სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორის რეალური წლიური ზრდის პროგნოზი შემდეგნაირად გამოიყურება: (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1*

სოფლის მეურნეობის სექტორის რეალური წლიური ზრდის პროგნოზი

2006-2009	5-7%
2010-2012	10-12%
2013-2015	13-15%
სულ ათ წელიწადში	30-37%

*წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015წ/წ.“ თბილისი, 2006 წ.

საბოლოოდ, სოფლის მეურნეობის რეალური წლიური 3-პროცენტის ზრდის უზრუნველყოფა, ან მთელ სტრატეგიულ პერიოდში 1/3-ით გაზრდის მიზანი, ერთგვარი ამბიციურობის მიუხედავად, სავსებით რეალურია. სტრატეგიის განხორციელების პირველი 3-5 წლის განმავლობაში მიღწეული წლიური რეალური ზრდის ტემპი შესაძლოა 1 პროცენტს არ აღემატებოდეს, რადგანაც ამ პერიოდში ძირითადად წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების ხელშემწყობი ღონისძიებები უნდა გატარდეს. რა თქმა უნდა, იქიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ბევრ გარე (ამინდი, დაავადებები, ბაზრები და სხვა) ფაქტორზე დამოკიდებული, ყოველწლიურად მოსალოდნელია დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლიდან როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გადახრები.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორი საგარეო სავაჭრო ბალანსის მიხედვით სხვა სექტორებისაგან არ განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლიდან სურსათისა და აგრარული პროდუქციის ექსპორტი მნიშვნელოვნად იზრდება, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2003–2010 წლებში სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტის იმპორტის მთელმა მოცულობამ ექსპორტს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. თუ ამ სექტორისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებსაც გავითვალისწინებთ (მაგ.: შხამქიმიკატები, თესლი, მონწყობილობა, ტარა, შესაფუთი მასალა), ამ სექტორის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი სარკისებურად ასახავს ეკონომიკის საგარეო ბალანსის პასიურ საღდოს. მართალია ვითვალის-

წინებით იმას, რომ აგრარული პროდუქტების ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნულ მონაცემებში შეიძლება ვერ აისახოს (მაგ., რუსეთში სამაჩაბლოს რეგიონის და აფხაზეთის გავლით გასული პროდუქცია), ბალანსის უარყოფითი სალდო მაინც შემამფოთებელია და ეს მაშინ, როცა ქვეყანას აგრარული პროდუქციის გაცილებით უფრო დიდი მოცულობით წარმოების საკმაო პოტენციალი აქვს.

ექსპორტის ზრდის მეშვეობით სავაჭრო სალდოს დასაბალანსებლად მთავრობას ჯერაც არ დაუსახავს რაიმე სპეციფიკური ამოცანა, ამ დისბალანსის აღმოფხვრის სურვილის გამოცხადების გარდა. თუმცა ამ სტრატეგიით ზომების განხორციელებისა და მისი შედეგების შეფასების მიზნით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში გარკვეული ღონისძიებები გატარდა. საშუალოვადიან პერიოდში ექსპორტის ზრდის პოტენციალი, ენერგეტიკის გარდა, გადაზიდვებს და, შედარებით ნაკლებად, ტურიზმს, სურსათისა და სოფლის მეურნეობას (მაგ., ღვინო, ვაშლის წვენის გადამუშავება) გააჩნიათ. სამწუხაროდ, ეროვნული პრიორიტეტების განსაზღვრისა და ბიუჯეტის თანხების განაწილების დროს ამ ფაქტს ხშირად უგულვებლყოფენ.

მართალია, სასურველია აღმოიფხვრას ამ სექტორში არსებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, მაგრამ მოკლე ვადაში ეს ალბათ შეუძლებელია (თუმცა, ღვინის მრეწველობაში დამატებული ღირებულების ზრდის შესაძლებლობის გამო, სავარაუდოა სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის წარმოებაზე სწრაფი ტემპით ზრდა, თუ ბაზრების წარმატებულ დივერსიფიკაციასა და რუსეთის ემბარგოს საქართველოს სასარგებლოდ გადანაცვლებას ვივარაუდებთ).

ბოლო წლებში მიმდინარე მიგრაციის გამო, ძნელი დასადგენია, თუ როგორი ტემპით იზრდება საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელიწადში გარკვეული სტაბილურობა აშკარად შეინიშნება. აქედან გამომდინარე, მომავალ ათწლეულში შეიძლება კვლავ განახლდეს მოსახლეობის მატების პროცესი. თუ მოსახლეობის რიცხვი წელიწადში 1-2%-ით გაიზრდება, მომავალ 3-5 წელიწადში ეს მეტი მოსახლეობა ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებულ მთელ ნამეტ პროდუქციას მოიხმარს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა. ინვესტიციის უმეტესობა იმპორტირებული იქნება, რაც ყოველთვის არ დაფინანსდება დონორების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, ან დაიფარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. ეს, თავის მხრივ, დააბალანსებს საგარეო ვაჭრობის პასიურ სალდოს საგადამხდელ ბალანსს.

ყველა ამ ფაქტორის ფონზე, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ექსპორტისა და საერთო სავაჭრო ბალანსის რეალური მიზნები ასე გამოიყურება: (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2¹

საქართველოში ექსპორტისა და სავაჭრო ბალანსის საპროგნოზო მაჩვენებლები

წლები	ექსპორტი	სავაჭრო ბალანსი
2006-2009	8-10%	(8-10%)
2010-2012	12-15%	10-15%
2013-2015	21-24%	40-50%
სულ ათ წელიწადში	46-57%	45-55%

მთელი პერიოდის განმავლობაში ზომიერი ზრდის შემთხვევაში, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ექსპორტის რეალური ღირებულება წელიწადში საშუალოდ 5 პროცენტით, ან მთლიან პერიოდზე გადაანგარიშებით, 50 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ზრდის ტემპი, სავარაუდოდ, სტრატეგიის განხორციელების ბოლო პერიოდში გაიზრდება. მართალია ბოლო წლებში მიღებული ცვლილებები ექსპორტისა და სავაჭრო ბალანსის სფეროებში საკმაოდ მსგავსია, მაგრამ განსხვავდება ამ ცვლილებებამდე მიმდინარე პროცესები. სავაჭრო ბალანსი უფრო სამომხმარებლო იმპორტის ფუნქციაა, თუმცა, მთელი პერიოდის განმავლობაში ნავარაუდები საგარეო სავაჭრო ბალანსის 50 პროცენტის გაუმჯობესება ბალანსს გააწონასწორებს.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ სხვა ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალონ ეს პროგნოზირებული მაჩვენებლები. პირველი, ყველაზე მწვავე სადღეისო პრობლემა ქარ-

¹ წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015წ/წ.“ თბილისი, 2006 წ.

თულ ხილზე, ბოსტნეულზე, ღვინოზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და მინერალურ წყლებზე რუსეთის ფედერაციის მიერ დაწესებული ემბარგოა. ეს პრობლემები შედარებით ახლო მომავალშიც რომ გადაწყდეს დადებითად, ემბარგოთი მიღებული უარყოფითი შედეგები ტვირთად კიდევ დიდხანს გაჰყვება ეკონომიკას და შეზღუდვას კონტრაგენტების სურვილს გაზარდონ წარმოება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც სწორედ რუსეთისთვის იქნებოდა განკუთვნილი. თუ ასე მოხდება, მაშინ ექსპორტის ზრდა (ისევე, როგორც მთელი სოფლის მეურნეობის ზრდა) ბევრად უფრო ნელი იქნება და ბაზრების დივერსიფიკაციას გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდება იმასთან შედარებით, რასაც რუსეთის უკვე მეტ-ნაკლებად ათვისებულ ბაზრებზე მეტი პროდუქციის გატანას დასჭირდებოდა.

ტარიფების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების შემცირებისა და ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, ბოლო 8 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მონაცემები არცთუ ისე საიმედოა. უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებული მონაცემები მიგვანიშნებს, რომ იზრდება იმ საქონლის ჯგუფების პერსპექტივები, რომელთა წარმოება შესაძლებელია საქართველოში (იხ. ცხრილი 3).

მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ მარცვლოვნებისა და ზეთოვანი კულტურების ნედლეული და მზა პროდუქცია წარმოადგენს იმპორტის ერთადერთ მსხვილ კატეგორიას (100-200 მილიონი დოლარი), ანუ მთლიანი მოცულობის დაახლოებით 60%-ს. შემდეგ მოდის საქონელი, ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, რომელთა ღირებულება დაახლოებით 40-50 მილიონ აშშ დოლარს უდრის, ანუ დაახლოებით იმპორტის 30%-ს. ხილი და ბოსტნეული შედარებით მცირე პროპორციითაა გამოხატული, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათი ექსპორტი გარკვეულად აწონასწორებს სხვა საქონლის იმპორტით გამოწვეულ დისბალანსს. ცხადია, ეს გახლავთ პროდუქციის ის კატეგორია, რომლის ნედლი და გადამამუშავებული ფორმა ექსპორტის ზრდის დიდი პოტენციალით ხასიათდება. თევზი და კვერცხი, რომელსაც ვერანაირად ვერ ჩავთვლით უმნიშვნელო კატეგორიად, უმცირესია ამ ძირითად კატეგორიებს შორის.

იმპორტისა და ექსპორტის მონაცემების გაანალიზებით, გვექმნება თვითუზრუნველყოფის დონის შეფასების შესაძლებლობა.

ცხრილი 3¹

პირველადი სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავაჭრო ბალანსი:
2003-2010წ/წ. (მილიონი აშშ. დოლარი)

წელი	მარცვლოვნები, ზეთოვანი კულტურები	ხორცი ²	ცხიმი და ზეთი	რძე	ხილი და ბოსტნეული	თევზი	კვერცხი	სულ
2003	(70.9)	(13.2)	(13.0)	(8.6)	7.7	(2.7)	3.5	(97.2)
2004	(35.9)	(16.0)	(4.2)	(5.2)	8.9	(1.0)	5.6	(47.8)
2005	(56.5)	(12.4)	(6.1)	(3.9)	5.0	(1.2)	2.3	(72.8)
2006	(43.6)	(14.7)	(9.4)	(3.1)	10.3	(0.8)	2.4	(68.9)
2007	(31.9)	(15.6)	(8.0)	(2.3)	7.9	(1.2)	1.4	(49.7)
2008	(38.0)	(17.0)	(10.1)	(4.2)	9.5	(1.7)	2.2	(59.3)
2009	(123.2)	(22.8)	(22.9)	(13.4)	16.7	(4.1)	4.4	(165.3)
2010	(97.7)	(20.6)	(32.3)	(19.9)	69.1	(8.1)	4.3	(105.2)

შენიშვნა: ხილი, ბოსტნეული და კვერცხი განიხილება მხოლოდ ექსპორტის კუთხით და არა ნეტო სავაჭრო ბალანსის კუთხით, რადგან მათი ექსპორტირება უფრო დიდი მოცულობით მიმდინარეობს, ვიდრე იმპორტირება; თანაც, როგორც წესი, კვერცხის რეექსპორტი არ ხდება. იმისათვის, რომ უკეთესად აღვიქვათ სოფლის მეურნეობის სექტორში სავაჭრო მოძრაობის შედეგი, ყურადღების გამახვილება ორ დამატებით ფაქტორზეა აუცილებელი: 1) საზღვრების ფიზიკური კონტროლი და 2) სხვა ქვეყნები, რომლებიც საქართველოში დემპინგური ფასით (საწარმოო დანახარჯზე დაბალი ღირებულებით) ყიდნიან საქონელს. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, დროის მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობა

¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, „საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2009“, თბილისი, 2009 წ.

² მოიცავს უმ, გადამამუშავებულ და შეფუთულ ხორცს.

საზღვარზე არაოფიციალურად მოძრაობდა, განსაკუთრებით თურქეთისა და სომხეთის საზღვარზე. გარდა ამისა, საქართველოში შემოდიოდა თურქული საქონელი, რომელიც ლეგალურად, ან არალეგალურად და თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად იყიდებოდა. თურქეთში წარმოიქმნა პროდუქციის სიჭარბე, რომლის უტილიზაციის საშუალება ტრადიციულ ბაზარს არ გააჩნდა. იმისათვის, რომ თურქ მწარმოებელს საწარმოო ხარჯი დაეფარა (ანუ მოსავალსა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული და ზედნადები ხარჯები), მათ პროდუქტი სხვა ქვეყნებში იმაზე უფრო იაფად შეიტანეს, ვიდრე საკმარისი იყო სრული საწარმოო ხარჯების დასაფარად.

თუ იმპორტით საქართველოში შემოსული პროდუქტი ინარმოება, ან, შესაძლოა, ინარმოებოდა, მაშინ მისი კონტრაბანდული გზით ან დემპინგურ ფასად შემოტანა უსამართლოა და ნეგატიურად ზემოქმედებს შიდა ფასებზე, რაც, თავის მხრივ, ამცირებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო შემოსავლებს, გარდა ამისა, აქრობს პროდუქტის ამჟამინდელ ან პოტენციურად რენტაბელურ დონეზე წარმოების ყოველგვარ სურვილს. თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული ტენდენცია, ამას კარგად უჩვენებს 2010 წლის ხახვის მოსავლის მიღების სეზონი მარნეულსა და ბოლნისში. ადრეულ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უფრო თავისუფლად გადაადგილდებოდა საზღვარზე, წითელ ხიდზე, რომელიც სომხეთთან გვაკავშირებს. როდესაც საზღვარზე გადაადგილება შეიზღუდა, ადგილობრივად წარმოებული ხახვის მოცულობა და ფასი გაორმაგდა. გამოდის, რომ კონტრაბანდა ამცირებდა ხახვის ქართველი მწარმოებლების შემოსავლებს, სანამ წარმოება მოგებას ნახავდა გაზრდილი ფასებით, რამაც საბოლოოდ შექმნა უარყოფითი პირობები წარმოების გაფართოებისათვის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის საქართველოს გააჩნია შესაბამისი პოტენციალი. ცხადია, მდგრად განვითარებაში უნდა ვიგულისხმოთ ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფა მოთხოვნა-მიწოდების და პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მოცულობათა რაციონალური დაბალანსების საფუძველზე. ამისათვის საჭიროა ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოტენციალის, მათ შორის მიწის, კაპიტალის, შრომის, ცოდნის, სამეწარმეო უნარის, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის უფრო აქტიური ამოქმედება და კოოპერაციულ სანქსებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნა.

MARINA LEZHAVA

Agrarian University of Georgia

ECONOMIC TENDENCIES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIAN AGRO SECTOR

S u m m a r y

Against the background of the world crisis it is very important to create the appropriate environment for sustainable development of state economy of Georgia. Therefore, as our country holds an important potential in the agrarian sector, stimulation of sustainable development of agro sector should be prioritized.

Nowadays Georgian agriculture needs significant improvement of its financial-economic situation. Despite the economic and agrarian reforms carried out, in the country, there does not exist an integral, flexible system for the development of a perfect kind of agro-industrial complex. In my opinion, the most important factor which will help to overcome the existing crisis is a correct realization of the reforms, systematic spending of the finances allocated for agriculture and attraction of foreign investments.

ФОРМИРОВАНИЕ МЕХАНИЗМА ОБЕСПЕЧЕНИЯ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ АПК УКРАИНЫ В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ

В эпоху глобализации и открытости все возрастающее значение приобретает способность национальных экономик максимально использовать свои естественные природно-климатические, территориальные, ресурсные преимущества для того, чтобы производимая там продукция и услуги могли успешно соперничать с зарубежными аналогами и пользоваться спросом на мировом рынке, обеспечивая тем самым высокий жизненный уровень местного населения. Все более важным показателем эффективности национальных экономик становится возможность привлечения как внешних, так и внутренних инвестиций. Огромное влияние на конкурентоспособность оказывает весь комплекс мер государственной экономической и финансовой политики и, в частности, курсовая политика.

Сегодня АПК является одной из наиболее инвестиционно привлекательных отраслей Украины. Вместе с тем, существует ряд факторов, влияющих как на повышение, так и на снижение интереса к украинскому сельскому хозяйству.

Таблица 1.

Факторы повышения/снижения инвестиционной привлекательности АПК Украины [11]

Факторы, повышающие интерес	Факторы, снижающие интерес
Дефицит продуктов питания, повышающий спрос на продовольствие в мире и стимулирующий рост цен на мировом рынке.	Отток рабочей силы из сельской местности, ведущий к ее дефициту.
Рост конкуренции между главными геоэкономическими игроками за контроль над сельскохозяйственными ресурсами.	Высокий уровень коррупции, который влияет на себестоимость продукции.
Реформы по либерализации рынка земли.	Непредсказуемость государственной экспортной политики.
Низкая арендная плата за землю.	Ухудшение качества грунтов.
Низкий уровень инфраструктуры в аграрных регионах	Низкий уровень оплаты труда и тренд к дальнейшему её снижению.

В условиях политической стабильности, власть имеет все возможности для того, чтобы повысить инвестиционную привлекательность АПК и сделать его стратегически успешным сектором экономики. Для этого в первую очередь необходимо снять фактор коррупции и установить предсказуемую политику экспорта. Кроме того, инвестиционную привлекательность сельскохозяйственной отрасли Украины усилит проведение либеральных реформ и формирование рынка земли. При этом целесообразно учитывать ряд принципиальных факторов и особенностей современного аграрного производства на постсоветском пространстве:

- менее благоприятные природно-климатические условия ведения сельского хозяйства по сравнению с важнейшими странами-экспортерами, включая США и большинство стран Европейского Союза;
- существенно более низкий уровень государственной поддержки аграрного сектора по сравнению с развитыми зарубежными странами как в части внутренней поддержки производителей, так и в части экспортного субсидирования продовольственной продукции для ее продвижения на внешние рынки;
- непреодоленны пока еще последствия затяжного системного кризиса 90-х гг., вызвавшего глубокую деформацию всей социально-экономической структуры народного хозяйства, а также влияния мирового финансового кризиса 2008–2010гг.;
- традиционно слабое развитие производственной и рыночной инфраструктуры, что в условиях большой территории и сурового климата способно самым серьезным образом влиять на конечную эффективность сельскохозяйственного производства;
- низкая наукоемкость отечественного сельского хозяйства и все возрастающий разрыв в этом отношении с зарубежными странами, что актуализирует задачу выбора приоритетных направлений развития аграрного производства, обеспечивающих его устойчивый рост в долгосрочной перспективе;

- первостепенное политическое значение аграрного сектора как гаранта национальной продовольственной безопасности и развития экспортного потенциала;
- важная социальная и территориальнообразующая функция сельскохозяйственного производства, позволяющая закреплять население и обеспечивать его занятость в труднодоступных районах, регионах со сложными климатическими условиями, создавая тем самым необходимые предпосылки большей равномерности расселения, обеспечения территориальной целостности государства, рационального использования и охраны уникальных природных и биологических ресурсов.

С переходом на рыночную систему хозяйствования сельские товаропроизводители, специалисты и руководители агропромышленных предприятий все глубже осознают роль маркетинга в товарном производстве, все активнее используют его элементы в повседневной хозяйственной деятельности. Это неизбежно так, как маркетинг во многом определяет конечный результат работы предприятия. В современных условиях фирмы вынуждены искать эффективные формы управления маркетингом и самостоятельно строить маркетинговые отношения. Объективные законы рыночной системы хозяйствования требуют от законодательной и исполнительной властей принятия определенных макромаркетинговых мер по регулированию продовольственного рынка, которые не в состоянии осуществить на микроуровне непосредственные товаропроизводители.

Агромаркетинг сельскохозяйственных предприятий АПК рассматривается нами как совокупность всех видов деятельности, входящих в процесс продвижения пищевых продуктов и услуг, начиная с сельскохозяйственного производства до реализации готовой продукции, основной целью которого является максимизация акционерной стоимости и повышение доходов акционеров (держателей долей) на основе удовлетворения потребностей населения. В табл. 2 приведены системообразующие факторы маркетинговой среды деятельности предприятий АПК.

На нынешнем этапе развития Украины основной задачей аграрной экономики является формирование конкурентоспособного агропромышленного производства, направленного на решение социальных и экономических проблем, посредством развития предпринимательской деятельности. Важным структурным элементом рыночной экономики является аграрный бизнес, сущность которого предопределяет содействие формированию диверсифицированной инфраструктуры аграрного рынка, что провоцирует углубление интеграционных процессов предприятий разных сфер агробизнеса и приумножение агропромышленного капитала.

Аграрный бизнес рассматривается как относительно новая институциональная составляющая экономики страны, что предусматривает прогрессивную, конкурентную и высокоэффективную форму организации производства аграрной продукции, в которой все структурные элементы функционируют в логически завершенной, сбалансированной, организационно и экономически взаимосвязанной и взаимозависимой системе, на основе паритетности всех участников производственной цепи. Однако аграрное производство, как вид бизнеса в Украине отмечается нестабильностью развития, высокой рискованностью и не гарантирует прибыль для расширенного воспроизводства.

Успешное развитие отечественного агробизнеса может обеспечить многоуровневая структурная модель, суть которой определяется интегрированным подходом к концепции становления агробизнеса, с учетом таких элементов как политика, рыночная инфраструктура, агросервисные структуры, посреднические структуры, которые осуществляют реализацию с учетом нужд и потребностей покупателей. Структурная модель успешного развития агробизнеса строится на основе поэтапно-структурного подхода к процессу формирования потенциала агробизнеса на базе его структуризации и определения значимости приоритетов среди элементов потенциала с целью установления рациональности соотношения и повышения обоснованности распределения ресурсов между ними. Графическое изображение модели на рис. 1.

Таблица 2

Системообразующие факторы маркетинговой среды деятельности предприятий АПК [9, С.304]

Группы факторов	Факторы, учитывающие в деятельности предприятий АПК
Макросреда	Рыночный спрос и предложение, цены, финансы, налоги, дотации, процентная ставка, формы собственности, предпринимательский риск, интенсификация, специализация, объемы финансирования, производственная инфраструктура, региональные финансовые фонды, индикаторы банкротства.
Экономические	финансирования, производственная инфраструктура, региональные финансовые фонды, индикаторы банкротства.
Политико-правовые	Аграрная и продовольственная инфраструктура государства, региональная инфраструктура, международное положение, инфраструктура мирового рынка, законы и другие инфраструктурные акты, инфраструктура товаров, пошлина, государственная инфраструктура и регулирование.

Демографические	Трудовые ресурсы и рабочая сила, демографическая инфраструктура, социальная инфраструктура.
Природные	Климатические условия (тепло, свет, влага, почвы, рельеф, водный режим, продолжительность вегетационного периода), биоклиматический потенциал продуктивности растений, биологические (селекция, генетическая инженерия, защита растений, биостимуляторы), экологические (защита почв, водных ресурсов, предотвращения загрязнения продукции) условия.
Факторы культуры	Образование и культура, общепринятые и применены на практике стандарты поведения.
Научно-технические	Научное обслуживание и обеспечение, развитие техники и технологии, научно-техническая информация, отечественный и зарубежный опыт.
Микросреда	Развитие транспорта, энергетики, связи, сервис, размер складских запасов, наличие денег на счетах, объем продаж, природные ресурсы, труд, капитал, основные и оборотные средства, цена на ресурсы.
Поставщики	
Посредники	Размер, зависимость, условия, альтернативные каналы, их длина, количественные затраты.
Конкуренты	Количество, рыночная доля, конкурентные преимущества.
Другие контактные аудитории	Финансовые органы, государственные организации, средства массовой информации, акционеры, общественные организации, их взаимозависимость с предприятиями АПК, степень доступной информации.




Рис. 1 Структурная модель формирования агробизнеса [10]

На основе анализа теоретических и практических исследований сформулированы определяющие черты отечественного агробизнеса. Одним из его основных отличий, кроме неэффективной системы сбыта, незначительного количества каналов реализации продукции, отсутствия интеграционных процессов, является именно неиспользование маркетингового инструментария. С целью максимальной адаптации к условиям рыночной экономики и жесткой конкуренции со стороны импортеров национальным товаропроизводителям необходимо создавать интеграционные объединения или укрупнять производство, что даст конкурентное преимущество.




Рис. 2. Институциональные составляющие формирования рынка продукции АПК [10]

Подводя итог вышесказанному, необходимо подчеркнуть, что одним из катализаторов экономического роста Украины должно стать эффективное развитие агробизнеса. Это обеспечит не только повышение конкурентоспособности и результативности ведения хозяйства, расширение самозанятости населения, проживающего на сельских территориях, появление новых видов услуг, но и использование достижений НТП, развитие информационных технологий, структуризацию отрасли. В условиях глобализации аграрный бизнес является основным структурным элементом рыночной экономики, который способствует формированию рыночной инфраструктуры и углублению интеграционных процессов.

Выделяют ряд признаков современного агропромышленного предприятия Украины, конкурентоспособного на глобальном и национальном уровнях:

- 1) устойчивое финансовое состояние, которое выражается не только в стандартных показателях финансовой устойчивости, ликвидности и платежеспособности, но и в возможности привлекать финансовые ресурсы для развития в виде кредитов или инвестиций;
- 2) диверсификация или, наоборот, территориальное или товарное фокусирование – в зависимости от условий деятельности или возможностей предприятия АПК;

- 3) эффективная логистика, включающая в себя низкозатратную и быструю транспортировку продукции или комплектующих и минимальное использование складских помещений;
- 4) долгосрочные контракты с потребителями и другими участниками рыночных отношений, стратегически важных для агропромышленного предприятия;
- 5) наличие современных производственных мощностей и их своевременное обновление;
- 6) использование современных конкурентоспособных технологий производства, ориентированных на снижение себестоимости посредством ресурсосбережения;
- 7) использование высококвалифицированного персонала с возможностями его обучения и стимулирования. Достижение конкурентоспособности аграрного сектора предполагает решение ряда стратегических задач, среди которых:

- прорыв в инновационном направлении, обеспечивающий осуществление «зеленой революции» в области аграрных технологий и закладывающий фундамент будущего динамичного развития;
- модернизация инфраструктуры и материально-технической базы аграрного сектора, гарантирующая возможность ведения эффективной производственной деятельности и реализации социальных программ села;
- возрождение интеграционных и кооперационных связей на постсоветском пространстве как на уровне конкретных предприятий, так и на межгосударственном уровне, позволяющее бывшим союзным республикам использовать преимущества международного разделения труда и бурно протекающих процессов глобализации, а также совместно противостоять их возможным негативным последствиям.

Таким образом, имея благоприятные природные условия, массивы плодородных черноземов, значительный трудовой потенциал, развитую транспортную инфраструктуру, выгодное экономико-географическое положение, благоприятные экономико-географические условия, Украина может стать значительным производителем сельскохозяйственной и продовольственной продукции, одним из лидеров-экспортеров на мировом рынке. Государственное регулирование экспортно-импортной деятельности предприятий АПК Украины должно, в первую очередь, оказывать содействие укреплению продовольственной безопасности страны, гарантировать защиту экономических интересов страны и её субъектов, обеспечивать сбалансированность и равновесие внутреннего рынка аграрной продукции, оказывать содействие структурным изменениям в аграрном производстве, создавать благоприятные условия для укрепления позиций Украины на мировом рынке продовольствия.

Список использованной литературы:

1. Агропромисловий комплекс України: стан, тенденції та перспективи розвитку // Інформаційно-аналітичний збірник / за ред. П.Т. Саблука та ін. – К. : Вид-во ІАЕ, 2000. – Вип. 4. – 601 с.
2. Голомша Н. Підвищення конкурентного потенціалу сільськогосподарського виробництва України// Вісник ТДГУ. –2006 р. – № 4. – 56-61 с.
3. Гуткевич С.А. Инвестиционная привлекательность аграрного сектора экономики: Моногр. – К.: Изд-во Европ. Ун-та, 2003. – 252 с.
4. Гуроров О.І. Сучасні тенденції та оцінка інвестиційних процесів у сільськогосподарському виробництві: Лекція / Харк. Нац. Аграр. Ун-т ім. В.В. Докучаєва – Х., 2002. – 52 с.
5. Конкурентоспроможність економіки України: стан і перспективи підвищення / За ред. Д-ра екон. Наук І.В. Крючкової. – К.: Основа, 2007. – 488 с.
6. Лайко Г.П. Формування інвестиційної привабливості підприємств АПК. – К.: ННЦ «Інститут аграрної економіки», 2005. – 202 с.
7. Мазур Н.А., Місюк В.М. Конкурентоспроможність виробництва сільськогосподарської продукції та основні напрями її Підвищення // Економіка АПК. – 2007.– № 2. – С. 124.
8. Супіханов Б.К. Про підвищення конкурентоздатності аграрного виробництва в сучасних умовах // Економіка АПК. – 2008. № 5. – С. 4.
9. Франів І.А., Зінкін А.І. Шляхи організації маркетингової діяльності на підприємствах аграрно-промислового комплексу України // Науковий вісник НЛТУ України. – 2011. – Вип. 21.8. – С.302-306.
10. Яценко О. Развитие агробизнеса на рынке продукции пчеловодства // Management theory and studies for rural business and infrastructure development. 2010. Nr. 21 (2). Research papers.
11. Перспективы развития АПК в Украине в контексте проекта земельной реформы и государственной политики в сельскохозяйственной сфере [Электронный ресурс] // Режим доступа:<http://www.davinci.org.ua/docs/apk010311.pdf>

ვიქტორია ლევიშენა, ლარისა ლიუზონინაძე

ხმელნიცკის ნაციონალური უნივერსიტეტი, უკრაინა

უკრაინის აგროსამრეწველო კომპლექსის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმის ფორმირება გლობალიზაციის პირობებში

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სტატიაში შესწავლილია უკრაინაში აგრარული ბიზნესის მდგომარეობა და ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს უკრაინის სოფლის მეურნეობის საინვესტიციო მიმზიდველობაზე, განსაზღვრულია აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებისთვის საჭირო ინსტიტუციონალური კომპონენტები. თეორიული და პრაქტიკული კვლევის ანალიზის საფუძველზე ფორმულირებულია უკრაინის აგრობიზნესის თავისებურებები. ყურადღება გამახვილებულია უკრაინის სოფლის მეურნეობის იმ ფაქტორებზე, რომლებიც უზრუნველყოფს უკრაინის სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, რომლებიც უზრუნველყოფს უკრაინის აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობას.

აგრობიზნესი და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ტანდენციები საქართველოში

ათასწლეულის გამონვევის პროგრამის განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობამ ფონდი – ათასწლეულის გამონვევა საქართველოს – დააარსა. 195,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გრანტია და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მიხედვით ხორციელდება (ათასწლეულის გამონვევის კორპორაცია არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კორპორაცია. მისი მთავარი პრინციპია დახმარება აღმოუჩინოს იმ ქვეყნებს, სადაც სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების მიზნით ხორციელდება მდგრადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები). ეს გრანტი საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და საწარმოთა განვითარებას ხმარდება.

ათასწლეულის გამონვევის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ხორციელდება აგრობიზნესის განვითარების პროექტი, მისი მიზანი გახლავთ არსებული წვრილი ფერმერული მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესებად, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში აგრობიზნესის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პროექტის ფარგლებში გაიცა გრანტები, თანადაფინანსების პრინციპით, პირველადი წარმოების, ფერმერთა მომსახურების ცენტრების, მცირე გადამამუშავებელი საწარმოების და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის განვითარებისათვის საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. პროექტის ბიუჯეტია 20 მლნ აშშ დოლარი, ხანგრძლივობა 4-5 წელი. აგრობიზნესის განვითარების პროექტის საქმიანობა ორ კომპონენტს მოიცავს, ესენია: საწარმოთა ხელშეწყობა და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვი. გრანტები გაიცა შემდეგი ტიპის საქმიანობის დასაფინანსებლად:

1. პირველადი წარმოება – გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობაა 50 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთია 1:0,5. პირველადი წარმოების პროექტის ტიპური მაგალითია: სანერგე მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა, საფუტკრე მეურნეობა და ა.შ. კონკრეტულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ალავერდში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საფუტკრე მეურნეობა, რომელმაც საქართველოს ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 2009 წლის ნოემბერში მოიპოვა 49 995 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი. მისი მეშვეობით მოხდა თაფლის საწური თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზის შექმნა საფრანგეთში, საქართველოში ჩამოტანა და საწარმოში დამონტაჟება. მეურნეობის მფლობელის (ინდემნარმე გიორგი მახარაძე) თანამონაწილეობით (63 140 აშშ დოლარი) შექმნილ იქნა 150 ცალი ფუტკრის ოჯახი, განხორციელდა მეურნეობის რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს საწარმოს დაგეგმილი აქვს საკუთარი ძალებით ფუტკრის ოჯახების რაოდენობის გაზრდა 200 ცალამდე, რაც მენარმეს საშუალებას მისცემს აწარმოოს 3 ტონამდე ნატურალური თაფლი. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მოხდება „თაფლიკაცის“ სავაჭრო ნიშნით. საწარმოში დასაქმებულია 5 ადამიანი, თუმცა სამომავლოდ წარმოების გაფართოების პერსპექტივა მომუშავეთა რაოდენობასაც გაზრდის.

2. ფერმერთა მომსახურების ცენტრის შექმნა – ფერმერთა მომსახურების ცენტრი ერთგვარი აგრონომიული მაღაზიაა, სადაც ფერმერს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს საჭირო სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებები (სათესლე-სარგავი მასალა, სასუქი, შხამქიმიკატები), მიიღოს კონსულტაციები ან ისარგებლოს აგროტექნიკის მომსახურებით. გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობაა 50 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთია 1:0,75. პროექტის ფარგლებში, 2005 წლის იანვრიდან, ფუნქციონირება დაიწყო ფერმერთა მომსახურების ცენტრებმა ე.წ. ფერმერთა სახლებმა დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში, ამბროლაურის რაიონის ქალაქ ამბროლაურში, ასპინძის რაიონის დაბა ასპინძაში, შუახევის რაიონი დაბა შუახევში და სხვა რაიონულ ცენტრებში. მათი დანიშნულებაა სოფლად სიღარიბის დაძლევა, საპილოტე და არასაპილოტე სოფლებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. წლების განმავლობაში ფერმერთა მომსახურების ცენტრებში ტარდება შეხვედრები და სწავლებები სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თაობაზე. პროექტის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით ფერმერთა მომსახურების ცენტრებში, ნიადაგის სწრაფი და ეფექტური დამუშავებისათვის, შემოყვანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, რამაც ხელი შეუწყო მოსავლის მაღალპროდუქტიუ-

ლობას, კერძოდ, შემოყვანილ იქნა ჩინური წარმოების მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, რომლებიც გათვალისწინებულია მცირე ნაკვეთების დასამუშავებლად. ფერმერთა სახლებით ხდება საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა შხამქიმიკატებითა და სათესლე მასალებით, ვეტპრეპარატებით, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობისათვის საჭირო ინვენტარით. ფერმერთა მომსახურების ცენტრების ინიციატივით მემცენარეობის დარგებში დაინერგა მთის სოფლებისათვის ახალი მარცვლეული კულტურის – წინიბურას თესვის ტექნოლოგია. რაიონებში მოქმედი ფერმერთა სახლები ხელს უწყობენ სოფლად დარგების მიხედვით ასოციაციების ჩამოყალიბებას და მათ ფუნქციონირებას.

ათასწლეულის გამონვევის პროგრამის ფარგლებში საქართველოში აგრობიზნესის განვითარების პროექტის მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით ისარგებლა 553-ზე მეტმა ფერმერმა, მათ შორის ეს რესურსი დუშეთის რაიონში გამოყენებული აქვს 208 კლიენტ ფერმერს, ამბროლაურის რაიონში 115 კლიენტ ფერმერს, ასპინძის რაიონში 160 კლიენტ ფერმერს, შუახევის რაიონში 70 კლიენტ ფერმერს და ა.შ. პროგრამით გათვალისწინებულ საპილოტე რაიონებში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

დუშეთის რაიონში მოიხნა 78,62 ჰექტარი და გაითიბა 19,4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კულტივაცია ჩაუტარდა 1,1 ჰექტარ ნათესს, მოსავალი დაითესა 10 ჰექტარზე და შეინამლა 13 ჰექტარი ნათესი. პროექტის ფარგლებში სულ ეს რესურსი გამოყენებულ იქნა 122,12 ჰექტარზე.

ასპინძის რაიონში მოიხნა 85 ჰექტარი და გაითიბა 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კულტივაცია ჩაუტარდა 5 ჰექტარ ნათესს, მოსავალი დაითესა 41 ჰექტარზე და შეინამლა 41 ჰექტარი ნათესი. პროექტის ფარგლებში სულ ეს რესურსი გამოყენებულ იქნა 115 ჰექტარზე.

ამბროლაურის რაიონში მოიხნა 6,8 ჰექტარი და გაითიბა 2,7 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ფრეზირება ჩაუტარდა 1,9 ჰექტარს. პროექტის ფარგლებში სულ ეს რესურსი გამოყენებულ იქნა 11,4 ჰექტარზე.

შუახევის რაიონში მოიხნა 7,5 ჰექტარი და გაითიბა 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ფრეზირება ჩაუტარდა 0,6 ჰექტარს.

ათასწლეულის გამონვევის პროგრამის ფარგლებში საქართველოში, ფერმერთა მომსახურების ცენტრების ინიციატივით შემოტანილი მანქანა-დანადგარებით, სადემონსტრაციო სისტემით ასპინძის რაიონში ნაკვეთებში დაითესა: წინიბურა 1 ჰექტარზე, ქერი 45 ჰექტარზე, კარტოფილი 2 ჰექტარზე და ა.შ. ასევე პროექტის ფარგლებში მემცენარეობის დარგში მცენარეთა დაცვის საშუალებებით და მინერალური სასუქებით მომარაგდა 1256 კლიენტი-ფერმერი, სათესლე მასალით უზრუნველყოფილი იქნა 344, ხოლო კონსულტაცია გაენია 832 კლიენტი-ფერმერს. მეცხოველეობის დარგში ვეტპრეპარატებით უზრუნველყოფილ იქნა 4 978 კლიენტი-ფერმერი. მეფუტკრეობის დარგში პრეპარატებით და ინვენტარით მომარაგდა 1175 კლიენტი-ფერმერი, ხოლო კონსულტაცია გაენია 1042 კლიენტი-ფერმერს.

3. მცირე გადამამუშავება – გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობაა 50 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთია 1:1. მცირე გადამამუშავებელი საწარმოს ტიპური მაგალითია რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები, მცირე საკონსერვო წარმოება და ა.შ. მცირე საკონსერვო წარმოების კონკრეტულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ გურიაში, ყოფილი საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე დაარსებული კომპანია „ვაგი“. საკონსერვო ქარხნისათვის საკონსულტაციო ოფიცრების მიერ შემუშავებული საგრანტო განაცხადი ათასწლეულის გამონვევა საქართველოს აგრობიზნესის განვითარების პროექტიდან დაფინანსების მოსაპოვებლად მიზნად ისახავდა კომპანიის წარმადობის გაზრდას და ადგილობრივი მოსახლეობიდან ხილის და სხვა ნედლეულის ჩაბარებას. შემუშავებულმა პროექტმა წარმატებით გაიარა შერჩევის ყველა ეტაპი და საბოლოოდ მიიღო დაფინანსება 100 000 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში საკონსერვო ქარხანა ახდენს ადგილობრივ ნედლეულზე მურაბების, ჯემების, კომპოტების და წვენების დამზადება-რეალიზაციას.

4. საწარმოო ჯაჭვის შექმნა – სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანის, შენახვის, გადამამუშავების, მისთვის სასაქონლო სახის მიცემისა და ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის დამკვიდრების მიზნით. გრანტის თანხის მაქსიმალური მოცულობაა 150 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთი 1:1. საწარმოო ჯაჭვის პროექტის ტიპური მაგალითია: საშუალო ზომის რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა, საკონსერვო წარმოება საკუთარი შემგროვებელი ცენტრებით, სადაც ხდება მცირე ფერმერთაგან მიღებული ნედლეულის კონსოლიდაცია, გადამამუშავება, დაფასოება და რეალიზაცია. კონკრეტულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ახალციხის სოფელ წნისში გახსნილი რძის გადამამუშავებელი ქარხანა. საწარმო შპს „ჯორჯიან

ბიზნეს ზონას” ეკუთვნის, რომელმაც ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 124,550 აშშ დოლარის გრანტი მიიღო, რომლის დახმარებითაც შექმნილ იქნა რძის გადამამუშავებელი ახალი მანქანა-დანადგარები, მათ შორის რძის შემგროვებელი ავზები, ყველის შესანახი ავზები, პასტერიზატორი, ყველის სანარმოო ხაზი, არაჟნის სანარმოო ხაზი, მანქანა-რეფრიჟერატორი და სხვა თანამედროვე დანადგარები. ასევე ქარხნის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სხვადასხვა გარემოს დაცვითი, მარკეტინგული ღონისძიებები და ტრენინგები. პროექტის ფარგლებში ასევე გახსნილია რძის შემგროვებელი 2 პუნქტი სოფელ ვახანში და წყალთბილაში, რომელთა მეშვეობითაც მოხდება რძის შეგროვება. სოფელ წნისის რძის გადამამუშავებელ ქარხანაში დასაქმებულია 24 ადამიანი. მათი უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებელია. სანარმოს შექმნით რაიონის 250-ზე მეტ ფერმერს მიეცემა საშუალება რძის რეალიზება სოფლიდან გაუსვლელად მოახდინოს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია რძის შემგროვებელი მესამე პუნქტის გახსნა. სანარმოს დღეში 5000 ლიტრი რძის გადამამუშავება, ხუთი ტიპის ყველის (ქართული, იმერული, პარმაჟანი, მოცარელა და გუდა) და სამი ტიპის რძის ნანარმის (ნადული, არაჟანი და ყველი) წარმოება, დაფასოება და დისტრიბუცია შეუძლია.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ აგრობიზნესის და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პერსპექტივა საქართველოში დადებითი ტენდენციის მატარებელია. აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 2011 წლის ბოლომდე იგეგმება 300-მდე პროექტის დაფინანსება, რის შედეგადაც სოფლად დაახლოებით 2 934 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება და არაპირდაპირ სარგებელს 70 000-ზე მეტი ადგილობრივი ფერმერი მიიღებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს”. 24 საათი, 2008 წლის 12 დეკემბერი. გვ. 278.
2. ხორბალაზე თამარ. ათასწლეულის განვითარების პროგრამის შესრულება-ტესტი ქვეყნისათვის. 24 საათი, 2008 წლის 23 დეკემბერი.
3. ივანიძე თამარ. ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა შედეგების დათვლას იწყებს. 24 საათი. 2009 წლის 11 დეკემბერი.
4. ნატროშვილი ნინო. 15 მილიონი აგრობიზნესის განსავითარებლად. 24 საათი. 2006 წლის 23 აგვისტო.
5. გრანტები აგრობიზნესისათვის – აგრობიზნესის განვითარების პროექტი. აგროინფო. თბ., 2007. თებერვალი, გვ. 5.
6. მარუქაშვილი ნატა. როგორ ავიღოთ გრანტი ფერმერული საქმიანობისათვის. ბანკები და ფინანსები. თბ., 2008. 15-21 ივლისი, გვ. 12.
7. მალაციძე აკაკი. წინიზურა – ახალი აგრარული საქართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. თბ., 2010. აპრილ-მაისი, გვ. 3.

NINO LIPARTELIANI

Gori Teaching University, Professor

AGRIBUSINESS AND THE TENDENCIES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN GEORGIA

S u m m a r y

The Georgian government has established a fund - Millennium Challenge Georgia. The U.S. government granted a total of \$ 195.3 million and this money is spent on government priorities. The grant is used for the development of the infrastructure rehabilitation and factories. The Agribusiness Development Project is being implemented within the framework of Millennium Challenge Georgia. The project budget is 20 million dollars, time - 4/5 years. Millennium Challenge Georgia plans to accomplish 300 projects. In the village 2,934 new jobs will be created and more than 70,000 local farmers will benefit. Farmers' service centres will be established as well.

ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემა აზროსასურსათო სექტორში

საქართველოში მოსახლეობის ლტოლვა ზოგადად განათლების და, კერძოდ, უმაღლესი განათლებისაკენ ტრადიციულად მაღალია. რიგ შემთხვევებში რაციონალურობის საზღვრებსაც კი სცილდება. თუმცა, მოსახლეობის ლტოლვას უმაღლესი სასწავლებლებისაკენ საფუძვლად სრულიად ობიექტური გარემოება უდევს. კერძოდ, საქართველოში საზოგადოება კვლავ რჩება სოციალურ სტატუსზე ორიენტირებულ საზოგადოებად, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური სტატუსი არსებითად განსაზღვრავს პიროვნებისადმი დამოკიდებულებას, პიროვნებისა და ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას.¹

საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ახალგაზრდების დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად უფასურდება ადამიანური კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ არის ინვესტირებული, ახალგაზრდა ადამიანი მორალურად ტრავმირებულია, საზოგადოება კი კარგავს იმ ეკონომიკურ დოვლათს, რისი მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა ახალგაზრდების შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით. ყოველივე აღნიშნული განსაზღვრავს საკვლევი პრობლემის აქტუალობას.

ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ისინი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია მათი მხრიდან სამუშაოს ძიების ხანგრძლივი პროცესი. ვინაიდან საშუალო (20–24 წელი) და უფროსი (25–29 წელი) ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოთხოვნები საკმაოდ მაღალია სამუშაოს მიმართ, ვიდრე უმცროსი (20 წლამდე) ასაკის.

ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობის შედარებით დაბალი დონე იმითაც არის განპირობებული, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლითაა დაკავებული. არასწორი პროფესიული ორიენტაცია, რაც გამოიხატება ძირითადად უმაღლესი განათლების მიღებაში, მნიშვნელოვნად ართულებს მათ დასაქმებას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში შრომის ბაზარზე მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები გამოდიან. ქვეყანაში მოშლილია პროფესიული განათლების სისტემა.

ჩვენ მიერ თსუ-ის ექვსი ფაკულტეტის მიხედვით გამოიკითხა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის – 84, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის – 82, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის – 29, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის – 108, იურიდიული ფაკულტეტის – 92 და მედიცინის ფაკულტეტის – 74 სტუდენტი. აქედან, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის – 78,5%, ხოლო მაგისტრატურის – 21,5%¹. შეკითხვაზე – რამდენად არის სამუშაო ადგილზე მოთხოვნა, გამოკითხულთა 29,2%-ს მიაჩნია, რომ ნაკლებია მოთხოვნა, 27,5% თვლის, რომ დიდია მოთხოვნა, 36,7% – ამჟამად ნაკლებია მოთხოვნა, მაგრამ მომავალში გაიზრდება, 6,6% უჭირს პასუხის გაცემა. გამოკითხული სტუდენტებიდან, თუ საიდან ფლობენ ინფორმაციას სამუშაოს შესახებ 44,3% პასუხობს, რომ ახლობლებისა და მეგობრებისგან, 10,0 %-ს ოჯახის წევრებისაგან აქვს ინფორმაცია, ხოლო 45,2% ინფორმაციას საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ღებულობს, 5,0% უჭირს პასუხის გაცემა.

ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ისინი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების მაღალი დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაო ადგილისადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების დასაქმება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

¹ წყარო: careerservice.georgia@gmail.com.

მათ არ გააჩნიათ შრომითი და ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც გარკვეულწილად ართულებს მათ მიერ სამუშაოს შერჩევას. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ამ უკანასკნელთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილე სტუდენტები ჯერ კიდევ სწავლობენ, კითხვაზე გაქვთ თუ არა სამუშაო გამოცდილება – 44,6% აქვს გამოცდილება, ხოლო 55,4%-ს არა აქვს. გიმუშავიათ თუ არა თქვენი პროფესიის შესაბამისად – 66,5% პასუხობს, რომ უმუშავია, ხოლო 33,5%-ს არ უმუშავია.

კითხვაზე – მუშაობთ თუ არა ამჟამად? რესპოდენტთა 50,0% პასუხობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 50,0% – არ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრი დისბალანსია შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალგაზრდების პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას შორის, ამის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ განათლების სფეროში ეფექტიანი რეფორმების გატარების შედეგად. გამოკითხულთა პასუხები გვაძლევს იმის საფუძველს, რომ განათლების ახალი სისტემა პასუხობს შრომის ბაზრის გაზრდილ მოთხოვნას, რაც ახალგაზრდებს აძლევს დასაქმების მეტ შესაძლებლობას. კითხვაზე – რა იყო გადამწყვეტი თქვენი სპეციალობის არჩევისას, გამოკითხულთა 2,2% პასუხობს, რომ საინტერესო სპეციალობაა, 9,6% – ოჯახური ტრადიცია, 12,2% – მეგობრების რჩევა, 24,7% – დასაქმების კარგი პერსპექტივა, 16,8% – ამ სფეროში დასაქმების შემთხვევაში მაღალი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, 34,5% – მიაჩნია, რომ აქვს კარიერის შექმნის კარგი პერსპექტივა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ახალგაზრდები დამოუკიდებლობის არიან და გადაწყვეტილების მიღებაში პრიორიტეტები შეცვლილია, ოჯახური ტრადიცია ნაკლებად განმსაზღვრელია და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კარიერის შექმნის პერსპექტივას და შრომის მაღალ ანაზღაურებას. კითხვაზე – მუშაობთ თუ არა ამჟამად? გამოკითხვის შედეგები ფაკულტეტების მიხედვით ასე გადანაწილდა: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოკითხული 53 სტუდენტიდან – 30 მუშაობს, 23 არ მუშაობს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოკითხული 28 სტუდენტიდან – 10 მუშაობს, 18 არ მუშაობს. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოკითხული 9 სტუდენტიდან – 5 მუშაობს, 4 არ მუშაობს. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გამოკითხული 54 სტუდენტიდან – 32 მუშაობს, 22 არ მუშაობს. იურიდიული ფაკულტეტის გამოკითხული 34 სტუდენტიდან – 17 მუშაობს, 17 არ მუშაობს. მედიცინის ფაკულტეტი – გამოკითხული 28 სტუდენტიდან – 9 მუშაობს, 19 არ მუშაობს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დასაქმების პერსპექტივა ყველა ფაკულტეტის სტუდენტისათვის თანაბარია. კითხვაზე – როგორ მოიძიეთ სამსახური? 38,6% პასუხობს, რომ განცხადებას გამოეხმაურა ვაკანსიის თაობაზე, 7,9% თვითონ განათავსა განცხადება, 22,3% პროფესიული შუამავლის მეშვეობით, 23,8% ნაცნობობით, 7,4%-მა უარი განაცხადა პასუხზე. გამოკითხულთა შორის, – რომელია თქვენი სასურველი დასაქმების სფერო? მონაცემები ასე გადანაწილდა: სამთავრობო სექტორი – 38, არასამთავრობო სექტორი – 10, კერძო ორგანიზაციები/ფირმები – 65, მასმედია და საინფორმაციო ტექნოლოგიები – 33, საერთაშორისო ორგანიზაციები – 27, ჩემი პროფესია – 102, საგანმანათლებლო კვლევითი დაწესებულებები – 17, საბანკო სექტორი – 30, უარი პასუხზე – 249. სტუდენტების დასაქმების მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკურად აქტიურია – მუშაობს, ან აქტიურად ეძებს სამუშაოს. კითხვაზე – მნიშვნელოვანი პირობები სამსახურის არჩევისას? პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: 100 გამოკითხულიდან ხელფასი მნიშვნელოვანია 76 მათგანისათვის. კითხვაზე – თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიული შესაბამისობა სამუშაო ადგილთან, 100 გამოკითხულიდან 68 დადებითად გვპასუხობს. კითხვაზე, არის თუ არა სამსახურის შერჩევისას პროფესიული ზრდის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი? 100 გამოკითხულიდან 87 დადებითად გვპასუხობს. კითხვაზე – რამდენად მნიშვნელოვანია? 100 გამოკითხულიდან 64 რესპოდენტისთვის მნიშვნელოვანია კარგი სოციალური გარემო. კითხვაზე – თუ რამდენად მნიშვნელოვანია დედაქალაქში დასაქმება, 100 გამოკითხულიდან 59 თვლის, რომ მნიშვნელოვანია, 22-თვის ნაკლებმნიშვნელოვანია, 10-თვის უმნიშვნელოა, 9-ს უჭირს პასუხის გაცემა. როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, სამუშაო ადგილისადმი წაყენებულ მოთხოვნებს შორის განმსაზღვრელია შრომის ანაზღაურება, თანამდებობრივი და კვალიფიციური წინსვლის შესაძლებლობა, შრომის პირობები.

ახალგაზრდების დასაქმების მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი დიდი ნაწილი ეკონომიკურად აქტიურია. მაღალი ეკონომიკური აქტიურობა განპირობებულია, ერთი მხრივ, ახალგაზრდების მისწრაფებით, დაიკმაყოფილონ საკუთარი ინტერესები, ჰქონდეთ საკუთარი შემოსავალი და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი საზოგადოებაში, მეორე მხრივ, მათი ეკონომიკური აქტიურობა და გამოჩენა შრომის ბაზარზე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში დაბალია შემოსავლების დონე და ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ შვილების განათლებას და სხვა ხარჯებს.

ახალგაზრდების დასაქმების ნებისმიერი ასპექტით შესწავლისას, აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირში განხილვა, განათლების და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

It is assumed that each job in a specific type of business in a state is supported by some amount of business receipts and that each dollar of wages and salaries is similarly supported by some dollar volume of business receipts. The ratios of employment to business receipts are computed for each industry in each state. These ratios are then multiplied by the total amount of business receipts generated by traveler spending in a particular type of business to obtain the measures of travel generated employment and payroll of each type of business in each state. For example, the ratio of employees to business receipts in the state commercial lodging establishments is multiplied by travel generated business receipts of these establishments to obtain traveler generated employment in commercial lodging. A similar process is used for the payroll estimates.

The total sales, payroll and employment data of each travel related industry (by SIC and NAICS) are provided by and collected from state, local and federal government, such as the Bureau of Labor Statistics, the Bureau of Economic Analysis, Census Bureau and The Bureau of Transportation Statistics.

Estimates of Tax Revenues

The Fiscal Impact Component of the TEIM is used to estimate traveler generated tax revenues of federal, state and local governments. The yield of each type of tax is related to the best measure of the relevant tax base available for each state consistent with the output of the Economic Impact Component. The ratios of yield to base for each type of tax in each state are then applied to the appropriate primary level output to obtain estimates of tax receipts generated by travel. For example, the ratio of Massachusetts State personal income tax collections to payroll in the state is applied to total travel generated payroll to obtain the estimate of state personal income tax receipts attributable to traveler spending in Massachusetts.

Estimates for Counties and Local Areas

Local area travel impact estimates is derived by distributing the state estimates to the area using proper proportions of each related category in the area. The proportions of a local area are calculated based on a set of data collected from federal, state and local governments and private organizations. The data can be gathered at the zip code level.

Data from the U.S. Bureau of the Census, Smith Travel Research, Enos Foundation, Runzheimer International, Cruise Lines International Association, Prentice-Hall, U.S. Department of Labor's Consumer Expenditure Survey and employment and payroll data, American Society of Travel Agents, the Federal Aviation Administration, the Department of Transportation, Amtrak, the Federal Highway Administration, state revenue departments, U.S. TRAVEL ASSOCIATION's travel surveys and other sources are used in building and updating the model. These data indicate the change in travel spending for each of the expenditure categories for each state over the previous year, as well as changes in the relationship of travel spending to employment, payroll and tax revenue.

This study is designed to indicate the impact of U.S. traveler expenditures on employment, payroll, business receipts and tax revenue in each of the states. These impact estimates reflect the limitations inherent in the definition of travel expenditures. Two important classes of travel-related expenses have not been estimated due to various reasons. Consumers purchase certain goods and services in anticipation of a trip away from home. These include sports equipment (tennis racquet, skis, scuba gear, etc.), travel books and guides, and services such as language lessons and lessons for participatory sports (tennis, skiing, underwater diving, etc.). The magnitude of these purchases in preparation for a trip cannot be quantified due to lack of sound, relevant data.

The second type of spending not covered due to lack of sufficient data is the purchase of major consumer durables generally related to outdoor recreation on trips. Further research is required in this area to determine to what extent pre-trip spending on consumer durable products can justifiably be included within a travel economic impact study.

Some used in TEIM terms are:

Automobile Transportation Expenditure. This category includes a prorated share of the fixed costs of owning an automobile, truck, camper, or other recreational vehicle, such as insurance, license fees, tax, and depreciation costs. Also included are the variable costs of operating an automobile, truck, camper, or other recreational vehicle on a trip, such as gasoline, oil, tires, and repairs. The costs of renting an automobile or other motor vehicle are included in this category as well.

Entertainment/Recreation Expenditure. Traveler spending on recreation facility user fees, admissions at amusement parks and attractions, attendance at nightclubs, movies, legitimate shows, sports events, and other forms of entertainment and recreation while traveling.

Food Expenditure. Traveler spending in commercial eating facilities and grocery stores or carry-outs, as well as on food purchased for off-premise consumption.

Incidental Purchase Expenditure. Traveler spending on retail trade purchases including gifts for others, medicine, cosmetics, clothing, personal services, souvenirs, and other items of this nature.

Lodging Expenditure. Traveler spending on hotels and motels, B&Bs, campgrounds and trailer parks, rental of vacation homes and other types of lodging.

Public Transportation Expenditures. This includes traveler spending on air, bus, rail and boat/ship transportation, and taxicab or limousine service between airports and central cities.

Travel-generated Tax Receipts. Those federal, state and local tax revenues attributable to travel in an area. For a given state locality, all or some of the taxes may apply. "Local" includes county, city or municipality,

and township units of government actually collecting the receipts and not the level that may end up receiving it through intergovernmental transfers.

Federal. These receipts include corporate income taxes, individual income taxes, employment taxes, gasoline excise taxes, and airline ticket taxes.

State. These receipts include corporate income taxes, individual income taxes, sales and gross receipts taxes, and excise taxes.

Local. These include county and city receipts from individual and corporate income taxes, sales, excise and gross receipts taxes, and property taxes.

The 16 types of travel categories used in TEIM are associated with types of travel-related businesses. For many years, U.S. Travel Association selected these business types using 1987 U.S. Standard Industrial Classification (SIC) system codes.

The SIC system has been used for decades with tremendous success to classify all businesses in the U.S. by the types of products or services they make available. However, as a direct consequence of rapid and widespread structural changes throughout the American economy in recent years, the SIC system has become largely outdated. Therefore, its business classification capabilities have become increasingly less than optimal.

In 1998, the United States Office of Management and Budget published a new industry classification system – the 1997 North American Industry Classification System (NAICS) to replace the SIC system. In contrast, the 2- to 6-digit NAICS industry classification system includes more useful and detailed economic data and provides a more comprehensive statistical representation of our industry. NAICS offers four major advantages over the SIC system:

Relevance: NAICS identifies hundreds of new, emerging, and advanced technology industries. Perhaps most important in terms of quantification of travel-related activity, NAICS reorganizes industries into more meaningful sectors, especially in the service-producing segments of the economy. A few examples of travel-related industries that are separately recognized for the first time:

- Convenience stores
- Gas stations with convenience stores
- Casino hotels
- Casinos
- Other gambling industries
- Bed and breakfast inns
- Limited service restaurants

International Comparability: NAICS was developed by the U.S. Office of Management and Budget (OMB) in cooperation with Statistics Canada and Mexico's Instituto Nacional de Estadística, Geografía e Informática (INEGI). NAICS provides for comparable statistics among the three NAFTA trading partners.

Consistency: NAICS defines industries according to a consistent principle -- businesses that use similar processes are grouped together.

Adaptability: NAICS will be reviewed every five years, so classifications and information keep up with USA changing economy.

With the transition to NAICS, U.S. TRAVEL ASSOCIATION has adjusted its selections of the travel-related business types using the new NAICS codes and brought its travel economic research into conformity with NAICS. For measurement purposes, U.S. Travel Association's Travel Economic Impact Model, tracks business activity in seven (7) major travel-related industry groups. These, in turn, are comprised of sixteen (16) business subcategories.

The industry groups and subcategories used in the model are outlined below:

1. Automobile Transportation Industry: Gasoline service stations, motor vehicle/parts dealers and passenger car rental.
2. Entertainment/Recreation Industry: Entertainment, art and recreation industry.
3. Foodservice Industry: Eating & drinking places, and grocery stores.
4. General Retail Trade Industry: General merchandise group stores and miscellaneous retail stores, including gift and souvenir shops. Incidental Purchases Industry: See above, General Retail Trade Industry.
5. Lodging Industry: This industry includes hotels, motels, and motor hotels, camps and trailer parks.
6. Public Transportation Industry: Air transportation, taxicab companies, interurban & rural bus transportation, railroad passenger transportation (Amtrak) and water passenger transportation. Also is the "dummy" industry of "other transportation".

7. Travel Arrangement Industry: This includes travel agencies, tour operators, and other travel arrangement & reservation services.

Using TEIM methodology Domestic Travel Impact on the State of South Carolina is defined as¹:

Travel Expenditures (Chart 1)

During 2009, domestic travelers to South Carolina spent more than \$8.9 billion on transportation, lodging, food, entertainment and recreation and incidentals, down 9.4 percent from 2008.

- Foodservice, the largest spending sector, registered close to \$2.8 billion in 2009, down 2.0 percent from 2008 accounting for 31.0 percent of the state total domestic travel spending.

- The lodging industry, which reached more than \$1.9 billion, was the second largest spending sector in 2009. However, it represents a 9.6 percent decrease from 2008. Smith Travel Research's data show that total rooms sold in South Carolina decreased 4.4 percent and average room rate in the state was down 6.4 percent in 2009.

- Domestic traveler spending on auto transportation dropped 21.4 percent to nearly \$1.9 billion. This was mainly due to dramatically decreased gasoline prices.

- Domestic travelers spent \$796.2 million on public transportation in South Carolina during 2009, down 11.8 percent compared with 2008, largely driven by decreased air travel volume and declined motor fuel prices. U.S. Bureau of Transportation Statistics reported that total domestic air enplanements decreased 7 percent in South Carolina during 2009 and U.S. Bureau of Labor Statistics' data show that motor fuel price dropped 29 percent in South Carolina during 2009.

Travel-Generated Employment (Chart 2)

The most impressive contribution that travel and tourism makes to the South Carolina economy is the number of businesses and jobs it supports. These jobs include a large number of executive and managerial positions, as well as service-oriented occupations.

During 2009, domestic traveler spending in South Carolina generated 107.8 thousand jobs, including full-time and seasonal/part-time positions in the state, down 5.3 percent from 2008. On average, every \$82,893 spent by domestic travelers in South Carolina directly supported one job.

- The 107.8 thousand jobs generated by domestic travel in South Carolina composed 5.9 percent of the state's total non-agricultural employment during 2009. Without these jobs generated by domestic travel, South Carolina's 2009 unemployment rate of 11.7 percent would have been nearly 4.9 percentage points higher, or the equivalent of 16.7 percent of the labor force.

- The foodservice sector, which includes restaurants and other eating and drinking places, provided more jobs than any other industry sector. During 2009, domestic traveler spending in this sector supported 53.8 thousand jobs, accounting for 49.9 percent of the state total jobs generated by domestic travel. The labor-intensiveness of these businesses and the large proportion of travel expenditures spent on food service together contribute to the importance of this sector.

- Domestic travel-generated employment in the lodging sector reached 21.2 thousand in 2009, 19.6 percent of the state's total jobs generated by domestic travel.

Travel-Generated Tax Revenue (Chart 3)

Travel tax receipts are the federal, state and local tax revenues attributable to travel spending in South Carolina. Travel-generated tax revenue is a significant economic benefit, as governments use these funds to support the travel infrastructure and help support a variety of public programs.

- In 2009, total tax revenue generated by domestic traveler spending in South Carolina reached \$1.4 billion, down 6.1 percent from 2008. On average, each travel dollar spent by domestic travelers in South Carolina produced 15.7 cents in tax receipts for federal, state and local governments in 2009.

- Domestic traveler spending in South Carolina generated \$562.1 million for the federal government in 2009. This represents 40.1 percent of all domestic travel-generated tax collections in the state. Each dollar spent by domestic travelers in South Carolina produced 6.3 cents for federal tax coffers.

- Spending by domestic travelers in South Carolina also generated \$532.9 million in tax revenue for the state treasury through state sales and excise taxes, and taxes on personal and corporate income. This composed 38.0 percent of all domestic travel-generated tax revenue for 2009 collected in the state. On average, each domestic travel dollar produced 6.0 cents in state tax receipts. Total tax revenue generated by domestic travel for South Carolina state government decreased 5.0 percent from 2008.

¹ The Economic Impact of Travel on South Carolina Counties 2009, US Travel Association for South Carolina Department of Parks, Recreation & Tourism, November 2010.

- Local governments in South Carolina directly benefited from domestic travel as well. During 2009, domestic travel spending generated \$306.2 million in sales and property tax revenue for the local government, 21.9 percent of total travel-generated tax revenue in the state. Each travel dollar produced 3.4 cents for local tax coffers.

The sources of data used for estimations are:

US Air Transport Association; American Automobile Association; Amtrak; American Society of Travel Agents; Bureau of Census, U.S. Department of Commerce; Bureau of Economic Analysis, U.S. Department of Commerce; Bureau of Labor Statistics, U.S. Department of Labor; Bureau of Transportation Statistics, Department of Transportation; Federal Aviation Administration, U.S. Department of Transportation; Federal Highway Administration, U.S. Department of Transportation; National Park Service; South Carolina Department of Revenue; South Carolina Department of Parks, Recreation & Tourism; South Carolina Department of Transportation; Smith Travel Research; OTTI/International Trade Administration, U.S. Department of Commerce; U.S. Travel Association.

Conclusions and Recommendations

1. The Travel Economic Impact Model (TEIM) developed by the research department at U.S. Travel Association to provide annual estimates of the impact of the travel activity of U.S. residents on national, state and county economies in this country is very important tool. The TEIM estimates travel expenditures and the resulting business receipts, employment, personal income, and tax receipts generated by these expenditures.


2. The TEIM has the capability of estimating the economic impact of various types of travel, such as business and vacation, by transport mode and type of accommodations used, and other trip and traveler characteristics. The County Impact Component of the TEIM allows estimates of the economic impact of travel at the county and city level.

3. Despite impressive positive changes in developing civil and tourism infrastructure for the recent years, such an important and huge segment of the National Tourism – Domestic Tourism is left without any attention. Announced priority of tourism development, without knowing its exact economic impact, instead of economic growth, may cause contrary effect. Development of tourism infrastructure (hotels, CVBs, roads, bridges, communications, electricity and water supply, etc.) is just one of the supporting factors for tourism development – important, but not decisive one.

4. As there is no data regarding value of Domestic tourism in Georgia at all and no methodology exists for estimating economic impact of the tourism activity of Georgian residents on national economy that is vital for the tourism development in Georgia, it will be very useful to adopt the Travel Economic Impact Model (TEIM). Implementing Travel Economic Impact Model in Georgia will allow Georgian authorities to estimate the economic impact of the travel and tourism activity of Georgian residents on national and regional economies and make necessary corrections in the National Tourism development plans.

Chart 1


Domestic Travel Expenditures in South Carolina by Industry Sector - 2009



Source: U.S. Travel Association

Chart 2


Domestic Travel-Generated Employment in South Carolina by Industry Sector - 2009



Source: U.S. Travel Association

Chart 3

Domestic Travel-Generated Tax Revenue in South Carolina by Level of Government - 2009



Source: U.S. Travel Association

მანია მარკველაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სრული პროფესორი*

ეკა ლეკაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*

შიდა ტურიზმის ეკონომიკური ღირებულება და მისი შეფასების მეთოდოლოგია

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მწვავე კონკურენციის პირობებში ბევრ ქვეყანაში შიდა ტურიზმის მზარდი ეკონომიკური მნიშვნელობა უფრო მატულობს შემოყვანილ ტურისტთა ნაკადებთან შედარებით. ამავდროულად, ტურიზმის მნიშვნელოვან ფორმას შიდა ტურიზმი წარმოადგენს და ქვეყნების უმეტესობაში მთელ ტურიზმსა და მოგზაურობაზე მოთხოვნის 2/3-ს შეადგენს. სხვადასხვა ქვეყანაში შიდა ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენის შესაფასებლად განსხვავებული მეთოდოლოგიებით სარგებლობენ. მოგზაურობის ეკონომიკური ზეგავლენის მოდელი (TEIM), რომელიც შემუშავებულია აშშ-ის მოგზაურობის ასოციაციის კვლევითი დეპარტამენტის მიერ ეროვნული, შტატისა და საგრაფოს ეკონომიკებზე აშშ-ის რეზიდენტების მოგზაურობის ზეგავლენის შესაფასებლად, მეტად მნიშვნელოვან კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს. მოგზაურობის ეკონომიკური ზეგავლენის მოდელი აღრიცხავს მოგზაურობის ხარჯებსა და ბიზნესის შემოსავლებს, დასაქმებას, პერსონალურ შემოსავლებს და ამ ხარჯების გენერირებით მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს. კვლევა აღწერს მოგზაურობის ეკონომიკური ზეგავლენის მოდელის მეთოდოლოგიას და მის კომპონენტებს. კვლევაში წარმოდგენილია ამ მეთოდოლოგიით შეფასებული შიდა ტურიზმის ზეგავლენა სამხრეთ კაროლინის შტატის ეკონომიკაზე 2009 წლისთვის. დასასრულს, ავტორებს კვლევის საფუძველზე წარმოდგენილი აქვთ გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები.

ბიორგი მელაქა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

მაია მელაქა

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სოფლის მოსახლეობის დინამიკის თანამედროვე ტენდენციები

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, საქართველოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა, რომლებმაც ჩვენი საზოგადოების ყველა სფერო მოიცვეს, დემოგრაფიული სისტემის ტრანსფორმირება გამოიწვიეს. მკვეთრად გაუარესდა სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ძირითადი ელემენტების (შობადობა და მოკვდაობა) რაოდენობრივი მაჩვენებლები, არნახულ მასშტაბებს მიაღწიეს ემიგრაციულმა პროცესებმა, პროგრესულად მიმდინარეობდა სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების თანახმად, გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში – თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1990-1992 წლების მონაკვეთს, პერმანენტულად მიმდინარეობდა საქართველოს სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის კლება. 1992-2000 წწ. 14,4%-ით შემცირდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობა, რაც უმთავრესად მკვეთრად გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული – შობადობის კლებით, ფართო მასშტაბის ემიგრაციული პროცესებითა და საქართველოს ტერიტორიაზე ხელისუფლების მიერ დროებით არაკონტროლირებადი ტერიტორიების (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) წარმოქმნით იყო განპირობებული.

მესამე ათასწლეულის პირველ წლებში სოფლის მოსახლეობა განაგრძობდა კლებას, 2004 წელს მისი ყველაზე ნაკლები რაოდენობა (2062,7 ათასი) დაფიქსირდა. შემდგომ წლებში მდგომარეობა არაერთგვაროვნად იცვლებოდა. 2004-2006 წწ. საქართველოს სოფლებში მოსახლეობის მატება აღინიშნებოდა, რომელიც 2006-2009 წწ. კვლავ კლებით შეიცვალა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობა 21,6 ათასი მცხოვრებით გაიზარდა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს სოფლის მოსახლეობის დინამიკა
2000-2011 წწ.

წლები	მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა (ათასი)	მოსახლეობის საერთო მატება (ათასი)	მათ შორის	
			ბუნებრივი მატების ხარჯზე	მიგრაციის ხარჯზე
2000	2127.0	-6.3	-2.9	-3.4
2001	2120.7	-34.0	-3.3	-30.7
2002	2086.7	-10.9	-3.8	-7.1
2003	2075.8	-13.1	-2.7	-10.4
2004	2062.7	1.3	-0.3	1.6
2005	2064.0	26.9	0.6	26.3
2006	2090.9	-5.1	-0.4	-4.7
2007	2085.8	-7.5	0.1	-7.6
2008	2078.3	-2.0	0.8	-2.8
2009	2076.3	9.6	1.3	8.3
2010	2085.9	12.0	2.6	9.4
2011	2097.9	-	-	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
მონაცემები მიგრაციის შესახებ გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, ირიბი შეფასების მეთოდით.

მოსახლეობის რაოდენობის საერთო მატების განხილვამ, მისი შემადგენელი კომპონენტების (ბუნებრივი მატება, მიგრაციული მატება) მიხედვით გვიჩვენა, რომ 2000-2004 წწ. მოსახლეობა 63,0 ათასი ადამიანით შემცირდა. აქედან 13,0 ათასით მოსახლეობამ დაიკლო ბუნებრივი მოძრაობის, ხოლო 50,0 ათასით კი მიგრაციის ხარჯზე. 2005-2011 წწ. სოფლის მოსახლეობის რაოდენობა 33,9 ათა-

სით გაიზარდა. აქედან 5 ათასით ბუნებრივი მატების ხარჯზე, ხოლო 28,9 ათასით მიგრაციული პროცესების ხარჯზე.

არაერთგვაროვნად ვითარდებოდა პროცესები საქართველოს რეგიონებში. მთელი საკვლევი პერიოდის მანძილზე (2000-2011 წწ.), გარდა აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებისა, ყველგან შემცირდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობა. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2.

სოფლის მოსახლეობის დინამიკა საქართველოს რეგიონებში
2000-2011 წწ.

რეგიონი	წ ლ კ ბ ი			
	2000	2004	2008	2011
აჭარა	212.9	207.1	213.3	219.3
გურია	107.6	103.7	102.8	103.3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	42.7	40.4	39.1	38.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	275.3	280.8	280.8	284.9
იმერეთი	386.0	371.9	368.6	368.9
კახეთი	325.1	321.5	321.0	322.6
მცხეთა-მთიანეთი	92.6	91.8	91.8	82.6
სამცხე-ჯავახეთი	147.5	139.7	143.6	146.7
ქვემო ქართლი	339.1	308.4	316.5	308.9
შიდა ქართლი	198.1	197.3	198.7	192.1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მოსახლეობის დინამიკაში უდიდეს როლს ასრულებენ ბუნებრივი მოძრაობის ძირითადი ელემენტები – შობადობა და მოკვდაობა, რომლებმაც 2000-2010 წწ. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. აღნიშნული დროის მონაკვეთში შობადობა კლება-მატების ტენდენციით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 3). განსაკუთრებით საგულისხმოა 2000-2003 წწ. პერიოდი, როდესაც საქართველოს სოფლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მუდმივი კლების შედეგად – 2003 წელს – მისი მაჩვენებელი 5,6%-მდე შემცირდა. აღნიშნულ წელს სულ 11,6 ათასი ბავშვი დაიბადა. დაფიქსირებული ფაქტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ დაბადებულთა ასეთი მცირე რაოდენობა თვით მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი (1941-1945 წწ.) არ აღნიშნულა. ომის პერიოდში ბავშვების ყველაზე ნაკლები რაოდენობა 1943 წელს დაფიქსირდა – 13,1 ათასი [1]. არსებული ფაქტი შობადობის კლებითა და გარკვეულწილად მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ამსახველი დემოგრაფიული სტატისტიკის ნაკლოვანებებით უნდა აიხსნას. 2003-2004 წწ. შობადობის კოეფიციენტის მკვეთრ მატებას, 2006 წლის ჩათვლით კვლავ კლება მოჰყვა შედეგად, რის შემდგომ იგი მუდმივად მატულობდა. 2010 წელს კოეფიციენტის მნიშვნელობამ საქართველოს სოფლებში სარეკორდო მნიშვნელობას მიაღწია და ყოველ ათას მცხოვრებზე 13,6 შეადგინა. ეს უკანასკნელი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 1994 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ 2000-2010 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1,9-ჯერ გაიზარდა, იგი მაინც ნაკლები იყო მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვრულ სიდიდეზე (15%). განხილული კოეფიციენტის ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნების შემთხვევაში, ყოველი მომდევნო თაობა 10%-ით ნაკლები იქნება ვიდრე წინა თაობა.

უკანასკნელ წლებში, განხილულ სფეროში მიმდინარე დადებითი ძვრების მიუხედავად, ოცდამეერთე საუკუნის ათიანი წლების დაახლოებით შუა პერიოდიდან გარდაუვალია შობადობის კლების პროცესი, ვინაიდან ბავშვთშობის ყველაზე აქტიურ ასაკში (20-24 წწ.) შევლენ ის თაობები, რომლებიც 1992 წლის შემდგომ დაიბადნენ.

რაც შეეხება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მეორე მნიშვნელოვან ელემენტს – მოკვდაობას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, იგი საგრძნობი რყევებით ხასიათდებოდა. 2000-2005 წწ. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის 3,4 პუნქტით კლება დაფიქსირდა და 6,8 შეადგინა, რის შემდგომ უმთავრესად მატულობდა და 2010 წელს 11,0-მდე გაიზარდა.

სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტების დინამიკა 2000-2010 წწ.


წლები	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (%)	მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (%)	ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი (%)
2000	7.3	10.2	-2.9
2001	6.6	9.9	-3.3
2002	6.0	9.8	-3.8
2003	5.6	8.3	-2.7
2004	9.0	9.3	-0.3
2005	7.4	6.8	0.6
2006	6.8	7.2	-0.4
2007	7.2	7.1	0.1
2008	8.4	7.6	0.8
2009	9.5	8.2	1.3
2010	13.6	11.0	2.6

წყარო: კოეფიციენტები გაანგარიშებულია ავტორების მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ დროის მონაკვეთში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელოვანი რყევა გარკვეული ეჭვის საფუძველს ქმნის, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება დემოგრაფიული განვითარების ტენდენციებს. ცნობილია, რომ თანამედროვე საქართველო დემოგრაფიული გადასვლის მე-4 ფაზაში იმყოფება [2], რომლის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს მოკვდაობის კოეფიციენტის მატება წარმოადგენს. ჩვენს შემთხვევაში კი ზოგიერთ წლებში საპირისპირო ფაქტს ჰქონდა ადგილი, რაც სოფლებში გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის შედეგია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შექმნილი კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო გარკვეულწილად მოიშალა სტატისტიკური სამსახურების მუშაობა, რის გამოც ქვეყანაში 1990-იანი წლებიდან ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ვერ ასახავდნენ რეალურ სურათს, რასაც აღნიშნავდნენ ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტები [3; 4] და არაერთხელ გამხდარა ექსპერტთა მსჯელობის საგანი საერთაშორისო დონეზე [5; 6; 7]. უკანასკნელ წლებში როგორც მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების, ასევე გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობის მატება, მნიშვნელოვან წილად სტატისტიკური სამსახურის მუშაობის გაუმჯობესებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, 2010 წელს დაფიქსირებული ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობა ახლოს იმყოფება რეალობასთან.

თაობათა შენაცვლების რაოდენობრივი შეთანაწყობის სფეროში მიმდინარე პროცესების დასახასიათებლად, მიზანშეწონილია პოკროვსკი-პირლის კოეფიციენტით მანიპულირება, რომელიც წარმოადგენს დაბადებულებისა და გარდაცვლილთა შეფარდებას და გვიჩვენებს, თუ რამდენი ბავშვი იბადება ყოველ ერთ გარდაცვლილ ადამიანზე. კოეფიციენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2000-2004 წწ. იგი 1-ზე ნაკლები იყო. 2005 წლიდან – თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2006 წელს დაფიქსირებული კოეფიციენტის მნიშვნელობის ამოვარდნას, საერთო ტენდენციიდან იგი 1-ს აღემატებოდა, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს (იხ. ნახაზი 1).

პოკროვსკი-პირლის კოეფიციენტების დინამიკა
საქართველოს სოფლის მოსახლეობაში 2000-2010 წწ.



წყარო: კოეფიციენტები გაანგარიშებულია ავტორების მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

შობადობის და მოკვდაობის სფეროში მიმდინარე პროცესები ადეკვატურად აისახა მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე (იხ. ცხრილი 3). 2000-2004 წწ. განხილული მაჩვენებელი უარყოფითი ნიშნით ხასიათდებოდა. უკანასკნელ წლებში შეინიშნება ბუნებრივი მატების კოეფიციენტის მატების ტენდენცია.

განხილული ოფიციალური მასალების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 2000-2004 წწ. სოფლის მოსახლეობის კლება გამოწვეული იყო როგორც ბუნებრივ მატებაში, ასევე მიგრაციულ პროცესებში მიმდინარე ნეგატიური პროცესებით. 2007-2008 წწ., მიუხედავად ბუნებრივი მატების კოეფიციენტის დადებითი მნიშვნელობებისა, მოსახლეობის კლება უარყოფითმა მიგრაციულმა პროცესებმა განაპირობეს. რაც შეეხება 2009 წლიდან მოსახლეობის მატების ფაქტს, იგი გამოწვეული იყო როგორც ბუნებრივი მატების, ასევე დადებითი მიგრაციული საღდოს ზეგავლენით. აღნიშნულ ორ კომპონენტს შორის უფრო მნიშვნელოვანი იყო მიგრაციული პროცესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე. თბილისი, 1999. გვ. 74.
2. მელაძე გ., წულაძე გ. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 1997. გვ. 81.
3. Меладзе Г., Цуладзе Г., Население Грузии и демографические процессы. Тбилиси, 1997. с.81.
4. Badurashvili I., Mc Kee M., Tsuladze G., Mesle F., Vallin J., Shkolnikov V., Where there are no data: what has happened to life expectancy in Georgia since 1990? // Public Health (2001) 115, p.394-400.
5. Meladze G., Population development in Georgia: long-term view // Expert Meeting-Population data Harmonisation and Basic Demographic time series on Armenia, Azerbaijan and Georgia. Tallinn, May 9-12, 2002.
6. Meladze G., Problems of Demographic statistics in Georgia in the period after independence. // Paper presented at the Paris December 9-10 International Conference-2004. Theme: Place et rôle des statistiques de population en situation post-coloniale,
7. Yeganian R., Badurashvili I., Andreev E., Mesle F., Shkolnikov V., Life Expectancy in two Caucasian Countries. How Much due to Overestimated Population? // Paper presented at the Helsinki June 7-9 European Population Conference-2001. Theme: Health. Morbidity and Mortality.

GIORGI MELADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

MAIA MELADZE

Agrarian University of Georgia

MODERN TRENDS IN THE DYNAMICS OF THE RURAL POPULATION OF GEORGIA

S u m m a r y

The notable political and social-economic processes in the last two decades in Georgia embracing every field of our society, have transformed the demographic system of the country. The quantitative indicators of the major elements (birth and death rates) of the natural movement of the rural population have deteriorated significantly; the processes of emigration have reached unprecedented scales and the demographic ageing of the rural population has been progressive.

Based on the considered official materials, a conclusion was made suggesting that the reduction of the rural population in 2000-2004 was caused by the negative processes in the natural increase and migration processes. Despite the positive values of the natural increase coefficient in 2007-2008, the population decrease was caused by the negative migration processes. As for the population increase from 2009, it was caused by the impact of positive natural increase and migration balance, with the migration processes as more important of the two components.

აგფლაცია – სასურსათო უსაფრთხოების ახალი მუქარა

ტერმინი „აგფლაცია“ (**“Agflation”**) – აგრარული ინფლაცია თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე ახალი კატეგორიაა. იგი გულისხმობს აგრარულ პროდუქციაზე ფასების უფრო სწრაფად ზრდას სხვა სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდასთან შედარებით. აგფლაცია- „**Agflation**” წარმოადგენს სიტყვების „**agriculture**” და **“inflation”**-ის შეთანაწყობას. აღნიშნული კატეგორია პირველად შემოიღეს და გამოიყენეს ნიუ-იორკის ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკის **Golden Sachs** მენეჯერებმა.

აგფლაციამ (აგრარულმა ინფლაციამ) განსაკუთრებით მასშტაბური სახე უკანასკნელი გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მიიღო. **XX** საუკუნის 70-იანი წლებიდან მსოფლიოში სურსათზე ფასების უმნიშვნელო კლების ტენდენცია შეინიშნებოდა, მხოლოდ 3-4 წლის წინ დაიწყო სწრაფი ზრდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სურსათზე მსოფლიო ფასები 2,5-ჯერ გაიზარდა, რის შედეგადაც სიღარიბის ზღვარს მიღმა დამატებით ასეული მილიონობით ადამიანი დარჩა. 2007 წელს აგფლაციიმ პიკს მიაღწია, რაც მეტწილად განაპირობა ევროპაში, აზიაში, აშშ-სა და ავსტრალიაში მარცვლეულის და, მათ შორის, ხორბლის მოუსავლიანობამ. აგფლაციის გამომწვევი მიზეზები დღეისათვის ექსპერტთა და მკვლევართა ცხარე დისკუსიის საგანია. მის გამომწვევ ძირითად ფაქტორებს შორის სახელდება შემდეგი:

- **ენერგომატარებლებსა და ნედლეულზე ფასების ზრდამ გამოიწვია სურსათის წარმოებისა და ტრანსპორტირებაზე დანახარჯების მატება.** 2010 წელს 2006 წელთან შედარებით ქვანახშირზე ფასი გაიზარდა 35%-ით, რკინის მადნის ნედლეულზე თითქმის 2-ჯერ, ნავთობზე – 50%-ით. უკანასკნელ წლებში ფასების ზრდის მაღალი ტემპები დაფიქსირდა განსაკუთრებით ნავთობსა და ლითონზე. ანალიტიკოსთა მტკიცებით, მათზე ფასების ზრდა განპირობებულია განვითარებად ქვეყნებში წარმოებისა და მოხმარების მოცულობის მკვეთრი ზრდით, განსაკუთრებით კი ჩინეთსა და ინდოეთში. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ მსოფლიოში თანდათანობით იწურება ნავთობის, ქვანახშირისა და გაზის ადვილად მოპოვებადი მარაგები, რის გამოც მათზე დანახარჯები იზრდება. ბუნებრივ გაზზე ფასების მატებამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აზოტისა და კალიუმის სასუქების გაძვირება, ხოლო ლითონზე ფასების ზრდის შედეგად მატულობს ფასები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მონყობილობაზე.

- **გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლები და შეიცვალა შესაბამისად კვების სტრუქტურა ეკონომიკურად სწრაფად განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ჩინეთში, ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში.** კერძოდ, ადრე ამ ქვეყნების მოსახლეობის კვების რაციონში ძირითადი ადგილი ეკავა ბრინჯსა და მარცვლეულს, ხოლო ბოლო წლებში გაიზარდა ცხიმოვანი საკვების (ხორცისა და რძის პროდუქტების) წილი, რომელთა წარმოებისათვის საჭიროა გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო ფართობი. ასეთივე მდგომარეობა ყალიბდება აფრიკის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა მათთვის ტრადიციული მანიოკის (ტროპიკული ბურქნარი საკვები) მოხმარებიდან გადადის ხორბალსა და სხვა მარცვლეულზე. მაგალითად, ნიგერიაში უკანასკნელ 10 წელიწადში გასამმაგდა ხორბლის მოხმარება, ყოველწლიურად იზრდება მისი იმპორტი და პურისა და პურპროდუქტების ფასი.

- **მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზაზე დაიწყეს ბიოსანვავის (ბიოეთანოლი, ბიოდიზელი) წარმოება და მოხმარება.** ამ მიზნით აშშ, ბრაზილია, ევროკავშირის ქვეყნები გამოყოფენ სუბსიდიებს მოდიფიცირებული სოიოს, შაქრის ლერწმის, რაპსის (ზეთოვანი მცენარე) და სიმინდის წარმოებისთვის. ტრადიციული ნავთობ-სანვავის გაძვირებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გამო ბიოსანვავის მიღება უფრო ეფექტიანი და მიზანშეწონილი გახდა. გამომდინარე აქედან, სულ უფრო იზრდება ამ კულტურების გასაშენებლად ფართობების გამოყოფა, ხოლო სურსათის წარმოებისთვის იგი თითქმის არ მატულობს. ამას ემატება ისიც, რომ მთელი რიგი ქვეყნები არარაციონალურად იყენებენ მიწის რესურსებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური დათბობა, რომელიც თანდათანობით ძალას

იკრებს, ნეგატიურად მოქმედებს კლიმატზე, იწვევს ნიადაგის ეროზიას, და, შესაბამისად, სურსათის სანარმოებლად ვარგისი ფართობების შემცირებას.

- **სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი წამყვანი ქვეყნები ფასების ზრდის მეშვეობით იცავენ თავიანთ საშინაო ბაზრებს, აწესებენ სხვადასხვა შეზღუდვებს სურსათის ექსპორტზე, რაც ამცირებს მათ მსოფლიო სასურსათო ბაზარზე მიწოდებას და, შესაბამისად, იწვევს ფასების ზრდას.** ზოგიერთ ქვეყანაში იზღუდება სურსათის ქარბნარმოება იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ ფასების დაცემა და ფერმერების გაკოტრება.

- **შრომის საერთაშორისო დანაწილებამ და გლობალიზაციის გაღრმავებამ ქვეყნების ერთი ნაწილი (მაგალითად, აშშ) აქცია იაფი სურსათის ექსპორტიორად, რის გამოც ზოგიერთმა იმპორტიორმა ქვეყანამ სათანადოდ არ იზრუნა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მსოფლიო სასურსათო ბალანსის ნეგატიური ტრანსფორმაცია.**

- **პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო პერიოდში ყოველწლიურად 90 მლნ კაცით იზრდება.** 2011 წლის 1 იანვრისათვის მან შეადგინა 6,9 მლრდ კაცი, მაშინ, როდესაც 1993 წელს მისი რიცხოვნობა იყო 5,5 მილიარდი. სურსათის წარმოების ტემპი აშკარად ჩამორჩება მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წინასწარი პროგნოზებით 2150 წლისათვის მოსალოდნელია პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობის გაორკეცება.

- **პოლიტიკური არასტაბილურობა განვითარებად ქვეყნებში აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.** მაგალითად, ზიმბაბვე ადრე მსოფლიოში სიმინდის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი ქვეყანა იყო, მაგრამ პოლიტიკური კრიზისის შედეგად აქ მკვეთრად შემცირდა სურსათის წარმოება. ასეთივე მდგომარეობაა კუბაში, რომელიც ადრე დიდი რაოდენობით აწარმოებდა საექსპორტო შაქარს. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მისი ექსპორტი 8 მლნ ტონიდან 1,2 მლნ ტონამდე შემცირდა.

აგფლაციის გამომწვევ ზემოაღნიშნულ ფაქტორებს შორის ყველაზე მწვავე დისკუსიის საგანია **სურსათზე ფასების ზრდის დამოკიდებულება ბიოსანვავის წარმოებასთან.** ექსპერტთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ბიოსანვავის სანარმოებლად ჯერჯერობით არ გამოიყენება სასურსათო მარცვლეული კულტურები, მათ შორის, ხორბალი და ბრინჯი. ბიოსანვავი მზადდება ცელულოზისაგან, კოპტონისა და ღურდოსაგან, რომლებსაც, მათი აზრით, სურსათთან არანაირი კავშირი არა აქვს. თუმცა, ეს მტკიცება არ არის არგუმენტირებული, გამომდინარე იქიდან, რომ ამ კულტურების განამენიანება ხელს უშლის სასურსათო ნათესი ფართობების ზრდას. შესაბამისად, იზრდება დისბალანსი სურსათზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. აშშ-ში დღეისათვის ფუნქციონირებს და შენდება ბიოსანვავის მწარმოებელი ასეულობით ქარხანა. ცხადია, რომ ნებისმიერი სახის ბიოლოგიური ნედლეულის გამოყენება პირდაპირ თუ ირიბად მაინც მოახდენს ნეგატიურ გავლენას სურსათის წარმოებაზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბიოსანვავის დამზადება საჭიროებს დიდი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გამოყენებას. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ერთი ამერიკული ჯიპის ბიოსანვავით ერთჯერადი განყოფისათვის საჭიროა 200 კგ სიმინდის გადაამუშავება, რაც საკმარისია წლის განმავლობაში ერთი კაცის გამოსაკვებად.

ფაქტია, რომ დღეისათვის აგფლაციასთან დაკავშირებით მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა შემამოფოთებელია. გაერო გვაფრთხილებს, რომ **სურსათზე ფასების შემდგომი ზრდის პირობებში მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეექმნება. მშვიდობა აჯანყებებმა შეიძლება გამოიწვიოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის დესტაბილიზაცია.** უკანასკნელ წლებში სურსათზე ფასების ზრდისა და მისი უკმარისობის გამო აჯანყებები და ხელისუფლებასთან დაპირისპირებები მოხდა ეგვიპტეში, იემენში, ბოლივიაში, მოზამბიკში, სენეგალსა და ინდონეზიაში. ჰაიტი და კამერუნში პოლიციასთან დაპირისპირებისას დაიღუპა ასობით ადამიანი. ჰაიტი მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა 21-ე საუკუნეში დაუბრუნდა საკვების დამზადების უძველეს ტრადიციულ წესს. კერძოდ, ქვეყნის დამშეული მოსახლეობის ნაწილი ცენტრალურ ზეგანზე მოპოვებულ შეხელილ თიხას მზეზე აცხობს კვერის სახით და მიირთმევს პურის სანაცვლოდ. აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს პერმანენტული აქციები და სოციალური დაპირისპირებები ხელისუფლებასთან სურსათზე ფასების ზრდის გამო (ბურკინა-ფასო და სხვ.). გაეროს მონაცემებით, დღეისათვის შიმშილობს დაახლოებით 1 მილიარდამდე ადამიანი. გაერო იძლევა გაფრთხილებას, რომ **თუ დროზე არ მოხდა სურსათთან დაკავშირებული პრობლემების**

მოგვარება, მოხდება სერიოზული კრიზისები, მათ შორის, ეკონომიკურ ზრდაში, სოციალურ პროგრესსა და მსოფლიოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაშიც კი. მისი პროგნოზების თანახმად, 2030 წლისათვის დედამიწის მოსახლეობის გამოსაკვებად საჭიროა სურსათის წარმოების 50%-ით გაზრდა.

გაეროსთან არსებული სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციას (FAO) მიაჩნია, რომ, თუ არ გატარდა სასწრაფო ღონისძიებები, სურსათის პრობლემა შეიძლება დაუდგეთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებსაც. ამ ორგანიზაციის აზრით, **საჭიროა გაეროს წევრმა ქვეყნებმა წმინდა პოლიტიკურ ინტერესებთან შედარებით პრიორიტეტი მიანიჭონ თანამედროვე კაცობრიობისათვის ყველაზე უმწვავეს გლობალურ – სასურსათო პრობლემას.**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სურსათის მოხმარებაზე იზრდება ჩინეთის და ინდოეთის, განსაკუთრებით კი ჩინეთის მოთხოვნილება. ამ ქვეყნის როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში დღითიდღე მატულობს. დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო ფასების დაბალ დონეზე შენარჩუნებას ხელს უწყობდა ჩინეთის იაფი ექსპორტი. უკანასკნელ დრომდე ჩინეთის შრომის ბაზარი ყველაზე იაფი იყო, რის გამოც პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯები ყოველწლიურად 4-5%-ით მცირდებოდა და, შესაბამისად, ინარმოებოდა ყველაზე იაფფასიანი საექსპორტო პროდუქცია. აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის შეფასებით, ჩინეთის სამუშაო ძალის სიიარაღი, რომელიც გაგრძელდა 2004 წლამდე, აშშ-ში ინფლაციას ამცირებდა 1 პროცენტული პუნქტით. ამ ბოლო წლებში კი ჩინეთში დანახარჯები შრომაზე მკვეთრად გაიზარდა: 2005 წელს – 1,5%-ით, 2006 წელს – 2,9%-ით, 2007 წელს – 3,1%-ით, ხოლო 2010 წლისათვის – 9%-ით. დღეისათვის ჩინეთში დაბალხელფასიანი დარჩა მხოლოდ 45 მილიონი მომუშავე, რაც, ანალიტიკოსთა აზრით, ერთ-ორ წელიწადში გადაინაცვლებს მაღალანაზღაურებადთა კატეგორიაში.

მიუხედავად შემოსავლების გაზრდისა, ჩინეთში სერიოზულად დგას ხარისხიანი კვების პრობლემა. ხორცისა და რძის პროდუქტები მოსახლეობის უმრავლესობისათვის ფუფუნებად იქცა. პეკინის ხელისუფლებამ მოსახლეობის პროტესტის ასაცილებლად სურსათის ძირითადი სახეობების ფასები სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა. თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში სურსათზე მაინც რეკორდული ფასები ფიქსირდება.

აგლაციური პროცესების გამწვავებაზე ძლიერ გავლენას ახდენს უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისული მოვლენები. 2011 წლის აგვისტოში ინფლაციამ აშშ-ში შეადგინა 3,8%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ამ ქვეყნისათვის. ამასთანავე, აშშ დოლარი, რომელიც იმავდროულად მსოფლიო ფულის ფუნქციას ასრულებს, სულ უფრო და უფრო კარგავს მსყიდველობითუნარიანობას. ექსპერტთა აზრით, დღეისათვის აშშ ითვლება მაღალი ინფლაციური რისკის ქვეყნად. ისინი შიშობენ, რომ ამერიკაში შეიძლება შენელებდეს მშპ-ს ზრდის ტემპები. ამასთან, მოსალოდნელია მაღალი უმუშევრობა და ინფლაციის ზრდა, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მომასწავებელი იქნება. ჩემი აზრით, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ ბოლო პერიოდში გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები (საბაზო განაკვეთების შემცირება, საბანკო სისტემაში დიდძალი დამატებითი სახსრების მოქცევა) ნეგატიურად აისახა ეკონომიკაზე, კერძოდ, მან დააჩქარა ფასების გლობალური ზრდა. მძიმე მდგომარეობა ფიქსირდება ევროზონაშიც: 2011 წლის სექტემბრის მონაცემებით ინფლაციამ შეადგინა 2,5%, ხოლო უმუშევრობის დონემ – 10%. ამას ემატება ევროზონის ზოგიერთ ქვეყანაში სავალო-საბიუჯეტო კრიზისი (საბერძნეთი, ესპანეთი და სხვ.), რომელიც სერიოზულ საფრთხეს ქმნის საერთაშორისო მასშტაბით.

მსოფლიოში მიმდინარე სურსათზე ფასების ზრდის პროცესი საქართველოზეც ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. აქ, დაწყებული 2000 წლიდან, სურსათზე ფასების ზრდამ აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია მიიღო. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში იგი თითქმის გაორმაგდა. განსაკუთრებით გაიზარდა პურის ფასი (თითქმის 100%-ით), პურის ფქვილის ფასი – 60%-ით, სიმინდის ფქვილის – 70%-ით. ხორცის ფასი არასტაბილური იყო და ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2011 წლის შუა პერიოდში იგი 25%-ით გაიზარდა. ქათმის ხორცის ფასმა 2010 წლის განმავლობაში მოიმატა 7%-ით, ფასების ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპები დაფიქსირდა მზესუმზირის ზეთზე (68%), რძეზე (39%), ყველზე (32%), უმნიშვნელოდ შემცირდა კარტოფილის, ლობიოს და შაქრის ფასი.

საყურადღებოა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება: 2003 წელს იგი შეადგენდა 2262,1 მლნ ლარს, ხოლო 2010 წელს შემცირდა 2166,8 მლნ ლარამდე. ანალოგიური ტენდენცია ჩამოყალიბდა მემცენარეობასა და მეცხოველეობაში.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, აფლაცია გამოწვეულია როგორც გარე (ეგ-ზოგენური), ასევე შიგა (ენდოგენური) ფაქტორების ზემოქმედებით. აფლაციის გამომწვევ შიგა მიზეზებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი:

- **სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების შემცირება.** გარდამავალ ეტაპზე საქართველოში ყოველწლიურად მცირდება ნათესი ფართობის მოცულობა. 2003 წელს იგი შეადგენდა 561, 9 ათას ჰას, ხოლო 2010 წლისათვის შემცირდა 275,1 ათას ჰა-მდე. მართალია, აღნიშნულ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ნაწილობრივ გაიზარდა, მაგრამ მან ვერ გადაფარა ნათესი ფართობების შემცირებით გამოწვეული დანაკლისი და საბოლოო ანგარიშში ქვეყანაში გაცილებით ნაკლები სასურსათო საქონელი ინარმოება.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 2006 წელს მოსახლეობის ერთ სულზე ინარმოებოდა 16 კგ ხორბალი, ხოლო 2010 წელს იგი შემცირდა 11 კგ-მდე. ამავე პერიოდში სიმინდის წარმოებამ შეადგინა, შესაბამისად, 49 და 32 კგ, ბოსტნეულის – 41 და 39 კგ, რძის – 138 და 132 კგ, ხილის – 35 და 28 კგ, ხორცის – 19 და 13კგ. მოცემულ პერიოდში დაფიქსირდა კარტოფილის წარმოების ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე 38 კგ-დან 51 კგ-მდე, ხოლო, კვერცხის – 57 ცალიდან 100 ცალამდე. საყურადღებოა, რომ 2001-2010 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა საშუალოდ შემცირდა თითქმის 10%-ით, მემცენარეობის – 11%-ით, ხოლო, მეცხოველეობის – 7%-ით. სოფლის მეურნეობის წილი მშპ სტრუქტურაში დაეცა 7-8 პროცენტამდე, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის.

- **პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემცირება.** უკანასკნელ წლებში საქართველოში შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, ასევე მნიშვნელოვნად იკლო ღორისა და ფრინველის სულადობამ, უმნიშვნელოდ გაიზარდა მხოლოდ ცხვრის და თხის სულადობა. გამომდინარე აქედან, შემცირდა მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები. მოიმატა მხოლოდ რძის წარმოებამ, თითქმის 100 ათასი ტონით, რაც დაკავშირებულია უცხოური მაღალპროდუქტიული სარძევე პირუტყვის შემოყვანით საქართველოში.

- **სურსათის ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი ბალანსი.** საქართველო ტრადიციულად აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის მას ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები გააჩნია, მაგრამ მაინც დიდი ადგილი უკავია სურსათის იმპორტს. მაგალითად, უკანასკნელ წლებში საკვები პროდუქტებისა და ცოცხალი ცხოველების იმპორტი ყოველწლიურად 600-800 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობს. ცხადია, ასეთი ვითარება ხელს უწყობს სურსათის ფასის ზრდას.

- **მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.** საქართველოში შრომის ანაზღაურება უკანასკნელ წლებში ყოველწლიურად მინიმუმ 10-12 პროცენტით იზრდება, სხვა სოციალური გასაცემლები 15-20% და მეტად, მაშინ როდესაც, მშპ-ს საშუალოწლიური ზრდა 8-9% არ აღემატება. გამომდინარე აქედან, მოთხოვნა გაცილებით მაღალია წარმოებასთან შედარებით, რაც შესაბამისად იწვევს ფასების ზრდას.

- **შემოსავლების მყისიერი ხარჯვის მენტალიტეტი.** საქართველოში მოსახლეობის შემოსავლები იზრდება არა მხოლოდ ხელფასებისა და სოციალური გადახდებიდან, არამედ აგრეთვე მოგებიდან: უძრავი ქონების დაბანდებიდან, დეპოზიტებიდან და ა.შ. განვითარებულ ქვეყნებში ამგვარი ინვესტიციების ზრდა ჩვეულებრივ ინფლაციას ზღუდავს, რადგან მოსახლეობა დამატებით შემოსავალს წარმართავს არა მოხმარებაზე, არამედ ბიზნესისა და წარმოების განვითარებაზე (საფონდო ბაზრების, დეპოზიტების და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით). საქართველოში კი დანაზოგების ინვესტირება ბიზნესში ძალიან დაბალი და მოკლევადიანია. ერთ- და ორწლიანი მოგება, როგორც წესი, წარმართება მოკლევადიან მოხმარებაზე და არ ხდება მათი რეინვესტირება. დაკრედიტების ზრდამ კი გამოიწვია სამომხმარებლო ბუმი (მაგალითად შეიძლება დასახელდეს ავტომანქანების შესყიდვის უალრესად მაღალი ტემპი).

- **მოსახლეობის მაღალი ინფლაციური მოლოდინი.** მოსახლეობა მიეჩნია ფასების ყოველწლიურად ზრდას და, მათი აზრით, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. ამიტომაც ისინი პირველ შესაძლებლობისთანავე იძენენ საქონელს (ეს ნაკლებად ეხება სურსათს), რაც ზრდის მოთხოვნას. ფასების ზრდას რომ ჰქონდეს მოულოდნელი (და არა მუდმივი, თანდათანობითი) ხასიათი, მაშინ მომხმარებელი მას არ შეიძენს, ხოლო შესაბამისად მწარმოებლებს მოუწევთ ფასების შემცირება და, შესაბამისად, შერბილდებოდა ინფლაციური პრობლემა. მომხმარებლის მენტალიტეტი ასეთია: „შევიძინოთ ახლა, სანამ კიდევ არ გაძვირებულა“, ბიზნესმენ-მწარმეთა მენტალიტეტი კი – “მივიღოთ მაქსიმალური მოგება, სანამ კრიზისი არ შექმნილა”. ჯერჯერობით საქართველოში ბიზნესის დიდი ნაწილი ამორალური და არაქრისტიანულია. იგი მყისიერ გამდიდრებაზეა ორიენტირებული.

გარდა აღნიშნულ შიგა ფაქტორებისა, აგფლაციის ზრდაზე მრავალი გარე ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აშშ დოლარის მსყიდველობითუნარიანობის შესუსტება. საქართველოს ეროვნული ვალუტა მიბმულია აშშ დოლართან, ამიტომაც დოლარის დაცემა მსოფლიო ბაზარზე ასუსტებს ქართულ ეროვნულ ვალუტას სხვა ვალუტებთან, განსაკუთრებით კი ევროსთან მიმართებაში. აშშ აფართოებს ფულად მასას და ზრდის შიგა მოხმარებას. ასეთი პოლიტიკა ავტომატურად ექსპორტირდება საქართველოში. დოლარის ღირებულების დაცემა და ევროს გაძლიერება გარკვეულწილად ზრდის ევროპული საქონლის ფასს და, შესაბამისად, იზრდება ევროპიდან შემოტანილი პროდუქციის ფასი.

მომავალში საქართველოში აგფლაციაზე მოქმედ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- **ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირება.** ეს მოსალოდნელია მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების შემცირების გამო. აგრეთვე ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად, რომლისგანაც არც ერთი ქვეყანა არაა დაზღვეული და რომლის ალბათობა განუსაზღვრელია.

- **გაზის და ელექტროენერჯის ტარიფების ზრდა.** ამის ალბათობა მაღალია, მსოფლიოში მათზე ფასების ზრდის გამო.

- **ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა.** ამ მხრივ მსოფლიო პროგნოზი პესიმისტურია და ფასების შემდგომი ზრდა მაღალაღბათურია.

- **პოლიტიკური ვითარება.** კვლავაც მწვავედ დგას ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის პრობლემა, რომლის მშვიდობიანი გზით გადაჭრის ჩიხში შესვლამ, შეიძლება ახალი პრობლემის წინაშე დაგვაყენოს.

- **მხოლოდ მოკლევადიან ეფექტზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა.** უცხოეთიდან ეკოლოგიურად მავნე სურსათის შეუზღუდავად იმპორტირება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველო არაა იმ მასშტაბის და ეკონომიკურად იმ პოტენციალის ქვეყანა, რომ მან ზეგავლენა მოახდინოს აგფლაციის გამომწვევებზე. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ მთელი ძალისხმევა უნდა წარმართოს იმ საშინაო მიზეზებისა და ფაქტორების განეიტრალებისაკენ, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაზე. მართალია, ამ ეტაპზე აგრარული სექტორი, ტურიზმსა და ინფრასტრუქტურასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებული და ამ სფეროში გარკვეული პოზიტიური ძვრები მიმდინარეობს (ჰიბრიდული სიმინდის გავრცელება, სახელმწიფო ხელშეწყობა ყურძნის დამზადებაში და ა. შ.), მაგრამ, ისინი ეპიზოდურ ხასიათს ატარებენ და არ არიან გამაგრებული სახელმწიფო პროგრამებით და სტრატეგიული გადამწყვეტილებებით. ჩემი აზრით, უახლოეს მომავალში აგფლაციური პროცესების მართვისა და სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით გასატარებელ პირველი რიგის ამოცანებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- **მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის და შესაბამისი კომპლექსური სამოქმედო პროგრამა,** რომელიც მიმართული იქნება ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოების გაზრდისკენ.

- **გარკვეულ მოდიფიცირებას საჭიროებს სურსათის სფეროში საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა პოლიტიკა იმ კუთხით, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს სურსათის ადგილზე წარმოებას და მოქმედ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში შეიზღუდოს ეკოლოგიურად მავნე სურსათის იმპორტი.** აღნიშნული ღონისძიებით მნიშვნელოვნად შემცირდება აგფლაციის იმპორტირება.

- **ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს ინფლაციის თარგეთირება, შეზღუდოს დაკრედიტების უზომოდ ზრდის ტემპი, გააძლიეროს ეროვნული ვალუტის სტერილიზაცია,** მოძებნოს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ინფლაციის შემცირებას და, მეორე მხრივ, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილიზაციას.

- **ხელისუფლებამ აგფლაციის შეზღუდვის მიზნით საჭირო შემთხვევაში მოახდინოს სურსათის სახელმწიფო რეზერვების ინტერვენცია ბაზარზე** (ხორბალი, ხორცი და ა.შ.). ამის საკმაოდ ეფექტიანი გამოცდილება უკვე არსებობს საქართველოში მარილთან დაკავშირებით.

- **როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, აგრობიზნესის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს მისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა,** რომელთა ფორმებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- სუბვენციები, სუბსიდიები, დივიდენდები ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე;
- საბიუჯეტო კრედიტები, სესხები;
- სახელმწიფო და მუნიციპალური გარანტიები.

სახელმწიფო ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას დააფინანსოს სახელმწიფო პროგრამები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა დარგებსა და სფეროებში. ამასთანავე, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბიზნესის სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების ფუნქციონირებას და განვითარებას, რისთვისაც გამოიყენებს საბიუჯეტო სახსრებს.

აგრარული სექტორის სახელმწიფო დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს როგორც ფედერალური (სახელმწიფო) ბიუჯეტის, ასევე ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტის სახსრები. *სახელმწიფო ბიზნესის დაფინანსებას ახდენს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით.*

პირდაპირი დაფინანსების მეთოდს განეკუთვნება *სუბსიდია*, ანუ ფინანსური მხარდაჭერის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც აგრობიზნესისათვის სახელმწიფოს მიერ გაცემული ფულადი სახსრები არ ექვემდებარება დაბრუნებას. ასეთი ფორმით დაფინანსება სახელმწიფომ შეუძლია აღმოუჩინოს როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომელთა საქმიანობაზეა დამოკიდებული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. ამ მიზნით სუბსიდიასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დასაფინანსებლად სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს ისეთი ფინანსური მექანიზმები, როგორიცაა *დოტაცია* და *სუბვენცია*. დოტაცია არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ზარალიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე ფინანსური დახმარების აღმოჩენა. არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ისეთი სახეობები, რომელთა წარმოება უფრო მეტი ჯდება, ვიდრე გასაყიდი ფასი. ამასთან, ასეთი პროდუქტები საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია. *სუბვენცია* ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივ ფულად დახმარებას გარკვეულ ღონისძიებებზე და ობიექტებზე, ოღონდ, დოტაციისაგან განსხვავებით, იგი ექვემდებარება დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ სახსრები არ იქნა დანიშნულების მიხედვით გამოყენებული.

უსასყიდლოდ და დაუბრუნებლად ასიგნებებთან ერთად სახელმწიფომ აგრობიზნესს შეიძლება გამოუყოს სახსრები ანაზღაურების და დაბრუნების ფორმით – *საბიუჯეტო კრედიტი*. ასეთი კრედიტი გამოეყოფათ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მსესხებლის ვალდებულებას ანაზღაუროს საკრედიტო პროცენტები და სესხად მიღებული თანხა დააბრუნოს დადგენილ ვადაში. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფომ ბიუჯეტიდან შეიძლება გასცეს უპროცენტო სესხი დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური რესურსების ცენტრალიზებული გადანაწილების ახალი ფორმა საბიუჯეტო კრედიტების სახით წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და სწრაფად იქცა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის აქტიურ ინსტრუმენტად. საბიუჯეტო კრედიტმა ყველაზე ფართო გამოყენება პოვა დიდ ბრიტანეთში, სადაც იგი გაიცემა სახელმწიფო კორპორაციებისა და ადგილობრივი ორგანოების სესხების ეროვნული ფონდიდან 5, 10 და 15 წლის ვადით. აღნიშნული სესხების საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია (წლიური 13–14 %). საფრანგეთში საბიუჯეტო კრედიტი გაიცემა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდიდან, რომლის ფორმირება უმეტესწილად ხდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე. ფონდი სახელმწიფო სესხს იძლევა 7-დან 20 წლამდე ვადით როგორც სახელმწიფო კორპორაციებზე, ასევე კერძო სუბიექტებზე. განსაკუთრებით მსხვილი სესხები გაიცემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბიუჯეტო კრედიტის გაცემის პრაქტიკა ჩანასახოვან მდგომარეობაშია. პირველი ასეთი კრედიტები „იაფი კრედიტის“ სახით გაცემულ იქნა საქართველოშიც 2007–2008 წლებში, თუმცა, შემდგომ ეს პრაქტიკა შეწყდა იმის გამო, რომ მრავალმა მსესხებელმა ვერ უზრუნველყო მათი მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება, ვერ მოახერხა სესხების მომსახურება და დაბრუნება დადგენილ ვადაში.

ზოგადად ბიზნესის და, მათ შორის, განსაკუთრებით აგრობიზნესის, მნიშვნელოვანი პრობლემაა ინვესტიციების მოზიდვა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მენარმეთა მიმართ ბანკები ყოველთვის არ იჩენენ სათანადო ყურადღებას. ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან მსხვილი კრედიტების გაცემაზე სტაბილურად მომუშავე საწარმოებისათვის, ხოლო მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის კრედიტების გაცემაზე თავს იკავებენ იმ მოტივით, რომ მას თან ახლავს დიდი ადმინისტრაციული დანახარჯები და მაღალი რისკები. ამასთან, ბანკები კრედიტებს გასცემენ წვრილი ბიზნესის იმ სახეობებზე, რომელთა სახსრების ბრუნვადობა

მოკლევადიანია და გააჩნიათ შესაბამისი ქონება გირაოში ჩასადაბად. ასეთ მცირე ბიზნესს წარმოადგენს ვაჭრობა, ხოლო სანარმოები, რომლებიც დასაქმებული არიან პროდუქციის გამოშვებით, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით (რეალური სექტორი), ძნელად სარგებლობენ საბანკო კრედიტით.

ასეთ ვითარებაში სახელმწიფო განზე არ უნდა დადგეს. მან უნდა შეიმუშაოს აგრობიზნესისადმი მხარდაჭერის აქტიური ფორმები და მეთოდები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. *ბიზნესის საბანკო კრედიტზე პროცენტის ნაწილობრივ სახელმწიფო კომპენსაცია.* ასეთ შემთხვევაში ბანკები, როგორც წესი, ზრდიან საპროცენტო განაკვეთებს, ამიტომაც აღნიშნული მიდგომა პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება;

2. *წილობრივი საგარანტიო სახელმწიფო მხარდაჭერა ბიზნესის საბანკო კრედიტებზე.* იგი უზრუნველყოფს საბანკო კრედიტის მიღებას იმ პირობით, რომ სახელმწიფო გარანტიად უდგება ბიზნესს კრედიტის გარკვეულ ნაწილში, ხოლო მის მეორე ნაწილზე თვით სანარმომ უნდა აიღოს სრული ვალდებულება. ბიზნესისადმი მხარდაჭერის ასეთი სქემა უზრუნველყოფს საბანკო კრედიტებზე დაბალრენტაბელური სანარმოების დაშვებას, რომელთა საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და შესაბამისი მომსახურების მიწოდება.

სახელმწიფო ან მუნიციპალური გარანტია არის სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებების უზრუნველყოფის ფორმა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ან მუნიციპალური წარმონაქმნი, როგორც გარანტი, იძლევა წერილობით ვალდებულებას, სრულად ან ნაწილობრივ აგოს პასუხი მესამე პირის წინაშე იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც მან გარანტის სახით გასცა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე. გარანტიის ვადა განისაზღვრება ვალდებულების შესრულების ვადით. გარანტია, როგორც წესი, გაიცემა კონკურსის საფუძველზე. სახელმწიფო ან მუნიციპალური საგარანტიო ვალდებულებები მესამე პირის მიმართ შემოსისაზღვრება იმ თანხის გადახდით, რაზედაც გაიცა გარანტია. გარანტი, რომელმაც შეასრულა თავისი საგარანტიო ვალდებულებები, უფლებამოსილია გარანტის მიმღებისგან მოითხოვოს თანხის სრული დაბრუნება იმ მოცულობით, რაც მან გარანტიით გადაუხადა მესამე პირს (როგორც წესი, საკრედიტო დაწესებულება).

სახელმწიფო გარანტიების გაცემის ძირითადი მიზანია ეკონომიკის საკვანძო მიმართულებებზე და, საქართველოს შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციური აქტივობის სტიმულირება. გარანტიების გასაცემად განხილვას ექვემდებარება ის ბიზნესპროექტები და სუბიექტები, რომლებსაც გააჩნიათ მდგრადი ფინანსური მდგომარეობა და აქვთ შესაძლებლობა დადგენილ ვადაში დააბრუნონ კრედიტი მასზე დარიცხული პროცენტებით და სრული მოცულობით. საგარანტიო თანხის მოცულობა განისაზღვრება შესაბამის ბიუჯეტებში (სახელმწიფო, მუნიციპალური). ასეთი გარანტია წარმოადგენს სახელმწიფო ვალს და იგი აისახება საბიუჯეტო ვალის სტრუქტურაში და გამოიყოფა ცალკე მუხლად სახელმწიფო და მუნიციპალურ ბიუჯეტებში. სახელმწიფოს ან მუნიციპალური წარმონაქმნის მიერ გარანტიით გაცემული თანხის დაფარვის შემდეგ შესაბამისი მოცულობით მცირდება საბიუჯეტო ვალი.

ასეა თუ ისე, საქართველოში სურსათზე ფასების ზრდა მომავალშიც გაგრძელდება, სანამ საქონლისა და მომსახურების ფასები არ გაუტოლდება მსოფლიო ფასებს. მთავარია ისეთი საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომ ინფლაციის წყარო არ გახდეს მიწოდება-მოთხოვნას შორის წარმოქმნილი დისბალანსი და ავფლაციური პროცესების სტიმულირება ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგის განუვითარებლობით.

IASHA (JACOB) MESKHIA

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Full Professor

AGFLATION – A NEW THREAT TO FOOD SECURITY

S u m m a r y

Agflation is one of the new threats posing the modern world economy. Natural cataclysms and global warming happening on our planet have negatively affected environmental conditions and factors connected with the agricultural production. Lately there has been the stagnation or reduction of food processing growth rate and accordingly, prices on food products increased more rapidly as compared to other consumer goods.

Price increase on energy resources, fuel and metal, income growth of population and changes of nutrition structure in rapidly developing countries (China, India, etc.), usage of agricultural commodities for production of biofuels and high growth rates of the world population are considered to be the major sources of modern agflation.

Rapid increase in prices of food products is the sign of universal crisis and it may become extremely hazardous for the growth and security of the world economy. It is to be mentioned that the food crisis had the most severe impact on food importers and the poorest countries.

During last years, a high rate of agflation has been fixed in Georgia too. The increase in price index of consumer goods within 8-10% is accompanied by more rapid rise in prices of food products, which is mainly caused by internal and external factors. Agflation was more strongly affected by the collapse of agroindustrial system of the country in the transition stage rather than the influence of external factors. The present report provides practical suggestions and recommendations on solving the problem of food products and avoiding agflation processes in Georgia.

**გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხე და
საქართველოს აგრარული ეკონომიკა**

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა გასაყარზე მსოფლიო არასტაბილურობის მორიგ ფაზაში შევიდა. ფინანსურ-ეკონომიკური, ენერგეტიკული, სასურსათო კრიზისები, დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება, სოციალური უთანასწორობისა და სიღარიბის ზრდა ის თანამედროვე გლობალური პრობლემებია, რომლებიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს და ეჭვქვეშ აყენებს კაცობრიობის განვითარების ოპტიმისტურ პერსპექტივას. აღნიშნული პრობლემების ურთიერთკავშირი და ხშირ შემთხვევაში – ურთიერთგანპირობებულობაც საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ გლობალურ სისტემურ არასტაბილურობაზე, რომელიც ხშირად გლობალურ კრიზისებში გადაიზრდება.

აღნიშნულ პრობლემათა ფართო სპექტრში ჩვენ გამოვყოფთ გლობალურ სასურსათო პრობლემას, რომელსაც განაპირობებს ბუნებრივ-კლიმატური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორები. ბუნებრივ-კლიმატურ ფაქტორებში, პირველ რიგში, ვგულისხმობთ გლობალურ დათბობას და მისგან გამომდინარე მიწების მზარდ გაუდაბნობას, დაჭაობებას და ეროზიას. დედამიწის მთელ ტერიტორიაზე უკანასკნელ ათწლეულში ნიადაგის ეროზიული პროცესები ფართოდ გავრცელდა და შემაშფოთებელ მასშტაბებს მიაღწია. ეროზიის შედეგად წლის განმავლობაში საშუალოდ მსოფლიოში იკარგება 0. 059 სიმაღლის ნიადაგის ფენა (საქართველოში – 0. 050), რის გამოც მსოფლიოს სახნავი მიწებიდან უვარგისი ხდება 26 მლრდ ტონა ნიადაგი, რაც 9 მლნ ჰა სარწყავი მიწის ნიადაგის საფარის ეკვივალენტია. დღემდე კაცობრიობამ წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად დაკარგა 2 მლრდ ნაყოფიერი მიწა (ყურნ. “სოციალური ეკონომიკა”, 2006, 1, გვ. 127). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) პროგნოზით, ეროზიისა და მისი თანმდევი პროცესების შედეგად კაცობრიობამ პერსპექტივაში შესაძლებელია დაკარგოს იმ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მესამედი, რაც იყო მსოფლიოში გასული საუკუნის 70-იან წლებში. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების სამეურნეო ბრუნვიდან გამორიცხვის გრანდიოზული მასშტაბები ვერ კომპენსირდება ახალი მიწების ბრუნვაში ჩართვით, რის გამოც მსოფლიოში სოფლის მეურნეობის სავარგულების ფართობები სისტემატურად მცირდება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ვერ კომპენსირდება სოფლის მეურნეობის ინტენსიური წარმართვის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით. შედეგად ვიღებთ მსოფლიოში (განსაკუთრებით “მესამე სამყაროს” ქვეყნებში) მოსახლეობის ზრდის წინმსწრებ ტემპს სურსათის ზრდის ტემპთან შედარებით. სწორედ განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს დედამიწის თანამედროვე მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, რაც კიდევ უფრო ამწვავებს პრობლემას.

სასურსათო კრიზისის საფრთხის შემცველია სურსათზე, განსაკუთრებით კი მარცვლეულზე ფასების მკვეთრი ზრდა, რომელიც მსოფლიოში 2007 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო, შეუქცევადი ხასიათი მიიღო და მის განსაკუთრებულ გამწვავებას გაეროს ექსპერტები 2015 წლისთვის ვარაუდობენ. სასურსათო კრიზისის გამწვავებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გახშირება-გაღრმავებაც, და როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: “მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისაგან გამონვეული დეფიციტი პირველ რიგში, ალბათ, კვების პროდუქტებს შეეხება” (ყურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2009, 3, გვ. 27).

სურსათზე ფასების გაძვირების ერთ-ერთი მიზეზია სურსათის მთავარ მწარმოებლებში – აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების აგრარულ პოლიტიკაში ბოლო პერიოდის მანძილზე განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს, ჯერ ერთი, სახელმწიფოს მხრიდან ფერმერების დახმარების (სუბსიდირების) შემცირებას და, მეორე, სურსათის შიდა ბაზრის ლიბერალიზაციას,

ანუ გარე კონკურენციისაგან მისი დაცვის ღონისძიებების შერბილებას. ბუნებრივია, ეს ცვლილებები, განსაკუთრებით კი სუბსიდიების შემცირება – ზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დანახარჯებს და შესაბამისად, ფასებსაც. აღნიშნულის კომპენსაცია აუცილებლად მოხდება სურსათის იმპორტიორი ქვეყნების ხარჯზე. მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის (FAO) და ევროკავშირის პოზიცია სურსათის წარმოების სუბსიდიების საკითხთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვანი და გრძელვადიანია. ისინი თვლიან, რომ განვითარებულ ქვეყნებში ფერმერთა სუბსიდიების სისტემა, მართალია, აიაფებს სურსათის იმპორტს ღარიბ ქვეყნებში, მაგრამ ბევრ ქვეყანაში იწვევს სურსათის წარმოების პრობლემის მიმართ ყურადღების მოდუნებას, რასაც შედეგად მოსდევს მსოფლიოში სურსათის წარმოების შემცირება და მასზე ფასების გარდაუვალი ზრდა. საბოლოოდ, წაგებულია ის ქვეყანა, რომელსაც არაეფექტიანი აგრარული პოლიტიკა გააჩნია.

გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის განცხადებით: “სურსათზე ფასების ზრდა საერთო ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებელია და აუცილებელია ამ ტენდენციის შესაჩერებლად ყველა ძალის გამოყენება” (ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, 6, გვ. 64). სურსათზე ფასების მკვეთრი ზრდა განაპირობებს ადამიანთა კვების რაციონის შემცირებას და გაუარესებას. თუკი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემას შეფარდებითი ხასიათი აქვს, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში იგი გამოიხატება ფიზიკური შიმშილის მასშტაბების გაფართოებით. ის ფაქტი, რომ დღეს მსოფლიოში შიმშილობს 1 მლრდ ადამიანი, 2. 2 მლრდ კი სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის, ფრიად საფუძვლიანს ხდის გაეროს გენერალური მდივნის მიერ გამოთქმულ შემფოთებას: „ამჟამად მსოფლიოს საზოგადოების სიღარიბესთან ბრძოლის ყველა შედეგი საფრთხის წინაშეა”.

მსოფლიოში არსებული სასურსათო კრიზისისა და მისი შემდგომი გამწვავების საფრთხის ფონზე ეს პრობლემა განსაკუთრებით სავალალოდ გამოიყურება საქართველოს თანამედროვე რეალობაში. ჩვენთან ოჯახის სამომხმარებლო ხარჯებში სურსათს ამჟამად უკავია 60-70 % მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 1/7, ღარიბ ქვეყნებში კი – 50%-ზე ოდნავ მეტს. ამასთანავე, იმპორტირებული პროდუქციის წილი ჩვენს ქვეყანაში მოხმარებული სასურსათო კალათის მოცულობაში შეადგენს 2/3, ხოლო თბილისის მასშტაბით კი – 4/5 (ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, 6, გვ. 111). საქართველოში საერთოდ შეწყვეტილია მრავალი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. მათ შორის: სასაქონლო დანიშნულების სუფრის ქარხლის, სტაფილოს, ყვავილოვანი კომბოსტოს, საადრეო ბოსტნეულის და ა.შ. ამკარაა, რომ სურსათზე ფასების მკვეთრი ზრდა მსოფლიო ბაზარზე უაღრესად ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს მოსახლეობის ისედაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, თუმცა ესეც არ არის სადღეისოდ ყველაზე მწვავე პრობლემა. საერთაშორისო დონეზე აღიარებულია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების კრიტერიუმი – ქვეყანაში მოხმარებული და წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობათა თანაფარდობა. ითვლება, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დაკარგვის შესაძლებლობა ჩნდება მაშინ, როცა კვების პროდუქტების იმპორტის ხვედრითი წილი სასურსათო ბაზრის საერთო მოცულობის 30%-ს აჭარბებს. საქართველოში ეს მაჩვენებელი, როგორც აღვნიშნეთ, 80-85%-ის ფარგლებშია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ფაქტობრივად უკვე დაკარგული აქვს სასურსათო უსაფრთხოება. ამის ძირითადი მიზეზია საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც რეფორმებით იმეორებს კითხვას: კვდება თუ არა სოფლის მეურნეობა საქართველოში?

დღეისათვის სოფლად ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 47%, რაც შეადგენს ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტს. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სექტორში უკიდურესად დაბალია შრომის ფონდშეიარაღება და შრომის მწარმოებლურობა. ეს არის ეროვნული ეკონომიკის ერთადერთი დარგი, რომელშიც 2003 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა 1/7-ით და მეტად. წლიდან წლამდე მცირდება სოფლის მეურნეობის წილი ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. 2009 წელს იგი 1996 წელთან შედარებით შემცირდა 4-ჯერ, ხოლო 2003 წელთან შედარებით კი – 2. 3-ჯერ და შეადგინა მხოლოდ 8. 3%. ეს იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობაზე მოდის საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57. 0%, დასაქმებული მოსახლეობის – 63. 2%, თვითდასაქმებული მოსახლეობის – 81. 5% და დაქირავებით დასაქმებულების – 30. 5%. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა უმუშევართა საერთო რაოდენობაში სოფლად მცხოვრებთა წილი, კერძოდ – 2003 წლის 20. 8%-დან 2009 წლის 26. 4%-მდე.

როგორც აღვნიშნეთ, შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში უკიდურესად დაბალია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ეროვნულ დონეს და ეს ჩამორჩენა წლიდან წლამდე იზრდება. ამჟამად შრომის მწარმოებლურობა საქართველოს ეკონომიკაში ერთ დასაქმებულზე, ანუ

დამატებული ღირებულების სიდიდე, შეადგენს 10.8 ათას ლარს, სოფლის მეურნეობაში კი – მხოლოდ 1.4 ათას ლარს. პროცენტულად შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში 1998 წელს ეროვნული მეურნეობის საშუალო მაჩვენებლის 45%, 2003 წელს – 30%, ხოლო 2009 წელს მხოლოდ 13% იყო. ამჟამად სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე თვეში იქმნება დაახლოებით 70 აშშ დოლარის ეკვივალენტი დამატებული ღირებულება, რაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმზე დაახლოებით 7%-ით ნაკლებია.

აღნიშნული დარგის ჩამორჩენაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სოფლად მცხოვრებთა ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილად მოდის მხოლოდ 21%, დანარჩენი კი ნატურალური შემოსავლებია. უაღრესად დაბალია აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის დასაქონლიანების დონე, რომელიც ჩამორჩება კოლექტივისტური (საბჭოთა) ეკონომიკის პირობებში არსებულ ადრეულ მაჩვენებელს. კერძოდ, 1989 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობის დასაქონლების დონე 82%-ს უდრიდა, 1998 წელს – 22%, ამჟამად კი 18%-ის ტოლია, ანუ სახეზე გვაქვს ჩვენთვის ფრიად სამწუხარო პარადოქსი: საბჭოურ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში პირადი დამხმარე მეურნეობები ბევრად უფრო მეტად იყო ბაზარზე ორიენტირებული, ვიდრე დღესაა. მამასადამე, საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნატურალიზაციასთან, რაც მისი დეგრადაციის მაჩვენებელია.

არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების კიდევ ერთი ინდიკატორი – მოცემული ქვეყნის რამდენი მცხოვრების გამოკვება შეუძლია სოფლად დასაქმებულ ერთ ადამიანს თავისი საქმიანობით. განვითარებული ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი რამდენიმე ათეულს აღწევს, საქართველოში კი მხოლოდ 4.2-ია. თუ დამატებული ღირებულების რეალურ მოცულობასაც მივიღებთ მხედველობაში, აღმოჩნდება, რომ დღევანდელ პირობებში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავისი გამოკვებაც კი არ ძალუძს და რომ არა საქმიანობის სხვა, არააგრარული სახეობები (პირველ რიგში ვაჭრობა და მომსახურება), სოფლად ტოტალური შიმშილი და გაჭირვება დაისადგურებდა.

უაღრესად დაბალია სოფლის მეურნეობის დაფინანსება. კერძოდ, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სფეროზე გამოყოფილია 55 მლნ 348 ათასი ლარი (საბიუჯეტო ასიგნებების მხოლოდ 0.8%) მაშინ, როდესაც ძალოვან სტრუქტურებზე (თავდაცვა, შსს, სასჯელაღსრულება და პრობაცია) გამოყოფილია 1 მლრდ 411 მლნ ლარი, ანუ ბიუჯეტის მეხუთედზე მეტი (20.9%). მარტო შსს-ს დაფინანსება 10-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსებას.

სოფლის მეურნეობის წილად მოდის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მხოლოდ 0.7%. ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს აგრარულ სექტორში შემოვიდა მხოლოდ 45.6 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ანუ ინვესტიციების საერთო მოცულობის მხოლოდ 1%. ეს მაშინ, როცა იმავე პერიოდში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოს უძრავ ქონებაში შეადგინა 10-ჯერ მეტი თანხა – 455.7 მლნ აშშ დოლარი.

ამჟამად საბანკო სექტორის მიერ სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობა მთელი სესხების მხოლოდ 1%-ია, ხოლო მოსახლეობაზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა (1017.9 მლნ ლარი) 18-ჯერ აღემატება სოფლად სამეწარმეო საქმიანობაზე გაცემული სესხების ოდენობას.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში მარცვლეულ კულტურებს ეკავა 270 ათასი ჰა, მოსავალი კი 600 ათას ტონას აღემატებოდა. 2009 წელს, შესაბამისად, 216.8 ათასი ჰა და 364.8 ათასი ტონა; 1988 წელს მოგვყავდა 326 ათასი ტონა კარტოფილი, 2009 წელს კი – 216.8 ათასი ტონა; ბოსტნეული, შესაბამისად, 641 ათასი ტონა და – 214 ათასი ტონა; ხილი – 653 ათასი ტონა და – 181.2 ათასი ტონა; ყურძენი – 620 ათასი ტონა და – 150.1 ათასი ტონა; ციტრუსები – 437 ათასი ტონა და 70.9 ათასი ტონა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მართლაც კატასტროფული მდგომარეობის მთავარ მიზეზებად მიგვაჩნია აგრარულ პოლიტიკაში წლების მანძილზე დაშვებული შეცდომები, ხარვეზები და სახელმწიფოს არასათანადო ყურადღება როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ასევე ზოგადად სოფლის პრობლემების მიმართ. გატარებული აგრარული რეფორმის ძირითადი შინაარსი იყო მიწის პრივატიზება, რომელმაც დაამკვიდრა მიწაზე კერძო საკუთრება. ამასთანავე, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემამ ადამიანებში საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების მწვავე დეფიციტის პირობებში განაპირობა ის ფაქტი, რომ მრავლად აღმოჩნდა მიწის ისეთი მეპატრონე, რომელსაც არ შეუძლია ან არ სურს მიწის დამუშავება. ამ გარემოებას ხელი შეუწყო 2005 წლის ივლისში მიღებულმა კანონმა მიწის პრივატიზების შესახებ, რომელმაც მიწის უპირატესი გამოსყიდვის უფლება მიანიჭა სოფლად არმცხოვრებ პირებს (ძირითადად მალა-

ლი რანგის ჩინოვნიკებს და სახელმწიფო ქონების მიტაცებით გამდიდრებულ ე.წ. ბიზნესმენებს), რომლებსაც იჯარის წესით ჰქონდათ აღებული ყველაზე ნაყოფიერი მიწების ასიათასობით ჰექტარი. მათ ეს მიწები მიეყიდათ საბაზრო ფასებზე გაცილებით იაფად. ისინი ამ მიწებს, როგორც წესი, ფერმერული მეურნეობების დასაფუძნებლად და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასაღორძინებლად კი არ იყენებენ, არამედ ფართობებს პატარ-პატარა ნაკვეთებად ანაწილებენ და იჯარით გასაცემენ იმ გლეხებზე, რომლებმაც ფინანსური უსახსრობის გამო თავის დროზე ვერ შეძლეს მათი შესყიდვა. ქვემოიჯარე მოკლე საიჯარო ვადაში ცდილობს მიწიდან რაც შეიძლება მეტი შედეგის მიღებას, რისთვისაც მაქსიმალური ინტენსივობით იყენებს მიწას და ამავე დროს არ ზრუნავს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენაზე, მიწის გაკულტურებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთები დეგრადირდება და გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელდა ჰუმუსის მოჭრისა და საზღვარგარეთ გაყიდვის პრაქტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ჰუმუსის წარმოქმნას (ჰუმუსის აღდგენას) საუკუნეები ჭირდება, ამგვარი ქმედება განსაკუთრებით კატასტროფული შედეგების მომტანია.

მიწების პრივატიზებასთან ერთად არ მომხდარა სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. დღეს სოფლად არსებული ტრაქტორების, კომბაინების და სატვირთო ავტომობილების 50%-ზე მეტი ფიზიკურად ამორტიზებულია. ტექნიკური უზრუნველყოფის ასეთი დაბალი დონე დაახლოებით 20-30 %-ით ზრდის მოსავლის დანაკარგებს. შეიძლება ითქვას, რომ გლეხები მიწასთან “შიშველი ხელების” ამარა დარჩნენ და ძალიან უჭირთ მისი დამუშავება.

კანონში – „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ - დაფიქსირებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გაყიდვა, რაც, ჩვენი აზრით, უაღრესად არასწორია. აუცილებელია, რომ სახელმწიფოს თავის განკარგულებაში ჰქონდეს სასაზღვრო ზონის მიწები და მიწების სარეზერვო ფონდი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იგი გამოიყენებს სხვადასხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებული მოსახლეობის ადგილმონაცვლეობისათვის და აგრეთვე – მოსახლეობის ზრდის შედეგად მათი დასახლებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გადასაცემად.

აგრარული რეფორმის განხორციელების პროცესში დაშვებულ შეცდომად ჩვენ მივიჩნევთ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელაღებით დანგრევა-გაუქმებას. ბევრი გამართულად ფუნქციონირებადი და ინტენსიურ ტექნოლოგიებზე დამყარებული დიდმასივა ვენახები, ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები გავერანდა, ინდუსტრიალიზებული მეცხოველეობის საწარმოები დაინგრა და განადგურდა. მიწის მსხვილი მასივები წვრილ ნაკვეთებად დანაწილდა და კერძო პირებს გადაეცა ისე, რომ არავითარი პირობები არ შექმნილა წარმოების ეფექტიანი წარმართვისათვის.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გადამჭრელი ღონისძიებების გატარება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად სოფლის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აღიარებას სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. ასევე მნიშვნელოვანია მოცემული დარგის სტრატეგიაში ცალკეული პრიორიტეტების გამოყოფა. ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მსოფლიო ბაზარზე საკუთარი სეგმენტის მოპოვება. როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს“ (ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, 3, გვ. 27).

სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- ფერმერული მეურნეობების განვითარების პროცესში აქცენტი უნდა გაკეთდეს მათ კოოპერირებასა და გამსხვილებაზე. საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ, რაც უფრო მსხვილია ფერმერული მეურნეობა, მით უფრო ეფექტიანი და მომგებიანია მისი საქმიანობა. მთავრობამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ფერმერული მეურნეობების, კოოპერატივებისა და ასოციაციების შექმნას;

- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფოს განკარგულებაში მიწის გარკვეული ფონდის შენარჩუნება და სახელმწიფო სექტორში დარჩენილი მიწების რაციონალური გამოყენებისათვის სათანადო პირობები; სოფლად საკუთრების სხვადასხვა ფორმის, მეურნეობრიობის სხვადასხვა ტიპის თანაარსებობა და ერთად ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სოფლის აღორძინების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია;

- სახელმწიფოს მონაწილეობით უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კომერციული რისკების დაზღვევის გამართული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი სისტემა. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფერმერებისათვის დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის;
 - არსებითად უნდა გარდაიქმნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასწარმოქმნის მექანიზმი აგრარული სექტორისათვის საჭირო სამრეწველო პროდუქციაზე და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ეკვივალენტურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
 - სოფლად უნდა შეიქმნას საინჟინრო და აგროსერვისული მომსახურების თანამედროვე სისტემა, შემუშავდეს და ამოქმედდეს საშუაშაველო სტრუქტურების ფუნქციონირების მექანიზმი;
 - უნდა ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო ურთიერთობათა სისტემა, რომელშიც განმსაზღვრელი როლი მიენიჭება სასურსათო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთებს და განხორციელდება ფერმერთა პროდუქციის ნაწილის გარანტირებული შესყიდვა;
 - უნდა დამუშავდეს სოფლად საბითუმო ვაჭრობის და საშუაშაველო სტრუქტურების შექმნის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე კავშირს სოფლის საქონელმწარმოებლებსა და პროდუქციის რეალიზატორებს შორის;
 - უნდა შემუშავდეს და დაინერგოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი იმ სასურსათო საქონლისაგან საქართველოს ეროვნული ბაზრის დაცვის მექანიზმი, რომელ საქონელსაც ადგილობრივი მწარმეები ქმნიან;
 - განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეულის პრობლემის გადაჭრას, რომელსაც პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის განვითარების შესაძლებლობა;
 - სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსება უნდა გაიზარდოს მშპ-ს მიწიდან 4.5%-მდე;
 - აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური ჩართვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემების გადაწყვეტაში.
- მხოლოდ სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის საფუძველზე შესაძლებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობა, სასურსათო პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა, რაც გააძლიერებს ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ELGUJA MEKVABISHVILI
Ivane Javakishvili Tbilisi State University
 Full Professor

JOZEPH ARCHVADZE
Academic Doctor of Economics

THE THREAT OF GLOBAL FOOD CRISIS AND THE AGRARIAN ECONOMY OF GEORGIA

S u m m a r y

Global food crisis is a component of world economic system crisis. In modern conditions it is expressed in a steady and fast rise in prices on food products. Food crisis is especially sharply felt in the conditions of Georgia. The main reasons for such position are the errors admitted in carrying out the agrarian policy and insufficient attention from the State to the agrarian sphere. In the article concrete directions for resolving the given topical problem are formulated.

მანია მინდორაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობის სტატისტიკური კვლევის მნიშვნელობა

ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, სტატისტიკურ მაჩვენებელს უნდა ახასიათებდეს ობიექტურობა, თანმიმდევრულობა, უწყვეტობა, ოპერატიულობა, მისაწვდომობა, შესადარისობა დროსა და სივრცეში, რაც უკვე მისთვის “შინაგან”, ბუნებრივ დამახასიათებელ ნიშნებად აღიქმება. თუმცა არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი – “აქტუალობა”, რაც აღნიშნული ნიშნებისაგან განსხვავებულია, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორია იმ შემთხვევაში, თუ განვიხილავთ საკითხს ამ კუთხით: როგორია მიმართება იმ მაჩვენებლებს შორის, რაც დღეისათვის გვაქვს და რაც სჭირდება გადამწყვეტილების მიმღებ პირებს კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებისათვის. აი, აქ უკვე იწყება სულ სხვა, “არაშინაგანი” პრობლემები.

ამ მხრივ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ურთულესი საქმიანობის სახეა და თუ გავითვალისწინებთ ჩვენი სამთავრობო წრეების გაზრდილ ინტერესს აღნიშნული სფეროსადმი, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი გამოწვევების წინაშე დგება დღეს ეროვნული სტატისტიკა.

დღეისათვის სოფლის მეურნეობის სტატისტიკა ოფიციალური სტატისტიკის ერთ-ერთი წარმატებული მიმართულებაა, ამის მაგალითია სულ ახლახან გამოქვეყნებული კრებული,¹ რომელშიც მრავალფეროვანი და საინტერესო ინფორმაციაა თავმოყრილი, რაც ერთნაირად მიმზიდველია როგორც სამეცნიერო კვლევების, ისე ბიზნესის წარმოების კუთხით. თუმცა, არ ვიქნები მიკერძოებულის, თუ დავაფიქსირებ შემდეგ მოსაზრებას: უკვე დროა გადავიდეთ ახალ საფეხურზე და დავინყოთ სტრატეგიულად მიზნობრივი კვლევები სოფლის მეურნეობაში, ანუ საუბარია ჩაღრმავებულ კვლევებზე სხვადასხვა კონკრეტული მიმართულებით.

ავილოთ თუნდაც სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების შემოსავლებისა და კეთილდღეობის კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების შემოსავლებისა და კეთილდღეობის მაჩვენებლები ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ეხება (და ეს ნაწილიც თანდათან და სტაბილურად მცირდება), ის მაინც სამთავრობო წრეების ინტერესის სფეროში ხვდება, რადგან ეს მაჩვენებლები ფრიად მნიშვნელოვანია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჯარო პოლიტიკის, სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკური განვითარების, ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გარემოს დაცვის კუთხით. ამ ინფორმაციის მომხმარებლები არიან ასევე სამეცნიერო წრეები და კომერციული ფირმები, რომელთა საქმიანობა აღნიშნულ სექტორში შემავალი და გამომავალი რესურსების ნაკადებთანაა დაკავშირებული.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიებში შეიძლება ორი ჯგუფის გამოყოფა:

ა) პირველი ჯგუფის ძალისხმევა მიმართულია სოფლის მეურნეობის სექტორში ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ, ამასთან, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ძირითადი აქცენტი გადატანილია სიღარიბის შემცირებაზე;

ბ) მეორე ჯგუფი კი ხელს უწყობს ფერმერთა მოტივაციების ნახალისებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდისაკენ სასურსათო უსაფრთხოების ან ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

თუმცა შემოსავალი და სიმდიდრე კეთილდღეობის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. განვითარებულ ქვეყნებში მას ემატება საკუთრების დაცულობის და მასზე კონტროლის, შრომის პირობების, დამოუკიდებლობის ხარისხის და სხვა მახასიათებლები, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – ისეთი არსებითი საკითხები, როგორცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, სასურსათო უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა. ზემოაღნიშნული უმეტესწილად დაკავშირებულია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან, ანუ საქონლისა და მომსახურების მიღებისა და კონტროლის უზრუნველყოფასთან შემოსავლისა და სიმდიდრის საფუძველზე.

ჩვენი მოსაზრება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შინამეურნეობების შემოსავლებისა და კეთილდღეობის მაჩვენებლები სოფლის მეურნეობის სექტორში კონტექსტუალურად უნდა განვიხილოთ. სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში მთავარია ინდიკატორების მიზმა იმ პოლიტიკასთან, რის გაშუქებასაც უნდა ახდენდეს აღნიშნული მაჩვენებელთა სისტემა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სასოფლო შინამეურნეობების კეთილდღეობის სტატისტიკური

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2010. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, საქსტატი, 2011.

კვლევა იგნორირებულია ამ სფეროში არსებული პრობლემების სირთულის გამო. არსებობს კიდევ სხვა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ექცეოდა აღნიშნულ მაჩვენებლებს უფრო დიდი ყურადღება, რომელთა შორისაა პოლიტიკოსების მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი არაადეკვატური მიდგომა, აღნიშნული საკითხისადმი ელექტორატის ყურადღების გამახვილების საფრთხე, ინფორმაციის მომხმარებლების ირაციონალურობა, ბიუროკრატიული ინტერესები¹ და კიდევ მრავალი სხვა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მაღალი ხარისხის საბაზისო მონაცემების უქონლობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და შინამეურნეობების შესახებ.

ზოგადად, ეკონომიკური სიტუაციის შესწავლისათვის სტატისტიკოსები ხშირად მიმართავენ შინამეურნეობას და არა ცალკეული ინდივიდის სტატისტიკურ მახასიათებლებს. სწორედ შინამეურნეობაა რეკომენდებული კანბერის ჯგუფის ექსპერტების² მიერ ცხოვრების ღირებულების ინდექსების შემუშავებისათვის. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)³ მიერ სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ანგარიშების საფუძვლად აგრეთვე შინამეურნეობაა მიჩნეული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის, ევროსტატი⁴ აღნიშნულ მაჩვენებელს ეყრდნობა სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლების გაანგარიშებისას. მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ შინამეურნეობა უფრო სრულყოფილად უყრის თავს შემოსავლებისა და დანახარჯების ნაკადებს, ამიტომ შინამეურნეობის დონეზე შეფასებების წარმოება უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია, ვიდრე ინდივიდუალურ დონეზე.

დღეისათვის საქართველოს სტატისტიკაში გამოყენებული შინამეურნეობის კატეგორია ეას-93-ის განმარტების იდენტურია: ერთი ან რამდენიმე პირის ერთობლიობა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად მოიხმარენ საკვებს ან სხვა პირველადი მოხმარების საქონელს და მთლიანად ან ნაწილობრივ აერთიანებენ თავიანთ შემოსავალს და ქონებას. არ არის სავალდებულო, რომ შინამეურნეობის წევრები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ.⁵

თუმცა, რას წარმოადგენს უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობა, ეს კვლავ კამათის საგანია სტატისტიკოსთა წრეებში, რადგან მოსაზრებები იყოფა მის „ფართო“ და „ვიწრო“ გაგებას შორის. ფართო გაგებით სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობაში შედის ყველა მეურნეობა, რომლის მთლიან შემოსავალშიც სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს შესაძლებელია მცირე წილი ეკავოს, ხოლო ვიწრო გაგებით – ძირითადი შემოსავლები სოფლის მეურნეობიდანაა.

სხვადასხვა ქვეყნებში გატარებული პოლიტიკის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაფიქსირდა შემოსავლების აღრიცხვის პრობლემები შინამეურნეობებში, რაც ფართოდ არის გავრცელებული სოფლის მეურნეობაში და ზოგადად დამახასიათებელია მისთვის. ეს პრობლემებია:

ა) ცალკეული რეგიონების ან სხვადასხვა ზომის შინამეურნეობების მიხედვით შემოსავლების განსაკუთრებით დაბალი დონე (სიღარიბის ასპექტი), მაშინ როდესაც სხვა მეურნეობის წევრებს შეიძლება მაღალი შემოსავლები გააჩნდეთ, ამიტომ ასეთ ჰეტეროგენურ სიტუაციაში ძნელდება სიღარიბის სურათის აღწერა სოფლის მეურნეობაში და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება მისი აღმოფხვრის მიზნით. კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ სიღარიბე განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

ბ) დინამიკაში დიდია ვარიაციები (არასტაბილურობის ასპექტი) ცალკეული შინამეურნეობის შემოსავლებში. განსხვავებები შეიმჩნევა ფერმერული მეურნეობის ტიპის, ზომის, რეგიონის მიხედვით, რაც კიდევ ერთი დამატებითი წნეხია დაბალშემოსავლიანი ფერმერებისათვის.

გ) სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების დაბალი დონე სხვა სფეროებთან შედარებით (პარიტეტის ასპექტი). თვითდასაქმებული ფერმერებისთვის ეს შემოსავლები გამოიხატება შრომის, მიწისა და კაპიტალის გამოყენებიდან მიღებულ შერეულ შემოსავლებში.

¹ Hill, B. (2000). “Farm Incomes, Wealth and Agricultural Policy”. 3rd ed. Ashgate Publishing, Aldershot. ISBN 0-7546-1132-9.

² Canberra Group (2001). “Expert Group on Household Income Statistics – The Canberra Group. Final Report and Recommendations”. Ottawa. ISBN 0-9688524-0-8.

³ FAO (1996). “A System of Economic Accounts for Food and Agriculture”. FAO Statistical Development Series 8, Food and Agriculture Organisation of the United Nations, Rome.

⁴ Eurostat (2002). “Income of the Agricultural Households Sector 2001 Report”. Theme 5. 2002 Edition. Eurostat, Luxembourg. ISSN 1725-1605 (published as a CD with results, methodology and background studies). http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/household_budget_surveys/introduction

⁵ საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2010. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, საქსტატი, 2011, გვ. 11.

დ) საბაზრო ეკონომიკებში ფერმერული შემოსავლების კაპიტალიზაცია ძირითადად მიწის მაღალ ფასში აისახება, ამიტომ საშემოსავლო პრობლემები ხშირად უჩნდებათ მდიდარ ფერმერებს. სიმდიდრე ხშირად უფრო არათანაბრად არის გადანაწილებული, ვიდრე შემოსავლები და ფერმერებს, რომლებიც მიწის მფლობელები არიან, მნიშვნელოვნად განსხვავებული ეკონომიკური სტატუსი აქვთ იმათგან განსხვავებით, ვინც იჯარით იღებს მიწას, ან სადაც მიწაზე უფლებები არასათანადოდ არის განსაზღვრული.

პარიტეტი და სიღარიბე არსებითად განსაზღვრავს ფერმერების და მათზე დამოკიდებული ადამიანების კეთილდღეობას, თუმცა არასტაბილურობა უფრო განსხვავებული ფაქტორია. რომელიმე ერთ ცალკეულ ადებულ წელს მიღებული დაბალი შემოსავალი დაუყოვნებლივ არ გადაისვრის სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობებს ღარიბთა კატეგორიაში, ამ შემთხვევაში ამოქმედდება რეზერვებისა და სესხების გამოყენების მექანიზმი, თუმცა მაინც უნდა მოხდეს იმ ჯგუფების დიფერენცირება, რომლებიც პერიოდულად განიცდიან სიძნელეებს და რომელთა შემოსავლებიც მუდმივად დაბალია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ წლიური რყევები ჩანყნარდება, ფერმერებსა და მათი შინამეურნეობების წევრებს მაინც უნევთ მოხმარების შემცირება, რათა შექმნან გარკვეული რეზერვები ან გადაიხადონ დაგროვილი ვალები. არასტაბილურობის ფაქტორი სხვადასხვა რეგიონშიც განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან შემოსავლების მოულოდნელი ცვლილებები სხვადასხვანაირ შედეგებს იძლევა შედარებით განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არის საკითხთა სხვა წრეც, რომელიც უკავშირდება სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებს:

ა) ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების დონე მაღალმთიან და ეკონომიკური თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობების რეგიონებში, სადაც ალტერნატიული დასაქმება სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ასეთ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის, განვითარების მთავარ ფაქტორად აღიქმება;

ბ) ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების მოტივით გატარებული კონსერვაციის ღონისძიებები, რაც გავლენას ახდენს შინამეურნეობების შემოსავლებზე;

გ) ტექნოლოგიური განვითარების დონე და მისი დაფინანსების წყაროები.

ვფიქრობთ, უკვე დროულია სხვადასხვა ღონისძიების გატარება ოფიციალურ სტატისტიკაში, რათა განხორციელდეს:

ა) სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლების ყოველწლიური გაანგარიშება და მონიტორინგი აგრეგირებულ დონეზე;

ბ) მთლიანი შემოსავლების შესწავლა და მონიტორინგი შემოსავლების ცალკეული სახეობების მიხედვით, განსაკუთრებით იმ მუხლების მიხედვით, როგორცაა შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან, სხვა საქმიანობებიდან და ტრანსფერების მიღებიდან;

გ) ცალკეული სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობის, შინამეურნეობის ცალკეული წევრების, ცალკეული მომხმარებლის დონეზე შემოსავლების გაანგარიშებების წარმოება სხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფებთან შედარების მიზნით;

დ) ფერმერებისა და სხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფების შემოსავლების შედარებითი ანალიზი.

ამ ჩამონათვალს უნდა მიემატოს ის ამოცანებიც, რაც დაკავშირებულია შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილებასთან და რომლებიც უშუალოდ მიბმულია მიკროეკონომიკურ საკითხებთან. კერძოდ, პოლიტიკის შემუშავების ამოცანებიდან გამომდინარე, შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნილება დეტალიზებულ ინფორმაციაზე ფერმერული მეურნეობის ზომის, ტიპის, რეგიონის, შინამეურნეობის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის, პროფესიული ბუნების, შემოსავლებისა და კეთილდღეობის დონის მიხედვით; სიღარიბის კრიტერიუმების შემუშავებასა და მინოდებაზე საზოგადოებისათვის, სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების კეთილდღეობის დონეებისა და შემოსავლების განაწილების(აქტივები, ვალდებულებები) შესახებ და მრავალი სხვა.

ისეთი პოლიტიკის გატარების დანახარჯები, რომელიც არ არის მიბმული კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებთან, არაეფექტიანია, ამიტომ საჭიროა მრავალმხრივი ძვირად ღირებული კვლევები პირველადი ინფორმაციის მოსაპოვებლად. სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების შემოსავლების კვლევა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სოფლის მეურნეობის სწორი პოლიტიკის შემუშავებისაკენ.

MAIA MINDORASHVILI

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

THE IMPORTANCE OF AGRICULTURAL HOUSEHOLD FARMING STATISTICAL RESEARCH

S u m m a r y

The work is focused on the actuality of statistical indicators and their correspondence to modern requirements. As agriculture is a priority branch in the Georgian economy, it is necessary to produce research relevant for the policy in this area. The article discusses problems, their solutions, and asks a question about the elaboration system of rural household income and welfare indicators, which would be a step forward for multilateral research of agriculture.

ცირა მიქაბაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

რეგიონის აგროსამრეწველო კლასტარის ფორმირება

ათეული წლები დასჭირდა საქართველოს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის კონკურენტუნარიან ელემენტად ცნობისათვის. ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისთვის წამყვანი როლი ენიჭება იმ მექანიზმების გამოყენებას, რომელიც მოახდენს საბაზრო ინსტიტუტების სრულყოფას და ხელს შეუწყობს რეფორმების წარმატებით განხორციელებას. საჭირო ხდება იმ პრიორიტეტული დარგების განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობა, რომლებსაც გააჩნიათ კონკურენტუნარიანობის ზრდის ეკონომიკური პოტენციალი. შესაბამისად, აუცილებელია თეორიული მიდგომების დამუშავება და მსოფლიო გამოცდილების შესწავლა.

ბოლო დროს ქვეყნები აქტიურად იყენებენ პორტერისეულ კლასტერულ მიდგომას არა მარტო კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, არამედ რეგიონების და დარგების კრიზისული ეკონომიკის განვითარებისთვის.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გურიის რეგიონს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით იგი წარმოადგენდა ჩაის ინდუსტრიის ცენტრს ქვეყანაში. მეურნეობრიობის არსებულ პირობებში მდგომარეობა აქ მეტად სავალალოა, რაც რეფორმების გატარების აუცილებლობას საჭიროებს ეკონომიკური პოტენციალის მართვისათვის. გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, ეკონომიკის სტრუქტურა, სადაც ძირითადად სოფლის მეურნეობაა წარმოდგენილი, კარნახობენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას და მასთან დაკავშირებული კვების მრეწველობის სფეროს განვითარების დაჩქარებას – მოსახლეობის დასაქმების, კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირებისათვის. ამ მხარის აგრარული სექტორის ანალიზი განვითარების ობიექტურ შესაძლებლობებს მართლაც ადასტურებს მცირე და საშუალო აგროსამრეწველო ბიზნესის განვითარების გზით. სპეციალისტთა გარკვეულ ჯგუფს (საინიციატივო ჯგუფი) აგროსამრეწველო სისტემის ფორმირების საუკეთესო გზად მიაჩნიათ კლასტერული მიდგომა.

სამრეწველო კლასტერი – ეს არის ტერიტორიულად ლოკალიზებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფი (ნედლეულის მომწოდებელი, პროდუქციის მწარმოებელი, პროდუქციის მომხმარებელი) და მასთან ურთიერთთანამშრომლობაში მყოფი ორგანიზაციები (სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, სამეცნიერო-კვლევითი, სპეციალური მომსახურების კომპანიები, ასოციაციები და სხვა), რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ სფეროში და ავსებენ ერთმანეთს. ანუ ეს ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსია სტრატეგიული მართვის, მარკეტინგის, რეკლამის, პროდუქციის განაწილების არხების, ხარისხის მართვის და სხვა ფუნქციების ცენტრალიზებული სისტემით. როგორც სოციალური წარმონაქმნი, კლასტერი მკაცრი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში თანამშრომლობის, თვითორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ხერხია. ამ ნიადაგზე იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც მდგრადი რეგიონული პარტნიორობა (თანამშრომლობა) ერთი ან რამდენიმე დარგისა, რომლებიც კონკურენტული სტრატეგიის საშუალებით ან მიზნობრივი პროგრამით არიან გაერთიანებული კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

კლასტერისთვის დამახასიათებელია ორიენტაცია რეგიონის ინტერესების რეალიზაციისთვის, განსხვავებით სხვა ტიპის გაერთიანებისგან, რომლებიც მონაწილეთა ინტერესებიდან გამომდინარეობს. კლასტერი გამოიყენება სტრატეგიის რეალიზაციისათვის. კლასტერის წევრები კონკურენტულად არ არიან დამოკიდებული გაერთიანების რომელიმე წევრზე და ბიზნესის თავისუფალი სუბიექტები არიან. ამიტომ კლასტერები უფრო მდგრადებია, ვიდრე ჰოლდინგი, კონგლომერატი, სინდიკატი, ტრესტი. ობიექტური უპირატესობიდან გამომდინარე, კლასტერს გრძელი სასიცოცხლო ციკლი აქვს, რომელიც კონკრეტული რეგიონის ან დარგის განვითარებისკენაა მიმართული. როცა კლასტერი ფორმირდება, მთელი წარმოება იწყებს მხარდაჭერას კონკურენციის დასაძლევად. გაერთიანების წევრებს შორის ურთიერთდაკავშირები და თანამშრომლობა (პარტნიორობა) და ამასთან აქტიური კონკურენცია კლასტერის შიგნით ბადებს ახალი იდეების და განვითარების შესაძლებლობებს.

პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო იყო „პიონერი“ კლასტერული მიდგომის გამოყენებისა თხილის ნედლეულის წარმოების დარგში. ეკონომიკურ სისტემას, სადაც მოხდა თხილის დარგის კონსტრუირება, საფუძვლად ედო ქსელური ორგანიზაციების განვითარების კლასტერული პრინციპი და დარგის სტრუქტურის ფორმირების სწრაფი და ეფექტიანი განვითარება განაპირობა. დარგის დაფუძნებაში მონაწილეობას ღებულობენ თხილის გადამამუშავების ცენტრი თხილისში, მსოფლიო ბანკი და მათ მიერ დაარსებული კომპანია CERMA. ცენტრის მენეჯერებმა 5 წლის განმავლობაში წარმატებით შეძლეს თხილის დარგის სტრუქტურის შექმნა საქართველოში. მაგრამ ეს კლასტერი თურქი პარტნიორების ჩარევით კარტელად გარდაიქმნა (აქ კი, როგორც ცნობილია, ხდება მოლაპარაკება წარმოების მოცულობაზე, ფასებზე და გასაღების ბაზრებზე, რაც გამორიცხავს ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელ ფაქტორს – კონკურენციას). ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია თხილის გადამამუშავებელი საწარმოების და სოფლის იმ წარმომადგენლებს შორის დამოკიდებულებების დაშორიშორება, რომლებიც ენევიან ამ კულტურის მოყვანას, რადგან ფასობრივი პოლიტიკა გლეხების და ფერმერების ინტერესების შევიწროებას იწვევს არა მარტო გურიაში, არამედ სხვა რეგიონშიც.

მიმდინარე პერიოდში გურიაში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ნედლეული გადამამუშავებელი საწარმოებისათვის არის ჩაი, თხილი, ხილი, ციტრუსი და ბოსტნეული. თუმცა საბოლოო პროდუქტის მისაღებად უმნიშვნელო სიმძლავრეებია დატვირთული ჩაის და თხილის გადამამუშავებისთვის.

თხილის დარგი გურიის სასურსათო კომპლექსში ახალია და რიგი კეთილსაიმედო მიზეზების გამო სწრაფად ვითარდება და რეგიონის სოფლის მეურნეობის წამყვანიც კი შეიძლება გახდეს. ეს პროცესი ძირითადად საგარეო ბაზრის კონიუნქტურის დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული. მაგრამ მარკეტოლოგთა გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, თხილის მოთხოვნასა და ფასებზე, სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შეცვლა ვიწრო სპეციალიზაციით და მხოლოდ თხილზე ორიენტაციით, არ იქნება გონივრული.

ჩაის, ხილბოსტნეულის კონსერვების, ახალი ხილის ექსპორტში ტრადიციულად საქართველოს პატრნიორი რუსეთის ბაზარი იყო. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში ქართული პროდუქტების შევიწროების ტენდენციას პოლიტიკური პროცესები უდევს საფუძვლად, მაგრამ მომავალში ამას შეიძლება კომერციულიც დაემატოს, რამდენიმე მიზეზის გამო: კერძოდ, ბაზარზე ჩინური, ირანული და პოლონური პროდუქციის გამოჩენა და ქართული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანი ფასი, ნაკლები მიმზიდველობა შეფუთვის, გაყიდვის თანამედროვე მეთოდების უქონლობის და სხვა მიზეზების გამო. კონკურენციის ზრდის საფუძველზე აუცილებელი ხდება აქტიური ზომების მიღება სანედლეულო ბაზის განმტკიცების, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის და ახალი პროდუქტების დამამუშავებისათვის.

გურიაში ჩაის, ციტრუსების და ხილბოსტნეულის დარგებში არსებული პრობლემების გადანყვეტის ერთ-ერთი ვარიანტი კორპორაციული სტრუქტურის შექმნა იქნებოდა აგროსამრეწველო მიმართულებით. მაშინ საწარმოები, რომლებიც ამ გზას აირჩევდნენ, ინტეგრირდებოდნენ მსხვილი დარგობრივი ჰოლდინგის შემადგენლობაში. ასეთი სტრუქტურის დაფუძნება ჯერჯერობით არ იგეგმება. ჰოლდინგური კომპანიის შექმნა უამრავ პრობლემას აწყდება – საბაზრო ინსტიტუტების სუსტი განვითარება, სუსტი მენეჯმენტი, დაბალი კაპიტალიზაცია, ლიდერი საწარმოს მოძიება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონისთვის ყველაზე უპრიანია სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ჩამოყალიბება მცირე და საშუალო საწარმოთა კომპლექსისთვის.

ფორმირების პროცესშია გურიის აგროსამრეწველო განვითარების კავშირი, რომელიც იქნება აგროსამრეწველო კლასტერის შემაკავშირებელი რგოლი სტრატეგიის მონაწილე სუბიექტებს შორის. სტრატეგიის წარმატებით რეალიზაციისთვის ამ კავშირმა უნდა შექმნას ინფრასტრუქტურა, რომელიც მენარმევს აგროსამრეწველო ბიზნესის განვითარებაში დაეხმარება. ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და დაინტერესებულ მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევისას უნდა დაინყოს სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის და მრეწველობის გადამამუშავებელ სექტორში რეფორმების პროცესი. ამ ღონისძიებებთან ერთად რეგიონში უნდა წარმოებდეს სამუშაოები კვების მრეწველობის, შესაფუთი და ტარის ახალი მცირე სპეციალიზებული საწარმოების შესაქმნელად და განვითარებისათვის. ყველა დაგეგმილი სამუშაო გურიის რეგიონში უნდა წარიმართოს ერთიანი ეკონომიკური ქსელის ფორმირებისათვის, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის საწარმოების ურთიერთკავშირებით, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან შიდა და გარე ბაზრების მოთხოვნებზე.

ამგვარი მიზანმიმართული ქმედებების შედეგად პარტნიორებთან და რეგიონის ხელისუფლებასთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან თანამშრომლობით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს რეგი-

ონში სამრეწველო ინტეგრირებული სტრუქტურა – კლასტერი “გურია“. შესაბამისად, სტრატეგიის მიზანი იქნება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავების და მიღებული პროდუქტის გაყიდვის ზრდა შიდა და გარე ბაზრებზე გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის მცირე და საშუალო სანარმოთა კომპლექსის ფორმირების გზით გურიაში.

სტრატეგიის მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- საქმიანი თანამშრომლობის გარემოს შექმნა მეცნიერებას, ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის გურიის რეგიონის სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის;

- სტრატეგიის რეალიზაციის მონაწილე მეურნე სუბიექტების და გურიის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია კომპლექსური მიდგომის შემუშავების მიზნით;

- გურიის სასურსათო კომპლექსის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა შიდა და გარე ბაზრების პროდუქციის მოთხოვნიდან გამომდინარე;

- მცირე და საშუალო სამრეწველო ბიზნესში მუშაობის მხარდაჭერ მენარმეთა დახმარება საპროექტო, საინფორმაციო, კონსალტინგურ, მარკეტინგულ, ბიზნესის სერვისული უზრუნველყოფის საკითხებში;

- დაფინანსების სისტემის გაფართოება და სრულყოფა მცირე სანარმოების ინფრასტრუქტურის და კლასტერის ფორმირებისათვის;

- პირობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვისთვის გურიაში, თანამედროვე ტექნოლოგიების და დანადგარების იმპორტის ჩათვლით;

- ოზურგეთის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების და აგრეთვე საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაწილეობის ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო და ტექნოლოგიური დამუშავების შერჩევას სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სფეროში;

- შესაფუთი დარგის ფორმირებას პლასტმასის ტარის, პლასტიკატის, მუყაოს, მინის შესაფუთი მასალის წარმოების მიზნით, რომელმაც შესაძლებელია არა მარტო რეგიონის, არამედ ნაწილობრივ ქვეყანაში შეფუთვის და ტარის პრობლემაც გადაწყვიტოს.

სტრატეგიის რეალიზაციის ძირითადი მიმართულებებია:

სერვისული ინფრასტრუქტურის ელემენტების აუცილებელი მინიმუმის შექმნა გურიაში სასურსათო სექტორში, შიდა ბაზარზე გაყიდვების ზრდა, უცხოურ ბაზარზე გასვლა და ექსპორტის გაფართოება, საწყისი კაპიტალის მოზიდვა და დაფინანსების გაზრდა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია.

გურიის აგროსამრეწველო განვითარების კავშირის შექმნის შემდეგ ეტაპზე უპრიანი იქნება აგრობიზნესის ინკუბატორის და კოოპერაციის ცენტრის ჩამოყალიბება. საინიციატივო ჯგუფის ვარაუდით ამ ორგანიზაციებმა უნდა შექმნან სერვისული ინფრასტრუქტურა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დასახმარებლად. ამგვარი ინფრასტრუქტურა და კლასტერული პრინციპი სასურსათო სექტორში უზრუნველყოფს ისეთი სისტემის ფორმირებას, რომელსაც შესწევს უნარი მოახდინოს ხელისუფლების, ბიზნესის, მეცნიერების და საზოგადოების ინტერესების კონსოლიდაცია გურიის რეგიონის განვითარებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

კლასტერი „გურია“ შექმნილი კოოპერაციის მექანიზმით, ფუნქციონირებადი “ფერმერი – გადამამუშავება – რეალიზაცია“ პრინციპით ჩამოყალიბებს იმგვარ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც შეძლებს: მართოს რამდენიმე ათეულ სანარმოთა სიმძლავრე, რომლებიც რეგიონის სანედლეულო ბაზარზე მუშაობენ; გააერთიანოს კვების მრეწველობის სანარმოები და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესის ჯაჭვის ყველა მონაწილე; კვების მრეწველობის სანარმოთა უზრუნველყოფას სანედლეულო ბაზით – ფერმერული მეურნეობებიდან, კოოპერატივებიდან, რომლებიც ინტეგრირებული არიან კლასტერში გრძელვადიანი ხელშეკრულებით; კვების მრეწველობის სანარმოთა უზრუნველყოფას მზა პროდუქციის რეალიზაციით შიდა და გარე ბაზრებზე სავაჭრო კომპანიების დახმარებით, რომლებიც კლასტერთან არიან დაკავშირებული გრძელვადიანი საკონტრაქტო ურთიერთობებით.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად, მცირე ბიზნესის მართვის ცენტრის განთავსება რეგიონის ტერიტორიაზე წარმოქმნის ხელისუფლებასა და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის მოხერხებულ ინსტრუმენტს, სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი დარგის დივერსიფიკაციის პირობებს, გაზრდის გადასახადის გადამხდელთა რაოდენობას, გააუმჯობესებს საკადრო მომსახურების ინ-

ფრასტრუქტურას, შემცირდება ტრანსაქციური ხარჯები, შეიქმნება რეგიონთაშორისო და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობები.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი მცირე ფირმების კლასტერიზაციაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი მკვლევარი საერთაშორისო კონკურენციაში საშუალო და მცირე ფირმების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად მათი კლასტერებში გაერთიანებას მიიჩნევს. ცნობილია, რომ დანია (1989–1999 წ.) პროექტმა და შესრულებულმა სამუშაოებმა მსოფლიო ლიდერად აქცია ეკონომიკის კლასტერიზაციაში. დღეს დანიაში აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოების მოცულობა ეკონომიკის ყველა სხვა სექტორის წარმოების მოცულობას აჭარბებს და სოფლის მეურნეობას შესწევს უნარი 16 მლნ ადამიანი ცხოველური წარმოშობის პროდუქციით დააკმაყოფილოს 5,2 მლნ მოსახლეობის მქონე ქვეყანაში. ისიც ცნობილია, რომ დანია არ მიეკუთვნება იმ ქვეყნებს, რომლებსაც კომფორტული ბუნებრივი პირობები აქვთ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. აქტიურად გამოიყენეს და წარმატებითაც კლასტერიზაცია იტალიამ, გერმანიამ, ავსტრიამ, შოტლანდიამ, დიდმა ბრიტანეთმა, კანადამ.

TSIRA MIKATADZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

THE FORMATION OF AGRO-INDUSTRIAL CLUSTER IN THE REGION

S u m m a r y

In the social-economic development of Georgia Guria Region has always occupied a special place owing to the Scientific Research Institute of Tea and Subtropical Cultures. It represented the industrial center for cultivation of tea and was an important economic subject. In conditions of the current, miserable economic state it is necessary to carry out cardinal reforms in order to govern economic potential.

Geographic and climatic conditions, economic structure in which agriculture is represented and the analysis of the agrarian sector confirm the existence of objective opportunities for the development of small and average agrarian industrial businesses, for which the best way is the cluster approach. By such approach it is possible to merge the localized inter-connected small and average enterprises and state governing bodies being in cooperation with them; scientific-research entities, companies of special service with strategic regulation, marketing, advertising, channels of products distribution and quality coordination into one complex of enterprises with a centralized system; or to create sustainable regional partnership (cooperation) of one or several fields which are united through competitive strategy.

Corespondingly, there may be established an industrial integrated structure in the region – Cluster “Guria”, which will create the economic system functioning according to the principle “farmer – processing – sale” formed by cooperation mechanism; will be able to: lead the capacities of tens of enterprises on the region’s raw materials basis and merge food stuff enterprises and all the participants of the technological chain connected with them.

ვანტაჟი მიქაშაჟიქა

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი*

ქანი მიქაშაჟიქა

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტი-პროფესორი*

აგრარული ტურიზმის წარმოშობის მოკლე მიმოხილვა და განვითარების უსწორი გამოცდილება

მეოცე საუკუნის დასასრულს და ახალი ათასწლეულის დასაწყისში ტურიზმმა, როგორც ყველაზე საინტერესო და განსაკუთრებულმა ფენომენმა, მთელ მსოფლიოში რეალურად მოიცვა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. ტურიზმი ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება როგორც ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას. იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს სხვადასხვა აღმსარებლობისა და კულტურების ადამიანთა ურთიერთობის გაღრმავებაში, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მრავალი ქვეყნის შიდა პოლიტიკის ფორმირებაზე, სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციაზე, სახელმწიფო ეკონომიკურ ურთიერთობებზე და სხვ. საინტერესოა, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში შემოსავალი ტურიზმიდან ყოველწლიურად 9%-ით იზრდება. დღეისათვის ტურიზმს უჭირავს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10% (ზოგიერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია), მოიხმარს მსოფლიო ინვესტიციების 10,8%, ტურიზმის ბიზნესში დაკავებულია მსოფლიო მოსახლეობის 10%, მოზიდულია დიდი მოცულობის ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი [1, გვ. 136]. ტურიზმის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მას უკავია მესამე ადგილი ექსპორტის სფეროში ნავთობმომპოვებელი მრეწველობისა და ავტომობილმშენებლობის დარგების შემდეგ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) ოპტიმისტური პროგნოზით ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში 2020 წლისათვის კიდევ უფრო გაიზრდება და ერთნახევარ მილიარდ კაცს გადააჭარბებს.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტურიზმის, ისე როგორც სხვა დარგის, ფუნქციონირებას საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი, უსაფრთხო და ხარისხიანი განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას. ეკონომიკის “მდგრადი განვითარების” პრიორიტეტები ხელს შეუწყობს ტურისტულ საქმიანობას, მის მზრუნველ და ფაქიზ დამოკიდებულებას კულტურული და ბუნებრივი ფასეულობებისადმი. ტურიზმის მდგრადი ეკონომიკის უზრუნველყოფა მოითხოვს ტურიზმის ეკოლოგიურ მდგრადობას. ტურიზმის მდგრადი განვითარებისას რესურსების მოიხმარება ისეთი პრინციპით, რომ მან დააკმაყოფილოს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები ქვეყნის კულტურული თვითმყოფადობის, გარემოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და მთავარი სასიცოცხლო სისტემების შენარჩუნების პირობებში. ტურიზმი უნდა უზრუნველყოფდეს სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიტერიუმების ისეთ ურთიერთშეხამებას, რომელიც არა მარტო ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნების შესაძლებლობას მოგვცემს, არამედ მათი განახლების და განვითარების წინაპირობა გახდება. ეს კი ტურისტულ კომპანიებს საშუალებას მისცემს დააფინანსონ ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვა და მოვლა ქვეყანაში.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საარსებო გარემოს გადარჩენის საქმეს ტურიზმის სხვა მიმართულებებთან ერთად აქტიურად ემსახურება აგრარული ტურიზმი, რომელიც ახალი მოვლენაა ტურისტულ ინდუსტრიაში. იგი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს ტურისტთა დასვენებას შედარებით წყნარ და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნების პირობებში. აგროტურისტები დაინტერესებული არიან მიიღონ სიამოვნება დაცული ტერიტორიისა და ველური ბუნების წიაღში გასეირნებით, აგრეთვე, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ შექმნილი ისტორიულ-კულტურული ღირებულების დათვალიერებით. საკვებად მიიღონ ეკო-

ლოგიურად სუფთა პროდუქტები, იცხოვრონ სოფლის ცხოვრებით, გაეცნონ სოფლის მცხოვრებთა ყოფას, ტრადიციულ და კულტურულ თავისებურებებს. მათ უპირველეს ყოვლისა გარემო და კულტურის ტრადიციული ფორმები აინტერესებთ, მათთვის განსაკუთრებით მიმზიდველია შორ მანძილზე მდებარე ეკოლოგიურად სუფთა და შედარებით ფაქიზი რაიონები. ტურიზმის ეს სეგმენტი ამავე სფეროს სხვა სახეობებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ არ საჭიროებს განსაკუთრებულ ინფრასტრუქტურას, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემოზე ზიანის მიყენება. მიმზიდველობა, სუფთა გარემო, სტუმართმოყვარეობისა და სოფლების მრავალფეროვანი თავისებურებანი, საინტერესო ფერმერული (გლეხური) მეურნეობები, შესაბამისად სუფთა და ჯანსაღი პროდუქცია არის ის ძირითადი და დამატებითი კომპონენტები, რაც ტურისტულ შეთავაზებას უფრო მიმზიდველსა და ღირებულს ხდის. ამ შემთხვევაში მთავარი ის მომენტია, რომ ადგილობრივ ფერმერს თუ გლეხს გააზრებული აქვს ბუნების მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რაც განაპირობებს გარემოს სისუფთავეს როგორც საკუთრივ მეურნეობაში, ისე მის გარეთ. ამით ფერმერს საშუალება ეძლევა ალტერნატიული საქმიანობები წამოიწყოს და დამატებითი შემოსავლები მიიღოს. აგროტურიზმი, მართალია, სასოფლო ტურიზმის ელემენტებს შეიცავს, მაგრამ მასში არსებითია მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. როგორც წესი, ეს გულისხმობს ადგილობრივი გლეხებისა და ფერმერების დახმარებას მათ საქმიანობაში [3, 199-200].

აგროტურიზმის განვითარება დღეისათვის მეტად აქტუალურია და სულ უფრო დიდ გავრცელებას პოუვს ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მაღალია ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ათვისების დონე და ნაკლებადაა შემორჩენილი ბუნებრივი ლანდშაფტები. აგროტურიზმის განვითარება ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად განპირობებულია მეგაპოლისებისთვის დამახასიათებელი დიდი ემოციური დატვირთვების შემცირების მცდელობით, რომლის მოსახნელადაც სულ უფრო ხშირად გამოიყენება აქტიური სარეკრეაციო საქმიანობა – ქალაქელი ცდილობს ქალაქგარეთ ბუნებაში გასვლას, რათა დროებით მაინც დააღწიოს თავი ქალაქური ცხოვრების წესისადმი დამახასიათებელ ემოციურ დატვირთვებს. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში აგროტურიზმის ჩასახვა დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკური დაქვეითების პირობებთან. დაბალი შემოსავლებისა და უმუშევრობის მაღალი დონისა და ახალგაზდობის სასწავლებელში წასვლის გამო დაიწყო მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, ხოლო ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოთავისუფლებული ფართის სისტემატიური გაქირავება დაიწყო. თავდაპირველი აგროტურიზმი ითვლებოდა, როგორც ფერმერთა მეორადი, დამატებითი საქმიანობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე უნდა შეემსუბუქებინა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. ამასთან, გასული საუკუნის ბოლოს სიტუაცია არსებითად შეიცვალა, როცა შიგა ტურისტულმა ბაზრებმა გაჯერების გარკვეულ დონეს მიაღწიეს და მათ ესაჭიროებოდათ ახალი პროდუქტი, რომელიც ტრადიციული “ზღვაზე დასვენების” და საექსკურსიო სახეობების ჩარჩოებს მნიშვნელოვნად გაცდებოდა. აგროტურიზმზე მზარდმა მოთხოვნილებამ თანდათან შეცვალა მისი კონცეფცია – იგი სოფლის მოსახლეობისათვის მეტად მნიშვნელოვან საქმიანობად იქცა, ტურისტული ბიზნესისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით: მარკეტინგით, რელაზით, ფასების პოლიტიკით, კვალიფიციური კადრებით და ა.შ. აღნიშნულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მასპინძელი ოჯახების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის დაძლევას, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტურისტების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგებას (რაც დასავლეთის ქვეყნებში აგრარული ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი პირობაა) და სხვა [3, 175–176].

აგრარული ტურიზმის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ტურისტთა განთავსების ადგილი უნდა იმყოფებოდეს სოფლად ან მცირე ქალაქებში, რომლებიც გარკვეული მანძილით არიან დაცილებული სამრეწველო ობიექტებისა და მრავალსართულიანი მშენებლობებისაგან. იმ შემთხვევაში თუ განთავსება ხორციელდება ფერმაში ან სოფლის სახლში, მაშინ ტურისტთა მიღებას და მომსახურებას თავისთავზე იღებს სტუმრის მიმღები ოჯახი. აგრარული ტურიზმის განვითარების მოთხოვნები რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასოფლო ადგილებში ტურისტული რესურსების არსებობა. ეს შეიძლება იყოს უნიკალური ბუნებრივი ობიექტები, კერძოდ, ბალნეოლოგიური კურორტები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ჩანჩქერები და ა.შ. აგროტურიზმისათვის მეორე პირობას წარმოადგენს განთავსების თავისუფალ ადგილთა არსებობა – სახლ-კარი, კოტეჯები, მონასტრები, აგროტურისტული სოფლები, სანადირო და სათევზაო სახლები, კემპინგები და სხვა. მესამე პირობა აგროტურისტული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის არის სპეციალური ორგანიზაციულ-ფინანსური და საკანონმდებლო ღონისძიებები, რომელიც სტიმულს აძლევს სამეურნეო აქტიურობის მოცემულ სახეს. ამგვარ ღონისძიებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ფერმერული ფედერაციების, ასოციაციების, აგრეთვე ტურისტული ცენტრის შექმნა;
- ნორმატიული სამართლებრივი რეგულირება, რომელიც უზრუნველყოფს აგრარული ტურიზმის განვითარებას ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობის დონეზე;
- აგროტურისტული მეურნეობებისადმი ფინანსური მხარდაჭერა [4, 399–400].

აგრარული ტურიზმის წარმოშობის ზუსტი თარიღი არ არსებობს. დღეისათვის მკვლევართა უმრავლესობა შეთანხმებულია იმ აზრზე, რომ სამეურნეო საქმიანობის ეს სახე ჩაისახა ევროპაში (საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრიაში და სხვა ევროპულ ქვეყნებში) მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში. აგროტურიზმი, როგორც სპეციფიკური ტურპროდუქტი, შემთხვევით არ წარმოშობილა სწორედ დასავლეთ ევროპაში, ინტეგრაციული პროცესების პირობებში, რომლებმაც მოიცვა ამ წლებში ევროპა, აუცილებელი იყო სოფლის დაცვა. საჭირო იყო იმის ჩვენება, რომ სასოფლო ადგილებში ფულის გამომუშავება შესაძლებელია არა მარტო სოფლის მეურნეობრივი კულტურების მოყვანითა და საქონლის მოშენებით, არამედ მომსახურეობის სფეროს განვითარებითაც. ასე მაგალითად, *საფრანგეთში* დაიწყო მცხოვრებთა ინტენსიური მიგრაცია უპერსპექტივო სასოფლო რაიონებიდან დიდ ქალაქებში. ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა ღვინისა და ყველის წარმოება – იმ პროდუქტისა, რითაც ამყობდნენ ფრანგები მრავალი საუკუნის მანძილზე. სახელმწიფო სახსრების ხარჯზე აღდგენილი იქნა რამდენიმე ათეული მიტოვებული კარ-მიდამო, სადაც ადრე ფუნქციონირებდა მეურნეობები. აღდგენილი კარ-მიდამოს მეპატრონეებად შერჩეულ იქნა ახალგაზრდა ოჯახური წყვილები. მოგვიანებით გამოიჩინა, რომ, თუ ამ კარ-მიდამოს გარდაქმნიდნენ აგროტურიზმის ობიექტად, იგი გახდებოდა მომგებიანი ბიზნესი.

ანალოგიური სიტუაცია ჩამოყალიბდა მეზობელ *იტალიაშიც*. აგროტურიზმმა აქ დაიწყო განვითარება 1970-იანი წლებიდან, როგორც სოფლისმეურნეობრივი საქმიანობის დამატება. პირველად ვარაუდობდნენ, რომ ტურისტთა განთავსება ფერმერების არაპროფილური საქმიანობა იქნებოდა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ რამდენადმე განემტკიცებინათ საკუთარი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა დიდი ინვესტიციების საჭიროების გარეშე. თავისი გამოჩენის პირველ წლებში აგროტურიზმი იაფი იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, ნამდვილად სპარტანული დასვენების სახეს წარმოადგენდა და არ სარგებლობდა დიდი პოპულარობით. აღნიშნულმა სიტუაციამ შემდგომ იწყო გამოსწორება, რასაც ხელი შეუწყო რიგმა ფაქტორებმა. ჯერ ერთი, მთელს მსოფლიოში დაიწყო ინტერესის ზრდა ეკოლოგიური ტურიზმისადმი, ე.ი. საინტერესო გახდა დასვენება ბუნების ნიაღში და აგროტურიზმი კარგად “ჩაენერა” ახალ გარემოში. მეორე, როგორც იტალიის, ისე საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში ბაზარზე დაეცა ინტერესი ტრადიციული სახის დასვენებისადმი და წარმოიშვა მოთხოვნა ახალ ტურპროდუქტზე, რომელიც გამოვიდა „ზღვაზე დასვენებისა“ და მსხვილი ქალაქების ექსკურსიების პროგრამების ჩარჩოებიდან. მესამე, აგროტურიზმის განვითარებას ხელს უწყობდა სოციალური ფაქტორებიც. დასვენების გატარება გლეხთა ეზოში ან კემპინგში – იაფი ალტერნატივაა, რასაც სიამოვნებით იყენებენ სწორედ მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა შემოსავლები განსაკუთრებით შეზღუდულია.

გერმანიაში აგრარული ტურიზმის აღმოცენება დაიწყო პერიფერიულ რეგიონებში, მისი განვითარების კონცეფციის დამუშავებით. ამის შედეგად ბაზარზე დღეს წარმოდგენილია ბუნებაში იაფი დასვენების წინადადებანი, ძვირფასი ინფრასტრუქტურის გამოყენების გარეშე, მაგრამ ცხოვრების კომერციული პირობების უზრუნველყოფით. გერმანიაში ისე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, ერთ-ერთი მიზეზი აგროტურიზმის განვითარებისა იყო სოფლისმეურნეობრივი სექტორის კრიზისი. კომერციული ინიციატივის საინტერესო გამოცდილება ჩატარებულ იქნა ბავარიის ერთ-ერთ ფერმაში. აქ ადგილობრივი ფერმის მეპატრონე მიხვდა, რომ მისთვის ძნელი იქნებოდა გაეძლო კონკურენციისათვის ქვეყნის ევროპულ თანამეგობრობაში შესვლის შემდეგ. მან იქვე ორიენტაცია შეუცვალა თავის ფერმას აგროტურისტების მიღებით: გადააკეთა წყლის ნისქვილი ეგზოტიკურ კაფედ, თავი მოუყარა ფარდულში ერთობ ძველი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საკმაოდ მდიდარ კოლექციას, ბოლოს ააგო წყალსაცავი და თავის კარ-მიდამოში თავი მოუყარა ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს. ამგვარად, სულ მოკლე დროში მცირემომოსავლიანი ფერმა გარდაიქმნა აყვავებულ სასტუმროდ, რომელიც აგროტურისტებს უმასპინძლდებოდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით.

ირლანდია შედის ევროპული ქვეყნების რიცხვში აგროტურიზმის დარგის მაღალი განვითარებით. ამიტომ სასოფლო დასვენების საკითხს აქ მიუდგნენ მთელი სერიოზულობით და შექმნეს ძალიან დაწვრილებითი საიტი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას აგროტურიზმის შესახებ. აგროტურიზმის საიტზე შეგიძლიათ მაშინვე აღმოაჩინოთ ირლანდიის რუკა ყველა საგ-

რაფოთი, სადაც თითოეულიდან შეგიძლიათ მიიღოთ ფერმების ნუსხა, რომლებიც ყოველთვის მზად არიან სიხარულით მიიღონ ტურისტები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აგრარული ტურიზმი მხოლოდ ეხლა იწყებს განვითარებას. ასე მაგალითად, სულ უფრო პოპულარობით სარგებლობს იგი ჩეხეთში. აქაურ ფერმებში ისვენებენ ძირითადად უცხოელები, რომელთა შორის განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს გერმანიასთან და ავსტრიასთან არსებული სასაზღვრო ოლქები. აგროტურიზმის განვითარებას ჩეხეთში მნიშვნელოვნად ხელს უშლის ფინანსური საშუალებების, კერძოდ, პირველდანიყებითი ინვესტიციების უკმარისობა. გამონაკლისს წარმოადგენს მორავსილეთის ოლქი, სადაც ტურისტთა ვიზიტები სასოფლო ადგილებში მხარდაჭერილია ფინანსური დოტაციებით. ადგილობრივი ხელისუფლება ელოდება, რომ აგრარული ტურიზმის განვითარების კვალობაზე შემცირდება უმუშევრობა. ყველაზე პროგრესულ აგროფერმებს შეუძლიათ თავი მოიწონონ გოლფით, ტენისის კორტებით და სპორტის სხვა სახეობებით. მენარმეები თვლიან, რომ აგროტურიზმი ჩეხეთში წარმოადგენს ჯერჯერობით უფრო დამხმარე და არა შემოსავლის ძირითად წყაროს.

ძალიან ხშირად აგრარული ტურიზმი სტიმულირებას განიცდის ადგილობრივი ხელისუფლები-საგან შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემოღების გზით. ასე მაგალითად, უნგრეთის კანონმდებლობაში აგრარული ტურიზმი არ ხვდება ნორმატიული აქტების მოქმედების არეალში, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს მენარმეობის სფეროში და ამიტომაც შემოსავლები, რომელსაც ღებულობენ გლეხები საკუთარი საცხოვრებლის ტურისტებზე გაქირავების შედეგად, არ ექვემდებარება დაბეგვრას. არსებობს აგრეთვე სპეციფიკური შეღავათები და უპირატესობები ოჯახური მეურნეობებისათვის, რომლებიც უკვე დასაქმებულია ან აქვთ სურვილი დასაქმებული იყვნენ სასოფლო ტურიზმის საქმიანობით. ასეთი შეღავათის მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

აგრარული ტურიზმი წარმატებით განვითარდა ქვეყნებში, სადაც ტრადიციულად არსებობდა მასიური დასვენების პოპულარულ მიმართულებები. კვიპროსში აგროტურიზმის განვითარების კონცეფცია დამუშავებული იქნა კვიპროსის ტურიზმის სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ და მიზნად ისახავდა ტურისტული ნაკადების გადართვას სანაპირო რაიონებიდან მაღალი რეკრეაციული დატვირთვის მქონე შიდა სასოფლო რაიონებში. ამასთან, მხედველობაში იყო მიღებული ისტორიული გამოცდილება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ მეორე მსოფლიო ომამდე, კვიპროსში, ადგილობრივ და უცხოურ ელიტაში, არსებობდა ზაფხულში კუნძულის მთიანი ნაწილის ვილებში დასვენების ტრადიცია. დამუშავებულ იქნა აგროტურიზმის განვითარების პრინციპული სქემა. სოფლის სახლის პატრონმა, რომელსაც სურვილი აქვს მიიღოს ტურისტები, უნდა შეიტანოს განაცხადი კვიპროსის ტურიზმის ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში შეუძლია მას კვიპროსის ტურისტული ორგანიზაციიდან მიიღოს კრედიტი ან უსასყიდლო სესხი. ამჟამად კვიპროსის აგროტურისტული ბიზნესი ორიენტირებულია შემოსვლით ტურიზმზე, უპირატესად გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

აგროტურისტული პროგრამის რეალიზაციის საფუძველზე კვიპროსზე მიღწეულ იქნა შემდეგი შედეგები:

- კუნძულის ცალკეულ, მთიან რაიონებში შეიქმნა სრულფასოვანი მაღალხარისხოვანი ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- მოხდა ტურიზმის სეზონურობის მნიშვნელოვანი შერბილება, რადგანაც აგროტურიზმი წარმოადგენს წლის მთელი სეზონის პერიოდის დასვენების სახეს.
- მოხდა ტურისტთა მოზიდვა, ხოლო, აქედან გამომდინარე, გაძლიერდა კვიპროსის სოფლის ეკონომიკა, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და სხვ.
- აგროტურიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო კვიპროსის სოფლის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ბუნებისა და გარემოს დაცვას [4, 401–404].

აგრარულმა ტურიზმმა განვითარება პოვა თავისებური ფორმით აზიის რიგ ქვეყნებში, კერძოდ, შრი-ლანკაში, მალაიზიაში და სხვა.

შრი-ლანკაში აგროტურიზმის განვითარება წავიდა ასეთი გზით – სოფელი – თანამედროვე ტურისტული სანარმო, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს მომსახურების სრულ პაკეტს, განთავსებას ცალკეულ სტილიზებულ ტრადიციულ საცხოვრებელში, მაგრამ ცხოვრების თანამედროვე მოხერხებული მოწყობილობებით და მოიცავს: კონდიციონერს, სამზარეულოს, მომსახურებას და კვებას ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს დონეზე, კულტურულ-გასართობ პროგრამას, და ა.შ., რომელიც მიმდინარეობს ეროვნული ტრადიციებისა ფონზე. ამასთან ერთად, ტურისტი

უზრუნველოფილია ცოცხალ ბუნებასთან კონტაქტით, აგრეთვე სოფლის სახელოსნოსა და შინამრეწველობის ტარდიციული ყოფის ელემენტებისა და ეროვნული კულტურის გაცნობით.

მაღაიზიაში აგროტურიზმის კონცეფცია ორიენტირებულია, უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო პარკების შექმნაზე. მაღაიზიის პირველი სახელმწიფო სოფლისმეურნეობრივი პარკი დაარსებულ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით. იგი წარმოადგენს მუდმივმოქმედი საგამოფენო-ტურისტულ, აგრეთვე, კვლევით ცენტრს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით. ამჟამად მთელს ქვეყანაში გაშლილია ასეთი პარკების ქსელი, რომელიც სახელმწიფოს ან, გამონაკლის შემთხვევაში, ადგილობრივი ფერმერული ასოციაციის საკუთრებაა. ტურისტებს სთავაზობენ ცხოვრებას ჯუნგლებით ან პლანტაციებით გარემოცულ ტრადიციულ საცხოვრებელში, ბუნების ნიაღში ან სასტუმროში, უმასპინძლებიან ეროვნული სამზარეულოთი. ტურისტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სოფლისმეურნეობრივ სამუშაოებში და გართობებში (გასეირნება ცხენით, პონით, ნავით, ექსკურსია ჯუნგლებში, აგრეთვე თევზაობა).

აგრარული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები არსებობს *აფრიკის* ქვეყნებშიც. აქ ბევრი პატარა კოლორიტული სოფელია, სადაც შემონახულია ადგილობრივი ხელოსნობის ტრადიცია, კერძოდ, ხეზე კვეთილობა, არის მრავალრიცხოვანი ხმაურიანი ბაზრები, სრულყოფილი სარიტუალო ცერემონიები. სანაპიროზე განლაგებულია მრავალრიცხოვანი მეთევზეთა დასახლებები, სადაც ტურისტებს საინტერესოდ შეუძლით გაატარონ დრო.

საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონს აგროტურიზმის შესანიშნავი პერსპექტივა გააჩნია. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ: ბუნებრივი ლანდშაფტების დიდი ნაირფეროვნებით, კლიმატური ზონების ფართო სპექტრით, უნიკალური ეკოსისტემებით, ბუნებისა და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით, წესჩვეულებათა მრავალფეროვნებით, ფოლკლორის უნიკალურობით და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, აქ მცხოვრებ ხალხთა უძველესი ისტორიით, თვითმყოფადი კულტურით, ტრადიციებითა და სტუმართმოყვარეობით. ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარება შესამჩნევ გავლენას მოახდენს ქვეყნის პერიფერიული რეგიონების ეკონომიკაზე, მოხდება ქვეყანაში შემომსვლელთა ნაკადების გააქტიურება, რაც უფრო მეტად ქმედითუნარიანს გახდის უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად მიმართულ საქმიანობას, რადგანაც მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება გარემოს დაცვის ღონისძიებებს და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მერლანი, ტურიზმის განვითარება საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა“, 2009, 5-6, გვ. 136-141.
2. მ. მეტრეველი, ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები). გამომცემლობა შპს „ფორმა“, თბ., 2004, 307 გვ.
3. დ. მაისურაძე, ი. ვერბეცკი, თ. ხუციშვილი, ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები. გამომცემლობა „საარი“, თბ., 2008, 231 გვ.
4. Воскресенский В.Ю., Международный Туризм, издательство «Юнити-Дина», М., 2008, 463 с.

VAKHTANG MIKASHAVIDZE

*Shota Rustaveli State University
Associate Professor*

ZHANI MIKASHAVIDZE

*Shota Rustaveli State University
Assistant Professor*

**A SHORT OVERVIEW OF AGRICULTURAL TOURISM HISTORY AND WORLD EXPERIENCE
OF ITS DEVELOPMENT**

S u m m a r y

Agricultural tourism is a rather new trend in the tourism industry. Nowadays agritourism, which dates back to the second half of XX century, is widespread in many parts of the world, both in developed and developing countries. The development of agritourism promotes economic growth and improvement of living standards in the country. It has a particular importance for the economic revival of rural mountainous, lagging and undeveloped regions.

The development of agritourism in rural regions of Georgia will favour the establishment of full-fledged tourism infrastructure there, creation of new workplaces, decrease in poverty level, preservation of national and cultural heritage, protection of environment and improvement of social and economic conditions of the local population.

თბა მუხეზივილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი

ნიმო ჩავლეხვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი

აგროსასურსათო ბიზნესის რისკების შეფასება ლოგიკო-ალბათური მოდელის გამოყენებით

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ნატურალური, მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ოპერატიულ უზრუნველყოფას. საქონლის რეალიზაციის ფასზე მოქმედ ფაქტორებს შორის პროდუქციის ხარისხსა და სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის დროულად მიწოდებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სეზონური სწრაფფუჭებადი პროდუქტების მიწოდების პრობლემა. დროის მოკლე მონაკვეთში მინიმალური სატრანსპორტო დანახარჯებით სამომხმარებლო ბაზარზე მიწოდებულ უნდა იქნეს ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქცია. დაუშვებელია სიტუაცია, როდესაც ფერმერი დამოკიდებულია ბაზრის სპეკულანტებზე და იძულებულია ეძებოს საქონლის გადამზიდი და ჩალის ფასად მიყიდოს საქონელი შუამავალს. მაგ. ფერმერი იძულებულია 1 კგ. საზამთრო საშუალოდ 8 თეთრად გაყიდოს, მაშინ როდესაც მომხმარებლისთვის 40 თეთრი ღირს.

პროდუქტის რეალიზაციის სირთულეების გამო ფერმერი იძულებულია შეამციროს პროდუქციის წარმოება და ფაქტობრივად ხელი შეუწყოს საეჭვო წარმომავლობის დაბალხარისხოვანი პროდუქტების იმპორტს. ეს ფერმერისა და მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (განსაკუთრებით სწრაფფუჭებადი პროდუქტების) წარმოებისა და რეალიზაციის პრობლემა სატრანსპორტო ქსელის ეფექტურად ფუნქციონირების პრობლემას უკავშირდება. იაფფასიანი ტრანსპორტით, ფერმერისთვის მისაღებ ფასებში, ტრანსპორტირების მცირე დანახარჯებით, ოპერატიულად პროდუქცია მიწოდებულ უნდა იქნეს ბაზარზე. საკონომდებლო აქტებით უნდა განისაზღვროს გამყიდველის მოგებისა და სატრანსპორტო დანახარჯების მარჟა. ამის კონკრეტული მაგალითია საბანკო ქსელში ვალუტის გაცვლის კურსის მარჟის არსებობა, კომპანია “ნიკორას“ ხელმძღვანელობის მიერ გამყიდველისთვის რეალიზაციის ფასის განსაზღვრა და სხვა.

სატრანსპორტო ქსელში შემავალი ნებისმიერი სანარმო მთლიანი სატრანსპორტო სისტემის და ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია და მისი ფინანსური მდგრადობა მოქმედებს მოსახლეობის მაღალხარისხოვანი ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფაზე, რაც საბოლოო ჯამში ფერმერისა და ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედებს. ამიტომ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვებით დაკავებული და ზოგადად ქვეყნის მასშტაბით სატრანსპორტო სანარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და პროგნოზი ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

ნებისმიერი ტექნიკური და ორგანიზაციული მართვის სისტემა მრავალი, ურთიერთდაკავშირებული ელემენტისგან შედგება, რომელთა საიმედო მუშაობაზე დამოკიდებული მთელი სისტემის მდგრადობა. დამატებით ამოცანას ართულებს სისტემის გაუთვალისწინებელ გარემოში მოხვედრის ალბათობა და ამ გარემოს ზემოქმედების წინასწარჭვრეტის აუცილებლობა, რაც აბსოლუტური სიზუსტით პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოდ მხოლოდ ასეთ გარემოში მოხვედრის გარკვეულ ალბათობაზე. ასეთი სისტემის მაგალითი სატრანსპორტო ქსელის მართვის სისტემაა. სატრანსპორტო სისტემა ურთიერთდაკავშირებული სანარმოების ერთობლიობაა. ჩვენი კვლევის სფერო ამ სანარმოთა და მთლიანი სისტემის ფინანსური მდგრადობის შეფასება და პროგნოზირებაა.

ისევე, როგორც ორიგინალური ტექნიკური სისტემების დაპროექტებისას, დამპროექტებლებს არ შეუძლიათ იმსჯელონ სისტემის ვარგისიანობაზე ანალოგიური სისტემების დაპროექტებისა და ექსპლოატაციის დროს მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე, აქაც შეუძლებელია და მიუღებელიცაა, რომ სატრანსპორტო ქსელის საწარმოთა ფინანსური მდგრადობა შეფასებულ და პროგნოზირებულ იქნეს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. აქ ჩვენს

განკარგულებაში მხოლოდ ორი საშუალებაა: პირველი – სატრანსპორტო ქსელის სანარმოთა – ელემენტების სიმრავლე და ამ სანარმოებს შორის არსებული ლოგიკური კავშირები და მეორე – გარკვეული ჰიპოთეზების შემუშავება, მათ საფუძველზე სისტემაში შემავალი ნებისმიერი სანარმოს მდგრადად მუშაობის დაშვების ალბათობა. ამ ორი ძირითადი მომენტის – სისტემის ელემენტებს შორის არსებული კავშირებითა და ელემენტების მუშაობის ალბათობების გათვალისწინებით შესაძლებელია შევისწავლოთ მთლიანად სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკურად მდგრადად მუშაობის პირობები, გამოვავლინოთ მდგრადად მუშაობის ხელშემშლელი ფაქტორები და გავითვალისწინოთ ისინი შექმნილი სიტუაციისა ან ინოვაციების შემოტანისას.

სატრანსპორტო სისტემის მოდელირების დროს ნებისმიერი ჰიპოთეზა კონკრეტულ ასახვას სანარმოთა შორის კავშირებსა და მათი მდგრადად მუშაობის ალბათობებში პოულობს. ამრიგად, ხორციელდება სისტემის ფუნქციონირების მოდელირება სხვადასხვა წინასწარ დადგმული სცენარებით და მონმდება მთლიანად სისტემის მუშაობა მოცემული სცენარით მოვლენების განვითარების შემთხვევაში.

სატრანსპორტო სისტემა განხვიხილთ როგორც ERP-sistema. სატრანსპორტო სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია ცალკეული სატრანსპორტო სანარმოს მდგრადობაზე. სატრანსპორტო სისტემის ეფექტური მართვის მექანიზმის რეალიზაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: სატრანსპორტო საშუალებების ამორტიზაცია და ფორს-მაჟორული სიტუაციები.

მოცემულია $Z = \{K_i / i \in [1, n]\}$, რომელიც შედგება n კომპონენტებისგან. $\forall K_i$ -ური მაჩვენებლის კონკრეტული მნიშვნელობა საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ სანარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ეკონომიკური ობიექტის ფინანსური ანალიზის ჩატარების ამოსავალ წყაროს ორგანიზაციის ბალანსი წარმოადგენს. ბალანსში დაფიქსირებული მონაცემების ანალიტიკური დამუშავება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სანარმოს ფინანსურ მდგრადობაზე, მივიღოთ გადაწყვეტილება არსებული ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ნებისმიერი სატრანსპორტო სანარმოსა და მთელი სისტემის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად და პროგნოზირებისათვის ფინანსური კოეფიციენტების მნიშვნელობების ნორმატიული მნიშვნელობის დადგენა ნორმატიულ მნიშვნელობათა დიაპაზონიდან განვსაზოვროთ ოქროს კვეთის მეთოდით/8/.

როგორც აღვნიშნეთ, სანარმოს ფინანსური შეფასება 10 კოეფიციენტით ხორციელდება. სისტემაზე მოქმედებს როგორც ენდოგენური, ასევე ეგზოგენური ფაქტორები. ამიტომ თითოეული ფინანსური მაჩვენებელი შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა დისკრეტულ მდგომარეობაში. დავუშვათ, რომ თითოეული ფინანსური კოეფიციენტი ტოლია „ოქროს კვეთის“ პროპორციით დადგენილი მნიშვნელობის. მაშინ დავუშვათ, რომ თითოეული კოეფიციენტის საიმედოობის ალბათობა ერთნაირია და ტოლია $(R_i)=0.62$, ხოლო არასაიმედოობის ალბათობა იქნება $(Q_i)=0.38$

სისტემა შედგება $n=10$. სისტემის მდგომარეობა ორივე, ცუდი და კარგი სულ იქნება $N=3628800$, საიდანაც $N-1=3628799$ სისტემა შეიცავს ერთ, მაინც „ცუდ“ ფაქტორს. ნებისმიერმა მაჩვენებელმა შეიძლება მიიღოს ორი სანინალმდეგო მნიშვნელობა „ერთი“ და „ნული“, როცა იგი ნაკლებია ლოგიკურად დასაშვებ გარკვეულ მნიშვნელობაზე. თუ n კომპონენტის მნიშვნელობა ტოლია დასაშვებ მნიშვნელობაზე, მაშინ იგი საიმედოა (მისაღებია) და აღვნიშნოთ R -ით, წინააღმდეგ შემთხვევაში n -ის მნიშვნელობა არასაიმედოა (მიუღებელია) და ეს ფაქტი აღვნიშნოთ Q ასოთი. მდგომარეობათა რაოდენობა საიმედო შემთხვევაში m_i -ია, ხოლო არასაიმედო შემთხვევაში

$$k_i = n - m_i; C_n^m = n! / (m_i! k_i!), i = \overline{1 - n} ./ცხრ. 1/.$$

ცხრილი 1

№	m	k	C _n ^k	№	m	k	C _n ^k
1	10	0	1	6	5	5	50
2	9	1	10	7	4	6	40
3	8	2	20	8	3	7	30
4	7	3	30	9	2	8	20
5	6	4	40	10	1	9	10
11	0	10	1				

ცხრ. 2-ში ოქროს კვეთის მეთოდით განსაზღვრული ნორმატიული მაჩვენებლებისა და სისტემის საიმედო/არასაიმედო მდგომარეობაში ყოფნის ალბათობათა მნიშვნელობების საფუძველზე თითოეული ელემენტის მდგომარეობის ალბათობის გათვალისწინებით (სატრანსპორტო სანარმოს განხილვისას ფინანსური კოეფიციენტების მნიშვნელობაა, ხოლო სატრანსპორტო სისტემის განხილვისას კი – სანარმოს ფინანსურად მდგრად მდგომარეობაში ყოფნის ინტეგრალური მნიშვნელობა) სისტემის საიმედოობის ალბათობების გაანგარიშების შედეგებია მოცემული.

ცხრილი 2

ფინანსური კოეფიციენტი	ოქროს კვეთის მიხედვით კოეფიციენტთა მნიშვნელობა X_i -ური	მაჩვენებლის საიმედოობის ალბათობა (R_i)	X_i -ური მაჩვენებლის არასაიმედოობის ალბათობა P(Q)	სისტემის საიმედოობის ალბათობა თითოეული ელემენტის მდგომარეობის ალბათობის გათვალისწინებით $P_i(Y_i)$	$C_n^k \times P_i(A)$
ავტონომიურობის კოეფიციენტი	0.65	0.62	0.38	0.008392994	0.05144093
მანევრირებადობის კოეფიციენტი	0.4	0.62	0.38	0.005144093	0.06305662
მარაგების გადაფარვის კოეფიციენტი	0.38	0.62	0.38	0.003152831	0.0579714
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.38	0.62	0.38	0.00193238	0.04737448
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.65	0.62	0.38	0.001184362	0.03629495
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.165	0.62	0.38	0.000725899	0.01779624
დებიტორული და კრედიტორული დავალიანების თანაფარდობის კოეფიციენტი	0.65	0.62	0.38	0.000444906	0.00818052
მარაგებისა და დანახარჯების დაფინანსების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი	0.72	0.62	0.38	0.000272684	0.00334258
საერთო რენტაბელობა	0.6	0.62	0.38	0.000167129	0.28545772

ალბათობა იმისა, რომ სისტემაში ერთდროულად ყველა კოეფიციენტი იქნება თავის მნიშვნელობაზე ნაკლები, მცირეა, ანუ ათივე კომპონენტის ალბათობა „ცუდია“.

$P_i\{A(m=0, k=10)\} = 0.000102434$, ხოლო ალბათობა იმის, რომ სისტემაში შემავალი ყველა კოეფიციენტი იქნება თავის მნიშვნელობის ტოლი $P_i\{A(m=10, k=0)\} = 0.008392994$;

სისტემაში შემავალი ათი კოეფიციენტიდან თუნდაც ერთი კოეფიციენტის მნიშვნელობა ნაკლებია დასაშვებ მნიშვნელობაზე, მაშინ სისტემის ალბათობა იქნება $P_i\{A(m=9, k=1)\} = 0.005144093$ და ა.შ. $\sum P_i\{Y(0 \leq m < 10, 0 < k \leq 10)\} = 0.28$ სისტემის საიმედოობაზე მოქმედი საერთო რისკის ალბათობა იქნება 0.28 ანუ 28%.

სატრანსპორტო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის დამატებით შემუშავებულ უნდა იქნეს ლოგიკო-ალბათური მოდელი, სადაც შემდეგი ფაქტორები იქნება გათვალისწინებული: სატრანსპორტო საშუალებების ამორტიზაცია, ფორს-მაჟორული სიტუაციები, კერძოდ, მშვიდობიანობის პერიოდში: ტერორიზმი, ბუნებრივი კატაკლიზმები (წყალდიდობა, მრავალთოვლიანობა, მენყერი, მიწისძვრები და სხვა).

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებულ შემოსავალს დიდი ხვედრითი წილი უჭირავს, ამიტომ გარკვეული ალბათობით მომავალში სატრანსპორტო ქსელის სანარმოთა ფინანსური მდგომარეობის ცოდნა საშუალებას იძლევა ქვეყნის მასშტაბით მიღებულ იქნეს ღონისძიებები მოსალოდნელი ფინანსური სიძნელეების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. აღნიშნულის გარდა ეს ინფორმაცია საგადასახადო შემოსავლების მაკონტროლებელი ფუნქციის მატარებელიც არის. ცნობილია, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებით შეუძლებელია სამენარმეო საქმიანობიდან მიღებულ გადასახადებსა და განეული მომსახურების მოცულობას შორის შესაბამისობის მიღწევა. მთავარია კიბერნეტიკული მართვის პრინციპებით ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება, რომლის დროსაც სანარმოთა სიტუაციური ადმინისტრაციული კონტროლის გარეშე მყარდება ნონასწორობა სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობასა და სახელმწიფო ხაზინაში შეტანილ გადასახადებთან. ასეთი მექანიზმის შემუშავების საფუძველი და რეალური საშუალებაა ლოგიკურ-ალბათური მოდელი. მოდელით მინიმალური ეკონომიკური მაჩვენებლებით(10 მაჩვენებლით) ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ხორციელდება სანარმოს ფინანსური მდგრადობის პროგნოზი და შედარება ფაქტობრივ სიტუაციასთან. ჩვენი ექსპერიმენტული გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ მოდელირების შედეგად სანარმოს მოგება უნდა შემცირდეს ან ნულამდე იქნეს დასული, მაშინ როდესაც სანარმო სტაბილურად იხდის, ფაქტობრივად, ერთნაირი მოცულობის გადასახადს. დასკვნა მხოლოდ ერთია – მომსახურების მოცულობა და გადასახადები შესაბამისობაში არ არის. უფრო ზუსტად – გადახდილი გადასახადი ნაკლებია ფაქტობრივთან შედარებით. ფინანსური ანალიზის არსებული მეთოდებით და საშუალებებით ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების მნიშვნელობათა რეგულირება ისეთნაირად, რომ შეუძლებელი იყოს დისპროპორციის აღმოჩენა, პრაქტიკულად მიუწვდომელია. დისპროპორციის აღმოჩენა მხოლოდ ლოგიკურ-ალბათური მოდელით ხორციელდება. სატრანსპორტო ქსელში შემავალი ნებისმიერი სანარმო მთლიანი სატრანსპორტო სისტემის და ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია და მისი ფინანსური მდგრადობა მოქმედებს მოსახლეობის მაღალხარისხოვანი ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფაზე. რაც, საბოლოო ჯამში, ფერმერისა და ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედებს. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვებით დაკავებული და, ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით სატრანსპორტო სანარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და პროგნოზი ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Арефьев И., Мунджишвили Т., Метод оценки и прогнозирования финансовой устойчивости транспортного предприятия в условиях риска. Россия, Санкт-Петербург, 2009.
2. Мунджишвили Т., Логико-вероятностный анализ риска в оценке финансового состояния эмитента. Санкт-Петербург: Труды Международной научной школы МА БР – 2005 (Санкт-Петербург, 28.07.-7.08. 2005 год), СПбГУАП. 2005. с.179-185
3. www.mof.ge.

TEA MUNJISHVILI

Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

Associate Professor

NINO CHAVLESHVILI

Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

Associate Professor

ESTIMATION OF RISKS OF AGRO-FOOD BUSINESS BY MEANS OF LOGIC-PROBABILITY MODEL

S u m m a r y

In the developed countries special attention is paid to supplying the population with high quality agricultural products. The economic-mathematical model of the sustainability and predictability of the transportation system and the sea ports was considered as a single model encompassing those related to the financial sustainability and predictability of the enterprises. The expediency of creating the models by way of the logical probability simulation was substantiated. Ten indexes were suggested for the evaluation of the financial standing of individual enterprises and the entire transportation system, with the method of golden section to be applied for the determination of the appropriate regulatory value thereof. The scenario-based tentative calculations were made and the results analyzed. It was proved that the logical probability simulation makes it possible to create an economic mechanism of striking a balance between the volume of traffic and the Budget payments with no administrative control.

ყურძენი და მისი გაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში

დედამინაზე გავრცელებული მცენარეებიდან ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლოა ვაზი, რომლის ნაყოფი ყურძენი და მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები არა მარტო საუკეთესო კვებითი ღირებულების მატარებელია, არამედ ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და კოსმეტოლოგიაშიც. ამის საფუძველი ყურძნის ქიმიური შემადგენლობაა. მისი წვენი მდიდარია ვიტამინებით, მიკრო- და მაკროელემენტებით, ორგანული მჟავებით, ფლავონოიდებით (ბუნებრივი ანტიოქსიდანტებით), უჯრედისით და პექტინებით, ტანინით, ეთეროვანი ზეთით. ყურძნის წვენის შემადგენლობა საშუალოდ ასე გამოიყურება: წყალი 75,98-78,93%, შაქარი 18,25-19,66%, ღვინის, ვაშლის და სხვა მჟავები 0,46-0,61%, აზოტოვანი ნივთიერებები 0,34-0,49%, მინერალური ნივთიერებები 0,07-0,11% (1). მისი შემადგენლობიდან გამომდინარე, ყურძენი კვების მაღალკალორიული პროდუქტია.

ყურძნის მაღალი კვებითი ღირებულებისა და სამკურნალო თვისებების უზრუნველყოფაში დიდ როლს მის შემადგენლობაში შემავალი ვიტამინები ასრულებს. 100 გრამ ყურძენში შედის 0,02-0,12 მგ A ვიტამინი, 0,43-12,3 მგ D ვიტამინი, 0,006 მგ B1 ვიტამინის ნიშნები და B2 ვიტამინი (1). ყურძნის წვენის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია შაქარი. მისი რაოდენობა სხვადასხვა ჯიშისა და ქვეყნის სხვადასხვა ადგილზე მოყვანილ ყურძნის წვენში განსხვავებულია და მერყეობს 1000 გრამში 120-400 გრამის ფარგლებში. ყურძნის წვენში უჯრედისი, სახამებელი, დექსტრინი, გუმფისი და პექტინი შედის მცირე რაოდენობით. ღვინის და ვაშლის მჟავების გარდა, ყურძნის წვენში შედის ქარვის, ლიმონის, ჭიანჭველის, მჟაუნის და სხვა მჟავები. მინერალური ნივთიერებებიდან ყურძნის წვენის შემადგენლობაშია კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი, რკინა. 1 კგ ყურძნის წვენის (0,73-0,7 ლ ყურძნის წვენის) კალორიულობა შეიძლება 440-840 კილოკალორიების ფარგლებში მერყეობდეს (2).

ყურძენს სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებენ. მისი წვენი ხელს უშლის რაქიტის განვითარებას, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ფილტვის ტუბერკულოზის, სურავანდის, გულის დაავადებების მკურნალობას, ყურძენი სასარგებლოა სისხლნაკლებობის დროს და ა. შ. ყურძენს აქვს ანტიბაქტერიული მოქმედება. იგი კლავს ნაწლავის ჩხირს და ქოლერის ვიბრიონს. გლუკოზის მდიდარი შემცველობის გამო მას მაღალი ანტიტოქსიკური თვისებები აქვს. ყურძნის წვენი, წითელი ღვინო და ქიშმიშის ჩაი წინააღმდეგობას უწევს პოლივირუსს, მარტივი ჰერპესის ვირუსს და რეოვირუსს (3). მაგრამ ყურძნით მკურნალობა არ შეიძლება ექიმის რჩევის გარეშე, რადგან ყურძენს აქვს უკუჩვენება რიგი დაავადებების დროს, კერძოდ, არ შეიძლება ყურძნით მკურნალობა და მისი გადაჭარბებით მოხმარება შაქრიანი დიაბეტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გამწვავების, კოლიტის, ქრონიკული ფარინგიტის, ფილტვების ქრონიკული ანთების და მთელი რიგი სხვა დაავადებების დროს.

ალბათ, სწორედ, ყურძნის სამკურნალო და კვებითი ღირებულებებმა გახადა ვაზის კულტურა ქართული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი, მისი განუყრელი თანამგზავრი. საქართველო ოდითგანვე მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყანა იყო. ვენახის გაშენებისა და მოვლის წესებს, ღვინის დამზადების ტრადიციას უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი. ამას ადასტურებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. თბილისის სამხრეთით შულავერის სამარხში ნაპოვნია ყურძნის ნიშნები, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება და რომელიც აქ უძველესი “მოშინაურებული” ვაზის (*vitis vinifera vinifera*) მოყვანის მონმობად შეიძლება ჩაითვალოს. ველურ სახეობებთან შედარებით ადამიანის მიერ მოშენებული ვაზის უპირატესობაა მისი თვითდამტვერვა, რაც თესლის უმცირესი რაოდენობიდან უფრო უხვი და პროგნოზირებადი მოსავლისა და უფრო წვნიანი და გემრიელი ნაყოფის მიღების შესაძლებლობას იძლევა. უძველესი ნეოლოთის ხანის მებაღემ გამოიგონა, აგრეთვე, ვაზის „კლონირების“¹ შესაძლებლობა ფესვების გადარგვისა და ვაზის რქის დამყნობით (5).

¹ კლონირება მომდინარეობს ტერმინიდან კლონი, რომელსაც საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ განმარტავს ასე: „კლონი – ვაზის ერთი ჯიშის ნარგაობიდან განსხვავებული თვისობრივი ნიშნის

მამასადამე, ისტორიული და არქეოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოში ვაზის ნაყოფის ხარისხის ამალღებასა და ახალი ჯიშების გამოყვანაზე ზრუნვა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში დაიწყო და საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ვაზის მიმართ ასეთი დამოკიდებულების შედეგად საქართველოში შეიქმნა მისი დაახლოებით 500 ჯიში, რომელთაგან 41 შეტანილია საქართველოს ვაზის სტანდარტულ სორტიმენტში. ვაზის 500 ჯიშის შექმნა, ბუნებრივია, სტიქიურად არ მომხდარა. ახალი ჯიშების გამოყვანა ხორციელდებოდა განსაზღვრული მიზნით და მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. სხვადასხვა ნიშან-თვისებების მქონე ვაზის ჯიშის გამოყვანით ქართველი მევენახეები თავს იზღვევდნენ ბუნებრივი პირობების არახელსაყრელი მიმართულებით შეცვლის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალისგან. მართალია, მათ რისკების მენეჯმენტში თეორიული ცოდნა არ ჰქონდათ, მაგრამ თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად სწორედ რისკების მართვის მეთოდებს ეყრდნობოდნენ (6, გვ.135). ქართველმა მევენახეებმა არც მარკეტინგი იცოდნენ და XX საუკუნემდე არც არსებობდა მარკეტინგის თეორია, მაგრამ თავიანთ საქმიანობას სწორედ მარკეტინგული მიდგომით, ე. ი. მომხმარებელზე ორიენტაციით წარმართავდნენ. ჩვენი აზრით, ვაზის საღვინე, საბადაგე, სასუფრე, საჩამიჩე, საწინილე და სხვა სახის ჯიშ-სახესხვაობების შექმნა მარტო მევენახეთა მოსაზრების შედეგი არ არის, ე. ი. ადგილი არ ჰქონია მხოლოდ პროდუქტზე ორიენტირებულ მარკეტინგულ აზროვნებას. ვაზის ახალი ჯიშების შექმნაში დიდი როლი მომხმარებელთა მოთხოვნილებების შეცნობამ, ე. ი. მომხმარებელზე ორიენტირებულმა მარკეტინგულმა აზროვნებამაც შეასრულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის დარგებში, და მათ შორის მევენახეობა-მელვინეობაში, მარკეტინგული აზროვნება ბაზრის ჩამოყალიბების დროიდან არსებობს, თუმცა მას სახელი მარკეტინგი მხოლოდ XIX –XX საუკუნეების მიჯნაზე უწოდეს. ვფიქრობთ, რომ მარკეტინგული აზროვნება გაცვლის პროცესის ჩამოყალიბების პერიოდიდან იღებს სათავეს.

საქართველოს ვაზის სტანდარტულ სორტიმენტში შეტანილი 41 ჯიშიდან საღვინეა 27, 14 კი სუფრის ჯიშია (7). საერთოდ, დღეისთვის მსოფლიოში ცნობილია 4-ათასამდე ვაზის ჯიში. ე. ი. ყოველი 100 ჯიშიდან 12-13 შექმნილია ქართველი მევენახეების მიერ, რაც მევენახეობის განვითარებაში მათ დიდ წვლილზე მიუთითებს.

ყურძენი დღეისთვის, ძირითადად, გამოიყენება შემდეგი მიმართულებებით:

- ყურძნის გადამუშავების გარეშე მოხმარება (სუფრის ყურძენი);
- მისგან ქიშმიშის დამზადება;
- ღვინის, შამპანურის, კონიაკის და სხვ. სახის ალკოჰოლიანი სასმელის წარმოება;
- წვენის, ბადაგის, კომპოტის, მურაბის და სხვა სახის კვების პროდუქტების წარმოება.

უკანასკნელ პერიოდში ყურძნის გამოყენების ერთ-ერთ მიმართულებად ჩამოყალიბდა მისი ჩართვა კოსმეტიკური საშუალებების წარმოებაში.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყურძნის გამოყენების ძირითად მიმართულებას ღვინის და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების დამზადება წარმოადგენს. ყურძნის მთელი მოსავლის 96–97%, პირველ რიგში, ამ დანიშნულებით გადამუშავდება და მხოლოდ 3-4% მოიხმარება სუფრისთვის. მამასადამე, ყურძნის ბაზარს ორი მხარე აქვს.

ერთი მხრივ, ყურძენი იყიდება საწარმოო, მეორე მხრივ კი სამომხმარებლო დანიშნულებით. საწარმოო დანიშნულებით ყურძენს ყიდულობენ როგორც ღვინისა და სხვა სახის სასმელების მწარმოებელი კომპანიები, ისე ოჯახები, სამომხმარებლო დანიშნულებით კი ოჯახები. კომპანიები ყურძენს ყიდულობენ უშუალოდ მევენახეებისგან, ოჯახები კი, უპირატესად, შუამავლებისგან. ამასთან, კომპანიათა ნაწილს აქვს საკუთარი ვენახები. ყურძენით ვაჭრობაში შუამავლების როლში გამოდიან სტიქიურად მოვაჭრენი და საცალო სავაჭრო საწარმოები. საწარმოო დანიშნულებით ყურძნის გაყიდვა ღვინისა და სხვა სახის სასმელების მწარმოებელ კომპანიებზე განსხვავდება სამომხმარებლო დანიშნულებით ყურძნის გაყიდვისგან. საქართველოში საწარმოო დანიშნულებით ყურძენს ყიდულობს სულ რამდენიმე ათეული კომპანია, რომელთა ურთიერთობა მევენახეებთან ფორმალურივითაა. კომპანიათა მხრიდან ყიდვა-გაყიდვაში მონაწილეობენ სპეციალისტები, რომლებიც მევენახეებისგან ყიდულობენ და თან მათთან ერთად ზრუნავენ ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებაზე. ყურძენზე მოთხოვნა, ძირითადად, წარმოებული მოთხოვნაა. ის მომდინარეობს ყურძნის გადამუშავების პროდუქტებზე, პირველ რიგში კი ღვინოზე, არსებული მოთხოვნიდან. ამიტომ გაუჭირდათ ქართველ მევენახე-მელვინეებს თავიანთი პროდუქტების რეალიზაცია რუსეთის მთავ-

(მოსავლიანობა) ან ნიშნების (მაღალი მოსავლიანობა, მაღალი შაქრიანობა, მავნე ორგანიზმისადმი გამძლეობა და სხვა) მატარებელი მოდგმა“ (4).

რობის მიერ ქართულ ღვინოზე ემბარგოს დაწესების შემდეგ. რუსეთის ღვინის ბაზრის დაკარგვამ ახალი ბაზრების გამოძებნის საკითხი აქტუალური გახადა. მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება. ცხრილი 1-დან ჩანს, თუ როგორ შემცირდა ღვინის ექსპორტის მაჩვენებლები საქართველოში 2006 წლის გაზაფხულზე რუსეთში ქართულ ღვინოზე დაწესებული ემბარგოს შემდეგ. 2005 წელს ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი 81 328,9 ათასი აშშ დოლარი იყო, 2006 წლისთვის ეს მაჩვენებელი განახევრდა და 41 050,6 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. მომდევნო 2007 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტის მაჩვენებელი 29 197,4 ათას აშშ დოლარამდე შემცირდა. 2008-2010 წლებში მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ, ცხადია, რომ ქართველ მეღვინეებს ახალ ბაზრებზე დამკვიდრება უჭირთ. ამის მიზეზი ქართული ღვინის მაღალი ფასი და საერთაშორისო ბაზარზე არსებული კონკურენციაა. ვფიქრობთ, ქართველი მეღვინეები შეძლებენ თავიანთი პროდუქტის შესაბამისი სეგმენტების გამოძებნას სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე.

ცხრილი 1¹

ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტის დინამიკა საქართველოში 2001-2010 წლებში

წლები	ათასი აშშ დოლარი	%-ად წინა წელთან	%-ად 2001 წელთან
2001	32 260,2	—	—
2002	33 202,2	102,9	102,9
2003	42 611,8	128,3	132,1
2004	48 719,4	114,3	151,0
2005	81 328,9	167,0	252,1
2006	41 050,6	50,5	127,2
2007	29 197,4	71,1	90,5
2008	36 862,8	126,3	114,3
2009	31 997,0	86,8	99,2
2010	39 269,0	122,7	121,7

სუფრის ყურძნის როლში, ძალიან ხშირად, საღვინე ყურძნის ჯიშები გამოდის. საქართველოში სუფრის ყურძნის წარმოების გაფართოებაა საჭირო, რაც, თავის მხრივ, მისი შენახვის ტექნოლოგიის ალდგენას ან ახალი ტექნოლოგიის შექმნასაც მოითხოვს.

როგორც პრაქტიკული მდგომარეობის შესწავლა უჩვენებს, სუფრის ყურძენი საქართველოს ბაზარზე სხვა ქვეყნებიდან, კერძოდ სომხეთიდან, უპირატესად სეზონთაშორის პერიოდში, შემოდის. ამის აუცილებლობა, ჩვენი აზრით, მევენახეობა-მეღვინეობის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, არ არის. ეს მოსაზრება ყურძნის მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგებზე დაადასტურა. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმეტესობამ უარყოფითად შეაფასა სუფრის ყურძნის სხვა ქვეყნებიდან შემოტანის პრაქტიკა. ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად შექმნილი სასუფრე ყურძნის ჯიშები და მოთხოვნა სუფრის ყურძენზე საქართველოში მისი წარმოებისა და გასაღების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროა მხოლოდ მევენახეთა კეთილი ნება და შენახვის ეფექტიანი ტექნოლოგიის არსებობა. შესაძლებლად მიგვაჩნია მისი საექსპორტოდ გატანაც. დღეს ამის პრაქტიკა არსებობს. ასე, მაგალითად, ახალი ან გამხმარი ყურძნის ექსპორტმა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2001 წელს მხოლოდ 1,1 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, 2010 წლისთვის კი 5,4 ათასი აშშ დოლარი. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ამ მიმართულებით 2007 და 2008 წლებში ჰქონდა ქვეყანას. 2007 წლისთვის ახალი ან გამხმარი ყურძნის ექსპორტი 95,1 ათასი აშშ დოლარი, 2008 წლისთვის კი 85 ათასი აშშ დოლარი იყო.

საქართველოში ყურძენი, ძირითადად, საოჯახო მეურნეობებში იწარმოება. როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 2001-2009 წლებში საოჯახო მეურნეობების წილი ყურძნის წარმოებაში 91-99 პროცენტის ფარგლებში მერყეობს და თანაც არსებითი რხევადობით ხასიათდება. ასე, მაგალითად, თუ 2004-2005 წლებში საოჯახო მეურნეობების წილი ყურძნის წარმოებაში 99 პროცენტს შეადგენდა, 2007 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 91 პროცენტი შეადგინა.

¹ წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე (<http://www.Geoctat.ge>).

ოჯახური მეურნეობების წილი ყურძნის წარმოებაში
2003-2009 წლებში

წლები	წილი %-ებში
2003	97
2004	99
2005	99
2006	92
2007	91
2008	95
2009	95

საქართველოში 2003–2009 წლებში არათანაბარზომიერად იცვლებოდა ყურძნის წარმოების მოცულობაც, რაც კარგად ჩანს ცხრილი 3-დან. 2003 წელთან შედარებით ყურძნის წარმოების მოცულობა მხოლოდ 2005 წელს გაიზარდა და ისიც უმნიშვნელოდ. დანარჩენ წლებში ყურძნის წარმოების მოცულობა 2003 წელთან შედარებით მკვეთრად შემცირდა, თუმცა შემცირების მაჩვენებლის ცვლილებას არა აქვს კანონზომიერი ხასიათი. თუ 2004 წელს ყურძნის წარმოების მოცულობა 2003 წელთან შედარებით შემცირდა 99,8 ათასი ტონით, 2005 წელს აღინიშნა ზრდა 4,9 ათასი ტონით, 2006 წელს კი კვლავ შემცირება 106,7 ათასი ტონით და ა.შ.

ყურძნის წარმოების დინამიკა საქართველოში 2003-2009 წლებში
ყველა კატეგორიის მეურნეობაში

წლები	მოცულობა ათასი ტონა	ზრდა/შემცირება 2001 წელთან ათასი ტონა +/-	ზრდა/შემცირება 2001 წელთან %-ებში
2003	260,0	-	100
2004	160,2	-99,8	61,5
2005	264,9	+4,9	101,9
2006	153,3	-106,7	59,0
2007	227,5	-32,5	87,5
2008	157,6	-102,4	60,6
2009	181,2	-78,8	69,7

ყურძნის მოსავლიანობა რეგიონების ჭრილში რამდენადმე განსხვავებულია, თუმცა, მევენახეობის ძირითად ზონებში მოსავლიანობის მაჩვენებლები წლების მიხედვით არაკანონზომიერად იცვლება, რაც კარგად ჩანს ცხრილი 4-დან. ამასთან, მოსავლიანობა 2003-2009 წლებში მევენახეობის წამყვან ზონებში, კერძოდ, კახეთსა და იმერეთში, შემცირებულია. ასე, მაგალითად, 2009 წელს ყურძნის წარმოების მთლიანმა მოცულობამ კახეთში შეადგინა 82,7 ათასი ტონა, რაც 2003 წლის მაჩვენებლის 91,3% იყო. ამავე პერიოდში იმერეთში ყურძნის წარმოება 45,8 ათასი ტონიდან 30,3 ათას ტონამდე შემცირდა.

¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2010. <http://www.Geostat.ge>

² წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე (<http://www.Geostat.ge>).

ყურძნის წარმოების დინამიკა საქართველოში რეგიონების მიხედვით
2003-2009 წლებში

	კახეთი		იმერეთი		შიდა ქართლი		დანარჩენი რეგიონები	
	ათასი ტონა	ცვლილება 2003 წელთან %-ებში	ათასი ტონა	ცვლილება 2003 წელთან %-ებში	ათასი ტონა	ცვლილება 2003 წელთან %-ებში	ათასი ტონა	ცვლილება 2003 წელთან %-ებში
2003	90,6	-	45,8	-	16,4	-	47,2	-
2004	85,4	94,3	42	91,7	14,1	86	38,5	81,6
2005	128,4	141,7	57,9	126,4	18,2	111	45,8	97
2006	80,2	88,5	36,3	79,3	10,9	66,5	35,1	74,4
2007	118,6	130,9	54,5	119	16	97,6	38,2	80,9
2008	100	110,4	43,7	95,4	8,1	49,4	24	50,8
2009	82,7	91,3	30,3	66,2	16,4	100	20,7	43,9

შიდა ქართლის ქვეზონაში ყურძნის წარმოების მოცულობის მაჩვენებელი 2003 და 2009 წლებში არ შეცვლილა და შეადგინა 16,4 ათასი ტონა. მევენახეობის დანარჩენ რეგიონებში 2003 წელთან შედარებით 2009 წელს ყურძნის მთლიანი მოსავალი თითქმის განახევრდა და 47,2 ათასი ტონის ნაცვლად 20,7 ათასი ტონა შეადგინა.

როგორც უკვე აღინიშნა, ყურძნის გამოყენების ერთ-ერთი მიმართულებაა ბადაგის, კომპოტის, მურაბის და სხვა სახის კვების პროდუქტების წარმოება. ვფიქრობთ, აღნიშნული პროდუქტების წარმოება ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისგან მათი გასაღების პრობლემას მოხსნის არა მხოლოდ შიდა, არამედ საგარეო ბაზრებზეც, მაგრამ საჭიროა შესაბამისი მარკეტინგული პროგრამების შექმნა და რეალურად ამოქმედება. იგივე შეიძლება ითქვას ყურძნის კოსმეტოლოგიაში გამოყენებაზეც. საჭიროა კოსმეტოლოგიური ფირმებისთვის ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის შეთავაზება. ამას ვერ შეძლებენ ცალკეული მევენახეები. მათ უნდა დაეხმაროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახური. არ უნდა დაგვავიწყდეს მომხმარებლებს, რომ “ყურძენი ახალგაზრდობის ჰორმონია“⁽⁸⁾. სწორედ ამიტომ იყენებს მას აქტიურად ცნობილი ფირმა „ორიფლეიმი“ და მომხმარებელს სთავაზობს ყურძნის ნედლეულზე დამზადებულ გამწმენდ გელს, დღის და ღამის კრემებს. ორიფლეიმის ყურძნის ნედლეულზე დამზადებული პროდუქცია კანს იცავს ნეგატიური ზემოქმედებისგან და ვადაზე ადრე დაბერებისგან. ვფიქრობთ, შესაძლებელია ყურძნის ნატურალური ნედლეულის გამოყენებით კოსმეტიკური საშუალებების ადგილზე წარმოებაც.

დაბოლოს, არ შეიძლება დაიკარგოს ყურძნის გამოყენებით დამზადებული ისეთი გემრიელი და კალორიული ქართული ნუგბარი, როგორც არის ჩურჩხელა. საქართველოში მის დამზადებასაც, ღვინის მსგავსად, დიდი ხნის ისტორია აქვს. „ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნით დათარიღებული სამარხების არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნია თიხის ფირფიტები, რომლებზეც ჩურჩხელის დამზადების სცენებია ასახული და თიხის სპეციალური ჭურჭელი, რომელშიც ძველი ქართველები ჩურჩხელას ინახავდნენ“⁽⁹⁾.

ამრიგად, ყურძენი თანამედროვე მსოფლიოში ფართო დანიშნულებით გამოიყენება. ეს რეალობა უნდა გახდეს საქართველოშიც. ყურძნის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მოტივირებასა და რეალურად განხორციელებაში წამყვანი როლი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეასრულოს.

¹ წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე (<http://www.Geostat.ge>).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://forum.interes.ge/lofiversion/index.php?t660.html>
2. <http://iinograd.info/stati/stati/ryhok-vinograda-i-vina-rossiystoy-federaciac.html>
3. <http://www.med.ge/?a=content&id=1150>
4. საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ (<http://vinoge.com/Rvinis-kanonmdebloba/saqarTvelos-kanoni-vazisa-da-Rvinis-Sesaxeb>)
5. <http://wine-history.com/2q.htm> საქართველო მეღვინეობის და მევენახეობის ქვეყანა. პატრიკ მაკგოვერნი. პენსილვანიის მუზეუმის უნივერსიტეტი.
6. მღებრიშვილი ბ. მენეჯერული და მარკეტინგული მიდგომის ელემენტები ქართულ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2009. 1. გვ.135-136.
7. <http://geowinefund.com/wine.html>
8. <http://www.oriflame.tk/index.php/-qq>
9. <http://mkurnali.ambebi.ge/index.php/dietologia/1143-2009-03-16-15-27-16.html>

BABULIA (DODO) MGHEBRISHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

TENDENCIES OF DEVELOPMENT OF THE VINE AND ITS MARKET IN GEORGIA

S u m m a r y

In the article the vine is characterized as high-calorific food substance which was known for the forefather of Georgian people as early as in the 6th century BC. The article notes that the vine giving the grape was a concomitant companion of Georgian civilization. Out of 100 species of vine existing worldwide 12-13 were created in Georgia. Georgian vine-growers produced around 500 varieties of vine which have been carried out through managerial and marketing comprehension. Though Georgian wine-makers had no imagination of risk management, for providing the efficiency of their activities they relied exactly on methods of risk management and their activities were customer- oriented.

In the presented work the two sides of vine market are featured. On one side the grapes are sold for utilization in manufacturing process (96-97%), on the other side - for consuming in ready-made state (3-4%). The production of table vine should be raised and the vine keeping technology should be renewed and set up, in order not to admit its import from other states into viticulture-wine-making country. In an inter-seasonal period, manufacturing of other products received as a result of grapes processing should be extended. The old Georgian tradition of “churchkhela” cooking should not be lost. The Ministry of Agriculture of Georgia should play an important part in the popularization of viticulture.

რისკების მართვის თავისებურებები აგრარულ ბიზნესში: მსოფლიო პრაქტიკა და საქართველოს გამოწვევები

აგრარული რისკების არსი და სახეობები

მსოფლიოში რისკების მართვის მექანიზმების თანდათანობით სრულყოფამ, აგრარულ სექტორში მომეტებულმა რისკებმა და რისკების მართვის მეცნიერების განვითარებამ, დღის წესრიგში დააყენა აგრარულ სექტორში რისკების მართვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. აგრარულ სექტორში და, საერთოდ, აგრარულ ბიზნესში რისკების მართვა განსაკუთრებით მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან განვითარდა. აგრარულ სექტორში რისკების შესწავლას და განვითარებას პრაქტიკული საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), რომელმაც 2001 წელს გამოსცა კვლევა „შემოსავლების რისკის მართვა აგროსექტორში“ (*Income Risk Management in Agriculture*, OECD, 2001, Paris). მანამდე, მეცნიერთა მხრიდან ხდებოდა ცალკეული სახის რისკების და მათი მართვის თავისებურებების მეცნიერული შესწავლა. ერთ-ერთი ასეთი პირველთაგანია დევიდ ნიუბერის და ჯოზეფ შტიგლიცის „სასაქონლო ფასების სტაბილიზაციის თეორია: რისკების ეკონომიკის შესწავლა“, რომელიც 1981 წელს გამოიცა ოქსფორდში (Newbery, D. and J. Stiglitz, *The Theory of Commodity Price Stabilization: A study in the Economics of Risk*, Claderon Press, 1981, Oxford).

ყველაზე მარტივი განმარტების მიხედვით, **აგრარული რისკი** არის მოსალოდნელი შედეგების გაურკვეველობა (განუსაზღვრელობა), რაც ინვესტორს ინდივიდუალური კეთილდღეობის შემცირებას და ზიანს.¹ სარისკოა ფერმერის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მაგრამ უმნიშვნელო რისკები ჩვეულებრივი მოვლენაა. აგრარული ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელია უფრო მაღალი რისკების ეფექტური მართვა. აგრარული რისკები არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ფერმერების პრობლემა და საზრუნავი, არამედ ამგვარი რისკები ქმნის პრობლემებს რესურსების განაწილებაში და შეაბამისად საჯარო პრობლემაა. მაგ. მაღალი რისკების შემთხვევაში ფერმერო არ ცდილობს ახალი ტექნოლოგიის განვითარებას, რის გამოც ზარალდება საზოგადოება. ამასთან, აგრარული რისკების მართვა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ამიტომაც, განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნები ცდილობენ დაწერონ აგრარული რისკების მართვის მოდელები და ამით მიაღწიონ ერთი მხრივ აგრარული სექტორის წილის გაზრდას მშპ-ში, ხოლო მეორე მხრივ აგრარული სექტორიდან შემოსავლების ზრდას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ტრადიციული მიდგომის მიხედვით, აგრარული რისკები მხოლოდ არასასურველი ბუნებრივი მოვლენების შედეგად წარმოშობილ ზიანს უკავშირდება. სინამდვილეში კი, აგრარული რისკები რამდენიმე მსხვილ ჯგუფში ერთიანდება და ჯამში მათი რიცხვი 10 ერთეულზე მეტია. OECD-ს ანალიზები და კვლევები აგრარულ სექტორში არსებულ რისკებს სამ ძირითად ჯგუფში აერთიანებს:

✓ **სახიფათო რისკები.** ამ სახის რისკებს სხვაგვარად კატასტროფულ რისკებს უწოდებენ. მათ განეკუთვნება არასასურველი ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკები ანუ ე.წ. ფორს-მაჟორი (მაგ. წყალდიდობა, მენყერი, ცუნამი, ქარიშხალი, სეტყვა და სხვა);

✓ **საბაზრო რისკები.** ამ სახის რისკებს სხვაგვარად პოტენციურად დაზღვევადი რისკები ეწოდება. მათ განეკუთვნება ბაზარზე პროდუქციის ხარისხის კონტროლი, კონკურენციის შედეგად საბაზრო წილის დაკარგვა და ფასების შემცირებით პოტენციური შემოსავლების დანაკარგი;

✓ **ნორმალური რისკები.** ამ სახის რისკებს სხვაგვარად ე.წ. რეგულირების რისკებს უწოდებენ. მათ განეკუთვნება საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო გარემოს ცვლილება და სხვა მარეგულირებელი ნორმების გამკაცრებით გამოწვეული რისკები².

¹ **Hardaker, J. Brian, Ruud B.M. Huirne, and Jock R. Anderson, *Coping with Risk in Agriculture*, CAB International, Wallingford, USA, გვ. 437-438.**

² OECD, www.oecd.org/document/8/0,3746,en_2649_37401_43805768_1_1_1_37401,00.html

აგრარული რისკების მართვის მექანიზმები

საერთაშორისო პრაქტიკა რისკების მართვის რამდენიმე მექანიზმს გვთავაზობს. მხოლოდ ერთი კონკრეტული მათგანის გამოყენება სასურველ შედეგს არ იძლევა, რადგანაც დამოკიდებულია ბიზნესგარემოში არსებულ სხვადასხვა ფაქტორზე. ამდენად, ქვეყნები ქვემოთ მოცემული სხვადასხვა მეთოდის კომბინაციას იყენებენ:

ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება. რისკების მართვის სტრატეგიის და პოლიტიკის ოპტიმალური სტრუქტურა შემუშავებულ იქნა OECD-ს მიერ (ნახ. 1). აღნიშნული სტრუქტურა აგებულია რისკების იმგვარ კლასიფიკაციაზე, რასაც ეს ორგანიზაცია ეყრდნობა (კლასიფიკაცია მოცემულია ზემოთ) და მოიცავს როგორც სამეურნეო სტრატეგიებს, ასევე საბაზრო ინსტრუმენტებს და პოლიტიკის ელემენტებს.

ნახ. 1. რისკების მართვის სტრატეგიის და პოლიტიკის ოპტიმალური სტრუქტურა

მთავრობის მეტი მონაწილეობა?		კატასტროფული რისკები იშვიათი, დიდი ზიანის და სისტემური	საბაზრო რისკები საშუალო რანგი	ნორმალური რისკები მცირე ზიანი, მაგრამ ხშირი	
	სამეურნეო სტრატეგიები			სამეურნეო სტრატეგიები: - დივერსიფიკაცია - დაზოგვა	ალბათობა
	საბაზრო ინსტრუმენტები		ბაზრის ინსტრუმენტები: - კერძო კონტრაქტი - კერძო დაზღვევა		
	Ex ante* პოლიტიკა	კატასტროფებისას დახმარების პოლიტიკა: - Ex ante/Ex post გადახდა - საჯარო დაზღვევა			
Ex post* პოლიტიკა					

← უმაღლესი შემოსავლის დანაკარგი

წყარო: *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 17.

* შენიშვნა: Ex ante და Ex post პოლიტიკა გავრცელებულია OECD-ს წევრ ქვეყნებში და მოიცავს დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე ფერმერისთვის ზიანის ანაზღაურების მექანიზმებს.

სტრუქტურის მიხედვით, ფერმერის დანაკარგები მით უფრო იზრდება, რაც ნორმალური რისკებიდან მივდივართ კატასტროფული რისკებისკენ. ამდენად, თუ ნორმალური რისკების შემთხვევაში რისკების მართვისთვის საკმარისია დივერსიფიკაცია და დანაზოგების გაკეთება (იმ შემთხვევაში გამოსაყენებლად, როცა აგროკომპანიას ფინანსურად გაუჭირდება), კატასტროფული რისკის შემთხვევაში აუცილებელია მთავრობის მიერ ზიანის ანაზღაურება ან საჯარო დაზღვევის გზით ზიანის კომპენსაცია. საბაზრო რისკები სქემაში საშუალო რანგის რისკებს მიეკუთვნება, სადაც რისკების მართვისთვის ძირითადად კერძო კონტრაქტები და კერძო დაზღვევა გამოიყენება. რაც უფრო ვცილდებით სამეურნეო სტრატეგიებს და საბაზრო ინსტრუმენტებს, მით უფრო იზრდება მთავრობის მონაწილეობა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

სტრუქტურის ფორმირებას პოლიტიკის განვითარებისათვის, როგორც წესი, სახელმწიფო ახორციელებს. სახელმწიფო ეწევა კატასტროფული რისკების შემთხვევაში ფერმერებისთვის ზიანის ანაზღაურების ტვირთს და ეს არის გარკვეული ფინანსურ-მორალური მხარდაჭერა ფერმერებისთვის (როგორც გადასახადის გადამხდელებისთვის). მორალურია იმდენად, რამდენადაც ფერმერმა წინასწარ იცის ვინ აუნაზღაურებს მას კატასტროფული მოვლენებისგან მიღებულ ზიანს; ფინანსური იმდენად, რამდენადაც ზიანის ანაზღაურება ფულადი ფორმით ხდება (ფერმერი იღებს სახელმწიფო სუბსიდიას). ამ შემთხვევაში:

$$\text{ფერმერის შემოსავალი} = \text{გაყიდვიდან შემოსავლები} + \text{სუბსიდია} - \text{ხარჯები}$$

OECD-ს ქვეყნებში სუბსიდირების მექანიზმები განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში ის დამოკიდებულია ფერმერის საქმიანობის წლებზე და ბოლო წლების შემოსავლებზე (კანადა), ზოგიერთ

ქვეყანა გამოიყენება აგრეგირებული მაჩვენებლები (აშშ), ზოგიერთ ქვეყანაში კი ხდება ფიქსირებული ანაზღაურება (ევროკავშირი).¹

დივერსიფიკაცია. აგრარული საქმიანობის დივერსიფიკაცია დაფუძნებულია პრინციპზე: „ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ უნდა ჩადო“.² დივერსიფიკაციის ტვირთი, განსხვავებით ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისაგან, მთლიანად ფერმერზეა. დივერსიფიკაცია გულისხმობს ფერმერის საქმიანობის ტერიტორიულ, საქმიანობის ფორმების მიხედვით და ა.შ. განცალკევებას (დაყოფას). მაგ. გვალვის ან სხვა ბუნებრივი მოვლენების გამო მოუსავლიანობის შემცირებისათვის, ზოგიერთი ფერმერი ტერიტორიულად დაშორებულ სავარგულს ირჩევს დასამუშავებლად; ბიოჟებზე რომელიმე საქონლის ფასის მკვეთრი ვარდნით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, ზოგიერთ ფერმერს პარალელურად სხვა კულტურებიც მოჰყავს და ყიდის. დივერსიფიკაციის ნეგატიური მხარე ის არის, რომ მცირდება ფერმერის სპეციალიზაციის სარგებელი და დაყოფის გამო იკარგება წარმოების მასშტაბის დადებითი ეფექტი.

ჯგუფური მოქმედებები. ჯგუფური მოქმედებები საერთო ინტერესების გარშემო ფერმერთა გაერთიანებებია. ამ შემთხვევაში საერთო ინტერესია აგრარულ სექტორში წარმოშობილი რისკების ეფექტიანი მართვა. ფერმერთა გაერთიანებები ცნობილია კოოპერატივების, ამხანაგობების, ასოციაციების და სხვა სახით. ჯგუფური მოქმედებების შემთხვევაში ხდება ფინანსური და არაფინანსური რესურსების გაერთიანება, რის გამოც ერთ ფერმერზე ხარჯები მცირდება ან/და ხდება ცალკეული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება, ვიდრე ეს ერთი ინდივიდის შემთხვევაში იქნებოდა. მაგ. ამხანაგობის წევრ ერთ ფერმერს შეიძლება ჰყავდეს ტრაქტორი, მეორეს – კომბაინი, მესამეს – სატვირთო მანქანა, მეოთხეს – მოსავლის შესანახი საწყობი და ა.შ. თუ ისინი ამ რესურსებს ერთმანეთში ეფექტიანად გაცვლიან, მნიშვნელოვნად შემცირდება მათი წარმოების ხარჯები. ამ შემთხვევაშიც, ამხანაგობების შექმნის ინიციატორები და ორგანიზატორები საკუთრივ ფერმერები არიან და მთავრობის როლი მხოლოდ ეფექტური მარეგულირებელი ნორმების (კანონმდებლობის) შექმნაა, რამაც შეიძლება ნაახალისოს ამგვარი გაერთიანებების შექმნა.

რისკების დაზღვევა. აგრარულ სექტორში რისკების დაზღვევა რისკების მართვის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მექანიზმია. ამ შემთხვევაში ფერმერი რისკებს გადასცემს სადაზღვევო სუბიექტს და ამისათვის მას სადაზღვევო თანხას (შენატანს) უხდის. მზღვეველის როლში შესაძლოა გამოდიოდეს როგორც მთავრობა, ასევე კერძო სუბიექტი. ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ცდილობს ბაზარზე ნაკლებად ჩარევას (ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნები), აგრარული რისკების დაზღვევა მთლიანად კერძო სექტორს აქვს გადაცემული. კერძო სექტორის სტიმულირებისათვის (დაინტერესებისათვის) კი მთავრობა ქმნის სპეციალურ მხარდასაჭერ პროგრამებს. მაგ. კატასტროფული რისკების შემთხვევაში მთავრობა იღებს ვალდებულებას დაფაროს მიყენებული ზიანი. ამით ხდება კერძო სადაზღვევო კომპანიების სტიმულირება და მათი სადაზღვევო რისკების შემცირება. ამდენად, სხვა დანარჩენი რისკების მართვა უკვე ჩვეულებრივი ბიზნესის პრეროგატივაა და მათ სადაზღვევო ბაზარი დამოუკიდებლად ართმევს თავს. ამასთან, ბაზარზე კერძო სექტორის ინტერესი მით უფრო მეტია, რაც დიდია სადაზღვევო ბაზარი და მაღალია ფერმერთა სადაზღვევო კულტურა. არსებული პრაქტიკით, მსოფლიოში ხდება შემდეგი სახეობის აგრარული რისკების დაზღვევა: მოსავლის, შემოსავლების, ამინდის, ფასების, ცხოველების და კატასტროფების დაზღვევა.³

ჰეჯირება. ჰეჯირება ძალიან საინტერესო მექანიზმია ფერმერისთვის. მოსავლის ზრდის პერიოდში ფერმერი ყიდის მომავლის კონტრაქტს (ფიუჩერსული კონტრაქტი), რითაც ის ფასების მომავალში შემცირების გამო წარმოშობილი დანაკარგისაგან იცავს თავს. თუმცა, საკუთრივ ამ მეთოდის გამოყენებას ახლავს მცირედი რისკები ფერმერისთვის (მიღებული მოსავლის ხარისხის შეუსაბამობა სტანდარტებთან, საქონლის შენახვის ხარჯები, ტრანსპორტირების ღირებულების გაზრდა და სხვა). განუვითარებელი ფინანსური ბაზრების ქვეყნებში ეს მექანიზმი ფერმერებისთვის პრაქტიკულად გამოუყენებელი რჩება.

ფასების ვარიაცია. მსოფლიო პრაქტიკაში ფასების ვარიაციის ორი მოდელია გავრცელებული: CV და AGLINK-COSIMO. ფასების ვარიაციის CV მოდელის გამოყენება ძირითადად გავრცელებულია ევროკავშირის ქვეყნებში და შესაბამისობაშია ევროკავშირის საერთო აგრარულ

¹ *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 43.

² **Nehme N.**, *Agricultural Risk Management in a Market Oriented Economy*, Agricultural Policy Forum, NAPC, Damascus, 2007, გვ. 9.

³ *დაზღვევა სოფლის მეურნეობაში*, საქართველოს პარლამენტთან არსებული ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი, 2010 წ., გვ. 3., www.iabp.org/bec

პოლიტიკასთან (Common Agricultural Policy – CAP). აღნიშნული მეთოდის შესაბამისად ხდება რამდენიმეწლიანი პერიოდისათვის ბაზარზე ფასების დაკვირვება და მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევაში ხორციელდება ფერმერებისთვის დანაკლისის ანაზღაურება. ვარიაციის კოეფიციენტი (Coefficient of Variance) $CV = SD/x*100$, სადაც SD (Standard Deviation) არის სტანდარტული გადახრა, ხოლო x – საშუალო მაჩვენებელი.¹ ფასების ვარიაციის AGLINK-COSIMO მოდელი უფრო მეტად OECD-ს ქვეყნებში გამოიყენება. ის ითვლება შემდეგი ფორმულით:²

$$P = \sqrt{VARt\epsilon(t - 4, t) \left(\frac{\ln Pt}{Pt - 1} \right)}$$

სადაც ფასების ვარიაცია (P) გამოითვლება კვადრატული ფესვის და ნატურალური ლოგარითმის (ln) მეშვეობით, წლების განმავლობაში (t) ფასების ისტორიული დაკვირვების შედეგად (მოყოლებული იმ წლებიდან, როდინაც არსებობს კონკრეტულ პროდუქციაზე ფასები). ამასთან, არსებობს სხვა, შედარებით ნაკლებად გავრცელებული და განვითარებული მექანიზმები, თუმცა, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მას არ განვიხილავთ. მეტი ინფორმაციისათვის, საინტერესოა ვნახოთ OECD-ს ცალკეული წევრი ქვეყნების გამოცდილება აგრარული რისკების მართვის თვალსაზრისით.

რამდენიმე მაგალითი საერთაშორისო პრაქტიკიდან

აგრარულ სექტორში რისკების მართვასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის ბუნებრივ მდგომარეობაზე, ასევე სახელმწიფო აგრარული პოლიტიკაზე. არ არსებობს უნივერსალური (ოპტიმალური) მოდელი, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას მოერგება. შესაბამისად, აგრარულ სექტორში რისკების მართვის საერთაშორისო პრაქტიკა ძალიან განსხვავებულია. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას ყველაზე მეტად აგრარული სექტორი საჭიროებს კატასტროფული რისკების შემთხვევაში. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაზე მეტი მხარდაჭერა OECD-ს ქვეყნებში სწორედ ასეთ შემთხვევებში ხდება. ამ ქვეყნებში გადახდის მოცულობის (ზიანის ანაზღაურების) სხვადასხვა ფორმებია გავრცელებული და ზიანის ანაზღაურების ფორმას საკუთრივ ქვეყნები განსაზღვრავენ (ატარებენ ინდივიდუალურ პოლიტიკას). OECD-ს ქვეყნებში არსებობს მეტ-ნაკლებად განვითარებული მოდელები და სისტემები, რომელთა ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ:

ავსტრალია. ტერიტორიის სიდიდან და განსხვავებული კლიმატური ზონებიდან გამომდინარე, სახიფათო რისკების მართვა (ბუნებრივი კატასტროფები და მცენარეთა/ცხოველთა დაავადებები) ავსტრალიაში ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ზოგადად, ავსტრალიის რისკების მართვის სისტემა ეფუძნება თვითუზრუნველყოფის (self-reliance) პრინციპს, რომელიც გულისხმობს ფერმერის მხრიდან რისკების შესაძლო მართვას, ხოლო მთავრობის მხარდაჭერა ხდება დამატებით შემთხვევებში. სამთავრობო პროგრამების უმეტესობა ეხმარება ფერმერს ტრენინგების გზით შეისწავლოს გვალვის და კლიმატის ცვლილებების გავლენა, აწარმოოს კვლევა და განვითარონ მეურნეობა (R&D), ასევე ჰქონდეთ დაზოგვის სტიმული საგადასახადო ნახალისების გზით. ფედერალური და რეგიონული მთავრობების მხრიდან ორი ძირითადი პროგრამა (ჩარჩო-პროგრამა) ხორციელდება: NDRRA და NDP. მთავრობის სტიქიით დახმარებისა და აღდგენის ღონისძიებები (NDRRA) მოიცავს მინისძვრების, წყალდიდობების, წვიმის, ქარიშხლის, ციკლონის, მენყრის, ცუნამის და ტორნადოთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მასში არ შედის გვალვის, ყინვისა და ეპიდემიით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეროვნული გვალვის საწინააღმდეგო პოლიტიკა (NDP) კი ორიენტირებულია გვალვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ავსტრალიის აგრარულ სექტორში რისკების მართვას ემსახურება ასევე ევროკომისიის ზოგიერთი პროგრამა (The EC Relief Payment – ECRP; The EC Interest Rate Subsidy – ECIRS). აღნიშნული პროგრამები მიმართულია სიცოცხლისუნარიანი მეურნეობების დროებითი ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე და ეხმარება მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც დაბალი შემოსავლებით ვერ ახორციელებენ ოჯახის თვითუზრუნველყოფას.

საბაზრო რისკები მთლიანად ბაზრებზეა მინდობილი. ავსტრალიელი ფერმერები რისკების შესამცირებლად იყენებენ გარკვეულ საბაზრო ინსტრუმენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ფერმერები სახელმწიფოს მხრიდან სრულად არიან უზრუნველყოფილი სახიფათო რისკების გამო მიყენე-

¹ Risk Management Tools for EU Agriculture with a special focus on Insurance, European Commission, January 2001, გვ. 13.

² Managing Risk in Agriculture, policy assessment and design, OECD Publishing, 2011, გვ. 96–101.

ბული ზიანის ანაზღაურებით, სადაზღვევო ბაზარი არ სთავაზობს მათ მოსავლის დაზღვევას. საფასო რისკებისაგან თავდაცვა ხორციელდება ფორვარდული კონტრაქტების დადებით (მომავლის განსაზღვრულ პერიოდში ფიქსირებულ ფასად მიწოდება, როდესაც მოსავალი ჯერ კიდევ არ არის მიღებული). ნორმალური რისკების მართვა ასევე სრულად ფერმერების მხრიდან ხორციელდება.

რისკების მართვის პოლიტიკაში მთავარ გამოწვევად რჩება არასასურველი მოვლენებით გამოწვეული მცირე რისკების ფინანსური ანაზღაურება და ფერმერთა ადაპტაცია ცვალებად გარემო პირობებთან.¹

კანადა. კანადაში ორი მხვილი აგრარული ზონა გამოიყოფა: დასავლეთი, სადაც უფრო მსხვილი აგრარული მეურნეობებია განვითარებული და აღმოსავლეთი, სადაც ძირითადად მცირე ფერმერული მეურნეობები აწარმოებენ პროდუქციას. აგრარულ სექტორში არსებული რისკები ძირითადად უკავშირდება ფასებს, გაცვლით კურსს და სავაჭრო პოლიტიკას. ქვეყანაში გვალვები და სტიქიური მოვლენები იშვიათია, ამიტომაც აგრარული მეურნეობის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე ნაკლებად ახდენს გავლენას, მან უფრო ხარისხობრივ მაჩვენებლებზე შეიძლება იქონიოს გავლენა. ამდენად, კატასტროფული რისკი კანადაში არ არის მაღალი, ისევე როგორც საპროცენტო განაკვეთის, სამთავრობო პოლიტიკის, ცხოველთა ეპიდემიების და ბიოლოგიური უსაფრთხოების რისკები.

კანადის აგრარული სექტორის მიმდინარე პოლიტიკის დოკუმენტი (The policy framework for 2008-2013) ცენტრალური და რეგიონული მთავრობებისთვის მოიცავს ოთხ პროგრამას: AgriInvest, AgriStability, AgriInsurance და AgriRecovery. თითოეული მათგანი ვინრო სპეციფიკისაა, თუმცა აგრარული სფეროს რისკების მართვას ყველა მათგანი ემსახურება. AgriInvest არის საინვესტიციო პროგრამა, რომელშიც ნებაყოფლობით გაყიდვების 1,5%-ის ოდენობით შენატანებს ახორციელებენ ფერმერები და მათი მოსავლების 15%-ზე ნაკლები გადახრის შემთხვევაში, ისინი მიიღებენ მთავრობიდან ინვესტიციას; AgriStability არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ბიზნესრისკების მართვაში. ფერმერის მხრიდან დაგეგმილი მოსავლის 85%-ზე მეტად გადახრის (შემცირების) შემთხვევაში, მთავრობა ეხმარება მას და ამით უზრუნველყოფილია შემოსავლების სტაბილურობა; AgriInsurance უზრუნველყოფს წარმოებისა და ფერმერთა აქტივების ბუნებრივი დანაკარგების ანაზღაურებას 60%-მდე ფარგლებში; AgriRecovery კი ორიენტირებულია კატასტროფული რისკებით მიღებული ზიანის ანაზღაურებაზე (აღდგენაზე).

კანადის სისტემაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ინდივიდუალური ფერმერების მხრიდან მეტი გამოცდილების მიღება რისკების მართვის მექანიზმებზე და მათი მხრიდან რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავება, რათა ისინი ნაკლებად გახდნენ დამოკიდებულნი სახელმწიფო პროგრამებზე.²

ნიდერლანდები. ნიდერლანდების რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა იმპლემენტირებულია ევროკავშირის საერთო აგრარულ პოლიტიკასთან (CAP). სამთავრობო პოლიტიკა ფოკუსირებულია კატასტროფული რისკების მართვაზე და ამით ხდება საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა. ძირითადი სახეობის რისკებს განეკუთვნება ეპიდემიებთან და ფასებთან დაკავშირებული რისკები, ასევე პერსონალური რისკები.

რისკების დაზღვევა ძირითადად კერძო სექტორის მიერ ხდება. მხოლოდ მოსავლის დაზღვევაში არსებობს სახელმწიფო გარანტია, რისთვისაც ჰოლანდიელი ფერმერები ვალდებული არიან გადაიხადონ გადასახადი აგრარული შემოსავლებიდან. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ე.წ. ფისკალური რეზერვაციის მეთოდი და დაუბეგრავად შეინახონ შემოსავლების ნაწილი სამი წლის განმავლობაში, რათა ცუდი მოსავლიანობის პერიოდში ადვილად შეძლონ კრიზისზე გამკლავება.³

ახალი ზელანდია. ახალი ზელანდიის რისკების მართვის პოლიტიკა ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია მთავრობის ჩარევა ბაზარზე და ფერმერებისთვის ხორციელდება მხოლოდ შეზღუდული სამთავრობო მხარდაჭერა. ძირითად სამთავრობო პროგრამას განეკუთვნება საზიანო გარემოებათა ჩარჩო-პროგრამა (Adverse Events Framework Programme). რისკების მართვისათვის მთავრობა კერძო სექტორს უზრუნველყოფს ინფორმაციით და უნარ-ჩვევებით. 80-იან წლებში შეიქმნა აგრარული მხარდაჭერის ტრესტები (Rural Support Trusts) – აგრარული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ადამიანების გაერთიანებები. აღნიშნული გაერთიანებები მნიშვნელოვან

¹ *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 117-145.

² *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 147-173.

³ *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 175-197.

როლს თამაშობენ ფერმერთა ინფორმირებისა და სადაზღვევო კულტურის განვითარების საკითხებში. მთავრობის მიერ უმთავრეს რისკად მიჩნეულია ბიოუსაფრთხოება და ამისათვის ტარდება სპეციალური პოლიტიკა.¹

ესპანეთი. ნიდერლანდების მსგავსად, ესპანეთის რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა იმპლემენტირებულია ევროკავშირის საერთო აგრარულ პოლიტიკასთან (CAP). ესპანეთის რისკების მართვის სისტემაში დომინირებულია საჯარო დაზღვევა და პოლიტიკის ორი მიმართულება: საჯარო-კერძო სადაზღვევო პარტნიორობა და სადაზღვევო სისტემის მონაწილეობა კატასტროფულ რისკებში. აგრარული დაზღვევის სახელმწიფო ერთეული (The State Entity for Agricultural Insurance – ENESA) არის ძირითადი სადაზღვევო პოლიტიკის გამტარებელი საჯარო და კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად. აგრარულ სექტორში ორი ძირითადი სახის რისკი გვხვდება: ფასებთან და მოსავალთან დაკავშირებული.

ესპანეთში სადაზღვევო პრემიების 50% სუბსიდირდება სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო თავად ახორციელებს გადაზღვევის ოპერაციებს სპეციალური სახელმწიფო კომპანიის მეშვეობით (CCS). ქვეყანაში დიდია ასევე ფერმერთა ასოციაციების როლი რისკების მართვის და დაზღვევის სისტემის განვითარებაში.²

აგრარული რისკების მართვა საქართველოში და არსებული გამოწვევები.

აგრარული რისკების მართვა საქართველოში მნიშვნელოვანი სიახლეა და თანაც ძალიან მწირი პრაქტიკა არსებობს. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საკუთრივ აგრარული სექტორის მკაფიოდ ფორმულირებული პოლიტიკა (სექტორის განვითარების სტრატეგია) ქვეყანაში არ არსებობს და საკუთრივ აგრარული რისკების მართვაც შედარებით ახალი მეცნიერებაა. ამასთან, სადაზღვევო სექტორის ნაკლები ინტერესიდან გამომდინარე ფაქტიურად არ ხდება მოსავლის დაზღვევა, რომელიც აგრარული ბიზნესის განვითარების უმთავრესი საფუძველია. სახელმწიფოს მიერ ინიცირებული ცალკეული მხარდაჭერის მიმართულებები (თესლის დარიგება და საფასურის მოგვიანებით გადახდის საგარანტიოდ სადაზღვევო კომპანიის წერილის წარმოდგენა)³ მხოლოდ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და ვერ აძლევს ბიძგს რისკების დაზღვევის მიმართულების განვითარებას.

OECD-ს წევრი და სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგრარულ სექტორში რისკების მართვის სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. ფერმერთა მხრიდან ინფორმაციის არარსებობა და რისკების მართვის მწირი გამოცდილება საბაზრო ჩავარდნის (ბაზრის ფიასკო) ერთ-ერთი მიმართულებაა, როდესაც სახელმწიფოს ენიჭება დომინანტური როლი ამ ჩავარდნის გამოსწორებაში. ამდენად, აგრარული რისკების მართვის მამოძრავებელ როლში (საწყის ეტაპზე მაინც) სახელმწიფო უნდა გამოვიდეს და საგადასახადო თუ სხვა მექანიზმებით მოახდინოს საბაზრო ჩავარდნის სტიმულირება.⁴ რისკების მართვის განვითარების შემდგომ ეტაპზე კი საჭიროა სახელმწიფომ მხოლოდ კატასტროფული რისკების მართვა აიღოს საკუთარ თავზე.

ვინაიდან აგრარული რისკების მართვა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების უმთავრესი საფუძველია, აგრარული რისკების მართვის მექანიზმების დასაწერად საქართველოში აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მაგალითების და მოდელების შესწავლა;
- აგრარული სექტორის რისკების მართვის ეროვნული სტრატეგიის ფორმირება;
- სტრატეგიის რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება;
- აგრარული რისკების დაზღვევაში კერძო სექტორის ჩართვის სტიმულირება;
- ფერმერთა ცნობიერების და განათლების დონის ამაღლება სასწავლო კურიკულუმების შემუშავების და ტრენინგ-პროგრამების ორგანიზების გზით.

¹ იგივე, გვ. 199-226.

² *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 227-254.

³ სახელმწიფოს ჩარევა აგრარული სფეროს განვითარებაში, საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია,

⁴ www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=187&lang=geo

Risk Management Tools for EU Agriculture with a Special Focus on Insurance, European Commission, January 2001, გვ. 31-39.

DAVIT NARMANIA

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

**PECULIARITIES OF RISK MANAGEMENT IN AGRIBUSINESS: WORLD PRACTICE AND
CHALLENGES OF GEORGIA**

S u m m a r y

Gradual improvement of risk management mechanisms in the world, increased (superfluous) risks in agricultural sector and development of risk management science raised the need to develop risk management mechanisms in agricultural sector. Agricultural risk is an uncertainty of a possible consequence (outcome), which leads to the reduction of individual well-being and harm.

Risk management in agriculture (agricultural business) is a comparatively new science, as well as the world practice in agricultural risk management. According to the traditional approach, agricultural (agrarian) risks are related to the damage arising as a result of adverse natural phenomena. In fact, agricultural (agrarian) risks are accumulated in some large groups and their total number is more than 10 units. Analyses and researches of OECD consolidate the existing risks in agricultural (agrarian) sector in three major groups:

- Hazard (catastrophic) risks;
- Marketable risks;
- Normal risks

International practice provides us with some of the risk management mechanisms. Using only one of them does not give the desired result, while it depends on different factors in business environment. There is no universal (optimal) model for any country. That is why, the world countries use a combination of different models.

Managing of agrarian risks in Georgia is an important novelty, also there is very poor practice in the country. This is due to the fact that Georgia does not have a distinctly formulated agricultural policy (sector development strategy). For implementing the agricultural risk management mechanisms in Georgia, it is obligatory to take the following measures:

- to learn the best international practice examples and models;
- to develop national strategy of agricultural sector risk management;
- to mobilize necessary financial and human resources for strategy realization;
- to stimulate private sector involvement in the insurance of agrarian sector;
- to improve farmers' awareness and education through the curricula and training-programs.

მარინა ნაცვალაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

მდგრადი სოფლის მეურნეობის როლი სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში სა-
დებატო თემად იქცა. ფაქტია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ უცხოა მდგრადი სოფლის მეურ-
ნეობის ცნება.

სოფლის მეურნეობა მსოფლიოში კრიტიკულ სექტორად არის აღიარებული. ამ სფეროში
იქმნება მშპ-ს 24%, დასაქმებულია 1.3 მილიარდი ადამიანი ანუ მსოფლიო მოსახლეობის 22%¹.
ცხრილი 1 გვიჩვენებს მსოფლიოს ქვეყნებში მშპ-ს პროცენტულ წილს სოფლის მეურნეობიდან.

ცხრილი 1

მშპ-ს პროცენტული წილი სოფლის მეურნეობიდან მსოფლიოს ქვეყნებში

ქვეყანა	2006
ავსტრია	1.7
აზერბაიჯანი	7.4
ბელორუსია	9.3
ბელგია	1
ბოსნია-ჰერცეგოვინა	10.4
ბულგარეთი	8.5
გაერთიანებული სამეფო	0.9
დანია	3.1
ესპანეთი	1.6
ესტონეთი	3.2
ლატვია	3.7
ლიტვა	5.3
მოლდავეთი	18.1
ნორვეგია	1.6
პოლონეთი	4.5
პორტუგალია	10.5
რუმინეთი	2.8
რუსეთის ფედერაცია	2.3
სლოვენია	1.4
შვედეთი	24.8
ტაჯიკეთი	8.7
უკრაინა	26.1
უზბეკეთი	

განვითარებად ქვეყნებში მთავარ მიზანს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების
მზარდი ტემპის მიღწევა, მაღალი მწარმოებლურობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რაც, თავის
მხრივ უგულვებელყოფს მდგრადობას.² ასეთმა დამოკიდებულებამ წარმოების სწრაფი ზრდა
გამოიწვია, მაგრამ ეს ბუნებრივი და ბაზისური რესურსების არაეფექტიანი გამოყენების ხარჯზე
მოხდა. შედეგად კი მსოფლიოში მივიღეთ მიწების დიდი ფართობის დეგრადაცია, ეროზია,

¹ Smith P., Martino D., Cai Z, Gwary D., Janzen H., Kumar P., McCarl B., Ogle S., O'Mara F., Rice C., Scholes B.,
Sirotenko O., Howden M., McAllister T., Pan G., Romanenkov V., Schneider U., Towprayoon S., Policy and
technological constraints to implementation of greenhouse gas mitigation options in agriculture, 2007. Agr. Eco. Env.,
118: 5–30.

² Brady NC., Making agriculture a sustainable industry. In: Edwards CA., Lal R, Madden P., Miller RH., House G., (eds)
Sustainable Agricultural Systems. Soil and Water Conservation Society, Iowa. 1990.

მინისქვეშა წყლების დაბინძურება და ბუნებრივი რესურსების ფლანგვა.¹ ეს მდგომარეობა უფრო მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში.

მდგრადმა სოფლის მეურნეობამ უნდა დააკმაყოფილოს მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნა საკვებზე, ხე-ტყეზე, ამავედროულად ეფექტიანად უნდა გამოიყენოს რესურსები, შეინარჩუნოს ეკოსისტემების ხარისხი, ფუნქციები და განახორციელოს ადამიანური რესურსების გრძელვადიანი განვითარება. სოფლის მეურნეობის მდგრადობა არის რთული განვითარების პროცესი, რომელიც მოითხოვს ეკოლოგიური და სოციალური ცოდნის ინტეგრირებას ტაქტიკის ცვლილებაში, განათლება-განვითარებასა და ქცევაში.²

მდგრადი სოფლის მეურნეობის კონცეფცია მყარადაა შერწყმული მრავალფუნქციურ როლთან. მდგრადობა მოიცავს სოციალურ, გარემოს და ყველაზე ნაკლები მოცულობით - ეკონომიკურ სფეროს. ის ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას საკვებზე, ასევე საკვების უსაფრთხოებას მომხარებლისათვის და ყურადღებას ამახვილებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების პროცესში ეკოსისტემისათვის და გლობალური გარემოსათვის მიყენებულ ზიანზე.³

მდგრადი სოფლის მეურნეობის კონცეფცია თავისი არსით მულტიფუნქციურია, რადგან ის იცავს გარემოს, ხელს უწყობს ჯანმრთელი და ჯანსაღი საკვების წარმოების განვითარებას. მეცნიერი ვილსონი თვლის, რომ ადგილობრივი საზოგადოებისათვის ის ყველაზე „მორალური“ სისტემაა.⁴ მიუხედავად მდგრადი სოფლის მეურნეობის კონცეპტუალიზაციის მრავალმხრივი განსხვავებისა, ერთი ასპექტი გამოაშკარავებულია. ეს არის მისი მრავალგანზომილებიანი ხასიათი, რაშიც შედის მისი ეკონომიკური, გარემოსა და სოციალური ასპექტები.

2004 წელს მეცნიერებმა რასულმა და ტჰაპამ მდგრადი სოფლის მეურნეობის გასაზომად 12 ინდიკატორი შეიმუშავეს.⁵

ეკოლოგიური მდგრადობა 5 ინდიკატორის მიხედვით შეფასდა:

1. ნიადაგის გამოყენება;
2. მოსავლიანობა;
3. ნიადაგის პროდუქტიულობის მენეჯმენტი;
4. მავნე ორგანიზმების, პარაზიტების და დაავადებების მენეჯმენტი;
5. ნიადაგის ნაყოფიანობა.

ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა 7 ინდიკატორით იზომება:

1. მინის პროდუქტიულობა;
2. მოსავლიანობის სტაბილურობა;
3. რენტაბელურობა ძირითადი სასოფლი-სამეურნეო კულტურებიდან;
4. რესურსებით თვითუზრუნველყოფა;
5. საკუთარი კაპიტალი;
6. საკვების უსაფრთხოება;
7. რისკები და განუსაზღვრებლობა.

დროთა განმავლობაში მართალაც უამრავი ინდიკატორი წარმოიშვა, თუმცა ისინი სრულყოფილად ვერ ფარავენ მდგრადობის ყველა ასპექტს. გარდა ამისა, ყველა ქვეყანაში განსხვავებული ბიოფიზიკური და სოციო-ეკონომიკური პირობებია, ამიტომ ერთი ქვეყნისათვის მორგებული ინდიკატორი მეორე ქვეყნისათვის შეიძლება არ იყოს გამოსადეგი. ინდიკატორების სისტემის შინაარსი ვარირებს ქვეყნების, რეგიონების, განვითარების დონის მიხედვით და ძალზედ სუბიექტურია.

საქართველოში, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ფერმერების მთავარი საზრუნავი არის მოსავლიანობის სწრაფი ზრდა, შემოსავალი, საკვების უსაფრთხოება და მოსავლის განადგურების რისკის შემცირება. საქართველოში ფერმერების უმრავლესობას არ გააჩნია საკუთარი კაპიტალი ბიზნესის დასაწყებად, მაგრამ სამაგიეროდ მათ საშუალება აქვთ გამოიყენონ

¹ Rigby D., Woodhouse P., Young T., Burton M., Constructing a farm level indicator of sustainable agricultural practice. 2001. Ecol. Eco., 39: 463-478.

² Saifia B., Drake L., A co evolutionary model for promoting agricultural sustainability. 2008. Ecol. Eco., 65: 24-34.

³ Aerni P., Rae A., Lehmann B., Nostalgia versus pragmatism? How attitudes and interests shape the term sustainable agriculture in Switzerland and New Zealand 2009. Food. Po., 34: 227-235

⁴ Wilson GA. The spatiality of multifunctional agriculture: A human geography perspective, 2009. 40: 269-280.

⁵ Rasul G., Thapa GB., Sustainability of ecological and conventional agricultural systems in Bangladesh: an assessment based on environmental, economic and social perspectives. Agri. 2004. Syst., 2004. 79: 327-351.

იაფი მუშახელი (ხშირ შემთხვევაში კი ოჯახის წევრები). კვლევის არეალში, ბიოფიზიკური და სოციო-ეკონომიკური პირობების მიხედვით, არჩეულ იქნა საქართველოში მდგრადი სოფლის მეურნეობის გარემო, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები.

კვლევის ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ რას ფიქრობენ ფერმერები მდგრადი სოფლის მეურნეობის გარემო, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე. ამჯერად ჩატარებულ იქნა პილოტური კვლევა კახეთის რეგიონის 30 ფერმერზე. სამომავლოდ კვლევის მეორე ეტაპი მოიცავს საქართველოს სხვა რეგიონებსაც (დაახლოებით 150 ფერმერი).

კვლევას შემდეგი მიზნები გააჩნია:

1. გაიგოს ფერმერების აზრი იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მდგრად სოფლის მეურნეობაზე;

2. გაარკვიოს რესპოდენტების აზრი მდგრადი სოფლის მეურნეობის ბუნებრივი გარემოს, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე;

3. განსაზღვროს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მდგრადი სოფლის მეურნეობის ბუნებრივი გარემოს, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე.

ამ კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს როგორც კორელაციას და რეგრესიას, ასევე აღწერილობით ანალიზს მონაცემების დასამუშავებლად. მონაცემები ინტერვიუს მეთოდით შეგროვდა.

ფერმერების დამოკიდებულების გარკვევა მდგრადი სოფლის მეურნეობის ბუნებრივი გარემოს, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების მიმართ მიღწეულ იქნა პილოტური კვლევის შედეგად, სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. კითხვარის შესადგენად გამოიყენებულ იქნა ინტერვიუები და რელევანტური ლიტერატურა. ზოგადად კითხვარი, რომელიც ქცევის გასაზომად გამოიყენება, შედგებოდა სემანტიკურად განსხვავებული (კარგი/ცუდი, შემოსახაზი პასუხის და ლაიკერტის ტიპის) პასუხებისგან, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რესპოდენტის თანხმობის ხარისხი. საბოლოოდ კითხვარი დაიყო რამდენიმე ნაწილად. პირველი ნაწილი ეხებოდა რესპოდენტის პირადი მახასიათებლების გარკვევას, მეორე ნაწილი – ფერმერების აზრის დაფიქსირებას მდგრადი სოფლის მეურნეობის ბუნებრივი გარემოს, სოციო-ეკონომიკურ ასპექტებზე. რესპოდენტებს უნდა შემოეხაზათ, თუ რა ხარისხით ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ კითხვარში მოცემულ დებულებებს.

ცვლადები მოიცავდა ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებთან დამოკიდებულებას, ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო, პოლიტიკურ და ფერმერობაზე მოქმედ ფაქტორებს.

საზომი ერთეულები განისაზღვრა ხუთბალიანი ლაიკერტის ტიპის პასუხებისაგან. სამომავლოდ, კვლევის მეორე ეტაპზე მოხდება კრონბახის კოეფიციენტის განსაზღვრა ალფა მონაცემების საიმედოობის დასადგენად (სადაც, თუ კრონბახის ალფა – $\alpha \geq .9$ გვიჩვენებს საუკეთესოს, თუ $.9 > \alpha \geq .8$ – კარგს, თუ $.8 > \alpha \geq .7$ – მისაღებია, თუ $.7 > \alpha \geq .6$ – საეჭვოა, თუ $.6 > \alpha \geq .5$ – ცუდია, თუ $.5 > \alpha$ – მიუღებელია).

კვლევაში მდგრადი სოფლის მეურნეობის ბუნებრივი გარემო, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები დამოკიდებული ცვლადები იყო, რომელთა გაზომვა ხდებოდა რესპოდენტების პერცეფციის მიხედვით, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები იყო რესპოდენტის ცოდნა ფერმერობაზე, ეკონომიკურ, სოციალურ და განათლების დონის ფაქტორებზე.

აღწერილობითი სტატისტიკის შედეგებმა გვაჩვენა, რომ რესპოდენტები იყვნენ მამრობითი სქესის, რომელთა საშუალო ასაკი იყო 47 წელი, მათგან 86% უმაღლესი განათლების გარეშე. უმრავლესობას სამუშაო გამოცდილება 15 წელზე მეტი ჰქონდა. ანკეტა მოიცავდა შემდეგ მონაცემებს: ასაკი, განათლება, სამუშაო გამოცდილება, პროდუქტის ტიპი, მიწის ფართობი.

ცხრილი 2 გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ რესპოდენტებს 5 ინდიკატორი. როგორც ვხედავთ, ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად რესპოდენტები ეკონომიკურ ფაქტორს ასახელებენ (4.12), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამ შეფასებით სოციალურ ფაქტორს მიაკუთვნეს (3,38).

რესპოდენტების აზრი ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე, მოცემულია ცხრილში 2 (1=სრულიად არ ვეთანხმები, 5=სრულიად ვეთანხმები)

ცხრილი 2

სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

ფაქტორები	საშუალო არითმეტიკული	სტანდარტული გადახრა
ფერმერული	3.89	0.67
ეკონომიკური	4.12	0.65
სოციალური	3.38	0.78
პოლიტიკური	4.03	0.69
საგანმანათლებლო	3.89	0.70

როგორც მიღებული მონაცემებიდან ჩანს, ფერმერები თვლიან, რომ მდგრად სოფლის მეურნეობაში ახალი მეთოდების დანერგვა აუცილებელია ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, ხოლო სოციალურ ფაქტორს არ თვლიან მნიშვნელოვან ელემენტად მდგრად სოფლის მეურნეობაში.

რაც შეეხება რესპოდენტების აზრს მდგრად სოფლის მეურნეობაში ბუნებრივი გარემოს ასპექტებზე, მათ ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მიწის სიჯანსაღისა და ხარისხის გაუმჯობესება (4.16) და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიაკუთვნეს წყლის ხარისხის გაუმჯობესებას (=3.98). მიღებული შედეგებიდან ვასკვნით, რომ ფერმერებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია წყლის ხარისხი, რადგან თვლიან, რომ ის მათ სამეურნეო სამუშაოზე ნაკლებად აისახება, თუმცა წყლის რესურსების ნაკლებობა მათთვის მეტად მწვავე პრობლემაა.

მდგრადი სოფლის მეურნეობის სოციალურ ასპექტზე შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამენ რესპოდენტები: მათთვის მთავარია წარმოების რისკის შემცირება (=3.97), ხოლო შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია ფერმერის ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესება (3.92).

რესპოდენტების წარმოდგენა მდგრადი სოფლის მეურნეობის გარემო, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე ნაჩვენებია ცხრილში 3. ცხრილიდან ჩანს, რომ რესპოდენტებმა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გარემოს მიაკუთვნეს (=4.05), ხოლო ყველაზე დაბალი – სოციალურს (=3.83).

ცხრილი 2

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ბუნებრივი გარემოს ეკონომიკური და სოციალური ასპექტები

ასპექტები	საშუალო არითმეტიკული	სტანდარტული გადახრა
ბუნებრივი გარემო	4.05	0.72
ეკონომიკური	4.01	0.68
სოციალური	3.83	0.72

აღსანიშნავია, რომ პილოტური კვლევის ჩატარებისას შეუძლებელია ყველა ფაქტორი, რომელიც მოქმედებს მდგრად სოფლის მეურნეობაზე, სრულყოფილად იყოს გამოკვლეული და შესწავლილი. სამომავლოდ კვლევის მეორე ეტაპი სწორედ ამ ფაქტორების საფუძვლიან ანალიზს მოიცავს.

რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკას, მთავრობამ მეტად უნდა ჩართოს ფერმერები მდგრად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროგრამების დაგეგმვასა და დანერგვაში. ასეთი ქცევა დააჩქარებდა მდგრადი სოფლის მეურნეობის ახალი მეთოდების შემუშავებას.

მდგრადი სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბება შესაძლებელია დროთა განმავლობაში. თუმცა, ეს ყველაფერი გარკვეული ფაქტორების იდენტიფიკაციასა და გამოკვლევას მოითხოვს. საჭიროა ინოვაციური სტრატეგიების შემუშავება, რომელიც მდგრადი სოფლის მეურნეობის ბუნებრივი გარემო, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებში იქნება ინტეგრირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aerni P., Rae A., Lehmann B., Nostalgia versus pragmatism? how attitudes and interests shape the term sustainable agriculture in Switzerland and New Zealand. 2009. Food. Po., 34: 227-235
2. Brady N.C., Making agriculture a sustainable industry. In: Edwards C.A., Lal R., Madden P., Miller R.H., House G., (eds) Sustainable Agricultural Systems. Soil and Water Conservation Society, Iowa. 1990.
3. Rasul G., Thapa G.B., (2004). Sustainability of ecological and conventional agricultural systems in Bangladesh: an assessment based on environmental, economic and social perspectives. Agri. 2004. Syst., 79: 327-351.
4. Rigby D., Woodhouse P., Young T., Burton M., Constructing a farm level indicator of sustainable agricultural practice. 2001. Ecol. Eco., 39: 463-478.
5. Saifia B., Drakeb L., A coevolutionary model for promoting agricultural sustainability. 2008. Ecol. Eco., 65:24-34.
6. Seyed Jamal F. Hosseini, Floria Mohammadi and Seyed Mehdi Mirdamadi. Factors affecting environmental, economic and social aspects of sustainable agriculture in Iran, Accepted 20 December, 2010.
7. Smith P., Martino D., Cai Z., Gwary D., Janzen H., Kumar P., McCarl B., Ogle S., O'Mara F., Rice C., Scholes B., Sirotenko O., Howden M., McAllister T., Pan G., Romanenkov V., Schneider U., Towprayoon S., Policy and technological constraints to implementation of greenhouse gas mitigation options in agriculture, 2007. Agr. Eco. Env., 118: 5-30.
8. Wilson G.A., The spatiality of multifunctional agriculture: A human geography perspective, 2009. 40: 269-280.

MARINA NATSVALADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

FACTORS AFFECTING THE DEVELOPMENT OF SUSTAINABLE AGRICULTURE OF GEORGIA

S u m m a r y

The role of sustainable agriculture in improving the agrarian sector has been the subject of debate. It is evident that the rural population in Georgia has yet to be familiarized with sustainable agriculture.

The development of sustainable agriculture could be achieved over time. Innovative strategies that cater specifically in the area of environmental, social and economic aspects of sustainable development should be developed.

The perception of Georgian farmers regarding the factors affecting environmental, economic and social aspects of sustainable agriculture was discussed in this article. The results demonstrated that economic factors are the most important factors affecting different aspects of sustainable agriculture. Successful adoption of farmers in Georgia will depend on the economic, policymaking, farming, educational and social factors.

In Georgia, like in some developing countries, there does not exist a clear understanding of the new methods of farming related to sustainable agriculture and policymakers and researchers have difficulty in prioritizing the policies and strategies.

სამეურნეო კოოპერირების ჩამოყალიბების თავისებურებანი ქართულ სოფელში

ქვეყნის რეალური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსის, საექსპორტო პოტენციალის, სასურსათო უსაფრთხოებისა და დასაქმებულთა რაოდენობის¹ მიხედვით, სოფლის მეურნეობა კვლავაც საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს.

საბაზრო ურთიერთობათა მოდელი, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აირჩია, ძირითადად ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციას, დარგთაშორის კავშირების რეგულირების პროცესებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებასა და სოციალური გარანტიების შემცირებას ითვალისწინებდა.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ უფრო რადიკალური, ნეოლიბერალური კურსი აირჩია და სრულიად მოიხსნა პასუხისმგებლობა ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირებაზე და ზოგადად ეკონომიკის სტიმულირებაზე, რაც მთლიანად ბაზარს, როგორც მარეგულირებელ მექანიზმს, გადააბარა. თავისთავად ცხადია, საბჭოთა დაგეგმვითი ეკონომიკის გამოცდილების მქონე მენარმე სუბიექტებმა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში, ვერ აუბეს მხარი ახალ რეალობებს, რაც ქვეყნის წარმოებითუნარიანობაზე მძიმედ აისახა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა. 1996 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მთლიან ეროვნულ დოვლათში 33%-ზე მეტს შეადგენდა, სადღეისოდ მისი წილი ოთხჯერ შემცირდა და 8.3%-ს არ აღემატება.² კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების შედეგად დაკნინებული თვითინიციატივის უნარის მქონე ქართველი გლეხი საბაზრო ეკონომიკის გამოწვევების წინაშე მარტო აღმოჩნდა. დღეს საქართველოს ხელისუფლების სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა შორს არის კომპლექსური მიდგომებისგან და მხოლოდ ერთჯერადი, ლოკალური ჩარევებით შემოიფარგლება. ეს კარგად ჩანს სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილ სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნიების რაოდენობაზე, რომელიც 60,802 ათას ლარს შეადგენს,³ რაც მხოლოდ საბიუჯეტო ხარჯების 0,9% წარმოადგენს. მრავალი ექსპერტისა და პრაქტიკოსის აზრით, სოფლის მეურნეობის უფრო დაბალანსებული და ეფექტური განვითარება მოითხოვს საბაზრო მექანიზმებთან ერთად კოოპერირების მექანიზმების ამუშავებას. კოოპერირება წარმოადგენს მიწების გამასივების, ტრანსაქციული ხარჯების შემცირების, ტექნოლოგიური განვითარებისა და, საბოლოო ჯამში, ევროპული სტილის ინსტიტუციონალური მოწყობის ჩამოყალიბების გზას ეს პუბლიკაცია მიზნად არ ისახავს ზოგადად სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზს. სტატიის მიზანია იდენტიფიცირება მოახდინოს ხელისშემშლელი ფაქტორებისა, რომლებიც იმ ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განვითარებას შეუწყობდა ხელს, რომელთა შედეგადაც, სოფლად შეიქმნებოდა თანამშრომლობისა და კოოპერირების მექანიზმები, რომელთა არსებობაც უპრიანია ისეთი მცირემიწიანი მეურნეობების არსებობის პირობებში, როგორებიც ძირითადად გვხვდება ქართულ სოფლებში. სტატია ეყრდნობა საზოგადოების კვლევის ცენტრის კვლევითი პროექტის „სოციალური კაპიტალის როლი სოფლის თემის განვითარებაში“⁴ შედეგებს.

ქართული სოფლის შინამეურნეობების თავისებურებანი

მსოფლიოში არსებული შინამეურნეობების ზომების რეგულირების პრაქტიკა, მათი ოპტიმალური გამოყენებისა და მეურნეობების მდგრადი განვითარების მიზნით, რიგ მიდგომას გვთავაზობს. ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა მსოფლიოში ძირითადად გეოგრაფიული

¹ სოფლის მეურნეობაში დღეისათვის 966,4 ათასი ადამიანია დასაქმებული. აქედან მხოლოდ 2,2% დაქირავებული და დანარჩენი თვითდასაქმებული – ETUI analytical paper: Protection of the labor rights of those engaged in informal labor relation

² <http://www.geostat.ge/>

³ www.mof.ge

⁴ პროექტი ხორციელდება შვეიცარულ-კავკასიური სამეცნიერო ქსელის ხელშეწყობით. კვლევა დაიწყო 2010 წლის სექტემბერში და სრულდება 2012 წლის სექტემბერს. იგი მოიცავს ქვეყნის რამდენიმე რეგიონის სოფლებს.

და ისტორიული განვითარების ფაქტორების გათვალისწინებით ხელმძღვანელობს. დღესდღეობით ძირითად ტენდენციას შინამეურნეობების ზომების გამსხვილება წარმოადგენს. სამხრეთ ევროპის რიგ ქვეყნებში ფერმერული მეურნეობების სარგებლობაში არსებული მეურნეობათა ზომა, ნაკვეთების დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად, დადგენილი ქვედა ზღვრის საშუალებით რეგულირდება. სკანდინავიის ქვეყნების პრიორიტეტს, სოფლიდან ქალაქში მიგრაციის პროცესის შესაჩერებლად, მცირე მეურნეობების შენარჩუნება წარმოადგენს.¹

საქართველოში 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერამ აჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2%-ს ქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5-0,99 ჰა მიწა ჰქონდა 32%-ს მეურნეობებისას ე. ი. 1 ჰა-ზე ნაკლები ჰქონდა 75,2%-ს მეურნეობებისას; 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ 18,3%-ს მეურნეობებისას; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა ჰქონდა 1,4 %-ს შინამეურნეობებისას. აღსანიშნავია, რომ ეს მეტად მცირე ზომის ფართობიც დანაწევრებულია და გაბნეულია 2-3 და რიგ რეგიონებში უფრო მეტ ნაკვეთად.²

ოჯახური მეურნეობის საშუალო ფართობებისა და ნაკვეთების საშუალო რაოდენობის მხრივ საქართველოს რეგიონები არსებითად განსხვავდებიან. თუ მთლიანად საქართველოს კონტოლირებად ტერიტორიაზე საშუალოდ ერთი ოჯახური მეურნეობა სარგებლობდა 1,05 ჰა-ით, რეგიონებში ეს მონაცემი შეადგენდა (ჰა-ში): აჭარა-0,5; გურია-0,82; იმერეთი-0,64; კახეთი-1,9; მცხეთა მთიანეთი-0,99; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი-0,89; სამეგრელო-ზემო სვანეთი-0,71; სამცხე-ჯავახეთი-2,21; ქვემო ქართლი-0,95 და შიდა ქართლი 0,9. არსებითად განსხვავებულია რეგიონებში ფართობების საშუალო ფრაგმენტაცია (ნაკვეთების რაოდენობა), თუ აჭარაში და ქვემო ქართლში იგი შეადგენდა 1,8-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთში-1,5-ს; გურიაში-2,6; იმერეთში-2,5; კახეთში და მცხეთა-მთიანეთში-2,3-ს; შიდა ქართლში იგი შეადგენდა-2,8-ს; რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 3,2 და სამცხე-ჯავახეთში 3,8-ს. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა შეადგენდა (ჰა-ში): იმერეთი-0,25; აჭარა-0,27; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი-0,28; გურია-0,31; შიდა ქართლი-0,32; მცხეთა-მთიანეთი-0,43; სამეგრელო ზემო-სვანეთი-0,46; ქვემო ქართლი-0,52; სამცხე-ჯავახეთი-0,59; კახეთი-0,82; მთლიანად ქვეყნაში იგი შეადგენდა-0,45 ჰა-ს.³

ექსპერტების თვალსაზრისით საქართველოში უპრიანი იქნებოდა მეურნეობათა გამსხვილება საშუალოდ 2-3 ჰექტრამდე. მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, როცა სოფლად განადგურებულია ან ამორტიზებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შინამეურნეობების კრიტიკული ნაწილი ფინანსური რესურსების უქონლობას უჩივის, შინამეურნეობების გამსხვილება კარგავს აზრს. 2004 წლის მონაცემებით მეურნეობების მხოლოდ 2,1%-ს გააჩნდა საკუთრებაში რომელიმე სახეობის ტრაქტორი (ბორბლიანი, მუხლუხა, მინი); 2,8%-ს გააჩნდა ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი); 0,16% ფლობდა კომბაინს; 2,6%-ს ფლობდა სატვირთო ავტომობილს; 8,4% ფლობდა სხვა სახის ავტომობილს. ამავე დროს, მეურნეობების 52,3%-მა ისარგებლა რომელიმე სახეობის ტრაქტორით; 7,4%-მა ხელის ტრაქტორით; 10,8%-მა – კომბაინით; 23,8%-მა – სატვირთო მანქანით და 10,4%-მა კი ისარგებლა სხვა მანქანით. ამრიგად, შინამეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალია. ნაკვეთების დაქსაქსულობის, სამუშაოების არაერთდროულად ჩატარების გამო, იხარჯება მეტი სანავაი, ტექნიკა გამოიყენება არაეფექტურად. იკვეთება ტენდენცია, მექანიზებული სამუშაოების შემცირებისა და ცოცხალი გამწვევი ძალით (ხარი, ცხენი) თუ ხელის იარაღებით შრომის გადიდებისა. საერთაშორისო დონორების დახმარებით მიღებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც რიგ რეგიონებზე გადაწვინდა, არსებითად ვერ ცვლის არსებულ სურათს.

სავალალოა შინამეურნეობების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობაც. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მეურნეობათა გამსხვილება შესაძლებელი იქნებოდა მცირე მეურნეობათა რაოდენობის შემცირებისა და მსხვილი ფერმერული მეურნეობების ზრდის ხარჯზე. ყოფილი მცირე მეურნეობების მფლობელთა დიდი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილ მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში ვერ დასაქმდებოდა, იძულებული იქნებოდა ადგილზე, ან ქალაქად ეძებნა არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო. ინდუსტრიის სექტორის სიმცირისა და სერვისის სექტორში დასაქმების თვალსაზრისით უმძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით უმუშევრობის ისედაც სავალალო მდგომარეობა უფრო დამძიმდებოდა.

¹ ამ თემასთან დაკავშირებით იხილეთ Tomich T.P., Kilby P.K., and Jonston B.F., Transforming Agrarian Economies: Opportunities Seized, Opportunities Missed. Ithaca, New York: Cornell University Press, 1995

² საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005წ.

³ იქვე.

თუ ევროპული სახელმწიფოების გამოცდილებას გავითვალისწინებთ, არსებული სიტუაციიდან ოპტიმალურ გამოსავალს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და კავშირების შექმნა წარმოადგენს, რაც ერთობლივად ნედლეულის შეკრების, გადამამუშავების, შენახვის, წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით ან ერთობლივად სხვადასხვა, წარმოების საშუალებების (თესლები, სასუქები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა) შექმნისა თუ მცირე საოჯახო მეურნეობების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების კოლექტიურად სარგებლობის მიზნით, დონის ფერმერული გაერთიანებების შექმნას გულისხმობს. კოოპერაცია ამცირებს მასში გაერთიანებული შინამეურნეობების წარმოებისა და ტრანსაქციულ¹ ხარჯებს და ზრდის მათ რენტაბელურობას.

კოოპერაციის პროცესს მრავალი წინაპირობა გააჩნია. მათი არარსებობის შემთხვევაში კოოპერაცია ან შედგება, ან ვერ პოვებს განვითარებას და შეწყდება. შემდეგ თავში ვეცდები თეორიული ლიტერატურისა და ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ამ წინაპირობების განსაზღვრასა და იმ ხელშემწყობი თუ ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს კოოპერაციას ქართულ სოფელში.

სამეურნეო კოოპერირების ჩამოყალიბების თავისებურებანი ქართულ სოფელში.

კოოპერირების ერთ-ერთ მიზანს ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა წარმოადგენს, რადგან ნატურალური მეურნეობების მიზერული შემოსავლების გათვალისწინებით კოოპერირების გარეშე მისი საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა წარმოუდგენელია. სტატისტიკური მონაცემების თანახმად მეურნეობათა 82 % წარმოება ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო 18 % ძირითადად გასაყიდად. 2004 წლის მონაცემებით საშუალოდ მეურნეობათა თვიურ შემოსავლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი საერთო შემოსავლების მხოლოდ 20 % პროცენტს წარმოადგენდა. მაშასადამე, მეურნეობათა კრიტიკული უმრავლესობა ნატურალური მეურნეობით არის დაკავებული. ნატურალური მეურნეობის მქონე ოჯახი, იძულებულია თუგინდ მცირე რაოდენობის, მაგრამ შეძლებისდაგვარად სხვადასხვა კულტურები გააშენოს თავის მეურნეობაში, რათა დაზოგოს საკვები პროდუქტების შექმნაზე ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, ის რისკების გადანაწილებას ცდილობს. თუ ერთი კულტურის მოსავალი გაფუჭდა, მას რჩება სხვა კულტურის მოსავალი, რომლითაც იგი შეძლებს თავის გატანას. განსხვავებით ნატურალურისგან, საბაზრო მეურნეობა ერთი რომელიმე კულტურის მაქსიმალურ მოსავალსა და რენტაბელურობაზეა ორიენტირებული, რადგან რომელიმე კონკრეტულ კულტურაზე ორიენტაცია ამცირებს სამეწარმეო და ტრანსაქციულ ხარჯებსა და ხდის მას უფრო მომგებიანს. ზემოთქმული ართულებს ნატურალური მეურნეობების მონაწილეობას კოოპერატიულ საბაზრო მეურნეობებში, რადგან კოოპერირების შემთხვევაში, მეურნემ უარი უნდა თქვას რისკების ჩვეულ გადანაწილებაზე და კონცენტრაცია რომელიმე ერთ კულტურაზე გააკეთოს. გარდა ამისა, შეთანხმება თანამშრომლობის მოსურნეთა შორის, თუ რომელი კულტურა უნდა იყოს პრიორიტეტული, არის ძალიან რთული. ამ შემთხვევაში მეურნე დგება დილემის წინაშე, გარისკოს და შეთანხმდეს რომელიმე ერთ კულტურაზე სხვა კოოპერირების მსურველებთან ერთად, შეამციროს ტრანსაქციული ხარჯები და გადადგას რეალური ნაბიჯი საბაზრო მეურნეობისკენ, თუ დაუბრუნდეს რისკების გადანაწილების თავისებურ მეთოდს და ინდივიდუალურად, საკუთარი ძალისხმევით ეცადოს ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას მაღალი ტრანსაქციული ხარჯების პირობებში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ტრანსაქციული ხარჯების შემცირება ინსტიტუტების შექმნით არის შესაძლებელი. მაგრამ ინსტიტუტების წარმოქმნის წინაპირობას სოციალური კაპიტალის მაღალი მაჩვენებელი, ნდობისა და თანამშრომლობის მზაობის მაღალი ხარისხი განაპირობებს.

კოოპერირების წინაპირობებს როგორც ობიექტური (თვლადი) მოცემულობების (ჩვენს შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მოცულობა, მისი ფრაგმენტაციის დონე, წარმოებისა და ტრანსაქციული ხარჯები) არსებობა, ასევე სოციალური კაპიტალის ხარისხი და შესაბამისი ინსტიტუტების არსებობა განაპირობებს.

ინსტიტუტები ნორმათა და წესთა ის სისტემაა, რომელიც ქცევის უფლებებითა და ვალდებულებებით არის აღჭურვილი და რომელიც ინდივიდების, ჯგუფებისა და თემების სოციალურ ქცე-

¹ ტრანსაქციული ხარჯები, ის ხარჯებია, რომლებიც ეკონომიკურ სუბიექტს საბაზრო ურთიერთობებში ჩართვისას (ყიდვა, გაყიდვა, ქირაობა, გაცვლა) ექმნება ინფორმაციის მოპოვების, ტრანსპორტის, შეთანხმების მიღწევისა და შესრულების ხარჯების სახით, ეკონომიკური ტრანსაქციის დროს გაურკვეველობისა და მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად. ტრანსაქციის ხარჯების შემცირება შესაძლებელია ინსტიტუტების ჩამოყალიბების გზით. ტრანსაქციის ხარჯებთან დაკავშირებით იხილეთ: Coase, Ronald H.: The Nature of the Firm. In: *Economica* (1937); North, Douglass C.: *Institutions, institutional change and economic performance*, 1992; Williamson, Oliver E.: *The economic institutions of capitalism*, 1990

ვას ისე კოორდინირებს, რომ მათი ურთიერთობა იყოს გათვლადი და მოულოდნელობებისგან თავისუფალი.¹ ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას ადამიანთა შორის თანამშრომლობის მზაობა და მათი ურთიერთდობის ხარისხი განაპირობებს, რაც შეიძლება სოციალური კაპიტალის ცნებაში მოვაქციოთ. სოციალური კაპიტალის ცალსახა განმარტება არ არსებობს. პიერ ბურდიე სოციალური სტრუქტურის დიფერენციისას ოთხი კაპიტალის სახეობას: ეკონომიკურ, კულტურულ, სიმბოლურ და სოციალურ კაპიტალს გვთავაზობს, რომელთა ურთიერთქმედება მათ ზრდას განაპირობებს. ამ შემთხვევაში სოციალური კაპიტალი იმ პოტენციური რესურსების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ინდივიდების ურთიერთნაცნობობასა და ურთიერთალიარებას ეფუძნება და რომელთა საშუალებითაც ინდივიდი სოციალურ ურთიერთობათა შენარჩუნებასა თუ გაფართოებას ახორციელებს. შესაბამისად, სოციალური კაპიტალი უზრუნველყოფს იმ საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების რესურსებზე ხელმისაწვდომობას, როგორც არის: დახმარება, მხარდაჭერა, ინფორმაცია, აღიარება. პრაქტიკული თვალსაზრისით ის ასახვას პოვნებს ნაცნობობის წრეში, რომლის არსებობაც ყოველდღიურ ცხოვრებას უმარტივებს ადამიანს. სოციალური კაპიტალი იზრდება და კლებულობს ურთიერთობათა ინტენსივობის თანახმად. სოციალური კაპიტალი უშუალოდ არის დაკავშირებული სხვა კაპიტალის სახეობებთან. მაგალითად, მდიდარი სოციალური კაპიტალის პირობებში, ადამიანს შეუძლია ნაცნობების დახმარებით იშოვოს სამუშაო და დააგროვოს ეკონომიკური კაპიტალი, ან მიიღოს ინფორმაცია და დააგროვოს კულტურული კაპიტალი.²

სოციალური კაპიტალი ეფუძნება რა ურთიერთდობას, არის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საფუძველი. ურთიერთდობის დროს ურთიერთდახმარების მოლოდინი იზრდება. თუ მოლოდინი გამართლდა, სოციალური კაპიტალი მყარდება და ღრმავდება, რაც აიოლებს შემდგომ თანამშრომლობას. რობერტ პატნემი უშუალოდ აკავშირებს თემის ინტეგრირებულობის ხარისხს სოციალური კაპიტალის ხარისხთან. გარდა ამისა, მან სოციალური კაპიტალის თეორიაში დამკვიდრებულ **bridging**-ისა (კავშირი) და **bonding**-ის (შეკრულობა) კატეგორიების თავისებური ხედვა შემოგვთავაზა. მის მიხედვით **bridging**-ის (კავშირი) შემთხვევაში საზოგადოების სხვა წევრების მიმართ ერთი რომელიმე ჯგუფის ნდობის არსებობაზე კეთდებოდა აქცენტი, ხოლო **bonding**-ის (შეკრულობა) შემთხვევაში კი სოციალური კაპიტალი ქმნის მხოლოდ ერთიან იდენტობას და აყალიბებს ნდობას, მაგრამ ეს ნდობა ამ ჯგუფს არ სცდება.³

ნენ ლინი უფრო ინდივიდებსა და ჯგუფების სოციალურ ურთიერთობათა ქსელზე აკეთებს აქცენტს. არც ის გამორიცხავს **bridging**-ისა და **bonding**-ის არსებობას. მხოლოდ ის აქცენტს მათ თანაარსებობაზე აკეთებს. მის შემთხვევაში **bonding** შედარებით დახურულ სივრცეში არსებულ უფრო მჭიდრო, ჰომოგენური ჯგუფებისთვის დამახასიათებელ ქსელს წარმოადგენს, ხოლო **bridging** ამ ჯგუფებისა, თუ ამ ჯგუფების წევრთა გარემოსთან კავშირის უზრუნველმყოფელი კატეგორიაა, ერთი საერთო სოციალური ქსელის ფარგლებში. ამ შემთხვევაში სოციალურ ქსელში მონაწილენი იღებენ გარკვეულ მოგებას, ან აქვთ მისი მოლოდინი. ნენ ლინის განმარტება უფრო ახლოს არის ბურდიესეულ განმარტებასთან და სოციალურ კაპიტალს ისეთ რესურსად წარმოგვიდგენს, რომლის მობილიზებაც მხოლოდ სოციალური ურთიერთობების შედეგად არის შესაძლებელი და რომელთა მოხვეჭაც მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებში ინვესტირებით ხდება.⁴

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ სოფლებში, არის თუ არა სოფლის მოსახლეობა შეკრული მდიდარი სოციალური კაპიტალით, თუ დაქსაქსული?

ქართულ სოფლებში სოციალური ურთიერთობების ინტენსივობა საკმაოდ მაღალია, მაგრამ ამ ურთიერთობების შედეგად ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს უწყობს ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას, ვერ ხერხდება.

თანამშრომლობა ძირითადად ხდება ნათესავებსა და მეზობლებს შორის, არის საკმაოდ ხშირი (მაგალითად ნადი, რომლის დროსაც მეურნეები ერთმანეთს მოსავლის აღებაში ეხმარებიან), მაგრამ ერთჯერადი ურთიერთდახმარებით, ან ვერტიკალურ ურთიერთობებზე აგებული ინიციატივებით შემოიფარგლება (მაგალითად, რწმუნებულის მიერ ინიცირებული რომელიმე საქმიანობა, რომელიც სოფლის მცხოვრებლების ჩართულობას მოითხოვს). ამ სახის

¹ ინსტიტუტებთან დაკავშირებით იხილეთ: Mary Douglas: How Institutions Think. London, 1987; Peter L. Berger, Thomas Luckmann: Die gesellschaftliche Konstruktion der Wirklichkeit. Eine Theorie der Wissenssoziologie, 2007; Stefan Nowotny / Gerald Raunig: Instituierende Praxen. Bruchlinien der Institutionskritik. Wien 2008.

² ბურდიე პ: განსხვავება. თბილისი. დიოგენე 2002.

³ რობერტ დ. პატნემი: როგორ ვამუშაოთ დემოკრატია. ლოგოს პრესი. თბ. 2005.

⁴ Nan Lin: Social Capital. A Theory of Social Structure and Action, Cambridge University Press, New York, 2001.

თანამშრომლობის შედეგად ურთიერთობა არ გენერირდება და არ წარმოშობს ურთიერთობების უფრო მაღალ ხარისხს. სივრცე, სადაც ამ ტიპის თანამშრომლობის საჭიროება დგება, არ მოითხოვს ამ ურთიერთობაში ინვესტირებას, რადგან ისინი ტერიტორიული სიახლოვისა და გაზიარებული წარმომავლობის ფონზე, არის უკვე ნდობის მაღალი ხარისხით გამსჭვალული და საკმაოდ მყარი.

დაგლას ნორტის მიხედვით, პატარა ჯგუფებში ლოკალური სავაჭრო ურთიერთობები მარტივია, რადგან ასეთ სავაჭრო ურთიერთობებში ჩართულ ნათესაური კავშირები, დიდი ხნის ნაცნობობა და გაზიარებული ფასეულობები იცავთ სუბიექტებს უსამართლო უპირატესობებისაგან. ცდება თუ არა ვაჭრობა ნაცნობ ფარგლებს და მიმდინარეობს სხვა, ანონიმურ ბაზარზე? განვითარებულ სახალხო მეურნეობებში სავაჭრო ურთიერთობებისას მოტყუების საფრთხე იზრდება, რომლის თავიდან აცილება მხოლოდ ინსტიტუციური ზომების საშუალებით ხდება, წარმოქმნილი ხარჯები კი ტრანსაქციის ხარჯებს წარმოადგენს.¹

ნორტის ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ტრანსაქციის ხარჯების შესამცირებლად, უპრიანი იქნებოდა ნატურალური მეურნეობების მქონე მეურნეების მიერ მონაწილეობის მიღება მათთვის ხელსაყრელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, მათი მეურნეობების საბაზრო მეურნეობებად გადაქცევის გზაზე, რისი განხორციელებაც კოოპერატიულ გაერთიანებებში არის შესაძლებელი.

მოდით განვსაზღვროთ ის ფაქტორები, რომლებიც ამგვარ ინსტიტუტებზე დაფუძნებულ კოოპერირებას უშლის ხელს.

სანამ მსჯელობას დავიწყებდეთ, უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველა მოთამაშე, ამ შემთხვევაში ყველა მეურნე, არის რაციონალურად მოქმედი პირი და ყოველ მათგანს გათვინცნობიერებული აქვს ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის აუცილებლობა სამეურნეო საქმიანობის შედეგად შექმნილი ამონაგების გასაზრდელად. როდესაც საუბარი გვაქვს ხელისშემშლელ ფაქტორებზე, სოფლებზე დაკვირვებისა და შესწავლილი თეორიული ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება სამ ძირთად ფაქტორზე შევჯერდეთ, რომლებიც საბაზრო მეურნეობაზე ორიენტირებული კოოპერირებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას შეიძლება უშლიდეს ხელს: პირველი, ეს არის ინფორმირებულობის ხარისხი. აქ იმ გარემოებების არსებობას ვგულისხმობ, რომლებიც აყალიბებს მეურნეების ცნობიერებას კოოპერირების მიმართ. მეორე, ეს არის იმ ობიექტური ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც რაციონალურად მოქმედ მეურნეს უბიძგებს კოოპერირებისკენ, ან აკავებს კოოპერირებისგან. მესამე კი, ეს არის სოციალური კაპიტალის მაჩვენებელი, რომელიც თანამშრომლობისთვის საჭირო ურთიერთნდობასა და თანამშრომლობის მზაობას ეფუძნება.

ქართულ სოფლებში ყველაზე ხშირად საქმე გვაქვს პირველი ფაქტორის არსებობასთან. საბჭოთა მმართველობის სისტემას მონოპოლიზებული ჰქონდა როგორც მთელი საჯარო სივრცე, ისე საზოგადო სიკეთების შექმნა, მათი განკარგვა და განაწილება. შესაბამისად, იგი არ ტოვებდა არანაირ სივრცეს თვითინიციატივაზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი კოოპერირებისა, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სიკეთების შესაქმნელად, განსაკარგად და გასანაწილებლად იქნებოდა საჭირო.

ამ გამოცდილებამ გამოიწვია საზოგადოების ატომიზაცია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ვერტიკალურ, არანებაყოფლობით ურთიერთობებზე დაფუძნებულმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არაეფექტურობის გამოცდილებამ თანამშრომლობის იდეის სრული დისკრედიტაცია მოახდინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვლილმა დამოუკიდებლობის 20 წელმა უფრო გაამწვავა საზოგადოებაში ეს შეგრძნება. ველური კონკურენციისა და ინდივიდუალიზმის გაფეტიშებამ სახელმწიფო პროპაგანდაში მოახდინა იმ კოლექტიური ფასეულობების გაუფასურებაც, რომლებიც ბუნებრივად გააჩნია ყველა ადამიანს და საზოგადოება მთლიანად დაქსაქსა. ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში, რომელიც ყველა დამოუკიდებლობის შემდგომმა ხელისუფლებამ შეინარჩუნა, არ შეიქმნა ადგილებზე ის საჯარო სივრცე, სადაც საჯარო სიკეთეები შეიქმნებოდა და განიკარგებოდა. შესაბამისად, ქართველ მეურნეს ვერ ჩამოუყალიბდა კოოპერაციისთვის საჭირო ცნობიერება. ის აღმოჩნდა ინფორმაციულ ვაკუუმში, განსხვავებით ევროპელი მეურნისა, სადაც ასეთი აუცილებლობის პროპაგანდას სახელმწიფო ახდენს და სადაც სახელმწიფო გვევლინება ასეთი ინიციატივების წახალისება-სტიმულირების ინიციატორად.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს შინამეურნეობათა რესურსების სიმცირეს. არსებული რესურსების პირობებში თანამშრომლობა ხშირად არის ირაციონალური. ხშირ შემთხვევაში კოოპე-

¹ North Douglas: Transaction costs, institutions, and economic history, in: The new institutional economics. Tuebingen, 1991.

რირებისათვის განუვლი ხარჯები (სამუშაო, დახარჯული დრო) აღემატება კოოპერირებიდან მიღებულ მოგებას. ნატურალური მეურნეობის შემთხვევაში მოყვანილი მცირედი მოსავლის დიდი ნაწილი ოჯახის პირველადი საჭიროების დაკმაყოფილებას ხმარდება. სარეალიზაციოდ რჩება მოსავლის მცირედი ნაწილი, რომელიც მიზერულ დამატებით ღირებულებას ქმნის. ვთქვათ, რამდენიმე მეურნე გაერთიანდა გასაყიდი პროდუქტის ბაზარზე გასატანად და შეამცირა სატრანსპორტო ხარჯები, რასაც ხშირად ვხვდებით ქართულ სოფლებში. გასაყიდი პროდუქტის სიმცირისა და სატრანსპორტო ხარჯების შედარებით დიდი მოცულობის გამო, ამ სახით თანამშრომლობის შემთხვევაშიც კი, ამ ეკონომიკური აქტივობიდან ამონაგები ისეთი მცირეა, რომ არ იძლევა მისი ისეთი საქმიანობისთვის რეინვესტირების საშუალებას, რომელიც საბაზრო სამეურნეო საქმიანობად შეიძლება იქნეს განხილული. ხშირ შემთხვევაში მანძილის სიდიდის გამო, ტრანსპორტირებაზე დახარჯული დროის ღირებულება და რესურსები აღემატება ხოლმე მოგებას. რა თქმა უნდა, სხვა სახის კოოპერირების მატერიალური რესურსი, რომლის შედეგადაც მეურნეთა გაერთიანება ბაზარზე წარსდგებოდა როგორც ერთი სუბიექტი, ერთი ბრენდი, მეურნეებს არ გააჩნიათ (აქ უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო სატრანსპორტო და პროდუქციის ხარჯები, არამედ ბაზარზე სამოქმედო ინფორმაციის და სამენეჯერო, საბუღალტრო ხარჯები, რის გარეშეც კონკურენტუნარიანი აქტივობა არის შეუძლებელი).

გარდა ამისა, კოოპერირების შემთხვევაში მენარმისთვის მთავარ რისკს, გარდა შესაძლო მოუსავლიანობისა, ბაზრის არასტაბილურობა წარმოადგენს. ფასთნარმოქმნის ირაციონალური პროცესის გამო, შეიძლება კოოპერატივის ყველა წევრი დარჩეს წაგებული. მეურნეთა უმრავლესობა ინფორმაციის ნაკლებობის გამო მიმბაძველობით ხასიათდება. მაგალითად, თუ ერთ სეზონზე რომელიმე კულტურა იყო მოთხოვნადი და შესაბამისად უფრო მომგებიანი, შემდეგ სეზონზე უმრავლესობა მეურნეებისა ეცდება ეს კულტურა მოიყვანოს ამონაგების გასაუმჯობესებლად, რაც ხშირ შემთხვევაში უკუეფექტს იძლევა. ამ კულტურაზე ჭარბი მოწოდების გამო ფასები ეცემა, ხოლო იმ კულტურებზე, რომლებიც ამ სეზონზე იქნა იგნორირებული, ფასები მატულობს. შესაბამისად, მიმბაძველ მეურნეებს უწევთ დაბალი შემოსავლის პირობებში გაძვირებული კულტურის ყიდვა. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება როგორც კოოპერატივის წევრებს, ასევე ინდივიდუალურ მეურნესაც შეემთხვეს. მაგრამ კოოპერირების შემთხვევაში ეს უფრო სავალალო იქნება, რადგან კოოპერატივის წევრები ძირითადად ერთ რომელიმე კულტურაზე ახდენენ შეთანხმებას. რაც შეეხება სოციალურ კაპიტალს, ქართული სოფლები მაღალი სოციალური კაპიტალის მაჩვენებლით ხასიათდება, მიუხედავად იმისა, თუ რას ეფუძნება ის. მაგალითად „ნადის“ ინსტიტუტი, რომლის დროსაც ნათესავები, თუ მეზობლები კოლექტიურად ეხმარებიან ერთმანეთს მოსავლის აღებისას, ქართული სოფლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ხშირად ხდება, რომ ჯფუფები სატრანსპორტო ხარჯებს ინაწილებენ მოსავლის ბაზრამდე ტრანსპორტირებისას.

მოდით, დავუბრუნდეთ ნენ ლინის მიერ შემოთავაზებულ **bridging**-ის (კავშირი) და **bonding**-ის (შეკრულობა) სოციალური კაპიტალის განმსაზღვრელ კატეგორიებს. დავუშვათ, რომ ქართული სოფელი არის მჭიდრო, ერთიანი, ინტეგრირებული სივრცე, სადაც ჭარბად არის **bonding**-ის ტიპის სოციალური კაპიტალი. საბაზრო ურთიერთობაზე გადასასვლელად საჭირო იქნებოდა ამ მჭიდრო ტიპის ურთიერთობებით გაჯერებული სივრცის მიერ **bridging**-ის ტიპის სოციალური კაპიტალის გენერირება, ერთიან უფრო ფართო, ინტეგრაციის ნაკლები ხარისხის სოციალურ ქსელში ინტეგრირებისათვის, რაც სხვადასხვა აგენტის მეშვეობით ხორციელდება. წარმოვიდგინოთ, რომ ეს აგენტები სოფლის თემის მკვიდრნი არიან. ისინი გადიან თემიდან და ამყარებენ ურთიერთობებს თემის გარეთ. თუ ეს ურთიერთობები მომგებიანია, ან მოგების მოლოდინს შეიცავს, ცდუნება თემის დატოვებისა ძალიან დიდია. ის ინფორმაცია, რომელსაც თემის წევრი თემის გარეთ ინტერაქციისას იღებს, შეიცავს ხშირად ცდუნებას ამ ინფორმაციის არა თემის საერთო კეთილდღეობის, არმედ საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად გამოსაყენებლად, რადგან ობიექტური გარემო, რომელშიც თემი იმყოფება, ხშირ შემთხვევაში არ იძლევა თვითონ აგენტისთვის თემის ფარგლებში ამ ინფორმაციის მიზანმიმართულად, რენტაბელურად გამოყენების საშუალებას. ამ შემთხვევაში აგენტი იქცევა რაციონალურად. მიღებული ინფორმაციის ხარჯზე იზრდება მისი სოციალური სტატუსი და სოციალური მობილობის შესაძლებლობა. რიგ ქართულ სოფლებში კოოპერაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არის ინიცირებული. ძირითად კოოპერატივები იმდენ ხანს ფუნქციონირებს, რამდენ ხანსაც საერთაშორისო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის ქმედითუნარიანობას. ორგანიზაციის ნასვლის შემდეგ კოოპერატივი ხშირ შემთხვევაში წყვეტს არსებობას, რაც ძირითადად სოციალური კაპიტალის არარსებობას ბრალდება. დანამდვილებით ამის თქმა რთულია. ცხადია ყველა წამოწყებას ჭირდება პასუხისმგებელი პირი. ის წარმოადგენს აგენტს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციისგან იღებს საჭირო ინფორმაციას და უზიარებს

თემის წევრებს. შესაბამისად მისი კულტურული კაპიტალი იზრდება. გაზრდილი კულტურული კაპიტალი ზრდის ცდუნებას მოწყდეს თემს და ბედი სცადოს თემის გარეთ, რის გარანტიასაც დაგროვილი კულტურული კაპიტალი აძლევს, რადგან თემში დარჩენა ცხოვრების იქ არსებული მძიმე პირობების გამო ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე მაგალითად ქალაქში, ან რომლიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში და, თუნდაც, სახელმწიფო სამსახურში მუშაობა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული კოოპერატივები ვერ ბადებს სტაბილურობისა და მდგრადობის განცდას, რადგან ყველასთვის ცხადია, რომ ის სტიმულები, რომლებითაც ეს ორგანიზაციები კოოპერირების პროცესს ასაზრდოებენ, დროებითია და ორგანიზაციის წასვლასთან ერთად გაქრება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, უპრიანი იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან იმ ზომების მიღება, რომლებიც გააუმჯობესებდა სამენარმეო გარემოს და ეკონომიკურ ურთიერთობებს გახდიდა უფრო სტაბილურსა და გათვლადს, გააჩენდა საჯარო სივრცეს, გააჩენდა საერთო საკუთრებისა და საზოგადო სიკეთეების შექმნისა და განკარგვის შესაძლებლობას, რის განსახორციელებლადაც კოოპერირება იქნებოდა აუცილებელი და რაციონალური. შედეგად, გაუმჯობესებული სოციალური გარემო გაზრდიდა თემთან ურთიერთობის საჭიროებისა და თემის შიგნით თვითრეალიზაციის შესაძლებლობის განცდას.

ამ ეტაპზე კოოპერირებისთვის ხელშემშლელი კონკრეტული ფაქტორების დასახელება ძალიან რთულია. ზემოთ მოყვანილი დაშვებებიც ჰიპოთეზების დონეზე რჩება. იმედია, კვლევის შემდეგი ეტაპი უფრო მკაფიოს გახდის სურათს და შესაძლებელი გახდება იმ გარემო-ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელიც თანამშრომლობის ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და ამ სახით ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას უშლის ხელს.

BEKA NATSVLISHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctoral Student*

THE FEATURES OF CREATION OF COOPERATIVE ENTERPRISES IN GEORGIAN VILLAGES

S u m m a r y

Rural economy still remains the most important sector of Georgian economy. Unfortunately, the state policy does not meet the challenges existing in this area. The state declined all the responsibilities for the regulation and stimulation of economic relations and gave it to the market. Due to the lack of land, mechanization and economic resources small subsistent farms were formed instead of the large ones. According to these realities, for carrying out a reform, the creation of cooperative enterprises with the aim of reducing production and transaction costs is without alternative.

ია ნაცვლიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

მენარმეობისადმი განწყობა საქართველოს აგრარულ სექტორში

საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების გაანალიზებისათვის მნიშვნელოვანია აგრარულ სექტორში სამენარმეო საქმიანობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების სპეციფიკის გამოვლენა. სამენარმეო საქმიანობას უდიდესი როლი ეკისრება როგორც მიკრო დონეზე ცალკეულ ბაზრებზე ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების სახეების შეთავაზებით, ასევე მაკროეკონომიკური მასშტაბით დასაქმების დონის გაზრდასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა შრომით საქმიანობას საკუთარ მამულში/მეურნეობაში. ამიტომ უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. სოფლად უმუშევრობის დონე 2010 წელს იყო 7.9%, ხოლო ქალაქად – 27.2%.¹

ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი დონის მაჩვენებლით შესაძლებელია აიხსნას ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული დაინტერესება აგრარულ სექტორში მენარმეობის დაწყებისადმი. აგრარულ სექტორში მენარმეობისადმი განწყობის სპეციფიკის გამოსავლენად საინტერესო მასალას წარმოადგენს საქართველოში მოსახლეობის მენარმეობისადმი დამოკიდებულების სპეციფიკური ნიშნების შესწავლის მიზანით 2010 წლის ივლის-სექტემბერში თბილისში ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზი.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკასა და სოციალურ სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები, ცხადია, უდიდეს გავლენას ახდენს მოსახლეობის სამენარმეო საქმიანობისადმი განწყობის ფორმირებაში. ინვესს თუ არა საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში წარმოშობილი სიძნელებები და პრობლემები უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მენარმეობისადმი? ინვესს თუ არა აღნიშნული პროცესები მენარმეობის სურვილის გაქრობას თუ პირიქით? რამდენად ღრმადაა გაცნობიერებული მოსახლეობის მიერ მენარმეობასთან დაკავშირებული რისკები და საშიშროებები? როგორია მოსახლეობის სურვილები და მოლოდინები სამენარმეო საქმიანობის დაწყებისადმი, თვითდასაქმების პერსპექტივისადმი მომავალი უახლოესი წლების განმავლობაში?

ზემოთ დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხების მისაღებად მრავალწლიანი და ფართომასშტაბიანი გამოკვლევების ჩატარებაა საჭირო. მსგავსი კვლევის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად შეიძლება განვიხილოთ თბილისის მასშტაბით რესპოდენტთა ექსპრესგამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები საშუალებას იძლევა შევაფასოთ როგორც მათი განწყობა მენარმეობისადმი, ასევე მონაცემთა ანალიზის გზით ვიმსჯელოთ საქართველოში მოსახლეობის მენარმეობისადმი დამოკიდებულების ძირითად ტენდენციებზე.

2010 წლის ივლის-სექტემბერში ავტორის მიერ ჩატარებული ექსპრესგამოკითხვის საკვლევეთემას წარმოადგენდა საქართველოში მოსახლეობის მენარმეობისადმი დამოკიდებულების სპეციფიკური ნიშნები, მენარმეობისადმი განწყობის სხვადასხვა ასპექტები, მომავალთან დაკავშირებული მოლოდინები, ასევე თვითდასაქმებისა და სამენარმეო საქმიანობის დაწყებისათვის მიმზიდველი დარგების გამოვლენა. კვლევის ობიექტი იყო თბილისის სხვადასხვა უბანში მცხოვრები ინდივიდები და ოჯახები (შინამეურნეობები). ცხადია, ეს ობიექტი არ არის რეპრეზენტატიული მთელი საქართველოს მასშტაბით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თბილისი ყველაზე დიდი ქალაქია საქართველოში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს. ამ მიზეზის გამო თბილისში მცხოვრები რესპოდენტების განწყობა საკმარისი სიზუსტით უნდა ასახავდეს საქართველოში მოსახლეობის განწყობის ძირითად ტენდენციებს.

გამოკვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში: საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონის და მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე არსებული სიძნელების გათვალისწინებით, ასევე უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმატებული რეფორმების ფონზე ნაკლებად მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო უარყოფითი განწყობა მენარმეობისადმი. უფრო

¹ www.geostat.ge სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმება და უმუშევრობა: 2010 წელი (წლიური); გვ. 2.

მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო თვითდასაქმების დიდი სურვილი და მომავალში სამენარმეო საქმიანობის დაწყების ასევე დიდი მოლოდინი.

კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ანკეტური გამოკითხვა არალბათური შერჩევის სხვადასხვა სახის გამოყენებით. კერძოდ, გამოყენებულ იქნა ეგრეთ ნოდებული სტიქიური შერჩევის და “ქუჩის შერჩევის” ტიპი. სტიქიური შერჩევა გამოიყენება ქუჩაში ადამიანების გამოკითხვისას. იგი სხვა მეთოდებთან შედარებით უფრო მარტივი, იაფი და ნაკლებრეპრეზენტატულია. შეუძლებელია განზოგადების მოხდენა მთელ პოპულაციაზე. მიუხედავად ამ ხარვეზისა, სტიქიური შერჩევა ხშირად გამოიყენება სოციალურ კვლევებში, რაც სწორედ მისი სიმარტივით და მოხერხებულობით აიხსნება. “ქუჩის შერჩევის” ტიპის გამოყენების შემთხვევაში ინტერვიუერები გამოკითხავენ რესპოდენტებს წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე.¹ პირველადი ინფორმაცია შეგროვებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თბილისში მცხოვრები სტუდენტების მიერ საკუთარი ოჯახის წევრების, მეზობლად მცხოვრები შინამეურნეობების, ასევე თბილისის სხვადასხვა უბანში მცხოვრები ოჯახებისა და ინდივიდების გამოკითხვის გზით. ასეთი გზით მიღებული შერჩევის ერთობლიობა, ცხადია, მოიცავს თბილისის მასშტაბით გენერალური ერთობლიობისთვის (თბილისის მოსახლეობა) დამახასიათებელ ნიშნებს. რესპოდენტები გახლდნენ თბილისის სხვადასხვა უბანში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის, განათლების, სქესის, სოციალური სტატუსის, შემოსავლების მქონე ადამიანები. სულ გამოიკითხა 1116 რესპოდენტი. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის საშუალებით.

კვლევის შედეგები შთამბეჭდავია და ხაზგასმით წარმოაჩინენ საქართველოში მენარმეობისადმი დამოკიდებულების სპეციფიკას თბილისის მაგალითზე. ემპირიული მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ რესპოდენტთა 91.5% ისურვებდა ყოფილიყო თვითდასაქმებული. ამ მხრივ ევროპელები ბევრად უფრო თავშეკავებულნი არიან. ევროკავშირში რესპოდენტთა მხოლოდ 45% გამოთქვამს თვითდასაქმების და მენარმეობის დაწყების სურვილს. აშშ-ში მსგავს სურვილს გამოთქვამს 65%, ხოლო ჩინეთში – 71%.²

უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმატებული რეფორმების ფონზე სუსტია უარყოფითი განწყობა მენარმეობისადმი. მაღალი უმუშევრობის დონის ფონზე მნიშვნელოვნად დიდია თვითდასაქმების სურვილი. ასევე, ძლიერია მომავალში სამენარმეო საქმიანობის დაწყების მოლოდინი. საქართველოში თბილისელ რესპოდენტთა პოზიტიური დამოკიდებულება მენარმეობისადმი მიაჩნებოდა რესპოდენტთა თავდაჯერებულობაზე, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის განცდის არსებობაზე, ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების წარმატების მოლოდინზე.

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს გამოკითხულ ადამიანთა ამჟამინდელი სამენარმეო საქმიანობის ფაქტიური მდგომარეობა. რესპოდენტთა პასუხები კითხვაზე „ენევით თუ არა მენარმეობას (გაქვთ თუ არა საკუთარი ბიზნესი)?“ ცხადყოფს, რომ რესპოდენტთა 81.8% არ ენეოდა მენარმეობას. მხოლოდ 10.0% იყო თვითდასაქმებული. 6.1% ენეოდა მენარმეობას მცირე და/ან საშუალო ბიზნესში, 1.4% – მსხვილ ბიზნესში. მონაცემები არ არის რესპოდენტთა 0.6%-დან. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში რესპოდენტთა 12% არის დაკავებული სამენარმეო საქმიანობით, იაპონიაში - 15%, აშშ-ში – 21%, ჩინეთში – 27%.

რესპოდენტთა 91.5% დადებითად პასუხობს კითხვაზე – „რომ შეგეძლოთ, ისურვებდით თუ არა ყოფილიყავით თვითდასაქმებული?“ უარყოფითად პასუხობს 6.0%. მონაცემები არ გვაქვს რესპოდენტთა 2.5%-დან.

რესპოდენტთა დიდი ნაწილი (48.4%) მენარმეობისათვის ყველაზე დიდ საშიშროებად მიიჩნევს არარეგულარულ შემოსავლებს. გაკოტრების საფრთხე საშიშროებად მიაჩნია რესპოდენტთა 39.6%-ს. საქართველოში ეს მაჩვენებლები განსხვავდება ევროპის და ჩინეთის მონაცემებისაგან. ჩინელებისათვის მენარმეობასთან დაკავშირებულ საშიშროებათა შორის პირველ ადგილზეა გაკოტრების საფრთხე – 56%. ევროპელებისთვისაც მენარმეობასთან დაკავშირებულ საშიშროებათა შორის პირველ ადგილზეა გაკოტრების საფრთხე – 49%. აშშ-ში და იაპონიაში, ქართველების მსგავსად, მენარმეობასთან დაკავშირებულ საშიშროებათა შორის პირველ ადგილზეა არარეგულარული, არასტაბილური შემოსავლები. აშშ-ში რესპოდენტთა 46% ფიქრობს ასე, ხოლო იაპონიაში – 37%.

¹ თამარ ზურაბიშვილი, თინათინ ზურაბიშვილი. სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია. რაოდენობრივი მეთოდები. სალექციო კურსი. სამოქალაქო განათლების პროექტი. სოციალურ მეცნიერების მაგისტრებისათვის. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი 2006; გვ. 105-106.

² Who wants to be an entrepreneur?; <http://www.euronews.net/2010/06/14/who-want-to-be-an-entrepreneur/> 14/06 20:59 CET 2010; last retrieved July 10, 2010.

მოსახლეობის ნახევარზე მეტი (დაახლოებით 52%) იმედს გამოთქვამს, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში გახდება მენარმეობით დაკავებული. პასუხები კითხვაზე „მიგაჩნიათ თუ არა, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში გახდებით მენარმეობით დაკავებული?“ შემდეგნაირად გადანაწილდა: დიახ, გავხდები თვითდასაქმებული - 25.6%; დიახ, დავინყებ მენარმეობას მცირე და/ან საშუალო ბიზნესში - 20.8%; დიახ, დავინყებ მენარმეობას მსხვილ ბიზნესში - 5%; არა - 46.1%; მონაცემები არ არის რესპოდენტთა 2.4%-დან.


განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ რესპოდენტთა 82.6%-ს ურჩევნია იყოს თვითდასაქმებული. რესპოდენტთა მხოლოდ 13.9 %-ს ურჩევნია იყოს სხვა ორგანიზაციის/პირის მიერ დაქირავებული. მონაცემები არ არის რესპოდენტთა 3.5%-დან.

თვითდასაქმების დიდი სურვილის მიუხედავად, პარადოქსულად ჩანს ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა უდიდეს ნაწილს (55.7%) ურჩევნია სახელმწიფო სექტორში დასაქმება კერძო სექტორში დასაქმებასთან შედარებით. კერძო სექტორში დასაქმებას ამჯობინებს რესპოდენტთა 41.2%. მონაცემები არ არის რესპოდენტთა 3.1%-დან. ასეთი პარადოქსული ვითარება შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ საქართველოში რესპოდენტებს მენარმეობასთან (და შესაბამისად კერძო ბიზნესთან) დაკავშირებულ საშიშროებებიდან ყველაზე დიდ საშიშროებად მიაჩნიათ არარეგულარული შემოსავლები. ამ მხრივ სახელმწიფო სექტორში დასაქმება რესპოდენტთა მიერ, სავარაუდოდ, სტაბილური შემოსავლების მიღების გარანტიად აღიქმება.

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს რესპოდენტთა პასუხები, თუ რომელი სექტორი მიაჩნიათ ყველაზე უფრო სასურველად მენარმეობის დაწყების თვალსაზრისით. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, რესპოდენტთა უმრავლესობა მენარმეობის დასაწყებად ყველაზე უფრო სასურველად მიიჩნევს განათლების, კულტურისა და დასვენების სექტორს (19.5%). სასურველი სექტორის მიხედვით რანჟირებისას პირველ ხუთეულში აღმოჩნდნენ: საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო მომსახურება (15.3%); ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა (14.7%); ვაჭრობა/კომერცია (11.6%); ჯანდაცვა 9.5%.

რესპოდენტთა პასუხები კითხვაზე: „არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, რომელ სექტორში ისურვებდით თვითდასაქმებას/მენარმეობის დაწყებას?“ შემდეგნაირად გამოიყურება: სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავება 5.4%; მრეწველობა 5.2%; ვაჭრობა /კომერცია 11.6%; მშენებლობა 3.0%; ტრანსპორტი 2.1%; კავშირგაბმულობა 2.7%; სათბობი, ენერგეტიკა 0.7%; ტურიზმი, საკურორტო მეურნეობა 14.7%; საფინანსო, საბანკო, სადაზღვევო მომსახურება 15.3%; ოპერაციები უძრავი ქონებით 2.2%; ჯანდაცვა 9.5%; განათლება, კულტურა, დასვენება 19.5%; სასტუმროები და რესტორნები, კვების ობიექტები 3.8%; სხვა მომსახურება 3.6%; მონაცემები არ არის 0.8%.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმატებული რეფორმების ფონზე სუსტია უარყოფითი განწყობა მენარმეობისადმი. მაღალი უმუშევრობის დონის ფონზე მნიშვნელოვნად დიდია თვითდასაქმების სურვილი. **გამოიკვეთა აგრარულ სექტორში მენარმეობისადმი ინტერესი დედაქალაქში მცხოვრებ რესპოდენტებს შორის. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავების სექტორში მენარმეობის დაწყებას ისურვებდა გამოკითხულთა 5.4%. აგრარულ სექტორში მენარმეობის დაწყების მსურველ რესპოდენტთა რიცხვი აღემატება მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სათბობისა და ენერგეტიკის სფეროში მენარმეობის დაწყების მსურველთა რიცხვს.** ძლიერია მომავალში სამენარმეო საქმიანობის დაწყების მოლოდინი. რესპოდენტთა უმეტესობა (48%) მენარმეობასთან დაკავშირებულ ყველაზე დიდ საშიშროებად არარეგულარულ შემოსავლებს მიიჩნევს. გამოკითხულთა 52% მიიჩნევს, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში გახდება მენარმეობით დაკავებული. საქართველოში თბილისელ რესპოდენტთა პოზიტიური დამოკიდებულება მენარმეობისადმი მიაჩნდება რესპოდენტთა თვითდაჯერებულობაზე, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის განცდაზე, ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების წარმატების მოლოდინზე.



არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, რომელ სექტორში ისურვებდით
თვითდასაქმებას/მეწარმეობის დანწყებას?

1. სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავება; 2. მრეწველობა;
3. ვაჭრობა/კომერცია; 4. მშენებლობა; 5. ტრანსპორტი; 6. კავშირგაბმულობა; 7. სათბობი, ენერჯეტიკა;
8. ტურიზმი, საკურორტო მეურნეობა; 9. საფინანსო, საბანკო, სადაზღვევო მომსახურება; 10. ოპერაციები უძრავი ქონებით; 11. ჯანდაცვა; 12. განათლება, კულტურა, დასვენება; 13. სასტუმროები და რესტორნები, კვების ობიექტები; 14. სხვა მომსახურება

IA NATSVLISHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

ENTREPRENEURIAL ATTITUDES IN GEORGIA'S AGRICULTURAL SECTOR

S u m m a r y

The article highlights the peculiarities of entrepreneurial attitudes in Georgia. According the empirical research results, 91.5% of Georgian respondents would like to be self-employed; 5.4 % of respondents from the capital city of Georgia expressed interest to become entrepreneurs in agricultural sector. The number of respondents willing to become entrepreneurs in agricultural sector exceeds the number of respondents willing to be self-employed in the fields of construction, transport, communication, fuel industry and energy sectors. In Georgia the respondents' greatest fear is uncertain income from entrepreneurship – 48% of respondents consider uncertain income from entrepreneurship as the greatest fear of becoming the entrepreneur; and 39.6% of respondents are concerned with bankruptcy from entrepreneurship. One of the specific characteristics of Georgians' entrepreneurial attitudes is the their expectations of becoming self-employed: about 52% of Georgians see feasibility of becoming self-employed in the next five years, which shows the self-confidence and expectations of social and political stability and successful market oriented economic reforms in Georgia.

დალი ნიკოლაიშვილი, ლია მაჭავარიანი, ვაჟა ტრაპანიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
გეოგრაფიის დეპარტამენტი,
ასოცირებული პროფესორები

მანანა შარაშენიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტი

საქართველოს აგროტურიზმის პერსპექტივის კომპლექსური შეფასება

აქტუალობა. აგროტურიზმი – ტურიზმის შედარებით ახალი სახეობა, განსაკუთრებით პოპულარული გახდა უკანასკნელ პერიოდში, რამაც წარმოქმნა ამა თუ იმ ტერიტორიის აგროტურისტული რესურსებისა და აგროტურიზმის პერსპექტივის შეფასების აუცილებლობა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა მრავალი ნაშრომი აგროტურიზმთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველოს კონტექსტში [ბარკალაია, 2009; ბახტაძე, 2001; მეტრეველი, 2004; საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, 2006; საქართველოში შიდა ტურიზმის სამომხმარებლო..., 2009; შუბლაძე, 2004 და სხვ.]. როგორც ტურიზმის შედარებით ახალი სახეობა, აგროტურიზმი მრავალმხრივ კვლევას საჭიროებს. დღემდე შეუსწავლელი რჩება მრავალი ისეთი საკითხი, როგორცაა აგროტურიზმის პერსპექტივის კომპლექსური შეფასება. ამ საკითხის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიული დაგეგმარების თვალსაზრისით. ამიტომ წარმოდგენილ კვლევას, ერთი მხრივ, აქვს სამეცნიერო-თეორიული, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ნებისმიერი ტერიტორიის აგროტურიზმის პერსპექტივის გამოვლენა გულისხმობს იმ რესურსების ერთობლივ ანალიზს, რომელიც გამოყენებადია ამჟამად ან პერსპექტივაში სასოფლო დასახლებებში დასვენების და ტურისტთა სასოფლო საქმიანობაში ჩართვის თვალსაზრისით. ცხადია, საკითხი მრავალნაზხაგოვანია, რომელიც საჭიროებს ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტების ერთობლივ ანალიზს. ასეთი ინტეგრირებული კვლევები მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მათ შორის უმნიშვნელოვანესია: 1) მონაცემთა სიმცირე და გაბნევა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და უწყებებში; 2) ერთიანი მეთოდის არარსებობა, რომლის მეშვეობითაც ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და ისტორიულ-კულტურულ თავისებურებათა ერთიან ჭრილში განხილვის საფუძველზე შეფასდებოდა ამა თუ იმ ტერიტორიის აგროტურისტული რესურსები და აგროტურიზმის პერსპექტივები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და აგროტურისტული პერსპექტივის კომპლექსური კვლევის მეთოდების შემუშავება.

საქართველოს ჭრილში საკითხი აქტუალურია განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ აგროტურიზმის პერსპექტივების კომპლექსური შეფასების შედეგები უნდა იქცეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების საფუძველად და ამის ბაზაზე შემუშავდეს ტურისტული მარშრუტების ქსელი. ასეთი მიდგომა არა მარტო დაიცავს საქართველოს გარემოს, რაციონალურ და ეფექტურს გახდის ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, არამედ გარკვეულ დამატებით იმპულსებს შექმნის საქართველოს ევროპისაკენ ინტეგრაციის გზაზე. იმ დასახლებებში, სადაც არ არის სასტუმროები, ტურიზმის ეს სახე მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება ეკონომიკური წინსვლისა და მოსახლეობის ადგილზე „დამაგრებისათვის“.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში აგროტურიზმს შეუძლია შეასრულოს მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია. უპირველესად ეს არის ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ხელშეწყობის ფუნქცია. თუმცა გაცილებით უფრო ფართოა აგროტურიზმის ფუნქციების ჩამონათვალი, კერძოდ,

- ადგილობრივი მოსახლეობის დამატებითი ფინანსური შემოსავლის ზრდა;
- სოფლიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში მოსახლეობის მიგრაციის შემცირება;
- მცირერიცხოვანი სოფლების შენარჩუნება;
- დედაქალაქის მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის შემცირება;
- ქალაქსა და სოფელს შორის სოციალური უთანასწორობის შემცირება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების შენარჩუნება-განვითარება;

- ეკოლოგიური განათლებისა და შემეცნების გაფართოების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენების შესაძლებლობა;
- ტრადიციული, ეკოლოგიურად მდგრადი მეურნეობის ფორმების პოპულარიზაცია და პრაქტიკაში დანერგვა და მრავალი სხვა.

ნაშრომის მიზანია საქართველოს აგროტურიზმის პერსპექტივის კომპლექსური შეფასება და იმ ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და ისტორიულ-კულტურულ ფაქტორთა გამოვლენა, რამაც შეიძლება შეასრულოს ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარების ფუნქცია.

კვლევის მეთოდი და სანყისი მონაცემები. აგროტურიზმის პერსპექტივის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლების გამოვლენა-ანალიზი, რომლებმაც შეიძლება შექმნას აგროტურიზმის განვითარების წინაპირობა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ლანდშაფტური და კულტურული მრავალფეროვნება, ბუნებრივი და კულტურული ძეგლების სიუხვე, ეკოლოგიური მდგომარეობა და ესთეტიკური გარემო, მინათსარგებლობის ფორმები, ისტორიულ-კულტურული ტრადიციები, ინფრასტრუქტურა და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ფაქტორები დადებითად მოქმედებენ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მის ფიზიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე და ხელს უწყობენ მის მოტივაციას გაცენოს და ჩაებას ადგილობრივ სასოფლო საქმიანობაში. ნაშრომში სწორედ ამ ფაქტორების ანალიზსა და ინტეგრალური მაჩვენებლის შემუშავებაზე კეთდება აქცენტი. მსგავსი საკითხების გადაჭრა, ცხადია, მიზანშეწონილია რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. თუმცა იგი გართულებულია საკითხის მრავალმხრიობისა და მრავალფაქტორიანობის გამო, ვინაიდან ერთდროულად ისეთი პარამეტრების გათვალისწინებაა საჭიროა, რომლებსაც ერთმანეთთან პრაქტიკულად არავითარი კავშირი არ აქვთ.


მეცნიერთა შორის მიმდინარეობს დისკუსია, რამდენად რეპრეზენტულია მსგავსი საკითხების გადაჭრა რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით და რამდენად ზუსტად ასახავს იგი ობიექტურ რეალობას. მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ასეთი კვლევები მოკლებულია სუბიექტივიზმს და მას ფართოდ იყენებენ კვლევებში [Environmental Sustainability Index, 2005; Sustainability Indicators, 1997; Арманд, 1950; Гандин, Каган, 1976; Кобышева, Ильина, 2001; Хорошев, Мерекалова, Алещенко, 2000]. მრავალფაქტორიანი შეფასებისას ხშირად მართლაც მიიღება არასასურველი შედეგები, კერძოდ, სრულიად განსხვავებული ობიექტები იღებენ ერთნაირ ჯამურ ბალს. ამასთან, ამით იკარგება ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება [Исаченко, 1972]. ამიტომ გეოგრაფიული კვლევებისას აღნიშნული მეთოდით სარგებლობა ხშირად არასწორი შედეგების მიღების რისკთანაა დაკავშირებული. მაგრამ ამ მეთოდის სრული უარყოფა მართებული არ არის, მით უმეტეს, თუ საუბარია ნორმირებული მნიშვნელობების მეთოდზე, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა ტიპის პარამეტრი „გადანაწილდება“ გარკვეული რიცხვითი ინტერვალის (ვთქვათ, 100-ის) ფარგლებში. ეს ამ პარამეტრების ურთიერთშედარების შესაძლებლობას იძლევა.

აგროტურისტული პერსპექტივის რაოდენობრივი შეფასება მეტად რთულია, ვინაიდან მისი განმსაზღვრელი ფაქტორები სხვადასხვა განზომილებისაა და შეუძლებელია მათი ურთიერთშედარება. ამიტომ მიზანშეწონილია სწორედ ნორმირებული მნიშვნელობების მეთოდის გამოყენება, რომელიც სხვადასხვა ტიპის მონაცემების „გადანაწილების“ შესაძლებლობას იძლევა გარკვეული რიცხვითი ინტერვალის (ვთქვათ, 100-ის) ფარგლებში. მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობაა მკვლევრის სუბიექტურ შეფასებისაგან არადამოკიდებულება და სხვადასხვა განზომილების მქონე მონაცემთა ნორმირება და მათი ურთიერთშედარების შესაძლებლობა.

მრავალფაქტორიანი საკითხის კვლევა მეტად მოსახერხებელია გის-ანალიზის მეშვეობით, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მძლავრი შესაძლებლობაა კარტოგრაფიული გამოსახულებების კომბინირება, ე.ი. თემატური ინფორმაციის (თემატური რუკების) ერთმანეთზე ზედდება, ოვერლეი. სხვადასხვა თემატური შინაარსის ფენების ურთიერთდალაგებით ხშირად შესაძლებელია დადგინდეს ვიზუალური კორელაციური კავშირები ამ ორ თემატიკას შორის. ამოცანის წარმატებული გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მოხდება სივრცითი და ატრიბუტული მონაცემების გაერთიანება მონაცემთა ბმულ, ინტეგრირებულ მოდელში.

გის-ანალიზისა და ნორმირებული მნიშვნელობების მეთოდის მეშვეობით შემუშავდა საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების აგროტურიზმის პერსპექტივის ამსახველი ინტეგრალური პარამეტრი და მისი გამაპირობებელი თითოეული მაჩვენებლის წილი ამ პარამეტრში. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს აგროტურიზმის განვითარებას, დაჯგუფდა სამ კატეგორიად. ესენია: ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ფაქტორები. ბუნებრივი ფაქტორები 12, სოციალურ-ეკონომიკური 6, ხოლო ისტორიულ კულტურული 4 მაჩვენებლით განისაზღვრა.

კვლევა ეფუძნება დარგობრივ-გეოგრაფიულ და სხვადასხვა უწყებაში არსებულ (როგორც სტატისტიკურ, ისე კარტოგრაფიულ) მონაცემებს, აგრეთვე თსუ აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საფონდო მასალებს (საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა წელს ჩატარებულ საველე-ექსპედიციური კვლევის მონაცემებს).



ნახ. 1. აგროტურიზმის მაღალი პერსპექტივის მქონე საქართველოს მხარეების პირველი ხუთეული


კვლევის ძირითადი შედეგები. საქართველოს აგროტურიზმის განვითარებაზე ერთდროულად გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი – ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული.

ბუნებრივ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია ბუნების როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ ობიექტთა მრავალფეროვნება. საქართველოსათვის ბუნებრივ ფაქტორთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მაღალი ესთეტიკური და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ხელუხლებელი ლანდშაფტების არსებობა, ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, მათ შორის ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, ჰიდროლოგიური ობიექტების, გეომორფოლოგიური ობიექტები, ტყეების, დაცული ტერიტორიების, კურორტებისა და მინერალური წყაროების სიახლოვე, იშვიათ ბუნებრივ ობიექტებსა და მოვლენებზე დაკვირვების შესაძლებლობა და მრავალი სხვა.

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, საქართველო მეტად ნაირგვაროვანი ბუნებრივი პირობებითა და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრეა საქართველოს ხელუხლებელი ტყეები, რაც მთელი ქვეყნის საერთო ფართობის 10 %-ს შეადგენს. ლანდშაფტური მრავალფეროვნების მიხედვით იგი ერთ-ერთი პირველია ევროპაში. რაც შეეხება ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას ფართობის ერთეულზე, ამ მხრივ საქართველო I ადგილზეა არათუ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც კი. მიახლოებითი გაანგარიშებით, ხმელეთის ყოველ 90 ათ. კმ²-ზე საშუალოდ მოდის ლანდშაფტების 2 ტიპი, მაშინ როცა, საქართველოში, 69,7 ათ. კმ²-ზე – 22 ტიპი. ამიტომაც უწოდეს მას სამართლიანად „მსოფლიოს ლანდშაფტური ლაბორატორია“ [ბერუჩაშვილი, 2000].

– ეკოლოგიურად სუფთა გარემო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აგროტურიზმის განვითარებას საქართველოში. აქ გარემოს ანთროპოგენურ ცვლილებებს ისეთი დიდი მასშტაბები არ ჰქონია, როგორც დასავლეთ ევროპაში. ამიტომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან შედარებით საქართველოს გარემო ეკოლოგიურად ნაკლებადაა დაბინძურებული და შედარებით მცირეა „ცხელი წერტილების“ რაოდენობაც [Beruchashvili, Shotadze, et. al., 2002]. პრაქტიკულად მთლიანად შეცვლილ ლანდშაფტებს უკავია საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობის მხოლოდ 1 %, ხოლო მნიშვნელოვნად შეცვლილს – 19 %. მცირედ შეცვლილ ლანდშაფტთა წილად კი მოდის ქვეყნის მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი – 58 % [Nikolaishvili, 2008]. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არის მწვავე ეკოლოგიური პრობლემები. ასეთი პრობლემები, რა თქმა უნდა, არსებობს და ზოგან საკმაოდ მწვავე ხასიათსაც ატარებს. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში უფრო ლოკალური ხასიათისაა და მასშტაბებით ბევრად ჩამორჩება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებს. ამიტომ შეგვიძლია ითქვას, რომ საქართველოს აქვს მაღალი ეკოლოგიური პოტენციალი, რომლის

გამოყენება შეიძლება აგროტურიზმის განვითარებისათვის. ყველა ზემოთ დასახელებულ ბუნებრივ ფაქტორთა ნორმირებული მნიშვნელობების ანალიზით დადგინდა, რომ განსაკუთრებით



ნახ. 2. საქართველოს აგროტურიზმის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები

პერსპექტიულია აფხაზეთი, შემდგომ სამეგრელო-ზემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი ლიდერობს (ნახ. 1). ეს ლოგიკური შედეგია. დასახელებულ მხარეთა ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია მათი მრავალგვაროვანი ბუნებრივი პირობებითა და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, ხელუხლებელი ლანდშაფტების გავრცელების მაღალი წილით, ეკოლოგიურად სუფთა გარემოთი, მაღალი ტყიანობით, მყინვარებისა და მღვიმეების ფართო გავრცელებით, ბუნებრივი ძეგლების სიუხვით და ა.შ. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა შორის აგროტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ათვისებულობის დონე, მცირე სასოფლო დასახლებების, ოჯახური მეურნეობებისა და ფერმების, ბიომეურნეობების არსებობა და სიუხვე, ინფრასტრუქტურის სიხშირე, ტურისტული ობიექტთა სიმრავლე და ა.შ. ჩამოთვლილ მაჩვენებელთა ნორმირებული მნიშვნელობების განსაზღვრამ გამოავლინა გაცილებით განსხვავებული სიტუაცია, ვიდრე ბუნებრივი ფაქტორების ანალიზმა. ამ შემთხვევაში გამორჩეულად ლიდერობს კახეთი. ეს განპირობებულია უპირველესად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და ბიომეურნეობების დიდი ფართობით (ორივე მაჩვენებლით იგი პირველ ადგილზეა საქართველოში), ინფრასტრუქტურის სიხშირით, ოჯახური მეურნეობებისა და ტურისტული სააგენტოების სიმრავლით. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთაგან, რითაც კახეთი არ არის გამორჩეული საქართველოს მხარეებს შორის, მცირე სასოფლო დასახლებებია, მაგრამ ამ ერთმა მაჩვენებელმა ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა ინტეგრალურ პარამეტრზე.

ისტორიულ-კულტურული ფაქტორები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს საქართველოს ტურიზმის განვითარებაში. ამ, როგორც დამატებით, თუმცა მნიშვნელოვან ფაქტორს, დიდი როლი შეუძლია შეასრულოს აგროტურიზმის განვითარებაში და დამატებითი „იმპულსის“ შექმნაში ტურისტთა მოსაზიდად. ამ ფაქტორთა შორისაა: არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლთა სიმრავლე, ხალხური რენვის, ხელობის, წეს-ჩვეულებისა და ტრადიციების მრავალფეროვნება და თანამედროვეობამდე თვითმყოფადი სახით შემონახვა. ამ ფაქტორთა ნორმირებული მნიშვნელობების ანალიზით დადგინდა, რომ განსაკუთრებით პერსპექტიული კვლავ კახეთია, შემდგომ კი – იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი.

როგორც ჩანს, საქართველოს აგროტურიზმის განვითარებაზე მოქმედი ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ფაქტორები არათანაბრადაა განაწილებული საქართველოს ტერიტორიაზე და ის რიგი სპეციფიკურობითაც გამოირჩევა. აგროტურისტული პერსპექტივის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ამ ფაქტორთა ერთობლივი, კომპლექსური შეფასება. ნორმირებული მნიშვნელობების მეთოდის გამოყენების საფუძველზე პროცენტულად შეფასდა საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების, მუნიციპალიტეტების) აგროტურისტული პერსპექტივები ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების შესაბამისად. ამ პარამეტრის ანალიზმა დაგვანახა, რომ ერთსა და იმავე ადმინისტრაციულ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ერთი, ან რამდენიმე ტიპის პერსპექტივა, რაც გამომდინარეობს თვით ამ რაიონის ბუნებრივი, თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ისტორიულ-კულტურული თავისებურებებიდან. უმე-

ტეს შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ერთეულებს ერთდროულად აქვს სხვადასხვა ტიპის აგროტურისტული პერსპექტივა, თუმცა შესაძლებელია გამოიკვეთოს მათ შორის ძირითადი, ე.წ. „ნამყვანი პერსპექტივა“. ფაქტორთა კომპლექსური შეფასებით დადგინდა, რომ აგროტურისტული თვალსაზრისით ყველაზე მაღალი პერსპექტივა აქვს კახეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და იმერეთს (ნახ. 2).

დასკვნა. შემუშავებულია აგროტურისტული პერსპექტივის განსაზღვრის მეთოდი, რომელიც კომპლექსურ მიდგომას ეფუძნება. ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და ისტორიულ-კულტურულ ფაქტორთა შეფასებისათვის ნორმირების მეთოდის გამოყენებამ საქართველოს აგროტურისტული პერსპექტივის დადგენა გახადა შესაძლებელი ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების, მუნიციპალიტეტების) მიხედვით.

დადგენილია საქართველოს აგროტურისტული პერსპექტივის არათანაბარი ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი. კერძოდ, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს სხვადასხვა აგროტურისტული პერსპექტივა. ამასთან, აგროტურიზმის განვითარებაში ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეულისათვის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ერთ ფაქტორს, ზოგიერთისათვის – მეორეს. ზოგიერთი ერთეულისათვის კი სამივე ფაქტორი თანაბარმნიშვნელოვანი პერსპექტივისაა. ამასთან, გამოვლენილია მაღალი და დაბალი აგროტურისტული პერსპექტივის მქონე ადმინისტრაციული ერთეულები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარკალაია ბ. ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა. თბილისი, 2009. 86 გვ.
2. ბახტაძე ე. ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხები. კრ.: მარკეტინგის აქტუალური საკითხები. 4. თბილისი: თსუ, 2001.
3. ბერუჩაშვილი ნ. საქართველოს პოტენციურად შესაძლებელი ხელუხლებელი ლანდშაფტები. საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. თბილისი, ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს ოფისის გამოცემა, 2000. გვ. 203-220.
4. მეტრეველი მ. ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები). თბილისი, 2004. 207 გვ.
5. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები (დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო). თბილისი, 2006. 58 გვ.
6. საქართველოში შიდა ტურიზმის სამომხმარებლო კვლევა. დეკემბერი, 2009. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. 2009.
7. შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი. თბილისი, 2004. 82 გვ.
8. Beruchashvili N., Shotadze M., Nickolaishvili D., Melikidze V., Caucasus Environmental Outlook (CEO 2002). UNEP, GridTbilisi, 2002. 100 p.
9. Environmental Sustainability Index. Benchmarking National Environmental Stewardship. Yale University. Yale Center for Environmental Law and Policy, Columbia University. Center for International Earth Science Information Network. 2005.
10. Sustainability Indicators: Report of the Project on Indicators for Sustainable Development. B. Moldan, and S. Billharz eds. Scientific Committee on Problems of the Environment (SCOPE 58). - Wiley, U.K., 1997.
11. Арманд Д.Л., Опыт математического анализа связи между растительностью и климатом. Изв. ВГО, 1950. т. 82, вып. 1.
12. Гандин Л.С., Каган Р.Л., Статистические методы интерпретации метеорологических данных. Л.: Гидрометеоиздат, 1976. 357 с.
13. Исаченко А.Г., К методике прикладных ландшафтных исследований. Изв. ВГО. т. 104, вып. 6, 1972. с. 417-429.
14. Кобышева Н.В., Ильина О.Б., Методы оценки и районирования климатических ресурсов Ленинградской области. Метеорология и гидрология, № 9, 2001. стр. 17-24.
15. Николаишвили Д.А., Комплексная оценка антропогенной трансформации ландшафтов Грузии. ж.: «Известия Академии Наук России. Серия географическая». №2. Март-Апрель. М., 2008. стр.112-115.
16. Хорошев А.И., Мерекалова К.А., Алещенко Г.М., Масштабные уровни реализации межкомпонентных отношений в ландшафте. Тезисы доклада МЦ РГО – май 2000. РГО, Московский центр. <http://rgo.msk.ru/comissions/physical/2005-04-28.htm>.

DALI NIKOLAISHVILI, LIA MATCHAVARIANI, VAZHA TRAPAI DZE

Ivane Javak hishvili Tbilisi State University

Associate Professors

MANANA SHARASHENIDZE

Doctoral Student

COMPREHENSIVE EVALUATION OF AGRITOURISM PERSPECTIVES OF GEORGIA

S u m m a r y

The main purpose of this work is to elaborate the method of comprehensive analysis and evaluation of agritourism perspectives based on the method of normalized value and GIS technologies. For this purpose, the statistical data and long-term field work observations on different regions of Georgia were used. In order to achieve this purpose, different parameters were determined according to Georgian administrative units (regions, districts). These parameters were grouped in accordance with three main factors, such as: natural, social-economic and historic-cultural factors.

Some features of territorial distribution of agritourism perspectives in Georgia have been revealed. In different administrative prevail different factors. The biggest agritourism perspective (according to the normalized value of three main factors) have Abkhazeti, Samegrelo-Zemo Svaneti and Racha-Lechkhumi-Kvemo Svaneti. This is a logical result, because these regions of Georgia are distinguished from other regions by the diversity of natural conditions, including biological and landscape diversity, high level of forestation coefficient, vast area of virgin forest and ecologically clean landscapes, proximity of natural monuments (waterfalls, glaciers, caves, erratic boulders, and natural bridges), etc.

Particular attention was paid to revealing those administrative units which have the highest levels of agritourism perspectives.

ნუზარ პაიჭაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკის აზარული სექტორის მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

ეკონომიკის მართვის უპირველესი ამოცანაა მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და რეალიზაციისათვის, ასევე, ქვეყნის ეკონომიკის სანარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნა. აღნიშნული მთლიანად ვრცელდება აგრარულ სექტორზე. რაც უფრო ეფექტურია მისი მართვა, მით უფრო ეფექტიანად მუშაობს მისი სანარმოები და ორგანიზაციები.

სამწუხაროდ, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველივე წლებში დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომა, რაც გამოიხატა აგრარული სექტორის მართვაში სახელმწიფოს როლის იგნორირებაში. ამან კი გამოიწვია სხვადასხვა მახინჯი მოვლენა, მათ შორის მონოპოლიზებისა და ჩრდილოვანი კაპიტალის როლის გაძლიერება და, საბოლოო ანგარიშით, დარგის ფაქტობრივი ნგრევა. ცხადია, ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, რომ გამოეყენებინათ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. საქმე ისაა, რომ ეკონომიკის დემოკრატიზაციისა და პროგრესის მიმდინარე პროცესები, საკუთრების უფლების დაცვა, რომელთა საფუძველზე ამ ქვეყნებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან განვითარებას, შესაძლებელი გახდა სწორედ სახელმწიფოების აქტიურ მოქმედებათა საშუალებით.

საზღვარგარეთული და სამამულო გამოცდილებით ცნობილია, რომ ყოველი ეფექტური რეფორმა სოფლის მეურნეობაში დადებით შედეგს იძლევა რეფორმის პირველივე წლიდან. საქართველოში კი იგი (რეფორმა) გრძელდება ორი ათეული წელი და მდგომარეობა არათუ უმჯობესდება, არამედ უარესდება კიდევ. ეს კი მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფო მართვის უკიდურესად დაბალ დონეზე. მისი მთავარი მიზეზი ისაა, რომ აქ სახელმწიფო მართვის სისტემა აგებულია ადმინისტრაციულ, ადმინისტრაციულ-რეპრესიულ და არა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ეკონომიკურ მეთოდებზე.

საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი კანონზომიერებებია: ეკონომიკის დემოკრატიზაცია; ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ამალღება; სახელმწიფოს მაკონტროლებელი როლის გაძლიერება; სახელმწიფოს სოციალური როლის ამალღება; ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერება; ინოვაციური ეკონომიკური სისტემების განვითარება და სხვ. მოკლედ თითოეული მათგანის შესახებ:

კანონზომიერება „ეკონომიკის დემოკრატიზაცია“ გულისხმობს მესაკუთრის უფლების გარანტირებულ დაცვას; ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობასა და მის ორგანოთა აქტიურ საქმიანობას; მართვაში მუშაკთა მონაწილეობის გაფართოებას; მომუშავეთა ხელფასის წილის ამალღებას პროდუქტის თვითღირებულებაში; საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის კოოპერაციული ფორმის განვითარებას და სხვ.

კანონზომიერება „ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ამალღება“ გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად, განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს და საჭირო შემთხვევაში ეხმარება დარგს ტექნიკურად და ფინანსურად. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო დახმარების საშუალო დონეა 38 %. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შვეიცარიაში – 76 %, იაპონიაში და ფინეთში – 72 %. ყოველივე ეს ამ ქვეყნებში აღიქმება არა როგორც დახმარება, არამედ როგორც რეგულირების საშუალება.

სახელმწიფოს მაკონტროლებელი როლის გაძლიერება სოფლის მეურნეობის მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რამდენადაც ქვეყნის ბიუჯეტის შესაძლებლობა და მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოებიდან სამეურნეო ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ფინანსურ-სამეურნეო და სხვა საქმიანობის კონტროლის ხარისხზე.

კანონზომიერება „სახელმწიფოს სოციალური როლის ამალღება“ გამოხატულებას პოულობს მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების დაცვაში; ისეთი სოციალური ამოცანის გადანეყვების მნიშვნე-

ლობის გაცნობიერებაში, როგორცაა სოციალური სფეროს ობიექტების დაფინანსება და მშენებლობა; მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივი ზრდის სტიმულირებაში; ინვალიდებისა და უმუშევრების დაცვაში და ა.შ.

კანონზომიერებაში **ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ამაღლება**, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საგადასახადო სისტემის დემოკრატიზაცია, რაც გამოიხატება საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყოფაში ადგილობრივი არჩევითი ორგანოებისათვის, რაც ამ უკანასკნელთა ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

კანონზომიერება **„ინოვაციური ეკონომიკური სისტემების განვითარება“** გულისხმობს, რომ წარმოების დაჩქარებული განვითარებისათვის აუცილებელია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების დაწინაურება წარმოებაში და მის საფუძველზე დარგისა და სანარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამიტომ, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ გადამწვეტილებათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, განვითარებულ სახელმწიფოთა მთავრობები შეღავათიან პირობებში ახორციელებენ სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებათა დაფინანსებას. ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებაში დიდ როლს თამაშობს, აგრეთვე, საჭირო ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების სფეროში სახელმწიფოს როლის გააქტიურება. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი წარმატებები აქვს იაპონიას, სამხრეთ კორეას, ტაივანს და სხვ.

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის განვითარების კანონზომიერებები საქართველოში ნაკლებად გაითვალისწინება ან საერთოდ უგულვებელყოფილია. მისი ერთ-ერთი კანონზომიერების **„ეკონომიკის დემოკრატიზაცია“** მოთხოვნა ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობა და მის ორგანოთა აქტიური საქმიანობა. ჩვენთან იგი არათუ აქტიურად ვერ მუშაობს, არამედ საერთოდ გაუქმდა და, შესაბამისად, არ ფუნქციონირებს. იგივე კანონზომიერება გულისხმობს საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის კოოპერაციული ფორმის განვითარებას. იგი ფართოდ გამოიყენება მონინავე ქვეყნებში, განსაკუთრებით ისრაელში და კარგი შედეგებიც აქვს. ჩვენთან კი, რატომღაც, ბევრი მას აიგივებს სოციალიზმის დროს ჩვენს ქვეყანაში არსებულ კოლმეურნეობებთან და მისი სახელის ხსენებასაც კი ერიდება. თუმცა, საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის კოოპერაციული ფორმა გაცილებით უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე სოციალიზმის დროს ჩვენში ფუნქციონირებადი კოლმეურნეობები. სინამდვილეში, ამ ე. წ. კოლმეურნეობების ტრაგედია მდგომარეობდა არა საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის კოოპერაციული ფორმის არსებობაში, არამედ მის არასწორ ხელმძღვანელობაში და სახელმწიფოს მხრიდან მასში მეტისმეტ ჩარევაში, რაც, საბოლოო ანგარიშით, განაპირობებდა ეკონომიკის განვითარების საბაზრო პრინციპების უგულვებელყოფას გეგმურის სასარგებლოდ, მისგან გამომდინარე ყველა შედეგებით. საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის კოოპერაციული ფორმის გამოყენება ხშირად არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა. მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაწილის მოსახლეობაზე გადაცემამ ჩვენი გამოიწვია ვენახის პლანტაციების მეტისმეტი დანაწევრება. ზოგიერთ შემთხვევაში მოხდა მათი ცალ-ცალკე შემოღობვაც კი. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია მათი დამუშავება უახლესი (და არა მარტო უახლესი) ტექნიკური საშუალებებით. ცხადია, საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის კოოპერაციული ფორმის გამოყენება აგვაცილებდა ასეთ უხერხულობას.¹ რაც შეეხება „ეკონომიკის დემოკრატიზაციის“ ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა მართვაში მუშაკთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო უარესადაა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აგრარული სექტორის მართვაში აქ დასაქმებულ მუშაკთა ფართო წრე ფაქტობრივად არ მონაწილეობს. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების ძირითადი საკითხების გადანყვეტაში ხშირად ადგილობრივი ხელმძღვანელობის მონაწილეობაც მხოლოდ მიზეზულ ხასიათს ატარებს. ისინი ძირითადად წყდება ცენტრში, სერიოზული ანალიზისა და განხილვების გარეშე. ეს კი, ცხადია, აფერხებს ისედაც ჩამორჩენილი დარგის განვითარებას.

რაც შეეხება შემდეგ კანონზომიერებას – **„ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ამაღლება“**, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც მდგომარეობა სახარბიელო არაა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან (საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველივე წლებიდან) ქვეყნის უმაღლესი და საშუალო დონის ხელმძღვანელობის დიდ ნაწილში გაბატონდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც მთავარია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და შემდეგ იგი თვით დაარეგულირებს ეკონომიკას, მათ შორის აგრარული სექტორის განვითარებასაც, სახელმწიფოს მასში ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა, რამაც განაპირობა ქვეყნის მთელი ეკონომიკის და, მათ შორის სოფლის მეურნეობის სერიოზული ჩამორჩენა. ცხადია, ეს არ

¹ სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის სიკეთეებზე უფრო დანვრისებით იხილეთ პაატა კოლუაშვილის სტატიის „კოოპერაცია – ქართული სოფლის აღორძინების გზა“, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011, 3, გვ. 41.

მოხდებოდა, რომ, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, უბრალოდ გაეთვალისწინებინათ მსოფლიოს მონინავე ქვეყნების გამოცდილება. ფაქტობრივად, უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს ურთიერთობა სოფლის მეურნეობის მართვასთან წარმოებდა ძირითადად ადმინისტრაციული მეთოდებით და იგი შორს იყო მარეგულირებელი ფუნქციისაგან. სამუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია გრძელდება დღესაც გარკვეული გამონაკლისების გარდა (მხედველობაშია ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სუბსიდიების გამოყოფა მევენახეებისადმი და სხვ.).

არასახარბიელო მდგომარეობაა, აგრეთვე, შემდეგი კანონზომიერების – **„სახელმწიფოს სოციალური როლის ამალღება“** – მოთხოვნების შესრულების მიმართულებით. კერძოდ, ნაკლებადაა დაცული მოსახლეობის სამოქალაქო უფლებები, სათანადო ყურადღება არ ექცევა ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა სოციალური სფეროს დაფინანსება და მშენებლობა, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის სტიმულირება, ინვალიდებისა და უმუშევრების დაცვა და ა. შ.

როგორც უკვე აღინიშნა, სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერებაა **„ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ამალღება“**. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა მართლაც რომ სავალალოა. ბოლო წლებში საქართველოში სოფლად თვითმმართველობას როლი არათუ გაიზარდა, არამედ იგი ფაქტობრივად საერთოდ მოიშალა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში დღეს სოფლებს არც საკუთარი თვითმმართველობა გააჩნია, არც საკუთარი ტერიტორია და, შესაბამისად, არც მისი საზღვრები. ასეთ სიტუაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ამალღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაც შეეხება ზემოაღნიშნული კანონზომიერების ერთ-ერთ მოთხოვნას – **„საგადასახადო სისტემის დემოკრატიზაცია“** – რაც გულისხმობს საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის დატოვებას ადგილობრივი არჩევითი ორგანოსათვის, ესეც მხოლოდ განუხორციელებელი ოცნებაა. საქმე ისაა, რომ ჩვენში სოფლებს დღეს არჩევითი ორგანოები არ გააჩნია და არარსებულებს ვარაფერს დაუტოვებენ. რაც შეეხება მუნიციპალიტეტების დონეზე არსებულ არჩევით თვითმმართველობით ორგანოებს, სამუხაროდ, მათ უტოვებენ საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ მცირე ნაწილს, რაც, ცხადია, ვერ შეასრულებს მის მთავარ ფუნქციას – იყოს მოცემული ადმინისტრაციული ერთეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

სერიოზული ნაკლოვანებებია ინოვაციური ეკონომიკური სისტემების განვითარების მიმართულებითაც. ფართო მასშტაბით არ ხდება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევის დაწერგვა წარმოებაში და მის საფუძველზე დარგისა და მის სანარმოთა კონკურენტუნარიანობის ამალღება. სამეცნიერო-ტექნიკურ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის ამალღების მიზნით, ქვეყნის მთავრობა იშვიათად ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროგრესულ მიმართულებათა დაფინანსებას შეღავათიან პირობებში. არასაკმარისია სახელმწიფოს როლი დარგის განვითარების პრობლემებზე უახლესი ინფორმაციის შეკრებასა და გავრცელებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის მართვის დღევანდელი მდგომარეობა სრულიადაც ვერ პასუხობს მისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს და აუცილებელია მისი უსწრაფესი გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მართვის სახელმწიფო-ადმინისტრაციული რეგულირებიდან პროგრამულ-ნორმატიულ რეგულირებაზე გადასვლა, ეკონომიკის დემოკრატიზაცია, ანტიმონოპოლიური სამსახურისა და მისი ორგანოების აღდგენა და გააქტიურება, საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დაწერგვა, დარგის მართვაში აქ დასაქმებულთა ფართო წრის მონაწილეობის უზრუნველყოფა, ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ამალღება, სახელმწიფოს სოციალური როლის ამალღება, სოფლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა აღდგენა და მათი გააქტიურება, არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა, სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური ეკონომიკური სისტემების მხარდაჭერა და ა. შ.

NUGZAR PAITCHADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

**CERTAIN ISSUES OF PERFECTING THE MANAGEMENT OF THE AGRICULTURAL SECTOR
OF GEORGIAN ECONOMY**

S u m m a r y

The article addresses pressing issues of the management of the agricultural sector of Georgia's economy, such as: democratization of the economy, regulatory role of the state in managing the economy, significance of enhancing the controlling and social roles of the state, the role of local self-governance as well as development of innovatory economic systems. It scrutinizes certain aspects of management of the given sector of economy and comes up with several considerations regarding its perfection.

ზურაბ რევიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტი
მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობები: ფორმირება, პრობლემები და განვითარების გზები

საქართველოს გასაბჭოების პერიოდში(1921–1991წწ.), სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დომინირებდა სახელმწიფო საკუთრება. მინა მთლიანად, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა. 1991 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფონდების საერთო ღირებულებიდან 66,5% ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების წილად მოდიოდა 27% და პირადი საკუთრება შეადგენდა 6,5%. აღსანიშნავია, რომ კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრებას ნაკლებად ახასიათებდა კოოპერატიული საკუთრების ნიშნები, რეალურად იგი სახელმწიფო საკუთრების ნაირსახეობას წარმოადგენდა. 1990 წელს საქართველოში საკარმიდამო ანუ პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა მთლიანი სახნავი მიწების 12%-ით და მრავალწლიანი ნარგავების 27%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ პირად დამხმარე მეურნეობას არ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თუ სხვა წარმოების ძირითადი საშუალებების საკუთრებაში ფლობის უფლება. მთლიანად, ამ დროისათვის, პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 5,5-6%-ით (ამ მაჩვენებელში არ არის გათვალისწინებული საერთო საძოვრებით სარგებლობა) და ამავე დროს ამ სექტორში ინარმოებოდა რესპუბლიკაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 47% [1, გვ. 70,73]. სწორედ პირადი დამხმარე მეურნეობა წარმოადგენდა საფუძველს სასოფლო-სამეურნეოების ჩამოყალიბებისა.

სსრკ-ს დაშლამ და საქართველოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა შექმნა შესაძლებლობა სოფლის მეურნეობაში არსებითი გარდაქმნების განხორციელებისა. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო რეფორმირება მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, განკერძოების საკითხი კერძოდ, საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობისა და პრობლემატურობის გამო, მოითხოვდა მსოფლიოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკების რიგ გამოცდილებათა მეცნიერულ გააზრებას, ქვეყნისათვის მისაღები სოფლის მეურნეობის განვითარების მოდელების ფართო განხილვის საფუძველზე, საუკეთესო ვარიანტის შერჩევასა და სათანადო სამთავრობო სტრატეგიის შემუშავებას.

საქართველოში მომხდარამა(1992წ.), გარე ძალების ხელშეწყობით პროვოცირებულმა, სამხედრო გადატრიალებამ განაპირობა ქვეყნისათვის კატასტროფული, ანარქიული მოვლენები, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაჩქარევ განაწილებასა და კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ქონების გაუაზრებელ დაშლასა და რიგ შემთხვევებში ძარცვაშიც აისახა. მიწების განაწილების პროცესი, ნაჩქარევად განხორციელების გამო, მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობდა. მთლიანად განაწილების პროცესმა აჩვენა, რომ იგი საჭიროებდა თითოეული რეგიონისათვის სათანადო გააზრებას და კონკრეტული მიწის რესურსების და სავარგულების გაადგილების, სარგებლობის პირობების სრულად გათვალისწინებას. ასევე, უნდა განსაზღვრულიყო სასოფლო-სამეურნეოების ოპტიმალური ზომები როგორც ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე, ხელი უნდა შეწყობოდა მათი განვითარების ხელშეწყობი პირობების, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას.

საქართველოს სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლზე გაანგარიშებით, საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 3,9 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული (გაანგარიშებულია 2003წ. სავარგულების მთლიან ფართობზე – 3023,5 ათას ჰა-ზე), აქედან დაახლოებით 1,38 ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავი და 2,51 ჰა სათიბ-საძოვარი. ფაქტიურად 2003 წელს (1 აპრილისათვის) სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლს, პირად სარგებლობაში არსებული ნაკვეთების (0,15-0,25ჰა) ჩათვლით, საკუთრებაში გადაეცა 690,1 ათასი ჰა ფართობი (საშუალოდ – 0,89 ჰა); აქედან ყოფილ კოლმეურნეობათა წევრებს და სახელმწიფო მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების 713,1 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 632,3 ათასი ჰა; სოფლად მცხოვრებ სხვა დასაქმების სფეროების მუშაკების 59,4 ათას ოჯახს გადაეცა 57,8 ათასი ჰა. ამ პერიოდისათვის მთლიანად საქართველოში საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მთლიანი რაოდენობის 25,2%. ამასთან

ერთად, 40,2 ათასმა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰა (საშუალოდ -11,8 ჰა) და 4,2 ათას იურიდიულ პირზე გაიცა 432,0 ათასი ჰა (საშუალოდ -102,9 ჰა) [8, გვ. 1-3; 9, გვ. 1,4].

საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2% ფლობდა 0,5 ჰა-ზე ნაკლებს; 0,5-0,99 ჰა მიწას ფლობდა 32% მეურნეობებისა, ე. ი. 1 ჰა-ზე ნაკლებს ფლობდა 75,2% მეურნეობებისა; 1-1,99 ჰა-მდე გააჩნდა მხოლოდ 18,3%-ს მეურნეობებისა; 2-2,99 ჰა - 3%-ს და 3-4 ჰა გააჩნდა 1,4 %-ს შინამეურნეობებისა. აღსანიშნავია, რომ სასოფლო მეურნეობების მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია, ნაკვეთები გაბნეულია და მნიშვნელოვნადაა ერთმანეთს დაცილებული. აღწერის მონაცემებით, ერთნაკვეთიანი მეურნეობები შეადგენდა მთელი მეურნეობების 33,9%-ს, 2-3-ნაკვეთიანი იყო მეურნეობათა 48,8%; 4-5-ნაკვეთიანი მეურნეობა იყო 13% მეურნეობებისა და 6-9-ნაკვეთიანი - 3,9% მეურნეობებისა [10, გვ. XXIII; 3-5; 51-54,87].

საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან შინამეურნეობათა საშუალო ფართობის ზომების მიხედვით. თუ მთლიანად ქვეყნის კონტროლირებად ტერიტორიაზე, როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო ადგილებში, საშუალოდ ერთი ოჯახური მეურნეობა სარგებლობდა 1,05 ჰა-ით (2004წ.); რეგიონებში ეს მონაცემი შეადგენდა (ჰა-ში): აჭარა-0,5; გურია-0,82; იმერეთი-0,64; კახეთი-1,9; მცხეთა-მთიანეთი-0,99; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი-0,89; სამეგრელო-ზემო სვანეთი-0,71; სამცხე-ჯავახეთი-2,21; ქვემო-ქართლი-0,95 და შიდა ქართლი - 0,9 [10, გვ. 84-86].

აღწერის მონაცემებით, საქართველოში საშუალოდ ერთ სასოფლო შინამეურნეოზე გაანგარიშებით მოდიოდა: 3,59 წვერი, მათ შორის 15-65 წლამდე 2,3 წვერი. იგი საშუალოდ ფლობდა(ჰა-ში): 1,21 სასოფლის-სამეურნეო სავარგულს, მათ შორის 0,68 სახნავს, 0,14 მრავალწლიან ნარგავს, 0,35 სათიბ-საძოვარს და 0,05 სხვა კატეგორიის მიწას. საშუალოდ ერთი მეურნეობა ფლობდა ასევე: მსხვილფეხა (კამეჩის ჩათვლით) -1,71 სულს, მათ შორის ფურსა და ფურკამეჩს-1,01 სულს; ღორს 0,7 სულს, ცხვარსა და თხას-1,04 სულს, ფუტკარს-0,22 სკას, ფრინველს-13,8 ფრთას; ცხენს, ვირსა და ჯორს-0,08 სულს [10, გვ. 39,42,45,58,61,221,224,227,259].

შინამეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალია. მხოლოდ ამ მეურნეობების 2,1%-ს გააჩნდა(2004წ.) საკუთრებაში რომელიმე სახეობის ტრაქტორი (ბორბლიანი, მუხლუხა, მინი); 2,8%-ს გააჩნდა ხელის ტრაქტორი(მოტობლოკი); 0,16% ფლობდა კომბაინს; 2,6% ფლობდა სატვირთო ავტომობილს; 8,4% ფლობდა სხვა სახის ავტომობილს. ამავე დროს, მეურნეობების 52,3% სარგებლობდა რომელიმე სახეობის ტრაქტორით; 7,4% სარგებლობდა ხელის ტრაქტორით; 10,8% - კომბაინით; 23,8% - სატვირთო მანქანით და 10,4% კი სარგებლობდა სხვა მანქანით[10, გვ. 251,254]. სოფლების უმეტესი ნაწილი მწვავედ განიცდის ტრაქტორების, მისაბმელების, კომბაინების დეფიციტს. ნაკვეთების დაქსაქსულობის, მცირე ზომების გამო, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისას, იხარჯება მეტი საწვავი, ტექნიკა გამოიყენება არაეფექტურად. სათანადო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მისაბმელების (სათესი, სასუქის, შხამ-ქიმიკატის შემტანი და სხვ.) ამორტიზებულობის, ან უქონლობის შედეგად აგროტექნიკური სამუშაოები ხორციელდება არადროულად, ირღვევა აგროვადები. იკვეთება ტენდენცია, მექანიზირებული სამუშაოების შემცირებისა და ცოცხალი გამწვევი ძალით(ხარი, ცხენი) თუ ხელის იარაღებით შრომის წილის გადიდებისა. ასევე, მნიშვნელოვნად გადიდდა დაუმუშავებელი, გაკორდებული სახნავების წილი. შინამეურნეობის აღნიშნული პრობლემები გავლენას ახდენენ მათ მოსავლიანობაზე და პროდუქტიულობაზე.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთლიანად შეიმჩნევა ოჯახური შინამეურნეობების წილების ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილების შემცირების ტენდენცია. ასე, მაგალითად, 1998- 2009 წწ. წელს ოჯახურ შინამეურნეობათა წილი კულტურათა მთლიან წარმოებაში გაიზარდა: მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები - 88%-დან 96,7%-მდე; სიმინდი - 90%-დან 100%-მდე; ბოსტნეული - 87%-დან 96,9%-მდე; ბალჩეული - 62%-დან 100%-მდე; ხილი - 99%-დან 99,8%-მდე; ციტრუსი - 98%-დან 99,9%-მდე; ჩაის ფოთოლი - 45%-დან 70,7%-მდე. ამავე დროს, ყურძნის წარმოებაში მისი წილი შემცირდა 97%-დან 94,5%-მდე. ამ პერიოდში, შინამეურნეობებს წილი ასევე გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობაში 98,5%-დან 99,3%-მდე; ღორის რაოდენობაში 99,2%-დან 100%-მდე. თუმცა, აღნიშნულ წლებში, შემცირდა მათი წილი ცხვრისა და თხის რაოდენობაში 99,2%-დან 94,9%-მდე; ფრინველში - 98,8%-დან 79,3%-მდე [11, გვ. 35,54; 13, გვ. 34,47,61]. მეცხოველეობის პროდუქციის მთლიან წარმოებაში ოჯახური შინამეურნეობის წარმოების წილი შეადგენდა (2009წ.): მსხვილფეხა საქონლის ხორცის წარმოებაში 99,5%-ს, ღორის ხორცის წარმოებაში 99,8%-ს, ცხვრისა და თხის ხორცის წარმოებაში 98,6%-ს, რძის წარმოებაში - 98,9%-ს, მატყლის წარმოებაში 96,3%-ს, თაფლის წარმოებაში - 99,5%-ს; შედარებით

დაბალი წილი ჰქონდათ ფრინველის ხორცის –83,6% და კვერცხის წარმოებაში – 43,6%[13, გვ. 34,47,61,68].

აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებენ სასოფლო შინამეურნეობების განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელების აქტუალობასა და მნიშვნელობას. თუმცა ფაქტები მეტყველებენ, რომ ამ მიმართულებით არ იდგმება სასურველი ნაბიჯები. საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მთლიანად და სასოფლო შინამეურნეობებისთვის კერძოდ, დამახასიათებელია საშუალო მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის შემცირების ტენდენცია. ამ ტენდენციას გარკვეულად ასახავს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობისა და თევზჭერის წილის შემცირების ტენდენცია; თუ 2000წ. იგი შეადგენდა 20,6%-ს, 2008 წელს – 8,9%, 2009წ. – 8,1%; ხოლო 2010 წელს (წინასწარი მონაცემებით) მან შეადგინა 7,3%. [11, გვ.11,17,18; 13, გვ.17].

სასოფლო შინამეურნეობათა დიდი ნაწილის მცირემნიშვნეობა, მათში პირუტყვის სულადობის სიმცირე, სამუშაოთა შეზღუდული მასშტაბები და მეტად დაბალი პროდუქტიულობა, ოჯახის ასაკოვანი წევრების მხოლოდ ნაწილის დასაქმების (თვითდასაქმების) შესაძლებლობებს იძლევა; ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ამ მეურნეობებში ნაწილობრივად დატვირთული ან ფაქტიურად უმუშევარია. ვფიქრობთ, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის დადგენის მოქმედი მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლითაც ფიქსირდება მხოლოდ დასაქმების (თვითდასაქმების) თუ შინამეურნეობაში მონაწილეობის ფაქტი, არ გვაძლევს რეალურ სურათს, რადგან მათში არ აისახება სასოფლო შინამეურნეობებისთვის დამახასიათებელი არასრული, ნაწილობრივი დასაქმება თუ ფარული უმუშევრობა [6]. ამგვარი ვითარება, ქვეყნის ქალაქებში მაღალი უმუშევრობის დონე და მათში დასაქმების უპერსპექტივობა და პრობლემატურობა, რეალურად ქმნის საფრთხეებს სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ქვეყნიდან მიგრაციისა.

მცირე და საშუალო სასოფლო შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია თვითურუნველყოფაზე და მთლიანად ახასიათებს მეტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონე. ამ მეურნეობათა შემოსავლების დაბალი დონე, მათში ფულადი შემოსავლების დაბალი ხვედრითი წილი და ნატურალური შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილი, განაპირობებს სასოფლო შინამეურნეობების წარმოების უნივერსალურობის აუცილებლობას და მნიშვნელოვან წილად პირადი მოხმარების ნატურალურ ხასიათს.

მცირე და საშუალო ზომის სასოფლო შინამეურნეობებს მეტად შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ ბანკის კრედიტის აღებასთან დაკავშირებით [4, გვ.73-88]. კრედიტის აღების შემთხვევაში კი, აღსანიშნავია ის მაღალი რისკები, რომელიც დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის რელიზაციის სირთულეებთან და ფასების მერყეობასთან, რაც ფაქტობრივად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის კრედიტისა და პროცენტის დაბრუნებას.

საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში განუვითარებელია ინფრასტრუქტურები, რომლებიც მოამარაგებენ შინამეურნეობებს თესვებით, შხამ-ქიმიკატებით, სასუქებით და წარმოების სხვა საშუალებებით. ასევე განუვითარებელია სამსახურები, რომლებიც გაუნევენ მათ კონსულტაციებს ახალი აგროტექნოლოგიების დანერგვაში, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდაში, სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რელიზაციაში. უმრავლეს შემთხვევაში, შინამეურნეობების წევრებს აქვთ არასწორი ან არასრული ცოდნა აგროტექნიკურ და ზოოვეტერინარულ საკითხებზე, არა აქვთ სათანადო ინფორმაცია ახალ თესვებზე, პირუტყვის ჯიშებზე და ეფექტურ აგროტექნოლოგიებზე. მრავალი წვრილი, განუვითარებელი შინამეურნეობის არსებობა მეტად ართულებს ერთგვაროვანი ნედლეულის შექმნისა თუ შეკრების შესაძლებლობებს, რაც, ბუნებრივია, სერიოზული ბარიერია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.

მეტად მცირე ნაწილი სასოფლო შინამეურნეობებისა ფლობს ან სარგებლობს მიწის, შრომისა და კაპიტალის საკმარისი რესურსით, მათ უმეტეს ნაწილს გააჩნია შედარებით ჭარბი ოჯახური სამუშაო ძალა და მცირე ზომის სავარგული (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავი), მაგრამ ფულადი შემოსავლების სიმცირის გამო, არ გააჩნია სათანადო შემოსავალი ტექნიკის დასაქირავებლად, თესვების, სასუქების და შხამ-ქიმიკატების შესაძენად. სასოფლო შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი იძულებულია გამოიყენოს წინა წლების მარცვლეულის თუ ბოსტნეულის მოსავლის ნაწილი სათესლე მასალად და აწარმოოს მინერალური სასუქის, შხამ-ქიმიკატების, მორწყვის გარეშე, ბუნებრივი მოვლენების იმედად. ასეთი წარმოება, ჩვეულებრივ იძლევა ძალიან დაბალ მოსავალს, ხოლო გვალვების, სარეველების მომძლავრების, მღრღნელებისა თუ მწერების შემოსევის, მცენარეთა დაავადებების შემთხვევებში, ისინი საერთოდ უმოსავლოდ რჩებიან.

მინის შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ საქართველოს აგრარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, სასოფლო შინამეურნეობათა საშუალო ზომის ოპტიმალურად გადიდებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, იგი უნდა ზღუდავდეს მეტად დიდი მეურნეობების და შესაბამისად მსხვილი მინათ-მფლობელობის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას. სავარგულების პრივატიზებისა თუ ყიდვისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლად მცხოვრებ და სოფლისმეურნეობრივი გამოცდილების მქონე ფიზიკურ პირებს.

აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციაა წარმოების ოპტიმალური კონცენტრაცია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდების ტენდენცია და მამულების კონსოლიდაცია მიმდინარეობს როგორც საბაზრო ძალების ზეგავლენით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით. ვფიქრობთ, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს ოპტიმალური ოჯახური მეურნეობების შენარჩუნებას. იგი არ უნდა უწყობდეს ხელს არც ძალიან მსხვილი მეურნეობების შექმნას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას.

საქართველოში, გამომდინარე არსებული ვითარებიდან და სასოფლო შინამეურნეობების მდგრადი განვითარების აუცილებლობიდან, საჭიროა მინების გადანაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს შინამეურნეობათა საშუალო ზომების გადიდებას 2-3 ჰა-მდე. ამავე დროს, ადგილობრივი მინის რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონებისათვის დიფერენცირებულად უნდა განისაზღვროს მეურნეობების საშუალო, მაქსიმალური თუ მინიმალური ზომა, დადგინდეს იჯარით გასაცემი მინის ზღვრული სიდიდე. აგრარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მცირე და საშუალო შინამეურნეობების გაერთიანებისაკენ, გლეხური და ფერმერული კოოპერატივების, ასოციაციების შექმნისაკენ. ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მოსახლეობის საჭიროებების და მოთხოვნის შესწავლას, მარკეტინგული მომსახურების განვითარებას, სოფლად აქტიურად მოქმედი საკრედიტო კავშირების ორგანიზებას. ასევე აუცილებელია, სოფლის პრობლემების დაძლევის კომპლექსური რეგიონული პროექტების შექმნა და მათი სახელმწიფო დაფინანსება.

სასოფლო შინამეურნეობის განვითარების საფუძველია მათი სპეციალიზაცია. სპეციალიზაციის დროს ხდება შრომის დანაწილება და ფუნქციების გამიჯვნა არა მხოლოდ მარცვლეულის მწარმოებლებსა და პირუტყვის მომშენებლებს შორის, არამედ ასევე სხვა მრავალ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობათა შორისაც. სწორედ სპეციალიზაცია განაპირობებს შინამეურნეობათა სტრუქტურულ ცვლილებებს. შინამეურნეობებში სტრუქტურული ცვლილებების, ტრანსფორმირების ანალიზისას, განიხილავენ 3 ძირითად მიმართულებას, კერძოდ, ესაა: 1. ახალი ბიოლოგიური, ქიმიური და მექანიკური წარმოების საშუალებების გამოყენება; 2. ახალი ტექნიკური და ორგანიზაციული ცოდნის გამოყენება და 3. სოფლისმეურნეობრივი სასაქონლო პროდუქციის ფართო ბაზრებში შეღწევა [3, გვ. 35].

მეურნეობათა სპეციალიზაცია, ფერმერულ მეურნეობებზე გარდაქმნა, როდესაც მთავარ ორიენტირად იქცევა სასაქონლო წარმოება, განაპირობებს მათ მიერ 1-2 კულტურის წარმოებაზე ან ერთი სახეობის პირუტყვისა თუ ფრინველის მოშენებაზე რესურსების მიმართვას.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შინამეურნეობებისათვის განკუთვნილი აგროტექნოლოგიების კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების დაფინანსებას, რომელთაც რეგიონებსა თუ რაიონებში ექნებათ საცდელ-სადემონსტრაციო სადგურები, რომლებიც განახორციელებენ ჯიშთა გამოცდას, შერჩევასა და დარაიონებას, სასელექციო სამუშაოების ჩატარებას. საჭიროა ეტაპობრივად შეიქმნას და განვითარდეს სოფლების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების და ტექნიკური მომსახურების რაიონული ცენტრები, რომლებიც იტვირთავენ მცირე, საშუალო და მსხვილი შინამეურნეობების ინფორმაციულ, საკონსულტაციო მომსახურებას, ხელს შეუწყობენ ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელებას, დაეხმარებიან ფერმერებს ტექნიკის შეძენასა და რემონტის განხორციელებაში, ახალი ჯიშების და კულტურების დანერგვაში, წარმოების შიდა და გარე ბაზრებზე სწორ ორიენტაციაში.

სახელმწიფო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობის და პროდუქტულობის გადიდებას. მან უნდა ასტიმულიროს შინამეურნეობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება. ამგვარი სასოფლო შინამეურნეობების გაერთიანებანი უნდა უადვილებდნენ მის წევრებს ერთობლივად კრედიტების აღებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამე-

ურნეო მასალების ერთობლივ შექმნას, ერთგვაროვანი ნედლეულის წარმოებასა და წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციას.

რეგიონებში უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო განათლების ქსელი, დაწყებული სასოფლო სკოლებიდან, სადაც მოსწავლე დაეუფლება რიგ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს, შეიძენს სათანადო ცოდნასა და შრომით ჩვევებს. ასევე, უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს სპეციალიზებული პროფესიული ტექნიკუმების და სპეციალიზებული სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტების სისტემა. საჭიროა მომზადდეს და გადამზადდეს კვალიფიციური აგრონომები, ვეტერინარები და ზოოტექნიკოსები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან სასოფლო შინამეურნეობების დახმარებაზე, მცირე და საშუალო მეურნეობების საჭიროებებზე.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში შეიძლება ახლდეს გარკვეული რისკი. ახალი, გამძლე, მაღალმოსავლიანი სახეობების დანერგვა მიიღება თესლების, სასუქების, პესტიციდების და მთლიანად აგროტექნოლოგიური პროცესების სათანადო ცოდნის კომბინაციით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მიმართულებით ძალისხმევამ, რიგ ქვეყნებში, განაპირობა “მწვანე რევოლუცია”. ამ პროცესის წარმატება საქართველოში დიდადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ირიგაციაზე, ვინაიდან მხოლოდ მორწყვის სისტემების დანერგვით შეიძლება შემცირდეს ან თავიდან იქნეს აცილებული გვალვებით გამოწვეული დანაკარგების რისკები.

მოსავლიანობის ამაღლება არ არის დამოკიდებული მხოლოდ ახალ წარმოების საშუალებებზე თუ აგროტექნოლოგიებზე. ტექნოლოგიურ სიახლეებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეთა (გლეხთა, ფერმერთა) გამოცდილებას, რომელიც მიღებულია თაობების მიერ და ეფუძნება მეურნეობრიობის ადგილობრივი პირობების ზედმინევენით ცოდნას, მათ დაკვირვებებს წარმატებულ თუ წარუმატებელ პერიოდებში.

ისტორიულად, საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი (ყურძნის, მარცვლეულის და პირუტყვის ენდემური ჯიშების სიმრავლე, ადგილობრივ პირობებთან მისადაგება, საუკეთესო გემობრივი თვისებები და სხვა), იყო შედეგი საუკუნოვანი ბუნებრივი შერჩევისა და ადამიანური ცოდნის დაგროვების ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ამრიგად, სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, სასოფლო შინამეურნეობათა მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდებას; ხოლო, მეორე მხრივ, მან უნდა ასტიმულიროს შინამეურნეობათა მდგრადი განვითარება, ხელი უნდა შეუწყოს მონივნავ აგროტექნოლოგიების თუ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პირობების კარგად მცოდნე მეურნეების (გლეხები, ფერმერები) ჩამოყალიბებას. ასევე უნდა შეუწყოს ხელი როგორც სასოფლო შინამეურნეობათა კოოპერატივების შექმნას, ისე სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების თუ გაერთიანებების შექმნასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ა. ჭითანავა. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. გამ-ბა: „საქართველო“, თბ., 1993
2. Roger D., Norton., *Agricultural Development Policy: Concepts and Experiences*. Published: John Willey & Sons Ltd, West Sussex, England, 2004; Cop.: FAO of the UN, 2004.
3. Tomich T.P., Kilbey P., and Johnston B.E., *Transforming Agrarian Economies, Opportunities Seized, Opportunities Missed*. Cornell U-ty Press, Ithaca, New York, 1995.
4. Glenk K., Pavliashvili J., and Profeta A., “Preferences for Rural Credit Systems and their Impact on the Implementation of Credit Unions in Georgia”. *Journal of Rural Cooperation* 37(1), 2009K.
5. Pavliashvili J., “Land Use Systems and Rural Poverty in Georgia”. *Crop Science and Land Use for Food and Bioenergy*, edit. R.K Behl and others, Published by Agrobios (International), 2010.
6. ზ. რევიშვილი. სასოფლო შინამეურნეობების პრობლემები და აგრარული პოლიტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2009
7. ზ.რევიშვილი. სასოფლო შინამეურნეობებში არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის დადგენის საკითხისათვის, სამეცნიერო შრომათა კრებული III, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, თბ., 2010

8. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2001 წ. მდგომარეობით, თბ., 2001
9. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2003 წ. მდგომარეობით, თბ., 2003
10. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005
11. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატ. პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2009
12. საქართველოს შინამეურნეობები 2008წ., სტატ. პუბლიკაცია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2009
13. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009, სტატ. პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2010
14. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, სტატ. პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2011

ZURAB REVISHVILI

*Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakishvili Tbilisi State University
Senior Researsher*

RURAL HOUSEHOLD FARMS IN GEORGIA: FORMATION, PROBLEMS AND WAYS OF DEVELOPMENT

S u m m a r y

The article shows the formation of rural households in Georgia, issues of agricultural land distribution, the measures of farm sizes and their production facilities. It analyzes the problems of rural small and medium households: lack of land and agricultural machinery, difficulties in obtaining credits, the ways of increasing farm sizes, consolidation of land plots, specialization and others, which promote the development of rural households in Georgia.

ლევან საბაური

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მონვეული ლექტორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა

განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ დარგს, რომელიც ყველაზე მეტად რეგულირდება სახელმწიფოს მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი სავსეა აგრარული სექტორის პროდუქციით და იგრძნობა ჭარბწარმოება. ამასთან ერთად, განვითარებულ ქვეყნებში, სადაც აგრარული სექტორის ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიკაში ძალიან მცირეა და შემცირების ტენდენცია ახასიათებს, რა განაპირობებს ასეთი დიდი ფინანსური დახმარების აუცილებლობას? აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის არგუმენტები შეიძლება ოთხ ძირითად კატეგორიად დავყოთ:

- საგარეო ვაჭრობის არგუმენტები;
- სოფლის მეურნეობაში შემოსავლების არგუმენტები;
- სოფლის ტერიტორიების განვითარების არგუმენტები;
- ბუნებათდაცვითი არგუმენტები.

საგარეო ვაჭრობის არგუმენტებში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თვითუზრუნველყოფის საკითხებს. ამასთან, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია აწარმოოს ყველა სასურსათო პროდუქტი ქვეყნის შიგნით. ამიტომ თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები გათვლილი უნდა იყოს ენდოგენურ პროდუქტებზე და მაინც როგორია ლოგიკური კავშირი თვითუზრუნველყოფასა და აგრარული სექტორის მხარდაჭერის აუცილებლობას შორის? ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ თვითუზრუნველყოფის დაბალი დონის პირობებში, როდესაც საგარეო ბაზარს, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ შეუძლია საჭირო რაოდენობის პროდუქციის მოწოდება, ქვეყანა უძღუროს იქნება, გამოკვებოს თავისი მოსახლეობა. აქედან წარმოიქმნება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა, ამაღლდეს თვითუზრუნველყოფის დონე და ამისათვის შემოღებულ იქნეს სავაჭრო ბარიერები, თუმცა როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, სასურსათო უსაფრთხოება სწორედ საგარეო ვაჭრობის განვითარებითა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებით მიიღწევა.

მეორე სავაჭრო არგუმენტს აქვს ეთიკური ბუნება. ხშირად აღინიშნება, რომ ქვეყანას თუ შეუძლია სურსათის წარმოება, იგი უნდა აწარმოოს, მიუხედავად განეული ხარჯების სიდიდისა, რადგან მსოფლიოში მრავალი მილიონი ადამიანი შიმშილობს. მაგრამ მსოფლიოში შიმშილის პრობლემა დაკავშირებულია არა ბაზარზე სურსათის ნაკლებობასთან, არამედ შემოსავლების დაბალ დონესთან, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით ან ქვეყანაში შემოსავლების არასწორი განაწილებით.

მესამე სავაჭრო არგუმენტი, დაკავშირებული აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობასთან, არის სასურსათო პროდუქტების იმპორტის შემცირება და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება. რა თქმა უნდა, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი შეიძლება გამოწვეული იყოს აგრარული სექტორის ვაჭრობის უარყოფითი სალდოს გამო. თუმცა ამ დარგის იმპორტის შემცირება სრულებითაც არ წარმოადგენს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ერთადერთ გზას, რადგანაც იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოება სხვა დარგებში შეიძლება უფრო ეფექტური იყოს, რადგან წარმოების ფაქტორების გამოყენება აქ უფრო მნიშვნელოვანია.

სოფლის მეურნეობაში შეინიშნება შემოსავლების შემცირების ტენდენცია და მის აღმოსაფხვრელად იყენებენ ფასების ზრდის პოლიტიკას, რომელსაც აქვს ერთი თავისებურება – შემოსავლების დონის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ფასების მუდმივი ზრდის პირობებში, რადგანაც სასოფლოსამეურნეო პროდუქციაზე ფასების ერთჯერადი ზრდა გარკვეულ პერიოდში ალადგენს შემოსავლების დონეს აგრარულ და არააგრარულ სექტორებს შორის, მაგრამ დისპროპორცია კვლავ იჩენს თავს გარკვეული დროის შემდეგ.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფასების მექანიზმით ფერმერების შემოსავლების მხარდაჭერა ძირითადად მიმართულია მაღალეფექტურ მეურნეობებზე და არა იმ ფერმებზე, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ დახმარებას.

მრავალი საუკუნის მანძილზე სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძირითად დარგს წარმოადგენდა. თანამედროვე პირობებში ეროვნულ ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად მცირდება. ამასთან დაკავშირებით ჩნდება შიში იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემცირება გამოიწვევს სოფლების დაცარიელებას. ეს ის არგუმენტია, რომელიც მოყავთ აგრარული სექტორის მხარდაჭერის აუცილებლობის დასასაბუთებლად. განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მცხოვრებლები სულ უფრო და უფრო ნაკლებად არიან დაკავებულნი სოფლის მეურნეობით, სოფლად იზრდება არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულთა რიცხვი, ხოლო გზებისა და ტრანსპორტის განვითარების შედეგად, მრავალი სოფლის მცხოვრები მუშაობს ქალაქში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აგრარული სფეროს განვითარება პირდაპირ არ არის დაკავშირებული სოფლის განვითარებასთან.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო არგუმენტებთან ერთად, ხშირად მოჰყავთ არგუმენტი, რომ აუცილებელია არახელსაყრელი პირობების მქონე რეგიონების მხარდაჭერა. ასეთი რეგიონები შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: მაღალმთიანი რეგიონები და დაბალი პროდუქტული მიწების მქონე რეგიონები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არახელსაყრელი პირობების მქონე რეგიონების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების თავისებურებებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის აუცილებლობის დასასაბუთებლად ხშირად მოჰყავთ შემდეგი არგუმენტი, რომ ერისათვის მნიშვნელოვანია ოჯახურ-ფერმერული მეურნეობის შენარჩუნება, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ტრადიციებისა და ეროვნულ ღირებულებათა შენარჩუნების გარანტს. თუმცა მოსახლეობის ასეთი დაყოფა, ჩვენი აზრით, მიუღებელია.

ბუნებათდაცვითი არგუმენტები სახელმწიფოს ჩარევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტებია, რამდენადაც სოფლის მეურნეობა ბუნებრივი გარემოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დამაბინძურებელია: მეცხოველეობის ნარჩენები, მინერალური სასუქები, პესტიციდები, ახალი მიწების ათვისება მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს და ამცირებს ფლორისა და ფაუნის არეალს, რაც აუცილებელს ხდის სახელმწიფოს ჩარევას. გარემოს დაცვის კარგი მაგალითია ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის აგრარული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ფერმერთა დახმარებას ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში კი, აკრძალვებთან და ჯარიმებთან ერთად, იყენებენ სუბსიდირებას ეკოლოგიურად მგრძობიარე რაიონებში.

აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის არგუმენტების განხილვასთან ერთად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ ის ღონისძიებები, რომლებსაც ატარებენ სახელმწიფოები აგრარული სექტორის მხარდასაჭერად. მით უმეტეს, რომ ასეთი მხარდაჭერა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს და შესაძლებელია ზოგიერთი მათგანი გამოყენებულ იქნეს ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში.

სოფლის მეურნეობაში შემოსავლების გადიდების ერთ-ერთი გზა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების ზრდაა, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს ორი გზით: მოთხოვნილების გაზრდითა და მიწოდების შემცირებით. მოთხოვნილება იზრდება, თუ სახელმწიფო შეისყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ასევე, თუ სკოლებში დანერგავს უფასო კვებას, ან შემოიღებს სასურსათო ტალონებს ღარიბებისათვის. ასევე, სამამულო პროდუქციაზე მოთხოვნილება გაიზრდება, თუ შევზღუდავთ იმპორტს და სხვადასხვა ხერხით ხელს შევუწყობთ ექსპორტს.

მიწოდება შეიძლება შევამციროთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების კვოტებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების შეზღუდვითა და გადასახადებით.

განვიხილოთ ადგილობრივ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების შემცირების ეს ღონისძიებები. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია განსაკუთრებული პირობები, რომ ადგილობრივ მწარმოებელს ადგილობრივ ბაზარზე უნდა ჰქონდეს იმპორტთან შედარებით ბუნებრივი თუ სახელმწიფო პოლიტიკით შექმნილი კონკურენტული უპირატესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწოდების შემცირება ადვილად დაიფარება იმპორტით და ამ პროგრამას არ ექნება ეფექტი.

მიწოდების შემცირება შეიძლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე ყველა ფერმერისათვის კვოტების დანესებით, რაც გულისხმობს მაქსიმალურ პროდუქციას, რომელიც შე-

იძლება მიანოდოს ფერმამ ბაზრის აგენტებს. გასაგებია, რომ, რაც დიდია ფერმერთა რაოდენობა და ბევრია რეალიზაციის არხები, მით უფრო ძნელია კვოტების შესრულების კონტროლი.

კვოტირებას აქვს ორი ფუნდამენტური ნაკლი, პირველი – ის საშუალებას აძლევს მაღალი საწარმოო დანახარჯების მქონე ფერმერებს, შეინარჩუნოს წარმოება. კვოტირების მიზნისა და ფერმერთა წარმოების ეფექტურობას შორის კომპრომისი შეიძლება იყოს ორდონიანი კვოტების შემოღება, რომლის დროსაც სახელმწიფო აწესებს საბაზო კვოტას, რაზეც მწარმოებელი იღებს მაღალ ფასს, ხოლო ამ კვოტის ზევით წარმოებულ პროდუქციაზე შედარებით დაბალ ფასს. გასაგებია, რომ დაბალი ფასების პირობებში ყველა მწარმოებელს არ შეუძლია პროდუქციის წარმოება, ეს კი ამცირებს პროდუქციის მიწოდებას, თუმცა ყველა ფერმერი იღებს გარკვეულ მხარდაჭერას. ხოლო ეფექტური მწარმოებლები დაინტერესებულნი არიან წარმოების გაფართოებით.

კვოტირების მეორე ნაკლი არის ის, რომ ძალიან მაღალია ამ პროგრამის განხორციელების ხარჯები.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კვოტირებას საბოლოოდ მივყავართ სოციალურ დანაკარგებთან.

სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან მიწოდების ამოღების პროგრამა, რა თქმა უნდა, ამცირებს მიწოდებას და, შესაბამისად, ზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასს, რის გამოც ზარალდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მყიდველები და პროდუქციის სანარმოებლად საჭირო რესურსების გამყიდველები. ამასთან, ეს პროგრამა ყველა შემთხვევაში ითვალისწინებს გარკვეულ კომპენსაციას ფერმერებისათვის, რომლებიც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან. რა თქმა უნდა, ამ პროგრამის შემოღება გამოწვეულია ფერმერთა დაბალი შემოსავლებით და ფერმები მზად არიან, დაბალი კომპენსაციის საფასურად ამოიღონ მიწების ნაწილი სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. მაგრამ, პროგრამის განხორციელების შედეგად, პროდუქციაზე ფასები იზრდება, რაც ქმნის სტიმულს, რათა ფერმერებმა უკან, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში დააბრუნონ კონსერვაციაში არსებული მიწები. სახელმწიფოს ფასებისა და მიწოდების დონის შესანარჩუნებლად მოუწევს უფრო მაღალი კომპენსაციების გაცემა. ამასთან, სახელმწიფო არ აკონტროლებს, თუ რომელი მიწები გადადის კონსერვაციაში და, რა თქმა უნდა, ფერმერს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოჰყავს დაბალპროდუქტული მიწები. ასევე, ძნელად საკონტროლოა, ნამდვილად გამოვიდა თუ არა ეს მიწები სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. უფრო მეტიც, მიღებული კომპენსაციით ფერმერს შესაძლებლობა აქვს, გაზარდოს წარმოება და სხვა რესურსების გამოყენება, მაგალითად, სასუქების. ამით ფერმერი მიიღებს მოგებას საკომპენსაციო გადასახადებით, ფასების ზრდით და წარმოების გაფართოებით.

აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბრუნვიდან ამოღების პროგრამა არც თუ ისე მჭიდრო კორელაციურ კავშირშია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების შემცირებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიწოდების შემცირების ღონისძიებები აქტუალური არ არის და უფრო მნიშვნელოვანია მოთხოვნილების ზრდის ღონისძიებები.

მოთხოვნილების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა სახელმწიფო შესყიდვები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე გარკვეულ დონეზე ფასების შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეული რაოდენობის პროდუქცია შეისყიდოს ბაზარზე ე.ი. განახორციელოს შესყიდვითი ინტერვენცია.

ინტერვენციული შესყიდვები ზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებს, მაგრამ ჩნდება პრობლემა – რა ვუყოთ შესყიდულ პროდუქციას?

პირველი ვარიანტი – სახელმწიფო ყიდის შესყიდულ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე, ყველა არსებული ფასებით. თუკი ამ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ ძლიერია, შესყიდული პროდუქციის მოცულობა დიდ გავლენას მოახდენს მსოფლიო ფასების დონეზე, რაც გამოიწვევს სხვა ექსპორტიორი ქვეყნების პროტესტს.

მეორე ვარიანტი – შესაძლებელია ინტერვენციული მარაგები გაიყიდოს ადგილობრივ არაკონკურენტულ ბაზარზე. მაგალითად, შესყიდული მარცვლეული შეიძლება გაიყიდოს ფურაჟად (ამ შემთხვევაში მარცვლეულს გამოუყენებელს ხდიან სასურსათოდ).

მესამე – ინტერვენციული მარაგები შეიძლება გაიყიდოს დაბალ ფასებში, გაჭირვებულ და დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაყიდული პროდუქცია შიდა ბაზარზე მოთხოვნილებას შეამცირებს.

მეოთხე – ინტერვენციული მარაგებიდან განთავისუფლების ყველაზე გავრცელებული მეთოდია განვითარებადი ქვეყნების სასურსათო დახმარება, რომელიც გამოიყენება, როგორც აგრარული პროდუქციის ნამატის რეალიზაციის მექანიზმი.

მეხუთე – ინტერვენციული მარაგები შეიძლება ინახებოდეს იმ დრომდე, როდესაც ადგილობრივ ან მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქციის დეფიციტი არ მისცემს შესაძლებლობას, მოახდინოს ამ პროდუქციის რეალიზაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციების ფასებზე ზეგავლენის გარეშე. ამ შემთხვევაში ინტერვენციული მარაგები იღებენ ბუფერული მარაგების ფუნქციას. დაბალი ფასების შემთხვევაში სახელმწიფო შეისყიდის პროდუქციას, ხოლო მაღალი ფასების შემთხვევაში – იყიდის მას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ამოღების კიდევ ერთი გავრცელებული მეთოდია პირდაპირ ფასებზე სუბსიდია. ეს სუბსიდია პირდაპირია იმიტომ, რომ დაკავშირებული არ არის ინტერვენციულ შესყიდვასთან ან პროდუქციის წარმოების შეზღუდვასთან. სახელმწიფო ადგენს მინიმალურ გარანტირებულ ფასს პროდუქციაზე და უზრუნველყოფს მის შესრულებას. თუკი ბაზარზე ფასები დაბალი იქნება, ვიდრე ის სახელმწიფომ დაადგინა, მაშინ სახელმწიფო, გაყიდული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად, ფერმერს უხდის ფასთა სხვაობას დადგენილ და საბაზრო ფასს შორის.

მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირება შესაძლებელია ექსპორტით და იმპორტით. ამასთან, მსოფლიო ფასები წარმოადგენენ ყველა ქვეყნისათვის დასახულ სიდიდეს, რამდენადაც ეროვნულ ეკონომიკას არ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მსოფლიო ფასებზე. თუკი სახელმწიფოს სურვილი აქვს, გაზარდოს ფასები ადგილობრივი მწარმოებლისათვის, მან ან უნდა შეზღუდოს იმპორტი ან უნდა გაზარდოს ექსპორტი. პირველი მიიღწევა საიმპორტო ტარიფებით და არასატარიფო მეთოდებით და მეორე – საექსპორტო სუბსიდიებით. საიმპორტო ტარიფი არის ქვეყნის შიდა ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის ერთეულზე გადასახდელი, ხოლო არასატარიფო რეგულირების ძირითადი მეთოდია საიმპორტო კვოტები. ფერმერებისა და მოსახლეობისათვის განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ საიმპორტო კვოტების შემოღებით სახელმწიფო ვერ იღებს საიმპორტო ტარიფებით მისაღებ შემოსავალს.

მსოფლიო ვაჭრობა საშუალებას იძლევა, გავზარდოთ სამამულო პროდუქციის ექსპორტი მისი სტიმულირების გზით, რომლის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს – საექსპორტო სუბსიდიები. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქვეყნიდან გატანილი პროდუქციის ყოველ ერთეულზე უხდის გარკვეულ თანხას.

ფერმერთა შემოსავლის ზრდის ასევე მნიშვნელოვანი საშუალებაა საწარმოო დანახარჯების შემცირება, ხოლო ამ შემცირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს აგრარულ სფეროში მოხმარებული რესურსების სუბსიდირება. ასეთი სუბსიდირების მეთოდი მრავალია: მწარმოებელმა შეიძლება მიიღოს სუბსიდია ყოველ ნაყიდ ერთეულ რესურსზე (მაგალითად, მინერალურ სასუქზე), ან მათ შეიძლება მიიღონ სუბსიდია გარკვეულ საქმიანობაზე (მაგალითად, მელიორაციული სამუშაოების ჩატარება), ან შეიძლება უფრო კომპლექსურად მოხდეს დანახარჯების შემცირება მწარმოებლისათვის დაბალპროცენტიანი კრედიტის მიცემის გზით.

სოფლის მეურნეობაში დანახარჯების შემცირების პოლიტიკას რესურსების სუბსიდირების გზით მივყავართ:

- მწარმოებელთა მოგების ზრდასთან;
- გაიაფებულ რესურსებზე მოთხოვნილების ზრდასთან;
- პროდუქციის მიწოდების ზრდასთან;
- სხვა რესურსებზე მოთხოვნილების ზრდასთან.

ამასთან, რესურსების სუბსიდირების პოლიტიკა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული იქნება სამი ძირითადი პირობა:

1. რესურსის მწარმოებელი დარგი უნდა ფუნქციონირებდეს კონკურენტულ გარემოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, რესურსის სუბსიდირებას მივყავართ მისი პროდუქციის ფასების ზრდასთან.
2. სუბსიდირებული რესურსი მხოლოდ სოფლის მეურნეობაში უნდა იყოს გამოყენებული, რათა არ მოხდეს მისი შემდგომი გაყიდვა.
3. სუბსიდირებული რესურსის მიწოდება ბაზარზე უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი.

ზემოთ განხილული ღონისძიებები მიმართულია მწარმოებელთა მოგების გადიდებისაკენ. სტრუქტურული ცვლილებების ამოცანაა, შეამციროს სოფლის მეურნეობის შემოსავლებით მცხოვრებთა რიცხვი, რაც საშუალებას მისცემს დარჩენილ ფერმერებს, გაზარდონ მოგება. სტრუქტურული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა ფერმერთა რიცხვის შემცირება და ფერმათა საშუალო სიდიდის გაზრდა.

ამ მიმართულებით, პირველი რიგის ღონისძიებაა სოფლად ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობების განვითარება, სოფლის მეურნეობის მუშაკთა გადამზადება, ასევე, მიგრაციული პროგრამები.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენებაზე მესაკუთრეთა უფლებები შეზღუდულია. მრავალ შემთხვევაში ასეთი პოლიტიკა მიმართულია საშუალო ზომის ფერმათა მასშტაბების ზრდასთან, თუმცა მიწის ბაზარი ძალიან მცირეა. ამდენად, ფერმათა გაფართოების პროცესი საკმაოდ რთულია და მისი განხორციელება დიდ დროს მოითხოვს.

ზოგიერთ ქვეყანას, სტრუქტურული გარდაქმნების პოლიტიკის განხორციელებისას, მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებების ძირითადი აქცენტი გადააქვს საშუალო და დიდ ფერმებზე, რაც სტიმულს აძლევს ფერმათა გამსხვილებას.

სტრუქტურული ღონისძიებების ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისი შედეგები ვლინდება 3–10 წლის შემდეგ, მაშინ როდესაც, შემოსავლების ზრდის მხარდაჭერის ღონისძიებები ვლინდება პრაქტიკულად მაშინვე.

LEVAN SABAURI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Visiting Professor

Ministry of Education and Science of Georgia

STATE SUPPORT FOR AGRICULTURE

S u m m a r y

The problems existing in the field of agriculture and the ways of their solution are discussed in the presented article. In terms of surplus production in agriculture, thorough research reveals that many countries require sufficient financial aid to enhance the development of agricultural sector. In order to cope with this problem, it is necessary for the state to differentiate arguments supporting the development of agricultural sector by distinct categories. The presented article analyses in detail the concept of these categories, their role and importance in agriculture. For centuries agriculture has served as a leading direction of economy. Currently, the share of agriculture in the national economy has been significantly diminished, which is directly connected to the decreased employment rate in agriculture and desertification of villages. However, current statistical data reveal that fewer people are occupied by the activities related to agriculture in the developed world. The number of those village dwellers who are employed in the fields not related to agriculture is gradually increasing and due to the rapid development of roads and transportation infrastructure, many village residents commute to cities. Therefore, it is evident that the development of the agrarian field is not directly connected to the development of rural regions. In the presented work, of all the arguments supporting the development of agricultural sector the category of environmental protection, which requires special attention from the state, is emphasized. The agrarian policies of many developed countries demonstrate very good examples of environmental protection. These policies comprise the activities which consider assisting farmers in utilizing ecologically clean technologies in order to produce ecologically clean products. Moreover, in some countries, together with establishing certain banning and fines for farmers, ecologically vulnerable regions receive special subsidies as well.

**შრომის ბაზრის ფორმირებისა და უზრუნველყოფის დასაქმების პრობლემები
(მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაგალითზე)**

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარმოების საშუალებების მოქმედებაში მოყვანით იქმნება დოვლათი და რეალიზდება ადამიანის მიზანი. შრომით რესურსებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სოფლის მეურნეობაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანის შრომას ჯერ კიდევ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, სამრეწველო დანადგარებისაგან განსხვავებით.

შრომას სოფლის მეურნეობაში აქვს რიგი თავისებურებები, რომლებიც ასახავენ დარგის სპეციფიკას, რომელთაგანაც აღსანიშნავია:

- შრომის ეფექტიანობა დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე და მიწის რესურსების ხარისხზე;
- შრომის გამოყენებაზე გავლენას ახდენს წარმოების სეზონურობა;
- სოფლის მეურნეობაში არ არის შრომის ვინრო სპეციალიზაცია;
- შრომა სოფლის მეურნეობაში ნაკლებად მიმზიდველია და არაესთეტიკური;
- მუშაკების შრომა გამოიყენება როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად, კერძო სექტორში;
- წარმოების პროცესში მაღალი ხვედრითი წონა უკავია ქალების, მოზარდებისა და პენსიონერების შრომას და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო შრომის თავისებურებას წარმოადგენს მისი სეზონურობა, აუცილებელი ფართო სპეციალიზაცია და სხვა. აქ მთელი ძალისხმევა მიმართულია ცოცხალი ორგანიზმების (მცენარეთა, ცხოველთა) მოვლა-პატრონობაზე. შრომითი რესურსები შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილია. შეიძლება ითქვას, რომ შრომითი რესურსების რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ასევე ოფიციალურად დადგენილ შრომისუნარიანობის ასაკზე. საქართველოში იგი მამაკაცებისათვის შეადგენს 15-დან 65 წლამდე, ხოლო ქალებისათვის 15-დან 60 წლამდე პერიოდს. ცხრილში 1 მოცემულია ქვეყნის მთლიანი აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) წლების მიხედვით, დასაქმებულების რაოდენობა და აქედან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა.

ცხრილი 1

ქვეყანაში სამუშაო ძალის, დასაქმებულთა და, აქედან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ათასი კაცი)

წლები	აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	დასაქმებული სულ	უმუშევრობის დონე (%-ში)	მათგან სოფლის მეურნეობაში	
				რიცხოვნობა	წილი მთლიან დასაქმებაში (%)
2000	2049,2	1839	10,3	957	52,0
2001	2113,3	1878	11,1	990	52,7
2002	2104,2	1839	12,6	988	53,7
2003	2050,8	1814	11,5	996	54,9
2004	2041,0	1783	12,6	962	54,0
2005	2023,9	1745	13,8	948	54,3
2006	2021,8	1747	13,6	966	55,3
2007	1965,3	1704	13,3	910	53,4
2008	1917,8	1601,9	16,5	907	56,6
2009	1991,8	1656,1	16,9	984	59,4
2010	1944,9	1628,1	16,3	1038	63,8

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთლიანად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში შემცირდა, ამის პარალელურად იზრდება უმუშევრობის დონეც, გამონაკლისს წარმოადგენს 2010 წელი, როცა უმუშევრობის დონემ ოდნავ, 0,6%-ით იკლო, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ძალიან იკლო წინა წელთან შედარებით აქტიური მოსახლეობის რაოდენობამ, 2010

წელს 2009 წელთან შედარებით სამუშაო ძალა ქვეყანაში 46,9 ათასი კაცით შემცირდა, რაც შრომითი რესურსების მიგრაციაზე მიგვიჩვენებს.

ცხრილ 1-დან ნათლად ჩანს, რომ სოფლის მეურნეობაში 2000 წლიდან დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის კი დამახასიათებელია საპირისპირო ტენდენცია. იქ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობის რაოდენობაში ყოველწლიურად მცირდება და ამჟამად ევროპაში იგი 10-15%-ს არ აღემატება. ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს მის დაბალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონეზე, რაც, სამწუხაროდ, დამახასიათებელია დღევანდელი საქართველოსათვის.


აღსანიშნავია, რომ 1 ცხრილში უმუშევრობის აღნიშნული დონე ეფუძნება ორ სტატისტიკურ-მეთოდოლოგიურ დაშვებას, რომლებიც ამცირებენ აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს:

1. უმუშევრებს არ მიეკუთვნებიან ე.წ. თვითდასაქმებულები.

2. უმუშევრობის დონე გაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მკაცრი“ კრიტერიუმით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით დასაქმებულთაგან (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 83.7%), მხოლოდ 621 ათასი ადამიანი ეწევა დაქირავებულ შრომას (აქედან სახელმწიფო სექტორში დაახლოებით 300 ათასი), ხოლო მილიონზე მეტი განეკუთვნება ე.წ. თვითდასაქმებულ მოსახლეობას. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ყველა, ვინც სტატისტიკური სამსახურის ყოველკვარტალური კვლევის მონაცემებით, შერჩეული ერთი საკვლევი კვირის განმავლობაში ერთი საათი მაინც იმუშავა ანაზღაურებით ან მის გარეშე. აღნიშნული კატეგორიის დასაქმებულთა 4/5-ზე მეტი დასაქმებულია ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სადაც ერთ სულზე წარმოებული დამატებითი ღირებულება ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია.

შედეგად ვლტებულობთ იმას, რომ უმუშევრობა სოფლად უფრო დაბალია ქალაქთან შედარებით. სოფელზე მოდის ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57%, დასაქმებულთა 63,2% დაქირავებით დასაქმებულთა მხოლოდ 30,6% და თვითდასაქმებულთა 81,5% (იხილეთ ნახაზი 1).



ნახ 1. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულთა და უმუშევართა საერთო რაოდენობაში (%-ში)

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ურთიერთობების განვითარება და აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა უფრო მონყვლადს ხდის სოფლად მცხოვრებლებს უმუშევრობის რისკისადმი.

რაც შეეხება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ეკონომიკური სტატუსის მიხედვით სამუშაო ძალის განაწილებას, მასზე წარმოდგენას გვაძლევს მე-2 ცხრილი.

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, უმუშევრობის დონე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაახლოებით ანალოგიურია და ცოტათი მეტიც ქვეყნის საერთო მონაცემებთან შედარებით (საქართველოში

უმუშევრობის დონე 2009 წელს იყო 16,9%, ხოლო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კი 17,5%). ეს ყოველივე იმის მიუხედავად, რომ რეგიონში ქალაქური ტიპის დასახლებები და მათში მცხოვრებთა რიცხვი მხოლოდ 19,9%-ს შეადგენს, მაშინ როცა, ქვეყნის მასშტაბით ეს ციფრი 53 პროცენტია. რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა კი (თითქმის 100%), სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში ავტომატურად, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულებს არის მიკუთვნებული.

ცხრილი 2


მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

	2007	2008	2009
აქტიური მოსახლეობა, სულ: (სამუშაო ძალა, ათასი კაცი)	55,5	41,4	39,9
დასაქმებული	46,6	34,6	32,9
დაქირავებული	20,7	15,3	12,1
თვითდასაქმებული	25,9	19,3	20,8
გაურკვეველი	0,0	0,0	0,0
უმუშევარი	8,9	6,8	7,0
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ (ეკონომიურად არააქტიური)	35,8	36,2	37,1
უმუშევრობის დონე (%)	16,0	16,4	17,5
ეკონომიკური აქტიურობის დონე (%)	60,1	53,4	57,1
დასაქმების დონე (%)	50,5	44,6	47,0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს შემოსავლების მუდმივი წყარო არ გააჩნია, ან მისი დონე იმდენად დაბალია, რომ უმუშევრებისაგან თითქმის არ განსხვავდება. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი რეგიონიდან გაედინება როგორც ქვეყნის შიგნით ძირითადად დედაქალაქში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ძირითადად ქალბატონები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ სამუშაოდ), რაც ნათლად ჩანს მე-2 ცხრილიდან. თუ 2007 წელს რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 55500 ადამიანს, 2008 წელს იგი შემცირდა 41400 ადამიანამდე, ხოლო 2009 წელს – 39900 ადამიანს შეადგენდა. რეგიონში აქტიური მოსახლეობის მიგრაციას აქვს როგორც სეზონური, ისე ხანგრძლივი ხასიათი. ამრიგად, ქვეყანაში არსებული მოსახლეობის დუბჭირი ცხოვრება შრომითი რესურსების მიგრაციას იწვევს. ამიტომ მათ სწორად წარმართვას დიდი ეკონომიკური და ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

უმუშევრობის ქრონიკული და მაღალი დონე იწვევს შრომით მიგრაციას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2009 წლის მდგომარეობით, საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და დასაქმებულთა თითქმის 30-30% (შესაბამისად 28,9 და 29,8%) და დაქირავებით დასაქმებულთა ნახევარზე მეტი (53,8%) (ნახაზი 2).



ნახ. 2. საზღვარგარეთ მყოფ შრომით მიგრანტთა წილი საქართველოს მთლიან შრომით პოტენციალში %-ში

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შრომითი მიგრანტები უზრუნველყოფენ გამომუშავებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის რეპატრიაციას სამშობლოში. აღნიშნული რესურსი, თანხობრივად, საქართველოს შინამეურნეობათა მთლიანი შემოსავლების 30%-ის ტოლია, ხოლო ბოლო წლების (2009-2010წ.) საშუალო მაჩვენებელი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თითქმის 1,5-ჯერ აღემატება საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას.

დასაქმების პრობლემის სიმწვავეს განაპირობებს ისეთი ფაქტორიც, როგორცაა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის რესურსების სიმწირე და საკრედიტო რესურსების სიძვირე.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში უმუშევრობის ზრდისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გადინების პერობებში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე საუბარი ნაკლებად მისაღებია. აქ მთავარ როლს თამაშობს სუსტი ინვესტიციური გარემო და კვლავწარმოებასთან დაკავშირებული სირთულეები. საზოგადოების დაბალი მოტივირებულობა, ინფლაცია და სხვა გლობალური საკითხები.

მე-3 ცხრილში მოყვანილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და მათი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში.

ცხრილი 3

**ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2009 წელი**

მათ შორის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (ათასი კაცი)											
სულ	<20	20-24	24-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65+
39,9	0,7	3,4	2,7	3,6	4,5	4,8	4,3	4,0	3,5	2,4	6,0
ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში (%)											
100	1,6	8,4	6,9	9,1	11,4	12,0	10,7	10,0	8,9	5,9	15,0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით რეგიონის აქტიურ მოსახლეობაში გამოირჩევა 65 წლისა და მასზე უხნესი მოსახლეობა, შემდეგ მოდის 40-44 წლის ასაკის მოსახლეობა, ახალგაზრდები კი ამჯობინებენ დიდ ქალაქებში (ძირითადად დედაქალაქში) სასწავლებლად ან სამუშაოდ გადასვლას. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ რეგიონის მაღალმთიან სოფლებში. მაგალითად, ჩვენი კვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ მაღალმთიან სოფლებში ძირითადად მოხუცებულები არიან დარჩენილნი და ზამთრობით ისინიც შვილებთან ბარში ჩამოდიან, რის გამოც სოფელი მთლიანად იცლება. თუ სასწრაფო ზომები არ იქნება მიღებული ხელისუფლების მხრიდან, ორ ათეულ წელიწადში მაღალმთიანი სოფლები მოსახლეობის გარეშე დარჩება. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ დუშეთის მუნიციპალიტეტში გუდამაყრის, უკანაფშავის, ბარისახოსა და შატილის ტერიტორიული ორგანოს სოფლები. თვითონ შატილში ოფიციალური მონაცემებით ირიცხება 68 ადამიანი, აქედან ადგილზე მუდმივად ცხოვრობს მათი ნახევარი, ხოლო ზამთრობით შატილი რამდენიმე ოჯახის ამარა რჩება, ისიც, თითქმის ყველა მოხუცებულია. ანალოგიური მდგომარეობაა ყაზბეგისა და თიანეთის მაღალმთიან სოფლებში.

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის შედარებისას, საქმიანობის სახეების მიხედვით (2009 წ.), იკვეთება შემდეგი სურათი (ცხრილი 4). სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 299,3 ლარს იმ დროს, როდესაც ქვეყანაში იგივე მაჩვენებელი 534,9 ლარის ტოლია. როგორც ამავე დანართიდან ჩანს, დაქირავებულთა საშუალო ანაზღაურება სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად ჩამორჩება ეკონომიკის თხუთმეტი საქმიანობის მიმართულებიდან თორმეტის ანალოგიურ მაჩვენებელს და აღემატება მხოლოდ თევზჭერა-მეთევზეობასა და განათლებაში არსებულ საშუალო ანაზღაურებას.

დღესდღეობით რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში, სოფლის მეურნეობაში მუშახელის დაქირავებისას საშუალო დღიური ანაზღაურება 10-15 ლარის ფარგლებში მერყეობს, მაღალკვალიფიციური მუშახელისა კი, მისი კვალიფიკაციიდან და სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო მაღალია. გამოკვლეული მეურნეობებიდან მიღებული მონაცემებით, მათ მიერ დამხმარე მუშახელის გამოყენების დროს ხშირ შემთხვევაში სამუშაოს ანაზღაურება თანხით არ ხდება, რადგან მეურნეობები (ძირითადად ნათესავები, თანასოფლელები) ერთმანეთს რიგრიგობით „უფასოდ“ ეხმარებიან.

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით – ლარებში

საქმიანობები	2010
საშუალოდ სულ:	534,9
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	299,3
თევზჭერა, მეთევზეობა	211,1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	808,9
დამამუშავებელი მრეწველობა	510,5
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	738,3
მშენებლობა	597,3
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	510,6
სასტუმროები და რესტორნები	333,6
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	667,7
საფინანსო საქმიანობა	1343,5
ოპერაციები უძრავი ქონებით. იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განევა	540,1
სახელმწიფო მმართველობა	869,5
განათლება	243,7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	305,8
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განევა	243,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ მეურნეობების ხელმძღვანელების გამოკითხულთა მხოლოდ 26%-ს გააჩნია სპეციალური განათლება სოფლის მეურნეობის რაიმე მიმართულებით, ხოლო მათ 50%-ზე ოდნავ მეტს კი – უმაღლესი განათლება.

მცხეთა-მთიანეთის აგრარულ სექტორში ამჟამად არ ხორციელდება არც ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, ამ საკითხშიც საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევა, რათა ჩატარდეს საკვლევი რეგიონის ფართომასშტაბიანი, ფუნდამენტალური კვლევა, ამისათვის სპეციალურად შემუშავებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

სოფლის მეურნეობაში არათანაბარი მოთხოვნილებაა სამუშაო ძალაზე, რაც განპირობებულია დარგში წარმოების შრომის სეზონურობით, ამიტომ აქ განასხვავებენ მუდმივ და სეზონურ მუშაკებს. ამიტომ რაოდენობრივ ასპექტში უნდა გავარჩიოთ სრული და არასრული დასაქმება. სრული დასაქმებაა მეცხოველეობაში. სრულად არიან დასაქმებული მექანიზატორებიც. არასრული დასაქმებაა მემცენარეობაში ხელით სამუშაოზე. ამ კატეგორიის მუშაკებს მიეკუთვნებიან ასევე პენსიონრები და მოზარდები, რომლებიც გამოიყენებიან სეზონურ სამუშაოებზე.

დასაქმების პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და სხვადასხვა სტატისტიკური, კონიუნქტურული თუ სოციალური გამოკითხვებით ხშირად იკავებს პირველ ადგილს ქვეყნისა და ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების ნუსხაში.

ჩვენი დაკვირვებით, რეგიონის სოფლის მეურნეობაში არ შეინიშნება დაინტერესებულ პირთა მნიშვნელოვანი აქტივობა, განსაკუთრებით მცირეა ახალგაზრდების დაინტერესება აგრარული სფეროთი. გამოკითხვის შედეგად დავადგინეთ, რომ ამ სფეროში დასაქმებულების დიდი რაოდენობა თავის საქმიანობას თვლის დროებითად და ცდილობენ დასაქმდნენ სხვა დარგებში. აღნიშნულის მთავარ მიზეზად ისინი ასახელებენ შრომის მძიმე პირობებსა და ძალიან მცირე შემოსავალს, რომლითაც შეუძლებელია ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა საკუთარი ოჯახისათვის.

ყურადღება არ ექცევა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის მოტივაციის ჩამოყალიბებას. რეგიონის აგრარული სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი კომპლექსური ანალიზის ჩატარება სხვა ძირითად ფაქტორებთან, ტექნოლოგიურ, ორგანიზაციურ და სოციალურ საკითხებთან ერთად.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიგვაჩნია მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა. ამიტომ აუცილებე-

ლია მეტი ყურადღება დაეთმოს ამ სფეროში დასაქმებულთა სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით განათლების მიღების ხელშეწყობასა და ამ დარგით ახალგაზრდობის დაინტერესებას. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია რეგიონში ჩამოყალიბდეს ფერმერული გაერთიანებები, ისეთები, როგორებიცაა: ამხანაგობები, კოოპერატივები და ა.შ., რომლებშიც ფერმერები ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გაიზრდება მათი შესაძლებლობები, შემოსავლები და აგრარული სფეროთი ახალგაზრდობის დაინტერესება.

NINO SAMCHKUASHVILI

*Agrarian University of Georgia
Doctoral Student*

PROBLEMS OF LABOUR MARKET FORMATION AND UNEMPLOYMENT IN AGRICULTURE

(On the example of Mtskheta-Mtianeti Region)

S u m m a r y

The article analyses the condition of labour resources in agriculture, the problems existing in the formation of labour market as well as issues of unemployment and recruitment in Mtskheta-Mtianeti region. On the basis of questioning carried out in the region as well as world experience and the analysis of statistical data, corresponding conclusions have been made.

**სურსათწარმოების განვითარების პერსპექტივაში საქართველოში შიდა და
მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით**

სურსათით თვითუზრუნველყოფა ქვეყნის უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა. სოფ-
ლად მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა ქვეყნისთვის მისი რეკრეაციული და სოციალური
მნიშვნელობის შენარჩუნებას ნიშნავს. აგროპროდუქტები ქვეყნების იმიჯისა და ეროვნული იდენ-
ტიტურობის მნიშვნელოვანი ელემენტია (ძნელი წარმოსადგენია საფრანგეთი ღვინისა და კონიაკის,
ჰოლანდია ყველის, გერმანია და ჩეხეთი ლუდის გარეშე, ასევე წარმოუდგენლად მიმაჩნია საქარ-
თველო ტრადიციული ღვინის წარმოების გარეშე).

საქართველოში 90-იანი წლების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, ძველი სამეურნეო კავ-
შირების რღვევამ და მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლამ, რასაც წარმოების ახალი
უნარ-ჩვევები სჭირდებოდა, გამოიწვია მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის დონის დაცემა, შე-
მოსავლების ნაკლებობა და მათი გაღარიბება. გარდა ამისა, სურსათწარმოების სფეროში ევროკავ-
ონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებმა გამოიწვია პრობლემები ამ მიმართულებით ბიზ-
ნესის დაწყების მხრივ, მოითხოვა შესაბამისი ბაზრის კვლევის, აგროტექნოლოგიების, ბიზნესისა
და პერსონალის მართვის ახალი მეთოდების დაუფლება, რაც აუცილებელია გლობალიზაციის პი-
რობებში ეკონომიკის განვითარებისათვის.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი
მთლიან შიდა პროდუქტში (%) 2005 წელს დაფიქსირებული იყო 14,5 %, ხოლო 2010 წელს შეადგინა
მხოლოდ 7,5 %, ე.ი ამ მონაცემებითაც რომ ვიმსჯელოთ, ასე თუ გაგრძელდა, შედეგი კატასტრო-
ფული იქნება.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიეკუთვნება პირველადი მოხმარების საქონელს, ვინაიდან
მისი უდიდესი ნაწილი მოხმარება უშუალოდ, ხოლო დანარჩენი გადამამუშავდება საკვებ პროდუქ-
ტებად. თუ საწარმოს ფუნქციონირება, რომელიც დაკავშირებულია ხილ-ბოსტნეულის წარმოებას-
თან, აღმოჩნდება ნამგებიათ, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ უნდა ვანარმოოთ, მოქმედება უნდა დაი-
გეგმოს ისე, რომ მისი ეკონომიკური ეფექტიანობა ამაღლდეს. სწორედ მარკეტინგული კვლევები
აუცილებელია იმისათვის, რომ შესწავლილ იქნეს ბაზრის მოთხოვნები, კონკურენტები, ბაზარზე
არსებული სიტუაცია, შესაბამისად, ფირმის შესაძლებლობები, გათვლილი ხანგრძლივ პერსპექტი-
ვაზე.

თანამედროვე გლობალური კონკურენციის პირობებში აგროსურსათწარმოება უნდა დაიწყოს
ბაზრის შესწავლიდან, რომლის საფუძველი იქნება ადამიანის მოთხოვნები უვნებელ სურსათზე.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად ქვეყანას უნდა შეეძლოს საკმარისი რაო-
დენობის უვნებელი საკვების წარმოება და ექსპორტირების საშუალება, ხოლო მოსახლეობას უნდა
ჰქონდეს საკმარისი დონის შემოსავალი, რომ იყიდონ ის საკვები, რომლის მოყვანაც თავად არ შე-
უძლიათ.

აგრობიზნესის ოპტიმალური სისტემური სტრუქტურის ფორმირება ამ სექტორის პოტენცია-
ლის სრულად ამოქმედების უდიდეს რეზერვებს შეიცავს. ამაზე კი დიდად არის დამოკიდებული არა
მარტო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, არამედ უმძიმესი სოციალური პრობლემის გა-
დაჭრაც.

ჩვენი ქვეყნის აგროწარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებები უნდა ჩამოყალიბდეს
ისტორიული ტრადიციებისა და მსოფლიო თანამედროვე მიღწევების გამოყენებით, კვების მრეწვე-
ლობის და სოფლის მეურნეობის ევროკავშირის ახალი პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც აღიარ-
ებს:

- სურსათს, როგორც საყოველთაო ადამიანურ უფლებას, არამარტო როგორც საქონელს;
- ანიჭებს პრიორიტეტს საკვების და სურსათის წარმოებას და შეაქვს ცვლილებები საერთა-
შორისო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის საქმეში თანასწორობის, სოციალური სა-
მართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებზე დაყრდნობით.

- ხელს უწყობს ჯანსაღი საკვების პრინციპების დანერგვას, მცენარეულ საკვებზე დაფუძნებული კვების ჩვევის შემოტანას, რომელიც კონცენტრირებულია ხორცის მოხმარების შემცირების, სწორად გადამუშავებული, ენერგიითა და ცხიმოვანი უჯრედისით გამდიდრებული საკვების მიღების მოდელის დანერგვაზე, თუმცა ყოველივე უნდა განხორციელდეს რეგიონალურ-კულტურული სამზარეულო ჩვევებისა და ტრადიციების პატივისცემის პირობებში.

- ანიჭებს პრიორიტეტს სოფლის მეურნეობას, მხარს უჭერს მის განვითარებას ამ პროცესში მრავალი ფერმერის ჩართვით, რომლებიც აწარმოებენ საკვებს და ამავდროულად ზრუნავენ გარემოზე. ამ პროცესში წარმატების მიღწევა შეუძლებელია, თუ არ იქნება პროდუქციაზე სამართლიანი ფასები, რაც წარმოადგენს, ერთი მხრივ, ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის სამართლიანი შემოსავლის მიღების, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებლებისთვის სამართლიანი ფასების გადახდის წინაპირობას.

- უზრუნველყოფს ფერმერებს და სოფლის მეურნეობის მუშაკებს სამართლიანი, არადისკრიმინაციული პირობებით და წარმოადგენს მინის თანაბარი და სამართლიანი ხელმისაწვდომობის გარანტიას.

- ხელს უწყობს ადგილობრივი, სეზონური, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას და მოხმარებას, რაც კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს მოსახლეობას საკვებთან და საკვების მწარმოებლებთან.

- უზრუნველყოფს რესურსების გამოყოფას ბავშვებისათვის საჭირო უნარებისა და ცოდნის გადაცემისათვის, რათა დაეხმაროს მათ ჯანსაღი და სასარგებლო საკვების წარმოების, მომზადების და მიღების წესების დაუფლებაში.

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს საქართველოში -ს ეგიდით –TCR/RER/3207 პროექტის ფარგლებში ჩატარებული სემინარი „სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიებისა და ბიოუსაფრთხოების პოტენციალის შესაძლებლობების გაძლიერება“ მიეძღვნა პრობლემებს „სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგია და ბიოუსაფრთხოება – ძირითადი პრინციპები და კონცეფციები“ და „ღირებულებათა ჯაჭვის შეფასება აგრობიოტექნოლოგიის სფეროში“, რომელშიც -ს და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფერმერები. დისკუსიებისა და შედეგების ანალიზის დროს გამოვლინდა, რომ, მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, აგროსურსათწარმოებაში საჭიროა მნიშვნელოვანი მხარდაჭერი ღონისძიებების გატარება როგორც საგანმანათლებლო, ასევე საორგანიზაციო, ტექნიკური თუ სხვა პრობლემების გადაჭრის კუთხით.

ჩვენ მიმდინარე წელს ჩავატარეთ საქართველოს სურსათის ბაზრის კვლევა როგორც აგრობაზრებზე, ისე მარკეტებსა და სუპერმარკეტებში. კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს აგროპროდუქციის წილი ძალიან მცირეა იმპორტულ პროდუქციასთან შედარებით და ის მინიმალურადაც არ შეესაბამება ქვეყნის პოტენციალს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე საჭიროა კარგად გააზრებული, ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აგროწარმოების განვითარების პოლიტიკის შემუშავება, უვნებელი და მაღალი ხარისხის აგრო/სურსათპროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა წარმოებაში, ბიზნესის ორგანიზების და მარკეტინგული მართვის უნარ-ჩვევების განვითარება ფერმერებში (მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ჩაის წარმოება და საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული სხვადასხვა სფერო) როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის გატანისათვის.

ETER SARJVELADZE

*Academic Doctor of Economics
Ivane Javakishvili Tbilisi State University*

PERSPECTIVE OF DEVELOPMENT OF MANUFACTURING VICTUALS IN GEORGIA ACCORDING TO THE DEMANDS OF INTERNAL AND WORLD MARKET

S u m m a r y

In conditions of modern global competency, agro victuals production should start from exploring the market based on humans' demand for safe rations.

Marketing researches are important for exploring internal and world market demands, competitors, market situation, and a company's long-term possibilities as well.

Investigations showed that local agro production portion is very small in comparison with the imported production in Georgia's market. And this is really not even the minimum of the country's potential.

Consequently, it is necessary to work out the policy of developing agro production according to the market requests, promote safe and high quality agro/victuals output, inculcate international experience in manufacturing, develop business planning and marketing management skills in farmers (bee-keeping, wine-making, manufacturing plural cereals, cattle-breeding, fruit-growing, market-gardening, tea production and other long-range spheres of Georgian agriculture) for delivering products to internal as well as international markets.

AVTANDIL SILAGADZE

*Member-Correspondent of the Academy of Science of Georgia,
Academic Doctor of Economics, Professor*

TAMAR ATANELISHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor*

THE POTENTIAL OF GEORGIA'S AGRARIAN SECTOR

The national agrarian sector of Georgia will be in a critical situation unless its rich potential is not sufficiently utilized. Even in the Democratic Republic of Georgia (1918-1921) the agrarian reform was reinforced very carefully. 80 % of Georgians lived in villages and most of the peasantry used leased lands (T. Atanelishvili. *Economic Reforms in the Democratic Republic of Georgia*. "Universal", Tbilisi, 2006, pg. 35). A number of progressive measures were taken, but in general, the agrarian reform failed to be carried out because of forceful annexation of the Democratic Republic of Georgia in 1921. The agrarian reforms started at the beginning of the 90s again after the recovery of independence of Georgia but the results are still non-satisfactory: Instead of satisfaction of population's demand with national agricultural produce maximally, volumes of imported products have been increasing on an annual basis, while more than half of the employed population of Georgia is employed in the countryside and the portion of agriculture (in 2010) in entire domestic produce composed only 7.3 % (2005-4.3%)

(http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo Agriculture 10.09.2011).

Georgia's agricultural sector was seriously affected by the world financial crisis, but the country's poor economic conditions have far deeper reasons. A considerable part of the agrarian resources of Georgia was not utilized in the last years; the Georgian government has no long-term strategy for the development of the sector; a greater part of insufficient funds allocated from the budget is spent aimlessly, etc. Modern agrarian sector of Georgia requires much more attention in terms of world-wide systematically increasing pieces on edibles. It is no mere chance that the outstanding Georgian novelist and public figure Ilia Chavchavadze linked welfare of the Georgian nation directly to economic development, beginning with the utilization of existing natural resources – agriculture (A. Silagadze. *Aspects of Economic Doctrine in Georgia*. Peninsula University of Technology, Business and Informatics (CA, USA). California, 2010, pp. 16-24).

The index of production of agricultural produce per capita was critically decreased. For example, in 2010, the following products were manufactured: wheat – 11kg (2006- 16 kg), maize 32 kg (2009 – 66 kg), vegetables 39 kg (2006- 41 kg), grapes 27 kg (2007-52 kg), meat 13 kg (2006- 19 kg) (http://geostat.ge/cms/site_image... Agriculture of Georgia in 2010, pg. 18). It is obvious that the demand for products not including eggs and milk remains unsatisfied.

The development of Georgia's agrarian sector, along with other sectors, is hindered (A. Tvalchrelidze, A. Silagadze, G. Tkeshelashvili, D. Gegia. *Program of Social-Economic Development of Georgia*. Tbilisi, Nekeri Publishing, 2011, pp. 241-242) by the low level of capitalization of agricultural produce: legislation – the market of secondary agricultural lands has become available only recently; psychological aspects – peasantry often opposes to the forms of cooperation; infrastructural problems – Georgia has no agricultural service system; incorrect state management – the government has been allocating GEL 40 mln annually for the support of agricultural sector, this year the allocation will be GEL 150 mln, but these amounts are not used directly for creating agricultural capabilities.

According to official data, the area of sown land made up 275,300 hectares in 2010 (2006 – 330,200; 2009 – 308, 200) only 51.7 % (2006 – 95.6 %; 2009 – 59.6 %) of which was processed with mineral fertilizers (http://gostat.ge/cms/site_image... Agriculture of Georgia in 2010, pg. 22. 10.09.2011). We cannot talk about the growth of crop capacity in such terms. These circumstances are closely linked to the problems existing in food industry.

Modern food and agricultural produce processing industry is being created today in Georgia. The volume of food industry (including beverages and tobacco) increased in 1999-2000 but the production of food products (in 2010) per one person constituted GEL 342, 68 (2009-286.590 GEL, i.e. only 28.56 (2009 – 23.88) per month (http://geostat.ge/?action=page&p_id=463&lang=geo, industry 10.09.2011), which is quite a poor index. Obviously, Georgia's food industry lacks investments.

In general, no strong farming facilities were created, no insurance mechanisms were activated, no centers for storage, packing, distributing and technical service of national produce were established in the agrarian sector of Georgia. Mean amounts allocated from the state budget are spent aimlessly, foreign investments are obviously low and long-term low-interest credits are almost impossible to attract.

Agriculture cannot be revived without relevant long-term state strategy which the government of Georgia has not had so far. The government should care especially for the companies (A. Tvalchrelidze, A. Silagadze, G. Tkeshelashvili, D. Gegia. Program of Social-Economic Development of Georgia. pg. 260-262) that would try to export such Georgian agricultural products as:

- Ecologically clean meat and meat products, fresh milk and dairy produce;
- Nuts, greens and honey;
- Fruits and fruit products (juices, jams), etc.

For this purpose, the government must establish a special fund (afterwards it will operate under complete self-financing) which under tenders (like foreign analogs) will issue low-interest credits to the companies that will:

- exploit national natural resources;
- manufacture produce able to compete on international markets; create facilities for processing agricultural products; light industry facilities, especially those for processing silk and wool; micro-engines and mini-tractors, turbines for small power stations, capacities of generations of “green energetics”.
- develop innovative activities.

Additionally, credits must be allocated to the companies that will create farm economies, to companies dealing with agricultural services (agrochemical, technical, “procurement”), companies exporting agricultural products, farms established in cooperation with foreign companies, etc.

Thus, in case of reinforcement of these and other measures, Georgia’s agrarian sector can manufacture products costing 10 times more, but it requires a long-term state program which still does not exist.

ავთანდილ სილაგაძე

*საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი*

თამარ ათანელიშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი*

საქართველოს აგრარული სექტორის პოტენციალის შესახებ

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი და შემოთავაზებულია ამ მდგომარეობის დასაძლევ რეკომენდაციები. ავტორთა აზრით, შემოთავაზებული და სხვა ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, საქართველოს აგრარულ სექტორში შესაძლებელია მინიმუმ 10-ჯერ მეტი ღირებულების პროდუქციის შექმნა, მაგრამ ამისთვის უნდა დამტკიცდეს გრძელვადიანი სამთავრობო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს.

რუსუდან სირბილაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

აგროტურიზმი

აგროტურიზმის განვითარება მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას განსაკუთრებულად უწყობს ხელს. აგროტურიზმის ლიდერი ქვეყნებია: იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. თითოეულ ამ ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარებას თავისებურებები გააჩნია, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტულად მხოლოდ ამ ქვეყნისათვის. ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში მას უწოდებენ “სოფლის ტურიზმს”, ამერიკელი სპეციალისტები საერთაშორისო ტურიზმში ამ მიმართულების აღსანიშნავად ხმარობენ ტერმინებს: აგროტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, ბუნების ტურიზმი და ა.შ. გერმანელი სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ. მეცნიერთა განმარტებით: “სოფლის ტურიზმი” არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში – ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან, ხოლო ფერმერული, ანუ აგროტურიზმი გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით. ისინი ცხოვრობენ მათ პლანტაციებში და ეცნობიან იქაურ ცხოვრებას, ან ცხოვრობენ მეთევზეთა დასახლებებში და ოჯახებში და მათთან ერთად გადიან სათევზაოდ. ტურიზმის სახეების კლასიფიკაცია შემდეგია: ბუნების ტურიზმი, ეკოლოგიური ტურიზმი, აგროტურიზმი, რომელიც გვხვდება ფერმერული და სოფლის ტურიზმის ნაირსახეობებით. რუსი მკვლევარი ა. ბ. ზდოროვი ამტკიცებს, რომ აგროტურიზმი სტრუქტურულად ხუთ სახედ იყოფა: სპორტული, კულტურულ-შემეცნებითი, ფერმერული, საქმიანი და ეკოლოგიური. მათგან პირველი და მეორე სახე სოციალურ სფეროს განეკუთვნება, შემდეგი ორი სანარმოოს, ხოლო უკანასკნელი წინასწარმოო სფეროა. ასეთი კლასიფიკაცია არასწორია, ვინაიდან საქმიანი, კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ტურიზმი დამოუკიდებელი სახეებია და მათი შეთავსება აგროტურიზმთან ხელოვნური და გაუმართლებელია. აგროტურიზმის სისტემა აღსანიშნავია იმით, რომ დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით. სტუმრებმა შეიძლება იცხოვრონ წინა საუკუნეების გლეხურ სახლებში; მასპინძლები მოემსახურონ სტუმრებს ოფიციალურად, მზარეულებად. სტუმრები მიირთმევენ შინაურ ყველს, ლორს, ხელით ნაკეთებ მაკარონს, ახლად მოხარშულ ციკანს, ან ბატკანს, აგრეთვე სვამენ ადგილობრივ წითელ ღვინოს. არის სხვაობა ფასებში. შეიძლება დაისვენო ვიღებშიც, რომლებიც მდებარეობენ ვენახების და ზეთისხილის პლანტაციების გარემოცვაში, მაგრამ ეს შედარებით ძვირი სიამოვნებაა. აქ პრობლემას არ წარმოადგენს უცხო ენის არცოდნა. ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური პროგრამები; აჩვენებენ საიდან მიიღება რძე, როგორ გამოიყურება ცოცხალი ცხვარი, ძროხა, კურდღელი, ქათმები, ცხენი. უწყობენ სეირნობას ცხენებით. მშობლები კი სიამოვნებით აკვირდებიან ყველის დამზადებას, ვაზის მოვლას. მათ ასწავლიან ნაციონალური კერძების მომზადებას. შეუძლიათ მონაწილეობის მიღება თევზაობაში, ველოსიპედით სეირნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და სხვა. იტალია, კვიპროსისა და ბულგარეთისაგან განსხვავებით, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ტურიზმის მექად. მიუხედავად ამისა, აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის სახეობა, შედარებით ახალია. იგი ძირითადად განვითარებულია ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიაში. ლიდერად ამ საქმეში გვევლინება ტოსკანა და ტრენტინო - სამხრეთ ტიროლი. ტოსკანა ფლორენციის, პიზის, სიენის და სხვა ცნობილი ისტორიული ქალაქების მიწაა, სადაც შუა საუკუნეების ნაგებობები და მონასტრებია თავმოყრილი. ტრენტინო კი ევროპის ერთ-ერთი მსხვილი სამთო-სათხილამურო ტურიზმის ცენტრია. აქედან გამომდინარე, აგროტურიზმის განვითარება შესაძლებელი გახდა უკვე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის საფუძველზე. ყოველივე არსებულს ემატება პეიზაჟების სილამაზე, კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივი ღირს- შესანიშნაობანი, შესანიშნავი ღვინოები და ხარისხიანი და მრავალფეროვანი ადგილობრივი სამზარეულო. პირველად იტალიური სოფლის სილამაზე ინგლისელებმა აღნიშნეს. 90-იანი წლებიდან აგროტურიზმი ძალიან პოპულარული გახდა. იტალიელთა ოჯახების შეცვლა დაიწყო და ისინი არა მარტო შვებულებას ატარებენ სოფლებში, არამედ უქმე დღეებსაც. აგროტურიზმი იმითაა აღსანიშნავი, რომ იგი მთელი წელი მუშაობს. კვიპროსსა და ბულგარეთში აგროტურიზმმა სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. კვიპროსზე შე-

მუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომელიც ახორციელებს სასოფლო სახლების რესტავრაციას და ნაციონალურ სტილში გაფორმებას თანამედროვე კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში და სურვილისამებრ იარონ ზღვის ნაპირზე. შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ყურძნის კრეფასა და მის დაწურვაში; შეუძლიათ შეიარონ სამჭედლოსა და საფეიქრო სახელოსნოში. ტრადიციული სოფლებისთვის აგროტურიზმი არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს. ეს სახეობა შედარებით იაფია, ეფექტურია და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

აგროტურიზმის განვითარებამ ქვეყნებში ხელი შეუწყო:

- სასოფლო რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობას
- ტურისტული სეზონურობის გაბათილებას
- ტურისტების მიზიდვას სოფლებში
- სოფლებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას
- სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას
- ბუნებრივი გარემოს დაცვას
- ახალი, დივერსიფიცირებული ტურისტული სეგმენტის შექმნას.

ფაქტია, რომ აგროტურიზმი უნდა განვითარდეს საქართველოს სოფლებში ადგილობრივ დონეზე. მაგრამ იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს რეგიონალური, ეროვნული, ზოგჯერ კი საერთაშორისო კავშირებიდან გამოცალკევებულად.

აუცილებელია:

- პოლიტიკის დამუშავება, კანონმდებლობა, შეღავათები სოციალური ტურიზმის განვითარებისათვის;
- პოლიტიკის დამუშავება, კანონმდებლობა ტურისტთა უსაფრთხოების საკითხებში, მათი დაზღვევა, ჯანდაცვა;
- ქვეყნის შიგნით და ქვეყნიდან ტურისტების გადაზიდვების გაუმჯობესების მიზნით მსხვილმასშტაბიანი სატრანსპორტო სისტემების შექმნა;
- მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობების დაცვა, ეროვნული პარკების სახელმწიფო და რეგიონალური დონის ნაკრძალების დანესება;
- საინფორმაციო და სარეკლამო სისტემის შექმნა, რომელიც დაკავებული იქნება ქვეყნისა და ამა თუ იმ რეგიონის ტურისტული შესაძლებლობის პროპაგანდით;
- ტურიზმის ინდუსტრიის ფარგლებში ძალისხმევის კოორდინაცია, რათა ქვეყნის მთავრობასა და პროფესიონალურ ტურისტულ წრეებს შორის დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობები.

ტურიზმის განვითარების პროცესში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საერთაშორისო კავშირებს. ტურისტების განსაკუთრებით მრავალრიცხოვან კატეგორიებად ითვლებიან შვედულელებში მყოფნი და ბიზნესმენები, მათ შორის ის პირები, ვინც საზღვარგარეთ მიემგზავრებიან კონგრესებსა და კონფერენციებზე. უცხოელ ტურისტებს ჩამოაქვთ კონვენტირებადი ვალუტა, რაც აუცილებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათი ეკონომიკის გაძლიერებისათვის. დღეს სასტუმროების ჯაჭვების უმრავლესობა, ისევე როგორც დიდი ტუროპერატორები, ემსახურებიან საერთაშორისო კლიენტურას. ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ გადანყვეტილებები და ღონისძიებები, რომლებსაც იღებენ ნებისმიერ ტურისტულ რაიონში, თავის გავლენას ახდენს უახლოესი მეზობლების სტრატეგიაზე, შედეგად კი რეგიონებზე და ქვეყანაზე მთლიანად, საბოლოო ჯამში კი მთელს მსოფლიოზე. ადამიანთა გადაადგილება ჰარმონიაში უნდა იყოს ყველა ქვეყნის და მათი მოქალაქეების მოთხოვნილებებთან და გლობალური თანამშრომლობის ამოცანებთან, რაც პრინციპში უნდა გულისხმობდეს ისეთ ეკონომიკურ განვითარებას, რომლის დროსაც ხდება არსებული შეზღუდული რესურსების შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა. ტურიზმის მდგრადი განვითარების სარგებლიანობა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ეკოლოგია და ეკონომიკა, მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სისტემას. თანამედროვე პირობებში წამყვანი ტურისტული ცენტრების უმრავლესობის პოპულარობა ეფუძნება გარემოს სისუფთავეს, მისი დაცვის ეფექტურ ღონისძიებებს და კულტურის თვითმყოფადობას. იმ ადგილებში, სადაც ამ ჩამონათვალის ნაკლებობაა, აშკარად შეიმჩნევა ტურისტული ნაკადების შემცირება. გარემოს დაბინძურება, კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა, ეკონომიკური კონიუნქტურის დაცემა, ყვლაფერი ეს ნეგატიურად მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე. ადგილობრივი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან რესურსების გონივრულ განაწილებაზე, რათა ამ რესურსებით ისარგებლონ მომავალმა თაობებმა. ტურიზმს შეუძლია პოზიტიური როლის შესრულება, განსაკუთრებით ბუნებისდაცვით ღონისძიებებში. ეს იმით აიხსნება, რომ გარემო თავისი განუმეორებე-

ლი პეიზაჟებით და ბუნების უნიკალური ძეგლებით, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით, სუფთა ჰაერით და წყლით შეადგენს იმ რესურსების უმრავლესობას, რომელიც ტურისტს აინტერესებს. ტურიზმს შეუძლია არა მხოლოდ ხელი შეუწყოს გარემოს შენარჩუნებას, არამედ მას უნარი შესწევს მისი სუბსიდირებისა (დაფინანსებისა). ამ მიმართებით დიდ მნიშვნელობას იძენს ტურიზმის განვითარება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის გასატარებელი ღონისძიებების კონტექსტში. არქეოლოგიური გათხრები, ისტორიული ძეგლები, ორგინალური არქიტექტურა, თვითმყოფადი ფოლკლორი, ხელოვნება, ხელოსნობა, ეროვნული ტანსაცმელი, ტრადიციები და ღირებულებათა სისტემა – ყველაფერი ეს ერთად აღებული შეადგენს მოცემული რეგიონის კულტურას. ასეთი კულტურული მემკვიდრეობა იზიდავს ტურისტებს. იმის მიხედვით, თუ როგორ აწვითარებენ ტურიზმს და მართავენ დარგს, კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს, აღდგენილ იქნეს, ან საერთოდ დაიკარგოს. უარესად მნიშვნელოვანია განვითარების ნებისმიერი სტრატეგიისათვის რეგიონის უნიკალური ისტორიული, კულტურული და სოციალური თვითმყოფადობის შენარჩუნება. მდგრადი განვითარება არის პროცესი, რომლის ფარგლებში შესაძლებელი ხდება მუდმივი განვითარება რესურსებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რაც, როგორც წესი, მიიღწევა ან რესურსების ისეთი გამოყენების წესით, როცა ისინი იმ სისწრაფით აღდგებიან რა სისწრაფითაც ვხარჯავთ, ან ხდება ნელა აღდგენადი რესურსებიდან სწრაფად აღდგენად რესურსებზე გადასვლა. მხოლოდ ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი რესურსებით ისარგებლონ როგორც დღევანდელმა, ისე მომავალმა თაობებმა. საქართველოში აგროტურიზმის დაგეგმვა და განვითარება უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით:

- ეკოლოგიური მდგრადობა
- სოციალური და კულტურული მდგრადობა
- ეკონომიკური მდგრადობა

12. Government of Georgia's Sector presentation, 2010. Investment Opportunity in the Georgian Agricultural Sector. URL: www.georgia.gov.ge, last accessed 21.9.2011.
13. Herr, M., Muzira, T., 2009. Value Chain Development for Decent Work: A guide for private sector initiatives, governments and development organizations. International Labour Office, Geneva, 2009.
14. Jessee, U., Mayakubova, O., Miller, A., Saffery, A., Jioshvili, L., Webber, M., Chekurashvili, Z., Gachechiladze, M. and Zeedyik, D., 2011. USAID Economic Prosperity Initiative (EPI): Sector Assessment Report. Deloitte Consulting LLP. USAID / Caucasus: January 26, 2011.
15. Joint FAO/UNICEF/WFP Food Security, Child Nutrition and Agricultural Livelihoods Assessment. February 2009, Georgia.
16. Kan, I., Kimhi, A. and Lerman, Z., 2006. Farm output, non-farm income and commercialization in rural Georgia. Electronic Journal of Agricultural and Development Economics. Vol. 3 (2): 276–286.
17. Kaplinsky, R., 2004. Spreading the gains from globalization: what can be learnt from value-chain analysis. Problems of economic transition, Vol. 47, No. 2: 74-115.
18. Kussel, B., 2011. Wirtschaftsdaten kompakt: Georgien. Editor: Germany Trade and Invest, Gesellschaft für Außenwirtschaft und Standortmarketing mbH, Bonn.
19. Marongiu, S., 2005. An Econometric Model for Evaluating the International Hazelnuts Market. Proc. VIth Intern. Congress on Hazelnut. Editors.: Tous, J., Rovira, M. & Romero, A. Acta Hort. 686: 539-546.
20. Raeder, G., 2010. Georgien kompakt: Landwirtschaft. Editor: Deutsche Wirtschaftsvereinigung Georgien (DWVG), Tbilisi.
21. Réviron, S., 2009. Référentiel méthodologique pour l'étude des Filières Agroalimentaires en Suisse. Agridea, Lausanne.
22. Schulze, G., 2011a. Wirtschaftstrends Georgien. Editor: Germany Trade and Invest, Gesellschaft für Außenwirtschaft und Standortmarketing mbH, Bonn.
23. Da Silva, C.A., 2007. Guidelines for rapid appraisals of agrifood chain performance in developing countries. Agricultural Management, Marketing and Finance Occasional Paper 20, FAO. Rome.
24. USDA Foreign Agricultural Service, 2010. Turkey Tree Nuts Annual. GAIN, Global Agricultural Information Network.
25. USDA Foreign Agricultural Service, 2011. EU-27 Tree Nuts Annual. GAIN, Global Agricultural Information Network SP1118.
26. Zadnik, J., 2008. Georgian Hazelnut, Unique Opportunity for Cooperation, For your Food Business. International Trade Department, EM Consulting.

ლორეანა სორბი

ციურხის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (შვეიცარია)

ღირებულებითი ანალიზი საქართველოს თხილის წარმოებაში

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ღირებულებითი ჯაჭვის ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ბაზრების ფუნქციონირებაში. კონცეფცია მოიცავს საქმიანობების მთელ ჯაჭვს საქონლის წარმოების, განაწილებისა და გაცვლის პროცესში. ამ სამაგისტრო თემის მიზანია მეცნიერულად გააანალიზოს ქართული აგროპროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვი, ამ შემთხვევაში თხილის, რომელიც საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. აგროსექტორში დასაქმება მნიშვნელოვანი ფაქტორია სოფლად სიღარიბის შემცირებისთვის, ამასთანავე, უამრავი აგროპროდუქტი რელევანტურია საქართველოს ეკონომიკისა და კულტურისათვის. ამ ანალიზისათვის არჩეული მეთოდოლოგია ეფუძნება თანამედროვე ლიტერატურას ღირებულებითი ჯაჭვის შესახებ და ღირებულებითი ჯაჭვის განვითარების პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას. უმთავრესი მიზანია – უკეთესად გავიგოთ, თუ როგორ და სად იქმნება ქართული თხილისათვის დამატებითი ღირებულება, რათა გამოვააშკარავოთ კრიტიკული წერტილები კონკურენციისთვის და ავაშენოთ საფუძველი უფრო მეტი პროექტებისთვის ღირებულებითი ჯაჭვის განვითარებაზე, ასევე გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი პირობები სოფლად მცხოვრები ოჯახებისათვის.

მარინა ტაბატაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი

მმართველობის დეცენტრალიზაცია რეგიონული განვითარების პროცესში

ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა განიხილება როგორც ეკონომიკური სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი და, ამდენად, იგი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს მის პრიორიტეტებს. გრძელვადიან პერიოდში კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს რეგიონის სტრუქტურული სპეციფიკის ცოდნას, რეგიონების დიფერენცირებას რესურსების და განვითარების შესაძლებლობების მიხედვით, მათ ეფექტურ გამოყენებას.

ეკონომიკური აღმავლობა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება თავისუფალი ბაზრის დამკვიდრების და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის იდეას ემყარება. სამწინარემო საქმიანობის ლიბერალიზაციის აუცილებელ პირობას მმართველობის დეცენტრალიზაცია და სწორი ინსტიტუციონალიზმი შეადგენს. რეგიონული განვითარების თანამედროვე პროცესებს საფუძველი დაუდო 2005 წელს მთავრობის მიერ ინიცირებულმა დეცენტრალიზაციის პროგრამამ, რომლის ძირითადი მიზანი თვითკმარი ადგილობრივი მმართველობის შექმნაა. ეს პრინციპი საბიუჯეტო რესურსების მართვაში თვითმმართველობის როლის და პასუხისმგებლობის ზრდას ემყარება. ადგილობრივი ბიუჯეტი ადმინისტრაციული ერთეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელი მექანიზმია, რომლის შემოსავლების განკარგვა მუნიციპალური ხელისუფლების პერეოგაცივას, რაც განაპირობებს მათ მოტივირებას ადგილობრივი წარმოების განვითარებასთან მიმართებაში.

ფინანსური დეცენტრალიზაციის უმთავრესი პირობაა ადგილობრივ ორგანოებს ჰქონდეთ გადასახადების დაწესების და ადმინისტრირების უფლება. ბიუჯეტის წყარო გადასახადების გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონებიდან მიღებული შემოსავალია, ეს მუნიციპალური საკუთრება აღიარებული და დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ, მისი სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებას კი ადგილობრივი ორგანოები უნდა ახორციელებდნენ. საკუთარ შემოსავლებთან ერთად, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყარო სახელმწიფო ტრანსფერებია გრანტების, სუბსიდიების და სესხების სახით, ამასთან, სუბსიდირება არ უნდა ზღუდავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განვითარების სტრატეგიული გეგმის დამოუკიდებლად განხორციელებას.

დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემისათვის დამახასიათებელია ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური ავტონომია და ანგარიშვალდებულება საკუთარი მოსახლეობის წინაშე, ცენტრალური ხელისუფლების სუსტი კონტროლი საზოგადოებრივ ხარჯებზე და ასევე სუსტი მოქნილობა ფინანსური რესურსების გადანაწილებაში. რამდენადაც ტერიტორიულ ერთეულებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსხვავებული პირობები ახასიათებთ, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მათთვის ფინანსური დახმარების განწევის გზით ამ სხვაობათა ნიველირებისა და დონეთა გამოთანაბრებისათვის, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია სატრანსფერო პოლიტიკის ოპტიმიზაცია და მასში სუბიექტივიზმის ელემენტების სრულად გამორიცხვა, საჭიროა შედარებით მაღალშემოსავლიან მუნიციპალიტეტებს, სწორედ, გამოთანაბრებითი ტრანსფერების გამოყენებით დაუბალანსდეს შემოსავლების ბიუჯეტთაშორისი გადანაწილებით წარმოქმნილი დეფიციტი, რისთვისაც მიზანშეწონილია ე.წ. მხარდაჭერის კოეფიციენტების დიფერენცირებული გამოყენება ასეთი რეგიონების მიმართ. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების განვითარება სატრანსფერო პოლიტიკის სრულყოფის ძირითადი ფაქტორია. რაციონალური საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების აუცილებელი წინაპირობაა ყველა დონის ბიუჯეტის მიზნობრივ-პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა, მან უნდა ასახოს რეალური ურთიერთკავშირი ეკონომიკურ განვითარებასა და საბიუჯეტო მონყობას შორის, რაც ზრდის პასუხისმგებლობას ფინანსური ნაკადების მართვაზე და ეფექტიან გამოყენებაზე.

რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში არსებითი როლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებს ენიჭებათ. მათი მიზანია კონკურენტული გარემოსათვის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა, რაც განვითარებული თვითმმართველობის პირობებში ეკონომიკურ და საინვესტიციო საქმიანობას უწყობს ხელს. რეგიონებზე პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციები გა-

იცემა სამინისტროებიდან, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო-ში“ პროგრამიდან, „იაფი სესხებით“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სამწუხაროდ, ეს ზრდის ადგილობრივი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულების ხარისხს და გარკვეულწილად ასუსტებს ავტონომიური ფუნქციონირების მასშტაბს. სატრანსფერო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს პრიორიტეტებს, უზრუნველყოფდეს ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის სასურველი გარემოს ფორმირებას და მისთვის საჭირო რესურსებით მომარაგებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონებისათვის პირდაპირი ფინანსური დახმარების პრაქტიკა მიზანშეწონილია მათთვის აუცილებელი პროგრამების ცენტრიდან დაფინანსებით შეიცვალოს. ასეთი მიდგომა ემსახურება როგორც, ზოგადად, რეგიონების განვითარებას, ისე ცენტრზე მათი დამოკიდებულების ხარისხის შესუსტებას. ადგილობრივი წარმოების განვითარების სტიმულირებით უნდა შემცირდეს სახელმწიფო ბიუჯეტზე ტერიტორიული ერთეულების ფინანსური დამოკიდებულება, რაც ხელს შეუწყობს მათ ავტონომიურ ფუნქციონირებას.

თვითმმართველობის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად გათანაბრებითი ტრანსფერის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, თვითმმართველი ერთეულებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიმალური სტანდარტების არარსებობის გამო, დღეისათვის დაუდგენელია ტრანსფერის ოპტიმალური სიდიდე და მისი ეფექტიანობაც არაგაზომვადია. პრაქტიკულად მოუწესრიგებელია პირდაპირი ინვესტირების სისტემა, ასიგნებები სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ არის განერილი ცალკეული რეგიონისა და ღონისძიების ქრილში, რის გამოც რეგიონულმა ხელისუფლებამ წინასწარ არ იცის მისთვის გამოყოფილი თანხის მოცულობა. სწორედ დროული, გამჭვირვალე ინფორმაციის დეფიციტი ერთ-ერთი პრობლემური საკითხია, ასევე სუსტია მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ურთიერთობა მხარჯავ ორგანიზაციებთან. რეგიონებს შორის დანახარჯები არათანაბარია როგორც ფუნქციონალურ, ისე ეკონომიკურ ქრილში. რეგიონებს შორის უთანაბრობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მინიმალური საზოგადოებრივი პროდუქტის და მომსახურების სტანდარტების არარსებობაა.

საბიუჯეტო სისტემასთან უშუალო კავშირშია რეგიონების განვითარების კანონზომიერებათა განსაზღვრა, რაც მათი სპეციალიზაციის და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის პროცესებს განაპირობებს. ეს საკითხი საფუძვლად ედება ეკონომიკის სივრცობრივი პროპორციების ჩამოყალიბებას და მათი განვითარების პროგნოზირებას. მიზნობრივ პროგრამებში დაცული უნდა იყოს მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებული ეკონომიკური სუბიექტების ინტერესები და სახელმწიფოს რეგიონული მიზნებიც, კერძოდ ის, რომ ხელისუფლების რეგიონულ დონეზე ფუნქციონირება უნდა ემსახურებოდეს ინვესტიციების მოზიდვისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას, პრობლემური რეგიონების უპირატესი განვითარებისათვის ხელშეწყობას, სოციალური დაძაბულობის შენელებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების დარგობრივ და ტერიტორიულ რანჟირებას. მუნიციპალური წარმონაქმნისათვის ტიპურია სხვადასხვა დარგობრივი პროფილის უნიტარული საწარმოების არსებობა, რაც რეგიონების განვითარებაში კლასტერული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი სტრუქტურის მქონე სისტემა ითვალისწინებს ერთიანი სტრატეგიული მიზნებით გაერთიანებული სხვადასხვა სფეროში ფუნქციონირებადი სუბიექტების ურთიერთკოორდინირებულ საქმიანობას. მათი პარტნიორული თანამშრომლობა ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი სასაქონლო ჯგუფების ათვისებას, კადრების გადამზადებას და მათ სწორ მენეჯმენტს უზრუნველყოფს. მუნიციპალური კლასტერების ფუნქციონირებას კომერციული სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მკვეთრად გამოხატული სოციალური ნიშანი ახასიათებთ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საზოგადოებრივი ფუნქციის რეალიზებას ემსახურება. კლასტერი ამალღებს მუნიციპალური სუბიექტის საინვესტიციო მიზიდველობას, რამდენადაც მიუთითებს მოცემულ ტერიტორიაზე ბიზნესის გაფართოების დამატებით გზებზე, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და მათი შემოსავლების ინვესტიციებში ჩართვის შესაძლებლობებზე.

რამდენადაც მრავალფეროვანია რეგიონული და მუნიციპალური განვითარების ფაქტორები, იმდენად განსხვავებულია მათი განვითარების პროგრამების შემუშავებისათვის საჭირო საინფორმაციო-ანალიტიკური და მეთოდური სამუშაოები, კერძოდ, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონისა და სამენარმეო პოტენციალის შეფასებისათვის გამოიყენება აშშ რეგიონული სტატისტიკური კვლევის ცენტრის, ავსტრიის ბანკის და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდოლოგია, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის შეფასებისათვის კი — მსოფლიო ბანკის, ურბანული განვითარების ჯგუფის და მოსკოვის ლეონტიევის სახელობის ცენტრის მეთოდები. აღნიშნული მეთოდოლოგია ემსახურება განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას, რისთვისაც გამოიყენება სვოტ-მატრიცა, საბაზრო-ხარისხობრივი და პორტერის ბიზნესის დონის

სტრატეგიული მატრიცები.¹ პირველი ინსტრუმენტი გამოიყენება სტრატეგიის მიზნის ჩამოყალიბებამდე წარმოების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებისათვის, მეორე მატრიცის საშუალებით ხდება პრობლემების რანჟირება და პრიორიტეტების განსაზღვრა.

პორტერის სტრატეგია ემსახურება ბიზნესის მენეჯმენტს, იგი აყალიბებს ადგილობრივი სუბიექტის სტრატეგიულ უპირატესობებს და მკვეთრად გამიჯნავს მათ კერძო და სახელმწიფო სექტორისათვის.² ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემათიკის გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს სამოქალაქო აქტივობის ამაღლებას, ამისათვის საჭიროა ადგილობრივი მოქალაქეების მოთხოვნების და მოლოდინების გათვალისწინება ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პოლიტიკაში და მიზნობრივ პროგრამებში. თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მართვის ყველა დონეზე სჭირდება თვით ხელისუფლებას სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარემოს განვითარებისათვის, სამუშაო ადგილების შექმნისა და შემოსავლების ზრდისათვის, რამდენადაც, სამოქალაქო საზოგადოება არის სოციალურ ურთიერთობათა სისტემა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ის აერთიანებს შინამეურნეობებს, სხვადასხვა სფეროს სუბიექტებს და ავტონომიის თუ ძალაუფლების ხარისხით განსხვავებულ ინსტიტუციურ რგოლებს. სამოქალაქო აქტიურობა ამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას და პასუხისმგებლობას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების საკითხში, რაც გამოიხატება განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, მათი განხორციელების და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობაში. ადგილობრივ მმართველობაში საზოგადოების ჩართვა სხვადასხვა ფორმით ხდება: წინადადებების შეთავაზება, ინფორმირება, პარტნიორობა, კომუნიკაციების ქსელი და სხვ. თანამშრომლობის ეს მექანიზმები ხელს უწყობს ერთობლივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში საზოგადოების აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიული მართვის ადმინისტრაციული სტრუქტურების ორგანიზებისათვის, რაშიც შედის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის, ფუნქციონალური რეგულირების, კონკრეტული დარგის მართვის ორგანოები და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ქვესისტემები. ამ ინსტიტუტების მეშვეობით ყალიბდება რეგიონული განვითარების იდეოლოგია, რაც განსაზღვრავს პიროვნების ქცევას, სოციალურ ორიენტაციას და საზოგადოების აქტიურობის შესაძლებლობებს. მუნიციპალური ორგანოების საქმიანობა მოსახლეობისადმი მისი მომსახურების უნარით განისაზღვრება. სამეწარმეო და სოციალური გარემოს გაუმჯობესება თვითმმართველი ერთეულის ფუნქციონირების მიზანია, ის ყველაზე აქტიურად უწყობს ხელს თვით ამ სუბიექტების დამოუკიდებლობის ხარისხის და ეფექტიანობის ზრდას. თავისი მისიის განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობა ფინანსურ დამოუკიდებლობას საჭიროებს, რადგანაც ამ შემთხვევაში მოქალაქეებს მეტი შესაძლებლობა აქვთ ზეგავლენა მოახდინონ ცენტრალური ხელისუფლების რეგიონულ გადანაცვლებებზე, ადგილობრივი თვითმმართველი სუბიექტების განვითარების პრობლემათიკის დიაგნოსტიკასა და საპროგნოზო წინადადებების შემუშავებაზე.

წარმოების განვითარება და, შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა, მისთვის საჭირო ბიუჯეტის ფორმირება კი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ რესურსებზე მომუშავე, უპირატესად, მცირე სანარმოებით არის განპირობებული. ამდენად, ფინანსური რესურსების მობილობა ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს აქტივიზაციით განისაზღვრება. თვითდაფინანსების რეალური შესაძლებლობის გამოსავლენად აუცილებელია რეგიონის ფინანსური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, საბიუჯეტო სახსრების განაწილების დროს კი დარგობრივი და ტერიტორიული ასპექტების ოპტიმალური შეთანხმება, რეგიონული საინვესტიციო პრიორიტეტების განსაზღვრა, ყველა რეგიონისათვის ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენებისათვის თანაბარი პირობების შექმნა. ამ მიზნების რეალიზებას ემსახურება კლასტერული სტრუქტურების ამოქმედება და განვითარების მიზნობრივ დაპროგრამებაზე გადასვლა, რაშიც აქტიური როლის შესრულება შეუძლია ავტონომიურად ფუნქციონირებად თვითმმართველ ერთეულებს.

რეგიონებში სიღარიბის დაძლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. დღეისათვის მისი მდგომარეობა სრულიად არ შეესაბამება ცხოვრების დონის ამაღლების სახელმწიფო სტრატეგიას, რასაც მნიშვნელოვანილად განაპირობებს ნაკლებ-

¹ ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი, I ეტაპი, თბ. 2007.

² სვიაინიევიჩი პ., ნავროდსკი ს., ჯიბუტი მ., თოქმაზიშვილი მ. სახელმძღვანელო თვითმმართველობის ორგანოს მოხელეთათვის, თბ. 2006. გვ. 8-12.

ეფექტიანი ინსტიტუციური მოწყობა და დონორებს შორის სუსტი კოორდინაცია. რეგიონების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მთავარი როლი ენიჭება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში, რადგანაც იგი იზიდავს სექტორში კერძო ინვესტიციებს, აფართოებს გასაღების ბაზრებს, ხელს უწყობს ტრადიციული ფერმერული საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას.

რეგიონული განვითარების მომავალი უშუალოდ უკავშირდება საინოვაციო აქტივობას, რაც მოითხოვს სამენარშეო სუბიექტისათვის აუცილებელი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით რეგიონული საინოვაციო სისტემების შექმნას, ამ სფეროში ავტონომიურობის და ჰორიზონტალური მართვის ელემენტების დანერგვას. თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის ბერკეტების მ. შ., კლასტერული განვითარების ინსტრუმენტების დანერგვა ყველაზე ეფექტური სოფლის მეურნეობაშია, რაც უნდა აისახოს რეგიონული განვითარების სტრატეგიულ გეგმებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.საქ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი, I ეტაპი, თბ. 2007.
2. სვიაინიევიჩი პ., ნავროდსკი ს., ჯიბუტი მ., თოქმაზიშვილი მ. სახელმძღვანელო თვითმმართველობის ორგანოს მოხელეთათვის, თბ.2006.
3. საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება. საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, თბილისი 2009.

MARINA TABATADZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor*

MANAGEMENT DECENTRALIZATION IN THE PROCESS OF REGIONAL DEVELOPMENT

S u m m a r y

The State and municipal programs play a significant role in the development of regional economics. The aim of these programs is to create juridical and institutional bases for competitive business environment and to help the local authorities in autonomous performance. Local authorities are generally characterized by a weak control on public expenses from the central government and also little flexibility in distributing financial resources. As they are also characterized by different conditions of socio-economic development, the State is responsible for leveling these differences by correct financial support. An important issue for this is to optimize money transfer policies. It is necessary to balance the deficit between different municipalities - provoked by transferring incomes between budgets - by using equivalence transfers controlled by the central government. To achieve this, governments use the so-called "supporting individual coefficient". The main factor for the fulfillment of transfer policies is the development of differentiated inter-budgetary relations. As for establishing rational fiscal policies, it is necessary to mark off budget authorities and pass on purpose programmed financing for all level budgets. This should reflect the real connection between the country's economic development and budget planning. This will increase the responsibility of each element in managing financial flows and using them efficiently.

Transfer policies should take into account the State's priorities, ensure necessary environment for developing local business and provide them with essential resources. It is advisable to replace the practice of supporting the regions by financial aids directly from the State budget, by sponsoring the essential programs of management. This approach serves the task of developing regions, in general, and decreasing their dependence on the central government, at the same time. Nevertheless, to determine the correct amount of transfers, it is necessary to improve, first, the tools of administrating incomes in local budgets and. second, study the directions of their mobilization. Stimulating the development of local businesses should decrease the dependence of local authorities on the State budget. This will help in their autonomous operation.

Budget systems include determining regional development regulations, establishing spatial proportions of economies and forecasting the directions of their development. These are reflected in purpose programs that are responsible for protecting the interest of economic elements oriented on revenues and protecting the State's regional goals.

თენგიზ ურუშაძე, თეო ურუშაძე, დიანა სომასურიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

საქართველოს ნიადაგები და გამოყენების „რისკ-ფაქტორები“

საქართველოს ნიადაგები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით, რაც დაკავშირებულია ნიადაგ-თნარმომქმნელი ფაქტორების სიჭრელესთან [1]. აქ შედარებით მოკლე მანძილებზე იცვლება გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, კლიმატური პირობები, რაც მცენარეული და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებასთან და ასაკთან ერთად განსაზღვრავს ნიადაგების მრავალფეროვნებას.

საქართველოს ნიადაგური საფარი მეტ-ნაკლებად კარგად არის შესწავლილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ. მნიშვნელოვანია, რომ აქ პირველად იყო გამოყოფილი ახალი ნიადაგები: ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, ყვითელ-ყომრალი, ყომრალ-შავი, რომლებმაც შემდგომ საერთაშორისო აღიარება პოვეს. კავკასიის და, ძირითადად, საქართველოს ნიადაგების მაგალითზე დადგენილი იყო ნიადაგების გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი კანონი – ნიადაგების ვერტიკალური ზონალობის კანონი.

ქვეყანაში გამოიყოფა სამი ნიადაგური პროვინცია – დასავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი.

დასავლეთ ნიადაგურ პროვინციაში გამოიყოფა შემდეგი ვერტიკალური ნიადაგური ზონალობა - ჭაობიანი ნიადაგები (კოლხეთის დაბლობზე), ნითელმინებო სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ზღვის დონიდან 300-400 მეტრამდე, ყვითელმინები – პროვინციის ქვედა ნაწილში 500-600 მეტრამდე, ძველ ზღვიურ ტერასებზე გავრცელებული ყვითელმინა-ენერი ნიადაგები, ზღვის დონიდან 500(600) – 800 (1000) მეტრის ფარგლებში – ყვითელ-ყომრალი ნიადაგები, უფრო ზემოთ 2000 (2200) მეტრამდე გავრცელებულია ყომრალი ნიადაგები (რომლებიც აბსოლუტურად გაბატონებული ნიადაგებია ქვეყანაში), 2000 (2200) მეტრს ზემოთ გავრცელებულია მაღალმთიანეთი ძირითადად მთა-მდელოს ნიადაგებით, პროვინციის ფარგლებში კარბონატულ ქანებზე ჩვეულებრივია ინტროზონალური კორდიან-კარბონატული ნიადაგები.

აღმოსავლეთ ნიადაგურ პროვინციაში ყველაზე დაბალ პოზიციებს (აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) 300 – 400(500) მეტრის ფარგლებში იკავებენ რუხი-ყავისფერი და მდელოს-ყავისფერი ნიადაგები. ძირითადად, აღნიშნული სიმაღლეების ფარგლებში საკმაოდ დიდ ფართობებს იკავებენ შავი ნიადაგები (ე. წ. ბარის შავმინები). ვერტიკალური ზონალობის შემდეგ პოზიციებს იკავებენ ყავისფერი და მდელოს ნიადაგები. ზღვის დონიდან 1000 მეტრს ზემოთ გავრცელებულია იგივე ნიადაგები, რაც დასავლეთ ნიადაგურ პროვინციაში. აღმოსავლეთ ნიადაგურ პროვინციაში საკმაოდ დიდი ფართობებს იკავებენ დამლაშებული ნიადაგები (ალაზნის ქვედა დინების მარჯვენა სანაპირო).

სამხრეთ ნიადაგური პროვინცია წარმოდგენილია ყავისფერი და მდელოს-ყავისფერი ნიადაგებით სიმაღლის იგივე პოზიციებზე, რომელზეც აღმოსავლეთ ნიადაგურ პროვინციაში. მნიშვნელოვან ფართობებს იკავებენ შავმინები (ე.წ. მთის შავმინები). 2000 მეტრს ზემოთ გამოირჩევა მთა--მდელოს შავმინისებრი ნიადაგები, რომლის ზოგიერთი ვარიანტი მიეკუთვნება ანდოსოლებს [2].

ყველა ნიადაგურ პროვინციაში მნიშვნელოვან ფართობებს იკავებენ მდინარეების გასწვრივ გავრცელებული ალუვიური ნიადაგები.

ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად გამორიცხავს ქიმიური საშუალებების გამოყენებას, ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისას მათ შორის ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების მიზნით.

ამ დებულების რეალიზაციის სირთულე დაკავშირებულია სხვადასხვა მიზეზის სპექტრთან. ერთ-ერთი მთავარი არის ის, რომ ნიადაგები, რომლებიც ინტენსიურად გამოიყენება მინათმომქმედებში ხასიათდება დაბალი ნაყოფიერებით.

ამჟამად მიღებულია ნიადაგების ნაყოფიერების 5 გრადაცია: 1. ძალიან მწირი (მწირი გრადაციის ინდექსი); 2. მწირი (მწირი და საშუალოდ უზრუნველყოფილი გრადაციის ინდექსი); 3. საშუალო (საშუალოდ უზრუნველყოფილი გრადაციის ინდექსი); 4. მდიდარი (საშუალოდ უზრუნველყოფილი და მდიდარი გრადაციის ინდექსი); 5. ძალიან მდიდარი (მდიდარი გრადაციის ინდექსი).

არსებული მონაცემებით დადგენილი იყო საკვები ელემენტებით NPK საქართველოს ძირითადი ნიადაგების უზრუნველყოფის კლებადი რიგი.

საკვები ელემენტების საერთო ფორმებით: მთა-მდელოს, შავმიწები > ყომრალი > კორდიან-კარბონატული, ნითელმიწები, დამლაშებული > ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი > შავი > ყვითელმიწა ენერი.

შესათვისებელი ფორმებით (ჰიდროლიზებადი აზოტი, შთანთქმული ფოსფორი, გაცვლითი კალიუმი): მთა მდელოს > მდელოს ყავისფერი > ყავისფერი, რუხი ყავისფერი > ნითელმიწები > შავი, კორდიან-კარბონატული, ყომრალი, ალუვიური > ყვითელმიწა ენერი, შავმიწები და დამლაშებული ნიადაგები.

საერთო და შესათვისებელი ფორმების შეთანხმებით მივიღეთ საქართველოს ძირითადი ნიადაგების ნაყოფიერების შემდეგი კლებადი რიგი: მთა-მდელოს > მდელოს ყავისფერი > ყომრალი, ნითელმიწები, შავმიწები, შავი, ყავისფერი, რუხი ყავისფერი > კორდიან-კარბონატული > დამლაშებული > ალუვიური > ყვითელმიწა ენერი.

ცხრილი

საქართველოს ძირითადი ნიადაგების სახნავ ფენაში საკვები ელემენტების საერთო (%) და მოძრავი (მგ/100 გ ნიადაგზე) ფორმების შემცველობა

ნიადაგი	აზოტი		ფოსფორი		კალიუმი	
	საერთო	ჰიდრალიზებადი	საერთო	შთანთქმული	საერთო	გაცვლითი
მთა-მდელოს	0.5 – 0.8	14-30	0.22-0.30	3-5	1.8-2	11-25
ყომრალი	0.3-0.4	8-10	0.18-0.22	2-5	1.7-2	18-30
ყვითალ-ყომრალი	0.25-0.35	15-20	0.20-0.24	3-5	1.7-2	13-15
კორდიან-კარბონატული	0.25-0.35	7-10	0.14-0.20	1-2	1.5-1.8	25-30
ნითელმიწა	0.20-0.30	7-19	0.14-0.22	3-5	1.7-2	8-20
ყვითელმიწა	0.20-0.25	8-12	0.10-0.15	3-5	0.9-1.4	12-16
ყვითელმიწა-ენერი	0.15-0.20	8-12	0.10-0.15	2-3	1.0-1.5	10-12
შავმიწა	0.30-0.50	6-9	0.21-0.23	0.4-6	1.8-2.2	19-25
შავი	0.18-0.30	4-9	0.10-0.15	1-3	1.0-1.5	39-45
ყავისფერი	0.15-0.30	8-19	0.11-0.24	2-4	1.5-2.0	35-40
მდელოს-ყავისფერი	0.19-0.22	8-12	0.13-0.20	2-4	1.25-1.7	40-50
რუხი-ყავისფერი	0.14-0.25	7-8	0.16-0.20	2-3	1.5-1.7	50-60
მდელოს რუხი-ყავისფერი	0.13-0.16	6-8	0.14-0.18	1-3	1.3-1.4	40-50
დამლაშებული	0.17-0.25	5-7	0.15-0.23	2-5	2.2-3.1	30-40
ალუვიური	0.18-24	7-15	0.14-0.20	1-3	0.5-1.3	17-32
ჭაობიანი	0.20-0.90	8-14	0.10-0.17	1-6	<1	<20

ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის რეალიზაციისათვის დაბალი ნაყოფიერების ნიადაგები წარმოადგენენ რისკფაქტორს, რადგანაც არსებობს „ქიმიზაციის“ პრობლემის გადანეგების დიდი ცდუნება.

ნიადაგური მენეჯმენტის პრობლემები წარმოიქმნება არა მარტო მაშინ, როდესაც წყდება საკითხი, რომ ნიადაგში გაიზარდოს მისაწვდომი საკვები ელემენტების მარაგი, არამედ მაშინაც, როდესაც არის ნიადაგების დაბინძურება მთელი რიგი ტოქსიკანტებით, მათ შორის მძიმე მეტალებით, ნიადაგების ეროზიულობის დროს, მეორადი დამლაშების დროს. სხვადასხვა მდგომარეობის ნიადაგები საჭიროებენ დიფერენცირებულ მიდგომას.

ნიადაგების დაცვის და ეფექტურად გამოყენების მიზნით, მათი მდგრადი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს სამინისტროქმედო (1000 მ-მდე) ზონის ნიადაგები დაცვათ ეკოლოგიური რისკფაქტორის 3 ძირითად კატეგორიად:

I. გადიდებული რისკის;

II. ზომიერი რისკის და

III. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის.

I. გადიდებული რისკის ნიადაგები (დაბალი ნაყოფიერება, გადიდებული ეროზირებულობა. – მათ რიცხვს მიეკუთვნება: – ყვითელმინა ენერი, ალუვიური, დამლაშებული, კორდიან-კარბონატული). ეს ნიადაგები ვითარდება შედარებით ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში, ტენიან სუბტროპიკებში ანუ დასავლეთ საქართველოში (გარდა დამლაშებულებისა, აღმოსავლეთი საქართველო).

– *ყვითელმინა ენერი ნიადაგები* ხასიათდება ჰუმუსის, საერთო აზოტისა და ფოსფორის საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებით - 2,85; 0,15; 0,10.

– *ალუვიური ნიადაგები* – საერთო აზოტის შემცველობა: დაბალი და საშუალო, საერთო ფოსფორის – დაბალი, საშუალო და მაღალი. საერთო კალიუმის – დაბალი და საშუალო. ჰიდროლიზებადი – საშუალო და მაღალი, შთანთქმული ფოსფორის – დაბალი, შთანთქმული კალიუმის – დაბალი და საშუალო.

– *დამლაშებული (ბიცი და ბიცობი) ნიადაგები* – გამოირჩევა ცუდი ფიზიკური თვისებებით, ტუტე რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით (3-4 %), საერთო აზოტის შემცველობა დაბალი და საშუალოა, საერთო ფორსორის – საშუალო და მაღალია, საერთო კალიუმის – მაღალია; ჰიდროლიზებადი აზოტის – დაბალია, შთანთქმული ფოსფორის – საშუალოა, გაცვლითი კალიუმის – მაღალია.

– *კორდიან კარბონატული ნიადაგები*. ჰუმუსის და საერთო აზოტის შემცველობა საშუალო ან გადიდებულია, ჰიდროლიზებადი აზოტის – საშუალოა, საერთო ფოსფორის – საშუალოა, გაცვლითი ფოსფორის დაბალია, საერთო კალიუმის – მაღალია, გაცვლითი კალიუმის – საშუალო.

II. ზომიერი რისკის (რუხი ყავისფერი, ყავისფერი, შავი, შავმინა, წითელმინები, ყომრალები). ეს ნიადაგები ვითარდება შედარებით ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში. რუხი ყავისფერი, ყავისფერი და შავი მშრალ სუბტროპიკებში; წითელმინები – ტენიან სუბტროპიკებში, შავმინები და ყომრალები გამოირჩევა შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო გამოყენებით.

– *რუხი ყავისფერი ნიადაგები* ხასიათდება ჰუმუსის დაბალი შემცველობით, საერთო აზოტი – დაბალი და საშუალო, მთლიანი ფოსფორი – საშუალო, მთლიანი კალიუმი – მაღალი, ჰიდროლიზებადი აზოტი – საშუალო, შთანთქმული ფოსფორი, გაცვლითი კალიუმი – მაღალი.

– *ყავისფერი ნიადაგები* ხასიათდება ჰუმუსის საშუალო შემცველობით და ღრმა ჰუმუსირებით, საერთო ფოსფორი – დაბალი ან საშუალო, ჰიდროლიზებადი აზოტის შემცველობა დაბალი ან საშუალოა, თუ ნიადაგი ჰუმუსით ღარიბია, ხოლო მაღალია, თუ ჰუმუსი არის საშუალო ან დიდი რაოდენობით. საერთო ფოსფორი მცირე, საშუალო ან მაღალია. შთანთქმული ფოსფორი დაბალი და საშუალო.

– *შავი (ე.წ. ბარის შავმინები)* ნიადაგები ხასიათდება ჰუმუსის მაღალი შემცველობით, საერთო აზოტის შემცველობა საშუალოა, საერთო ფოსფორის – დაბალია, საერთო კალიუმის – საშუალო, ჰიდროლიზებადი აზოტის – საშუალო, შთანთქმულის – დაბალი, საშუალო ან მაღალია, გაცვლითი კალიუმის – მაღალია.

– *შავმინები (ე.წ. მთის შავმინები)* ხასიათდება ჰუმუსის მაღალი შემცველობით, საერთო აზოტის, საერთო ფოსფორის და საერთო კალიუმის შემცველობა მაღალია. ჰიდროლიზებადი აზოტის – საშუალოა, შთანთქმული ფოსფორის – დაბალი, საშუალო ან მაღალია, გაცვლითი კალიუმის – საშუალო.

– *წითელმინები* ხასიათდება ჰუმუსის და საერთო აზოტის მაღალი შემცველობით, საერთო ფოსფორი დაბალია, საერთო კალიუმი – საშუალოა. ჰიდროლიზებადი აზოტი – საკმარისია, შთანთქმული ფოსფორი საშუალო და მაღალია, გაცვლითი კალიუმი – დაბალი ან საშუალო.

– *ყომრალი ნიადაგები* ხასიათდება ჰუმუსის საშუალო შემცველობით, საერთო აზოტი და კალიუმი ბევრია, ჰიდროლიზებადი აზოტი და შთანთქმული ფოსფორი – საშუალო.

III. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის. მდელის ყავისფერი და მთა-მდელის ნიადაგები. მთა-მდელის ნიადაგებს აქვთ ძალიან შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო გამოყენება (კარტოფილი, სათიბები და საძოვრები).

– *მდელის ყავისფერი ნიადაგები* ხასიათდება ჰუმუსის დაბალი ან საშუალო შემცველობით, საერთო აზოტის და ფოსფორის დაბალი და საშუალო შემცველობით. საერთო კალიუმი – საშუალო

და მაღალი. ჰიდროლიზებადი აზოტი – საშუალო და მაღალი, შთანთქმული ფოსფორი ყამირ ნიადაგებში არის დაბალი, ხოლო გაკულტურებულში არის საშუალო. გაცვლითი კალიუმი მაღალია.

– მთა-მდელოს ნიადაგები ხასიათდება ჰუმუსის მაღალი შემცველობით, საერთო აზოტის და ფოსფორის, კალიუმის მაღალი შემცველობით. ჰიდროლიზებადი აზოტი – მაღალი, შთანთქმული ფოსფორი საშუალო და მაღალი, გაცვლითი კალიუმი – დაბალი და საშუალო.

რისკის ფაქტორის ცოდნა წარმოადგენს ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის ეფექტურად და-ნერგვის აუცილებელ პირობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ძირითადი ნიადაგები. „მეცნიერება“, თბილისი, 1997.
2. Urushadze T.F., Blum W.E.H., Sanadze E.V., Kvrivishvili T.O., – Andosols of Georgia. Eurasian Soil Science, vol..44, # 9, 2011.

TENGIZ URUSHADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor

TEO URUSHADZE, TEO KHOMASURIDZE

Agrarian University of Georgia

SOILS OF GEORGIA AND “RISK-FACTORS” OF THEIR USE

S u m m a r y

Brief characterization of the regularity of distribution of soils of Georgia according to three main soil provinces (West, East and South) are given in the article. In the West province the next soils are spread: boggy, red, yellow, yellow-podzolic, yellow-brown forest, brown forest, mountain-meadow; in the East province - grey-cinnamonic, meadow-grey-cinnamonic, cinnamonic, meadow-cinnamonic, black, brown forest, mountain-meadow, alkaline; in the South province - cinnamonic, meadow-cinnamonic, chernozems, mountain-meadow chernozems like. In each province are spread raw humus calcareous and alluvial soils. The soils of the country are divided according risk-factors: I. Increased, II. Moderate, III. Satisfactory condition. The potential possibility of each soil is shown. The knowledge of the risk-factor is a necessary condition for the effective introduction of ecological farming.

ენო ფარესაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტი-პროფესორი

რეგიონულ მეურნეობათა კლასტერული მართვის უპირატესობის შესახებ

რეგიონულ მეურნეობათა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა ახალ ამოცანებს უსახავს ტერიტორიებს, რომლებიც უპირველესად დაკავშირებულია რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანი მოდელის შერჩევასთან, რაც მათ არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

არსებობს კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა თეორია, რომელთაგან ერთ-ერთია ეკონომიკის კლასტერული მართვის თეორია. ეს თეორია ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. კლასტერის კონცეფცია პერსპექტიული ინსტრუმენტია რეგიონის ეკონომიკის ანალიზისათვის და ახლებურ ხედვას ქმნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით დაინტერესებული ხელისუფლების რეგიონული ორგანოების, სანარმოებისა და სხვა ორგანიზაციების როლთან დაკავშირებით.

კლასტერული მეთოდის გამოყენება მის მონანილებებს შორის მჭიდრო კონტაქტის აუცილებლობის გამო განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონულ დონეზე, რაც, თავისთავად, გულისხმობს ერთგვარ ტერიტორიულ შეზღუდვებს. მხოლოდ ერთ რეგიონში განლაგება იძლევა საერთო ამოცანების სწრაფად გადაწყვეტის, პრობლემის ოპერატიულად მოგვარების, ასევე საქმიანობის იმ მართულების არჩევის შესაძლებლობას, რომელიც მოცემული ტერიტორიისათვის ამჟამად კონკურენტუნარიანია და იქნება სარგებლის მომტანი მომავალში. რეგიონული ეკონომიკის კლასტერული მართვის კონცეფცია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასევე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის როლის გაძლიერების კუთხით, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რადგან გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ ეკონომიკური პოტენციალის მქონე პრიორიტეტული დარგები, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, იმ ფაქტორებისა და ელემენტების გამოვლენას, რომლებიც ზემოქმედებენ კონკურენტულ უპირატესობათა განვითარების ხარისხზე საგარეო ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ჭრილში.

ეკონომიკის კლასტერული მართვის ერთ-ერთი უპირატესობაა ეკონომიკური ფაქტორების როლის გაძლიერება და ადმინისტრაციული ფაქტორების როლის შემცირება. ხელისუფლების რეგიონული ორგანოების როლი მაღალია მხოლოდ კლასტერების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, კერძოდ: რეგიონის საგარეო ეკონომიკური კომპლექსის შეფასებაში, ყველაზე პერსპექტიული კლასტერების შერჩევასა და მათ ფორმირებაში. იგი განპირობებულია რეგიონული განვითარების იმ ინტერესების გათვალისწინებით, რაც ნაკლებად პრიორიტეტულია ბიზნესისათვის. შემდგომში რეგიონული ხელისუფლების როლი ნაკლებად იკვეთება და მის ადგილს იკავებს საბაზრო ეკონომიკის კანონები, რომლებიც სტიმულს აძლევს ყველაზე სარგებლიანი წარმოების განვითარებას. ხელისუფლების რეგიონული ორგანოების როლი კი განპირობებულია მნიშვნელოვანი კლასტერების მხარდაჭერაში.

რეგიონის საგარეო ეკონომიკური კომპლექსის მართვა, კლასტერიზაციის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, გულისხმობს რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ზოგად რეგულირებას. ამ შემთხვევაში რეგიონულ მთავრობას შეუძლია განახორციელოს რეგიონის საგარეო ეკონომიკური კომპლექსის განვითარების კოორდინაციის ფუნქცია საგამოფენო-საბაზრობო საქმიანობის განხორციელების, საგადასახადო გარანტიების, შეღავათებისა და სუბსიდიების გაცემის გზით. მთავრობამ ამ ღონისძიებათა სისტემით სტიმული უნდა მისცეს მაღალკონკურენტული მზა პროდუქციის (უფრო მაღალი ხარისხის მქონე პროდუქციის) გამოშვებას. იგი არ უნდა ჩაერიოს უფრო დაბალი დონის პრობლემების გადაწყვეტაში.

რეგიონული ეკონომიკის მართვის დროს, კლასტერული მეთოდის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია შემდეგი ძირითადი არგუმენტები: კონკურენტუნარიანობისა და კონკურენტული უპირატესობების მიღწევის წყაროებთან მაღალი შეთანხმებულობა; დარგთაშორისი კავშირების ეფექტიანი უზრუნველყოფა; უახლესი ტექნოლოგიების, ჩვევებისა და ინფორმაციის გავრცელება; შიდა სპეციალიზაციისა და სტანდარტიზაციის განხორციელების შესაძლებლობა; შრომის მწარმოებლურობის გადიდება; ინოვაციების დანერგვაზე დანახარჯების მინიმიზაცია; კლასტერების სტრუქტურაში მოქნილი სამენარ-

მეო სტრუქტურების არსებობა, რომელთა შორის მოვიხაზრებთ: მცირე საწარმოებს, რომლებიც კონკრეტული სამრეწველო საწარმოს მომსახურებისას სპეციალიზაციის მაღალი ხარისხის ხარჯზე ზრდიან ინოვაციური წყაროების ჩამოყალიბებას და შემდგომ მათ დანერგვას უწყობენ ხელს; სპეციალისტებს შორის იდეების ეფექტიანი გაცვლის შესაძლებლობა და, აქედან გამომდინარე, კონკურენტული გარემოს შექმნა.

კლასტერული ანალიზი შეიძლება საფუძვლად დაედოს კონსტრუქციულ დიალოგს მენარმებსა და ხელისუფლებას შორის საერთო პრობლემების, ინვესტიციური შესაძლებლობების გამოვლენის, სამრეწველო პოლიტიკის კორექტირებისა და ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

საქართველოს რეგიონებთან მიმართებით არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობენ ან ნეგატიურ გავლენას ახდენენ კლასტერების ჩამოყალიბებაზე. პოზიტიურ პირობებს აპრიორი უნდა მივაკუთვნოთ: ტექნოლოგიური და სამეცნიერო ინფრასტრუქტურების არსებობა; ისტორიულად ჩამოყალიბებულ საწარმო-ეკონომიკურ კავშირებზე დამყარებული კოოპერაციისათვის ფსიქოლოგიურ მზადყოფნა.

ნეგატიურ ფაქტორებს განეკუთვნება ბიზნესგარემოს შედარებით დაბალი ხარისხი და ასოციაციური სტრუქტურების (სავაჭრო პალატების, სამრეწველო ასოციაციების) განვითარების დაბალი დონე. აღნიშნული სტრუქტურები ვერ ართმევენ თავს რეგიონული ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტების შემუშავების ამოცანას ფართოდ გამოყენებული დაგეგმვის მოკლევადიანი ჰორიზონტის შემთხვევაში, მაშინ როცა, კლასტერული მართვის პირობებში რეალური სარგებელი კლასტერის განვითარებისგან მიიღება მხოლოდ 5-7 წლის შემდეგ.

მიუხედავად ამისა, რეგიონული კლასტერების საფუძველზე ეკონომიკის მართვას გააჩნია მთელი რიგი უდავო უპირატესობები, რომელთაგან უმთავრესია:

1. დასაბეგრი ბაზის გადიდება (მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის ცენტრები, როგორც წესი, იმავე ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც ბიზნესი ხორციელდება, განსხვავებით ვერტიკალური კორპორაციებისაგან).

2. სამრეწველო გაერთიანებების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს რეგიონის მოსახლეობის დასაქმებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, საგადასახადო პოტენციალის გადიდებას და ა. შ.

3. რეგიონის ზარალიანი საწარმოების ორიენტაციის მიზანმიმართული შეცვლის შესაძლებლობა.

4. რეგიონალური კლასტერების განვითარების პრიორიტეტულობის საფუძველზე ინვესტიციური ნაკადის რეგულირებისა და მათი დაბანდების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობა.

5. რეგიონში სამეწარმეო აქტივობის ამაღლება.

6. ინოვაციური პოტენციალის განვითარება კლასტერის ყველა საწარმოსათვის ინოვაციების სწრაფი განაწილების მეშვეობით.

რეგიონული კლასტერის არსებობა შესაძლებელია მაშინ, როცა სახეზეა სამი ძირითადი მდგენელი:

1. ლიდერი ფირმა, რომელიც უშვებს მაღალკონკურენტულ პროდუქციას და ეწევა მის ექსპორტს.

2. მომწოდებელთა ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო საექსპორტო პროდუქციის უწყვეტ გამოშვებას. სწორედ მომსახურე საწარმოების განვითარების დონესა და მუშაობის ხარისხზე დამოკიდებული მთლიანად კლასტერის კეთილდღეობა.

3. ბიზნესკლიმატი ან კლასტერის საწარმოთა საგარეო და შიგა კონკურენტუნარიანობა, რომელიც მოიცავს შრომითი რესურსების ხარისხს, ინვესტიციური ნაკადის ხელმისაწვდომობას, კლასტერის განლაგების რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს, რეგიონის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს და ა.შ.

ხშირად პრაქტიკაში იყენებენ რეგიონული კლასტერების ჩამოყალიბების ალგორითმის ბლოკ-სქემას. პირველ ეტაპზე აუცილებელია რეგიონის დარგობრივი სპეციალიზაციის შეფასება და მისი განვითარების ტენდენციების გაანალიზება. რეგიონების ეკონომიკას გააჩნია გარკვეული სამრეწველო ბაზა და პირველ ეტაპზე ყველაზე რეალურია კლასტერების ჩამოყალიბება არსებული რეგიონული რესურსების ბაზაზე.

საქართველო ვერ იქნება შორს ამ პროცესებისაგან იმდენად, რამდენადაც კლასტერული მიდგომის წანამძღვრები ქვეყანაში არის. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებისათვის აქტუალურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების, რეგიონებისა და მთლიანად ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის. გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებმა, რომლებიც სტიმულს აძლევენ საერთა-

შორისო კონკურენციას, კონკურენტუნარიანობას, ინოვაციურობას, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ქსელური, არაფორმალური კავშირების ზრდამ სუბიექტებს შორის, როგორც საპასუხო რეაქციამ ამ პროცესებზე, საყოველთაო აღიარება მოიპოვა სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამის შემუშავებასა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გვაძლევს საშუალებას ჩამოვაცალიბოთ კლასტერული პოლიტიკა, როგორც ნაციონალური/რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განსახორციელებული საქმიანობა კლასტერებისა და ქსელური ურთიერთკავშირების ორგანიზაციისა და განვითარების სტიმულირების მიზნების, პრინციპებისა და მეთოდების შესამუშავებლად. კლასტერული პოლიტიკა პრაქტიკაში რეალიზდება კლასტერული სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე.

კლასტერული პოლიტიკის ფორმირების საზღვარგარეთის გამოცდილების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები: არსებობს კლასტერული პოლიტიკის ეროვნული თავისებურებები; არ არსებობს ერთგვაროვნობა კლასტერული პოლიტიკის საშუალებათა შემადგენლობაში; ისინი ერთიანია მხოლოდ ერთი კლასტერული პროექტის მონაწილე ქვეყნებში; კლასტერული პოლიტიკის უზრუნველყოფის მეთოდების მრავალფეროვნება განისაზღვრება ეროვნული თავისებურებებითა და კლასტერული მიდგომის მიღებული კონცეფციით; სახელმწიფოთა კლასტერული პოლიტიკა განსხვავებულია კლასტერიზაციის პროცესში მთავრობის ჩარევის ხარისხის შესაბამისად; კლასტერული პოლიტიკის ჩამოყალიბების მეთოდური საფუძველები არ არის შემუშავებული.

მთავრობის პოლიტიკა არ უნდა იყოს მკაცრად ორიენტირებული მრეწველობის დარგებისა და სანარმოების პირდაპირ სუბსიდირებაზე ან ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვაზე. კლასტერული ინიციატივები შეიძლება გამომდინარეობდეს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიდან. მთავრობის პოლიტიკა არ უნდა იყოს ორიენტირებული პირდაპირ ჩარევაზე, არამედ უნდა გადავიდეს კლასტერების პირდაპირ სტიმულირებაზე. კლასტერიზაციის პროცესში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ გამჭვირვალე ბაზრის არსებობის ან ინოვაციური სისტემების არასრულყოფილების შემთხვევაში. მთავრობამ თავის თავზე არ უნდა აიღოს დამწყები კლასტერების ხელმძღვანელობა ან საკუთრების უფლება, არამედ უნდა გამოდიოდეს შუამავლის როლში, რომელიც თავს უყრის მწარმოებლებს, მომწოდებლებსა და მყიდველებს, უზრუნველყოფს კლასტერიზაციისა და ინოვაციების პროცესის ხელშეწყობ სტრუქტურებსა და სტიმულს.

კლასტერული პოლიტიკა კონცენტრირებული უნდა იყოს კონკურენტუნარიან კლასტერებზე, მაგრამ არ უნდა უგულებელყოფდეს მცირე და ემბრიონულ კლასტერებს. საქართველოს თანამედროვე ვითარებისთვის დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები: სამოქალაქო საზოგადოების არასაკმარისი განვითარება; არაფორმალური ურთიერთობების უმნიფრობა; ქვეყანაში სამთავრობო სააგენტოების არარსებობა, რომლებიც გამოიკვლევდნენ კლასტერულ მიდგომას.

რეგიონული/ეროვნული კლასტერული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა პირობების შექმნა მდგრადი განვითარებისა და რეგიონული/ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის კლასტერების სტიმულირების საფუძველზე. ჩამოყალიბებული მიზნის საფუძველზე განისაზღვრება კლასტერული პოლიტიკის ამოცანები, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს: ხელსაყრელი პირობების შექმნა ბაზრების დინამიკური მუშაობისათვის (ინფრასტრუქტურა, კონკურენტული პოლიტიკა და სტრუქტურული რეფორმები, სტრატეგიული ინფორმაციის მომზადება); ეკონომიკის პრობლემური ხედვის ჩამოყალიბების წყალობით ინოვაციების უზრუნველყოფი გარემოს შექმნა; კლასტერული ურთიერთკავშირების უპირატესობების შესახებ ბაზრის სუბიექტების ინფორმირებულობის დონის ამაღლება; კავშირების დამყარებისა და ცოდნის გაზიარების სისტემის მართვა და შუამავლობა; ცოდნის ფორმალურ და არაფორმალურ გაზიარებაში დახმარება; კლასტერებში თანამშრომლობის სტიმულირების სქემებისა და ქსელის ინიციატივიანი შუამავლები, რომლებიც ეძებენ ორგანიზაციებს ერთობლივი საქმიანობისათვის; სტრატეგიული ინფორმაციის მომზადება (პერსპექტიული ტექნოლოგიების შესწავლა, კლასტერების სტრატეგიული შესწავლა); კლასტერული პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია; ერთობლივი კვლევებისა და განვითარების პროგრამების ხელშეწყობა; კლასტერული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება; სამრეწველო კავშირების კულტივირება საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით (სკოლები, უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები).

ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საქართველოსთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა თავისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით. როგორც კვლევები გვიჩვენებს, ქვეყანაში მნიშვნელოვანი წინსვლის პარალელურად, სამწუხაროდ, ჯერაც შეინიშნება გაუბედობა ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის შე-

მუშავებასა და გატარებაში. ქვეყნისათვის სპეციფიკურ პრობლემად რჩება სიძნელები ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური პირობების შექმნაში.

კლასტერული ინიციატივების განვითარება საქართველოში მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაუდებელ მოგვარებას:

- სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია ინოვაციური კლასტერული სტრუქტურების საფუძველზე;
- საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილ იქნეს მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი საქმიანი გარემოს შექმნა, აქცენტი გაკეთდეს ხელისუფლებასთან, ბიზნესთან, მეცნიერებასთან, განათლებასთან და ინოვაციური ქსელური სტრუქტურების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე;
- შეიქმნას კონკურენტუნარიანობის ეროვნული და რეგიონული საბჭოები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ინოვაციური კლასტერული გაერთიანებების და სხვა ქსელური ფორმირების პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციას;
- უზრუნველყოფილ იქნეს ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა ინოვაციური ქსელური სტრუქტურების განვითარებასა და ფუნქციონირებაში მონაწილე სპეციალისტების მომზადება-გადამზადებისათვის;
- ჩატარდეს ფუნდამენტური კვლევები ქვეყანაში ეროვნული და რეგიონული საწარმოო კლასტერების ფორმირების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.¹

NINO PARESASHVILI

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Assistant Professor*

ON THE PRIORITY OF CLUSTER MANAGEMENT OF REGIONAL FACILITIES

S u m m a r y

The article focuses on the development of cluster initiatives in Georgia, which requires ultimate settlement of the following tasks: to urgently elaborate and approve the strategy of competitive ability of the regions and the whole state based on innovative cluster structures; to provide the creation of useful business environment for the development of entrepreneurship; to focus attention to cooperation with authorities, business, scientists and public organizations of innovative network structures; to create national and regional structures on competitiveness, which will coordinate innovative and cluster merging, and elaboration and implementation of project network formations; to provide inculcation of innovative education programs for training and preparing specialists participating in the development and functioning of innovative network structures; to hold fundamental studies to define priorities for the formation of national and regional clusters in the state.

Therefore, for Georgia as well as for other former soviet states the use of cluster approach is actual in order to raise the competitive ability of enterprises in the regions and in the state national economy as a whole.

¹ Соколенко С.И., О кластеризации в странах ОЧЭС (Электронный ресурс). Режим доступа: <http://www.ucci.org.ua>

აგრარული სექტორის განვითარების ხელისშეწყობელი ფაქტორები და მისი გადაჭრის გზები

უკვე ნლებია ჩვენს ქვეყანაში რეფორმები მიმდინარეობს, მათ შორის სოფლის მეურნეობაში. თუმცა გლეხებისათვის რეალურად ბევრი არაფერი შეცვლილა. მოსავლის გასაღება კვლავაც ჭირს, სავარგულების დასამუშავებლად გლეხებს საკმარისი ფინანსები არ გააჩნიათ. თუ ზამთარი მკაცრი არ გამოდგა, გამრავლებული მინდვრის მღრღნელები დიდ ზარალს აყენებენ ფერმერებს.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისეთ დარგში, როგორცაა სოფლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა ღრმა კრიზისს განიცდის. ამ სფეროში ამჟამად დასაქმებულია შრომითი რესურსების 56% და მის წილად მოდის ძირითადი სანარმოო ფონდების 58%. სოფლის მეურნეობაზე განეული ხარჯები ბიუჯეტის 1,3%, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელია მსოფლიოში. დასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობაში და მისი დაბალი ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უაღრესად დაბალ პროდუქტიულობაზე. ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად იმპორტირებულ საკვებს მოიხმარს, მისი ხვედრითი წილი თბილისში დაახლოებით 80%. ეს ყველაფერი კი არსებითად უშლის ხელს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

აგრარული სფეროს განვითარების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ სოფლად ფერმერთა, მესაკუთრეთა და მენარმეთა დაბალი პროფესიონალიზმი, საბაზრო ურთიერთობათა სუსტი ცოდნა და გამოუცდელობა, ახალი ტექნოლოგიების გამოუყენებლობა, ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უუნარობა და სხვ. მოგახსენებთ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებას:

- არ არსებობს განვითარების სახელმწიფო სტრატეგია.
- ფერმერებს და გლეხებს არ შეუძლიათ კრედიტებით სარგებლობა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა, რის გამოც სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თითქმის არ განიცდის განახლებას. საქართველოს დღევანდელი საბანკო სექტორი ორიენტირებული არ არის სოფლის მეურნეობაზე. აქედან გამომდინარე, გლეხებს არ შეუძლიათ არსებული სავარგულების ნახევრის დამუშავებაც კი. ადრე გლეხებს 20 ლიტრ სანვავს აძლევდნენ, მერე ისიც შეწყდა. რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ შემოყვანილ ტრაქტორებს, ყოველ 1000 ჰექტარს ხნავენ 40-50 ლარად, როგორც კერძო ტრაქტორები და მისი ფასიც ყოველწლიურად იზრდება. ფინანსების არარსებობის გამო, გლეხები მიწის მხოლოდ მესამედს თუ ამუშავებენ, თუმცა რა აზრი აქვს დამუშავებას, როცა მოსავალს ჩალის ფასი აქვს, მისი მოყვანა კი ოქროს ფასად გიჯდება.
- საქართველოში აგრარული სექტორის ვადიანობა არ შეესაბამება აგრარული სექტორის კვლავწარმოების თავისებურებებს.
- საქართველოში გაუქმებულია სათესლე სელექციური მეურნეობები და ჯიშთა გამოცდის სამსახურები, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში.
- მწვავე დეფიციტია მანქანა-ტრაქტორების, კომბაინების და ტექნიკური მოწყობილობების, რის გამოც შრომის მწარმოებლურობა დაბალია.
- ქვეყანაში არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო მოსავლის დაზღვევის სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში რისკი მაღალია.
- სოფლად არ არსებობს სადისტრიბუციო ქსელი, რაც აფერხებს ფერმერების მომარაგებას ძირითადი და დამხმარე სასოფლო-სამეურნეო მასალებით. პრობლემები იქმნება პროდუქციის რეალიზაციაში, დღეს მწარმოებლებმა არ იციან სად წაიღონ მონეული მოსავალი, ანუ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება პროდუქციის რეალიზაცია.
- ხალხს იმედი ჰქონდა, რომ მოსავალს უკრაინის ბაზარზე გაიტანდა, აღმოჩნდა, რომ ეს ნიშა პოლონეთში მოყვანილ ვაშლს ეკავა, არადა, ვაშლის დიდი ხნით შენახვა და ისიც სახლის პირობებ-

ში შეუძლებელია. მართალია აქა-იქ გაიხსნა ხილის გადამამუშავებელი საწარმოები, მაგრამ ძალიან მცირე მოცულობით და მეტისმეტად დაბალ ფასად (კილოგრამი ვაშლი 3,5 თეთრი). საწარმომდე მიტანის ხარჯიც გლეხმა უნდა გაიღოს და რეალურად კილოგრამ ვაშლში რჩება 3 თეთრი.

- რაც შეეხება დაქირავებული შრომის ანაზღაურებას, იმდენად დაბალია, რომ დაქირავებულ პირს არანაირი მოტივაცია არ გააჩნია სამუშაოს სრულად და ხარისხიანად შესრულების, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგებზე.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად უპირველეს ყოვლისა აუცილებელია რადიკალურად გაუმჯობესდეს დაკრედიტების სისტემა როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონებისა და რაიონების დონეზე. უნდა შეიქმნას აგრობანკები, რომლებიც გასცემენ შეღავათიან კრედიტებს, დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ასეთი კრედიტები ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და ამერიკაში.

- უნდა შეიქმნას სოფლად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მძლავრი და ფართო მატერიალური ბაზა, რომლის გარეშე თავს ვერ დავაღწევთ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობას.

- ყურადღება უნდა გამახვილდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სწრაფ განვითარებაზე, რათა გადაწყდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის კაპიტალიზაციის პრობლემა, რაც შესაძლებელი გახდება უცხოური ინვესტორების დაინტერესებით მათთვის სერიოზული საგადასახადო შეღავათების დაწესებით.

- აუცილებელია ინოვაციური ტექნოლოგიებისა და თანამედროვე თესვების გამოყენება, რათა ვანარმოთ კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტები.

- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით აუცილებელი ხდება რეგიონებში ფერმერთა საკონსულტაციო სამსახურების ფორმირება.

- უნდა შეიქმნას სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მარეგულირებელი ინსტიტუტებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

დღეს ექსპორტის მოცულობა სამჯერ ნაკლებია იმპორტზე და ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე უარესდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ სულ უფრო და უფრო ვხდებით დამოკიდებულნი სხვებზე. კონკურენტუნარიანი სექტორის განვითარება უნდა განხორციელდეს იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის გატარებით. ხელშემწყობი პოლიტიკისა და შესაბამისი ინსტიტუციური სამართლებრივი გარემოს პირობებში, ადგილობრივ მწარმოებლებს ექნებათ საკმარისი შესაძლებლობა, რომ წარმატებით ჩაანაცვლონ იმპორტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პროდუქციის საექსპორტო პროგრამების ცენტრის შექმნა, რომლის დანიშნულება იქნება შემუშავდეს შესაბამისი პროგრამები მიმდინარე და ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს აგროსექტორის აღორძინება მოითხოვს მნიშვნელოვან საკითხთა ფართო კომპლექსის ერთდროულ გადაწყვეტას და იგი ვერ მოგვარდება ერთი რომელიმე უწყების, თუნდაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში.

პრობლემის გადაწყვეტა ვერც მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით იქნება შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღვნიშნოთ საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით აშშ-ს მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება, რის საფუძველზეც აგროსამრეწველო სექტორში მრავალი მცირე, საჭირო პროექტი განხორციელდა, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო არსებული მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებას, მაგრამ ვერ გადამწყვიტა მთავარი ამოცანა – აგროსექტორის მდგრადი და დაჩქარებული განვითარება.

არსებობს მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი, კერძოდ სახელმწიფოსა და მთავრობის მხრიდან სოფლის მეურნეობისადმი, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტისადმი, დიდი და სერიოზული თანადგომა, ზრუნვა. სოფლის მეურნეობა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს და განვითარდეს, ამისათვის კი საჭიროა სწორი პოლიტიკის გატარება აგროსექტორში. სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სოფლად მეტად რთული პროცესია და ამ ყველაფერს სჭირდება ხელისუფლებისაგან დახმარება. უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, შესწავლილ იქნეს სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები და ამის შემდეგ მოხდეს პრიორიტეტული დარგების განვითარების გეგმის შემუშავება. ხელისუფლებამ სწორი ანალიზის საფუძველზე მოახდინოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების სუბსიდირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგი პრიორიტეტულია, თუმცა პრაქტიკულად შეუძლებელია მოხდეს მისი განვითარება. პირველ ეტაპზე აუცილებელია შეიქმნას გლეხებისა და მცირე ფერმერებისათვის დახმარების პროგრამები, სადაც, მაგალითად, ბანკები იქნებიან დაინტერესებულნი გასცენ კრედიტები დაბალი საპროცენტო განაკვეთით,

შემდეგ კი ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება და საზოგადოებას გააცნოს სოფლის მეურნეობაში რომელი დარგია პრიორიტული.

ჩვენი "სავიზიტო ბარათი" მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში ძირითადად უნდა გახდეს კვების პროდუქტების ახალი ქართული ბრენდები, მათი მაღალი ხარისხი და ეკოლოგიური სისუფთავე. ამისთვის საჭიროა უახლესი ტექნოლოგიები, ინვესტიციები, ხელისუფლების მიერ ექსპორტის წახალისება და ამბიციური კომერციული სტრუქტურები თანამედროვე მარკეტინგული სტრატეგიით. მთელ ამ პროცესში, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია სამთავრობო მხარდაჭერას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით როგორც შიდა, ასევე მოზიდული რესურსების გონივრული გამოყენების ბაზაზე.

საქართველოსაც გააჩნია რეალური შანსი აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის და ფართო ასორტიმენტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და დაამტკიცოს ქართული კვების პროდუქტების მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. ამის მაგალითს იძლევა ჰოლანდია, ჩილე, ისრაელი, საფრანგეთი, მექსიკა. თუ ამ ქვეყნებმა მოახერხეს მსოფლიო ბაზარზე შეღწევა, რატომ არ შეუძლია საქართველოს მსოფლიო ბაზარზე დაიმკვიდროს ადგილი ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის სასურსათო პროდუქტით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.statistics.ge
2. www.mof.gov.ge
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2010 თბ.2011
4. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწ. I-III, თბ., 1996-2002.
5. ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიაგნოსტიკის შექმნის რეკომენდაციები, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2004,8
6. ჯიბუტი მ., მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის ისტორია და პერსპექტივები, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“ (სამეცნიერო ნაშრომის კრებული)

NANA PIRTSKHELAVA

Academic Doctor of Economics

THE FACTORS HAMPERING THE DEVELOPMENT OF THE AGRICULTURAL SECTOR AND THE WAYS OF THEIR SOLUTIONS

S u m m a r y

The article discusses the major obstacles to the development of agricultural sector and offers ways of solving these problems. First of all, special programs to support peasants and farmers should be created; the government should determine the priorities in agriculture and provide significant financial support.

Georgia possesses a real chance to produce ecologically clean, high quality, wide-range agricultural products make them competitive on the international market.

**სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის
პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე**

ისტორიულად საქართველოში სოფლის მეურნეობა ყოველთვის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის დიდი პოტენციალი გააჩნია, რომელსაც შეუძლია როგორც ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისე მისი საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაცია და ამიტომაც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირის ბაზარი მიგვაჩნია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობად ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაცია გვესახება, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე, რაც ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის საფუძველია. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის შიდა ბაზარი 27 ქვეყნითა და 500 მლნ მომხმარებლით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში – ევროკავშირზე მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 20%-მდე.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირი წარმოადგენს მსოფლიოში საქონლისა და მომსახურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარს. ეროვნული და სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო-საკრედიტო და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან, მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს საგარეო ინტერესებში შედის მონივნავე ევროპული ფასეულობებისა თუ გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოება.¹

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველო-ევროკავშირის შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად იზრდება. დიახ, საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან. საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში მზარდი ტენდენცია აქვს და გაცილებით მაღალი, ვიდრე საქართველოს მთლიან ექსპორტს. 2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის 27 ქვეყანასთან 1736 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე, იმავე ქვეყნების მიხედვით, 13%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 297 მლნ აშშ დოლარია (25%-ით მეტი), ხოლო იმპორტი – 1439 მლნ აშშ დოლარი (10%-ით მეტი). ევროკავშირის ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26,0%, მათ შორის ექსპორტის 19%, იმპორტის 28% და სავაჭრო დეფიციტის 33%.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პოტენციალი უზარმაზარია.² უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ხასიათდება დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებლით, დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 50%. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული. 2010 წლის დასაწყისისათვის სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობამ პროცენტებით მთლიან მოსახლეობასთან 47% შეადგინა, ხოლო ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობაზე, მეტყვეობაზე, ნადირობასა და თევზჭერაზე მოდის 7,3%.³

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემების მიხედვით, 2009 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 27.9%-ს შეადგენდა (2008 წლის 16,7%-იან ზრდასთან შედარებით). 2009 წელს, 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქტი გახლდათ: თხილი (მთლიანი ექსპორტის 10%), ალკოჰოლური სასმელები, გარდა ღვინისა (მთლიანი ექსპორტის 8%), ღვინო (მთლიანი ექსპორტის 5%) და მინერალური წყლები

¹ იხ. ფუტყარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, „უნივერსალი“, 2010.

² თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გედია დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, „ნეკერი“, 2011. გვ. 250.

³ იხ. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2011. გვ. 17-18.

(მთლიანი ექსპორტის 3%). აღნიშნული პროდუქტების გარდა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქტების სიაში არის ციტრუსები, ხილ-ბოსტნეულისაგან დამზადებული წვენები და უალკოჰოლო სასმელები.

ბოლო წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის დივერსიფიკაცია მოხდა. ახალ საექსპორტო პროდუქტთა სიაში შევიდა: თევზი, ცხვარი, მწვანელი, კომბოსტო, სანელებლები და სხვ. 2009 წელს ევროკავშირის წილი საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტში 21,4%-ს შეადგენდა. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქტები იყო – თხილი (ამ პროდუქტის მთლიანი ექსპორტის 65,7%), მინერალური წყლები და უალკოჰოლო სასმელები (ამ პროდუქტის მთლიანი ექსპორტის 19,2%), ხილ-ბოსტნეულის წვენები (ამ პროდუქტის მთლიანი ექსპორტის 63,6%) და ღვინო (ამ პროდუქტის მთლიანი ექსპორტის 18,9%).

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღების საკითხი. მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაზრდის სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბებს, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ექსპორტის მოცულობას ევროკავშირის ბაზარზე. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნა. ორმხრივი ეკონომიკური საზღვრების გახსნა ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას ცალკეულ ბაზრებზე. საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ხელს შეუწყობს აგრეთვე, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის მთელი რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის განვითარებას მსოფლიო ბაზარზე.

საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყანაში საშუალო ფენის გაძლიერებას. აღნიშნული შეთანხმების გაფორმება კი ხელს შეუწყობს დღემდე დაბეგვრადი საქონლის (რომელსაც არ ითვალისწინებს დღეს მოქმედი GSP+ რეჟიმი) იმპორტს ევროკავშირში. საქართველოსა და ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ფართო შეთანხმება განაპირობებს ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმების დამკვიდრებას, სტანდარტებთან და სხვა არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებას, ასევე, რეგიონის სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მიმართულებით. ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის გაზრდა დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ევროკავშირის ბაზარზე პერსპექტიული საექსპორტო პროდუქციაა: ღვინო, მინერალური წყლები, თხილი, თაფლი და სოფლის მეურნეობის სხვ. პროდუქცია.

საქართველოს აქვს საკმარისი პოტენციალი, რომელიც არაა გამოყენებული ევროკავშირთან (და არა მარტო ევროკავშირთან) სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. მართლაც, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს ქვეყნის საერთაშორისო თანამეგობრობაში წარმატებული ინტეგრირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გასაღებს. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციის პირობებში შესაძლებელია ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება.

საქართველოს ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს. უნმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია II გასაკეთებელს ძალიან ბევრს ხედავს და მართებულად ამბობს: „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა დარჩეს ვაზისა და ხორბლის ქვეყნად. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით“¹. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მატერიალური წარმოების სფეროში ექვსი მაპროფილებელი დარგი გამოიკვეთა. ესენია: მეხილეობა, მებოსტნეობა, ღვინის, საშენ მასალების, ტანსაცმლის, მედიკამენტებისა და სამედიცინო მოწყობილობების წარმოება”

საქართველოს ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და ექსპორტის დიდი პოტენციალი გააჩნია. ილია II მართებულად მიიჩნევს, რომ: „საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის სანარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მით უმეტეს,

¹ კოდუაშვილი პ. ილია II სოფლად ყოფა-ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2009, 3. გვ. 21

მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადაამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას”.¹ ერთი მხრივ, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე (და არა მარტო) მზარდი მოთხოვნა ევროკავშირის ბაზარზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართველი მენარმეებისათვის ევროკავშირის ბაზარზე გასვლა და იქ ადგილის დამკვიდრება მთელ რიგ პრობლემებთან და წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული.

საგარეო ბაზარზე ქართული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, რაც შეუძლებელია ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების გარეშე. უნდა გაიზარდოს ევროპული სანარმოების ფილიალებისა და ერთობლივი სანარმოების რაოდენობა, უახლესი ტექნოლოგიების იმპორტი და სხვ. სასურველია ქართული სანარმოებისათვის ხარისხის მართვის ისეთი სისტემების დანერგვის ხელშეწყობა, როგორცაა ISO9001 ან ISO22000, რაც პერსპექტივაში დადებითად აისახება საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებზე.

საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის (FTA) შემოღების საკითხი. თავისუფალი ვაჭრობა, ესაა შესაძლებლობა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრირებისა. საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება. ევროკავშირის მიერ საქართველოს წინაშე წაყენებული რეკომენდაციების შესრულება არის სწორედ ერთ-ერთი გარანტი, რომ ქვეყანა ევროკავშირს დაუახლოვდეს.

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) გაფორმება ხელს შეუწყობს მხარეებს შორის როგორც სავაჭრო, ისე საფინანსო, საკრედიტო და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებას. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაცია და ამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირის ბაზარი მიგვაჩნია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან პირობად გვესახება აგრეთვე ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაცია ევროკავშირის ბაზარზე, რაც ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების მაღალ ტემპებს უზრუნველყოფს.

გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის განხორციელებული კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის შესაძლებელი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება:²

- იქონიებს უმნიშვნელო უარყოფით გავლენას ფისკალურ შემოსავლებზე;
- იმოქმედებს დადებითად, თუმცა იქონიებს უმნიშვნელო გავლენას ადგილობრივი წარმოების ყველა სექტორზე;
- გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველობის უნარი და ნომინალური მშპ;
- მხარეებს შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდის პარალელურად მოსალოდნელია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა.

კვლევის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენდა, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შესახებ შეთანხმების გაფორმება, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო ტარიფების ერთიანად ან ეტაპობრივად გაუქმებას, ორივე მხარის ინტერესებში შედის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კვლევის ის პოლიტიკური შედეგები, რომელიც თან ახლავს აღნიშნული შეთანხმების გაფორმებას:

- მკაფიო პოზიტიური სიგნალი საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, რომ საქართველო მყარად დგას სტაბილური და დემოკრატიული განვითარების გზაზე;
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება, რაც დადებით გავლენას იქონიებს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე;
- სიგნალი ქვეყნის მოსახლეობისათვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, მათ შორის ევროკავშირი, მხარს უჭერს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს.

UNDP-ის მიერ ჩატარებულმა კვლევის ძირითადმა შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება ორივე მხარის ინტერესებში შედის. კვლევის ძირითად შედეგებსა და რეკომენდაციებში აღნიშნულია:

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას მცირე ან ნულოვანი გავლენა ექნება ფისკალურ შემოსავლებზე;

¹ კოლუაშვილი პ. ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბ., „ინოვაცია“, 2009. გვ. 50-55.

² გარელო პ., ფილი ი. ყ., სება ტ., ავალიანი ე. ევროკავშირსა და საქართველოს შორის შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ზეგავლენის შეფასება. თბ., „გაეროს განვითარების პროგრამა“, 2007.

- საქართველოსა და ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება უმნიშვნელო, მაგრამ დადებითი გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკის ყველა სანარმოო სექტორზე;

- საქართველოსა და ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაზრდის შინამეურნეობების მსყიდველობით უნარს და ნომინალურ მშპ-ს;

- თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით სარგებელს მიიღებს საქართველოს ყველა სხვა სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირის ჩათვლით;

- მოსალოდნელია, რომ ვაჭრობის მოცულობას მოჰყვება პუი-ის მატება;

- საქართველომ განუხრელად უნდა გააგრძელოს ექსპორტის ნახალისების სტრატეგია: იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიას შეუძლია ზიანი მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველაზე პერსპექტიული სექტორების განვითარების სტიმულირებას;

- თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება მკაფიო სიგნალს მისცემს საერთაშორისო თანამეგობრობას ევროკავშირისა და საქართველოს შორის გრძელვადიანი სტაბილური ბიზნესის წარმოებისა და მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების ორმხრივი სურვილის შესახებ. „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების უარყოფა ან გადავადება არაერთგვაროვან სიგნალს მისცემს მოსახლეობას, უცხოელ ინვესტორებს და რეგიონულ პარტნიორებს. ჩატარებული ანალიზიდან ასევე ცხადი ხდება, რომ ევროკავშირისა და საქართველოს ეკონომიკების შემდგომი ინტეგრაციისაკენ მსვლელობის გადადებას ან დაყოვნებას არავითარი ეკონომიკური სარგებელი არ ექნება“.²

საქართველოს ჩართვა ევროკავშირის საერთო სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში გამოიწვევს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მთელი რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის გაზრდას ევროკავშირის და მსოფლიო ბაზარზე.

საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაააქტიურებს საქართველოში ევროკავშირიდან (და არა მარტო) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

„საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აშშ-სა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლას“.³ ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობა უზრუნველყოფს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყანაში საშუალო ფენის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი საფუძველია.

ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობისას მესამე ქვეყნებს სხვადასხვა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების დაძლევა უხდებათ. მესამე ქვეყნებს მიეკუთვნება ის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროკავშირთან სპეციალური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით სარგებლობენ. ხშირ შემთხვევაში მენარმეებისათვის არასატარიფო ბარიერების გადალახვა უფრო რთულია, ვიდრე სატარიფო ბარიერებისა.

ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესაღწევად რთული მოთხოვნებია დასაკმაყოფილებელი. ამ მოთხოვნათა სირთულე ნაკარნახევია, ერთი მხრივ, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სურვილით – მაქსიმალურად დაიცვან საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობა, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირის შიდა ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობების შექმნით, ანუ არ დაუშვან საკუთარ ბაზარზე ისეთ პირობებში და ისეთი ტექნოლოგიებით დამზადებული პროდუქციის შემოსვლა, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება.

ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების დაძლევა გართულებულია იმ მიზეზითაც, რომ ეს ბარიერები ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო აქტებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობების რთული სინთეზის შედეგია. საგუ-

¹ გარელო პ., ფილი ი.ჟ., სება ტ., ავალიანი ე. ევროკავშირისა და საქართველოს შორის შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ზეგავლენის შეფასება. თბ., „გაეროს განვითარების პროგრამა“, 2007. გვ. 17-18.

² იქვე, გვ. 23.

³ პაპავა ვ. ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008. გვ. 30.

ლისხმობა ისიც, რომ ეს სინთეზური საკანონმდებლო ბაზა მუდმივად განახლების პროცესშია და, შესაბამისად, მასში შესული ცვლილებების მკაცრ მონიტორინგს საჭიროებს.¹

განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირის შიდა ბაზარზე პროდუქციის იმპორტის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია პროდუქციის ტექნიკური სტანდარტი, სერტიფიცირების მოთხოვნა, ხარისხის კონტროლი, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დაცვა, პროდუქციის წარმომავლობის დაცვა, მომხმარებელთა დაცვა და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნული ევროკავშირის ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების (და არა მარტო) საექსპორტო შესაძლებლობების პოტენციალის საგრძნობ შემცირებას იწვევს.

საქართველოში მცირე და საშუალო კომპანიების დიდი ნაწილი, ჩვენი აზრით, არ იცნობს ევროკავშირის ბაზრის თავისებურებებს, ევროკავშირის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებულ საკითხებს, ევროკავშირის ბაზარზე საექსპორტო პროდუქციის დაბეგვრის საკითხებს.

ევროკავშირში სურსათისა და საკვების უსაფრთხოების საკითხებს აწესრიგებს ევროკავშირის შესაბამისი რეგლამენტი, რომელიც სურსათის შესახებ ევროკავშირის კანონითაა ცნობილი,² კანონის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ევროკავშირში ადამიანთა ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, გაითვალისწინოს გარემოს დაცვითი საკითხები. ამ მიზნის მისაღწევად სურსათის შესახებ კანონი ეფუძნება იმ რისკების დეტალურ ანალიზს, რომელსაც ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული კონკრეტული პროდუქცია შეიცავს. ასევე, ზედამხედველობის იმ პრინციპს, რომელიც ევროკავშირში სასურსათო პროდუქციის იმპორტის ყველა სტადიაზე (მიწოდება, დამუშავება, წარმოება, განაწილება და ა.შ.) აუცილებელი კონტროლის განხორციელებას გულისხმობს. ამ მხრივ სურსათის შესახებ კანონს, ბუნებრივია, მესამე ქვეყნების ექსპორტიორებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ნებისმიერი ქვეყნის მომხმარებლის ერთ-ერთ ძირითად უფლებას შეძენილი პროდუქციის ან მიღებული მომსახურების ფიზიკური უსაფრთხოების უფლება წარმოადგენს. მომხმარებლის ჯანმრთელობას (და არა მარტო ჯანმრთელობას) შეძენილი სურსათი ან მიღებული მომსახურება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს. აქედან გამომდინარე, ქვეყანათა უმრავლესობაში პროდუქციის უსაფრთხოებაზე მომხმარებლის უფლების უზრუნველყოფის მიზნით მენარმე ვალდებულია დაამზადოს და ბაზარზე უსაფრთხო პროდუქცია განათავსოს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია შესაბამისი ბერკეტებით უზრუნველყოს ბაზარზე მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლისთვის უსაფრთხო პროდუქციის წარმოდგენა.

„ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნებისაგან მთელი რიგ სფეროებში ძალიან მკაცრი წესების დაწესებას „მოითხოვს“. კერძოდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, სურსათის უვნებლობის, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული წესების, პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტებისა და რეგლამენტებთან დაკავშირებით. ამ მოთხოვნის მიზანია მოქალაქეთა ინტერესების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა... სტანდარტების ამალღებისათვის მოწოდებული კანონმდებლობის შემოღება ასევე მოითხოვს ხარისხისა და შესაბამისობის შეფასებას, სერტიფიცირების ადეკვატური სისტემის დანერგვას. შესაბამისობის შეფასების ურთიერთალიარება ქვეყნებს შორის ვაჭრობის ნახალისების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს“.³

ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებების დაწყებისა და წარმატებით დასრულებისათვის სასურველია საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროკავშირის კანონმდებლობას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ასევე საქართველოს ევროკავშირში სავაჭრო-ეკონომიკურ ინტეგრაციას.

ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაციაა სტრატეგიის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც მოხდება სურსათის უვნებლობის კანონმდებლობისა და სფეროს სრულყოფა. მართალია, საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ მოქმედებს 2005 წლის 27 დეკემბრიდან, მაგრამ აღნიშნული კანონის რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლის მოქმედება დროებით შეჩერებულია და ევროკავშირის რეკომენდაციაა, რომ მოხდეს შეჩერებული მუხლების ეტაპობრივი ამოქმედება. სწორედ ევროკავშირის რეკომენდაციის შედეგად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ სა-

¹ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებანი. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო. სარედაქციო ჯგუფი: კ. ზალდასტანიშვილი, ა. ხვთისიაშვილი, ი. ნანობაშვილი. თბ., 2008. გვ. 5.

² http://www.eugbc.net/files/Com.1-Regulation_178-2002.pdf

³ გოგოლაშვილი კ. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაახლოება – ვაჭრობისა და ინვესტიციების ნახალისების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. სერიიდან „ევროინტეგრაცია“, თბ., 2006. გვ. 183.

ქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემის შემოღება განხორციელდეს ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე მოხდება სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაცია. სურსათის უვნებლობის სფეროში რეკომენდაციების სრული ამოქმედება ნავარაუდევია 2017 წლის პირველი იანვრიდან, ანუ 6 წლის შემდეგ,¹ აღნიშნული ვადები, ჩვენი აზრით, გადახედვას საჭიროებს. საჭიროა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში შეჩერებული მუხლების ამოქმედება წინმსწრები ტემპით, რაც, ერთი მხრივ ქართული მხარის ინტერესებშია და, მეორე მხრივ, ევროკავშირის მონონებას დაიმსახურებს.

ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ გაფორმებისათვის, ისევე როგორც ასოციირების ხელშეკრულების გაფორმებისას საჭირო იქნება მთელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ მოთხოვნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, რომლებიც განეკუთვნება ე.წ. ვაჭრობის არასატარიფო ბარიერებს და გულისხმობს სურსათის წარმოების სრული ჯაჭვის იდენტიფიცირების საშუალებების ანუ მიკვლევადობის სისტემის არარსებობის პირობებში საქართველოში წარმოებული კვების პროდუქტების (სურსათის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების) ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შეუძლებლობას. ამასთან, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაუცველობა ქვეყანაში საფრთხეს უქმნის ადგილობრივი (და არა მარტო) მოქალაქეების ჯანმრთელობას, ხელს უწყობს არაჯანსაღ კონკურენციასა და ბიზნესს.

ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ დადება და სავაჭრო პოტენციალის ამაღლება შესაძლებელია, თუ ქვეყანას შესაბამისი სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა ექნება.

იმისათვის, რომ საწარმოებისთვის დაიწყოს დღეს მოქმედი კანონით შეჩერებული მუხლების (კერძოდ, რეგისტრაციასა და სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული მუხლების) ამოქმედება, საჭიროა ამ საწარმოებზე არსებობდეს შესაბამისი მონაცემთა ბაზა, რომლის შექმნას წინ უნდა უსწრებდეს მათი რეგისტრაციის პროცესი, რაც დაკავშირებულია რეგისტრაციის წესის დამტკიცებასა და რეგისტრაციის დანებების კონკრეტული ვადის დაწესებასთან, რასაც არ ითვალისწინებს ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობა.

ამჟამად საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ“ მოლაპარაკებების მოსამზადებელი პროცესი მიმდინარეობს. ამ მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში შემუშავდა სურსათის უვნებლობის შესახებ ყოვლისმომცველი სტრატეგიის პროექტი. სტრატეგია ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული შეჩერებული მუხლების ამოქმედებას ევროკომისიასთან წინასწარ შეთანხმებული ვადების მიხედვით, კერძოდ, სტრატეგიის მიხედვით დამტკიცდება საწარმოთა რეგისტრაციის წესი. საწარმოთა რეგისტრაციის საფუძველზე შეიქმნება სურსათის მწარმოებელ საწარმოთა მონაცემთა ბაზა. ინსპექტირების განხორციელება დაიწყება ეტაპობრივად 2011 წლიდან და გაგრძელდება 2017 წლის ჩათვლით. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომაა სავალდებულო კანონის შეჩერებული მუხლების ამოქმედება პირველ ეტაპზე მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტიორი სურსათის მწარმოებელი საწარმოებისათვის სავალდებულო და არა ქვეყნის ყველა სურსათის მწარმოებელი საწარმოსათვის.

¹ საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“.

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=1767

კანონის - „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ - მე-14 მუხლი ეხება სურსათის მწარმოებელ საწარმოების რეგულირებას: „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი არ შეიძლება ახორციელებდეს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, გადამამუშავებას, შენახვას, დაფასობას ან ბაზარზე განთავსებას, თუ იგი არ არის დადგენილი წესით რეგისტრირებული“.

2009 წლის 25 დეკემბერს კანონში „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ შევიდა ცვლილებები და დამატებები; ასე მაგალითად: 1. მიკვლევადობისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემების დანერგვა, გარდა პირველადი წარმოებისა, მცირე და გლეხური/ფერმერული/კუსტარული წარმოებისა, განხორციელდეს ამ კანონის მე-14 მუხლის მიხედვით დარეგისტრირებული საწარმოებისათვის და 2. კანონის 22-ე, 23-ე და 30-ე მუხლების ამოქმედება, გარდა პირველადი წარმოებისა, მცირე და გლეხური/ფერმერული/კუსტარული წარმოებისა, ამ კანონის მე-14 მუხლის მიხედვით დარეგისტრირებული საწარმოებისათვის დაიწყოს შემდეგ ვადებში:

- ა) ევროკავშირში ექსპორტიორ სურსათის მწარმოებელ საწარმოებში – 2011 წლის 1 იანვრიდან;
 - ბ) მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელ საწარმოებში, გარდა ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისა, – 2013 წლის 1 იანვრიდან;
 - გ) სურსათის მწარმოებელ ყველა სხვა საწარმოში – 2015 წლის 1 იანვრიდან;
 - დ) ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოებში – 2017 წლის 1 იანვრიდან;
- ¹ „სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის ან/და დისტრიბუტორებისთვის კანონის მე-14 მუხლი ამოქმედდეს 2010 წლის 30 იანვრიდან, ხოლო ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისთვის – 2016 წლის 1 იანვრიდან“.

საქართველო სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის დიდი პოტენციალით გამოირჩევა ევროკავშირის ბაზარზე (და არა მარტო იქ). სასაქონლო ჯგუფებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტები ერთადერთია საქართველოს ევროკავშირთან დადებითი სალდო რომ აქვს. ევროსტატის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირში 2003 წელს 12,1 მლნ ევროდან 2007 წელს 89 მლნ ევრომდე (122 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა, ხოლო იმპორტმა 61 მლნ ევროდან 71 მლნ ევრომდე (97 მლნ აშშ დოლარი), დადებითმა სავაჭრო ბალანსმა კი 18 მლნ ევრო (24,7 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტმა 942,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 250,5 მლნ აშშ დოლარი (2007 წელი შესაბამისად 762 და 275 მლნ აშშ დოლარი). ბოლო პერიოდში კატასტროფულად შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების რაოდენობა.¹ ცხადია, ევროკავშირის ბაზრის როლი და მნიშვნელობა – საქართველოს ექსპორტის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მესამედზე მეტი (44,5%) ევროკავშირის ბაზარზე მოდის.

ჩვენი აზრით, პერსპექტივაში შესაძლებელია ევროკავშირის ბაზარზე ქართული თხილის, კაკლის, ღვინის, მინერალური წყლების და სოფლის მეურნეობის სხვ. პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვანი გაზრდა. აღნიშნულ საქონელზე ევროკავშირის ბაზარზე არის მოთხოვნა და საქართველოს მისი ექსპორტის პოტენციალი გააჩნია.

2008 წელს ევროკავშირში მხოლოდ ყურძნის ნატურალური ღვინოების იმპორტმა 8,5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოდან ექსპორტზე კი მოდის აღნიშნული ბაზრის ძალიან მცირე ნაწილი. ევროსტატის მონაცემებით 2008 წელს საქართველოს ღვინის ექსპორტმა ევროკავშირის ქვეყნებში 5 მლნ ევროს მიაღწია.² ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის პოლონეთზე მოდის ქართული ღვინის ექსპორტის 23,8%, ლატვიაზე – 31,6%, ესტონეთზე – 13%, ლიტვაზე – 11% და გერმანიაზე – 7%, ხოლო სხვა ქვეყნებზე ერთად აღებული – 14%. ევროკავშირის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მხარეებს შორის ღვინით ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ევროკავშირში ახალი ხილისა და სოფლის მეურნეობის გადამუშავებული პროდუქციის ექსპორტის მიმართულებით, კერძოდ: ხილის, ნატურალური წვენიების, თაფლის, ჯემების, სანელებლების, ჩაის, ხილფაფების და სხვა პროდუქტების, მაგრამ აღნიშნული პროდუქციის ექსპორტიორ საწარმოებს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის სერთიფიცირების პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო სტრატეგიული დოკუმენტები ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, კონკურენციისა და სურსათის უვნებლობის სფეროში. აღნიშნული დოკუმენტები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ წინაპირობასაც წარმოადგენს. საქართველო გამოხატავს პოლიტიკურ ნებას სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ევროკომისიასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

სურსათის უვნებლობა პრიორიტეტული საკითხია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მართებულად ფუნქციონირებისათვის. აქედან გამომდინარე, მთავრობის მიზანია საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოება. სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების ჩამოყალიბებასა და საქართველოში სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვას ითვალისწინებს.

სტრატეგიასა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამაში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიზანი, რომელიც სურსათის უვნებლობის სფეროს იურიდიულ და ინსტიტუციურ დახვეწასა და საქართველოში ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვას მოიცავს. ევროკომისიის რეკომენდაციების

¹ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

² http://exporthelp.europa.eu/thdapp/comext/ComextServlet?action=output&viewName=eur_partners&simDate=20080101&list_years=2008&measureList=iv&cb_reporters=EUR27&cb_partners=0076&ahscode1=2204

საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის შემუშავება.¹

ამრიგად, საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბების გაზრდას, საქართველოს აქტიურ ჩართვას ევროკავშირის ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს საექსპორტო დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, საშუალო ფენის გაძლიერებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და სხვ.

RAMAZ PUTKARADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

PROSPECTS OF EXPORT OF AGRICULTURAL PRODUCTS TO THE EU MARKET

S u m m a r y

Historically, agriculture was a significant sector in Georgia. Consequently, Georgia has a great potential for the production and export of agricultural products, which could meet the demands of the local market and improve their export potential.

It should be noted that in the recent period the trade & economic relations between Georgia and EU have expanded significantly. For Georgia, deepening of trade & economic relations with the EU is of critical significance. In 2010, foreign trade turnover between Georgia and 27 countries of the EU was \$1736 million, showing 13% increase, compared with the previous year, for the same countries, of which exports amounted to \$297 million (25% increase) and imports - \$1439 million (10% growth). The EU share in the foreign trade turnover of Georgia is 26.0%, among them 19% of exports, 28% of imports and 33% of trade deficit.

In 2009, share of Georgian agricultural products exports to EU was 21.4%. The key exported agricultural goods included hazelnuts (65.7% of total exports of this product), fruits and vegetables juices (63.6% of total exports of this product) and wine (18.9% of total exports of the product).

One of the promising directions of Georgia-EU collaboration was the issue of introduction of free trade mode between these parties. Free trade relations between the parties would significantly expand the scale of trade relations and ,hence, the exports of agricultural products to the EU market.

His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia, is quite true, stating that: “We should offer to the international market ecologically pure agricultural products whose production basis includes all the mountain regions and foothills of Georgia. This would be very beneficial for the people and would ensure the rehabilitation of Georgian rural areas. Georgia has a great potential for the rehabilitation of economy and, especially, for the promotion of small and medium-sized businesses. Ecologically pure agricultural goods and food products obtained through their processing would yield significant revenues to the country.”²

Georgia has asinificant potential, with respect of agricultural products’ export. Growth of exports of Georgia to the EU requires great efforts. The promising export products for the EU market include: wine, mineral waters, hazelnuts, honey and other agricultural goods.

¹ იხ. საქართველოს მთავრობის „ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში“.

მომზადებულია: საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შექმნილი სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარების უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ.

² Koghuashvili P., Two Ilias about Agricultural Sector of Georgia. Tb. “Innovation”, 2009, p. 50-55.

საქართველოს გუნებრივი რესურსები მსოფლიო მუდმივი განვითარების სისტემაში

ბუნებრივი რესურსები, რომლებიც წარმოების ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება, თანამედროვე საერთაშორისო კონკურენციაში ამა თუ იმ ქვეყნის უპირატესობას უზრუნველყოფს. ეკონომიკის განვითარებაში რესურსული საშუალების როლი მუდმივად იცვლებოდა.

საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე გადამწყვეტ როლს აგროკლიმატური რესურსი ასრულებდა. სწორედ ნიადაგის ნაყოფიერებამ და თბილმა კლიმატმა შეუწყო ხელი ჩინეთისა და შუამდინარეთის ხალხებს სხვებზე ადრე გადასულიყვნენ მარტივიდან გაფართოებულ კვლავნარმოებაზე და შეექმნათ ნამყვანი სახელმწიფოები. შუა საუკუნეებში აგროკლიმატური რესურსი შეცვალა სასარგებლო წიაღისეულმა. სამრეწველო რევოლუციამ და ინდუსტრიალიზაციამ მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართო მინერალური რესურსების ახალი სახეები. მეტალურგია და მანქანათმშენებლობა განვითარდა იმ ქვეყნებში, რომლებიც მდიდარი იყო ქვანახშირისა და რკინის საბადოებით. ამ რესურსებმა განაპირობა XVII – XVIII საუკუნეებში დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის ეკონომიკური სიძლიერე. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს სივრცით რესურსებს, კერძოდ, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა თავის დროზე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების (საბერძნეთი, იტალია) განვითარება.

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ვითარება შეიცვალა. მეცნიერებმა ეკონომიკა დაყვეს ტრადიციულ, ე. ი. „ძველ“ და „ახალ“, ანუ ინფორმაციულ, მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკად. ტერმინ „ახალ ეკონომიკასთან“ შინაარსობრივად ძალზე ახლოსაა ბოლო პერიოდში გავრცელებული ტერმინი „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა“.¹ ტრადიციულ ეკონომიკას განვითარების იმპულსს ბუნებრივი ნედლეულის რესურსები აძლევდა, ახალ ეკონომიკას კი – ცოდნა. ასე რომ, XXI საუკუნის დასაწყისში მოხდა ბუნებრივი ნედლეულის რესურსების უკანა პლანზე გადაწევა. თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს მისი როლის გაუბრალოებას. რაც არ უნდა წინა პლანზე წამოინიშნოს ცოდნამ, სიახლეებმა, მეცნიერულმა მიგნებებმა, თითოეული ცალ-ცალკე ყველგან და ყოველთვის ვერ შეცვლის ბუნებრივი ნედლეულის რესურსებს. ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა ისინი ერთმანეთის გვერდით არსებობენ. ასე რომ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მართალია, იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ბუნებრივი რესურსების გავლენის შემცირებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, სხვადასხვა სახის ბუნებრივი რესურსის არსებობა ქვეყანას აძლევს დამატებით კონკურენტულ უპირატესობას.

ბუნებრივი რესურსების კლასიფიცირებას ახდენენ ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორცაა:

- ◆ ბუნებრივი ფაქტორი (მინერალური, კლიმატური, მინის, წყლის, მცენარეული საფარი და ა.შ.);
- ◆ არაგანახლებადი და ამონურვადი რესურსები (მინერალური რესურსები);
- ◆ ამონურვადი, მაგრამ კვლავნარმოებადი რესურსები (ნიადაგი, მცენარეული, ცხოველური და ა.შ.);
- ◆ ამონურვადი რესურსები (მზის და ქარის ენერჯია, ატომური ენერჯია).

ეკონომიკური ნიშნის მიხედვით შეიძლება იყოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებადი რესურსები (ნავთობი, რკინის მადანი, მინა, ტყე და ა.შ.) და არასანარმოო სფეროს რესურსები (კლიმატური რესურსები).

ბუნებრივი რესურსების მარაგი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, რომელთაც აქვთ თითქმის ყველა სახის (მინის, წყლის, მინერალური და ა.შ.) რესურსი. ასეთია: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი და ავსტრალია.

ზოგიერთი ქვეყანა ფლობს რომელიმე ერთი სახის რესურსს, მაგრამ აქვს მისი მსოფლიო მნიშვნელობის მარაგი. მაგალითად, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები (ერაყი, საუდის

¹ ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002 წ. გვ. 428.

არაბეთი და სხვ.) მდიდარია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი მარაგებით: ჩილე, ზამბია და ზაირი – სპილენძით, მაროკო და ნაურუ – ფოსფორიტებით და ა.შ.

დაძიებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგებით უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით გვხვდება:

1. ძლიერი მინერალური ნედლეულის პოტენციალის მქონე ქვეყნები (კანადა, ჩინეთი, აშშ, ავსტრალია, რუსეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა);
2. განსაზღვრული დასახელების სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით განთქმული ქვეყნები (შვედეთი, ნორვეგია, საფრანგეთი, ჩილე, ირანი, მაროკო და სხვ.);
3. ერთი ან რამდენიმე სახის წიაღისეულის მოპოვებაზე დასპეციალიზებული ქვეყნები (ქუვეითი, საუდის არაბეთი, გაბონი და სხვ.);
4. შეზღუდული მინერალური რესურსების ქვეყნები (საბერძნეთი, შვეიცარია და სხვ.);
5. ამონურვადი სასარგებლო წიაღისეულის მქონე ქვეყნები (იაპონია, სინგაპური, ბელგია, ნიდერლანდები და სხვ.)

მსოფლიო ბუნებრივი ნედლეულის რესურსებს შორის წამყვანი ადგილი მინერალურ რესურსებს უკავია. ამ რესურსების 36%-ს ფლობს მაღალგანვითარებული ქვეყნები, 50%-ს კი – განვითარებადი ქვეყნები. მინერალური ნედლეულის და სათბობის ძირითადი მომხმარებლებია განვითარებული ქვეყნები. მათზე მოდის მინერალური ნედლეულის მთელი მოხმარების 60%, ნავთობის – 58% და ბუნებრივი აირის – 50%. აშშ 2-ჯერ უფრო მეტ სასარგებლო წიაღისეულს მოიხმარს, ვიდრე ფლობს; ევროკავშირის ქვეყნები – 2,5-ჯერ მეტს.

მინერალური ნედლეულიდან სათბობის მსოფლიო გეოლოგიური მარაგი 12,5 ტრილიონ ტ-ს შეადგენს. აქედან 60% ქვანახშირია. ქვანახშირის უმსხვილესი საბადოებია აშშ-ში, ჩინეთში, რუსეთსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ნავთობის დაძიებული მარაგები 300 მლრდ ტონას უტოლდება (მათ შორის საუდის არაბეთში – 25,4%-ს, ერაყში – 11%-ს, ქუვეიტში – 9,3%-ს, ირანში – 9,1%-ს, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში – 9,4%-ს). მსოფლიოს ბუნებრივი აირის დაძიებული მარაგი შეადგენს 145 ტრილიონ მ³ - ს (მ.შ. რუსეთში – 32%-ს, ჩრდილო ამერიკაში – 4,9%-ს, დასავლეთ ევროპაში – 3,8%-ს), რკინის მადნისა – 600 მლრდ ტ-ს, სპილენძისა – 860 მლნ ტ-ს, ბიოქსიტებისა – 50 მლრდ ტ-ს და ა.შ.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსები საქართველოში წარმოდგენილია ნავთობით, აირით, ნახშირით, ტორფითა და თერმული წყლებით. ნავთობის მთლიანი მარაგი შეადგენს 169660 ათას ტ-ს, აირის – 5157000 ათას მ³-ს, თერმული წყლებისა 129594 მ³/დღ.ლ-ს, ნახშირის 484248 ათას ტ-ს და ტორფის 99099 ათას მ³-ს. ნავთობის საბადოებიდან აღსანიშნავია: მირზაანის, ტარიბანის, შირაქის, ნორიო-მარტყოფის, საცხენისის და სუფსის. დღეისათვის პერსპექტიულად ითვლება ტარიბანის საბადო, სადაც წინასწარი გათვლებით ერთი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგია. ბუნებრივი აირის მოპოვება ხდება სამგორი-პატარძელის, სამგორის სამხრეთ გუმბათის და თელეთის ნავთობის საბადოებზე. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა საძიებო სამუშაოებმა ცხადყო, რომ შავი შელფის საქართველოს სექტორში ბუნებრივი აირის მარაგის მთლიანი მწარმოებლობაა 1,8 მლრდ მ³ წელიწადში. ნახშირის ყველაზე დიდი საბადოა ტყიბულ-შაორის, ტორფის საბადო ძირითადად კოლხეთის დაბლობზეა წარმოდგენილი (იმნათი, ფიჩორა, მალთაყვა).

იმ დროს, როდესაც მსოფლიოში მწვავედ დგას ენერგორესურსების პრობლემა, საქართველოს მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვს ეგზოგენური ენერგორესურსები, კერძოდ, ჰიდრო, მზის და ქარის ენერჯია. საქართველო ჰიდროენერგორესურსების სიმძლავრით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში და უმდიდრესია რესპუბლიკებს შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ჰიდროენერჯია (საშუალო წლიური) – 135 მლრდ კვტ. სთ-ად არის შეფასებული. საქართველოს ჰელიორესურსები ძალიან მნიშვნელოვანია და არსებული მონაცემებით 10¹⁴ კვტ/წ-ს უდრის. საქართველო იდეალური ქვეყანაა ქარის ენერჯიის განვითარებისათვის¹. ქარის ენერჯიის მიმღები მონყობილობა ჩვეულებრივ იდგმება იქ, სადაც წლის განმავლობაში ქარის საშუალო სიჩქარე 4-5 მ/წმ-ს აღემატება. ამ მარევენბლის მიხედვით საქართველოში აღსანიშნავია ქ. ფოთის, დაბა სურამის, ქ. ქუთაისის, შიგა აჭარის მიდამოები. დღესდღეობით ქვეყანაში ქარის მხოლოდ რამდენიმე მცირე დანადგარი მუშაობს. საქართველო 2009 წლიდან „განახლებადი ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს“ (IRENA) წევრია, იმედია, ამ სააგენტოს წევრობა ხელს შეუწყობს ქვეყნის განახლებადი ენერგეტიკის განვითარებას.

¹ ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., 2011. გვ. 71

რაც შეეხება ლითონებსა და იშვიათ ლითონებს, საქართველო არ არის მდიდარი მადნიანი საბადოებით, მაგრამ იგი მაინც ფლობს ზოგიერთი ლითონის საკმაოდ დიდ საბადოს. საქართველოს ნიაღისეულიდან პრიორიტეტულ ნედლეულად კვლავ რჩება მანგანუმი, რომლის საბადოთაგან ცალკე უნდა აღინიშნოს ჭიათურის მანგანუმის საბადო (მარაგი 176000 მლნ/ტ). აღსანიშნავია აგრეთვე ჩხარ-აჯამეთის მადნიანი ზოლი; პერსპექტიულობის თვალსაზრისით, საყურადღებოა, ყვირილის მანგანუმისანი ზოლები. საქართველოში არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის იშვიათი ლითონებისა და ელემენტების (დარიშხანისა და ანთიმონიუმის) საბადოები. სპილენძის საბადოებიდან მნიშვნელოვანია მადნეულის სპილენძი-ტყვია-თუთიის საბადო (ბოლნისის რაიონი), რომლის ბაზაზეც მუშაობს სს „მადნეული“.

ბუნებრივი ნედლეული რესურსებიდან ასევე მეტად მნიშვნელოვანია მინა, წყალი, მცენარეული და ცხოველური საფარი. მინა ბუნებრივი ობიექტია, რომელიც არ იწარმოება და შეზღუდული რაოდენობით არსებობს. მინის მსოფლიო ფონდი შეადგენს 134 მლნ კმ^{2-ს}. მისი 11% არის დამუშავებული მინები (სახნავ-სათესი, ბალ-ვენახები), 23%-ს საძოვრები და სათიბები, 30% – ტყე, 3% – დასახლებული ადგილები, სამრეწველო ზონები და სატრანსპორტო ხაზები, 33% – უდაბნოები, ჭაობები, მაღალმთიანი მყინვარები, ანუ ნაკლებპროდუქტიული მინები. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო მინები მსოფლიოში 4810 მლნ ჰა-ს შეადგენს, აქედან 1340 მლნ ჰა. სახნავ-სათესი ფართობებია, საიდანაც აშშ-ს ეკუთვნის 185 მლნ ჰა, ინდოეთს – 160 მლნ ჰა, რუსეთს – 134 მლნ ჰა და ჩინეთს – 95 მლნ ჰა. დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად, სახნავი მინების რაოდენობა, რომელზედაც მოდის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ერთ სულ მოსახლეზე მცირდება. ნიადაგის ეროზიისა და მინის დეგრადაციის შედეგად სახნავი მინები ყოველწლიურად კარგავს 24 მლნ ტ ნაყოფიერი ნიადაგის ფენას. მისი ნახევარზე მეტი მოდის ინდოეთზე, ჩინეთზე, აშშ-სა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე.

მინა ერთ-ერთი მთავარი ეროვნული სიმდიდრეა. ნიადაგის წილად მოდის საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის თითქმის ნახევარი. საქართველოს მინის ფონდი 6949,4 ათასი ჰა-ია, აქედან სახნავ-სათესი – 785 ათასი ჰა. მრავალწლიანი ნარგავები – 277,5 ათასი ჰა, საძოვრები – 1928 ათასი ჰა, ტყე და ბუჩქნარი – 2006,6 და სხვა დანარჩენი – 951,7 ათასი ჰა. საქართველოში ინტენსიურია ნიადაგის, წყლისა და ქარისმიერი ეროზია. ეროზიის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით დგას მთიან რეგიონებში, სადაც ამის მთავარი მიზეზია არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (დამრეც ფერდობებზე მინის დამუშავება, ირიგაციული ტექნიკის გამოყენება, რასაც თან სდევს ნიადაგის ზედა ფენების წარეცხვა), მთის კალთებზე ტყის ჩეხა და გადაჭარბებული ძოვება. გასული საუკუნის 90-იან წლებში ენერგოკრიზისისა და უკონტროლობის გამო გაჩეხილმა ტყეებმა უფრო მეტად გააძლიერა ქარისმიერი ეროზია. ქვეყანაში შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ხელს შეუწყობს სწორ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მინის ფონდის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

მინის ფონდის ეფექტური გამოყენება უკავშირდება წყლის რესურსებს. წყლის მარაგი ჩვენს პლანეტაზე 1386 მლნ/კმ³-ია. აქედან მტკნარი წყლის მარაგი მხოლოდ 2,5%-ია. წყლის ძირითადი მომხმარებელია სოფლის მეურნეობა (69%), მეორე ადგილზეა მრეწველობა (21%), ხოლო მესამე ადგილზე – კომუნალური მეურნეობა (6%). უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა გასამმაგდა, ხოლო წყლის მოხმარება გაიზარდა 6-ჯერ მრეწველობის განვითარებისა და მინების ირიგაციის უფრო ფართო გამოყენების შედეგად. 2000 წელს ჩვენი პლანეტის 508 მლნ მცხოვრები 31 ქვეყანაში წყლის უკმარისობას განიცდიდა, 2025 წლისათვის მათი რიცხვი 48 ქვეყანაში 3 მლნ-მდე გაიზრდება. განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით აფრიკის ქვეყნებში, წყლის ნაკლებობა საკვები პროდუქტების სიმცირის მიზეზი.

მინისქვეშა მინერალური წყლის მარაგი საქართველოში გიგანტურია: მტკნარი წყლის მარაგია 6503,64 ათ.მ³/დღ.დ, სასმელი წყლის – 38,76 ათ. მ³/დღ.დ, სამკურნალო – სასმელის – 5,86 ათ.მ³/დღ.დ და სამკურნალო 29,7 ათ.მ³/დღ.დ.¹ მსოფლიოში ტყის ფართობი 4,1 მლნ ჰა-ს შეადგენს, ანუ ხმელეთის დაახლოებით ნახევარს. მერქნის მსოფლიო მარაგი 360 მლნ მ³-ს აღწევს. მსოფლიო ყოველწლიურად კარგავს დაახლოებით 10 მლნ ჰა-ზე მეტ ტყეს. ეს ხდება ტყის მასივების გაჩეხით და მისი უკანონო გამოყენებით.

საქართველოს ტერიტორიის 39,9% ტყითაა დაფარული. საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, ამიტომ აქ ტყეები თითქმის მთლიანად (97,7%) მთის ფერდობებზეა განლაგებული. ტყის საერთო

¹ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2010 წ.

ფართობი 2005,6 ათასი ჰა-ია, მერქნის მარაგი 451700,12 ათას მ³-ს შეადგენს. მერქნის ამ მარაგიდან გადამუშავებისათვის ხელმისაწვდომია მისი 38 – 40%.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ბუნებრივი რესურსების მოკლე მიმოხილვა მსოფლიო მეურნეობის სისტემასთან მიმართებაში ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსები სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნას შეასრულოს თავისი როლი საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ეკონომიკურ თვითდამკვიდრებაში. ამასთან, ვინაიდან რესურსების ერთი ნაწილი არაკვალიფიკაციანია, ამ დარგში დაკავებული ადამიანები ვალდებული არიან ხარჯონ იგი ეკონომიურად. ქვეყანა უკვე შეუდგა გარემოს დაცვის ეროვნული პროგრამის განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას და მის განვითარებას.

LEILA KADAGISHVILI

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Assistant Professor

NATURAL RESOURCES OF GEORGIA IN THE WORLD ECONOMIC SYSTEM

S u m m a r y

Natural resources are the main factors of production which guarantee the advantage of the country in international competition. Different countries have a different amount of particular types of natural resources. There are only a few countries in the world that have nearly all kinds of natural resources – soil, water, mineral resources, etc. Some countries have only one type of natural resources, but the reserves of this resource are of world importance. Mineral resources have the leading role in the natural raw materials of the world. 36% of these resources are owned by countries with highly developed industry and 50% are owned by developing countries. The main consumers of mineral raw materials and fuel are developed countries. They consume 60% of the whole mineral raw materials, 58% of oil and 50% of natural gas. The United States consumes twice as much as it produces and the European Union countries consume 2.5 times more than they produce.

The article presents a brief overview of Georgia's natural resources in the world economic system. It is concluded that natural resources of our country are sufficient enough to play an important role in the economic development of an independent country.

აგრარულ სექტორში რისკის მართვის საკითხისათვის

რისკის ფაქტორის ცოდნა წარმოადგენს ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის ეფექტურად დაწესების აუცილებელ პირობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, სოციალური გარდაქმნები და დემოკრატიული ღირებულებების ფორმირება არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ. დამოუკიდებლობის პირველი წლები უკიდურესად მძიმე იყო. ადგილი ჰქონდა ეკონომიკური კავშირების მოშლას და ბაზრების დაკარგვას [3]. წარმოიშვა ღარიბებს შორის უღარიბესი ფენები. საქართველოში ჩამოყალიბდა შემოსავლების განაწილების ძალზე მაღალი ხარისხის უთანასწორობა და უსამართლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა წარმოშვა სოციალური რისკების საფრთხეები. სოციალური რისკი განიხილება, როგორც საფრთხე, რომელიც წარმოიშობა და გამოვლინდება საზოგადოების სოციალური ცხოვრების სფეროში და რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და ან მთელი საზოგადოების არსებობასა და განვითარებაზე.

ეს პრობლემა მთელი სიმწვავეით წარმოგვიდგება სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსს ქმნიან. აგრარულ სექტორში სხვადასხვა სფეროს ბიზნესური საქმიანობა გადაჯაჭვული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. ამასთან, ამოსავალი კრიტერიუმი თითოეული ბიზნესორგანიზაციული სტრუქტურებისათვის არის ურთიერთ- მისაღები პირობები და სტაბილურად მზარდი მოგების მიღება.

საქართველოს აგრარულ სექტორში გატარებულმა რეფორმებმა არსებითად ნულზე დაიყვანა სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფი სახელმწიფო გარანტიები. სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები პირისპირ აღმოჩნდნენ ბაზრის სტიქიასთან, როდესაც აგრარული წარმოების გაძლოლის ყველა რისკი, რომლებსაც აქამდე მნიშვნელოვანწილად მართავდა სახელმწიფო, გახდა მათი სამეურნეო საქმიანობის ბუნებრივი ატრიბუტი. სამწარმოო საქმიანობის წარმატებული გაძლოლა მოითხოვს არა მარტო რისკის ყველა წყაროს შესახებ ცხად წარმოდგენას, არამედ იმასაც, რომ სარისკო სიტუაციების გათვალისწინებას თან ახლდეს მათი ნეგატიური ზემოქმედების შემასუსტებელი ღონისძიებების დამუშავება, ე.ი. რისკების მართვის აუცილებლობა.

საქართველოში რისკების მართვის სისტემის არარსებობის ან ასეთი სისტემების არაეფექტიანი საქმიანობის შედეგად მრავალი სანარმო კოტრდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით არსებობს საერთო მიზეზები სანარმო რისკების წარმოშობის და ტენდენციები მათი დონის ცვლილებებისა. აგროსამრეწველო კომპლექსის სანარმოთა რისკების ანალიზის შედეგად თანამედროვე ეტაპზე უნდა გავითვალისწინოთ:

- გარდამავალ პერიოდში კრიზისული ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ წარმოების დაცემით და ბევრი ორგანიზაციის ფინანსური არამდგრადობით, არამედ მთელი რიგი სამეურნეო კავშირების განყვეტით;
- პოლიტიკური მდგომარეობის არამდგრადობა;
- რამდენიმე ძირითადი საკანონმდებლო აქტის არარსებობა, ან არასრულყოფილება, სამართლებრივი ბაზის შეუსაბამობა რეალურად არსებულ სიტუაციასთან.

- ყველა შემთხვევაში რისკი უნდა იყოს განსაზღვრული და გაზომილი. რისკის ანალიზი და შეფასება მნიშვნელოვანწილად არის დაფუძნებული სისტემატურ სტატისტიკურ მეთოდზე, იმის ალბათობის განსაზღვრის გათვალისწინებით, რომ ესა თუ ის მოვლენა მომავალში მოხდება. ჩვეულებრივ ეს ალბათობა გამოიხატება პროცენტებში. შესაბამისი სამუშაოები შეიძლება წარიმართოს, თუ შემუშავებულია რისკების კრიტერიუმები, რომელიც მოვლენის რანჟირების ალტერნატიულ საშუალებას იძლევა რისკის დონესთან დამოკიდებულებაში. თუმცა მუშაობის ამოსავალ პუნქტად ითვლება კონკრეტული სიტუაციის წინასწარი სტატისტიკური ანალიზი.

სოფლის მეურნეობაში თანამედროვე რისკების მართვა წარმოადგენს პრაქტიკული მენეჯმენტის ნაწილს. ის მოითხოვს მიღებული გადაწყვეტილებების მუდმივ შეფასებას და გადაფასებას. წი-

ნააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ჩამოყალიბდეს სტატისტიკური, ბიუროკრატიული და ტექნოლოგიური ილუზიები, რომელთაც პრაქტიკაში განხორციელება არ უნერიათ.

საქართველოს აგროსექტორში ეფექტიანი მართვის სისტემის შექმნისათვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი ეტაპების გათვალისწინება {2}:

1. მიზნის განსაზღვრა და წანამძღვრების შექმნა. ეს ეტაპი გულისხმობს ზოგადი მიზნების და პარამეტრების დადგენას, რომელთა ფარგლებშიც უნდა იქნეს შესწავლილი რისკი ან რისკების ჯგუფები და მივილოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები. ამ ფარგლებში მოიაზრება სტრატეგიული და ორგანიზაციული ასპექტები. სტრატეგიული ასპექტები – ეს უნინარეს ყოვლისა არის ურთიერთობების განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო სანარმოსა და მის გარემოს შორის, სანარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა. ორგანიზაციული ასპექტები გულისხმობს მიზნების და ამოცანების დადგენას სასოფლო-სამეურნეო სანარმოს მართვის სხვადასხვა იერარქიულ საფეხურისთვის და მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილებას სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილების მიღებისათვის.

2. რისკების იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს იმ რისკის ნუსხა, რომლების მიმართ შეიძლება მიდრეკილი იყოს სასოფლო-სამეურნეო სანარმო; გამოვლინდეს, თუ რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი და რომელი ნაკლებად. გარდა ამისა, რისკების იდენტიფიკაციის მიზანს წარმოადგენს იმ მოვლენების (როგორც ხელსაყრელი, ასევე არახელსაყრელი) გამომუდგენა, რომლებსაც შეუძლიათ არსებითი გავლენის მოხდენა სანარმოს ფუნქციონირებაზე მათი დადგომის შემთხვევაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ისეთი საკითხების გადაჭრაა, როგორიცაა: როდის, რატომ და როგორ დგება რისკთან დაკავშირებული მოვლენები და როგორ შეუძლია სანარმოს მათზე რეაგირება.

3. რისკების ანალიზი. რისკების ანალიზის თვალსაზრისით აუცილებელია გამოვიკვლიოთ, რომელი რისკებია (ძალიან ალბათური) და რომელი (ნაკლებად ალბათური). აგრეთვე შევაფასოთ სასოფლო-სამეურნეო სანარმოებზე მათი ზემოქმედების შესაძლო შედეგები (“არაარსებითი”, “სერიოზული”, “კატასტროფული”, ა.შ.).

4. რისკების მართვა. ეს ეტაპი მოიცავს მეურნეობრიობის არახელსაყრელი პირობების დადგომის შესაძლებლობების განჭვრეტას და პროგნოზირებას და ასეთი პირობების გამოვლენის ალბათობის შემცირების ღონისძიებების შემუშავებას.

სასოფლო-სამეურნეო რისკებზე ზემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დაზღვევა და სახელმწიფოს მიერ რეგულირება. სადაზღვევო საქმის გაძლიერებისადმი ინტერესი საგრძნობლად მაღალია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამით დაინტერესებული არიან მენარმეები, რომლებიც ეძებენ კომერციული ინტერესების ახალ სფეროებს, რადგან ისინი დაზღვევაში ხედავენ ზარალის ანაზღაურების ეფექტიან მექანიზმს და მტკიცე შემოსავლის გარანტიას. დაზღვევით, მოსახლეობასთან ერთად დაინტერესებულია სახელმწიფო, რადგან სამეურნეო საქმიანობის რისკის ანაზღაურება შესაძლებელი ხდება დამატებითი სახელმწიფო სახსრების გაღების გარეშე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქტიურად ვითარდება დაზღვევის სხვადასხვა სახე. თუმცა, საქართველოში ეს პროცესი დაგვიანდა და ძალზე სუსტია. მოსახლეობის და სანარმოების მწირი რესურსების გამო სადაზღვევო მომსახურების ასორტიმენტი ჯერჯერობით ძალზე დაბალია. იგი 14 სახეობას არ აღემატება, მაშინ, როდესაც აშშ-ში დაახლოებით 3 ათასი დაზღვევის სახეობა მოქმედებს, ევროპაში 400-500, ხოლო რუსეთში 60-ზე მეტი (1). ცივილიზებულ ქვეყნებში არც ერთი პროექტი არ იწყებს მოქმედებას სადაზღვევო პოლისების გარეშე, ხოლო დაზღვევის სექტორის მიერ დაგროვილი პრემიების მოცულობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საფინანსო სისტემაში.

სოფლის მეურნეობაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მოსავლის დაზღვევა. საქართველოში, სამწუხაროთ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაზღვევა პრაქტიკულად არ ხორციელდება. კერძო სტრუქტურები, დარგის მაღალი რისკიანობის გამო, ნაკლებად არიან (თუ საერთოდ არიან) დაინტერესებული ამ სფეროში საქმიანობით. დღეისათვის უშუალოდ მოსავლის დაზღვევას საქართველოში არცერთი სადაზღვევო კომპანია აღარ ახორციელებს. თუმცა არსებობს საჭიროებისათვის ბანკებიდან გაცემული მიკროსესხების დაზღვევის პრაქტიკა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა დღეს არადაზღვევადია, ვინაიდან არ არის გამჭვირვალე აღრიცხვა, ძალზე ცუდია კაპიტალიზაცია, შეუძლებელია რისკის შეფასება თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს სათანადო სტატისტიკური მონაცემები, რისკის დივერსიფიცირება, სამართლიანი პრემიის დანიშვნა, ზარალების ობიექტური შეფასება.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა. მათ უმეტესობაში მოსავლის დაზღვევაში წამყვან როლს სახელმწიფო თამაშობს. სადაზღვევო კომპანიებში სახელმწიფოს მონაწილეობით კონცენტრირდება დიდძალი საფინანსო სახსრები, რაც

საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს მოცული სადაზღვევო სივრცე და უყურადღებოდ არ დარჩეს ყველაზე მეტად სერიოზული სადაზღვევო რისკები. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე განვითარებული ქვეყნების მსგავსად სახელმწიფომ უნდა გამოუყოს ფერმერებს სუბსიდიები. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის დარგში სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე დანახარჯები აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის 4,5%-ს შეადგენს, რაც 1 ჰა სახნავზე საშუალოდ 410 დოლარის სახელმწიფო სუფსიდიების ტოლფასია; მასში არ შედის სხვადასხვა სახეობის არაპირდაპირი დახმარება, რაც ფერმერთა ფინანსური დახმარების არანაკლებ 50%-ს შეადგენს.

ეკონომიკის იაპონურ მოდელში არსებითი სპეციფიკით ხასიათდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობა და ემყარება პარტნიორობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ რეგულირებად სფეროებში ინარმოება სოფლის მეურნეობის პროდუქციის 86%. აქ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მთლიანობაში, სახელმწიფო ხელმძღვანელობს რეგულირების ფართო არსენალის გამოყენებით. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო და ბიზნესი თანაბრად ინანილებენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების შედეგებზე რისკების პასუხისმგებლობას.

სოფლის მეურნეობაში რისკის სახეობების გამოვლინების მრავალფეროვნების და სპეციფიკის, მათი ფართო ხასიათის გათვალისწინებით, რისკების იდენტიფიკაცია და მით უმეტეს – მათზე ადეკვატური რეაგირება, საკმაოდ რთული ამოცანაა. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო რისკების ეფექტიანად მართვის დამოუკიდებელი სპეციალური სამსახური. რისკების ფინანსირება უნდა დაიყოს შიგა და გარე წყაროებად. რისკების ყველა ტიპისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური მცირერიცხოვანი ჯგუფები მართვისათვის, რომლებიც დამოკიდებულნი არ იქნებიან, ვთქვათ, ბანკის ან დაზღვევის სამსახურების კომერციულ ქვედანაყოფებზე.

რისკის მართვისა და კონტროლის სისტემის ყველა ელემენტი რეგულარულად უნდა შემოწმდეს სათანადო აუდიტორული სამსახურების მიერ, რომლებიც დამოკიდებული არ იქნებიან კომერციულ სამსახურებზე. სამეურნეო რისკების მართვის პროგრამა, რომელიც აფინანსებს რისკებს, უნდა იყოს ისე შედგენილი, რომ უზრუნველყოს ერთდროულად რისკების გადაფარვის სტაბილურობა და ასევე მინიმუმაცა პირდაპირი დანაკარგებისა საბანკო და სადაზღვევო რისკებზე და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამერიკის ეკონომიკა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო 2010.
2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო კომპლექსში. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი. 2007.
3. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. თბილისი. „მეცნიერება“, 2003.
4. ქავთარაძე თ. მცირე ბიზნესი: იმედები და რეალობა. გამომცემლობა „ლეგა“, თბილისი, 2006.

TENGIZ KAVTARADZE

*Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakishvili Tbilisi State University
Academic Doctor of Economics, Professor*

ON THE ISSUE OF RISK MANAGEMENT IN THE AGRARIAN SECTOR

Summary

The article analyzes the prerequisites of the origin of social risks in the agrarian sector. It is noted that agrarian producers have directly faced the calamity of the market because of the absence of risk management system in Georgia; or else, many enterprises are being declared bankrupt as a result of ineffective functioning of such systems. It may be considered expedient to create a special independent service for the management of agrarian risks, which will be able to sufficiently provide financial risks with funds and be independent from commercial activities of the ministry, banks or insurance companies.

დავით ქათამაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

აგროტურიზმის მენეჯმენტის თავისებურებანი საქართველოში

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, სანავთობო ბიზნესისა და სამრეწველო ინდუსტრიის შემდეგ ტურიზმი გადაიქცა ამ დარგის განვითარებით დაინტერესებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორად. ამ სფეროში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მხოლოდ იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც შეძლეს ტურიზმის აღმავლობისათვის ხელსაყრელი გარემოპირობების შექმნა და სწორი მენეჯმენტი.

თანამედროვე ეტაპზე რეკრეაციული და ეკოლოგიური მიზნებით მსოფლიოში მოგზაურობა წარმოადგენს ტურისტული ბაზრის განსაკუთრებულად მზარდ სეგმენტს. რეკრეაციული ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა კი არის აგრარული ტურიზმი. აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი ნაირ-სახეობა, ჩამოყალიბდა ევროპის კონტინენტზე, XX საუკუნის II ნახევარში. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვა. ამ ქვეყნებში აგროტურიზმის განვითარების მენეჯმენტს თან ახლავს გარკვეული თავისებურებანი, რომლის გათვალისწინებაც მკვეთრად აამაღლებდა ჩვენი ქვეყნის აგროტურიზმის ეფექტიანობას. აგროტურიზმი მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით პოპულარული და აღმავალი გახდა 1990-იანი წლების შემდეგ. აგროტურიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური ალიანსების ფორმირებას, რამდენადაც აგროტურიზმი საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი განშტოებაა. ადამიანები მოგზაურობენ უცხო ქვეყნებში ძირითადად მათი მწვანე, ხელუხლებელი ფლორისა და ფაუნის დასათვალიერებლად. საერთაშორისო აგროტურისტული მოგზაურობის 3/4 ნაწილი მოდის მეზობელ სახელმწიფოებზე. ადამიანები სამოგზაუროდ ქვეყნებს ირჩევენ გეოგრაფიული სიახლოვის მიხედვით.

უცხოელ ტურისტებს, უპირველეს ყოვლისა, იზიდავს ბუნებრივი გარემო და კულტურის ტრადიციული ფორმები. მათ იზიდავთ ეკოლოგიურად სუფთა რაიონები. ისევე როგორც ტურიზმის ნებისმიერ სახეობას, აგროტურიზმსაც სჭირდება მისი განვითარების ეფექტური და სწორი მენეჯმენტი. აგროტურიზმის მენეჯმენტი წარმოადგენს ისეთ კომპლექსურ სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების პირობებში, სადაც მოთხოვნა თავის მხრივ მოიცავს შიგა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებს, ხოლო მიწოდება კი მოიცავს ტურისტულ ობიექტებს, ტურისტულ ინფრასტრუქტურას, იქ განუვლ მომსახურებას, სატრანსპორტო საშუალებებს, ღირსშესანიშნაობებს, დასვენების ფორმებს, სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობას, რითაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობაც.

ტურისტების მოგზაურობასა და დასვენებას, მათი წინასწარი მენეჯმენტის გარეშე, შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას, ხოლო აგროტურიზმის დაგეგმვისა და გონივრული მართვისას კი შესაძლებელია მან დადებითი ზეგავლენა მოახდინოს გარემოს დაცვისა და კულტურის შენარჩუნების სფეროში. აგროტურისტები ძირითადად დაინტერესებული არიან ინდუსტრიულად განუვითარებელ ქვეყნებში ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით. შესაბამისად ისინი გამოირჩევიან მაღალი თვითშეგნებითა და გარემოს დაცვისადმი მზარდი დაინტერესებით, რათა სულ უფრო მეტი გაიგონ ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების შესახებ. აქედან გამომდინარე, საკურორტო და სანახაობრივი ტურიზმის ტრადიციული ფორმები კვლავ ინარჩუნებენ პოპულარობას, მაგრამ ისინი მოითხოვენ სამოგზაურო გარემოს უფრო მაღალ დონესა და მრავალფეროვნებას.

აგროტურისტული ცენტრები ხშირად აწყდებიან ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს. აგროტურიზმის მენეჯმენტში დაშვებული შეცდომები თავს იჩენენ მაშინ, როცა არ არის გათვალისწინებული ტურისტული ნაკადების დასაშვები ზღვრული ნორმა, როცა გარემო გადატვირთულია ტურისტების მეტი რაოდენობით, ვიდრე მისი გამტარუნარიანობა აქვს მოცემულ რაიონს, ქალაქს, თუ ქვეყანას. აგროტურისტები შესაბამისად არჩევენ კარგად დაგეგმილ და მართვად ტურისტულ ქვეყნებს.

საკუთარი ნავთობით ღარიბ და ინდუსტრიულად განუვითარებელ საქართველოს, მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ტურიზმის სწორი მენეჯმენტის პირობებში, დროის

ხანმოკლე ინტერვალშიც შეუძლია მიაღწიოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას. ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ქსელებში ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხიანი ადგილობრივი აგრარული პროდუქციის წარდგენის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის შემთხვევაში ტურიზმი შეიძლება გადაიქცეს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ძირითად, საყრდენ "ხერხემლად", მათი მასშტაბებისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელად.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, პერსპექტიულია კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, ეკო- და აგროტურიზმის განვითარება. შესაბამისად, საქართველოს შეუძლია უცხოელ ტურისტებს შესთავაზოს ისეთი ტურისტული პროდუქტები, როგორცაა: ეკოტური, ფოტოტური, რეკრეაციული ტური, ექსტრემალური ტური, სალაშქრო ტური, მთის ველოტური, კულტურული ტური, აგროტური და ა. შ. ამის მტკიცების საშუალებას იძლევა ჩვენს ქვეყანაში არსებული 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური, სამკურნალო წყალი, 12000 ისტორიული და არქიტექტურული (მათგან იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილი ოთხი) ძეგლი.¹

საქართველოს გააჩნია აგროტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი, რომლის რაციონალური და ეფექტური გამოყენების შემთხვევაში, მას შეუძლია მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიოს ტურიზმის განვითარების მხრივ დიდი გამოცდილების მქონე ისეთ ქვეყნებს, როგორცაა თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და შავი ზღვის რეგიონში შემავალი სხვა სახელმწიფოები, მაგრამ ჩვენი ქვეყნის აგროტურიზმის განვითარების სფეროში უაღრესად ბევრი პრობლემა გადასაჭრელი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ტურიზმის ამ სახეობის განვითარება. ამის მისაღწევად საჭიროა აგროტურისტული ბაზრის მიზანმიმართული კვლევა და სწორი მენეჯმენტი, ტუროპერატორებისათვის სწორი რეკომენდაციების შეთავაზება. დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, საქართველოშიც ტურისტული ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია რეკრეაციული და ეკოტურიზმი. შესაბამისად, ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ საცხოვრებელ სახლებს. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი გაიგონ ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი კულტურისა და ცხოვრების წესის შესახებ.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციების მოთხოვნებთან მეთოდოლოგიურად შეუსაბამო სტატისტიკური მაჩვენებლები და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საზოგადოდ მიღებული მარკეტინგული კვლევის მოძველებული პრაქტიკა არ იძლევა ამ სფეროში აღრიცხვანობის მონესრიგების საშუალებას. ტურისტული ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის მიზნით, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში კვლევა ოთხჯერ ჩაატარა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ტენდენცია. მეზობელი ქვეყნების მოქალაქეთა გარდა, საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა შორის ჭარბობდნენ გერმანელი, ამერიკელი, ბრიტანელი და ფრანგი მოგზაურები. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების 30%-ის ვიზიტი საქმიან და პროფესიულ მიზანს უკავშირდება. უცხოელი ტურისტების 25% მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ჩამოდის, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით კი ჩამოდის უცხოელი ტურისტების საერთო რაოდენობის 23 %. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ტურისტული ორგანიზებისათვის ტუროპერატორების მომსახურებას იყენებს ტურისტების მხოლოდ 6,5%.

ტურისტული მომსახურების სფეროში მეცნიერ-ეკონომისტების მიერ 2005-2010 წლებში ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, საქართველოში მოქმედი ტუროპერატორები აწარმოებენ 14 სხვადასხვა ხასიათის ტურს. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ტურისტული ბაზარი 14 სამოგზაურო ნიშად არის დაყოფილი. თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს, დროის ამ ინტერვალში მოთხოვნა ძირითადად კულტურულ ტურზე მოდიოდა. 2010 წლიდან ვითარება რამდენადმე შეიცვალა. ტურისტების ძირითადი ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთისა და სამთო-სათხილამურო კურორტებზე ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით 2009 წელს ლიდერობდა აზერბაიჯანი. მეორე ადგილი ეჭირა თურქეთს. ისინი ბათუმში ძირითადად კაზინოს სათამაშოდ ჩამოდიან. აჭარის ზღვისპირეთში ჩამომსვლელთა რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილზე არის სომხეთი. ამ ქვეყნიდან დასასვენებლად უმთავრესად ოჯახები ჩამოდიან. უკრაინელ და ბალტიისპირელ ტურისტებს კი სამთო-სათხილამურო კურორტები იზიდავთ. დასავლეთევროპელი ტურისტი ორიენტირებულია კულტურულ და სათავგადასავლო ტურებზე.

მიუხედავად 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომისა, 2009 წელს ჩვენს ქვეყანაში დასასვენებლად 1,5 მლნ ტურისტი ჩამოვიდა, რაც 16%-ით მეტია 2008 წლის ანალოგიურ

¹ „საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“, ქართული ენციკლოპედია.

მაჩვენებელთან შედარებით. საზღვაო კურორტებზე იმყოფებოდა თბილისში მცხოვრებთა 25%, ხოლო ზამთრის კურორტებზე კი – 20%. თბილისელთა 34% დასასვენებლად სოფლად, თავის აგარაკზე მიემგზავრება, ხოლო მათი 22% კულტურული ტურით არის დაინტერესებული. თბილისელთა უმრავლესობა სამთო კურორტებს შორის უპირატესობას ანიჭებს სვანეთს, მეორე ადგილზე მოდის რაჭა, მესამეზე – ხევსურეთი, შემდეგ მოდის – ყაზბეგი, და, ბოლოს, მეხუთე ადგილზეა თუშეთი. თბილისელთა 10 %-ს აინტერესებს სამკურნალო ტური, 8%-ს – რელიგიური, შემდეგ ადგილზეა სათავგადასავლო და სპორტული ტური, ბოლო ადგილზე კი – ეკოტური.¹

ზამთრის ტურიზმში ტურისტებისათვის დასათვალისწინებლად მიმზიდველ ქალაქებში შედის ბაკურიანი, გუდაური, მცხეთა, სიღნაღი, ბათუმი და ა. შ. ბათუმთან დაკავშირებით კვლევამ აჩვენა, რომ ეს ქალაქი ტურისტებისათვის ზამთარშიც მიმზიდველია, მათ დიდ ნაწილს კვლავ თურქი დამსვენებლები წარმოადგენენ. საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა აბსოლუტური უმრავლესობა სტუმრობს თბილისს. კვლევის თანახმად, უცხოელი ტურისტები ერთპიროვნულად აღიარებენ ჩვენი ქვეყნის უნიკალურ უპირატესობებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ადამიანური ურთიერთობები, სტუმართმოყვარეობა, კლიმატური პირობები და ქართული სამზარეულო. საქართველოში ჩამოსულ ევროპელ ტურისტებს უმთავრესად აინტერესებთ რთველი, ყურძნის დანურვა და ჩურჩხელების ამოვლების პროცესი. შესაბამისად, განუხრელად იზრდება ღვინის ტურზე არსებული მოთხოვნა.

აღნიშნული ტენდენციებიდან გამომდინარე, საქართველოსათვის დამახასიათებელი ტრადიციული ტურების გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს აგროტურიზმის მენეჯმენტის სრულყოფასაც. ჩვენს ქვეყანაში აგროტურიზმის მენეჯმენტის ერთ-ერთ უმთავრეს სპეციფიკას წარმოადგენს ის გარემოება, რომ აქ დასვენება ჯდება შედარებით იაფი, აგრეთვე მისი განვითარება შესაძლებელია უკვე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის საფუძველზე. ყოველივე არსებულს ჩვენს ქვეყანაში ემატება პეიზაჟების სილამაზე, კულტურულ-ისტორიული, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი, ღვინის უნიკალური სახეები, ხარისხიანი და მრავალფეროვანი სამზარეულო. აგროტურიზმის მენეჯმენტის სპეციფიკას საქართველოში წარმოადგენს კიდევ ის გარემოებაც, რომ მისი ფუნქციონირება გრძელდება მთელი წლის განმავლობაში, რაც იძლევა სოფლების თვითმყოფადობის შენარჩუნების შესაძლებლობას. ამით ტურისტებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში, მონაწილეობა მიიღონ ყურძნის კრეფასა და მის დანურვაში, სამჭედლო და საფეიქრო საქმიანობაში.

საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ტურისტული ქვეყანაა. იგი ცნობილია როგორც ზღვის, ისე მთის კურორტებით. იგი ითვლება ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ პერსპექტიულ რეკრეაციულ ზონად. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 52% ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობს, ადვილი წარმოსადგენია, რომ აგროტურიზმს აქვს შანსი აქტიურად მოიკიდოს ფეხი ჩვენს ქვეყანაში. აქ ტრადიციული სოფლებისათვის აგროტურიზმის განვითარება სულაც არ მოითხოვს დიდი დანახარჯების განწევას. ტურიზმის ეს სახეობა საქართველოსათვის შედარებით იაფი დაჯდება, რომელიც ეფექტური და ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისათვის. ტურისტები სოფლად ჩამოვლენ უკრაინიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, თურქეთიდან და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ქალაქებიდანაც.

აგროტურიზმის განვითარების სწორი მენეჯმენტის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება მიიღოს შემდეგი ეკონომიკური სარგებელი: 1. სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში ჩამოყალიბდება მაღალ დონეზე განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; 2. მნიშვნელოვნად გაბათილდება ტურისტული სეზონურობა; 3. ტურისტების სოფლად მოზიდვა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებში დამატებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; 4. ამაღლდება სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე და მსყიდველუნარიანობა; 5. გაიზრდება ბუნებრივი გარემოს დაცვისადმი სახელმწიფო ძალისხმევა; შეიქმნება ახალი დივერსიფიცირებული ტურისტული სეგმენტი და ა. შ. ამრიგად, აგროტურიზმი უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყნის ადგილობრივ დონეზე, სოფლად, მაგრამ იგი არ უნდა განიხილებოდეს რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო კავშირებისაგან იზოლირებულად. აგროტურიზმის ინდუსტრიის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანების იდენტიფიკაციის მიუხედავად, ტურიზმის ამ ქვედარგის განვითარების სწორი მენეჯმენტი მოითხოვს როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე ერთიანი პროგრამისა და გეგმების დამუშავებას, ერთიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას. საქართველოში აგროტურიზმის მენეჯმენტის სპეციფიკური თავისებურებანი შემდეგ სამ კომპონენტში აისახება, ესენია: 1. ეკოლოგიური

¹ გელაშვილი მ. აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011 წ. გვ. 411-416.

მდგრადობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბაზო ეკოლოგიური პროცესებისა და ბიოლოგიური რესურსების ერთობლივი განვითარება; 2. სოციალური და კულტურული მდგრადობა, რომლის დროსაც ადამიანთა თანაცხოვრება, მათი ერთობლივი კულტურა და ღირებულებები ყოველმხრივ დაცულია. ამით კულტურული თვითმყოფადობა კიდევ უფრო ღრმავდება; 3. ეკონომიკური მდგრადობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ დარგის ეფექტიანობა, როცა რესურსების გამოყენების არჩეული მეთოდი იძლევა მათი მომავალი თაობისთვის შენარჩუნების გარანტიას; აგროტურიზმის მენეჯმენტის სრულყოფა იძლევა დამატებით სამუშაო ადგილებს, ზრდის საოჯახო შემოსავლებს, უცხოურ სავალუტო ამონაგებს, ახდენს კაპიტალდაბანდების სტიმულირებას, ქმნის მცირე და საშუალო სანარმოთა განვითარების საშუალებას.

ტურისტების სოფლად განთავსების საშუალებათა ნუსხაში შეტანილი სახლის შერჩევის პირობებია ადგილის უსაფრთხოება, ლამაზი ბუნება და ლანდშაფტი: ტყის, მდინარის, ტბის ან სამკურნალო წყლის არსებობა. სასურველია გლეხის კარ-მიდამოს გააჩნდეს ეროვნული სახე და ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: ცალკე საძინებელი, საშხაპე, ტუალეტი და მასპინძლის ოჯახში კვების საშუალება. უცხოელი ტურისტები დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლებში ისტორიული ძეგლებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების არსებობას, საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს რესტორანთან, ტყე-პარკთან, მუზეუმთან და სხვა ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან. იმავდროულად, აგროტურისტული პროდუქტი, პირველ რიგში უნდა იყოს იაფი, რადგანაც აგროტურისტების მოტივაცია არის იაფად და ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის აგროტურიზმის მენეჯმენტში სამწუხაროდ ბევრი პრობლემა დაგროვილი. კერძოდ, ტურიზმის მენეჯმენტის სფეროში არსებულ პრობლემებს შორის უმთავრეს ადგილს იჭერს მომსახურების დაბალი დონე და კომუნიკაციის ხარვეზები. ქართული ტურისტული ფირმების უმრავლესობა სამწუხაროდ უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის. მათ არ გააჩნიათ სურვილი ერთი რომელიმე კონკრეტული სეგმენტის ვიწრო სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ, რაც ხელს უშლის ქართველ ტუროპერატორთა პროფესიონალიზმის ამაღლებას. შესაბამისად, აგროტურისტული პროდუქტი საგარეო ბაზარზე მოუზმადებელი გამოდის. ჩვენი ქვეყნის აგროტურისტულმა ოპერატორებმა არასრულყოფილად იციან უცხოელი ტურისტების მოთხოვნები, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი არ შეიცავს მოსალოდნელ მომსახურებას. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში, რადგანაც დამწყები ბიზნესმენები გატაცებულნი არიან მაღალპროცენტუანი მოგების მიღებით. გამოცდილების უქონლობის გამო, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აგროტურისტების დასვენებისა და გართობის სპეციალური პროგრამის შემუშავება.

სოფლად დასვენებისათვის ძირითადად 3-4 წევრისაგან შემდგარი ტურისტული ოჯახები ჩამოდიან. მათი დასვენების ორგანიზებისათვის გასათვალისწინებელია ტურისტული ოჯახის თითოეული წევრისათვის სხვადასხვა სახის აგროტურისტული პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება: მამაკაცისათვის ამ ტიპის შეთავაზება შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, ცხენით ჯირითი, ქართველ გლეხებთან ერთად თიბვა და ა. შ. უცხოელი ქალებისათვის შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ქსოვა, ქარგვა, კერძების მომზადება და ა. შ. ბავშვებიანი ტურისტული ოჯახების ჩამოსვლის შემთხვევაში სასურველია მასპინძელ ოჯახშიც იყოს დაახლოებით იმავე ასაკის ბავშვი. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკომუნიკაციოდ აუცილებელი უცხო ენის ცოდნას.

აგროტურიზმის განვითარებისათვის საჭირო საინფორმაციო-სარეკლამო მასალების მომზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთელი გლეხის კარ-მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოებით, მიმღები რაიონის შესახებ ვრცელი ინფორმაციით, განსაკუთრებით ადათ-წესებისა და კულტურული ტრადიციების შესახებ. აგროტურისტული პროდუქციის გასაღების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა პროფესიონალებით დაკომპლექტებული, ვიწროდ სპეციალიზებული ბაზრები, სადაც მომხმარებელს შეეძლება მისთვის სასურველი, სათანადო არჩევანის გაკეთება.

ამრიგად, საქართველოს, როგორც ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელ ქვეყანას, ბევრი სიკეთის შეთავაზება შეუძლია მნახველისათვის. თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები, ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები, მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქებში ფასადურად შეღებილი შენობა-ნაგებობანი, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და შორს განთქმული ქართული სამზარეულო ჩვენს ქვეყანას აქცევს ტურისტულ ოაზისად. შესაბამისად, აგროტურიზმის მენეჯმენტის სრულყოფისა და ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა შემუშავდეს აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომლის მიზანიც უნდა იყოს სოფლად საცხოვრებელი სახლების რესტავრაცია და ნაციონალურ სტილში გაფორმება, თანამედროვე კომფორტისა და სიმყუდროვის შენარჩუნებით, რაშიც უნდა დასაქმდნენ შესაბამისი არქიტექტორები და რესტავრატორები, რათა სოფლებს დაუბრუნდეთ ძველი იერსახე;

2. აგროტურიზმის განვითარებისათვის შესაფერისი სოფლებისა და ამ სოფლებში კონკრეტული მასპინძლების შერჩევისათვის საჭიროა ტურისტულ კომპანიებს გააჩნდეთ ის აუცილებელი პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კონკრეტული სახლი უნდა შევიდეს ტურისტების განსათავსებელ საშუალებათა ნუსხაში;

3. სოფლის მოსახლეობისა და სოფლად უძრავი ქონების შემძენი მესაკუთრეებისათვის უნდა გაიცეს მრავალმილიონიანი ლარის ოდენობით ინვესტიცია, რათა მათ დაინყონ მზადება აგროტურისტების მისაღებად. სოფლის სახლები უნდა შევიდეს საქართველოს ლიცენზირებული ტურისტული ობიექტების ნუსხაში. აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. აგროტურისტების მისაღებად უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სტრუქტურების მომზადება;

4. საჭიროა ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდეს აგროტურისტული ოპერატორების ასოციაცია, რომელმაც უნდა აწარმოოს ერთიანი მარკეტინგული პოლიტიკა, სარეკლამო კამპანია, დაჯავშნის ცენტრალიზებული სისტემა. მან უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო მასალის დამუშავება და მისი განთავსება ერთიან საინფორმაციო ქსელში. ამ კომპანიის მომსახურებით ძირითადად ისარგებლებენ უცხოელი ტურისტები;

5. საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ჩვენი ქვეყნის აგროტურისტული პროდუქტი ჯერ უნდა გაიტანონ ტურისტულმა კომპანიებმა, რადგანაც სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამირების დაფინანსების, ან ინტერნეტით პროდუქციის გაყიდვის საშუალება.

DAVID KATAMADZE

Shota Rustaveli State University

Associate Professor

PECULIARITIES OF AGRO-TOURISM MANAGEMENT IN GEORGIA

S u m m a r y

Currently, tourism in Georgia is at the initial stage of development and against the background of the ongoing reforms this process is apparently very slow. Georgia, with its natural resources, can compete with many countries, where the history of tourism development is quite long. It is well known that Georgia has a huge tourism potential, this ancient country is very new and undiscovered for the tourists yet.

The research and analysis of Georgian tourist market is the necessary condition for understanding the market trends and development of proper recommendations for tour operators. Unfortunately, poor statistical data and practice of marketing researches generally adopted by the state structure in Georgia is underdeveloped yet. With respect of tourism development perspectives and in general analysis of the industry in the country, such issues as tourism potential of the country, types of tours and the demand on such tours should be emphasized.

Regarding the mentioned trends, in addition to the traditional tours characteristic for Georgia, attention should be paid to rural tourism, which is the emerging sector now. This article is an attempt to discuss the above-mentioned issues, overview achievements in the world rural tourism sphere and prospects of its development in Georgia.

**აბარული საქტორის მენეჯმენტის როლი საქართველოს
სოფლის მეურნეობის განვითარებაში**

საბაზრო ურთიერთობათა განვითარება და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მენეჯმენტის პრინციპებსა და ორგანიზაციათა საქმიანობაზე. ამასთან, საბაზრო ურთიერთობების სპეციფიკურ ფაქტორთა გათვალისწინება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ უკანასკნელს ბაზრის მოთხოვნილებები განსაზღვრავს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩვენი ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგის – სოფლის მეურნეობის მენეჯმენტის ისეთი ფუნქციების მოდიფიკაცია, როგორცაა მიზნის განსაზღვრა, პროგნოზირება, ორგანიზაცია, მოტივაცია და კოორდინირება.


საქართველოს დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა აქვს. ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნება და მოთხოვნების ცვალებადობა კორექტირებას ახდენდნენ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და განვითარების მიმართულებებზე. გასული საუკუნის დასაწყისისთვის მინათმოქმედების დარგებიდან საქართველოში განვითარებული იყო მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან მთისა და ბარის მესაქონლეობა, ლოკალურად – მეფრინველეობა. დროთა განმავლობაში სხვა ქვეყნებთან კავშირურთიერთობის განვითარების შედეგად იცვლებოდა სოფლის მეურნეობის სტრუქტურა. „სოფლის მეურნეობის განვითარებამ ორი სტრატეგიული მიმართულება მიიღო. ჯერ ერთი, გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ეს დარგებია მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა. მეორე მხრივ – ცალკე დაჯგუფდა ე. წ. „სასურსათო მნიშვნელობის“ დარგები: მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, რომელთაც შეთანხმობილია ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება“.¹

2009 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო მიწების 0,68 ჰა და სახნავ-სათესი მიწების 0,17 ჰა. სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე კი – სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის 1,44 ჰა და სახნავ-სათესი მიწის – 0,38 ჰა. ეს მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში 3-4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე რუსეთში და 5-6-ჯერ ნაკლები, ვიდრე უკრაინასა და ბელორუსიაში. რადგან საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, უფრო მეტი ეფექტიანობითაა საჭირო სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მართვა.

ნახაზი 1 გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დინამიკას 1996-2009 წლებში. აქედან ჩანს, რომ 2003 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობა სტაგნაციამ მოიცვა. ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინო ხდება ნახაზი 2-დან.


საქართველოში სოფლად მოსახლეობის 47 პროცენტი ცხოვრობს. სოფლის მეურნეობაში კი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5 ნაწილია დასაქმებული. ამასთან, ძალიან დაბალია შრომის ფონდშეიარაღების, შრომის მწარმოებლურობის და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. 1996-2009 წლებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 33,2 %-დან 8,3 %-მდე შემცირდა, რასაც გვიჩვენებს ნახაზი 3.

¹ ო. ქეშელაშვილი, ბიზნესური ეკონომიკა, თბილისი, 2010, გვ.99-100.




ნახაზი 1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა საქართველოში 1996-2009 წლებში


საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სოფლად ფერმერული მეურნეობების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესების შეფერხებამ, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის არაეფექტიანმა გამოყენებამ ხელი შეუშალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას და გააუარესა როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე სოფლის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის ამოცანა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.



ნახაზი 2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა 2003-2009 წლებში



ნახაზი 3. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიგა პროდუქტში



ნახაზი 4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის ტენდენციები 1997-2009 წლებში

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57%. თუმცა, ბოლო პერიოდში (1999-2009წწ.) უმუშევართა საერთო რაოდენობაში სოფლად მცხოვრებთა წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა (19,8%-26,4%)¹. იხილეთ ცხრილი 1.

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009, სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2010, 92 გვ.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულთა და უმუშევართა წილი
საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1999-2009წწ., %-ად

მაჩვენებელი	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
სამუშაო ძალა	53.9	55.6	56.9	57.1	58.7	58.1	58.5	58.8	57.3	56.8	57.0
დასაქმებული	58.9	59.6	62.3	62.8	63.7	63.7	64.5	64.8	62.5	63.2	63.2
დაქირავებული	30.7	30.0	32.5	29.8	28.5	29.7	29.4	29.4	26.6	28.6	30.6
თვითდასაქმებული	78.9	78.5	79.9	81.1	81.9	81.0	83.0	83.6	83.4	82.5	81.5
უმუშევარი	19.8	20.9	14.0	17.5	20.8	19.5	21.0	21.0	23.1	24.4	26.4

შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში ძალიან დაბალია, იგი 7-ჯერ ჩამორჩება ორი ათეული წლის წინანდელ დონეს და ეს ჩამორჩენა წლიდან წლამდე იზრდება. აღნიშნული დარგის ჩამორჩენაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სოფლად მცხოვრებთა ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილად მოდის 21%, ხოლო ამ შინამეურნეობებიდან მიღებული შემოსავლების მხოლოდ 28% იღებს საქონლურ სახეს. დანარჩენი 72% ნატურალური შემოსავლებია. ე.ი. ჩვენ საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნატურალიზაციასთან. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხორცის წარმოება 3,3-ჯერ, კვერცხის 2-ჯერ, მატყლის 3,6-ჯერ, ხოლო რძის წარმოება 1,3-ჯერ შემცირდა. 2009 წელს 1981 წელთან შედარებით საქართველოში პირუტყვისა და ფრინველის სულადობა მკვეთრად შემცირდა, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის -1,53-ჯერ, ღორის -69,91-ჯერ, ცხვრისა და თხის -3,01-ჯერ და ფრინველის -2,33-ჯერ. პირუტყვისა და ფრინველის უმრავლესობას დღეს ფლობენ ოჯახური მეურნეობები.

1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში მარცვლეულ კულტურებს ეკავათ 270 ათასი ჰა და მოსავალი 600 ათას ტონას აღემატებოდა. 2009 წელს – შესაბამისად 216,8 ათასი ჰა და მოსავალი – 364,8 ათასი ტონა. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების 2008/2009 წლების მოსავლიანობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1978/1979 წლების სეზონების მოსავლიანობას.

აშშ-ში ხორბლის მოსავლიანობა საშუალოდ 29,0 ც/ჰა, სიმინდის კი 151,1 ც/ჰა-ს შეადგენს.¹ საქართველოში აღნიშნული კულტურების მოსავლიანობამ 2008/2009 წლებში შესაბამისად 16,8ც/ჰა და 22,9 ც/ჰა შეადგინა. ასეთი დაბალი მოსავლიანობა სრულიად არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მემცენარეობის პროდუქცია ძირითადად ოჯახურ მეურნეობებში ინარმოება, რომლებსაც არა აქვთ ინტენსიური აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების არც გამოცდილება და არც ფინანსური შესაძლებლობები. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ინვესტირება სასოფლო-სამეურნეო კომპანიებში მომგებიანია მხოლოდ მაშინ, თუ საკუთრებაში მყოფი ნაკვეთის ფართი 20 ჰა-ს აღემატება.²

სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობას საქართველოში ფუნდამენტური მიზეზები აქვს. ქართველი გლეხი თავისი ბუნებით მესაკუთრეა. ამიტომ იგი კოლექტივიზაციას 70 წლის განმავლობაში ვერ შეეგუა, თუმცა დაემორჩილა მას. შედეგად, 90-იანი წლებისთვის საქართველოში პარადოქსული სიტუაცია ჩამოყალიბდა: სავარგული მიწების 98.3% სახელმწიფო საკუთრებაში იყო, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 67%-ს შინამეურნეობები ქმნიდნენ. ამავდროულად, ეს შინამეურნეობები სარგებლობდნენ „შავი ბაზრის პრინციპებით“ კოლმეურნეობებისთვის გამოყოფილი მომსახურებით – სასუქებითა და ტექნიკით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საკოლმეურნეო მიწები ჯერ იჯარის, შემდეგ საკუთრების უფლებით – გლეხებს გადაეცათ, მაგრამ ეს პროცესი არ იყო კოლმეურნეობების მატერიალური ქონების პრივატიზებით გაძლიერებული. ამ გარემოებით ისარგებლეს ყოფილი კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა და მთელი ტექნიკა, მან-

¹ Agriculture statistics 2008. United States Department of Agriculture, National Agriculture Statistics Service. United States Government Printing Office, Washington, 2008, 529 p.

² The World Bank Report No 20275GE “Project Appraisal Document on a Proposed Credit in the Amount of SDR 5.5 Million (US\$ 7.6 Million Equivalent) and The Global Environment Facility Trust Fund Grant in the Amount of SDR 1.8 Million (US\$ 2.5 Million Equivalent) to Georgia for an Agricultural research, Extension and Training Project. Environmentally and Socially Sustainable Development Sector Unit. Europe and Central Asia region. April, 2000, 81 p.

ქანები, ტრაქტორები, კომბაინები თურქეთში ჯართის სახით გაიყიდა. ამის შედეგად, ქართული სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობით მე-19 საუკუნის შუა წლების დონეზე აღმოჩნდა.

ცხრილი 2 შეიცავს ოფიციალურ მონაცემებს მოსახლეობის ერთ სულზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესახებ. ცხრილიდან ცხადია, რომ რძის გარდა, საქართველოში მოთხოვნილება ვერც ერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ვერ კმაყოფილდება ეროვნული წარმოებით. ბოლო ათწლეულში გაჩნდა რამდენიმე კომპანია, რომელიც კვების პროდუქტებს აწარმოებს. მაგალითად, „სანტი“, „ეკოფუდი“, „სოფლის ნობათი“ და ა.შ. რძის პროდუქტების წარმოებითაა დაკავებული; „ნიკორა“ და „შინპოფერი“ – ძხვეულისა და ხორცის პროდუქტების წარმოებით; „სარკო“ და „ჩემი ბებო“ მურაბების, ჯემების და სხვადასხვა საწებლის დამზადებით. დღეს საქართველოს კვების მრეწველობა მოსახლეობის მოთხოვნის მხოლოდ 16.45%-ს აკმაყოფილებს. დანარჩენი მოთხოვნა იფარება იმპორტირებული პროდუქციისა და შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული პროდუქციით.¹

ცხრილი 2

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საქართველოში მოსახლეობის 1 სულზე 2009 წელს

პროდუქტი	განზომილება	წარმოება მოსახლეობის 1 სულზე	
		წელი	თვე
ხორბალი	კგ	12	1.0
სიმინდი	კგ	66	5.5
კარტოფილი	კგ	49	4.1
ბოსტნეული	კგ	37	3.1
ხილი	კგ	41	3.4
ყურძენი	კგ	34	2.8
ხორცი	კგ	12	1.0
რძე	ლ	124	10.3
კვერცხი	ცალი	97	8.1

საქართველოს აგრარული სექტორის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელია სახელმწიფო დონეზე მენეჯმენტის სრულყოფა, კერძოდ: აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული პროგრამის შექმნა, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმებით მომსახურების სერვისცენტრების შექმნა, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერება, წვრილი ფერმერული მეურნეობების ბაზაზე ნებაყოფლობითი ევროპული ტიპის კოოპერატივების შექმნა, სადაზღვევო სისტემის განვითარება, ფერმერებისათვის სხვადასხვა ფორმის კრედიტების მიღების ხელმისაწვდომი პირობების შექმნა, ფერმერთა სწავლების, კონსულტაციების და სამეცნიერო-საინფორმაციო სისტემის დანერგვა. უნდა შეიქმნას აგრარული სექტორის მართვის ისეთი სისტემა, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილ იქნება მართვის ყველა დონეზე საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობა.

GIULI KESHELASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Visiting Professor

THE ROLE OF AGRARIAN SECTOR MANAGEMENT IN THE DEVELOPMENT OF AGRICULTURE OF GEORGIA

Summary

The work considers the role of agrarian sector management for the development of agriculture in Georgia. In particular, such factors as: existence of a strategic program of agrarian sector development and management, establishment of service centers for infrastructure development and service improvement, increase of the regulating role of the state, creation of the European-type farmer cooperatives, development of insurance system, ensuring availability of various forms of credits, introduction of farmers' training, consultation and scientific-information system.

¹ ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, 2011, 243-244გვ.

აგროეკოსისტემების ფუნქციონირების მექანიზმი

ბიოლოგიური რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით კაცობრიობამ შექმნა სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემები ანუ აგროეკოსისტემები, რომლებიც მაღალი მოსავლის მიღებისთვისაა განკუთვნილი. სპეციალურ ლიტერატურაში აგროეკოსისტემის ნაცვლად ხშირად გამოიყენება ტერმინი აგროცენოზი (ბერძნულიდან ἄγρος, — მინდორი, ყანა; κοινός – საერთო). აგროეკოსისტემები – აგროცენოზები, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და ადამიანის მიერ ბიოგეოცენოზის (მინდორი, საძოვარი, ბოსტანი, ბაღი, დაცული ტყის ნარგავები და ა.შ.) რეგულარული შენარჩუნებისათვისა¹ შექმნილი, ადამიანის მხარდაჭერის გარეშე ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნებით სწრაფად დაიშლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „აგროეკოსისტემა“ ხშირად გამოიყენება, დღესდღეისობით მისი საზოგადოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. ავტორები მას სხვადასხვანაირად განმარტავენ, რომელთა ანალიზის შედეგად მისი ჩვენიული განმარტება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: აგროეკოსისტემა – ეს სივრცობრივად შემოსაზღვრული, ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი, არასტაბილური, ბიოტექნიკური და ნაწილობრივ ცვალებადი აბიოტიკური კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობაა, რომლის თავისებურებას წინასწარ განსაზღვრული, მემცენარეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობის მიღებისათვის მყარი ფუნქციონირება წარმოადგენს. **ერთ-ერთი განმარტების თანახმად აგროეკოსისტემა – ავტოტროფული ეკოსისტემა², რომლისთვისაც ენერჯის ძირითად წყაროს მზე წარმოადგენს.** ეკოსისტემაში გამოყოფილ ორგანიზმთა სამი ფუნქციონალური ჯგუფიდან – პროდუცენტები, კონსუმენტები და რედუცენტები, თითოეული წარმოდგენილია არა ერთი, არამედ რამდენიმე სახეობით, რაც ეკოსისტემის ხანგრძლივ, სტაბილურ არსებობას განაპირობებს.

პროდუცენტები (წარმომქმნელები) – ავტოტროფული ორგანიზმებია (კულტურული და სარეველა მცენარეები), რომლებიც არაორგანული ნივთიერებისაგან ორგანულს ქმნიან.

კონსუმენტები (მომხმარებლები) – ჰეტეროტროფული ორგანიზმები (ადამიანი, მანვე მწერები, ფრინველები, სიმბიოტიკური ორგანიზმები, ცხოველები – მინდვრის კულტურების მღრღნელები, სასოფლო-სამეურნეო ცხოველები), რომლებიც ავტოტროფულთა ხარჯზე იკვებებიან. ბალახის მჭამელი ცხოველები იკვებებიან მცენარეული საკვებით, ხორცის მჭამელები – ცხოველურით. საჭმლის მონელებითი პროცესის შედეგად, რომელიც კონსუმენტების ორგანიზმში მიმდინარეობს, წარმოებს პირველადი მონელება და ორგანულ ნივთიერებათა დაშლა, რაც რედუცენტების შემდგომ საქმიანობას აადვილებს.

ძირითადად განასხვავებენ პირველი და მეორე რიგის **კონსუმენტებს**. პირველს მიეკუთვნება ბალახის მჭამელი ცხოველები, პარაზიტული ბაქტერიები, სოკოები და სხვ. ასევე უქლოროფილო მცენარეები, რომლებიც ცოცხალი მცენარეების ხარჯზე (ცხოველები ჰეტეროტროფული ორგანიზმები) ვითარდებიან, ხოლო მეორეს – მტაცებლები და ბალახის მჭამელი ორგანიზმების პარაზიტები. გარდა ამისა, არიან მესამე და მეოთხე რიგის კონსუმენტებიც – ზეპარაზიტები, სუპერ-პარაზიტები და მათი მსგავსნი, მაგრამ კვების ჯაჭვში 5 რგოლზე მეტი არ არის. ყოველ მომდევნო ტროფიკულ დონეზე ბიომასის რაოდენობა მკვეთრად კლებულობს.

რედუცენტები – (ლათ. Reducentis – აღმდგენი) ორგანიზმები (საპროფიტები), რომლებიც შლიან მკვდარ ორგანულ ნივთიერებებს და გარდაქმნიან მას არაორგანულ ნივთიერებად, რომელთაც უნარი აქვთ აითვისონ სხვა ორგანიზმები – პროდუცენტები. რედუცენტებს მიეკუთვნება ბაქტერიები და სოკოები.

აგროცენოზი, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი ეკოსისტემა, მოიცავს განსაზღვრული შემადგენლობის ორგანიზმებს (კულტურულ მცენარეებს, სარეველებს, მწერებს, წვიმის ჭიებს, მღრღნელებს და სხვ.) და განსაზღვრულ ურთიერთკავშირს ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემო პირობებს შორის. ეს ურთიერთკავშირი უფრო მკვეთრად ჩანს ორგანიზმებს შორის ტროფიკული კავშირების დონეზე. აგროცენოზში (მაგ. ჭვავის ყანაში) იგივე სახის კვებითი ჯაჭვია

¹ <http://www.ecosystema.ru/07referats/slovar/>, *Экологический словарь, 2001*

² ავტოტროფები – ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც ახდენენ არაორგანულიდან ორგანული ნაერთების სინთეზირებას

დამყარებული, როგორც ბუნებრივ ეკოსისტემებშია: პროდუცენტებში (ჭვავი და სარეველა), კონსუმენტებში ჯაჭვის აუცილებელ რგოლს ადამიანი წარმოადგენს, რომელიც თავისი შრომით ქმნის თითოეულ აგროცენოზს და უზრუნველყოფს მის მაღალ პროდუქტიულობას, შემდეგ კი იღებს და გამოიყენებს მოსავალს. აგროცენოზები ხმელეთის დაახლოებით 10%-ს შეადგენენ (1,2 მლრდ. ჰექტარამდე) და კაცობრიობას ამარაგებენ საკვები ენერჯის 90%-მდე. მათი უდავო უპირატესობა ბუნებრივ ეკოსისტემებთან შედარებით პროდუქტიულობის განუსაზღვრელად გადიდების პოტენციაში მდგომარეობს. მაგრამ მათი რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ ნიადაგის მუდმივი, მეცნიერულად დამუშავებისას, მცენარეების ტენიანობითა და მინერალური ელემენტებით კვების უზრუნველყოფის, მცენარეების არასასურველი აბიოტიკური და ბიოტიკური ფაქტორების ზეგავლენისაგან დაცვით. ამასთან, ყველა ბიოგეოცენოზის (ეკოსისტემის) ერთობლიობა ქმნის გიგანტურ გლობალურ ეკოსისტემას, რომელსაც ბიოსფერო ეწოდება.

ბუნებრივ და ხელოვნურ ბიოცენოზებს შორის მსგავსებასთან ერთად დიდი განსხვავებაც არსებობს, რომლის გათვალისწინება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანია. **პირველი** განსხვავება შერჩევის სხვადასხვა მიმართულებებშია. ბუნებრივ ეკოსისტემებში არსებობს ბუნებრივი შერჩევა, რომელიც უარყოფს ორგანიზმების არაკონკურენტულ სახეობებსა და ფორმებს და მათ გაერთიანებას ეკოსისტემაში, ამასთან უზრუნველყოფს მის ძირითად თვისებას – მდგრადობას (სიმყარე). აგროცენოზში მეტწილად ხელოვნური შერჩევა მოქმედებს, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიმართულია ადამიანის მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაქსიმალურ გადიდებისაკენ. ამ მიზეზის გამო აგროცენოზის ეკოლოგიური მდგრადობა მცირეა. მათ არ შეუძლიათ თვითრეგულაცია და კვლავწარმოება, იმყოფებიან გაქრობის დიდი რისკის ქვეშ მავნებლებისა და დაავადების გამომწვევი პათოგენების მომრავლების გამო. ამიტომ ადამიანის აქტიური მონაწილეობის გარეშე მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების აგროცენოზი არსებობს არა უმეტეს ერთი წლისა, მრავალწლიანი ბალახები – 3-4 წელი, კულტურები – 20-30 წელი, შემდეგ კი ნადგურდებიან ან ილუპებიან. **მეორე** – გამოყენებული ენერჯის წყაროში ბუნებრივი ბიოცენოზისათვის ენერჯის ერთადერთ წყაროს მზე წარმოადგენს. მაშინ როცა აგროცენოზები, მზის ენერჯის გარდა, დამატებით ენერჯიასაც იყენებს, რომელსაც ადამიანი სასუქების, სარეველების, მავნებლებისა და დაავადებათა, მინების გამოშრობის ან დაშლის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ქიმიური საშუალებების წარმოებაზე ხარჯავს. ასეთი დამატებითი ენერჯის გარეშე აგროცენოზის ხანგრძლივი არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მესამე – აგროეკოსისტემებში მკვეთრად შემცირებულია ცოცხალი ორგანიზმების სახეობათა მრავალფეროვნება. ყანებში ზოგადად კულტივირებულია მცენარეთა ერთი ან რამდენიმე ჯიში, რასაც ცხოველების, სოკოების, ბაქტერიების მნიშვნელოვან გაერთიანებამდე მივყავართ. **მეოთხე** – საკვები ელემენტების სხვადასხვა ბალანსი. ბუნებრივ ბიოცენოზში მარცვლეულის პირველადი პროდუქტი (მოსავალი) გამოიყენება კვების მრავალრიცხოვანი ჯაჭვის (ქსელის) მიერ და კვლავ ბრუნდება ბიოლოგიური ბრუნვის სისტემაში ნახშირბადის დიოქსიდით, წყლისა და საკვები მინერალების ელემენტებით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აგროცენოზში ელემენტების ასეთი ბრუნვა მკვეთრად ირღვევა, რადგან ადამიანი მის მნიშვნელოვან ნაწილს მოსავალთან ერთად ცვლის. ამიტომ მათი დანაკარგების ანაზღაურებისათვის და, შესაბამისად, მცენარეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, აუცილებელია ნიადაგში მუდმივად ხდებოდეს სასუქების შეტანა.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, იდეაში აგროეკოსისტემები უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნას: იყოს მაღალპროდუქტიული და ერთდროულად მყარი (მდგრადი). თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით ეს მოთხოვნები შეუსაბამოა. ეკოსისტემას ერთდროულად არ შეუძლია იყოს მაღალპროდუქტიული და სტაბილური, მყარი, მრავალფეროვანი სახეობათა სტრუქტურის მქონე, რადგან აგროცენოზების შექმნით ადამიანი ბიოცენოზების საძირკველს შლის – ადგილი აქვს კვებითი ჯაჭვის ცვლილებას, რომლის საფუძველს პროდუცენტები შეადგენს.

მომნიშვნელოვანი საზოგადოებების მქონე მდგრადი ეკოსისტემებისგან განსხვავებით, აგროცენოზები არამომნიშვნელოვანი სისტემებია, რადგან ისინი მკვეთრად არამდგრადია და არ შეუძლიათ თვითრეგულაცია. ნიადაგის ნოყიერების აღდგენისათვის ადამიანი იძულებულია სასუქები შეიტანოს ნიადაგში. აგროცენოზების არამდგრადობა განპირობებულია ასევე ველური ჯიშებისაგან განსხვავებით მცენარეული კულტურების მავნებლების ზემოქმედებისაგან დაცვის სუსტი მექანიზმების არსებობით. ამიტომ ისინი მოითხოვენ ადამიანის მუდმივ ჩარევას. თუ იგი არ შეინარჩუნებს აგროცენოზს, მაშინ უკანასკნელი სწრაფად დაინგრევა და გაქრება: კულტურული მცენარეები ვერ გაუძლებს ბუნებრივ სახეობებთან კონკურენციას და მათგან შევიწროვდება. მშრალი კლიმატის რაიონებში აგროცენოზის ადგილას წარმოიქმნება სტეპი, ხოლო უფრო ცივი და ნესტიანი კლიმატის პირობებში – ტყის ბიოგეოცენოზი.

აგროცენოზების არამდგრადობასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი მათი მაღალი პროდუქტიულობაა, რომელიც დამოკიდებულია რიგ ეკონომიკურ და ტექნიკურ შესაძლებლობებზე. სანყისი პროდუქცია გამოიყენება ცხოველების მიერ და მონაწილეობენ ნივთიერებათა მიმოქცევაში. „მოხმარება“ თითქმის „წარმოებასთან“ ერთად წარმოებს. მოსავალს იღებენ ადამიანის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და პირუტყვის საკვებად. ცოცხალი ნივთიერება გარკვეული დროით გროვდება, არ იხარჯება. უფრო მაღალი პროდუქტიულობა ვითარდება მხოლოდ მოკლე დროისათვის. ადამიანი მოსავლის აღებით იცავს მოსავალს პოტენციური მომხმარებლისაგან და სტრუქტურის გამარტივებით „არღვევს“ საკვები ჯაჭვის მრავალ რგოლს. ეს კი საშუალებას იძლევა მიიღოს მაღალი მოსავლიანობა.

მსოფლიო მინათმოქმედების ისტორია – ეს სხვადასხვა აგრომეთოდების სრულყოფისა და კომპლექსურად გამოყენების ისტორიაა, რამაც მინათმოქმედების სისტემის, კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება გამოიწვია, რომელშიც ითვალისწინებენ ამა თუ იმ მხარის განსხვავებულ ნიადაგსა და კლიმატურ პირობებს. სისტემური მიდგომა მინათმოქმედს აგროეკოსისტემის მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღების საშუალებას აძლევს. მეორე მხრივ, ადამიანი რაც უფრო მეტ ექსპლუატაციას უწევს აგროსისტემას, მით უფრო დიდ ენერგეტიკულ დანახარჯებს საჭიროებს მისი პროდუქტიული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. დამატებითი ენერჯის წყაროს სათბობის გარდაქმნილი ენერჯია, პირუტყვის გამწევი ძალა და ადამიანის შრომა წარმოადგენს. ადამიანი საჭირო პროდუქტის მისაღებად შეგნებულად ამცირებს კულტივირებულ სახეობათა მრავალფეროვნებას, რაც აგროეკოსისტემის მდგრადობას ადაბლებს. ადამიანმა ბიოსფეროს მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნების, მისი პროდუქტიულობის უზრუნველყოფისათვის, უნდა შეძლოს ისეთი ბუნებრივი ლანდშაფტის ფორმირება, რომ მასში ჩართული იქნას მაღალპროდუქტიული და მყარი ეკოსისტემა. ანუ აგროცენოზები უნდა ენაცვლებოდეს ტყეებს, წყალსაცავებს, ჭაობებს, ქმნიდეს „ეკოლოგიურ მოზაიკას“, რაც ეკოსისტემის მდგრადობას უზრუნველყოფს, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლები აღმოჩნდებიან თავისი ბუნებრივი მტრების გარემოცვაში, რომლებიც მათ რიცხოვნობას დაარეგულირებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ენერჯის რაოდენობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე იხარჯება, განვითარებულ ქვეყნებში 8-10-ჯერ გაიზარდა. მინის ნაყოფიერების დაკარგვის პერსპექტივა აგარაულ სექტორში დასაქმებულ ადამიანთა უფრო მეტ რაოდენობას აიძულებს ეძებონ შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავალის შესაძლო ვარიანტები. ისინი ყურადღებას აქცევენ არა მარტო ბუნებისდაცვითი აგროტექნიკის ცალკეულ ხერხებს, არამედ მინათმოქმედების ისეთ ახალ კონცეპტუალურ სისტემებს, რომლებიც დაფუძნებულია ნიადაგის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, შენარჩუნებაზე, წყლისა და ჰაერის ბუნებრივ რეგენერაციაზე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს, ხოლო აგროეკოსისტემა შეიძენს სიმყარის (მდგრადობის) – სესტაინინგის ნიშნებს.

აგროეკოსისტემის ძირითად ნიშნებს ადამიანი განსაზღვრავს. იგი ეკოლოგიური პირამიდის სათავეში დგას და დაინტერესებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაქსიმალური მოცულობის მიღებით. ამასთან, თუ ადამიანი ეკოლოგიური იმპერატივის მიმდევარია, იგი ინარჩუნებს ნიადაგს, ბიოლოგიურ ნაირსახეობას,¹ არ დაუშვებს სასოფლო-სამეურნეო დაბინძურებას და აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს, ხოლო აგროეკოსისტემა შეიძენს სიმყარის (მდგრადობის) – სესტაინინგის ნიშნებს.

აგროეკოსისტემის კლასიფიკაცია შესაძლებელია სპეციალიზაციისა და მოხმარებული ანთროპოგენური ენერჯის მიხედვით. სპეციალიზაციის მიხედვით განასხვავებენ მემცენარეობის, მეცხოველეობისა და კომპლექსურ, ხოლო მოხმარებული ანთროპოგენური ენერჯის მიხედვით – ექსტენსიურ, კომპრომისულ, ინტენსიურ აგროეკოსისტემებს. გარდა ამისა, არსებობს როგორც წვრილი აბორიგენული ფერმები, სადაც მხოლოდ ხელით შრომა და ნაკლებად – ცხოველის გამწევი ძალა გამოიყენება, ისე დიდი მოცულობით ანთროპოგენური ენერჯის მომხმარებლები – მაღალ მექანიზებული მეურნეობისა და მეცხოველეობის კომპლექსების სახით.

მემცენარეობის, მეცხოველეობისა და კომპლექსური აგროეკოსისტემები თავის მხრივ სამი სახისაა: **ექსტენსიური, კომპრომისული, ინტენსიური.** თითოეული მათგანი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება.

¹ ბიოლოგიური ნაირსახეობა – ცხოვრების ნაირსახეობის ყველა გამოვლინება. უფრო ვიწრო გაგებით – სამ დონეზე: გენეტიკური (გენებისა და მისი ვარიანტების ნაირსახეობა), ეკოსისტემაში სახეობებისა და, ბოლოს, თავად ეკოსისტემის ნაირსახეობა.

ექსტენსიური მემცენარეობის მეურნეობაში ნიადაგის ნოყიერების ამაღლებისათვის გამოიყენება ნასვენი მინათმოქმედების სისტემა, სადაც წარმოებს სახნავი ნაკვეთებისა და მცენარეების ბუნებრივი ჯიშების მუდმივი როტაცია (შენაცვლება), ხოლო მეცხოველეობის მეურნეობაში – ეს არის პირუტყვის ბუნებრივი საკვების სავარგულები (თივა ან მის გარეშე კლიმატიდან გამომდინარე), სადაც ანთროპოგენური ენერჯის დაბანდება მინიმალურია და უტოლდება მწყემსების კეთილდღეობასა და მეცხოველეობის პროდუქციის პირველად გადამუშავებაზე განეულ დანახარჯებს.

კომპრომისული მემცენარეობის მეურნეობის თესლბრუნვაში ნიადაგის აღმდგენის როლს მრავალწლიანი ბალახები და ერთწლიანი მარცვლეული კულტურები ასრულებს, ასევე სიდერატები – მწვანე სასუქი. ზომიერი რაოდენობით გამოიყენება ფოსფორ-კალიუმის სასუქი, ხოლო მავნებელი მწერების სიმჭიდროვის კონტროლისათვის მცენარეების დაცვის ბიოლოგიური მეთოდები და სასარგებლო სიმბიოტიკური კავშირის სისტემა. მეცხოველეობისათვის საკვების წარმოება ხდება ბუნებრივი საკვების სავარგულებსა და სახნავებზე (მრავალწლიანი ბალახები, მარცვლეული კულტურები და სხვ.), ნიადაგის ნოყიერება მიიღწევა ნაკელის შეტანით,

ინტენსიური ვარიანტის დროს მემცენარეობაში ისეთივე სქემის შენარჩუნება ხდება, როგორც კომპრომისულში, მაგრამ მკვეთრად იზრდება მინერალური სასუქების დოზები, შესაძლებელია მორწყვა და პესტიციდების მაღალი დოზით გამოყენება. თესლბრუნვა გამარტივებულია ორსამ რგოლამდე და არ ითვალისწინებს სიდერატების ან მონოკულტურების გამოყენებას. ანთროპოგენური ენერჯის ხარჯვის გადიდებასთან ერთად იზრდება ნიადაგის დაშლის რისკიც; მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ხდება მეცხოველეობის კომპლექსებში, ხოლო საკვები მიიღება ნათესებთან ერთად ენერჯის მაღალი დაბანდებისას და, გარდა ამისა, შემოაქვთ სხვა რაიონებიდან. ნაკელის ნაწილი შეაქვთ ყანაში, მაგრამ მისი რაოდენობა ნიადაგის უზრუნველყოფისათვის საჭირო ზომაზე უფრო მეტია.

კომპრომისული ვარიანტის შემთხვევაში უფრო მეტად რეალიზდება ადაპტიური მიდგომა. სახნავის ფართობი შეზღუდულია, მისი ნოყიერება მიიღწევა ნაკელის შეტანით, თესლბრუნვითა და ფოსფორ-კალიუმის სასუქის ზომიერი დოზით. სარეველების, მავნებელი მწერებისა და დაავადებული მცენარეების კულტურების კონტროლი წარმოებს ბიომეთოდებით ანდა მცენარეების დაცვის ინტეგრირებული მეთოდებით. პირუტყვი იღებს საკვებს როგორც ბუნებრივი სავარგულებიდან, ასევე ნათესი ფართობებიდან, რადგან თესლბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი მრავალწლიან ბალახებსა და საკვებად გამოსადეგ ერთწლიან მარცვლეულ კულტურებს უკავია. ყოველივე ეს კი საშუალებას იძლევა შეეინარჩუნოთ აგროეკოსისტემის მნიშვნელოვნად მაღალი ნოყიერება.

რადგან ანთროპოლოგიური ენერჯის დაბანდებათა გადიდებასთან ერთად აგროეკოსისტემის მდგრადობის მიღწევა ძნელდება, უფრო გამართლებულია ექსტენსიური მეცხოველეობის აგროეკოსისტემა იმ პირობებში, სადაც არ არის შესაძლებელი მემცენარეობის პროდუქციის წარმოება და კომპრომისული კომპლექსური აგროეკოსისტემის შექმნა.

პირველ შემთხვევაში აუცილებელია საძოვრების დატვირთვის რეგულირება საძოვრების დიგრესიის თავიდან აცილების მიზნით. შესაძლებელია აგროეკოსისტემის მართვა, როცა ხდება ბუნებრივი ეკოსისტემის შენარჩუნება. რაციონალური გამოყენებით ადამიანი ცხოველთა იმ რაოდენობას მოაშენებს, რომელთა გამოკვებაც შეუძლია ისე, რომ შეინარჩუნოს პოპულაცია.

ამრიგად, ბიოსფერო ელემენტარული ერთეულების ერთობლიობის სახით ბუნებრივთან ერთად შეიცავს ხელოვნურ ეკოსისტემებს – აგროეკოსისტემებს, რომელთაგან ბევრი ისტორიულად ჩამოყალიბებულია ადამიანის მიერ მიწის გამოყენების, სათიბებ-საძოვრებისა და მცენარეული რესურსების გამოყენების შედეგად. ისინი შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

- სახეობათა მრავალფეროვნება მკვეთრად შემცირებულია;
- კომპონენტებს შორის არ არის ევოლუციურად წარმოშობილი კავშირები;
- ადამიანის მიერ კულტივირებული მცენარეებისა და ცხოველების სახეობათა ევოლუცია ხელოვნური შერჩევის ხარჯზე ხდება და ველურ სახეობებთან ბრძოლაში ადამიანის მხარდაჭერის გარეშე არაკონკურენტუნარიანია;
- ნივთიერებათა მიმოქცევა ღიაა, რადგან ადამიანი ცვლის პროდუქტებს;
- მზის ენერჯის გარდა იღებს ადამიანის მიერ სუბსიდირებულ დამატებით ენერჯიას, საჭიროებს ენერჯის მიწოდებას სასუქების სახით;
- არ შეუძლია ადამიანის ჩარევის გარეშე არსებობა, მასში არ მიმდინარეობს თვითრეგულაციის პროცესი.

- ყანების, ბაღების, საძოვრების, ბოსტნებისა და სხვა აგროცენოზების ეკოსისტემები – გამარტივებული სისტემებია, რომელიც ადამიანის მიერაა შექმნილი და ისევე არამყარი და თვითრეგულაციის უუნაროა, როგორც ბუნებრივი პირველდანიყებით საზოგადოებები;

- მასში ბიომასა და პროდუქტიულობა ცალკეული მონოკულტურების მიხედვით შედარებით მაღალია, ხოლო საერთოდ ეკოსისტემაში – დაბალი.

აგროეკოსისტემაში ადამიანის უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისათვის საჭიროა აგრო-სისტემის თვითრეგულირების შესაძლებლობათა გათვალისწინება; ნიადაგის აღდგენა მათი ფორმირებისას; ორგანიზმებისა და ეკოსისტემის ყველა სახის მრავალფეროვნებათა მხარდაჭერა მცირე ნაკვეთებზე სხვადასხვა კულტურის რიგრიგობით მოყვანის ხარჯზე და მათ შორის ყამირი კუნძულების შენარჩუნება, სადაც შეედლებათ მტაცებლებს, პარაზიტებსა და მავნებლებს არსებობა; მემცენარეობისა და მეცხოველეობის შეერწყმა; შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების დოზის დადგენა მეცნიერული მიდგომებით და შეძლებისდაგვარად მათი აგროტექნიკური ნესებით შეცვლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Лебедев С.А., Философский глоссарий.
2. Лебедев С.А., Философия науки: Словарь основных терминов. — М.: Академический Проект, 2004. 320 с. (Серия «Gaudeamus»)
3. Савченко В.Н., Смагин В.П., Начала современного естествознания: тезаурус. Ростов н/Д.: Феникс, 2006. 336 с. (Высшее образование).
4. <http://www.agrojour.ru/nauka/biologiya/agroehkosistemy.html>
5. <http://agronomic.ru/stati/sevooboroty/agroekosistemy-i-ikh-funktsionirovanie-129.html>
6. www.ecosystema.ru/07referats/slovar/, Экологический словарь, 2001
7. www.ru.wikipedia.org. Материал из Википедии — свободной энциклопедии
8. <http://bio-faq.ru/zubr/zubr011.html>
9. <http://cito-web.yspu.org/link1/metod/met20/node30.html>
10. http://www.businessvoc.ru/bv/TermWin.asp?word_id=27752&rating=false&lastQueried=false
11. <http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/97908>
12. <http://ecology-portal.ru/publ/ekologicheskie-terminy/500011-agroyekosistema.html>
13. <http://www.postupim.ru/11/biol/599.shtml>

RUSUDAN KINKLADZE

*Georgian Technical University
Assistant Professor*

FUNCTIONAL MECHANISM OF AGRO ECOSYSTEMS

S u m m a r y

In this article the agro ecosystems dedicated to the rational usage of biological resources and harvest increase are evaluated. The perspective of land productivity degradation will encourage even more people working in the agrarian sector to seek for a way out of the difficult situation they may find themselves in. They focus their attention not only to specific means of environmental agro technique, but also to conceptual systems based on preserving the soil as a living organism, natural regeneration of water and air, production of ecologically pure products, rational usage of energy and other resources. If a human being is a follower of ecological imperative, he preserves soil and biological diversity, produces ecologically pure products and the agro ecosystem gains features of sustainability.

To mitigate a negative impact on agro ecosystem, it is necessary to keep in mind the means of agro system self regulation, regeneration of soil, support any biological diversity on small land plots by sowing various species in turn, scientifically determining the dosage of chemical substances and mineral fertilization needed and, if possible, alternating them according to agro technical rules.

ტურსანარმო „საოჯახო სასტუმრო“ საქართველოში

ბოლო წლებში საქართველოში აღინიშნება ტურისტული ინდუსტრიის გააქტიურება. გამოიკვეთა ტურიზმის ახალი ფორმები, როგორც არის: აგროტურიზმი, ეკოტურიზმი, სოფლის ტურიზმი, კულინარიული და სამონადირეო ტურიზმი და სხვ., რომლებიც ხასიათდებიან სპეციფიკური ნიშან-თვისებებით, მაგრამ ზოგჯერ მათ მოიაზრებენ ერთ სახეობად, როგორც არის “სოფლის ტურიზმი”, რადგან ისინი ყველა სოფლის ბუნებრივ-ისტორიულ ფაქტორებს ეყრდნობიან.

ტურიზმი ფრანგული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს მოგზაურობას (ტურისტი კი მოგზაურს). ტურიზმი არის მოგზაურობა (მაგრამ მოგზაურობა საქმიანი, დასვენების, გართობის, მკურნალობის, ცოდნის მიღების და სხვა მიზნით) ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან განსხვავებულ გარემოში ერთი ან რამდენიმე დღით. სოფლის ტურიზმს დასასვენებლად ეტანება უმეტესად ქალაქის მოსახლეობა, რომლებიც ცდილობენ განერიდონ ქალაქის აჩქარებულ რიტმს, ხმაურს, სმოგს; ირჩევენ დაისვენონ ბუნების ნიაღში, მშვიდ და წყნარ გარემოში, სუფთა ჰაერზე. იკვებონ ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა საკვებით და ა.შ., რაც დამახასიათებელია სოფლის გარემოსათვის.

სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში არსებობს ყველა პირობა, დაწყებული მისი უნიკალური ბუნებით და დამთავრებული სტუმართმოყვარე მოსახლეობით და ტურისტთა განთავსების საშუალებებით, როგორცაა მაგალითად „საოჯახო სასტუმრო“.

ტურისტთა განთავსების საშუალებები სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის მიერ, იყოფა ორ ჯგუფად: კოლექტიურ და ინდივიდუალურ ობიექტებად. კოლექტიური განთავსების ობიექტები თავის მხრივ იყოფა სასტუმროს ტიპის სპეციალიზებულ და სამკურნალო და სხვა ობიექტებად. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საკუთრივ საცხოვრებლები (ბინები, ვილები, კოტეჯები და სხვა) დამქირავებელი ან მოარენდე ტურისტებისათვის.

საქართველოში განთავსების საშუალებების ძირითად სტრუქტურულ ერთეულს სასტუმროები წარმოადგენენ, რომლის ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი ობიექტი (განკერძოებული შენობა ან შენობათა კომპლექსი), რომელიც ახორციელებს დროებით საცხოვრებლით მომსახურებას, მაგ. საოჯახო სასტუმრო.

სასტუმროების სექტორი დღეს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად გვევლინება.

საქართველოში დაცარიელებული სოფლები და დაკეტილი სახლები “საოჯახო სასტუმროების” მოსაწყობად საუკეთესო პირობებს წარმოადგენს. ამ პირობებში “საოჯახო სასტუმროს” მოსაწყობად არ არის საჭირო დიდი ინვესტიციები. ამისთვის საკმარისია მიტოვებული სახლების კოსმეტიკური შეკეთება და დამატებითი საშხაპისა და ნორმალური ტუალეტების მოწესრიგებაც (ქართულ სოფლებში, სადაც არ არსებობს ცენტრალური კანალიზაცია, ტუალეტები საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით, ეზოშია მოწყობილი).

„საოჯახო სასტუმრომ“ შეიძლება ტურისტი მიიღოს მხოლოდ ღამის გასათევად, ან შესთავაზოს სამჯერადი კვება. რაციონში შევა ოჯახის მიერ წარმოებული ნატურალური კვების პროდუქტები, მაგ. რძე, რძის ნაწარმი, შინაური ფრინველის ხორცი, საკუთარი ბაღ-ბოსტნის ბოსტნეული და ხილი. ეს სასტუმროს მეპატრონეს აძლევს დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას საკუთარი პროდუქტების ადგილზე რეალიზაციის გზით. შესაძლოა ამ მომსახურებასთან ერთად ტურისტს დამატებით შესთავაზონ ცხენით ან ფეხით გასეირნება ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. ამრიგად, „საოჯახო სასტუმრო“ კისრულობს: სასტუმროს პატრონის (დასახლის, მენეჯერის), მზარეულისა და გიდის ფუნქციებს, ტურისტებისათვის ასეთი მომსახურება ძალიან ხელსაყრელია, სიიაფისა და მოსახერხებლობის გამო.

„სოფლის ტურიზმი“ გვევლინება, როგორც სასოფლო წარმოების ახალი ფორმა, რომლის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა “საოჯახო სასტუმრო”, როგორც ბიზნესსანარმო, ტურსანარმო.

ტურისტული ბიზნესი (და, რა თქმა უნდა, „საოჯახო სასტუმრო“ როგორც ბიზნესსანარმო) იმყოფება დაგებვის რეჟიმში და იხდის ყველა იმ გადასახადს, რაც დაწესებულია საქართველოს სა-

გადასახადო კოდექსით. გადასახადებით დაბეგვრა ბიზნესის რეგულირების ერთადერთი მეთოდია. რეგულირების მიზანს წარმოადგენს უკეთესი შედეგის მიღწევა. ტურისტული ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობს 2011 წელს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები, როგორცაა მაგალითად ტურისტული ობიექტების მშენებლობაში მონაწილე კომპანიებისათვის საგადასახადო შეღავათები. მნიშვნელოვანია აგრეთვე სასტუმროების ინვენტარის, მონყობილობის შემოტანი კომპანიებისათვის საბაჟო გადასახადების შეღავათების დაწესება და სხვა. ტურიზმისადმი ასეთმა პოლიტიკურმა მიდგომამ შეუძლებელია გავლენა არ მოახდინოს და არ გამოიწვიოს ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის აღმავლობა.

„საოჯახო სასტუმროს“, როგორც ტურსანარმოს წარმატებულ ფუნქციონირებას დიდად განსაზღვრავს სასტუმროს მფლობელის (დიასახლისის), როგორც ინდემნარმის და ბიზნესმენის მენარმული საქმიანობის მაღალ დონეზე ცოდნა.

მენარმე-ბიზნესმენი უნდა ფლობდეს იმ ცოდნას და თვისებებს, რაც ახასიათებს მენარმეს, კერძოდ: უნდა იყოს თავისუფალი თავის საქმიანობაში, მოქმედებდეს საკუთარი რისკით, მისი საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს მოგებაზე და აუცილებლად უნდა ჰქონდეს სანარმო დარეგისტრირებული.

ტურისტულ სანარმოს („საოჯახო სასტუმროს“ დიასახლისს) უნდა შეეძლოს საფინანსო-ორგანიზაციული შედეგების ანალიზი. უნდა ერკვეოდეს სანარმოს შემოსავლიანობის კვალიფიკაციაში. საჭიროა იცოდეს დანახარჯების კლასიფიკაცია: პირდაპირი, მუდმივი, ცვლადი და შერეული დანახარჯები. განასხვავოს ერთმანეთისაგან რელიზაციისაგან მიღებული სუფთა მოგება და საერთო მოგება, ძირითადი საქმიანობისაგან მიღებული და ფინანსური საქმიანობით მიღებული მოგება და ა.შ.

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, ქვეყანაში შემოსული თითოეული უცხოელი ტურისტი ხარჯავს 1500-1900 დოლარამდე, ასევე შიდა ტურისტი ხარჯავს 500-1000 ლარამდე.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, გავვერკვია საქართველოს სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულება სასოფლო ტურიზმისა და „საოჯახო სასტუმროებისადმი“.

კვლევის ობიექტი შევარჩიეთ საქართველოს მთის რეგიონიდან, ამბროლაურის რაიონი, სოფელი სადმელი, როგორც ტიპური ქართული სოფელი.

სოფელი სადმელი მდებარეობს ზღვის დონიდან 760 მეტრზე. 2002 წლის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 594 ადამიანი. სოფელი მდიდარია რელიგიური და ისტორიული ნაგებობებით: ღვთისმშობლის სახელობის კლდის უბნის ეკლესია (IX-X), წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (XI), სამების ეკლესია, კოშკი ნაციხურა – იაშვილების „პირველი სამოსახლო“, კლდის უბნის ციხესიმაგრის კომპლექსი „საიაშვილო“ და სხვა. მდინარეებით, გამოქვაბულებით (რაც მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ტურისტებისათვის). სადმელის მოსახლეობა მისდევს მცირე ოჯახურ მეურნეობას, ტრადიციული დარგია მეღვინეობა, განვითარებულია მეფუტკრეობა. [1]

როგორც გავარკვეეთ, სოფელ სადმელში რეგისტრირებული „საოჯახო სასტუმრო“ არ არსებობს. სასტუმროები, როგორც რეგისტრირებული (სამი ოჯახი), ისე არარეგისტრირებული (4 ოჯახი) თავმოყრილია ქალაქ ამბროლაურში. აქ „საოჯახო სასტუმროს“ ტრადიცია არსებობს უკვე 10 წელიწადია. ასევე ამბროლაურში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს კერძო ტურისტული კლუბი, რომელშიც ჰყავთ საკუთარი გიდეები. სასტუმროების უმეტესობა მუშაობს შემოტანილი პროდუქტებით. მხოლოდ ერთ სასტუმროს, „ციბენას“ გააჩნია საკუთარი მეურნეობა. ამბროლაურში მდებარეობს აგრეთვე ერთი დიდი სასტუმრო 21 ნომრით, რომელიც ძირითადად ემსახურება საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ სტუმრებს (1-2 დღე). ნომრის ღირებულება იწყება 80 ლარიდან.

ამბროლაურის „საოჯახო სასტუმროებში“ ღამის გათევა ღირს 30 ლარი კვების გარეშე. 35 ლარი ღირს ღამის გათევა ერთჯერადი კვებით, ორჯერადი კვების ფასი კი 45-60 ლარია.

არარეგისტრირებულ „საოჯახო სასტუმროში“ ღამის გათევა კვების გარეშე 15 ლარი ღირს, ის გათვლილია ძირითადად სასკოლო ექსკურსიებზე.

„საოჯახო სასტუმროებს“ ძირითადად ეტანებიან ოჯახები. მოგების დიდი ნაწილი მოდის ადგილობრივ ტურისტებზე და მხოლოდ 0,01% უცხოელ ტურისტებზე. ტურისტები ძირითადად ჩამოდიან 1-2, 7-10 დღე. დაინტერესების ძირითად წყაროს წარმოადგენს უნიკალური ბუნებრივი რესურსი; მევენახეობა – მარნები, ღვინის ტექნოლოგია; თავლის ნაწარმი; ადგილობრივი სამზარეულო; მეღორეობა-ლორის გამოყვანის ადგილობრივი წესები.

სადმელის მოსახლეობასთან გასაუბრებისა და გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სიტუაცია: მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ინერტულად არის განწყობილი ტურიზმისა და, კერძოდ, „საოჯახო სასტუმროებისადმი“. ზოგიერთი აგრესიასაც კი გამოხატავს უცხოელი ტურისტების მი-

მართ (ასეთი განწყობა განპირობებული იყო ახალგაზრდების არაინფორმირებულობით, მათ არ ესმოდათ, თუ რისთვის იყვნენ იქ უცხოელი ტურისტები). მიუხედავად საერთო განწყობილებისა, აღმოჩნდნენ „საოჯახო სასტუმროებით“ დაინტერესებული დიასახლისები. ათამდე ქალბატონმა გამოთქვა სურვილი გაცნობოდა უფრო დანვრილებით სამენარმეო საქმეს, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა „საოჯახო სასტუმროს“ ორგანიზაციასთან.

კვლევის შედეგად შეგროვილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფლის მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული „საოჯახო სასტუმროებისა“ და მათი სამართლებრივი მართვის შესახებ, მაგრამ გარკვეული დაინტერესება მათ, როგორც ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროს, მიმართ მაინც შეიმჩნევა. მოსახლეობის (განსაკუთრებით დიასახლისების) დაინტერესების მოტივაციას წარმოადგენს მოგების მიღება, თუმცა სასურველი მოგების მისაღებად მათ არ გააჩნიათ სათანადო სამენარმეო ცოდნა და გამოცდილება, ნაკლებად ერკვევიან საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებსა და საბუღალტრო ოპერაციებში. იმის გამო, რომ „საოჯახო სასტუმრო“ ზემომგებიან ბიზნესს არ წარმოადგენს, მისი ფინანსური შესაძლებლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სასტუმროს ჰყავდეს ბუღალტერი და მენეჯერი, რომლებიც გაუძღვებოდნენ სასტუმროს საორგანიზაციო-ფინანსურ საქმიანობას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მარტო ქალაქებში არ უნდა ხდებოდეს სასტუმროებისა და „საოჯახო სასტუმროების“ თავმოყრა, რადგან საქართველოს სოფლებშიც არსებობს „საოჯახო სასტუმროების“ ქსელის გაფართოების უდიდესი პოტენციალი როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური რესურსი, რომლის ათვისებისა და რეალიზებისათვის საჭიროა:

1. სოფლის მოსახლეობის (და არა მხოლოდ მათი) ინფორმირება „საოჯახო სასტუმროების“ შესახებ;
2. პოტენციურ სასტუმროს პატრონებთან (დიასახლისებთან) ტრენინგების ჩატარება მენარმული საქმიანობის შესახებ;
3. პოტენციურ სასტუმროს პატრონებთან (დიასახლისებთან) ტრენინგების ჩატარება საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებთან დაკავშირებით.

KETEVAN KVELADZE

*Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakishvili Tbilisi State University
Academic Doctor of Economics*

TOUR FIRM “FAMILY HOTEL” IN GEORGIA

S u m m a r y

The article highlights the role of village tourism development in the overall advance of national economy. There are all the necessary conditions for village tourism development in Georgia: unique natural-historic resources, hospitality of the local people and infrastructure for getting visitors, such as family hotels. Hotel service sector is the main source of economic growth in many countries. As for our country, it also serves as a means for local inhabitants to have additional source of income and maintain their traditional living places. Village tourism is considered as a new form of production which is based on family hotels. These hotels are considered as business firms, tour firms. The presented work also reviews the importance of development of family hotels and the essential conditions for their development.

აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე, ნალი სესაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მონვეული ასოცირებული პროფესორები

საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზები და პერსპექტივები

21-ე საუკუნეში ჩვენი პლანეტის მოსახლეობა 6 მლრდ-მდე გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ 2020 წლისთვის 6 მლრდ-ს, ხოლო 2050 წლისთვის 11 მლრდ-ს მიაღწიოს. მარცვლეულის მოსავალი პლანეტის მასშტაბით მიღწეულია ახალი ჯიშების, ხოლო დანარჩენი – სასუქების გამოყენებითა და მინათომქმედებაში გატარებული აგროტექნიკური ღონისძიებებით. გარდა ამისა, ურბანიზაციის შედეგად უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 20%-ით შემცირდა. ასეთ პირობებში მწვავედ დადგა დედამიწის მოსახლეობის საკვებითა და ენერჯით უზრუნველყოფის პრობლემა. რაც შეეხება საქართველოს, არ ვანარმობთ სოფლის მეურნეობის პროდუქციას იმ რაოდენობით, რომ სოფელში დარჩენილმა მოსახლეობის უმცირესმა ნაწილმაც კი დაიკმაყოფილოს აუცილებელი მოთხოვნილება. შემოგვაქვს კარაქის, მცენარეული ზეთის და შაქრის თითქმის 100%, ხორბლის 70%-ზე მეტი, ხორცი 45%-ზე მეტი. დღითიდღე მწვავედება სასურსათო კრიზისი. სახნავი მიწის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 58%-ით შემცირდა, სოფლის მეურნეობაში ინტენსიურად გამოყენებული მინებიც დღითიდღე მცირდება. სოფლის მეურნეობის არსებული მართვის სისტემამ მიგვიყვანა კრიზისულ მდგომარეობამდე. მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდა ლიტონი სიტყვებია მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება ისეთი ბიზნესრთეულები, რომლებსაც უნარი ექნებათ საკუთარი პროდუქციით გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორგანიზებული პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. ამ პრობლემის აქტუალიზაცია ხდება ყოველდღიურად და განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტაგფლაციისა და სურსათზე მსოფლიო კრიზისის პირობებში.

აგფლაციის პროცესი მსოფლიოში კარგა ხანია მიმდინარეობს. 2007 წლიდან შეიმჩნევა ხორბლის, სიმინდისა და ბრინჯის ფასების მკვეთრი ზრდა, რომელიც საკუთრივ სოფლის მეურნეობის დარგების არასწორი და არარაციონალური მართვიდან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს საქართველოში დამუშავებულ იქნა 247 ათასი ჰა სავარგული, მაშინ როდესაც, 1999 წელს, ათი წლის წინ იხვენებოდა 600 ათასი, 1989 წელს 840 ათასი, ხოლო 1951 წელს 1100 ათასი ჰა. ეს ფაქტი გამოხატავს იმას, რომ მიწა მოუვლელია, მუშავდება მილიონ ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან მხოლოდ მეოთხედი. ეს მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად იმპორტულ სურსათზეა დამოკიდებული. პრობლემა იმითაც ღრმავდება, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საკითხი უკავშირდება პროდუქციის უვნებლობის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობა განიხილება, როგორც პრიორიტეტული დარგი. ამ სფეროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები იზრდება. მიუხედავად ამისა, ქვეყანა მძიმე აგრარულ კრიზისშია. იგი ხანგრძლივადიანია, რადგან მრავალწლიან მცენარეთა და მეცხოველეობის განახლების ბუნებრივ ციკლს უკავშირდება.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა აგრარულ სფეროში სამეურნეო განვითარებას, ხდება მათი მოდელირება, რათა სახელმწიფოებს ჰქონდეთ რაოდენობრივად გაზომვადი ორიენტირები აგრარული პილიტიკის განხორციელების დროს. თანამედროვე აგრარული კულტურის განვითარების უახლეს მოდელს წარმოადგენს სიახლეთა სტიმულირების მოდელი, რომლის მიხედვით განხორციელებული აგრარული პილიტიკა გულისხმობს უახლესი მეცნიერული მიღწევების დანერგვას. განვითარებული ქვეყნების საქმიანობა აგრარულ სფეროში არის სამაგალითო განვითარებადი ქვეყნებისათვის. განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, ვერ გადაწყვეტენ დასაქმების და საზოგადოებაში სიღარიბის პრობლემას სწორი აგრარული პოლიტიკის გარეშე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, თუ როგორ აგრარულ პოლიტიკას განახორციელებს. ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რომლის განვითარების გზა აგროკულტურების განვითარებაზე გადის, აგრარული პილიტიკა ამოვარდა სახელმწიფოებრიობის კონტექსტიდან. მიგვაჩნია, რომ საქართველოს განსაკუთრებით ესაჭიროება განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა აგრარული პოლიტიკის წარმართვაში საკუთარი ჩამორჩენის აღმოფხვრისა და განვითარებისათვის საფუძვლების შესაქმნელად.

საქართველოში შემუშავებულ იქნა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მაკროეკონომიკური კომპლექსის განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს 2006 წელს მიღებული კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, დაკანონდა საბაზრო ეკონომიკა, შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში. აქვე საინტერესო გახდა საკითხი: შემუშავებულ უნდა იქნეს თუ არა დამოუკიდებელი აგრარული პოლიტიკა, თუ მხოლოდ საერთო ეკონომიკურმა კანონზომიერებებმა უნდა მოახდინონ ზეგავლენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე? როგორც კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები (ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო), ისე თანამედროვე ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური პოლიტიკა, რათა აგრარული მეურნეობა გარდაიქმნას ინდუსტრიულ მეურნეობად. მიუხედავად იმისა, თუ რა საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას აყალიბებს სახელმწიფო, იგი ცდილობს შეიმუშაოს მისთვის სპეციფიკური აგრარული პოლიტიკა, საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სამუშაო ძალის დასაქმების მეთოდები. აგრარული პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია, რადგან: სოფლად სიღარიბის ლიკვიდაციისა და სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციის გონივრულ ჩარჩოებში ჩასმის საშუალებაა ადგილებზე არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მათ საფუძველზე კონკურენტუნარიანი სანარმოო ერთეულების ფორმირება და განვითარება. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება სურსათის უსაფრთხოების ყველა ცივილიზებული ნორმის დაცვისა, ფიტოლოგიური და ზოოვეტერინარული მომსახურების განხორციელების, ჯიშთა გამოცდის საჭირო ბიოლოგიურ და მცენარეთა დაცვის კვლევების ჩატარებისა. ამ თვალსაზრისით სავალდებულო ხდება სპეციფიკური პოლიტიკის შემუშავება კონკრეტულად ამ დარგისათვის.

აფგლაციის პროცესებმა, რომელიც არ არის მხოლოდ განპირობებული ენერგომატარებლების მაღალი ფასებით, აუცილებელი გახდა გაზრდილიყო სახელმწიფოს დაინტერესება მოსახლეობის სურსათით მომარაგების საკითხებით.

გლობალურმა დათბობამ თავისი წვლილი შეიტანა ამ პროცესებშიც. უახლოეს წარსულში მომხდარმა ბუნებრივმა კატაკლიზმებმა — ხანძრები (რუსეთი, პორტუგალია, ესპანეთი), ტაიფუნი და ქარიშხლები (აშშ, ლათინური ამერიკა), ჭარბი ნალექები (ჩინეთი, პაკისტანი) — უდიდესი ზარალი მოუტანეს არამხოლოდ სოფლის მეურნეობას. გლობალური პრობლემები დგას საქართველოშიც. სურსათის უკმარისობა უკავშირდება ეკოლოგიურ პრობლემებს გლობალურ გარემოში, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელი ხდება კერძო მენარმის მიერ, საჭირო ხდება აქტიური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს საერთო მაკროეკონომიკურ კანონზომიერებათა სისტემიდან. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შედეგები დამოკიდებულია საერთო, ეროვნული ეკონომიკის მიმართულებებზე, ქვეყანაში განხორციელებულ ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკაზე, ქვეყანაში ფინანსური რესურსების განაწილების პრინციპებზე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, ეკონომიკის დარგობრივ პრიორიტეტებზე. სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრინციპი უნდა იყოს ისეთი სამეწარმეო ერთეულების შექმნა, რომლებიც წარმატებით იფუნქციონირებენ მსოფლიო ბაზარზე ხანგრძლივი ვადით, სექტორის შედარებითი უპირატესობის გამოვლენა და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. უმნიშვნელოვანესია სამეურნეო ერთეულთა პროდუქტიულობის ზრდა. სამეურნეო ერთეულთა ეკონომიკურ ეფექტიანობის ზრდის გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ სოფლად და არა მხოლოდ სოფლად სიღარიბის დაძლევაზე.

მსოფლიოში გლობალური პრობლემების გამწვავება განაპირობებს სოფლის მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის განვითარების უდიდეს აქტუალობას.

ინდუსტრიალიზაცია და მოსახლეობის ფართო ფენების უმუშევრობა, მოსახლეობის ინტენსიური ზრდა, ამონურვადი რესურსების ბუნებრივი მარაგების შემცირება, ბუნებრივი გარემოს დეგრადაცია – ეკოლოგიური დაბინძურების, სტიქიური უბედურებების, სასურსათო პროდუქტების დეფიციტის ჩათვლით – ეს გლობალური პრობლემები კიდევ ერთხელ დააფიქრებს საზოგადოებას იმაზე, რომ თანამედროვე სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პერსპექტივების დასახვა და რეალიზაცია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, მით უფრო, რომ საქართველოს ამ მხრივ დიდი და ტრადიციული გამოცდილება აქვს. საქართველოს სოფლის მეურნეობა კრიზისულ მდგომარეობაშია. აღნიშნული კრიზისის შემდეგი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: სოფლად დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება; სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დაბალი ხარისხი და უმუშევრობის მაღალი დონე, ქალაქებთან შედარებით; სოფლის სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შეუსაბამობა თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებთან, რაც მკვეთრად აფერხებს სოფლად მოსახლეობის დაკავების მოტივაციის დონეს

და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას. თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან თავი იჩინა დეურბანიზაციის ტენდენციამ, მაგ. აშშ-ში, ევროპაში ამის მიზეზი თანამედროვე საზოგადოების ინტელექტუალურ მსოფლმხედველობაში და ეკოლოგიურ მენტალიტეტში არის ჩადებული. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობა და აღორძინება, რომელიც ძალიან სჭირდება ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას და ეკონომიკურ უსაფრთხოებას, იდეოლოგიური კამპანიით უნდა დაინიშნოს, რომელიც დააჩქარებს ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის, სოფლისკენ შემობრუნებას. დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ამერიკის გამოცდილება (გარდა ლათინური ამერიკის ტრადიციულ ქვეყნებისა, სადაც დაქირავებული შრომის გამოყენებას მიმართავენ მინის მსხვილი მესაკუთრეები) ცხადყოფს, რომ, თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო მინას ჩამოაცილებს სოფლის მოსახლეობის ფართო მასებს და მხოლოდ მცირე რაოდენობის მსხვილ მესაკუთრეებს ჩაუგდება ხელში, სიღარიბის დაძლევა შეუძლებელია. არც მიწების ცალსახა პრივატიზაციამ და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაქუცმაცებამ გამოიღო დადებითი შედეგი, ეს ფაქტი უკვე ჩვენი ქვეყნის გამოცდილებიდანაც ცნობილია. მსოფლიო გამოცდილება გვასწავლის იმასაც, თუ რა როლს თამაშობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგროსამრეწველო ურთიერთობების სტაბილური განვითარების საქმეში. სოფლის მეურნეობა ტრადიციულად ითვლება მცირე კაპიტალის დაბანდების სფეროდ, რაც ხელსაყრელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. ყველაზე მსხვილი აგროფირმებიც კი ბაზარზე მცირე მოთამაშის რანგში არიან. იგივე შეიძლება ითქვას გლეხური და ფერმერული მეურნეობების მიმართ, რომლებიც ასევე მარტო რჩებიან ბაზარზე და აწყდებიან დიდ კონკურენციას სავაჭრო მონოპოლიების მხრიდან. ამ პრობლემის დაძლევა მათი კოოპერირების გზით არის შესაძლებელი. აგრარულ ურთიერთობათა სუბიექტები, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან წარმოების პროცესში, ერთიანდებიან კოოპერაციულ სანყისებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის, პროდუქციის შენახვის, გადამამუშავების და რეალიზაციის საქმეში; ასევე კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობაში წარმოშობილი პრობლემებისა და სახელმწიფო პოლიტიკისადმი დამოკიდებულების გამოსატყვის თვალსაზრისით. დასავლეთის აგრარული გამოცდილებიდან ფერმერულ მეურნეობათა და ფერმერთა უმრავლესობა კოოპერატივების წევრია. ეს უკანასკნელნი კი მრავალ ორგანიზაციულ დახმარებას უწევენ მათ, კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, კონსულტაციური მომსახურება, ფინანსური ფონდების ფორმირება და ფასების რეგულირება. რეფორმამდელ პერიოდში საქართველოში აგრარული ურთიერთობები მინაზე საკუთრების სახელმწიფო ფორმით იყო წარმოდგენილი. ბოლო 20 წელი ჩვენ ვხედავთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ტრანსფორმაციულ პროცესებს სოფლის მეურნეობაშიც და მათ შორის მინის განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის მიზნით განხორციელებული პროცესების შედეგებს. აგრარული სფეროს რეფორმირებამ და მინაზე კერძო საკუთრების გამოცხადებამ გამოიწვია ფასების დისპარიტეტი, წარმოების მოცულობების შემცირება, შრომის ნაყოფიერების დონის დაცემა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრული კრახი. დღეისათვის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საერთო სტრუქტურა ასეთია: საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლის შედეგად დაახლოებით 1 მილიონი ოჯახი მინის მესაკუთრე გახდა. ე.ი. თითქმის ყოველი ოჯახი ფლობს საკუთრებაში პრივატიზებულ მინის ფართობს. გარდა ამისა, სოფლად სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შედეგად შექმნილია 400-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, 100-მდე სააქციო საზოგადოება და სხვა. რეფორმის შედეგად კერძო საკუთრებაში გადავიდა 715 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 400 ათას ჰა მრავალწლიანი ნარგავი, რაც ძირითადი სახნავ-სათესი მიწების 55%-მდეა, მაგრამ შედეგი არადაამაკმაყოფილებელია. 1990 წლამდე ს/მ-ის წილი მშპ-ში 30-40% იყო, ხოლო დარგში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი 25% არ აღემატებოდა. დღეისათვის კი მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის 47% დასაქმებული, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8%-მდეა [2]. 2006-2010 წლებში ს/მ-ის ხვედრითი წილი მშპ-ში 11 2-დან 7,3%-მდე შემცირდა [2]. საქართველოს ნათესი ფართობების საერთო ფართობი 2010 წლისთვის 275,3ათას ჰექტარს არ აღემატებოდა, ანუ ათვისებულია პრივატიზებული მიწების 1/3-მდე. ოჯახური მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი ნათეს ფართობებში ასეთია: ოჯახური მეურნეობები-96,4%; სხვა სას.სამ. საწარმოები-4,6%. როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის მხოლოდ მინის პრივატიზაცია და მასზე საკუთრების ფორმის შეცვლა არ არის გამოსავალი. 2011 წლის მონაცემებით სოფლის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 46,9%-ს, 2,121 ათას კაცს შეადგენს [2], რომელიც დომინანტი მესაკუთრე გახდა სასოფლო-სამეურნეო მიწების, მაგრამ ქართველი გლეხი კვლავ სავალალო მდგომარეობაში იმყოფება, სოფელი

კი კრიზისში. საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმაც „შოკური თერაპიის“ გზით წარმართა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. ეს ტერმინი კარგად ნაცნობია სამეცნიერო-ეკონომიკურ ენაზე და ვიცით რამდენი არარაციონალური გადაწყვეტილება მოჰყვა, მათ შორის მიწების პრივატიზაციასთან დაკავშირებით. მინა, როგორც ძირითადი საწარმოო საშუალება და სივრცობრივი ბაზისი, მეტად სპეციფიკურია თავისი ბუნებით, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მოხდება მასზე დარგის სპეციალიზაცია, ინტენსიფიკაცია, თუ ვის ხელში გადავა ესა თუ ის მიწის ობიექტი, ანუ შეძლებს თუ არა ამა თუ იმ კატეგორიის მესაკუთრე მის მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 0,17 ჰა-მდეა [7. 65], ამიტომ თანამედროვე აგრარული წარმოების ეფექტიანობის ამაღლება წარმოების ინტენსიფიკაციის, ფერმერული და გლეხური მეურნეობების ფართობების ოპტიმიზაციის გზით უნდა წარმართოს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ საქმეში სახელმწიფოს მხრიდან წამოსულ დარგის განვითარების მხარდაჭერ პროგრამებს, სოფლად სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მონესრიგებას, შეღავათიან კრედიტებს, ლიზინგურ მომსახურებას, პროფესიონალთა კონსულტაციებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების მხარდაჭერას და ა.შ. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ 0,5ჰა სას.სამ.სავარგული საკმარისია ერთი ზრდასრული ადამიანის გამოსაკვებად, შესაბამისად 2 ჰა-მდე 4-სულიანი ოჯახის გამოსაკვებად [6. 85]. ასეთი ლოგიკიდან გამომდინარე, საოჯახო და წვრილგლეხური მეურნეობების ფართობების ოპტიმიზაციის საკითხი კიდევ გადასახედია. 5-დან 10 ჰა-მდე მიწის ფართობი უფრო რეალურია აითვისოს ამ კატეგორიის მიწათმფლობელებმა, ვიდრე მეტი ფართობის სას.-სამ, სავარგული. აგრარულ სფეროში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი უნდა განხორციელდეს მეცნიერულ ეკონომიკური გათვლების და ისტორიული პრეცედენტების გათვალისწინებით. საჭიროა იმის დასაბუთებაც, თუ როგორი გენეზისი აქვს აგრარულ პრობლემას, ლოკალური თუ გლობალური. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში აგრარულ სფეროში წარმოშობილი კრიზისი უფრო ლოკალურია და მოგვარებადიც, თუ სახელმწიფოს მხრიდან გატარდება რაციონალური პროტექციონისტური პოლიტიკა. ცნობილი ფაქტია, რომ აგრარული ურთიერთობების თვითრეგულირება ძნელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სახელმწიფო უნდა ატარებდეს კომპლექსური მხარდაჭერის და დახმარების პოლიტიკას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების, ექსპორტიორებისა და აგრარული ბაზრების მომხმარებელთა მიმართ. ძირითადად ეს ვლინდება საბიუჯეტო სუბსიდირების სახით, შიდა თუ საგარეო ბაზრებზე საბაზრო სუბიექტების მყარი პოზიციის დამკვიდრებისა და კონკურენტუნარიანობის განმტკიცებისათვის. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით აგრარულ მხარდაჭერაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 30% მოდის აშშ-ში, კანადაში 45%, ევროკავშირში 50%, იაპონიაში 60% [5. 155]. სამთავრობო დახმარება ძირითადად ითვალისწინებს ფერმერებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას, პირდაპირ გადახდებს ბიუჯეტიდან, ფერმერთა პროდუქციაზე ფასების სუბსიდირებას, შეღავათიან კრედიტებს, ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნას, განათლებას და კონსულტირებას. ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების აგრარული პოლიტიკა მიმართულია ს/მ-ის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების, სას.სამ. ფართობების გამსხვილების, აგრარული მეწევემენტისა და აგრარული მარკეტინგის ღონისძიებათა გატარებაზე, რასაც ვერ ვიტყვით აქამდე საქართველოში წარმართულ აგრარულ პოლიტიკაზე. აგრარულ სფეროში გატარებულმა რეფორმებმა, რომლებიც მოკლებული იყო მეცნიერულ რეკომენდაციებს, წარმოშვა პერმანენტული პრობლემები, რომლებიც აისახა აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების როგორც მიკრო-, ისე მაკროდონეზე. სახეზეა სტრუქტურული დისპროპორციები აგრარული წარმოების სხვადასხვა სფეროსა და დარგში, სამეურნეო სუბიექტებს შორის საკოორდინაციო კავშირების მოშლა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების არარაციონალური სპეციალიზაცია და დისბალანსი ყველა სახის სასაქონლო სეგმენტს შორის და სხვა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნით, აუცილებელია ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან როგორც ფედერალურ, ისე რეგიონულ დონეზე შემდეგი ამოცანების გადაჭრა: დარგის განვითარების დასახმარებლად სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება; სოფლის სათანადო სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნა; ფედერალურ დონეზე მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება; საქართველოს სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს მხრიდან დახმარების პოლიტიკა სჭირდება. ამ ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის დაფინანსება 20 მლნ.-დან 80 მლნ.-მდე გაიზარდა. ს/მ-ის აკადემიის ექსპერტთა საბჭოს მიერ მიცემულ რეკომენდაციებში საუბარია აღნიშნული დაფინანსების გაორმაგებაზე 160 მლნ.-მდე, რის შედეგადაც ს/მ-ის ხვედრითი წილი 40%-მდე გაიზარდება და

მიუახლოვდება რეფორმამდელი პერიოდის მაჩვენებელს [1]. საყურადღებო და გადასაჭრელია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზრების საკითხი. საქართველოსთვის ახლო საზღვარგარეთის (მეზობელი) ქვეყნების, მათ შორის რუსეთის ბაზრის იგნორირება მიზანშეუწონელია, რადგან ტრადიციულად საქართველოს აგრარული პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები ეს ქვეყნები იყვნენ. სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს იმპორტი და დაიცვას ადგილობრივი წარმოება შიდა ბაზარზეც. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრისას აუცილებელია განსხვავება, თუ რას ნიშნავს აგრარული ურთიერთობები ვიწრო და ფართო გაგებით. პირველი შემოიფარგლება მხოლოდ სოფლის მეურნეობით, მეორე კი მთლიანად მოიცავს იმ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლის ბაზაზეც ყალიბდება აგროსამრეწველო კომპლექსი. საქართველოს სოფლის მეურნეობა რომ გამოვიდეს იმ კრიზისიდან, რომელშიც იმყოფება, აუცილებელია საბაზრო ეკონომიკას მორგებული აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირება. აგროსამრეწველო კომპლექსი არის ეროვნული მეურნეობის იმ დარგთა ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების და რეალიზაციის ჩათვლით. კლასიკური მეცნიერული კონცეფციის თანახმად, აგროსამრეწველო კომპლექსის სამი დონე არსებობს, რომელიც სამი კომპონენტის ბაზაზე ფორმირდება: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად სფეროებს შორის პროპორციები დაახლოებით ასეთია 15/35/50 [5. 20]. აგროეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებია: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონელმწარმოებლები; სოფლის სოციალურ ინფრასტრუქტურაში დასაქმებული პერსონალი; სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სანარმოო საშუალებათა მწარმოებელი დარგის, ასევე პროდუქციის გადამამუშავებელ და სარეალიზაციო სფეროში დასაქმებული მუშაკები. შრომის ნაყოფიერების პერმანენტული ზრდა წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგად, მინიმუმამდე ამცირებს ცოცხალი შრომის გამოყენებას და შესაბამისად ხელს უწყობს უმუშევრობას სოფლის მოსახლეობაში, რომელსაც სხვა დასაქმებელი არ გააჩნია. შედეგად ვიღებთ დაცლილ სოფლებს, უმუშევრობით გამონვეულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. 21-ე საუკუნის სოფლის მდგრადი განვითარება სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციაში ანუ სოფლად ალტერნატიულ საქმიანობათა სახეების განვითარებაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს აგროტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობა მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ერთ-ერთი ხელსაყრელი სფეროა. სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია უმუშევართა დასაქმების მხარდაჭერის ეროვნული პროგრამების და პირველ რიგში რეგიონებში აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობითაც უნდა დაიწყოს. ამ მხრივ დიდი პოტენციალია მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ცხოვრების დონის ამაღლებისა და მიგრაციის დონის შემცირებისთვის. სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურება რეგიონის უმუშევარი მოსახლეობის თვითდასაქმების პროგრამებში ნებაყოფლობითი ჩართვის მიზნით უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი აგრობიზნესცენტრების შექმნას, რომელთაც დაეკისრებათ ფერმერთათვის და ნებისმიერი მეურნისთვის ბიზნესტრენინგების ჩატარება, პრეტენდენტთა შერჩევა, ინდივიდუალური კონსულტაციების მიცემა, ბიზნესგეგმების შეფასება, კრედიტების გამოყენების მონიტორინგი და სხვა. ამრიგად, 21-ე საუკუნის მიჯნაზე განვითარებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელიც მიმდინარეობს უმუშევრობის ზრდის, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირების, ერის „დაბერების“, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის დეფიციტის კვალდაკვალ, საჭირო ხდება სოფლის მეურნეობის უფრო აქტიურად ჩართვა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისა და ეკონომიკური ზრდის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.radiotavisufleba.ge>
2. <http://www.geostat.ge>
3. Agriculture in European Union statistical and economic information. European Community. 2003.
4. Назаренко В.И., Качество жизни, продовольственная безопасность. М. 2007.
5. Назаренко В.И., Аграрная политика Европейского Союза. М., 2004.
6. ამბროსი გრიშკაშვილი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, პრობლემები, პერსპექტივები, 1998.
7. აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე, ევროკავშირის აგროეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხები, ჟურ. კომერსანტი, 2009,1.(6)

AIDA QITASHVILI - KVACHANTIRADZE, NELI SESADZE

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Visiting Professors*

**THE ANALYSIS OF THE CURRENT STATE OF AGRICULTURE IN GEORGIA PROBLEMS AND
PERSPECTIVES**

S u m m a r y

Western Europe has turned into one of the largest exporters in the world outrunning even the USA as well as providing complete requirements for internal demands on the basis of its own production.

The process of Euro-Union spreading and constant wish of new member-states entering it cannot be considered as fortuitous, for example, former socialist and Eastern European countries, countries of the commonwealth of independent countries, including Georgia.

Georgia has always been an agrarian country, even nowadays a highly effective development of the country's agro-economic complex on market economy principles is one of the important priorities of social-economic development.

Evidently, not everything is ideal in Euro Union's entire agro-economy, for example, its colossal investments, oriented basically to big commercial producers on account of some small vital enterprises, had to be closed due to the reinforcing competition and increasing unemployment in villages, although the EU's economic policy experience in agro-economic complex control is completely timely and it turned out to be an example for transitional countries like Georgia to work out and successfully realize the scientific-practical conception of agro-economic complex and food production functioning.

EU AS THE MAJOR EXPORT MARKET FOR THE REALISATION OF COMPETITIVE ADVANTAGES OF GEORGIAN AGRICULTURAL PRODUCTS

For the all period of independence the Trade Balance of Georgia was negative. Traditionally agricultural country became the net importer of agro products. In the present time Georgian Government undertake some practical steps to improve the situation by increasing the agro production output and better utilization its export opportunities. (see Annex 1,Table N1)

The World Bank Group in its May 2009 study, „Georgia Sector Competitiveness Overview, Identification of Most Promising Manufacturing Sectors and Priority Actions to Accelerate Investment and Growth: Preliminary Recommendations to Government of Georgia”, identifies agro-food as having the biggest comparative advantages to compete abroad. (see Annex 1,Table N2 and N3)

What are the major exported agro food product groups and how they could be characterized. For this reason we should analyze the standard indicators such as share in Georgian and world exports, number of products in the group, share of the leading three products, share of top three markets and specialization index. For the sake of clarity should be mentioned that presented below three product groups are typical ones and the presented trend is similar for other groups also.

code	Export share % in total exports	Export share % in world exports	Export products	Top three products share (%)	Top three market share (%)	Specialization index (Ballasa/RCA)
22	7,37	0,15	19	88,7	67,9	11,9
01	1,43	0,14	4	100,0	99,5	11,0
23	0,13	0,0	3	100,0	100,0	0,3

The analyze underlines the major problem of the Georgian Agro products export, small number of products and a low market diversification. The Russian ban clearly presented the risks linked with the orientation on the highly politically sensitive markets. Now Georgian companies are trying to diversify their marketing efforts and find out more politically stable markets.

Where and how Georgian agro products could be marketed, this is the major question to be addressed first of all. The thorough analysis of the possible destinations presented the EU as N1 priority. First of all EU is closer to Georgia than North America or well-developed far east markets, secondly the trade regimes with the EU (GSP+ for now and the on-going discussion on the DCFTA) also presenting some additional opportunities.

Some details of the EU agro product market for the most competitive Georgian agro products groups are as follow:

- These EU imports constitute on average 52% of total World imports for these products, with a maximum of 66% for 0603 cut flowers and a minimum of 19% for 0713 dried vegetable, shelled;
- Imports of these products are impressively dynamic. Average rate of growth of imports in USD was 52% between 2004 and 2008, with a maximum of 91% for 2007 jams and a minimum of 29% for 0409 honey. Even after taking into account the depreciation of the USD vis-à-vis the EUR, the EUR growth is very substantial for a mature market (27% on five years, i.e. 4.95% growth per year);
- The EU market is reasonably opened to non EU exporters for these products. These non EU exporters (among the 20 biggest exporters) have on average a market share of 25%. The most open sector is 0802 nuts, for which Georgia has proven comparative advantages (68% of imports are from non EU countries). The least open is 2004 prepared vegetables (including frozen).

The main problem for Georgian exporters is that the high value added agro-food products are part of an extremely competitive market. Because of the brand recognition of their products and the efficient logistics linked to big volumes, existing stakeholders have a large comparative advantage. This is particularly clear for fresh products whose shelf life is quite limited such as salads, tomatoes or flowers.

This combination of constraints defines clear strategic axes for an efficient Georgian strategy:

- First, Georgia should give a priority to products that have a long shelf life which is obviously the case for processed, preserved, dried or frozen products.

- Second, Georgia should concentrate its marketing efforts by targeting in priority new EU countries.

New EU countries can provide much quicker and better results than big old EU countries such as Germany, France or the UK for the three following reasons:

- In most cases, these new countries were in the past part of the Socialist division of labour organized around the USSR. They therefore had access to Georgian products that their consumers know much better than ordinary Western European consumers. This is in particular the case for the Baltics that were part of FSU;

- The domestic markets of these countries are much smaller than the ones of the big old EU countries. This means that existing stakeholders cannot extract as big economies of scale as in these big old countries. It reduces therefore the entry costs for outsiders;

- As a rule, the new EU countries have much higher growth than the old ones and their re-emerging middle-class is keen to consume high-value added agro-food products. Their imports of such products are therefore growing much quicker than those of the big old countries;

- The current geography of Georgian agro-food exports confirms this analysis (see Annex Table N4). Apart from Germany and Italy whose imports are very much related to hazelnuts, that could be considered as a semi-commodity, the big old EU States play a limited role in Georgian exports. The key players tend more to be the Czech Republic, the Baltics, Poland and Slovenia.

Beside the above mentioned problems are the problem of the product quality standards and the marketing efforts to reach EU markets. In this regard are two points which could be mentioned as the practical ways to solve these problems.

1) Create AgroPoles of competitiveness

The only effective way to enter the EU market is therefore through partnership with leading global producers that have a strategic interest in investing in Georgia because of their specific constraints.

The first specific constraint is that of reduced land allocation. This is very much the case for two leading producing countries of high value agro-food that have strong political ties with Georgia, the Netherlands and Israel.

A second constraint can be the positioning in different hemispheres. For instance, Chilean, Argentinean or South African agribusiness companies exporting fruit to the EU in EU winter time might have an interest in developing sales in EU summer time by developing their production with their technical know-how in a country of the Northern Hemisphere. This would help them in particular to keep a day-to-day contact with their final consumers in the EU even in their own idle producing season.

A third constraint can be the excessive dependency on one single producer.

Obviously, the interest of these companies is not only to produce with their own farms but also to sell the production of other farmers with whom they can enter into procurement contracts in order to generate the very large volumes required by the EU market. Eventually, most of the profits of these global companies could be generated by trading activities.

2) Entering into global agro-food networks

While most of retail trade in Georgia is conducted by small shops and bazaars, the EU retail agro-food trade is massively dominated by a small number of mega retailers: Carrefour, Tesco, Metro, Auchan, etc. According to EBRD, modern format retail still accounts for only about 25% of the total retail market value in its countries of operation, whereas in the developed markets of United Kingdom, Germany and France, it accounts for 89%, 85% and 80% respectively (source: Business Monitor International). Furthermore, the food retail market is still fragmented and consolidation is to be expected. The aggregate market share of the top 5 players is on average below 35% compared to 62% in UK, 61% in France, 78% in Germany.

To enter into the EU market requires therefore entering into the shops of the mega retailers. But this entry is a very complex process. The provider of products to be sold by the mega retailer has to go through a very long analysis of its capacity to provide good, cheap and quality products with the volumes and the delivery schedules required by the mega retailer. For most Georgian producers, it is clearly an impossible task if they have to conduct this work out of their own market.

To be referenced to by mega retailers, Georgia would therefore have to attract them locally. As they would have to source as many local products as possible for their local sales (usually, mega retailers tend to source locally the vast majority of their agro-food sales), they would already bring in, in their global buying system, the best Georgian producers or products. Eventually, they may export these Georgian products to other countries.

We can list concrete examples of these cross selling strategies of mega retailers. Group Carrefour for instance, the second biggest retailer in the World with a strong presence in neighbor Turkey and development

projects in Russia, is using its Algerian presence to source early or late potatoes from this country when prices of these potatoes are very low in Algeria.

Bibliography

1. CASE, Center for Social and Economic Research, Global Insight, 'Economic feasibility, General economic impact and Implications of a Free Trade Agreement between the European Union and Georgia', May 2008.
2. Cordonnier Christophe, 'Prospects for the development of Georgian agriculture and rural society. Proposals for an Action plan', GEPLAC, *Georgian Economic Trends*, December 2005.
3. Government of Georgia, 'Investment Opportunities in the Georgian Agriculture Sector', September 2009.
4. UNDP, 'Assessment of the impact of potential free trade agreement between EU and Georgia', 2007.
5. Vincentz Volkhart, 'Trade Policy and Georgian Exports', GEPLAC, *Georgian Economic Trends*, October 2008.
6. World Bank, *World Development Report 2008*, 'Agriculture for Development', 2008.
7. World Bank Group Investment Climate Advisory Services (ICAS), 'Georgia Sector Competitiveness Overview, Identification of Most Promising Manufacturing Sectors and Priority Actions to Accelerate Investment and Growth: Preliminary Recommendations to Government of Georgia', June 2009.
8. Giorgi Gaganidze, International Trade Management and Ways to Increase Export Potential of Georgia, TSU, scientific and practical journal, Economics and Business, May-June, 2011
9. Giorgi Gaganidze, The alternative ways to increase the export potential of Georgia: diversification or concentration, TSU, scientific and practical journal, Economics and Business, October-November 2011

ბიოგრაფიული მონაცემები

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ევროკავშირის, როგორც ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციის ძირითადი საექსპორტო ბაზარი

ა ნ თ ა ც ი ა

სტატიაში თავმოყრილია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტულ-ნარიაზობის კვლევის სხვადასხვა მასალა; გაანალიზებულია კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციის შესაძლებლობები. ევროკავშირის ბაზარი წარმოდგენილია, როგორც ძირითადი საექსპორტო ბაზარი. ასევე მოცემულია კონკრეტული წინადადებები ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის გამარტივებისათვის.

აგრარული რისკების დაზღვევის უცხოური გამოცდილება და საქართველო

მთელს მსოფლიოში აგროდაზღვევა გვევლინება სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ელემენტად და განაპირობებს მის მდგრად განვითარებას. დაზღვევის ეს ფორმა ითვალისწინებს სასოფლოსამეურნეო რისკების კომპლექსურ დაზღვევას და აუმჯობესებს სოფლის მეურნეობაში მოქმედი მენარმეების ეკონომიკურ, ფინანსურ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მდგომარეობას.

აგრარული რისკების დაზღვევის მთავარი მიზანია არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებით (გვალვა, სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, ხანძარი) გამონვეული ზარალის მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურება. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობაში მოქმედი საწარმოების კრედიტუნარიანობის უზრუნველყოფას. ყველა ტიპის საკრედიტო ორგანიზაცია – ბანკები, საკრედიტო კავშირები, კერძო პირები – უპირატესობას ანიჭებს იმ მენარმეს, რომელსაც დაზღვეული აქვს რისკები და გარანტირებულია, რომ არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნებს შემოსავლებს.

გარდა იმისა, რომ აგროდაზღვევა ამცირებს ფერმერის შემოსავლების მკვეთრ მერყეობას და ამარტივებს ფინანსური რესურსების მოძიებას, მწარმოებლისათვის ის ქმნის არსებით სტიმულებს, რათა თავის საქმიანობაში გამოიყენოს უახლესი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევები. საქმე ისაა, რომ აგროდაზღვევა ფარავს მხოლოდ ისეთ რისკებს, რომელზეც არ შეუძლია გავლენა მოახდინოს დაზღვეულმა. მაგალითად, მავნებლებისაგან დასაცავად არსებობს ქიმიური საშუალებები, რომელიც ფერმერმა უნდა გამოიყენოს, იგივე შეიძლება ითქვას სარეველა მცენარეებზე – არსებობს ჰერბიციდები, რომელთა დახმარებით ისინი უნდა განადგურდეს, რადგან სარეველები კულტურულ მცენარეზე ორჯერ მეტ საკვებ ნივთიერებებს (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) მოიხმარენ ნიადაგიდან, ეს კი იწვევს მოსავლიანობის შემცირებას. ამგვარად, ზარალის შეფასებისას გადამწყვეტია, დაცული იყო თუ არა ყველა ტექნიკური და ტექნოლოგიური მოთხოვნა, მათ შორის თესვის და მოსავლის აღების ვადები. თანამედროვე სადაზღვევო კომპანიები სწავლობენ აგროქიმიურ რუკებს, აანალიზებენ ნიადაგს, მათი კომპეტენტური სპეციალისტები მონოდეტულნი არიან იმისათვის, რომ არა მხოლოდ გამოავლინონ დარღვევები, არამედ დაზღვეულს მიუთითონ სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ინოვაციების შესახებ.

სოფლის მეურნეობაში დაზღვევის ობიექტად შეიძლება მოგვევლინოს:

- უძრავი ქონების ობიექტები;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობები (მათ შორის სალიზინგო გარიგებები);
- საწარმოო გზით გამრავლებული ცხოველები და ფრინველები;
- გასამრავლებელი თევზის მარაგები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგები (მათ შორის მაცივრებში შენახული)
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი;
- მრავალწლიანი ნარგავები;
- მიწის ნაკვეთები.

აგროდაზღვევის განვითარებასთან ერთად ეს ჩამონათვალი ფართოვდება, მაგალითად, სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევების (ტექნოგენური, ბუნებრივი, ბიოლოგიური ხასიათის) შედეგად მიუღებელი შემოსავლის დაზღვევა.

აგროდაზღვევა განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება მემცენარეობაში. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სოფლის მეურნეობის ეს სექტორი უფრო მეტადაა დამოკიდებული ბუნებრივი პირობებზე. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა ითვალისწინებს შემდეგ რისკებს:

- მცენარის მოყინვა;
- სეტყვა და მეხის დაცემა;
- მიწისძვრა;
- ზვავი და მენყერი;

- ხანძარი, ტყის ხანძრების გარდა;
- ქარი და ქარიშხალი;
- ძლიერი წვიმები, წყალდიდობა, ღვარცოფი;
- გვალვა;
- მავნებლების შემოსევა;
- მესამე პირების არამართლზომიერი ქმედებები.

თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის მსოფლიო ბაზრის ტენდენცია (მოზიდული პრემიის მოცულობა) 8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ბაზრის 69% (5,5 მლრდ) ჩრდილოეთ ამერიკაზე მოდის.

ჩრდილოეთ ამერიკაში ფერმერებს სთავაზობენ აგროდაზღვევის პოლისების 3 ძირითად სახეს: მულტირისკი, დაზღვევა სეტყვისაგან და დაზღვევა ცალკეული რისკების მიხედვით. მულტირისკული დაზღვევის პოლისი ითვალისწინებს აგროკულტურებისათვის ყველა სახის სტიქიური უბედურებებით (გვალვებისა და წყალდიდობების ჩათვლით) მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სეტყვისაგან დაზღვევის პოლისი ფარავს სეტყვით და ცეცხლით მიყენებულ ზარალს. ცალკეული რისკების მიხედვით დაზღვევის პოლისი ანაზღაურებს განსაზღვრული კულტურების კონკრეტული რისკებისაგან გამომწვეულ ზარალს (მაგალითად, ციტრუსების მოყინვა), რომელსაც შეიძლება არ ითვალისწინებდეს მულტირისკის პოლისი.

ამ პროდუქტების არსებითი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მულტირისკის პოლისებზე სუბსიდიებს გასცემს აშშ-ის ფედერალური მთავრობა, ხოლო კანადაში – ფედერალური და პროვინციული მთავრობები. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტი იყიდება კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ, ტარიფები და დაზღვევის პირობები კონტროლდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან. სეტყვისაგან და ცალკეული რისკების მიხედვით დაზღვევის პოლისები წარმოადგენს წმინდა კომერციულ პროდუქტს, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

მეორე განმასხვავებელი ნიშანია ზარალის ანაზღაურების თანხის განსაზღვრის მეთოდი. მულტირისკული ანაზღაურება ეფუძნება მოსავლის ფასს, რადგან ამ პოლისით ანაზღაურებადი ძირითადი რისკების მოქმედება ვლინდება მთლიან სავაჭრო პერიოდში და საბოლოო ანგარიშით განაპირობებს მოსავლიანობას. სეტყვისაგან და ცალკეული რისკების მიხედვით დაზღვევის დროს ასანაზღაურებელი ზარალის თანხა განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (დოლარი) მიწის ფართობის ერთეულზე (აკრი).

მულტირისკული ხელშეკრულების თანახმად, ფერმერი ირჩევს მოსავლის განსაზღვრულ ღირებულებას, რომლის მიხედვით ის აზღვევს კულტურას სეზონის დასაწყისში. ზარალის ანაზღაურების თანხა გამოითვლება ამ ღირებულების გამრავლებით მოსავლიანობის სხვაობაზე ფრანშიზის გამოკლებით. ძირითადად ფერმერებს სთავაზობენ 35%-იან ფრანშიზას უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო მოსავლიანობიდან, რომელსაც „რეალური ისტორიული მოსავლიანობა“ (Actual Production History – APH) ეწოდება. სეტყვისაგან და ცალკეული რისკების მიხედვით დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, კულტურა ფასდება განსაზღვრულ თანხად მიწის ფართობის ერთეულზე, რომელიც არის სადღაც შუაში პროდუქციაზე საწარმოო დანახარჯებსა და მის საბაზრო ფასს შორის. სეტყვის მიერ კულტურის დაზიანების შემთხვევაში ზარალის ასანაზღაურებელი თანხა გამოითვლება როგორც პოლისის ღირებულების პროცენტი ფრანშიზის გამოკლებით.

რისკების დაზღვევის ღირებულება დამოკიდებულია გეოგრაფიულ ზონაზე, ნათესის მდგომარეობაზე, აგროტექნიკური მოთხოვნების დაცვის ხარისხზე და საშუალოდ 0,2-6% ფარგლებში მერყეობს. კერძოდ, საშუალო წლიური ტარიფი სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე 2010 წელს 3,5% შეადგენდა, ხოლო ცხოველების დაზღვევაზე – 0,76%. ფრანშიზის მოცულობა დამოკიდებულია რისკის დონეზე და მხარეების მოლაპარაკების საფუძველზე და 0-დან 35%-მდეა.

საბაზრო მექანიზმი გულისხმობს, რომ პროდუქციის წარმოების პროცესის ყველა მონაწილეს გააჩნია ეკონომიკური დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა თავის საქმიანობის შედეგებზე. მაგრამ ქვეყნის სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის სოციალური მნიშვნელობა, მისი დამოკიდებულების მაღალი ხარისხი ბუნებრივ პირობებსა და სხვა გარე ფაქტორებზე განაპირობებს ამ სექტორში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი ჩარევა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დაზღვევა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე ჩანს (იხ. ცხრილი 1), რომ აგროდაზღვევით სარგებლობის დონე ცალკეულ ქვეყნებში 100% აღწევს, ხოლო სახელმწიფო სუბსიდიები ამ მიმართულებით 67%.

აგროდაზღვევა ევროპაში

ქვეყანა	დაზღვევით სარგებლობის დონე, %	სუბსიდიები დაზღვევაზე	
		მლნ €	სადაზღვევო პრემიის %
ავსტრია	78	24	46
კვიპროსი	100	4,4	50
ჩეხეთი	35	7	30
გერმანია	43	0	0
იტალია	8	180	67
ლატვია	1-ზე ნაკლები	0,05	50
პორტუგალია	22	32	68
ესპანეთი	26	232	41
ევროკავშირი		497	32

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სადაზღვევო სისტემა სოფლის-მეურნეობის დაცვასა და განვითარებაში მეტ ეფექტს მიაღწევს, თუ სახელმწიფო განახორციელებს არა სადაზღვევო შენატანების სუბსიდირებას, არამედ ზარალისას. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის ასეთი გადანყვეტა მთელ რიგ წინააღმდეგობებს მოიცავს და არცთუ ისე სამართლიანად გამოიყურება (დამზღვევი, რომელიც სრულად მიიღებს სადაზღვევო პრემიას, ვალდებულიცაა ანაზღაუროს ზარალი), ხშირ შემთხვევაში ბუნებრივი პირობების გაუარესებისაგან მომდინარე ზარალი შეიძლება იმდენად მასშტაბური აღმოჩნდეს, რომ სადაზღვევო კომპანიებმა ვერ შეძლონ ზარალის ანაზღაურება. აღნიშნული საკითხი კარგად არის გადანყვეტილი აშშ-ში, რომელიც წარმოადგენს აგროდაზღვევის მსოფლიო ბაზრის ლიდერს (სასოფლოსამეურნეო კულტურების დაზღვევის მსოფლიო ბაზრის 58%). აშშ-ის მთავრობა აფინანსებს როგორც სადაზღვევო პრემიებს, ასევე ზარალის ანაზღაურებას. მათ მიაჩნიათ, რომ მთავრობის დახმარება აუცილებელია იქამდე, სანამ იარსებებს ყოველწლიურად მიღებული მოსავლის მოცულობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების მკვეთრი მერყეობა.

მთავარი ცვლილებები, რომელიც ბოლო ათწლეულებში აგრარული რისკების დაზღვევის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარეობს, ეხება კატასტროფული დახმარების სახელმწიფო პროგრამებიდან სადაზღვევო პროდუქტებზე გადასვლას, ძირითადი სადაზღვევო კომპანიების კონსოლიდაციას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მასშტაბების ზრდას და ტექნოლოგიების გაუმჯობესებას.

ამრიგად, უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგრარული რისკების დაზღვევის ეფექტიანი სისტემის გარეშე წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრადი განვითარება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგრარულ სექტორში დაზღვევის პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს. ქართველ გლეხს და ფერმერს არ ეძლევა საშუალება თავი დაიცვას ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზარალისაგან. ეს მაშინ, როდესაც სექტორში დასაქმებულია მთლიანი დასაქმებული მოსახლეობის ნახევარზე მეტი. აღნიშნული პრობლემა დღის წესრიგში აყენებს იმ ობიექტური მიზეზების გამოვლენის აუცილებლობას, რომლებიც აფერხებენ სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროდუქტების განვითარებას საქართველოში.

პირველი მიზეზია სოფლის მეურნეობაში მოქმედი მენარმეების მცირე მასშტაბები, ტექნიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, დაფინანსების გაუმართავი სისტემა, დაბალი ლიკვიდურობა. სოფლის პროდუქციის ძირითადი ნაწილი – 90%-ზე მეტი – მაღალი ფრაგმენტაციის მქონე მცირე ზომის შინამეურნეობებშია კონცენტრირებული. შინამეურნეობების მიწის ნაკვეთი საშუალოდ 1,2 ჰექტარს შეადგენს, რომელიც, როგორც წესი, დაყოფილია 2-3 მიწის ნაკვეთად. ასეთი ზომის მეურნეობები არ არიან აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით, არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა ახალი ტექნოლოგიების შესახებ, მათი წარმოების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ამინდის არახელსაყრელი პირობები, ცხოველებისა და მცენარეების სხვადასხვა დაავადება, მავნებლები, გაუარესებული სარწყავი ინფრასტრუქტურა. საკრედიტო ინსტიტუტები არ არიან დაინტერესებული მათთან ურთიერთობის დასამყარებლად, ხოლო საპროცენტო განაკვეთები აგრარულ სესხებზე საკმაოდ მაღალია. სექტორის დაბალი რენტაბელობისა და ბევრ შემთხვევაში ზარალიანობის გამო, ქართველ გლეხებს, ფერმერებს უბრალოდ არ გააჩნიათ საკმარისი თანხები სადაზღვევო პოლისების შესაძენად.

მეორე მიზეზია სადაზღვევო კომპანიების სკეპტიკური დამოკიდებულება აგრარული რისკების დაზღვევის მიმართ. ასეთი დამოკიდებულება გამოწვეულია ბაზრის სიმცირით, ამ მიმართულებით გამოცდილების არარსებობითა და საჭირო კადრების სიმწირით, ასევე, სოფლის მეურნეობასთან

დაკავშირებული რისკების კატასტროფული ხასიათით. არსებულ ვითარებაში გამოსავლად შეიძლება მოგვევლინოს ქართული სადაზღვევო კომპანიების მენეჯერების სტრატეგიული აზროვნების განვითარება. კერძოდ, კარგ მენეჯერს არ უნდა უჭირდეს იმის გააზრება, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში უაღრესად ხელსაყრელია იყო პიონერი იმ ბაზრის ათვისებაში, რომელიც გამოირჩევა შეღწევის დიდი ბარიერებით და მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ლოგიკიდან გამომდინარე აუცილებლად განვითარდება ქვეყანაში. ასეთი სტრატეგიული ხედვის განვითარების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სადაზღვევო კომპანია “ალდაგი ბისიაი”, რომელმაც ბაზარზე შესასვლელად მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა და ქართველ ფერმერებს 2011 წლის პირველი კვარტილიდან ისეთი პროდუქტები შესთავაზა, როგორცაა შინაური ცხოველების, სათბურების, სიმინდის, ხორბლის და სხვა კულტურების დაზღვევა.

მესამე მიზეზია სახელმწიფოს პასიურობა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის სექტორის ფინანსური მხარდაჭერა მკვეთრად გაიზარდა, დაზღვევა ჯერ კიდევ ვერ მოხვდა აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტებში. აგრარული რისკების დაზღვევის სისტემის არსებობა ისეთივე მნიშვნელოვანია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, როგორც ჯანმრთელობის დაზღვევა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. სახელმწიფოს მიერ ბოლო წლების განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეწყობამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სადაზღვევო კომპანიებს კიდევ უფრო აქტიურად განვითარებისათვის ეს მიმართულება და გაეშალათ გაყიდვების არეალი. მსგავსი პროგრამის განხორციელება სოფლის მეურნეობაში ხელს შეუწყობს დარგის მკვეთრ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი რ., საერთაშორისო მენარმეობის რისკებისა და სადაზღვევო ბიზნესის პრინციპები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2003
2. მესხია ი., დაზღვევას სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება, გაზ. „ფინანსები“, 1998, 41.
3. შაბურიშვილი შ., თავართქილაძე მ., სადაზღვევო ბიზნესი გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციები ბიზნესში“ მასალები, ბათუმი, 16-17 აპრილი, 2010
4. რატომ არ არის აგრარული სფეროს დაზღვევა პოპულარული საქართველოში, თ. იობაშვილი ჯურნ. „ააფი“ <http://agro.ge/index.php?m=1153>.
5. Hans-Georg Petersen: “Insurance Theory and Social Security” Publisher: University of Potsdam 2005.
6. Second Annual Business Risk Report – Insurance, Ernst & Young. 2009. www.ev.com
7. Бакиров А.Ф., О методике субсидирования ущерба при страховании в сельском хозяйстве. Экономика сельскохозяйственных и перерабатывающих предприятий, 2007.
8. www.insur-info.ru
9. www.swissre.com
10. www.maf.ge

SHOTA SHABURISHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

INTERNATIONAL EXPERIENCE IN AGRICULTURAL RISK INSURANCE AND GEORGIA

S u m m a r y

Agro insurance serves as one of the most important factors for financial insurance of agriculture all over the world and ensures its sustainable development. This type of insurance includes complex insurance of agricultural risks and improves economic, financial, technical and technological conditions of the farmers working in agricultural sector. The major changes going on in the world market of agricultural risk insurance are connected with the transformation from governmental catastrophic assistance programs to the insurance products, consolidation of major insurance companies, increase of the size of agricultural enterprises and improvement of technologies. At present, Georgian peasants and farmers do not have the ability to protect themselves from natural disasters and the loss caused by these disasters, which can be explained by a number of objective factors.

ნიადაგის დამუშავების თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები

მემცენარეობის პროდუქტების წარმოების აგროტექნიკური ღონისძიებების სისტემებში ტექნოლოგიებს და ტექნიკურ საშუალებებს ერთ-ერთ აქტუალური და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

უძველესი დროიდან მინათმოქმედი აუმჯობესებს ნიადაგის დამუშავებას და თესვას, კერძოდ ამ ოპერაციების შესრულების მექანიზაციის საკითხებს. ისტორიულად ევოლუციური გზა აქვს გავლილი ხის ჩვეულებრივ კავს თანამედროვე რთულ გუთნებამდე, ბუნდში ერთი მარცვლის ჩათესვას მაღალმწარმოებლურ ავტომატიზებულ სათესამდე, ცალკეულ ერთოპერაციან იარაღებს რთულ კომბინირებულ მანქანებამდე, რომლებიც ასრულებენ მთელ რიგ ტექნოლოგიურ ოპერაციებს მინდორში ერთი გავლის დროს [1].

ნიადაგის თესვისათვის მომზადების სისტემა შედგება ნიადაგის ძირითადი და თესვისწინა დამუშავებისგან.

ძირითადი დამუშავება გულისხმობს: ნიადაგის აოშვას და კორდის დაშლას, ხვნას ბელტის გადაბრუნებით ან გადაბრუნების გარეშე. აუცილებლობის შემთხვევაში სრულდება ანეულის კულტივაცია და ნიადაგის ქვედა ფენების გაფხვიერება. ნიადაგის თესვისწინა დამუშავება მიმართულია თესლის საფუძველის მომზადებისათვის მცირე სიღრმეებზე; ნიადაგის დამუშავების ეს ორი მდგენელი განუყოფელია და მხოლოდ ერთად განსაზღვრავენ თესვისათვის ნიადაგის მომზადების ხარისხს.

ნიადაგის მექანიკური დამუშავება ხარისხობრივი მაჩვენებლების გარდა უნდა იყოს აგრეთვე რაციონალური, რაც გულისხმობს ნიადაგდამზოგ, ტენდამზოგ და რესურსდამზოგ ტექნოლოგიებს.

მსოფლიოში ბოლო წლებში თავი იჩინა რესურსდამზოგი ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების სიმრავლემ, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოებაში. მათგან ძალზე ბევრი ორიენტირებულია მძლავრი და ზემძლავრი ტრაქტორების, აგრეთვე ჰერბიციდების და პესტიციდების ფართო გამოყენებაზე, რაც უარყოფიდად მოქმედებს ნიადაგის სტრუქტურასა და მისი მიკროფლორის და ფაუნის შენარჩუნებაზე.

ნიადაგის დამუშავების და თესვის ძირითად ამოცანებში შედის:

– ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუმჯობესება და მისი ნაყოფიერების ამაღლება, რაც მიიღწევა ბიოლოგიური, ფიზიკო-მექანიკური და ფიზიკური პროცესების წარმართვისათვის საუკეთესო პირობების შექმნით.

– მცენარეების, სარეველების, მავნებლების და დაავადებების გადამტანების მაქსიმალური რაოდენობით განადგურება;


– განსაზღვრულ სიღრმეზე მცენარეული ნარჩენების, მინერალური და ორგანული სასუქების ჩახვნა, ამით მცენარის ფესვთა სისტემის განვითარებისათვის ერთგვარი სახვნელი ფენის შექმნა;

– ნიადაგზე წვრილსტრუქტურული მოსწორებული სათესი ფენის და თესლისათვის გამკვრივებული საფუძველის მომზადება, რაც უზრუნველყოფს თესლის ჩათესვის და აღმოცენების საუკეთესო პირობებს;

– თესლის ჩათესვა გამკვრივებულ საფუძველზე, ნიადაგის სიღრმეში და ფართობზე მათი თანაბარი განაწილება.


ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიების ისტორიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავაგოთ „აღმასვლა-დაღმასვლის“ მრუდი და გამოვყოთ ნიადაგის დამუშავების ძირითადი ეტაპები [1,2], (სურ.1). ისტორიულად ნიადაგის დამუშავების პირველი ეტაპი იყო თესლის ჩათესვა ბუნდში, ხოლო შემდეგ პერიოდებში კი – თესლის ჩათესვა კვალში და მისი დაფარვა ნიადაგით; შემდგომი ეტაპები ითვალისწინებდნენ ნიადაგის დამუშავებას გუთნებით და შემდეგ – თესვა-დაფარვას.

მე-XX საუკუნის შუა წლებში „აღმასვლა-დაღმასვლის“ მრუდის მიხედვით გამოიყენებოდა შემდეგი ოპერაციები: ხვნა, რამდენიმე კულტივაცია, დაფარვა, ნიადაგის თესვისწინა მოსწორება, თესვა, თესვის შემდგომ ნიადაგის დატკეპნა; ეს ითვლებოდა ნიადაგის დამუშავების „ტრადიციულ ტექნოლოგიად“; ტრაქტორების სიმძლავრე, დამუშავების სიღრმე და მოდების განი განუწყვეტილ იზრდებოდა. გუთნები განიცდიდნენ კონსტრუქციულ გაუმჯობესებას, გამოჩნდნენ გლუვი ხვნის, საბრუნო გუთნები, რომლებიც არ ტოვებდნენ ნაზურგ ბელტებს.



სურ. 1. ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიის „აღმასვლა-დაღმასვლის“ მრუდი

ერთი შეხედვით, თითქოს მოხდა ბუნებაზე გამარჯვება, მაგრამ ამან უკურეაქცია გამოიწვია – იხარჯებოდა უდიდესი ენერგეტიკული რესურსები [6], პირველ რიგში ნავთობი, კატასტროფულად გაიზარდა შრომითი დანახარჯები. შედეგად ნიადაგის ზედა ფენები ძალზე გაფხვიერდა, ხოლო სახნავი ფენის ქვედა ნაწილში ნიადაგი ძალიან გამკვრივდა ტრაქტორის სავალი ნაწილის მოძრაობის შედეგად (სურ. 2).



სურ. 2. გუთნის ზემოქმედებით ნიადაგის სტრუქტურის დაშლის სქემა.
1 – ჰუმუსიანი ფენა; 2 – სახნავი ფენის ძირი; 3 – სახნავი ფენა; 4 – თესლი

ნიადაგის ზედა ფენების გაფხვიერებული და სწორი ზედაპირი ქარის ეროზიის გამო უნაყოფო ხდებოდა, შედეგად მსოფლიოს სახნავი ფართობების მილიონობით ჰექტარი ეროზიას განიცდის – ჰუმუსის შემცველობა 10–12 %-დან დაეცა 5–6 %-მდე. მინათმოქმედება ჩიხში აღმოჩნდა, რამაც მსოფლიოს მეცნიერები სავსებით ჩააგდო.

დღეისათვის თითქმის მთელ მსოფლიოში გაისმის შენიშვნები ეკოლოგიურ დანაკარგებზე, ხორბლის მაღალ ფასებზე და მოსავლიანობის შემცირებაზე. მემცენარეობის წარმოების ტრადიციული მოდელების დროს მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება სამრეწველო დანახარჯებზე და მისი შემცირება მსოფლიო მენარმეების ერთ-ერთი უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ამიტომ ყველა ერთხმად აღიარებს ნიადაგის დამუშავების და თესვის ტექნოლოგიების ექსპერტიზის აუცილებლობას და ტრადიციული ტექნოლოგიების შეცვლას სხვა, უფრო რენტაბელური და მრეწველობისთვის ეკონომიკურად მომგებიანი ტექნოლოგიებით.

ტრადიციული ტექნოლოგიები (იგი გულისხმობს ხვნასაც) გასაგები მიზეზების გამო უნდა შეიზღუდოს და, პირველ რიგში, სანვავის დიდი ხარჯის გამო, ვინიდან სანვავზე ფასი მუდმივად და მეთოდურად იზრდება. მაგრამ იგი არ შეიძლება შეიზღუდოს ისეთ კულტურებში, როგორცაა სიმინდის და მზესუმზირის შემდგომი აგროფონები და სხვა ტრადიციული ფიზიოლოგიური პირობების და პროცესების შემთხვევაში.

ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სხვადასხვა ტექნოლოგია არ უნდა უარყოფდეს სხვა ტექნოლოგიებს, ისინი უნდა ავსებდნენ ერთმანეთს მინდვრის აგროეკოლოგიური პირობების ერთიან სისტემაში. ამავე დროს აუცილებელია, რომ ნებისმიერი ტექნოლოგია აკმაყოფილებს პირობას – შენარჩუნებული და გაუმჯობესებული იქნეს ნიადაგის ნაყოფიერება.


მსოფლიო ეკონომიური პოლიტიკის გამო თანამედროვე სოფლის მეურნეობა გადადის ახალ ეკონომიკურ მოდელებზე, რომელსაც ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები ეწოდებათ. ისინი ითვალისწინებენ: პირდაპირი დანახარჯების შემცირებას, მათ შორის სანვავ-საცხები მასალების 3-ჯერ და უფრო მეტად შემცირებას; ნიადაგის ეროზიის აცილებას; ნიადაგის ნაყოფიერების გეგმაზომიერ გაზრდას; ნიადაგის ტენიანობის შენარჩუნებას.

ამ სისტემის არსი მდგომარეობს ტრადიციული ტექნოლოგიიდან ნიადაგის ძირითადი და თესვისწინა დამუშავების ამოღებაში, როგორც ყველაზე ხარჯიანი და ენერგოშემცველი, ე.ი. ამოღებულია ხვნის ოპერაცია, რომელიც მარცვლეული კულტურების წარმოებაში იკავებს 34%-ს. ამრიგად, ოპტიმიზაცია უკეთდება საწარმოო პროცესებს, რომლებიც ხდებიან მართვადი, პროგნოზირებადი და ეფექტური.

ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიების ევოლუციის კუთხით დაიწყო ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიის „დაღმასვლა“. ტექნოლოგიიდან გამორიცხული იქნა მეტად ენერგოტევადი ოპერაცია – ნიადაგის ბელტის გადაბრუნება. აღნიშნული ტექნოლოგიის პირველი მიმდევარი იყო რუსი მეცნიერი ტ. მალცევი [1,4], რომელიც უპირატესობას ანიჭებდა ნიადაგის ხვნას უფრო გუთნებით ე.ი. ბელტის გადაბრუნების გარეშე ნიადაგის დამუშავებას. წლების განმავლობაში აღნიშნული ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად მიღწეული იქნა სარეველა მცენარეების ნიადაგში ჩახვნის გარეშე განადგურება ჰერბიციდების გამოყენების შედეგად, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ იშლებიან გარემოსთვის უვნებელ მდგენელებად.

ნიადაგის დამუშავების „დაღმასვლის“ მრუდზე მომდევნო ნაბიჯია ნიადაგის მინიმალური დამუშავება, რომლის დროს ნიადაგის დამუშავების სიღრმე ტოლია თესლის ჩათესვის სიღრმის, ე.ი. გაცილებით ნაკლები, ვიდრე ფრთიანი გუთნებით ხვნის დროს. აღნიშნული ტექნოლოგიის ძირითადი დებულებები დამუშავებული იქნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინელი მეცნიერის ივანე ოვსინსკის [3] მიერ. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მან შექმნა სპეციალური იარაღი ნიადაგის მცირე სიღრმეზე დასამუშავებლად და წარმატებით იყენებდა მას თავის მეურნეობაში. შემდგომ, ნიადაგის დამუშავების ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად გადაწყდა რიგი ამოცანებისა, როგორცაა: ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება, გვალვის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება, მავნებლებისაგან და სარეველებისაგან ნაკვეთების განთავისუფლება [7].

ნიადაგის მინიმალური დამუშავება, ნიადაგის დამუშავების სისტემა, საშუალებას იძლევა შემცირდეს ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავლათა რაოდენობა ნიადაგის ზედაპირზე, რითაც მცირდება ენერგეტიკული დანახარჯები, სახნავი ფენის გამკვრივება და გამტვრიანება. ეს მეთოდი გამოიყენება კარგად კულტივირებულ ნიადაგებში და წარმოადგენს ნიადაგის დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ოპერაციას ერთ სამუშაო პროცესში, ამცირებს ნიადაგის ზედაპირის დამუშავებათა რაოდენობას ან აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროებს ჰერბიციდების გამოყენებას (სურ. 3).



სურ. 3. ნიადაგის მინიმალური დამუშავების კომბინირებული მანქანის მუშაობის ტექნოლოგიური სქემა

ინტენსიური მინათმოქმედების განხორციელების შემთხვევაში ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის განხორციელება განპირობებულია ნიადაგის დაცვით მძიმე ტრაქტორების და სატრაქტორო სატრანსპორტო საშუალებების უარყოფითი ზემოქმედებისგან, ენერგეტიკული და ნახარჯების და შრომითი რესურსების შემცირებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდით და პროდუქციის თვითღირებულების კლებით.

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით [4,5,6,7] შეიძლება აღინიშნოს, რომ მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის გამოყენებისას მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა არ მცირდება ტრადიციულ ტექნოლოგიასთან შედარებით (ხვნა 20–24 სმ), ორჯერ ნაკლები ენერგოტევადაა, 12 – 17 კგ-ით მცირდება 1 ჰა-ზე საწვავ-საცხები მასალების ხარჯი; აღნიშნული ტექნოლოგიის ღირსებაა ისიც, რომ 1,3 – 5,0 ც/ჰა მატულობს საჰექტარო მოსავლიანობა გვალვიან პერიოდში (საშუალოდ 3,2 ც/ჰა) 20 – 24 სმ სიღრმის ხვნასთან შედარებით, ხოლო საკმარისი ტენიანობის პერიოდისათვის იგი უთანაბრდება ტრადიციული ტექნოლოგიით მიღებულ საჰექტარო მოსავლიანობას.

მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის ხანგრძლივი გამოყენების (25 წელი) შემთხვევაში მარცვლეული კულტურებისათვის (8–10 სმ სიღრმე) და კარტოფილისათვის (14 – 15 სმ) უმჯობესდება ნიადაგის ზედა ფენის (0 – 10 სმ) ნაყოფიერების აგროფიზიკური, აგროქიმიური და ბიოლოგიური მაჩვენებლები. ჰუმუსის შედგენილობა იზრდება 1,71-დან 2,60%-მდე, ნიადაგის სიმკვრივე მცირდება 1,41-დან 1,20 გრ/სმ³-მდე; აღსანიშნავია, რომ მინიმალური დამუშავების დროს სასუქთან ერთად შეტანილი კვებითი ნივთიერებები თესლბრუნვის დროს ლოკალიზდება ნიადაგის ზედაპირულ ფენებში, რაც ხელს უწყობს სათეს ფენებში კვების მაღალ და მცენარის ზრდა-განვითარების კარგ სასტარტო პირობებს. აღსანიშნავია, რომ იზრდება სასუქების გამოყენების ეფექტი 8 – 10%-ით, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნიადაგის ნულოვანი დამუშავება – არის ნიადაგის ოპტიმალური სტრუქტურის შექმნისათვის კომპლექსური პირობების შექმნა, ე.ი. იქმნება სიტუაცია, როდესაც დამუშავება არ არის, მაგრამ მისი ფუნქცია სრულდება. ნულოვანი დამუშავების დროს არ ხდება მექანიკური ზემოქმედება ნიადაგზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნიადაგი არის მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა მცენარის ზრდა-განვითარებისათვის. დღეისათვის „ნულოვანი“ ტექნოლოგია – ეს არის ნიადაგი მექანიკური დამუშავების გარეშე (აქ არ იგულისხმება სათესი მანქანის ზემოქმედება ნიადაგზე) [4,5] (სურ.4).



სურ. 4. ნანვერალზე პირდაპირი თესვა (ნულოვანი დამუშავების ტექნოლოგია)

დღეისათვის ნულოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით მთელ მსოფლიოში დამუშავებულია 150 მლ. ჰა. არგენტინის, ბრაზილიის და პარაგვაის 60% სათესი ფართობები დამუშავებულია ნულოვანი ტექნოლოგიით (No-Till) და უახლოეს ხანებში იგეგმება ფართობების გაზრდა 90%-მდე. ნულოვანი ტექნოლოგიების გამოყენების გზით მსოფლიო აგრარეკოსები აღწევენ ორ მიზანს: ეკოლოგიურ კატასტროფის საშიშროების შემცირებას და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას [7].

თანამედროვე ტექნოლოგიების რეალიზაციისთვის გამოყენებულია ბლოკ-მოდულური სისტემის კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, აგრეთვე კონკრეტულ პირობებში სამუშაოდ გათვალისწინებული ადაპტური მანქანები, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია ზონალურ აგროლანდშაფტზე და კულტურული მცენარის სახეზე. ამ მიზნით გარკვეული სამუშაოები აქვთ ჩატარებული მსოფლიოს მონინავე ქვეყნების: აშშ, კანადა, ავსტრალია, ბრაზილია, არგენტინა და ევროკავშირის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ კორპორაციებს და ფირმებს: Djon-Deer, Lemken, Amazone, Gaspardo და სხვა.

მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის დროს ნიადაგის დამუშავების მინიმალურ, ხოლო შემდგომ ნულოვან ტექნოლოგიებზე გადასვლა იწყება მოსავლის აღების კომპანიის დროს, როდესაც გალენილი ნარჩენების დაქუცმაცებული მასა თანაბრად ნაწილდება მინდვრის ზედაპირზე. შედეგად ფორმირდება ნიადაგდამცავი საფარი, რომელიც ეწინააღმდეგება წყლის და ქარის ეროზიას, უზრუნველყოფს ტენის შენარჩუნებას, ეწინააღმდეგება სარეველების აღმოცენებას, აქტიურებს ნიადაგის მიკროფლორას, ითვლება ნაყოფიერი ფენების აღდგენის და კულტურების მოსავლიანობის გაზრდის ბაზისად.

ნიადაგის მინიმალური ან ნულოვანი დამუშავების პირობებში, თესლბრუნვის დროს, მიზანშეწონილია 5-7 წელიწადში ერთხელ ნიადაგის ღრმად დამუშავება 45-55 სმ სიღრმეზე ღრმად გამაფხვიერებლებით, რათა მოხდეს ნიადაგის ქვედა ფენების გაფხვიერება ტენის შენარჩუნების მიზნით და სათესი ქერქის მოსაშლელად, აგრეთვე კულტურული მცენარის ფესვთა სისტემის ჰორიზონტალურად განვითარების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული ღონისძიება უკვე ინერგება დედოფლისწყაროს რაიონში, სადაც ძირითადად მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებია განხორციელებული [8].

ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიის ევოლუციის შედეგად „აღმასვლა-დაღმასვლის“ მრუდი გვიჩვენებს, რომ მრუდის საწყისი და საბოლოო წერტილები, ანუ ტექნოლოგიები, ერთნაირია, ე.ი. ისევ დავუბრუნდით მინათმოქმედებაში კაცობრიობის პირველ ნაბიჯებს; მაგრამ ისინი ერთმანეთს არ გვანან, ვინაიდან ძალზე დიდი სხვაობაა ტექნიკურ საშუალებებში, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება პრიმიტიული და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებიდან სწრაფად ვრცელდება რესურსდამზოგი ტექნოლოგიები, რომელთა შემადგენელი ნაწილია ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია მოითხოვს ძვირად ღირებული მანქანების გამოყენებას, იგი ამართლებს თავის დანიშნულებას ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნებით, ოპერაციის ნაკლებად შრომატევადობით, შრომითი და რესურსების დანახარჯების შემცირებით, ხარისხიანი და გაზრდილი მოსავალით, ერთეული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით და ა.შ. მიუხედავად რესურს-დამზოგი ტექნოლოგიების რიგი უარყოფითი მხარეებისა, ამ ტექნოლოგიების ათვისება ჩვენი ხვალისდელი დღეა და ამ პროცესისათვის მზადება ქვეყანამ აქედანვე უნდა დაიწყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაფაქიძე ე., ნატროშვილი დ. სასოფლო-სამეურნეო მანქანები (I ნაწილი), „პოლიგრაფი“, თბილისი, 2010.
2. შაფაქიძე ე., ქვარცხავა მ. ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფის საკითხებისათვის. საქ.სმმა „მომბე“, 26, 2009.
3. Овсинский И.Е., Новая система земледелия, пер. с польск., М., 1911.
4. Лушникова М., No-Till, это значит –“без вспашки”, Технология <<нулевой>> обработки почвы. Журн. “Агротехника”, №1, 2007.
5. Орлова Л.В., Научно-проектическое руководство по освоению и применению технологий сберегающего земледелия. Самара: Изд-во ЗАО <<Евротехника>>, 2004.

6. Найденов А.С., Терешенко В.В., Бардак Н.И., *Обработка почвы: найти золотую середину*, Алма-Ата, 2007.
7. Саленков С.Н., *Ресурсосбережение и снижение затрат при возделывании зерновых культур – приоритетные направления в растениеводстве*. Минск, 2005.
8. ბრეგვაძე ზ., ებანოიძე ნ. ღრმად გამაფხვიერებელი. უ. „აგრარული საქართველო“, 6, თბილისი, 2010.

ELGUDJA SHAPAKIDZE

Corresponding Member of the GAAS

Full Professor GAU

MERAB KVARTSKHAVA

Doctoral Student, GAU

MODERN COMPETITIVE TECHNOLOGIES AND TECHNICAL MEANS FOR SOIL CULTIVATION

S u m m a r y

The main stages of soil cultivation and the theory of growth and decline curve of soil cultivation technologies are considered in the paper. We emphasize those modern technologies which dramatically decrease the cost price of production units, shrink the expenses on fuel and oil materials and raise the quantity and quality of production. The implementation of energy-saving technologies applied for collecting and taking care of the grain cultures improves physical and mechanical properties of the soil and increases its fertility, keeps the soil moisture and avoids erosion caused by water and winds. The aforementioned technologies fully satisfy the demands for keeping the stable soil structure by means of less laborious operations, by increasing the quality and quantity of the harvest, decreasing the cost price of production units, etc. Although the resource saving technologies have some negative aspects, their mastering is still necessary and the country should already start to move in this direction.

РАЗВИТИЕ СЕЛЬСКОГО ЗЕЛЕННОГО ТУРИЗМА В УКРАИНЕ: АКТУАЛЬНОСТЬ, ПРОБЛЕМЫ, ВОЗМОЖНОСТИ, ПЕРСПЕКТИВЫ

Представьте себе тонущего в океане человека. На вопрос, что нужно ему прежде всего, чтобы выжить, даже ребёнок без затруднения ответит – глоток воздуха. А ведь вода, как и воздух, есть той необходимостью без которой невозможна человеческая жизнь. По нашему мнению, тонущий в воде человек очень сильно напоминает современного городского жителя, «тонущего» в «океане» расписаний, заседаний, выхлопных газов, асфальта, бетона, пластика, мобилок, компьютеров, а также глетаемых на ходу генномодифицированных продуктов питания и прочих признаков нашего времени, среди которых угрожающие человечеству нервные срывы, стрессы, жестокость, распушенность, алкоголизм, наркомания и даже суициды.

Актуализация проблем духовного и физического здоровья значительной части населения планеты достигла уровня злободневности и побуждает к поиску различных средств и методов его восполнения, сохранения и защиты. Поэтому совсем неудивительно, что достаточно востребованными теперь стали такие профессии как психолог, психоаналитик, психотерапевт и психиатр, но поскольку человек – это дитя природы, то, наверное, гораздо правильнее искать помощи именно у неё. Предвидя дальнейшее усиление урбанизации и интенсификации рабочих функций, мы высказываемся за ускоренное развитие зеленого туризма, который имеет много позитивов и способен время от времени возвращать нас к истокам, восполняя потерянные силы и таким образом защищая от стрессогенной жизни в мегаполисах.

Не менее важно, и это подтверждает современный мировой опыт, научные исследования в этой сфере, что ускоренное развитие сельского зеленого туризма может сыграть роль катализатора структурной перестройки всей экономики, развернуть тенденцию постепенного упадка села в сторону его возрождения, обеспечив демографическую стабильность и решение неотложных социально-экономических проблем в сельской местности. Украине крайне важно быстро преодолеть отставание этого сектора отрасли туризма и реализовать имеющийся богатый туристический потенциал путем проведения взвешенной политики государственного регулирования, в том числе и на региональном уровне.

Многие вопросы сельского зеленого туризма уже освещены в работах известных ученых в области экономики, права, географии, экологии, истории, социологии, государственного управления и конечно же туризоведения, в частности: Ю. Алексеева, Е. Арсеньевой, В. Бирковича, П. Горишевского, О. Грец, С. Дмитрук, В. Евдокименко, А. Ерёмченко, Ю. Зинько, И. Зорина, А. Корлоль, Д. Крамера (D. Kramer), Й. Криппендорфа (J. Krippendorf), Ю. Кузьменко, А. Кускова, Т. Лужанской, М. Лендела, С. Мельниченко, В. Микловда, Ф. Муанэ, М. Питюлича, К.-Х. Рохлитца (К.-Н. Rochlitz), М.Рутинского, И. Ткач, К. Ткач, В. Феер, Н. Феоктистовой, Л. Федоренковой, П. Хасслахера (P. Hasslachner) и других исследователей.

Избрав своим стратегическим курсом интеграцию в структуры Европейского Союза, Украина столкнулась с насущной необходимостью ускоренного реформирования различных сфер социально-политической и экономической жизни страны, в частности, сферы услуг туризма, трансформируя ее к стандартам ЕС. При этом нужно отметить, что мировой опыт прогрессивного хозяйствования отдает туризму первое место среди других отраслей экономики по объемам экспорта товаров и услуг. По данным Всемирной туристической организации, в более 40 странах мира туризм стал основным источником наполнения бюджета, а в 70 странах - одной из трех основных статей [1]. За последние десятилетия количество туристов в мире неуклонно возрастало и достигло трети населения земного шара. По прогнозам экспертов XXI век обещает быть веком туризма, и к этому нужно соответственно готовиться. Сегодня наиболее динамично растущим сектором мирового туристического хозяйства является сфера сельского зеленого туризма [2].

Зеленый сельский туризм (green rural tourism), или агротуризм (agrotourism, farm tourism), особенно популярный в США и странах Западной Европы, – отдых в сельской местности (в деревнях, на хуторах, в удобных крестьянских домах). Туристы некоторое время ведут сельский образ жизни среди природы, знакомятся с ценностями народной культуры, прикладного искусства, с национальными песнями и танцами,

местными обычаями, принимают участие в традиционном сельском труде, народных праздниках и фестивалях [3].

Кроме того, невозможно не согласиться с мнением о том, что сельский зеленый туризм - перспективное направление малого туристического бизнеса, основанное на активном отдыхе в сельской местности. Разнообразие циклов туристических занятий: познавательных (ознакомление с культурно-историческими, природными, этнографическими ценностями), развлекательных (рыбная ловля, охота, сбор грибов, ягод, трав), оздоровительных (купание в водоемах, занятие физическим трудом), смена впечатлений и почти постоянный контакт с природой - делают сельский зеленый туризм одним из эффективнейших видов рекреационной деятельности, обладающим постоянно возрастающей популярностью.

Существующая за рубежом экономика здравого смысла, давно научила городских и сельских жителей строить свои взаимоотношения на взаимовыгодной основе. Так, в результате развития сельского зеленого туризма горожане имеют возможность получить здоровый отдых по вполне приемлемым ценам, а сельские жители - возможность более эффективно использовать свой жилой фонд, реализовать часть произведенной сельхозпродукции прямо на месте. Кроме того, экономическая актуальность этого вида малого бизнеса в сельской местности заключается в возможности решения проблемы занятости как сельского (в качестве создателей туристического продукта), так и городского населения, расширения связей между городом и селом, сближения уровней их социально-экономического развития [4].

Интерес к сельскому туризму высокий во всех странах мира. Вместе с тем, каждая страна стремится создать собственную национальную модель развития сельского туризма. Эта отрасль туризма может развиваться не везде, а только в регионах, не охваченных деятельностью, загрязняющей окружающую среду. Во многих развитых западноевропейских странах, таких как: Франция, Великобритания, Нидерланды, Греция, Ирландия, Германия, Испания, Польша и т.д. занятие сельским туризмом поощряется на национальном уровне (государственная поддержка уже есть и в Белоруссии) [5].

Существуют разные предположения о времени и месте зарождения сельского зеленого туризма. Некоторые представители учёного мира считают, что его развитие началось в середине XIX века в Европе, а некоторые - уточняют, что именно Франция и Швейцария претендуют на родительство сельского туризма, но также обращают внимание на достаточно длительное лидерство США касательно объёмов его развития.

Все вышеизложенное свидетельствует о том, что Европейский Союз видит в сельском туризме мощный рычаг экономического подъема своих сельских территорий. Для Украины сельский зеленый туризм понятие достаточно новое, которое ещё даже точно не определено, но далеко не новое явление, вид деятельности и отдыха. Нелишне будет вспомнить о том, что традиция этого вида отдыха в Украине более старая, чем кажется. Отдых на селе использовался известными украинскими писателями, художниками, артистами и политиками с давних времен. Например, еще в начале XX века в Карпаты на лечение или отдых в горах у хозяев приезжали И.Франко, Л.Украинка, М.Грушевский, В.Гнатюк и другие не менее выдающиеся личности.

Некоторые учёные считают, что сельский зеленый туризм в Украине прошел два этапа своего становления и развития, а сейчас находится на третьем (рис. 1)

Учитывая, что в Украине нет официального определения сельского зеленого туризма и иногда случается путаница между терминами «сельский туризм», «зелёный туризм», «природный туризм», «агротуризм», «экотуризм» активный исследователь этой темы В. Биркович в одной из своих работ предложил следующее содержание вышеуказанного понятия: сельский зеленый туризм – это специфическая форма отдыха в частных хозяйствах сельской местности с использованием имущества и трудовых ресурсов личного сельского, подсобного или фермерского хозяйства, природно-рекреационных особенностей местности и культурного, исторического, а также этнографического наследия региона [1].

Сегодня, туристическая отрасль в Украине является далеко не первой по значению составляющей пополнения бюджета и ее удельный вес должен значительно возрасти, учитывая такие объективные предпосылки, как выгодное геополитическое расположение Украины в центре Европы, наличие значительного туристско-рекреационного потенциала, благоприятный климат, богатые флора и фауна, многочисленные культурно-исторические памятники мирового уровня.

ЭТАПЫ РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОГО ЗЕЛЁНОГО ТУРИЗМА (СЗТ) В УКРАИНЕ		
I этап	II этап	III этап
Формирование СЗТ	Становление частных форм СЗТ	Становление правовых форм СЗТ
Конец XIX – сер. XX вв.	60-е гг - 90-е годы XX в.	с 90-х гг XX в.
Этот период в основном характеризуется отдыхом и творческим трудом зажиточных горожан в знаковых им крестьян, в частных усадьбах и имениях. Это явление еще не рассматривается как туризм и не было организованным	В этот период популярным был отдых в арендованных туристами комнатах (квартирах) на горных курортах или в Крыму, что чаще было вызвано отсутствием или дороговизной свободных мест в пансионатах или санаториях. Это не был отдых в деревне, чаще всего это была курортная местность, однако часть туристов все же останавливалась в сельских домах. Это была в большинстве случаев нелегальная, необлагаемая налогом и стихийная деятельность	Появилось понятие «сельский зеленый туризм» (1996 г.) Образовался Союз содействия развитию сельского зеленого туризма в Украине - общественная неприбыльная организация. Организаторами Союза и некоторых других организаций были сделаны первые шаги в развитии сельского зеленого туризма Украины: активно изучался и популяризировался опыт других стран, в 1997 г. был основан журнал «Туризм сельский зеленый», с 2003 года ежегодно проводится Всеукраинская выставка-ярмарка «Украинское село приглашает»

Рис. 1 Периодизация развития сельского туризма в Украине

Особый интерес представляет развитие малого туристического бизнеса в сельской местности, получившего широкое распространение в соседних Венгрии, Чехии, Польше, Словакии, а также благополучной и хорошо развитой Великобритании. Возможность удовлетворения рекреационных потребностей населения, проживающего в условиях урбанизированной среды, в районах со сложной экологической ситуацией, обусловило заметный интерес к сельскому зеленому туризму, одному из альтернативных видов отдыха, уже и в Украине. Кроме того, приоритетность развития сельского зеленого туризма в Украине обусловлено насущной необходимостью неотложного решения социально-экономических проблем современного села. Ведь в сельской местности на протяжении уже нескольких десятилетий наблюдаются старение и убыль населения, рост безработицы, массовая миграция с целью заработка и другие упаднические тенденции. Например, уровень рождаемости сельского населения в расчете на 1000 человек снизился с 13,7 до 9,4 человек, уровень смертности повысился с 14,4 до 20,5 человек и превысил аналогичный показатель смертности городского населения в 1,4 раза [7]. С 1990 г. до начала 2006 г. Украина потеряла 312 деревень и их названия исчезли из современных географических карт. По данным официальной статистики сегодня в Украине осталось немного больше 28000 сел. Подавляющую часть населения этих сел составляют лица пенсионного или трудоспособного предпенсионного возраста, при этом, в больше чем 8 тысяч сёл за последние годы не родился ни один ребенок. Такие поселения обречены на исчезновение, а это вызывает потерю сельских традиций, которые являются колыбелью национальной культуры. К сожалению, более половины жителей сельской местности находятся за чертой бедности. При таких условиях существования крестьянин вынужден искать другие сферы деятельности, которые обеспечивали бы ему хотя бы прожиточный минимум. С нашей точки зрения, именно развитие сельского зеленого туризма могло бы остановить вышеупомянутые печальные тенденции в украинских селах, повысить материальное благосостояние и частично решить проблемы занятости сельского населения. Следовательно, рассматриваемая сфера туристических услуг требует государственного регулирования и поддержки, в том числе, и на региональном уровне.

В мире сельский зеленый туризм рассматривается как альтернатива сельскому хозяйству по размерам полученных доходов. К тому же, развитие инфраструктуры сельского туризма не требует таких значительных капиталовложений, как другие виды туризма и может осуществляться за счет внутренних средств самих крестьян и внешних – со стороны тех, кто на заработках, без дополнительных инвестиций. Сокращение миграции из сел в города позволит сэкономить значительные финансовые и материальные ресурсы, ведь, по подсчетам экспертов Европейского банка реконструкции и развития, обустройство в

городе выходца из сельской местности в 20 раз дороже, чем создание нормальных условий для его жизни и работы в деревне [8].

На наш взгляд, развитию сельского зеленого туризма в Украине способствуют следующие факторы: 1) возрастающий спрос жителей украинских городов и иностранцев на отдых в сельской местности; 2) сравнительно стабильная общественно-политическая ситуация, отсутствие военных конфликтов, терроризма; 3) «мягкий» климат, наличие множества и разнообразия живописных уголков; 4) возрастание количества лидеров общественного мнения на местах, понимающих важность этого вопроса; 5) необходимость поиска новых путей наполнения местных бюджетов, постепенное развитие предпринимательства в сельской местности; 6) активизация общественного движения энтузиастов вышеуказанного рода деятельности, его поддержка международными благотворительными фондами; 7) уникальное историко-этнографическое наследие украинских сел, местный колорит; 8) богатые лечебно-рекреационные ресурсы (15 уникальных природных заповедника, множество легкодоступных лечебных родников и др.); 9) экологическая чистота сельской местности; 10) относительно свободный сельский жилой фонд для приема туристов (больше 1 млн. частных жилых домов в сельской местности из существующих 6,4 млн. потенциально могут быть использованы для сельского зеленого туризма; 11) наличие свободных трудовых ресурсов для обслуживания туристов (более 4 млн. нетрудоустроенных или частично трудоустроенных в сельской местности, значительная часть из которых имеет высшее образование); 12) традиционное гостеприимство хозяев и доступная цена за отдых; 13) проблемы с реализацией сельскохозяйственной продукции, которая вырабатывается в частных или фермерских хозяйствах (2/3 от всей продукции); 14) возможность предоставления комплекса дополнительных услуг по экскурсиям, походам, охоте, рыбалке, сборе целебных трав, ягод и грибов, катанию на лошадях, велосипедах, катерах, лодках, байдарках и т.д.; 15) многообразие религиозных организаций, традиций и храмов.

Развитие сельского зеленого туризма сможет обеспечить увеличение реальных доходов крестьян за счет: 1) предоставления услуг по приему на проживание туристов; 2) обустройства туристических маршрутов и предоставления экскурсионных услуг; 3) обустройства и эксплуатации стоянок для автотранспорта, а также транспортного обслуживания туристов; 4) егерской деятельности (охота, любительское и спортивное рыболовство); 5) предоставления услуг по прокату туристического снаряжения; 6) производства и реализации туристам экологически чистых продуктов питания, предоставления кулинарных услуг; 7) реализации товаров народных промыслов, проведения мастер-классов; 8) проведения культурно-развлекательных мероприятий с учетом историко-этнографического наследия (анимации); 9) уменьшения уровня безработицы; 10) реализации туристам целебных трав, грибов, ягод; 11) предоставления услуг по фото- и видеосъемке.

На территориях национальных и ландшафтных парков, где существует возможность соединить в полноценном отдыхе познания естественного, историко-этнографического и культурного потенциала региона, объективно складываются наиболее благоприятные предпосылки для развития сельского зеленого туризма. Изюминкой сельского зеленого туризма может стать яркая анимация, т.е. оживление программ обслуживания, отдыха и досуга туристов игровыми элементами и шоу-программами на базе историко-этнографического и культурного наследия региона. Примером этого служит прославленная в мире заповедная музейно-анимационная среда казачества на острове Хортица, где с первых шагов турист попадает в мир запорожского казачества. Большой интерес вызывает анимация «Битва наций», которую вам предложат в Хотынській крепости, а также «Тетта Негоіса» в Каменец-Подольском, который является одним из самых масштабных на территории Восточной Европы тематических военно-исторических фестивалей. Аналогично с анимационной направленностью развивается музейный комплекс Трипольской культуры в г. Ржищев и. Триполье Киевской области, где турист погружается в атмосферу трипольской эпохи. С элементами обрядово-бытовой анимационности реализуется на территории национального природного парка «Гуцульщина» проект музея гуцульской культуры под открытым небом.

В Украине есть множество интересных мест, расположенных в сравнительно благополучных экологически регионах, где рядом с достойными внимания достопримечательностями духовности и культуры, находятся усадьбы зеленого туризма. Наибольшая концентрация таких мест - на Правобережной Украине (хотя довольно и на других ее территориях), если учитывать три главных аспекта: наличие религиозных памятников и соответствующей экскурсионной инфраструктуры, доступность для поиска предложений «зеленого» жилья, массивы более или менее экологических рекреационных зон, в

частности лесов и водоемов. Поиск можно начать с двух сайтов: «Замки и храмы Украины», детища энтузиастки из Каменец-Подольского, что уже стала признанным авторитетом в этой области, и «Религиозно-информационная служба Украины», в частности его подразделений «Религиозный туризм», «Религиозное краеведение» и «Краеведение-дайджест». Кроме того, существует немало краеведческих сайтов и форумов. Следует обратить внимание на то, что непосредственно рядом с известными центрами религиозоведческих экскурсий и паломничества, - такими как Зарваница, Почаев, Манява, - жилья для туристов больше, но цены могут быть несколько выше, особенно в сезон, во время паломничеств, религиозных календарных и храмовых праздников.

Интересен опыт кластерной деятельности в сфере сельского зелёного туризма. В поселке Грицев Шепетовского района Хмельницкой области действует первый в Украине Кластер сельского зеленого туризма «Обериг», который объединяет 10 агроусадеб, принимающих туристов из разных регионов Украины и других государств, с которым тесно сотрудничают местные органы власти. Осуществляются мероприятия по развитию информационной и материальной баз кластера. Распространяется его опыт через семинары, обучение, сотрудничество с горрайонным центром занятости. Кластер «Обериг» имеет большие практические наработки по вопросам организации приема туристов в сельской местности. На сегодня он может одновременно принимать 50 человек на высоком уровне. Особенностью отдыха в деревне «по-грицевски» является проведение тренингов, семинаров, конференций и информационных встреч с сельского туризма, организованных Школой развития «Старая Волянь», которые посетили участники не только из Хмельниччины, но и из других регионов Украины (Киевская, Донецкая, Харьковская, Полтавская, Луганская, Львовская, Винницкая области), а также из Беларуси и Молдовы. Своим опытом «Обериг» делился выезжая в Республику Крым, Винницкую область, Беларусь, Польшу, Словакию, Чехию. Неоднократно организовывались выставки, экспозиции из сельского зеленого туризма.

Уверены, что развитие сельского зеленого туризма побуждает сельские общины уделять больше внимания благоустройству сел, реформированию транспортной инфраструктуры, возобновлению работы местных учреждений культуры, обеспечению экологической чистоты окружающей среды и решению насущных социально-экономических проблем села за счет дополнительных поступлений в бюджеты местных органов власти. Но не всё так гладко и хорошо, как хотелось бы. Сегодня развитие сельского зеленого туризма в Украине ограничивают и тормозят такие факторы: 1) непостоянство приоритетов развития государства, вследствие замены его руководителей; 2) отсутствие упорядоченной, объективной и полной базы данных по вопросам сельского зелёного туризма; 3) нет системности в управлении указанным сектором экономики; 4) отсутствие должного правового обеспечения развития сельского зеленого туризма; 5) недостаточное финансирование и отсутствие надлежащего учета в отрасли; 6) отсутствие механизма рационального и экологически сбалансированного использования природного и историко-культурного потенциала для потребностей туризма; 7) низкий уровень инфраструктуры и коммуникаций; 8) недостаточный уровень кадрового и рекламно-информационного обеспечения; 9) недостаточные навыки самоорганизации населения.

Эти негативные факторы можно преодолеть за счет проведения взвешенной политики государственного регулирования развития сельского зеленого туризма, в том числе и на региональном уровне, с использованием имеющихся рычагов прямого и косвенного воздействия [10]. Украина уже начала свой путь к мировым стандартам сельского туризма, которые существуют в развитых странах. Большую роль в становлении и развитии сельского зеленого туризма играет неприбыльная общественная организация - Союз содействия развитию сельского зеленого туризма в Украине, которая собирает и концентрирует данные из разных регионов страны, проводит конференции и тематические выставки в целях популяризации отдыха в украинском селе, способствует развитию сельской инфраструктуры, самозанятости сельского населения, воспитания уважения к красоте родного края гостеприимных жителей сельской местности, сохранения существующего культурного и исторического достояния Украинского народа. По ее инициативе созданы и успешно функционируют центры сельского туризма в большинстве областей Украины [11]. Развитие сельского зеленого туризма в Украине поддерживается специальными программами Международного фонда «Возрождение», фонда «Евразия», Европейской федерации сельского зеленого туризма «Еврожитс» и другими. Но этого недостаточно, чтобы сельский зеленый туризм в Украине сыграл роль катализатора развития многих отраслей экономики (сельское хозяйство, транспорт, связь, торговля, строительство и т.п.), стал ведущим фактором стабильного и динамичного увеличения поступлений в бюджет. Необходимо прежде всего осуществить законодательно-нормативное урегулирование основ его функционирования. Сейчас только отдельные

аспекты деятельности сельского зеленого туризма регулируются законами Украины «О туризме» [12], «О личном крестьянском хозяйстве» [13], «О предпринимательстве» [14]. Вместе с тем, принятая 19 сентября 2007 г. Кабинет Министров Украины Государственная целевая программа развития украинского села на период до 2015 года [2], к сожалению, не предусматривает никаких мер по развитию сельского зеленого туризма.

Для устранения имеющихся нормативно-правовых пробелов в этой сфере и обеспечения приоритетности развития сельского зеленого туризма целесообразно принять отдельный закон прямого действия «О сельском зеленом туризме», проект которого разработан по инициативе Союза содействия развитию сельского зеленого туризма в Украине и Института сельского развития и представлен на рассмотрение в Верховный Совет. Такой подход обусловлен тем, что туристическая деятельность в сфере сельского зеленого туризма отличается от туристической деятельности в целом тем, что субъектами предоставления туристических услуг являются не профессионалы, а хозяева крестьянских личных, подсобных и фермерских хозяйств, которые опираются на имеющиеся местные ресурсы. Положения этого закона должны определять общие правовые, организационные и социально-экономические основы реализации государственной политики Украины в этой сфере, способствовать поощрению сельского населения к развитию частной инициативы, к обеспечению самозанятости и повышению уровня и качества жизни на селе. Обеспечить надлежащий уровень национального стандарта услуг в сфере сельского зеленого туризма имеет подготовленный Государственной службой курортов и туризма проект нормативного акта «Услуги туристические. Туризм сельский зеленый. Основные требования», который соответствует действующим стандартам европейского образца. Принципиальным моментом формирования стратегии развития туризма в регионе является вопрос официального признания места и роли этой отрасли в экономической структуре конкретных регионов, а следовательно, и наработки соответствующих региональных комплексных целевых программ.

Опираясь на все вышесказанное, а также другие исследования по этой тематике можно утверждать о том, что сельский зеленый туризм - полезен как для отдыхающих, так и для хозяев - крестьян, сельских общин, регионов и государства в целом, способствует развитию многих связанных с ним отраслей экономики. Его развитие будет способствовать сохранению крестьянства как носителя украинской идентичности, культуры и духовности, это дополнительные возможности для популяризации украинской культуры, распространения знаний и информации об исторических, природных, этнографических особенностях Украины, он заслуживает всяческой поддержки со стороны государства.

Для обеспечения приоритетности развития сельского зеленого туризма в Украине и приближения его к стандартам ЕС представляется целесообразным:

- сформировать и упорядочить полную и объективную базу данных по вопросам сельского зеленого туризма, на её основе провести серьёзный, глубокий, комплексный анализ текущего состояния в этой сфере деятельности, оценить потенциал, возможные перспективы развития и разработать соответствующие мероприятия, предполагающие повысить конкурентоспособность украинского рынка услуг в сфере сельского зеленого туризма;

- упорядочить нормативно-правовую базу с принятием Верховной Радой Закона Украины прямого действия «О сельском зеленом туризме» и постановления Кабинета Министров по вопросам стандартизации его деятельности «Услуги туристические. Туризм сельский зеленый. Основные требования»;

- разработать региональные программы развития сельского зеленого туризма с интеграцией их в Программу развития сельского зеленого туризма в Украине, которую должно утвердить Правительство государства;

- определить методологию разработки и внедрения мониторинга достижения целевых показателей указанных программ на региональном и общегосударственном уровнях;

- разработать систему сбора и обработки статистической информации для обеспечения формирования электронных систем мониторинга региональных и государственной программ развития сельского зеленого туризма;

- создать инфраструктуры государственной финансово-кредитной поддержки развития сельского зеленого туризма;

- изучать и постоянно мониторить потребности на рынке услуг сельского зеленого туризма, следить за новинками, чтобы быстро и точно на них реагировать, собирать, разрабатывать и внедрять креативные идеи, инновационные технологии в сфере сельского зеленого туризма, в том числе опыт туристического кластера;

- организовать изучение потребностей рынка услуг сельского зеленого туризма в специалистах и урегулировать численность их набора в вузы на основе государственного заказа по целевым направлениям регионов;
- создать в системе учебных заведений разного уровня курсы переподготовки кадров для этой сферы туризма;
- создать систему информационно-аналитического обеспечения сферы туризма, в том числе и сельского зеленого туризма, как составной государственной информационной системы, продвигать за рубежом слоган «Лучший сельский зеленый туризм - в Украине! Убедитесь!»;
- делегировать Союзу содействия развитию сельского зеленого туризма в Украине, как органу профессионального и общественного самоуправления, полномочия по разработке и внедрению общеукраинских стандартов сельского зеленого туризма, а также осуществление внешнего независимого мониторинга государственной и региональных программ развития сельского зеленого туризма.

Список литературы:

1. Биркович В.И., Сельский зелёный туризм – приоритет развития туристической отрасли Украины. Стратегические приоритеты. Научно-аналитический квартальный сборник. 2008. - № 1 (6). – С. 138 – 143.
2. Всемирная туристическая организация. – <http://www.world-tourism.org>
3. Кузьменко Ю., Туризм: экологический, зелёный или сельский? http://tourlib.net/statti_tourism/kuzmenko.htm
4. Грец О.П., Малый туристический бизнес в сельской местности: обоснование предпосылок развития. http://tourlib.net/statti_tourism/grec.htm
5. Васильев В.П., Журнал «Туризм сельский зеленый», № 4, 2007 год.
6. http://tourlib.net/statti_ukr/siltur2.htm
7. Об утверждении государственной целевой программы развития украинского села на период до 2015 года: Постановление Кабинета Министров Украины от 19 сентября 2007 года № 1158 // Официальный вестник Украины. 2007. - № 73. - С. 7.
8. Европейский банк реконструкции и развития. - <http://www.ebrd.com/>
9. Недавняя О., Зеленый туризм с религиозным изюмом. Источник: «Зеркало недели». 2010. № 23 от 19 июня. http://tourlib.net/statti_ukr/nedavnya2.htm
10. Биркович В.И., Государственное регулирование сферы туризма на региональном уровне. Диссертация на соискание ученой степени кандидата наук государственного управления 25.00.02 - механизм государственного управления. Гуманитарный университет «Запорожский институт государственного и муниципального управления». Запорожье. 2007.
11. Союз содействия развитию сельского зеленого туризма в Украине. – <http://www.greentour.com.ua>
12. О туризме: Закон Украины от 15 сентября 1995 года № 324/95-ВР // Ведомости Верховного Совета Украины. 1995. № 31. С 241.
13. О личном крестьянском хозяйстве: Закон Украины от 15 мая 2003 года № 742-IV // Ведомости Верховного Совета Украины. 2003. № 29. С 232.
14. О предпринимательстве: Закон Украины от 6 октября 1999 года № 1121-XIV // Ведомости Верховного Совета УССР. 1991. № 14. С 168.

კვანია შალვა

ბმელნიცკის ნაციონალური უნივერსიტეტი, უკრაინა

სოფლის მწვანე ტურიზმის განვითარება უკრაინაში: აქტუალობა, პრობლემები, შესაძლებლობები, პერსპექტივები

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სტატიაში ავტორი ცდილობს განიხილოს სოფლის მწვანე ტურიზმის როლი და ადგილი ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; განსაზღვროს ძირითადი პრობლემები და შესაძლებლობები აღნიშნულ სფეროში და, ასევე, სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ძირითადი ნორმატიულ-სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებები უკრაინის ევროკავშირთან ინტეგრაციის სტრატეგიის შესაბამისად.

ლალი ჩაგალიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
სრული პროფესორი

რუსუდან აბლაძე

საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში

ტურიზმი რეკრეაციული მეურნეობის განუყრელი ნაწილია და მის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, რეგიონში პოლიტიკურ სტაბილურობას, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას. იგი ინტენსიურად ვითარდება ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით მდიდარ ადგილებში, მსხვილ საქალაქო ცენტრებში, კლიმატურად ხელსაყრელ რაიონებში.

ბუნებრივი ფაქტორების სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა საქართველოში გამოყოფილიყო 340 საკურორტო ადგილი, რომლებიც გამოიყენება ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. საკურორტო ადგილებისათვის დამახასიათებელია სასურველი ჰავა, მინერალური წყლების ან სამკურნალო ტალახების არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოიპოვება ისეთი უნიკალური ვაზის ჯიშები, რომლისგან მიღებული ღვინოც სამკურნალო თვისებებს ატარებს. სპეციალისტების აღიარებით, საქართველო ღვინის სამშობლოა და მსოფლიოში გავრცელებული ყურძნის 2000 ჯიშიდან 500 ქართულია. თუმცა, რატომღაც, საქართველოში ღვინის ტური თავისი პოტენციური შესაძლებლობების მინიმალური დოზით არის ათვისებული. საქართველოსგან განსხვავებით, ფრანგულ პროვინცია შაბლინიში კი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს სწორედ ღვინის ტურიზმი წარმოადგენს. ფრიად საინტერესო გახლავთ ამ პატარა პროვინციის ღვინის წარმოების დახვეწილი ტექნოლოგია. აქ მსოფლიოში განთქმული ვაზის ჯიშები ხარობს და ფრანგული ღვინო კი ვენახს გარეთ ინყება, ყველა ბალახი სარეველად ითვლება, რომელნიც ვაზს საკვებს ართმევს, ამიტომ მათ ძირშივე ჭრიან. ჩვენდა გასაოცრად ვაზს აქ 1.20 მ-ზე ზემოთ არ ზრდიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაზი მოითხოვს ხელით დამუშავებას, რაც დროის, მყიდველისა და ფულის დაკარგვას იწვევს. აქ ვაზის დაკრეფა ხდება ტრაქტორზე მიმაგრებული საგანგებო დაზგით, რომელიც დადის რიგებს შორის და ყურძნის მტევნებს ფერთხავს, უპირატესობა კი ის აქვს, რომ მწიფე მარცვალი ცვივა და მკვახე მტევნიანად ვაზზე რჩება. ასე ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ადამიანის ხელით დაკრეფისას: პირველი, იგი მთელ მტევანს ჭრის, მეორე, მოუმწიფებელ მარცვალს აყოლებს და ღვინო უფრო მჟავე გამოდის. ყურძნის დაკრეფიდან დაწურვამდე საათნახევარზე მეტი არ უნდა გავიდეს. შაბლინის ღვინის 1 ლიტრის დამზადებას 1კგ და 300გრ ყურძენი სჭირდება, მისი მინიმალური ფასი კი 5-6 ევროა, რაც 5-4-ჯერ ძვირია საქართველოს ღვინის ფასთან შედარებით. არადა, ფრანგები არც რქას უზავენ და არც რწყავენ და საქართველოს მინისგან განსხვავებით, ვაზის ფესვები კლდეშია. შაბლინის რეგიონი უკვე თავისთავად მარკეტინგული ტერმინია, ანუ ბრენდი, რაც საქართველოში ჯერ კიდევ უცნობია. სწორედ ამ მარკეტინგის გამო შაბლინი საქართველოსგან განსხვავებით ღვინის ტურიზმი ძალიან გავრცელებული ბიზნესია, ადამიანები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან, სხვადასხვა ღვინოს სინჯავენ და შეიძლება ხელს რამდენიმე ბოთლიც გააყოლონ, თუ არადა ღვინის მარკას კარგად დაიმახსოვრებენ და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იყიდიან.

ფრანგული ღვინის რეალიზაცია მთელ მსოფლიოში ხდება, მან დაიპყრო ჯერ ბრიტანეთი და გერმანია, შემდეგ დანია და ნორვეგია და, ბოლოს, შორეული ამერიკა და იაპონიაც. საქართველოს ღვინო მეზობელმა რუსეთმაც კი დაგვიწუნა, თუმცა ჩვენ თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ღვინო ბევრად უფრო გემრიელიცაა და, ამასთან ერთად, სამკურნალო თვისებებიც გააჩნია.

საქართველოში ღვინის წარმოება ტრადიციული დარგია და ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს. ამასთან, იგი მოიაზრება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების მნიშვნელოვან წყაროდ, რისთვისაც ამ დარგს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მხრიდან. ქართული ღვინის წარმოების მდიდარ ისტორიას შეუძლია მნიშვნელოვანი ბაზისი შექმნას ქართული ღვინის საერთაშორისო წარმატებაში. აღსანიშნავია, რომ ეს არის იმ ტიპის უპირატესობა, რომლის გადმოღებაც კონკურენტებისთვის შეუძლებელია, რადგან ქართული ღვინის წარმოებას ზურგს ათას-

წლეულები უმაგრებს. მეტიც, სამეცნიერო წრეებში სულ უფრო და უფრო ტრიალებს ვერსია, რომ ღვინის სამშობლო სწორედ საქართველოა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მსოფლიოში ღვინის აღმნიშვნელ საერთაშორისო სიტყვას "vino" ქართულ ეტიმოლოგიას უკავშირებს.

საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად კერადაა აღიარებული, რაც მრავალი როგორც სამამულო, ასევე უცხოელი მკვლევრების არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური თუ სხვა წყაროებით კიდევ ერთხელ დასტურდება. კერძოდ: გათხრებისას აღმოჩენილია კულტურული ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ნიპნები, რომლებიც ჩვენს ერამდე 6-5 ათასი წლის წინანდელია. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ძველისძველი მარანი, რთული მონყობილობით, ღვინის შესანახად გამოყენებული უზარმაზარი, მინით დაფარული თიხის ქვევრი, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ.წ.აღ. სათას.). გათხრების შედეგად აღმოჩენილია მცხეთის რაიონის მახლობლად (ბაგინეთში) სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ.წ.აღ. IV-III ათასწლეულით. ბორჯომში ნაპოვნია 11, ვარძიაში კი 100-მდე ქვევრი, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ორმაგკედლიანი, თერმოსის მსგავსი.

კულტურული მევენახეობისა და მეღვინეობის არსებობის დამადასტურებელ აღმოჩენებს შორის, საქართველოში მოპოვებული მასალები ყველაზე ადრეულ პერიოდს განეკუთვნება, რაც საშუალებას გვაძლევს საქართველო აღიარებულ იქნეს მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოდ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ნაპოვნია აგრეთვე სასხლავი სპეციალური დანები, ღვინის დასაწური მონყობილობები, თიხისა და ლითონის ჭურჭელი, სასმისები, ღვინის დასაყენებელი და შესანახი ქვევრი და სხვ. ეს ადგილები მდებარეობენ როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ: შულავერი, მცხეთა, თრიალეთი, ბიჭვინთა (აფხაზეთი), ალაზნის ველი (აღმ. საქართველო), მესხეთი და სხვ.

ის აზრი, რომ მევენახეობის ისტორიის მკვლევრებს ვაზის კულტურის პირვანდელ სამშობლოდ ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო ჰქონდათ მიჩნეული, კიდევ უფრო განამტკიცა უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოში დაგროვილმა დიდმა არქეოლოგიურმა მასალებმა. კიდევ ერთი დასტური ვაზის კულტურის საქართველოში არსებობის შესახებ არის ის, რომ ქართველთა განმანათლებელმა წმინდა ნინომ საქართველო ვაზის ჯვრით მოაქცია, რას იმას ცხადყოფს, რომ ვაზი წმინდა მცენარედ ითვლებოდა. ცხადი ხდება, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა ქართველი ხალხის ყურადღება და პატივისცემა ღვინისა და ვაზის მიმართ.

სწორედ ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად ქართველმა ტომებმა შორეულ წარსულში გამოიყვანეს სხვადასხვა, მაღალხარისხიანი და უხვმოსავლიანი ჯიშები, შეიმუშავეს ვაზის მოვლა-გაშენებაზე გარკვეული ტრადიცია და ხარისხოვანი ღვინოების დაყენების ორიგინალური წესები.

მევენახეობა-მეღვინეობის შემოსავლიანობა რომ დიდი იყო ოდითგანვე, ამას მოწმობს არაერთი და ორი ცნობა ღვინის ექსპორტის შესახებ უკვე გვიანდელ ფეოდალურ ხანაში: ირანის შაჰ-სეფი (1627-1641) საქართველოს კათოლიკოსს სპეციალური ფირმანით ატყობინებდა, რომ „სამყაროს თავშესაფარის სასახლეში“ მიღებულია რამდენიმე საპალნე „ედემის ღვინო“, რითაც თქვენ ამტკიცებთ ჩვენდამი „გულწრფელ და ურყევ ერთგულებას“. სხვა ცნობების მიხედვით, საქართველოდან ღვინო გაჰქონდათ როგორც სომხეთსა და მიდიაში, ისე ირანშიც (ისპაჰანში შაჰის სასახლე ქართული ღვინოებით მარაგდებოდა).

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ის გარემოება, თუ როგორი ბუნებისა და შინაარსის ღვინოს აყენებდნენ იმ დროს, როცა ქართული ღვინო იმდროინდელი ტრანსპორტით – ურმით ცხენითა და აქლემით სპარსეთამდე და მიდიაშიც მოგზაურობას კარგად იტანდა. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საექსპორტო ღვინო სათანადოდ მოვლილი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე, აუცილებლად საკმაოდ ალკოჰოლიანი და სხეულიანიც, წინააღმდეგ შემთხვევაში შორ გზაზე მისი ხარისხი დაეცემოდა და თავის თვისებებს დაკარგავდა. ამჟამად, საქართველოში ვაზის 500-მდე აბორიგენული ჯიშია ცნობილი. მათგან, კანონით დადგენილ ვაზის ჯიშების სტანდარტულ სორტიმენტში, რომელიც 62 დასახელებას მოიცავს, შეტანილია 29 საღვინე და 9 სუფრის ყურძნის ჯიში. მორფოლოგიურ-ბიოლოგიურ ნიშან-თვისებათა მიხედვით და გავრცელების არეალის შესაბამისად, ეს ჯიშები განეკუთვნებიან შავი ზღვის აუზის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის (Proles Pontica Negr) საქართველოს ქვეჯგუფს (Subproles Georgica Negr). ქართული ყურძნის ჯიშებში შედის ისეთი უნიკალური ჯიშები, როგორცაა: წითელი „საფერავი“ და თეთრი „რქანითელი“.

მევენახეობა-მელვინეობის მკვეთრად განსხვავებულ თავისებურებათა საფუძველზე ქვეყნის ტერიტორია დაყოფილია ორად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, რომელზეც გამოყოფილია მევენახეობა – მელვინეობის ხუთი ზონა:

1) კახეთი – ქვეზონები: შიდა კახეთი, გარე კახეთი, უმნიშვნელოვანესი მევენახეობის ზონა საქართველოში.

2) ქართლი – ქვეზონები: ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მესხეთი.

3) იმერეთი – ქვემო იმერეთი, შუა იმერეთი, ზემო იმერეთი.

4) რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო რაჭა, ლეჩხუმი.

5) შავი ზღვის სანაპირო – გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი.

გარდა მელვინეობის მხარეებისა, საქართველოში ბევრია მელვინეობის მიკროზონა, სადაც ადგილობრივი კლიმატი ვაზის მოცემულ ჯიშს უნიკალურ გემოს და თვისებებს აძლევს. ამ ზონაში დაკრეფილი ყურძნისგან დამზადებულ ღვინოს ადგილმდებარეობის სახელი ჰქვია და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყველაზე მკაცრ ხარისხის კონტროლს ექვემდებარება. ამ მიკროზონებში მოსულმა ბრენდებმა უკვე დიდი ხანია მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება და, როგორც წესი, ყველაზე ხშირად ეს ბრენდები არიან გაყალბების ობიექტები. ასეთი მიკროზონებია ხვანჭკარა რაჭაში, ქინძმარაული, ახაშენი, ნინანდალი კახეთში და სხვ.

ახალ საუკუნეს მოყვა ცვლილებების ტალღა ღვინის ბაზარზე, რომლებიც სულ უფრო მეტ სიძნელეს უქმნიან ღვინის მწარმოებლებს. ჯერ ერთი, იმ ქვეყნებში, რომლებიც იყვნენ ტრადიციული ღვინის მწარმოებლები და ტრადიციულად ღვინის მოხმარების მაღალი დონითაც გამოირჩეოდნენ, სულ უფრო და უფრო მცირდება ღვინის მოხმარების მაჩვენებელი; ხოლო „ღვინის ახალ მწარმოებელ ქვეყნებში“, განსაკუთრებით ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, ღვინის ნათესების გაფართოებამ კიდევ უფრო გაამძაფრა კონკურენცია.

ამასთან, ღვინის მოხმარება იზრდება შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში, რომლებიც წარმოადგენენ კიდევ ღვინის ყველაზე მსხვილ იმპორტიორ ქვეყნებს და როგორც ტრადიციული ღვინის მწარმოებელი ქვეყნების, ასევე „ღვინის მწარმოებელი ახალი ქვეყნების“ მთავარ მიზნობრივ ბაზარს.

ღვინის ახალი მწარმოებლებიდან ლიდერის პოზიცია უკავია ავსტრალიას, რომელიც, თუ არ ჩავთვლით შიდა-ევროპულ ვაჭრობას, ღვინის ყველაზე დიდი ექსპორტიორია, ასევე მნიშვნელოვნად გაზარდეს ღვინის ექსპორტი ჩილემ და ახალმა ზელანდიამ. ამასთან, აშშ არის უმაღლესი ხარისხის (პრემიალური და სუპერპრემიალური) ღვინოების ძირითადი ექსპორტიორი, კალიფორნიის ღვინის კლასტერის ხარჯზე. ღვინის ბაზრის მსოფლიო მოდელი (World Wine Model), რომელიც დღესდღეობით გამოიყენება ღვინის ბაზრის მსოფლიო ტენდენციების რაოდენობრივი შეფასებისთვის, განიხილავს მსოფლიო ღვინის გლობალურ ბაზარს 47 რეგიონად, ამასთან 38 დამოუკიდებელი ქვეყანაა, 9 კი რეგიონული ჯგუფი ქვეყნებისა, რომელზეც მოდის ღვინის მოხმარების შედარებით უმნიშვნელო მაჩვენებელი. ღვინის ბაზრის მსოფლიო მოდელის მეშვეობით შეფასებული იქნა მსოფლიო ღვინის ბაზარზე მოსალოდნელი ტენდენციები უახლოეს პერიოდში. იგი შემდეგი სახით ხასიათდება: ავსტრალია, ახალი ზელანდია და ჩილე განაგრძობს თავისი წარმოების წილის გაზრდას ძირითადად მათთვის კარგად აპრობირებული ბაზრების ხარჯზე, რომლებიც მოიცავენ აშშ-ს, კანადას, დიდ ბრიტანეთსა და ახალ ზელანდიას. შეერთებული შტატების წილის ზრდა ღვინის გლობალურ ბაზარზე უახლოეს წლებში მოსალოდნელი არ არის. მოსალოდნელია ღვინის ინდუსტრიის მძინარე გოლიათის – არგენტინის გააქტიურება ღვინის ბაზარზე, რომელიც სიდიდით მეხუთე მწარმოებელია. საფრანგეთისა და იტალიის, მსოფლიოს უდიდესი ღვინის მწარმოებლებისა და ექსპორტიორების, წილი მსოფლიო ექსპორტში სავარაუდოდ განაგრძობს კლებას, თუმცა ისინი პროცესის შენელებას მოახერხებენ პროტექციონისტური ბარიერების მეშვეობით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, კერძოდ რუმინეთისა და ბულგარეთის წილის გაზრდა ევროკავშირის იმპორტში მოსალოდნელი არ არის¹. ასევე მოსალოდნელია ტრადიციულ ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) უმაღლესი ხარისხის ღვინოებზე ფასების ოდნავი მატება, მაშინ როდესაც, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში ამ პროდუქციაზე ფასი მნიშვნელოვნად შემცირდება „ახალი მსოფლიოს“ ქვეყნებში წარმოების ფასის დაცემის გამო. არასამარკო ღვინოებზე ფასი სავარაუდოდ ყველგან დაეცემა მოთხოვნის დაცემასთან ერთად.

¹ მონაცემები აღებულია გ. უიტვერისა და ჯ. როთფილდის კვლევიდან, სადაც ისინი იკვლევდნენ უახლოეს ხუთ წელში მოსალოდნელ ტენდენციებსა და ცვლილებებს მსოფლიო ღვინის ბაზრის სტრუქტურაში. Wittwer, Rothfield, *Projecting World Wine Market* (2005).

აღსანიშნავია, რომ ღვინის ბაზარი უკანასკნელ წლებში სულ უფრო გლობალური ხდება, რასაც მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის ერთგვაროვნებისკენ მიდრეკილების ზრდა მოჰყვება. თუმცა, ღვინის მომხმარებლები თავის მხრივ მრავალფეროვანი პროდუქციის ძიებას დაიწყებენ, ბაზრის პროდუქციით ჭარბად გაჯერებასთან ერთად. ისინი დაიწყებენ დისკრიმინაციას ყურძნის ჯიშებს, წარმოების ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. გამოიყენებენ ინტერნეტის რესურსებს, ასევე ღვინის კრიტიკოსების მოსაზრებებს მათთვის სასურველი ბრენდების მოსაძებნად. მომხმარებელთა პრეფერენციების მრავალფეროვნება გამოვა გარანტი იმისა, რომ მცირე და საშუალო ღვინის მწარმოებლები განაგრძობენ არსებობას. თუმცა, 2007 წლის მაისში BCG Research-ის მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ: საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა მხოლოდ 5,6% არის დაინტერესებული ღვინის ტურიზმით. ეს სიმცირე შესაძლებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობით იყოს გამოწვეული. თუმცა ჩვენდა საამაყოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტების მთავარი შენაძენი ქვეყანაში ყოფნისას ღვინოა. ამ მხრივ ტურისტი ქალები მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან – ღვინო შეიძინა სტუმრად მყოფი ქალების 36,4%-მა და მამაკაცების 37,7%-მა. მაგრამ არც ის უნდა დავმალოთ, რომ საქართველოდან 33,6%-ს შთაბეჭდილებების მეტი არაფერი წაუღია. სურათი არ იცვლება არც 2010 წლის კვლევის შედეგებით. გამოკითხვამ ცხადყო, რომ: საქართველოში ჩამოსვლის შესახებ გადანიშნულებების მიღების პროცესში ყველაზე დიდ როლს ორი „სუბიექტური“ ფაქტორი თამაშობს: ახლობლების რჩევა და ქვეყანაში უკვე ყოფნის გამოცდილება. ტურისტული სააგენტოს მიერ ვიზიტის ორგანიზება ნაკლებად არის აპრობირებული. „ობიექტური“ ფაქტორებიდან გამოსაყოფია სამსახურებრივი აუცილებლობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ტურისტების უმრავლესობა საქართველოდან შთაბეჭდილებებით დატვირთული მიდის და მათ ხელმეორე ვიზიტსაც ეს განაპირობებს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ: ტურისტთა 71% დარწმუნებულია, ისევ ჩამოვა, 26%-ს კი ამის იმედი აქვს. გამოკითხულების კეთილგანწყობის დასტურია ისიც, რომ ისინი ასეთივე ენთუზიაზმით ახლობლებსაც ურჩევენ საქართველოში ჩამოსვლას. და მაინც საინტერესოა, თუ რა ახდენს ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ტურისტებზე?! ჩვენდა გასაოცრად მათ ყველაზე მეტად ის ხიბლავთ, რაც ჩვენთვის სრულიად შეუმჩნეველია ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე: ადამიანების სტუმართმოყვარეობა, ბუნება და ქართული კულტურა, რომელიც რესპოდენტების მიერ დასახელებულმა ცალკეულმა კომპონენტებმა შეადგინა: ისტორია, არქიტექტურა, ფოკლორი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ბუნებრივი რესურსებით და სტუმართმოყვარეობით იოლად ვერ გავალთ. აუცილებელია საერთაშორისო მდგრადი ტურიზმის განვითარების ტენდენციების შესწავლა, პროფესიონალიზმი ტურიზმის უზარმაზარი ინდუსტრიის ყველა დარგში, რათა გავყიდოთ ტურისტული პროდუქტი და არა საქართველო, რათა შევიძინოთ მეგობრები, რომლებიც შემდგომში საქართველოს თაყვანისმცემლები იქნებიან და არა უბრალოდ მომხმარებლები, რომლებიც საქართველოდან წასულნი შთაბეჭდილებებთან ერთად უკმაყოფილებას გამოთქვამენ ფასებისა და სერვისის გამო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ტურისტები ჩამოდიან ახლობლების რჩევით, ან საქმიანი ურთიერთობებისთვის, მაგრამ რეალურად საქართველოს შესახებ მსოფლიოში ძალიან ცოტამ თუ იცის. მეტი ტურისტების მოსაზიდად კი საჭიროა: ქვეყნის სწორი რეკლამირება და პრომოუშენი, შემდეგ კი უკეთესი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა. ძალიან ხშირად ტურისტთა იმ კატეგორიას, რომელიც საქართველოში რეკრეაცია-გაჯანსაღების მიზნით ჩამოდის, დახვედრილი სიტუაციით გამოწვეულ უკმაყოფილებას ჩვენ სამშობლოში ნანახი კულტურა, თვალწარმტაცი ბუნება და ქართველთა სტუმართმოყვარეობა და შეუდარებელი ფოლკლორი უქარწყლებს.

იმისათვის, რომ საქართველოში ღვინის ტურიზმი განვითარდეს და ქართულმა ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა მოიპოვონ საერთაშორისო ბაზარზე მყარი პოზიციები და კონკურენცია გაუწიონ დარგის აღიარებულ ლიდერებს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა თვითონ ქვეყნის შიდა სამწარმოო გარემოს გამოსწორება, რომელიც უნდა იქცეს საერთაშორისო ბაზარზე შეტევის განხორციელების საიმედო პლაცდარმად. ამგვარი პლაცდარმის გარეშე ვერც ერთი ფირმა ვერ მიაღწევს წარმატებას, რაგინდ სრულყოფილი სტრატეგია ჰქონდეს შემუშავებული საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას. აღსანიშნავია, რომ თვითონ გლობალიზაციის პროცესი სულ უფრო და უფრო აძლიერებს ბაზირების ქვეყნის მნიშვნელობას. ამიტომ უპირველესი სტრატეგიული ამოცანაა როგორც სახელმწიფოსათვის, ისევე დარგში მოქმედი ყოველი ფირმისათვის, უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით დარგის კონკურენტული ფაქტორების გაძლიერებისათვის საჭირო პირობები.

საჭიროა თანმდევი დარგების განვითარება, რომ ქართულმა ღვინის კლასტერმა დაიკავოს მსოფლიოში წამყვანი პოზიციები. ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს არა მხოლოდ ღვინის ქარხნებზე, არამედ მთლიანად ღვინის წარმოებასთან დაკავშირებულ ფართო პროცესზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის გამოყენება, რომ წარმოების ცალკეული სტადიიდან

მიღებულ იქნეს მაქსიმალური ღირებულება. პირველ ეტაპზე ეფექტური ღონისძიებებია კერძო მევენახეებისთვის, რომლებიც მეღვინეების ძირითადი მომწოდებლები არიან, შესაბამისი ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება, ასევე მათი აღჭურვა თანამედროვე აპარატურითა და ტექნოლოგიით და ვაზის მოვლისთვის საჭირო სასუქებითა და პესტიციდებით უზრუნველყოფა. შემდგომ ეტაპზე უკვე შეიძლება ისეთი თანამდები დარგების განვითარებაზე ფიქრი, როგორცაა ღვინის მწარმოებელი აპარატურის წარმოება, ასევე პესტიციდებისა და სასუქების მასშტაბური წარმოება. ამგვარი დამხმარე საწარმოების დანერგვისას პირველ ეტაპზე სასარგებლოა კოოპერაცია უცხოურ კომპანიებთან, რომლებიც მოცემულ დარგში მოღვაწეობენ.

ქართული ღვინის საერთაშორისო ექსპანსია უნდა ხორციელდებოდეს ქართული ყურძნის ჯიშების ფართო „პრომოუშენის“ პარალელურად. ყურადღება უნდა გამახვილდეს ქართული ღვინის წარმოების უნიკალურ და ძველთაძველ ტრადიციებზე, ხაზი გაესვას საქართველოს ვაზის სამშობლოს ფაქტს. ამასთან, ეფექტი დიდი იქნება, თუ ქართული ღვინის მიწოდება განხორციელდება ქართული კულტურის მიწოდების პარალელურად. ქართული ღვინო უნდა აღძრავდეს ძველისძველი ქართული კულტურის ასოციაციას რიგითი ევროპელის თვალში. პრაქტიკულად სუფრაზე დადებული ყოველი ქართული ბოთლი უნდა ქმნიდეს უნიკალურ მიკროეთნოსურ გარემოს, თითქოს მდინახეებს თანაზიარს ხდიდეს ძველ და წმინდა საიდუმლოებასთან.

ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი სისტემატურად მუშაობს საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში რეალურად არსებობს ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი (1999).
2. „საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი (1999)
3. "The Wealth of Nations", Smith, Adam, New York, (2000). 1184 pg.
4. "Projecting the world wine market from 2003 to 2010", Wittwer Glyn and Rothfield Jeremy, (working-paper) Sydney, 2003, 24 pg.
5. www.worldmarket.com
6. www.wikipedia.com
7. www.winebusiness.com
8. www.WineAndVine.ge
9. www.wine-pages.com
10. www.winefromgeorgia.com

LALI CHAGELISHVILI

*Doctor of Economic Science
Guram Tavartkiladze Teaching University
Full Professor*

RUSUDAN AGLADZE

Master of International Business Management

POSSIBILITIES OF DEVELOPMENT OF WINE TOURISM IN GEORGIA

S u m m a r y

The presented article discusses the world experience in the field of wine-making. It highlights the development of wine-making and viticulture in historical as well as socio-economical perspectives.

The work offers recommendations regarding the development of wine tourism in Georgia. It is also mentioned that the companies producing Georgian wine should maintain stable positions in the tourism market in order to be able to compete prominent leaders operating in this field. First of all, it is necessary to improve the inner manufacturing environment, which will be a guarantee for success in the international market.

**მოცვის მსოფლიო წარმოება და მისი განვითარების პერსპექტივა
საქართველოში**

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო მასშტაბით კენკროვან კულტურებზე მზარდი მოთხოვნა შეინიშნება. მათ ფართო და მრავალმხრივი გამოყენება გააჩნიათ, კერძოდ, იხმარება ნედლეული, ნაყოფი საუკეთესო ნედლეულია გადამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის. კენკროვნების წარმოების შესაძლებლობები ბევრ ქვეყანაშია, თუმცა მზარდი ბაზრის კვალდაკვალ, ბევრ ტერიტორიებზე არსებული რესურსები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული. კენკროვანი კულტურების – ჟოლო, მაცვალი, მარწყვი, მოცხარი, მოცვი, ხურტკმელი, კვრინჩხი, ქაცვი და სხვა – წარმოებას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. კენკროვან კულტურებში განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა: მარწყვი, ჟოლო, მაცვალი, მოცვი. მათ შორის, წარმოებისა და გამოყენების მხრივ მაღალი ხვედრითი წონა მარწყვს უკავია. ჩვენი მიზანი იყო კენკროვანი კულტურებიდან შეგვესწავლა მოცვის კულტურა, მსოფლიო მასშტაბით წარმოების შესაძლებლობები, გაგვეანალიზებინა მოცვის ბაზარი და საქართველოში მისი განვითარების პერსპექტივები.

მოცვი იმ საუკეთესო მცენარეთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც მოხმარების თვალსაზრისით უნიკალური თავისებურებების მატარებელია. როგორც ამბობენ, იგი ბუნების გულუხვი საჩუქარია, რომელსაც გონივრული მოხმარება და მოვლა ესაჭიროება. მოცვის ნაყოფის შემადგენლობაში არის აუცილებელი ორგანული მჟავები, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავს მის უნიკალურ სამკურნალო თვისებებს. შეიცავს სიცოცხლისათვის მეტად აუცილებელ მინერალებს: მარილი, რკინა, კალიუმი, მანგანუმი, სპილენძი, გოგირდი, ფოსფორი, ქრომი და თუთია. მანგანუმის შემცველობით მოცვი მცენარეთა შორის პირველია. გარდა ამისა, მის შემადგენლობაშია: კაროტინი (ვიტამინი A, B,C,P), ასევე, ტანინები და ზეთი.¹

მოცვი არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებების მქონე კულტურაა. ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სასარგებლო გავლენა საჭმლის მომნელებელ სისტემაზე. ნაყოფის წვენს აქვს ბაქტერიოციდული მოქმედება. გამოიყენება, როგორც ანთებითი პროცესების სანინაალმდეგო საუკეთესო საშუალება, ფასდაუდებლად სასარგებლოა მოცვის ჭამა შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში. განსაკუთრებულია მისი ფოთლების ნედლად და გამხმარი სახით მიღება. იგი ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას, ასუფთავებს მას და ასტიმულირებს პანკრეასს. მოცვი დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რაც სისხლძარღვთა დაავადებათა რისკს ამცირებს. მოცვის, მაცვლის ჟელესა და ხილის გამოყენება თრომბოზისა და მიოკარდიუმის ინფარქტის პრევენციას ამცირებს. მოცვი ხელს უწყობს ბადურის უჯრედების რეგენერაციას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევასა და მხედველობას. ბოლო გამოკვლევების თანახმად, მისი სისტემატური გამოყენება კვებას თავის ტვინს და ალცჰეიმერის დაავადებას ებრძვის. არის არაჩვეულებრივი დიეტური საშუალება, აძლიერებს ტვინისა და გონებრივ შესაძლებლობებს. ხელს უწყობს მუცლის ღრუში ცხიმების წვას. ამცირებს ქოლესტერინის დონის ნორმალიზაციას. მოცვის მრავალმხრივ დადებითი თვისებების შესწავლის საფუძველზე მას აღიქვამენ მცენარედ, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ დაბერების სანინაალმდეგო საშუალებად.²

ანალიტიკოსების ვარაუდით, მსოფლიო ბაზარზე კენკრის, კერძოდ, ლურჯი მოცვის წარმოება (blueberries) მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ორმაგდება და აღნიშნულ ბაზარზე ლიდერთა შორის ექსპორტიორი ქვეყნები იქნება სამხრეთ ნახევარსფეროდან. პარალელურად, მისი წარმოების სწრაფი ზრდა შეინიშნება ევროპაში, თუმცა ძირითადად ევროპული ლურჯი მოცვი დღემდე შიდა ბაზარზე იყიდება.

ესპანეთი აწარმოებს დიდი რაოდენობის მოცვს. მოცვის წარმოება ფართოვდება საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ჩინეთში და სამხრეთ ამერიკაში, სადაც ლიდერობს პერუ, არგენტინა და ჩილე. მოცვის მსოფლიო ბაზარი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. მისი მოყვანა იგეგმება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშიც. პერსპექტივაში ელოდებიან მსოფლიოში მოცვის წარმოების


¹ შენგელია ზურაბ, სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში – თბ., 1983.
² ლალი დათეშიძე. საქართველოში სამედიცინო მცენარეთა წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები. „მეცნიერება“, თბილისი.2000 წ. ევრაზიის ფონდის გრანტი, USAID-ის რესურსები. მხარდაჭერა: ACDI – VOCA (USAID resources) together with GEPA, BESO (British Executive Service Overseas) – TACIS program (United kingdom).

გაზრდას, ამიტომ საჭიროა ამ პროდუქტისათვის ახალი ბაზრების მოძიება. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ობიექტები, კერძოდ, სკოლა, რესტორნები, სწრაფი მომსახურება და სხვა.

პრობლემები, რომლებიც არსებობს პროდუქტის ფასებისა და ლოჯისტიკის მხრივ, მიგვანიშნებს, რომ უცხოეთის ქვეყნებს ბაზარზე აშშ-ის მწარმოებლებთან მაღალი კონკურენცია ელოდებათ, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ამერიკაში პიკის სეზონის დროს, მაგრამ, მეორე მხრივ, ქვეყანაში, სადაც მოსავლის აღება იწყება ადრე ან გვიან, შეიძლება წარმატებული თანამშრომლობა ამერიკელ საცალო მოვაჭრეებთან, რომელთა მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. ამავე დროს, ექსპერტების ვარაუდით, ესპანეთის შანსი, დაიპყროს ამერიკული ბაზარი, ძალიან დაბალია, ვინაიდან ამ ქვეყნებში მოცვის მოსავლის აღება ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს.

მოცვის ყველაზე მაღალი მოხმარება არის აშშ-ში, სადაც მოხმარებელთა 30% წლის ნებისმიერ დროს მოცვს ყიდულობს, მაგრამ ეს ძალიან დაბალი პროცენტია, მაგალითად, თუ შევადარებთ მარწყვს, რომელსაც წლის განმავლობაში ამერიკული ოჯახების 70% იძენს. 70% არის მაჩვენებელი, რომლის მიღწევასაც მოცვის წარმოება ცდილობს. მოცვი უყვართ ბავშვებს და მის მიმართ დადებითი დამოკიდებულებაა მოზრდილებშიც. იგი უფრო და უფრო პოპულარული კულტურა ხდება მსოფლიოში, რასაც სავარაუდოდ მოჰყვება მოცვის მოხმარების სწრაფი ტემპით ზრდა.

ცხრილში 1 წარმოდგენილია მოცვის მსოფლიო წარმოების შესაძლებლობები (2008წელი). მოცვის წარმოების 87.7% აშშ-სა და კანადაზე მოდის, მათ შორის, აშშ 54.7%-ია. შესაბამისად ბაზრის ძირითადი წონაც ამ ქვეყნებზეა გადანაწილებული. როგორც ვხედავთ, მსოფლიოში ცოტა ქვეყანაა, სადაც ხდება ამ მეტად ღირებული ხილის წარმოება. მოცვის ბაზარზე ძირითადი ექსპორტიორებია: აშშ, კანადა, პოლონეთი, უკრაინა, ჰოლანდია, გერმანია.



ცხრილი 1

მოცვის მსოფლიო წარმოების მაჩვენებლები (2008 წელი)¹

№	ქვეყნები	წარმოება (\$1000-ში) (არაოფიციალური მონაცემები)	%	წარმოება (ტონა) (ოფიც. მონაცემები)
1	აშშ	249456	54.7	158032
2	კანადა	150773	33.0	95516
3	პოლონეთი	12402	2.72	7857
4	ლიტვა	3946	0.85	4400
5	ჰოლანდია	6314	1.38	4199
6	გერმანია	6497	1.42	4116
7	უკრაინა	4735	1.03	3000
8	შვედეთი	3946	0.86	2584
9	ახალი ზელანდია	3157	0.69	2250
10	რუმინეთი	3157	0.69	2220
11	რუსეთი	2525	0.55	1600
12	იტალია	2367	0.51	1435
13	ესპანეთი	1578	0.34	1038
14	ლატვია	1578	0.34	876
15	საფრანგეთი	1578	0.34	775
16	უზბეკეთი	947	0.2	600
17	პორტუგალია	315	0.06	220
18	მექიკო	194	0.04	125
19	მაროკო	78	0.01	56
20	ნორვეგია	36	0.007	27
		455571		290926

რა ადგილი უკავია საქართველოს ევროპულ და მსოფლიო ბაზრებზე და რა პოტენციალი გააჩნია ამ ინდუსტრიას ქვეყნის შიგნით?

საქართველოში მოცვს, ისე როგორც უმეტესი კენკროვნების დიდ ნაწილს, ტყეში კრეფენ. მოცვი 100-მდე სახეობას აერთიანებს. საქართველოში ამ გვარის 4 სახეობა გვხვდება. მათ შორის

¹ შედგენილია FAO-ს მონაცემების საფუძველზე. <http://faostat.fao.org/site/339/default.aspx>

სამი – მთის მოცვი (*Vaccinium myrtillus*), ლურჯი მოცვი (*Vaccinium uliginosum*) და წითელი მოცვი (*Vaccinium vitis-idea*) გავრცელებულია სუბალპურ და ალპურ სარტყელში, ხოლო კავკასიური მოცვი (ანუ მაღალი მოცვი) იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების კოლხური ტიპისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ტყეებში. მთის მოცვი მეტად დაბალი ბუჩქია. ჩვენთან იგი სუბალპურ ტყეებში იზრდება, გვხვდება უფრო მაღალ რელიეფზეც. ბევრია მთათუშეთში წითელ მოცვთან და ერთად ქმნის მოცვიანებს. ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფი უმნიფდება ივლის-აგვისტოში.¹

როგორც აღვნიშნეთ, მოცვი ჩვენთან ძირითადად ველურად იზრდებოდა ტყის ყველა ზონასა და მთიან რეგიონებში. ზოგიერთ ქვეყანაში მოცვი კულტურის სახით მოჰყავთ. საქართველოში კულტივირებული კენკრის, როგორც მთელ კავკასიაში ხილის ალტერნატიული კულტურის, მოყვანა კი მხოლოდ რამდენიმე წელია დაიწყო. მეცნიერთა ვარაუდით, კენკროვანი კულტურებიდან ყველაზე დიდი პოტენციალი მოცვის წარმოებას გააჩნია.

მოცვის მსოფლიო ბაზარი წლითიწლით ძლიერდება, რაც განპირობებულია იმით, რომ მოთხოვნა გაცილებით დიდია, ვიდრე მიწოდება. აქედან გამომდინარე, დაწყებულია შესაბამისი კვლევები მოცვის ინტროდუცირებული კულტურული ფორმების მოვლა-მოყვანასა და ნაყოფის გადამუშავების ტექნოლოგიებზე. შეიძლება თუ არა საქართველოში მოვიყვანოთ ჩრდილო-ამერიკული მაღალბუჩქოვანი მოცვის გაუმჯობესებული კულტივარი? ACDI/AGVANDAGE-მ გადამწყვიტა, თავის მისიაში ჩართოს საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში კენკროვნების სექტორის განვითარება. AGVANDAGE-ს პროექტში, რომელიც საქართველოში გადამამუშავებელი საწარმოების მხარდასაჭერად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა, მოცვის კულტივარების ადაპტირებადი ოჯახი საქართველოს თითქმის ყველა კლიმატურ ზონაში შეიძლება გავრცელდეს. კენკროვანი ხილიდან მოცვი ყველაზე საუკეთესოა სხვადასხვა სახის წარმოების დროს; აგრეთვე, მცირე, დაბალტექნიკური წარმოების, მოსავლის ხელით მოკრეფის შემთხვევაშიც, როცა იაფი სამუშაო ძალა ადვილად მოიპოვება და მსხვილი, მექანიზებული, მაღალტექნიკური წარმოების დროსაც, სადაც მინდვრის სამუშაოები უფრო ძვირი ჯდება, ხოლო სამუშაო ძალა მწირი ან დასაქირავებლად ძალიან ძვირია. სპეციალისტების მიერ მიზანშეწონილად არის მიჩნეული ლურჯი (*BlueBerry*) მოცვის წარმოების გაფართოება, რომელიც მსოფლიოში მოცვის სახეობებში ლიდერ კულტურად არის აღიარებული.

კენკროვანი, კერძოდ, მოცვის კულტურით დაინტერესებულმა ქართველ ფერმერთა 8-კაციანმა ჯგუფმა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს ორკვირიან სასწავლო ტრენინგში, რომელიც 2006 წლის 17-30 ივნისს აშშ-ში ჩატარდა. ჯგუფს დახმარება გაუწია კენკროვანი ხილის მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტმა და ACDI/VOCA-ს კონსულტანტმა რიჩარდ დელიმ, რომელსაც დიდი გამოცდილება გააჩნია საბადე, კენკროვანი და ყოლოს ფერმერული წარმოების, მარკეტინგის გეგმების შემუშავებისა და სხვა საკითხებში. შესაბამისი ტრენინგები სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდა.

ამერიკიდან შემოტანილ ლურჯ მოცვს, გარდა სახელისა, არაფერი აქვს საერთო ველურად მზარდი კავკასიური მოცვის ნაირსახეობებთან. მისი რამდენიმე კულტურა უკვე შეეგუა საქართველოს კლიმატს, მათ შორის, სუბტროპიკული ზონის ტენიან პირობებს. საცდელი ნაკვეთები გაშენებულია ასევე კასპსა და ქუთაისში. შექმნილია ბაზირებული მოცვის სანერგის პროგრამა, რომელიც მცენარის კომერციულ წარმოებას უზრუნველყოფს. ლურჯი მოცვის აპრობირება და დანერგვა განხორციელდა გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში. გურიაში ათი ნაკვეთიდან საბოლოოდ ორზე შეაჩერეს არჩევანი ანასეულსა და სოფელ შრომაში (თითოეულს 130 ძირი ნერგი გადაეცათ), ასევე მოგვიანებით რაიონის ადგილობრივი მართველობის მხარდაჭერით გადაწყდა მოცვი დაბა ნარუჯაში 5 ჰექტარზე გაშენდეს. ასევე წარმატებით მიმდინარეობს მისი გავრცელება სამეგრელოს რეგიონში, მაგალითად, ზუგდიდის რაიონში, სოფელ რუხში და აჭარაში, კერძოდ, ქობულეთის რაიონში, სოფ. ცეცხლაურში.

ძირითადად დასახულია ლურჯი მოცვის ჯიშების („პატრიოტის“, „ბლუკროპის“, „ელიოტის“, „ბრაითველისა“ და „პრემიერის“) განაშენიანების პერსპექტივები. ლურჯი მოცვი კარგად ხარობს მყავე ნიადაგზე, რომელიც განოყიერების გარეშე, სხვა კულტურებისთვის გამოუსადეგარია. იგი შედარებით ნაკლებ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. მოცვის წარმოების დასაწყებად აშშ-ში ერთ აკრზე (4047 კვ.მეტრი) 6 000-დან 8 000-მდე დოლარია საჭირო,² საქართველოში მცირე ზომის ფერმერული მეურნეობისათვის ეს თანხა, შესაძლებელია, ხელმიუწვდომელი იყოს, მაგრამ მას სახელ-

¹ საქართველოს ფლორა. I – XI ტომი. თბ., 1971 – 1987.

² რიჩარდ დელი, ბობოქაშვილი ზ., ლურჯი მოცვი – ახალი პერსპექტიული კენკროვანი კულტურა. ჟურნ. აგროინფო, 8 მაისი, თბ., 2007. გვ. 5.

მნიშვნელოვან უნდა შეუწყოს ხელი. დადებითი ფულადი მასის მოძრაობა დარგვიდან მხოლოდ მეოთხე ან მეხუთე სეზონზე იწყება.

ლურჯი მოცვის საშუალო მოსავლიანობა 8-12 ტონის/ჰექტრის ფარგლებში მერყეობს, ერთი კილოგრამი ნაყოფის ადგილზე სარეალიზაციო ფასია 3-5 დოლარი. საბაზრო ღირებულება გაცილებით მაღალია. საცალო სარეალიზაციო ქსელში, მაგალითად, სავაჭრო ცენტრ „გუდვილში“ ზოგჯერ მისი ღირებულება 30-35 ლარის ფარგლებშია. ჰექტარზე შესაძლებელია 2 700 – 2 800 ნერგი განთავსდეს, რომელიც სრულ მსხმოიარობას მეხუთე წელს აღწევს. ნათელია, რომ ლურჯ მოცვს საქართველოში დიდი პერსპექტივა გააჩნია, იგი რენტაბელურია და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში შეუძლია გააუმჯობესოს ფერმერთა მდგომარეობა. გაანგარიშებებით, საქართველოში 1 ჰექტარზე მისი გაშენების საშუალო ხარჯები დაახლოებით 9000 დოლარია (15000 ლარი). ჰექტარზე დასაწყისში სულ მცირე 6000 კგ. მოსავლის პირობებში მისმა შემოსავალმა შეიძლება 10000-15000 დოლარს (18000-24000 ლარი) მიაღწიოს; სრულ მსხმოიარობაში მოსალოდნელია უფრო მაღალი მოსავალი და, შესაბამისად, შემოსავალიც.

კენკროვნები მთელი რიგი დადებითი თვისებებით ხასიათდებიან. სახელდობრ – მსხმოიარობაში შედიან გაცილებით ადრე, ვიდრე ხეხილოვანი კულტურები. მარწყვი და ჟოლო მსხმოიარობაში შედის მეორე წლიდან, მოცხარი და ხურტკმელი – მესამე წლიდან და ა.შ. ლურჯი მოცვი სრულ მსხმოიარობაში 7-8 წლის შემდგომ შედის. ბალის კომერციული გამოყენების პერიოდი 35-40 წელია. მსხმოიარობაში ადრე შესვლასთან ერთად, კენკროვანთა ნაყოფები ადრევე შედის სიმწიფეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ნედლი ხილით მომარაგებაში. ადვილად ეგუებიან დაბალ ტემპერატურას, რაც საშუალებას იძლევა გავავრცელოთ ისინი სუბტროპიკული ზონიდან დაწყებული (სოხუმი, ბათუმი, ქობულეთი), გათავებული მაღალმთიან რაიონებამდე (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ქვემო სვანეთი, ქლუხორი, თეთრიწყარო, ყაზბეგი, დმანისი). კენკროვნების სარგავი მასალის გამოყვანა ხდება შედარებით ადრე – ერთ, ორ წელში. ამავე დროს, შედარებით ადვილად მრავლდება ვეგეტატიური წესით – კალმით, ამონაყრით, გადანეწით.

საქართველოში პილოტური პროექტის ფარგლებში ხორციელდება მოცვის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა (2010-2013წწ), რომლის განხორციელებაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სს „სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ 2010 წელს დაიწყო.¹ პროგრამით განსაზღვრულია საქართველოში განავითაროს მოცვის, როგორც ახალი პროდუქტის, პირველადი წარმოება, შექმნას მოცვის წარმოების მოტივაცია საქართველოს მასშტაბით, განახორციელოს სანერგე მასალის გამოყვანა, წარმოებას მყარი საფუძველი შეუქმნას და შემდგომ ეტაპზე წარმოებული პროდუქტის პოპულარიზაცია მოახდინოს საერთაშორისო ბაზარზე.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მოცვის კულტურის გაშენების თაობაზე საქართველოს შავი ზღვის სამ რეგიონში. სპეციალისტების შეფასებით, დასავლეთ საქართველოში, მჭავიანობის მაღალი მაჩვენებლის დონე და თბილი კლიმატის შედეგად მოცვის კულტურა სასურველ მოსავლიანობასა და ხარისხს მიაღწევს.

პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- მოცვის პოტენციალის წარმოჩენა მაღალი ხარისხის კომერციული სანერგე ჯიშების მეშვეობით და სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზება;
- ფერმერთა მოტივირება მოცვის წარმოებასთან დაკავშირებით;
- მოცვის მოსაყვანად საჭირო მექანიზაციის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა საქართველოში;
- მაღალი ხარისხის პროდუქტის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს;
- ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო ბაზარზე.

პროგრამის ფარგლებში დაწყებულია მოცვის სადემონსტრაციო ბაღების გაშენება აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში. სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზებისა და მოცვის წარმოების პოტენციალის წარმოჩენის მეშვეობით შესაძლებლობა იქმნება, საფუძველი ჩაეყაროს წარმატებული და კონკურენტუნარიანი მოცვის წარმოების განვითარებას, ამაღლდება მოცვის წარმოების მოტივაცია ფერმერებს შორის და შესაძლებელი გახდება უცხოური და ადგილობრივი ინვესტორების მოზიდვა.

დაგეგმილია, რომ საქართველო მოცვის ექსპორტს აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონების სანერგე მეურნეობებიდან მიღებული მოსავლით უახლოეს 2-3 წელიწადში განახორციელებს.

¹ <http://blueberry.ge/project/project-description/>

საქართველოში წარმოებული მოცვი კლიმატური პირობების წყალობით შესაძლებელია მივიღოთ ერთი თვით ადრე, ვიდრე სხვა რეგიონებში. ეს გასაღების რეალური ბაზრის არსებობის საფუძველს ქმნის, რაც შესაძლებლობას იძლევა მწარმოებლებმა მიიღონ გარანტირებული შემოსავალი. გარდა აღნიშნულისა, მთიან ტერიტორიებსა და ტყეებში იზრდება ველური მოცვი, სადაც დაგეგმილია საშრობების დაყენება, რათა მისი შეგროვება ბევრმა ადამიანმა შეძლოს და ამით მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა ანკეტური გამოკითხვა, რომლის საფუძველზე შევისწავლეთ მომხმარებლის დამოკიდებულება მოცვის კულტურის მიმართ (რესპოდენტი 100, ძირითადად სავაჭრო ქსელიდან შერჩევით, პირდაპირი გამოკითხვის მეთოდით). ანალიზის შედეგი ასეთია: გამოკითხულთა 85%-მა დააფიქსირა მოცვის კულტურის ცნობადობა, თუმცა მისი სასარგებლო თვისებებისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციას ნაკლებად ფლობდა; ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მისი შეძენის სურვილი თითქმის 99%-მა დააფიქსირა; 83% ვერ ასახელებს ადგილს, სადაც შეიძლება მოცვის შექმნა. შედეგი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოცვის ბაზარი დეფიციტურია და, შესაბამისად, ძვირად ღირებულ სუპერმარკეტებში მისი ფასი მომხმარებლისათვის ხელმიუწვდომელია, ამასთან, ხშირად პროდუქტი სავაჭრო ქსელშიც არ არის წარმოდგენილი.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შესაძლებელია განვაზოგადოდ შემდეგი დასკვნები:

- არსებული მდგომარეობით დეფიციტურია მოცვის როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზარი. ყოველივე ეს სტიმულს უქმნის აღნიშნული კულტურის წარმოება ფართოდ გავრცელდეს, რაც ფერმერთა შემოსავლების გაზარდის წინაპირობაა;

- საქართველოში არსებული კლიმატური პირობები, კენკროვანი კულტურების განვითარებისა და გავრცელების მხრივ განხორციელებული სამუშაოები საუკეთესო საფუძველს ქმნის მოცვის კულტურის წარმოებისათვის;

- საქართველოში ბევრია გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი (მაგალითად, 50 000 ჰექტარი ჩაი). გაშენებული მოცვის ფართობის დიდი ნაწილი არსებული ჩაის პლანტაციების ადგილზე არის განთავსებული; ე.ი. არის პერსპექტივა იმისა, რომ ჩაის ექსპლოატირებული ფართობები ნაწილობრივ მოცვის კულტურამ ჩაანაცვლოს;

- მართალია, კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის პირობებთან დაკავშირებით პროექტის ფარგლებში ტრენინგკურსები ჩატარდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. გარკვეული სამუშაოებია ჩასატარებელი რეგიონებში ფერმერთან კენკროვანი კულტურების პოპულარიზაციისა და მისი აგროტექნიკური წარმოების შესაძლებლობების შესახებ. იგი ხელს შეუწყობს მოცვის ცნობადობას და საოჯახო-ფერმერულ მეურნეობებს მისი გაშენების სტიმულს შეუქმნის;

ამდენად, კენკროვანი ხილის, კერძოდ, მოცვის კომერციული წარმოება მრავალფეროვანს გახდის ქართულ აგრარულ პროდუქტს, იგი შემოსავლის წყარო იქნება მოსახლეობისათვის და ქვეყნის ეკონომიკასაც გარკვეულ სარგებელს მოუტანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დათეშიძე ლ., საქართველოში სამედიცინო მცენარეთა წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები. „მეცნიერება“ თბ., 2000, ევრაზიის ფონდის გრანტი, USAID-ის რესურსები. მხარდაჭერა: ACDI – VOCA (USAID resources) together with GEPA, BESO (British Executive Service Overseas) – TACIS program (United kingdom).
2. ნაცვალაძე მ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი, თბ., 2009.
3. რიჩარდ დელი, ბობოქაშვილი ზ., ლურჯი მოცვი – ახალი პერსპექტიული კენკროვანი კულტურა. ჟურნ. აგროინფო, 8 მაისი, თბ., 2007.
4. შენგელია ზ., სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში – თბ., 1983.
5. საქართველოს ფლორა. I – XI ტომი. თბ., 1971 – 1987.
6. Verbeke W., (2001), “Beliefs, attitude and behaviour towards fresh meat revisited after the Belgian dioxin crisis”, Food Quality and Preference, Vol. 12 No. 8, pp. 489-498.
7. Lennernas M., Fjellstrom C., Becker W., Giachetti I., Schmitt A., Remaut de Winter A.M., and Kearney M., (1997), “Influences on food choice perceived to be important by nationally representative samples of adults in the European Union”, European Journal of Clinical Nutrition, Vol. 51 No. 2, pp. S8-S15.
8. <http://faostat.fao.org/site/339/default.aspx>
9. <http://blueberry.ge project/project description/>

MARINA CHAVLEISHVILI

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Associate Professor*

BILBERRY WORLD PRODUCTION AND THE PERSPECTIVES OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA

S u m m a r y

The article focuses attention on the opportunities for the production of berries, particularly bilberries, and the perspectives of its development in Georgia.

The world bilberry market, especially blue bilberry market, is deficient and at the same time increasing. The main exporter states with growing production are The United States and Canada. In this respect, Georgia has a certain potential in the European and World markets. Out of all species of berries, the bilberry is the most favourable for both small, low technique and large, high technique production.

აგროტურიზმის განვითარების წინაპირობები და ტანდენციები საქართველოში

საქართველოში ტურიზმი პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა. ტურიზმის განვითარების ტენდენციების გამოვლენამ წინა პლანზე წამოწია ტურიზმის ისეთი ქვედარგების განვითარება, როგორცაა ეკოტურიზმი, ბუნების ტურიზმი, აგრარული ტურიზმი, რომელიც გვხვდება ფერმერული და სოფლის ტურიზმის ნაირსახეობებით. რასაკვირველია, ამ დარგების კლასიფიკაცია ქვედარგებად პირობითია და ძირითადად რეკრეაციული ტურიზმის სახეობებს წარმოადგენენ. ზემოჩამოთვლილი ტურიზმის სახეობებიდან საქართველოს სინამდვილესთან ახლოსაა სამივე, თუმცა, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე, უდავოა აგრარული ტურიზმის განვითარების სწრაფი ტემპები.

ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მსუბუქ მრეწველობაზე, განათლებაზე და სხვა მრავალ დარგზე. მათი განვითარება ხელს უწყობს რეგიონში ტურისტული ნაკადების მოზიდვას. დღევანდელ ინდუსტრიულ გარემოში, ქალაქის აჩქარებული ცხოვრების რიტმი ადამიანში წარმოშობს ბუნებრივ მოთხოვნილებას, რომ პერიოდულად დაისვენოს მშვიდ და წყნარ გარემოში, სადაც არის სუფთა ჰაერი, წარმტაცი ბუნება და გულთბილი მასპინძლები.

მრავალ ქვეყანაში აგროტურიზმი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი დარგია. მიმზიდველობა, მოსახლეობა, ნატურალური პროდუქტი – ეს არის აგროტურიზმის ძირითადი კომპონენტები. აგროტურისტული მეურნეობები, როგორც წესი, მდებარეობს სუფთა ეკოლოგიურ გარემოში, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიახლოვეს. აგროტურიზმით დაინტერესებული პირებისათვის ღამის გასათევია ადგილების შესაქმნელად არ არის აუცილებელი დიდი კაპიტალდაბანდება, რადგანაც ამისათვის საკმარისია უკვე არსებული საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა. ძირითადად საჭიროა მათში სანიტარიული ნორმების დამკვიდრება და დასაძინებელი ფართის მოწყობა, რაც არ მოითხოვს განსაკუთრებით დიდი ინვესტიციებს. უფრო მეტიც, ის რომ ტურისტები იცხოვრებენ გლეხთა (ფერმერთა) სახლებში, აგროტურიზმის ქართული იმიჯის შემქმნელიც კი იქნება, სადაც ორიგინალურ მინიტურისტულ საოჯახო სასტუმროებში გამოეთიშებიან ცივილიზებული სამყაროს სტრესებს და ჩაერთვებიან გლეხური ცხოვრების ატმოსფეროში.

დღეს საქართველოში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, მისი ბუნებრივი სილამაზე, კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, ექსკლუზიური ღვინოები, ხარისხიანი და მრავალფეროვანი ადგილობრივი სამზარეულო, აგროტურიზმის სწრაფად განვითარების წინაპირობებს ქმნის.

აგროტურიზმის განვითარებისათვის უაღრესად საყურადღებო და დამახასიათებელი ფაქტორია ის, რომ საქართველოში არის 25 ათასი მდინარე, 860 ტბა, 688 მყინვარი, 1400 მინერალური წყარო(მ. შ. ნახევარზე მეტი ცხელი წყლებით), მთელი ტერიტორიის 38.8% უკავია ტყეებს, შავი ზღვის სანაპირო ზოლი გადაჭიმულია 320 კილომეტრზე, ტერიტორიის 54% უკავიათ მთებს, ხოლო 33% – მთისძირებს. ტურისტების განსაკუთრებით დიდ დაინტერესებასა და გაოცებას იწვევს ის, რომ მთიან სოფლებში კვლავ შემორჩენილია და მისდევენ ორიგინალურ ხალხურ ხელოსნობას – თიხის სხვადასხვა ჭურჭლის, კერამიკული, საიუველირო ნაწარმის, ხის მერქნით დანხული ნივთების დამზადებას.

ფაქტია, რომ აგროტურიზმი უნდა განვითარდეს საქართველოს სოფლებში ადგილობრივ დონეზე. მაგრამ იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს რეგიონალური, ეროვნული, ზოგჯერ კი საერთაშორისო კავშირებიდან გამოცალკევებულად. იქნება ეს ძირითადი სტრატეგიისა და პროგრამების დამუშავება, თუ მისი მარკეტინგი და ზოგადი პოლიტიკისა და მიმართულებების განსაზღვრა.

ჩვენთან აგროტურიზმის განვითარებას იმდენად დიდი პერსპექტივები გააჩნია, რომ იგი მოითხოვს მართვისა და რეგულირების თანამედროვე, მომავალზე ორიენტირებული ავტომატიზებული სისტემების შექმნას, შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და მონაცემთა ბაზით.

ამრიგად, იმისათვის, რომ აგროტურიზმს ჰქონდეს რეალური დადებითი გავლენა ქვეყნის მეურნეობასა და სოციალურ სფეროზე, ასევე გახდეს ტურიზმის რეალური პრიორიტეტული მიმართულება, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ ასპექტს:

1. ტურისტების ორიენტაციას ეკოლოგიური რესურსების მოხმარებაზე;
2. ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებას;
3. პერიფერიული რეგიონების მოსახლეობისათვის ტრადიციული ცხოვრების სტილის შენარჩუნებას.

ამისათვის, აგროტურიზმს ტურიზმის შესახებ კანონში უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ადგილი, რადგანაც აგროტურიზმისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოში მის მდგრად განვითარებასა და სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. ამასთან, შესაძლებელია ხუთი კრიტერიუმის გამოყოფა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს აგროტურიზმი:

1. უნდა იყოს ბუნებაზე ორიენტირებული და ეფუძნებოდეს უპირატესად ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას;
2. არ უნდა აყენებდეს ზიანს ბუნებრივ გარემოს, ანდა ეს ზიანი უნდა იყოს უაღრესად მინიმალური, ე.ი. ეკოლოგიურად მდგრადი;
3. გამიზნული უნდა იყოს ეკოლოგიურ განათლებაზე, ბუნებასთან თანაბარპარტნიორული ურთიერთობების ფორმირებაზე;
4. ადგილობრივი სოციალურ-კულტურული სფეროს მომვლელი და ხელშემწყობი;
5. ეკონომიკურად ეფექტური და იმ რაიონების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფელი, სადაც ის ხორციელდება.

ამასთან, აგროტურიზმის განვითარება მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციონალური სისტემის დახვეწას, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი სრულყოფილი მართვა და რეგულირება. ეს მოიცავს მორგებული ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნასა და შესაბამისი ნორმების დამუშავებას.

მსოფლიოში აგროტურიზმმა საკმაოდ ფართოდ მოიკიდა ფეხი, საზღვარგარეთის გამოცდილებების გაცნობამ დაგვანახა, რომ აგროტურიზმმა სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. სახელმწიფოს მხრიდანაც რეალიზდება აგროტურიზმის მხარდაჭერის პროგრამები, მაგალითად, კვიპროსზე შემუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომელიც ახორციელებს სასოფლო სახლების რესტავრაციას და ნაციონალურ სტილში გაფორმებას თანამედროვე კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში და სურვილისამებრ იარონ ზღვის ნაპირზე. შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ყურძნის კრეფასა და მის დაწურვაში, შეუძლიათ შეიარონ სამჭედლოსა და საფეიქრო სახელოსნოში.

აგროტურიზმის განვითარებამ ამ ქვეყნებს მისცა შემდეგი შედეგები:

- სასოფლო რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა;
- ტურისტული სეზონურობის გაბათილება, რადგან აგროტურიზმი მთელი წელი ფუნქციონირებს;
- ტურისტების მიზიდვა სოფლებში;
- სოფლებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება;
- ბუნებრივი გარემოს დაცვა;
- ახალი, დივერსიფიცირებული ტურისტული სეგმენტის შექმნა.

ჩვენი მოსაზრებით, აუცილებელია საინფორმაციო და სარეკლამო სისტემების გაუმჯობესება, რომელიც დაკავებული იქნება ქვეყნისა და ამა თუ იმ რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პროპაგანდით. ამასთან, დაგეგმვისა და მართვის პროცესებში გარემოსა და საზოგადოების თავისებურებების გათვალისწინებაში, ტურიზმს შეუძლია პოზიტიური როლის შესრულება, განსაკუთრებით ბუნების დაცვის ღონისძიებებში. ეს იმით აიხსნება, რომ გარემო თავისი განუმეორებელი პეიზაჟებით და ბუნების უნიკალური ძეგლებით, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით, სუფთა ჰაერით და წყლით შეადგენს იმ რესურსების უმრავლესობას, რომელიც ტურისტს აინტერესებს. ტურისტს შეუძლია არა მხოლოდ ხელი შეუწყოს გარემოს შენარჩუნებას, არამედ უნარი შესწევს მისი სუფსიდიებისა (დაფინანსებისა). ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის დაგეგმვასა და განვითარებას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის გასატარებელი ღონისძიებების კონტექსტში.

საქართველოში აგროტურიზმის დაგეგმვა და განვითარება უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით:

- ეკოლოგიური მდგრადობა უზრუნველყოფს საბაზრო ეკოლოგიური პროცესების, ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური რესურსების ერთობლივ განვითარებას;
- სოციალური და კულტურული მდგრადობა უზრუნველყოფს ისეთ მდგრადობას, რომლის დროსაც ადამიანების ცხოვრება, მათი ერთობლივი კულტურა და ღირებულებები ყოველმხრივ დაცულია და კულტურული თვითმყოფადობა კიდევ უფრო მტკიცდება;
- ეკონომიკური მდგრადობა უზრუნველყოფს განვითარების ეკონომიკურ ეფექტურობას, როცა რესურსების გამოყენების არჩეული მეთოდი იძლევა ამ რესურსების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების გარანტიას.

აგროტურიზმი იწვევს მომგებიანი შიდა დარგების: სასტუმროებისა და განთავსების საშუალებების, სატრანსპორტო სისტემების, ხალხური რენვის და სხვ. საქმის სტიმულირებას.

- აგროტურიზმი მოახდენს ადგილობრივი საბაზრო ინფრასტრუქტურის: ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და სხვა საბაზრო სისტემების სტიმულირებას რეგიონის დონეზე;
- იგი შექმნის რეკრეაციულ ობიექტებს, რომლითაც ისარგებლებენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, აგრეთვე შიდა საერთაშორისო ტურისტები;
- აგროტურიზმი ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების პროდუქტიულად გამოყენებას, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა დიდ ფართობებზე იქნას შენარჩუნებული ბუნებრივი ფლორა და ფაუნა;
- აგროტურიზმი გადაჯაჭვულია კულტურულ ტურიზმთან, რადგან ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების გაღრმავებას.

საქართველოს ტურისტული ბაზრის კვლევა და ანალიზი აუცილებელი პირობაა ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გამოკვეთისა და ტუროპერატორებისათვის სწორი რეკომენდაციების გასაცემად. სამწუხაროდ, მნიერი სტატისტიკური მონაცემები და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საზოგადოდ მიღებული მარკეტინგული კვლევის ჩატარების პრაქტიკა საქართველოში ჯერ ვერ არის სათანადო დონეზე.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2010 წლის 6 თვეში საქართველოს 782 932 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 36,4%-ით მეტია. კონკრეტულად ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში 278 656 ვიზიტორი შემოვიდა, რაც გასულ წელთან შედარებით 34%-ით მეტია, ამერიკიდან – 9 677 ვიზიტორი (27,5%-ით მეტი), აზიის ქვეყნებიდან – 17 289 ვიზიტორი (53%-ით მეტი), აფრიკიდან – 1 079 ვიზიტორი (208%-ით მეტი), ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან – 474 450 ვიზიტორი (37%-ით მეტი).

შემოსულ ვიზიტორთა მიზნები განაწილდა შემდეგნაირად: საქმიანი და პროფესიული აქტივობა – 263 848 (34%), მეგობრების და ნათესავების მონახულება – 185 555 (24%), დასვენება და რეკრეაცია – 183 989 (24%), საყიდლები – 61 069 (8%), ტრანზიტი – 30 534 (4%), განათლება/ტრენინგები – 16 442 (2%), რელიგიური/პილიგრიმული – 6 263 (1%), მკურნალობა – 5 481 (1%), ქართულ ორგანიზაციაში დასაქმება – 12 527 (2%).

ცხადია, აგროტურიზმის განვითარება შეცვლის ზემოთ მოყვანილ სტრუქტურასა და ტურისტების მიზნობრივი მოგზაურობის მონაცემებს. აგროტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებასაც, რადგან იგი ქმნის სამუშაო ადგილებს როგორც ადგილობრივ ტურისტულ სექტორში, ისე მომიჯნავე სექტორებშიც, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მეტრეველი – ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები. თბილისი, 2009 წ.
2. ც. სამადაშვილი, ხ. დობორჯგინიძე – აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობა კახეთში. საერთ.სამეცნ. კონფერენცია. ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი. ბათუმი, 2010 წ.
3. www.gnta.ge
4. www.geostat.ge

KETEVAN CHITALADZE

*Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
PhD in Economics*

PRECONDITIONS AND TRENDS FOR THE DEVELOPMENT OF AGRITOURISM IN GEORGIA

S u m m a r y

In many countries agrotourism is one of the leading fields of economic development. In Georgia there are only the initial signs of it.

Nowadays, tourism infrastructure, its natural beauty, cultural-historical sights, exclusive wines, high quality and diverse national cuisine in Georgia forms the pre-conditions for the rapid development of agrotourism.

It is fact that agrotourism should be developed in Georgian villages as well. However, it cannot be discussed separately from regional, national or even international unions.

The article highlights the criteria of agrotourism development, proves the aspects defining its formation as a real priority, some possible positive effects of its development and its importance for our country's prosperity and people's welfare.

**აბროტურიზმი – სოფლის სოციალური პრობლემების დაქვეყნის
მნიშვნელოვანი მახასიათებელი**

ქვეყნის ეკონომიკის მთლიან სივრცეში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულობის ფოკუსირება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რითაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურაში.

ტურისტული ინდუსტრია ბევრი ქვეყნისა და რეგიონისათვის მატერიალური შემოსავლის და მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. დღევანდელ სიტუაციაში განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის დარგობრივი ორიენტირებისა და პრიორიტეტების დადგენა, რომელიც ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს: რა რესურსებზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება და რომელი დარგის განვითარება მოგვცემს პირდაპირ ეფექტს ღარიბი ფენების შემოსავლების ზრდაში. ვფიქრობთ ამ თვალსაზრისითაც ტურიზმის დარგი ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობით ხასიათდება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს და სწრაფად მზარდ დარგს. ძნელია დღევანდელ პირობებში შეირჩეს ეკონომიკის ისეთი დარგი, რომელსაც შესწევს უნარი უმოკლეს პერიოდში ქვეყანაში მოიზიდოს უცხოური ვალუტა იმ მოცულობით, რაც ტურიზმისთვისაა დამახასიათებელი.

ტურისტული კომპლექსების ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული მომიჯნავე დარგების განვითარების დონეზე. ტურიზმის განვითარება სასარგებლო პროცესია, რადგან იგი სტიმულს აძლევს ამ დარგების განვითარებას. ეკონომიკაში ცნობილია, რომ, თუ ამ ტიპის დარგები ქვეყანაში არაა უზრუნველყოფილი მათი წარმოების საშუალებების ფუნქციონირებით, დამოკიდებულება გარე ბაზარზე ძლიერი იქნება. მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში ქვეყნის სამეურნეო წინსვლის პარამეტრებს სწორედ ტურიზმის წვლილი განსაზღვრავს, მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ ტურისტულ სექტორს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყანაში მყარი ვალუტის შემოდინების მხრივ, ასევე საბიუჯეტო შემოსავლების შევსებაში.

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელთაც ტურიზმის განვითარების მრავალფეროვანი პირობები აქვს. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში არსებული პოტენციალის გამო, ტურიზმი და მომსახურების სფეროთა კომპლექსური ინდუსტრია დარგის მდგრადი ეკონომიკური ზრდის იდეალური საფუძველია.

საქართველო ძალზე მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით ხასიათდება, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მის სპეციალიზაციაზე, გაადგილებაზე, წარმოების ტენდენციებსა და მასშტაბებზე.

ეს მახასიათებლები შესამჩნევად, ზოგჯერ რადიკალურადაა განსხვავებული ცალკეული ზონისა და მიკროზონის მიხედვით, რაც მართვის სისტემის თვალსაზრისით სრულიად სპეციფიკურ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის ტერიტორიის 53% მთებს უკავია, ამიტომ, რელიეფური და ტერიტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე, აუცილებელია რიგი საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მიწის მცირე წილის ფონზე საჭირო ხდება მისი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებების დასახვა.

ყურადღაღები ფაქტია, რომ მაღალმთიანი რეგიონის, კერძოდ სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს, გამომდინარე აქედან, სასურველია რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალი რესურსების სახით მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და მორგებული ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებს.

ქვეყნის რელიგიური მრავალფეროვნება ქმნის საკურორტო ინდუსტრიის, ტურიზმის, ალპინიზმის, სპეციალური, სათავგადასავლო, ეკოტურიზმის, აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. საქართველოს საკმარისი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომ განავითაროს კონკრეტულად აგროტურიზმი. მაგრამ აქ მთავარია სწორად მოხდეს ტურიზმის პოლიტიკის შემუშავება მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე მთავარია სწორი დაგეგმარება ღონისძიებებისა, რადგან კონკურენცია მაღალია და დიდი ძალისხმევას საჭირო იმისათვის, რომ ევროპელმა, აზიელმა ან ამერიკელმა ტურისტმა მსოფლიოს ცნობილ კურორტებს საქართველოს მთები ამჯობინონ, მით უფრო, რომ დღესდღეობით საქართველო იყენებს თავისი ტურისტული რესურსის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, დანარჩენი კი ასათვისებელია.

სოფლად დასვენების ინტერესი და მოთხოვნა იზრდება, ჩნდება ტურიზმის ახალი ფორმებიც – სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა მრავალი. ტურისტული შეთავაზებების ახალი ფორმები პირველად ჩამოყალიბდა დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ქალაქის მცხოვრებლებს აღარ გააჩნდათ მჭიდრო ნათესაური კავშირები სოფლად, მაგრამ ჰქონდათ სოფლად დასვენების დიდი სურვილი. ისინი ირჩევდნენ მიმზიდველ სოფლებს ქალაქგარეთ, ქირობდნენ საზაფხულო სახლებს და, შესაბამისად, იხდიდნენ ქირისა და მომსახურების საფასურს. მასპინძელი ოჯახებისათვის ეს დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა. ამჟამად სოფლის ტურიზმის დასვენების პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც, იკიდებს ფეხს.

მიმზიდველობა, სუფთა ბუნებრივი გარემო, გულითადი მასპინძელი, ადგილობრივი პროდუქტი – ეს არის ის ძირითადი კომპონენტები, რაც სოფლად ტურისტულ მოთხოვნას ქმნის. ორგანული მეურნეობები სუფთა და ჯანსაღი პროდუქციით ის დამატებითი კომპონენტია, რაც ტურისტულ შეთავაზებას უფრო მიმზიდველსა და ღირებულს ხდის. ამ შემთხვევაში ადგილობრივ ფერმერს და თავად ტურისტს გააზრებული აქვთ ბუნების მიმართ პასუხისმგებლობა. ორგანული მეურნეობა განაპირობებს გარემოს სისუფთავეს როგორც ფერმაში, ასევე მის გარეთ, ის ფერმერს საშუალებას აძლევს თავისი საქმიანობით დამატებითი შემოსავლები და ალტერნატიული საქმიანობები წამოიწყო. მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი მეურნეობები კი სოფლად შემოსავლებს ზრდის.

აგროტურიზმი – ეს არის დასვენების ფორმა ფერმერულ მეურნეობაში, სადაც არსებობს ღამის გათევის შესაძლებლობა, ადგილზე წარმოებული პროდუქციით კვება (მინიმუმ 40% პროდუქტისა უნდა იყოს ადგილზე, ოჯახში წარმოებული) და სადაც შესაძლებელია რეკრეაციული აქტივობების ორგანიზება, როგორც არის ქვეითი და საცხენოსნო ლაშქრობები, კულტურული და სათავგადასავლო მოგზაურობები და სხვ. ასეთი სახის ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ფერმის ტერიტორიებზე შენარჩუნებული იყოს მეურნეობის ტრადიციული ტექნოლოგიები, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა ტურისტისათვის.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციების ექსპერტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორ ედვანგ ინსკიპის განმარტებით: “სოფლის ტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ, ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან”.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, სოფლად ტურიზმის განვითარების დადებითი შედეგები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;
- სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული თვითშეგნების ამაღლება;
- სიღარიბის დაძლევა;
- ხალხური რენვის განვითარება;
- ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- სოფლის ესთეტიკის გაუმჯობესება და ინტეგრაცია;
- სეზონური მიგრაციის შემცირება;
- ადგილობრივი მეურნეობის განვითარება.

რაც შეეხება იმას, თუ რა ძირითადი პროდუქტი უნდა შესთავაზოს სანაცვლოდ სოფელმა ტურისტს:

- აქტიური დასვენება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიწოდება;

- რეკრეაცია (სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა);
- ახალი ცოდნისა და გამოცდილების შექმნა;
- მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურება;
- ბუნებასთან სიახლოვე;
- ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება.

თუ გავითვალისწინებთ ტურისტული პროდუქტის კომპლექსურობას, ტურისტული საქმიანობა სოფლად მხოლოდ ინდივიდუალური ფერმით/მეურნეობით არ შემოიფარგლება, ხშირ შემთხვევაში, ტურისტის მომსახურებაში მთელი თემი არის ჩართული. შესაბამისად, აგროტურისტული მეურნეობა ზრდის მოსახლეობის დასაქმების დონეს და ქმნის დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროს სოფლის მოსახლეობისათვის. აგრო-, ეკო- და სოფლის ტურიზმის ცნებების მკაცრი განსაზღვრება არ არსებობს, მარტივად რომ ვთქვათ, ისინი წარმოადგენენ მდგრადი ტურიზმის შემადგენელ ნაწილებს, სადაც გავითვალისწინებულა გარემოსდაცვითი საქმიანობები, ბუნების კონსერვაცია, მდგრადი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, სპეციფიკურ, თანამედროვე მოდელისა და მომავლის ხედვის პროგრესულ ფორმად ყალიბდება აგროტურიზმის პროფილის ფორმირების შექმნა და მორგებულ მენეჯმენტზე აგებული ფუნქციონირება.

მიმზიდველობა, ხალხი, პროდუქტი – ეს არის აგროტურიზმის ძირითადი კომპონენტები. აგროტურისტული მეურნეობები მდებარეობს სუფთა გარემოში, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიახლოვეს. სწორედ აქიდან გამომდინარეობს აგროტურიზმის განვითარებისათვის ხელმისაწვდომი პირობები:

1. ღამის გასათევი ადგილების შესაქმნელად არ არის საჭირო დიდი კაპიტალდაბანდება, რადგან აგროტურიზმი შეიძლება განვითარდეს უკვე არსებულ საცხოვრებელ სახლებში, რაც არ მოითხოვს დიდ ინვესტიციებს. ძირითადად საჭიროა სანიტარიული ნორმების დასაკმაყოფილებლად და საძინებელი ფართის რეკონსტრუქციისათვის.

2. აგროტურიზმი შეიძლება განვითარდეს მრავალფეროვან ტრადიციულ გარემოში, რასაც ხელს უწყობს ლანდშაფტის მრავალფეროვნება, ადგილობრივი მოსახლეობის ინდივიდუალური თავისებურებანი, ტრადიციული პროდუქტი და სამზარეულო.

3. გასათვალისწინებელი ფაქტორებია საზოგადო ინფრასტრუქტურის არსებობა, თუმცა ეს უკანასკნელი აგროტურიზმის განვითარებისათვის გადაულახავ ბარიერს არ წარმოადგენს. სუფთა ეკოლოგიური გარემო, სანიტარიული ნორმები და უსაფრთხოება არის მინიმალური მოთხოვნილებები, რომელთა შესრულება აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

აგროტურიზმის განვითარებისათვის უაღრესად საყურადღებო და დამახასიათებელი ფაქტორია ის, რომ საქართველოში არის 25 ათასი მდინარე, 860 ტბა, 688 მყინვარი, 1400 მინერალური წყარო (მ. შ. ნახევარზე მეტი ცხელი წყარო); ტყეებს უკავია მთელი ტერიტორიის 38,8%, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე 320 კილომეტრია; ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% - მთისწინებს [1].

იმისათვის, რომ აგროტურიზმს ჰქონდეს რეალური დადებითი გავლენა ქვეყნის მეურნეობასა და სოციალურ სფეროზე, ასევე გახდეს ტურიზმის რეალური პრიორიტეტული მიმართულება, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ ასპექტს:

- ტურისტების ორიენტაცია ეკოლოგიური რესურსების მოხმარებაზე;
- ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება;
- პერიფერიული რეგიონების მოსახლეობისათვის ტრადიციული ცხოვრების სტილის შენარჩუნება.

ამიტომ, აგროტურიზმს ტურიზმის შესახებ კანონში უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ადგილი, რადგანაც აგროტურიზმისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოში მის მდგრად განვითარებასა და სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. ამასთან, შესაძლებელია ხუთი კრიტერიუმის გამოყოფა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს აგროტურიზმი. იგი უნდა იყოს:

- ბუნებაზე ორიენტირებული და ეფუძნებოდეს უპირატესად ბუნებრივი რესურსების გამოყენებას;
- არ აყენებდეს ზიანს გარემოს, ანდა ეს ზიანი უნდა იყოს მინიმალური ე.ი. ეკოლოგიურად მდგრადი;
- გამიზნული ეკოლოგიურ განათლებაზე, ბუნებასთან თანაბარპარტნიორული ურთიერთობების ფორმირებაზე;

- ადგილობრივი სოციალურ-კულტურული სფეროს მომვლელი;
- ეკონომიკურად ეფექტური და იმ რაიონების მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფელი, სადაც ის ხორციელდება.

ამასთან, აგროტურიზმის განვითარება მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციონალური სისტემის დამუშავებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი სრულყოფილი მართვა და რეგულირება. ეს მოიცავს მორგებული ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნასა და შესაბამისი ნორმების დამუშავებას.

საჭირო იქნება შედგეს აგროტურიზმის რეგიონული ატლასი, რაც მარკეტინგული მოტივაციების რეალიზაციისა და უზრუნველყოფის საფუძვლად იქნება მიჩნეული. ასეთი ატლასის შექმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში უდავო სიახლეს წარმოადგენს.

აგროტურიზმი საქართველოში სხვა მრავალ სპეციფიკურ და მკაცრად მიზნობრივი ამოცანის გადანყვეტასაც მოითხოვს, რამაც საბოლოო ანგარიშით უნდა შექმნას აგროტურიზმის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა და სამსახური, რომლის რეალიზაციაც განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს და აამაღლებს მის როლსა და ფუნქციას მსოფლიო თანამეგობრობაში [3].

მეცნიერები ახლა ფართოდ განიხილავენ ახალ თეორიას – მომხმარებლის არჩევანის თეორიას. ეს არის ადამიანის მიერ გადანყვეტილების მიღების აღწერა და შესრულება. აგროტურიზმის განვითარება ამ პოზიციის რეალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა და საშუალებაა.

აგროტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ უპირატესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობა. ამასთან, აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან ძირითადი მოტივაცია სოფლის ტურიზმისა არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება. ეს გარემოება კი განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში.

ყველა ამ საკითხის შესწავლა და დამუშავება, სხვა სფეროს სპეციალისტებთან ერთად, ქართველ აგარარკოს-ეკონომისტთა მოვალეობაა და მათ დიდ ჯაფასა და ინტენსიურ საქმიანობას მოითხოვს, რის შედეგადაც შესამჩნევად ამაღლდება საქართველოს ისედაც წონადი გეოპოლიტიკური ფუნქცია და როლი მსოფლიო თანამეგობრობაში. ყოველივე ეს თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების შემადგენელი ელემენტი იქნება.

ტურიზმი, ეს სუბსიდირებული სფეროა და ჩვენი აზრით კარგი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფლება გაითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების განვითარების გამოცდილებას. კერძოდ, პერსპექტივაში შექმნას სპეციალური ფონდები, რომლებიც დაფინანსებას გაუნევენ სოფლად აგროტურიზმის განვითარებას, აგრეთვე გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. მაგალითად, შვეიცარიაში 1997 წელს მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტი „მაღალმთიან რეგიონებში ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ“. აქტის მიზანია დააჩქაროს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა, ხელი შეუწყოს მათი პოტენციალის გამოკვლევას, დაიცვას მათი სოციალურ-კულტურული თავისებურებები, უზრუნველყოს მდგრადი განვითარება. ამ ფონდიდან აღებული სესხი ხასიათდება დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

ამდენად, საქართველოს ბუნებრივი რესურსები ამოუწურავია, მაგრამ მთავარია გავითვალისწინოთ ის მოთხოვნები, რომლებიც წარმოდგენილია ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების სახით, მოხდეს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამისა და კონცეფციის შემუშავება, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, სოფლად ტურისტული რესურსების შესწავლა-დამუშავება, გავრცელება საზოგადოებაში და ა.შ.

გამომდინარე აქედან, ქვეყნის აგროტურიზმის პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად ჯერ კიდევ ბევია გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ დონეზე შესასწავლია ცალკეული ტერიტორიული ერთეულების ტურისტულ-რესურსული პოტენციალი და, გამომდინარე აქედან, უნდა განისაზღვროს ტურიზმის განვითარების ძირითადი, სტრატეგიული მიმართულებები, უნდა შემუშავდეს დარგის განვითარების სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. უნდა გადაიდგას სწორი ნაბიჯები რეკლამა-მარკეტინგის მიმართულებით და მომზადდეს დარგის განვითარების მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ნებისმიერი მათგანის უკმარისობა იწვევს დარგის ფუნქციონირების მოშლას, მის არასწორ განვითარებას.

TSIRA TSETSKHLADZE

*Shota Rustaveli State University
Assistant Professor*

MAMUKA GOGELIA

*Shota Rustaveli State University
BA. Doctorante*

**AGROTOURISM –AN IMPORTANT CHARACTERISTIC FOR OVERCOMING SOCIAL PROBLEMS
OF THE VILLAGE**

S u m m a r y

The article testifies the priority of tourism, namely, the importance of agrotourism development, which will help solve social problems in the village.

It is worth noting that nowadays more attention should be paid to its ecological and recreation potential.

Georgias is rich in agrotourism resources, but it is important to envisage the principles of sustainable development of tourism. So, it is crucial to elaborate state programmes and conceptions for developing agrotourism in Georgia.

მინათმოქმედება და რელიგია

ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და პრიორიტეტულობა ბევრად და მოკიდებული მეურნის მსოფლმხედველობასა და ღირებულებით სისტემაზე. ინგლისელი ფილოსოფოსი **კრისტოფერ და-უსონი** წერს, რომ „**მხოლოდ სულიერ ცვლილებებს მოაქვს ერების მატერიალურ ცხოვრებაში შორს მიმავალი შედეგები. გარეგანი მატერიალური ცვლილება, თუკი მისი ფესვები ერის კულტურული და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან არ ამოიზრდება, მცირე ეფექტს იძლევა**“.

მეურნეობრივი მოტივები და სტიმულები ყალიბდება ადამიანის ზედაპირულ, ცვალებად ფენებში. იგი მყარი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღწევს უფრო ღრმა, უძველეს პლასტებში, ინდივიდის ქმედების აღმძვრელ არქეტიპულ სტრუქტურებში. პიროვნების არქეტიპი – საზოგადოების (ხალხის, ცივილიზაციის) ადამიანთა ფსიქიკის პირველსაწყისი, ყველაზე მყარი ელემენტებია, რომლებშიც დაღეპილია კოლექტიური ქვეცნობიერი და როგორც **კ. გ. იუნგი** ამბობს: „**გადაიცემა მეპყვიდრეობით, მსგავსად ადამიანის სხეულის მორფოლოგიური ელემენტებისა**“. არქეტიპი შეიძლება გამოვავლინოთ ცივილიზაციის ან ხალხის ისტორიის მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის (საუკუნის, ეპოქის) საფუძვლიანი შესწავლით. ეკონომიკური თვალსაზრისით არქეტიპში მოცემულია მეურნეობის საბაზო აქსიომატიკა: იდეალური ეკონომიკური წყობის ხატი. ცხადია, იგი პრაქტიკაში არასოდეს არ ხორციელდება მთლიანად. იგი ასე თუ ისე მუდამ „იხრება“ იდეალისაგან. ადამიანის ეკონომიკური მოტივი და წარმოდგენები მისი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მუდმივად იცვლება ისევე, როგორც იცვლება მისი სამეურნეო ყოფის ყველა სხვა პირობა და მდგომარეობა. საუკუნეების განმავლობაში უცვლელი რჩება მისი ყველაზე ფუნდამენტალური ღრმა სამეურნეო „არქეტიპი“.

არქეტიპში მჟღავნდება ისტორიულად მოცემული ტიპის პირველსაწყისი, თანდაყოლილი სახე, მისი დამოკიდებულება აბსოლუტთან. სწორედ აბსოლუტთან დამოკიდებულებაში ზემინიერი საწყისების ძებნისას გადის ადამიანი ემპირიული სამყაროს ჩარჩოებიდან და ირჩევს აზროვნების ისეთ მოდელს, რომლითაც შესაძლებელი ხდება სამყაროს აღქმა და „ნაკითხვა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ რა მიმართებაშია ადამიანის „მე“ აბსოლუტთან, ზეპიროვნულთან, ამაზეა დამოკიდებული მისი ცხოვრების უაღრესად მინიერი ნორმებიც. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატების ასახსნელად არ კმარა მხოლოდ მისი რესურსების მიხედვით მსჯელობა. როგორც **ს. ნ. ბულგაკოვი** აღნიშნავს „**მეურნეობა, ისევე როგორც შრომა და ადამიანური საქმიანობის სხვა ყველა მხარე, გარკვეული ზომით სულიერ ცხოვრებას წარმოადგენს**“. ადამიანის სულის საიდუმლოებათა შესწავლა კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ავხსნით ადამიანის ბუნებასთან და აბსოლუტთან დამოკიდებულებას.

თითქმის ყველა რელიგიაში, სახალხო მეურნეობის არც ერთ დარგს არ ეთმობა ისეთი საპატიო ადგილი, როგორც სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით - მინათმოქმედებას. ბუნების მონყალე-ბაზე დამოკიდებული ადამიანი ყოველნაირად ცდილობდა კეთილად განენყო ზებუნებრივი ძალები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოთ მოსავლიანობისა და ნაყოფიერებისათვის.

ჯერ კიდევ ორმოცი ათასი წლის წინათ ჩვენი უძველესი წინაპრები, **კრომანიონელი** მონადირე-შემგროვებლები თავყვანს სცემდნენ თავიანთ მარჩენალ ცხოველებს (ან იშვიათად მცენარეებს), რაც გამოიხატა პირველყოფილი რელიგიის ერთ-ერთი ფორმით „ტოტემიზმით“. ტოტემიზმის მაგალითია ბრაჰმანული ინდოეთის დამოკიდებულება ძროხისადმი, რომელიც ღვთაებადაა მიჩნეული და დიდი თავყვანისცემით ეპყრობიან. სკანდინავიურ ეპოსში უმაღლესი ღვთაების – **ოდენის** დედად **ძროხაა** გამოყვანილი. ტოტემის კერპებს შორის ყველაზე მეტად **ხარის** კულტი იყო გავრცელებული, რაც მინათმოქმედებასთან ასოცირდება. ზოგიერთ ხალხში ხარის მოკვლის შემთხვევაში დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ. ჰომეროსის პოემებში არაერთხელ გვხვდება მზით გასხივოსნებული ხარები. ოვიდიუსი თავად ზევსს წარმოგვიდგენს ხარის თავით. საქართველოშიც, ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების განმავლობაში ხარის კულტის მიმართ რწმენათა და სარიტუალო ჩვეულებათა მთელი კომპლექსი შეიმუშავეს. ინდუსები პატივს მიაგებენ **ვირს**, რაც შრომასთან ასოცირდება. ინდურ ვედებში ინდრა წარმოგვიდგება მებრძოლ **ცხვრად**, რომელიც ამარცხებს გველს. ისევე როგორც ძროხა, ცხვარიც ბევრ ხალხში ოჯახის მარჩენალ ცხოველადაა მიჩნეული. როგორც ცნობილია, ტოტემი ტაბუირებულია – მას არ უნდა შეეხონ ხელით და ზოგჯერ არც კი უნდა

შეხედონ, მოკვლა კი დიდ უბედურებად ითვლება, რის გამოც ზოგიერთ ხალხში მკვლელს სიკვდილით სჯიდნენ. ზოგიერთ ხალხში ტოტემსაც კლავენ. მაგალითად, ავსტრიელები ამას აკეთებდნენ შიმშილობის პერიოდში, როცა სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ, თუმცა ცდილობდნენ, თავისი ტოტემისთვის გზა არ შეეკრათ, ძილის დროს არ მოეკლათ და ა.შ. მაგრამ მისი მონადირების შემდგომ რიტუალებში ჩანს, რომ ისინი ერთობ დამწუხრებულნი არიან, რადგან თვლიან, რომ მოკლეს უახლოესი ნათესავი, თავიანთი სისხლი და ხორცი. ზოგიერთ ხალხში კი წელნინადში ერთხელ გვარის წევრები კლავდნენ ტოტემს და გარკვეული სახის ცერემონიალის თანხლებით ჭამდნენ მას თავის შიგნულისადა. მათი რწმენით, ეს არამცთუ ტოტემის განაწყენებას იწვევდა, არამედ მისთვის სასარგებლოც კი იყო. ზოგჯერ ამ რიტუალში ტოტემი ისე იყო გამოყვანილი, თითქოს იგი თავისი სურვილით ეწირებოდა გვარის ან ტომის წევრებს.

ჯ. ფრეზერს მიაჩნია, რომ კულტურული მცენარეების მოშენებასა და ცხოველებისა და ფრინველების მოშინაურებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ტოტემიზმმა შეასრულა.

უფრო კულტურულ ხალხებში გავრცელებული იყო შრომის იარაღებისადმი, მასში ჩასახლებული სულისადმი თაყვანისცემა – **შატიშიზმი**. ვფიქრობ, ფეტიშიზმის ქვეცნობიერი გამოვლენაა ის ფაქტი, რომ სამშობლოდან გადახვენილ ჩვენს წინაპრებს თილისმად თან მიჰქონდათ ერთი მუჭა ქართული მინა. ან კიდევ, სწორედ ვაზში ჩასახლებული ღვთაებრივი სული მიაჩნდა ქართველ კაცს თავის მფარველად და აქედან მოდის ვაზისადმი განსაკუთრებული სიყვარული და თაყვანისცემა. იქნებ ამან განაპირობა, რომ ერთ-ერთი ვერსიით საქართველო მიიჩნეოს ღვინის სამშობლოდ.

მაგიის რამდენიმე სახიდან (ვერბალური, ასტრალური, სამკურნალო, საბრძოლო, მეტეოროლოგიური და სხვ.) განსაკუთრებით გავრცელებული იყო აგრარული, სამონადირეო და სარენაო მაგია. მაგალითად, ევროპის ბევრ ქვეყანაში წარმატებული მინათმოქმედი ან მონადირე ჯადოქრად და ქურდად იყო მიჩნეული; თუ ვინმემ კარგი მოსავალი მოიყვანა, მამასადამე, მან მეზობელს მოპარა „მოსავლის სული“. ეკონომიკური მნიშვნელობის (ნაყოფიერების) მაგიის რამდენიმე სახე შემორჩენილია საქართველოშიც. კერძოდ, სვანური **საფერხულო** და თუშური **ქორბელელა**, ქართლ-კახეთში და ზემო აჭარაში – **ყენობა**. მთიან აჭარაში დღემდე შემორჩენილია **ლაზარობა** საფერხულო რიტუალი, რომელიც სრულდება გვალვის ან წვიმის გამოსაწვევად. დღემდეა შემორჩენილი აგრეთვე მოსავლის სულისადმი რწმენა და თაყვანისცემა. მაგ., მიუღებელია ოთხშაბათს (ოთხფეხის დღეს) ოჯახიდან რძის ნაწარმის გაცემა, რადგან სწამთ, რომ ამ შემთხვევაში ძროხას რძე გაუშრება. თუ ვინმეს მწვანილს დაუკრეფენ, რამდენიმე ღეროს ნაწყვეტენ და ისევ ბოსტანში გადაყრიან – ხვავი არ გაჰყვეს. მიაჩნიათ, რომ, თუ ბაღიდან ვინმე გოგრას მოიპარავს, მომავალ წელს გოგრის მოსავალი აღარ ექნებათ. სათესლე მარცვალს არ გასცემენ, თუ ჯერ მას არ აქვს დათესილი. გამოუვალ შემთხვევაში, რამდენიმე მარცვალს მოისვრიან საკუთარ ბოსტანში. კვირკობის (ძვ. სტ. ივლისის პირველი კვირა) დღესასწაულზე მინას ბარს არ დაჰკრავენ – მინა განაწყენდება და მოსავალს არ მოგვცემსო. ქაშატობისას (ძვ. სტ. აპრილის პირველი შაბათი) საერთოდ არ შეიძლება ბოსტანში შესვლა – დაღვრავსო. დიდ ხუთშაბათს ჩათესავენ გოგრას – დიდ ნაყოფს მოისხამსო. სამინათმოქმედო საქმიანობა, მთიან აჭარაში დღესაც მთვარის ციკლს მისდევს: მაგ., თესვა შეიძლება მხოლოდ მთვარის ავსებისას (აღმა მთვარეზე).

შუაფინარულ ააოაჰი სამი დიდი ღმერთიდან (**ანუ, ეა და ენლილი**) მთავარი ადგილი დაიჭირა ენლილიმ, რომელსაც მიანერდნენ მცენარეული სამყაროს შექმნას, სამინათმოქმედო იარაღების – თოხისა და გუთნის გამოგონებას.

სემიტებმა ნაყოფიერების ქალღმერთის **იშთარის** მენყვილე **თამუზს**, რომელიც მცენარეულ სამყაროს განასახიერებდა, „ხელმწიფე ღმერთი“ შეარქვეს, **ადონი** უწოდეს და წინა აზიის უდიდეს ღვთაებად აქციეს.

ხეთების სამინათმოქმედო კულტის მეუღლე, ატისი, თამუზის მსგავსად, მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებაა, რომლის დღესასწაული აღინიშნებოდა ადრე გაზაფხულზე.

უძველესი **ეგვიპტური** რელიგია დიდ თაყვანს სცემდა ცალკეულ ცხოველებს, რომლებიც ხშირად ღვთაებათა იპოსტასები ხდებოდნენ. მაგალითად, **ხარი აპისი** ითვლებოდა უფროსი ღვთაების რა-ს ცხოველად, **ცხვარი** – ოსირისისა და ა.შ. ეგვიპტის მოსახლეობა ყოველწლიურად ზეიმობდა ოსირისის მიცვალებისა და აღდგენის დღესასწაულებს, რომელიც რიტუალური ხვნათესვის თანხლებით 18 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. მლოცველები პატივს მიაგებდნენ მინისა და ხორბლისაგან დამზადებული ოსირისის ფიგურას. ამ რიტუალში ოსირისი წარმოდგენილი იყო როგორც ხორბლის (პურის) ღვთაება. ლეგენდის მიხედვით, ოსირისი მოკლა თავისმა ძმამ ღვთაება სეთმა, ხოლო მისი სხეული აჩეხეს და მთელ ეგვიპტეში მიმოფანტეს. ოსირისის ცოლმა **ისიდამ** დიდი ხნის ძებნის შემდეგ მიაგნო ამ ნაწილებს, შეაერთა ისინი და დაბადა

მისგან შვილი, **ჰორი**. ჰორმა დაამარცხა სეთი და აღადგინა თავისი მამა. ამ მითში ასახულია თესვისა და მოსავლის მოწვევის რიტუალი, ხოლო ოსირის ენიჭება პურის მარცვლის ძალა. ოსირის მიწნევა მებაღეობისა და მევენახეობის შემოღება.

ძვ.წ. III-II ათასწლეულის **ინდოეთის** დიდი ცივილიზაცია მინათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული. ძვ.წ. I ათასწლეულში, როდესაც აბორიგენ მოსახლეობას სძლიეს არიელებმა და გაბატონდნენ, საფუძველი ჩაეყარა კასტურ წყობილებას. რომელთაგან მესამე კასტა – **ვაიშები** ეკუთვნიან მინათმოქმედთა, ვაჭართა და მეფოგეთა წრეს. ისინი უმთავრესად არიელი ტომების შთამომავლები იყვნენ და ითვლებოდნენ კეთილშობილთა კასტად, ანუ ე. წ. მეორედ დაბადებულთა კასტად.

ჩინეთში – უდიდეს სამინათმოქმედო ტრადიციების ქვეყანაში, გლეხებისათვის უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა **შე-ნუნი** (ღვთაებრივი მინათმოქმედი), რომელიც წარმოდგებოდა ლეგენდარულ იმპერატორთა გვარიდან. პეკინში ამ ღვთაების სახელზე ტაძარიც კი იყო აგებული, სადაც სრულდებოდა საზეიმო ცერემონიები. გაზაფხულის პირას თავად იმპერატორი საზეიმო ამაღლის თანხლებით გამოდიოდა წმინდად შერაცხულ მინაზე და სახნისით გაავლებდა ხნულს, ხოლო ამაღლის წვერები მთლიანად ხნავდნენ საკრალურ ნაკვეთს. გლეხები გაზაფხულსა და შემოდგომაზე ასრულებდნენ **შესადმი** მიძღვნილ სანესჩვეულებო რიტუალებს.

იაპონიაში, როგორც უძველეს მინათმოქმედთა ქვეყანაში, უმძიმეს დანაშაულად ითვლება სარწყავი სისტემის მოშლა და პირუტყვისადმი სასტიკი დამოკიდებულება.

მაზდეანოზის მიხედვით სამყაროს განაგებს ორი უზენაესი ღმერთი: სინათლის შემქმნელი კეთილი **აჰურა-მაზდა (ორმუზდი)** და სიბნელის მეუფე, ბოროტი **ანჰრა-მაინიუ (არიმანი)**. სამყაროს საწყისი კეთილია, რომელიც სათავეს მინათმოქმედების წიაღიდან იღებს. როგორც ავესტა (მაზდეანების წმინდა წიგნი) მოგვითხრობს, აჰურა-მაზდას შეუქმნია ისეთი ქვეყნები და ქალაქები, სადაც მისდევნენ ბინადარ ცხოვრებას, ხნავენ და თესავენ. კითხვაზე – თუ რა არის მაზდეანური რელიგიის არსი, აჰურა-მაზდა პასუხობს: **ვინც კარგად მოამზადებს სათესლე ხორბალს, ვინც დასთესს მას, ის განამზადებს აშას (სინათლისა და სიმართლის სამეფოს), მას მიჰყავს მაზდეანური (სიტყვა „მაზდა“ ნიშნავს ბრძენს) რელიგია წინ**. კეთილმორწმუნის სული მოხვდებოდა აჰურა-მაზდას სამეფოში, სამოთხის ნათელ ბაღში, ხოლო ცოდვილები – არიმანის სამეფოში ანუ ჯოჯოხეთში. ავესტას მიხედვით, ადამიანის უდიდესი დანიშნულებაა, მოხნას მინა და გაამრავლოს მცენარეები.

მაზდეანობაში გამოკვეთილი ადგილი უჭირავს **მითრას** კულტს, რომლის სამსხვერპლო ცხოველია **ხარი**. მისი დაღვრილი სისხლიდან ხეხილი აღმოცენდა და მინა ნაყოფიერი გახდა. აკადემიკოს კ. კეკელიძის აზრით: „მითრაიზმი... მეტად პოპულარული იყო ჩვენში, ამას ზედმინევენით ადასტურებს მითრაიზმის წესები, ჩვეულებანი და კულტის მოვლენანი, რომელნიც გადმონაშთების სახით დღემდე შემონახულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“. მითრაიზმის დამარცხების შემდეგ მისი კულტი შეუერთდა წმინდა გიორგის კულტს, წმ. გიორგის დღეობაზე ხარის, როგორც სამსხვერპლო ცხოველის დაკვლა საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოში, მაგალითად, ილორში (სამეგრელოში).

პერსულ მითოლოგიაში ქალღმერთ **ათინას** უკავშირდება ზეთისხილის დამკვიდრება, **დემეტრას** – ხორბლის, **დიონისეს** – ყურძნისა და მეღვინეობის, **ტრიმპოლემესს** – მინის დამუშავება და ა.შ. ძველბერძნული რელიგიის მიხედვით, აქაველთა ძველი ტომი **მირმიდონები** ჭიანჭველებიდან წარმოშობილად ითვლებოდა და თითქოს ამის გამო გამოირჩეოდნენ მუყაითობითა და შრომისმოყვარეობით. ფოკიდაში გავრცელებული იყო მოსავლის ბარაქიანობისადმი მიძღვნილი წესი: **სეთისა და ამფიონის** საფლავებიდან იპარავდნენ მინას და მიჰქონდათ შინ, რათა მოეზნიათ **ანტიოპეს** საფლავზე. თავის მხრივ, ფოკიდელები ცდილობდნენ, არ გაეტანებინათ მინა მოძალადეებისათვის.

ბერძნულ რელიგიაში სამინათმოქმედო ღვთაებად ითვლებოდა ზევსის და – **დემეტრა** ანუ „დიდი დედა“, „ნაყოფის დედა“. მისი ასული **პერსეფონე** ჰადესმა საიქიოში გაიტაცა. იმის გამო, რომ ამ ამბავში ზევსიც მონაწილეობდა, დემეტრამ მიატოვა ოლიმპო და განიზრახა შური ეძია. მან ხელი აიღო ბუნების მართვაზე: მინა გაველურდა, ხეები აღარ ყვავილობდნენ, ბუნებამ კვდომა დაიწყო. ზევსს სხვა გზა აღარ დარჩენოდა და პერსეფონეს ჰადესიდან გათავისუფლება ბრძანა, რის შემდეგაც მყის აღორძინდა ბუნება. ამის შემდეგ პერსეფონე დედასთანაა წელიწადის სამ დროს, ხოლო მეოთხე დროს ჰადესში ატარებს. ამ დროს ქვეყანაში ზამთარი ისადგურებს. დემეტრამ თავად ასწავლა ადამიანებს საკულტო წესების შესრულება, მოანესრიგა მინათმოქმედების დარგი, ოჯახისა და ქონების საქმეები. დაამკვიდრა კანონები და ამის შემდეგ კვლავ დაბრუნდა ოლიმპოზე. მისი ნიშანია პურის თავთავის ხელეური.

ბერძნული პანთეონის უძლიერესმა ქალღმერთმა, ზევსის უსაყვარლესმა ასულმა **ათენამ** ადამიანებს აჩუქა სამინათმოქმედო იარაღები და ასწავლა მინათმოქმედება, მეურნეობა, ნაოსნობა. პავსანიას გადმოცემით, ათენას კოლხეთშიც ეთაყვანებოდნენ. ზევსის მეორე შვილი, ათენას შემდეგ მეორე უძლიერესი ქალღმერთი **არტემიდა** მონადირეა და სწყალობს მონადირეებს. გამოჩენილი მეცნიერის, ტომპსონის მოსაზრებით, არტემიდას კულტში ბევრია პელაზგების ქალღვთაება – დათვის ნიშნები, რაც, თავის მხრივ, პელაზგებს ნასესხები უნდა ჰქონდეთ კავკასიელებისაგან. პანთეონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე მწყემსების მფარველ თხისფეხება და რქოსან ღვთაება **ჰანს**.

რომაული მითოლოგიის თანახმად, ადამიანები ხეებისაგან არიან წარმოშობილნი. დიდ პატივს მიაგებდნენ ცალკეული ხის კორომებს (განსაკუთრებით მუხის). წესად ჰქონდათ ღვთაებათა გამოსახულებების ხეთა შტოებისაგან გაკეთება, ხოლო, თუ ხის მოჭრა სურდათ, ღვთაებებს წინასწარ მსხვერპლს სწირავდნენ, რათა მათი წყრომა არ დაემსახურებინათ. რომაელთა ზოგიერთი საერთოსახელმწიფოებრივი ღვთაება მინათმოქმედებასა და მეცხოველეობასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, **მარსი**, რომელიც კლასიკურ ეპოქაში ომის ღმერთად იყო მიჩნეული, თავდაპირველად მინათმოქმედთა და მეჯოგეთა, გაზაფხულისა და ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა. **ვენერა** – სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი – თავდაპირველად მებაღეობისა და მეღვინეობის ღმერთი იყო. მინათმოქმედებასთანაა დაკავშირებული **სატურნი** და ა.შ. რომის რესპუბლიკის დროს, როცა პროვინციიდან პურის შემოზიდვის სისტემა შეიქმნა – გაჩნდა ღვთაება **ანონა**, რომელსაც მფარველობა უნდა გაენია ამ პროცესისათვის. მონათმფლობელებს ზედმეტად მიაჩნდათ მონების მიერ კულტმსახურება, მაგრამ, ძველ სამინათმოქმედო დღესასწაულებზე მივიწყებდნენ ხოლმე სოციალურ განსხვავებას და მონებს არა მარტო აქეიფებდნენ თავიანთი ხარჯით, არამედ ემსახურებოდნენ კიდევაც.

სხვათა შორის, საქართველოშიც, კერძოდ, იმერეთში, ფეოდალურ ხანაში სანერეთლოს სათავადოში მიღებული იყო მსგავსი წესი: ნერეთლები ერთ დღეს, რომელსაც **„მოტყიერობას“** ეძახდნენ, თავიანთი საკლავითა და პურ-ღვინითი უმასპინძლებოდნენ გლეხებს.

ატცაქავში ხუცილოპოჩტლისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალისას თაფლში შეხელილი ცომისაგან ამზადებდნენ ღვთაების გამოსახულებას, რომელსაც ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ტეხდნენ და ჭამდნენ.

მაიას ერთ-ერთი მითის მიხედვით ღმერთებს ადამიანის შექმნა უცდიათ თიხისაგან, მაგრამ წარუმატებლად, ბოლოს **სიმინდის მარცვლისაგან** შექმნილი ადამიანი გამომდგარა სრულყოფილი – ოთხი კაცისა და ოთხი ქალის სახით, რითაც საფუძველი დაედო კაცობრიობას.

იუდაეველთათვის, როგორც მომთაბარე ხალხისათვის, მეცხოველეობა შეადგენდა ძირითად საქმიანობას. ფიქრობენ, რომ ებრაელთა უდიდესი დღესასწაულის **პასექის** ძირები სწორედ ამ დარგს უნდა უკავშირდებოდეს; კერძოდ, საგაზაფხულო მსხვერპლშენიერვა ჯოგის ახალშობილი ცხოველისა, რომელიც კანონიკური პასექის დროს შეიცვალა სამინათმოქმედო პროდუქტის შეწირვით. მეცხოველეობის კულტს უკავშირდება აგრეთვე ეგრეთ წოდებული **განტევეების ვაცის** რიტუალი. ამ წესის მიხედვით, მღვდელთმთავარი მოიყვანს ორ თხას (ვაცს), დააყენებს სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან, იწყება წილისყრა. ერთი წილი უფლისათვისაა, მეორე კი განტევეებისათვის. უფლის წილი რომელსაც ერგება, იმას შესწირავენ უფალს, ხოლო მეორეს მღვდელთმთავარი თავზე დაადებს ორივე ხელს და აღიარებს მასზე იერუსალიმელთა ყველა უკეთურებას, ყველა ცოდვას ატივორთვინებს ვაცს და გაუშვებენ უდაბნოში საგანგებო კაცის ხელით. წაიღებს ვაცი ყველა მათ უკეთურებას დასაკარგავისაკენ (ლევიაინი, 16. 7, 21, 22).

იუდაიზმის მიხედვით ყოველი საკუთრება და, განსაკუთრებით, მიწა ადამიანებს ღვთისაგან აქვთ მინდობილი დროებითი სარგებლობისათვის (ღმერთთა ყველაფრის უზენაესი მესაკუთრე). არ შეიძლებოდა მიწის სამუდამოდ გაყიდვა. შეიძლებოდა მხოლოდ მონაგარი მიწის: ათვისებული უდაბური ადგილების, არაერთმორწმუნისაგან ნაყიდი ან დაპყრობილი ტერიტორიების გაყიდვა. მიწის გაყიდვიდან 25 წლის შემდეგ მიწის ძველ გამყიდველს ჰქონდა უფლება გამოესყიდა თავისი მიწა. თუ მიწის გამოსყიდვა არ მოხერხდებოდა, კანონით დაწესებული იყო გასხვისებული მიწის უსასყიდლოდ დაბრუნება საიუბილეო (ორმოცდამეათე) წელს.

ქრისტიანული რელიგიისა და მაზდეანობის მსგავსად **ისლამშიც** არსებობს იდეა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ. იუდაიზმისა და ქრისტიანობის მსგავსად ისლამის მიხედვითაც ყველაფერი, რაც ქვეყნიერებაშია, ეკუთვნის მხოლოდ ალაჰს (ხოლო მისი მეშვეობით მთელ მუსლიმანურ თემს). ადამიანი გამოდის, მხოლოდ, როგორც ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე მის განკარგულებაში არსებული სიმდიდრისა და სიკეთისა. სამართალმცოდნე **იბნ კუდამა** წერდა, რომ უპატრონო მიწაზე ვინც პირველი იპოვის მინერალს, აქვს პირველუფლება დაიკმაყოფილის იმით თავისი მოთხოვნები.

მაგრამ სხვებსაც უნდა მისცეს შესაძლებლობა ისარგებლონ ბუნებრივი რესურსებით, რადგან ყოველ ადამიანს აქვს უფლება ალაჰისაგან ბოძებულ სიმდიდრეზე. ისლამის შინაგან სტრუქტურაში ჩადებულია მოთხოვნები, რომლებიც გამოხატავდა გარკვეული სოციალური ფენების ინტერესებს ახალი მიწებისა და სამფლობელოების შემომტკიცებისათვის.

ქრისტიანულ რელიგიაში სამოთხე საუცხოო ბალი, ნადირით სავსე ტყეები და თევზებით სავსე ზღვებია.

როგორც ყოველივეს შემქმნელი, მხოლოდ ღმერთია სრულუფლებიანი მესაკუთრე. დავითის 23-ე ფსალმუნში ნათქვამია: „**უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი**“. ღვთის საკუთრებაა თვით ადამიანებიც. ადამიანს შეეძლო ესარგებლა და განეგო ღვთის საკუთრება თავის შეხედულებისამებრ: **თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად. ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ პირუტყვს, მთელ დედამიწას და ყველა ქვემოდებს, რაც კი მიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1.26).** თანამედროვე ენაზე თუ ვიტყვი, ადამიანები წარმოადგენენ მენეჯერებსა და მწეებს ფართო უფლებებით.

ქრისტიანისათვის ყველაზე შესაფერისი საქმიანობად **მინათმოქმედება** მიიჩნეოდა.

მსოფლიო რელიგიების მიერ სოფლის მეურნეობისადმი, განსაკუთრებით, მინათმოქმედებისადმი ყურადღების გამახვილება (გავისხენოთ აბელისა და კაენისადმი ღმერთის დამოკიდებულება) არ იყო შემთხვევითი და დღესაც აქტუალურია. მინათმოქმედება სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან დარგადაა მიჩნეული, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მას არ უკავია წამყვანი მდგომარეობა.

ქართველების განსაკუთრებული დამოკიდებულება მინათმოქმედებისადმი ჯერ კიდევ ადრეულ მითოსში აისახა. ეპოსში „**ამირანი**“ გადმოცემულია გლეხის ამბრის ამბავი. ამბრი გარდაიცვალა. დედა და ახლობლები „თორმეტი უღელი კამეჩით“ მისვენებენ ცხედარს სასაფლაოზე. ამბრის ფეხი მტკიცედ იყო მიკრული მიწას და არ სცილდებოდა მას. ამირანმა შეიბრალა გლეხი და სცადა ფეხი გაესწორებინა მისთვის, მაგრამ ვერ მოაცილა მიწას. კამეჩებმა გასწიეს უღელი. ფეხი გუთანით ხნავდა მიწას. ქართველები, როგორც უძველესი მინათმოქმედი ხალხი, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ **ხარის** კულტს, რომელსაც მინათმოქმედების ფუძემდებლად მიიჩნევდნენ. არქეოლოგიურ მასალებში ხშირად გვხვდება ლითონისა და თიხისაგან დამზადებული ხარის საკულტო გამოსახულებანი, ხარია გამოსახული კოლხეთსა და იბერიაში მოჭრილ მონეტებზე. მრავალი რელიგიური დღესასწაული დაკავშირებულია ხარის კულტთან, სამეგრელოში შემორჩენილია დღესასწაული – **კურული** – ხარების შეჯიბრება, სადაც ასახულია ხარის მოთვინიერების, მისი გახედვის უძველესი წესი.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ წარმართულ დღესასწაულს უნდა ეყრდნობოდეს ამჟამად მოქმედი და ქრისტიანულ ყაიდაზე გარდაქმნილი დღესასწაული **მცხეთობა**, რომელიც მოსავლისა და ნაყოფიერების თაყვანისცემის უძველესი ტრადიციებიდან იღებს სათავეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უძველეს მინათმოქმედ ქვეყნად ითვლება და, ექსპერტთა შეფასებით, დღეისათვის გააჩნია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად საჭირო სურსათის წარმოების შესაძლებლობა, იგი შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12 პროცენტს აკმაყოფილებს. მრავალ მიზეზთაგან ამის უმთავრესად მიმაჩნია ის, რომ საბჭოთა რეჟიმმა ქართველ გლეხს გადაუჭრა არქეტიპში ღრმად გადგმული უმთავრესი ფესვი – მინათმოქმედებისადმი რელიგიური დამოკიდებულება, მოხდა გლეხის გაუცხოება მიწისაგან.

საქართველო ყოველთვის ცდილობდა და მშვიდობიან პერიოდში ახერხებდა კიდევ არამცტუ ფეხი აენყო ცივილიზებული კაცობრიობისათვის, არამედ გარკვეული წვლილიც შეეტანა მის წინსვლაში. III-IV საუკუნის საქართველო უკვე მაღალი აზროვნებით ხასიათდება, რაშიც დიდი როლი შეასრულა კოლხურმა აკადემიამ, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ტენდენციებით ხასიათდებოდა. VII-VIII სს. არაბმა დამპყრობლებმა საქართველოს გადაუკეტეს დიდი სავაჭრო გზა და, ფაქტობრივად, ქართული ეკონომიკური აზრის დეკადანსს შეუწყვეს ხელი. IX-X საუკუნეებში ქართული აზროვნება კვლავ აღმავლობას განიცდის, რასაც დიდად შეუწყვეს ხელი ქართულმა საზღვარგარეთულმა კერებმა. განვითარების ამ გზამ გამოხატულება პოვა ქართულ ანუ აღმოსავლურ რენესანსში, რაც სრულყოფილად დასახული შოთა რუსთაველის „**ვეფხისტყაოსანში**“. მის შემდგომ განვითარებას მონღოლების შემოსევამ შეუშალა ხელი. მოგვიანებით, საქართველოში ბატონყმობის გადავარდნისა და კაპიტალიზმის ჩასახვის სანყის ეტაპზე, ქართველმა მამულიშვილებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სამამულო ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ ქართული ეკონომიკური აზრის თავისუფალ განვითარებას საბჭოთა ხელისუფლებამ შეუშალა ხელი. ამასთან, მან ეკონომიკას საერთოდ გამოაცალა ის რელიგიური საფუძველი, რომელიც ინერციით, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად კვლავ განაგრძობდა არსებობას მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

არავითარი ეკონომიკური თეორია და ნოუ-ჰაუ თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ ხალხს არ გააჩნია სანყისი ეთიკური ღირებულებები, რომლის აუცილებლობაში დარწმუნება მეცნიერული დოქტრინებით შეუძლებელია. მარქსიზმის თეორეტიკოსებმა, რომლებიც კაცობრიობას ჰპირდებოდნენ ამქვეყნიურ სამოთხეს – კომუნიზმს, რელიგიას უწოდეს – „ხალხის ოპიუმი“, ცრუ საკომპენსაციო საშუალება ჩაგრულთათვის, საჯაროდ გამოაცხადეს კლასობრივი ბრძოლის გარდუვალობა, გაბატონებულ კლასთა განადგურება. ამ დროს, საღამოობით, ევროპისა და აშშ-ს სხვადასხვა შეძლების ოჯახებში, მამები ბიბლიით ხელში თავიანთ ბავშვებს მშვიდად უხსნიდნენ: რა არის კარგი, რა არის ცუდი და რატომ უნდა შევასრულოთ ღვთის მცნებები.

მარქსისტები ამტკიცებდნენ, რომ ყოველგვარი უბედურების მიზეზი სოციალური, პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიკური სტრუქტურის უსამართლობაშია. ისინი გვთავაზობენ ამ სტრუქტურების „გონივრულ“ გარდაქმნას ანუ „სამყაროს შეცვლას“. ასეთი ცვლილება სცადეს ჩვენს ქვეყანაშიც, რამაც იმდენი სამწუხარო შედეგი მოიტანა, რომ უნებურად გვახსენდება გამონათქვამი, რომელსაც ბისმარკს მიაწერენ: „სოციალიზმის მშენებლობისათვის უნდა აირჩეს ისეთი ქვეყანა, რომელიც არ ებრალებათ“.

„კაპიტალიზმის სულის“ მკვლევრის, ვებერის მიხედვით კი: არსებული სტრუქტურები უეჭველად უნდა დარჩეს, თუმცა ისინი ზოგჯერ უსამართლოა და ნამდვილად უნდა გარდაიქმნან, მაგრამ არა სამყაროს „შეცვლის“ გზით, რადგან რჩება ადრინდელი კულტურა – ის შრომითი გარემო, რომელშიც წარმოიქმნენ და რომელშიც არსებობენ ეს სტრუქტურები. როგორც წესი, კულტურა ჯიუტი გარდუვალობით აღადგენს ძველ სტრუქტურებს. იდეოლოგიური ზენოლის შემთხვევაში კი ზოგჯერ ნეგატიური სახითაც. მარქსიზმის შეცდომა ის იყო, რომ ყველაფერი სტრუქტურით დაიწყო და არა ადამიანით, მათ არ ესმოდათ, რომ ბოროტების წყარო – ცოდვილი ბუნებაა, რაც სტრუქტურებზეც აისახება და მთლიანად კულტურაზეც. ცხოვრება უნდა გაუმჯობესდეს და ეს შესაძლებელიცაა, მაგრამ ამისათვის უნდა გვესმოდეს ღვთის ხმა და უნდა მივყვეთ მას.

რელიგია დასაბამიდან დიდ გავლენას ახდენდა ეკონომიკური აზრის განვითარებაზე. ალორძინების პერიოდიდან დაიწყო მათი დაშორება. თუმცა ინერციით, ცნობიერად თუ არაცნობიერად ის მაინც ახდენდა ზეგავლენას. ამ ბოლო დროს კვლავ შეინიშნება რელიგიის როლის ზრდა. ამის გამოვლინებაა ევანგელისტური პროტესტანტიზმის აღმავლობა, ისლამური ფუნდამენტალიზმის გააქტიურება, ინდოეთის საშუალო კლასის წარმომადგენლებში ინდუიზმისადმი ინტერესის აღორძინება, ჩინეთში მოძრაობა „ფალუნ გონგის“ წარმოშობა, მართლმადიდებლობის აღზევება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, რელიგიური გავლენის შენარჩუნება ამერიკაში – ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ სეკულარიზაცია და რაციონალიზმი საეჭვოა ჩავთვალოთ პროგრესის საფუძვლად.

იქნებ ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი უმთავრესი მიზეზი ძვეს არა ეკონომიკურ, არამედ ეთიკურ სფეროში, რომელიც, როგორც ცნობილია, მჭიდროდაა დაკავშირებული აქსიომატიკასთან, მორალურ ღირებულებებთან ანუ რწმენასთან, მთლიანად სიცოცხლის საზრისის ორიენტაციასთან.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი მოგვიწოდებს საპასუხისმგებლო მართვისაკენ. ცოდვის შიშით უმოქმედობა უფრო დიდი ცოდვაა. ამას ადასტურებს იგავი ტალანტებზე (მათე. 25: 14-30). როგორც ამ იგავში მონამ მიიღო საჩუქარი (იქნებ სესხი?) თავისი ბატონისაგან, ჩვენც ვღებულობთ ღმერთისაგან რაღაც ავლადიდებას. ამაში იგულისხმება ჩვენი უნარ-ჩვევები, ურთიერთობის განვითარების პოტენციალი, სულიერი წყალობანი, დრო, მატერიალური ფასეულობანი. ღმერთს ნამდვილად არ სურს, რომ ყოველივე ეს „მინაში ჩავფლათ“. უფალმა ადამიანი თავის მსგავსად და ხატად შექმნა. მოგვმადლა შემოქმედებითი ნიჭი, სიმდიდრის წარმოებისა და მისი ბრძნულად მართვის უნარი. როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ეს არ არის ჩვენი არჩევანი. იგი ღვთის ნებაა.

განუსაზღვრელია ქრისტიანობის როლი საქართველოს კულტურულ, პოლიტიკურ, სულიერ და, თუ გნებავთ, ეკონომიკურ განვითარებაში. როგორც ილია მართალი ამბობდა: **„ქართველებმა ამ რჯულს, ამ ახალ აღთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მანამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნება... რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა... ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“.**

ქართველი ერის სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ხაზგასმით აღნიშნავს: **„ეკლესია და რწმენა, როგორც ამას წერენ და ზოგჯერ ხმამაღლა აცხადებენ, სრულიადაც არ კრძალავს ზრუნვას ეკონომიკურსა და მატერიალურ საკითხებზე, მაგრამ ის გვასწავლის, რომ**

მთავარი სულია... სანამ ადამიანი სხეულით ცხოვრობს, მისთვის ორივე საზრდო საჭირო და აუცილებელია – ხორციელიც და სულიერიც, ოღონდ უპირველეს ყოვლისა სულიერი (...) ადამიანები უფრო ხშირად მხოლოდ მიწიერი სიბრძნით ცხოვრობენ და ამიტომაც ვერ აღწევენ ჭეშმარიტ ბედნიერებას“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია. თბ. 1989.
2. ნადირაძე ე. მსოფლიოს რელიგიები. თბილისი. 2008.
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საახალწლო ეპისტოლე. 1987 წ.
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბ. 2004.
5. ყურანი. თბ., 2006.
6. ცეცხლაძე მ. რელიგია და ეკონომიკა. ბათუმი. 2010.
7. Вебер М. Протестантская этика. М. 1972.

MURMAN TSETSKHLADZE

Shota Rustaveli State University

Associate Professor

AGRICULTURE AND RELIGION

S u m m a r y

In almost every religion of the world no branch of national economy is given such an honorary place as agriculture, especially husbandry.

Nowadays, in spite of its sufficiently rich land resources, Georgia satisfies only 12 percent of its domestic market, whose main reason is the fact that the soviet regime deprived Georgian peasants of the main quality so deeply rooted in the archetype, i.e. the religions attitude towards husbandry, which caused the alienation of a peasant from the land.

In order to solve this problem it is necessary to study the archetype of Georgian peasants and institutional-structural changes in husbandry.

აგროკონსალტინგური მომსახურების, როგორც აგრობიზნესის ახალი მოდელის, განვითარების პარამეტრები საქართველოში

კონსალტინგი წარმოადგენს აგრობიზნესის ახალ მოდელს. ვინაიდან, მეურნეობის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება განსაზღვრული სახის მომსახურებაზე, კერძოდ, იზრდება მოთხოვნა სწავლება-კონსულტირების, ანალიზის, ბაზრის შეფასებისა და სხვა სახის ინფორმაციების მიღებაზე, ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომსახურების ხარისხსა და მომხმარებელთა პრობლემების გადაწყვეტაში სპეციალისტთა მონაწილეობას. კონსალტინგისათვის დამახასიათებელია ბაზრის მოთხოვნილების შესახებ ინფორმაციის და სხვა სახის რეკომენდაციებზე საინფორმაციო მომსახურების ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა პროდუქციის წარმოებასთან შედარებით.

უწყვეტი და მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიებში, გასაღების ბაზარსა და მომხმარებელთა მოთხოვნებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და სანარმოები, რომლებიც მიისწრაფვიან კონკურენტუნარიანობის მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისაკენ, იძულებული არიან, განუწყვეტლივ ცვალონ ბაზარზე მოქმედების თავიანთი სტრატეგია და ტაქტიკა.

ამ პრობლემების გადაჭრაში განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება კონსალტინგური მომსახურების ცენტრების შექმნას, რომელთა ძირითადი მიზანია:

1. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე ერთიანი საინფორმაციო გარემოს, როგორც ურთიერთობის ფორმის, ჩამოყალიბება პროდუქციის მწარმოებლებს, მეცნიერებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შორის;
2. მეცნიერული მიღწევების დანერგვა სოფლად;
3. აგრობიზნესის განვითარებით დაინტერესებული ყველა ორგანიზაციის კონსოლიდირება წარმოების, გადამამუშავებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის უწყვეტ ჯაჭვში.

საქართველოში კონსალტინგურ სისტემაზე გადასვლა რთულია, მაგრამ აუცილებელი, ვინაიდან, აგრარულ სფეროში არ არის საკმარისი შიდა რესურსები, დროული და ადეკვატური რეაგირება მოახდინონ მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნებზე. ფერმერებისათვის მიუწვდომელია ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებსა და ფერმერებს არა აქვთ კოოპერირებულად მუშაობის საშუალება. ეს ინვესს ადგილობრივი და საერთაშორისო აგრობიზნესის ბაზარზე სანარმოების რენტაბელობის დაცემას, რეგიონებში ბიზნესის განვითარების დამუხრუჭებას, შედეგად კი ორივე მხარე – საკვების მწარმოებელი და მომხმარებელი – ზარალდება.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში აგრარული სფეროს განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული კონსალტინგურ მომსახურებაზე. ჩვენთან კი არსებობს გაუმართლებელი ტენდენცია: მენარმეები არ მიმართავენ სპეციალისტებს, გააანალიზონ მათი ბიზნესი და ცდილობენ, დახმარების გარეშე დააღწიონ თავი კრიზისულ პერიოდს, რაც გარდაუვალ შეცდომებთან და დანაკარგებთან არის დაკავშირებული. არსებობს ხატოვანი გამოთქმა: „პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო“. შესაძლოა გაუგებრობის მიზეზი ფრიად გავრცელებული ტერმინის – აგრობიზნესის სიტყვასიტყვით გაგებაში მდგომარეობს. აგრობიზნესი ხშირად გაგებულია როგორც სოფელში გაკეთებული ბიზნესი. სინამდვილეში კი ამ ტერმინის შექმნა სოფლის მეურნეობის დეფინიციის შეცვლამ განაპირობა და იგი სოფელში გაკეთებულ ბიზნესს კი არა, კვების პროდუქციის წარმოების სრულ ციკლს ნიშნავს.


თუ გავითვალისწინებთ, რომ მენარმეობა საქართველოში თანდათან ვითარდება, მეურნეობებისა და წარმოებების საქმიანობის დაგეგმვა კონსალტინგური მომსახურების გამოყენებით მომგებიანი იქნება როგორც მენარმეების, ასევე მეცნიერ-სპეციალისტებისა და მომხმარებლებისათვის.

კონსალტინგური მომსახურება წარმოადგენს ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების უფრო მაღალ ფორმას.

საქართველოში საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების დანერგვა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და განვითარების 3 ეტაპი გაიარა.

მათი საქმიანობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების შეკრება და გადამუშავება ინფორმაციულ ტექნოლოგიებად;
 2. ფერმერთა სწავლება.
- მოქმედებს „მაგიური სამკუთხედი“



აგროკონსალტინგის დროს მომსახურება არ შემოიფარგლება მხოლოდ სწავლებით, თუ რა და როგორ მოიყვანონ, არამედ შექმნილია ერთიანი სისტემა თეორიული სწავლებიდან პრაქტიკულ დახმარებამდე. ფერმერები აძლევენ შეკვეთას ინსტრუქტორებს და სამეცნიერო ინსტიტუტებს, ხოლო მეცნიერულ დონეზე დამუშავებულ საკითხებს ინსტრუქტორები აწვდიან შემკვეთებს.

აქვე რეგულირდება ფინანსური მხარეც. თუკი საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში კონსულტაციები უმეტესწილად მიმდინარეობდა უფასოდ (ან დონორების დაფინანსებით), აგროკონსალტინგური მომსახურების დროს ძირითადი დამფინანსებლები ფერმერები არიან (თუ საკითხი ეხება სახელმწიფოსათვის სტრატეგიულ მიმართულებებს, მაშინ ძირითადი დამფინანსებელი სახელმწიფოა-75% და ზევით). დარგებისდა მიხედვით იქმნება ფერმერთა გაერთიანებები- „მრგვალი მაგიდები“. ისინი სპეციალისტების წინაშე სვამენ პრობლემას და წყვეტენ, როგორ გადაიხადონ საჭირო თანხა შეკვეთილი კვლევისათვის.

საქართველოს ახალგაზრდა აგროარქოს მეცნიერთა კავშირი 2004 წლიდან აწარმოებს საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას ფერმერებისათვის. სპეციალისტების მიერ ჩატარებულია კონსულტაციები აგრარული სფეროს ყველა დარგში, ქვეყნის უმეტეს რეგიონებში. ამ პერიოდში მიღებული გამოკვლევების შედეგები და ფერმერთა გამოკითხვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან ფერმერებს სხვა უამრავი პრაქტიკული პრობლემებიც აქვთ გადასაჭრელი ქვეყანაში აგრარული სფეროს მოშლილი ორგანიზაციული სისტემის გამო, მაგ.: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ახალი სელექციური ჯიშები და ტექნოლოგიები, აპრობირებული შხამ-ქიმიკატები, გასაღების ბაზარი და სხვ., რომელთა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ძიებაც დროისა და ფინანსების ფუჭ კარგვასთან არის დაკავშირებული.

ახალგაზრდა აგროარქოს მეცნიერთა კავშირი შეეცადა შეეცვალა მეცნიერების მიერ ფერმერებთან მუშაობის პრინციპი და გადანყვიტა თეორიისა და პრაქტიკის გაერთიანება ანუ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებიდან **კონსალტინგურ** მომსახურებაზე გადასვლა. ამის მაგალითად გამოდგება გერმანიის უნვერსიტეტების ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით სილნალის რაიონის სოფელ ნუკრიანში (პროექტის მენეჯერი ლ.ცირეკიძე, კონსულტანტი ნ. ჩხაიძე.) და საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ფონდის მიერ თერჯოლის რაიონის სოფ. ჭოგნარში განხორციელებული პროექტები მეაბრეშუმეობაში.

პროექტის შერჩევა შემდეგმა მიზეზებმა განაპირობა: 1. მეაბრეშუმეობა, რომელიც განადგურების პირასაა მისული, სოფლის მეურნეობის უძველეს ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა საქართველოში. მასში დასაქმებული იყო 200 000-მდე ოჯახი და იძლეოდა 15 მილიონ საბჭოთა მანეთ წლიურ შემოსავალს. ქართული აბრეშუმის წარმატებით რეალიზდებოდა როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე.

2. ახალგაზრდა აგროარქოს მეცნიერთა კავშირის მიერ ჩატარებული ანალიტიკური გამოკვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ მოსახლეობას აქვს აბრეშუმის მოყვანის (განსაკუთრებით მაღალმთიან ზონაში), ხოლო ქართველ დიზაინერებს – ადგილობრივი აბრეშუმის პროდუქციის შექმნის დიდი სურვილი.

1992 წლიდან საქართველოში ნედლი პარკის წარმოება შემცირდა და 2000 წლიდან საერთოდ შეწყდა, რამაც გამოიწვია მეაბრეშუმეობის უნარ-ჩვევების თანდათანობით დაკარგვა საშუალო ასაკის მოსახლეობაში, ახალგაზრდებში კი – სრული არცოდნა. მეორე მხრივ, მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა შეინარჩუნეს თუთის და თუთის აბრეშუმ-ხვევისა ჯიშები. შექმნეს ახალი, დაავადებაგამძლე და მაღალპროდუქტიული ჯიშები, ჭიის კვების (ეს ტექნოლოგია 70%-ით ამცირებს ხელით შრომას.), პარკიდან ძაფის ამოხვევის რაციონალური ტექნოლოგიები, ახალ ეკონომიურ სისტემას მორგებული შრომის ორგანიზაციის ფორმები (კვების ორსაფეხურიანი სისტემა, რომელიც გლეხების მიერ ჭიის კვების პროცესს 15 დღით ამცირებს).

ეს ტექნოლოგიები გლეხებისათვის მიუწვდომელია, ამიტომ გადავწყვიტეთ მივიწყებული მეაბრეშუმეობის დარგის საფეხურებრივად აღორძინება. აგროკონსალტინგური მომსახურების გზით მუშაობა წარმართა ორი, თეორიული და პრაქტიკული, მიმართულებით:

I. თეორიული ნაწილი – აბრეშუმის წარმოების აღდგენის დასაწყებად ჩატარდა თეორიული სწავლება ძირითად საკვანძო თემებზე: საკვები ბაზა, თუთის აბრეშუმხვევის კვება, საკვები ბაზის აღდგენა თუთის გამძლე და მაღალპროდუქტიული ჯიშებით, აბრეშუმის პროდუქციის წარმოება. მარკეტინგი.

II. პრაქტიკული ნაწილი – მონაწილეებს დაურიგდათ მეოთხე ასაკის ჭია გამოსაკვებად, მიღებული პარკიდან ხალხური წესით ამოხვეულ იქნა აბრეშუმის ძაფი, მონაწილეებმა 1 კგ. აბრეშუმის პარკში მიიღეს ანაზლაურება – 6 ლარი, ხალხური წესით ძაფის ამოხვევაში – 20 ლ/კგ.

შრომის მეცნიერულად ორგანიზებამ შესაძლებელი გახადა დარგში დასაქმდნენ ბავშვები, ინვალიდები და პენსიონრები, რომელთაც უჭირთ მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება.

ურთიერთობის ასეთმა ფორმამ მოწონება დაიმსახურა ფერმერებში. სურვილი გამოითქვა, მეცნიერების მიერ მიწოდებულ იქნეს თუთის აბრეშუმხვევია სხვადასხვა ასაკში, მათთვის ხელსაყრელ დროს, გაშენდეს თუთის ახალი პლანტაციები და სხვა.

პროექტის განხორციელების შედეგად:

- ჩამოყალიბდა აგროკონსალტინგური ცენტრი მეაბრეშუმეობაში. ჩვენ მიერ მომზადებული ახალგაზრდები წარმოადგენენ პოტენციურ კონსულტანტებსა და მეაბრეშუმე-ფერმერებს.

- მოხდა მეაბრეშუმეობის დარგში არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება. ახალგაზრდა მეცნიერებს მიეცათ დარგის კვლევისა და სელექციური საქმიანობის გაგრძელების სტიმული;

- საფუძველი ჩაეყარა მაღალანაზლაურებად ოჯახურ ბიზნესს.

- მომზადდა ხალხური წესით პარკის დამუშავების, ძაფის ამოხვევისა და ნატურალური საღებავებით ღებვის, ხალიჩების ქსოვის და ქარგვის სპეციალისტები;

- გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, მუშაობის გაგრძელებისა და გაფართოების შემთხვევაში პირველ ეტაპზე, ათვისებულ იქნეს შიდა ბაზარი, შემდგომ კი საერთაშორისო ბაზარს მიენოდოს აბრეშუმის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

პროექტმა აჩვენა, რომ ფერმერებისათვის მომსახურების სრული პაკეტი: თეორიული სწავლება, პრაქტიკული დახმარება პრობლემების გადაჭრაში (ახალი სელექციური ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ბაზრის მოპოვება), მიწოდება აუცილებელი და მომგებიანია.

ეს მაგალითი ნათლად ამტკიცებს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა დარგში მძლავრი აგროკონსალტინგური სამსახურების ერთიანი ქსელის შექმნის აუცილებლობას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ შეგვიძლია გამოვიყენოთ ს/მ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი მეცნიერული პოტენციალი და განადგურებას გადარჩენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ფერმერები გრძნობენ ასეთი სამსახურების არსებობის აუცილებლობას, ქართველი გლეხი ჯერჯერობით ფსიქოლოგიურად არ არის მზად კონსალტინგური მომსახურების მიღებისათვის, მით უმეტეს ფასიანი მომსახურებისათვის. მაგრამ ბიზნესის აქსიომა – თუ დამწყები ფერმერი (მენარმე) არ მიეჩვევა შესრულებულ სამუშაოში თუნდაც სიმბოლური თანხის გადახდას და მიეჩვევა უფასო მომსახურებას – ვერ გახდება წარმატებული ბიზნესმენი (ფროიდი). ამიტომ მართებულად მიგვაჩნია, სერიოზული ყურადღება მიექცეს მომსახურების ამ ფორმაზე გადასვლას. ვგეგმავთ დავუხმაროთ ადამიანებს, რომლებიც გადანყვეტენ ხელი მოჰკიდონ ბიზნესის ამ ახალ სახეს-**კონსალტინგურ მომსახურებას**, სწორად წარმართონ საქმიანობა. ვთავაზობთ შექმნან „**სტიმულირების ფონდი**“, რომელიც დაეხმარება მომსახურების დიფერენციაში. ტარიფის მიხედვით ერთი წლის მანძილზე მომსახურება იქნება სიმბოლური, 50, 100, 200 ლარი, შეიძლება წარმოებული პროდუქციითაც (მაგ: მომსახურების 50-ლარიანი პაკეტი მოიცავს უფასო საკონსულტაციო მომსახურებას), ვეტ-პრეპარატების, თესლისა და ნერგების ახალი ჯიშების მიწოდებას საბაზროზე 10-20%-ით დაბალ ფასებში. პაკეტის ფასის მატებასთან ერთად მოიმატებს მომსახურების სახეები.

აგროკონსალტინგის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს **პროდუქციის სერთიფიცირებაზე** კონტროლი. იმ დროს, როცა ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული, იაფფასიანი პროდუქციით, ძალზე ძნელია ფერმერი დაარწმუნო არათუ საერთაშორისო (დიდ დანახარჯებს მოითხოვს), არამედ ჩვეულებრივი სერთიფიკატის მიღების აუცილებლობაზე, მაგრამ შიდა ბაზარზე (ალარაფერს ვამბობთ საერთაშორისო ბაზარზე) უკვე შეინიშნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია. აგროკონსალტინგური სამსახურების

ამოქმედება მნიშვნელოვნად დაეხმარება მწარმოებლებს (ფერმერებს) კონკურენტუნარიანი, საექსპორტო პროდუქციის წარმოებასა და საერთაშორისო სერთიფიკატის მიღებაში.

მაგ.: ისრაელში ფერმერები თავიდან ძალიან წინააღმდეგნი იყვნენ, გადაეყვანათ წარმოება საერთაშორისო სტანდარტებზე, მაგრამ ამ პროცესის წარმატებას ხელი შეუწყო ერთმა შემთხვევამ: ესპანეთში მოყვანილ წინაკაში აღმოაჩინეს შხამი, რის გამოც გაანადგურეს მთელი პლანტაციები. ვინაიდან ისრაელში აკრძალული იყო ამ შხამის გამოყენება, მოთხოვნილება იქაურ პროდუქციაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა და ფერმერებმაც დიდი მოგება მიიღეს. დაინახეს რა შემოსავლების ზრდა, მენარმეები სიამოვნებით თანხმდებიან იბრძოლონ საერთაშორისო სერთიფიკატის მისაღებად და გაიღონ თანხები წარმოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოსაწყობად.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ:

- ქვეყნის მასშტაბით კონსალტინგური სამსახურების მძლავრი ინფრასტრუქტურის შექმნა წარმოადგენს აგრარული სფეროს განვითარების მნიშვნელოვან პირობას.

- მეცნიერებისა და პრაქტიკის შერწყმის საფუძველზე გაღრმავდება სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა, განმტკიცდება მათ შორის კავშირი და ურთიერთნდობა.

- აგროკონსალტინგური ცენტრების ქსელის გაფართოებით საფუძველი ჩაეყრება აგრობიზნესის ახალი მოდელის განვითარებას, სოფლად სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოლიგერი ე., რეინჰარდი პ., ზელვეგერი ტ. სასოფლო-სამეურნეო მრჩევლობა. თბ. 2002 წ.
2. ლესლი რაე. ტრენინგის ტექნიკა. თბ. 2001 წ.
3. ჯინჭარაძე თ., ცირეკიძე ლ. – „რეკომენდაციები ფერმერთა სწავლება-კონსულტირების განვითარებისათვის საქართველოში.“ – თბილისი. 2005 წ.
4. ცირეკიძე ლ., ახალაძე ზ., შალამბერიძე მ. – „ფერმერთა სწავლება-კონსულტირების ცენტრები, მათი კლასიფიკაცია და ფუნქციები“, ჟ. „მაცნე“ 2006 წ.
5. ჩხაიძე ნ., ცირეკიძე ლ., „მეაბრეშუმეობის გზამკვლევი“- ბროშურა, 2005 წ.”
6. ლ. ცირეკიძე – “მეწარმეობის განვითარების მეთოდები და სტრუქტურები სოფლის მეურნეობაში”, საერთაშორისო კურსი, 3-26 ივლისი, მაშავი, ისრაელი.
7. ლ. ცირეკიძე, ავტორთა ჯგუფი. „დამხმარე სახელმძღვანელო კონსულტანტებისათვის“ – სტარე პოლე, პოლონეთი. 2008 წ.
8. ლ. ცირეკიძე და ავტორთა ჯგუფი. „ვირტუალური ტექნოლოგიები მეაბრეშუმეობაში“ – ელექტრონული წიგნი. 2010 წ.
9. Ministry of Agriculture of Israel “Shaham – Extension Service in Israel”

LELA TSIREKIDZE

Academic Doctor of Economics

President of Georgian Young Agrarian- Scientific Union

PERSPECTIVES OF DEVELOPMENT OF AGRO-CONSULTING SERVICE AS A NEW MODEL OF AGRO-BUSINESS IN GEORGIA

S u m m a r y

The consulting service constitutes a high step of farmers' information-consulting service. The article discusses the importance, classification, function and working principles of agroconsulting as a new model.

**ფინანსური პრობლემების ზოგიერთი ასპექტი
ფერმერულ მეურნეობაში**

საქართველოში ორი ათეული წლის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა წინა პლანზე წა-
მოსწია სოფლის მეურნეობის როლი და მნიშვნელობა. საფუძველი ჩაეყარა სოფლის მეურნეობის
საწარმოო ურთიერთობების ახალ ეკონომიკურ მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია, ერთი
მხრივ, ფერმერების თავისუფალ არჩევანზე, ბაზრის სურსათითა და გადამამუშავებელი მრეწვე-
ლობის ნედლეულით რითმულ მომარაგებაზე, მეორე მხრივ, სოციალური პრობლემების გადაწყვე-
ტაზე, საიჯარო ეკონომიკის განმტკიცებაზე, დარგთაშორისი კავშირების განვითარებაზე, ქვეყნის
რესურსული პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე.

ჩვენს ქვეყანაში აგრარული რეფორმა სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრების სასოფლო-სა-
მეურნეო საწარმოების რეორგანიზაციით, მიწის და სხვა ძირითადი საშუალებების პრივატიზებით
დაიწყო. ეს პროცესი თავიდანვე ნაკლოვანებებით წარიმართა, მაგრამ მისი დადებითი შედეგი ის იყო,
რომ მიწის მესაკუთრე გახდა მილიონზე მეტი ოჯახი და მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრება და-
იწყო.

აგრარული რეფორმის, მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების პრივატიზაციის შედეგია
სოფლად ფერმერთა ფენის ჩამოყალიბება.

ფერმერული მეურნეობა არის შედარებით მცირე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო საწარმო, ხა-
სიათდება სამეურნეო სისტემის მაღალი ელასტიკურობით და გამძლეობით. იგი ადვილად ეგუება
საბაზრო ურთიერთობებს. სწრაფად რეაგირებს ბაზრის ნებისმიერ ტენდენციაზე, ნაკლებად არის
დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაზე.

ფერმერული მეურნეობა მიწის რაციონალური გამოყენების საკმაოდ ეფექტური მეურნეობის
ფორმას წარმოადგენს. ამ საკითხის მოგვარებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი მცირე-
რემინიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

ფერმერული მეურნეობის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ აქ ოჯახის ყველა
წევრის (მოხუცის, მოზარდის და სხვათა) შრომის გამოყენება შეიძლება. მასში წარმოება ინტეგრირ-
რებულია ოჯახის კვლავწარმოების პროცესთან.

ამ და სხვა, მთელი რიგი უპირატესობების გამო, საქართველოში ფერმერული მეურნეობების
ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრა-
ლური და სტრატეგიული მიმართულებაა. იგი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძირითად მიმარ-
თულებადა მიგვაჩნია, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია საგრძნობი გარდატეხა მოვახდინოთ
სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებაში, სოფლის აღორძინებაში, სოფლად
მცხოვრები ოჯახების ეკონომიკის განვითარებაში.

საქართველოში სოფლად ფუნქციონირებს საკუთრების სხვადასხვა ფორმის 3200 საწარმო, რო-
მელთა შორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით 72.2% უკავია ინდივიდუალურ
მენარმეს, ხოლო 25.7% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. აღნიშნულ სასოფლო-სამე-
ურნეო საწარმოებში 2009 წელს დასაქმებული იყო 6058 ადამიანი, რომელიც მთლიან საქართველოში
რეგისტრირებულ საწარმოებში დასაქმებულთა 1,6%-ს შეადგენს. რეგისტრირებულ საწარმოთა რა-
ოდენობა საქართველოს მასშტაბით გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობაში მხოლოდ
15,9%-ით. მათ მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქცია ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა 88,5%-ით,
ხოლო სოფლის მეურნეობაში 2,7-ჯერ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი კი 2005-2009 წლებ-
ში 1%-იან ნიშნულს ვერ ასცდა. მთლიანი პროდუქცია ერთ დასაქმებულზე ქვეყნის მასშტაბით იგივე
პერიოდში გაიზარდა 89,2%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში (სამეწარმეო სფეროში) 2,3-ჯერ და შე-
ადგენს 1794 ლარს.

სამეწარმეო სფეროს წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების დონის მაჩვენებლები
(2005-2009 წწ)

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	2005	2006	2007	2008	2009	2009 წ. % - ში 2005 წ.
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა საქართველოში	ერთეული	134025	160426	207168	240463	273397	204
მათ მიერ წარმოე. პრ-ია	მლნ.ლარი	5838,3	7412,6	9645,4	10248,4	11003,1	188,5
დასაქმებულთა რაოდენ.	კაცი	388946	360987	361209	349250	387463	99,6
მთლიანი პრ-ია სამეწარმეო სფეროში დასაქმ. ერთ მომუშავეზე	ლარი	15010	20534	26703	29344	28397	189.2
სოფ მეურ-ში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა	ერთეული	2761	2869	3003	3096	3200	115.9
მათი პროცენტული წილი	%	2.1	1.8	1.4	1.3	1.2	
მათ მიერ წარმოებული პროდუქტი	მლნ. ლარ	40.5	44.8	82.2	101.6	108.7	268.4
პროცენტულად საქართველოსთან მიმართებაში	%	2.1	1.8	1.4	1.3	1.2	
დასაქმებულთა რაოდენობა ს/მ	კაცი	5243	4437	4651	4350	6058	115.5
ს/მ-ის მთლიანი პროდუქცია სამეწარმეო სფეროში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე	ლარი	7724	10096	17674	23356	17943	232.3

გაანგარიშებები განხორციელებულია „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით

მსოფლიოში გლობალური ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, რომელიც შეეხო საქართველოსაც, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მოსახლეობა. კრიზისს თან დაერთო სტიქიური უბედურებები და ფერმერებს მთელი წლის ნაშრომის თითქმის 60-70 % წყალში ჩაუყარა. ამ პირობებში მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ გამოსავლად რჩება ფინანსური სექტორის მიერ აგრარული სექტორის ხელშეწყობა, რომლის საუკეთესო ვარიანტია სუბსიდირებული აგროდაკრედიტება, მაგრამ ეს ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის ძვირი სიამოვნებაა.

სოფლის მეურნეობას, როგორც წესი, მიიჩნევენ მაღალი რისკის სექტორად. ფერმერებზე კრედიტების გაცემა რთული საქმეა, ვინაიდან მყარი გარანტიები სოფლის მეურნეობის სფეროში შემოსავლების მიღების მიზნით ნაკლებადაა დაცული, რაც დაკავშირებულია პირველ რიგში ბუნებრივ სტიქიებთან და, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის მერყეობასთან. ამიტომ აღსანიშნავია, რომ მიდგომა ფერმერული მეურნეობების აგროდაკრედიტების შესახებ უფრო აქტუალური იყო, ვიდრე არის დღესდღეობით.

განვიხილოთ, რამ გამოიწვია მიდგომის ცვლილება აგროდაკრედიტების სფეროში. როგორც ვიცით, შეიქმნა აგროდაკრედიტების პროგრამები, რომლებშიც ჩაერთნენ სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის სფეროს აგროსესხებით დაფინანსებას სერიოზული შედეგები არ მოჰყვა. ეს გამოიწვია აგროდაკრედიტების სფეროში არსებულმა სიძნელეებმა. ეს სიძნელეები მოიცავს ბიზნესის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს და ხარჯებს. ამიტომ აგროდაკრედიტების პროგრამები ვერ ჩამოყალიბდა საბიუჯეტო მიზნობრივ პროგრამებად, რომლებიც აგროსექტორში მომუშავე ადამიანებს მიზანმიმართულად მიენოდება.

დაკრედიტების მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობას მთლიანად უჭირავს 1,9 %. საკრედიტო რესურსისა და ინფრასტრუქტურის შემაფერხებელი ფაქტორების გარდა, პრობლემაა ფერმერების ხელმისაწვდომობა ინოვაციებთან და ცოდნასთან. სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურ-

რა და ტექნოლოგიები მთელ მსოფლიოში ვითარდება, ადგილობრივი ფერმერებიც ხომ მსოფლიო კონკურენციაში არიან ჩაბმულნი და, ცხადია, სხვა ქვეყნების ფერმერებს მეტოქეობას ვერ უწევენ. შესაბამისად, უნდა დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და შესაბამისი სამსახურები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს დაეხმარება.

საერთოდ, მთელს მსოფლიოში აგრარულ სექტორს სახელმწიფოსგან მხარდაჭერა აქვს სხვადასხვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით, შესაძლებელია ხელის შეწყობა სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნითაც. უცხოეთში საკმაოდ აპრობირებული ფორმაა იმ ბანკის მხრიდან ხელის შეწყობა, რომელმაც აგრობიზნესის მიმართულებით სესხები უნდა გასცეს.

ასეთი ტიპის ბანკები მუნიციპალურ საკუთრებაშია, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს მოზიდული თანხები ან დეპოზიტები, რომლებსაც შემდგომში კრედიტების სახით ფერმერზე გასცემს და ამ ოპერაციითაც შემოსავლებს მიიღებს. თუმცა ამ ტიპის ბანკის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დაბალი საპროცენტო განაკვეთით მუშაობს. რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, მათ სესხის გაცემის ბევრი ალტერნატიული ვარიანტი აქვთ და სესხებს იმ სექტორებზე გასცემენ, რომლებიც მაღალი უკუგებით გამოირჩევიან. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობა იჩაგრება. შესაბამისად, თუ გვინდა დაბალი საპროცენტო განაკვეთი არსებობდეს, მაშინ მუნიციპალური საკუთრებიდან ან სახელმწიფო პროგრამებიდან ალბათ გარკვეული რესურსები უნდა ჩაიდოს და ამან ფერმერებისათვის საპროცენტო განაკვეთის შემცირება უზრუნველყოს.

გარდა ამისა, არსებობს სხვა ფორმებიც ბანკთან ურთიერთობისა. ესენია: პარტნიორული შეთავაზება, აგროსამრეწველო პლასტერების შექმნა. მსგავსი არჩევანის შემთხვევაში პარტნიორი ფერმერის გარანტიად გვევლინება. ვთქვათ, ტურისტულ კომპანიასა და ფერმერს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომ ფერმერი ტურისტურლ კომპანიას სისტემატურად მიანვდის სათანადო რესურსებს. ცალკე ტურიზმი და ცალკე ფერმერი ძალიან დიდი რისკია ბანკისთვის, მაგრამ მათი დაფინანსების საკითხი ერთიან კომპლექსში იქნება განხილული, როგორც ერთიანი, ინტეგრირებული ორგანიზაცია. ბუნებრივია, ის რისკები, რაც ამ ორ საქმიანობასთანაა დაკავშირებული, განეიტრალებდა. და ბანკისთვის ამ სეგმენტთან თანამშრომლობა უფრო საიმედო გახდება. თუ საქართველოში პარტნიორული ურთიერთობები განვითარდება და სტაბილურ ხასიათს მიიღებს, მაშინ აგრობიზნესიც ნაკლებად რისკიანი გახდება. მსგავსი ტენდენციების არსებობა დიდ სარგებელს მოუტანს შიდამეურნეობებს და ისინი სწრაფად განვითარდებიან.

როგორც აღვნიშნეთ, დღესდღეობით სოფლის მეურნეობა ისევ და ისევ მაღალრისკიან დარგად რჩება, მსხვილი ბანკები აგრობიზნესის სეგმენტში საერთოდ არ შედიან. მხოლოდ რამდენიმე კომერციული ბანკი გასცემს აგროსესხებს გარკვეული პირობებით.

საქართველოს ბანკი გასცემს ორი სახის აგროსესხს, ეს არის აგროექსპრესსესხი და სტანდარტული აგროსესხი. აგროექსპრესსესხი გაიცემა ლარში, 350 ლარიდან 12000 ლარამდე, 18 თვით, წლიური საპროცენტო განაკვეთი: 600 ლარზე ნაკლები – 32 %; 6000 ლარზე მეტი – 28%. გირაოს გარეშე (მთავარია კლიენტს ქონდეს კარგი საკრედიტო ისტორია).

აგროსესხი გაიცემა 1000 ლარიდან 150 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში. სტანდარტული აგროსესხი გაიცემა 24 თვიდან 60 თვემდე. საპროცენტო განაკვეთი კი ასეთია: 100-დან 10 000 ლარამდე – 28%; 10 000 ლარიდან 50 000 ლარამდე – 22 %; 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე – 20%; 100 000 ლარს ზემოთ – 18 % (უნდა იყოს გირაოს სახით უზრუნველყოფილი).

„პროკრედიტ“ ბანკის პირობები ასეთია – 100-დან – 12 000 ლარამდე; 50 აშშ დოლარიდან – 8 000 აშშ დოლარამდე. ვადა 24 თვემდე (გირაოს გარეშე), საპროცენტო განაკვეთი – ლარი წლიური – 19%, აშშ დოლარში – წლიური 21 %.

ბანკი „კონსტანტას“ პირობები ასეთია: თანხა – 100 ლარიდან 1000 ლარამდე; 60 აშშ დოლარიდან – 600 აშშ დოლარამდე, ვადა 12 თვემდე, უზრუნველყოფა – გირაოს გარეშე.

ძირითადად აგროსესხებზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მუშაობენ, ვინაიდან მათი ფილიალები რეგიონებშია განთავსებული და ფერმერებთან ხელი უფრო ადვილად მიუწვდებათ. ამის მიუხედავად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხი პრობლემურია, რადგან მცირე მოცულობისაა, მოკლევადიანი და მაღალპროცენტია. ზოგადად, მონდომების შემთხვევაში ფერმერმა შესაძლებელია სესხის აღება გადაწყვიტოს, მაგრამ რეალურად ასეთი მოცულობის სესხის აღება, რომელიც განვითარებას შეუწყობს ხელს, ძალიან რთულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება აგროდაზღვევის არარსებობა, დღემდე პრეცედენტიც არ შექმნილა საქართველოში, რომ ამ მიმართულებით რაიმე სახის დასკვნა გაკეთდეს.

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობისათვის ფინანსური ხელშეწყობა მეტად მნიშვნელოვანია და მრავალ პრობლემას აგვარებს ამ სექტორში. არსებობს ამის მაგალითებიც:

2010 წელს შიდა ქართლში საკონსერვო ქარხანა „კულა“ გაიხსნა. ქართლელმა ფერმერმა ივანე გოგლიძემ 492 ათასი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. აქედან, – ს. გრანტის ფარგლებში გა-

მოყოფილი 150 000 დოლარი ავტომატურად დაპაკეტების, ეტიკეტების მისაკრობი სისტემის შესაძენად და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად გამოიყენა. განახლებულმა ქარხანამ სხვადასხვა სახის წვენი, ჯემების და დაკონსერვებული ბოსტნეულის გამოშვება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ქარხანაში 48 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, 300-მდე ფერმერი საკუთარი პროდუქციის რეალიზებას შეუდგა. თანდათან გაუმჯობესდა ხარისხი, გაიზარდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. იგი დღესდღეობით აწარმოებს ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებს, დანამატების და კონსერვანტების გარეშე. ქარხანაში 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა დასაქმებული და მათგან ყველა ადგილობრივია. ქარხანა ნედლეულს ადგილობრივი მოსახლეობისგან იღებს და 150-მდე დასახელების პროდუქციას უშვებს. ცოტა ხნის წინ მას „ქაშრუთის“ სერთიფიკატი მიენიჭა, რაც მსოფლიო ბაზრებზე პროდუქციის რეალიზების გაფართოებაში დაეხმარება, ეს კი ამ უკანასკნელის გაფართოებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს.

საკონსერვო ქარხანა „კულას“ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ სწორად ჩადებულმა ინვესტიციამ, მიუხედავად სექტორში არსებული მაღალი რისკებისა, დადებით, მეტიც საუკეთესო შედეგებამე შეიძლება მიგვიყვანოს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სოფლის მეურნეობა დღეს საჭიროებს ფინანსური ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში რეგისტრირებულია 691577 მინიანი მეურნეობა, მეურნეობათა 75% ფლობს 1 ჰა -მდე მიწის ნაკვეთს, ამ ზომის მიწაზე კი რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მექანიზაციის ან სხვა საშუალებების გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, პრაქტიკულად გამორიცხულია. ფერმერულ მეურნეობათა ეს კატეგორია ორიენტირებულია თვითუზ-რუნველყოფაზე. ამდენად, აქ წარმოების საქონლიანობის დონე ბუნებრივია ყოველთვის დაბალი იქნება.

აუცილებელია – სწორად განხორციელდეს და ზუსტად შესრულდეს დარგში გატარებული რეფორმები, დაიხვეწოს ფინანსური მექანიზმის ფუნქციონირება, გეგმაზომიერად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფინანსები და მოხდეს ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან, რადგან მათი დროულად დაბრუნების იმედი ნაკლებად აქვთ, აუცილებელია მოხდეს საფინანსო საკრედიტო სისტემის სრულყოფა – შეღავათიანი და კრედიტების სპეციალური ფონდების ფორმირებით, საწარმოო მიზნებისათვის და პროდუქციის ბაზარზე გასაღებისათვის.

NATIA TSKHADADZE

Agrarian University of Georgia

Doctoral Student

SOME ASPECTS OF FINANCIAL PROBLEMS OF FARMING

S u m m a r y

The article analyses the problems farm Georgian enterprises are facing. According to the data of statistical questioning (in all 250 farmers were questioned) carried out in Adjara and Akhmeta, 46 % of entrepreneurs uses the savings of their partners or family members; only 8% of them uses bank credits. 89% of the population under investigation said that banks refused to allocate credits because of high risks existing in agriculture. The products manufactured by farmers are mainly oriented on domestic market and only 12 % manage to export their produce (Azerbaijan, Armenia, Ukraine).

In this respect, it is important to realize quick and effective reforms, elaborate the functioning of financial mechanisms, correctly spend finances allocated for agriculture and attract profitable foreign investments.

**ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
სოფლის მეურნეობის შესახებ**

ფინანსური ანგარიშგებისა და ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს და ბასს) სოფლის მეურნეობის საწარმოებსაც ეხება. ამასთან, ცალკეა გამოყოფილი 41-ე სტანდარტი – „სოფლის მეურნეობა“ (Agriculture), რომლის მიზანია განსაზღვროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბულალტრული აღრიცხვის წესები.

აღრიცხვის სტანდარტი 41 – „სოფლის მეურნეობა“ – განმარტავს, რომ იგი გამოყენებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი მუხლების აღრიცხვისათვის: ბიოლოგიური აქტივები; სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღების მომენტში და სახელმწიფო გრანტები სოფლის მეურნეობაში.

სტანდარტის განმარტებით: **ბიოლოგიური აქტივი** არის მცენარე ან ცხოველი; **სოფლის მეურნეობის პროდუქცია** არის სასოფლო საწარმოს ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული პროდუქტები ნაყოფის მიღების მომენტში; **ნაყოფის მიღება** არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქტის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა.

ბიოლოგიური აქტივები	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	მიღებული ნაყოფის გადამუშავება (მრეწველობა)
ცხვარი	მატყლი	ძაფი, ხალიჩა
ხეები ტყის პლანტაციაში	მორები	ხის მასალა
მცენარე	ბამბა ლერნამი	ძაფი, ტანსაცმელი; შაქარი
მსხვილრქოსანი პირუტყვი	რძე	ყველი
ლორები	გატყავებული და გამოშიგნული ღორები	სოსისი, დამუშავებული ღორი
ბუჩქოვანები	ფოთოლი	ჩაი, დამუშავებული თამბაქო
ვაზი	ყურძენი	ღვინო
ხეხილი	მოკრეფილი ხილი	გადამუშავებული ხილი

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არის საწარმოს მიერ გაყიდვის მიზნით ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაცია სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, მაგალითად, პირუტყვის მოშენება, ტყის გაშენება, ერთნლიანი ან მრავალნლიანი კულტურების მოყვანა, ხეხილის ბაღებისა და პლანტაციების გაშენება, ყვავილების მოშენება, აკვაკულტურა (მათ შორის თევზის მოშენება). **ამ სხვადასხვა საქმიანობებს შემდეგი საერთო მახასიათებლები აქვთ:**

- **ცვლილების უნარი ანუ ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს აქვთ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარი** – ბიოლოგიური ტრანსფორმაციით მიიღება შემდეგი ტიპის შედეგები: იზრდება მცენარის და ცხოველის რაოდენობა ან ხარისხი; დეგენერაციის ანუ მცენარისა და ცხოველის შემცირების უნარი; გამრავლების (რეპროდუქციის უნარი (ცოცხალი ცხოველის ან მცენარის ნამეტი), ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მაგალითად: ჩაის ფოთოლი, მატყლი, რძე და სხვა.

- **ცვლილების მართვა** – საწარმოს ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას იმ პირობების გაუმჯობესების, ან, მინიმუმ, სტაბილიზაციის მეშვეობით, რომელიც აუცილებელია პროცესის მოხდენისათვის (მაგალითად, კვების, ტენიანობის, ტემპერატურის, ნაყოფიერების ან სინათლის). ამგვარი მართვა სოფლის მეურნეობის საქმიანობას განასხვავებს სხვა საქმიანობისაგან. მაგალითად, პროდუქციის მიღება უმართავი წყაროებიდან (როგორცაა ოკეანეში თევჭერა და ტყის გაჩეხვა) არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა;

• **ცვლილების შეფასება** – ბიოლოგიური ტრანსფორმაციით გამოწვეული ხარისხობრივი (მაგალითად, გენეტიკური თვისების, სიხშირის, სიმნიფის, ცხიმინობის, პროტეინის შემცველობის და ქსოვილის სიმყარის) ან რაოდენობრივი (მაგალითად, შთამომავლობა, წონა, ზომა, ქსოვილის სიგრძე ან დიამეტრი, ასევე ყვავილთა რაოდენობა) ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადია რუტინული მმართველობითი ფუნქციით.

სახელმწიფო გრანტები. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის მეურნეობა მთლიანად ბუნებრივ კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული, იგი სახელმწიფოსგან ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს. ამასთან, საქართველოსთვის, რომელიც ფართობით პატარა ქვეყანაა და გლობალიზაციის პროცესებში გზა უსაფრთხოდ რომ გაიკვლიოს, სოფლის მეურნეობაში გაცემულ სახელმწიფო გრანტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოს პერსპექტივაში არსებობისა და გადარჩენისათვის.

სახელმწიფო გრანტი შეიძლება იყოს უპირობო ან გარკვეულ პირობებზე შეთანხმებული.

უპირობო სახელმწიფო გრანტი, დაკავშირებული ისეთ ბიოლოგიურ აქტივთან, რომელიც შეფასებულია გაყიდვის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით (წმინდა რეალური ღირებულებით), უნდა აღიარდეს შემოსავლად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო გრანტი ხდება მიღებადი.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს აქტივი ურთიერთდამოუკიდებელ, დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის.

სახელმწიფო გრანტი თუ შეიცავს ისეთ პირობას, რომლითაც სახელმწიფო გრანტით სანარმო მოეთხოვება, არ განახორციელოს გარკვეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, მაშინ, სანარმომ სახელმწიფო გრანტი უნდა აღიაროს შემოსავლად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც სანარმო დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს.

სახელმწიფო გრანტების ვადები და პირობები ცვალებადია. მაგალითად, სახელმწიფო გრანტით სანარმო შესაძლოა მოეთხოვებოდეს ხუთი წლით მეურნეობის წარმოება გარკვეულ ტერიტორიაზე და მოეთხოვებოდეს სახელმწიფო გრანტის უკან დაბრუნება, თუ სამეურნეო საქმიანობას განახორციელებს ხუთ წელზე ნაკლებ ხანს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო გრანტი არ აღიარდება შემოსავლად მანამ, სანამ ხუთი წელი არ ამოიწურება. თუმცა, თუ სახელმწიფო გრანტით ნებადართულია სახელმწიფო გრანტის შენარჩუნება დროის გასვლის მიხედვით, სანარმო სახელმწიფო გრანტს შემოსავლად აღიარებს გასული ვადის პროპორციულად.

სახელმწიფო გრანტი თუ დაკავშირებულია ისეთ ბიოლოგიურ აქტივთან, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, მაშინ გამოიყენება სტანდარტი 20 - “სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა”. 41-ე სტანდარტი კი შეეხება გრანტებს, როცა ბიოლოგიური აქტივი შეფასებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

სასოფლო-სამეურნეო სანარმოებმა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა წარადგინონ ინფორმაცია სახელმწიფო გრანტების ხასიათის სიდიდის, შეუსრულებელი პირობების და სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებულ სხვა გაუთვალისწინებელ მოვლენებთან დაკავშირებით. საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა ამონმებდნენ, დაცულია თუ არა გრანტის პირობები და რამდენად მოქნილად გამოიყენება იგი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება. თუმცა, ეს ვარაუდი შესაძლოა გაბათილდეს მხოლოდ იმ ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რომლისთვისაც არ არსებობს ბაზრით განსაზღვრული ფასები ან ღირებულებები და რომელთათვისაც რეალური ღირებულების ალტერნატიული შეფასებები უეჭველად არასაიმედოა, – ვკითხულობთ აღრიცხვის 41-ე სტანდარტში. ასეთ შემთხვევაში, ამგვარი ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. როდესაც ამგვარი ბიოლოგიური აქტივის შეფასება საიმედო გახდება, სანარმომ იგი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯების გამოკლებით. როდესაც გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივი დააკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმს, ფასს 5, “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები” – შესაბამისად, იგულისხმება, რომ რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ყველა შემთხვევაში, მითითებულია 41-ე სტანდარტში, სანარმო სოფლის მეურნეობის პროდუქციას ნაყოფის მიღებისას აფასებს რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასე-

ბული ხარჯების გამოკლებით. წინამდებარე სტანდარტი ასახავს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ყოველთვის შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მისი მოსავლად აღების მომენტისათვის (მუხლები: 30, 32).

ამდენად, ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეფასებას (ფასის დადგენას) იწყებს “ზემოდან” – საცალო საბაზრო ბასიდან და არა “ქვემოდან” – დანახარჯებს პლუს ნორმალური მოგება. რასაც **არ ვეთანხმებით.**

გამომდინარე იქიდან, რომ თავისუფალ ბაზარზე გამყიდველი ყოველთვის ფასების მაქსიმიზაციისაკენ მიისწრაფვის, ფასები ძალიან შორდება წარმოების დანახარჯებს და გამოყენებული რესურსების ღირებულება ან „გაზვიადებულია“ ან „დაუფასებელი“. ასეთი მიდგომები ხელს უწყობს მონოპოლიას ბაზარზე, პერმანენტულ ინფლაციას, ფასებთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკებს და არასტაბილურობას. საზოგადოება ექცევა ფასების ორომტრიალის რალაც მოჯადოებულ წრეში, რომელიც თითქოს საზოგადოების ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. აღრიცხვის სტანდარტები კი გლობალური ხასიათისაა და, მაშასადამე, არასტაბილურობას და ინფლაციას საერთაშორისო მასშტაბით ასტიმულირებს. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ ბანკები სესხებს ასეთი შეფასებების საფუძველზე იძლევიან, შედეგად, საბანკო-საფინანსო სექტორი სრულიად სხვა ორბიტაზე გადის, სადაც რეალური ეკონომიკისათვის ადგილი აღარ რჩება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეფასების (ფასების) საყრდენად, ათვისის წერტილად აღებული უნდა იქნეს არა ბაზარი, არამედ წარმოების დანახარჯები არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში, არამედ ყველა დარგში. რასაკვირველია, ფასებზე მოთხოვნა-მიწოდებაც ახდენს გავლენას, მაგრამ იგი არსებით მიზეზს არ წარმოადგენს მაშინაც კი, როცა საქონლის დეფიციტი არსებობს. თუ ასეთი მიდგომა საერთაშორისო მასშტაბით არ შეიცვლება, მაშინ კაცობრიობას ფასებით გამოწვეული ფსიქიკური შოკი იმსხვერპლებს.

რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, იგი დღეს დამაკმაყოფილებელ ვითარებაში არ იმყოფება. სტატისტიკური მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2005 წელს – 14,2%-იდან 7,3%-მდე შემცირდა, 2010 წელს. გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი, მაშინ როდესაც, სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნის არსებობის სტრატეგიული სფეროა. ბუნებით მოცემული მდიდარი რესურსები და პოტენციალი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერაა გამოყენებული. **სოფლები დაცული არაა მცენარეებისა და ცხოველების სხვადასხვა დაავადების გავრცელებისაგან. აუცილებელია საქართველოს ყველა სოფლის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა.**

გამომდინარე იქიდან, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ხშირად უკავშირდება კლიმატს, დაავადებებს და სხვა ბუნებრივ რისკებს, საჭიროდ მივიჩნევთ, სოფლებში ყოველ ოჯახზე დაწესდეს ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია (გრანტი), თავდაპირველად, მინიმუმ 30 ლარი.

ორი წლის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ უცხოელი მეცნიერების დასკვნებით, 2012 წლიდან მთელ დედამიწაზე დიდი კატაკლიზმები დაიწყება. მიმდინარე წლის მოვლენებით შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე დაწყებულია (როგორცაა: მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა და დამანგრეველი გრიგალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში). აუცილებელია ეს მეტად არასასურველი პერსპექტივა ყველა ქვეყნის მთავრობებმა გაითვალისწინონ და საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების პარალელურად, ორიენტაცია აღებულ იქნეს თითოეული ქვეყნის დამოუკიდებელი, მე ვუნოდებდი, “ავარიულ ეკონომიკურ ცხოვრებაზე” გადასვლის მექანიზმებისა და გზების შემუშავებაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებული სფერო სწორედ სოფლის მეურნეობაა, რომელიც კვების პროდუქტებს იძლევა. გარდაუვალ ამოცანად მიმაჩნია, რომ სახელმწიფოთა მთავრობებმა და მათ შორის საქართველოს ხელისუფლებამ წელს დაუყოვნებლივ შექმნას აუცილებელი საარსებო პროდუქტებისა და საქონლის სახელმწიფო რეზერვები (მარაგები), რისთვისაც მოსახლეობიდან უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა. ამასთან, უფრო გონივრული იქნება შიდა ინვესტიციებზე კურსის აღება. ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას მაქსიმალურად უნდა დაეხმაროს, რათა მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს, შეინახოს და გაყიდოს. ბუნებამ თითქოს ომი გამოგვიცხადა. იძულებული ვართ ამ ომს მომზადებული დავხვდეთ ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში როგორც ზნეობრივად, ისე მატერიალურად, რათა შევამციროთ ბუნებრივი სტიქიებისაგან მოსალოდნელი ფინანსური რისკები.

IZOLDA CHILADZE

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Associate Professor

ACCOUNTING INTERNATIONAL STANDARDS REGARDING AGRICULTURE

S u m m a r y

The Article reviews BASS 41 – “Agriculture” which concerns the evaluation of biological assets, estimation of issues on agricultural products during their growth and the state grants.

The standard requires the evaluation of biological assets upon the moment of making balance with the existing actual costs for sale minus the necessary expenses; and agricultural products should be evaluated upon the moment of receiving fruits with the existing real cost minus the evaluated costs necessary for sale.

We consider:

- Biological assets and agricultural production to be evaluated based on the cost price, since this method is more sustainable and represents a more impartial and consequent evaluation. It promotes stability as well;
- Aiming to reduce natural risks, the state should establish monthly grants for each rural family, initially in amount of 30 GEL;
- In order to reduce risks caused by probable natural calamities, the governments (e.g. the Government of Georgia) should create necessary state reserves of commodities and fuel.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის როლი მაკროეკონომიკური
სტაბილიზაციის მიღწევაში**

უკანასკნელი 20 წელი, რომელიც საქართველოს საბჭოთა კავშირისაგან აშორებს, ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. დღემდე ვერ ხერხდება ეკონომიკის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება. ეკონომიკური კავშირების რღვევა, ნედლეულის ბაზისა და გასაღების ბაზრების დაკარგვა, ისევე როგორც პოლიტიკური, კრიმინოგენული დესტაბილიზაცია და, რაც მთავარია, პრაქტიკულად პერმანენტული საომარი მოქმედებები პრობლემების გაღრმავებას უწყობდა ხელს.

საბჭოთა კავშირში არსებულმა შრომის დანაწილებამ საქართველოს ეკონომიკა და განსაკუთრებით კი მისი სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად მონოკულტურულ სექტორად აქცია. საბჭოთა ბაზარი (თუ მას ბაზარი შეიძლება დაერქვას) პროდუქციის გასაღების პრობლემას ხსნიდა. 250 მილიონზე მეტი ადამიანი, რომელიც სსრკ-ში ცხოვრობდა და მასთან ერთად ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნების მოსახლეობა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჩაკეტილი ეკონომიკის რესურსებს მაქსიმალურად ექსტენსიურად იყენებდა. საქართველომ ამ ფონზე საკუთარი ნიშა „წარმატებულად იპოვა“, რადგან იგი კლიმატური პირობებით მკვეთრად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენი 14 მოკავშირე რესპუბლიკისაგან და შესაბამისად სოფლის მეურნეობის ისეთ სექტორებს ავითარებდა, რომლის წარმოებაშიც მას კლიმატური პირობებიდან გამომდინარე კონკურენტი პრაქტიკულად არ ჰყავდა არა მარტო სსრკ შემადგენლობაში, არამედ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც კი. ჩაი, ციტრუსი, სხვა სუბტროპიკული კულტურები საქართველოსთვის, მისი მოსახლეობისათვის შემოსავლის მუდმივი და სერიოზული წყარო იყო. იმ პერიოდში საქართველოში სსრკ-ში მოყვანილი ჩაისა და ციტრუსის 95%-ზე მეტი მოჰყავდათ. ამას ემატებოდა ისტორიულად და კულტურულად საქართველოსათვის ტრადიციული მეხილეობისა და მევენახეობის როგორც პირველადი, ისე მათი გადამუშავებით მიღებული პროდუქცია, რომლის წარმოებაშიც, მიუხედავად შიდა კონკურენტების თეორიული არსებობისა (მაგალითად, ღვინისათვის ყირიმული, მოლდოვური, ჩრდილოკავკასიური ღვინოები, ხილისათვის კიდევ უფრო ფართო არჩევანი), ქართული პროდუქციის გასაღებისათვის პრობლემა არ არსებობდა. მით უმეტეს, რომ დეფიციტური საბჭოთა ბაზრისათვის ესეც არ იყო საკმარისი და ამიტომ წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მუდმივი ზრდა ადმინისტრაციული რესურსების მთავარი საზრუნავი იყო. ეს ყველაფერი კი სტიმულს აძლევდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა ხარისხის გაუარესების ხარჯზე მომხდარიყო. ხშირი იყო პროდუქციის ფალსიფიკაცია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო 15-20 წელი საქართველოს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუარესების მიუხედავად, მათი რეალიზაციის პრობლემა არ ჰქონია.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის კრახის და ყოფილი საბჭოთა ბაზრების უცხოური პროდუქციისათვის გახსნის შემდეგ. რკინის ფარდის გადანეგამ რუსეთისა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ბაზრები გახსნა სხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქციისათვის, რამაც ბუნებრივად შეზღუდა საქართველოში წარმოებული პროდუქციის გასაღების არეალი.

ამას დაერთო პოლიტიკური პრობლემები და ქართულმა პროდუქციამ დაკარგა ტრადიციული ბაზრები, უპირველეს ყოვლისა კი რუსეთის ბაზარი. ეს ყოველივე კი წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე აისახა. დაბალი ხარისხი კონკურენტულ ბრძოლაში შანსს არ გვიტოვებდა, ამდენად, საქართველომ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზების გამო დათმო ძველი ტრადიციული ბაზრები და სამწუხაროდ მათი სრულფასოვანი ალტერნატივაც ვერ მოძებნა. არადა ალტერნატივები არსებობს, და თანაც უფრო მაღალმსყიდველობითუნარიანი.

ეკონომიკური დაცემა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას ეხებოდა. საქართველოს ეკონომიკამ სერიოზული ვარდნა განიცადა. 1993 წელს საქართველოს მშპ 1990 წელთან შედარებით 3-ჯერ დაეცა.¹ თავის მხრივ არც 1990 წელი იყო საქართველოსათვის საუკეთესო.

¹ www.wordbank.org.

ამ ყველაფერმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანაში უმუშევრობა, ფასები. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში პოლიტიკურ თუ კრიმინოგენულ არასტაბილურობას მაკროეკონომიკური არასტაბილურობაც დაემატა. ქვეყანა მოიცვა ქაოსმა, განუკითხაობამ, კორუფციამ, ენერგეტიკულმა და სატრანსპორტო ბლოკადამ.

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლიდან მოხერხდა მაკროეკონომიკური ზრდის მიღწევა, ფასები შედარებით დასტაბილურდა, ვერ ხერხდება უმუშევრობის შემცირება, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

2000 წლიდან დღემდე სამომხმარებლო ფასები დაახლოებით გაორმაგდა,¹ ხოლო სურსათზე ფასები 166%-ით გაიზარდა. სურსათზე ფასების ზრდას, ერთი შეხედვით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება უნდა გაეზარდა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასაქმებულთა 63% სოფლადაა დასაქმებული, ისინი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 7,3%-ს (2010 წელს) ქმნიან.

მცირდება სოფლის მოსახლეობაც. თუ 2001 წელს სოფლად საქართველოს მოსახლეობის 48,2%, ანუ 2,121 მლნ. ადამიანი ცხოვრობდა, 2011 წლის დასაწყისში 46,9%, ანუ 2,098 მლნ. ადამიანი ცხოვრობს.

სამწუხაროდ მცირდება ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ერთ სულზე.

2006 წელს საქართველოში ერთ სულზე 16 კგ. ხორბალი იწარმოებოდა, 2010 წელს კი მხოლოდ 11. ეს მაჩვენებლები შესაბამისად სიმინდისათვის იყო 49 და 32 კგ (2008 წელს ერთ სულზე საქართველოში 75 კგ. სიმინდი იქნა მოყვანილი), ხილისათვის 35 და 27, ხორცისათვის 19 და 13, ყურძნისათვის 37 და 27 კილოგრამი.

სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება მცირდება. 2010 წელს, 2004 წელთან შედარებით 6%-ითაა შემცირებული, 3%-ითაა შემცირებული მეცხოველეობის პროდუქცია. 2005 წელს სოფლის მეურნეობაზე მშპ-ს 14,8% მოდიოდა, იგივე მაჩვენებელი 2010 წელს მხოლოდ 7,3% იყო.

2006 წელთან შედარებით შემცირებულია პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. თუ 2006 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1,08 მლნ. სულიდან 1,049 მლნ. სულამდე, ღორის სულადობა 343,5 ათასი სულიდან შემცირებულია 110 ათას სულამდე, ანუ 3-ჯერ და მეტად, ცხვრისა და თხის სულადობა – 789,2 ათასიდან 654,1 ათასამდე.

2007 წლიდან 2010 წლამდე ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები შემცირდა 297,2 ათასი ჰექტრიდან 275,3 ათას ჰექტრამდე.

პრობლემები ცალსახაა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, მაინც, ვფიქრობ, გასაღების ბაზრებზე არსებული მდგომარეობაა. ეს არ ეხება მხოლოდ უცხოურ ბაზრებს, საქართველოს ბაზარზეც ქართული პროდუქცია ვერ უწევს კონკურენციას უცხოურ ანალოგებს. იზრდება იმპორტი და იზრდება იმპორტში სურსათის წილი. 2010 წლის განმავლობაში სულ საქართველოში 5,1 მლრდ. დოლარის საქონელია შემოტანილი, საიდანაც 780 მლნ დოლარის სურსათია. მ.შ. 33 მლნ. დოლარის ბოსტნეულია, 26 მლნ. დოლარის ხილი, 1,2 მლნ. დოლარის კვერცხი, 29 მლნ. დოლარის ხორცი, 47,5 მლნ. დოლარის ფრინველის ხორცი, 172 მლნ. დოლარის ხორბალი და ა.შ.

სანაცვლოდ 2010 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია სულ 1,58 მლრდ. აშშ დოლარის საქონელი, რომლიდანაც სურსათზე 143 მლნ. დოლარი მოდის. საქართველოდან გატანილია 54,5 მლნ დოლარის სპირტიანი სასმელები, 40 მლნ დოლარის ღვინო, 81,3 მლნ. დოლარის ხილი, 30,1 მლნ დოლარის მინერალური წყლები, 5,1 მლნ დოლარის ბოსტნეული.

როგორც ვხედავთ, სიტუაცია ძალიან მძიმეა. როგორც ჩანს, საქართველოს საკუთარი რესურსით სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების მოგვარება გაუჭირდება. ინვესტიციებისათვის კი, საქართველოს სოფლის მეურნეობა ჯერჯერობით მიმზიდველი არ არის.

2007 წლიდან 2011 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით საქართველოში სულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით ინვესტირებულია 5,4 მლრდ. დოლარი, მათგან სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 57,8 მლნ დოლარი, ანუ მთელი ინვესტიციების მხოლოდ 1,1%.

სამწუხაროდ, ინვესტიციების ეს ტემპები ძალიან დაბალია, რაც სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის შესაძლებლობას არ იძლევა. ინვესტორთა მოზიდვისათვის კი სერიოზული ინსტიტუციური სამუშაოა ჩასატარებელი.

¹ სტატისტიკური ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდიდან www.geostat.ge.

რა შემთხვევაში შეიძლება საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტირება მომგებიანი იყოს ინვესტორებისათვის?

საქართველოს შიდა ბაზარი ძალიან მწირია. სამომხმარებლო ხარჯები 2010 წელს მხოლოდ 15,7 მლრდ. ლარი იყო. იმისათვის, რომ ინვესტიციები მოვიზიდოთ, მნიშვნელოვანია ბაზრის გაფართოება, თუმცა, შიდა ბაზრის გაფართოება ახლო მომავალში წარმოუდგენელია. ამდენად, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ექსპორტზე ორიენტაცია და საზღვარგარეთული ბაზრების ათვისება.

პოლიტიკური ნიშნით საქართველოსათვის ტრადიციული რუსული ბაზარი დაკეტილია და 2006 წლიდან პრაქტიკულად ეკონომიკური ემბარგოს რეჟიმში ვართ. სხვა მეზობელი სახელმწიფოების სამომხმარებლო ბაზარიც მწირია, თუ არ ჩავთვლით თურქეთს, რომელსაც მნიშვნელოვანი პროტექციონისტული ღონისძიებები აქვს გატარებული, სოფლის მეურნეობის სუბსიდირების თვალსაზრისით.

საქართველოს მეზობელი ბაზრებიდან მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანა. ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის თავისუფალი შეღწევადობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის, ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი და წინაპირობაა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველო ინვესტიციურ შიმშილს განიცდის, მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია, მაღალია უმუშევრობა და სიღარიბე. საკუთარი შესაძლებლობებით ამ მდგომარეობიდან გამოსვლა რთულია. მოხმარება იმდენად დაბალია ქვეყანაში, რომ მხოლოდ შიდა ბაზარზე ორიენტირებული წარმოების მიზნით ინვესტიციები აშკარად არამომგებიანია. ამდენად, ინვესტიციების მოზიდვის რეალური ფაქტორი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი ნიშის მოძებნაა.

თუ მსოფლიო ეკონომიკას გადავხედავთ, თვალნათელია, რომ ევროპულ ბაზრებს - ევროკავშირს ალტერნატივა არ გააჩნია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთი სურათი იხატება: ევროკავშირის მოსახლეობა 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 502,5 მლნ. ადამიანია, 2010 წლის მშპ 16,3 ტრლნ. დოლარი, რაც ერთ სულზე 32 500 დოლარს შეადგენს. საოჯახო მეურნეობების მოხმარებამ 2008 წელს 7,2 ტრლნ. ევრო შეადგინა, დანაზოგები მშპ-ს 11,3%, ხოლო ინვესტიციები კი 18,4%-ია; მაშინ როდესაც, აშშ-ს მშპ - 14,7 ტრლნ. დოლარია, ჩინეთის მშპ - 5,9 ტრლნ. დოლარი (ერთ სულზე 4300 დოლარი), ინდოეთის მშპ - 1,5 ტრლნ. დოლარი; რუსეთის მშპ - 1,5 ტრლნ. დოლარი, ხოლო საქართველოს მშპ - 11,3 მლრდ. დოლარია.¹

მხოლოდ ამ ზოგადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გადახედვითაც ცხადია, რომ საქართველოსათვის ეკონომიკური თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც საქართველოს ევროკავშირის ბაზრებზე გასვლის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს მოუხსნის.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სატარიფო ბარიერების დიდი მნიშვნელობისა, საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არასატარიფო ბარიერების მინიმიზებას ენიჭება. დღეს საქართველო სარგებლობს სატარიფო შეღავათებით, თუმცა მათ ჩვენი ექსპორტის გეოგრაფიაში რევილუციური ცვლილება არ გამოუწვევია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნის მიმართულებით მუშაობას უკვე საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ ვერ აისახა ექსპორტის მნიშვნელოვან სტიმულირებაში, პროცესი დაწყებულია, რაც ოპტიმიზმის საბაზს იძლევა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA) დღეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ძირითადი განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც 1996 წელს იქნა მიღებული და ძალაში 1999 წელს შევიდა. იგი თავდაპირველად ათი წლის ვადით იყო მიღებული, თუმცა შემდეგ ყოველ წელს, ავტომატურად, ერთი წლით გრძელდება.

ეს შეთანხმება პოლიტიკური დიალოგის, ვაჭრობის, ინვესტიციების, ეკონომიკური, საკანონმდებლო და კულტურული თანამშრომლობის სფეროებში ფართომასშტაბიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

¹ www.imf.org; www.worldbank.org; www.epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/product_details/publication?p_product_code=CH_01_2010_XLS.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება აუქმებს კვოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავს ინტელექტუალური, სანარმოო და კომერციული საკუთრების უფლებას. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეებმა ერთმანეთს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მიანიჭეს.

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ლიბერალიზაციის საერთო მოთხოვნებში ზის. ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ფართო სახე მიიღოს, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს როგორც ევროპის, ისე, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების, მ.შ. საქართველოს ეკონომიკურ ზრდას და ამ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებას.

2005 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქართველოს პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება მიანიჭა. GSP+ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას ითვალისწინებს.

2003-2004 წლებში ევროკომისიამ შეიმუშავა ევროკავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის მიმართულება – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და გამყოფი ხაზების ნაცვლად ყველასთვის კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2004 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში (მ.შ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კუთხით). აღნიშნული შეთანხმება საქართველოსთვის ძალაში 2006 წლის 14 ნოემბერს შევიდა.

საქართველოსათვის ევროკავშირი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია. ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის 20–25% ხორციელდება, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონლის მოცულობა მთელი იმპორტის დაახლოებით 30%-ია.

ცხადია, იმ ფონზე, როდესაც საქართველოსათვის პრაქტიკულად დახურულია რუსეთის ბაზარი, ევროკავშირის ბაზარზე შეღწევადობის ზრდა ქართული ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი სერიოზული გზაა.

დღეისათვის საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება, რათა საქართველომ მოახერხოს სატარიფო და არასატარიფო, მ.შ. უპირველეს ყოვლისა, ხარისხობრივი და რაოდენობრივი ბარიერების შემცირების ხარჯზე ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალი შეღწევადობა უზრუნველყოს. ამ მიზნით აუცილებელია შემუშავდეს და ამოქმედდეს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ევროპული სტანდარტების (მ.შ. ტექნიკური სტანდარტების, ხარისხის მონიტორინგის სისტემის, საბაჟო კონტროლის და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში) დანერგვას შეუწყობს ხელს.

2007 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული კვლევა, რომლის მიხედვითაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მოსალოდნელია დადებითი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების მიღწევა, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერსპექტივაში.

2008 წელს ევროკავშირმა საქართველოს სამი წლის ვადით (2009-2011) გაუგრძელა პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარებისათვის (GSP+).

2008 წლის მაისში, ევროკომისიის დაკვეთით, პოლონურმა ორგანიზაცია CASE-მა დაასრულა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) გაფორმების შესაძლებლობების შესწავლასთან დაკავშირებული კვლევა. კვლევის მიხედვით, საქართველოსათვის დადებითი ეფექტის მომცემი იქნება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების გაფორმება.

ევროკავშირი მხოლოდ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ახდენს ფოკუსირებას. ეს ხელშეკრულება, საქონლით ვაჭრობის გარდა, მოიცავს მომსახურებით ვაჭრობას, კაპიტალის ბრუნვას, გულისხმობს საბაჟო პროცედურებისა და კომპანიების მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების დაახლოებას, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებისა და საინვესტიციო კანონმდებლობის დაახლოებას, მომხმარებელთა უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, კონკურენციის უზრუნველყოფას, აგრეთვე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი და შრომის სტანდარტების დაცვას, ენერგეტიკის სფეროს ჰარმონიზაციას და ა.შ.

ევროკავშირის პრეფერენციების განზოგადებული სისტემა GSP, GSP+ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ იქნა შემუშავებული, რომლის მიხედვითაც განვითარებულმა ქვეყნებმა სავაჭრო შეღავათები უნდა მიანიჭონ განვითარებად ქვეყნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, ისედაც სარგებლობს შეღავათებით, GSP+ პრეფერენციული ტარიფები უფრო მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებს. ამასთან, მნიშვნელოვანია საქონლის წარმოშობის განსაზღვრის მექანიზმების გამართული მუშაობა, რათა პრეფერენციული სისტემით არ ისარგებლოს რეალურად სხვა ქვეყანაში წარმოებულმა საქონელმა.

დღეისათვის, თეორიულად საქართველოში წარმოებული 7200 დასახელების პროდუქციაზე ვრცელდება პრეფერენციები, რომელთაგან, სამწუხაროდ, მხოლოდ 30-მდე შეღავათს ვიყენებთ რეალურად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ეს ეხება როგორც ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, ასევე ახალი მიწნეების გაცნობას გლეხებისა და ფერმერებისათვის.

1992 წლის დასაწყისში დროებითმა მთავრობამ თავისი მოღვაწეობა ეკონომიკის სფეროში პოპულისტური ნაბიჯების გადადგმით დაიწყო. ყოველგვარი მომზადების გარეშე, ერთი ხელის მოსმით, უსასყიდლოდ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კერძო საკუთრებაში გადაცემა,¹ რამაც დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას, რადგან მოუფიქრებლად, ყოველგვარი საკანონმდებლო მომზადების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის გარეშე დაქუცმაცდა დიდი მეურნეობები, გლეხობა პრაქტიკულად შიშველი ხელების ამარა აღმოჩნდა მინის პირისპირ. დღეს მნიშვნელოვანია კოოპერაციის ნახალისება, თუმცა, კოლმეურნეობების ცუდი გამოცდილების გამო და ასევე მცდარი საგადასახადო პოლიტიკის გამო, რომელიც რეალურად ნახალისებს წვრილ გლეხურ მეურნეობებს, ხოლო კოოპერაციის პირობებში დაბეგვრის ჩვეულებრივ რეჟიმში გადაჰყავს იგი, კოოპერაცია სოფლად პრაქტიკულად არ მიმდინარეობს.

წვრილი მეურნეობები კი ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევენ არათუ ევროპულ ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, არამედ თავად საქართველოს ისედაც მწირ ბაზარზეც კი უკანა პლანზე გადაწეული.

გარდა ამისა, ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანია ირიგაციისა და მელიორაციის პრობლემების მოგვარება, შხამ-ქიმიკატებისა და სასუქის ხარისხის კონტროლი, მარკეტინგული კვლევები, მაცივრების და მოსავალის შენახვის სხვა საშუალებების შექმნის ნახალისება და სხვა.

მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა ინვესტორთა ინტერესის სფეროში მოხვდეს, რაც დარგში დასაქმებულ ადამიანთა შემოსავლების ზრდას, მათი ცხოვრების დონის ამაღლებას და სოფლის გამოცოცხლებას დაუდებს სათავეს.

NODAR KHADURI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Full Professor*

THE ROLE OF AGRICULTURE IN ACHIEVING MACROECONOMIC STABILITY IN GEORGIA

S u m m a r y

The last twenty years, which separates Georgia from the Soviet Union, were quite hard from the economic point of view. The formation of more or less optimal structure of economy has not been achieved yet. The disruption of economic links, loss of markets and the base of raw materials, as well as political instability and criminal situation and, most importantly, actually permanent military operations contributed to deepening the problem.

The soviet market gave the explanation to the problem. The quantity of goods was increased at the expense of the degradation of quality. The situation changed radically after the collapse of command administrative economy and the opening of the former Soviet market for foreign goods. The area for selling goods produced in Georgia decreased.

¹ ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, თსუ, 2005.

One of the most crucial problems is the situation on the markets. It will be difficult for Georgia to solve the problems in agriculture only with its own resources. As for investors, they still do not find Georgian agriculture attractive.

There is no alternative for European markets, i.e. for the European Union. Achieving the agreement on deep and comprehensive free trade area with the EU is of vital importance for Georgia from the economic point of view. This will remove the tariff and non-tariff barriers to EU market entry.

In order to attract investors, it is very important to promote cooperation, solve the problems of irrigation and melioration, control the quality of fertilizers, conduct marketing researches, encourage the development of refrigerators and other crop storage facilities.

Only against this background may Georgia become interesting for investors, which will give a start to the increase of incomes of the people occupied in this sector, improvement of their living conditions and the restoration of the village.

**ბუნებრივი ალრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოქმედების არაალი
სოფლის მეურნეობაში**

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუნებრივი ალრიცხვისა და, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სანარ-
მოთა თავისებურებების გათვალისწინება.

ბუნებრივი ალრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისათვის სოფლის მეურნეობა და, შესაბა-
მისად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენს სანარმოს მიერ ცოცხალი ცხოველებისა და
მცენარეების (ბიოლოგიური აქტივები) ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვას, მათი გა-
ყიდვის, სოფლის მეურნეობის წარმოების, ან მათგან დამატებითი ბიოლოგიური აქტივების მიღე-
ბის მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო სანარმოების უმეტესობა მცირე ზომისაა, ფოკუსირებულია ფულად
სახსრებსა და გადასახადებზე, საოჯახო ბიზნესია, აქედან გამომდინარე, ისინი ვალდებული არ
არიან შეადგინონ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები. მაგრამ, თუ გავითვალისწი-
ნებთ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობას და პერსპექტივებს, შე-
საბამისი ფინანსური რესურსების ნაკლებობას, იმას, რომ თვით მცირე სასოფლო-სამეურნეო სა-
ნარმოებიც კი ეძებენ გარე კაპიტალსა და სუბსიდიებს, განსაკუთრებით ბანკებიდან და სამთავრო-
ბო ინსტიტუტებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, მზარდ მოთხოვნას გამოხატავენ ფინანსური ანგა-
რიშგებებისადმი, სასოფლო-სამეურნეო სანარმოები იძულებულნი გახდებიან ფინანსური ანგარიშ-
გებები მოამზადონ ბუნებრივი ალრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუნება, ტრადიციული საალრიცხვო მოდელების გამოყენე-
ბისას, წარმოქმნის გაურკვევლობებს. იგი დაკავშირებულია და გამომდინარეობს ბიოლოგიური აქ-
ტივების არსიდან, მასზე მოქმედი ბიოლოგიური გარდაქმნებიდან (ზრდა, დაკნინება, წარმოება და
კვლავწარმოება), ასეთი მოვლენების ალრიცხვა რთულია თვითღირებულებასა და რეალიზაციაზე
დაფუძნებული საალრიცხვო მოდელით.

ბუნებრივი ალრიცხვის მეთოდს, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან,
არეგულირებს ბუნებრივი ალრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს). სტანდარტები გან-
საზღვრავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუნებრივი ალრიცხვის წესებს, ფინანსური ან-
გარიშგების წარდგენას და მასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებს. კერძოდ, სასოფლო-
სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი მუხლების ალრიცხვას, როგორიცაა ბიოლოგი-
ური აქტივები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღების მომენტში და ზოგიერთ სხვა
საკითხებს, არეგულირებს ბასს 41 – სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან
დაკავშირებული ისეთი მუხლების მიმართ, როგორიცაა მინა, არამატერიალური აქტივები და სხვა,
შესაბამისი სტანდარტი გამოიყენება.

ბასს 41 „სოფლის მეურნეობა“ კატეგორიულად გამიჯნავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას,
სოფლის მეურნეობის პროდუქციას, როგორც „ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ პროდუქციას,
მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტისათვის“ და განსაზღვრავს მისი ალრიცხვის წესებს.

შესაბამისად, სტანდარტი არ ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას მისი
ნაყოფად მიღების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამგვარი გადამუშავება სასოფლო-სა-
მეურნეო საქმიანობის ლოგიკური და ბუნებრივი გაგრძელება იყოს და მსგავსება ჰქონდეს ბიოლო-
გიური აქტივების ტრანსფორმაციასთან.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, რომელთაც გარკვეული
საერთო მახასიათებლები აქვთ. ასეთი მახასიათებლებია:

- ცვლილების უნარი;
- ცვლილების მართვა;
- ცვლილების შეფასება.

ცვლილების უნარი გამოიხატება იმაში, რომ ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს აქვთ ბიო-
ლოგიური ტრანსფორმაციის უნარი. ბიოლოგიური ტრანსფორმაციით მიიღება შემდეგი ტიპის შე-

დეგები: 1. აქტივის ცვლილება ზრდის, დეგენერაციის ან გამრავლება/რეპროდუქციის შედეგად ან 2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ცვლილების მართვა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას იმ პირობების გაუმჯობესების, ან სტაბილიზაციის მეშვეობით, რომელიც აუცილებელია პროცესის მოხდენისათვის (კვება, ტენიანობა, ტემპერატურა, ნაყოფიერება). სწორედ ამგვარი მართვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას განასხვავებს სხვა საქმიანობისაგან, ხოლო ბიოლოგიური ტრანსფორმაციით ან ნაყოფის მიღებით გამოწვეული ხარისხობრივი (გენეტიკური თვისები, სიხშირე, სიმწიფე, ცხიმოვანობა და სხვა) ან რაოდენობრივი (მთამომავლობა, წონა, ზომა და სხვა) ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადია.

სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აქტივის აღიარებას და შეფასებას. საწარმომ ბიოლოგიური აქტივი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეაფასოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;
- მოსალოდნელია აქტივით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შესვლა ან საწარმოდან გასვლა და
- შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიერ აქტივის კონტროლი შესაძლოა დასაბუთებული იყოს იურიდიული მფლობელობით, სხვადასხვაგვარი მარკირებით. მომავალი სარგებელი, როგორც წესი, ფასდება მნიშვნელოვანი ფიზიკური მახასიათებლებით.

ბასს-ის მიხედვით, ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით. ხოლო ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეფასდეს ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

გაყიდვის დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის გადაცემასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგებიდან გადასახადის ხარჯის გამოკლებით. გაყიდვისათვის საჭირო ხარჯები მოიცავს ბროკერთა და დილერთა მომსახურებას, სასაქონლო ბირჟებისა და მარეგულირებელი სააგენტოების მიერ დაწესებულ მოსაკრებლებს, გადაცემის გადასახადებსა და საბაჟო გადასახადს. გაყიდვისათვის საჭირო ხარჯები არ შეიცავს აქტივების ბაზრებზე მისატან სატრანსპორტო და სხვა ხარჯებს. ასეთი სატრანსპორტო და სხვა ხარჯები რეალური ღირებულების განსაზღვრისას უკვე გამოკლებულია, რამდენადაც რეალური ღირებულება არის საბაზრო ფასს დაკლებული აქტივების ბაზრებთან მისატანი სატრანსპორტო და სხვა ხარჯები.

ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრა რთულია. თუ მოცემულ მდგომარეობაში და მოცემულ ადგილსამყოფელში არსებობს ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის აქტიური ბაზარი, ამ ბაზრის კოტირებული საბაზრო ფასი არის აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრის საფუძველი. ასეთი ბაზარი საქართველოში არ არსებობს. მაშასადამე, არც ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების განსაზღვრა შესაძლებელია და აქედან გამომდინარე, ვერც რეალური ღირებულება განისაზღვრება სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ აქტიური ბაზარი არ არსებობს, საწარმომ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გამოიყენოს ბაზრით განსაზღვრული ფასები ან ღირებულებები (უახლოესი საბაზრო გარიგების ფასი). თუმცა, ზოგჯერ ბაზრით განსაზღვრული ფასები ან ღირებულებები შეიძლება არ მოიპოვებოდეს მოცემულ პირობებში მყოფი ბიოლოგიური აქტივისათვის. ასეთ შემთხვევებში საწარმომ უნდა გამოიყენოს აქტივისაგან მოსალოდნელი სამომავლო წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე პერიოდის საბაზრო განაკვეთით. აქედან გამომდინარე, აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის საწარმომ შეიძლება გამოიყენოს:

- უახლესი საბაზრო გარიგების ფასი;
- ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასები სხვაობების ამსახველი კორექტირებით;
- სექტორის სტატისტიკური ბაზა.

ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის არსებობისას საწარმო სხვაობების მიზეზების გათვალისწინებით შეარჩევს რეალური ღირებულების წინასწარი შეფასების ყველაზე საიმედო თანხას.

ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების განსაზღვრის გაადვილების მიზნით, სტანდარტით გათვალისწინებულია ბიოლოგიური აქტივების ან

სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაჯგუფება მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, ასაკის ან ხარისხის მიხედვით. საწარმოს შეუძლია შეარჩიოს ის მახასიათებლები, რომელიც შეესაბამება ბაზარზე ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულს.

სტანდარტით ნებადართულია ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შესახებ მომავალი თარიღისათვის დადებული ხელშეკრულების ფასების გამოყენებაც. თუმცა ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასები ყოველთვის არ არის გამოსადეგი რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის, რადგან რეალური ღირებულება ასახავს მიმდინარე ბაზარს, სადაც დაინტერესებული მყიდველი და გამყიდველი დებს გარიგებას და ხელშეკრულების არსებობის გამო, ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულება არ კორექტირდება.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ბიოლოგიური აქტივები ან სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეიძლება შეფასდეს თვითღირებულებით. თვითღირებულება უახლოვდება რეალურ ღირებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავდაპირველი ხარჯის განვიდან საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე მცირეოდენ ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი, ან მოსალოდნელია, რომ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა ფასზე არ იქნება მნიშვნელოვანი. სტანდარტის მიხედვით, თვითღირებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რომლისთვისაც არ არსებობს ბაზრით განსაზღვრული ფასები ან ღირებულებები და რომელთათვისაც რეალური ღირებულების ალტერნატიული შეფასებები უეჭველად არასაიმედოა. ასეთ შემთხვევაში, ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით, ხოლო როდესაც ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება საიმედო გახდება, საწარმომ იგი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით. ასეთი მიდგომა ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების განსაზღვრისა და თავდაპირველი აღიარებისათვის არარეალურად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, ზოგიერთი ბიოლოგიური აქტივის (მაგალითად, ნამრავლი) თვითღირებულების, მით უმეტეს, დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია და, მეორე, მისი გადაფასების დროის დადგენა და რეალური ღირებულებით შეფასება ისევ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მით უმეტეს, რომ თვითღირებულების, აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას საწარმომ სტანდარტის მოთხოვნით უნდა გაითვალისწინოს სხვა სტანდარტები, როგორცაა: ბასს 2 – “სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები”, ბასს 16 – “ძირითადი საშუალებები” და ბასს 36 – “აქტივების გაუფასურება”.

ბიოლოგიური აქტივების ზოგიერთი ნაწილი ფიზიკურად მიმაგრებულია მიწაზე. მიწაზე მიმაგრებული ბიოლოგიური აქტივებისათვის შესაძლოა არ არსებობდეს ცალკე ბაზარი, მაგრამ არსებობდეს აქტიური ბაზარი კომბინირებული აქტივისათვის – ბიოლოგიური აქტივების, დაუმუშავებელი მიწის და გაუმჯობესებული მიწის, როგორც ერთი პაკეტისათვის. საწარმოს შეუძლია ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრავად გამოიყენოს ინფორმაცია კომბინირებული აქტივების შესახებ. ამ შემთხვევაში, ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების მისაღებად, კომბინირებული აქტივების რეალურ ღირებულებას გამოაკლდება დაუმუშავებელი მიწის ან გაუმჯობესებული მიწის რეალური ღირებულება.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო საწარმომ უნდა დაიცვას ბასს 41-ის “სოფლის მეურნეობა” მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ყოველთვის შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მისი მოსავლად აღების მომენტისათვის და ყველა შემთხვევაში, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღებისას უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით. საქართველოში კი იმის გამო, რომ არ არსებობს ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის აქტიური ბაზარი, ამ მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მიმდინარე საბაზო ღირებულება.

სტანდარტით არ არის განსაზღვრული ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მასთან დაკავშირებული შემდგომი დანახარჯების აღრიცხვის წესი. დაშვებულია, რომ ბიოლოგიური აქტივების წარმოებისა და ნაყოფის მიღების ხარჯები უნდა აღიარდეს განვიცის მომენტში და ხარჯები, რომლებიც ზრდის საწარმოს მფლობელობაში ან კონტროლქვეშ მყოფი ბიოლოგიურ აქტივთა ერთეულების რაოდენობას, უნდა დაემატოს აქტივის მიმდინარე ღირებულებას. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეალური ღირებულების მოდელში საჭირო არაა შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზება და ყველა შემდგომი დანახარჯი უნდა აღიარდეს ხარჯად. ამ მოსაზრებას

აქვს საფუძველი, რადგან რთულია გამიჯვნა, თუ რომელი დანახარჯი უნდა აღიარდეს ხარჯად და რომელი უნდა დაექვემდებაროს კაპიტალიზაციას. მიგვაჩნია, რომ სანარმო უნდა დაეყრდნოს სხვა სტანდარტების მოთხოვნებს დანახარჯების კაპიტალიზაციის ნაწილში და მოახდინოს იმ დანახარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც ზრდის სანარმოს მფლობელობაში ან კონტროლქვეშ მყოფი ბიოლოგიური აქტივების ერთეულების რაოდენობას და რომელთა საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია.

ELENE KHARABADZE

Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

Full Professor

THE AREA OF INTERNATIONAL ACCOUNTING STANDARDS IN AGRICULTURE

S u m m a r y

The paper deals with the peculiarities of accounting and, accordingly, the financial statements in agriculture. It also analyses the correspondent clauses of International Accounting Standards so important for the field of agriculture and discusses the methods and characteristics of assessing biological assets and agrarian products.

At the same time, it presents a personal opinion regarding the evaluation of biological assets or agricultural products. It explains the methods of evaluation as well as their advantages and disadvantages.

ფასები აგროსასურსათო პროდუქტებზე და მოსახლეობის კეთილდღეობა საქართველოში

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 2010 წლისათვის აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მოცულობა შემცირდა, შესაბამისად ამ პროდუქტებზე ფასებმა მოიმატა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით 2008-2010 წლებში სურსათზე ფასები საშუალოდ 5%-ით გაიზარდა.¹

სააგენტო Bloomberg-ის ანალიტიკოსების შეფასებით სურსათზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი იყო, მაგრამ გვალვებმა და უამინდობამ ხორბლის მოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირა, რამაც მისი ფასი საშუალოდ 50%-ით გაზარდა. საბანკო ჯგუფ HSBC-ის მონაცემებით კი ეს არის ფასების ყველაზე დიდი ზრდა ბოლო 30 წლის განმავლობაში.² ხორბალზე ფასის ზრდამ, თავის მხრივ, გამოიწვია მოთხოვნის გაზრდა სხვა აგროსასურსათო პროდუქტებზე. ქვეყნების უმეტესობა ცდილობს აგროსასურსათო წარმოების მოცულობის გაზრდას, რათა თავიდან აიცილოს სურსათის დეფიციტი და ფასების მომატება.

მიმდინარე წელს აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების შემცირება შეინიშნება, თუმცა, 2007 წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ის მაინც მაღალია. განსაკუთრებით მაღალი ფასი შენარჩუნდა ზოგიერთ პროდუქტზე, მაგალითად, სიმინდზე ფასი 50%-ით აღემატება 2003-2006 წლების შესაბამის საშუალო მაჩვენებელს. ბრინჯი 100%-ით არის გაძვირებული, შაქარი 65-70%-ით, სოიო 36%-ით და ა. შ. FAO-ს მონაცემებით, 58 განვითარებად ქვეყანაში პურ-ხორბლეულზე ფასები 2009 წლის ივლისის თვეში 25%-ით მეტი იყო, ვიდრე 2007 წლის შესაბამის თვეში. ფასების ასეთი ცვლილება მნიშვნელოვნად ამცირებს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობას, რადგან მათი შემოსავლების უმეტესი წილი სურსათზე იხარჯება. მაგალითად, ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში მოსახლეობის შემოსავლების 30-35% აგროსასურსათო პროდუქტებზე იხარჯება. აფრიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 70%-75%-ია, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობა სურსათზე შემოსავლების მხოლოდ 11.8%-ს ხარჯავს.³

საქართველოს აგროსექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში ბოლო ათწლეულში 21%-დან 7.3%-მდე შემცირდა, წარმოების მოცულობა კი თითქმის განახევრდა. 2006-2010 წლებში ამ სექტორში გამოშვების მოცულობა 20.2 მლნ ლარით შემცირდა.⁴

ადგილობრივი წარმოების შემცირება ნეგატიურად აისახება სურსათის ფასებზე. ზემოთ დასახელებულ პერიოდში უალკოჰოლო სასმელებზე ფასები 25.2%-ით გაიზარდა, ბოსტნეულზე და ბალჭეულზე – 50.8%-ით, ხილსა და ყურძენზე – 38.3%-ით, ზეთსა და ცხიმზე – 35.5%-ით, პურსა და პურპროდუქტებზე – 20%-ით, საკონდიტრო ნაწარმზე – 16.6%-ით და ა. შ.

2009-2010 წლებში აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდა ინფლაციის საშუალო მაჩვენებელს აღემატება. თუ 2010 წლის სექტემბრის თვეში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინფლაცია 9.8% იყო, ამავე პერიოდში სურსათზე ფასები საშუალოდ 20.1%-ით გაიზარდა.⁵

2010-2011 წლებში აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდამ საშუალოდ 10% შეადგინა, თუმცა, 2010 წლის იანვარ-მარტში ფასების პიკური ზრდა – 27% დაფიქსირდა.⁶

აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასები საერთაშორისო ბაზრებზეც მაღალია, მაგრამ არა იმდენად, როგორც საქართველოში. ამიტომ სურსათზე ფასების ზრდა ყოველთვის არ უნდა დავუკავშიროთ მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესებს. ზოგადად, მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში არ შეიმჩნევა აგროსასურსათო წარმოების ისეთი მკვეთრი შემცირება, როგორც საქართველოშია. ადგილობრივ ბაზარზე ფასების ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია წარმოების წვრილმასშტაბურობა, დაბალი პროდუქტიულობა და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია იმ ფაქტორების ანა-

¹ <http://www.ambebi.ge/ekonomika/31687-msoflioshi-produqtze-fasebi-uprecedentod-gadzvirda.html#ixzz1SG8C0N00>
² www.foodsec.org
³ www.geostat.ge
⁴ საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2011, გვ. 17.
⁵ ი. არჩვაძე, ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა , ფინანსები, 9 (129), 2010.
⁶ www.foodsec.org

ლიზი, რომლებმაც წარმოების შემცირება გამოიწვია. შესაბამისად, კვლევის მიზანია წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე მისი გავლენის შეფასება.


გლობალურმა ეკონომიკურმა რეცესიამ სურსათის ფასებზე დადებითად იმოქმედა, კერძოდ 2009 წელს ფასები შემცირდა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო სურსათზე მოთხოვნის შემცირებით. ევროკავშირის ქვეყნებში სამომხმარებლო ფასები 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 0.2%-ით შემცირდა. FAO-ს მონაცემებით ერთი წლის მანძილზე შემცირებულია ხორბლის, ხორცისა და რძის პროდუქტების ფასი.

სურსათზე ფასების შემცირება აღინიშნა აშშ-იც. 2010 წელს 2009 წელთან შედარებით ოჯახის პირობებში სადილის დასამზადებლად საჭირო სურსათის დანახარჯები 10%-ით შემცირდა.¹ თუმცა, სურსათის ფასებზე 2007–2008 წლის ბუმის განმეორება მოსალოდნელია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რეცესიიდან თავის დაღწევას, სურსათზე უფრო ზრდადი მოთხოვნა და, შესაბამისად, პროდუქტებზე კვლავ ფასების ზრდა მოჰყვება. “ფასების მატება სურსათზე ნებისმიერ შემთხვევაში მოსალოდნელია ბევრი ფაქტორის გამო. პირველი ის, რომ მოსახლეობის შემოსავლები იზრდება. შესაბამისად, იზრდება მსყიდველობითი უნარი. თუ არ გაიზრდება საქონლის რაოდენობა, ბუნებრივია, რომ ფასები გაიზრდება. ეს არის ძალიან მარტივი ახსნა იმ ცუდი ამბებისა, რაც წინ გველის”.²

საქართველოში მოსახლეობის კეთილდღეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების დონე. პურსა და ხორცზე ფასების ზრდის დინამიკა 2009–2011 წლებში გრაფიკულად შემდეგ სურათს იძლევა (იხ. დიაგრამა 1). პურზე ფასები 2011 წლის მარტში 2010 წლის დეკემბერთან შედარებით 8%-ით გაიზარდა, 2010 წლის იანვარ-მარტში ეს მაჩვენებელი 26%-ით მაღალი იყო, ვიდრე საშუალო მაჩვენებელი 2010 წლის განმავლობაში. ამავე პერიოდში ხორცზე ფასები 25%-ით არის გაზრდილი. 2010 წლის იანვარ-მარტში ამ პროდუქტზე ფასების ზრდამ პიკს მიაღწია, კერძოდ ერთი კილოგრამი ხორცის ფასი 32%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 1


პურსა და ხორცზე ფასების ზრდის დინამიკა საქართველოში (ლარი/კგ)



ფასების განსაკუთრებული ზრდა აღინიშნა შაქარზე, ბრინჯსა და კარტოფილზე (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

ფასების დინამიკა შაქარზე, ბრინჯსა და კარტოფილზე 2006-2010 წლებში³



დიაგრამის მონაცემების შესაბამისად 2006-2009 წლებში ფასები სამივე პროდუქტზე გაზრდილია.

¹ www.euromonitor.com.

² ნ. ხადურის, <http://www.geoeconomic.com/print.php?lp=1&id=2073>.


³ www.geostat.ge

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტებიდან ყველაზე მეტად შაქარია გაძვირებული. ერთი კილოგრამი შაქრის ფასი 1,6 ლარიდან 1,8 ლარამდე გაიზარდა. ექსპერტებთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ გაძვირება საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილი დეფიციტით არის გამოწვეული. ამჟამად, მსოფლიო ბაზარზე ერთი ტონა შაქრის ფასი 600 აშშ დოლარს აჭარბებს. აგროსასურსათო პროდუქტებიდან ფასების ზრდის ტენდენცია – საშუალოდ 15–20 თეთრი – აღინიშნა რძის პროდუქტებზე, კვერცხზე, ბადრიჯანზე, კომბოსტოზე, ბოსტნეულზე და ა. შ.

ფასების ზრდის ტენდენციის კანონზომიერებათა ასახსნელად აუცილებელია ეროვნული სასურსათო წარმოების მოცულობისა და იმპორტის თანაფარდობის ანალიზი (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

ეროვნული აგროსასურსათო წარმოების მოცულობა და იმპორტი ათასი ტონა



2005-2010 წლების მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ეროვნული აგროსასურსათო წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის მოცულობას. ცხადია, ასეთ პირობებში სასურსათო პროდუქტების ფასების რეგულირება და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა მიუღწეველი იქნება.

აგროსასურსათო სექტორში წარმოების დაბალ დონეს რამდენიმე მთავარი ფაქტორი განაპირობებს, მათგან აღსანიშნავია:

- მეურნეობების მცირე ზომა/ნაკვეთების დანაწევრება;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების ლიკვიდურობა/ფასი;
- ნიადაგების ეროზია/გაუდაბნობა;
- კლიმატის ცვლილებები და გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმები;
- ფერმერული მეურნეობების განუვითარებლობა;
- სადისტრიბუციო ქსელის განვითარებულობა;
- ფიტოსანიტარიული/ვეტერინარული მომსახურების/კონტროლის სისტემის არაეფექტულობა;
- სხვა.

აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების არასტაბილურობის ერთ-ერთი მიზეზია ტექნოლოგიების, ფულადი რესურსების ნაკლებობა, სოფლის დეკაპიტალიზაცია, მცირე ფერმერებს შორის ნაკლები კოორდინაცია და სხვ.

სურსათზე ფასების ზრდა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სურსათზე ხელმისაწვდომობაზე, მოსახლეობის კვების რაციონსა და მოხმარებული სურსათის კვებით ღირებულებაზე. თბილისში 400 ხელმოკლე ოჯახი სახელმწიფო შემწეობას იღებს და სილატაკის ზღვარს ქვემოთაა. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით ოჯახების დაახლოებით 87% ვერასოდეს ყიდულობდა ხორბლის ფქვილს, 84% – სიმინდის ფქვილს, 88% – ხორცს, 88% – თევზს, 90.5% - მარგარინს, 95% - კონსერვებს და 82% – ხილს. ოჯახების 20%-მა მნიშვნელოვნად შეამცირა ლობიოს, 27%-მა ბრინჯის/წინიბურას, 17%-მა მაკარონის, 25%-მა რძის და რძის პროდუქტების, 17%-მა კვერცხის, 18%-მა ზეთის, 32%-მა შაქრის მოხმარება. გამოკვლევამ ისიც აჩვენა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ოჯახების 71.5%-მა ხშირად ვერ მიიღო საკმარისი საკვები, ხოლო ერთი წლის განმავლობაში იყო ერთი დღე მაინც, როდესაც ოჯახის რომელიმე სრულწლოვანმა წევრმა ვერ მიიღო საკვები (47%); ასევე, ოჯახებმა ხშირად მხოლოდ დაბალი ფასის და დაუბალანსებელი საკვების მიცემა შეძლეს საკუთარი ბავშვებისთვის (79.8%). ერთი წლის განმავლობაში ხშირად ვერ მიიღო განსხვავებული სასარგებლო საკვები 82.4%-მა.¹

¹ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ოქსფამის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევა, თბილისი, 2011.

სურსათზე დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად, რაც სიღარიბის მაჩვენებელზე მიუთითებს. ექსპერტების გათვლებით საარსებო მინიმუმში სურსათზე ხარჯები 70%-ია. თუ ლორენცის მრუდის შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობას 20 ნაწილად დაყოფთ, მაშინ ყველაზე დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის საარსებო მინიმუმი სურსათზე გაღებული ხარჯების 60-62%-ს, ხოლო ყველაზე მაღალშემოსავლიანებში მხოლოდ 18-20%-ს შეადგენს. მაღალშემოსავლიან ოჯახებში სურსათის ხარჯების მოცულობა რამდენჯერმე აღემატება დაბალშემოსავლიანი ოჯახების ხარჯების მოცულობას, თუმცა, ხარჯების მთლიან მოცულობაში მცირდება სურსათზე დანახარჯები.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც – ბოლო პერიოდში ფასები სურსათზე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე არასასურსათო საქონელზე. მაგალითად, 2010 წელს 2000 წელთან შედარებით ფასები სურსათზე დაახლოებით 79%-ით, ხოლო არასასურსათო საქონელზე 45%-ით გაიზარდა. მაშასადამე, დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის სურსათზე ფასების ზრდა კეთილდღეობის უფრო მეტად შემცირებას ნიშნავს, ვიდრე ამას მხოლოდ სურსათზე ფასების ზრდა გამოიწვევდა.

ექსპერტული გათვლებით დადგენილია, რომ ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობა უფრო მეტ თანხას ხარჯავს სურსათის შექენაზე, ვიდრე ლეზულობს შემოსავალს სურსათის გაყიდვიდან. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად სურსათზე დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში უფრო მაღალია, ქალაქის მოსახლეობა უფრო მეტად მგრძობიარეა სურსათზე ფასების ზრდის მიმართ, ვიდრე სოფლის მოსახლეობა; ეს იმით აიხსნება, რომ სოფლად მოსახლეობა უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული შექენილ სურსათზე. როგორც აღინიშნა, ქალაქის მოსახლეობა უფრო მეტად მგრძობიარეა სურსათზე ფასების ზრდის მიმართ, თუმცა, მათ უფრო მეტი არასასურსათო დანახარჯი აქვთ და სურსათზე ფასების გაზრდის შემთხვევაში მათი კეთილდღეობა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით დაცულია.

სურსათზე ფასების შემცირებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად აუცილებელია იმპორტული პროდუქციის მნიშვნელოვანი ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით. ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კონიუნქტურულ სტაბილურობას, მეორე მხრივ, შეამცირებს უცხოურ ბაზრებზე დამოკიდებულებას. სავსებით მისაღებია პროფესორ ვლ. პაპავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებელია სოფლის მეურნეობის სუბსიდირება. „სუბსიდირება ძალიან ცუდი მექანიზმია, მაგრამ ნებისმიერი სხვა მექანიზმი (ვთქვათ, ბაზრის ჩაკეტვა თუ საბაჟო ტარიფების გაზრდა), კიდევ უფრო ცუდია. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია სწორედ იმისათვის არის მოწოდებული, რომ მსოფლიოში თანდათანობით უარი თქვან ნებისმიერ საბაჟო, სატარიფო, არასატარიფო ბარიერებზე და, ბოლოს, სუბსიდირებზეც. მაგრამ, რადგანაც სუბსიდირება ხდება და ხდება უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობაში, ქართველი გლეხი რომ მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენო თავის უცხოელ კონკურენტთან, იძულებული ხარ სუბსიდირება მოახდინო“.¹

სურსათზე მზარდი ფასებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის შემცირების გამო, მნიშვნელოვანია აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში ინვესტიციების განხორციელება. ინვესტიციებმა სოფლის მეურნეობის სფეროში 1980-იანი წლებიდან იკლო. თუ 1980 წელს დონორი ქვეყნები ამ სფეროში თანხების 17%-ს აბანდებდნენ, დღეს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 3.8%-ია. ბოლო პერიოდში სურსათზე ფასების ზრდა სწორედ ინვესტიციების ნაკლებობით აიხსნება.

ამრიგად, წარმოების პროდუქტიულობის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემოს შექმნით ხელს შეუწყობს აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების სტაბილურობას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. მცირე ფერმერული მეურნეობების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება და შემოსავლების დივერსიფიკაცია სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ.

¹ პაპავა ვლადიმერ <http://www.ambebi.ge/ekonomika/31687-msoflioshi-produqtze-fasebi-uprecedentod-gadzvirda.html#ixzz1SG8C0N00>

ETER KHARAISHVILI

Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

Full Professor

PRICES FOR AGRARIAN PRODUCTS AND THE POPULATION PROSPERITY IN GEORGIA

S u m m a r y

The article justifies the actuality of the prices survey of agrarian products, it analyzes the indices of prices and inflation on agrarian products.

The article highlights the factors of manufacturing reduction, defines the reasons that caused the increase in prices for agrarian products; by using the comparative analysis of prices and inflation the level of population well-being has been evaluated. With justification of the price regulation, the recommendations for boosting prosperity have been proposed. In order to reduce prices and improve the population well-being has been proposed the way which is necessary to follow, that is substitution of imported products by the local production. It will provide conjecture stability, on the one hand, and diminish dependence on the foreign market, on the other. Consequently, the only one way towards boosting prosperity is attracting investments and financial backing.

ჯემალ სარიტონაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

სოფლის მეურნეობა – საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური ბანკითარების პრიორიტეტი

ეკონომიკის მრავალდარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას. დიდი ქართველი მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ “მართალია, მრეწველობა ეკონომიკის წამყვანი დარგია, მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით საქართველოში მისი განვითარების სათანადო პირობები არ არის, საქართველოს მომავალი საზოგადოების საფუძვლად რაციონალურად მონყობილი სოფლის მეურნეობა უნდა მივიჩნიოთ.” მისი თქმით „ თავდაპირველი შემოქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდევც”. ილია ჭავჭავაძის აზრით: “ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინც.” ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოთქმულ ამ აზრს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ გავიხსენოთ მე-18 საუკუნეში ეკონომიკური განვითარების გზაზე დამდგარ საფრანგეთში ფიზიოკრატების დიდი ყურადღება სოფლის მეურნეობის მიმართ. ფრანგმა ეკონომისტებმა (პ. ბუაგილბერი, ფ. კენე, ა. ტიურგო) სოფლის მეურნეობის პირველ პლანზე წამოწვევა მოითხოვეს. გამოაცხადეს სოფლის მეურნეობის პრიმატი ვაჭრობასა და მრეწველობასთან შედარებით. სოფლის მეურნეობისადმი ინტერესმა ეკონომიკური მეცნიერება აიძულა გადასულიყო ახალ ნიადაგზე – კვლევა-ძიება მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში გადაეტანა. პ. ბუაგილბერი (1664-1714) ერთ-ერთი პირველი იყო საფრანგეთში, რომელმაც გააკრიტიკა მერკანტილისტური შეხედულებები. მან თავი სოფლის მეურნეობის დამცველად გამოაცხადა. იგი ქვეყნის სიძლიერისა და გამდიდრების საფუძვლად სოფლის მეურნეობას მიიჩნევდა. ფ.კენეს (1694-1774) მიხედვით, სიმდიდრის გადიდება ხდება სოფლის მეურნეობაში. მისი თქმით, სოფლის მეურნეობაში მუშაობს ბუნება და ხდება “შექმნა”.

ფიზიოკრატებზე ადრე ანალოგიური აზრი გამოთქვა დიდმა ქართველმა მწერალმა და პოლიტიკოსმა სულხან-საბა ორბელიანმა . იგი ფულად სიმდიდრესთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა სამინათმოქმედო პროდუქტების სიმდიდრეს. სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთ არაკაპი “ორი მდიდარი” ერთმანეთისადმი დაპირისპირებულია ორი მდიდარი: ფულით, ძვირფასი განძეულობით მდიდარი და მარცვლეულით მდიდარი. ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული გამოდის მარცვლეულით მდიდარი და მტკიცდება, რომ ნამდვილი და უფრო საქები სიმდიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქტებია.

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში დღესდღეობით პრიორიტეტად წარმოჩნდება სოფლის მეურნეობა. ექსტრემალურ სიტუაციებში (ომი, პოლიტიკური ან ეკონომიკური კრიზისები) ქვეყანა თავისი ეკონომიკის იმედად შეიძლება დარჩეს მხოლოდ. მტკიცე ფასების შესანარჩუნებლად საკუთარი პროდუქტების მარაგის არსებობა აუცილებელია. ეს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს. ამის გარანტია სოფლის მეურნეობის ის დარგები, სადაც არსებობს აგროპროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ჩამოყალიბებული ტრადიციები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ. ასეთებია: მევენახეობა-მელვინეობა, ხილის, ბოსტნეულის, ჩაის, საკონსერვო პროდუქცია და სხვ.¹

ექსტრემალურ სიტუაციებში ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა შესაძლებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გზით. დღესდღეობით საქართველოში ფართო სპექტრით ხორციელდება სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების პროგრამა. ხელისუფლებამ მოითხოვა პირდაპირი, მიზანმიმართული ჩარევა სოფლის მეურნეობაში. მიზნის მისაღწევად სახელმწიფო შეიმუშავებს რეგულირების განსაზღვრულ მეთოდებს; ახდენს სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა სუბსიდირებას; გასცემს შეღავათიან სესხებს; აგრარულ სექტორს აწვდის მაღალპროდუქტიულ თესლებს და ა.შ.

¹ დ. მამუკელაშვილი, პ. კოლუაშვილი, ქართული სოფლის აღორძინების სტრატეგია... პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბ., 2010, გვ.581.

პრობლემის გადაწყვეტაში თავისი წვლილი შეიძლება შეიტანონ კოოპერატივებმა. კაპიტალისტური კოოპერაცია აღმოცენდა XIX ს. შუა ხანებში. იგი იყო საქონელმწარმოებლებისა და მომხმარებლების საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში ჩაბმის ერთ-ერთი საშუალება. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების შექმნას. იგი მიუთითებდა, რომ „ყოველსავე ეკონომიკურ სარბიელზე ნაშრომს, ნაღვანს, საწარმოებელს...ამხანაგური კრებული უნდა ავუჩინოთ, რაკი ცალ-ცალკე ამისათვის უღონონი ვართ.“ მისი თქმით: „იქ საცა თითოეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად“.

საქართველოში სასურველია გამოყენებულ იქნეს კოოპერაციული მოძრაობის მონინავე გამოცდილება, რომელიც მსოფლიოშია დაგროვილი(შვედეთში, ისრაელში და სხვაგან).

დღევანდელ საქართველოში გაძნელებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს.

JEMAL KHARITONASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

AGRICULTURE – THE PRIORITY OF GEORGIA’S CURRENT ECONOMIC DEVELOPMENT

Summary

Rationally managed agriculture should be regarded as the priority of Georgia’s current economic development. Iliá Chavchavadze noted, “All our attention should be directed to the village, if not eternally, at least currently.” This opinion stated a century ago is still actual.

The program of restoring and developing agriculture is being widely implemented in Georgia. The government of the country demanded direct, purposeful intervention of the state in agriculture.

Cooperation may also contribute to solving the problem.

კონსტანტინე ხმალაძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს პროგრამების სამმართველოს უფროსი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ეფექტიანად განხორციელებისათვის

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს თვითმმართველობის გაძლიერების მიმართულებით, რომლის მიზანია:

- ა) სოფლის პირველი რიგის პრობლემების გადაწყვეტა;
- ბ) თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- გ) მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაღრმავება და ურთიერთდობის აღდგენა;
- დ) თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გაძლიერება და გამგეობის რწმუნებულის უფლებამოსილების გაზრდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ თანხის გამოყოფა ხდება უშუალოდ სოფლისათვის.

✓ სოფლისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა განისაზღვრება სპეციალური ფორმულის საფუძველზე, რომელიც გაიანგარიშება საკრებულოებში შემავალი დასახლებების, ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

✓ საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2009 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოიყო 20 მილიონი ლარი, 2010 წელს – 40 მლნ ლარი და 2011 წელს - 40 მლნ ლარი.

პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მუნიციპალიტეტების მიხედვით ნაწილდება გათანაბრების პრინციპის საფუძველზე, მათში შემავალი დასახლებების (სოფელი, დაბა, თემი) მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ამასთან ერთად, მცირეკომლიან სოფლებში (არა უმეტეს 50 სული), მნიშვნელოვანი ხასიათის სამუშაოთა შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყოფა საბაზისო თანხა 2 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული საბაზისო თანხა დასახლებათა სიდიდის შესაბამისად შეადგენს: არა უმეტეს 200-სულიანი სოფელი – 4 000 ლარი; არა უმეტეს 400-სულიანი სოფელი – 5 000 ლარი; არა უმეტეს 1 000-სულიანი სოფელი – 8 000 ლარი; 1 000-ზე მეტსულიანი სოფელი – 12 000 ლარი. დანარჩენი თანხა დასახლებებზე ნაწილდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული საშუალო მაჩვენებლის მიხედვით.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხა გამოყენებულ უნდა იქნეს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დასაფინანსებლად; კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:

ა) ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, მაგ. ხიდის აღდგენა, სოფლის გზის შეკეთება, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შეკეთება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი თუ სანიაღვრეთა გამწმენდი სამუშაოების ჩატარება და ა.შ.

ბ) სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება. მაგ. სოფლის წყაროს მოწყობა, მოსახლეობის თავმჯდომარის ადგილის მოწყობა, სოფლის სტადიონის შეკეთება, სოფლის კლუბის მოწყობა და ა.შ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული ამ ადმინისტრაციულ ერთეულიდან არჩეული საკრებულოს წევრთან ერთად. თანხის გამოყენების მიზნობრიობა განისაზღვრება მხოლოდ შესაბამის სოფლის მოსახლეობასთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ.

გამგეობის რწმუნებული საკრებულოს შესაბამის წევრთან ერთად ვალდებულია ჩაატაროს სოფლის მოსახლეობის გამოკითხვა, საჭიროების შემთხვევაში ორგანიზება გაუწიოს სოფლის კრების მოწვევასა და ჩატარებას, მოაწყოს საჯარო განხილვები და შეათანხმოს მოსახლეობასთან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელზე გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელზე გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

ა) შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტისადმი და მათით სარგებლობის საშუალება უნდა ქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას;

ბ) შესრულებულ სამუშაოს უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი და არ უნდა იყოს მიმართული ერთჯერადი მოხმარებისათვის;

გ) სამუშაო უმთავრესად შესრულებულ უნდა იქნეს სოფლის მოსახლეობის მიერ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ უმთავრესად მიმართულია კონკრეტული სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დასაფინანსებლად. ამასთან, სოფლების მოსახლეობის საერთო ინტერესების გათვალისწინებით დასაშვებია მოხდეს რამდენიმე სოფელზე გამოყოფილი თანხების გაერთიანება ამ სოფლების საერთო პრობლემის (მაგ. წყალსადენის სათაო ნაგებობის ან სარწყავი სისტემის განმენდა-რეაბილიტაცია, რომელიც რამდენიმე სოფელს ემსახურება) გადასაწყვეტად

მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადებით მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოყოს დამატებითი თანხები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად მოზიდულ იქნეს დამატებითი სახსრები შემოწირულობისა თუ გრანტის სახით.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობა-სა და ეფექტიანობაზე პასუხისმგებელია გამგეობის რწმუნებული.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის სწორად გამოყენებასა და შესაბამისი სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგებელი გამგეობის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით.

სოფლის მოსახლეობის მონაწილეობა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელებაში გამოიხატება:

1) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრისას.

სოფლის მოსახლეობამ უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრაში. გამგეობის რწმუნებული ვალდებულია სოფლის მოსახლეობას აცნობოს სოფელზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხის ოდენობა, ასევე შემოსული წინადადებები ამ თანხების შესაძლო გამოყენების შესახებ და ჩაატაროს საჯარო განხილვები ამ თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის მიზნით.

2) სამუშაოთა შესრულების პროცესში. სოფლის მოსახლეობა უშუალოდ უნდა აკონტროლებდეს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმდინარეობას. სამუშაოთა შესასრულებლად უპირატესად დაქირავებული უნდა იქნეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.

3) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ ანგარიშის განხილვაში. გამგეობის რწმუნებული ვალდებულია სოფლის მოსახლეობას გააცნოს ანგარიში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ.

ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეული საკრებულოს წევრი „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ვალდებულია აქტიურად იყოს ჩართული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ყოველ ეტაპზე როგორც თანხის მიზნობრიობის განსაზღვრაში, ისე ხარჯთაღრიცხვის შედგენის, სამუშაოთა ორგანიზების, სამუშაოთა შესრულების მიღების და ანგარიშის შედგენის პროცესებში.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის გამგებელს ევალება:

1) გამგეობის რწმუნებულის წინადადების შესაბამისად განსაზღვროს და დაამტკიცოს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განსახორციელებელი ხარჯთაღრიცხვა;

2) საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს პროექტი ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

3) ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად ორგანიზება გაუწიოს და განახორციელოს შესაბამისი შესყიდვები;

4) ზედამხედველობა გაუწიოს და ააკონტროლოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის სწორად გამოყენება და შესაბამისი სამუშაოების შესრულება;

5) მიიღოს შესრულებული სამუშაო;

6) შეადგინოს ანგარიში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამით” გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ევალება:

1) აქტიურად ჩაერთოს “სოფლის მხარდაჭერის პროგრამით” გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის პროცესში. ამ მიზნით ჩაატაროს სოფლებში საკრებულოს გამსვლელი სხდომები;

2) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში;

3) მოისმინოს და შეაფასოს ანგარიში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამით” გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშს ადგენს მუნიციპალიტეტის გამგებელი პროგრამის განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში.

ანგარიში წარედგინება საქართველოს მთავრობას, აგრეთვე წარედგინება განსახილველად შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს და შესაბამისი სოფლის მოსახლეობას.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები 2009-2011 წლებში დაიხარჯა შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით (ცხრილი 1).

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, პროგრამით გამოყოფილი სახსრები იხარჯება ძირითადად სოფლის ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციასა და სოციალურ-კულტურულ საჭიროებებზე. ესენია: სასმელი წყლის სისტემები, საკანალიზაციო სისტემები, სარწყავი სისტემები, სკოლამდელი დაწესებულებები, გზები, ხიდები, გარე განათება, კულტურის სახლები, სპორტული მოედნები, თავმჯდომარის ადგილების მოწყობა, სარიტუალო სახლების აღჭურვა და სხვ.

საინვესტიციო პრიორიტეტებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა სასმელი წყლის სისტემები (რომელთა რეაბილიტაციაზე 2009-2011 წლებში დაიხარჯა პროგრამის თანხების, შესაბამისად, 17,2; 18,0 და 22,4 %), შიდა გზები (17,7; 26,8 და 23,1 %), ხიდები (4,5; 4,1 და 4,2 %) სპორტული მოედნები (8,4; 6,5 და 6,4 %) და ა. შ. ეს თავისთავად მეტყველებს სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დიდ მნიშვნელობასა და როლზე სოფლის ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისა და მოსახლეობის ყოფითი გარემოს გაუმჯობესების საქმეში.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

– სოფლის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის გაფართოება;

– გამგეობის რწმუნებულების პასუხისმგებლობის გაზრდა სოფლის მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარების ორგანიზების საქმეში. მიზანშეწონილია გამგეობის რწმუნებულებისათვის მოეწყოს ტრენინგ-სემინარები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და პრობლემების შერჩევისათვის, აგრეთვე მოსახლეობის კრებების სათანადოდ ჩატარების მეთოდური უზრუნველყოფის მიზნით;

– მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის როლის ამაღლება ცალკეული პროექტების ანუ სამუშაოების შესრულების დროს. ამისათვის საჭიროა მათი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქმედითი სისტემის შექმნა;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობის წარმართვა დაფინანსების სხვადასხვა წყაროს ხარჯზე განხორციელებული საინვესტიციო პროექტების “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამის პროექტებთან სინთეზირების მიმართულებით. ეს უფრო ეფექტიანს გახდის პროგრამულ ღონისძიებებს დუბლირებისა და პარალელიზმის აღმოფხვრისა და საინვესტიციო პროექტების მასშტაბის გადიდების გზით;

– სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის საზედამხედველო საქმიანობის გაძლიერება პროგრამით გამოყოფილი სახსრების თავისდროული ათვისების (სატენდერო პროცედურები, კონტრაქტების გაფორმება, ტექნიკით, ნედლეულითა და მასალებით უზრუნველყოფა და ა. შ.), პროექტის განხორციელების და ანგარიშგების პროცესებზე;

– „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განხორციელებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ეტაპობრივად გაზრდა დაფინანსების სხვა წყაროების შემცირების კვალობაზე;

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელებული პროექტები

	2009 წ.		2010 წ.		2011 წ.	
	ლარი	%	ლარი	%	ლარი	%
პრიორიტეტები						
სასმელი წყლის სისტემები	3,447,210	17,2	7,208,899	18,0	8,967,405	22,4
საკანალიზაციო სისტემები	12,899	0,1	70,544	0,2	78,947	0,2
სარწყავი სისტემები	886,012	4,4	811,690	2,0	1,638,362	4,1
სანიაღვრე არხები	1,037,151	5,2	922,971	2,3	1,490,051	3,7
სკოლების რეაბილიტაცია (მთ. განკ-ით)	402,564	2,0	49,513	0,1	244,398	0,6
სკოლების მშენებლობა			301,607	0,7	80,289	0,2
სკოლამდელი დაწესებულებები	54,788	0,3	1,072,048	2,7	508,934	1,3
ბაგა-ბალების გათბობა, ფანჯრები			19,586	0,1		
გზები	3,532,055	17,7	10,721,525	26,8	9,240,378	23,1
ხიდები	905,982	4,5	1,660,868	4,1	1,693,551	4,2
გარე განათება	441,248	2,2	1,359,034	3,4	1,136,847	2,8
მრავალბინიანი საცხ. სახლები ამხანაგობები	93,086	0,5	20,388	0,1	9,115	0,02
სახანძრო სამსახურის შენობები					12,362	0,03
ნაპირსამაგრი სამუშაოები	75,603	0,4	280,284	0,7	386,019	1,0
სანაგვე ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანები	16,264	0,1	141,377	0,4	180,311	0,4
ამბულატორიის შენობის რემონტი			286,971	0,7	206,076	0,5
ნისქვილების რეაბილიტაცია			209,647	0,5	225,310	0,6
ეკლესიის შემოღობვა			283,995	0,7	65,294	0,2
კულტურის სახლები	530,272	2,6	1,600,082	4,0	934,269	2,3
სპორტული მოედნები	1,675,291	8,4	2,585,178	6,5	2,561,063	6,4
სკვერები, ბალები	259,422	1,3	606,777	1,5	559,712	1,4
გაჩერების, მოსაცდელის მოწყობა	876,078	4,4	1,039,907	2,6	1,122,559	2,8
თავშეყრის ადგილების მოწყობა	520,438	2,6	660,144	1,6	505,730	1,3
სარიტუალო სახლების აღჭურვა	1,172,942	5,9	2,635,088	6,6	2,440,850	6,1
სასაფლაოს შემოღობვა	1,723,519	8,6	1,515,131	3,8	1,337,554	3,3
ტრაქტორების, სოფ. ტექნიკის შექენა	121,957	0,6	280,999	0,7	779,928	1,9
სხვა სამუშაოები	2,213,499	11,1	3,655,729	9,1	3,594,688	9,0
სულ	19,998,280	100,0	39,999,983	100,0	40,000,000	100,0

– დიფერენცირებული მიდგომა პროგრამით გათვალისწინებული სახსრების განაწილების დროს. სტრატეგიაში, არაეფექტიანად და მიზანშეუწონლად მიგვაჩნია პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებათა თანაბარი განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. რეგიონების მიმართ უნდა განხორციელდეს ეფექტიანი სელექციური მიდგომა, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საინვესტიციო რესურსები განაწილდეს არა პროპორციულად, ზოგადი დემოგრაფიული მაჩვენებლების, არამედ, – კონკრეტული ინფრასტრუქტურული საჭიროებების მიხედვით, სამხარეო და მუნიციპალური კუთვნილების მიუხედავად. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დეპრესიულ რეგიონებს, მათი განვითარების დონის გამოთანაბრების უზრუნველსაყოფად;

– მეტი მიზანდასახულობა და ეფექტიანობა უნდა იქნეს მიღწეული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ და დაფინანსების სხვადასხვა წყაროს ხარჯზე განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციის სფეროში.

KONSTANTINE KHMALADZE

*Head of Programming Division, Ministry for Regional Development and Infrastructure
PhD, Professor in Economics*

IMPROVING THE EFFECTIVENESS OF THE „VILLAGE SUPPORT PROGRAMME”

S u m m a r y

The “village support programme” is the initiative of the government of Georgia. It aims to: solve the key problems of the villages; increase citizens’ participation in local self-governance; enhance the interaction between the citizens and local government representatives; improve the independence of the local self-government and increase the function of municipal representatives.

The funds are directly allocated to the villages through the “village support programme”. Funds shall be spent on solving the key problems the villages encounter. The funding needs are identified by the local inhabitants.

In order to improve the effectiveness of the “village support programme” the following measures should be taken:

- Enhancing communication activities with the local population to improve participation;
- Increasing functions of municipal representatives for organizing local council meetings in villages;
- Involving local citizens in implementing projects and works, for which vocational education and training system should be created;
- Aligning various municipal projects and programmes to the activities implemented through “village support programme”;
- Increasing the oversight function of the Regional Governor;
- Gradual Increase of the funds allocated to the “village support programme”.

ქართული სოფლის დემოგრაფია

ისტორიულად ქართველი ერი არის სოფლის მცხოვრები, მინათმოქმედი და არა ქალაქის მცხოვრები. ამის შედეგად, საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ძირითად ელემენტს არაქართული მოსახლეობა შეადგენდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თბილისის მოსახლეობის 1865 წლის ზაფხულში ჩატარებული ერთდღიანი აღწერის შედეგებით, თბილისის მოსახლეობის 44,9% შეადგენდნენ სომხები, 20,8% – ქართველები, 17,0% – რუსები, 17,3% – დანარჩენი.¹ 1876-1926 წლებში ქართველების ხვედრი წილი თბილისის მოსახლეობაში 21,4%-დან გაიზარდა 38,2%-მდე, ხოლო სომხების ხვედრი წილი 36,2%-დან შემცირდა 34,1%-მდე. თბილისში ქართველებმა მოსახლეობის ნახევარს გადაამეტეს გასული საუკუნის 60-იან წლებში. კერძოდ, მოსახლეობის 1959 წლის აღწერით, ქართველები შეადგენდნენ მოსახლეობის 48,4%, სომხები – 21,5% და რუსები – 18,1%.²

საქართველოს სოფლის მოსახლეობის დაბალ მიგრაციულ მობილურობას ქალაქის მიმართულებით რიგი ფაქტორები განაპირობებდა. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს ეკონომიკის აგრარული ხასიათი და აგრარულ ეკონომიკაში მრავალწლიანი ნარგავების მაღალი ხვედრი წილი. მრავალწლიანი ნარგავები არის ძირითადი კაპიტალი, რომლის შექმნასაც საკმაო დრო და ინვესტიციები სჭირდება, ხოლო მისი კაპიტალუკუება გრძელდება მრავალი წელი, რაც, საბოლოო ჯამში, მიწაზე „ამაგრებს“ ადამიანს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართველები ყველაზე დაბალმიგრირებად ერს წარმოადგენდნენ. მაგალითად, მოსახლეობის 1979 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველებიდან საქართველოს ტერიტორიის გარეთ ცხოვრობდა 3,9%, ხოლო 1989 წლის აღწერით 5,0%, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერებს შორის. საკმარისია ვაჩვენოთ, რომ მოსახლეობის 1979 წლის აღწერით თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა: სომხების 35,7%, ტაჯიკების 24,1%, ბელორუსების 20,0%, ყაზახების 19,7%, რუსების 17,4%, მოლდაველების 16,7%, უზბეკების 15,2%, აზერბაიჯანელების 14,5%, უკრაინელების 13,7%, ყირგიზების 10,5%, ესტონელების 10,0%, ლატვიელების 7,1%, ლიტველების 6,9%, თურქმენების 5,0% და ქართველების 3,9%. საჭიროა ვაჩვენოთ, რომ იმავე 1979 წლის აღწერით რუსეთის ფედერაციის გარეთ ცხოვრობდა 23,9 მლნ. რუსი. მათგან ყველაზე მეტი, 10,5 მლნ. ცხოვრობდა უკრაინაში, 6 მლნ. – ყაზახეთში, 1,7 მლნ. – უზბეკეთში, 1,1 მლნ. – ბელორუსიაში და ა.შ. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ესტონეთში რუსები შეადგენდნენ მოსახლეობის 28,0%.³

რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის დაბალ მიგრაციულ მობილურობას, მრავალწლიანი ნარგავების ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს „სოფლის ურბანიზაციას“ – ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელებას სოფლად. სოფლის მოსახლეობის დამაგრების მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე საქართველოს გეოგრაფიული პირობები. კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის 90,0%-მდე თავმოყრილია მთათაშორის ბარში, სადაც ასევე განლაგებულია საქართველოს ქალაქების აბსოლუტური უმრავლესობა, რის შედეგადაც სოფლის მცხოვრებთ საშუალება აქვთ უშუალო ურთიერთობა იქონიონ ქალაქის ფსიქო-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან.

დღეისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღრიცხულია ყველა ტიპის 44 ქალაქის დასახლება. ქალაქებს შორის საშუალო მანძილია 114 კმ. ერთ ქალაქ დასახლებაზე მოდის 83 სოფელი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს ორი საცხოვრებელი ადგილი, ორი ბინა – ქალაქად და სოფლად.

¹ მერაბ ხმალაძე. დემოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ., 2009. გვ., 74.

² ანზორ თოთაძე. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბ., 1999, გვ. 158.

³ გაანგარიშებულია: Численность и состав населения СССР. По данным всесоюзной переписи населения 1979 года. М., 1985. с.71, 74, 102, 110, 124, 126, 128, 130, 132, 133, 136.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად სოფლის მოსახლეობის ხვედრი წილი საქართველოში 2011 წელს მნიშვნელოვნად მალაღია სხვა ჩვენი დონის განვითარების მქონე ქვეყნებთან შედარებით და აღწევს 46,9%.¹

მეცნიერული ჭეშმარიტება მოითხოვს, მცირე ადგილი მაინც დავუთმოთ სოფლის მოსახლეობის და, საერთოდ, ქართველების ისტორიულად ყველაზე დაბალმიგრირებადი ერის სტატუსის განხილვას.

1989-2002 წლებში, საქართველოს მოსახლეობა 5400,8 ათასიდან შემცირდა 4371,5 ათასამდე, ე.ი. 1029,3 ათასით. აღნიშნულმა ფაქტმა იმ წლებში და შემდგომ, დღემდე, არა ერთს მისცა მიზეზი განგაში ატეხათ ქართველი ერის გადაშენების საშიშროების შესახებ. ხშირად მოგვისმენია „ფაქტები“ საქართველოდან წასული 1,0, 1,5, ან 2 მლნ. ქართველის შესახებ. არანაკლებ ცოდავენ პროფესიონალი დემოგრაფებიც. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, წერს გ.მელაძე, 1990-2006 წლებში ქვეყნიდან დროებით და მუდმივად ემიგრირებულთა რაოდენობამ დაახლოებით მილიონი ადამიანი შეადგინა, რომელთა შორის სავარაუდოდ ნახევარზე მეტი ქართველი იყო. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დიამეტრალურად შეცვალეს ადრინდელი შეხედულება ქართველების, როგორც ისტორიულად ყველაზე დაბალი მიგრირებადი ერის შესახებ. აღნიშნული სენტენცია მითი აღმოჩნდა, რომელიც ქვეყნის საზღვრების გახსნისას და განვითარებული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შედეგად დაიმსხვრა.²

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1989-2002 წლების აღწერებს შორის პერიოდში, საქართველოს მოსახლეობა 1029,3 ათასით შემცირდა. აქედან ქართველებზე მოდიოდა 126,2 ათასი, რაც საერთო კლების 7,9 პროცენტია და არა ნახევარზე მეტი. ამავე წლებში საქართველოში მცხოვრები ცალკეული ეროვნებების რიცხოვნობა შემცირდა (ათასი კაცი): აზერბაიჯანელების – 22,8 ათასით; სომხების – 188,3; რუსების – 237,5; ოსების – 126,0; ბერძნების – 85,2; უკრაინელების – 45,4; ქურთების – 30,8; ებრაელების – 20,9 ათასით.³

ასე რომ, შეხედულება ქართველების, როგორც ყველაზე დაბალი მიგრირებადი ერის შესახებ, პოსტსაბჭოთა სივრცეში დღესაც რეალობაა და არა მითი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 1989-2002 წლებში ქართველების ხვედრი წილი 70,1%-დან გაიზარდა 83,8%-მდე, ხოლო აზერბაიჯანელების – 5,7%-დან – 6,5%-მდე.⁴ აზერბაიჯანელთა ხვედრი წილის ზრდაში უკანასკნელი როლი არ უთამაშია მათი საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების თავისებურებას. კერძოდ, აზერბაიჯანელები უპირატესად ცხოვრობენ სოფლებში და სოფლის მეურნეობის შედეგად დამაგრებულნი არიან საცხოვრებელ ადგილზე.

1990-იანი წლების შემდგომი დემოგრაფიული კატაკლიზმების წინაშე უფრო მდგრადი აღმოჩნდა საქართველოს სოფლის მოსახლეობა. კერძოდ, 1990-2011 წლებში საქართველოს ქალაქის მოსახლეობა შემცირდა 21,0%-ით, ხოლო სოფლის – მხოლოდ 13,5%-ით. აღნიშნულის შედეგად, საქართველოს სოფლის მოსახლეობის ხვედრი წილი 1990-2011 წლებში 44,7%-დან გაიზარდა 46,9%-მდე. საქართველოს ურბანულ ისტორიაში სოფლის მოსახლეობის ხვედრი წილის უპრეცედენტო ზრდას ადგილი ჰქონდა 1913-1917 წლებში, როდესაც სოფლის მოსახლეობის ხვედრი წილი 74,4%-დან გაიზარდა 81,9%-მდე.⁵ 1917 წლიდან სოფლის მოსახლეობის ხვედრი წილი სისტემატიურად მცირდებოდა 1990 წლამდე.

ისტორიული განვითარების კვალობაზე იცვლებოდა საქართველოს სოფლის დემოგრაფიული პარამეტრები. აღნიშნული დემოგრაფიული პარამეტრები მიიღება მხოლოდ მოსახლეობის აღწერებით, რომელიც უკანასკნელად ჩატარდა 2002 წელს.

პირველ რიგში, თვალში საცემია სოფლების რიცხვის შემცირება. 1970 წლის მოსახლეობის აღწერით საქართველოში აღრიცხული იყო 4645 სოფელი 2446,6 ათასი მცხოვრებით; 1979 წლის აღწერით – 4314 სოფელი 2409,5 ათასი მცხოვრებით; 2002 წლის აღწერით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აღრიცხა 3668 სოფელი 2086,7 ათასი მცხოვრებით. სოფლების

¹ გაანგარიშებულია: www.statistics.ge.

² გიორგი მელაძე. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბ., 2007, გვ. 93, 99.

³ ოფიციალური სტატისტიკით, 1990-2006 წლებში საქართველოს მოსახლეობა 1023,1 ათასი მცხოვრებით შემცირდა. იხ.: სტატისტიკური წელიწადი, 2009, გვ. 18.

⁴ იხ.: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. თბ., 2003. გვ. 110.

⁵ იქვე, გვ. 110.

⁶ საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი. 2008. თბ., 2009. გ. 16.

რიცხვის შემცირების შედეგად იზრდება სოფლის საშუალო ხალხმრავლობა, რომელმაც 1970 წელს შეადგინა 527, 1979 და 1989 წელს – 559, ხოლო 2002 წელს – 569 მცხოვრები.¹

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. კონფლიქტამდელ საზღვრებში, 1970-1989 წლებში აღირიცხა 331 სოფლით ნაკლები. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, 1989-2002 წლებში – 646 სოფლით ნაკლები. მათში შედის ის სოფლებიც, რომლებიც კონფლიქტის შემდეგ აღარ იმყოფებიან საქართველოს იურისდიქციაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით აღმოჩნდება, რომ 1970-2002 წლებში სოფლების რიცხვი საქართველოში შემცირდა 977-ით.

მოსახლეობის აღწერებით აღირიცხება ასევე სოფლები მოსახლეობის გარეშე. მოსახლეობის 1979 წლის აღწერით აღირიცხა 83 ასეთი სოფელი, ხოლო 2002 წელს – 159, ე.ი. 1979 წელთან შედარებით 2-ჯერ მეტი.

რეგიონული თვალსაზრისით საქართველოს სოფლის დემოგრაფიული პარამეტრები მნიშვნელოვან ვარიაციას ამჟღავნებს² (იხ. ცხრილი).

ცხრილი

საქართველოს სოფლის მოსახლეობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მოსახლეობის 2002 წლის აღწერით

რეგიონები	სოფლები მოსახლეობის გარეშე	სოფლები მოსახლეობით		მათში მოსახლეობა		მოსახლეობის მყოფი სოფლების საშუალო ხალხმრავლობა
		აბსოლუტურად	პროცენტობით ჯამთან	ათასი კაცი	პროცენტობით ჯამთან	
აჭარის არ	2	331	9,5	209,6	10,0	633
გურიის მხარე	0	186	5,4	105,8	5,1	569
იმერეთის მხარე	3	541	15,5	375,9	18,0	695
კახეთის მხარე	6	274	7,8	322,4	15,5	1176
მცხეთა-მთიანეთის მხარე	63	504	14,5	93,3	4,5	185
რაჭა-ლეჩხუმის მხარე	0	250	7,2	41,5	2,0	166
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	22	466	13,3	283,0	13,6	607
სამცხე-ჯავახეთის მხარე	9	249	7,2	142,2	6,8	571
ქვემო ქართლის მხარე	15	333	9,6	311,0	14,9	934
შიდა ქართლის მხარე	39	351	10,0	200,0	9,6	571
საქართველო	159	3509	100,0	2086,7	100,0	595

ყველაზე მეტი სოფლები მოსახლეობის გარეშე გვხვდება მცხეთა-მთიანეთის მხარეში – 63 სოფელი. შიდა ქართლის მხარეში 39 და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში 22 სოფელი. 584 სოფლით და მათში 511 ათასი მცხოვრებით, პირველ ადგილზეა ქართლი; მეორე ადგილზეა იმერეთი – 541 სოფლით და 375,9 ათასი მცხოვრებით, ხოლო მესამე ადგილზეა კახეთი – 274 სოფლით და 322,4 ათასი მცხოვრებით. მოსახლეობის მყოფი სოფლების საშუალო ხალხმრავლობით პირველ ადგილზეა კახეთი, სადაც ერთ სოფელზე საშუალოდ მოდის 1176 მცხოვრები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გურიის და რაჭა-ლეჩხუმის მხარეები, სადაც სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით არ არსებობს სოფლები მოსახლეობის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ სხვა მხარეებში სოფლები ფიზიკურად არსებობენ, მაგრამ არ ჰყავთ მოსახლეობა. გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში ასეთი სოფლები ფიზიკურადაც კი არ არსებობს.

¹ მხედველობაშია მიღებული სოფლები როგორც მოსახლეობით, ისე მოსახლეობის გარეშე.

² ცხრილი შედგენილია: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ტომი II, თბ., 2003. გვ. 14-23.

საინტერესო სურათს გვაძლევს სოფლების ანალიზი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. საბჭოთა სტატისტიკაში ასეთი ნიშნით გამოიყოფოდა სოფლების სამი ტიპი. **პირველი ტიპი** – სოფლები, რომლებსაც გააჩნდათ ადმინისტრაციული ფუნქცია და წარმოადგენდნენ სასოფლო საბჭოების ცენტრებს. 1989 წლის აღწერით ასეთი იყო 960 სოფელი 1203,8 ათასი მცხოვრებით. ისინი შეადგენდნენ სოფლების 22,3%, რომლებშიც ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის 50,0%. **მეორე ტიპი** – სოფლები, რომელთა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (50,0%-ზე მეტი) დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობით. ასეთი აღირიცხა 3269 სოფელი 1162,3 ათასი მცხოვრებით, რომლებიც შეადგენდნენ სოფლების 75,8% და მათში ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის 48,2%. **მესამე ტიპი** – სოფლები, რომლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არ იყო დასაქმებული სოფლის მეურნეობით. ასეთი იყო 85 სოფელი 43,3 ათასი მცხოვრებით, რომლებიც შეადგენდნენ სოფლების 1,9% და სოფლის მოსახლეობის 1,8%. რიგ საბჭოთა აღწერებში აღინერებოდა სოფლების **მეოთხე ტიპი** – სოფლები მოსახლეობის გარეშე.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერით აღირიცხა სოფლების სამი ტიპი. **პირველი ტიპი** – სოფლის საკრებულო ცენტრები. ასეთი იყო 896 სოფელი 1165 ათასი მცხოვრებით, რაც შეადგენდა სოფლების 24,4% და სოფლის მოსახლეობის 55,8%. **მეორე ტიპი** – სოფლები, რომლებშიც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობით, მათ შორის ფერმერულ და ინდივიდუალურ (ოჯახურ) მეურნეობებში. ასეთი იყო 2613 სოფელი 921,7 ათასი მცხოვრებით, რაც შეადგენდა სოფლების 71,2% და სოფლის მოსახლეობის 44,2%. პირველი ტიპის სოფლების საშუალო ხალხმრავლობა 1300, ხოლო მეორე ტიპის სოფლების – 352 მცხოვრები, ე.ი. 3,7-ჯერ ნაკლები.¹ სოფლების **მესამე ტიპი** – სოფლები მოსახლეობის გარეშე.

ჩვენი მოსაზრებით, მოსახლეობის გარეშე სოფლების გარდა, საქართველოში მრავლადაა ე.წ. **„უპერსპექტივო სოფლები“**. ესაა სოფლები, რომლებსაც მცირე რიცხოვნობის გამო ემუქრება დარჩენა მოსახლეობის გარეშე, რამდენადაც ასეთ სოფლებში მოკვდაობა ყოველთვის აჭარბებს შობადობას. ასეთ სოფლებს თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ 1-დან 100-მდე მცხოვრების მყოფი სოფლები, სადაც, როგორც წესი, დემოგრაფიულად დაბერებული მოსახლეობა ცხოვრობს. 2002 წლის აღწერით აღირიცხა 908 ასეთი სოფელი, რომელიც შეადგენს სოფლების 24,8% და მათში ცხოვრობს სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 1,9%.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ აჩვენა, რომ ყველზე მეტია სოფლები 201-დან 500-მდე მცხოვრებით. ასეთი სოფელია 911, რომლებიც წარმოადგენს სოფლების 24,8% და მათში ცხოვრობს სოფლის მოსახლეობის 14,7%. ყველაზე მეტი მოსახლეობა, 24,8%, ცხოვრობს სოფლებში 1001-დან 2000-მდე მცხოვრებით. ასეთია 412 სოფელი. შეიმჩნევა მოსახლეობის კონცენტრაციის ზრდა 200-ზე მეტი მცხოვრების მყოფ სოფლებში.

უნდა აღინიშნოს დიდი სოფლების, 5000 და მეტი მცხოვრებით, როგორც რიცხვის, ისე მათში მცხოვრები მოსახლეობის ზრდა. ასეთი სოფლების რიცხვი 1959 – 2002 წლებში 12-დან გაიზარდა 28-მდე, ხოლო მათში მოსახლეობა 77-დან 175,7 ათასამდე, ე.ი. 2,3-ჯერ, მაშინ როდესაც, სოფლის მოსახლეობა ამ პერიოდში შემცირდა 10,0%-ით.

დიდ სოფლებს მიეკუთვნება რაიონების მიხედვით: 1. გეგუთი (წყალტუბო); 2. მალლაკი (წყალტუბო); 3. ფარცხანაყანევი (წყალტუბო); 4. ახალსოფელი (ყვარელი); 5. შილდა (ყვარელი); 6. გურჯაანი (გურჯაანი); 7. ველისციხე (გურჯაანი); 8. კარდენახი (გურჯაანი); 9. ლამბალო (საგარეჯო); 10. მატანი (ახმეტა); 11. ყარაჯალა (თელავი); 12. დილომი (მცხეთა); 13. მუხრანი (მცხეთა); 14. ინგირი (ზუგდიდი); 15. კახათი (ზუგდიდი); 16. რუხი (ზუგდიდი); 17. ალგეთი (მარნეული); 18. სადახლო (მარნეული); 19. ყიზილ-აჯლო (მარნეული); 20. გამარჯვება (გარდაბანი); 21. მარტყოფი (გარდაბანი); 22. ნაზარლო (გარდაბანი); 23. სართიჭალა (გარდაბანი); 24. ფონიჭალა (გარდაბანი); 25. ქესალო (გარდაბანი); 26. ტალავერი (ბოლნისი); 27. ქვემო ბოლნისი (ბოლნისი); 28. რუისი (ქარელი).

- მოსახლეობის 2002 წლის აღწერით ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფელი აღმოჩნდა სადახლო – 9486 მცხოვრებით;

- დიდი სოფლებიდან რიცხოვნობად უპირატესად ქართველებით დასახლებული იყო 18 სოფელი, აზერბაიჯანელებით – 10;

- დასავლეთ საქართველოში აღირიცხა უპირატესად ქართველებით დასახლებული 6 დიდი სოფელი. აღმოსავლეთ საქართველოში აღირიცხა 22 დიდი სოფელი, რომელთაგან 12 უპირატესად დასახლებული იყო ქართველებით, ხოლო 10 – აზერბაიჯანელებით;

¹ მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2009, გვ. 371.

- მხარეების მიხედვით დიდი სოფლები გვხვდება: იმერეთში – 3, კახეთში – 8 (აქედან 2 აზერბაიჯანული), მცხეთა-მთიანეთში – 2, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 3, ქვემო ქართლში – 11 (აქედან 8 აზერბაიჯანული), შიდა ქართლში – 1;

- რაიონების მიხედვით: თელავში, ახმეტაში, საგარეჯოში და ქარელში – თითო სოფელი. მცხეთაში, ბოლნისში და ყვარელში – თითოეულში ორ-ორი სოფელი. წყალტუბოში, გურჯაანში, ზუგდიდში და მარნეულში – თითოეულში სამ-სამი სოფელი, გარდაბანში – 6 სოფელი.¹

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მოსახლეობა მაღალი ხვედრი წილითაა წარმოდგენილი, მაგრამ მასში მიმდინარეობს უარყოფითი ტენდენციები, რაც გამოიხატება ცარიელი სოფლების ხვედრი წილის ზრდაში და უპერსპექტივო სოფლების დიდი ოდენობით არსებობაში.

MERAB KHMALADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Doctor of Economic Science, Professor

DEMOGRAPHY OF THE GEORGIAN VILLAGE

S u m m a r y

Georgia keeps high relative density of agricultural population. At the same time, within the last twenty years, this indicator has increased by several percentage points. Also, considerably increases the number of villages without population. A quarter of all the villages are unpromising, which in the near future threaten to be deserted. In 1970-2002, the number of big villages with the population of five thousand and more has increased from twelve to twenty-eight.

¹ მარნეულის რაიონში სამივე სოფელი აზერბაიჯანულია. გარდაბანში 6-დან 3 სოფელი აზერბაიჯანულია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

C o n t e n t s

ნინო აბესაძე

აგროტურიზმი – სიახლე ქართულ ტურისტულ ბაზარზე: განვითარება და პერსპექტივები.....7

გიორგი აბუსელიძე

სახელმწიფო ბიუჯეტის როლი აგრარული ეკონომიკის განვითარებაში 11

ნანა ახალაია

გორის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული პოტენციალი..... 13

ნონა ახვლედიანი

სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები და სოციალური განვითარების ძირითადი პრიორიტეტები 16

Dominique Barjolle

Swiss Agricultural Policy 23

ბესიკ ბაუჩაძე

მმართველობითი აღრიცხვა და თანამედროვე ბიზნესი.....32

ციალა ბენაშვილი

ხორბლის წარმოებისა და რეალიზაციის პრობლემები (დედოფლისწყაროს რაიონის მაგალითზე)36

იამზე ბერიშვილი

ეკონომიკური ანალიზის როლი მეღვინეობაში39

ხათუნა ბერიშვილი

აგროტურიზმის განვითარების გზები და პერსპექტივები საქართველოში42

ლამარა ბერიძე

ფერმერთა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბებისათვის47

იამზე ბეშქენაძე, სპარტაკ უროტაძე, ნანა ჟორჯოლიანი, მაია გოგალაძე

ახალი თაობის ეკოლოგიურად უსაფრთხო ფიტორეგულატორები.....50

ზვიად ბეშქენაძე, შოთა ზვიადაძე

აგროსამრეწველო კომპლექსის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.....56

Tamaz Bichiashvili, Tengiz Ivanidze

The Development of a Database for the Marketing System “Agromonitor”62

დავით ბიძინაშვილი

აგროსამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლად სიღარიბის დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა..... 65

ვახტანგ ბურდული, ლინა დათუნაშვილი

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, როგორც რეგულირების ობიექტი69

ციალა გაბელია, ლეილა ჯაფარიძე, ეთერ სალუქვაძე, ნანა ოსიპოვა, თამარ კვერნაძე,

სპარტაკ უროტაძე

რკინა-ფრუქტოზა-ასკანგელის სინთეზი და კვლევა75

ინეზა გაგნიძე

კლასტერი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი გარანტი ...79

რამაზ გახოკიძე

გლობალური დათბობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები83

Ramaz A. Gakhokidze

Perspectives of Application of a New Bioorganic Method in Sustainable Agriculture88

სიმონ გელაშვილი

სტატისტიკური პროგნოზირების როლი სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში 94

ნანი გვარიშვილი, ანზორ დევაძე	
საქართველოს დაცული ტერიტორიები და ტურიზმის განვითარების მიმართულებები	99
რევაზ გველესიანი	
აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა.....	104
გიული გიგუაშვილი, მაია აზმაიფარაშვილი	
საოჯახო-ფერმერული ტურიზმის განვითარების პოტენციალი შიდა ქართლში	108
შალვა გოგიაშვილი	
აგრარული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციისათვის.....	113
რევაზ გოგობია	
აგროსასურსათო სექტორის პრიორიტეტული განვითარება – საქართველოში სისტემური ეკონომიკური კრიზისის დაძლევის სანინდარი	119
შოთა გონგლაძე	
მეძროხეობის განვითარების გზები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაგალითზე, აგრარული სექტორის ეფექტიანობის თანმიმდევრული ამაღლებისათვის.....	125
ლევან გრიგალაშვილი	
საბულაღტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განვითარების კონცეპტუალური მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე.....	131
ნინო გრიგოლაია	
თხილის ბიზნესის განვითარების პერსპექტივები სამეგრელოს რეგიონში	136
Елена Гришнова, Макоцеба Николай	
Факторы и сравнительные возможности человеческого развития сельского населения аины.....	140
ეკატერინე გულუა	
სოფლის მეურნეობაში ცოდნის მენეჯმენტის აქტუალური მიმართულებები.....	146
მზევინარ გურული-კუხალაშვილი, დავით კუხალაშვილი	
სასურსათო უსაფრთხოების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის ძირითადი საფუძვლები	151
ნინო დამენია	
რისკი და დაზღვევა აგრარულ სფეროში	157
ანზორ დევაძე, ბადრი გეჩბაია	
აგროტურიზმის განვითარების სტრატეგია ეროვნული ეკონომიკის სისტემაში.....	162
თამარ დუდაური	
სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები საქართველოში.....	169
ნოდარ ელიზბარაშვილი	
საქართველოს აგროპოტენციალი და ბუნებრივი რისკები	175
ლ. ეპრიკაშვილი, თ. კორძაია, მ. ზაუტაშვილი, ნ. ფირცხალავა, მ. ძაგანია, თ. ანდრონიკაშვილი	
ცეოლითების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოპროდუქტიულობაზე.....	180
გულნაზ ერქომაიშვილი	
აგრარული სექტორი და მისი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში	185
მარიამ ვარდიაშვილი, ვანო ივანიშვილი	
საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბეგვრის საკითხები	189
ეკატერინე ზვიადაძე	
სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის არსი და მნიშვნელობა	195
ნუგზარ თოდუა	
აგროსასურსათო ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში	198
დავით იაკობიძე	
აგრარული კრიზისი საქართველოში.....	203
დავით იაკობიძე, ჟორა გაბრიჭიძე	
გლობალური სასურსათო კრიზისის დაძლევის ქართული ფაქტორი	208
დავით იაკობიძე, თამარ მარგანი	
ლიკვიდობის ხაფანგიდან თავის დაღწევა კრიზისის დაძლევის აუცილებელი პირობაა	213

ნაზირა კაკულია, მალხაზ ჩიქოვაძე

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები განვითარებად ქვეყნებში და მისი როლი
მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში.....22017

Iryna Kalenuk, Elena Gonta

Prospects of Activization of Agrarian Business Development on the Basis of Transboundary
Cooperation of Regions.....221

თამარ კაჭარავა, ლავროს შვეარდნაძე, ნინო ნიკლაური

სამკურნალო, არომატული, სანელებელ და შხამიან მცენარეთა მდგრადი
გამოყენების პერსპექტივები224

დავით კბილაძე

შინამეურნეობები საქართველოს ეკონომიკაში და მათი საქმიანობის შეფასების
სტატისტიკური ასპექტები.....228

მურმან კვარაცხელია

აგრარულ-ინდუსტრიული ეკონომიკური სტრატეგია ილია ქავჭავაძის შემოქმედებაში231

ნადეჟდა კვატაშიძე

ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ასახვა ფინანსურ
ანგარიშგებაში235

პაატა კოლუაშვილი

საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის240

პაატა კოლუაშვილი, ბადრი რამიშვილი

ერის სიჯანსაღე მინასთან მარადიულ ურთიერთობასა და უღალატო კავშირშია.....247

Irakli Kochlamazashvili

Agritourism in the Mountainous Regions of Georgia.....252

თამარ ლაზარიაშვილი

კახეთის რეგიონის კონკურენტული უპირატესობანი259

ქეთევან ლაფერაშვილი, რატი კერესელიძე

აგრობიოტექნოლოგიისა და ბიოუსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირების საკითხები263

მარინა ლეჟავა

საქართველოს აგროსექტორის მდგრადი განვითარების ეკონომიკური ტენდენციები270

Виктория Лещишена, Лариса Любохинец

Формирование механизма обеспечения устойчивого развития АПК Украины в условиях
глобализации.....274

ნინო ლიპარტელიანი

აგრობიზნესი და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ტენდენციები
საქართველოში280

მანანა ლობჯანიძე

ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები აგროსასურსათო სექტორში.....283

Игорь Любохинец, Любовь Бабич

Агропромышленный комплекс Украины: современное состояние,
проблемы и перспективы развития287

Ольга Любохинец, Татьяна Назарчук

Продовольственная безопасность как главное направление аграрной и экономической политики
государства.....292

ირინე მაისურაძე

საქართველოს სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა
XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე298

მარინა მაისურაძე

ბიოლოგიური აქტივების აღიარების და შეფასების თავისებურებები სოფლის მეურნეობის
სანარმოებში.....304

Phatima Mamardashvili

Measuring Productivity and Efficiency of Agricultural Farms under Multiple-Output Technology.....309

Maya Margvelashvili, Eka Lekashvili	
Economic Value of Domestic Tourism and its Estimation Methodology.....	314
გიორგი მელაძე, მაია მელაძე	
საქართველოს სოფლის მოსახლეობის დინამიკის თანამედროვე ტენდენციები	322
იაშა (იაკობ) მესხია	
აგფლაცია – სასურსათო უსაფრთხოების ახალი მუქარა	327
ელგუჯა მექვაბიშვილი, იოსებ არჩვაძე	
გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხე და საქართველოს აგრარული ეკონომიკა.....	335
მაია მინდორაშვილი	
სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობის სტატისტიკური კვლევის მნიშვნელობა	340
ცირა მიქაბაძე	
რეგიონის აგროსამრეწველო კლასტერის ფორმირება	344
ვახტანგ მიქაშაიძე, ჟანი მიქაშაიძე	
აგრარული ტურიზმის წარმოშობის მოკლე მიმოხილვა და განვითარების უცხოური გამოცდილება	348
თეა მუნჯიშვილი, ნინო ჩავლეშვილი	
აგროსასურსათო ბიზნესის რისკების შეფასება ლოგიკო-ალბათური მოდელის გამოყენებით	354
ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი	
ყურძენი და მისი ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში	359
დავით ნარმანია	
რისკების მართვის თავისებურებები აგრარულ ბიზნესში: მსოფლიო პრაქტიკა და საქართველოს გამოწვევები	365
მარინა ნაცვალაძე	
საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები.....	372
ბექა ნაცვლიშვილი	
სამეურნეო კოოპერირების ჩამოყალიბების თავისებურებანი ქართულ სოფელში	377
ია ნაცვლიშვილი	
მენარმეობისადმი განწყობა საქართველოს აგრარულ სექტორში	384
დალი ნიკოლაიშვილი, ლია მაჭავარიანი, ვაჟა ტრაპაიძე, მანანა შარაშენიძე	
საქართველოს აგროტურიზმის პერსპექტივის კომპლექსური შეფასება.....	388
ნუგზარ პაიჭაძე	
ეკონომიკის აგრარული სექტორის მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი.....	394
ზურაბ რევიშვილი	
საქართველოს სასოფლო შინამეურნეობები: ფორმირება, პრობლემები და განვითარების გზები	398
ლევან საბაური	
სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა	404
ნინო სამჭკუაშვილი	
შრომის ბაზრის ფორმირებისა და უმუშევრობა-დასაქმების პრობლემები	409
ეთერ სარჯველაძე	
სურსათწარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში შიდა და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით	415
Avtandil Silagadze, Tamar Atanelishvili	
The Potential of Georgia's Agrarian Sector.....	418
რუსუდან სირბილაძე	
აგროტურიზმი.....	420
David Sikharulidze	
Trends in Agribusiness Global Value Chains.....	425
Loredana Sorg	
Value Chain Analysis of Hazelnuts in Georgia.....	430
მარინა ტაბატაძე	
მმართველობის დეცენტრალიზაცია რეგიონული განვითარების პროცესში	436

თენგიზ ურუშაძე, თეო ურუშაძე, დიანა ხომასურაძე	
საქართველოს ნიადაგები და გამოყენების „რისკ-ფაქტორები“	440
ნინო ფარესაშვილი	
რეგიონულ მეურნეობათა კლასტერული მართვის უპირატესობის შესახებ.....	444
ნანა ფირცხელავა	
აგრარული სექტორის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და მისი გადაჭრის გზები	448
რამაზ ფუტყარაძე	
სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე	451
ლელია ქადაგიშვილი	
საქართველოს ბუნებრივი რესურსები მსოფლიო მეურნეობის სისტემაში.....	459
თენგიზ ქავთარაძე	
აგრარულ სექტორში რისკის მართვის საკითხისათვის.....	463
დავით ქათამაძე	
აგროტურიზმის მენეჯმენტის თავისებურებანი საქართველოში.....	466
გიული ქეშელაშვილი	
აგრარული სექტორის მენეჯმენტის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.....	471
რუსუდან ქინქლაძე	
აგროეკოსისტემების ფუნქციონირების მექანიზმი	476
ქეთევან ქველაძე	
ტურსანარმო „საოჯახო სასტუმრო“ საქართველოში	481
აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე, ნელი სესაძე	
საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები	484
Giorgi Ghaghanidze	
EU as the Major Export Market for the Realisation of Competitive Advantages of Georgian Agricultural Products	490
შოთა შაბურიშვილი	
აგრარული რისკების დაზღვევის უცხოური გამოცდილება და საქართველო.....	493
ელგუჯა შაფაქიძე, მერაბ ქვარცხავა	
ნიადაგის დამუშავების თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები	497
Евгения Шелест	
Развитие сельского зеленого туризма в Украине: Актуальность, проблемы, возможности, перспективы	503
ლალი ჩაგელიშვილი, რუსუდან აგლაძე	
ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში.....	510
მარინა ჩავლეიშვილი	
მოცვის მსოფლიო წარმოება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	515
ქეთევან ჩიტალაძე	
აგროტურიზმის განვითარების წინაპირობები და ტენდენციები საქართველოში.....	521
ცირა ცეცხლაძე, მამუკა გოგელია	
აგროტურიზმი – სოფლის სოციალური პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვანი მახასიათებელი	525
მურმან ცეცხლაძე	
მინათმოქმედება და რელიგია	530
ლელა ცირეკიძე	
აგროკონსალტინგური მომსახურების, როგორც აგრობიზნესის ახალი მოდელის, განვითარების პერსპექტივები საქართველოში.....	537
ნათია ცხადაძე	
ფინანსური პრობლემების ზოგიერთი ასპექტი ფერმერულ მეურნეობებში	541

იზოლდა ჭილაძე	
ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები სოფლის მეურნეობის შესახებ.....	545
ნოდარ ხადური	
საქართველოს სოფლის მეურნეობის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევაში.....	549
ელენე ხარაბაძე	
ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოქმედების არეალი სოფლის მეურნეობაში.....	555
ეთერ ხარაიშვილი	
ფასები აგროსასურსათო პროდუქტებზე და მოსახლეობის კეთილდღეობა საქართველოში.....	559
ჯემალ ხარიტონაშვილი	
სოფლის მეურნეობა – საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი.....	564
კონსტანტინე ხმალაძე	
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ეფექტიანად განხორციელებისათვის.....	566
მერაბ ხმალაძე	
ქართული სოფლის დემოგრაფია.....	571

რედაქტორები: მარინე ვარამაშვილი
ნანა კაჭაბავა
გარეკანის დიზაინი თინათინ ჩირინაშვილი
დაკაბადონება ეკატერინე თეთრაშვილი

TSU Press Editors: Marine Varamashvili
Nana Katchabava
Cover Designer Tinatin Chirinashvili
Compositor Ekaterine Tetrashvili